Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com



Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА — ЭНГЕЛЬСА — ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1948

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1951

ვ. ი. ლენინი

ტომი

20

1913 დეკემბერი — *1914* აგვისტო

წინასიტყვაობა

მეოცე ტომი შეიცავს ვ. ი. ლენინის მიერ 1913 წლის დეკემბრიდან 1914 წლის აგვისტომდე დაწერილ ნაწარმოებებს. გამონაკლისს წარმოადგენს სტატია «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», — ეს სტატია ცოტა უფრო ადრეა დაწერილი და ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდა 1913 წლის ოქტომბერ-დეკემბერში.

ტომის უმეტეს ნაწილს შეადგენენ ნაშრომები, რომლებიც ეხება ბოლშევიკების ბრძოლას ოპორტუნიზმთან რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში: ლიკვიდატორებთან, ტროცკისტებთან, ვპერიოდელებთან, ესერებთან და II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებთან ბრძოლას. ამ ნაშრომთა რიცხვს ეკუთვნის: ««აგვისტოს» ბლოკის დაშლა», «ერთიანობის დარღვევა, რასაც ფარავენ ყვირილით ერთიანობის შესახებ», «ნაროდნიკობა და ლიკვიდატორობა როგორც დაშლის ელემენტები მუშათა მოძრაობაში», «იდეური ბრძოლა მუშათა მოძრაობაში», ««ვპერიოდელებისა» და «ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ», «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება და საინსტრუქციო მითითებანი ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას ბრიუსელის თათბირზე», «აჩქარდები — სასაცილო გახდები», «კაუცკის წერილის შესახებ» და სხვა.

ნაციონალურ საკითხში ბოლშევიკური პროგრამის დასაბუთებისა და განვითარებისადმი მიძღვნილია ნაწარმოებნი: «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე» და «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ».

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ სტატიებს აგრარულ საკითხზე. მათ შორის არის: «გლეხობა და დაქირავებული შრომა», «ბატონყმური მეურნეობა სოფლად», «მიწის საკითხი რუსეთში».

ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი სტატიები: «ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილებანი და ლიკვიდატორები» და «პასუხი «ლეიფციგერ ფოლკსცეიტუნგის» სტატიაზე». ამ სტატიებში ლენინი ამხილებს ლიკვიდატორების მიერ პარტიულ გადაწყვეტილებათა დამახინჯებას, იმ გარემოებას, რომ ლიკვიდატორებმა დამალეს ობიექტური მონაცემები მარქსისტული და ლიკვიდატორული გაზეთებისათვის შეგროვებული ფულადი თანხების შესახებ. თხზულებებში პირველად არის შეტანილი აგრეთვე ნაშრომები: «პროექტი კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ» და სტატია «პოლონეთის ს.-დ. ოპოზიცია გზაჯვარედინზე», რომლებიც წინათ გამოქვეყნებული იყო ლენინის კრებულში XXX.

«საინსტრუქციო მითითებანი» ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას ბრიუსელის თათბირზე შევსებულია ვ. ი. ლენინის ახალი წერილით.

თხზულებათა წინა გამოცემებში პროექტი სიტყვისა «მიწათმოქმედების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის საკითხისათვის» იბეჭდებოდა ხელნაწერის მიხედვით, რომელსაც ოთხი გვერდი აკლდა. მე-4 გამოცემაში სიტყვის პროექტი შევსებულია წინათ დაკარგული და 1941 წელს ნახული გვერდებით.

ვ. ი. ლენინი
1914

კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე[1]

დაწერილია 1913 წ. ოქტომბერ-დეკემბერში

დაიბეჭდა 1913 წელს ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» №№ 10, 11 და 12 იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით

ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

1 ტ. 20

ნაციონალურმა საკითხმა ~~რომ~~ ამჟამად თვალსაჩინო ადგილი დაიკავა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხთა შორის; ეს ცხადია. რეაქციის მებრძოლი ნაციონალიზმიც, კონტრრევოლუციური, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის გადასვლაც ნაციონალიზმზე (განსაკუთრებით ველიკოროსულზე, შემდეგ აგრეთვე პოლონურ, ებრაულ, უკრაინულ და სხვ. ნაციონალიზმზე) და, ბოლოს, სხვადასხვა «ნაციონალურ» (ე. ი. არა-ველიკოროს) სოც.-დემოკრატებს შორის ნაციონალისტური რყევის გაძლიერებაც, რაც პარტიული პროგრამის დარღვევამდე მივიდა, — ყველაფერი ეს უეჭველად გვავალებს — ნაციონალურ საკითხს წინანდელზე მეტი ყურადღება მივაქციოთ.

ამ სტატიის სპეციალურ მიზანს შეადგენს: საერთო კავშირში განვიხილოთ მარქსისტებისა და ვითომ-მარქსისტების სწორედ ეს პროგრამული რყევა ნაციონალურ საკითხში. «სევერნაია პრავდის»[2] № 29-ში (1913 წ. 5 სექტემბერი. «ლიბერალები და დემოკრატები ენების საკითხში») * მე ლაპარაკი მომიხდა ლიბერალების ოპორტუნიზმზე ნაციონალურ საკითხში; ამ ჩემს სტატიას კრიტიკით თავს დაატყდა ოპორტუნისტული ებრაული გაზეთი «ცაიტი»[3] ბ-ნ ფ. ლიბმანის სტატიის სახით. მეორე მხრივ, ნაციონალურ საკითხზე რუსეთის მარქსისტთა პროგრამის კრიტიკით გამოვიდა უკრაინელი ოპორტუნისტი ბ-ნი ლევ იურკევიჩი («ძვინ»[4], 1913, №№ 7 — 8). ორივე ეს მწერალი ისე ბევრ საკითხს შეეხო, რომ მათ საპასუხოდ ჩვენი თემის სულ სხვადასხვა მხარეზე

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 416 — 420. რ ე დ.

გვიხდება ლაპარაკი. და, მე მგონია, ყველაზე მოხერხებული იქნება, თუ საქმეს «სევერნაია პრავდის» სტატიის გადმობეჭდვით შევუდგებით.

1. ლიბერალები და დემოკრატები ენების საკითხში

გაზეთებს არა ერთხელ აღუნიშნავთ კავკასიის მეფისნაცვლის ანგარიში, რომელსაც ახასიათებს არა შავრაზმელობა, არამედ მორცხვი «ლიბერალიზმი». სხვათა შორის, მეფისნაცვალი წინააღმდეგია ხელოვნური რუსიფიკაციისა, ე. ი. არარუს ეროვნებათა გარუსებისა. კავკასიაში არარუს ეროვნებათა წარმომადგენლები თვითონ ცდილობენ ასწავლონ ბავშვებს რუსული, მაგალითად, სომხურ სამრევლო სკოლებში, სადაც რუსული ენის სწავლება სავალდებულო არ არის.

«რუსსკოე სლოვო»[5] (№ 198), რუსეთის ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული ლიბერალური გაზეთი, აღნიშნავს ამას და სამართლიანად დაასკვნის, რომ რუსეთში რუსულ ენას მტრულად უყურებენ «მხოლოდ და მხოლოდ» იმის გამო, რომ «ხელოვნურად» (უნდა ეთქვა: ძალადობით) ნერგავენ რუსულ ენასო.

«რუსული ენის ბედზე წუხილი ზედმეტია. იგი თვითონ მოიპოვებს აღიარებას მთელ რუსეთშიო» — წერს გაზეთი. და ეს სამართლიანიცაა, რადგან ეკონომიური აღებ-მიცემობის საჭიროება მუდამ აიძულებს ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნებებს (სანამ ერთად ცხოვრებას მოისურვებენ) შეისწავლონ უმრავლესობის ენა, რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის წყობილება, მით უფრო ძლიერ, სწრაფად და ფართოდ განვითარდება კაპიტალიზმი, ეკონომიური ბრუნვის საჭიროება მით უფრო დაჟინებით აიძულებს სხვადასხვა ეროვნებას შეისწავლონ ის ენა, რომელიც ყველაზე უფრო გამოსაყენებელია საერთო სავაჭრო ურთიერთობისათვის.

მაგრამ ლიბერალური გაზეთი იჩქარის გაიმათრახოს თავი და დაამტკიცოს თავისი ლიბერალური არათანამიმდევრობა.

«საეჭვოა, — წერს იგი, — რომ ვინმემ გარუსების მოწინააღმდეგეთა შორისაც კი გაილაშქროს იმის წინააღმდეგ, რომ ისეთ უზარმაზარ სახელმწიფოში, როგორიცაა რუსეთი, უნდა იყოს ერთი საერთო-სახელმწიფო ენა და რომ ასეთი ენა... შეიძლება იყოს მხოლოდ რუსული ენა».

უკუღმა გადმობრუნებული ლოგიკა თუ გინდათ, სწორედ ესაა! პატარა შვეიცარია კი არ აგებს, არამედ იგებს იმით, რომ იქ არის არა ე რ თ ი საერთო-სახელმწიფო ენა, არამედ სამი: გერმანული, ფრანგული და იტალიური. შვეიცარიის მოსახლეობის 70% გერმანელებია (რუსეთში ველიკორუსებია 43%), 22% — ფრანგები (რუსეთში უკრაინელებია 17%), 7% — იტალიელები (რუსეთში პოლონელებია 6% და ბელორუსები 4½%). თუ შვეიცარიაში იტალიელები საერთო პარლამენტში ხშირად ფრანგულად ლაპარაკობენ, ამას სჩადიან არა რომელიმე ველური პოლიციური კანონის (ასეთი რამ შვეიცარიაში არ არის) იძულებით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ცივილიზებული მოქალაქენი თვითონ აძლევენ უპირატესობას უმრავლესობისთვის გასაგებ ენას. ფრანგული ენა სიძულვილს არ უნერგავს იტალიელებს, რადგან ეს არის თავისუფალი, ცივილიზებული ერის ენა, ენა, რომელსაც თავს არავის ახვევენ საზიზღარი პოლიციური ზომებით.

მაშ «უზარმაზარმა» რუსეთმა, ბევრად უფრო ჭრელმა, საშინლად ჩამორჩენილმა, რატომ უნდა შ ე ა ფ ე რ ხ ო ს თავისი განვითარება ერთ-ერთი ენის რაიმე პრივილეგიის შენარჩუნებით? თუ პირიქით, ბატონო ლიბერალებო? რუსეთმა, თუ მას სურს დაეწიოს ევროპას, ხომ არ უნდა მოულოს ბოლო ყველა და ყოველგვარ პრივილეგიას რაც შეიძლება უფრო ჩქარა, რაც შეიძლება უფრო სრულად, რაც შეიძლება უფრო გაბედულად?

თუ მოისპობა ყოველგვარი პრივილეგიები, თუ შეწყდება ერთ-ერთი ენის თავზე მოხვევა, ყველა სლავი ადვილად და სწრაფად გაუგებს ერთმანეთს და არ შეუშინდება იმ «საშინელ» აზრს, რომ საერთო პარლამენტში სხვადასხვა ენაზე წარმოთქვამენ სიტყვებს. ეკონომიური ბრუნვის საჭიროებანი კი თავისთავად გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ვ ე ნ ამა თუ იმ ქვეყნის იმ ენას, რომლის ცოდნა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი იქნება უმრავლესობისთვის სავაჭრო ურთიერთობის თვალსაზრისით. და ეს განსაზღვრა მით უფრო მტკიცე იქნება, რომ მას ნებაყოფლობით მიიღებს სხვადასხვა ერის მოსახლეობა, მით უფრო სწრაფი და ფართო იქნება, რაც უფრო თანამიმდევარი იქნება დემოკრატიზმი და ამის გამო რაც უფრო სწრაფად განვითარდება კაპიტალიზმი.

ლიბერალები ენების საკითხსაც, ისე როგორც ყველა პოლიტიკურ საკითხს, უდგებიან როგორც თვალთმაქცი ჩარჩები, რომლებიც ცალ ხელს (აშკარად) უწვდიან დემოკრატიას, ხოლო მეორე ხელს (ზურგს უკან) მებატონეებს და პოლიციელებს. ჩვენ წინაალმდეგნი ვართ პრივილეგიებისაო — გაიძახიან ლიბერალები, ზურგს უკან კი მებატონეებს სცინცლავენ ხან ერთს, ხან მეორე პრივილეგიას.

ასეთია ყ ო ვ ე ლ ი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმი — არა მარტო ველიკორუსული (იგი ყველაზე უარესია, მისი ძალმომრეობითი ხასიათისა და ბატონ პურიშკევიჩებთან ნათესაობის წყალობით), არამედ პოლონური, ებრაული, უკრაინული, ქართული და ყოველი სხვა ნაციონალიზმიც. როგორც ავსტრიაში, ისე რუსეთში ყ ო ვ ე ლ ა ერის ბურჟუაზია «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგით ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ატარებს მუშების დაქუცმაცებას, დემოკრატიის დასუსტებას, მებატონეებთან ჩარჩულ გარიგებას ხალხის უფლებებისა და ხალხის თავისუფლების გაყიდვის შესახებ.

მუშათა დემოკრატიის ლოზუნგია არა «ნაციონალური კულტურა», არამედ დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა

მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა. დაე ბურჟუაზიამ ატყუოს ხალხი ყოველგვარი «პოზიტიური» ნაციონალური პროგრამებით. შეგნებული მუშა მას უპასუხებს: არსებობს ნაციონალური საკითხის მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტა (რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია მისი გადაწყვეტა კაპიტალიზმის სამყაროში, მოხვეჭის, ერთმანეთის ჭამისა და ექსპლოატაციის სამყაროში) და ეს გადაწყვეტაა — თანამიმდევარი დემოკრატიზმი.

დამამტკიცებელი მაგალითები: შვეიცარია დასავლეთ ევროპაში — ძველი კულტურის ქვეყანა, და ფინეთი აღმოსავლეთ ევროპაში — ახალგაზრდა კულტურის ქვეყანა.

მუშათა დემოკრატიის ნაციონალური პროგრამაა: სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას; ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის საკითხის, ე. ი. მათი სახელმწიფოდ გამოყოფის საკითხის გადაწყვეტა სრულიად თავისუფალი, დემოკრატიული გზით; საერთო-სახელმწიფო კანონის გამოცემა, და ამ კანონის მეოხებით ყოველი ღონისძიება (საერობო, საქალაქო, სათემო და სხვ. და ა. შ.), რომელიც ატარებს ერთ-ერთი ერის რაიმე პრივილეგიას, არღვევს ერთა თანასწორუფლებიანობას ან ეროვნული უმცირესობის უფლებებს, ცხადდება უკანონოდ და გაუქმებულად — და სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი ღონისძიების გაუქმება, როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგოსი, და სისხლის სამართლის კანონის მიხედვით მათი დასჯა, ვინც მის განხორციელებას დაიწყებდა.

ენის საკითხისა და სხვათა გამო სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიის ნაციონალურ კინკლაობას მუშათა დემოკრატია უპირისპირებს მოთხოვნას: ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშათა უცილობელი ერთიანობა და სრული შეერთება ყ ვ ე ლ ა პროფესიულ, კოოპერაციულ, სამომხმარებლო, საგანმანათლებლო და ყოველგვარ სხვა მუშათა ორგანიზაციაში, წინააღმდეგ ყოველგვარი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა. მხოლოდ ასეთ ერთიანობას და შეერთებას შეუძლია დაიცვას დემოკრატია,

დაიცვას მუშათა ინტერესები კაპიტალის წინააღმდეგ, — რომელიც უკვე გახდა და სულ უფრო და უფრო ხდება ინტერნაციონალური, — დაიცვას ინტერესები კაცობრიობის განვითარებისა ცხოვრების ახალი წყობისაკენ, სადაც აღარ იქნება არავითარი პრივილეგიები და არავითარი ექსპლოატაცია. /)

2. «ნაციონალური კულტურა»

როგორც მკითხველი ხედავს, «სევერნაია პრავდის» სტატია ერთ-ერთი მაგალითის, სახელდობრ საერთო-სახელმწიფო ენის საკითხის განხილვით ნათელყოფს არათანამიმდევრობას და ოპორტუნიზმს ლიბერალური ბურჟუაზიისას, რომელიც ნაციონალურ საკითხში მეგატონეებსა და პოლიციელებს უწვდის ხელს. ყველას ესმის, რომ, გარდა საერთო-სახელმწიფო ენის საკითხისა, ლიბერალური ბურჟუაზია ასევე გამცემლურად, პირმოთნედ და ბრიყვულად (ლიბერალიზმის ინტერესების თვალსაზრისითაც კი) იქცევა მთელ რიგ სხვა თანაგვარ საკითხთა მიმართაც.

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? დასკვნა ისაა, რომ ყ ო ვ ე ლ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს უდიდესი გახრწნა შეაქვს მუშათა წრეში, იგი უდიდეს ზიანს აყენებს თავისუფლების საქმეს და პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის საქმეს. ეს მით უფრო საშიშია, რომ ბურჟუაზიული (და ბურჟუაზიულ-ბატონყმური) ტენდენციის ს ა ფ ა რ ა დ «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგი იხმარება. ნაციონალური კულტურის — ველიკოროსული, პოლონური, ებრაული, უკრაინული და სხვა კულტურის — სახელით აჭახრაკებენ თავიანთ რეაქციულ და ჭუჭყიან საქმეებს. ყ ვ ე ლ ა ერის შავრაზმელები და კლერიკალები, შემდეგ კი — ბურჟუებიც.

ასეთია თანამედროვე ეროვნული ცხოვრების ფაქტი, თუ მას მარქსისტულად, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით შევხედავთ, თუ ლოზუნგებს შევადარებთ კლასე-

ბის ინტერესებსა და პოლიტიკას და არა ფუჭ «ზოგად პრინციპებს», დეკლამაციებსა და ფრაზებს.

ნაციონალური კულტურის ლოზუნგი არის ბურჟუაზიული მოტყუება (ხშირად შავრაზმულ-კლერიკალურიც). ჩვენი ლოზუნგია დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა.

აქ საბრძოლველად მოიწევს ბუნდელი ბ-ნი ლიბმანი და შემდეგი მომაკვდინებელი ტირადით შანადგურებს:

«ყველამ, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ნაციონალურ საკითხს, იცის, რომ ინტერნაციონალური კულტურა არ არის ინნაციონალური * კულტურა (ნაციონალურ ფორმას მოკლებული კულტურა); ინნაციონალური კულტურა, რომელიც არ უნდა იყოს არც რუსული, არც ებრაული, არც პოლონური, არამედ იყოს მხოლოდ წმინდა კულტურა, — უაზრობაა; ინტერნაციონალური იდეები სწორედ მარტოოდენ მაშინ შეიძლება გახდნენ ძვირფასნი მუშათა კლასისათვის, როცა შეფარდებული არიან იმ ენასთან, რომელზედაც მუშა ლაპარაკობს, და იმ კონკრეტულ ნაციონალურ პირობებთან, რომლებშიც იგი ცხოვრობს; მუშა გულგრილად არ უნდა ექცეოდეს თავისი ნაციონალური კულტურის მდგომარეობასა და განვითარებას, ვინაიდან მისი და მხოლოდ მისი საშუალებით ეძლევა მას შესაძლებლობა — მიიღოს მონაწილეობა «დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალურ კულტურაში». ეს დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ ვ. ი.-ს ლაპარაკიც კი არა სურს...».

ჩაუკვირდით ამ ტიპიურ ბუნდისებურ მსჯელობას, რომელმაც, თურმე ნუ იტყვით, უნდა დაარღვიოს ჩემს მიერ წამოყენებული მარქსისტული თეზისი. ფრიად თავმომწონე სახით, ვითომცდა «ნაციონალური საკითხის მცოდნე» ადამიანიაო, ბ-ნი ბუნდისტი ჩვეულებრივს ბურჟუაზიულ შეხედულებებს გვაწვდის, როგორც «დიდი ხნის ცნობილ» ჭეშმარიტებებს.

დიახ, პატივცემულო ბუნდისტო, ინტერნაციონალური კულტურა უეროვნო არ არის. ეს არავის უთქვამს. არავის გამოუცხადებია არც პოლონური, არც ებრაული, არც რუსული,

* ინტერ — შორის; ინ — არა; ინტერნაციონალური — სანაციათაშორისო, საერთაშორისო; ინნაციონალური — არანაციონალური, არახალხური, არაეროვნული, უეროვნო.

არც სხვა რომელიმე «წმინდა» კულტურა, ასე რომ თქვენი ცარიელი სიტყვების რახარუხი არის მხოლოდ ცდა — მკითხველის ყურადღება გაიტყუოთ და საქმის არსი მყვირალა სიტყვებით მიაფუჩეჩოთ.

თ ვ ი თ ე უ ლ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, ვინაიდან თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის აგრეთვე ბურჟუაზიული კულტურა (ხოლო უმრავლესობაში კიდევ — შავრაზმული და კლერიკალური) — ამასთან არა მარტო «ელემენტების» სახით, არამედ გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კულტურის სახით. ამიტომ «ნაციონალური კულტურა» საზოგადოდ ა რ ი ს მემამულეების, ხუცეების, ბურჟუაზიის კულტურა. ეს ძირითადი, მარქსისტისათვის ანბანური, ჭეშმარიტება ბუნდისტმა ჩრდილში დატოვა, «მიჩქმალა» სიტყვების რახარუხით, ე. ი. ნამდვილად კლასობრივი უფსკრულის გამოაშკარავებისა და განმარტების მ ა გ ი ვ რ ა დ მკითხველს მისი გაბუნდოვანება მიაწოდა. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ბუნდისტი გამოვიდა, როგორც ბურჟუა, რომლის მთელი ინტერესი მოითხოვს გარეკლასობრივი ნაციონალური კულტურისადმი რწმენის გავრცელებას.

«დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურის» ლოზუნგს რომ ვაყენებთ, თ ვ ი თ ე უ ლ ი ნაციონალური კულტურიდან ჩვენ ვიღებთ მ ხ ო ლ ო დ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს, ვიღებთ მათ მ ხ ო ლ ო დ და უ თ უ ო დ თ ვ ი თ ე უ ლ ი ერის ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საპირისპიროდ. • არც ერთი დემოკრატი, მით უმეტეს არც ერთი მარქსისტი არ უარყოფს ენათა თანასწორუფლებიანობას ანდა იმის აუცილებლობას, რომ დედაენაზე ვეკამათოთ «მშობლიურ» ბურჟუაზიას, ანტიკლერიკალური

ან ანტიბურჟუაზიული იდეები ვუქადაგოთ «მშობლიურ» გლეხობასა და მეშჩანებს, — ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამ უდავო ჭეშმარიტებებით ბუნდისტი აფუჩეჩებს სადავოს, ე. ი. იმას, რაც ნამდვილად საკითხის რაობას შეადგენს.

საკითხი ისაა, დასაშვებია მარქსისტებისათვის ნაციონალური კულტურის ლოზუნგის პირდაპირ ანდა არაპირდაპირ წამოყენება, თუ სავალდებულოა ყველა ენაზე იქადაგონ მის წინააღმდეგ, ყველა ადგილობრივ და ეროვნულ თავისებურებასთან «შეფარდებით» — მუშების ინტერნაციონალიზმის ლოზუნგი.

«ნაციონალური კულტურის» ლოზუნგის მნიშვნელობას განსაზღვრავს არა ამა თუ იმ ინტელიგენტუნას დაპირება ან კეთილი განზრახვა — «განმარტოს» ეს ლოზუნგი «მისი საშუალებით ინტერნაციონალური კულტურის გატარების აზრით». ასეთი შეხედულება ბავშვური სუბიექტივიზმი იქნებოდა. ნაციონალური კულტურის ლოზუნგის მნიშვნელობას განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა კლასთა ობიექტური თანაფარდობა. ბურჟუაზიის ნაციონალური კულტურა არის ფაქტი (ამასთანავე, ვიმეორებ, ბურჟუაზია ყველგან აწყობს გარიგებას მემამულეებსა და ხუცებთან). მებრძოლი ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, მუშების გამომთაყვანებელი, გამასულელებელი, გამთიშველი, რათა ისინი ბურჟუაზიის ხელქვეით ატაროს, — აი თანადროულობის ძირითადი ფაქტი.

ვისაც სურს პროლეტარიატს ემსახუროს, იგი უნდა აერთიანებდეს ყველა ერის მუშებს და განუხრელად ებრძოდეს როგორც «თავის», ისე უცხო ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ვინც ნაციონალური კულტურის ლოზუნგს იცავს, — მისი ადგილი ნაციონალისტ მეშჩანებშია, და არა მარქსისტებში.

აიღეთ კონკრეტული მაგალითი. შეუძლია თუ არა ველიკოროს მარქსისტს ნაციონალური, ველიკოროსული, კულტურის ლოზუნგი მიიღოს? არა. ასეთი ადამიანი უნდა მოათავ-

სოთ ნაციონალისტთა, და არა მარქსისტთა შორის. ჩვენი საქმეა — ებრძოლოთ ველიკოროსთა გაბატონებულ, შავრაზმულ და ბურჟუაზიულ ნაციონალურ კულტურას, განვავითაროთ მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალურ საფუძველზე და სხვა ქვეყნების მუშებთან უმჭიდროეს კავშირში ის ჩანასახები, რომლებიც ჩვენს დემოკრატიული და მუშათა მოძრაობის ისტორიაშიც მოიპოვება. ებრძოლო ჩვენს ველიკოროს მემამულეებსა და ბურჟუებს, იბრძოლო მისი «კულტურის» წინააღმდეგ, ინტერნაციონალიზმის გულისთვის, იბრძოლო პურიშკევიჩებისა და სტრუვეების თავისებურებებთან «შეგუებითა», — აი რა არის შენი ამოცანა, და არა ის, რომ იქადაგო, დაუშვა ნაციონალური კულტურის ლოზუნგი.

ბიგივე ითქმის ყველაზე უფრო ჩაგრული და დევნილი ერის — ებრაელი ერის შესახებ. ებრაელთა ნაციონალური კულტურა რაბინებისა და ბურჟუების ლოზუნგია, ჩვენი მტრების ლოზუნგია. მაგრამ არის სხვა ელემენტებიც ებრაულ კულტურასა და ებრაელობის მთელ ისტორიაში. მთელ ქვეყნიერებაზე 10½ მილიონი ებრაელია; მათგან ნახევარზე ცოტა მეტი ცხოვრობს გალიციასა და რუსეთში, ჩამორჩენილ, ნახევრად-ველურ ქვეყნებში, სადაც ებრაელებს ძალმომრეობით ამყოფებენ კასტის მდგომარეობაში. მეორე ნახევარი ცივილიზებულ ქვეყნებში ცხოვრობს, და ებრაელთა კასტური განკერძოება იქ არ არის. იქ გამოჩნდა ცხადად ებრაელთა კულტურის დიადი მსოფლიო-პროგრესული თვისებანი: მისი ინტერნაციონალიზმი, მისი გამოხმაურება ეპოქის შოწინავე მოძრაობებზე (ებრაელთა პროცენტი დემოკრატიულ და პროლეტარულ მოძრაობებში ყველგან მეტია საერთოდ მოსახლეობაში ებრაელთა პროცენტთან შედარებით).

ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აყენებს ებრაელთა «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგს, ის (რაგინდ კეთილიც იყოს მისი განზრახვა) მტერია პროლეტარიატისა, მომხრეა ძველისა და კასტურისა ებრაელობაში, დამხმარეა რაბინებისა და ბურჟუებისა. პირიქით, ის ებრაელი

მარქსისტები, რომლებიც ერთდებიან ინტერნაციონალურ მარქსისტულ ორგანიზაციებში რუს, ლიტველ, უკრაინელ და სხვა მუშებთან და თავიანთი წვლილი შეაქვთ (რუსულადაც, ებრაულადაც) მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურის შექმნაში, ეს ებრაელები — წინააღმდეგ ბუნდის[6] სეპარატიზმისა — განაგრძობენ ებრაელობის საუკეთესო ტრადიციებს, ებრძვიან რა «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგს.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — აი ორი, ურთიერთისადმი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ორ პოლიტიკას (მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში. როდესაც ნაციონალური კულტურის ლოზუნგს იცავენ და მასზე აგებენ ეგრეთწოდ. «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მთელ გეგმასა და პრაქტიკულ პროგრამას, ამით ბუნდელები ნამდვილად მუშათა წრეში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამტარებლებად გამოდიან.

3. «ასიმილატორობის» ნაციონალისტური საფრთხოგელა

ასიმილატორობის *, ე. ი. ეროვნულ თავისებურებათა დაკარგვის, სხვა ერში გათქვეფის საკითხი ნებას გვაძლევს ცხადლივ წარმოვიდგინოთ ბუნდელთა და მათ თანამოაზრეთა ნაციონალისტური რყევის შედეგები.

ბ-მა ლიბმანმა სწორად გადმოსცა და გაიმეორა ბუნდელების ჩვეულებრივი საბუთები, უკეთ, მათი ხერხები, ამასთან ერთიან მუშათა ორგანიზაციებში ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშების ერთიანობისა და შედუღების მოთხოვნას (იხ. ზემოთ «სევერნაია პრავდის» სტატიის ბოლო) — «ძველი ასიმილატორული ზღაპარი» უწოდა.

* სიტყვასიტყვით — დამსგავსების, გაიგივების.

«მაშასადამე, — ამბობს ბ-ნი ფ. ლიბმანი «სევერნაია პრავდაში» მოთავსებული სტატიის დასკვნის გამო, — კითხვაზე: რა ეროვნებას ეკუთვნით? მუშამ უნდა უპასუხოს: მე სოციალ-დემოკრატი ვარო».

ჩვენს ბუნდელს ეს გონებამახვილობის ნიმუშად მიაჩნია. ნამდვილად კი იგი საბოლოოდ ამხელს თავს ა ს ე თ ი ოხუნჯობით და «ასიმილატორობაზე» ყვირილით, რ ა ც თანამიმდევრულ-დემოკრატიული და მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი ლოზუნგის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ა რ ი ს მ ი მ ა რ თ უ ლ ი.

(განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი იცნობს ორ ისტორიულ ტენდენციას ნაციონალურ საკითხში. პირველი: ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ჭარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ და სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს. ორივე ტენდენციას უწევს ანგარიშს მარქსისტების ნაციონალური პროგრამა: იგი, ჯერ-ერთი, იცავს ერთა და ენათა თანასწორუფლებიანობას, ამ მხრივ რაიმეგვარი პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ე ბ ი ს დაუშვებლობას (აგრეთვე ერთა თვითგამორკვევის უფლებას, რაზედაც ქვემოთ ცალკე გვექნება ლაპარაკი), და, მეორეც, იცავს ინტერნაციონალიზმის პრინციპს, იმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის პრინციპს, რომ პროლეტარიატი დაავადდეს თუნდაც უაღრესად დახვეწილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმით.)

საკითხავია, რაღაზე აქვს საუბარი ჩვენს ბუნდელს, როდესაც იგი ცას შეჰღაღადებს «ასიმილატორობის» წინააღმდეგ?

ერების მიმართ ძალმომრეობაზე, ერთ-ერთი ერის პ რ ი ვ ი-ლ ე გ ი ე ბ ზ ე მას აქ ა რ შ ე ე ძ ლ ო ელაპარაკნა, ვინაიდან სიტყვა «ასიმილატორობა» ამ შემთხვევას საერთოდ არ შიუდგება; — ვინაიდან ყველა მარქსისტმა, ცალ-ცალკეც და როგორც ოფიციალურმა ერთიანმა მთელმაც, სავსებით გარკვეულად და არაორაზროვნად დაგმო თუნდაც ოდნავი ეროვნული ძალმომრეობა, ჩაგვრა, არათანასწორუფლებიანობა; — ბოლოს, ვინაიდან «სევერნაია პრავდის» სტატიაშიც, რომელსაც თავს დაესხა ბუნდელი, ეს ზოგად-მარქსისტული აზრი სრულიად გადაჭრითაა გამოთქმული.

არა. თავდაძვრენა აქ შეუძლებელია. «ასიმილატორობას» რომ გმობდა, ბ-ნი ლიბმანი გულისხმობდა ა რ ა ძალმომრეობას, ა რ ა უთანასწორობას, ა რ ა პრივილეგიებს. რჩება თუ არა რეალური რამ ასიმილატორობის ცნებაში, თუ მას გამოვაკლებთ ყოველ ძალმომრეობას და ყოველ არათანასწორუფლებიანობას?

უთუოდ რჩება. რჩება კაპიტალიზმის ის მსოფლიო-ისტორიული ტენდენცია ეროვნული ტიხრების დარღვევისა, ეროვნულ განსხვავებათა მოსპობისა, ერების ა ს ი მ ი ლ ა-ც ი ი ს ა, რა ტენდენციაც ყოველ ათწლობით სულ უფრო მძლავრად იჩენს თავს და წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს მამოძრავებელს, რომელიც კაპიტალიზმს სოციალიზმად აქცევს.

მარქსისტი არ არის, დემოკრატიც კი არ არის ის, ვინც არ აღიარებს და არ იცავს ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობას, ვინც არ ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრას ან არათანასწორუფლებიანობას. ეს უეჭველია. მაგრამ ასევე უეჭველია, რომ ის ვითომდა-მარქსისტი, რომელიც ლანძღვა-გინებით იკლებს სხვა ერის მარქსისტს «ასიმილატორობისათვის», ნამდვილად უბრალო ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ მ ე შ ჩ ა ნ ს წარმოადგენს. ამ ნაკლებპატივსაცემ ადამიანთა წყებას ეკუთვნიან ყველა ბუნდელნი და (როგორც ახლავე დავინახავთ)

უკრაინელი ნაციონალ-სოციალები, ბბ. ლ. იურკევიჩის, დონ-ცოვისა და კომპ. მსგავსნი.

რათა კონკრეტულად ცხადვყოთ ამ ნაციონალისტი მეშ-ჩანების შეხედულებათა მთელი რეაქციულობა, მოვიყვანოთ სამგვარი მონაცემები.

რუსეთის ორთოდოქსალური მარქსისტების «ასიმილატო-რობის» წინააღმდეგ ყველაზე მეტს ყვირიან რუსეთის ებრა-ელი ნაციონალისტები საზოგადოდ, ბუნდელებიც მათ შო-რის — განსაკუთრებით. ამავე დროს კი, როგორც ზემომოყ-ვანილი მონაცემებიდან ჩანს, მთელი მსოფლიოს 10½ მილი-ონი ებრაელიდან დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ნ ა ხ ე ვ ა რ ი ცხოვრობს ც ი ვ ი ლ ი ზ ე ბ უ ლ ქვეყნებში, უ დ ი დ ე ს ი «ასიმილატო-რობის» პირობებში, ხოლო რუსეთისა და გალიციის უბედუ-რი, დაბეჩავებული, უუფლებო, პურიშკევიჩების (რუსი და პოლონელი პურიშკევიჩების) მიერ გათელილი ებრაელები ცხოვრობენ უ მ ც ი რ ე ს ი «ასიმილატორობის», უდიდესი განკერძოების პირობებში, თვით «ბინადრობის ფარგლების», «პროცენტული ნორმისა» და სხვა პურიშკევიჩულ მშვენებათა გამოუკლებლად.

ცივილიზებული ქვეყნების ებრაელები ერი როდია, ისინი ყველაზე მეტად არიან ასიმილირებულნიო, — ამბობენ კ. კა-უცკი და ო. ბაუერი. გალიციისა და რუსეთის ებრაელები ერი როდია, ისინი, სამწუხაროდ (თავიანთი კი ა რ ა, პურიშ-კევიჩების მიზეზით), აქ ჯერ კიდევ კ ა ს ტ ა ს წარმოადგენენ. ასეთია უდავო მსჯელობა იმ ადამიანებისა, რომლებმაც უდა-ვოდ იციან ებრაელობის ისტორია და ანგარიშს უწევენ ზემო-მოყვანილ ფაქტებს.

რას გვეუბნება ეს ფაქტები? იმას, რომ «ასიმილატორო-ბის» წინააღმდეგ ყვირილი შეუძლიათ მხოლოდ ებრაელ რეაქ-ციულ მეშჩანებს, რომელთაც სურთ ისტორიის ჩარხი უკუღმა შეატრიალონ, აიძულონ იგი წარიმართოს არა რუსეთისა და გალიციის წესწყობიდან პარიზისა და ნიუ-იორკის წესწყო-ბისაკენ, არამედ პირიქით.

ასიმილატორობის წინააღმდეგ არასოდეს არ უყვირიათ ებრაელთა მსოფლიო-ისტორიულად სახელგანთქმულ იმ საუკეთესო ადამიანებს, რომლებსაც მსოფლიოსათვის დემოკრატიისა და სოციალიზმის მოწინავე ბელადები მიუციათ. ასიმილატორობის წინააღმდეგ ყვირიან მხოლოდ სასოებით მჭვრეტელნი ებრაელთა «უკანასი».

იმის შესახებ, თუ რა ზომით წარმოებს საზოგადოდ ერების ასიმილაციის პროცესი მოწინავე კაპიტალიზმის თანამედროვე პირობებში, შეიძლება დაახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ, მაგ., იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციას შეეხება. ევროპას იქითკენ 10 წლის, 1891 — 1900 წწ., განმავლობაში გაუგზავნია 3,7 მილიონი კაცი, ხოლო ცხრა წლის, 1901 — 1909 წწ., განმავლობაში — 7,2 მილიონი კაცი. 1900 წლის აღწერით შეერთ. შტატებში 10 მილიონზე მეტი უცხოელი აღმოჩნდა. ნიუ-იორკის შტატი, სადაც იმავე აღწერის მიხედვით 78 ათასზე მეტი ავსტრიელი იყო, 136 ათასი ინგლისელი, 20 ათასი ფრანგი, 480 ათასი გერმანელი, 37 ათასი უნგრელი, 425 ათასი ირლანდიელი, 182 ათასი იტალიელი, 70 ათასი პოლონელი, 166 ათასი რუსეთიდან (უმთავრესად ებრაელები), 43 ათასი შვეციელი და სხვ., — ეს შტატი ემსგავსება წისქვილს, რომელიც ეროვნულ სხვადასხვაობას ფქვავს. და ის, რაც ფართო, ინტერნაციონალური ზომით ხდება ნიუ-იორკში, ხდება აგრეთვე თ ვ ი თ ე უ ლ დიდ ქალაქსა და საფაბრიკო დაბაში.

ვინც ნაციონალისტურ ცრურწმენებში არ ჩაფლულა, შეუძლებელია მან კაპიტალიზმის მიერ ერების ამ ასიმილაციის პროცესში არ დაინახოს უდიდესი ისტორიული პროგრესი, სხვადასხვა მივარდნილ კუთხეთა ეროვნული დახავსებულობის დარღვევა — განსაკუთრებით რუსეთის მსგავს ჩამორჩენილ ქვეყნებში.

აიღეთ რუსეთი და ველიკოროსების დამოკიდებულება უკრაინელებისადმი. თავისთავად ცხადია, ყოველი დემოკრატი

მარქსისტზე რომ არა ვთქვათ რა, გადაჭრით იბრძოლებს უკრაინელების გაუგონარი დამცირების წინააღმდეგ და მოითხოვს მათს სრულ თანასწორუფლებიანობას. მაგრამ სოციალიზმისადმი პირდაპირი ღალატი და სულელური პოლიტიკა იქნებოდა, უკრაინელთა ბურჟუაზიული «ეროვნული ამოცანების» თვალსაზრისითაც კი — შ ე გ ვ ე ს უ ს ტ ე ბ ი ნ ა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ამჟამად არსებული სიახლოვე და კავშირი უკრაინელი და ველიკოროსი პროლეტარიატისა.

ბ-ნი ლევ იურკევიჩი, რომელიც აგრეთვე «მარქსისტს» უწოდებს თავის თავს (საბრალო მარქსი!), ამ სულელური პოლიტიკის ნიმუშს იძლევა. 1906 წელს, — წერს ბ-ნი იურკევიჩი, — სოკოლოვსკი (ბასოკი) და ლუკაშევიჩი (ტუჩაპსკი) ამტკიცებდნენ: უკრაინის პროლეტარიატი სრულიად გარუსებულია, და ცალკე ორგანიზაცია მას არ სჭირდებაო. ამის გამო ბ-ნი იურკევიჩი, არ ცდილობს რა თუნდ ერთი ფაქტის მოყვანას ს ა კ ი თ ხ ი ს ა რ ს ე ბ ი თ ს მ ხ ა რ ე ზ ე, თავს ესხმის მათ ორივეს და ისტერიულად გაჰკივის — სავსებით შესაბამისად უცუდესი ღირსების, ბრიყვული და რეაქციული ნაციონალიზმისა: ეს «ეროვნული პასივობაა», «ეროვნული განდგომაა», ამ ადამიანებმა «გათიშეს (!!) უკრაინელი მარქსისტებიო» და სხვ.. ახლა ჩვენში, მიუხედავად «მუშებს შორის უკრაინული ეროვნული შეგნების გაძლიერებისა», «ეროვნულად შეგნებულია» მუშების უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა, ხოლო უმრავლესობაო — გვარწმუნებს ბ-ნი იურკევიჩი — «ჯერ კიდევ რუსეთის კულტურის გავლენას განიცდის». **და** ჩვენი ვალია — იძახის ნაციონალისტი მეშჩანი — «მასებს კი არ გავყვეთ, არამედ თან გავიყოლიოთ ისინი, განვუმარტოთ მათ ეროვნული ამოცანები **(национальну справу)**» («ძვინ», გვ. 89).

ბ-ნ იურკევიჩის მთელი ეს მსჯელობა ერთიანად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურია. მაგრამ თვით იმ ბურჟუაზიული ნაციონალისტების თვალსაზრისითაც კი, რომელთა შორის ზოგი უკრაინის სრულ თანასწორუფლებიანობასა და ავტო-

ნომიას მოითხოვს, სხვები კი — დამოუკიდებელ უკრაინულ სახელმწიფოს, ეს მსჯელობა კრიტიკას ვერ უძლებს. უკრაინელების განმათავისუფლებელ მისწრაფებათა წინააღმდეგია ველიკოროს და პოლონელ მემამულეთა კლასი, შემდეგ — ორივე ამ ერის ბურჟუაზია. რომელ საზოგადოებრივ ძალას შეუძლია გაუმკლავდეს ამ კლასებს? XX საუკუნის პირველმა ათწლეულმა მოგვცა ფაქტიური პასუხი: ეს ძალაა მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასი, რომელსაც თან მიჰყავს დემოკრატიული გლეხობა. ცდილობს რა გათიშოს და მით დაასუსტოს ნამდვილად დემოკრატიული ძალა, რომლის გამარჯვების შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ეროვნული ძალმომრეობა, ბ-ნი იურკევიჩი ღალატობს არა მარტო საერთოდ დემოკრატიის, არამედ თავისი სამშობლოს, უკრაინის ინტერესებსაც. ველიკოროს და უკრაინელ პროლეტართა ერთიანი მოქმედებისას თავისუფალი უკრაინა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, ამ ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მაგრამ მარქსისტები როდი სჯერდებიან ბურჟუაზიულ-ნაციონალურ თვალსაზრისს. უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც სავსებით გამოირკვა სამხრეთის, ე. ი. უკრაინის უფრო სწრაფი ეკონომიური განვითარების პროცესი, რადგან უკრაინა ათი და ასიათასობით გლეხსა და მუშას იზიდავს ველიკოროსიიდან თავისი კაპიტალისტური ეკონომიებისა, მაღაროებისა და ქალაქებისაკენ. ამ ფარგლებში ველიკოროსი და უკრაინელი პროლეტარიატის «ასიმილაციის» ფაქტი უეჭველია. დ ა ე ს ფაქტი უ თ უ ო დ პროგრესულია. გონებაჩლუნგი, მცონარე, უძრავი და დათვივით ველური გლეხის — ველიკოროსის თუ უკრაინელის — მაგივრად კაპიტალიზმი აყენებს მოძრავ პროლეტარს, რომლის ცხოვრების პირობები აღღვევენ სპეციფიკურ ეროვნულ კარჩაკეტილობას, როგორც ველიკოროსულს, ისე უკრაინულს. ვთქვათ, ოდესმე ველიკოროსიასა და უკრაინას შორის გაჩნდა სახელმწიფოებრივი საზღვარი, — ამ შემთხვევაშიც ველიკოროსი და უკრაინელი მუშების «ასიმილაციის» ისტორიული პროგრესულობა უეჭ-

ველი იქნება, ისევე როგორც პროგრესულია ერების გათქ-ვეფა ამერიკაში. რაც უფრო თავისუფალი გახდება უკრაინა და ველიკოროსია, მით უ ფ რ ო ფ ა რ თ ო დ და სწ რ ა ფ ად განვითარდება კაპიტალიზმი, რომელიც მაშინ კიდევ უფრო ძლიერად მიიზიდავს ყ ვ ე ლ ა ერის მუშებს სახელმწიფოს ყველა ოლქიდან და ყველა მეზობელი სახელმწიფოდან (თუ რუსეთი უკრაინის მიმართ მეზობელი სახელმწიფო იქნება) მუშათა მასას ქალაქებისა, მაღაროებისა და ქარხნებისაკენ.

ბ-ნი ლევ იურკევიჩი ისე იქცევა, როგორც ნამდვილი ბურჟუა და ამასთანავე, როგორც ბეცი, ვიწრო ყაიდის, გონებაჩლუნგი ბურჟუა, ე. ი. როგორც მეშჩანი, როდესაც ორი ერის პ რ ო-ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს ერთობის, შედუღების, ასიმილაციის ინტე-რესებს იგი უკუაგდებს უკრაინელთა ეროვნული ამოცანების **(справы)** დროებითი წარმატებისათვის. ჯერ — ეროვნული **ამოცანები,** მერე — პროლეტარულიო, ამბობენ ბურჟუაზიუ-ლი ნაციონალისტები და ბბ. იურკევიჩები, **დონცოვები** და სხვა ვაი-მარქსისტები მათი აყოლით. პროლეტარული ამო-ცანები — უწინარეს ყოვლისა, ვამბობთ ჩვენ, ვინაიდან ეს უზრუნველყოფს არა მარტო შრომის ხანგრძლივ, ძირითად ინტერესებს და კაცობრიობის ინტერესებს, არამედ დემოკრა-ტიის ინტერესებსაც, ხოლო უდემოკრატიოდ წარმოუდგენე-ლია როგორც ავტონომიური, ისე **დამოუკიდებელი** უკრაინა.

დასასრულ, ბ-ნ იურკევიჩის ნაციონალისტური მარგალი-ტებით **არაჩვეულებრივ** მდიდარ მსჯელობაში კიდევ შემდეგი რამაა აღსანიშნავი. ეროვნულად შეგნებულია უკრაინელი მუშების უმცირესობაო, ამბობს ის, — «უმრავლესობა ჯერ კიდევ რუსული კულტურის გავლენას განიცდის» **(більшість перебуває ще під впливом російської культури).**

როდესაც პროლეტარიატზეა ლაპარაკი, მთელი უკრაი-ნული კულტურის ეს დაპირისპირება მთელივე ველიკოროს-სული კულტურისადმი ნიშნავს პროლეტარიატის ინტერესთა ყოვლად ურცხვ გაცემას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სა-სარგებლოდ.

ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში — ვეტყვით ჩვენ ყველა ნაციონალ-სოციალს. არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკოროსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეების, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკოროსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები. ასეთივე ორი კულტურაა უკრაინელობაში, ისე როგორც გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისში, ებრაელებში და სხვ.. თუ უკრაინელი მუშების უმრავლესობა ველიკოროსული კულტურის გავლენას განიცდის, ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ველიკოროსული ხუცური და ბურჟუაზიული კულტურის იდეებთან ერთად აქ ველიკოროსული დემოკრატიისა და სოციალ-დემოკრატიის იდეებიც მოქმედებენ. პირველი სახის «კულტურის» წინააღმდეგ ბრძოლის დროს უკრაინელი მარქსისტი ყოველთვის გამოარჩევს მეორე კულტურას და ეტყვის თავისიან მუშებს: «ველიკოროის შეგნებულ მუშასთან, მის ლიტერატურასთან, მის იდეათა წრესთან ურთიერთობის ყოველ შესაძლებლობას აუცილებლად უნდა ჩაეჭიდო მთელი ძალღონით, გამოიყენო ის, განამტკიცო, — ამას მოითხოვს როგორც უკრაინის, ისე ველიკოროსიის მუშათა მოძრაობის ძირითადი ინტერესები».

თუ კი უკრაინელ მარქსისტს ველიკოროს-მჩაგვრელებისადმი სავსებით კანონიერი და ბუნებრივი სიძულვილი იმდენად გაიტაცებს, რომ ამ სიძულვილის თუნდ ნაწილაკს, თუნდ მარტო განკერძოებას, ველიკოროსი მუშების პროლეტარულ კულტურასა და პროლეტარულ საქმეზე გადაიტანს, ასეთი მარქსისტი ამით ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ჭაობში ჩაქანდება. ასევე ჩაქანდება არა მარტო ბურჟუაზიული, არამედ თვით შავრაზმული ნაციონალიზმის ჭაობში ველიკოროსი მარქსისტიც, თუ ის ერთი წუთით მაინც დაივიწყებს უკრაინელთა სრული თანასწორუფლებიანობის მოთხოვნას ან მათს უფლებას — შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ველიკოროსმა და უკრაინელმა მუშებმა ერთად და, სანამ ერთ სახელმწიფოში ცხოვრობენ, ფრიად მჭიდრო ორგანიზაციული ერთობით და შეკავშირებით უნდა დაიცვან პროლეტარული მოძრაობის საერთო ანუ ინტერნაციონალური კულტურა, ამასთან აბსოლუტური შეწყნარებით უნდა უყურებდნენ პროპაგანდის ენის საკითხს და ამ პროპაგანდის დროს წმინდა-ადგილობრივ ან წმინდა-ეროვნულ თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა თ ა გათვალისწინების საკითხს. ასეთია მარქსიზმის უეჭველი მოთხოვნა. ყოველი ქადაგება ერთი ერის მუშების მეორისაგან გამოყოფისა, ყოველი გალაშქრება მარქსისტული «ასიმილატორობის» წინააღმდეგ, ყოველი დაპირისპირება პროლეტარიატის საკითხებში მთლიანად ერთი ნაციონალური კულტურისა მეორე ვითომდა მთელივე ნაციონალური კულტურისადმი და ა. შ., — ეს არის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ნაციონალიზმი, რომლის წინააღმდეგაც სავალდებულოა დაუნდობელი ბრძოლა.

4. «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია»

[«ნაციონალური კულტურის» ლოზუნგის საკითხს მარქსისტებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმიტომ, რომ იგი განსაზღვრავს ნაციონალურ საკითხში მთელი ჩვენი პროპაგანდისა და აგიტაციის იდეურ შინაარსს, ბურჟუაზიული პროპაგანდისაგან განსხვავებით, — არამედ იმიტომაც, რომ ამ ლოზუნგზეა აგებული ყბადაღებული კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მთელი პროგრამა.

ამ პროგრამის ძირითადი, პრინციპული ნაკლი ის არის, რომ იგი მიისწრაფის განახორციელოს ყველაზე დახვეწილი და აბსოლუტური, ბოლომდე მიყვანილი, ნაციონალიზმი. ამ პროგრამის დედაარსი შემდეგია: თვითეული მოქალაქე ეწერება ამა თუ იმ ერში, და თვითეული ერი წარმოადგენს იურიდიულ მთელს, თავისი წევრების იძულებითი დაბეგვრის უფლებით, ნაციონალური პარლამენტებით (სეიმებით), ნაციონალური «სტატს-მდივნებით» (მინისტრებით).]

ასეთი იდეა, ნაციონალური საკითხის მიმართ გამოყენებული, მოგვაგონებს პრუდონის იდეას კაპიტალიზმის მიმართ. კაპიტალიზმისა და მისი საფუძვლის — სასაქონლო წარმოების მოსპობა კი არა, არამედ ამ საფუძვლის გაწმენდა ბოროტმოქმედებისა, ხორცმეტებისა და სხვა ასეთებისაგან; გაცვლა-გამოცვლისა და საცვლელი ღირებულების მოსპობა კი არა, არამედ, პირიქით, მისი «კონსტიტუირება», მისი საყოველთაოდ ქცევა, გააბსოლუტურება, «გასამართლიანება», რყევას, კრიზისებს, ბოროტმოქმედებას მოკლებულად გადაქცევა — აი პრუდონის იდეა.

როგორც წვრილბურჟუაზიულია პრუდონი, როგორც ააბსოლუტებს, ქმნილების გვირგვინად აღიარებს მისი თეორია გაცვლა-გამოცვლასა და სასაქონლო წარმოებას, ასევე წვრილბურჟუაზიულია «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» თეორია და პროგრამა, რომელიც ააბსოლუტებს, ქმნილების გვირგვინად აცხადებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, წმენდს მას ძალმომრეობისა და უსამართლობათაგან და სხვ.

მარქსიზმი შეურიგებელია ნაციონალიზმისადმი, რაგინდ «სამართლიანი», «ფაქიზი», დახვეწილი და ცივილიზებულიც არ უნდა იყოს იგი. ყოველგვარი ნაციონალიზმის ნაცვლად მარქსიზმი აყენებს ინტერნაციონალიზმს, ყველა ერის შედუღებას უმაღლეს ერთობად, რომელიც ჩვენს თვალწინ იზრდება რკინიგზის თვითეულ ვერსთან, თვითეულ საერთაშორისო ტრესტთან, თვითეულ (თავისი ეკონომიური საქმიანობით, შემდეგ კი აგრეთვე თავისი იდეებით, თავისი მისწრაფებებით საერთაშორისო) მუშათა კავშირთან ერთად.

ეროვნების პრინციპი ისტორიულად გარდუვალია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში; მარქსისტი ანგარიშს უწევს ამ საზოგადოებას და სავსებით აღიარებს ეროვნულ მოძრაობათა ისტორიულ კანონიერებას. მაგრამ, რათა ეს აღიარება ნაციონალიზმის აპოლოგიად არ გადაიქცეს, საჭიროა, რომ იგი ზედმიწევნით შემოისაზღვროს მხოლოდ იმით, რაც პროგ-

რესულია ამ მოძრაობებში, — რომ ეს აღიარება არ იწვევდეს პროლეტარული შეგნების დაბნელებას ბურჟუაზიული იდეოლოგიით.

| პროგრესულია მასების გაღვიძება ფეოდალური მძინარობისაგან, მათი ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხის სუვერენობისათვის, ერის სუვერენობისათვის. აქედან გამომდინარეობს მარქსისტის უეჭველი მოვალეობა — დაიცვას უაღრესად მტკიცე და უაღრესად თანამიმდევრული დემოკრატიზმი ნაციონალური საკითხის ყოველ ნაწილში. ეს ამოცანა, უმთავრესად, უარყოფითი ხასიათისაა. ხოლო ამაზე შორს წასვლა ნაციონალიზმის მხარისდაჭერაში პროლეტარიატს არ შეუძლია, ვინაიდან ამის იქით იწყება «პოზიტიური» (დადებითი) მოქმედება ბურჟუაზიისა, რომელიც ნაციონალიზმის განმტკიცებას ესწრაფის.|

ყოველგვარი ფეოდალური უღლის, ერთა ყოველგვარი ჩაგვრის, ერთ-ერთი ერის თუ ერთ-ერთი ენის ყოველგვარი პრივილეგიის მოსპობა — ეს არის პროლეტარიატის, როგორც დემოკრატიული ძალის, უეჭველი მოვალეობა, უეჭველი ინტერესი პროლეტარული კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც აბნელებს და აფერხებს ეროვნული შუღლი. მაგრამ ამ, სასტიკად გამიჯნულ, განსაზღვრულ ისტორიულ ჩარჩოებში ჩასმულ ფარგლებს იქით ბურჟუაზიული ნაციონალიზმისათვის ხელის შეწყობა — პროლეტარიატისადმი ღალატსა და ბურჟუაზიის მხარეზე დადგომას ნიშნავს. აქ არის მიჯნა, ხშირად ძალიან შეუმჩნეველი, რომელსაც სრულებით ივიწყებენ ბუნდელი და უკრაინელი ნაციონალ-სოციალები.

| ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ — უთუოდ ასეა. ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული განვითარებისათვის, «ნაციონალური კულტურისათვის» საერთოდ — უთუოდ არაა ასე. კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიური განვითარება მთელ მსოფლიოში გვიჩვენებს ზრდადაუმთავრებელ ეროვნულ მოძრაობათა მაგალი-

თებს, მთელ რიგ წვრილ ერთაგან ანდა ზოგიერთი წვრილი ერის საზარალოდ დიდი ერების შექმნის მაგალითებს, ერების ასიმილაციის მაგალითებს. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პრინციპია ეროვნების განვითარება საზოგადოდ; აქედანაა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის განსაკუთრებულობა, აქედანაა გამოუვალი ეროვნული შუღლი. ხოლო პროლეტარიატი არა თუ არ კისრულობს თვითეული ერის ეროვნული განვითარების დაცვას, არამედ, პირიქით, აფრთხილებს მასებს ამნაირი ილუზიებისაგან, იცავს კაპიტალისტური ბრუნვის უაღრესად სრულ თავისუფლებას, სიხარულით ეგებება ერთა ყოველ ასიმილაციას, გარდა ძალმომრეობითი ან პრივილეგიებზე დამყარებული ასიმილაციისა.

ნაციონალიზმის გამაგრება განსაზღვრულ, «სამართლიანად» შემოფარგლულ სფეროში, ნაციონალიზმის «კონსტიტუირება», ყველა ერის მაგრად და მტკიცედ გამიჯვნა ერთიმეორისაგან განსაკუთრებული სახელმწიფო დაწესებულების საშუალებით — აი კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეური საფუძველი და შინაარსი. ეს აზრი ერთიანად ბურჟუაზიული და ერთიანად ყალბია. ნაციონალიზმის ვერავითარ გამაგრებას პროლეტარიატი მხარს ვერ დაუჭერს, — პირიქით, იგი მხარს უჭერს ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, ეროვნული ზღუდეების დანგრევას, ყველაფერს, რაც უფრო და უფრო მჭიდროს ხდის კავშირს ეროვნებათა შორის, ყველაფერს, რასაც ერთა შედუღებისაკენ მივყავართ. სხვანაირად მოქცევა რეაქციული ნაციონალისტური მეშჩანობის მხარეზე გადასვლას ნიშნავს.

(როდესაც კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროექტს იხილავდნენ ავსტრიის სოც.-დემოკრატები თავიანთ ყრილობაზე ბრიუნში (1899 წელს), ამ პროექტის თეორიული შეფასებისათვის თითქმის არც კი მიუქცევიათ ყურადღება. მაგრამ საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამის საწინააღმდეგოდ ორ ასეთ მოსაზრებას აყენებდნენ: 1) იგი გამოიწვევდა კლერიკალიზმის გაძლიერებასო; 2) «მას შედეგად

მოჰყვებოდა შოვინიზმის დამკვიდრება, მისი შეტანა თვითეულ პატარა თემში, თვითეულ პატარა ჯგუფში» (გვ. 92 ბრიუნის ყრილობის ოფიციალური ოქმებისა გერმანულ ენაზე. არის რუსული თარგმანიც, ებრაელთა ნაციონალისტური პარტიის «სერპის»[7] გამოცემა).

უეჭველია, «ნაციონალური კულტურა» ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ე. ი. სკოლები და სხვ., ამჟამად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კლერიკალებისა და ბურჟუაზიული შოვინისტების უპირატესი გავლენის ქვეშ იმყოფება. როდესაც ბუნდელები «კულტურულ-ნაციონალურ» ავტონომიას იცავენ და ამბობენ: ერების კონსტიტუირება მათ შიგნით წარმოებულ კლასობრივ ბრძოლას ყოველგვარ გარეშე მოსაზრებათაგან გ ა ნ წ მ ე ნ დ ს ო, — ეს აშკარა და სასაცილო სოფისტიკაა. ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში სერიოზული კლასობრივი ბრძოლა წარმოებს უწინარეს ყოვლისა ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში. ა ქ ე დ ა ნ სასკოლო-დარგის გამოყოფა, ჯერ-ერთი, უაზრო უტოპიაა, ვინაიდან არ შეიძლება სკოლის (ისე როგორც საზოგადოდ «ნაციონალური კულტურის») გამოცალკევება ეკონომიკისა და პოლიტიკისაგან, და, მეორეც, კაპიტალისტური ქვეყნის სწორედ ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება ა ი ძ უ ლ ე ბ ს ადამიანებს ყოველ ნაბიჯზე დაამსხვრიონ შეუსაბამო და დაძველებული ეროვნული ზღუდეები და ცრურწმენანი, სასკოლო და სხვა ამგვარი საქმის გამოყოფა კი სწორედ შეინახავდა, გაამწვავებდა, გააძლიერებდა «წმინდა» კლერიკალიზმს და «წმინდა» ბურჟუაზიულ შოვინიზმს.

სააქციო საზოგადოებებში ერთად სხედან და სავსებით ითქვიფებიან ერთიმეორეში სხვადასხვა ერის კაპიტალისტები. ფაბრიკაში ერთად მუშაობენ სხვადასხვა ერის მუშები. ყოველი მართლაც სერიოზული და ღრმა პოლიტიკური საკითხის წამოჭრის დროს დაჯგუფება ხდება კლასთა და არა ეროვნებათა მიხედვით. სასკოლო და სხვა ამგვარი საქმის «სახელმწიფოს გამგებლობიდან გამოყოფა» და ერებისათვის

მისი გადაცემა ნიშნავს სწორედ ცდას — გ ა მ ო ი ყ ო ს ერე-ბის შემადუღებელი ეკონომიკიდან საზოგადოებრივი ცხოვ-რების, ასე ვთქვათ, ყველაზე მეტად იდეოლოგიური დარგი, სადაც ყველაზე უფრო ადვილი ხდება «წმინდა» ნაციონა-ლური კულტურა ან კლერიკალიზმისა და შოვინიზმის ნაციო-ნალურად დანერგვა.

პრაქტიკულად განხორციელების დროს «ექსტერიტორიუ-ლი» (მიწაწყლის გარეშე, იმ მიწაწყალთან, რომელზედაც ესა თუ ის ერი ცხოვრობს, დაუკავშირებელი) ანუ «კულტურულ-ნაციონალური» ავტონომიის გეგმა ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს: ს ა ს კ ო ლ ო ს ა ქ მ ი ს დ ა ყ ო ფ ა ს ე რ ო ვ ნ ე-ბ ა თ ა მ ი ხ ე დ ვ ი თ, ე. ი. სასკოლო საქმეში ეროვნული კურიების შემოღებას. საკმარისია ნათლად წარმოიდგინოთ ბუნდელთა განთქმული გეგმის ეს ნ ა მ დ ვ ი ლ ი დედაარსი, რომ მყისვე გაიგოთ მთელი მისი რეაქციულობა დემოკრატიის თვალსაზრისითაც კი, სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე რომ აღარა ვთქვათ რა.

სასკოლო საქმის «ნაციონალიზაციის» ერთი მაგალითი და ერთი პროექტი თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაშია აქ საქ-მის არსი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე მთელ ცხოვრებაში შერჩენილია შტატების დაყოფა ჩრდილოეთის და სამხრეთის შტატებად; ჩრდილოეთში უფრო მეტადაა თავისუფლებისა და მონათმფლობელებთან ბრძოლის ტრადიციები, სამხრეთში უფრო მეტადაა მონათმფლობელო-ბის ტრადიციები, ზანგების დევნის ნაშთები, მათი ეკონომიუ-რი დაბეჩავებით, კულტურული დაკნინებით (ზანგთა შორის 44%-ია წერა-კითხვის უცოდინარი, თეთრთა შორის — 6%) და სხვ.. აი სწორედ ჩრდილოეთ შტატებში ზანგები თეთრებთან ერთად სწავლობენ, ერთ სკოლებში. სამხრეთში განსაკუთრე-ბული — «ეროვნული» ანუ რასობრივი, როგორც გნებავთ უწოდეთ, — სკოლებია ზანგებისათვის. მგონი, ეს ერთად-ერთი მაგალითია სკოლის ნამდვილად «ნაციონალიზაციისა».

აღმოსავლეთ ევროპაში არის ქვეყანა, სადაც დღემდე შესაძლებელია ბეილისის საქმის[8] მაგვარი საქმეები, სადაც ებრაელები ბბ. პურიშკევიჩების მიერ ზანგებზე უარეს მდგომარეობაში არიან ჩაგდებულნი. ამ ქვეყანაში ამას წინათ სამინისტროში წარმოიშვა ებრაელთა სკოლის ნაციონალიზაციის პროექტი. საბედნიეროდ, ეს რეაქციული უტოპია ძნელად თუ განხორციელდება, ისევე როგორც უტოპია ავსტრიელი წვრილი ბურჟუებისა, რომლებსაც დაუკარგავთ თანამიმდევრული დემოკრატიის განხორციელების, ეროვნული შუღლის მოსპობის იმედი და გამოუგონებიათ ერებისათვის ფუტლარები სასკოლო საქმეში, რათა მათ აღარ შეეძლოთ სკოლების გაყოფისათვის ერთმანეთის ჯიჯგნა..., მაგრამ «დაკონსტიტუირდნენ» ერთი «ნაციონალური კულტურის» მეორესთან მუდმივი შუღლისათვის.

ავსტრიაში კულტურულ-ნაციონალური ავტონომია დარჩა უმთავრესად ლიტერატორთა ნათხზავად, რომელიც თვით ავსტრიელ სოც.-დემოკრატებს არ მიუჩნევიათ სერიოზულად. სამაგიეროდ რუსეთში იგი თავის პროგრამაში შეიტანა ებრაელთა ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ და სხვადასხვა ერის რამდენიმე მეშჩანურმა, ოპორტუნისტულმა ელემენტმა — მაგალითად, ბუნდელებმა, კავკასიის ლიკვიდატორებმა, რუსეთის მემარცხენე-ნაროდნიკული მიმართულების ნაციონალურ პარტიათა კონფერენციამ. (ეს კონფერენცია — შევნიშნავთ ფრჩხილებში — 1907 წელს შესდგა, და მისი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ისე, რომ თავი შეიკავეს რუსმა ს.-რ-ებმა და პოლონელმა სოციალ-პატრიოტებმა, P. P. S.[9]. თავის შეკავება საოცრად დამახასიათებელი საშუალებაა ესერთა და პ.-პ.-ს-თა დამოკიდებულებისა უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხისადმი ნაციონალური პროგრამის დარგში!).

ავსტრიაში სწორედ ოტო ბაუერმა, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» უმთავრესმა თეორეტიკოსმა, თავისი წიგნის სპეციალური თავი იმის დამტკიცებას უძღვნა, რომ ამ პროგრამის წამოყენება ებრაელთათვის შეუძლებელიაო.

რუსეთში სწორედ ებრაელობის ყველა ბურჟუაზიულმა პარტიამ — და მათმა ამყოლმა ბუნდმა — მიიღო ეს პროგრამა *. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ისტორიამ სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური პრაქტიკით გამოამეღავნა ბაუერის გამონაგონის უაზრობა, ისევე, როგორც რუსმა ბერნშტეინელებმა (სტრუვემ, ტუგან-ბარანოვსკიმ, ბერდიაევმა და კომპ.) მარქსიზმიდან ლიბერალიზმისაკენ თავიანთი სწრაფი ევოლუციით გამოამეღავნეს გერმანული ბერნშტეინიადის ნამდვილი იდეური შინაარსი.

არც ავსტრიის, არც რუსეთის სოც.-დემოკრატებს არ შეუტანიათ თავიანთ პროგრამაში «კულტურულ-ნაციონალური» ავტონომია. მაგრამ ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნის ებრაელთა ბურჟუაზიულმა პარტიებმა და მთელმა რიგმა მეშჩანურმა ვითომდა-სოციალისტურმა ჯგუფებმა მ ი ი ღ ე ს ი გ ი, რათა დახვეწილი ფორმით შეიტანონ მუშათა წრეში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეები. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს.

რახან მოგვიხდა შევხებოდით ავსტრიულ პროგრამას ნაციონალურ საკითხში, შეუძლებელია არ აღვადგინოთ ჭეშმარიტება, რომელსაც ასე ხშირად ამახინჯებენ ბუნდელები. ბრიუნის ყრილობაზე წარდგენილ ი ქ ნ ა «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» წ მ ი ნ დ ა პროგრამა. ეს იყო სამხრეთელ სლავთა სოც.-დემოკრატიის პროგრამა; მის § 2-ში ნათქვამია: «ავსტრიაში მცხოვრები თვითეული ერი, მიუხე-

---

* ბუნდელები რომ ხშირად არაჩვეულებრივი სიფიცხით უარყოფენ ებრაელობის ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული პარტიის მიერ «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მიღების ფაქტს, ეს გასაგებია. მეტად აშკარად ამეღავნებს ეს ფაქტი ბუნდის ნამდვილ როლს. როდესაც ერთ-ერთმა ბუნდელმა, ბ-მა მანინმა სცადა «ლუჩში» [10] ამ უარყოფის განმეორება, იგი სავსებით ამხილა ნ. სკოპ.-მა (იხ. «პროსვეშჩენიე» № 3). მაგრამ როდესაც ბ-ნ ლევ იურკევიჩს «ძვინში» (1913, № 7 — 8, გვ. 92) მოჰკავს «პროსვეშჩენიედან» (№ 3, გვ. 78) ნ. სკ.-ის ფრაზა: «ბუნდისტები — ებრაელთა ყველა ბურჟუაზიულ პარტიასა და ჯგუფთან ერთად — დიდი ხანია მოითხოვენ კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიასო» და ა მ ა ხ ი ნ-

დავად იმისა, თუ რა ტერიტორია უკავიათ მის წევრებს, შეადგენს ავტონომიურ ჯგუფს, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად განაგებს ყველა თავის ეროვნულ (ენისა და კულტურულ) საქმეს». ამ პროგრამას იცავდა არა მარტო კრისტანი, არამედ გავლენიანი ელენბოგენიც. მაგრამ იგი მოხსნეს, მისთვის ერთ კაცსაც არ მიუცია ხმა. მიიღეს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პროგრამა, ე. ი. ისეთი, რომელიც არ ქმნის ა რ ა ვ ი თ ა რ ეროვნულ ჯგუფებს «მიუხედავად იმისა, თუ რა ტერიტორია უკავიათ ერის წევრებს».

მიღებული პროგრამის § 3-ში ნათქვამია: «ერთი და იმავე ერის თვითმმართველი ო ლ ქ ე ბ ი ყველანი ერთად შეადგენენ ეროვნულად ერთიან კავშირს, რომელიც სრულიად ავტონომიურად წყვეტს თავის ეროვნულ საქმეებს» (შეად. «პროსვეშჩენიე», 1913 წ., № 4, გვ. 28 [11]). ცხადია, არც ეს კომპრომისული პროგრამაა სწორი. განვმარტოთ მაგალითით. სარატოვის გუბერნიის გერმანელ კოლონისტთა თემი პლუს გერმანელ მუშათა გარეუბანი რიგასა ან ლოძში პლუს გერმანელი მოსახლეობა პიტერთან და სხვ. — ქმნიან გერმანელთა «ეროვნულად ერთიან კავშირს» რუსეთში. აშკარაა, ამგვარი რამის მ ო ი თ ხ ო ვ ნ ა, ასეთი კავშირის გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა სოც.-დემოკრატებს არ შეუძლიათ, თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უარყოფენ ყოველგვარი კავშირების თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს და მათ შორის ამა თუ იმ სახელმწიფოში ყოველი ეროვნების რომელიც უნდა იყოს თემთა კავშირის თავისუფლებას. მაგრამ სახელმწიფო კანონის მიხედვით გერმანელებისა და სხვ. გამოყოფას რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან და კლასებიდან და ერთიან გერმანულ ეროვნულ

ჯ ე ბ ს ამ ციტატას იმით, რომ ა გ დ ე ბ ს იქიდან სიტყვას «ბუნდის-ტები» და ც ვ ლ ი ს სიტყვებს: «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» სიტყვებით: «ეროვნული უფლებანი», — ჩვენ გაკვირვების მეტი არა დაგვ-რჩენია რას!! ბ-ნი ლევ იურკევიჩი არა მარტო ნაციონალისტია, არა მარ-ტო საოცრად უვიცია სოც.-დემოკრატების ისტორიისა და მათი პროგრა-მის ცოდნაში, არამედ ც ი ტ ა ტ ე ბ ი ს პ ი რ დ ა პ ი რ ი გ ა მ ყ ა ლ ბ ე-ბ ე ლ ი ც ბუნდის სარგებლობის გულისთვის. ცუდად ჰქონიათ საქმე ბუნდსა და ბატონ იურკევიჩებს!

კავშირად ჩამოყალიბებას შესაძლებელია ხელი მოჰკიდონ ზუცებმა, ბურჟუებმა, მეშჩანებმა, ყველამ, ვინც გნებავთ — ოღონდ არა სოციალ-დემოკრატებმა.

5. ერთა თანასწორუფლებიანობა და ეროვნული უმცირესობის უფლებანი

რუსეთის ოპორტუნისტების ყველაზე გავრცელებული ხერხი ნაციონალურ საკითხზე მსჯელობის დროს ავსტრიის მაგალითზე მითითებაა. «სევერნაია პრავდაში» დაბეჭდილ ჩემს სტატიაში * («პროსვეშჩენიე» № 10, გვ. 96 — 98), რომელსაც თავს დაესხნენ ოპორტუნისტები (ბ-ნი სემკოვსკი «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში» [12], ბ-ნი ლიბმანი «ციტში»), მე ვამტკიცებ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი გადაწყვეტა ნაციონალური საკითხისა, რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია ასეთი გადაწყვეტა კაპიტალიზმის პირობებში, და ესაა თანამიმდევრული დემოკრატიზმი. ამის დასამტკიცებლად მე ვიმოწმებ, სხვათა შორის, შვეიცარიას.

ეს დამოწმება არ მოსწონს არც ერთ ზემოხსენებულ ოპორტუნისტს; ისინი ცდილობენ გააბათილონ იგი ანდა შეასუსტონ მისი მნიშვნელობა. კაუცკის, თურმე, უთქვამს — შვეიცარია გამონაკლისიაო; შვეიცარიაში სრულიად განსაკუთრებული დეცენტრალიზაციაა, მას განსაკუთრებული ისტორია აქვს, განსაკუთრებული გეოგრაფიული პირობები, სხვა ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობა ფრიად ორიგინალურად არის განსახლებულიო და სხვ. და სხვ.

ყოველივე ეს სხვა არა არის რა, თუ არ დავის არსებისათვის თ ა ვ ი ს ა რ ი დ ე ბ ი ს ცდა. რა თქმა უნდა, შვეიცარია გამონაკლისია იმ აზრით, რომ იგი მთლიანი ეროვნული სახელმწიფო არ არის. მაგრამ ასეთივე გამონაკლისია (ანუ ჩამორჩენილობაო, — დასძენს კაუცკი) ავსტრია და რუსეთი. რა თქმა უნდა, შვეიცარიაში მხოლოდ განსაკუთრებულმა,

* იხ. ეს ტომი, გვ. 4 — 8. რ ე დ.

ორიგინალურმა, ისტორიულმა და საყოფაცხოვრებო პირობებმა უზრუნველყვეს მ ე ტ ი დემოკრატიზმი, ვიდრე მისი მეზობელი ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში.

მაგრამ რა შუაშია ყოველივე ეს, თუ ლაპარაკია იმ ნ ი მ უ შ ზ ე, რომლის მიბაძვაც გვმართებს? მთელ მსოფლიოში, თანამედროვე პირობების არსებობისას, გამონაკლისს შეადგენენ ისეთი ქვეყნები, სადაც ესა თუ ის დაწესებულება მოწყობილია თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ უ ლ-დემოკრატიულ საწყისთა მიხედვით. განა ეს ხელს გვიშლის — ყველა დაწესებულებისათვის თანამიმდევრული დემოკრატიზმი დავიცვათ ჩვენს პროგრამაში?

შვეიცარიის თავისებურებაა მისი ისტორია, მისი გეოგრაფიული და სხვა პირობები. რუსეთის თავისებურებაა ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში ჯერ არნახული ძალა პროლეტარიატისა და ქვეყნის საშინელი საყოველთაო ჩამორჩენილობა, რაც ობიექტურად იწვევს განსაკუთრებით სწრაფი და გადამწყვეტი წინსვლის აუცილებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი მინუსი და დამარცხება გვემუქრება.

ნაციონალურ პროგრამას ჩვენ პროლეტარიატის თვალსაზრისით ვაყალიბებთ; რა დროიდანაა, რომ ნიმუშებად უცუდესი და არა საუკეთესო მაგალითების აღებას გვირჩევენ?

განა, ყოველ შემთხვევაში, უდავო და უცილობელ ფაქტად არ რჩება ის, რომ ეროვნული მშვიდობა კაპიტალიზმის დროს განხორციელებულია (რამდენადაც ის საზოგადოდ განსახორციელებელია) მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ თანამიმდევრული დემოკრატიზმის ქვეყნებში?

რახან ეს უდავოა, მაშინ ოპორტუნისტების დაჟინებითი მითითება ავსტრიაზე, შვეიცარიის მაგივრად, სავსებით კადეტურ ხერხად რჩება, ვინაიდან კადეტები მუდამ გადმოიწერენ ხოლმე უცუდეს, და არა საუკეთესო, ევროპულ კონსტიტუციებს.

შვეიცარიაში ს ა მ ი სახელმწიფო ენაა, მაგრამ კანონპროექტებს რეფერენდუმის დროს ხ უ თ ენაზე ბეჭდავენ,

ესე იგი გარდა სამი სახელმწიფო ენისა — ორ «რომანულ» დიალექტზედაც. ამ ორ დიალექტზე, 1900 წლის აღწერის ცნობებით, შვეიცარიაში ლაპარაკობს 38 651 მცხოვრები 3 315 443-დან, ე. ი. ერთ პროცენტზე ცოტა მეტი. არმიაში ოფიცრებსა და უნტერ-ოფიცრებს «ეძლევათ უფართოესი თავისუფლება — მიმართონ ჯარისკაცებს მათს დედა-ენაზე». გრაუბიუნდენისა და ვალისის კანტონებში (თვითეულში ასი ათასზე ცოტა მეტი მცხოვრებია) ორივე დიალექტი სრული თანასწორუფლებიანობით სარგებლობს *.

საკითხავია: უნდა ვიქადაგოთ და დავიცვათ მოწინავე ქვეყნის ეს ცოცხალი გამოცდილება — თუ გადმოვიღოთ ავსტრიელებისაგან მსოფლიოში ჯერ არსად ნასინჯი გამონაგონი (რაც ჯერჯერობით ავსტრიელებსაც კი არ მიუღიათ), მსგავსად «ექსტერიტორიული ავტონომიისა»?

ამ გამონაგონის ქადაგება არის სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით განაწილების ქადაგება, ე. ი. პირდაპირ მავნე ქადაგება. შვეიცარიის გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკულად შესაძლებელი და განხორციელებულია უდიდესი (შედარებით) ეროვნული მშვიდობის უზრუნველყოფა მთელი სახელმწიფოს თანამიმდევრული (აქაც შედარებით) დემოკრატიზმის დროს.

«შვეიცარიაშიო — ამბობენ ამ საკითხის მცოდნე პირები — არ არსებობს ნაციონალური საკითხი აღმოსავლეთ-ევროპული აზრით. თვით ეს სიტყვაც კი (ნაციონალური საკითხი) აქ უცნობია»... «შვეიცარიამ ეროვნებათა ბრძოლა დიდი ხანაა შორს მოიტოვა, 1797 — 1803 წლებში» **.

ეს ნიშნავს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქამ, რომელმაც ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გადასვლის

* იხ. René Henry: «La Suisse et la question des langues», Bern. 1907 (რენე ანრი: «შვეიცარია და ენების საკითხი», ბერნი, 1907. რ ე დ.).

** იხ. Ed. Blocher: «Die Nationalitäten in der Schweiz», Brl., 1910 (ედ. ბლოხერი: «ეროვნებანი შვეიცარიაში», ბერლინი, 1910. რ ე დ.).

მორიგ საკითხთა ყველაზე უფრო დემოკრატიული გადაწყვეტა მოგვცა, ამასთანავე შ ე ს ძ ლ ო გზადაგზა, სხვათა შორის, ნაციონალური საკითხის «გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა ც».

დაე სცადონ ახლა ბბ. სემკოვსკებმა, ლიბმანებმა და სხვა ოპორტუნისტებმა იმის მტკიცება, რომ ეს «მარტოოდენ შვეიცარიული» გადაწყვეტა გ ა მ ო უ ს ა დ ე გ ა რ ი ა რუსეთის რომელისაც გნებავთ მაზრისათვის ან თუნდ მაზრის ნაწილისთვისაც კი, სადაც მხოლოდ 200 000 მცხოვრებზე მოდის ო რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი ორმოცი ათასი მოქალაქისა, რომელთაც სურთ ისარგებლონ თავიანთ მხარეში ს რ უ ლ ი თ ა ნ ა-ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ი თ ენის მხრივ!

ერებისა და ენების სრული თანასწორუფლებიანობის ქადაგება გამოყოფს თვითეულ ერში მარტოოდენ თანამიმდევრულ დემოკრატიულ ელემენტებს (ე. ი. მხოლოდ პროლეტარებს), ა ე რ თ ი ა ნ ებ ს მათ არა ეროვნების მიხედვით, არამედ მისწრაფებით სახელმწიფოს საერთო წყობილების ღრმა და სერიოზული გაუმჯობესებისადმი. პირიქით, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ქადაგება, მიუხედავად ცალკე პირთა და ჯგუფთა კეთილი სურვილებისა, თ ი-შ ა ვ ს ე რ ე ბ ს და ნამდვილად აახლოებს ერთი ერის მუშებს მ ი ს ბურჟუაზიასთან (ამ «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მიღება ებრაელობის ყველა ბურჟუაზიული პარტიის მიერ).

სრული თანასწორუფლებიანობის პრინციპთან განუყრელად არის დაკავშირებული ეროვნული უმცირესობის უფლებათა უზრუნველყოფა! «სევერნაია პრავდაში» დაბეჭდილ ჩემ სტატიაში ეს პრინციპი თითქმის იმნაირადვეა გამოთქმული, როგორც მარქსისტების თათბირის უფრო გვიანდელ, ოფიციალურ და უფრო ზუსტ გადაწყვეტილებაში. ეს გადაწყვეტილება მოითხოვს — «შეტანილ იქნას კონსტიტუციაში ძირითადი კანონი, რომლითაც გაუქმებულად ცხადდება ერთ-ერთი ერის რაიმეგვარი პრივილეგია და ეროვნული უმცირესობის უფლებათა რაიმეგვარი დარღვევა».

ბ-ნი ლიბმანი ცდილობს საცინლად აიგდოს ეს ფორმულირება და გვეკითხება: «საიდანღა ვიცით, თუ რაში მდგომარეობს ეროვნული უმცირესობის უფლებანი?». ეკუთვნის თუ არა ამ უფლებათა რიცხვს ეროვნულ სკოლებში «საკუთარი პროგრამის» უფლებაო? რაოდენ დიდი უნდა იყოს ეროვნული უმცირესობა, რომ მას ჰქონდეს თავისი მოსამართლეების, მოხელეების ყოლისა და დედაენაზე სკოლების მოწყობის უფლება? ბ-ნ ლიბმანს სურს ამ კითხვებიდან გამოიყვანოს «დ ა დ ე ბ ი თ ი» ნაციონალური პროგრამის აუცილებლობა.

ნამდვილად კი ეს კითხვები თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ რანაირ რეაქციულ აზრებს აპარებს ჩვენი ბუნდისტი ვითომდა წვრილმან დეტალებსა და კერძო მხარეებზე კამათის საფარით.

«საკუთარი პროგრამა» თავის ეროვნულ სკოლაში!.. მარქსისტებს, პატივცემულო ნაციონალ-სოციალო, აქვთ ზ ო გ ა დ ი სასკოლო პროგრამა, რომელიც, მაგალითად, მოითხოვს უეჭველად საერო სკოლას. მარქსისტების თვალსაზრისით, დემოკრატიულ სახელმწიფოში არსად და არასოდეს დასაშვები არ არის ამ ზოგადი პროგრამიდან გ ა დ ა ხ ვ ე ვ ა (ხოლო მის შევსებას რომელიმე «ადგილობრივი» საგნებით, ენებით და სხვ. წყვეტს თვით ადგილობრივი მოსახლეობა). პრინციპიდან კი — «გამოიყოს სახელმწიფოს გამგებლობიდან» სასკოლო საქმე და გადაეცეს იგი ერებს — ის გამომდინარეობს, რომ ჩვენ, მუშები, ნებას ვაძლევთ «ერებს» ჩვენს, დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხის ფული კლერიკალურ სკოლებზე ხარჯონ! ბ-მა ლიბმანმა, თავისდა შეუმჩნევლად, თვალნათლივ გვიჩვენა «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» რეაქციულობა!

«რაოდენ დიდი უნდა იყოს ეროვნული უმცირესობა?» ამას ვერ განსაზღვრავს ბუნდელებისათვის ასე სანუკვარი ავსტრიული პროგრამაც კი: მასში ნათქვამია (ჩვენსაზე უფრო მოკლედ და უფრო ნაკლები სიცხადით): — «ეროვნულ უმცირესობათა უფლებას იცავს განსაკუთრებული კანონი, რომე-

ლიც საიმპერიო პარლამენტმა უნდა გამოსცეს» (ბრიუნის პროგრამის § 4).

რატომ არავინ შეჰკინკლავებია ავსტრიელ სოც.-დემოკრატებს და არ უკითხავს, სახელდობრ როგორია ეს კანონი? სახელდობრ რომელი უმცირესობისათვის და სახელდობრ რა უფლებანი უნდა უზრუნველყოს მან?

იმიტომ, რომ ყველა გონიერ ადამიანს ესმის, თუ რა უადგილო და შეუძლებელია პროგრამაში წვრილმანების განსაზღვრა. პროგრამა მხოლოდ ძირითად პრინციპებს ადგენს. ამ შემთხვევაში ძირითადი პრინციპი ავსტრიელთა პროგრამაში ნაგულისხმევია, ხოლო პირდაპირ არის გამოხატული რუსეთის მარქსისტების უკანასკნელი თათბირის გადაწყვეტილებაში. ეს პრინციპია: არავითარი ეროვნული პრივილეგიებისა და არავითარი ეროვნული უთანასწორობის დაშვება.

ავიღოთ კონკრეტული მაგალითი, რათა განვუმარტოთ ბუნდელს ეს საკითხი. ქალაქ ს.-პეტერბურგში, 1911 წლის 18 იანვრის სასკოლო აღწერის მონაცემებით, სახალხო «განათლების» სამინისტროს დაწყებითს სკოლებში იყო 48 076 მოსწავლე. მათში ებრაელი იყო 396, ე. ი. ერთ პროცენტზე ნაკლები. შემდეგ, რუმინელი მოსწავლე 2 იყო, ქართველი — 1, სომეხი — 3 და სხვ. [13]. განა შესაძლებელია ისეთი «დაბებითი» ნაციონალური პროგრამის შედგენა, რომელიც ურთიერთობათა და პირობათა ამ მრავალგვარობას დაიტევს? (პიტერი კი, რასაკვირველია, ეროვნულად ყველაზე «ჭრელი» ქალაქი როდია რუსეთში). მგონი, ეროვნულ «ნაირსახეობათა» სპეციალისტებიც კი, როგორნიც ბუნდელები არიან, ვერ შეადგენენ ასეთ პროგრამას.

ამავე დროს კი, სახელმწიფოს კონსტიტუციაში რომ იყოს ძირითადი კანონი, რომლის მიხედვითაც ძალა არ ექნება უმცირესობის უფლებათა დამრღვევ არც ერთ ღონისძიებას, — მაშინ ყოველ მოქალაქეს შეეძლება მოითხოვოს გაუქმება ისეთი განკარგულებისა, რომლითაც, ვთქვათ, უარყოფილი იქნებოდა ხაზინის ხარჯით ებრაული ენის, ებრაული ისტო-

რიისა და სხვ. საგანგებო მასწავლებლების დაქირავება ანდა სალექციოდ სახაზინო შენობის მიცემა ებრაელი, სომეხი, რუმინელი ბავშვებისათვის, ერთი ქართველი ბავშვისთვისაც კი. ყოველ შემთხვევაში არაფერია შეუძლებელი იმ მხრივ, რომ დაკმაყოფილებულ იქნას თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ეროვნულ უმცირესობათა ყველა გონივრული და სამართლიანი სურვილი, და ვერავინ იტყვის, რომ თანასწორუფლებიანობის პროპაგანდა მავნე იყოს. პირიქით, ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დანაწილების პროპაგანდა, მაგალითად, პიტერში ებრაელი ბავშვებისათვის განსაკუთრებული ებრაული სკოლის პროპაგანდა — უთუოდ მავნებელი იქნებოდა, ხოლო ეროვნული სკოლების შექმნა ყ ო ვ ე ლ ი ეროვნული უმცირესობისათვის, 1, 2, 3 ბავშვისათვის — პირდაპირ შეუძლებელიც.

შემდეგ, არავითარ საერთო-სახელმწიფო კანონში არ არის შესაძლებელი იმის განსაზღვრა, თუ რაოდენ დიდი უნდა იყოს ეროვნული უმცირესობა, რომ განსაკუთრებული სკოლის ან დამატებითი საგნებისათვის განსაკუთრებული მასწავლებლების მოწვევის უფლება ჰქონდეს და სხვ.

პირიქით, სავსებით შესაძლებელია თანასწორუფლებიანობის საერთო-სახელმწიფო კანონის დეტალურად შემუშავება და განვითარება სპეციალური კანონდებულებებით, საოლქო სეიმების, ქალაქების, ერობების, თემებისა და სხვ. დადგენილებებით.

6. ცენტრალიზაცია და ავტონომია

ბ-ნი ლიბმანი საპასუხოდ წერს:

«აიღეთ ჩვენში ლიტვა, ბალტიის მხარე, პოლონეთი, ვოლინი, სამხრეთი რუსეთი და სხვ., — თქვენ ყველგან შ ე რ ე უ ლ მოსახლეობას შეხვდებით; არ არის არც ერთი ქალაქი, სადაც არ იყოს დიდი ეროვნული უმცირესობა. რაგინდ ფართოდაც გატარდეს დეცენტრალიზაცია, ყველგან შეგხვდებათ სხვადასხვა ადგილას (უმთავრესად ქალაქის თემებში) სხვადასხვა ეროვნებანი ერთად, და სწორედ დემოკრატიზმი ეროვნულ უმცირესობას ხელში უგდებს ეროვნულ უმრავლესობას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ვ. ი. მტრულად უცქერის სახელმწიფოს ასეთ ფედერაციულ მოწყო-

ბას და დაუსრულებელ დეცენტრალიზაციას, რასაც ადგილი აქვს შვეიცარიის კავშირში. საკითხავია, რისთვის დაასახელა მან შვეიცარიის მაგალითი?»

თუ რისთვის მოვიყვანე შვეიცარიის მაგალითი, ეს უკვე ზემოთ იყო განმარტებული. ასევე იყო განმარტებული, რომ ეროვნული უმცირესობის უფლებათა დაცვის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია მ ხ ო ლ ო დ საერთო-სახელმწიფო კანონის გამოცემით თანამიმდევრულ-დემოკრატიულ, თანასწორუფლებიანობის პრინციპის დამცველ, სახელმწიფოში. მაგრამ მოყვანილ ციტატაში ბ-ნი ლიბმანი იმეორებს კიდევ ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ (და მეტად არასწორ) პასუხს (ანუ სკეპტიკურ შენიშვნას), რაც ჩვეულებრივ მოჰყავთ ხოლმე მარქსისტული ნაციონალური პროგრამის წინააღმდეგ და რაც ამიტომ განხილვის ღირსია.

მარქსისტები, რა თქმა უნდა, მტრულად უყურებენ ფედერაციასა და დეცენტრალიზაციას — იმ უბრალო მიზეზით, რომ კაპიტალიზმი თავისი განვითარებისათვის მოითხოვს რაც შეიძლება უფრო დიდ და რაც შეიძლება უფრო ცენტრალიზებულ სახელმწიფოებს. ს ხ ვ ა თ ა ნ ა ს წ ო რ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი, შეგნებული პროლეტარიატი ყოველთვის დაიცავს უფრო დიდ სახელმწიფოს. იგი ყოველთვის იბრძოლებს შუასაუკუნეობრივი პარტიკულარიზმის წინააღმდეგ, ყოველთვის მიესალმება რაც შეიძლება უფრო მჭიდრო ეკონომიურ გაერთიანებას ვრცელი ტერიტორიებისას, რომლებზედაც შესაძლებელი გახდებოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის ფართოდ გაშლა.

|კაპიტალიზმის მიერ საწარმოო ძალთა ფართოდ და სწრაფად განვითარება მ ო ი თ ხ ო ვ ს დიდ, სახელმწიფოებრივად შეკავშირებულ და გაერთიანებულ ტერიტორიებს, და მხოლოდ ასეთ ტერიტორიებზე, მოსპობს რა ყოველგვარ ძველ, შუასაუკუნეობრივ, წოდებრივ, ვიწრო-ადგილობრივ, წვრილ-ეროვნულ, სარწმუნოებრივ და სხვა ზღუდეებს, შესძლებს შეკავშირებას ბურჟუაზიის კლასი, — და მასთან ერთად **მისი აუცილებელი** ანტიპოდიც — პროლეტარების კლასი.|

ერთა თვითგამორკვევის უფლების, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლების შესახებ, ჩვენ ცალკე გვექნება ლაპარაკი *. მაგრამ, სანამ და რამდენადაც სხვადასხვა ერები ერთიან სახელმწიფოს შეადგენენ, მარქსისტები არავითარ შემთხვევაში არ იქადაგებენ არც ფედერაციულ პრინციპს და არც დეცენტრალიზაციას. (ცენტრალიზებული დიდი სახელმწიფო არის შუასაუკუნეობრივი დაქსაქსულობიდან მთელი მსოფლიოს მომავალი სოციალისტური ერთობისაკენ წინგადადგმული უდიდესი ისტორიული ნაბიჯი, და სხვანაირად, თუ არ ამგვარი (კაპიტალიზმთან გ ა ნ უ ყ რ ე ლ ა დ დაკავშირებული) სახელმწიფოს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ, არ არის და არც შეიძლება არსებობდეს გზა სოციალიზმისაკენ.)

მაგრამ შეუწყნარებელი იქნებოდა იმის დავიწყება, რომ, როდესაც ცენტრალიზმს ვიცავთ, ჩვენ ვიცავთ მხოლოდ და მხოლოდ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ცენტრალიზმს. ამის შესახებ ყველა მეშჩანებმა საზოგადოდ და ნაციონალისტურმა მეშჩანობამაც (განსვენებულმა დრაგომანოვმაც[14] მათ შორის) ისეთი არევდარევა შეიტანეს საკითხში, რომ ისევ და ისევ გვიხდება მის გარკვევაზე დროის ხარჯვა.

(დემოკრატიული ცენტრალიზმი არა თუ არ გამორიცხავს ადგილობრივ თვითმმართველობას ისეთი ოლქების ა ვ ტ ო ნ ო მ ი ი თ, რომლებიც განსხვავდებიან განსაკუთრებული სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობებით, მოსახლეობის განსაკუთრებული ეროვნული შემადგენლობით და სხვ., არამედ, პირიქით, აუცილებლად მოითხოვს ე რ თ ს ა ც და მ ე ო რ ე ს ა ც. ჩვენში მუდამ ერთმანეთში ურევენ ცენტრალიზმს და თვითნებობასა და ბიუროკრატიზმს. რუსეთის ისტორიას, ბუნებრივია, ასეთი აღრევა უნდა გამოეწვია, მაგრამ მარქსისტისათვის იგი მაინც უთუოდ მიუტევებელია.)

ამის ნათელყოფა ყველაზე უფრო ადვილად კონკრეტული მაგალითით შეიძლება.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 479 — 560. რ ე დ.

როზა ლუქსემბურგი თავის ვრცელ სტატიაში: «ნაციონალური საკითხი და ავტონომია» *, მრავალ სასაცილო შეცდომათა შორის (მათ შესახებ — ქვემოთ), იმ განსაკუთრებით სასაცილო შეცდომასაც სჩადის, რომ ცდილობს — ავტონომიის მოთხოვნა მარტოოდენ პოლონეთით განსაზღვროს.

მაგრამ ჯერ ვნახოთ, თუ როგორ განსაზღვრავს იგი ავტონომიას.

როზა ლუქსემბურგი აღიარებს — და, როგორც მარქსისტი, რა თქმა უნდა, ვალდებულიცაა აღიაროს, — რომ კაპიტალისტური საზოგადოების ყველა უმნიშვნელოვანესი და არსებითი ეკონომიური და პოლიტიკური საკითხი უნდა იყოს სრულიადაც არა ცალკეული ოლქების ავტონომიური სეიმების, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური, საერთო-სახელმწიფო პარლამენტის გამგებლობაში. ასეთ საკითხთა რიცხვს ეკუთვნის: საბაჟო პოლიტიკა, სავაჭრო-სამრეწველო კანონმდებლობა, გზები და ურთიერთობის საშუალებანი (რკინიგზები, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი და სხვ.), ჯარი, საგადასახადო სისტემა, სამოქალაქო ** და სისხლის სამართალი, სასკოლო საქმის საერთო პრინციპები (მაგალითად, კანონი მხოლოდ საერო სკოლისა, საყოველთაო სწავლებისა, პროგრამის მინიმუმისა, სკოლის დემოკრატიული წესით მოწყობისა და სხვ. შესახებ), კანონმდებლობა შრომის დაცვის შესახებ, პოლიტიკურ თავისუფლებათა შესახებ (კოალიციის უფლება) და სხვ. და ა. შ.

ავტონომიური სეიმების გამგებლობაში უნდა იყოს — საერთო-სახელმწიფო კანონმდებლობის თანახმად — წმინდა-ადგილობრივი, საოლქო ან წმინდა-ეროვნული მნიშვნელობის საკითხები. როზა ლუქსემბურგი ამ აზრსაც დიდი — რომ არა ვთქვათ: მეტისმეტი — დეტალობით ავითარებს და მიუ-

* «Przeglad Socjaldemokratyczny» [15], Kraków, 1908 და 1909.

** თავისი აზრის განვითარებაში როზა ლუქსემბურგი მიდის დეტალებამდე, ასახელებს რა, მაგ., — და სრულიად სამართლიანადაც — კანონმდებლობას განქორწინების შესახებ (№ 12, გვ. 162 ხსენებული ჟურნალისა).

თითებს, მაგალითად, ადგილობრივი მნიშვნელობის რკინიგზების გაყვანაზე (№ 12, გვ. 149), ადგილობრივ გზატკეცილებზე (№ 14 — 15, გვ. 376) და სხვ.

ᲛᲘᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ Მ Ი Უ Ნ Ი Ჭ Ე Ბ Ლ ᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲝᲚᲥᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲘᲠᲩᲔᲕᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲛᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲑᲚᲐᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ (ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ) ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲞᲘᲠᲘᲥᲘᲗ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ-ᲨᲘ — Დ Ე Მ Ო Კ Რ Ა Ტ Ი Უ Ლ ᲐᲓ, ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲐᲓ. ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ, ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲣ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ Ⲁ Ⲁ Ⲇ Ⲃ Ⲓ Ⲗ Ⲉ Ⲃ Ⲓ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐᲪ, ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲛᲭᲘᲓᲠᲝᲓ ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐᲡᲐᲪ Ⲥ Ⲁ Ⲉ Ⲣ Ⲧ Ⲟ Ⲛ-Ⲥ Ⲁ Ⲭ Ⲉ Ⲗ Ⲙ Ⲭ Ⲓ Ⲫ Ⲟ Ⲉ Ⲃ Ⲣ Ⲓ Ⲃ Ⲓ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ. ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ-ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ (ᲡᲐᲝᲚᲥᲝ, ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.) ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝᲓ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐᲐ Ⲥ Ⲉ Ⲛ Ⲧ Ⲣ Ⲁ Ⲗ Ⲓ Ⲫ Ⲙ Ⲓ Ⲥ Ⲁ Ⲧ Ⲟ Ⲓ Ⲥ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲨᲘ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲨᲘ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲨᲘ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲫᲜᲔᲚᲘᲐ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲠᲝᲖᲐ ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲓᲐ «ᲬᲛᲘᲜᲓᲐ-ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘ» ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲝᲑᲐ Ⲙ Ⲫ Ⲟ Ⲗ Ⲟ Ⲟ Ⲇ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, Ⲙ Ⲫ Ⲟ Ⲗ Ⲟ Ⲟ Ⲇ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ! ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲥ «ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲡ»

პატრიოტიზმის ნასახიც კი არ არის,—აქ მხოლოდ «საქმიანი» მოსაზრებებია... მაგალითად, ლიტვის შესახებ.

როზა ლუქსემბურგი იღებს ოთხ გუბერნიას: ვილნოს, კოვნოს, გროდნოს და სუვალკისას და არწმუნებს მკითხველებს (და თავის თავსაც), რომ იქ «უმთავრესად» ლიტველები ცხოვრობენ; ამასთან, აერთებს რა ამ გუბერნიების მთელ მოსახლეობას, იგი იღებს ლიტველთა პროცენტს=მთელი მოსახლეობის 23%, ხოლო თუ ლიტველებს ჟმუდსაც მივუმატებთ, გამოვა მოსახლეობის 31% — მესამედზე ნაკლები. დასკვნა, რასაკვირველია, ისეთია, რომ ლიტვის ავტონომიის აზრი «თვითნებური და ხელოვნურიაო» (№ 10, გვ. 807).

მკითხველი, რომელიც იცნობს ჩვენი რუსული ოფიციალური სტატისტიკის საყოველთაოდ ცნობილ ნაკლოვანებებს, მაშინვე დაინახავს როზა ლუქსემბურგის შეცდომას. რა საჭირო იყო გროდნოს გუბერნიის აღება, სადაც ლიტველები შეადგენენ მხოლოდ 0,2%-ს, ო რ მ ე ა თ ე დ პ რ ო ც ე ნ ტ ს? რა საჭირო იყო მთელი ვილნოს გუბერნიის აღება, და არა მარტო მისი ტროკის მაზრისა, სადაც ლიტველები მოსახლეობის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს შეადგენენ? რა საჭირო იყო მთელი სუვალკის გუბერნიის აღება და ლიტველთა რიცხვის განსაზღვრა მისი მოსახლეობის 52%-ად, და არა ამ გუბერნიის ლიტვური მაზრების აღება, ე. ი. 5 მაზრისა 7-დან, სადაც ლიტველები მოსახლეობის 72%-ს შეადგენენ?

სასაცილოა თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებსა და მოთხოვნებზე ლაპარაკობდე და საამისოდ იღებდე რუსეთის არა «თანამედროვე» და არა «კაპიტალისტურ» დაყოფას, არამედ შუასაუკუნეობრივ, ბატონყმურ, კაზიონურ-ბიუროკრატიულ ადმინისტრაციულ დაყოფას, თანაც მისი სავსებით უხეში სახით (გუბერნიები და არა მაზრები). დღესავით ნათელია, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება არავითარ, რამდენადმე მაინც სერიოზულ ადგილობრივ რეფორმაზე რუსეთში, თუ არ მოისპო ეს დაყოფა და არ შეიცვალა იგი მ ა რ თ ლ ა ც «თანამედროვე», ნამდვილად ა რ ა ხაზინის, ა რ ა ბიურო-

კრატიის, არა რუტინის, არა მემამულეების, არა ხუცებ-ების, არამედ კაპიტალიზმის მოთხოვნათა შესაბამისი დაყოფით, — ამასთან კაპიტალიზმის თანამედროვე მოთხოვნათა შორის, უეჭველია, იქნება მოთხოვნა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის რაც შეიძლება მეტი ერთიანობისა, ვინაიდან ეროვნება, ენის იგივეობა მნიშვნელოვანი ფაქტორია საშინაო ბაზრის სრული დაპყრობისა და ეკონომიური ბრუნვის სრული თავისუფლებისათვის.

სასეირო ამბავია, რომ როზა ლუქსემბურგის ამ აშკარა შეცდომას იმეორებს ბუნდელი მედემი, რომელსაც სურს დაამტკიცოს არა პოლონეთის «განსაკუთრებული» თავისებურებანი, არამედ ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიის პრინციპის უვარგისობა (ბუნდელები ნაციონალურ-ექსტერიტორიული ავტონომიის მომხრენი არიან!). ჩვენი ბუნდელები და ლიკვიდატორები მთელ მსოფლიოში აგროვებენ სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა ერის სოციალ-დემოკრატების ყველა შეცდომას და ყველა ოპორტუნისტულ რყევას, ამასთან თავიანთ ავლადიდებას ამდიდრებენ იმით, რაც მაინცდამაინც ყველაზე ცუდია მსოფლიო სოციალ-დემოკრატიაში: ამონაჭრებს ბუნდელთა და ლიკვიდატორთა ნაწერებიდან, ერთად აღებულთ, ცუდი გემოვნების სანიმუშო სოციალ-დემოკრატიული მუზეუმი შეუძლიათ შეადგინონ.

საოლქო ავტონომიაო — ჭკუისდამარიგებლად მსჯელობს მედემი — გამოსადეგია ოლქისათვის, «მხარისათვის», და არა ლატვიელთა, ესტონელთა და სხვ. «ოკრუგებისათვის», სადაც მოსახლეობა ნახევარი მილიონიდან 2 მილიონამდეა და სივრცე ერთი გუბერნიისას აღწევსო. «ეს ავტონომია კი არა, უბრალო ერობა იქნებოდა... ამ ერობაზე მაღლა საჭირო გახდებოდა ნამდვილი ავტონომიის აგება»... და ავტორი გმობს ძველი გუბერნიებისა და მაზრების «მსხვრევას» *.

* ვ. მედემი: «ნაციონალური საკითხის დაყენებისათვის რუსეთში», «ვესტნიკ ევროპი» [16], 1912, №№ 8 და 9.

ნამდვილად კი თანამედროვე კაპიტალიზმის პირობების «დამსხვრევასა» და დამახინჯებას წარმოადგენს შუასაუკუნეობრივი, ბატონყმური, კაზიონური ადმინისტრაციული დაყოფის დატოვება. მხოლოდ ამ დაყოფის სულით გაჟღენთილ ადამიანებს შეუძლიათ «მცოდნის მეცნიერული სახით» იმსჯელონ «ერობისა» და «ავტონომიის» დაპირისპირებაზე და იზრუნონ იმისათვის, რომ, შაბლონის მიხედვით, «ავტონომია» დიდი ოლქებისათვის უნდა იყოს, ერობა კი — პატარებისათვის. თანამედროვე კაპიტალიზმი სრულიადაც არ მოითხოვს ამ ჩინოვნიკურ შაბლონებს. თუ რატომ არ შეიძლება არსებობდეს ავტონომიური ეროვნული ოლქები არამც თუ ½-მილიონიანი მოსახლეობით, არამედ თუნდ 50 000 მცხოვრებით, — რატომ არ შეუძლიათ ასეთ ოლქებს სულ სხვადასხვაგვარი წესით შეუერთდნენ სხვადასხვა ზომის მეზობელ ოლქებს ერთიან ავტონომიურ «მხარედ», თუ ეს უფრო მოსახერხებელია, თუ ეს .საჭიროა ეკონომიური ბრუნვისათვის, — ყველაფერი ეს ბუნდელ მედემის საიდუმლოებად რჩება.

უნდა შევნიშნოთ, რომ ს.-დ. ბრიუნის ნაციონალური პროგრამა მთლად ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომიის ნიადაგზე დგება და წინადადებას იძლევა — დანაწილებულ იქნას ავსტრია «ისტორიული სამეფო მიწების ნაცვლად» «ეროვნულად გამიჯნულ» ოლქებად (ბრიუნის პროგრამის § 2). ასე შორს ჩვენ როდი წავიდოდით. უეჭველია, მოსახლეობის ერთიანი ეროვნული შემადგენლობა ერთ-ერთი უაღრესად საიმედო ფაქტორია თავისუფალი და ფართო, მართლაც თანამედროვე, სავაჭრო ბრუნვისათვის. უეჭველია, არც ერთი მარქსისტი — და არც ერთი მტკიცე დემოკრატიც კი — არ დაიწყებს ავსტრიის სამეფო მიწებისა და რუსეთის გუბერნიებისა და მაზრების დაცვას (ესენი არც ისე ცუდია, როგორც ავსტრიის სამეფო მიწები, მაგრამ მაინც მეტად ცუდია), სადავოდ არ გახდის იმას, რომ საჭიროა ამ მოძველებული დაყოფის შეცვლა, შეძლებისამებრ, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის შესაბამისად დაყოფით. ბოლოს, უეჭველია,

რომ ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსასპობად ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ავტონომიური, თუნდაც სულ მცირე ზომის ოლქების შექმნას მთლიანი, ერთიანი, ეროვნული შემადგენლობით, ამასთან ამ ოლქებისაკენ «გაიწევდნენ» და მათთან ურთიერთობაში იქნებოდნენ ყოველგვარი თავისუფალი კავშირებიც, ამავე ერის წევრები, სახელმწიფოს ანდა მთელი ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში გაფანტულნი. ყოველივე ეს უდავოა, ყოველივე ამაზე დავა შეიძლება მხოლოდ დახავსებულ-ბიუროკრატიული თვალსაზრისით.

მაგრამ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ერთერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ფაქტორია, ოღონდ არა ერთადერთი და არა უმნიშვნელოვანესი სხვა ფაქტორებს შორის. ქალაქები, მაგ., უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ როლს თამაშობენ კაპიტალიზმის დროს; ქალაქები კი ყველგან — პოლონეთშიც, ლიტვაშიც, უკრაინაშიც, ველიკოროსიაშიც და სხვ. — მოსახლეობის ყველაზე ჭრელი ეროვნული შემადგენლობით განირჩევიან. «ეროვნული» მომენტის გულისთვის ქალაქების მოწყვეტა მათკენ ეკონომიურად მიმსწრაფი სოფლებისა და ოლქებისაგან — უაზრობა და შეუძლებელი რამაა. ამიტომ მთლად და მარტოოდენ «ნაციონალურ-ტერიტორიალისტური» პრინციპის ნიადაგზე დადგომა მარქსისტებს არ შეჰფერით.

და ავსტრიულზე ბევრად უფრო სწორია ამოცანის ის გადაჭრა, რომელიც დასახულია რუსეთის მარქსისტების უკანასკნელი თათბირის მიერ. ამ თათბირმა მოცემული საკითხისათვის შემდეგი დებულება წამოაყენა:

...«საჭიროა ფართო საოლქო ავტონომია» (რასაკვირველია, არა მარტო პოლონეთისათვის, არამედ რუსეთის ყველა ოლქისათვის) «და საგსებით დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვართა განსაზღვრა მოხდეს» (ახლანდელი გუბერნიების, მაზრებისა და სხვ. საზღვრების მიხედვით კი არა), «სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ეროვ-

ნული შემადგენლობისა და სხვათა გათვალისწინებით თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ» 7.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა აქ დაყენებულია სხვა (პირველ რიგში სამეურნეო, შემდეგ საყოფაცხოვრებო და სხვ.) პირობებთან ე რ თ ა დ, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ახალი საზღვრების დადგენას, რომლებიც შეეფერებიან თანამედროვე კაპიტალიზმს და არა კაზიონურობასა და აზიურობას. მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია სავსებით ზუსტად «გაითვალისწინოს» ყველა ეს პირობა, ხოლო ასეთი გათვალისწინების საფუძველზე სახელმწიფოს ცენტრალური პარლამენტი გამოარკვევს ავტონომიური ოლქების საზღვრებს და ავტონომიური სეიმების გამგებლობის ფარგლებს.

*

განსახილველი დაგვრჩა კიდევ ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი. ამ საკითხში როზა ლუქსემბურგის შეცდომათა «პოპულარიზაციას» შეუდგა ყველა ეროვნების ოპორტუნისტთა მთელი კოლექცია: ლიკვიდატორი სემკოვსკიც, ბუნდელი ლიბმანიც, უკრაინელი ნაციონალ-სოციალი ლევ იურკევიჩიც. შემდეგს სტატიას ჩვენ მივუძღვნით ამ, მთელი «კოლექციის» მიერ უაღრესად არევდარეულ, საკითხს.

ერთხელ კიდევ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსა და ლიკვიდატორებზე

«ახალი ლიკვიდატორული გაზეთის» პუბლიცისტების ძირითად თვისებას — უძლური გაბოროტებით გაღვივებულ პირმოთნეობას — ჯერ არასოდეს არ მიუღწევია იმ საზღვრამდე, რომელსაც მან მიაღწია მათს სტატიებში საერთაშორისო ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ [17].

სადამდე მივიდნენ ისინი, ეს უკვე იქიდან ჩანს, რომ ამ თემაზე მათი პირველი სტატიების შემდეგვე საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანი, ჰიუისმანსი, იძულებული გახდა დაევალებინა ამხანაგ პოპოვისათვის — გადაეცა რუსი მუშებისათვის მისი პროტესტი «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» ცდების წინააღმდეგ — «თავისი ფრაქციული ინტერესებისათვის გამოიყენოს საქმესთან გაუცნობლობა» რუსი მკითხველებისა, გადაეცა მისი პროტესტი ლიკვიდატორების მიერ ბიუროს გადაწყვეტილებათა შესახებ დაბეჭდილი ცნობების «აშკარა უსწორობისა და არალოიალობის» წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» პუბლიცისტებმა ასეთი მაგარი... დახასიათება იწვნიეს ბიუროს მდივნის ბაგეთაგან, ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია ავუაროთ გვერდი მათს ცდას — ბრალი დაგვდონ, თითქოს ჩ ვ ე ნ ვამახინჯებდეთ ლონდონში მიღებულ გადაწყვეტილებათა ჭეშმარიტ აზრს. იმ ადამიანებს, რომლებიც ბიუროს მდივანმა საჯაროდ ამხილა «თავისი ფრაქციული ინტერესებისათვის» ბიუროს

გადაწყვეტილებათა «გამოყენებასა» და მათდამი «არალოიალურ» დამოკიდებულებაში, შეუძლიათ, რამდენიც უნდათ, იმდენი იყვირონ ინტერნაციონალისადმი თავიანთ პატივისცემაზე და სხვ., — საეჭვოა ვინმემ დაუჯეროს მათ. ახლა ყოველმა მუშამ იცის იმ მანიპულაციების ნამდვილი სახელი, რომელთა საშუალებითაც ბ-ნი დ.[18] დიდი გაჭირვებით აცხობს ბიუროს რეზოლუციიდან პარტიის «მშენებლობის მეთოდებსაც», ექვსეულის «გაკიცხვასაც», ჩვენი «პრეტენზიების» «უკუგდებასაც» და «ლევიცის» სოციალ-დემოკრატიული ხასიათის «აღიარებასაც». ლიტერატურული ოინბაზობა ბიუროს რეზოლუციების გამო — კიდევ არ ნიშნავს ამ რეზოლუციების პატივისცემას, ბ-ნო დ.!

მაგრამ რარიგ შეშფოთებული არიან მაინც ეს ოინბაზები! შეხედეთ, როგორ იძულებული ხდებიან ისინი ყოველ ნაბიჯზე გააბათილონ თავიანთი თავი!

1) № 102-ში ბ-ნი დ. დიდი რიხით იუწყება: «საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ **დაგმო** ფრაქციიდან ექვსი დეპუტატის გასვლაო»; ერთი ნომრის შემდეგ, № 104-ში, მეორე ოინბაზი, ბ-ნი ლ. ს.[19], არანაკლები რიხით აცხადებს: «საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს არც საქები ფურცლები გამოუტანია, **არც გაკიცხვაო**». და — მიაქციეთ ამას ყურადღება! — ორივე პატივცემული პირი დიდად კმაყოფილია ბიუროს გადაწყვეტილებით: ერთი — იმისათვის, რომ მან «**დაგმო**», ხოლო მეორე — იმისათვის, რომ მას არავითარი **გაკიცხვა** არ გამოუტანია! განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ამაზე უფრო მეტი დაბნეულობის სურათი?

დაბნევით კი ბბ. ლიკვიდატორები ოღონდაც რომ უნდა დაბნეულიყვნენ! ბიუროს რეზოლუციის ძირითად პუნქტში გარკვეულად არის ნათქვამი: **ერთიანობისაკენ რაიმეგვარი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას უნდა უსწრებდეს არსებულ უთანხმოებათა წინასწარი გამორკვევაო.**

და ეს გადაწყვეტილება სავსებით სწორია.

თუ ჩვენ არ გვინდა მუშათა კლასს «ერთიანობის» სახელით სულ სხვადასხვა ელემენტების უსახური აღრევა შევთავაზოთ, თუ მ უ შ ა ო ბ ი ს ნამდვილი ერთიანობა გვინდა, ამისათვის პირველი აუცილებელი ნაბიჯი უნდა იყოს «უთანხმოების პუნქტების» ზედმიწევნით გამორკვევა. და ე «აზრთა საერთო გაცვლა-გამოცვლის» შემწეობით ზუსტად გამოირკვეს «უთანხმოების პუნქტები», და მაშინ ნათელი გახდება: — შეიძლება თუ არა ლაპარაკი გაერთიანებისაკენ რაიმე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის შესახებ. ასეა დაყენებული საკითხი ბიუროს რეზოლუციაში. ჩვენ მთელი ჩვენი არსებით მივესალმებით საკითხის ასე დაყენებას. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წინადადებას ჩვენ გამოვეხმაურეთ მუშებისადმი მოწოდებით: კიდევ ერთხელ დამშვიდებით და მოფიქრებით განეხილათ უთანხმოება და გამოეთქვათ თავიანთი აზრი უთანხმოების პუნქტების შესახებ. ჩვენი მხრით ჩვენ დავპირდით, რომ ყოველნაირად შევუწყობთ ხელს საზღვარგარეთელ ამხანაგებს არსებულ უთანხმოებათა გაცნობის საქმეში. «პროლეტარსკაია პრავდის» № 9-ში მოთავსებული რეზოლუცია სრულიად მართებულად აჯამებს იმ დებულებებს, რაც ჩვენ ლიკვიდატორებისაგან განგვასხვავებს [20]. ასეთი უნდა იყოს ჩვენი პასუხი ბიუროს წინადადებაზე, და, რასაკვირველია, სხვა გზა არ იყო და არც არის იმათთვის, ვინც სერიოზულად ეპყრობა ბიუროს გადაწყვეტილებას — გამოიწვიოს «აზრთა საერთო გაცვლა-გამოცვლა უთანხმოების პუნქტების შესახებ».

მაგრამ — და მთელი საქმეც ესაა! — ბბ. ლიკვიდატორებისათვის არაფერია ისე არასასიამოვნო, არასასურველი, მიუღებელი, როგორც გაბატონებული თეორიული, პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული უთანხმოების გამორკვევა. მთელი ის გაყალბება, დამახინჯება, ლანძღვა-გინება, რასაც ისინი ბიუროს რეზოლუციასთან დაკავშირებით სჩადიან, მხოლოდ და მხოლოდ იქითაა მიმართული, რომ მ ი ა ფ უ ჩ ე ჩ ო ნ რეზოლუციის ეს მოთხოვნა უთანხმოების

წინასწარ გამორკვევის შესახებ. ბ-ნი ლ. ს.-იც და ბ-ნი დ.-იც ფრიად გულმოდგინედ ჩქარობენ: იქნებ მოხერხდეს რამენაირად ისე «გაერთიანება», რომ არ დაგვჭირდეს «ცნობები» გასაერთიანებელთა იდეური «ფორმულარიდანო»; იქნებ არ იყოს საჭირო «ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ციტატების მოყვანანო», მზრუნველობს ბ-ნი ლ. ს.; იქნებ მოხერხდეს და «წარსული» არ გავიხსენოთო, ფუსფუსებს ბ-ნი დ.. — ჩვენ ძალიან კარგად გვესმის მათი გულის წუხილი: ბ-ნ ლ. ს.-ისათვის არაფერი სასიამოვნოა იატაკქვეშეთის შესახებ სტატიების მოგონება («ლუჩის» № 15 (101)), ხოლო ბ-ნ დ.-ისათვის — «ლეგალობისათვის ბრძოლის» ლოზუნგის მოგონება. და ჩვენ სავსებით ვუერთდებით ბიუროს გადაწყვეტილებას, რამდენადაც ის წინადადებას იძლევა — წარსულის შეცდომებს ნუ გამოვქექავთო. იმ ამნისტიას «წარსულის შეცდომებისათვის», რის მიღებასაც ასე ცდილობენ ბბ. ლიკვიდატორები, ჩვენ გამოვაცხადებთ. წარსული ჩვენ თავისთავად როდი გვაინტერესებს, ჩვენ გვაინტერესებს დღევანდელი და ხვალინდელი მუშაობა. და სწორედ ამ მუშაობის შესახებ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ: გ ა გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა თუ არა იატაკქვეშ მუშაობის დევნა ლიკვიდატორულ ორგანოებში; გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ე ნ თუ არა ისინი იმის აღიარებას, რომ «სამი ვეშაპი»[21] გამოუსადეგარია დღევანდელ მომენტში; დაიცავენ თუ არა ისინი «აგვისტოელების» მიერ პროგრამის დამახინჯებას და სხვ.

ამ საკითხებისა და იმის გამორკვევა, თუ რამდენად ვშორდებით ერთმანეთს ამ საკითხებში, წარმოადგენს, ბიუროს რეზოლუციის მიხედვით, წ ი ნ ა ს წ ა რ პირობას ყოველი ნაბიჯის წინ გადასადგმელად ერთიანობის საქმეში, — თუ «ერთიანობას» ლიკვიდატორულად არ გავიგებთ, ე. ი. უიდეოდ ერთ გროვაში არ ავურევთ ყველას, ვისაც მოესურვება თავის თავს სოციალ-დემოკრატი უწოდოს.

«ბრალდების მუხლები უკვე ჩამოყალიბებულიაო», — გრგვინავს ბ-ნი ლ. ს.. ჩვენ აქ არ გვინდოდა მოგვეგონებინა

ანდაზა ერთ ვინმეზე, რომელსაც ქუდი ეწვოდა, მაგრამ რატომ ეჩვენება ბ-ნ ლ. ს.-ს «ბრალდებად» ზავის უბრალო პირობები? ჩვენ ვამბობთ: იმ ორგანიზაციას, რომელიც გაერთიანებიდან შეიქმნებოდა, საფუძვლად უნდა მიეღო ესა და ეს პრინციპები: ძველი პროგრამის, ორგანიზაციის განსაზღვრული ფორმის, შეუკვეცელი ლოზუნგების, გაბედული ტაქტიკის აღიარება და სხვ.. თქვენ კი დაუყოვნებლივ აცხადებთ: პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის ამოცანების ეს ფორმულირება იგივე «სრული სიაა ლიკვიდატორული ცოდვებისაო». დიდად გვებრალებით, მაგრამ არც ჩვენ, არც ბიუროს არ ვიცით სხვა გზა ახალი ორგანიზაციების შენებისა, თუ არ მათი პროგრამის, ტაქტიკისა და სხვ. გამორკვევით.

მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო დიდი ცოდვა გვაწევს. ჩვენ არა მარტო წამოვაყენეთ ორგანიზაციის შექმნის პირობები, ესე იგი არა მარტო გამოვარკვიეთ ზავის პირობები, არამედ ეს პირობები მუშათა სამსჯავროსაც გადავეცით.

ჩვენ დაბეჯითებით ვამბობთ, რომ ბიუროს გადაწყვეტილების შესასრულებლად არავითარი სხვა გზა არ არსებობს, გარდა ჩვენს მიერ არჩეულისა.

ბიურო მოუწოდებს ყ ვ ე ლ ა ს, ვინც თავის თავს სოციალ-დემოკრატს უწოდებს, გამოარკვიონ მათი გამთიშავი უთანხმოებანი, — ეს იქნება წინასწარი ნაბიჯი ერთიანობის საკითხის გადასაჭრელად.

ჩვენს მიერ მოთავსებული რეზოლუცია ბიუროს მოწოდებას გამოეხმაურა პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის ძირითად საკითხებზე შეხედულებათა «სიის» შედგენით და ჩვენი ამ «სიის» გადაცემით ამხანაგ მუშების განსახილველად. ბბ. ლიკვიდატორებს რომ ჩვენი მაგალითისათვის წაებაძათ, ჩვენ ცოტად თუ ბევრად ახლო მომავალში გვექნებოდა ყველა მხარეთა ნათლად ჩამოყალიბებული აზრი და მივაღწევდით იმის სწორ გამორკვევას, თუ ვის მხარეზეა ორგანიზებული მუშების უმრავლესობა. ამით წინ წაიწევდა იმ ამოცანის გადაწყვეტა, რომელიც რუსეთის პროლეტა-

რიატს საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ დაუსახა. მაგრამ ლიკვიდატორები, რა თქმა უნდა, ბოლომდე მოერიდებიან ამ გზას იმ უბრალო მიზეზით, რომ მათი წრის ინტერესებისათვის ხელსაყრელი არ არის არც მათი პოლიტიკური შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება და არც მათი გადაცემა მუშათა ფართო წრეების სამსჯავროში.

ასეთ პირობებში ისინი აუცილებლად ეცდებიან — «უთანხმოებათა» მკაფიოდ «გარკვევა», რასაც ბიურო მოითხოვს, შეცვალონ წვრილმანი, პირადი კინკლაობით, დამახინჯებითა და გაყალბებით, ყოველივე ეს კი მხოლოდ შეაფერხებს ბიუროს მუშაობას და მუდამ გამოიწვევს «ლოიალობის» იმ გაკვეთილებს, რომლებიც ბბ. ლიკვიდატორებს უკვე მისცა ინტერნაციონალის მდივანმა.

«პროლეტარსკაია პრავდა» № 11,
1913 წ. 19 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარსკაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ნაციონალ-ლიბერალიზმი
და ერთა თვითგამორკვევის უფლება

ლიბერალური «რეჩის»[22] რედაქციამ განიზრახა მიშველებოდა გზააბნეულ ბ-ნ მოგილიანსკის და ამას წინათ (№ 340) მოათავსა ხელმოუწერელი, ე. ი. ოფიციალური სარედაქციო განცხადება მნიშვნელოვანი საკითხის — ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ.

ბ-ნი მოგილიანსკი პირდაპირ პასუხს გაურბოდა და ირწმუნებოდა, რომ მის თვალსაზრისს «არაფერი აქვს საერთო ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფასთან». ახლა «რეჩი» ოფიციალურად აცხადებს, კ.-დ. პარტიის პროგრამის § 11-ში მოცემულია «პირდაპირი, ზუსტი და გარკვეული პასუხი თავისუფალი კ ულ ტ ურ ულ ი თვითგამორკვევის უფლების საკითხზეო».

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ბ-ნ მოგილიანსკის პირველ სტატიაშიც, მისდამი ბ-ნ დონცოვის პასუხშიც და ბ-ნ დონცოვის წინააღმდეგ ბ-ნ მოგილიანსკის პოლემიკის დროსაც ლაპარაკი იყო სწორედ რომ ა რ ა «კულტურულ» თვითგამორკვევაზე. აქ ლაპარაკი იყო ერთა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ თვითგამორკვევაზე, ესე იგი ერთა გამოყოფის უფლებაზე, მაშინ როდესაც «კულტურულ თვითგამორკვევად» (უაზრო, მაღალფარდოვანი სიტყვახმარება, რაც დემოკრატიის მ თ ე ლ ისტორიას ეწინააღმდეგება) ლიბერალები არსებითად მხოლოდ ენათა თავისუფლებას გულისხმობენ.

ახლა «რეჩი» აცხადებს, თითქოს «პროლეტარსკაია პრავდა» უიმედოდ ურევდეს ერთმანეთში თვითგამორკვევასა და «სეპარატიზმს», ამა თუ იმ ერის გამოყოფას.

ვის უნდა დაედოს აქ ბრალად უიმედო (ან, შეიძლება, წინასწარგანზრახული...) აღრევა?

ნუთუ ჩვენი განათლებული «კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები» დაიწყებენ იმის უარყოფას, რომ საერთაშორისო დემოკრატიის მთელ ისტორიაში, განსაკუთრებით XIX საუკუნის ნახევრიდან, ერთა თვითგამორკვევად იგულისხმება სწორედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვითგამორკვევა, ე. ი. გამოყოფის, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლება?

ნუთუ ჩვენი განათლებული «კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები» დაიწყებენ იმის უარყოფას, რომ 1896 წლის ლონდონის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს, როცა ის იმეორებდა დამკვიდრებულ დემოკრატიულ პრინციპს (რომელსაც კონგრესი, რა თქმა უნდა, არ დასჯერდა), მხედველობაში ჰქონდა აგრეთვე სწორედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი, — და არა რაღაც «კულტურული» — თვითგამორკვევა?

ნუთუ ჩვენი განათლებული «კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები» დაიწყებენ იმის უარყოფას, რომ, მაგ., პლეხანოვი, რომელიც თვითგამორკვევაზე ჯერ კიდევ 1902 წელს წერდა, აქ სწორედ პოლიტიკურ თვითგამორკვევას გულისხმობდა?

თუ შეიძლება, ცოტა უფრო დაწვრილებით განმარტეთ, ბატონებო, ნუ უმალავთ «მდაბიო ხალხს» თქვენი «განათლების» ნაყოფს!

საკითხის არსებითი მხარის შესახებ «რეჩი» აცხადებს:

«ნამდვილად კ.-დ-ებს არასოდეს არ უკისრნიათ რუსეთის სახელმწიფოსაგან «ერთა გამოყოფის» უფლების დაცვა».

ჩინებულია! გმადლობთ გულახდილობისა და სრულიად პრინციპული განცხადებისათვის! «როსსიას», «ნოვოე ვრე-

მიას», «ზემშჩინის»[23] და სხვ. ყურადღებას მივაქცევთ კადეტების ოფიციოზის ამ «ფრიად ლოიალურ» განცხადებაზე!

ოღონდ ნუ განრისხდებით, ბატონო კადეტებო, რომ სწორედ ამიტომ თქვენ ნ ა ც ი ო ნ ა ლ-ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი უნდა გეწოდოთ. სწორედ ეს არის თქვენი შოვინიზმისა და პურიშკევიჩებთან თქვენი იდეურ-პოლიტიკური ბლოკის (ანუ მათგან თქვენი იდეურ-პოლიტიკური დამოკიდებულების) ერთ-ერთი საფუძველი. ბნელ მასას პურიშკევიჩები და მათი კლასი ისე ზრდიან, რომ უნერგავენ «დაიჭი და არ გაუშვა»-ს «უფლების» «მტკიცე» შეგნებას. ბატონ კადეტებს ისტორია უსწავლიათ და მათ ჩინებულად იციან, თუ რაგვარ... რბილად რომ ვთქვათ... «რბევისებურ» მოქმედებას იწვევდა ხშირად პრაქტიკაში ამ «ძველთაძველი უფლების» გამოყენება. დემოკრატი აღარ იქნება ის დემოკრატი (პროლეტარულ დემოკრატიაზე ხომ აღარაფერს ვამბობთ), ვინც სწორედ ველიკოროსთა მასებს სისტემატურად არ უქადაგებს, სწორედ რუსულ ენაზე, ერთა «თვითგამორკვევას» პოლიტიკური და არა «კულტურული» აზრით.

ნაციონალ-ლიბერალიზმს ყველგან და საყოველთაოდ სწორედ ის ახასიათებს, რომ იგი სავსებით დგება პურიშკევიჩთა კლასის მიერ განსაზღვრული იმ ურთიერთობის (და ფარგლების) ნიადაგზე, რომელსაც იცავენ (ხშირად წინააღმდეგ ეკონომიური განვითარების და «კულტურის» მოთხოვნებისა) პურიშკევიჩთა მეთოდებით. ნამდვილად ეს ნიშნავს მებატონეთა ინტერესებთან და გაბატონებული ერის უცუდეს ნაციონალისტურ ცრურწმენებთან შეგუებას, ამ ცრურწმენათა წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლის ნაცვლად.

«პროლეტარსკაია პრავდა» № 12,
1913 წ. 20 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარსკაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ნაროდნიკობა და ლიკვიდატორობა როგორც დაშლის ელემენტები მუშათა მოძრაობაში

ამას წინათ პეტერბურგის ნაროდნიკულ გაზეთ «სევერნაია მისლში»[24] მოთავსებული იყო კორესპონდენცია რიგიდან სადაზღვევო კამპანიის მსვლელობის შესახებ. ავტორი, ბ. ბრაინესი, სხვათა შორის წერდა:

«ბოიკოტისტური მიმდინარეობა შესამჩნევია მხოლოდ მეჩექმეებს შორის, სადაც ბოიკოტისტური ჯგუფები შეიქმნა. ბოიკოტისტური ჯგუფების მთავარი სულისჩამდგმელები, სამწუხაროდ, ნაროდნიკები არიან. სხვა საწარმოებში კამპანია სუსტად მიმდინარეობს».

ეს გულახდილი აღიარება ნათელ შუქსა ჰფენს რუსეთში ნაროდნიკობის თანამედროვე მდგომარეობასა და პოლიტიკურ მნიშვნელობას. ნაროდნიკობის იმ შეფასების სისწორეს, რომელიც მარქსისტების თათბირმა[25] მოგვცა, მოულოდნელად და განსაკუთრებული სიცხადით ადასტურებენ თვით ნაროდნიკები.

ერთი ჩაუფიქრდით: მემარცხენე-ნაროდნიკული გაზეთი, რომელსაც ვერავითარი გამაბათილებელი საბუთი ვერ წამოუყენებია, აქვეყნებს თავისი კორესპონდენტის მწუხარებას იმის გამო, რომ ნაროდნიკები ბოიკოტისტური ჯგუფების «მთავარი სულისჩამდგმელები» არიან!

აი — ნაროდნიკობის პოლიტიკური დაშლის ნიმუში. აი — ნიმუში რუსეთული უპარტიობისა და უზრუნველობისა პარ-

ტიულობის შესახებ. და ამ ნიმუშზე უნდა შევჩერდეთ, იმიტომ რომ «უცხო» პარტიის ცხოვრების მაგალითი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გვიჩვენებს იმ ბოროტების ნამდვილ მიზეზებს, რომელიც საზოგადოდ მეტად გავრცელებულია და საშინლად გვაწუხებს.

ნაროდნიკებს შორის კონტრრევოლუციის ეპოქაში წარმოიშვა მრავალი სხვადასხვა, ფაქტიურად ერთმანეთისაგან თითქმის დამოუკიდებელი, მიმდინარეობა და ჯგუფი. ამ მხრივ, ეტყობა, ნაროდნიკებისა და მარქსისტების მიმართაც თავი იჩინა იმ საერთო მიზეზების მოქმედებამ, რომელთა ფესვები სამი ივნისის სისტემის მთელ ისტორიულ ვითარებაში უნდა ვეძებოთ. ნაროდნიკებს შორის, მაგ., პრესაში, ცალკე გამოდიოდნენ როგორც იმაზე ბევრად უფრო ლიკვიდატორული ჯგუფები, ვიდრე ჩვენს შორის იყვნენ (პარიზის 1908 — 1910 წლების გამოცემები), ისე სრულებით ანარქისტული ხასიათის ჯგუფები, და მათი მიმართულების ცნობილი ლიტერატორები ლიბერალურ და რენეგატულ სიტყვებამდე ქვეითდებოდნენ (ბ-ნი ვ. ჩერნოვი «ზავეტი»-ში [26]) და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფორმალურად და გარეშე ქვეყნის თვალში ნაროდნიკები გაცილებით უფრო «ე რ თ ი ა ნ ნ ი» ჩანან, ვიდრე მარქსისტები. ნაროდნიკებში არ არის პირდაპირი გათიშვა, არ არის სასტიკი, შეუპოვარი, სისტემატური და ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლა, მათ შორის მუდამ — ერთი შეხედვით — რაღაც საერთო კავშირი არსებობს, მთელ მათს ლიტერატურაში ყოველთვის შეხვდებით ქედმაღლურ მითითებას ნაროდნიკულ «ერთიანობაზე», წინააღმდეგ «მარქსისტული» (ყველაზე მეტად კი «ბოლშევიკური») «მიდრეკილებისა უთანხმოებისა და გათიშვისაკენ».

ვისაც სურს გაიგოს იმის აზრი და მნიშვნელობა, რაც რუსეთის მუშათა მოძრაობასა და სოციალიზმში ხდება, ის კარგად და კარგად უნდა ჩაუფიქრდეს «მარქსისტული გათიშვებისა» და «ნაროდნიკული ერთიანობის» ამ დაპირდაპირებას.

ჩვენშიც, მარქსისტებს შორის და მარქსისტებთან ახლო მდგომთა შორის, ბევრია დიდი, პატარა და პაწაწინა ჯგუფები, რომლებიც ფაქტიურად თითქმის დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან და რომლებიც გულმოდგინედ ქადაგებენ «ერთიანობას» — (ნაროდნიკებისებურად) — და კიდევ უფრო გულმოდგინედ აძაგებენ «მარქსისტულ გათიშვას».

რაშია აქ საქმე? უნდა შეგვშურდეს «ნაროდნიკული ერთიანობა»? უნდა ვეძებოთ აღნიშნული განსხვავების მიზეზები «ზოგიერთი» «ბელადის» ცუდ პირად თვისებებში (ძალიან გავრცელებული ხერხია) — თუ მარქსისტების ცუდ მიდრეკილებაში «დოგმატიზმისადმი», «შეუწყნარებლობისადმი» და სხვ.?

გადახედეთ ფაქტებს. ფაქტები გვეუბნება, რომ ნაროდნიკები გაცილებით უფრო შემწყნარებლები, შემრიგებლები, უფრო «ერთიანნი» არიან, რომ მათში ჯგუფების სიმრავლეს თან არა სდევს მკვეთრი გათიშვები. და ამავე დროს ფაქტები სრულიად უდავოდ გვეუბნება, რომ ნაროდნიკები პოლიტიკურად უ ძ ლ უ რ ნ ი არიან, მათ არა აქვთ მასებში ორგანიზებული და მტკიცე კავშირი, არ შეუძლიათ გაატარონ რ ა ი მ ე მასობრივი პოლიტიკური მოქმედება. რიგის ნაროდნიკ-ბოიკოტისტების მაგალითი მხოლოდ განსაკუთრებით მკაფიოდ ასურათებს იმას, რაც გამოაშკარავდა არა მარტო საადაზღვევო კამპანიაში, არამედ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებშიც, საგაფიცვო მოძრაობაშიც, მუშათა (უფრო ფართოდაც: საზოგადოდ დემოკრატიულ) პრესაშიც, პროფესიულ კავშირებშიც და სხვ.. მაგალითად, მემარცხენე-ნაროდნიკული «სევერნაია მისლის» № 2-ში ვკითხულობთ:

«მარქსისტების სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად კავშირებში» (ლაპარაკია პროფესიულ კავშირებზე) «ისინი დიდი გავლენით სარგებლობენ, ჩვენ კი, მემარცხენე ნაროდნიკები, იქ გარკვეული გეგმის უქონლად ვმოქმედებთ, ამიტომაც თითქმის არაფრით არ გამოგვიჩენია თავი».

ეს რა უცნაური ამბავია? შემრიგებელ, შემწყნარებელ, «ერთიან», განუთიშავ, ფართო, არადოგმატიკურ ნაროდნიკებს — **მიუხედავად მათი მხურვალე სურვილისა და მისწრაფებისა** — ა რ ა ა ქ ვ თ არც სადაზღვევო კამპანია, არც გავლენა პროფესიულ კავშირებში, არც შეკავშირებული ჯგუფი ჰყავთ სახ. სათათბიროში. ხოლო «დოგმატიკურ», «დაუსრულებლივ გამთიშველ» და ამით ვითომ თავისი თავის დამასუსტებელ მარქსისტებში ჩვენ ვხედავთ IV სათათბიროს არჩევნების ჩინებულად ჩატარებულ კამპანიას, ვხედავთ წარმატებულ მუშაობას პროფესიულ კავშირებში, ვხედავთ საუცხოო და შეთანხმებულ სადაზღვევო კამპანიას, გვარიან მუშაობას საგაფიცვო მოძრაობაში, ვხედავთ ზედმიწევნით ჩამოყალიბებულ, პრინციპულად მტკიცე გადაწყვეტილებებს, რომელთაც ერთსულოვნად, მტკიცედ, რწმენით მისდევს შეგნებული მუშების აშკარა და უდავო უმრავლესობა.

რა უცნაური ამბავია? გ უ დ ა ფ შ უ ტ ა ს ხომ არ წარმოადგენს ნაროდნიკული «შემრიგებლობა» და სხვ. და სხვ. მაი დიდად მშვენიერი სულიერი თვისებები?

სწორედ რომ გუდაფშუტას! ნაროდნიკებს შორის არსებული ყოველგვარი ჯურის ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფების «ერთიანობა» ხორციელდება მასებში მათი სრული პოლიტიკური უძლურების ფასად. ჩვენშიც, მარქსისტებს შორის, პაწაწა ჯგუფები — ტროცკისტები, ლიკვიდატორები, «შემრიგებლები», «ტიშკოელები», რომლებიც ყველაზე მეტად ყვირიან ერთიანობაზე, — ა გ რ ე თ ვ ე ინტელიგენტურ უძლურებას წარმოადგენენ, ხოლო ნამდვილი, არა გამოგონილი, არამედ თვით ცხოვრების გულიდან ამოხეთქილი პოლიტიკური კამპანიები (საარჩევნო, სადაზღვევო, ყოველდღიური პრესა, საგაფიცვო და სხვ.) გვიჩვენებენ შეგნებული მუშების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს **მჭ**იდროდ შეკავშირებას იმათ ირგვლივ, ვისაც ყველაზე **ხშ**ირად, ყველაზე გულმოდგინედ და ყველაზე გააფთრებით ლანძღავენ და «გამთიშველებს» უწოდებენ.

დასკვნა აშკარაა, და, რაგინდ არასასიამოვნოც იყოს ეს მრავალი ინტელიგენტური პატარა ჯგუფისათვის, მუშათა მოძრაობის მსვლელობა ყველას ა ი ძ უ ლ ე ბ ს აღიარონ იგი. ეს დასკვნა ის არის, რომ «ერთიანობის» შექმნის ცდა ისეთი ინტელიგენტური ჯგუფების «შეთანხმებით» ან «კავშირით», რომლებიც ს ა ქ მ ი თ ატარებენ მუშათა მოძრაობისათვის მ ა ვ ნ ე ტენდენციებს (ნაროდნიკობა, ლიკვიდატორობა და სხვ.), — ასეთი ცდა იწვევს მხოლოდ სრულ დაშლასა და დაუძლურებას. ნაროდნიკობამაც და ლიკვიდატორობამაც ეს დ ა ა მ ტ კ ი ც ე ს თავიანთი სავალალო მაგალითით.

მხოლოდ ამ დიდი, პატარა და პაწაწინა ჯგუფების წ ი ნ ა-ა ღ მ დ ე გ ყალიბდება (მძიმე ბრძოლაში, რაც აუცილებელია ბურჟუაზიული ვითარებისა და უამრავი წვრილბურჟუაზიული მერყეობის დროს) ნამდვილი ერთიანობა მუშათა მასებისა, რომელთაც შეგნებული პროლეტარების უმრავლესობა ხელმძღვანელობს.

გულუბრყვილო ადამიანები მაშინ გვეკითხებიან: როგორ-ღა გავარჩიოთ ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფები, რომლებიც ვნებენ მუშათა მოძრაობას, ხრწნიან და აუძლურებენ მას, იმ ჯგუფებისა თუ ჯგუფისაგან, რომელიც იდეურად გამოხატავს მუშათა მოძრაობას, აკავშირებს, აერთიანებს და განამტკიცებს მას? ამის გასარჩევად მხოლოდ ორი საშუალებაა: თეორია და პრაქტიკული გამოცდილება. ხერიოზულად უნდა გავარკვიოთ ა ზ რ ი ს ისეთ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა თ ა თეორიული შინაარსი, როგორიცაა ნაროდნიკობა და ლიკვიდატორობა (მუშათა მოძრაობის გამხრწნელი უმთავრესი წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობანი). გულდასმით უნდა შევისწავლოთ მასობრივი მუშათა მოძრაობის პრაქტიკული გამოცდილება შეგნებული მუშების უმრავლესობის მჭიდროდ შეკავშირების თვალსაზრისით მთლიან, მოფიქრებულ, პრინციპულ გადაწყვეტილებათა გარშემო, რომლებიც შეეხება არჩევნებსაც, დაზღვევასაც, პროფესიულ კავშირებში მუშაო-

ბასაც, საგაფიცვო მოძრაობასაც, «იატაკქვეშეთსაც» და ასე შემდეგ.

ვინც ჩაუფიქრდება მარქსიზმის თეორიას, ვინც დაუკვირდება უკანასკნელი წლების პრაქტიკულ გამოცდილებას, ის მიხვდება, რომ რუსეთში წარმოებს ნამდვილი მუშათა პარტიის ელემენტების შეკავშირება — წინააღმდეგ ნაროდნიკთა, ლიკვიდატორთა და სხვ. ჭრელი, ხმაურის ამტეხი, მყვირალა (საქმით კი უშინაარსო და მავნე) პაწაწა ჯგუფებისა. მუშათა კლასის ერთიანობა იზრდება ამ ჯგუფების დაშლის, პროლეტარიატისაგან მათი ჩამოშორების ნიადაგზე.

«პროლეტარსკაია პრავდა» № 12,
1913 წ. 20 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარსკაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

კაუცკის წერილის შესახებ [27]

კ. კაუცკიმ დაინახა (როგორც იქნა!), რომ «ტიშკოს» და როზა ლუქსემბურგის ტიშკოური წრე არ წარმოადგენს პოლონეთის ს.-დ. მუშებს, რომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს ვარშავისა და ლოძის კოლექტივებს.

კარგია, რომ მან, ბოლოს მაინც, გაიგო ფაქტები, რაც უკვე მ თ ე ლ ი წ ლ ო ბ ი თ იციან რუსეთის მარქსისტმა მუშაკებმა. მაგრამ სწორედ ის გარემოება, რომ როზა ლ.-ს და ტიშკოს მ თ ე ლ ი წ ლ ო ბ ი თ შეეძლოთ ფ ი ქ ც ი ა რეალობად გაესაღებინათ, გვიჩვენებს, თუ რა სავალალოდ ცუდად არიან გაცნობილნი საქმეს გერმანელი ს.-დ-ტები, და კაუცკიც მათ შორის!

საქმის კიდევ უარეს გაუცნობლობას იჩენს კაუცკი, როცა წერს, თითქოს პ. პ. ს-ის «ლევიცა», «რამდენადაც მან იცის», გამოეთიშა პ. პ. ს-ის «პრავიცას», რათა ს ა ვ ს ე ბ ი თ დადგეს სოციალ-დემოკრატიულ ნიადაგზე.

ვიცით, — შეიძლება აქ ითქვას, — რომ კაუცკიმ ს უ ლ ა რ იცის, ამ შემთხვევაში, ის, რაზედაც იგი წერს. დაე მკითხველი გაეცნოს თუნდაც ჰენრიხ კამენსკის სტატიას: «ნაციონალიზმიდან ლიკვიდატორობისაკენ» («პროსვეშჩენიე» № 10). — ეს ავტორი პოლონელია და კარგად ი ც ი ს ის, რაზედაც წერს. ამ სტატიიდან მკითხველები დაინახავენ, რომ პ. პ. ს-ის «ლევიცა» სულაც ა რ ა ა სოციალ-დემოკრატიული. სასაცილოც კია ვიფიქროთ, რომ ადამიანებმა, რო-

მელთაც უნდათ და შ ე უ ძ ლ ი ა თ სავსებით დადგნენ ს.-დ. ნიადაგზე, შეინარჩუნონ «თავიანთი» პროგრამა და არა-სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელწოდება.

რუსეთისა და პოლონეთის ყ ვ ე ლ ა სოციალ-დემოკრა-ტიული ფრაქციის მომავალი «აზრთა გაცვლა-გამოცვლა», საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის შუამავლობით, გამოარკვევს კაუცკის შეცდომას და გამოააშკარავებს, რომ პოლონეთის **არც ერთი** ს.-დ. **არ** თვლის და არც შეუძლია ჩათვალოს პ. პ. ს-ის «ლევიცა» სოციალ-დემოკრატიულ პარტიად.

აქვე დავძენთ, რომ კაუცკი კრინტსაც არა ძრავს იმის გასაბათილებლად (თუმცა სწორედ «**Vorwärts**»-ში («წინ») წერს), თუ როგორ განმარტა იმავე «**Vorwärts**»-მა მისი სიტყვა რუსეთის «ძველი პარტიის გაქრობის» შესახებ. კაუც-კის ამ საარაკო შეცდომასაც გამოააშკარავებს მომავალი «აზრთა გაცვლა-გამოცვლა».

«პროლეტარსკაია პრავდა» № 12,
1913 წ. 20 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარსკაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

«ნოვოე ვრემია» და «რეჩი» ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ

როგორც მოსალოდნელი იყო, «ნოვოე ვრემია» დაინტერესდა სოციალ-დემოკრატებისა და კადეტების პოლემიკით ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხზე. ველიკოროსული ნაციონალიზმის მთავარი ორგანო № 13563-ში წერს:

«რაც ესდეკებისათვის პოლიტიკური სიბრძნის აქსიომას შეადგენს» (ე. ი. ერთა თვითგამორკვევის, გამოყოფის უფლების აღიარება), «ის ახლანდელ დროში თვით კადეტთა წრეშიც უკვე უთანხმოებას იწვევს».

მიუხედავად ლიბერალების შავრაზმულად დაგესვლისა (სიტყვა «თვით»), «ნოვოე ვრემია» იძულებულია მოიყვანოს «რეჩის» განცხადება, რომ «კადეტებს არასოდეს არ უკისრნიათ რუსეთის სახელმწიფოსაგან ერთა გამოყოფის უფლების დაცვა».

ეს განცხადება იმდენად პირდაპირია, რომ «ნოვოე ვრემიას» გაძრომ-გამოძრომა უხდება. იგი წერს:

«კულტურული თვითგამორკვევის განვრცობადი ცნება, ფაქტებს თუ გავუწევთ ანგარიშს, კადეტთა თვალსაზრისით, სეპარატიზმის დაცვისაგან, ეტყობა, მხოლოდ მოქმედების ხერხებით განირჩევა».

მაგრამ თვით «ნოვოე ვრემიას» ჩინებულად შეუგნია სულელურ «კულტურულ» და ნამდვილ, ე. ი. პ ო ლ ი ტ ი კ უ რ თვითგამორკვევას შორის არსებული განსხვავება, ვინაიდან შემდეგ ვკითხულობთ:

«ბბ. კადეტებს კი ნამდვილად არასოდეს არ უკისრნიათ რუსეთის სახელმწიფოსაგან ერთა გამოყოფის უფლების დაცვა... სხვაგვარად, თუ

არა გაცილებით უფრო კულტურული გზით — უცხოტომელებისა და ებრაელების მიერ თავიანთ ბეჭდვით ორგანოთა სუბსიდირების გზით».

ეს ხომ შავრაზმელების ძველი, გაცვეთილი, სასაცილო ხერხია — უსაყვედურონ ლიბერალებს ებრაელთაგან დახმარების მიღება! მაგრამ ამ ბრიყვულმა ხერხებმა არსებითი რამ მაინც არ უნდა დაგვავიწყებინოს; არსებითი კი ისაა, რომ «ნოვოე ვრემიას» სავსებით შეუგნია განსხვავება სოციალ-დემოკრატებსა და კადეტებს შორის, როდესაც აღიარებს, კადეტებს გ ა მ ო ყ ო ფ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს დაცვა არ უკისრნიათო.

კ.-დ-ებსა და ს.-დ-ებს შორის არსებული განსხვავება — ესაა განსხვავება ნაციონალ-ლიბერალებისა და თანამიმდევარი დემოკრატებისა.

«პროლეტარსკაია პრავდა» № 16,
1913 წ. 25 დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარსკაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-მა მარტოვმა დ ა ა დ ა ს ტ უ რ ა უკვე «პროლეტარსკაია პრავდაში» აღნიშნული ფაქტი, რომ მე არ ვყოფილვარ გაფიცვების ქ ვ ე კ ო მ ი ს ი ა ში, და რომ კ ო მ ი ს ი ა ში მე გავილაშქრე «სისხლის სამართლის წესით დასჯადობის» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ*. ახლა დამრჩენია მხოლოდ დავუმატო, რომ მე გამოვედი არა მარტო დასჯადობის «შემცირების» მომხრედ, როგორც ბ-ნ მარტოვს «ახსოვს», არამედ, ცხადია, ამგვარი პუნქტის ს რ უ ლ ი შ ე უ წ ყ ნ ა რ ე ბ ლ ო ბ ი ს დასაცავად. და ჩემთვის საჭირო არ იყო შესწორებანი შემეტანა, ვინაიდან მაშინ განხილულ პროექტში ს რ უ ლ ი ა დ ა რ ყ ო ფ ი ლ ა ამგვარი პუნქტი, და მხოლოდ ბ-ნი თ. დანი ცდილობდა ამაოდ მის შეტანას (ლ. მარტოვმაც კი გაბედა მაშინ ბ-ნ თ. დანს შეკამათებოდა).

«პროლეტარსკაია პრავდა» № 17,
1913 წ. 29 დეკემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარსკაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 625 — 627. რ ე დ.

4000 მანეთი წლიურად
და 6-საათიანი სამუშაო დღე

ასეთია ამერიკის შეგნებული მუშების საბრძოლო ლოზუნგი. ჩვენშიო — ამბობენ ისინი — არის მხოლოდ ერთი პოლიტიკური საკითხი, — ესაა მუშების შემოსავლისა და მათი სამუშაო დღის საკითხი.

რუს მუშას პირველი შეხედვით მეტად უცნაურად და გაუგებრად მოეჩვენება ყველა სოციალურ და პოლიტიკურ საკითხთა ასეთი გათანაბრება ერთ საკითხთან. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველაზე მოწინავე სახელმწიფოში, სადაც თითქმის სრული პოლიტიკური თავისუფლება და ყველაზე განვითარებული დემოკრატიული დაწესებულებებია და სადაც შრომის ნაყოფიერება დიდ წარმატებაშია, — სავსებით ბუნებრივია, რომ სოციალიზმის საკითხი პირველ რიგში დგება.

ამერიკაში, სრული პოლიტიკური თავისუფლების მეოხებით, შესაძლებელია უკეთ იქნას აღრიცხული ქვეყნის მთელი სიმდიდრის წარმოება, უკეთ შესდგეს წარმოების სტატისტიკური ანგარიში, ვიდრე სადმე სხვაგან. და ეს გამოანგარიშება, უდავო მონაცემებზე დამყარებული, გვიჩვენებს, რომ ამერიკაში, მრგვალი რიცხვით, 15 მილიონი მუშათა ოჯახია.

ერთად აღებული ეს მუშათა ოჯახები ყოველწლიურად ამზადებენ 60 ბილიონის, ე. ი. 60 ათასი მილიონი მანეთის

მოხმარების საგნებს. ეს იძლევა წლიურად 4 000 მანეთს თვითეულს მუშათა ოჯახზე.

მაგრამ ამჟამად, კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების დროს, ამ უზარმაზარი წარმოების მხოლოდ ნახევარი, მხოლოდ 30 ათასი მილიონი, ხვდება მუშებს, რომლებიც მოსახლეობის ცხრა მეათედს შეადგენენ. მეორე ნახევარი მიაქვს კაპიტალისტთა კლასს, რომელიც ყველა თავისი დამცველ-დამქაშებით მოსახლეობის მხოლოდ ერთ მეათედს შეადგენს.

ამერიკაში, როგორც სხვა ქვეყნებში, მძვინვარებს უმუშევრობა და თანდათან მატულობს ცხოვრების სიძვირე. მუშების გასაჭირი სულ უფრო მტანჯველი და აუტანელი ხდება. ამერიკული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყველა მუშების დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ნ ა ხ ე ვ ა რ ი მ თ ე ლ ი სამუშაო დროის განმავლობაში ა რ მუშაობს. ახლა კიდევ რა უამრავი საზოგადოებრივი შრომა იფლანგება იმის გამო, რომ იქ შენარჩუნებულია უაზრო, ჩამორჩენილი, დაქუცმაცებული წვრილი წარმოება, განსაკუთრებით მიწათმოქმედებასა და ვაჭრობაში!

ამერიკაში, სრული პოლიტიკური თავისუფლების პირობებში და მეგატონე-მემამულეების არარსებობის გამო, მანქანების გამოყენება უფრო დიდად არის განვითარებული, ვიდრე სადმე სხვაგან მსოფლიოში. ამერიკაში მარტო დამმუშავებელ მრეწველობაში მანქანების ძალა, საერთოდ აღებული, 18 მ ი ლ ი ო ნ ორთქლის ცხენის ძალას უდრის. ამავე დროს გამოკვლევა ძალის ყველა წყაროებისა, წყლის ვარდნილობის სახით, გვიჩვენებს, 1912 წლის 14 მარტის ანგარიშის მიხედვით, რომ ამერიკას შეუძლია ერთბაშად მიიღოს, თუ ვარდნილი წყლის ძალა ელექტრობად იქნება გარდაქმნილი, კიდევ 60 მ ი ლ ი ო ნ ი ცხენის ძალა!

ეს ქვეყანა უკვე დღესაა წარმოუდგენლად მდიდარი, და მას შეუძლია ერთბაშად გ ა ა ს ა მ კ ე ც ო ს თავისი სიმდიდრე, გ ა ა ს ა მ კ ე ც ო ს თავისი საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება და ამით უზრუნველყოს ყ ვ ე ლ ა მუშათა

ოჯახისათვის საკმაო, გონიერი ადამიანის შესაფერი შემოსავლის სიდიდე და არც ისე ხანგრძლივი სამუშაო დღე, 6 საათი დღეში.

მაგრამ, კაპიტალისტური საზოგადოებრივი წყობილების გამო, საშინელ უმუშევრობასა და სიღატაკესთან ერთად ამერიკის დიდ ქალაქებში, ასევე სოფლადაც, — ადამიანის შრომის ფუჭად გაფლანგვასთან ერთად — ჩვენ ვხედავთ გაუგონარ ფუფუნებას მილიარდერებისას, მდიდრებისას, რომელთა ქონება მილიარდობით, ათას მილიონობით აღირიცხება.

ამერიკის მუშათა კლასი სწრაფად ცნობიერდება და ირაზმება ძლიერ პროლეტარულ პარტიად. მისდამი თანაგრძნობა იზრდება ყველა მშრომელთა შორის. ამერიკის დაქირავებული მონები, რომლებიც საუცხოო მანქანების საშუალებით მუშაობენ, ყოველ ნაბიჯზე ხედავენ ტექნიკის სასწაულებს და მსხვილი წარმოების ორგანიზაციით გამოწვეულ შრომის შესანიშნავ წარმატებას, — იწყებენ თავიანთი ამოცანების ნათლად შეგნებას და აყენებენ უბრალო, თვალსაჩინო, უახლოეს მოთხოვნებს: მიაღწიონ 4 000 მან. შემოსავალს თვითეული მუშის ოჯახისათვის და 6-საათიან სამუშაო დღეს.

მსოფლიოს ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაშიც ამერიკელი მუშების ეს მიზანი ასევე სავსებით განსახორციელებელია; მაგრამ ამისათვის საჭიროა თავისუფლების ძირითადი პირობები ქვეყანაში...

და არ არის სხვა გზა თავისუფალი მომავლისაკენ, გარდა მათი საკუთარი, მუშათა — განმანათლებელი, პროფესიული, კოოპერაციული და პოლიტიკური — ორგანიზაციისა.

«პროლეტარსკაია პრავდა» № 19,
1914 წ. 1 იანვარი
ხელმოწერა: O.

იბეჭდება გაზეთ
«პროლეტარსკაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

საჭიროა თუ არა სავალდებულო სახელმწიფო ენა?

ლიბერალები რეაქციონერებისაგან იმით განირჩევიან, რომ დაწყებითი სკოლისათვის მაინც აღიარებენ დედა-ენაზე სწავლების უფლებას. მაგრამ ისინი სავსებით ეთანხმებიან რეაქციონერებს იმ მხრივ, რომ სავალდებულო სახელმწიფო ენა უნდა იყოსო.

რას ნიშნავს სავალდებულო სახელმწიფო ენა? პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ველიკოროსთა ენას, რომლებიც რუსეთის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ, თავს ახვევენ რუსეთის მთელ დანარჩენ მოსახლეობას. ყოველ სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს. მთელი ოფიციალური საქმისწარმოება აუცილებლად სახელმწიფო ენაზე უნდა ხორციელდებოდეს, და არა ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე.

რით ამართლებენ სავალდებულო სახელმწიფო ენის აუცილებლობას ის პარტიები, რომლებიც მას იცავენ?

შავრაზმელების «საბუთები», რა თქმა უნდა, მოკლეა: ყველა უცხოტომელი მაგრად უნდა ჩაიჭირო ხელში, თავი არ უნდა «ააშვებინოო». რუსეთი განუყოფელი უნდა იყოს, და ყველა ხალხი ველიკოროსულ საწყისს უნდა ემორჩილებოდეს, რადგან ველიკოროსები რუსთა ქვეყნის ვითომ აღმაშენებელნი და შემკრებნი ყოფილან. ამიტომ მმართველი კლასის ენა სავალდებულო სახელმწიფო ენა უნდა იყოსო. ბატონი პურიშკევიჩები არც იმას მოერიდებიან, რომ სრულებით

აკრძალონ ის «ძაღლური კილოკავები», რომლებზედაც რუსეთის არაველიკოროსი მოსახლეობის დაახლოებით 60% ლაპარაკობს.

ლიბერალების პოზიცია ბევრად უფრო «კულტურულია» და «ფაქიზი». ისინი იმის მომხრენი არიან, რომ განსაზღვრულ ფარგლებში (მაგალითად, დაბალ სკოლაში) ნებადართულ იქნას დედაენა. მაგრამ ამასთან ერთად ისინი იცავენ სახელმწიფო ენის აუცილებლობას. ეს საჭიროა «კულტურის», «ერთიანი» და «განუყოფელი» რუსეთის ინტერესებისათვისო და სხვ.

«სახელმწიფოებრიობა კულტურული ერთიანობის განმტკიცებაა... სახელმწიფოებრივი კულტურის შემადგენლობაში აუცილებლად შედის სახელმწიფო ენაც... სახელმწიფოებრიობას საფუძვლად ხელისუფლების ერთიანობა უდევს, და სახელმწიფო ენა ამ ერთიანობის იარაღია. სახელმწიფო ენა ისეთივე იძულებითი და საყოველთაო-სავალდებულო ძალით არის აღჭურვილი, როგორც სახელმწიფოებრიობის ყველა სხვა ფორმა...

თუ რუსეთს კვლავაც **ერთიანობა** და განუყოფლობა უწერია, მტკიცედ უნდა დავიცვათ რუსული **სალიტერატურო** ენის **სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობა».**

აი ლიბერალის ტიპიური ფილოსოფია სახელმწიფო ენის აუცილებლობის შესახებ.

ზემომოყვანილი სიტყვები ჩვენს მიერ ამოღებულია ბ-ნ ს. პატრაშკინის სტატიიდან, რომელიც ლიბერალურ გაზეთ «დენშია» [28] (№ 7) დაბეჭდილი. ასეთი აზრებისათვის, სრულიად გასაგებ მიზეზთა გამო, შავრაზმულმა «ნოვოე ვრემიამ» ლაზათიანი კოცნით დააჯილდოვა მათი ავტორი. ბ-ნი პატრაშკინი აქ «სრულიად საღ აზრებს» გამოთქვამსო, განაცხადა მენშიკოვის გაზეთმა (№ 13588). ასეთი ფრიად «საღი» აზრებისათვის შავრაზმელები მუდამ აქებენ ნაციონალ-ლიბერალურ «რუსსკაია მისლსაც» [29]. მართლაცდა, რატომ არ უნდა შეაქონ, როცა ლიბერალები «კულტურული» საბუთების საშუალებით ქადაგებენ იმას, რაც ასე მოსწონთ ნოვოე-ვრემიელებს?

რუსული ენა დიადი და მძლავრიაო, გვეუბნებიან ლიბერალები. ნუთუ თქვენ არა გსურთ, რომ ყოველმა ადამიანმა, რუსეთის რომელ განაპირა კუთხეშიც ცხოვრობდეს იგი, იცოდეს ეს დიადი და მძლავრი ენა? ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ რუსული ენა გაამდიდრებს უცხოტომელთა ლიტერატურას, საშუალებას მისცემს მათ — ეზიარონ დიად კულტურულ ღირებულებებსო და სხვ.?

ყველაფერი ეს მართალია, ბატონო ლიბერალებო, — ვუპასუხებთ ჩვენ მათ. ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით, რომ ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ენა დიადია და მძლავრი. ჩვენ თქვენზე მეტად გვსურს, რომ რუსეთში მოსახლე უკლებლივ ყველა ერის ჩაგრულ კლასთა შორის დამყარდეს რაც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობა და ძმური ერთიანობა. და ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის მომხრენი ვართ, რომ რუსეთის ყოველ მცხოვრებს შესაძლებლობა ჰქონდეს შეისწავლოს დიადი რუსული ენა.

ჩვენ არა გვსურს მხოლოდ ერთი რამ: ი ძ უ ლ ე ბ ი ს ელემენტი. ჩვენ არა გვსურს კეტით ვერეკებოდეთ ვინმეს სამოთხეში. ვინაიდან, რაგინდ ლამაზ-ლამაზი ფრაზებიც უნდა სთქვათ თქვენ «კულტურის» შესახებ, ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო სახელმწიფო ენა დაკავშირებულია იძულებასთან, ძალით ჩანერგვასთან. ჩვენ ვფიქრობთ, დიად და მძლავრ რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას ჯ ო ხ ი ს შ ი შ ი თ სწავლობდეს ვინმე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას, საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ მსვლელობას მივყავართ ყველა ერის ურთიერთდაახლოებისაკენ. ასიათასობით ადამიანები გადაიტყორცნებიან რუსეთის ერთი კუთხიდან მეორეში, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა უფრო შერეული ხდება, განკერძოება და ეროვნული კარჩაკეტილობა უნდა მოისპოს. ისინი, ვისაც თავისი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გამო რუსული ენის ცოდნა სჭირდება, მას უჯოხოდაც შეისწავლიან. ხოლო ძალდატანება (ჯოხი) მხოლოდ ერთ რამეს

ამოიწვევს: იგი დააბრკოლებს დიადი და მძლავრი რუსული ენის გავრცელებას სხვა ეროვნულ ჯგუფებში და, რაც მთავარია, — გაამწვავებს მტრობას, შექმნის ათასგვარ ახალ უთანხმოებას, გააძლიერებს შუღლს, ურთიერთგაუგებლობას და სხვ.

ვისთვისაა ეს საჭირო? რუს ხალხს, რუს დემოკრატიას ეს არ ესაჭიროება. იგი არა ცნობს ა რ ა ვ ი თ ა რ ეროვნულ ჩაგვრას, თუნდაც «რუსული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ინტერესებისათვის».

აი რატომ ამბობენ რუსი მარქსისტები, რომ აუცილებელია: — სავალდებულო სახელმწიფო ენის ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ა, ამასთან მოსახლეობისათვის სკოლებში ყველა ადგილობრივ ენაზე სწავლების უზრუნველყოფა, აგრეთვე კონსტიტუციაში ისეთი ძირითადი კანონის შეტანა, რომლითაც გამათილებულად გამოცხადდება ერთ-ერთი რომელიმე ერის ყოველგვარი პრივილეგია და ეროვნული უმცირესობის უფლებათა რაიმეგვარი დარღვევა...

«პროლეტარსკაია პრავდა» № 14 (32), 1914 წ. 18 იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდის» ტექსტის მიხედვით

კ. ჰიუისმანსს

თქვენი პირადი თხოვნით მე ვწერ ქვემომოყვანილ მოკლე მოხსენებას (**bref rapport**) პირადად ჩემი სახელით, ამასთან წინდაწინვე ბოდიშს ვიხდი ამ მოხსენების (**rapport**) ხარვეზებისათვის, რის მიზეზიც დროის მეტისმეტი ნაკლებობაა. ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ალბათ, ექნება შემთხვევა — გამოუგზავნოს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელ კომისიას თავისი ოფიციალური მოხსენება *, აგრეთვე შეასწოროს ჩემი კერძო მოხსენების შესაძლებელი შეცდომები.

რაშია ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ტ ე ტ ს შორის არსებული უთანხმოება (**dissentiments**)? ასეთია კითხვა. ეს უთანხმოება შემდეგი ექვსი პუნქტით შეიძლება განისაზღვროს:

I

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დაარსებულია 1898 წელს, როგორც ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი პარტია და **მუდამ** ასეთად რჩებოდა. ახლაც ჩვენს პარტიას სხვაგვარად არ შეუძლია იარსებოს, თუ არა როგორც არალეგალურს, ვინაიდან რუსეთში ზომიერი ლიბერალების პარტიაც კი არ არის ლეგალიზებული.

მაგრამ რუსეთის 1905 წლის რევოლუციამდე ლიბერალებს არალეგალური ორგანო ჰქონდათ საზღვარგარეთ [30]. რე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 278 — 281. რ ე დ.

ვოლუციის დამარცხების შემდეგ ლიბერალები განუდგნენ მას და აღშფოთებით უკუაგდებენ აზრს არალეგალური პრესის შესახებ. და აი, რევოლუციის შემდეგ, ჩვენი პარტიის ოპორტუნისტულ ფრთას ებადება იდეა არალეგალური პარტიის უარყოფისა, მისი ლიკვიდაციისა (აქედან — «ლიკვიდატორთა» სახელწოდება), მისი **შეცვლისა** ლეგალური («ღია») პარტიით.

მთელმა ჩვენმა პარტიამ ორჯერ, 1908 წელსაც და 1910 წელსაც, **ფორმალურად** და უცილობლად დაგმო ლიკვიდატორობა[31]. აქ უთანხმოება აბსოლუტურად შეურიგებელია. შეუძლებელია არალეგალური პარტიის აღდგენა და შენება იმათთან ერთად, ვისაც იგი არა სწამს და არც სურს საზოგადოდ აშენოს იგი.

საორგ. კომიტეტი და მისი ამომრჩევი 1912 წლის აგვისტოს კონფერენცია სიტყვით აღიარებენ არალეგალურ პარტიას. საქმით კი რუსეთის ლიკვიდატორთა გაზეთი («ლუჩი» და «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა» 1912 — 1913 წწ.) აგვისტოს კონფერენციის გადაწყვეტილებათა შემდეგაც კვლავ ილაშქრებდა ლეგალურ პრესაში არალეგალური პარტიის თვით არსებობის წინააღმდეგ (ლ. ს.-ის, ფ. დ.-ის, ზასულიჩისა და სხვ. მრავალი სტატია).

ამრიგად საორგ. კომიტეტისაგან ჩვენ ის გარემოება გვაშორებს, რომ საორგ. კომიტეტი არის ფიქცია: სიტყვით იგი არა ცნობს თავის თავს ლიკვიდატორულად, საქმით კი ხელს აფარებს რუსეთის ლიკვიდატორთა ჯგუფს და შელამაზებულად გამოჰყავს იგი.

ერთმანეთისაგან ჩვენ ის გვაშორებს, რომ საორგ. კომიტეტს არა სურს (და არც შეუძლია — ვინაიდან იგი უძლურია ლიკვიდატორთა ჯგუფის წინააღმდეგ) გადაჭრით და საბოლოოდ დაგმოს ლიკვიდატორობა.

ჩვენ არ შეგვიძლია სხვაგვარად ვაშენოთ არალეგალური პარტია, თუ არ ვებრძოლეთ იმ ადამიანებს, რომლებიც ლეგალურ პრესაში თავს ესხმიან მას. რუსეთში ამჟამად (1912

წლიდან) ორი ყოველდღიური მუშათა გაზეთია ს.-პეტერ-ბურგში: ერთი ასრულებს არალეგალური პარტიის გადაწყვეტილებებს, ცხოვრებაში ატარებს მათ («პრავდა»). მეორე («ლუჩი» და «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა») თავს ესხმის არალეგალურ პარტიას, დასცინის მას, მუშებს უნერგავს იმ აზრს, თითქოს იგი საჭირო არ იყოს. სანამ ლიკვიდატორთა ჯგუფის ეს გაზეთი ძირიანად არ შეიცვლის მიმართულებას ანდა სანამ საორგ. კომიტეტი გადაჭრით არ დაგმობს მას, კავშირს არ გაწყვეტს მასთან, მანამდე შეუძლებელია არალეგალური პარტიის ერთიანობა იმ ჯგუფთან, რომელიც არალეგალური პარტიის არსებობის წინააღმდეგ იბრძვის.

II

ლიკვიდატორებისაგან ჩვენ იგივე უთანხმოება გვაშორებს, რაც ერთმანეთისაგან ყველგან აშორებს რეფორმისტებსა და რევოლუციონერებს. მაგრამ ჩვენში ამ უთანხმოებას განსაკუთრებით ამწვავებს და შეურიგებელს ხდის ის გარემოება, რომ ლეგალურ პრესაში ლიკვიდატორები რევოლუციური ლოზუნგების წინააღმდეგ იბრძვიან. შეუძლებელია ერთიანობა იმ ჯგუფთან, რომელიც, მაგალითად, აცხადებს ლეგალურ პრესაში: რესპუბლიკის ანდა მემამულეთა მიწების კონფისკაციის ლოზუნგი გამოუსადეგარია მასებში აგიტაციისთვისო. ჩვენ არ შეგვიძლია ლეგალურ პრესაში გავაბათილოთ ასეთი პროპაგანდა, რომელიც — ობიექტურად — სოციალიზმისადმი ღალატს და ლიბერალიზმისა და მონარქიის მიმართ დათმობაზე გადასვლას უდრის.

რუსეთის მონარქია კი ისეთია, რომ საჭირო იქნება კიდევ მთელი რიგი რევოლუციები რუსი მეფეებისათვის კონსტიტუციონალიზმის შესასწავლებლად.

შეუძლებელია ერთიანობა ჩვენი არალეგალური პარტიისა, რომელიც იატაკქვეშ მუშაობის გზით აწყობს რევოლუციურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს, იმ ლიტერატორთა ჯგუფთან, რომლებიც ლეგალურ პრესაში საგაფიცვო მოძრაობას «საგაფიცვო აზარტს» უწოდებენ.

III

ერთმანეთისაგან ჩვენ ნაციონალური საკითხი გვაშორებს. რუსეთში იგი მეტად მწვავედ დგას. ჩვენი პარტიის პროგრამა უთუოდ უარყოფს ეგრეთწოდებულ «ექსტერიტორიულ ნაციონალურ ავტონომიას». მისი დაცვა, ნამდვილად, დახვეწილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ქადაგებას უდრის. ამავე დროს კი ლიკვიდატორთა აგვისტოს კონფერენციამ (1912 წ.) პირდაპირ დაარღვია პარტიის პროგრამა და ეს «ექსტერიტორიული ნაციონალური ავტონომია» მიიღო. ცენტრალური კომიტეტისა და საორგ. კომიტეტის მიმართ ნეიტრალურმა ამხ. პლეხანოვმა გაილაშქრა პროგრამის ასეთი დარღვევის წინააღმდეგ და მას ნაციონალიზმთან სოციალიზმის შეგუება უწოდა.

ერთმანეთისაგან ჩვენ ის გვაშორებს, რომ საორგ. კომიტეტს არ სურს უკან წაიღოს თავისი გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენს პარტიულ პროგრამას არღვევს.

IV

ერთმანეთისაგან ჩვენ, შემდეგ, გვაშორებს ნაციონალური საკითხი ორგანიზაციული მხრივ. კოპენჰაგენის კონგრესმა აშკარად დაგმო პროფესიული კავშირების დანაწილება ეროვნებათა მიხედვით[32]. ავსტრიის გამოცდილებამ კი გვიჩვენა, რომ შეუძლებელია ამ მხრივ განსხვავების გატარება პროფესიულ კავშირებსა და პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიას შორის.

ჩვენი პარტია ყოველთვის იდგა ს.-დ. პარტიის ერთიანი, ინტერნაციონალური, ორგანიზაციის პოზიციაზე. 1908 წელს, გათიშვამდე, პარტიამ გაიმეორა მოთხოვნა ადგილობრივ ყველა ეროვნული ს.-დ. ორგანიზაციის შეერთებისა.

ბუნდისაგან, ებრაელ მუშათა ცალკე ორგანიზაციისაგან, რომელიც მხარს უჭერს საორგ. კომიტეტს, — ჩვენ ის გარემოება გვაშორებს, რომ ბუნდი, პარტიის გადაწყვეტილებათა

წინააღმდეგ, უარს ამბობს გადაჭრით აღიაროს ყველა ადგილობრივი ეროვნული ორგანიზაციის ერთიანობის პრინციპი და ნამდვილად მოახდინოს ასეთი გაერთიანება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბუნდი უარს ამბობს ასეთი გაერთიანება მოახდინოს არა თუ ჩვენი ცენტრალური კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან, არამედ ლატვიის ს.-დ. პარტიასთანაც, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიასთანაც და პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთანაც (ლევიცა). ამიტომ, როდესაც ბუნდს გამაერთიანებლად გამოჰყავს თავი, ჩვენ ამას უარვყოფთ და ვაცხადებთ, რომ გამთიშველია სწორედ ბუნდი, რომელიც არ ახორციელებს ს.-დ. მუშების ინტერნაციონალურ ერთიანობას ადგილობრივ ორგანიზაციებში.

V

ერთმანეთისაგან ჩვენ გვაშორებს საორგ. კომიტეტის ის ნაბიჯი, რომ იგი იცავს ლიკვიდატორებისა და ბუნდის კავშირს არასოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან — პ. პ. ს -თან (ლევიცა) — წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ორივე ნაწილისა.

პოლონეთის სოციალ-დემოკრატია ჩვენს პარტიაში 1906 — 1907 წლებიდანვე შედიოდა.

პ. პ. ს. (ლევიცა) ჩვენს პარტიაში **არასოდეს** არ შედიოდა.

საორგ. კომიტეტი გათიშვის აღმაშფოთებელ ფაქტს სჩადის, როდესაც კავშირს ჰკრავს პ. პ. ს-თან — პ. ს.-დ-ტიის ორივე ნაწილის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

საორგ. კომიტეტი და მისი მომხრენი სათათბიროს დეპუტატთაგან გათიშვის აღმაშფოთებელ ფაქტს სჩადიან, როდესაც სათათბიროს ს.-დ. ფრაქციაში იღებენ არასოციალ-დემოკრატს იაგელოს, პ. პ. ს-ის წევრს, მიუხედავად პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის ორივე ნაწილის ფორმალური პროტესტებისა.

Объединения (29)
за 2 года громадные
большинство рабочих
С.Д. идут в Россіи,
мы заявляем требованіе прекратить наш
организаціонный метод обсуждать
него мы на нашем.

Кто признает
нелегальную пар-
тію, тому мы обы-
чаем в расколе,

(30

если он не
уклонится при разбо
наш организацион-
ный метод, подве-
дённый Декабрьским
опытом и волей
большинства сознатель-
ных рабочих.

Таков мой
краткий доклад.

С сд. прив. Н. Ленин
Брюнн

Прочитан 31/I–1/II. 1914.

საორგ. კომიტეტისაგან ჩვენ ის გარემოება გვაშორებს, რომ საორგ. კომიტეტს არა სურს დაგმოს და დაარღვიოს ეს გამთიშავი კავშირი პ. პ. ს-თან (ლევიცასთან).

VI

დასასრულ, როგორც საორგ. კომიტეტისაგან, ისე მრავალი საზღვარგარეთული ჯგუფისა და ფიქტიური ორგანიზაციებისაგან ჩვენ ის გარემოება გვაშორებს, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს არა სურთ პირდაპირ, ლოიალურად და უცილობლად აღიარონ, რომ ჩვენს პარტიას მხარს უჭერს რუსეთის შეგნებულ მუშათა უდიდესი უმრავლესობა.

ამ გარემოებას ჩვენ მეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვინაიდან ხშირად საზღვარგარეთ, ისეთ ლიტონ განცხადებებზე დაყრდნობით, რომლებიც დასაბუთებული არ არის ზუსტი, ადვილად შესამოწმებელი მონაცემებით, — აღმაშფოთებელ ტყუილს ავრცელებენ რუსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ორში ერთი: ან ჩვენი მოწინააღმდეგენი აღიარებენ ჩვენთან შეურიგებელი უთანხმოების არსებობას (მაშინ ფარისევლურია მათი სიტყვები ერთიანობაზე) ანდა ისინი ვერ ხედავენ შეურიგებელ უთანხმოებას (მაშინ მათ ლოიალურად უნდა აღიარონ ჩვენი უეჭველი უმრავლესობა, თუ არა სურთ გამთიშველებად იქნან მიჩნეულნი).

რაგვარი აშკარა და ადვილად შესამოწმებელი ფაქტებით შეიძლება დამტკიცდეს, თუ ვის მხარეზეა რუსეთის შეგნებული და ორგანიზებული ს.-დ. მუშების ნამდვილი უმრავლესობა?

ჯერ-ერთი, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებით.

მეორეც, ორივე ს.-დ. გაზეთის მონაცემებით მთელი 1912 წლის და თითქმის მთელი 1913 წლის განმავლობაში.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ს.-პეტერბურგის ორივე მიმართულების ყოველდღიური გაზეთები ორი წლის განმავ-

ლობაში ერთადერთ სერიოზულ მასალას იძლევიან ჩვენს სადავო საკითხებზე.

მესამეც, მონაცემები რუსეთის მუშების აშკარა განცხადებათა შესახებ (ო რ ი ვ ე გაზეთის ფურცლებზე) სათათბიროს ერთი თუ მეორე ს.-დ. ფრაქციის სასარგებლოდ.

ყველა ეს სამგვარი ხასიათის მონაცემი გამოქვეყნებულია ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ მოხსენებაში საერთაშ. სოც. ბიუროსადმი (1913 წ. 14 დეკემბრის სესია). მოკლედ გავიმეორებ ამ მონაცემებს:

პირველი. II სათათბიროს არჩევნებში (1907) «ბოლშევიკებს» (ე. ი. ჩვენს მომხრეებს) ჰყავდათ მუშათა კურიის ყველა დეპუტატთა 47%; III სათათბიროში (1907 — 1912) — 50%; IV სათათბიროში — 67%.

მეორე. 21 თვის განმავლობაში, 1912 წ. 1 იანვრიდან 1913 წ. 1 ოქტომბრამდე, ს.-პეტერბურგის მუშათა ორ გაზეთში გამოქვეყნდა მუშათა ჯგუფების ფულადი ანგარიშები: 556 — ლიკვიდატორებისა და ყ ვ ე ლ ა მათი მოკავშირისა; 2 181 ჯგუფი — ჩვენი პარტიისა.

მესამეც, ჩვენს სათათბიროს ფრაქციას (1913 წ. 20 ნოემბრამდე) მხარი დაუჭირა და ეს თ ა ვ ი ს ი ხ ე ლ მ ო წ ე რ ი თ დ ა ა დ ა ს ტ ურ ა 4 850 მუშამ, ხოლო ლიკვიდატორებს (და ყველა მათს მოკავშირეს, ბუნდს, კავკასიელებს და სხვ. და სხვ.) — 2 539 მუშამ.

ეს ზუსტი და ადვილად შესამოწმებელი მონაცემები გვიმტკიცებენ, რომ ორი წლის მანძილზე, რუსეთში არალეგალური პარტიისათვის არსებული გაუგონარი სიძნელეების მიუხედავად, ჩვენ გ ა ვ ა ე რ თ ი ა ნ ე თ რუსეთის ს.-დ. მუშათა ჯგუფების უ დ ი დ ე ს ი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა.

(კიდევ უფრო მეტია ჩვენი უპირატესობა არალეგალური ლიტერატურის გამოცემისა და არალეგალურ, წმინდა პარტიულ კონფერენციათა მოწყობის მხრივ).

გავაერთიანეთ რა 2 წლის განმავლობაში რუსეთის ს.-დ. მუშათა ჯგუფების უდიდესი უმრავლესობა, ჩვენ ვაყენებთ

მოთხოვნას — ცნობილ იქნას ჩვენი ორგანიზაციული მეთოდი. ამ მეთოდს ჩვენ ვერ გადავუხვევთ.

ვინც არალეგალურ პარტიას სცნობს, მას ჩვენ გათიშვაში ვდებთ ბრალს, თუ კი მას არა სურს სცნოს ჩვენი ორგანიზაციული მეთოდი, დადასტურებული 2 წლის გამოცდილებით და შეგნებულ მუშათა უმრავლესობის ნება-სურვილით.

ასეთია ჩემი მოკლე მოხსენება.

ს.-დ. სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ბრიუსელი 31. I. — 1. II. 1914.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 3 (26)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

საერობო სტატისტიკის ამოცანების საკითხისათვის

(პენზის საგუბერნიო ერობა. პენზის გუბერნიის შეფასებით-სტატისტიკური გამოკვლევის შ ე დ ე გ ე ბ ი. სერია III. საადგილმამულო ქონების გამოკვლევა. ნაწ. II. გ ლ ე ხ უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს კ ო მ ლ ო ბ რ ი ვ ი ა ღ წ ე რ ა. განყოფილება I. საცნობო მასალები სოფლების შესახებ და დაწვრილებითი ცხრილები მთლიანი კომლობრივი აღწერის მონაცემთა მიხედვით. ნაკვ. 3: კრასნოსლობოდსკის მაზრა. პ ე ნ ზ ა. 1913 წ. ფასი 1 მან. გვ. X + 191).

პენზის ერობა შეფასებით-სტატისტიკურ გამოკვლევას ისეთი სრული და დეტალური პროგრამით ახდენს, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესოა ყველასათვის, ვინც კი რუსეთის ეკონომიურ წყობილებას სწავლობს.

წარმოებს ყ ვ ე ლ ა გლეხური მეურნეობის მთლიანი კომლობრივი აღწერა შ ე მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი სამეურნეო ბარათით. შემდეგ ყოველი მესამე მეურნეობა აიწერება უფრო სრული მ ო კ ლ ე სამეურნეო ბარათით; — ყოველი მეცხრე — კიდევ უფრო სრული, ეგრეთწოდ. დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ი სამეურნეო ბარათით; — ყოველი ო ც დ ა მ ე შ ვ ი დ ე მეურნეობა — კიდევ უფრო სრული ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი სამეურნეო ბარათით; ბოლოს, ხდება მაზრის 25 მეურნეობის (დაახლოებით ეს შეადგენს, ალბათ, ყველა მეურნეობის თითქმის 1/1000-ს) უაღრესად დეტალური ს ა ბ ი უ ჯ ე ტ ო აღწერა.

საერთოდ ხ უ თ ი საფეხურია გამოკვლევის ამა თუ იმ დეტალობისა, ამასთან უფრო სრული პროგრამა აუცილებლად შეიცავს ნაკლებ სრულის ყველა საკითხს. წინასიტყ-

ვაობაში ავტორები თვითეული ამ ხუთი სახის აღწერის სისრულეს შემდეგნაირად განსაზღვრავენ:

«ბიუჯეტი მოიცავს გლეხის კომლის მთელ წარმოებასა და მოხმარებას. სპეციალური აღწერა შეისწავლის მეურნეობაში სას.-სამ. პროდუქტების ყიდვა-გაყიდვას, მეცხოველეობის ბრუნვას (სპეციალურ ბლანკზე) და ყველა საკითხს, რომელიც დაწვრილებითს სამეურნეო ბარათშია აღწერილი.

დაწვრილებითს სამეურნეო ბარათში ჩამოითვლება მეურნეობის ყველა მამული, საწარმო და წევრთა მოსაქმეობა, აღინიშნება ცნობები ოჯახის წევრთა სქესის, ასაკის, წერა-კითხვის მცოდნეობის შესახებ, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის და ნაგებობათა ღირებულება, აღირიცხება შემოსავალი საწარმოებიდან და მოსაქმეობიდან, მოსავალი, მუშახელის ხარჯი.

მოკლე სამეურნეო ბარათში შეიტანება მხოლოდ ცნობები სქესის, ასაკის, ოჯახის წერა-კითხვის მცოდნეობის შესახებ, ჩამოთვლილია მამული, საწარმო და მოსაქმეობა, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი.

შემოკლებულ სამეურნეო ბარათში აღნიშნულია ოჯახის სიდიდე, მისი დაყოფა სქესის მიხედვით, მამაკაც მუშაკთა რაოდენობა, ოჯახის მამული, საწარმო, გარდა იჯარისა, მთავარი პირუტყვი, წერა-კითხვის მცოდნეობა და სარეწაო მოსაქმეობა მამაკაც მუშაკებისა, აგრეთვე მოსწავლე ვაჟთა და ქალთა რაოდენობა».

სამწუხაროდ, გამოცემას დართული არა აქვს ხუთივე სახის აღწერის საკითხთა სრული ჩამოთვლა. დართულია მხოლოდ სულ მოკლე («შემოკლებული») საკომლო ბარათი, რომელიც (დაახლოებით) მეურნეობის არა ნაკლებ დაწვრილებითს აღწერას იძლევა, ვიდრე ევროპულად დაყენებულ სას.-სამ. აღწერათა ბარათები.

თუ პენზელი სტატისტიკოსები მთელ გუბერნიას ზემოხსენებული პროგრამის მიხედვით გამოიკვლევენ, შეკრებილი მონაცემები — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას — იდეალურს დაუახლოვდება. ვთქვათ, გუბერნიაში 270 000 კომლია (ნამდვილად, ალბათ, მეტია). მაშინ მივიღებდით 90 000 აღწერას, სადაც გვექნებოდა მონაცემები იჯარისა და მთელი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის შესახებ; — შემდეგ 30 000 აღწერას (თვითეულიმეურნეობის) მოსავლის, მუშახელის ხარჯის, ინვენტარისა და ნაგებობათა ღირებულების

ცნობებით; — მერე, 10 000 აღწერას სას.-სამ. პროდუქტთა ყიდვა-გაყიდვის, აგრეთვე «მეცხოველეობის ბრუნვის» ცნობებით (ე. ი., ალბათ, პირუტყვის შენახვისა და გამოკვების პირობების, მეცხოველეობის პროდუქტიულობისა და სხვ. ზუსტ აღწერას); — ბოლოს, 2 5 0 ბიუჯეტს, რაც, თუ გლეხური მეურნეობის 10 ტიპიურ ჯგუფს ვიანგარიშებთ, მოგვცემს თ ვ ი თ ე უ ლ ი ჯგუფის ა მ ო მ წ უ რ ა ვ აღწერას, 25 ბიუჯეტს ჯგუფზე, ე. ი. სავსებით საკმარისს ურყევ საშუალოთა მისაღებად.

ერთი სიტყვით, პენზის გუბერნიის გლეხური მეურნეობა, თუ ეს პროგრამა შესრულდა, შესწავლილი იქნება ჩინებულად — გაცილებით უკეთ, ვიდრე დასავლეთ-ევროპულ აღწერებში (რომელნიც, მართალია, მოიცავენ არა გუბერნიებს, არამედ საერთოდ მთელ სახელმწიფოს).

მთელი საქმე ახლა ამ საუცხოო მონაცემების დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა ა. ეს არის მთავარი სიძნელე. აქ არის ყველაზე მტკივნეული პუნქტი ჩვენი საერობო სტატისტიკისა, რომელიც დიდებულია მუშაობის ზედმიწევნილობისა და დეტალობის მხრივ. ცნობები თვითეულ კომლზე 300 000 კომლიდან (ან თვითეულზე 90 000 — 30 000 — 10 000 კომლიდან) შეიძლება ჩინებული იყოს, მაგრამ მეცნიერული მიზნებისათვის, რუსეთის ეკონომიკის გასაგებად მათ თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ექნეთ, თუ მათი დამუშავება დამაკმაყოფილებელი არ არის. ვინაიდან ზოგადი სათემო, სავოლოსტო, სამაზრო, საგუბერნიო საშუალონი თავისთავად ძალიან ცოტა რამეს გვეუბნებიან.

რუსეთში სწორედ ამჟამად მიმდინარეობს ნახევრად-შუასაუკუნეობრივი (პატრიარქალური და ბატონყმური) მიწათმოქმედების კაპიტალისტური გარდაქმნის პროცესი. ეს პროცესი, აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც დაიწყო. ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რუსეთის ეკონომიურ ლიტერატურაში თავმოყრილია მრავლისაგან მრავალი ცალკეული მ ი თ ი თ ე ბ ა ამ პროცესის სხვადასხვა ნიშნებზე. თავი-

დათავი ახლა ის არის, რომ საერობო სტატისტიკის მასობრივი, თავიანთი დეტალობით, შეკრებისა და შემოწმების ზედმიწევნილობის მხრივ ჩინებული მონაცემები სათანადოდ იქნას დამუშავებული. ეს მონაცემები ისე უნდა დამუშავდეს, რომ მივიღოთ ზუსტი, ობიექტური, მასობრივი ცნობების აღრიცხვაზე დამყარებული პასუხი, პასუხი ყველა საკითხზე, რომელიც კი აღნიშნული ან დასახულია რუსეთის რეფორმისშემდგომი ეკონომიკის ნახევარ საუკუნისაზე მეტი ანალიზით (ამჟამად კი სტოლიპინის აგრარული კანონმდებლობა კიდევ მრავალ უაღრესად საინტერესო საკითხს აყენებს რუსეთის რევოლუციისშემდგომი ეკონომიკის შესახებ).

სტატისტიკის მონაცემები ისე, უნდა დამუშავდეს, რომ ძველი ბატონყმური, საბატონო, შრომამიგებითი, ნატურალური მეურნეობის დარღვევის პროცესისა და მისი სავაჭრო, კაპიტალისტური მიწათმოქმედებით შეცვლის პროცესის შესწავლა შესაძლებელი იქნეს ამ მონაცემთა მიხედვით. ვერც ერთი გაგებული (პოლიტიკურ-ეკონომიური აზრით) ადამიანი რუსეთში ვერ დაეჭვდება ახლა, რომ ეს პროცესი წარმოებს. მთელი საკითხი ის არის, თუ როგორ დამუშავდეს ჩინებული კომლობრივი მონაცემები, რომ ისინი არ დაიკარგონ, რომ მათი მიხედვით შეიძლებოდეს ამ უაღრესად რთული და მრავალსახოვანი პროცესის ყველა მხარის შესწავლა.

ამ პირობების დასაკმაყოფილებლად კომლობრივ მონაცემთა დამუშავება უნდა იძლეოდეს რაც შეიძლება მეტს, რაც შეიძლება რაციონალურად და დეტალურად შედგენილ ჯგუფობრივ და კომბინაციურ ცხრილებს მეურნეობათა ყველა, ცხოვრებაში უკვე დასახული — თუ დასახვის პროცესში მყოფი (ეს ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია) — ტიპების ცალკე შესასწავლად. ყოველმხრივი და რაციონალურად შედგენილი ჯგუფობრივი და კომბინაციური ცხრილების გარეშე სრულიად დაეკარგება

მნიშვნელობა უმდიდრეს კომლობრივ მონაცემებს. ესაა უდიდესი საფრთხე თანამედროვე სტატისტიკისა, რომელსაც უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო ედება ერთგვარი, მე ვიტყოდი, «სტატისტიკური კრეტინიზმი», ხეებს იქით ქრება ტყე, ციფრების გროვაში იკარგება მოვლენათა ეკონომიური ტიპები, რომელნიც შეიძლება გამოჩნდნენ მხოლოდ მრავალმხრივი და რაციონალურად შედგენილი ჯგუფობრივი და კომბინაციური ცხრილების საშუალებით.

ხოლო მათი შედგენის რაციონალობის პირობას უწინარეს ყოვლისა ის წარმოადგენს, რომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესის კვალდაკვალ მიყოლა ყველა მის განშტოებასა და ფორმაში შეიძლებოდეს. რაციონალურად შეიძლება ვცნოთ მხოლოდ ისეთი დამუშავება, რომელიც საშუალებას იძლევა გამოიყოს ყველაზე უფრო შენახული ნატურალური მეურნეობის ტიპი და სავაჭრო და კაპიტალისტური სოფლის მეურნეობით მისი შეცვლის სხვადასხვა საფეხური (სხვადასხვა ადგილას სავაჭრო მიწათმოქმედება სხვადასხვა ფორმას იღებს და საბაზროდ წარმოებაში აბამს სოფლის მეურნეობის ხან ერთს და ხან მეორე მხარეს). განსაკუთრებით დაწვრილებით უნდა გამოიყოს სხვადასხვა ტიპი მეურნეობებისა, რომლებიც გარდამავალი არიან მთლიანი ნატურალური მიწათმოქმედებიდან სამუშაო ძალის გაყიდვაზე (ეგრეთწოდ. «საშოვრები», რაც სამუშაო ძალის გაყიდვაში მდგომარეობს), — აგრეთვე მის ყიდვაზე. განსაკუთრებით დაწვრილებით უნდა გამოიყოს მეურნეობათა სხვადასხვა ტიპი შეძლებულობის მიხედვით (კაპიტალის დაგროვების დონისა და მისი წარმოქმნისა და დაგროვების შესაძლებლობის მიხედვით), — შემდეგ მთელი სას.-სამ. წარმოების სიდიდის მიხედვით, აგრეთვე სას.-სამ. წარმოების სწორედ იმ დარგთა სიდიდის მიხედვით, რომლებიც განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრულ დროს ყველაზე ადვილად შეიძლება გადაიქცნენ სავაჭრო მიწათმოქმედებად ან სავაჭრო მეცხოველეობად და სხვ. და ა. შ.

მიწათმოქმედების თანამედროვე ეკონომიკის შესწავლის დროს საკითხის მთელ არსს შეადგენს სწორედ ეს გარდაქმნა ნატურალური მეურნეობისა **ს ა ვ ა ჭ რ ო** მეურნეობად, და კაზიონური, ლიბერალურ-პროფესორული, მეშჩანურ-ნაროდნიკული და ოპორტუნისტული «თეორიის» უამრავი შეცდომა და ცრურწმენა მომდინარეობს ამ შეცვლის გაუგებლობიდან ან მისი უაღრესად მრავალსახოვან ფორმებში თვალის გადევნების უცოდინარობიდან.

პენზელი სტატისტიკოსების მუშაობა, რასაც, ზემოთ დასახელებული კრებულის მიხედვით თუ განვსჯით, ისეთი ადამიანები ეწევიან, რომლებიც საქმეს ეპყრობიან არა მოხელეურად, არამედ ნამდვილად არიან დაინტერესებულნი და შეუძლიათ უდიდესი ღირებულების მეცნიერული გამოკვლევის მოცემა, — ეს მუშაობა, მიუხედავად ამისა, მაინც სტატისტიკური რუტინის ან «სტატისტიკური გატაცების» სიჭარბისა და პოლიტიკურ-ეკონომიური გონივრულობის, მოაზრებულობის ნაკლებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

აღნიშნული კრებული, უწინარეს ყოვლისა, შეიცავს საცნობო მონაცემებს სოფლების შესახებ. ამ ცნობებს მთელი წიგნის 1/10-ზე ცოტა ნაკლები უკავია. დანარჩენი 9/10 ავსებულია თემობრივი ცხრილებით. ყოველი თემის გლეხების თვითეულ ჯგუფს (მიწათმფლობელობის სიდიდის მიხედვით) ყოველ სოფელში განკუთვნილი აქვს განსაკუთრებული ჰორიზონტალური სტრიქონი (სულ მთელი მაზრისათვის — 1009), რომელიც 139 ვერტიკალურ გრაფას შეიცავს. ცნობების დეტალობა არაჩვეულებრივია. ალბათ, ამ ცნობების 9/10 არასოდეს და არავითარი მიზნისათვის არ დასჭირდებათ ყველაზე ცნობისმოყვარე ადგილობრივ მცხოვრებთაც კი.

მაგრამ არაჩვეულებრივი დეტალობა უკვე ისეთ რამედ იქცევა, რაც სტატისტიკურ მანიას უახლოვდება, როცა ჩვენ ვხედავთ 119 — 139 გრაფას, ე. ი. **ო ც დ ა ე რ თ** გრაფას, რომელიც სამაზრო დანაყოფთა ათასიდან თვითეულისათვის იძლევა **შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ს რ ი ც ხ ვ ე ბ ს**, ე. ი. გამოანგა-

რიშებულ პროცენტულ მიმართებას!!! სტატისტიკოსებს ერთი მაზრისათვის მოუხდენიათ ათასობით და ათიათასობით გამოანგარიშება, რაც ადგილობრივ მცხოვრებთაც კი სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ დასჭირდებათ. სტატისტიკოსებს მოუხდენიათ დაახლოებით 15 — 20 ათასი გამოანგარიშება, რომელთაგან, ალბათ, ერთი-ორი ათეული დასჭირდებათ მ ხ ო ლ ო დ ადგილობრივ მცხოვრებთ, და ამასთან მათ თ ვ ი თ ო ნ-ვე შეეძლოთ მოეხდინათ საჭირო გამოანგარიშება ასეთი საჭიროების ნაკლებსარწმუნო შემთხვევაში.

სტატისტიკოსების მიერ ამაოდ დაკარგული შრომა უნდა გამოირიცხოს შრომის იმ საერთო რაოდენობიდან, რაც მათ (არსებული ძალებისა და არსებული ბიუჯეტის პირობებში — სტატისტიკის საერობო ბიუჯეტები მეტად მცირეა!) შეუძლიათ გამოკვლევას მოანდომონ. დასახელებული კრებული, რომელიც შეიცავს სრულიად უსარგებლო სტატისტიკური «ფუფუნების» ათასობით ციფრებს, ა რ ც ე რ თ შენაჯამს არ იძლევა. ყველა და ყოველგვარი შენაჯამი შემდეგი ნაკვეთების გამოშვებამდეა გადადებული. ჯერ-ერთი, ჩვენ არა ვართ დარწმუნებულნი, გამოვა თუ არა ეს სხვა ნაკვეთები, და ამაში არ შეიძლება დარწმუნებული იყვნენ რუსი საერობო სტატისტიკოსებიც, რომლებიც მეტად დამოკიდებული არიან პოლიციური თვითნებობისაგან. მეორეც, მაზრების მიხედვით სხვადასხვამხრივი ჯგუფობრივი და კომბინაციური ცხრილების შ ე უ მ ო წ მ ე ბ ლ ა დ არასოდეს არ შემუშავდება შეჯამებითი, ჯგუფობრივი და კომბინაციური ცხრილების მეცნიერულად სავსებით დამაკმაყოფილებელი სისტემა გუბერნიების მიხედვით.

ჯერჯერობით კი ჩვენს წინაშე სამწუხარო ფაქტია: სრულიად უმნიშვნელო, თითქმის არავითარი მეცნიერული ღირებულება საერობო-სტატისტიკური კრებულისა, რომელზედაც დახარჯულია უზომო შრომა და რომელიც შეიცავს დიდძალ მეტისმეტად მდიდარ, ძვირფას, ახალ (ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲙᲐ-

ნონის შედეგები!) მონაცემს, რაც არ არის შეჯამებული, გაერთიანებული, დაჯგუფებული და დაკომბინირებული.

აღვნიშნავთ, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ დაჯგუფებას, რაც შეიძლებოდა და უნდა მოგვეხდინა უმდიდრესი საერობო-სტატისტიკური მასალის გამოსაყენებლად. სასურველია მაზრა და გუბერნია დაიყოს რაიონებად სხვადასხვა სახის სავაჭრო მიწათმოქმედების (პურისა და კარტოფილის გადამუშავება არაყად; რძის პროდუქტების გასაღება; ზეთსახდელები; განსაკუთრებული სავაჭრო მცენარეები და სხვ. და ა. შ.) უმეტესი გავრცელების მიხედვით; — მერე არასამიწათმოქმედო სარეწებისა და გარესაშოვრების მიხედვით; — მემამულური მეურნეობის პირობების მიხედვით (მემამულური ეკონომიების სიახლოვე ან მათი არარსებობა, სიჭარბე ბატონყმური, შრომამიგებითი, საბატონო, სამონახევრო, საანარდო და სხვ., ან კაპიტალისტური, თავისუფალ-დაქირავებითი, მემამულური მეურნეობისა); — შემდეგ, ვაჭრობისა და საერთოდ კაპიტალისტური ბრუნვის განვითარების ხარისხის მიხედვით (მეტად მნიშვნელოვანი დაყოფაა, რის გაკეთებაც სავალდებულოა პოლიტიკური ეკონომიის ანბანის თვალსაზრისით და რაც ადვილი გასაკეთებელია, თუმცა ამას ჩვეულებრივ არ მიმართავენ: სოფლების დაჯგუფება რკინიგზის, ბაზრების, სავაჭრო ცენტრებისა და სხვ. სიშორის მიხედვით); — სოფლების სიდიდის მიხედვით (კრასნოსლობოდსკის მაზრაში 30 ათასამდე კომლია 278 სოფელში, ხოლო 19 უდიდეს სოფელში 9 ათას კომლზე მეტია — ალბათ, პირობები უნდა იყოს განსხვავებული).

სასურველი და აუცილებელია კომლების დაჯგუფება არა მარტო მიწათმფლობელობის, არამედ ნათესის სიდიდის მიხედვითაც (შემდგენელნი წინასიტყვაობაში ამბობენ, რომ პენზის გუბერნიის გლეხური მეურნეობა მოწყობილია «უმთავრესად თავის და არა იჯარით აღებულ მიწაზეო», მაგრამ ეს მეტად ხელაღებითი შეფასებაა, ხოლო იჯარის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და დეტალური დამუშავება ესა-

ჭიროება); — შემდეგ სავაჭრო მცენარეთა ნათესების სიდიდის მიხედვით, სადაც და რამდენადაც შეიძლება მათი შემჩნევა და გამოყოფა; — მერე, «სარეწების» მიხედვით (არა იმ უხეში ფორმით, რომლითაც ჩვეულებრივ კმაყოფილდებიან, თითქოს პოლიტიკური ეკონომიის აბუჩად ასაგდებად, როცა იღებენ «მრეწველთა ხელში მყოფ მეურნეობებს» და უიმათოდ, არამედ სარეწში პიროვნების მდგომარეობის აუცილებელი აღრიცხვით: მეურნეობები, საიდანაც დაქირავებული მუშები დიდი, საშუალო და მცირე რაოდენობით მიდიან სხვაგან სამუშაოდ, წვრილ და მსხვილ-საწარმოებიანი მეურნეობები, რომლებიც მუშებს უმნიშვნელო, საშუალო და დიდი რაოდენობით ქირაობენ და ა. შ.); — ცხოველთმფლობელობის მიხედვით (კრებულში რამდენადმე გატარებულია უკვე) და სხვ.

კომბინაციური ცხრილები, რაოდენობით, ვთქვათ, ათი, ჯობლებიც მეურნეობებს (ისევ მაგალითისათვის) ათ ჯგუფად ყოფენ მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის შეჭრის სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, მოგვცემდნენ — თუ 80 ვერტიკალურ გრაფას ვიგულისხმებდით — 8 000 ახალ გამოანგარიშებას, ე. ი. გაცილებით უფრო ნაკლებ ადგილს დაიკავებდნენ, ვიდრე 20 000 პროცენტული მიმართების სრულიად გამოუსადეგარი გამოანგარიშება ცალკე თვითეული თემის მიხედვით.

ხოლო ასეთ, მრავალფეროვან და მით ბაზრისადმი მიწათმოქმედებისა და მიწათმოქმედის დამორჩილების ფორმათა გიგანტური მრავალგვარობის აღმრიცხველ კომბინაციურ ცხრილებს უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობა ექნებოდათ. შეიძლება სრულიად გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ისინი მთელ გადატრიალებას მოახდენდნენ მიწათმოქმედების ეკონომიკის მეცნიერებაში.

«პროსვეშჩენიე» № 1,
1914 წ. იანვარი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

წიგნის რეცენზია

«Экспонаты по охране труда на Всероссийской гигиенической выставке в С.-Петербурге в 1913 г.». СПБ. 1913 г. Страниц 78.
ფასი ნაჩვენები არ არის

ეს ფრიად სასარგებლო გამოცემა იძლევა იმ მასალის მოკლე შეჯამებას, რომელიც შრომის დაცვის საკითხების შესახებ იყო წარმოდგენილი სრულიად რუსეთის საჰიგიენო გამოფენაზე. მუშათა ცხოვრების მთელ რიგ საკითხებში გამოცემა მრავალ ძვირფას სტატისტიკურ ცნობას იძლევა — მუშების რიცხვი მრეწველობის ზოგიერთ დარგში, ქალთა და ბავშვთა შრომა, სამუშაო დღე და ხელფასი, სანიტარული პირობები და შრომის დაცვა, მუშების დაავადება და სიკვდილიანობა, ალკოჰოლიზმი, მუშათა დაზღვევა და სხვ. და სხვ.

წიგნს დართული აქვს საუცხოო საძიებელი ლიტერატურისა შრომის დაცვის საკითხებზე.

წიგნის ნაკლია ის, რომ მრავალ შემთხვევაში იქ მოყვანილი არ არის აბსოლუტური ციფრები (ნაჩვენებია მხოლოდ შეფარდებითი ციფრები) და არც საერთო ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ი საძიებელი აქვს დართული, — ასეთი საძიებელი კი შესაძლებლობას მოგვცემდა მალე მოგვენახა სათანადო მონაცემები ცალკეულ საკითხებზე.

სასურველია, შემდეგს გამოცემებში ეს ნაკლი გამოსწორდეს. ყველა, ვინც დაინტერესებულია მუშათა საკითხით,

ყველა პროფესიული, დამზღვევი და მუშათა სხვა საზოგადოებანი, უეჭველია, ისარგებლებენ ამ წიგნით. შემდგომი გამოცემებისას იგი შეიძლება და უნდა გადაიქცეს კიდევაც მასალათა სისტემატურ კრებულად რუსეთში შრომის მდგომარეობისა და დაცვის საკითხებზე.

«პროსვეშჩენიე» № 1,
1914 წ. იანვარი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება ჟურნალ
«პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲣᲕᲜᲐ

ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘ ᲐᲜᲣ, ᲣᲙᲔᲗ, ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲚᲐᲧᲑᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲢᲝᲠᲣᲚ ᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲐᲓ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲩᲠᲓᲘᲚᲐᲕᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐᲡ. ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡᲐᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐᲗ: ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲠᲐᲖᲘᲡ ᲮᲛᲐᲣᲠᲨᲘ, ᲠᲐᲮᲐᲠᲣᲮᲨᲘ, ᲚᲐᲞᲚᲐᲞᲨᲘ ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲝᲐᲞᲐᲠᲝᲜ ᲑᲣᲠᲟᲣᲐᲖᲘᲣᲚᲘ ᲣᲒᲕᲐᲜᲝᲑᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ Წ Ი Ნ Ა Ა Ღ Მ Დ Ე Გ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲢᲧᲣᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲛᲧᲕᲘᲠᲐᲚᲐ, ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ «ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘ», ᲠᲐᲡᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲚᲜᲘ ᲬᲐᲛᲝᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲗᲕᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲨᲘ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲜ. ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲠᲐᲡ ᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ, «ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠ» ᲒᲐᲛᲝᲢᲧᲕᲠᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲗᲐ ᲡᲐᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨ, ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨ? — ᲐᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ, ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲛᲣᲨᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ ᲛᲣᲨᲐᲛ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲝᲚᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲛᲘᲨᲜᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲡ ᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠᲘ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲐ — ᲗᲕᲐᲚᲘ ᲐᲕᲣᲮᲘᲚᲝᲗ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲮᲕᲔᲑᲚᲐᲓ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲜ ᲛᲐᲡ

ლიკვიდატორები. შეხედეთ, მაგალითად, ლიკვიდატორთა ორგანოს ახალწლის საპროგრამო მოწინავეს. ჩვენ მოგვითხრობენ:

«მუშათა კლასი მიდის პროლეტარიატის აშკარად მოქმედი პოლიტიკური პარტიისაკენ, რომელიც საკმაოდ ძლიერი და ფართო იქნება იმისათვის, რომ ვერც ერთმა პოლიტიკურმა რეჟიმმა ვერ შესძლოს მისი განსაკუთრებული უუფლებობის მდგომარეობაში ჩაყენება, ვერ შესძლოს მოუსპოს მას საშუალება პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნორმალური ფუნქციების შესრულებისა».

აი ესეც თქვენი «ნ ო რ მ ა ლ უ რ ი» ლიბერალური ლაყბობა მთელი მისი სიმშვენიერით! არც ერთი გონიერი ლიბერალი უარს არ იტყვის ორივე ხელი ასწიოს ამ ჩინებული ფორმულისათვის, რომლითაც ლიკვიდატორთა გაზეთი ფ ა რ ა ვ ს იმას, რომ იგი «მიდის» და მიისწრაფის ყოველივე იმის დარღვევისაკენ, რაც ასეთი გაჭირვებით არის მიღწეული პროლეტარიატის მიერ მარქსისტული შეკავშირების საქმეში უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე.

შემდეგ კი უფრო მეტი გულახდილობაა:

«გზა მოქმედების აშკარა პოლიტიკური პარტიისაკენ ამავე დროს არის გზაც პარტიული ერთიანობისაკენ».

ათასჯერ და ათიათასჯერ, უაღრესად ფორმალურ, უაღრესად საჯარო განცხადებებში ჯერ კიდევ 1908 წელს, ჯერ კიდევ 1910 წელს აღიარებული იყო, რომ ამგვარი სიტყვები არის ძველის უარყოფა, მისი ლიკვიდაცია. ბბ. ლიკვიდატორები კი წარბშეუხრელად განაგრძობენ თავიანთ სიმღერას და იმედი აქვთ — იქნებ ზოგიერთი გონებაბნელი, მეტად გონებაბნელი ადამიანი მოვატყუოთ ყვირილით «ერთიანობის» შესახებო.

მთელი მარქსისტული წარსულის მოღალატენი, რომელნიც «ღია პარტიაზე» გაჰყვირიან, — და «ერთიანობა»!.. ეს ხომ აბუჩად აგდებაა შეგნებული მუშებისა. ეს ხომ აბუჩად აგდებაა 1912 წლის იმ «აგვისტოს» კონფერენციისაც კი, რომელზედაც ერთმა მუჭა გულუბრყვილო ადამიანებმა დაიჯერეს

ლიკვიდატორების მიერ ღია პარტიის სამარცხვინო ლიბერალური ლოზუნგის უკუგდება.

მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ ლიბერალურ მჯღაბნელთა კომპანია, ყველა ეს ბბ. ფ. დ., გამები, ლ. მ., ემ-ელები, რაკიტინები [33] და სხვ. და სხვ. აწარმოებენ თ ა ვ ი ა ნ თ ლიბერალურ ბრძოლას მარქსისტული ორგანიზაციის დასარღვევად და შეგნებულად არ უწევენ ანგარიშს არც 1908 და არც 1910 წლის რეზოლუციებს, ცდილობენ შეუგნებელი მუშების მოტყუებას. აქაო-და, მოიძებნებიან კიდევ გონებაბნელი ადამიანები, რომლებიც დაიჯერებენ «ღია პარტიის» დაპირებას და ვერ მიხვდებიან, რომ ეს უბრალო სახესხვაობაა ლიბერალური ბრძოლისა ნამდვილი მარქსისტული ორგანიზაციის არსებობის წინააღმდეგო! და სანამ არსებობენ გონებაბნელი ადამიანები, წარსულის ლიკვიდაციის მომხდენ ლიბერალურ მჯღაბნელთა პატარა ჯგუფი განაგრძობს თავისი უწმინდური საქმის მოჭახრაკებას, რამდენიც არ უნდა უჩიჩინონ მას, რომ ამ დამრღვევებთან და დეზორგანიზატორებთან «ერთიანობა» უაზრობაა და მოტყუება.

ლიკვიდატორული გაზეთის ახალწლის «მოწინავე» განმარტოებით როდი დგას. მას მიჰყვება ყველა ლიკვიდატორი, მაგ., ბ-ნი პ. კარპოვი «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» № 5-ში (123); იგი ირწმუნება:

«დაძლევაც (ყველა იმ დაბრკოლებისა, რითაც გზას უღობავენ მუშათა ყრილობების ორგანიზაციას) სხვა არა არის რა, თუ არ უაღრესად ნამდვილი ბრძოლა კოალიციის თავისუფლებისათვის, ე. ი. იმ მუშათა მოძრაობის ლეგალობისათვის, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშათა ს.-დ. პარტიის აშკარა არსებობისათვის ბრძოლასთან».

არც ერთი ლიბერალი და არც ერთი ოქტიაბრისტიც კი თანაგრძნობას არ მოაკლებს მუშათა მოძრაობის ლეგალობისათვის ბრძოლას! არც ერთი ლიბერალი კრინტსაც არ დაძრავს «ღია პარტიის» წინააღმდეგ, იგი მხარსაც კი დაუჭერს მის მქადაგებელთ, როგორც თავის საუკეთესო დამხმარეთ მუშების გაბრიყვების საქმეში.

ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას და დაუღალავად ვუმეორებთ შეგნებულ მუშებს: მუშათა ღია პარტიის ქადაგება არის ფუჭი ლიბერალური ლაყბობა, რომელიც რყვნის მუშებს და არღვევს მარქსისტულ ორგანიზაციას. შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მისი არსებობა და განვითარება, თუ გადაჭრით და დაუნდობლად არ ვებრძოლეთ იმ ადამიანებს, ვინც მთელი ძალღონით ცდილობს დაარღვიოს ის მარქსისტული ორგანიზმი, რომელსაც უკანასკნელი ორი წლის აღმავლობამ ახალი, ჯანსაღი ცხოველმყოფელი ძალა შეჰმატა.

«პუტ პრავდი» № 9,
1914 წ. 31 იანვარი
ხელმოწერა: კ. ტ.

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

წერილი რედაქციის მიმართ

«ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» № 16-ში მოთავსებულ თავის წერილში ა. ბოგდანოვმა დამალა «პრავდასთან» თავისი უთანხმოების მთავარი მიზეზი.

ეს მიზეზი ისაა, რომ ა. ბოგდანოვი მრავალი წელია გამოდის მარქსიზმის ფილოსოფიის მოწინააღმდეგედ და ბურჟუაზიულ-იდეალისტურ შეხედულებებს იცავს მარქსისა და ენგელსის მატერიალიზმის წინააღმდეგ.

ამ მიზეზით მარქსისტ-ბოლშევიკებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ — ბოგდანოვის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინათ. ამავე მიზეზით ბოგდანოვის წინააღმდეგ ლიტერატურულ ბრძოლას აწარმოებენ მარქსისტი-მენშევიკები გ. ვ. პლეხანოვის სახით. ბოლოს, ამავე მიზეზით მოხდა ბოგდანოვის განხეთქილება ეგრეთწოდებულ «ვპერიოდის» ჯგუფთანაც [34] კი.

მართლაც, ჩვენ იმთავითვე, რაც ბოგდანოვმა «პრავდაში» დაიწყო თანამშრომლობა, ვეჭვობდით, რომ იგი თავს შეიკავებდა და მარქსიზმის ფილოსოფიის წინააღმდეგ თავის ბრძოლას მუშათა გაზეთის ფურცლებზე არ გადაიტანდა. ა. ბოგდანოვმა, სამწუხაროდ, მალე გაამართლა ჩვენი შიში. მოათავსა რა «პრავდაში» რამდენიმე პოპულარული სტატია უწყინარ თემებზე, მან მალე გამოუგზავნა რედაქციას სტატია «იდეოლოგია», რომლითაც — სრულიად «პოპულარული» ფორმით — დაიწყო ბრძოლა მარქსიზმის ფილოსოფიის წინააღმდეგ. რ ე დ ა ქ ც ი ა მ უ ა რ ი თ ქ ვ ა დ ა ე ბ ე ჭ დ ა ე ს

ანტიმარქსისტული სტატია. კონფლიქტიც სწორედ ამის გამო მოხდა.

ჩვენ ვურჩევთ ა. ბოგდანოვს, «ოჯახურ» ზნე-ჩვეულებებზე ჩივილის ნაცვლად, დაბეჭდოს აღნიშნული სტატია, «იდეოლოგიის» სათაურით (ლიკვიდატორთა გაზეთი, რასაკვირველია, სტუმართმოყვარეობით მიიღებს ანტიმარქსისტულ სტატიას). და მაშინ ყველა მარქსისტი დაინახავს, თუ რაშია ნამდვილად ბოგდანოვთან ჩვენი უთანხმოება, რომელზედაც თავის ვრცელ წერილში მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

ჩვენ ვფიქრობთ, მუშებმა თავიანთი გაზეთი იმისათვის შექმნეს, რომ მან მარქსიზმი დაიცვას, და არა იმისათვის, რომ ნება მისცეს ვინმეს — ბურჟუაზიულ «მეცნიერთა» ყაიდაზე დაამახინჯოს იქ მარქსიზმი.

ჩვენ დიდად მოხარულნი ვართ იმისაც, რომ ა. ბოგდანოვმა ერთხელ კიდევ აღძრა საკითხი «ვპერიოდის» ჯგუფის გამო «პრავდაში» ზაფხულს მოთავსებული თავისი სტატიის შესახებ. რახან ა. ბოგდანოვს ეს სურს, იგი მიიღებს (ჟურნალ «პროსვეშჩენიეში») უაღრესად დაწვრილებითს ახსნა-განმარტებას, თუ რამდენი ტყუილი იყო ამ სტატიაში და რაოდენ დიდი ზიანი მიაყენა ამ ავანტიურისტულმა ჯგუფმა მუშათა მოძრაობას რუსეთში *.

«პუტ პრავდი» № 9,
1914 წ. 31 იანვარი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 603 — 611. რედ.

ლიკვიდატორთა ბელადი «ერთიანობის» ლიკვიდატორული პიროგებების შესახებ

რომელიმე მოძრაობის ყოველი კრიზისი, მისი შემობრუნების ყოველი პუნქტი განსაკუთრებით იმით არის ხოლმე საინტერესო (და განსაკუთრებით სასარგებლო მოძრაობის მონაწილეებისათვის), რომ მკვეთრად და ნათლად იჩენენ თავს მოძრაობის ძირითადი ტენდენციები, ძირითადი კანონები.

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილებაც — მოეწყოს რუსეთის მუშათა მოძრაობის ყველა ფრაქციის «აზრთა გაცვლა-გამოცვლა» — ასევე. მომასწავებელია მოძრაობის ერთგვარი კრიზისისა ანუ შემობრუნების პუნქტისა. ავტორიტეტული საერთაშორისო კოლეგიის წინაშე «ლოიალურად» — საერთაშ. სოც. ბიუროს რეზოლუციის გამოთქმით — ე. ი. გულწრფელად «აზრთა გაცვლა-გამოცვლა» უეჭველად სასარგებლო საქმეა. ეს აიძულებს ყ ვ ე ლ ა ს — უფრო ნათლად, უფრო ღრმად შეხედონ რუსეთის მუშათა შრომაობის მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა ს.

განსაკუთრებით და დიდად უნდა ვუმადლოდეთ ლიკვიდატორთა ცნობილ ბელადს, ბ-ნ ფ. დ.-ს, რომ «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» № 108-ში იგი თ ვ ი თ ო ნ იძლევა «გაერთიანებაზე» თავის შეხედულებათა უაღრესად ძვირფას, ოღონდ პირობითობისა და მორცხვობის მსუბუქი პირბადით შებურვილ, გადმოცემას. უდიდესი სალამი ბ-ნ ფ. დ.-ს! გაცილებით უფრო სასიამოვნოა თ ვ ი თ მოწინააღმდეგესთან საუბარი, ვიდრე აბნეულ ან უძლურ შუამავლებთან და სხვ.!

ბ-ნი ფ. დ. სანაქებო გულახდილობით გადმოგვცემს და ერთმანეთს ადარებს **ორ** თვალსაზრისს გაერთიანებაზე: ერთს, «დიდად შემცდარს», იგი უკუაგდებს; მეორეს იწონებს და ატარებს.

აი როგორ გადმოსცემს თვით ბ-ნი ფ. დ. პირველ თვალსაზრისს:

«შეიძლება ასე იმსჯელოთ: უთანხმოება სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობათა შორის რუსეთში უმნიშვნელოა. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ ამ უთანხმოების უმნიშვნელობა და გამოვიგონოთ, ინტერნაციონალის დახმარებით, გაერთიანების რაიმე ორგანიზაციული ფორმა, — იქნება ეს ფედერაცია თუ განსაზღვრული ნორმირება, შეზღუდვა ყოველი უმრავლესობის უფლებაუნარიანობისა. რახან მონახული იქნება «ერთიანობის» მისაღები გარეგანი ფორმა, მაშინ თავისთავად «აღმოიფხვრება» უმნიშვნელო უთანხმოებაც — ყველაფერს შეეჩვევა ადამიანი!»

ამ თვალსაზრისს ბ-ნი ფ. დ. «დიდად შემცდარს» უწოდებს, მაგრამ რატომღაც არ ასახელებს მის მომხრეებს (ტროცკის, კაუცკის და საზოგადოდ ყველა «შემარიგებელს»). ალბათ პირობითობისა თუ მორცხვობის პირბადეს შეუშლია ხელი ბ-ნ ფ. დ.-ისათვის — დაესახელებინა ამ «დიდად შემცდარი» იდეის მომხრეთა საყოველთაოდ ცნობილი სახელები! მაგრამ სიმართლის დაფარვა ნამდვილად მხოლოდ მუშათა კლასის მოწინააღმდეგეებისათვის არის სასარგებლო!

ამრიგად, შემარიგებელთა შეხედულებანი «დიდად შემცდარია». რატომ?

ამ კითხვაზე რომ უპასუხებს, ბ-ნი ფ. დ. სამფად იბურავს პირბადით თავის კდემამოსილ სახეს. «აფეთქება მოხდებაო» — ამბობს ის — «დაშლას გამოიწვევს», **«დიდია თუ მცირეა უთანხმოებაო!!»**

ეს, ჩვენს მიერ ორმაგ ხაზგასმული, ფრაზა სავსებით ამხელს ბ-ნ ფ. დ.-ს. შუბი «პირბადეში» კი არა, ხალთაშიც არ დაიმალება.

თქვენი ეგოდენი გულახდილობისას, ბ-ნო ფ. დ., პატარა თავდაძვრენა უსარგებლო და სასაცილოა. ორში ერთი:

უმნიშვნელოა უთანხმოება თუ არაა უმნიშვნელო? სთქვით პირდაპირ. შუათანა რამ აქ არ არსებობს, ვინაიდან ლაპარაკი სწორედ იმაზეა, შესაძლებელია ერთიანობა (დიახ, შესაძლებელია, თუ უთანხმოება უმნიშვნელოა ან მცირე) თუ შეუძლებელია (არა, შეუძლებელია, თუ უთანხმოება «უმნიშვნელო» არაა).

დაგმო რა უთანხმოების «უმნიშვნელობის» თვალსაზრისი, ბ-მა ფ. დ.-მ ამითვე აღიარა, რომ უთანხმოება არსებითია. მაგრამ პირდაპირ ამის თქმა მას შეეშინდა (რას იტყვის «შვიდეული»? რას იტყვიან ტროცკი, ბუნდელები, ანი[35] და ყველა შემარიგებელნიო?). იგი შეეცადა თავისი პასუხი დაემალა გრძელ — მეტად გრძელ, მოსაწყენ — მეტად მოსაწყენ მსჯელობაში ერთიანობის მეორე თვალსაზრისის შესახებ.

მაგრამ ამ გრძელი მსჯელობიდანაც ადვილია საქმის მოკლე დედაარსის ამოკრება:

«ამ პლატფორმამ (ე. ი. ბ-ნ ფ. დ.-ისათვის სასურველმა, მისთვის მისაღებმა პლატფორმამ) არალენინელებისათვის უნდა უზრუნველყოს, ერთიანი სოციალ-დემოკრატიის ფარგლებში, სრული შესაძლებლობა პროპაგანდის და ბრძოლის წარმოებისა სოციალ-დემოკრატიის აშკარა არსებობისათვის».

საკმარისია! სავსებით საკმარისია, ბ-ნო ფ. დ.! აი ესაა საქმის დედაარსი, და არა ფრაზები, არა დეკლამაცია.

ლიკვიდატორებისათვის იატაკქვეშეთის წინააღმდეგ ბრძოლის სრული შესაძლებლობის უზრუნველყოფა — აი რას მოასწავებს ბ-ნ ფ. დ.-ის «პლატფორმა», ვინაიდან ყველას ჩინებულად ესმის, რომ «აშკარა არსებობისათვის ბრძოლის» ლეღვის ფოთლით სურთ დაფარონ ყველა მუშისათვის დიდი ხნის ცნობილი ბრძოლა «იატაკქვეშეთის» წინააღმდეგ.

აი რაშია საქმის დედაარსი, ხოლო ყველა ეს ტროცკები, ანები, ბუნდელები, შემარიგებელნი, «შვიდეულელნი» და სხვ., ყველა ესენი კეთილი ადამიანები არიან, მაგრამ — პოლიტიკური ნულები. საქმის დედაარსი ბ-ნ ფ. დ.-ის ჯგუფშია. «ძველ» ლიკვიდატორულ ჯგუფში.

მარქსისტული ორგანიზაციის უთანხმოება ამ ჯგუფთან აბსოლუტურად შეურიგებელია, ვინაიდან ლაპარაკიც კი არ შეიძლება შეთანხმებაზე (ერთიანობაზე რომ არა ვთქვათ რა) არა თუ «იატაკქვეშეთის» უარმყოფელებთან, არამედ ამ მხრივ დაეჭვებულებთანაც კი. მუშებმა დიდი ხანია გაიგეს ბბ. ლიკვიდატორთა საქმის ეს დედაარსი და პ ო ს ტ ე ბ ი დ ა ნ მ ო ხ ს ნ ე ს ი ს ი ნ ი მუშათა მოძრაობის ყ ვ ე ლ ა ასპარეზზე.

იყო დრო, როდესაც მარქსისტული ორგანიზაცია ლიკვიდატორებს გმობდა (1908 — 1909). ამ დრომ დიდი ხანია განვლო. იყო დრო, როდესაც მარქსისტული ორგანიზაცია პატიებასა და მშვიდობას უცხადებდა ყველას, ვინც მზად იქნებოდა ლიკვიდატორობა უარეყო (1910 — 1911). ამ დრომ დიდი ხანია განვლო. იყო დრო, როდესაც მარქსისტულმა ორგანიზაციამ თავისი ორგანიზაცია აღადგინა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ლიკვიდატორებისა (1912 — 1913). ამ დრომაც ასევე განვლო. დადგა ახალი ხანა, როდესაც მარქსისტულმა ორგანიზაციამ შეგნებული მუშების უდიდესი უმრავლესობა მ ი ი მ ხ რ ო — წინააღმდეგ ყველა და ყოველგვარი ლიკვიდატორებისა მ ა თ მოკავშირეებთან ერთად.

სრულიად უდავო ფაქტები ამტკიცებენ ამას. II სათათბიროს არჩევნების დროს მუშათა კურიაში მოპოვებული 47%-ის ნაცვლად ბოლშევიკებმა 50%-ს მიაღწიეს III სათათბიროს არჩევნებში და 67%-ს IV-ში (1912 წლის შემოდგომა). 21 თვეში, 1912 წლის 1 იანვრიდან 1913 წლის 1 ოქტომბრამდე, პარტიამ შეაკავშირა მუშათა ო რ ი ა თ ა ს ი ჯგუფი, ლიკვიდატორებმა და ყ ვ ე ლ ა მათმა მოკავშირემ კი — მხოლოდ ნ ა ხ ე ვ ა რ ი ა თ ა ს ი. ბბ. ფ. დ. და მისი მეგობრები არა თუ არ ცდილან გაებათილებინათ უდავო ფაქტები, არამედ მათ თ ვ ი თ ო ნ ვ ე აღიარეს «ნაშა ზარიაში»[36] ბ-ნ რაკიტინის პირით, მ უ შ ა თ ა მ ა ს ე ბ ი ბოლშევიკებს ემხრობიანო.

ცხადია, პირდაპირ დასცინის «ერთიანობას» ის, ვინც მარქსისტულ ორგანიზაციას ისეთ «პლატფორმას» სთავაზობს, რომელიც «სრულ შესაძლებლობას» აძლევს ლიკვიდატორებს მოახდინონ ამ ორგანიზაციის ლიკვიდაცია! — ის, ვისაც «ერთიანობის გულისთვის» არა სურს იცნოს და პატივი სცეს შეგნებულ მუშათა უდიდესი უმრავლესობის ნებისყოფას.

ერთიანობა გინდათ? აღიარეთ, რომ უცილობლად უარყოფთ ლიკვიდატორობას, «აშკარა არსებობისათვის ბრძოლას», აღიარეთ ლოიალურად, რომ ემორჩილებით უმრავლესობას. არ გინდათ ეს? — ნება თქვენია, მაგრამ მაშინ ნულარ იწუწუნებთ, თუ რამდენიმე თვის შემდეგ სრულებით უმუშებოდ დარჩებით, თუ «ახლოპარტიული» კი არა, არამედ უკვე «ახლოკადეტური» ინტელიგენტები გახდებით.

«პუტ პრავდი» № 12,
1914 წ. 4 თებერვალი
ხელმოწერა: ძ. ტ.

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ნაციონალური პროგრამის ისტორიისათვის ავსტრიასა და რუსეთში

ავსტრიაში სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური პროგრამა განხილულ და მიღებულ იქნა ბრიუნის ყრილობაზე 1899 წელს. მეტად გავრცელებულია ის შემცდარი აზრი, თითქოს ამ ყრილობაზე ეგრეთწოდ. «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» მიეღოთ. პირიქით, ამ ყრილობამ იგი ერთ-ხმად უარყო.

სამხრეთელ-სლავმა სოციალ-დემოკრატებმა ბრიუნის ყრილობას წარუდგინეს (იხ. გვ. XV ოფიციალური ოქმებისა გერმანულ ენაზე) კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პროგრამა, რომელიც შემდეგნაირად იყო გამოხატული:

(§ 2) «ავსტრიაში მცხოვრები თვითეული ერი, მიუხედავად იმისა, თუ რა ტერიტორია უკავიათ მის წევრებს, შეადგენს ავტონომიურ ჯგუფს, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად განაგებს ყველა თავის ეროვნულ (ენისა და კულტურულ) საქმეს».

ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები მეტად ნათლად გამოხატავენ «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» (სხვა-გვარად მას ექსტერიტორიულს უწოდებენ) დედაარსს: სახელმწიფომ უნდა დაადგინოს ერების გამიჯვნა სასკოლო და სხვ. საქმეში, ამასთან თვითეულ მოქალაქეს ნება აქვს, რომელსაც სურს, იმ ერს მიეწეროს.

ყრილობაზე ამ პროგრამას იცავდნენ კრისტანიც და გავლენიანი ელენბოგენიც. მაგრამ შემდეგ იგი მოხსნეს. მისთვის არც ერთი ხმა არ მიუციათ. პარტიის ბელადმა, ვიქტორ ადლერმა,

თქვა: «...ვეჭვობ, რომ ვინმეს პრაქტიკულად განსახორციელებელი ეგონოს ამჟამად ეს გეგმაო» (გვ. 82 ოქმებისა).

პრინციპულ საწინააღმდეგო მოსაზრებათაგან პრეისლერმა შემდეგი მოიყვანა: «ამხ. კრისტანისა და ამხ. ელენბოგენის წინადადებათა მიღება იმ შედეგს გამოიღებდა, რომ შოვინიზმი დამკვიდრდებოდა და იგი შევიდოდა თვითეულ უმცირეს თემში, თვითეულ უმცირეს ჯგუფში» (გვ. 92 იქვე).

ბრიუნის ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის საამისო § 3-ში ნათქვამია:

«ერთი და იმავე ერის თვითმმართველი ო ლ ქ ე ბ ი ყველანი ერთად შეადგენენ ეროვნულად ერთიან კავშირს, რომელიც სრულიად ავტონომიურად წყვეტს თავის ეროვნულ საქმეებს».

ეს პროგრამა ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ა, ამიტომაც იგი პ ი რ დ ა პ ი რ გ ა მ ო რ ი ცხ ა ვ ს, მაგ., ე ბ რ ა ე ლ თ ა კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას. «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მთავარმა თეორეტიკოსმა, ოტო ბაუერმა, თავისი წიგნის (1907 წ.) ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი თ ა ვ ი იმის დამტკიცებას უძღვნა, რომ ებრაელებისათვის «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მოთხოვნა შეუძლებელიაო.

არსებითად უნდა აღვნიშნოთ, რომ მარქსისტები მომხრენი არიან კავშირთა სრული თავისუფლებისა, მათ შორის ყოველგვარი ეროვნული ოლქების (მაზრების, თემების, სოფლების და სხვ.) კავშირებისაც; მაგრამ სახელმწიფოს კანონით სახელმწიფოს შიგნით ერთიანი ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა ს ს.-დ-ები არასგზით არ დათანხმდებიან.

რუსეთში სწორედ ებრაელობის ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულმა პარტიამ (აგრეთვე ბუნდმა, მათმა ფაქტიურმა ამყოლმა) მ ი ი ღ ო ავსტრიის ყველა თეორეტიკოსისა და ავსტრიელი ს.-დ-ების ყრილობის მიერ უარყოფილი პროგრამა «ექსტერიტორიული (კულტურულ-ნაციონალური) ავტონომიისა»!!

ბუნდელები ხშირად და სავსებით გასაგები მიზეზისა გამო ცდილობდნენ ამ ფაქტის უარყოფას; მაგრამ მისი შემოწმება ადვილად შეიძლება, თუ მივმართავთ ცნობილ წიგნს: «ეროვ-

ნული მოძრაობის ფორმები» (საბ. 1910) — იხილე აგრეთვე «პროსვეშჩენიე», 1913, № 3[37].

ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, თუ რუსეთის უფრო ჩამორჩენილმა და უფრო წვრილბურჟუაზიულმა საზოგადოებრივმა სტრუქტურამ როგორ გამოიწვია მარქსისტების ნაწილის კიდევ უფრო მეტად დაავადება ბურჟუაზიული ნაციონალიზმით.

ბუნდის ნაციონალისტური რყევა ფორმალურად და აშკარად დაგმო ჯერ კიდევ მ ე ო რ ე (1903 წ.) ყრილობამ, რომელმაც პ ი რ დ ა პ ი რ უ ა რ ყ ო ბუნდელ გოლდბლატის შესწორება: «შექმნა ეროვნებათა განვითარების თავისუფლების უზრუნველმყოფელი დაწესებულებებისა» («კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ფსევდონიმი).

როდესაც ლიკვიდატორთა 1912 წ. აგვისტოს კონფერენციაზე კავკასიის მენშევიკები, — მანამდე ათი წლის განმავლობაში გადაჭრით რომ ებრძოდნენ ბუნდს, — კონტრრევოლუციის მთელი ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი ატმოსფეროს გავლენით თვითონაც ნაციონალიზმისაკენ დაექანენ, ისინი მაშინ მ ა რ ტ ო ბოლშევიკებს რ ო დ ი დაუგმიათ. გადაჭრით დაგმო ისინი მენშევიკმა პლეხანოვმაც, რომელმაც მათს გადაწყვეტილებას უწოდა «სოციალიზმის შეგუება ნაციონალიზმთან».

«კავკასიელმა ამხანაგებმა — წერდა პლეხანოვი — როდესაც, პოლიტიკური ავტონომიის ნაცვლად, კულტურულ ავტონომიაზე დაიწყეს ლაპარაკი, ამით მხოლოდ დამოწმეს ბუნდის ჰეგემონიისადმი თავიანთი უგუნური დამორჩილების ფაქტი».

«კულტურულ-ნაციონალური ავტონომია», გარდა ებრაელობის ბურჟუაზიული პარტიებისა, ბუნდისა და ლიკვიდატორებისა, მიიღო კიდევ მხოლოდ მემარცხენე-ნაროდნიკული მიმართულების წვრილბურჟუაზიულ ნაციონალურ პარტიათა კონფერენციამ. მაგრამ იქაც ეს პროგრამა 4 პარტიამ მიიღო («სერპმა» — ებრაელთა სოციალისტურმა მუშათა პარტიამ; ბელორუსთა გრომადამ, დაშნაკცუთიუნმა და ქართველმა

სოციალისტ-ფედერალისტებმა[38]), ხოლო ორმა ყველაზე დიდმა პარტიამ თ ა ვ ი შ ე ი კ ა ვ ა: თავი შეიკავეს რუსმა მემარცხენე ნაროდნიკებმაც და პოლონელმა «ფრაკებმაც» (პ. პ. ს.)!

რუსი მემარცხენე ნაროდნიკები განსაკუთრებით ილაშქრებდნენ ბუნდელთა განთქმულ გეგმაში აღნიშნული ეროვნებათა ი ძ უ ლ ე ბ ი თ ი, სახელმწიფოებრივ-უფლებრივი კავშირების წინააღმდეგ.

ამ მოკლე ისტორიული ცნობიდან გასაგები ხდება ის გარემოება, რომ მარქსისტების 1913 წლის როგორც თებერვლის, ისე ზაფხულის თათბირმა გადაჭრით დაგმო «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური იდეა *.

«პუტ პრავდი» № 13,
1914 წ. 5 თებერვალი
ხელმოწერა: მ.

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 557, 562 — 564 და ტომი 19, გვ. 506. რ ე დ.

ბრწყინვალე ლიბერალი მემამულე «ახალი საერო.ბო. რუსეთის» შესახებ

გაცვეთილი ლიბერალური ფრაზების ხმაურში ძალიან ხშირად ივიწყებენ ჩვენში ლიბერალური პარტიის ნამდვილ «ბატონ-პატრონთა» ჭეშმარიტ კლასობრივ პოზიციას. თავადი ევგენი ტრუბეცკოი «რუსსკაია მისლის» № 12-ში ჩინებულად ააშკარავებს ამ პოზიციას და თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რამდენად დაახლოებულან უკვე ახლავე ყველა სერიოზულ საკითხში ჩვენი ლიბერალი მემამულე ტრუბეცკოები და მემარჯვენე მემამულე პურიშკევიჩები.

ერთ-ერთი ამგვარი უაღრესად სერიოზული საკითხია სტოლიპინის აგრარული პოლიტიკა. ბრწყინვალე ლიბერალი მემამულე მის შესახებ ამბობს:

«სტოლიპინის პრემიერობის დაწყებისთანავე მთავრობის მთელი ზრუნვა სოფელზე უმთავრესად ორი მოტივით განისაზღვრება: შიშით იმ პუგაჩოველობის წინაშე, რამაც ამდენი უბედურება დაგვატეხა 1905 წელს, და მისწრაფებით — შექმნას პუგაჩოველობის საპირისპიროდ ახალი ტიპი გლეხისა, რომელიც შეძლებული იქნება, ამიტომაც გაუფრთხილდება საკუთრებას და არც რევოლუციურ პროპაგანდას აჰყვება»...

უკვე სიტყვა «პუგაჩოველობით» ამეღავნებს ჩვენი ლიბერალი თავის სრულ თანხმობას პურიშკევიჩებთან. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ პურიშკევიჩები ამ სიტყვას მრისხანედ და მუქარით წარმოთქვამენ, ტრუბეცკოები კი — მანილოვისებურად, მოთაფლულად, რბილად, თან ატანენ ფრაზებს კულტურაზე, საზიზღარ ფარისევლურ ღაღადისს

«გლეხთა ახალ საზოგადოებრიობასა» და «სოფლის დემოკრატიზაციაზე», გულამაჩუყებელ სიტყვებს ღვთაებრივზე.

ახალი აგრარული პოლიტიკის მეოხებით, წინანდელზე გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება გლეხური ბურჟუაზია. ეს უდავოა. გლეხური ბურჟუაზია არ შეიძლება არ იზრდებოდეს რუსეთის ყოველგვარი პოლიტიკური და ყოველგვარი აგრარული წყობილების დროს, ვინაიდან რუსეთი კაპიტალისტური ქვეყანაა, და იგი სავსებით ჩათრეულია მსოფლიო კაპიტალიზმის ბრუნვაში. ლიბერალურ თავადს ეს ეცოდინებოდა, მას რომ ანბანური ცნობები მაინც ჰქონოდა «მარქსიზმის ძირითად საწყისებზე», რაზედაც ის უსაზღვრო რიხით და ასეთივე უსაზღვრო უმეცრებით ლაპარაკობს. მაგრამ მთელ თავის ძალღონეს თავადი იქითკენ მიმართავს, რომ მიჩქმალოს ის ძირითადი საკითხი, თუ როგორია კაპიტალიზმის განვითარება ყოველგვარ პურიშკევიჩთა გ ა რ ე შ ე და მათი კლასის ყოვლისშემძლეობის დ რ ო ს. თავადი უზომოდ აღტაცებულია კოოპერაციათა, ბალახთესვის წარმატებებით, «კეთილდღეობის აღმავლობით», ამავე დროს კი კრინტსაც არა ძრავს არც ცხოვრების სიძვირეზე, არც გლეხების მასობრივ გაჩანაგებაზე, არც საშინელ სიღატაკესა და შიმშილობაზე, არც შრომამიგებითს სამუშაოზე და სხვ.. «გლეხები ბურჟუავდებიანო» — ამას კი ხედავს თავადი და ამით კია აღტაცებული, ხოლო იმის დანახვა, რომ ისინი დაქირავებული მუშები ხდებიან ბატონყმურ-კაბალური ურთიერთობის შენარჩუნების პირობებში, ამის დანახვა ლიბერალ მემამულეს არა სურს.

«ინტელიგენციის პირველი დაახლოება — წერს ის — ფართო გლეხურ მასებთან ჯერ კიდევ 1905 წელს მოხდა, მაგრამ მაშინ მას სრულიად სხვა ხასიათი ჰქონდა — დამანგრეველი და არა აღმაშენებელი. მაშინ შეერთება მხოლოდ იმ მიზნით ხდებოდა, რომ საერთო ძალღონით დაენგრიათ ცხოვრების ძველი ფორმები, ამიტომაც იგი ზერელე იყო. ინტელიგენტ-დემაგოგს თავისი დამოუკიდებელი შინაარსი კი არ შეჰქონდა გლეხთა შეგნებასა და გლეხთა ცხოვრებაში, არამედ უფრო თვითონ ხელმძღვანელობდა ხალხის მასების ინსტინქტებით, ეპირფერებოდა მათ, უფარდებდა მათ თავის პარტიულ პროგრამასა და ტაქტიკას».

ნაცნობი, პურიშკევიჩისეული სიტყვებია! პატარა მაგალითი: ბატონ ტრუბეცკოების 2 000 დესეტინა მიწაზე რომ 80 გლეხური ხუტორი მოვაწყოთ, თითო 25-დესეტინიანი, ეს «დანგრევა» იქნება; ხოლო ათი-ოცი ოდე ამგვარი ხუტორი რომ გაჩანაგებულ მეთემურთა მიწაზე მოვაწყოთ, ეს «აღმაშენებლობა» იქნება. ხომ ასეა, ბრწყინვალე თავადო? ნუთუ ვერ ხვდებით, რომ პირველ შემთხვევაში რუსეთი ნამდვილად «ბურჟუაზიულ-დემოკრატიული» იქნებოდა, მეორეში კი იგი პურიშკევიჩთა რუსეთად რჩება მრავალ ათწლეულთა განმავლობაში?

მაგრამ ლიბერალური თავადი უსიამოვნო კითხვებს ემალება და მკითხველებს არწმუნებს: მსხვილი მიწათმფლობელნი, მიწებს რომ ყიდიან, «მალე, ძალიან მალე» საბოლოოდ გაქრებიანო.

«თუ მთავრობა მაინცდამაინც არ დააჩქარებს თავისი ღონისძიებებით მომავალ რევოლუციას, მაშინ, როდესაც ეგი მოხდება, «იძულებითი გასხვისების» საკითხი უკვე საკითხი აღარ იქნება, ვინაიდან გასასხვისებელი თითქმის აღარაფერი დარჩება».

შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანასკნელი სტატისტიკის მიხედვით[39], 1905 წელს 70 მილიონი დესეტინა ჰქონდა 30 000 მემამულეს და ამდენივე — 10 000 000 გლეხს, მაგრამ ლიბერალურ თავადს ამასთან რა ესაქმება! მკითხველების დარწმუნება — პურიშკევიჩები ძალიან «მალე» გაქრებიანო, მას იმისათვის სჭირდება, რომ პურიშკევიჩები დაიცვას. მას სერიოზულად მხოლოდ ის აინტერესებს, რომ

«საკუთრებით დაინტერესებული ადამიანები სოფლად საკმაოდ იქნებიან, რათა შეებრძოლონ არა მარტო პუგაჩოვურ, არამედ ყოველგვარ სოციალისტურ პროპაგანდასაც».

გმადლობთ გულახდილობისათვის!

«შედეგი როგორიღა იქნება?» — კითხულობს ლიბერალური თავადი. «ინტელიგენციის საშუალებით» (რომელიც კოოპერატივებში და სხვ. მიდის) «გარდაქმნის მთავრობა გლეხებს კეთილგანმზრახ წერილ მემამულეებად — თუ, პირიქით, ინტელიგენცია აღზრდის მათ მთავრობის სესხთა ხარჯზე?»

თავადი ფიქრობს, არც ერთი იქნება და არც მეორეო. მაგრამ ეს მხოლოდ ფარისევლური სიტყვიერი ხერხია. ნამდვილად კი, როგორც დავინახეთ, იგი მთელი სულით და გულით ემხრობა გლეხთა გარდაქმნას «კეთილგანმზრახ წვრილ მემამულეებად» და ირწმუნება: «ინტელიგენცია უფრო ნიადაგიანი ხდებაო», სოციალისტების «დემაგოგიური აგრარული პროგრამისათვის» (რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება — მისი ბრწყინვალების აზრით — «მარქსიზმის ძირითად საწყისებს», — ნუ იცინით, მკითხველებო!) ადგილი აღარ დარჩებაო.

საკვირველი როდია მემამულის ასეთი შეხედულებანი. საკვირველი როდია მისი აღშფოთება ათეიზმის ზრდით და მისი ღვთისმავედრებელი სიტყვები. საკვირველი ისაა, რომ არიან კიდევ რუსეთში ისეთი სულელი ადამიანები, რომელთაც არ ესმით, რომ, სანამ ასეთი მემამულეები და ასეთი პოლიტიკოსები ტონს აძლევენ მთელ ლიბერალურ, მათ შორის კადეტურ, პარტიას, მანამდე სასაცილოა იმის იმედი, თითქოს ხალხის ინტერესთა ნამდვილი დაცვა ლიბერალებისა და კადეტების «მონაწილეობით» იყოს შესაძლებელი.

«პუტ პრავდი» № 13,
1914 წ. 5 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ნაროდნიკობა და დაქირავებული მუშების კლასი

ლიბერალურ-ნაროდნიკული მწერლის, მიხაილოვსკის, სიკვდილის ათი წლისთავმა საბაბი მისცა ნაროდნიკებს კვლავ აღეძრათ ძველი დავა — ნაროდნიკებთან მარქსისტული ბრძოლის მნიშვნელობის შესახებ. ამ დავას საკმაოდ დიდი ინტერესი აქვს: ჯერ-ერთი, ისტორიული, ვინაიდან აქ ლაპარაკი იყო რუსეთში მარქსიზმის წარმოშობაზე; მეორეც, თეორიული — დავა ეხებოდა მარქსიზმის თეორიის ძირითად საკითხებს; მესამეც, პრაქტიკული, რამდენადაც პეტერბურგის მემარცხენე-ნაროდნიკული გაზეთი ცდილობს მიიმხროს მუშები. ნაროდნიკი ბ-ნი რაკიტნიკოვი წერს:

«რა თქმა უნდა, ახლა საკითხს აღარავინ დასვამს იმ სახით, როგორც იგი 60-იან და 70-იან წლებში ისმებოდა: რუსეთის მიერ კაპიტალიზმის ფაზის» (ე. ი. საფეხურის, ხანის) «გვერდის ავლის შესახებ. რუსეთი უკვე იმყოფება ამ ფაზაში».

მემარცხენე ნაროდნიკის ეს საინტერესო განცხადება ერთბაშად გვაგებინებს საკითხის «არსს». მართალია თუ არა, რომ «რუსეთის მიერ კაპიტალიზმის ფაზის გვერდის ავლის» შესახებ მხოლოდ 60-იან და 70-იან წლებში ლაპარაკობდნენ? არა, ეს სრულიადაც არ არის მართალი. 80-იან და 90-იან წლებშიც ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ნაროდნიკები საზოგადოდ, ჟურნალ «რუსსკოე ბოგატსტვოს»[40] (ე. ი. მიხაი-

ლოვსკის ჯგუფის) მწერლები კი — განსაკუთრებით. საკმარისია, მაგალითად, ბ-ნი ნიკოლაი —ონი[41] დავასახელოთ.

რისთვისღა დ ა უ მ ა ლ ა ბ-მა რაკიტნიკოვმა მკითხველებს 80-იანი და 90-იანი წლები? ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ დაეფარა ნაროდნიკების შეცდომები და მით გაეადვილებინა მათი გავრცელება მუშებს შორის? ეს ხერხი მეტად ცუდია, და ცუდად ჰქონია საქმე იმას, ვინც ასეთ ხერხებს მიმართავს.

რა მნიშვნელობა აქვს «რუსეთის მიერ კაპიტალიზმის ფაზის გვერდის ავლის» თეორიას, მიხაილოვსკისა და მისი ჯგუფის თეორიას, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებამდე გასძლო?

ეს თეორია იყო უტოპიური, მეშჩანური სოციალიზმის თეორია, ე. ი. ო ც ნ ე ბ ა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტებისა, რომლებიც კაპიტალიზმიდან გამოსავალს ეძებდნენ ა რ ა დაქირავებული მუშების კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ბ რ ძ ო ლ ა-შ ი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, არამედ მ ო წ ო დ ე ბ ე ბ შ ი «მთელი ხალხისადმი», «საზოგადოებისადმი», ე ს ე ი გ ი ი მ ა ვ ე ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს ა დ მ ი.

ყველა ქვეყანაში, მუშათა მოძრაობის აღმოცენებამდე, «სოციალიზმის» ისეთი მოძღვრებანი ჭარბობდნენ, რომელნიც ნამდვილად წარმოადგენდნენ მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა ოცნებას კლასობრივი ბრძოლისაგან თავის დახსნაზე, იმაზე, რომ უმისოდ გაერთმიათ თავი. ყველა ქვეყანაში, ისე როგორც რუსეთში, შეგნებულ მუშათა მოძრაობას მოუხდა შეუპოვარი ბრძოლის გადატანა წვრილბურჟუაზიული, წვრილ მეპატრონეთა მდგომარეობისა და თვალსაზრისის შესაფერისი, «სოციალიზმის» ამგვარ მოძღვრებათა წინააღმდეგ.

მუშათა მოძრაობას არ შეუძლია იარსებოს და წარმატებით განვითარდეს, სანამ გაბათილებული არ არის კეთილ წვრილ მეპატრონეთა ეს თეორია კაპიტალიზმისათვის «გვერდის ავლის» შესაძლებლობისა. როდესაც მიხაილოვსკის ჯგუფის ძირეულ შეცდომას ჩქმალავს, ბ-ნი რაკიტნიკოვი

ამით აბუნდოვანებს კლასობრივი ბრძოლის თეორიას. ნამდვილად კი მხოლოდ ამ თეორიამ უჩვენა მუშებს გამოსავალი მათი მდგომარეობიდან, უჩვენა, თუ როგორ შეუძლიათ თვით მუშებს და როგორ უნდა ისწრაფოდნენ ისინი თავიანთი განთავისუფლებისაკენ.

«რუსეთი უკვე იმყოფება კაპიტალიზმის ფაზაშიო» — წერს ბ-ნი რაკიტნიკოვი.

ეს შესანიშნავი აღიარება უდრის მიხაილოვსკისა და მისი ჯგუფის ძირეული შეცდომის აღიარებას.

ეს კიდევ ცოტაა. იგი უდრის ნაროდნიკობაზე სრულ ხელის აღებას.

მემარცხენე ნაროდნიკები, ამ აღიარებას რომ ეთანხმებიან, მარქსისტებს ებრძვიან უკვე არა როგორც ნაროდნიკები, არამედ როგორც სოციალიზმის ოპორტუნისტები, როგორც სოციალიზმისაგან წვრილბურჟუაზიული განდგომის მომხრენი.

მართლაც, თუ «რუსეთი უკვე კაპიტალიზმის ფაზაში იმყოფება», მაშასადამე, რუსეთი კაპიტალისტური ქვეყანაა. მაშასადამე, მასში, ისე როგორც ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, წვრილი მეპატრონენი — მათ შორის გლეხებიც — წვრილ ბურჟუებს წარმოადგენენ. მაშასადამე, მასში, ისე როგორც ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, გზას სოციალიზმის განხორციელებისაკენ წარმოადგენს მხოლოდ დაქირავებული მუშების კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

თავიანთ პროგრამაში მემარცხენე ნაროდნიკებს (რომ აღარაფერი ვთქვათ მათს მეგობრებზე «რუსსკოე ბოგატსტვოდან») დღემდე ვერ გაუბედნიათ კაპიტალისტურ ქვეყნად აღიარონ რუსეთი. ბ-ნი რაკიტნიკოვი ნაროდნიკობას იმით იცავს, რომ მარქსისტებს აბარებს ნაროდნიკების პროგრამას! საიმედო დაცვა ვერაა.

ბ-ნი რაკიტნიკოვი ნაროდნიკულად კი არა, ოპორტუნისტულად ეკამათება მარქსისტებს, როდესაც ამბობს:

«გლეხური მეურნეობისათვის ხელის შეწყობა სრულიადაც არ ნიშნავს აუშორებელი ეკონომიური განვითარების მახვილის წინააღმდეგ წასვლას. და დასავლეთის სულ უფრო მეტი და მეტი სოციალისტი დგება სწორედ ამ თვალსაზრისზე».

ჩვენ ხაზი გავუსვით იმ სიტყვებს, რომლებიც სავსებით ამხელენ საბრალო «მემარცხენე ნაროდნიკს»! ცნობილია, რომ დასავლეთში მხოლოდ დაქირავებული მუშების კლასმა, როგორც კლასმა, შესძლო შეექმნა სოციალისტური პარტიები. ცნობილია, რომ დასავლეთში გლეხობა, როგორც კლასი, ქმნის არა სოციალისტურს, არამედ ბურჟუაზიულ პარტიებს. ცნობილია, რომ დასავლეთში სოციალისტები კი არა, არამედ ოპორტუნისტები ქადაგებენ წვრილ ბურჟუათა მეურნეობისათვის ხელის შეწყობას.

«გლეხური მეურნეობისათვის ხელის შეწყობა»!.. მიმოიხედეთ ირგვლივ. მეპატრონე-გლეხები კავშირებს აწყობენ, რომ რაც შეიძლება ძვირად გაყიდონ პური, თივა, რძე, ხორცი, რაც შეიძლება იაფად დაიქირაონ მუშები. რაც უფრო თავისუფალი არიან გლეხები, რაც უფრო მეტი მიწა აქვთ მათ, მით უფრო ნათლად ჩანს ეს.

დაქირავებული მუშების კლასს ბ-ნი რაკიტნიკოვი თავს ახვევს წვრილ ბურჟუათა «მეურნეობისათვის ხელის შეწყობას». «სოციალიზმი» თუ გნებავთ, ეს არის!!

დაქირავებული მუშები მხარს უჭერენ მხოლოდ გლეხების ბრძოლას მებატონეთა და ბატონყმურობის წინააღმდეგ — ეს სრულიად, სრულიად არა ჰგავს იმას, რაც ბ-ნ რაკიტნიკოვს სურს.

რუსეთში დიადმა წლებმა, 1905 — 1907 წლებმა, საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ დაქირავებული მუშების კლასი ერთადერთი გამოდიოდა და შეკავშირდა, როგორც სოციალისტური ძალა. გლეხობა გამოდიოდა და ირაზმებოდა, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ძალა. კაპიტალიზმის განვითარების თვითეულ დღეს თან მოაქვს კლასებს შორის განსხვავების მეტი გაძლიერება.

«მემარცხენე-ნაროდნიკული» ქადაგება ნამდვილად ნიშნავს წვრილბურჟუაზიული ლოზუნგებით დაქირავებულ მუშათა კლასის მოძრაობის შერყვნასა და დეზორგანიზაციას. უმჯობესი იქნებოდა, ბბ. მემარცხენე ნაროდნიკებს გლეხებში დემოკრატიული მუშაობისათვის მიეყოთ ხელი — საამისოდ ა რ ა სოციალისტებიც გამოდგებიან.

«პუტ პრავდი» № 15,
1914 წ. 18 თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

კიდევ «ნაციონალიზმის» შესახებ

«ჩვენს დროში», როდესაც ცდილობენ ბელილისის საქმის მაგვარი რამის შექმნას, საჭიროა უფრო ხშირად ჩავუკვირდეთ ნაციონალისტების აგიტაციას. «სრულიად რუსეთის ნაციონალური კავშირის» წარმომადგენელთა ახლახან შემდგარმა მეორე ყრილობამ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადყო, თუ რანაირია ეს აგიტაცია.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ აგიტაციის მნიშვნელობა არარა იყოს, ვინაიდან არარა და ფიქტიურია (მოჩვენებითია) მთელი ეს «სრულიად რუსეთის კავშირი», რომელიც წარმოდგენილი იყო სულ 21 დელეგატით რუსეთის ყველა კუთხიდან. არარა და მოჩვენებითია «სრულიად რუსეთის ნაციონალური კავშირი», მაგრამ მის ქადაგებას ზურგს უმაგრებს ყველა მემარჯვენე პარტია და ყველა ოფიციალური დაწესებულება, ეს ქადაგება წარმოებს თვითეულ სოფლის სკოლაში, თვითეულ ყაზარმაში, თვითეულ ეკლესიაში.

აი საგაზეთო ცნობა ამ ყრილობაზე 2 თებერვალს წაკითხული ერთ-ერთი მოხსენების შესახებ:

«სახელმწიფო სათათბიროს წევრმა სავენკომ წაიკითხა მოხსენება «მაზეპელობაზე» — ასე უწოდებენ, ნაციონალისტების ეარგონზე, უკრაინულ მოძრაობას. მომხსენებელს განსაკუთრებით საშიშად მიაჩნია სეპარატიზმისადმი (ე. ი. სახელმწიფოდან გამოყოფისადმი) მისწრაფება ბელორუსებსა და უკრაინელებს შორის. განსაკუთრებით უკრაინელთა მოძრა-

ობა წარმოადგენს დიდ და რეალურ საფრთხეს რუსეთის ერთიანობისათვის. უკრაინელების უახლოესი პროგრამის დედაარსია ფედერალიზმი და უკრაინის ავტონომია.

უკრაინელები ავტონომიის განხორციელების იმედებს ამყარებენ ავსტრია-უნგრეთთან და გერმანიასთან მომავალ ომში რუსეთის განადგურებაზე. დიდი რუსეთის ნანგრევებზე ჰაბსბურგების სკიპტრის ქვეშ დაარსებული იქნება ავსტრია-უნგრეთის ფარგლებში ავტონომიური პოლონეთი და უკრაინა.

თუ უკრაინელები მართლაც მოახერხებენ და რუს ხალხს ჩამოჰგლეჯენ 30 მილიონ მალოროსს, მაშინ დადგება დიდი რუსეთის იმპერიის აღსასრული. (ტაში)».

რატომღაა, რომ ეს «ფედერალიზმი» ხელს არ უშლის არც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და არც შვეიცარიის ერთიანობას? რატომაა, რომ «ავტონომია» ხელს არ უშლის ავსტრია-უნგრეთის ერთიანობას? რატომაა, რომ «ავტონომიამ» დიდი ხნით გაამაგრა კიდევაც ინგლისისა და მრავალი მისი კოლონიის ერთიანობა?

ბ-მა სავენკომ განსაკუთრებით ბრიყვულად წარმოგვიდგინა მის მიერ დაცული «ნაციონალიზმი», ასე რომ მეტისმეტად გაგვიადვილა მისი იდეების გაბათილება. რუსეთის ერთიანობას, თურმე ნუ იტყვით, «საფრთხეს უმზადებს» უკრაინის ავტონომია, ხოლო ავსტრია-უნგრეთის ერთიანობას ა მ ა გ რ ე ბ ს საყოველთაო საარჩევნო უფლება და მის ცალკეულ ოლქთა ავტონომია! ეს რა უცნაური ამბავია? ხომ არ გაიფიქრებენ «ნაციონალისტური» ქადაგების მკითხველები და მსმენელები: რატომ რუსეთის ერთიანობის გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა კი არ შეიძლება უკრაინის ავტონომიის ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ ო?

მემამულური და ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ცდილობს «უცხოტომელთა» დევნით გათიშოს და გარყვნას მუშათა კლასი, რათა მით უფრო გაადვილდეს მისი მიყუჩება. შეგნებული მუშები ამას იმით უპასუხებენ, რომ მოითხოვენ ყველა ეროვნების მუშების სრულ თანასწორუფლებიანობასა და ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს პ რ ა ქ ტ ი კ ა შ ი.

ბელორუსებსა და უკრაინელებს უცხოტომელებად რომ აცხადებენ, ბბ. ნაციონალისტებს ავიწყდებათ დასძინონ, რომ ველიკოროსები (ერთადერთი არა «უცხოტომელები») რუსეთის მოსახლეობის 43 პროცენტზე მეტს არ შეადგენენ. მაშასადამე «უცხოტომელები» უმრავლესობა ყოფილან! როგორღა შეუძლია უმცირესობას უმრავლესობა შეინარჩუნოს, თუ ამ უმრავლესობას არ მიანიჭა რაიმე სარგებლობა, პოლიტიკური თავისუფლების, ეროვნული თანასწორუფლებიანობის, ადგილობრივი და საოლქო ავტონომიის სარგებლობა?

როდესაც უკრაინელებსა და სხვებს «სეპარატიზმისათვის», გამოყოფისაკენ მისწრაფებისათვის დევნიან, ნაციონალისტები ამით იცავენ ველიკოროსი მემამულეებისა და ველიკოროსი ბურჟუაზიის პრივილეგიას «თავისი» სახელმწიფოს მიმართ. მუშათა კლასი ყოველგვარი პრივილეგიის წინააღმდეგია; ამიტომ იგი იცავს ერთა თვითგამორკვევის უფლებას.

შეგნებული მუშები გამოყოფას არ ქადაგებენ; მათ ესმით დიდი სახელმწიფოებისა და მუშათა მნიშვნელოვანი მასების გაერთიანების სარგებლიანობა. მაგრამ დიდი სახელმწიფო შეიძლება დემოკრატიული იყოს მხოლოდ ერთა უაღრესად სრული თანასწორუფლებიანობის დროს, ასეთი თანასწორუფლებიანობა კი ნიშნავს გამოყოფის უფლებასაც.

ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული პრივილეგიების წინააღმდეგ ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული ამ უფლების დაცვასთან.

«პუტ პრავდი» № 17,
1914 წ. 20 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

გლეხობა და დაქირავებული შრომა

ნაროდნიკებს არა აქვთ იმაზე უფრო ხმარებული ფრაზა, ვიდრე ის, რომ მარქსისტები «შუბლით ერთიმეორეს ახეთქებენ» მშრომელებს, როცა დაქირავებულ მუშებს გლეხებისაგან გამოყოფენ და პირველთ უპირისპირებენ უკანასკნელთო. და არც არსებობს ამაზე უფრო ცრუ ფრაზა, რომლითაც იფარება წვრილი მეპატრონის, წვრილი ბურჟუას, დაქირავებული მუშების ექსპლოატატორის ინტერესთა დაცვა.

აი საინტერესო მონაცემები მოსკოვის საერობო-სტატისტიკური გამოცემიდან 1913 წლისათვის («ეკონომიურ-სტატისტიკური კრებული», ნაკვ. VII, მ. 1913). მოსკოველ სტატისტიკოსებს გამოუკვლევიათ მოსკოვის მაზრის მებოსტნეობა და მებაღეობა. გამოკვლევამ 5 000 კომლზე მეტი მოიცვა, და სტატისტიკოსებს ისინი 7 რაიონად დაუყვიათ, მოსკოვთან სიახლოვისა და მეურნეობის ინტენსივობის მიხედვით (ე. ი. თვითეულ დესეტინა მიწაზე მეტი რაოდენობის კაპიტალისა და შრომის დახარჯვის მიხედვით).

საკმაოდ დაწვრილებით არის გამოკვლეული საკითხი გლეხებში დაქირავებული მუშების შესახებ. მერე რა აღმოჩნდა?

მუშების დამქირავებელ კომლთა საერთო რიცხვი პირველ ოთხ რაიონში 67 პროცენტს (ე. ი. კომლთა მთელი რაოდენობის ორ მესამედზე მეტს) უდრის; დანარჩენ რაიონებში — 43-დან 64 პროცენტამდე. აქედან ცხადია, რომ გლეხთა კომლების უდიდესი უმრავლესობა მოსკოვის ახლოს წარმოად-

გენს იმ პატარა კაპიტალისტების მეურნეობებს, რომლებიც მუშებს ქირაობენ.

კიდევ უფრო საინტერესოა მონაცემები იმ კომლთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც წლიურ და ვადიან მუშებს ქირაობენ. ასეთ კომლთა პროცენტი უდრიდა:

I	რაიონში	26,6	პროც.
II	»	16,7	»
III	»	16,4	»
IV	»	19,0	»
V	»	9,9	»
VI	»	5,0	»
VII	»	6,4	»

საერთო წესით, რაც უფრო ინტენსიურია რაიონი, მით უფრო მეტია იმ გლეხთა პროცენტი, რომლებიც წლიურ და ვადიან მუშებს ქირაობენ.

მაგრამ მონაცემებში მთელი რაიონების შესახებ თვითეული რაიონის ღარიბი და მდიდარი გლეხები ერთად არიან მოქცეულნი. მაშასადამე, ეს მონაცემები მეტად ტლანქია, და ისინი ალამაზებენ სინამდვილეს, ჩქმალავენ სიღატაკესა და სიმდიდრეს შორის, პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის არსებულ წინააღმდეგობას.

ავიღოთ მონაცემები მეურნეობათა ჯგუფების შესახებ მიწათსარგებლობის (ე. ი. დამუშავებული მიწის რაოდენობის) მიხედვით. ეს მონაცემები გაცილებით უფრო სარწმუნოა, ვიდრე მონაცემები სანადელო მიწათმფლობელობაზე, რომელსაც დღემდე მოსკოვის მახლობლადაც კი შეუნარჩუნებია ბატონყმურ-კაზიონური ხასიათი: მცირენადელიანთა შორის არიან მდიდრები, რომლებიც იჯარით იღებენ მიწას, ხოლო მრავალნადელიანთა შორის არიან ღარიბები, რომლებიც იჯარით სცემენ ნადელს, და უმიწაწყლონი, უფრო სწორად, მეურნეობის არმქონენი.

მეურნეობის არმქონე გლეხებს შორის მუშების დამქირავებელთა პროცენტი ყველა რაიონში ნულს უდრის. ეს გასაგებიცაა. მეურნეობის არმქონე თვითონ არის პროლეტარი.

გლეხები ½ დესეტინაზე ნაკლები მიწის მეურნეობით: პროცენტი კომლებისა დაქირავებული მუშებით 0-დან (ნულიდან) 57 პროცენტამდე მერყეობს (საქმე რომ არ გავართულოთ, სამი ქვეჯგუფიდან ჩვენ ერთ-ერთს ვიღებთ).

მეურნენი ½-დან 1 დესეტინამდე მიწით: კომლი დაქირავებული მუშებით 0-დან 100%-მდე.

მეურნენი 1 — 3 დესეტინა მიწით: კომლი დაქირავებული მუშებით 46%-დან 100%-მდე (სხვადასხვა რაიონის მიხედვით).

მეურნენი 3-დან 5-მდე დესეტინა მიწით: კომლი დაქირავებული მუშებით 66%-დან 97%-მდე.

მეურნენი 5-დან 10-მდე დესეტინა დამუშავებული მიწით, — კომლი დაქირავებული მუშებით 75%-დან 100%-მდე.

აქედან ნათლად ვხედავთ, რომ მეურნეობის არმქონე გლეხები თვითონ არიან პროლეტარები (დაქირავებული მუშები). ხოლო რაც უფრო დიდია მეურნეობა, მ ი თ უ ფ რ ო ხ შ ი რ ა დ მიმართავენ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას: 3 — 5 დესეტინის მქონე მეურნეთა შორისაც კი მეურნეთა მთელი რაოდენობის უ კ ვ ე ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ ორი მესამედისა დაქირავებული შრომის ექსპლოატატორია!!

აი უბრალო, საყოველთაოდ ცნობილი და აშკარა ფაქტი, რომელსაც ამახინჯებენ ნაროდნიკები. რაც მოსკოვის მიდამოებში ხდება, იგივე ხდება ყველგან — ოღონდ უფრო ნაკლები ზომით. ყველამ იცის, რომ თ ვ ი თ ე უ ლ ი ქალაქი, რკინიგზის თ ვ ი თ ე უ ლ ი ვერსი სავაჭრო და კაპიტალისტურ ბრუნვაში აბამს გლეხურ მეურნეობას. მხოლოდ «მემარცხენე ნაროდნიკებს» არა სურთ დაინახონ სიმართლე, რომელიც არღვევს მათს მეშჩანურ თეორიას.

ეს სიმართლე ის არის, რომ რკინიგზის თ ვ ი თ ე უ ლ ი ვერსი, თ ვ ი თ ე უ ლ ი ახალი დუქანი სოფლად, თ ვ ი თ ე უ ლ ი კოოპერატივი, რომელიც შესყიდვას აადვილებს, თ ვ ი თ ე უ ლ ი ფაბრიკა და სხვა, სავაჭრო ბრუნვაში აბამს გლეხურ მეურნეობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გლეხები ი თ ი შ ე-

ბიან პროლეტარებად და წვრილ მეპატრონეებად, რომლებიც მუშებს ქირაობენ.

არც ერთი ისეთი გაუმჯობესება არ შეიძლება მოხდეს გლეხურ მეურნეობაში, რომელიც არ აძლიერებდეს დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას გაუმჯობესებულ მეურნეობათა მხრივ.

ამიტომ მხოლოდ მარქსისტები იცავენ შრომის ინტერესებს, როცა გამოყოფენ პროლეტარებს, დაქირავებულ მუშებს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ნაროდნიკები კი (საქმით) ატარებენ დაქირავებული სამუშაო ძალის ექსპლოატატორთა ინტერესების დაცვას, როცა ლაყბობენ «გლეხობაზე», «გლეხურ მეურნეობაზე», ვინაიდან, რაც უფრო მეტად ჰგავს გლეხი «მეპატრონეს», მით უფრო ძლიერად ეწევა ის დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას.

ბურჟუაზიის (რომელსაც ბრმად მისჩანჩალებენ კუდში ნაროდნიკები) ინტერესები მოითხოვს გლეხური პროლეტარიატის არევას გლეხურ ბურჟუაზიაში.

პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს ამ არევასთან ბრძოლას, მოითხოვს კლასთა ცხადად გამიჯვნას ყველგან, მაშასადამე, გლეხებს შორისაც. რა საჭიროა საკუთარი თავისა და სხვების მოტყუება «გლეხობაზე» ლაყბობით: თვითონ უნდა ისწავლოთ და გლეხებსაც ასწავლოთ, რომ გლეხობაშიც კი დღითი-დღე სულ უფრო ღრმავდება უფსკრული პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

«პუტ პრავდი» № 17,
1914 წ. 20 თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის».
ტექსტის მიხედვით

ბ-ნი სტრუვე «ხელისუფლების გაჯანსაღების» შესახებ

ბ-ნი სტრუვე ყველაზე გულახდილ კონტრრევოლუციონერ ლიბერალთა რიცხვს ეკუთვნის. ამიტომ ხშირად ძალიან საგულისხმოა ხოლმე ჩავუკვირდეთ იმ მწერლის პოლიტიკურ მსჯელობებს, რომელმაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დაადასტურა ოპორტუნიზმის მარქსისტული ანალიზი (ვინაიდან ბ-მა სტრუვემ, როგორც ვიცით, ოპორტუნიზმით, «მარქსის კრიტიკით» დაიწყო, ხოლო რამდენიმე წელიწადში კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ ნაციონალ-ლიბერალიზმამდე დაქანდა).

«რუსსკაია მისლის» იანვრის ნომერში ბ-ნი სტრუვე «ხელისუფლების გაჯანსაღებაზე» მსჯელობს. იგი უწინარეს ყოვლისა აღიარებს სტოლიპინის პოლიტიკის გ ა კ ო ტ რ ე ბ ა ს, ისე როგორც 1907 — 1914 წლების მთელი რეაქციისა და ოქტიაბრიზმის გაკოტრებასაც. რეაქცია «კრიზისს მიებჯინაო» — წერს ბ-ნი სტრუვე. უკუსვლითი რეფორმების ცდები, როგორიცაა სათათბიროს გადაქცევა კანონრჩევით სათათბიროდ, მისი აზრით, იმას გამოიწვევენ, რომ «ხელისუფლებას იმავე მდგომარეობაში ჩააყენებენ, როგორშიც იგი უკვე 1905 წლამდე იმყოფებოდა», იმ არსებითი განსხვავებით, რომ ხალხი უკვე სხვანაირი გახდა. «ხალხის მასების სიმპათიამ და ინსტინქტებმა 1905 წელს ინტელიგენციის მხარეს გადაინაცვლა».

ამას წერს ერთი «ვეხელთაგანი», რევოლუციის სასტიკ მოწინააღმდეგე, უშავბნელესი თეორიების მომხრე. და ის იძულებულია აღიაროს, რომ მ ა ს ე ბ ი გამემარცხენდნენ,

მაგრამ უფრო პირდაპირ, ნათლად, უფრო ზუსტად იმის თქმას, თუ ამ მასების შიგნით რომელი კლასები რომელ პარტიებს მიემხრნენ, — ლიბერალი ვერ ბედავს!

«ჩვენი ხალხი ჯერ არ ჩამოყალიბებულა და არც დანაწევრებულა. ის გარემოება, რომ იგი დიდხანს იყო მცონარე და თითქოს ერთბაშად გაჰდა რევოლუციური, — არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა იქნება იგი, როცა მასში არსებულ ყველა შესაძლებლობას განვითარება შეეძლება».

აი ნიმუში იმ ფრაზებისა, რითაც ფ ა რ ა ვ ე ნ ბურჟუები მათთვის უსიამოვნო ჭეშმარიტებებს. ხალხად აქ აშკარად გლეხობა იგულისხმება, ვინაიდან ბურჟუაზია (მემამულეებზე რომ არა ვთქვათ რა) და მუშათა კლასი საკმარისად ჩამოყალიბდნენ, საკმარისად გამოირკვნენ. ლიბერალი ვერ ბედავს პირდაპირ აღიაროს, რომ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ლ ე ხ ო ბ ა «ჯერ არ ჩამოყალიბებულა», მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ახალი აგრარული პოლიტიკის უკანასკნელ ძალთა დაჭიმვისა.

«როგორიღაა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან?» — კითხულობს ბ-ნი სტრუვე და უპასუხებს: «გამოსავალი მხოლოდ ორი შეიძლება იყოს: ან თანდათანი გაძლიერება სახელმწიფოში არეულობისა, რომლის დროსაც საშუალო კლასები და მათი გამომხატველი ზომიერი ელემენტები...» (ამრიგად, ზომიერი ელემენტები «გამოხატავენ» საშუალო კლასებს? — ეს არც ისე გამართულად არის ნათქვამი, მაგრამ საკმაოდ ნათელია პოლიტიკურად; გლეხობასა და მუშებს რომელიღა ელემენტები «გამოხატავენ»?) «კვლავ უკანა რიგში დაიხევენ უკიდურესი ელემენტების მიერ შთაგონებულ ხალხის მასათა სტიქიური მოწოლის გამო, — ან ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს გ ა ჯ ა ნ ს ა ღ ე ბ ა. პირველი გამოსავლის განხილვას ახლა ჩვენ არ შევუდგებით. რუსეთის პირობებში ჩვენ შეგნებულად ვდგავართ იმ თვალსაზრისზე, რომლითაც ჩვენთვის ერთნაირად გამორიცხულია შესაძლებლობა — როგორც ქმედითად ვისწრაფოდეთ ამ გამოსავლისაკენ, ისე თუნდ უბრალოდ ვისურვოთ იგი...» (გმადლობთ გულახდილობისათვის, ბ-ნო სტრუვე! აი ვისგან უნდა ესწავლათ ჩვენს ლიკვიდატორებს პირდაპირობა და გულახდი-

ლობა, ნაცვლად იმისა, რომ ღობე-ყორეს ედებოდნენ, როგორც ამას სჩადის ლ. მ. იანვრის «ნაშა ზარიაში»).

...«ამიტომ ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ პირდაპირ დავაყენოთ საზოგადოებრივი შეგნების წინაშე მეორე გამოსავალი, როგორც ისეთი მორიგი პრობლემა, რომელიც განხორციელებულ უნდა იქნას ყველა პროგრესულ და ამავე დროს დამცველ ძალთა ერთობლივი მოქმედებით».

მეორე გამოსავლის შესახებ ბ-ნი სტრუვე ვერაფერს, გარდა ცარიელი ფრაზებისა, სრულებით ვერაფერს ვერ ამბობს. ბურჟუაზია ზომიერების მომხრეა, მასები — «უკიდურესობისა», — ეს კი აღიარა ლიბერალმა ძალაუნებურად. ხოლო იმაზე, თუ როგორია გასაჯანსაღებელი «ხელისუფლების» სოციალური სტრუქტურა (წყობა, აღნაგობა), როგორია მისი კლასობრივი დასაყრდენი, სად გაქრნენ მემამულენი, ბურჟუაზიამდე რომ განუყოფლად ბატონობდნენ და გამგებლობდნენ, ყოველივე ამაზე ბ-ნ სტრუვეს გაფიქრებისაც კი ეშინია. უმწეობა, უძლურება, უიდეობა — აი ლიბერალური ბურჟუაზიის აუცილებელი თვისებები, სანამ იგი ქვემძრომობს (როგორც ბ-ნი სტრუვე და კომპ.) პურიშკევიჩთა წინაშე.

«რაგინდ უცნაურიც იყოს ეს, — წერს ბ-ნი სტრუვე, — მაგრამ არაფერი არ შეგვიძლია იმზომ ვუსურვოთ ხელისუფლებას, როგორც იმის დავიწყება, რომ იყო ოდესღაც ის მოვლენები და ფაქტები და განწყობილებანი, რომელთაც ჩვეულებრივ აღნიშნავენ, როგორც რუსეთის რევოლუციას».

ჩინებული, ღრმა, ჭკვიანური, სერიოზული პოლიტიკური რჩევაა! დაე «დაივიწყოს ხელისუფლებამ» — ხომ ივიწყებენ ხანდახან მოხუცები ყოველივე იმას, რაც კი მათ ემართებათ და მათს გარშემო ხდება!

თავიანთი ადლით ზომავენ სხვებს უდროოდ მოხუცებული რუსული ლიბერალიზმის წარმომადგენლები.

«პუტ პრავდი» № 18,
1914 წ. 21 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ნაროდნიკები ნ. კ. მიხაილოვსკის შესახებ

ნ. კ. მიხაილოვსკის სიკვდილის ათი წლისთავი (გარდაიცვალა 1904 წ. 28 იანვარს) აღინიშნა მრავალი ქება-დიდებითი სტატიის გამოქვეყნებით ლიბერალურ-ბურჟუაზიულ და ნაროდნიკულ (ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ) გაზეთებში. გასაკვირველი როდია, რომ ლიბერალები და ბურჟუაზიული დემოკრატები ადიდებენ ნ. კ. მიხაილოვსკის, მაგრამ შეუძლებელია უპროტესტოდ დავტოვოთ ჭეშმარიტების აღმაშფოთებელი დამახინჯება და პროლეტარული კლასობრივი შეგნების გარყვნა, როდესაც ცდილობენ მიხაილოვსკი სოციალისტად გამოიყვანონ და დაამტკიცონ, რომ შესაძლებელია მისი ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის შერიგება მარქსიზმთან.

მიხაილოვსკი იყო რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი და მის შეხედულებათა ერთ-ერთი საუკეთესო გამომხატველი წარსული საუკუნის უკანასკნელ მესამედში. გლეხთა მასას, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეათა ერთადერთი სერიოზული და მასობრივი (თუ ქალაქის წვრილ ბურჟუაზიას არ ჩავთვლით) მატარებელია რუსეთში, მაშინ ჯერ კიდევ ღრმა ძილით ეძინა. ამ მასის საუკეთესო ადამიანები და მიწი მძიმე მდგომარეობისადმი სიმპათიით აღსავსე ადამიანები, ეგრეთწოდებული რაზნოჩინცები — უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობა, მასწავლებლები და ინტელიგენციის

სხვა წარმომადგენლები — ცდილობდნენ გაენათლებინათ და გამოეფხიზლებინათ მძინარე გლეხური მასები.

მიხაილოვსკის დიდ ისტორიულ დამსახურებას რუსეთის განთავისუფლებისაკენ მიმართულ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობაში ის წარმოადგენს, რომ იგი მხურვალედ თანაუგრძნობდა გლეხების ჩაგრულ მდგომარეობას, ენერგიულად ებრძოდა ბატონყმური ჩაგვრის ყველა და ყოველნაირ გამოვლინებას, იცავდა ლეგალურ, აშკარა პრესაში — თუნდაც გადაკვრითი სიტყვებით — თანაგრძნობასა და პატივისცემას «იატაკქვეშეთისადმი», სადაც მოქმედებდნენ უაღრესად თანამიმდევარი და გაბედული დემოკრატი რაზნოჩინცები, და თვითონაც კი პირდაპირ დახმარებას უწევდა ამ იატაკქვეშეთს. ჩვენს დროში, როდესაც იატაკქვეშეთს ასე უსირცხვილოდ და ხშირად რენეგატულადაც ეკიდებიან არა მარტო ლიბერალები, არამედ როგორც ნაროდნიკული («რუსსკოე ბოგატსტვო»), ისე მარქსისტული ლიკვიდატორებიც, არ შეიძლება კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ მიხაილოვსკის ეს დამსახურება.

მაგრამ, თუმცა მიხაილოვსკი თავისუფლებისა და ჩაგრული გლეხური მასების მხურვალე მომხრე იყო, მას მაინც ახასიათებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის ყველა სუსტი მხარე. მას ეგონა, გლეხებისათვის მთელი მიწის გადაცემა, — განსაკუთრებით გამოუსყიდველად, — რაღაც «სოციალისტური» რამ არისო; ამიტომ მას «სოციალისტად» მიაჩნდა თავი. რა თქმა უნდა, ეს უდიდესი შეცდომაა, სავსებით მხილებული მარქსის მიერაც და ყ ვ ე ლ ა იმ ცივილიზებული ქვეყნის გამოცდილებითაც, სადაც ბურჟუაზიულ დემოკრატებს მ უ დ ა მ, ბატონყმობისა და აბსოლუტიზმის სრულ დამხობამდე, «სოციალისტებად» მიაჩნდათ თავი. გლეხებისათვის მთელი მიწის გადაცემა, განსაკუთრებით კი აღნიშნული პირობით, მეტად სასარგებლო ღონისძიებაა მებატონე-მემამულეთა ბატონობის დროს, მაგრამ ეს ღონისძიება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულია. ჩვენს დროში ყო-

ველმა გონიერმა სოციალისტმა იცის ეს. მთელი მსოფლიოს მთელი გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ, რაც უფრო მეტ მიწას (და რაც უფრო იაფად) ღებულობდნენ გლეხები მეყმევე ბატონებისაგან, რაც უფრო მეტი იყო «მიწა და თავისუფლება», მით უ ფ რ ო სწ რ ა ფ ა დ მიმდინარეობდა კაპიტალიზმის განვითარება, მით უ ფ რ ო მ ა ლ ე მეღავნდებოდა გლეხის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ბუნება. თუ ბ-ნ ნ. რაკიტნიკოვს («ვერნაია მისლის» № 3) დღემდე ვერ გაუგია ის, რომ პროლეტარიატის მიერ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დემოკრატიული გლეხობისათვის მებატონეთა წინააღმდეგ მხარისდაჭერა სრულიადაც არ არის «სოციალიზმი», მაშინ მხოლოდ გაღიმება გვმართებს ასეთი გულუბრყვილობის გამო. მოსაწყენია ისეთ შეცდომათა გაბათილება, რაც დიდი ხანია უკუგდებულია ყველა შეგნებული მუშის მიერ.

არამც თუ ეკონომიურ დარგში, არამედ ფილოსოფიასა და სოციოლოგიაშიც მიხაილოვსკის შეხედულებანი წარმოადგენენ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ შეხედულებებს, ვ ი თ ო მ დ ა «სოციალისტური» ფრაზით დაფარულს. ასეთია მისი «პროგრესის ფორმულა», მისი თეორია «ინდივიდუალობისათვის ბრძოლისა» და სხვ.. ფილოსოფიაში მიხაილოვსკიმ ნ ა ბ ი ჯ ი გადადგა უ კ ა ნ — ჩერნიშევსკისთან. რუსეთში უტოპიური სოციალიზმის უდიდეს წარმომადგენელთან, შედარებით. ჩერნიშევსკი მატერიალისტი იყო და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (ე. ი. XIX საუკუნის 80-იან წლებამდე) დასცინოდა იმ დათმობებს იდეალიზმისა და მისტიკის მიმართ, რასაც მოდური «პოზიტივისტები» (კანტიანელები, მახისტები და სხვ.) სჩადიოდნენ. ხოლო მიხაილოვსკი სწორედ ასეთ პოზიტივისტებს მისდევდა კუდში. დღემდეც მიხაილოვსკის მოწაფეთა შორის, ყველაზე «მემარცხენე» ნაროდნიკთა შორისაც კი (როგორიცაა ბ-ნი ჩერნოვი), ეს რეაქციული ფილოსოფიური შეხედულებებია გამეფებული.

მიხაილოვსკისა და ნაროდნიკების «სოციალიზმი» რომ მხოლოდ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ფრაზაა, ეს საბოლოოდ დაამტკიცა 1905 — 1907 წლებში ყველა კლასთა გამოსვლისა და მათი მასობრივი ბრძოლის გამოცდილებამ. როგორც I, ისე II სათათბიროში გლეხთა დეპუტატების უმრავლესობა მემარცხენე ნაროდნიკებს კი ა რ მიემხრო, არამედ «ტრუდოვიკებსა» და «სახალხო სოციალისტებს». ეს არის ფაქტი, რომლის დავიწყება ან დამახინჯება არ შეიძლება. და, მარქსისტების კვალდაკვალ, თვით მემარცხენე ნაროდნიკებიც კი, მაგ., ბბ. ვიხლიაევის, ჩერნოვისა და სხვ. სახით, იძულებული იყვნენ ეღიარებინათ შრომითი სახალხო სოციალისტების ბურჟუაზიულობა!!

დაე მემარცხენე ნაროდნიკების თანამგრძნობმა ცალკეულმა მუშებმა მოსთხოვონ თავიანთ მასწავლებლებს მემარცხენე ნაროდნიკების 1906 — 1907 წლების ყ ვ ე ლ ა ნაწერი «შრომითი სახალხო სოციალისტების» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

გლეხების მასობრივმა გამოსვლებმა ამ წლებში საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ გლეხობა სწორედ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ პოზიციაზე დგას. მემარცხენე ნაროდნიკობა, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ პატარა ფრთაა რუსეთის გლეხური (ე. ი. ბურჟუაზიული) დემოკრატიისა. მუშები მხარს უჭერდნენ და კვლავაც მხარს დაუჭერენ გლეხებს (მებატონეთა წინააღმდეგ), მაგრამ ამ კლასების ერთმანეთში არევა, სოციალისტურ პროლეტარიატში ბურჟუაზიული დემოკრატიის არევა რეაქციული ავანტიურაა. მის წინააღმდეგ გადაჭრით იბრძოლებს ყველა შეგნებული მუშა, განსაკუთრებით ახლა, როდესაც კლასების გამიჯვნა სავსებით დამტკიცებულია 1905 — 1907 წლების მასობრივი ბრძოლის დიადი გამოცდილებით და დღითი-დღე სულ უფრო და უფრო ნათლად ისახება ჩვენს სოფელში.

მიხაილოვსკი ძალიან დიდხანს იყო, ათ წელზე მეტს, «რუსსკოე ბოგატსტვოს» ლიტერატორთა ჯგუფის მეთაური

და სულისჩამდგმელი. მერე რა გამოვიდა ამ ჯგუფიდან დიად 1905 — 1907 წლებში?

გამოვიდნენ პირველი ლიკვიდატორები დემოკრატიის წრეში!

დაე მემარცხენე ნაროდნიკების თანამგრძნობმა ცალკეულმა მუშებმა მოსთხოვონ თავიანთ მასწავლებლებს «რუსსკოე ბოგატსტვოს» 1906 წლის აგვისტოს ნომერი და მემარცხენე ნაროდნიკების ყველა ის ნაწერი, სადაც ამ ჯგუფს «სოციალ-კადეტებსა» და სხვ. უწოდებდნენ!

მიხაილოვსკის ჯგუფმა წარმოშვა პირველი ლიკვიდატორები, რომლებმაც 1906 წლის შემოდგომაზე «ღია პარტია» გამოაცხადეს, ხელი აიღეს «იატაკქვეშეთსა» და მის ლოზუნგებზე, — 2 — 3 წლით ადრე, ვიდრე ჩვენმა, მარქსისტულმა, ლიკვიდატორებმა. მერე რა გამოვიდა ბბ. მიაკოტინების, პეშეხონოვებისა — და მიხაილოვსკის სხვა თანამოლაშქრეთა «ღია პარტიისაგან»? გამოვიდა ყოველგვარი პარტიის სრული არარსებობა, ნაროდნიკობის ოპორტუნისტთა «ღია» ჯგუფის სრული მოწყვეტა მასებისაგან.

მიხაილოვსკის, რომელსაც იატაკქვეშეთი არასოდეს არ უარუყვია (ანუ უფრო სწორად: რომელიც იმაზე ცოტა უფრო ადრე გარდაიცვალა, ვიდრე მისი ჯგუფი ლიკვიდატორობისაკენ გადავიდოდა), მთლიანად ვერ დავაკისრებთ პასუხისმგებლობას ბბ. პეშეხონოვების, მიაკოტინებისა და კომპ. უბადრუკი და საზიზღარი ოპორტუნიზმისათვის. მაგრამ განა დამახასიათებელი არ არის, რომ მიხაილოვსკისადმი მიძღვნილს «ვერნაია მისლის» № 3-ში ჩვენ კვლავ ვხედავთ «მემარცხენე» ნაროდნიკებისა და «რუსსკოე ბოგატსტვოს» «სოციალ-კადეტების» დამპალ ბლოკს (კავშირს)? და თუ გავიხსენებთ იმას, რას სწერდა მიხაილოვსკი ლავროვს რევოლუციონერებისადმი თავისი დამოკიდებულების შესახებ, განა მაშინ არ უნდა ვაღიაროთ, რომ «სოციალ-კადეტები», საერთოდ, მისი ერთგული განმგრძობნი არიან?

მიხაილოვსკის ხსოვნას ჩვენ პატივს ვცემთ მისი გულწრფელი და ნიჭიერი ბრძოლისათვის ბატონყმობის, «ბიუროკრატიისა» (ბოდიშს ვიხდი არაზუსტი სიტყვისათვის) და სხვ. წინაალმდეგ, იატაკქვეშეთისადმი მისი პატივისცემისა და დახმარებისათვის, მაგრამ არა მისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შეხედულებებისათვის, არა მისი რყევისათვის ლიბერალიზმისაკენ, არა მისი «რუსსკოე ბოგატსტვოს» «სოციალ-კადეტების» ჯგუფისათვის.

რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატია, ე. ი. პირველ რიგში გლეხობა, ლიბერალურ ბურჟუებსა და პროლეტარიატს შუა შემთხვევით კი არ მერყეობს, არამედ თავისი კლასობრივი მდგომარეობის გამო. მუშების საქმეა — დაუნდობლად ებრძოლონ «ნაროდნიკულ» მოძღვრებებს და ლიბერალების გავლენისაგან გაათავისუფლონ გლეხობა.

«პუტ პრავდი» № 19,
1914 წ. 22 თებერვალი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ა. ბოგდანოვის შესახებ

რედაქციის მიერ მიღებულია 13 «მემარცხენე ბოლშევიკის» ხელმოწერილი და წარწერით «თბილისი-კავკასია» წერილი შეკითხვით, თუ როგორ უცქერის რედაქცია ა. ბოგდანოვის თანამშრომლობას. წერილის ავტორები თავიანთ თავს ««ვპერიოდის» ჯგუფის იდეურ მომხრეებს» უწოდებენ, და მათი კილო ჩვენი გაზეთის მიმართ აშკარად და გარკვეულად მტრულია.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ და სამუდამოდ ავუხსნათ მათ საქმის ვითარება.

რატომ გახდა შეუძლებელი ა. ბოგდანოვის თანამშრომლობა მუშათა იმ ჟურნალ-გაზეთებში, რომელნიც თანამიმდევრული მარქსიზმის თვალსაზრისს ადგანან? — იმიტომ. რომ ა. ბოგდანოვი მარქსისტი არ არის.

წერილის ავტორები დასდგომიან იმ გზას, რომელიც ნაკარნახევია თვით ბოგდანოვის წერილით ლიკვიდატორულ გაზეთში, და იმის ახსნას, თუ რატომ გაქრა ა. ბოგდანოვი ჩვენი გაზეთების ფურცლებიდან, ეძებენ რაღაც პირად დამოკიდებულებაში, ცალკეულ პირთა მზაკვრობაში და სხვ.. ყოველივე ეს ერთიანი მიქარვაა, რაც არც განხილვისა და არც განმარტების ღირსი არ არის. საქმის ვითარება გაცილებით უფრო მარტივია და ნათელი.

წერილის ავტორები რომ «პიროვნებებით» კი არ ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი, არამედ მარქსისტების ორგანი-

ზაციულ და იდეურ ურთიერთობათა ისტორიით, მათ ეცოდინებოდათ, რომ ჯერ კიდევ 1909 წლის მაისში ბოლშევიკების სრულუფლებიანმა კრებამ დაწვრილებითი და ხანგრძლივი წინასწარი დისკუსიის შემდეგ თავიდან მოიხსნა პასუხისმგებლობა ა. ბოგდანოვის ლიტერატურულ-პოლიტიკური გამოსვლებისათვის[42]. წერილის ავტორები რომ ნაკლებ მნიშვნელობას აძლევდნენ ობიექტიურ ჭორებსა და მითქმა-მოთქმას, ამის მაგივრად კი მეტ ანგარიშს რომ უწევდნენ იდეურ ბრძოლას მარქსისტებს შორის, მაშინ მათ ეცოდინებოდათ, რომ ა. ბოგდანოვმა თავის წიგნებში განსაზღვრული სოციალურ-ფილოსოფიური სისტემა შექმნა და რომ ამ სისტემის, როგორც არა მარქსისტული და ანტიმარქსისტული სისტემის, წინააღმდეგ გაილაშქრა ყველა მარქსისტმა, განურჩევლად ფრაქციისა. ყველამ, ვინც კი დაინტერესებულია მარქსიზმისა და მუშათა მოძრაობის ისტორიით რუსეთში, იცის, ხოლო ვინც არ იცის, მან უნდა შეისწავლოს, წაიკითხოს და გაიგოს, რომ მუშათა გაზეთში ა. ბოგდანოვის თანამშრომლობის საკითხს იქით უფრო არსებითი, პრინციპული საკითხი დგას — მარქსის ფილოსოფიასა და ა. ბოგდანოვის მოძღვრებას შორის არსებული დამოკიდებულების შესახებ. ეს საკითხი გარჩეული, განხილული და გადაღეჭილია წიგნებსა, ბროშურებსა და სტატიებში. პოლიტიკური თვალსაზრისი მუშათა პრესაში ამა თუ იმ ლიტერატორის თანამშრომლობის შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ ამაზე ვმსჯელობდეთ არა მწერლის სტილის, გონებამახვილობისა და პოპულარიზატორული ნიჭის თვალსაზრისით, არამედ მთლიანად მისი მიმართულების მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რა შეაქვს მას თავისი მოძღვრებით მუშათა მასებში. მარქსისტები დარწმუნებული არიან, რომ ა. ბოგდანოვის ლიტერატურული მოღვაწეობის ერთობლიობა წარმოადგენს ცდას — ჩაუნერგოს პროლეტარიატის შეგნებას ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა შეთითხნილი იდეალისტური წარმოდგენანი.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს ასე არ არის, რომ მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძველთა შესახებ კამათში პლეხანოვი კი არაა მართალი, და არც ილინი[43], არამედ ბოგდანოვი, მაშინ იგი უნდა გამოვიდეს კიდევაც ბოგდანოვის სისტემის დაცვით და არა იმაზე მითითებით, რომ ბოგდანოვის ამა თუ იმ პოპულარულ სტატიას შეუძლია ადგილი პოვოს მუშათა გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ მარქსისტთა წრეში ბოგდანოვის სისტემის დამცველი ჩვენ არავინ გვეგულება. მისი მოძღვრების წინააღმდეგ მარტო მისმა «ფრაქციულმა» მოწინააღმდეგეებმა კი არ გაილაშქრეს, არამედ პოლიტიკური ჯგუფით მისმა ყოფილმა თანამშრომლებმაც.

ასეა ბოგდანოვის საქმე. მისი ცდა მარქსიზმის «შეცვლისა» და «შესწორებისა» — გარჩეულია მარქსისტების მიერ და ისეთ ცდად არის აღიარებული, რომელიც ეუცხოვება თანამედროვე მუშათა მოძრაობის დედაარსს. იმ ჯგუფებმა, რომლებთანაც ერთად ის მუშაობდა, პასუხისმგებლობა მოიხსნეს მისი ლიტერატურული და ყოველგვარი სხვა მოღვაწეობისათვის. ამის შემდეგ, როგორც გნებავთ, ისე შეგიძლიათ უცქიროთ ბოგდანოვს, მაგრამ მისთვის ადგილის მოთხოვნა მუშათა პრესის ფურცლებზე, რომელიც მოწოდებულია მარქსიზმის ანბანი განავითაროს, ნიშნავს — არ გესმოდეს არც მარქსიზმი, არც ბოგდანოვის მოძღვრება და არც მუშათა მასების მარქსისტული განათლების ამოცანები.

მუშათა მასების განათლების ამ საქმეში, რომელსაც ჩვენი გაზეთი ემსახურება, ჩვენ და ბოგდანოვი სულ სხვადასხვა გზით მივდივართ, ვინაიდან ჩვენ და მას სულ სხვადასხვანაირად გვესმის ეს განათლება. აი რაშია საქმის დედაარსი, რასაც თავკერძულად აბნელებენ პირად დამოკიდებულებაზე გადაკვრითი ლაპარაკით. იმ მუშებმა, ვისთვისაც ძვირფასია მათი გაზეთის მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, ძველ ნაგავსავით უნდა უკუაგდონ ყველა ეს ცდა საქმის ამა თუ იმ ლიტერატორთა «პიროვნებებზე» გადატანისა, ისინი უნდა გაერკვნენ ბოგდანოვის მოძღვრების ხასიათის საკითხში. ხოლო ამაში გარ-

კვევას რომ დაიწყებენ, ისინი ჩქარა მივლენ იმ დასკვნამდე. რა დასკვნამდეც ჩვენ მივედით: ერთია მარქსიზმი და სულ სხვაა ბოგდანოვის მოძღვრება. მუშათა გაზეთმა კი უნდა გაწმინდოს პროლეტარიატის შეგნება ბურჟუაზიულ-იდეალისტური მინარევისაგან — და არა შემოგვთავაზოს თავის ფურცლებზე ეს ძნელად მოსანელებელი ნარევი.

მაგრამ «პრავდამ» ხომ მაინც დაბეჭდა ა. ბოგდანოვის რამდენიმე სტატიაო, გვეტყვიან ჩვენ. დიახ, დაბეჭდა.

მაგრამ ეს, როგორც ახლა ყველასათვის ცხადი გახდა, მხოლოდ შეცდომა იყო, აუცილებელი ისეთ ახალ საქმეში, როგორიცაა პირველი მუშათა გაზეთის გამოცემა რუსეთში. ამ საქმის საჭესთან მდგომ ამხანაგებს იმედი ჰქონდათ, რომ ბოგდანოვის მიერ გაზეთისათვის წარმოდგენილ პოპულარულ სტატიებში მარქსისტული ანბანის პროპაგანდა უკანა რიგში დააყენებდა ბოგდანოვის მოძღვრების სპეციალურ თვისებებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს იმედი არ გამართლდა. პირველი — ცოტად თუ ბევრად ნეიტრალური — სტატიების შემდეგ ბოგდანოვისაგან მივიღეთ სტატია, სადაც იგი აშკარად ცდილობდა გადაექცია მუშათა გაზეთი არა მარქსიზმის, არამედ თავისი ემპირიომონიზმის პროპაგანდის იარაღად. ამ თავის სტატიას ა. ბოგდანოვი, ეტყობა, ისეთ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მის შემდეგ, ე. ი. 1913 წ. გაზაფხულს აქეთ, აღარავითარი სტატია არ გამოუგზავნია.

მაშინ თანამშრომლობის საკითხი რედაქციის წინაშე პრინციპულად წამოიჭრა და იმგვარად გადაწყდა, როგორც მკითხველებმა იციან.

ახლა რამდენიმე სიტყვა «ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ. ჩვენს გაზეთში მას «ავანტიურისტული» ჯგუფი ვუწოდეთ *.

იმის გამო, რომ წერილის ავტორებს უნარი არა აქვთ — პოლიტიკურად იაზროვნონ, და არა ობივატელურად, მათ აქაც დაინახეს რაღაც ნიშნება ჯგუფის წევრთა პიროვნებაზე.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 100. რ ე დ.

ესეც უაზრობაა. «ავანტიურისტულს» მარქსისტები ისეთი ჯგუფების პოლიტიკას უწოდებენ, რომლებიც მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგზე არ დგანან, — მაგალითად, ანარქისტებისას, ტერორისტ-ნაროდნიკებისას და სხვ.. ვერავინ გაბედავს იმის უარყოფას, რომ ვპერიოდელები იხრებოდნენ ანარქო-სინდიკალიზმისაკენ, რომ ისინი ხელს უმართავდნენ ლუნაჩარსკის «ღვთისმშენებლობას», ბოგდანოვის იდეალიზმს, სტ. ვოლსკის თეორიულ-ანარქისტულ ჩვევებს და სხვ.. და რამდენადაც ვპერიოდელთა პოლიტიკა ანარქიზმსა და სინდიკალიზმში გადადიოდა, იმდენად ყოველი მარქსისტი ამ პოლიტიკას ავანტიურიზმის პოლიტიკას უწოდებს.

ეს მხოლოდ ფაქტია, «ვპერიოდის» ჯგუფის სრული დარღვევით დადასტურებული. როგორც კი მუშათა მოძრაობა ცოცხალ აღორძინდა, ეს ჯგუფი, შეკოწიწებული სხვადასხვა-გვაროვანი ელემენტებისაგან, რომლებიც მოკლებული იყვნენ გარკვეულ პოლიტიკურ ხაზს, კლასობრივი პოლიტიკისა და მარქსიზმის საფუძველთა გაგების უნარს, — სავსებით დაიშალა.

ამ ჯგუფების გვერდის ავლით, «ემპირიომონისტების», «ღვთისმშენებლების», «ანარქისტებისა» და სხვ. გვერდის ავლით მუშათა მოძრაობა წავა წინ მარქსიზმის დროშით.

«პუტ პრავდი» № 21,
1914 წ. 25 თებერვალი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რედაქციისაგან ვეტერანის სტატიისადმი: «ნაციონალური საკითხი და ლატვიელი პროლეტარიატი»

სიამოვნებით ვათავსებთ ამხ. ვეტერანის[44] სტატიას, სადაც მოცემულია ისტორიული ნარკვევი ნაციონალური საკითხისა საზოგადოდ ლატვიელებში და განსაკუთრებით ლატვიელ სოც.-დემოკრატებში. ზაფხულის (1913 წ.) თათბირის გადაწყვეტილების ცვლილებათა ან დამატებათა პროექტების წარმოდგენა ლატვიელი მარქსისტების მხრით ფრიად სასურველი იქნებოდა. ლატვიელ სოც.-დემოკრატებს დიდი ხანია სიმპათია აქვთ ბუნდისადმი, მაგრამ ეს სიმპათია უკვე შეირყა, ჯერ-ერთი, მარქსისტების თეორიული კრიტიკის გამო; მეორეც, ბუნდელების პრაქტიკული სეპარატიზმის გამო განსაკუთრებით 1906 წლის შემდეგ. ვისურვოთ, რომ ნაციონალურ საკითხზე დისკუსია ლატვიელ სოც.-დემოკრატებს შორის კიდევ გაგრძელდეს და სავსებით გარკვეულ გადაწყვეტილებათა მიღებით დამთავრდეს.

ამხ. ვეტერანის შენიშვნათა გამო არსებითად მხოლოდ შემდეგს ვიტყვით. მას დამაჯერებლად არ მიაჩნია ჩვენი მითითება შვეიცარიაზე *, ვინაიდან იქ სამივე ერი ისტორიული და იმთავითვე, თანასწორუფლებიანიაო. მაგრამ «უისტორიო ერებისათვის» შეუძლებელია სხვაგან ვეძებოთ (გარდა უტოპიისა) მაგალითი და ნიმუში, თუ არ ისტორიულ ერთა შორის. ხოლო ერების თანასწორუფლებიანობას თვით «კულტუ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 5. რ ე დ.

რულ-ნაციონალური ავტონომიის» მომხრენიც გულისხმობენ. მაშასადამე, ცივილიზებული კაცობრიობის გამოცდილება გვეუბნება, რომ ერთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და თანამიმდევრული დემოკრატიზმის პ ი რ ო ბ ე ბ შ ი «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ზედმეტია; ამ პირობათა გ ა რ ე შ ე კი იგი უტოპიად რჩება, და მისი პროპაგანდა დახვეწილი ნაციონალიზმის ქადაგებას ნიშნავს.

«პროსვეშჩენიე» № 2,
1914 წ. თებერვალი

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

წინასიტყვაობა კრებულისა: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» [45]

წინამდებარე კრებული შესდგება 1909 — 1914 წლებში დაწერილი სტატიებისაგან. ეს სწორედ ის ეპოქაა რუსეთის მუშათა მოძრაობისა, როცა უკანასკნელი განსაკუთრებით დიდ სიძნელეებს განიცდიდა. მაგრამ მარქსისტები არ კმაყოფილდებოდნენ და ვერც დაკმაყოფილდებოდნენ ამ სიძნელეთა უბრალო აღნიშვნით, უბრალო ჩივილით საყოველთაო რღვევასა, დაშლაზე და სხვ.. საჭირო იყო იმის გამორკვევა, თუ როგორია რღვევის ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები რუსეთის კაპიტალისტური განვითარების განსაკუთრებული ეტაპის თვალსაზრისით, როგორია ამ დაშლის გამომხატველი ყველაზე უფრო ფართო მიმდინარეობის, სახელდობრ ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ უ ლ ი მიმდინარეობის, კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი მნიშვნელობა.

ძირითადი პასუხი მუშათა მოძრაობისათვის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე მოცემულია მარქსისტების მიერ 1908 წლის დეკემბერში გამოტანილ სავსებით ზუსტ, ჩამოყალიბებულ და ოფიციალურ გადაწყვეტილებათა სახით. საჭირო იყო ამ გადაწყვეტილებათა განმარტება, გავრცელება და ეკონომიური და პოლიტიკური მოძრაობის საყოველდღეო საკითხებისათვის გამოყენება. სწორედ ასეთი დამუშავებაა მოცემული იმ სტატიებში, რომლებსაც ამ კრებულში მოვუყარეთ

თავი, — სამწუხაროდ, ძალიან არასრული სახით, «რედაქციისაგან დამოუკიდებელ» მიზეზთა გამო.

ამჟამად, როცა თითქმის ორი წელიწადია, რაც პეტერბურგში ყოველდღიური მარქსისტული პრესა არსებობს, ლიკვიდატორობის მნიშვნელობისა და შეფასების საკითხი, არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც, უკვე სავსებით თვით მუშებს გ ა დ ა ე ც ა — თუ შეიძლება ასე ითქვას — გადასაჭრელად. ესაა უდიდესი ბედნიერება რუსეთის მუშათა მოძრაობისათვის და დიადი ნიშანი მისი სიმწიფისა. თვით შეგნებული მუშები ეძებენ და მოსძებნიან სიმართლეს, გამოარკვევენ ლიკვიდატორობის კლასობრივ მნიშვნელობას, თავიანთი მასობრივი მოძრაობის პრაქტიკით შეამოწმებენ მის შეფასებას, გამოიმუშავებენ მასთან ბრძოლის მიზანშეწონილ ხერხებს.

ამ კრებულის გამოცემით ჩვენ გვინდა დახმარება გავუწიოთ ყველა იმ მუშას, ვინც დაინტერესებულია თავისი კლასის მოძრაობის ბედით. სტატიები აქ ქრონოლოგიური რიგით კი არ არის განლაგებული, არამედ თ ე მ ე ბ ი ს მიხედვით, თეორიიდან პრაქტიკაზე გადასვლისდა კვალად (დაახლოებით).

პირველ რიგში (1-ლი განყოფილება) დაყენებულია ის ძირითადი საკითხები, რომელთა გადაუჭრელად ლაპარაკიც კი არ შეიძლება გონივრულ ტაქტიკასა და პოლიტიკაზე საზოგადოდ. მკითხველი აქ ნახავს ისტორიული მომენტისა და მარქსისტულ მიმდინარეობათა ბრძოლის კლასობრივი მნიშვნელობის შეფასებას, — შემდეგ, პროლეტარიატის ჰეგემონიის საკითხის განხილვას ლიკვიდატორთა მთავარი «შრომის» («საზოგადოებრივი მოძრაობა») კრიტიკასთან დაკავშირებით, — ბოლოს, სტატიებს ბურჟუაზიის «გამემარცხენების» საკითხზე.

ამას მოსდევს (მე-2 განყოფილება) სტატიები საარჩევნო კამპანიაზე, IV სათათბიროს არჩევნების შედეგებსა და სათათბიროს ტაქტიკაზე.

შემდეგი ადგილი (მე-3 განყოფილება) უჭირავს «ღია პარტიის» საკითხს და მასთან განუყრელად დაკავშირებულ ერთიანობის საკითხს.

მეოთხე. განყოფილება ეხება ლიბერალურ მუშათა პოლიტიკას მისი სხვადასხვაგვარად გამოყენების მხრივ. რეფორმიზმის საერთო შეფასების შემდეგ აქ განხილულია «ნაწილობრივ მოთხოვნათა», კოალიციის თავისუფლების, საგაფიცვო მოძრაობის, ლიბერალებისადმი ლიკვიდატორთა და პირუკუ დამოკიდებულების საკითხები.

დასასრულ, უკანასკნელი თემაა (მე-5 განყოფილება) ლიკვიდატორები და მუშათა მოძრაობა. აქ მკითხველი ნახავს ლიკვიდატორობის ერთ-ერთი ბელადის (კოლცოვის) მიერ თავის მთავარ ნაშრომში მოცემულს 1905 — 1907 წლების მუშათა მოძრაობის შეფასებასაც, — პრაქტიკაში ლიკვიდატორებისადმი მუშების დამოკიდებულების საკითხის გარჩევასაც, — და ყველაზე საჭირვარამო მასალასაც სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნის ისტორიისათვის.

«ბოლოსიტყვაობაში» მოცემულია ცდა ზოგიერთი საერთო დასკვნის გამოყვანისა თანამედროვე მუშათა მოძრაობაში არსებულ მიმდინარეობათა ბრძოლის საკითხზე.

თავს ნებას ვაძლევთ იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი კრებული მუშებს გაუადვილებს სადავო საკითხებზე მონაცემთა მონახვასა და შესწავლას. თავისთავად ცხადია, ძალიან ბევრისა და ძალიან მნიშვნელოვანის მოყვანა ჩვენ ა რ შ ე გ ვ ე ძ ლ ო. მეორე მხრივ, სხვადასხვა ავტორის მიერ მთელი რიგი წლების განმავლობაში დაწერილი სტატიების კრებულში განმეორებანი აუცილებელია. არის, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური განსხვავებაც ავტორებს შორის. მაგრამ ყველა მათი სტატია მთლიანად არის მხოლოდ კომენტარი (განმარტება), გამოყენება გაფორმებული მარქსისტული გადაწყვეტილებებისა, რომელთა აღიარებაც განასხვავებს, სხვათა შორის, შეგნებულ ორგანიზებულ მუშა-მარქსისტებს მუშათა

პარტიის ლიკვიდატორებისა და იმ ადამიანებისაგან, რომელნიც მას სცილდებიან. ამ გადაწყვეტილებათა ნათელყოფა და შემოწმება, შესაძლოა, დროთა განმავლობაში მათი სათანადოდ შესწორებისა და შევსების გაადვილება — ასეთია ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

1914 წ. თებერვალი.

დაბეჭდილია 1914 წელს კრებულში: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», ნაწილი II. გამომც. «პრიბოი», ს.-პეტერბურგი

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

პოლიტიკური დავა ლიბერალებს შორის

გასულ პარასკევს «პუტ პრავდი»-მ (№ 18) მოათავსა სტატია «ბ-ნი სტრუვე «ხელისუფლების გაჯანსაღების» შესახებ» *, რითაც თავის მკითხველებს გააცნო რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება ერთ-ერთი უაღრესად გულახდილი და თანამიმდევარი კონტრრევოლუციური ლიბერალის მიერ.

მეორე დღეს გაზეთმა «რეჩმა» მოათავსა ბ-ნ მილიუკოვის უზარმაზარი, «პრინციპული» ფელეტონი ბ-ნ სტრუვეს «წინააღმდეგ» — უკანასკნელის მიერ ხელისუფლების გაჯანსაღების შესახებ დაწერილი იმავე სტატიის გამო. სასარგებლოა შევჩერდეთ ამ ორი ლიბერალის დავაზე, ვინაიდან, ჯერ-ერთი, დავა ეხება რუსეთის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, და, მეორეც, დავა ააშკარავებს ბურჟუაზიულ მოღვაწეთა ორ პოლიტიკურ ტიპს. ეს კი ისეთი ტიპებია, რომლებსაც დიდხანს, ათეულ წელთა განმავლობაში, არსებითი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნებათ რუსეთში და რომლებსაც ამგვარივე მნიშვნელობა აქვთ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. თავისი ინტერესების გულისთვის პროლეტარიატი უნდა იცნობდეს ამ ტიპებს.

უკანასკნელ წლებში თავისი თვალსაზრისი ბ-მა სტრუვემ სრულად და განსაკუთრებით ნათლად გამოთქვა წიგნში «ვეხი» [45]. ესაა თვალსაზრისი კონტრრევოლუციური ლიბერალისა, რელიგიის (და ფილოსოფიური იდეალიზმის, რო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 126 — 128. რედ.

გორც მისკენ წამყვანი ყველაზე საიმედო და «მეცნიერული» გზის) მომხრისა, დემოკრატიის მოწინააღმდეგისა. ესაა ნათელი, მკაფიო თვალსაზრისი, რომელსაც პიროვნული კი არა, — კლასობრივი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან 1907 — 1914 წლებში რუსეთის ოქტიაბრისტული და კადეტური ბურჟუაზიის მთელი მასა ნამდვილად სწორედ ამ თვალსაზრისზე იდგა.

საქმის არსია როგორც ოქტიაბრისტული, ისე კადეტური ბურჟუაზიის მარჯვნივ შემობრუნება, დემოკრატიისაგან მისი ჩამოშორება. საქმის არსი ისაა, რომ ამ ბურჟუაზიას ხალხისა უფრო ეშინია, ვიდრე რეაქციისა. საქმის არსი ისაა, რომ ეს შემობრუნება გამოწვეულია არა შემთხვევითობით, არამედ პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლით. საქმის არსი ისაა, რომ სტრუვემ, შემდეგ კი მაკლაკოვმა სხვა კადეტებზე უფრო გულახდილად თუ თქვეს სიმართლე თავიანთი კლასის, თავიანთი პარტიის შესახებ.

ეს სიმართლე თვალებში ეჩხირებოდათ კადეტთა პარტიის იმ დიპლომატებს (და ბ-ნ მილიუკოვს, როგორც მათს მეთაურს), რომელთაც საჭიროდ მიაჩნიათ დემოკრატიასთან ლაციცი, რადგან ჰგონიათ, რომ ამ დემოკრატიის როლი ჯერ სავსებით არ დამთავრებულა და რომ, შესაძლებელია, ბურჟუაზიას ისეთ წესწყობილებაში მოუხდეს ცხოვრება და მოქმედება, რომელსაც მარტო პურიშკევიჩები კი არ ქმნიან, არამედ — ვინ იცის — ისეთ წესწყობილებაში, რომელსაც ქმნის დემოკრატია, «ბრბო», «ქუჩა», მუშები.

ბ-ნი მილიუკოვი იმავე ხაზს მისდევს, რასაც ბ-ნი სტრუვე და ბ-ნი მაკლაკოვი მისდევენ, მაგრამ მას სურს დაფაროს ეს ხაზი, თავი მოაწონოს საზოგადოებას, მოატყუოს დემოკრატია და უკან გაიყოლიოს იგი. ამიტომაც ბ-ნი მილიუკოვი ისე აჩვენებს თავს, თითქოს ედავება «ვეხის», ედავება სტრუვეს, თითქოს აბათილებს მაკლაკოვის აზრს, ნამდვილად კი ის მხოლოდ ასწავლის სტრუვესა და მაკლაკოვს — უფრო ეშმაკურად დამალონ თავიანთი აზრები.

ბ-ნ მილიუკოვის იმ გრძელი ფელეტონის მთავარ ღერძს, რომელიც სტრუვეს წინააღმდეგ არის მიმართული, შეადგენს სტრუვესათვის «გამოუვალ არევდარევაში» ბრალის დადება.

გაგულისებით და მაგრად არის ნათქვამი — არა?

მერე რაში მდგომარეობს არევდარევა? იმაში, რომ სტრუვეს «ოპტიმისტურად» სწამს ხელისუფლების გაჯანსაღება, თუმცა თვითონვე ამბობს, ხელისუფლებას გაკვეთილები არ გამოაქვს «შერყევათაგან» და ამით მათ აუცილებელს ხდისო. გამოსავალი, ბ-ნ სტრუვეს აზრით, ან «არეულობაა», ანდა ხელისუფლების გაჯანსაღება. ხოლო პირველი გამოსავლისაკენ სტრუვეს არა სურს არც «ქმედითად ისწრაფოდეს» და არც თუნდ «ისურვოს» იგი.

სტრუვეს მართლაც აქვს არევდარევა, მაგრამ ი გ ი ვ ე საკუთარ და მთლიანად აქვს მ ი ლ ი უ კ ო ვ ს ა ც. ვინაიდან კ.-დ. პარტიასაც, — მისი ბელადი კი მილიუკოვია, — აგრეთვე არ შეუძლია არც «ისურვოს» პირველი გამოსავალი, არც «ქმედითად ისწრაფოდეს მისკენ».

სიტყვები კი არ ამტკიცებენ ამას (სულელია ის, ვინც პოლიტიკაში ადამიანებსა და პარტიებს მათი სიტყვების მიხედვით აფასებს), არამედ ს ა ქ მ ე ე ბ ი, ე. ი. კ.-დ. პარტიის მ თ ე ლ ი ი ს ტ ო რ ი ა 1905 წლიდან 1914 წლამდე, თითქმის მთელი ათწლეულის განმავლობაში.

კ.-დ. პარტიას უფრო ეშინია მუშებს მიემხროს (პროგრამა-მინიმუმის საკითხებში, რასაკვირველია), ვიდრე პურიშკევიჩებისაგან იყოს დამოკიდებული.

ეს შეეხება მთელ პარტიას, მთელ კადეტურ და ოქტიაბრისტულ ბურჟუაზიას, და პირდაპირ სასაცილოა მილიუკოვი, როდესაც აქედან ის ცდილობს მხოლოდ სტრუვეს საწინააღმდეგო საყვედური გამოიყვანოს.

ისტორიის ვამოცდილება ყველა ქვეყანაში გვიჩვენებს პროგრესის მოსურნე ბურჟუაზიის მერყეობას იმ საკითხში, მუშების მხარეს დადგეს იგი თუ პურიშკევიჩებისაგან იყოს დამოკიდებული. ყველა ქვეყანაში — და რაც უფრო ცივი-

ლიზებულია, რაც უფრო თავისუფალია ქვეყანა, მით უფრო მეტად — ბურჟუაზიის პოლიტიკოსთა ორ ტიპს ვხედავთ. ერთი ტიპი გულახდილად მიიწევს რელიგიისაკენ, პურიშკევიჩებისაკენ, დემოკრატიასთან პირდაპირი ბრძოლისაკენ და ცდილობს თანამიმდევრულ-თეორიულად დაასაბუთოს ეს სწრაფვა. მეორე ტიპი სპეციალდება დემოკრატიასთან ლ ა ც ი ც ი თ სწორედ ამ სწრაფვის დ ა ფ ა რ ვ ა შ ი.

დიპლომატიური მილიუკოვები ყველგან არიან, და მუშებმა უნდა იცოდნენ «მელის კუდის» ერთბაშად გამოცნობა.

«პუტ პრავდი» № 25,
1914 წ. 1 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

«მშრომელი» გლეხობა და მიწით ვაჭრობა

მემარცხენე ნაროდნიკების ლაპარაკი «მშრომელ» გლეხობაზე მუშების სოციალისტური შეგნების ისეთ აღმაშფოთებელ მოტყუებასა და გარყვნას წარმოადგენს, რომ საჭიროა ერთხელ კიდევ და კიდევ შევჩერდეთ ამ მოტყუების გარჩევაზე.

რაც უფრო კოპწიაობენ ჩვენი მემარცხენე ნაროდნიკები უშინაარსო ზოგადი ფრაზებით და ტკბილ-ტკბილი სიტყვებით, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება დავუპირისპიროთ მათ ზუსტი მონაცემები გლეხური მეურნეობის შესახებ.

ისე არაფერი აშინებს მემარცხენე ნაროდნიკს, როგორც ზუსტი მონაცემები გლეხური ბურჟუაზიისა და გლეხური პროლეტარიატის შესახებ.

ავიღოთ მონაცემები უკანასკნელი საერობო-სტატისტიკური ნაშრომისა მოსკოვის ახლობლად მცხოვრებ გლეხთა შესახებ [47]. სოფლის მეურნეობამ აქ, შედარებით, უაღრესად სავაჭრო ხასიათი მიიღო, მებაღეობისა და მებოსტნეობის უდიდესად განვითარების გამო. ბაზრის ბატონობის მხრივ უფრო განვითარებული ადგილის მაგალითი მით უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ყოველი გლეხური მეურნეობის ძირითად ნიშნებს კაპიტალიზმის ბატონობის დროს.

მოსკოვსახლობელი გლეხური მეურნეობის პირველი რაიონი (ჩვენ ვიღებთ მხოლოდ პირველ რაიონს, რადგან

სტატისტიკოსებს, სამწუხაროდ, საერთო შეჯამება არ მოუციათ) ორი ათასზე მეტ გლეხურ მეურნეობას მოიცავს. ეს რიცხვი საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ შევისწავლოთ «მშრომელი» გლეხობის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის **არსებული ტიპიური ურთიერთობა.**

საინტერესოა, რომ კაპიტალისტური მიწათმოქმედება აქ, ჩვეულებრივს მიწაზე, მეურნეობის უაღრესად მცირე ოდენობის პირობებში ყალიბდება. 2 336 გლეხურ მეურნეობას 4 253 დესეტინა სანადელო მიწა აქვს — მეურნეობაზე საშუალოდ 2 დესეტინაზე ნაკლები. თუ ამას 1 761 დესეტინა იჯარით აღებულ მიწას მივუმატებთ და 625 დესეტინა იჯარით გაცემულ მიწას გამოვაკლებთ, მივიღებთ 5 389 დესეტინას — ორ დესეტინაზე ნაკლებს თვითეულ მეურნეობაზე. და, მიუხედავად ამისა, გლეხთა ორ მესამედს დაქირავებული მუშები ჰყავს!

რაც უფრო მაღალია სამიწათმოქმედო ტექნიკის დონე, რაც უფრო ინტენსიურია მეურნეობა, რაც უფრო ძლიერია ბაზრის გავლენა, მით უფრო ხშირად ვხვდებით მსხვილ წარმოებას მიწის წვრილ ნაკვეთებზე. ეს მუდამ ავიწყდებათ ბურჟუაზიულ პროფესორებს და ჩვენს მემარცხენე ნაროდნიკებს, რომლებიც აღტაცებული არიან წვრილი (მიწის რაოდენობის მხრივ) მეურნეობებით და ჩქმალავენ მუშების დამქირავებელ თანამედროვე წვრილ მეურნეობათა კაპიტალისტურ ხასიათს.

განვიხილოთ სანადელო მიწის სავაჭრო ბრუნვა. მიწების იჯარით აღებისა და გაცემის ციფრებიდან ჩანს, რომ ეს სავაჭრო ბრუნვა მეტად მნიშვნელოვანია. იჯარით აღებული მიწის დაახლოებით ნახევარი სანადელო მიწას ეკუთვნის. სულ იჯარით იცემა 625 დესეტინა სანადელო მიწა, ხოლო იჯარით იღებენ 845 დესეტინას. ცხადია, ძველი სანადელო მიწათმფლობელობა, მთელი თავისი ხასიათით ბატონყმურობასა და შუასაუკუნეობრიობასთან დაკავშირებული, დაბრკოლებად იქცევა თანამედროვე სავაჭრო და

კაპიტალისტური ბრუნვისათვის. კაპიტალიზმი ა მ ს ხ ვ რ ე ვ ს ძველ სანადელო მიწათმფლობელობას. მეურნეობა ს ა ხ ა ზ ი ნ ო ნადელს კი არ ეგუება, არამედ მოითხოვს მიწის თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ სავაჭრო ბრუნვას, თავისუფლად მის იჯარით აღებას და გაცემას, რაც შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, ბურჟუაზიული ეკონომიური წყობის მოთხოვნებს.

ავიღოთ გლეხური პროლეტარიატი. მას უწინარეს ყოვლისა უნდა მივაკუთვნოთ 405 კომლი (2 336-დან), უმიწონი და მეურნეობისათვის ნახევარ დესეტინამდე მიწის მქონენი. ამ 405 კომლს 437 დესეტინა სანადელო მიწა აქვს. მაგრამ ესენი ღარიბნი არიან, თითქმის ყველა უცხენონი. მეურნეობის გაძღოლა მათ არ შეუძლიათ. და აი ისინი იჯარით იძლევიან 372 დესეტინას — თავიანთი მიწის უმეტეს ნაწილს, თვითონ კი დაქირავებულ მუშებად იქცევიან: 405 კომლიდან 376 კომლს «გაჰყავს» ან სოფლის ანდა სამრეწველო მუშები, რომლებიც მიწათმოქმედებას სწყდებიან.

ავიღოთ ყველაზე მდიდარი გლეხური ბურჟუაზია. 526 კომლს მეურნეობაში 3 დესეტინაზე მეტი მიწა აქვს: ეს უკვე კაპიტალისტური მიწათმოქმედებაა საბაღო და საბოსტნო მეურნეობით. 526 მეურნიდან 509 ქირაობს მუშებს. 1 706 მეოჯახე მუშიდან მათზე მოდის 1 248 დაქირავებული მუშა (წლიური და ვადიანი), თუ არ ჩავთვლით კიდევ დღიურ მუშებს (51 ათასი დღიური სამუშაო დღე).

მიწა მათ 1 540 დესეტინა აქვთ — 3 დესეტინაზე ნაკლები ნადელი თვითეულ კომლზე. მაგრამ იჯარით მათ სულ 42 დესეტინა აქვთ გაცემული, ხოლო იღებენ იჯარით 1 102 დესეტინას, მათ შორის 512 დესეტინა სანადელო მიწას! ამგვარად «აგროვებენ» რა მიწას, ეს «მშრომელი» გლეხები, რომელთაც ს ა მ-ს ა მ ი მ ე ო ჯ ა ხ ე მუშა ჰყავთ თვითეულ მეურნეობაზე, ტიპიურ ბურჟუებად იქცევიან: საშუალოდ ორნახევარი დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მუშა მეურნეობაზე და თითქმის ასი დაქირავებითი დღიური სამუშაო დღე. მიწის პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი ს ყიდვა-გაყიდვა იწვევს თ ვ ი თ მ ი წ ი ს

ყიდვა-გაყიდვის (იჯარით აღება და გაცემა) განვითარებას, შემდეგ კი — სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვასაც.

ახლა ჩაუკვირდით მემარცხენე ნაროდნიკების მტკიცებას, თითქოს მიწის კერძო საკუთრების მოსპობა — სავაჭრო ბრუნვიდან «მიწის ამოღება» იყოს! ეს წმინდა წყლის მეშჩანური ზღაპარია. ნამდვილად კი სწორედ პირიქითაა: ასეთი მოსპობა უდიდესად გააძლიერებდა მიწის ჩაბმას სავაჭრო ბრუნვაში. განთავისუფლდებოდა კაპიტალები, რომლებიც ახლა მიწის საყიდლად იხარჯება, აღარ იქნებოდა ბატონყმური და ბიუროკრატიული (ჩინოვნიკური) დაბრკოლებანი მიწის ხელიდან ხელში თავისუფლად გადაცემისათვის, — კიდევ უფრო განვითარდებოდა კაპიტალიზმი, ე. ი. მიწის გაცემა პროლეტარიატის მიერ, მიწის «დაგროვება» ბურჟუაზიის მიერ.

ღონისძიებას, რომელიც სასარგებლოა მებატონეთა წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, მემარცხენე ნაროდნიკები «სოციალიზმად» ასაღებენ, ნამდვილად კი ეს ბურჟუაზიული ღონისძიებაა. გლეხ პროლეტარებსაც და გლეხ ბურჟუებსაც საერთო ინტერესები აქვთ, მემამულეთა წინააღმდეგ, ეს უდავოა. ეს იცის ყოველმა მარქსისტმა მუშამ, მაგრამ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის არსებული კლასობრივი წინააღმდეგობის შეგნების დაბნელება «მშრომელ» გლეხობაზე ლაყბობით — ეს ნიშნავს ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლას, ნიშნავს სოციალიზმის მტრების მომხრეობას.

მოსკოვსახლობელი მეურნეობა — თითქოს გამადიდებელი შუშით — გვიჩვენებს იმას, რაც ყველგან ხდება რუსეთში უფრო სუსტი და უფრო ძნელად გასარკვევი ფორმით. ყველგან უკვე გამონაკლისს შეადგენს ისეთი გლეხი, რომელიც არ ქირავდება ანდა თვითონ არ ქირაობს («მუშაკს»). თვითეულ დღეს, მივარდნილ კუთხეშიც კი, თან მოაქვს ვაჭრობის სულ უფრო მეტი განვითარება, სულ უფრო მეტი გამწვავება უფსკრულისა პროლეტარებსა (დაქირავებულ მუშებ-

სა) და წვრილ მეპატრონეებს, წვრილ ბურჟუებს, გლეხებს შორის.

ქალაქის პროლეტარის ამოცანაა — განავითაროს ნათელი შეგნება ამ კლასობრივი წინააღმდეგობისა, რომელიც სოფლად დ ა ფ ა რ უ ლ ი ა მიწათმოქმედების თავისებურებებით და ბატონყმობის ნაშთებით. ამოცანას ბურჟუაზიისას, რომელსაც უგუნურებისა გამო კუდში მისდევენ წვრილბურჟუაზიული მემარცხენე ნაროდნიკებიც, შეადგენს ამ კლასობრივი წინააღმდეგობის შეგნების გ ა ძ ნ ე ლ ე ბ ა ცარიელი, უშინაარსო და უაღრესად ყალბი ფრაზებით «მშრომელი» გლეხობის შესახებ.

«პუტ პრავდი» № 26,
1914 წ. 2 მარტი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალების საზრუნავი

უკანასკნელ დროს, კადეტთა და ოქტიაბრისტთა ტაქტიკის გაერთიანების «ახალი» გეგმის სასარგებლოდ ვ. მაკლაკოვის მიერ სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვებთან და გაზეთებში მის გამოსვლებთან დაკავშირებით, საკმაოდ ბევრი ლაპარაკი იყო ლიბერალიზმის გამოცოცხლების შესახებ. მოსკოვში გამართულმა საერობო ბანკეტმაც გააძლიერა ეს მითქმა-მოთქმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამასთანავე, განსაკუთრებით იმას უსვამდნენ ხაზს, რომ თვით ყველაზე ზომიერ და ოქტიაბრიზმისაკენ მიდრეკილების მქონე ლიბერალს ვ. მაკლაკოვსაც კი დაუკარგავს იმის «რწმენა, რომ რევოლუციურ აფეთქებათა და კატასტროფათა გარეშე შესაძლებელი იყოს ჩიხიდან გამოსავლის მონახვა». სიტყვასიტყვით ასე წერდა ლიბერალების მთავარ ორგანოში, «რეჩში», ბ-ნი შინგარიოვი, რომელიც ბ-ნ მილიუკოვთან ერთად ვითომდა «მარცხნიდან» აკრიტიკებდა «მემარჯვენე» კადეტებს, ვ. მაკლაკოვსა და პ. სტრუვეს.

მაგრამ კადეტების დავა ურთიერთშორის საშინლად წვრილმანია. დავობდნენ იმაზე, ახალია თუ არ არის ახალი ოქტიაბრისტებისადმი მიმართული წინადადება ოპოზიციაში გადასვლისა, ღირს თუ არა ასმეერთეჯერ გაიმეორონ ეს ასჯერ მიცემული და მუდამ უშედეგოდ დარჩენილი წინადადება. ამ სრულიად უშინაარსო დავის ხმაურში თითქმის შეუმ-

ჩნევლად ტარდება ლიბერალების საერთო და ძირითადი ს ა-ზ რ უ ნ ა ვ ი, რომელიც იმაზე ცოტა უფრო ნაკლებად თუ აფერხებს რუსეთის განთავისუფლების საქმეს, ვიდრე ოქ-ტიაბრისტების მერყეობა. თქვენ სულ ოქტიაბრისტებთან და ოქტიაბრისტების შესახებ დავობთ, ბატონო ლიბერალე-ბო! მაგრამ ერთი თქვენს თავსაც შეხედეთ.

აი პატარა პოლიტიკური ენციკლოპედია, გაზეთ «რეჩის» მიერ გამოცემული, სახელწოდებით «ყოველწლიური» 1914 წლისათვის. მასში მონაწილეობენ ფრიად ცნობილი და ყვე-ლაზე უფრო პასუხისმგებელი კადეტები, პარტიის აღიარებუ-ლი ბელადები, ბბ. მილიუკოვისა და შინგარიოვის მეთაურო-ბით. «ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების» მიმოხილვაში (ბ-ნ იზგოევისა) ვკითხულობთ რუსეთის საშინაო პოლიტიკის ძირეულ საკითხთა შემდეგს პრინციპულ შეფასებას:

«თავისი მეტისმეტი გულმოდგინებით ადმინისტრაცია მხოლოდ ასუსტებს ანტირევოლუციურ ძალებს თვით საზოგადოებაში».

განა სასაცილო არ არის, ბატონო კადეტებო, რისხვა და მძვინვარება ოქტიაბრისტების წინააღმდეგ, როდესაც თქვე-ნივე საკუთარი გამოცემები ნამდვილ ოქტიაბრიზმს ქადა-გებენ?

ადმინისტრაციის «უიმედო და უგუნურ» ბრძოლას საგან-მანათლებლო დაწესებულებებთან — წერს ბ-ნი იზგოევი — შედეგად მოაქვს

«ცხოვრების დამახინჯება, რასაც მოსდევს შესუსტება წმინდა-საზოგა-დოებრივი (!) სიცოცხლესუნარიანობისა, რომელიც სულიერ წამლებს გამოიმუშავებს იმ იდეების წინააღმდეგ, ქვეყანას რომ ნამდვილ საფრთხეს უმზადებენ».

ეს უკვე არა თუ ოქტიაბრისტული, არამედ, ჭეშმარიტად, პროკურორისებური, შჩეგლოვიტოვისებური კილოა. და, თით-ქოს იმის თვალსაჩინოდ განსამარტავად, თუ როგორია ეს «იდეები, ქვეყანას რომ საფრთხეს უმზადებენ», ჩვენი ლი-ბერალი ამბობს:

«გასაგებია (ადმინისტრაციის უგუნურებით ცხოვრების დამახინჯების თვალსაზრისით), თუ რატომ არის, რომ მუშათა კრებებზე და კავშირებში ბოლშევიკები იმარჯვებენ მუშათა მოძრაობის უფრო მშვიდობიან და კულტურულ ბელადებზე (!?)».

ლიკვიდატორების ამ პოლიტიკურ შეფასებას ლიბერალები უამრავჯერ იძლევიან და იმეორებენ. ნამდვილად ჩვენს წინაშე აქ ლიბერალებისა და ლიკვიდატორების პოლიტიკური კავშირია, და სხვა არაფერი. როდესაც ლიკვიდატორები ზურგს აქცევენ იატაკქვეშეთს და ღია პარტიას ქადაგებენ, ამით ისინი მუშათა წრეში სწორედ იმას, სახელდობრ იმას აკეთებენ, რაც ლიბერალებს ესაჭიროებათ.

«პუტ პრავდი» № 29,
1914 წ. 6 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით.

ნაროდნიკები და ლიკვიდატორები პროფესიულ მოძრაობაში

(საგულისხმო აღიარება)

მემარცხენე-ნაროდნიკული გაზეთის უკანასკნელ ნომრებში ჩვენს (პრავდისტების) «ფრაქციულობაზე» ჩივილთან ერთად ვნახულობთ რამდენიმე ნაროდნიკის მიერ იმის საგულისხმო აღიარებას, რომ პროფესიული მოძრაობის მნიშვნელოვან საკითხში მათი შეხედულება ემთხვევა ლიკვიდატორთა შეხედულებებს. ამას ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით. მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნოა აღიარების მოსმენა თვით მოწინააღმდეგეებისაგან.

— «ბოლშევიკები და ჩვენ ამ საკითხში მეტისმეტად ვშორდებით ერთმანეთს, ვინაიდან ისინი კავშირს ისე უყურებენ, როგორც თავიანთ საბრძანებელს (!)... ხოლო «მენშევიკების» (ნაროდნიკები რატომღაც ამბობენ «მენშევიკები» «ლიკვიდატორების» ნაცვლად) შეხედულება კავშირზე, როგორც გარეფრაქციულ ორგანიზაციაზე, სავსებით ეთანხმება ჩვენსას (ნაროდნიკულს). შეიძლება ამითიც აიხსნებოდეს ჩვენი და მენშევიკების კეთილი ურთიერთობა წარსულ მუშაობაში». ასე წერდა «ვერნაია მისლ» № 6.

— «იმ კავშირების გამგეობათა მოქმედების ხაზი, რომლებიც მუდამ მემარცხენე ნაროდნიკების ხელში იყვნენ, არაფრით არ განსხვავდებოდა ეგრეთწოდებული ლიკვიდატო-

რული კავშირების მოქმედების ხაზისაგან», — დასძენდა იგი-ვე მემარცხენე-ნაროდნიკული გაზეთი.

მეტისმეტად გულახდილი და ძვირფასი აღიარებაა! ჩვენი «საშინლად მემარცხენე» ნაროდნიკები, მათივე საკუთარი აღიარებით, პროფესიულ მოძრაობაში, თურმე, სავსებით ისევე იქცევიან, როგორც ლიკვიდატორები.

აქედანაა ლიკვიდატორებისა და ნაროდნიკების ის ბლოკებიც (კავშირი, შეთანხმებანი) მარქსისტების წინააღმდეგ, რაც არა ერთხელ აღუნიშნავს უკვე ჩვენს პრესას.

ნაროდნიკული «სტოიკაია მისლ» გულახდილადაც კი იცავს მემარცხენე ნაროდნიკებისა და ლიკვიდატორების ამ ბლოკებს მარქსისტების წინააღმდეგ.

— ახლა, როდესაც პროფესიულ ორგანიზაციებში პრავდისტები ჭარბობენ... არაფერია არც საშიში, არც უცნაური ლუჩისტებთან ნაროდნიკების დროებითს შეთანხმებებში — ასე წერს «სტოიკაია მისლ» № 2 *.

ლიკვიდატორები ასე გულახდილნი არ არიან. მათ იციან, რომ «ამას» აკეთებენ, მაგრამ «ამის» შესახებ როდი ლაპარაკობენ. სოციალ-დემოკრატი უწოდო თავს, ამავე დროს კი შეუკავშირდე სხვა პარტიას სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ — ასეთი «ტაქტიკა» მხოლოდ ჩუმად შეგიძლია გაატარო.

მაგრამ საქმე ამით არ იცვლება. ლიკვიდატორებისა და ნაროდნიკების კავშირი პროფესიულ მოძრაობაში (და საგან-

---

* სტატიის ავტორი ბ-ნი ბორის ვორონოვი, დიდად გაოცებული, გვიამბობს, როგორც წარმოუდგენელ «ფრაქციულობას», რომ ერთი კავშირის გამგეობის სხდომებზე «იხილავენ პრავდისტული პრესისათვის დახმარების გაწევის საკითხებს, ტექნიკურ სარედაქციო საკითხებს (თუ როგორ მოეწყოს უკეთ საკორესპონდენტო განყოფილება და სხვ.)». ჰოი, საშინელებავ! მართლაც რა დანაშაულია — კორესპონდენციებით და სხვ. დახმარების გაწევა იმ გაზეთისათვის, რომელიც მოწინავე მუშების $^{9}/_{10}$-ს ეერთიანებს! როგორღა არ უნდა გადაეხვიონ ამის შემდეგ ლიკვიდატორებს ნაროდნიკები...

მანათლებლო საზოგადოებებში) ფაქტია. და საქმის დღევანდელ ვითარებაში ეს აუცილებელიცაა. ლიკვიდატორებსა და ნაროდნიკებს აერთებს თანამიმდევრული მარქსიზმისადმი მტრული დამოკიდებულება მუშაობის ყველა სფეროში. კავშირებში მუშაობისას კი მათ ის აერთებს, რომ ერთნიც და მეორენიც «სისუსტის ნეიტრალიზმის», «ძალაუნებური ნეიტრალიზმის» წარმომადგენელნი არიან. არც ლიკვიდატორებს, არც ნაროდნიკებს არა აქვთ სერიოზული გავლენა პროფესიულ მოძრაობაში. როგორც სუსტი უმცირესობა, ისინი ისწრაფიან «გაუთანასწორდნენ» მარქსისტებს. «თეორიულად» ასეთი მოთხოვნის დაცვა მხოლოდ ნეიტრალისტური თვალსაზრისით შეიძლება. აი აქედან გამომდინარეობს მუშათა მოძრაობაში სუსტი გავლენის მქონე ყველა ჯგუფის «ნეიტრალიზმი».

ნაროდნიკები ამბობენ, რომ ლიკვიდატორებს ისინი უკავშირდებიან «მხოლოდ და მხოლოდ იმის ნიადაგზე, რომ მუშათა ორგანიზაციების გარეფრაქციულობა დაიცვან პრავდისტების ზომაგადასული პრეტენზიებისაგან» («სტოიკაია მისლ» №№ 2 და 4).

მერე რაში გამოიხატება პრავდისტების ეს «პრეტენზიები»? დაუხურეს პრავდისტებმა რომელიმე კავშირის ანდა საზოგადოების კარები იმ მუშებს, რომლებიც სხვა პოლიტიკურ შეხედულებებს მისდევენ? მიაკერეს «იარლიყი» რომელიმე კავშირს? გათიშეს რომელიმე ორგანიზაცია? არაფერი ამის მსგავსი! ვერც ერთი ფაქტი ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ვერ მოიყვანეს და ვერც მოიყვანენ. პრავდისტების «ზომაგადასულ პრეტენზიებს» ისინი იმას უწოდებენ, რომ პრავდისტებს არა სურთ შეუერთდნენ ნაროდნიკებისა და ლიკვიდატორების წვრილბურჟუაზიულ პოლიტიკას, ხოლო ერთიანი კავშირის შიგნით ისინი ლოიალურად ემორჩილებიან მუშების უმრავლესობას,

ამავე დროს კი თავიანთ მარქსისტულ იდეათა გავლენისათვის იბრძვიან.

იმ ცოდვებში, რასაც მოგვაწერენ, ჩვენ არასოდეს არ მიგვიძღოდა ბრალი. ამაში ბრალი სწორედ ნაროდნიკებსა და ლიკვიდატორებს მიუძღვით. აი ფაქტები. ამ რამდენიმე წლის წინათ ნაროდნიკებმა უპირატესობა მოიპოვეს რკინიგზელთა კავშირში. ეს იმიტომ მოხდა, რომ ისინი მუშებს კი არ დაეყრდნენ, არამედ რკინიგზის მოსამსახურეებს, და ზოგიერთი სხვა შემთხვევითი მიზეზით. მერე რა ჰქნეს ნაროდნიკებმა? მათ დაუყოვნებლივ «მიაკერეს იარლიყი» ამ კავშირს, აიძულეს იგი — მიეღო თავისი განსაკუთრებული «პლატფორმა», გამოაძევეს ს.-დ-ები და უპარტიონი და აიძულეს თავიანთი პარალელური კავშირი შეექმნათ.

აი ეს მართლაც «ზომაგადასული პრეტენზია» იყო. პირველი შემთხვევითი გამარჯვება საჩქაროდ გაამაგრეს იარლიყის მიკერებით. თუ ნაროდნიკები სხვა კავშირებში არ სჩადიან ამას, ეს იმიტომ კი არა, რომ ისინი ძალიან კეთილსათნოიანნი არიან, არამედ იმიტომ, რომ მათი გავლენა მუშებში ყველგან მ ე ტ ა დ ს უ ს ტ ი ა.

იგივე უნდა ითქვას ლიკვიდატორთა შესახებაც. როდესაც მელითონეთა კავშირი მათს ხელში იყო, მათ იგი ლიკვიდატორების ფილიალურ განყოფილებად გადააქციეს. კავშირის ორგანოში ათავსებდნენ სამტრო სტატიებს იატაკქვეშეთის წინაალმდეგ (იხ. «ნაშ პუტ» № 20, გვ. 2, «მეტალისტ» № 3 და სხვ.[48]) — თუმცა წევრთა არც ერთ საერთო კრებას ოდნავაც არ მოუწონებია ლიკვიდატორული ხაზი.

ასეთია ნამდვილი ფაქტები. პრავდისტების «ზომაგადასულ პრეტენზიას» იმას უწოდებენ, რომ პრავდისტები მოითხოვენ საქმეების თვით მუშების მიერ ხმის უმრავლესობით გადაწყვეტას. თუ მელითონეთა საერთო კრებაზე პრავდისტებს 3 000 კაცი უჭერს მხარს, ხოლო ლიკვიდატორებსა და ნაროდნიკებს ერთად — ასი-ორასიოდე კაცი, ამიტომ, ვითომცდა «არაფრაქციულობის» გულისთვის, ჩვენ თანასწო-

რობა უნდა ვცნოთ 3 000-სა და 200-ს შორის! ასეთია ლიკვიდატორულ-ნაროდნიკული «არაფრაქციულობის» აზრი.

ნეიტრალიზმს ჩვენ არ ვიცავთ, ჩვენ მისი მოწინააღმდეგენი ვართ. მაგრამ ჩვენ არც ისე ვიქცევით, როგორც ნაროდნიკები და ლიკვიდატორები იქცეოდნენ, როდესაც შემთხვევით მოიპოვებდნენ ხოლმე უმრავლესობას რომელიმე კავშირში. მხოლოდ სუსტი, უპრინციპო ჯგუფები კარგავენ თავგზას პირველი «გამარჯვების» დროს და იჩქარიან რაღაც ათიოდე ხმის უმრავლესობით «განამტკიცონ» თავიანთი გამარჯვება. «აღლვებით და გამალებით», ბედნიერი შემთხვევა რომ არ გამოტოვონ, სახელდახელოდ გადასინჯავენ ხოლმე თავიანთ «პრინციპებს», ავიწყდებათ თავიანთი ნეიტრალიზმი და აწებებენ იარლიყს. მარქსისტები ასე როდი იქცევიან. ისინი შემთხვევითი სტუმრები კი არ არიან მუშათა მოძრაობაში. მათ იციან, რომ ადრე თუ გვიან ყველა კავშირი მარქსისტულ ნიადაგზე იდგება. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მომავალი მათს იდეებს ეკუთვნის, ამიტომაც არ აჩქარებენ ისინი მოვლენებს, არ უჩუჩხურებენ კავშირებს, არ აკერებენ იარლიყებს, არ თიშავენ კავშირებს.

დამშვიდებით და რწმენით ეწევიან ისინი თავიანთ მარქსისტულ პროპაგანდას. მოთმინებით, ცხოვრების გაკვეთილების მიხედვით, ასწავლიან ისინი მუშებს მარქსიზმს. და ამ გზიდან ვერ გადაახვევინებს მათ უპრინციპო ჯგუფების ვერაკითარი გარიგება ერთმანეთთან.

იყო დრო, — ახლანდელი ლიკვიდატორები მოითხოვდნენ კავშირების პარტიულობას და მათს ორგანიზაციულ წარმომადგენლობას პარტიაში. იყო დრო, როდესაც ნაროდნიკები აიძულებდნენ რკინიგზელთა კავშირს — ოფიციალურად ფიცი დაედო თავისი პროგრამისადმი ერთგულებაში. ახლა ერთნიც და მეორენიც სულ სხვა გეზს დაადგნენ და ნეიტრალიზმს იცავენ. საამისოდ ისინი მათი პოზიციის პოლიტიკურმა სისუსტემ აიძულა.

ჩვენ მივდივართ ჩვენი ძველი გზით, რომელიც დიდი ხანია გამოცხადებულია მარქსისტული მთელის მიერ და რომელსაც იგი იცავს. ლიკვიდატორებს სრული უფლება აქვთ — ნაროდნიკებს შეუკავშირდნენ. მაგრამ ეს კავშირი უპრინციპობისა და სისუსტის კავშირია. ის გზა, რომელსაც ლიკვიდატორულ-ნაროდნიკული ბლოკი ურჩევს კავშირებს, მოწინავე მუშების გზა არ არის.

«პუტ პრავდი» № 30,
1914 წ. 7 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

გულუბრყვილო სურვილები

ამას წინათ ლიბერალურ გაზეთებში დაიბეჭდა და თანაგრძნობით იქნა გადმოცემული კ. არსენიევის მოწოდება — მეტი ყურადღება მიექცეს ადმინისტრაციულ გადასახლებათა შესახებ ცნობების შეკრებასო.

«რაგინდ მრავალრიცხოვანიც არის — წერდა კ. არსენიევი — ადმინისტრაციული უკანონობისა და თვითნებობის გამოვლენანი, რომელთა შესახებ გაზეთებში ცნობები ქვეყნდება, მაინც მრავალი სხვაც, არა ნაკლებ აღმაშფოთებელი, აღუნიშნავი და შეუმჩნეველი რჩება. ეს ხარვეზი მნიშვნელოვნად შეიძლებოდა შევსებულიყო, სათანადო ცნობების შეკრებაში ერთგვარი სისტემა რომ შეგვეტანა. მხოლოდ შემთხვევით და ამიტომ არასრულად ვტყობილობთ იმ ადმინისტრაციულ გადასახლებათა და დატუსაღებათა მიზეზებს, რაც დღემდე მეტად ხშირ მოვლენას წარმოადგენს, განსაკუთრებით მუშებს შორის. ასევე შემთხვევით აღწევს პრესამდე ცნობები გადასახლებულთა მდგომარეობის შესახებ გადასახლების ადგილზე».

რაც მართალია, — მართალია! ლიბერალურ პარტიებს, სათათბიროს ლიბერალურ წევრებს, ლიბერალურ ადვოკატებს, ლიბერალურ ჟურნალისტებს, ლიბერალების ცალკე ჯგუფებს და სხვ. სრული შესაძლებლობა ექნებოდათ შეეკრიბნათ და გამოექვეყნებინათ მისაღწევობის ფარგლებშიც და ამ ფარგლებს იქითაც — მეტისმეტად სრული და სისტემატური მასალა თ ვ ი თ ე უ ლ ისეთ შემთხვევაზე, როგორიც «მეტად ხშირ მოვლენას წარმოადგენს, განსაკუთრებით მუშებს შორის».

აი, მაგალითად, გაზეთი «რეჩი» «მხურვალედ მიესალმა პატივცემული საზოგადოებრივი მოღვაწის» კ. არსენიევის «ყველა ამ რჩევასა და მოწოდებას».

რაღა გიშლით ხელს, ბატონებო? თუ კი ვინმეს აქვს, ეს თქვენა გაქვთ შესაძლებლობა და სახსრები, რათა მართებულად მოაწყოთ შეკრება და გამოქვეყნება ცნობებისა რუსეთის იმ «ყოფაცხოვრებითი მოვლენის» შესახებ, რითაც თქვენ ყველანი აღშფოთებულნი ხართ, რასაც თქვენ ყველანი ჰგმობთ, რაზედაც თქვენ ყველანი მუდამ ლაპარაკობთ! ახლა კი შეხედეთ: არც ერთი ლიბერალური გაზეთი, რომელიც ათასჯერ უფრო «უზრუნველყოფილია» (ყოველმხრივ) ყოველგვარი დამაბრკოლებელი და ხელისშემშლელი შემთხვევისათვის, არა კრებს ზუსტ ცნობებს ყ ვ ე ლ ა გადასახლებისა და დაპატიმრების შესახებ.

ამიტომ უნდა ვთქვათ: დიდად კი ეხერხებათ ჩვენს ლიბერალებს გულუბრყვილო კეთილ სურვილთა გამოთქმა, ხოლო იმას, რომ იმავე, არსენიევის «ვესტნიკ ევროპი»-ში, იმავე «რუსსკიე ვედომოსტი»-ში[49] ანდა «რეჩში» დაბეჭდონ ყველა გადასახლებულის ვინაობა, ცნობები მათ შესახებ, სისტემატური მონაცემები მათი ბედის შესახებ, — ამას კი არ აკეთებენ.

სიტყვით მოწოდებათა «მხარისდაჭერა», ალბათ, უფრო ადვილია (და ნაკლებ საშიშიცაა), ვიდრე მოწოდებათა შ ე ს ა ს რ უ ლ ე ბ ლ ა დ ცოტა რამის გ ა კ ე თ ე ბ ა...

«პუტ პრავდი» № 32,
1914 წ. 9 მარტი

ბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ლიბერალური პროფესორი თანასწორობის შესახებ

ბ-ნი ლიბერალური პროფესორი ტუგან-ბარანოვსკი სალაშქროდ წამოვიდა სოციალიზმის წინააღმდეგ. ამჯერად საკითხს იგი პოლიტიკურ-ეკონომიური მხრივ კი არ მისდგომია, არამედ თანასწორობაზე ზოგად მსჯელობათა მხრივ (შეიძლება, პროფესორს ეს ზოგადი მსჯელობა უფრო შესაფერისი ეჩვენა იმ რელიგიურ-ფილოსოფიური საუბრებისათვის, რომლებზედაც ის გამოდიოდა?).

«თუ ავიღებთ სოციალიზმს — გამოაცხადა ბ-მა ტუგანმა — არა როგორც ეკონომიურ თეორიას, არამედ როგორც ცხოვრებითს იდეალს, მაშინ იგი, უეჭველია, დაკავშირებული იქნება თანასწორობის იდეალთან, მაგრამ თანასწორობა ისეთი ცნებაა... რომელსაც ცდიდან და გონებიდან ვერ გამოვიყვანთ».

აი მსჯელობა ლიბერალური მეცნიერისა, რომელიც წარმოუდგენლად გაცვეთილ და მოძველებულ მოსაზრებებს იმეორებს: ცდა და გონება აშკარად მოწმობსო, რომ ადამიანები თანასწორი არ არიან, სოციალიზმი კი თავის იდეალს თანასწორობაზე ამყარებსო. მაშასადამე, სოციალიზმი, თურმე ნუ იტყვით, უაზრობა ყოფილა, იგი ეწინააღმდეგება ცდასა და გონებასო და სხვა ამგვარი!

ბ-ნი ტუგანი იმეორებს რეაქციონერების ძველ ხერხს: ჯერ დაამახინჯო სოციალიზმი, — მიაწერო მას უაზრობა, შემდეგ კი ძლევამოსილად გააბათილო უაზრობა! როდესაც ამბობენ: ცდა და გონება მოწმობს, რომ ადამიანები თანა-

სწორი არ არიანო, თანასწორობად მაშინ გულისხმობენ ადამიანთა ნიჭის თანასწორობას ან მათ ფიზიკურ ძალთა და სულიერი ნიჭის ერთნაირობას.

თავისთავად იგულისხმება, ამ აზრით ადამიანები არ არიან თანასწორნი. არც ერთ გონიერ ადამიანს და არც ერთ სოციალისტს არ ავიწყდება ეს. ოღონდ სოციალიზმთან ამგვარ თანასწორობას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. თუ ბ-ნ ტუგანს სრულებით არა აქვს ფიქრის უნარი, მას, ყოველ შემთხვევაში, კითხვა მაინც შეუძლია, და, ხელთ რომ აეღო მეცნიერული სოციალიზმის ერთ-ერთი დამაარსებლის, ფრიდრიხ ენგელსის, ცნობილი თხზულება დიურინგის წინააღმდეგ, ბ-ნი ტუგანი წაიკითხავდა იქ იმის სპეციალურ განმარტებას, რომ სისულელეა ეკონომიურ დარგში თანასწორობად სხვა რამ ვიგულისხმოთ, თუ არ კლასების მოსპობა. მაგრამ, როდესაც ბატონი პროფესორები სოციალიზმის გაბათილებას კისრულობენ, მაშინ არ იცი, რა უფრო უნდა გიკვირდეს, — მათი გონებასიჩლუნგე თუ მათი უმეცრება ან არაკეთილსინდისიერება.

ძალაუნებურად ანბანიდან უნდა დაიწყო, რახან ბ-ნ ტუგანთან გაქვს საქმე.

პოლიტიკურ დარგში თანასწორობად სოციალ-დემოკრატები თანასწორუფლებიანობას გულისხმობენ, ეკონომიურ დარგში კი, როგორც უკვე ითქვა, კლასების მოსპობას. ხოლო ადამიანთა თანასწორობის დამყარება ძალთა და ნიჭის (ფიზიკურისა და სულიერის) თანასწორობის აზრით სოციალისტებს ფიქრადაც არ მოსვლიათ.

თანასწორუფლებიანობა არის თანაბარ პოლიტიკურ უფლებათა მოთხოვნა სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის, რომლებმაც განსაზღვრულ ასაკს მიაღწიეს და რომლებიც დაავადებული არ არიან არც ჩვეულებრივი და არც ლიბერალურ-პროფესორული გონებასისუსტით. ეს მოთხოვნა პირველად წამოყენებულია არა სოციალისტების, არა პროლეტარიატის მიერ, არამედ ბურჟუაზიის მიერ. მსოფ-

ლიოს ყველა ქვეყნის საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული გამოცდილება ადასტურებს ამას, და ბ-ნ ტუგანს ადვილად შეეძლო ამის გაგება, «გამოცდილებას» რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით არ იმოწმებდეს, რათა მოატყუოს სტუ-დენტები და მუშები, აამოს ამა ქვეყნის ძლიერთ სოციალიზ-მის «განადგურებით».

ყველა მოქალაქის უფლებათა თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს მოთხოვნა ბურჟუაზიამ შუასაუკუნეობრივ, ფეოდალურ, ბა-ტონყმურ, წოდებრივ პრივილეგიებთან ბრძოლაში წამოა-ყენა. მაგალითად, რუსეთში, ამერიკისა, შვეიცარიისაგან და სხვ. განსხვავებით, თავადაზნაურთა წოდებას დღემდეც შე-ნარჩუნებული აქვს პრივილეგიები მთელ პოლიტიკურ ცხოვ-რებაში, სახელმწიფო საბჭოს არჩევნებშიც, სათათბიროს არჩევნებშიც, ადგილობრივ თვითმმართველობაშიც, გადასა-ხადთა მხრივაც და ბევრ, ბევრ სხვა რამეშიც.

ყველაზე მიუხვედრელი და განუვითარებელი ადამიანიც კი მოისაზრებს, რომ ცალკეული ადამიანები, რომლებიც თავადაზნაურთა წოდებას ეკუთვნიან, თანასწორი ა რ არიან თავიანთი ფიზიკური და სულიერი ნიჭით, ისევე როგორც ერთმანეთის თანასწორი ა რ არიან არც ის ადამიანები, რომ-ლებიც «მოხარკე», «შავ», «დაბალ» ანუ «არაპრივილეგიურ» გლეხთა წოდებას ეკუთვნიან. მაგრამ თავიანთი უ ფ ლ ე ბ ე-ბ ი ს მხრივ ყველა თავადაზნაურნი თ ა ნ ა ს წ ო რ ნ ი არიან, ხოლო ყველა გლეხები თავიანთი უუფლებობით არიან თა-ნასწორნი.

ესმის თუ არა ახლა ბ-ნ სწავლულ და ლიბერალურ პრო-ფესორს ტუგანს განსხვავება თანასწორუფლებიანობის აზ-რით გაგებულ თანასწორობასა და ძალთა და ნიჭის თანა-სწორობის აზრით გაგებულ თანასწორობას შორის?

გადავიდეთ ახლა თანასწორობაზე ეკონომიური აზრით. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე როგორც სხვა მოწი-ნავე სახელმწიფოებშიც, შუასაუკუნეობრივი პრივილეგიები არ არსებობს. ყველა მოქალაქე ერთმანეთის თანასწორია

პოლიტიკურ უფლებათა მხრივ. მაგრამ თანასწორი არიან თუ არა ისინი საზოგადოებრივ წარმოებაში მდგომარეობის მხრივ?

— არა, ბ-ნო ტუგან, არ არიან თანასწორნი. ერთნი ფლობენ მიწას, ფაბრიკებს, კაპიტალებს და ცხოვრობენ მუშების ფასგადაუხდელი შრომის ხარჯზე; — ასეთები უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენენ. სხვებს, სახელდობრ მოსახლეობის უდიდეს მასას, წარმოების არავითარი საშუალება არა აქვთ და ისინი მხოლოდ თავიანთი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობენ; ესენი პროლეტარები არიან.

თავადაზნაურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის, ხოლო ბურჟუებსა და პროლეტარებს თანაბარი პოლიტიკური უფლებები აქვთ. მაგრამ თავიანთი კლასობრივი მდგომარეობით ისინი თანასწორნი არ არიან: ერთნი, კაპიტალისტების კლასი, ფლობენ წარმოების საშუალებებს და მუშების ფასგადაუხდელი შრომის ხარჯზე ცხოვრობენ; სხვებს, დაქირავებულ მუშათა, პროლეტართა კლასს, წარმოების საშუალებანი არა აქვთ და ისინი ბაზარზე თავიანთი სამუშაო ძალის გაყიდვით ცხოვრობენ.

კლასების მოსპობა — ეს ნიშნავს ყველა მოქალაქის თანაბარ დამოკიდებულებაში ჩაყენებას მთელი საზოგადოების წარმოების საშუალებათა მიმართ, ეს ნიშნავს — რომ ყველა მოქალაქე თანაბრად დაიშვება სამუშაოდ საზოგადოებრივ საწარმოო საშუალებებზე, საზოგადოებრივ მიწაზე, საზოგადოებრივ ფაბრიკებში და ასე შემდეგ.

ეს განმარტება იმისა, თუ რა არის სოციალიზმი, საჭირო იყო სწავლული ლიბერალური პროფესორის ბ-ნ ტუგანის გასანათლებლად; იქნებ, თუ ჭკუას ძალას დაატანს, ახლა მაინც მიხვდეს იგი, რომ უაზრობაა ელოდე ადამიანთა ძალებისა და ნიჭის თანასწორობას სოციალისტურ საზოგადოებაში.

მოკლედ რომ ვთქვათ: როდესაც სოციალისტები თანასწორობაზე ლაპარაკობენ, მათ იგი მუდამ ესმით, როგორც საზოგადოებრივი თანასწორობა, საზოგადოებრივი მდგომარეობის თანასწორობა, და სრულიადაც არა როგორც ცალკეულ პიროვნებათა ფიზიკურ და სულიერ ნიჭთა თანასწორობა.

გაოცებულმა მკითხველმა, შეიძლება, იკითხოს: როგორ მოხდა, რომ სწავლულ ლიბერალურ პროფესორს დავიწყებია ეს ანბანური ჭეშმარიტებანი, რომლებიც ყველასათვის ცნობილია სოციალიზმის შეხედულებათა რომელიც გნებავთ გადმოცემიდანო? პასუხი მარტივია: თანამედროვე პროფესორთა პირადი თავისებურებანი ისეთია, რომ მათ შორის ტუგანისთანა უაღრესად გონებაჩლუნგი ადამიანებიც კი შეგვიძლია ვიპოვოთ. მაგრამ პროფესორების საზოგადოებრივი მდგომარეობა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ისეთია, რომ ამ თანამდებობაზე მხოლოდ იმათ აყენებენ, ვინც მეცნიერებას კაპიტალის ინტერესთა სასამსახუროდ ყიდის, მხოლოდ იმათ, ვინც თანხმდება — სოციალისტების წინააღმდეგ სრულიად წარმოუდგენელი სისულელე, ყოვლად უსინდისო შეუსაბამობა და აბდაუბდა ილაპარაკოს. ყოველივე ამას ბურჟუაზია აპატიებს პროფესორებს, ოღონდ კი მათ სოციალიზმი «ანადგურონ».

«პუტ პრავდი» № 33,
1914 წ. 11 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ინგლისელი ლიბერალები და ირლანდია

ის, რაც ახლა ინგლისის პარლამენტში ხდება ირლანდიის ჰ ო მ რ უ ლ ი ს (ირლანდიის თვითმმართველობის ან, უკეთ, ავტონომიის) კანონპროექტთან დაკავშირებით, უდიდეს ინტერესს წარმოადგენს როგორც კლასობრივ ურთიერთობათა თვალსაზრისით, ისე ნაციონალური და აგრარული საკითხის გამორკვევის თვალსაზრისით.

ინგლისი საუკუნეობით იმონებდა ირლანდიას, ირლანდიელი გლეხები მას არნახულ შიმშილით ტანჯვამდე და შიმშილით ამოწყდომამდე მიჰყავდა, მიწიდან ერეკებოდა მათ, ასეულათასობით და მილიონობით აიძულებდა სამშობლო მიეტოვებინათ და ამერიკაში გახიზნულიყვნენ. XIX საუკუნის დამდეგს ირლანდიაში $5^1/_2$ მილიონი მოსახლეობა იყო, ახლა კი მხოლოდ $4^1/_3$ მილიონია. ირლანდია გაუკაცურდა. XIX საუკუნის განმავლობაში 5 მილიონზე მეტი ირლანდიელი გადასახლდა ამერიკაში, და ირლანდიელთა რიცხვი ახლა შეერთებულ შტატებში მ ე ტ ი ა, ვიდრე ირლანდიაში!

ირლანდიელ გლეხთა გაუგონარი უბედურება და წამება იმის ერთ-ერთი საგულისხმო ნიმუშია, თუ სადამდე მიდიან «გაბატონებული» ერის მემამულენი და ლიბერალური ბურჟუები. თავის «ბრწყინვალე» ეკონომიურ განვითარებას, თავისი ვაჭრობა-მრეწველობის «აყვავებას» ინგლისი მეტწილად აღწევდა ისეთი საგმირო საქმეებით ირლანდიელი გლეხობის მიმართ, რომლებიც რუს მებატონე ქალს სალტიჩიხას მოგვაგონებენ.

ინგლისი «ჰყვაოდა», ირლანდია გადაშენებას განიცდიდა და განუვითარებელ, ნახევრად-ველურ, წმინდა სამიწათმოქმედო ქვეყნად რჩებოდა, ღატაკ მოიჯარე გლეხთა ქვეყნად. მაგრამ, რაგინდ არ უნდოდა ინგლისის «განათლებულ და ლიბერალურ» ბურჟუაზიას სამუდამოდ დაემკვიდრებინა ირლანდიის დამონება და მისი სიღატაკე, რეფორმა მაინც გარდუვალობით ახლოვდებოდა, — მით უმეტეს, რომ თავისუფლებისა და მიწისათვის მებრძოლი ირლანდიელი ხალხის რევოლუციური გამოსვლები უფრო და უფრო . მრისხანე ხდებოდა. 1861 წელს წარმოიშვა ირლანდიელთა რევოლუციური ორგანიზაცია — ფ ე ნ ი ე ბ ი ს ორგანიზაცია. ამერიკაში გადასახლებული ირლანდიელები ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ მას.

1868 წლიდან, გლადსტონის — ლიბერალურ ბურჟუათა და გონებაჩლუნგ მეშჩანთა ამ გმირის — მინისტრობის დროიდან, იწყება რ ე ფ ო რ მ ე ბ ი ს ე პ ო ქ ა ირლანდიაში,—ეპოქა, რომელიც სრულიად მშვიდობიანად გაჭიანურდა ჩვენს დრომდე, ე. ი. თითქმის ნახევარ საუკუნეს. ჰო, ლიბერალური ბურჟუაზიის ბრძენმა სახელმწიფო კაცებმა იციან თავიანთი «რეფორმების» მეტად «ნელა დაჩქარება»!

კარლ მარქსი მაშინ უკვე 15 წელზე მეტი იყო ნაცხოვრები ლონდონში და უდიდესი ინტერესით, უდიდესი თანაგრძნობით ადევნებდა თვალყურს ირლანდიელთა ბრძოლას. 1867 წ. 2 ნოემბერს ის სწერდა ფრიდრიხ ენგელსს: «მე ყოველნაირად ვცდილობდი გამომეწვია ინგლისელ მუშებში ფენიების ბრძოლისადმი თანაგრძნობის დემონსტრაცია. წინათ ინგლისისაგან ირლანდიის გამოყოფა მე შეუძლებლად მიმაჩნდა. ახლა ეს გარდუვალად მიმაჩნია, თუნდაც გამოყოფის შემდეგ ფედერაციაც დამყარდეს...» იმავე წლის 30 ნოემბრის წერილში მარქსი კვლავ ამავე თემას უბრუნდება: ...«საკითხავია, რა უნდა ვურჩიოთ ინგლისელ მუშებს? ჩემი აზრით, თავიანთი პროგრამის მუხლად მათ უნდა გახადონ კავშირის გაუქმება» (ირლანდიის კავშირის გაუქმება) —

«მოკლედ რომ ვთქვათ, განაახლონ 1783 წლის მოთხოვნა, ოღონდ გაადემოკრატიულონ იგი და თანამედროვე პირობებს შეუფარდონ. ირლანდიის გამოყოფა ირლანდიელთა განთავისუფლების ერთადერთი ლეგალური და ამიტომაც ერთადერთი შესაძლებელი ფორმაა, რომელიც უნდა შევიდეს ინგლისის მუშათა პარტიის პროგრამაში»[50]. შემდეგ კი მარქსი ამტკიცებდა, ირლანდიელებს ესაჭიროებათ თვითმმართველობა და ინგლისისაგან დამოუკიდებლობა, აგრარული რევოლუცია, საბაჟო გადასახადები ინგლისის წინააღმდეგო.

ასეთი იყო პროგრამა, რომელსაც კ. მარქსი ინგლისელ მუშებს ურჩევდა ირლანდიის თავისუფლების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი განვითარების დაჩქარებისა და ინგლისელ მუშათა თავისუფლების ინტერესებისათვის; ვინაიდან ინგლისელი მუშები თავისუფლებას ვერ მიაღწევდნენ, სანამ ისინი ხელს უწყობდნენ იმას (ან თუნდაც ნებას აძლევდნენ), რომ მონობაში ჰყოლოდათ სხვა ხალხი.

მაგრამ ვაგლახ! მთელ რიგ განსაკუთრებულ ისტორიულ მიზეზთა გამო ინგლისელი მუშები XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში ლიბერალებისაგან დამოკიდებულნი, ლიბერალური მუშათა პოლიტიკის სულით გაჟღენთილნი აღმოჩნდნენ. ისინი თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა და კლასთა სათავეში კი არა, არამედ ფულის ქისის საზიზღარ ლაქიათა, ბატონ ინგლისელ ლიბერალთა მაჩანჩალები აღმოჩნდნენ.

ლიბერალებმა კი ნახევარ საუკუნეს გააჭიანურეს ირლანდიის განთავისუფლება, რომელიც დღესაც არ არის დამთავრებული! ირლანდიელმა გლეხმა მხოლოდ XX საუკუნეში იწყო მოიჯარიდან მიწის თავისუფალ მფლობელად გადაქცევა, მაგრამ ბბ. ლიბერალებმა მას თავზე მოახვიეს «სამართლიანი» შეფასებით გამოსყიდვა! მილიონობით და მილიონობით ხარკს უხდის ის და კიდევ მრავალ წელს უნდა უხადოს ინგლისელ მემამულეებს იმის ჯილდოდ, რომ ისინი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ძარცვავდნენ მას და მუდმივ შიმშილობამდე მიჰყავდათ იგი.

ინგლისელმა ლიბერალურმა ბურჟუებმა მემამულეებისათვის ამის მადლობა ირლანდიელ გლეხებს ხალასი ფულით გადა-ახდევინეს...

ახლა პარლამენტში ტარდება ირლანდიის ჰომრულის (თვითმმართველობის) კანონი. მაგრამ ირლანდიაში არის ჩრდილოეთის პროვინცია ოლსტერი (ანუ ულსტერი, როგორც ზოგჯერ უმართებულოდ წერენ); იგი ნაწილობრივ დასახლებულია ინგლისიდან გამოსულებით, პროტესტანტებით, კათოლიკე-ირლანდიელთაგან განსხვავებით. და აი ინგლისელმა კონსერვატორებმა შავრაზმელი მემამულე პურიშკევიჩის... ბოდიში — კარსონის მეთაურობით გაშმაგებული ყვირილი მოართეს ირლანდიის ავტონომიის წინააღმდეგ. ეს ნიშნავსო — უცხო რჯულისა და სხვა ტომის ხალხის მორჩილებაში ჩავაგდოთ ოლსტერელებიო! ლორდი კარსონი აჯანყებით იმუქრებოდა და შავრაზმელთა შეიარაღებულ ბანდებს აწყობდა.

რასაკვირველია, ეს ფუჭი მუქარაა. ერთი მუჭა ხულიგნების აჯანყებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ასევე არც ირლანდიის პარლამენტის მიერ (რომლის ძალაუფლებაც ინგლისის კანონითაა განსაზღვრული) პროტესტანტების «დაჩაგვრაზე» შეიძლებოდა ლაპარაკი.

საქმე მხოლოდ იმაშია, რომ შავრაზმელი მემამულეები აშინებენ ლიბერალებს.

ლიბერალებიც სიმხდალეს იჩენენ, თავს უკრავენ შავრაზმელებს, უთმობენ მათ, წინადადებას იძლევიან — განსაკუთრებული სრულიად სახალხო კენჭისყრა (ეგრეთწოდებული რეფერენდუმი) მოახდინონ ოლსტერში და ექვსი წლით გადასდონ რეფორმა ოლსტერისათვის!

ვაჭრობა ლიბერალებსა და შავრაზმელებს შორის გრძელდება. რეფორმა საშური საქმე არ არის: თუ ნახევარ საუკუნეს იცდიდნენ — კიდევ მოიცდიან ირლანდიელები, — ხომ არ «აწყენინებენ» მემამულეებს!

რა თქმა უნდა, ლიბერალებს რომ ინგლისის ხალხისათვის, პროლეტარიატისათვის მიემართნათ, — კარსონის შავრაზმული ბანდა მყისვე დაიშლებოდა და გაქრებოდა. ირლანდიის მშვიდობიანი და სრული თავისუფლება უზრუნველყოფილი იქნებოდა.

მაგრამ ლიბერალურმა ბურჟუებმა მემამულეთა წინააღმდეგ დახმარებისათვის პროლეტარიატს რომ მიმართონ — განა ეს წარმოსადგენია? ინგლისის ლიბერალებიც ხომ ფულის ქისის ლაქიები არიან, და მათ მხოლოდ მონური მლიქვნელობა შეუძლიათ კარსონების წინაშე.

«პუტ პრავდი» № 34,
1914 წ. 12 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ტეილორის სისტემა ადამიანის დამონებაა მანქანის მიერ

კაპიტალიზმი ერთ წუთსაც ვერ გაჩერდება ერთ ადგილას. იგი წინ და სულ წინ უნდა მიდიოდეს. კონკურენცია, რომელიც განსაკუთრებით მწვავდება ჩვენის მსგავს კრიზისის ეპოქებში, აიძულებს კაპიტალისტებს სულ ახალ-ახალი საშუალებანი გამოიგონონ წარმოების გასაიაფებლად. ხოლო კაპიტალის ბატონობა ყველა ასეთ საშუალებას მუშის შემდგომი ჩაგვრის იარაღად აქცევს.

ტეილორის სისტემა ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა.

ამას წინათ ამერიკაში ამ სისტემის მომხრეებმა ასეთი ხერხები გამოიყენეს.

მუშის ხელზე ამაგრებენ ელექტრონათურას. ფოტოგრაფიულად იღებენ მუშის მოძრაობებს და სწავლობენ ნათურას მოძრაობებს. თუ განსაზღვრული მოძრაობანი «ზედმეტად» მიიჩნიეს, მუშას აიძულებენ თავიდან აიცილოს ეს მოძრაობანი, ე. ი. უფრო ინტენსიურად იმუშაოს, არც ერთი წამი არ დაკარგოს დასასვენებლად.

ადგენენ ახალ საფაბრიკო შენობათა მთელ გეგმებს — იმგვარად, რომ არც ერთი ზედმეტი წუთი არ დაიკარგოს ფაბრიკაში მასალის მიზიდვის დროს, მისი ერთი სახელოსნოდან მეორეში გადაცემის, მზა პროდუქტის გაზიდვის დროს. სისტემატურად იყენებენ კინემატოგრაფს საუკეთესო მუშების მუშაობის შესასწავლად და მისი ინტენსიურობის გასადიდებლად, ე. ი. მუშის უფრო მეტად «წასაქეზებლად».

მაგალითად, მთელი დღის განმავლობაში კინემატოგრაფირდებოდა მონტიორის მუშაობა. შეისწავლეს მისი მოძრაობანი, შემოიღეს განსაკუთრებული სკამი, იმდენად მაღალი, რომ მონტიორს ძირს დასახრელად დროის დაკარგვა არ დასჭირებოდა. მონტიორს დამხმარედ ბიჭი მიუჩინეს. მანქანის თვითეული ნაწილი ბიჭს მისთვის განსაზღვრული, ყველაზე უფრო მიზანშეწონილი წესით უნდა მიეწოდებინა. რამდენიმე დღის შემდეგ მონტიორი მანქანის აწყობის ამ სამუშაოს იმ დროის ერთ მეოთხედში ასრულებდა, რასაც ის წინათ ანდომებდა!

რა წარმატებაა შრომის ნაყოფიერებისა!.. მაგრამ ხელფასს მუშას ერთიოთხად კი არ უმატებენ, არამედ, დიდიდიდი — ერთნახევარჯერ, ისიც მხოლოდ პირველ ხანებში. რაწამს მუშები ახალ სისტემას მიეჩვევიან, ხელფასსაც კვლავ წინანდელ დონემდე უმცირებენ. კაპიტალისტი უდიდეს მოგებას იღებს, მუშა კი ოთხჯერ უფრო ინტენსიურად შრომობს, ოთხჯერ უფრო სწრაფად ქანცავს თავის ნერვებსა და კუნთებს.

ახლად მიღებული მუშა მიჰყავთ საქარხნო კინემატოგრაფში, რომელიც მუშას მისი სამუშაოს «სანიმუშოდ» წარმოებას უჩვენებს. მუშას აიძულებენ ამ ნიმუშს «დაეწიოს». ერთი კვირის შემდეგ მუშას კინემატოგრაფში უჩვენებენ მის საკუთარ ნამუშევარს და ამ ნამუშევარს «ნიმუშს» ადარებენ.

ყველა ეს უდიდესი გაუმჯობესება მუშის წინააღმდეგ ხდება: ეს გაუმჯობესებანი იწვევენ მუშის კიდევ უფრო მეტად დათრგუნვას და დაჩაგვრას და ამავე დროს ზღუდავენ შრომის რაციონალური, გონივრული განაწილებით მხოლოდ ფაბრიკის შიგნით.

ბუნებრივად გებადება აზრი: როგორიღაა შრომის განაწილება მთელი საზოგადოების შიგნით? რა უამრავი შრომა იხარჯება დღეს ფუჭად მთელი კაპიტალისტური წარმოების უთაურად გაძღოლის, ქაოსურობის გამო! რამდენი დრო იკარგება, სანამ მეფაბრიკეს ნედლი მასალა მიუვიდოდეს ასობით

შემსყიდველთა და გადამყიდველთა ხელში გავლით, როდესაც არც ბაზრის მოთხოვნილებებია გამორკვეული! არამც თუ დრო, თვით პროდუქტებიც იკარგება და ფუჭდება. ახლა კიდევ დროისა და შრომის დაკარგვა მომხმარებლებისათვის მზა პროდუქტის მისაწოდებლად — იმ უამრავ წვრილ შუამავალთა მეშვეობით, რომლებსაც ასევე არ შეუძლიათ იცოდნენ მყიდველთა მოთხოვნანი და რომლებიც აწარმოებენ მრავალ არა მარტო ზედმეტ მოძრაობას, არამედ ზედმეტ შესყიდვასაც, მგზავრობას და სხვა და ასე შემდეგ!

შრომას ფაბრიკის შიგნით კაპიტალი აწყობს და აწესრიგებს მუშის კიდევ უფრო დასაჩაგრავად, თავისი მოგების გასადიდებლად. ხოლო მთელ საზოგადოებრივ წარმოებაში რჩება და იზრდება ქაოსი, რაც იწვევს კრიზისებს, როდესაც დაგროვილი სიმდიდრე ვერ ნახულობს მყიდველებს, მუშები კი მილიონობით იღუპებიან და შიმშილობენ, რადგან სამუშაოს ვერ შოულობენ.

ტეილორის სისტემა — მისი ავტორების დაუკითხავად და მათდა უნებურად — ამზადებს იმ დროს, როდესაც პროლეტარიატი ხელთ იგდებს მთელ საზოგადოებრივ წარმოებას და თავის, მუშათა, კომისიებს დანიშნავს მთელი საზოგადოებრივი შრომის მართებულად გასანაწილებლად და მოსაწესრიგებლად. მსხვილი წარმოება, მანქანები, რკინიგზები, ტელეფონი — ყოველივე ეს ათასგვარ შესაძლებლობას იძლევა — ერთიოთხად შემცირდეს ორგანიზებული მუშების სამუშაო დრო, უზრუნველყოფილ იქნას მათთვის ოთხჯერ იმაზე მეტი კეთილდღეობა, ვიდრე ახლაა.

და მუშათა კომისიებიც, მუშათა კავშირების დახმარებით, შესძლებენ გამოიყენონ საზოგადოებრივი შრომის გონივრული განაწილების ეს პრინციპები, როდესაც ეს შრომა თავისუფალი იქნება კაპიტალის მიერ დამონებისაგან.

«პუტ პრავდი» № 35,
1914 წ. 13 მარტი
ხელმოწერა: მ. მ.

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

«პასუხისმგებელი ოპოზიცია» და კ.-დ-ების მონაწილეობა პირველი მარტის თათბირში

გაზეთებმა უკვე ბევრი ილაპარაკეს მთავრობის წარმომადგენელთა და სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატის პირველი მარტის თათბირის შესახებ. მაგრამ ამ თათბირის მნიშვნელობა სათათბიროში «ოპოზიციის» მდგომარეობისა და მისი ამოცანების თვალსაზრისით სრულიადაც არ არის საკმარისად გაშუქებული.

გავიხსენოთ, რომ სწორედ პირველი მარტის წინადღით ლიბერალური პრესის მთელ რიგ ორგანოებში, პეტერბურგშიც, მოსკოვშიც, პროვინციაშიც, აღძრულ იქნა და გაძლიერებით ირჩეოდა საერთო საკითხი სათათბიროში მკვდრული სიწყნარის, მისი უძლურებისა და უსიცოცხლობის, სათათბიროდან დეპუტატების გაქცევის, ოპოზიციის ამოცანებისა და სხვ. შესახებ.

სწორედ პირველი მარტის წინადღით «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» პარტიის ყველაზე ცნობილი ბელადები, ბბ. მილიუკოვი და შინგარიოვი, ორივე დედაქალაქის პრესაში გამოვიდნენ ბ-ნ სტრუვეს წინააღმდეგაც — «ხელისუფლების გაჯანსაღებისაკენ» მისი მოწოდების გამო, და მემარჯვენე კადეტის ვ. მაკლაკოვის წინააღმდეგაც — ოქტიაბრისტებთან შეთანხმებისაკენ მისი «პესიმისტურ-ოპტიმისტური» მოწოდების გამო. სწორედ პირველი მარტის წინადღით ბ-ნი მილიუკოვი მთელი ძალღონით ცდილობდა — «ვეხიზმის», ე. ი. კონტრრევოლუციური ლიბერალიზმის თანამიმდევრულ და ფულახდილად გამოთქმულ იდეათა, მოწინააღმდეგედ მოეჩვენებინა თავი *.

* იხ. ეს ტომი, გვ. 146 — 149. რ ე დ.

პირველი მარტის თათბირის შემადგენლობამ და ხასიათმა ერთხელ და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კ.-დ. პარტიის ბელადთა ყველა ეს შენიშვნა სტრუვეს და ვ. მაკლაკოვის წინააღმდეგ, მთელი ეს ცდა — დასახელებულ პოლიტიკოსებზე უფრო «მემარცხენეებად» დაგვიხატონ თავი, — ერთიანი პირმოთნეობაა და დემოკრატიის მოტყუება. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ამ თათბირზე ზეიმობდა პოლიტიკა სწორედ «ვეხისტებისა» ლიბერალებს შორის, სწორედ ბბ. სტრუვეს და ვ. მაკლაკოვის პოლიტიკა, და არა კ.-დ. პარტიის ოფიციალური ბელადებისა და დიპლომატების, ბბ. მილიუკოვის, შინგარიოვისა და კომპ. პოლიტიკა.

თათბირში მონაწილეობდნენ მხოლოდ მთავრობის პარტიებისა და ლიბერალურ-ბურჟუაზიული ოპოზიციის წარმომადგენელნი, — არც სოციალ-დემოკრატები, არც ტრუდოვიკები (ბურჟუაზიული დემოკრატია) არ ყოფილან მიწვეულნი (ვითომდა იმიტომ, რომ ისინი «პრინციპული ანტიმილიტარისტები არიან და ყოველთვის ყველა სამხედრო კრედიტის წინააღმდეგ აძლევენ ხმას», ნამდვილად კი — იმიტომ, რომ არ სურდათ მიეღოთ დასაბუთებული და საჯარო უარი, რაც ყოველ შემთხვევაში, სოციალ-დემოკრატების მხრივ მაინც იყო უზრუნველყოფილი).

როდესაც ოპოზიციის დეპუტატები, — «რეჩის» ფრიად ოფიციალური ცნობით, — «შ ე ე ც ა დ ნ ე ნ ჩ ვ ე ნ ი ს ა შ ი ნ ა ო პ ო ლ ი ტ ი კ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ა ც ა ღ ე ძ რ ა თ ს ა კ ი თ ხ ი», მათ განუცხადეს, რომ ლაპარაკი მხოლოდ სამხედრო კრედიტებს უნდა შეეხებოდესო და რომ «ამ თათბირზე მთავრობის წარმომადგენლებს შესაძლებლად არ მიაჩნიათ ახსნა-განმარტებით გამოვიდნენ საშინაო პოლიტიკის საკითხების შესახებ».

«მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ა მ ი ს ა, — წერდა «რეჩი», — ზოგიერთი დეპუტატი, მათ შორის ი. ნ. ეფრემოვი, ა. ი. შინგარიოვი და სხვები, თავის სიტყვებში ჩვენი შინაური მდგომარეობის საკითხებსაც შ ე ე ხ ო».

მ ი თ უ მ ე ტ ე ს — უნდა ვთქვათ ამ განცხადების გამო — უადგილო, სასაცილო, სულელური და უღირსი იყო კადეტთა, კონსტიტუციურ-დემოკრატიული დეპუტატების როლი. მათს პარტიას რომ ზომიერი ლიბერალურ-მონარქისტული პარტია ეწოდებოდეს, — ე. ი. ისეთი სახელწოდება ჰქონდეს, რომელიც სწორად გამოხატავს კლასობრივ რაობას და ნამდვილ პოლიტიკურ ბუნებას, — მაშინ კ.-დ. დეპუტატების საქციელი პარტიულად ნორმალური იქნებოდა! მაგრამ ისეთ ადამიანებს, რომელთაც სურთ დემოკრატებად ითვლებოდნენ, იდამიანებს, რომელთაგან ყველაზე უფრო მემარჯვენენიც კი, ვ. მაკლაკოვის მსგავსნი, საჯაროდ აცხადებენ, რომ მათ დ ა კ ა რ გ ე ს იმის რ წ მ ე ნ ა, რომ «რევოლუციურ აფეთქებათა და კატასტროფათა გარეშე შესაძლებელი იყოს ჩიხიდან გამოსავლის მონახვა» (სწორედ ასე გადმოსცემდა ვ. მაკლაკოვის შეხედულებებს თ ვ ი თ ბ-ნი შინგარიოვი «რეჩის» № 55-ში, 26 თებერვალს, — ამგვარადვე წერდა თ ვ ი თ ბ-ნი მილიუკოვი 25 თებერვლის ნომერში), — ასეთ ადამიანებს მემარჯვენეებთან და ოქტიაბრისტებთან თათბირში მონაწილეობა საჯაროდ არტყამდა სილას.

ბატონმა კ.-დ-ებმა თვით გაირტყეს სილა. მათ საჯაროდ უარყვეს — თავიანთი მონაწილეობით — თავიანთი სიტყვები «რწმენის დაკარგვის» შესახებ. მათ საჯაროდ გვიჩვენეს მზადყოფნა — დაამტკიცონ თ ა ვ ი ა ნ თ ი რ წ მ ე ნ ი ს ს ი ც ხ ო ვ ე ლ ე, რაც უდრის სამსახურისა და მაამებლობისათვის მზადყოფნას.

ვინაიდან — სხვას თუ არა, კადეტებს მაინც ხომ ჩინებულად ესმით საშინაო და საგარეო პოლიტიკის განუყრელი ურთიერთკავშირიც და კრედიტების «ასიგნების» მნიშვნელობაც...

«პუტ პრავდი» № 36,
1914 წ. 14 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

«აგვისტოს» ბლოკის დაშლა

ყველამ, ვინც კი დაინტერესებულია მუშათა მოძრაობით და მარქსიზმით რუსეთში, იცის, რომ 1912 წლის აგვისტოში შეიქმნა ლიკვიდატორების, ტროცკის, ლატვიელების, ბუნდელების, კავკასიელების ბლოკი (კავშირი).

დიდი რიხით და ხმაურით გამოცხადდა ამ ბლოკის შესახებ გაზეთ «ლუჩში», რომელიც დაარსებულ იქნა არა მუშათა ფულით სწორედ პეტერბურგის არჩევნების დროს, ორგანიზებულ მუშათა უმრავლესობის ნების ჩასაშლელად. აქებ-ადიდებდნენ ამ ბლოკის მონაწილეთა «მრავალრიცხოვნებას», აქებ-ადიდებდნენ «სხვადასხვა მიმართულების მარქსისტების» კავშირს, აქებ-ადიდებდნენ «ერთიანობასა» და არაფრაქციულობას; რისხვას ატეხდნენ თავს «გამთიშველებს», 1912 წლის იანვრის კონფერენციის[51] მომხრეებს.

ამრიგად, «ერთიანობის» საკითხი მოაზროვნე მუშების წინაშე ახალი, პრაქტიკული ფორმით წამოიჭრა. ფაქტებს უნდა ცხადეყოთ, თუ ვინ იყო მართალი: ისინი, ვინც «აგვისტოელთა» «გამაერთიანებელ» პლატფორმასა და ტაქტიკას აქებდა, თუ ისინი, ვინც ამბობდა, რომ ეს არის ყალბი აბრა, რომელიც ახალი სამოსელით ფარავს იმავე გაკოტრებულ ლიკვიდატორებს?

სრულმა წ ე ლ ი წ ა დ ნ ა ხ ე ვ ა რ მ ა განვლო. ვადა ძალიან დიდია 1912 — 1913 წლების აღმავლობის პერიოდისათვის. და აი 1914 წლის თებერვალში არსდება აგვისტოს პლატ-

ფორმის «ნ ა მ დ ვ ი ლ ი» მომხრის, ტროცკის, ახალი, ამჯერად უკვე განსაკუთრებით «გამაერთიანებელი», განსაკუთრებით და მართლაცდა «არაფრაქციული» ჟურნალი, «ბორბას» სახელწოდებით [52].

«ბორბას» № 1-ის შინაარსიც და ისიც, რაც ლიკვიდატორებს «ბორბას» შესახებ დაუბეჭდავთ მის გამოსვლამდე, მყისვე უჩვენებს დაკვირვებულ ადამიანს აგვისტოს ბლოკის დ ა შ ლ ა ს და ძალლონის უკანასკნელად დაძაბვას, რათა დამალონ ამ დაშლის ამბავი, მოატყუონ მუშები. მაგრამ ეს მოტყუებაც მალე იქნება მხილებული.

«ბორბას» გამოსვლამდე «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» რედაქციამ დაბეჭდა გესლიანი შენიშვნა: «ნამდვილი ფიზიონომია ამ ჟურნალისა, რომელზედაც მარქსისტულ წრეებში ამ ბოლო დროს საკმაოდ ბევრი ილაპარაკეს, ჩვენთვის ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება».

ერთი ჩაუფიქრდით, მკითხველო: 1912 წლის აგვისტოდან ტროცკი აგვისტოს გამაერთიანებელი ბლოკის მეთაურებში ირიცხება, — მაგრამ უკვე მთელი 1913 წელი გვიჩვენებს მის ჩამოცილებას «ლუჩისა» და «ლუჩისტებისაგან». 1914 წელს ეს ტროცკი თ ა ვ ი ს ჟურნალს აარსებს, ფიქტიურად კი კვლავ «სევერნაია რაბოჩაია გაზეტაშიც» ირიცხება და «ნაშა ზარიაშიც». «წ რ ე ე ბ შ ი ს ა კ მ ა ო დ ბ ე ვ რ ს ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ე ნ» ტროცკის იმ საიდუმლო «ბარათზე» ლუჩისტების, ბატონ ფ. დ.-ის, ლ. მ.-ის და სხვა ამგვარ «უცნობთა» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, რომელსაც ლიკვიდატორები მალავენ.

ხოლო «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» მართალი, არაფრაქციული და გამაერთიანებელი რედაქცია ბეჭდავს: «ჩვენთვის ფიზიონომია ჯერ კიდევ გამორკვეული არ არისო»!

მათთვის ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის, რომ აგვისტოს ბლოკი დაიშალა!!

არა, ბატონნო ფ. დ., ლ. მ. და სხვა ლუჩისტებო, თქვენთვის ეს ჩინებულადაა «გამორკვეული», და თქვენ მხოლოდ ატყუებთ მუშებს.

აგვისტოს ბლოკი, — როგორც ჩვენ მაშინვე, 1912 წლის აგვისტოში, ვამბობდით, — ლიკვიდატორთა უბრალო საფარველი აღმოჩნდა. ი გ ი დ ა რ ღ ვ ე უ ლ ი ა. ერთად ვერ მოთავსდნენ თ ვ ი თ რუსეთელი მისი მეგობრებიც კი. ყბადაღებულმა გამაერთიანებლებმა ერთმანეთთან გაერთიანებაც კი ვერ მოახერხეს, და წარმოსდგა ო რ ი «აგვისტოს» მიმართულება: ლუჩისტური («ნაშა ზარია» და «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა») და ტროცკისტული («ბორბა»). ორივეს ხელში უჭირავს მათ მიერ დაფხრეწილი «საერთო გაერთიანებული» აგვისტოს დროშის თითო ნაფლეთი — და ორივე ხმაჩახლეჩით ყვირის: «ერთიანობაო»!

როგორია «ბორბას» მიმართულება? ამის შესახებ ტროცკიმ უშველებელი ფელეტონი დაწერა «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» № 11-ში, მაგრამ ლიკვიდატორული გაზეთის რედაქციამ მას ძალიან მოსწრებულად უპასუხა: «ფიზიონომია წინანდებურად გამოურკვეველიაო».

მართლაც, ლიკვიდატორებს აქვთ თ ა ვ ი ა ნ თ ი ფიზიონომია, ლიბერალური, და არა მარქსისტული. ყველა, ვინც კი გასცნობია ფ. დ.-ის, ლ. ს.-ის, ლ. მ.-ის, ეჟოვის[53], პოტრესოვისა და კომპ. ნაწერებს, იცნობს ამ ფიზიონომიას.

ტროცკის კი არასოდეს არავითარი «ფიზიონომია» არა ჰქონია და არცა აქვს, აქვს მხოლოდ გადარბენანი, გადაბარგება ლიბერალებიდან მარქსისტებთან და პირიქით, აქეთიქიდან ამოგლეჯილი სიტყვებისა და მყვირალა ფრაზების ნაწყვეტები.

არც ერთ სადავო საკითხზე ა რ ც ე რ თ ი ცოცხალი სიტყვა არ არის «ბორბაში».

ეს დაუჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია.

«იატაკქვეშეთის» საკითხი. ა რ ც ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა.

იზიარებს თუ არა ტროცკი აქსელროდის, ზასულიჩის, ფ. დ.-ის, ლ. ს.-ის («ლუჩის» № 101) და სხვ. იდეებს? — ამაზე კ რ ი ნ ტ ი ც ა რ ა ა დ ა ძ რ უ ლ ი.

ღია პარტიისათვის ბრძოლის ლოზუნგი? — ა რ ც ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა.

ეჟოვებისა და სხვა ლუჩისტების ლიბერალური სიტყვები გაფიცვების შესახებ? ნაციონალური საკითხის პროგრამის გაუქმება? — ამაზე კრინტიც არაა დაძრული.

ლ. სედოვისა და სხვა ლუჩისტების გამოსვლები ორი «ვეშაპის»[54] წინააღმდეგ? — ამაზე კრინტიც არაა დაძრული. ტროცკი ირწმუნება, ნაწილობრივი მოთხოვნებისა და საბოლოო მიზნის შეერთების მომხრე ვარო, მაგრამ თუ როგორ უყურებს ის ამ «შეერთების» ლიკვიდატორულად განხორციელებას, ამაზე სდუმს!

ნამდვილად კი, განსაკუთრებით მყვირალა, უშინაარსო და ბუნდოვანი ფრაზების საფარით, ტროცკი თავგზას უბნევს შეუგნებელ მუშებს და ლიკვიდატორების დაცვას ემსახურება, როდესაც ჩქმალავს იატაკქვეშეთის საკითხს, როდესაც ირწმუნება, ჩვენში არ არის ლიბერალური მუშათა პოლიტიკაო და სხვ.

ჩხეიძის მეთაურობით მოქმედ დეპუტატთა შვიდეულს ტროცკი მიმართავს სპეციალური გრძელი დარიგებით, თუ როგორ უნდა გატარდეს უფრო ეშმაკურად იატაკქვეშეთისა და პარტიის უარყოფა. ეს სასაცილო დარიგება ნათლად მოწმობს შვიდეულის შემდგომ დაშლას. მას ჩამოშორდა ბურიანოვი. ისინი ვერ შეთანხმდნენ პლეხანოვისადმი პასუხის შესახებ. ისინი ახლა ყოყმანობენ დანსა და ტროცკის შუა, ამასთან ჩხეიძე, როგორც ეტყობა, მთელ თავის დიპლომატიურ ნიჭს ძაბავს ახალი ნაბზარის მისაფუჩეჩებლად.

და ეს ახლოპარტიული ადამიანები, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთ «აგვისტოს» პლატფორმაზე გაერთიანებას, მუშებს ატყუებენ «ერთიანობაზე» ყვირილით! ამაო ცდაა!

ერთიანობა არის «ძველის» აღიარება და მის უარმყოფელებთან ბრძოლა. ერთიანობა არის რუსეთის მუშების უმრავლესობის გაერთიანება იმ გადაწყვეტილებათა გარშემო, რომლებიც დიდი ხანია ყველასათვის ცნობილია და რომლებმაც დაგმეს ლიკვიდატორობა. ერთიანობა არის სათათბიროს დე-

პუტატების კავშირი მუშების უმრავლესობის ნებასთან, რაც მიღწეულია მუშათა დეპუტატების ექვსეულის მიერ.

ხოლო ლიკვიდატორები და ტროცკი, «შვიდეული» და ტროცკი, რომლებმაც დაარღვიეს თავიანთი საკუთარი აგვისტოს ბლოკი, მიატოვეს პარტიის ყველა გადაწყვეტილება, მოსწყდნენ იატაკქვეშეთსაც და ორგანიზებულ მუშებსაც — უცუდესი გამთიშველები არიან. საბედნიეროდ, მუშებმა უკვე გაიგეს ეს და ყველა შეგნებული მუშები ქმნიან ს ა ქ მ ი თ თავიანთ ერთიანობას მის ლიკვიდატორულ დამრღვევთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

«პუტ პრავდი» № 37,
1914 წ. 15 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

კაპიტალიზმი და გეჭდვითი სიტყვა

როდესაც ორი ქურდი ჩხუბობს, პატიოსანი ხალხისათვის ამას ყოველთვის ექნება ერთგვარი სარგებლობა. როდესაც საბოლოოდ წაიკიდებიან ბურჟუაზიული საგაზეთო საქმის «ნოღვაწენი», საზოგადოების წინაშე ისინი ამჟღავნებენ «დიდი» გაზეთების გამყიდველობასა და თაღლითობას.

ნოვოვერემიელი ნ. სნესარევი წაეჩხუბა «ნოვოე ვრემიას», ფული გაფლანგა და სკანდალით იქნა გაძევებული. ახლა მან გამოაქვეყნა 135-გვერდიანი «თხზულება» სათაურით: ««ნოვოე ვრემიას» მირაჟი. თითქმის რომანი. სპბ. 1914». ბ-ნ სნესარევს, როგორც მიღებულია, «კეთილშობილ» ადამიანად მოაქვს თავი; იგი აგვიწერს იმ ზნე-ჩვეულებებს, რაც დიდი ხანია დამკვიდრებულია დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში და უფრო და უფრო იჭრება რუსეთის ბურჟუაზიული გაზეთების წრეში, რა თქმა უნდა, ისეთი პირობების არსებობის დროს, რომლებიც საგანგებოდ ხელს უწყობენ განსაკუთრებით ბინძურ, განსაკუთრებით საზიზღარ მოსყიდვათა, მლიქვნელობისა და სხვ. დაფარვასა და დაუსჯელობას.

«თანდათანობით ყველა მიეჩვია თავის სახსრებზე გაცილებით უფრო ხელგაშლილად ცხოვრებას», — კეკლუცი გულუბრყვილობით წერს «დაზარალებული» ნოვოევრემიელი. — «თუ როდის და რა გზით განთავისუფლდება საზოგადოება ამ მოვლენისაგან და განთავისუფლდება კი, — არ ვიცით. მაგრამ მდგომარეობა რომ ახლა ასეთია, ეს საყოველთაოდ

აღიარებული ფაქტია». და ერთ-ერთ მაგიურ საშუალებას, რაც ნებას გაძლევს — მეტი ჰხარჯო, ვიდრე ღებულობ, წარმოადგენს ბურჟუაზიული გაზეთების «მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა» კონცესიათა გატარებაში. «შეგვიძლია დავასახელოთ — გვიამბობს ნოვოევრემიელი — ათობით სხვადასხვა კონცესია, რომელიც ცხოვრებაში მარტო განსაზღვრული ნაცნობობა-კავშირის მეოხებით კი არ გატარდა, არამედ განსაზღვრულ გაზეთებში განსაზღვრული სტატიების მოთავსების საშუალებითაც. გამონაკლისს, ცხადია, არც «ნოვოე ვრემია» წარმოადგენს». მაგ., ბ-ნ სნესარევთან ერთხელ მისულა მარკონის უმავთულო ტელეგრაფის ლონდონის კომპანიის წარმომადგენელი და წინადადება მიუცია — შეედგინა მარკონის რუსული საზოგადოების წესდება და პროექტი კონცესიისა ამ საზოგადოების სასარგებლოდ. «ამ შრომის ჯილდოდ 10 000 მანეთი იყო გადადებული, და შეთანხმება დაიდო».

დაზარალებული სნესარევი მოგვითხრობს, ამ ფულში კაპიტალისტებს მარტო მე კი არ მივყიდე ჩემი თავიო, არამედ გაზეთი «ნოვოე ვრემიაც» მთლიანად მიეყიდა «კონცესიის დაცვის კამპანიის» ჩასატარებლად, რისთვისაც მიიღო 50% ფასდაკლება დეპეშებზე და საზოგადოების დამფუძნებლის «ადგილი» 50 000 მანეთის აქციებითო.

ლონდონის კაპიტალისტები — რუსების გაყვლეფა — კონცესია რუსეთის მთავრობისაგან — პრესის მონაწილეობა — საყოველთაო გამყიდველობა — ყიდვა-გაყიდვა, ვისიცა გნებავთ, ათეულობით ათას მანეთად — აი სიმართლის გამომხატველი სურათი, რომელსაც თვალწინ გვიშლის ქურდობის ჩამდენი და ნაწყენი სნესარევი.

«ნოვოე ვრემიას» მილიონიანი წამოწყება დაქვეითებას განიცდის. მილიონერ-რენეგატის ა. ს. სუვორინის ვაჟები ქეიფში ხარჯავენ და წყალში ყრიან მილიონებს. საჭიროა კეთილშობილი გაზეთის ხსნა. სცენაზე გამოდის «ვოლგა-კამის ბანკის დირექტორი-განმკარგულებელი პ. ლ. ბარკი» (გვ. 85). იგი არწმუნებს ა. ს. სუვორინს — საქმე გადასცეს ამხანაგო-

ბას, რომელმაც 1911 წ. აგვისტოში მიიღო უ მ ა ღ ლ ე ს ა დ დამტკიცებული წესდება, ამასთან 800 პაიდან 650 ა. ს. სუვორინისა იყო (თითო პაი — 5 000 მან.). ბალანსი საზოგადოების დაარსებისას ფიქტიური იქნა შედგენილიო (გვ. 97) — განმარტავს ბ-ნი სნესარევი, თანაც დასძენს: «ამხანაგობის დაარსების დროს ამგვარი ბალანსის მიღება შეეძლოთ ან ციფრებში სრულიად ვერაფრის გამგებ, ანდა ბ-ნ გუჩკოვისთანა ადამიანებს, ე. ი. იმათ, ვისაც ჩინებულად ესმოდა საქმე, მაგრამ მხოლოდ თავის პირად მიზნებს ემსახურებოდა». ამ ამხანაგობის დაფუძნების გმირები (დამფუძნებელი კრება 1911 წ. 10 ნოემბერს შესდგა) ყოფილან თ ვ ი თ ს ნ ე ს ა რ ე ვ ი, პ. ლ. ბარკი, ვ. პ. ბურენინი, სახ. სათათბიროს წევრი ოქტიაბრისტი შუბინსკი, კეთილშობილი რენეგატის ა. ს. სუვორინის ვაჟები და სხვ.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს მაღალპატივსაცემი კომპანია განსაკუთრებული სიმარჯვით 1911 წლის ნოემბრიდან საქმიანობდა. ხოლო 1 9 1 2 წ ლ ი დ ა ნ ო — მოგვითხრობს დაზარალებული სნესარევი — «ნოვოე ვრემიას» პრივილეგია საადგილმამულო ბანკების განცხადებათა მიღებისა («არც თუ ისე დიდი შემოსავალი»: სულ 15 000 მან. წელიწადში, თუ «რაღაც მსგავსი» ამისა!), ეს პრივილეგია სუბსიდიად იქცაო. ვინაიდან კანონის თანახმად განცხადებანი ყველაზე უფრო გავრცელებულ გაზეთში უნდა თავსდებოდეს. «ნოვოე ვრემია» ა რ ყოფილა მაშინ ყველაზე უფრო გავრცელებული, მაგრამ მან «აამუშავა» («პირველადო», ფიცულობს კეთილშობილი სნესარევი) თავისი მალული გავლენა-ნაცნობობა მთავრობის სფეროებში, რათა თავის ხელში შეენარჩუნებინა საადგილმამულო ბანკების განცხადებანი. «მინისტრთა საბჭოში ამ საკითხის გადაჭრის დროს, საკმაოდ სერიოზული ყოყმანის შემდეგ, გადაწყდა — განცხადებანი «ნოვოე ვრემიასათვის» დაეტოვებინათ» (გვ. 21).

ეწყობა სალიტერატურო-სამხატვრო საზოგადოების კლუბი, «პირდაპირ რომ ითქვას, საყომარბაზო სახლი» (გვ. 69);

«კლუბის სავალო დავთრებში «ნოვოე ვრემიას» თანამშრომლებზე ათას მანეთობით ვალი ირიცხებოდა. ამ ვალს პირდაპირ ჩამოსწერდნენ ხოლმე ანგარიშიდან».

ბირჟის საქმოსანი მანუსი, ბირჟაზე გამდიდრებული, «რამდენიმე მილიონის» ნაძარცვი ქონების პატრონი (120), ბბ. შენშიკოვებისა და სხვ. მონაწილეობით, «ნოვოე ვრემიაში» კამპანიას ეწევა მინისტრ კოკოვცოვის გადასაყენებლად. მკითხველებისათვის მიგვინდვია იმკითხაონ, რამდენ-რამდენი ათეული ათასი მიუღიათ ყველა ამ «მოღვაწეებს» და რამდენი დარჩენიათ მიუღებელი.

მილიონების ფერხული. «ნოვოე ვრემიას» ხუთმილიონიანი ბალანსი, აქედან დაახლოებით სამი მილიონი — ფიქცია. ჯამაგირები და ჰონორარები — 2 — 3 ათასი მანეთი თ ვ ი უ რ ა დ მეორეხარისხოვანი და მესამეხარისხოვანი მუშაკებისათვის. ფული კი ასიათასობით და მილიონობით ნიავდება. ასიათასობით სესხი ბანკებში. საყოველთაო გამყიდველობა. ყველა ჯურის პროსტიტუცია, უკანონო და კანონიერი, ქორწინებით ნაკურთხი. პეტერბურგის საუკეთესო და მაღალი საზოგადოება. მილიონერები, მინისტრები, ბირჟის საქმოსანნი, წარჩინებული უცხოელნი. საყომარბაზო სახლები. სხვადასხვა სახის შანტაჟი. «არავითარი პოლიტიკური რწმენა» (გვ. 36). შური და ფანდები. ამფითეატროვი და სნესარევი დუელში იწვევენ ინჟინერს, რომელმაც აწყენინა «ნოვოე ვრემიას» რედაქციას, რადგან უკანასკნელმა ლაფი დაასხა სტუდენტებს. ა. ს. სუვორინი, რომელსაც «ძალიან უყვარს» ამფითეატროვი, მაგრამ რომელსაც «არ შეუძლია უარი თქვას სიამოვნებაზე — უსიამოვნება მიაყენოს მას»: დაბეჭდოს ბურენინის ფელეტონი «საძაგელი» გამოხდომით მსახიობ ქალის რაისკაიას, ამფითეატროვის ცოლის, წინააღმდეგ. ბურენინი აძევებს ამფითეატროვს. სუვორინის ვაჟები ასი ათას მანეთობით სესხულობენ ფულს.

«ნოვ. ვრემიას» ზარალი 1905 წელს 150 000 მანეთია.

1905 წლით შეშინებული მოსკოველი ვაჭარ-მექარხნენი 100 000 მანეთს იძლევიან მუშებისათვის პატრიოტული მიმარ-

თულების გაზეთის გამოსაცემად. «ნოვოე ვრემია», მათი თხოვნით, კისრულობს საქმის მოწყობას.

გაზეთმა ორ წელს «იბოგინა საცოდავად» და დაიხურა. შოსკოველებმა 100 000 მან. დაკარგეს, ნოვოვრემიელებმა — 150 000 მან. (61).

ქურდები, როსკიპი მამაკაცები, გამყიდველი მწერლები, გამყიდველი გაზეთები. ესაა ჩვენი «დიდი პრესა». ესაა «მაღალი» საზოგადოების რჩეული ნაწილი. ამ ადამიანებს «ყველა» იცნობს, მათ «ყველგან» აქვთ კავშირი... მებატონეთა უსირცხვილო თავხედობა, რომელიც ბნელში გადახვევია ბურჟუაზიის უსირცხვილო გამყიდველობას, — აი იგი — «წმიდა რუსეთი».

«ჰუტ პრავდი» № 41,
1914 წ. 20 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «ჰუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რადიკალური ბურჟუა
რუსი მუშების შესახებ

სასარგებლოა ხანდახან შევხედოთ, თუ როგორ მსჯელობს გარეშე ხალხი ჩვენს შესახებ, ჩვენი მუშათა პრესის, ჩვენი მუშათა კავშირების, ჩვენი მუშათა მოძრაობისა და სხვ. შესახებ. საგულისხმოა შეხედულებანი პირდაპირი მტრებისაც და ფარული მტრებისაც, როგორც გაურკვეველი, ისე გაურკვევლად «თანამგრძნობი» ადამიანებისაც, თუ ესენი რამდენადმე მაინც შეგნებული, მცოდნე და პოლიტიკაში ოდნავ გაგებული ადამიანები არიან.

ადამიანთა ამ უკანასკნელ თანრიგს, უეჭველია, ეკუთვნის «ტრუდოვიკი» ანუ «სახალხო სოციალისტი» — ხოლო უკეთუ მართალს ვიტყვით, რადიკალური ბურჟუა ანუ ბურჟუაზიული დემოკრატი — ბ-ნი ს. ელპატიევსკი.

ეს მწერალი ერთ-ერთი უერთგულესი თანამოაზრე და თანამებრძოლია ნ. კ. მიხაილოვსკისა, რომელსაც ახლა ასე უჭკუოდ ასხამენ ხოტბას გონების წინააღმდეგ სოციალისტობის დამჩემებელი «მემარცხენე ნაროდნიკები». ბ-ნი ს. ელპატიევსკი დაკვირვებული მეთვალყურეა რუსული ობივატელური ცხოვრებისა, რომლის განწყობილებებსაც იგი «გულისხმიერად» ეხმაურება.

მას შეიძლება ვუწოდოთ ერთ-ერთი უაღრესად მოწინავე რუსი ლიკვიდატორი, ვინაიდან მან და მისმა მეგობრებმა ჯერ კიდევ 1906 წლის შემოდგომაზე (იხილე «რუსსკოე ბოგატსტვოს» 1906 წლის სავალალოდ-ცნობილი აგვისტოს ნომერი)

გამოაცხადეს «ღია პარტიის» საჭიროება, თავს დაესხნენ «იატაკქვეშეთის» სივიწროვეს და შეუდგნენ ამ იატაკქვეშეთის უმნიშვნელოვანესი ლოზუნგების შესწორებას ღია, ე. ი. ლეგალური, პარტიის შესაბამისად. თვით ამ «სოციალ-კადეტების» (მემარცხენე ნაროდნიკებიც კ ი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი გახდნენ ასე ეწოდებინათ მაშინ მათთვის) სიტყვით და შეგნებით მათ მიერ იატაკქვეშეთზე ხელის აღება და ლიკვიდატორული გამოცხადება «ღია პარტიისა» ან «ღია პარტიისათვის ბრძოლისა» გამოწვეული იყო მისწრაფებით—წასულიყვნენ «მასებში», დაერაზმათ მასები.

ნამდვილად კი ბბ. «სახალხო სოციალისტების» გეგმაში არაფერი ყოფილა, გარდა ობივატელური, მეშჩანური სიმხდალისა (მასების მიმართ) და გულუბრყვილო რწმენისა (ხელისუფლების მიმართ). «ღია პარტიისათვის» მათ ნაწილობრივ ნაობახით დაემუქრნენ, ნაწილობრივ ზოგი ვინმე ნაობახში ამყოფეს, შედეგი კი ის იყო, რომ მათ არ დარჩათ არც აშკარა და არც არავითარი კავშირი მასებთან, არც აშკარა, ღია და არც არავითარი პარტია. ისინი დარჩნენ იმად, რასაც ჩვენი ლიკვიდატორები წარმოადგენენ, ე. ი. ლეგალისტ-ლიკვიდატორთა ჯგუფად, «დამოუკიდებელ» (იატაკქვეშეთისაგან დამოუკიდებელ, მაგრამ იდეურად ლიბერალიზმისაგან დამოკიდებულ) ლიტერატორთა ჯგუფად.

განვლეს გულგატეხილობის, რღვევისა და დაშლის წლებმა. დაჰბერა ოდნავ სხვა სიომ. და ობივატელური სულისკვეთებისადმი გულისხმიერი ბ-ნი ს. ელპატიევსკიც წერს მიმდინარე წლის «რუსსკოე ბოგატსტვოს» იანვრის ნომერში სტატიას რუსი საზოგადოების სხვადასხვა კლასთა სულისკვეთების შესახებ, ეფექტური სათაურით: «სიცოცხლე ჩქეფს».

სიცოცხლე ჩქეფს — გაიძახის ჩვენი ნაროდნიკი და ჩამოთვლის თავის მეხსიერებაში ყოველგვარ ყრილობებსაც, სალაზკინის სიტყვასაც და ბეილისის საქმესაც. პროვინციაში უეჭველი გამოცოცხლებაა, თუმცა «ახლა ზოგჯერ არამც თუ მემარჯვენე კადეტს ვერ გამოარჩევ მემარცხენე ოქტიაბრისტი-

საგან, არამედ ხანდახან ესერსა და ესდეკსაც კი» (ლიკვიდატორთა წრისას ხომ არა, ბ-ნო ნაროდნიკულო ლიკვიდატორო?) — «მემარცხენე კადეტისაგან, თუ ადგილობრივი» (რასაკვირველია, მარტოოდენ ლეგალური) «ტაქტიკის მიხედვით განვსჯით». «ხდება რუსეთის ერთგვარი შემოკრება იმ კედლის ორივე მხარეს, რომელსაც რუსეთი გაუყვია. ერთ მხარეს შემოკრებილა გაერთიანებული თავადაზნაურობა, გაერთიანებული ბიუროკრატია, უწყებათა ხალხი და ის ობივატელები, რომლებიც ასე თუ ისე «ხაზინისაგან იკვებებიან», მეორე მხარეს კი — უბრალო ობივატელი, პროვინციული საზოგადოების მთავარი ფენა».

როგორც ხედავთ, ფართო არ ყოფილა ჩვენი ნაროდნიკის თვალთახედვის არე, წვრილმანია მისი ანალიზი: იგივე ლიბერალური დაპირისპირება ხელისუფლებისა და საზოგადოებისა. საზოგადოების შიგნით მიმდინარე კლასობრივ ბრძოლაზე, ბურჟუაზიასა და მუშებზე, ლიბერალიზმსა და დემოკრატიას შორის მტრობის გაღრმავებაზე — ცოტა არ იყოს ძნელია რაიმე ითქვას ამაზე პროვინციელი ობივატელის თვალსაზრისით.

სოფლის ქვედაფენების შესახებ ძნელია დასკვნების გამოყვანაო — წერს ბ-ნი ს. ელპატიევსკი.

...«წყვდიადი და მდუმარება დასწოლია სოფელს, სადაც თვალით ვერ მისწვდები, საიდანაც ხმას ვერ მიაწვდენ»... კოოპერაციულმა მოძრაობამ «უეცრად იფეთქა და ფართოდ გაიშალა»... გამოყოფილ მეურნეთა და მეთემურთა ბრძოლა... «ყ ო ვ ე ლ ი ვ ე ეს ს ა კ მ ა რ ი ს ა დ ა რ გ ა მ ო მ ჯ ღ ა ვ ნ ე ბ უ ლ ა».

«დიახ, უნდა ვაღიაროთ, რომ მთავრობის ცდებით სოფლის მასის გათიშვისა და დაქსაქსვის მიზნით მეთემურთა და გამოყოფილ მეურნეთა შუა აღმართული კედელი სულ უფრო მაღლა ადის, მაგრამ, როგორც ეტყობა, სოფლებში ჯერ კიდევ ვერ გამომუშავებულა მთავრობის მაზნების შესაფერისი გრძნობანი და განწყობილებანი. მიწის მიღების სურვილი და მოლოდინი წინანდებურად თანაბარი ძალით ანთია პირველთა და მეორეთა სულში, ხოლო თავისუფლების, «უფლებების» სურვილი, წინათ «მიწით» დაჩრდილული, როგორც ჩანს, სულ უფრო მკაფიოდ და მბრძანებლურად ისახება».

დასასრულ, ჩვენი რუსული ყოფაცხოვრების აღმწერი აღნიშნავს, რომ «სწორედ მემარჯვენე წრეები იმეორებენ ახლა დაჟინებით სიტყვას — რევოლუციას», რომ ამ წრეებს «თვითონაც ნამდვილად შეეშინდათ, კონფლიქტს მართლა ხომ არ უნდა ველოდეთო, კატასტროფის გარდუვალობაში ხომ არ უნდა ვიყოთ დარწმუნებულიო», — და ავტორი შემდეგს ამბობს მუშების შესახებ:

«საჭირო არ არის აქ ორგანიზებულ მუშებზე ვილაპარაკო. იქ ხელისცეცებით როდი გვიხდება დასკვნების გამოყვანა, — ყველაფერი იქ ნათელია და ყველასათვის დასანახი. შეხედულებანი იქ საკმაოდ ზუსტად არის ჩამოყალიბებული, იქ არა მარტო ხურვილები და მოლოდინია, არამედ მოთხოვნებიც, განმტკიცებული ნებისყოფითი იმპულსებით, — არა სტიქიური აფეთქებებით, არამედ სისტემატიზებული და საკმარისად შემუშავებული მეთოდებით... (მრავალწერტილი ბ-ნ ელპატიევსკისაა). **და უეჭველია, შეხედულებებიც, ხურვილებიც და მოლოდინიც ამ ორგანიზებული წრიდან ეონავს სოფლურში, საიდანაც ეს წრე გამოსულია».**

ამას წერს ადამიანი, რომელიც არასოდეს არ ეკუთვნოდა მარქსისტთა რიცხვს და ყოველთვის განზე იდგა «ორგანიზებული მუშებისაგან». მით უფრო ძვირფასია შეგნებული მუშებისათვის საქმის ეს შეფასება გ ა რ ე შ ე კაცის მიერ.

ბ-ნი ელპატიევსკი, ლიკვიდატორობის ერთ-ერთი «მოწინავე» ბელადი, უნდა ჩაჰფიქრებოდა იმის მნიშვნელობას, რის აღიარებაც მას ახლა მოუხდა.

ჯერ-ერთი, რ ო მ ე ლ მუშებშია «საკმაოდ ზუსტად ჩამოყალიბებული შეხედულებანი» და «საკმარისად შემუშავებული და სისტემატიზებულია მეთოდები»? მ ხ ო ლ ო დ ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეთა შორის (ვინაიდან ლიკვიდატორებში სრული ქაოსია შეხედულებებისაც და მეთოდებისაც), მ ხ ო ლ ო დ მათში, ვინც ლაჩრულად და სულსწრაფად არ განდგომია იატაკქვეშეთს. მ ხ ო ლ ო დ მათშია, მართლაც, «ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ნ ა თ ე ლ ი და ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს დ ა ს ა ნ ა ხ ი». ეს პარადოქსულ (უცნაურ) რამვდ მოჩანს, მაგრამ ეს ფაქტია: ქაოსი იმათშია, ვინც დანატ-

რებულია «ლია პარტიას», — «ყველაფერი ნათელია და ყველასათვის დასანახი», «შეხედულებანი საკმაოდ ზუსტად ჩამოყალიბებულია და მეთოდები საკმარისად შემუშავებულია» მხოლოდ «იატაკქვეშეთის» მომხრეებში, იმათში, ვინც ერთგულად ასრულებს ამ ვითომდა ვიწრო და მკვდრადქცეული (იხ. «ნაშა ზარია», «ლუჩი», «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა», «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა») იატაკქვეშეთის აღთქმებს.

ლიკვიდატორობის პირველმა წარმომშობთაგანმა («რუსსკოე ბოგატსტვოს» მეთაურმა, ბ-მა ელპატიევსკიმ) პირველმავე მოაწერა ხელი მის სასიკვდილო განაჩენს, «სულის მოსახსენებელი» წაუკითხა მას საფლავზე.

შესაძლოა, ბ-ნ ელპატიევსკის თვითონაც არ ჰქონდეს ეს შეგნებული, მაგრამ მის მიერ აღძრული საკითხი შორს სცილდება ცალკეულ პოლიტიკოსთა პირადი გაგების ფარგლებს.

მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება. რატომაა, რომ რუსეთის ისტორიის ერთ-ერთს უაღრესად შფოთიან და მძიმე პერიოდში, 1908 — 1913 წწ. ხუთწლეულში, რუსი ხალხის ყ ვ ე ლ ა კლასთაგან მხოლოდ პროლეტარიატი არ მიდის «ხელისცეცებით»? რატომაა, რომ მხოლოდ მას აღმოაჩნდა «ყველაფერი ნათელი და ყველასათვის დასანახი»? რატომ გამოდის იგი უდიდესი იდეური დაშლიდან, პროგრამული, ტაქტიკური, ორგანიზაციული და ყოველგვარი რღვევიდან და რყევიდან — რასაც ვხედავთ ლიბერალებშიც, ნაროდნიკებშიც და ინტელიგენტ «ვითომ-მარქსისტებშიც» — «საკმაოდ ზუსტად ჩამოყალიბებული შეხედულებებით», «სისტემატიზებული და საკმარისად შემუშავებული მეთოდებით»? არა მარტო იმიტომ, რომ ამ შეხედულებებს აყალიბებდა, ამ მეთოდებს იმუშავებდა იატაკქვეშეთი, არამედ იმიტომაც, რომ არსებობს უღრმესი სოციალური მიზეზები, არსებობს ეკონომიური პირობები, არსებობს ფაქტორები, რომლებიც სულ უფრო და უფრო ძლიერად მოქმედებენ რკინიგზის თვითეულ ახალ ვერსთან ერთად, ვაჭრობის, მრეწველობის, კაპიტალიზმის მიერ ქალაქად და სოფლად წინგადადგმულ თვითეულ

ნაბიჯთან ერთად, ფაქტორები, რომლებიც ამრავლებენ, ამაგრებენ, აკაქებენ და მჭიდროდ აკავშირებენ პროლეტარიატს, რომლებიც ეხმარებიან მას — უ კ ა ნ არ მისდიოს ობივატელს, არ იმერყეოს მეშჩანების მსგავსად, ლაჩრულად არ განუდგეს იატაკქვეშეთს.

ვინც ამას ჩაუფიქრდება, ის მიხვდება, თუ რა უდიდესი ზიანი მოაქვთ ცდებს — ერთ პარტიად «შეადუღონ» დაქირავებული მუშების კლასისა და გარდუვალად მერყევი და მოქანავე წვრილბურჟუაზიული გლეხობის მოწინავენი.

«პროსვეშჩენიე» № 3, 1914 წ. მარტი

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

პოლიტიკური გაკვეთილები

სახელმწიფო საბჭომ, ამ რამდენიმე ხნის წინათ, ჩაშალა პოლონეთის მომავალ თვითმმართველობაში პოლონური ენის შემოღება. ეს კენჭისყრა, რომელიც მთავრობის მეთაურის ნება-სურვილის წინააღმდეგ მოხდა, ბევრ რამეს გვიხსნის რუსეთის მბრძანებელ კლასთა და ჩვენი სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის «თავისებურებათა» საკითხში.

პრესაში უკვე გამომჟღავნებულია, თუ რა ხანგრძლივი ისტორია ჰქონია პოლონეთის თვითმმართველობაში პოლონური ენის საკითხს. ხელისუფლების საჭესთან მდგომი რუსი მემამულეები, თურმე, დიდი ხანია, 1907 წლიდანვე, მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ამის შესახებ პოლონეთის წარჩინებულ წოდებასთან. ერთმანეთს ურიგდებოდნენ იმ პირობების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელი იქნებოდა პოლონელ შავრაზმელებთან რუსი შავრაზმელების თუნდაც ერთგვარი თანამშრომლობა ანდა შედარებით მშვიდობიანი თანაცხოვრება მაინც, — ამასთან ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სავსებით და მარტოოდენ «ნაციონალური კულტურის» ინტერესებისათვის ხდებოდა.

პოლონურ ნაციონალურ კულტურას იცავდნენ პოლონელი მემამულეები, — მათ უნდოდათ გამოეთხოვნათ თვითმმართველობა (ავტონომიის ნაცვლად) და პოლონური ენა. რუსულ ნაციონალურ კულტურას იცავდნენ ველიკოროსი მემამულეები, — მათ ნაგულისხმევად მიაჩნდათ (ყველაფერი

მათს ხელში იყო, და გამოსათხოვნი მათ არა ჰქონდათ რა) ამ კულტურის უზენაესობა და «რუსული» ხოლმშჩინის გამოყოფა პოლონეთისაგან. ორივე მხარე, სხვათა შორის, ებრაელთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ უთანხმდებოდა ერთმანეთს, და ებრაელები მათ წინასწარვე დაჰყავდათ შეზღუდულ «პროცენტულ ნორმამდე», — რათა პოლონეთი რუსეთს არ ჩამორჩენოდა ებრაელთა შავრაზმულ დევნასა და დაჩაგვრაში.

სტოლიპინს, როგორც იუწყებიან, პირადად უწარმოებია ეს მოლაპარაკება პოლონელ წარჩინებულებთან, პოლონეთის მაგნატ-მემამულეებთან. სტოლიპინი დაჰპირებია. პროექტები შეტანილი ყოფილა. მაგრამ... ხოლმშჩინა გამოყოფილი აღმოჩნდა, ხოლო პოლონური ენა პოლონეთის თვითმმართველობაში ჩვენმა სახელმწიფო საბჭომ უ ა რ ყ ო. სტოლიპინის საქმეს «რწმენითა და სიმართლით» იცავდა კოკოვცოვი, მაგრამ ვერ დაიცვა. სახელმწიფო საბჭოს მემარჯვენე წევრები მას არ გაჰყოლიან.

აი კიდევ ერთი, თუმცაღა პატარა, ხელშეკრულება, რომელიც «დაარღვიეს». ამას წინათ გუჩკოვი სრულიად რუსეთის ბურჟუაზიის სახელით ამბობდა, რომ უკანასკნელს მდუმარე ხელშეკრულება დაუდვია კონტრრევოლუციის მთავრობასთან: «მხარი დაუჭიროს მას რეფორმების გულისთვის». მხარი კი დაუჭირეს, მაგრამ რეფორმები ამას ა რ მოჰყოლია.

ჩვენს მაგალითში ბურჟუაზიამ კი არა, და არც ოპოზიციამ, არამედ უაღრესად წმინდა მოდგმის მემამულეებმა დასდეს ასეთივე მდუმარე ხელშეკრულება: «ჩვენ» ნაბიჯს ვდგამთ სტოლიპინისაკენ, ჩვენ კი თვითმმართველობას გვაძლევენ პოლონური ენითო. ნაბიჯი კი გადადგეს, მაგრამ პოლონური ენა არ მიუღიათ.

დიდი პოლიტიკური გაკვეთილები გამომდინარეობს ამ პატარა მაგალითიდან. ეროვნებათა ბრძოლა ჩვენს თვალწინ იქცევა ორი ერის გაბატონებულ კლასთა გარიგებად მესამე (ებრაელთა) ერის განსაკუთრებული დაჩაგვრის პირობით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასე იქცევა ყველა გაბატონებული

კლასი, არა მარტო მემამულეები, არამედ ბურჟუაზიაც, ყველაზე უფრო დემოკრატიული ბურჟუაზიაც კი.

რუსეთის ნამდვილი წყობილება და მმართველობა მის კლასობრივ საფუძველში მჟღავნდება: მემამულეები მბრძანებლობენ, წყვეტენ საკითხებს, მესვეურობენ. ამ კლასის ყოვლისშემძლეობა უაღრესად დიდია. ბურჟუაზიას იგი მხოლოდ «დაუშვებს» ხოლმე... ხელშეკრულებათა დასადებად, შემდეგ კი ა რ ღ ვ ე ვ ს მათ.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თურმე, მბრძანებელი კლასის ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი ც კი არაჩვეულებრივი ზებუნებრივი სიადვილით შეიძლება ხელშეკრულებათა «დარღვევა». ეს უკვე რუსეთის განსხვავებაა დანარჩენ კლასობრივ სახელმწიფოთაგან, ეს უკვე ჩვენი თვითმყოფობაა, — რომლის დროსაც გადაუჭრელი რჩება ევროპის მიერ ამ 200 და 100 წლის წინათ გადაჭრილი საკითხები.

«პროსვეშჩენიე» № 3, 1914 წ. მარტი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

კანონპროექტი ეროვნული თანასწორუფლებიანობის შესახებ

ამხანაგებო!

რუსეთის სოც.-დემ. მუშათა ფრაქციამ დაადგინა — IV სახელმწიფო სათათბიროში შეიტანოს ის კანონპროექტი ებრაელებისა და სხვა «უცხოტომელების» უფლებათა შეზღუდვის გაუქმების შესახებ, რომელსაც თქვენ ქვემოთ ნახავთ.

კანონპროექტი ეხება ყველა ერის: ებრაელების, პოლონელებისა და სხვ. წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ეროვნული შეზღუდვის გაუქმებას. მაგრამ განსაკუთრებით დაწვრილებით იგი ებრაელთა საწინააღმდეგო შეზღუდვებზე ჩერდება. მიზეზი გასაგებიცაა: ისე, როგორც ებრაელთა ეროვნება, არც ერთი ეროვნება არ იჩაგრება და არ იდევნება რუსეთში. ანტისემიტიზმი უფრო და უფრო ღრმად იდგამს ფესვებს შეძლებულ ფენებს შორის. ებრაელი მუშები ორმაგ უღელქვეშ გმინავენ: როგორც მუშები და როგორც ებრაელები. ებრაელთა დევნამ უკანასკნელ წლებში სრულიად წარმოუდგენელ საზღვარს მიაღწია. საკმარისია გავიხსენოთ ანტიებრაული დარბევები და ბეილისის საქმე.

ასეთ პირობებში ებრაელთა საკითხს ორგანიზებული მარქსისტები ჯეროვანი ყურადღებით უნდა მოეპყრონ.

თავისთავად იგულისხმება, ებრაელთა საკითხის სერიოზულად გადაჭრა მხოლოდ იმ ძირითად საკითხებთან ერთად შეიძლება, რომლებიც დღის წესრიგში დგას რუსეთში. თავის-

თავად ცხადია, ნაციონალისტურ-პურიშკევიჩული IV სათათ-ბიროსაგან ჩვენ როდი ველით, რომ ებრაელებისა და სხვა «უცხოტომელების» წინააღმდეგ მიმართულ შეზღუდვებს იგი გააუქმებს. მაგრამ მუშათა კლასი ვალდებულია თავისი ხმა აღიმაღლოს. და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ განსაკუთრებით ძლიერად რ უ ს ი მუშის ხმა უნდა გაისმას.

ვაქვეყნებთ რა ჩვენს პროექტს კანონისას, იმედი გვაქვს, რომ ებრაელი, პოლონელი და სხვა ჩაგრულ ეროვნებათა მუშები თავიანთ აზრს გამოთქვამენ მის შესახებ და წამოაყენებენ თავიანთ შესწორებებს, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევენ.

ამასთან ერთად იმედი გვაქვს, რომ რუსი მუშები განსაკუთრებით ენერგიულად დაუჭერენ მხარს ჩვენს კანონპროექტს თავიანთი განცხადებებით და სხვ.

კანონპროექტს, მე-4 მუხლის თანახმად, ჩვენ დავურთავთ გასაუქმებელი წესებისა და კანონდებულებების საგანგებო სიას. ამ დანართში შევა 100-მდე ისეთი კანონდებულება, რაც მარტო ებრაელებს ეხება.

პროექტი კანონისა ებრაელთა უფლებების ყველა შეზღუდვისა და საერთოდ ყველა იმ შეზღუდვის გაუქმების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია წარმოშობასთან ანდა რომელიმე ეროვნებისადმი კუთვნილებასთან

1. რუსეთში მოსახლე ყველა ეროვნების მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონის წინაშე.

2. რუსეთის არც ერთი მოქალაქე, განურჩევლად სქესისა და სარწმუნოებისა, არ შეიძლება შეზღუდულ იქნას პოლიტიკურ და საზოგადოდ რაიმეგვარ უფლებებში მისი წარმოშობისა ანდა რომელიც უნდა იყოს ეროვნებისადმი კუთვნილების გამო.

3. უქმდება ყველა და ყოველგვარი კანონი, დროებითი წესები, კანონთა შენიშვნები და სხვ., რომლებიც ზღუდავენ

ებრაელებს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების რაიმე სფეროში. უქმდება IX ტომის 767-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ «ებრაელები საერთო კანონებს ექვემდებარებიან ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მათ მიმართ განსაკუთრებული წესები არ არის დადგენილი». უქმდება ებრაელთა ყველა და ყოველგვარი შეზღუდვა იმის დარგში, რაც შეეხება: ბინადრობისა და ადგილის გადანაცვლების უფლებას, განათლების უფლებას, უფლებებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სამსახურის მხრივ, საარჩევნო უფლებებს, სამხედრო ბეგარას, ქალაქად, სოფლად და სხვ. უძრავი ქონების შეძენისა და იჯარით აღების უფლებას; უქმდება ებრაელთა ყოველგვარი შეზღუდვა ლიბერალური პროფესიების გამოყენების მხრივ და სხვ. და ა. შ.

4. ამ კანონს დაერთვის ებრაელთა უფლებების შეზღუდვისაკენ მიმართული და გასაუქმებელი კანონდებულებების, განკარგულებების, დროებითი წესებისა და სხვ. სია.

«პუტ პრავდი» № 48,
1914 წ. 28 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სოფლის მუშების ხელფასი

ცნობილია, რომ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ხელფასი 1905 წლიდან დაახლოებით ოცი პროცენტით გაიზარდა.

იმავე საკითხის შესწავლას, ოღონდ სოფლის მუშების ხელფასის მიმართ, პირველი ი. დროზდოვი შესდგომია ახლახან გამოსულ თავის ბროშურაში: «მიწათმოქმედების მუშების ხელფასი რუსეთში 1905 — 1906 წწ. აგრარულ მოძრაობასთან დაკავშირებით» (სპბ. 1914, მ. ი. სემიონოვის გამოც., ფ. 50 კაპ.). აღვნიშნოთ ამ საინტერესო შრომის მთავარი დასკვნები.

სოფლის მუშის საშუალო დღიური ხელფასი ევროპის რუსეთში შეადგენდა კაპიკობით:

			კაპიკი	იგივე %-ში
საშუალო	1902 — 1904	წწ.....	64,0	100,0
»	1905	წელს	64,8	101,2
»	1906	»	72,0	112,5
»	1907	»	73,1	114,2
»	1908	»	72,4	113,1
»	1909	»	75,8	118,4
»	1910	»	76,6	119,6

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ხელფასის უდიდესი მატება სწორედ 1906 წელზე მოდის, ე. ი. სახელდობრ იმ წელზე, როდესაც ცხრაას ხუთი წლის მოძრაობის გავლენას ყველაზე მეტი გარკვეულობით უნდა ეჩინა თავი.

ამრიგად 1905 წლიდან მოხერხდა სოფლის მუშების წარმოუდგენლად დაბალი ხელფასის აწევაც! მაგრამ ეს წინსვლა რომ მაინც სრულიადაც არ არის საკმარისი, ეს ჩანს ფულადი ხელფასისა და პურის ფასის შედარებიდან. ბროშურის ავტორს მოუხდენია ეს შედარება და სოფლის მუშების ზემომოყვანილი ფულადი ხელფასი გამოუხატავს პ უ რ ი თ (ჭვავით) საშუალო ადგილობრივი ფასების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ პურით გამოხატული ხელფასი 1902 — 1904 წლების 0,93 ფუთიდან 0,85 ფუთამდე დ ა წ ე უ ლ ა 1905 წელს, ხოლო 1906 წელს — 0,91 ფუთამდე.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისი დღიური ხელფასით რუსეთის სოფლის მუშას 1902 — 1904 წლებში 0,93 ფუთი ჭვავი შეეძლო ეყიდა, 1906 წელს კი — მხოლოდ 0,91 ფუთი. რა თქმა უნდა, ცხრაას ხუთისა და ექვსის ბიძგი რომ არ ყოფილიყო, რ ე ა ლ უ რ ი ხელფასი კიდევ უფრო დაბლა დაიწევდა.

ცალკეული წლების მიხედვით შრომის ხელფასი დიდად მერყეობს მოსავალთან და სხვა მიზეზებთან დაკავშირებით: მაგალითად, 1905-დან 1907 წლამდე ხელფასი მატულობდა, თუმცა მეტად უთანაბროდ, შემდეგ 1908 წელს (ყველაზე ძლიერი რეაქციის წელი) ხელფასი დ ა ბ ლ ა ი წ ე ვ ს, რათა კვლავ ცოტაოდნად აიწიოს 1909 და 1910 წლებში.

ცალკეულ წლებში ხელფასის რყევის გამო საჭიროა ცალკეული წლები კი არ შევადაროთ ერთმანეთს, არამედ ათწლეულები. ასეთი შედარების მოხდენით ბ-ნი დროზდოვი სოფლის მუშის საშუალო ხელფასს ევროპის რუსეთში 1891 — 1900 წწ. ათწლეულისათვის 55,08 კაპიკით განსაზღვრავს, ხოლო შემდეგი ათწლეულისათვის (1901 — 1910) — 69,18 კაპიკით. მატება 25,5%-ს შეადგენს.

ეს ნიშნავს, რომ რუსეთის ს ა მ მ ა მ ი ლ ი ო ნ მ ა სოფლის მუშამ (ეს რიცხვი, უეჭველია, მნიშვნელოვნად შემცირებულია) ხელფასის მომატებას, თუ წელიწადში ორას სამუშაო დღეს მაინც ვივარაუდებთ, წ ე ლ ი წ ა დ შ ი დაახლოებით 80 მ ი ლ ი ო ნ ი მ ა ნ ე თ ი ს რაოდენობით მიიღწია.

მართალია, მოხმარების პროდუქტების ფასებმა იმავე ხნის განმავლობაში საშუალოდ 20,5%-ით აიწია. მაშასადამე, ხელფასის ნ ა მ დ ვ ი ლ ი გადიდება, ანუ რეალური ხელფასის გადიდება, ძალიან მცირე ყოფილა. ავტორი პურით გამოხატავს დღიურ ფულად ხელფასს და მატებას რევოლუციური ათწლეულის განმავლობაში, რევოლუციის წინადროინდელთან შედარებით, სულ 3,9%-ს იღებს. მაშასადამე, მუშების ყოველგვარი ცდის შედეგად შესაძლებელი გახდა ხელფასის ძველ დონეზე შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა და მისი მხოლოდ ს უ ლ მ ც ი რ ე ო დ ნ ა დ აწევა.

სამაგიეროდ იმავე ორი ათწლეულის მანძილზე მუშების ხელფასსა და მ ი წ ი ს ფ ა ს შ ი მომხდარ ცვლილებათა შედარება გვიჩვენებს ბ ა ტ ო ნ მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა შემოსავლის უ ზ ა რ მ ა ზ რ ა დ გადიდებას. მიწის ყიდვა არის იმ შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ყიდვა, რასაც მიწა იძლევა, ეს რ ე ნ ტ ი ს ყიდვაა; ამიტომ მიწის ფასი კაპიტალიზებულ რენტას წარმოადგენს. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ზემოთ აღნიშნული ორი ათწლეულის განმავლობაში 1 დესეტინის საშუალო ფასი 69,1 მანეთიდან 132,4 მანეთამდე, **ე. ი. თითქმის ერთიორად** აწეულა!

მილიონობით დაქირავებული მუშების ხელფასის ე რ თ ი მ ე ო თ ხ ე დ ი თ გადიდება. მემამულეთა შემოსავლის ე რ თ ი ო რ ა დ გადიდება. დაქირავებული მუშების ხელფასის ზრდა ძლივს მისდევს კვალდაკვალ მოხმარების პროდუქტთა ფასების ზრდას. ხოლო მემამულეები თავიანთ შემოსავალს ერთიხუთად იმაზე უფრო ადიდებენ, ვიდრე პროდუქტების ფასები მატულობს. მიწათმფლობელნი და შეძლებული მ ე პ ა ტ რ ო ნ ე-გლეხები უფრო და უფრო მდიდრდებიან.

ამასთან ხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მიწის შემოსავლიანობის გადიდება და მიწათმოქმედების პროდუქტთა ფასების ზრდა განუხრელად და გარდუვალად ადიდებს კლასობრივი უფსკრულის სიღრმეს სოფლის ბურჟუასა და სოფლის პროლეტარს შორის, წ ვ რ ი ლ (თუნდაც «მშრომელ»)

მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ს ა და დაქირავებულ მუშას შორის. ამიტომ ის, ვინც «მშრომელ» გლეხს ეუბნება: კაპიტალიზმის დროს შენი წვრილი მეურნეობა ვერ გიხსნის სიღატაკისა და გაჭირვებისაგან, შენი ხსნა მ ხ ო ლ ო დ დაქირავებულ მუშებთან შეერთებაშიაო, ის მართალს ამბობს. ხოლო ის, ვინც, ჩვენი «ნაროდნიკების» მსგავსად, «შრომითი» მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ინტერესთა დაცვას კისრულობს, წვრილ მეურნეობას სიცოცხლისუნარიანად აცხადებს კაპიტალიზმის დროს, ის მხარს უჭერს წვრილი მეპატრონის ბურჟუაზიულ მისწრაფებებს, ბურჟუულ «სულს», და არა პროლეტარულს, ის ლაპარაკობს, როგორც ბურჟუა.

«პუტ პრავდი» № 49,
1914 წ. 29 მარტი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ლატვიელი მუშები ს.-დ. ფრაქციის გათიშვის შესახებ

ლიკვიდატორული პრესის მკითხველმა მუშებმა იციან, თუ რა ხშირად დაუკვეხნიათ რუს ლიკვიდატორებს, ვითომც ლატვიელი მარქსისტი მუშები მათს მხარეზე მდგარიყვნენ. როდესაც ლიკვიდატორებმა გათიშვა მოახდინეს სათათბიროს ს.-დ. ფრაქციაში, ისინიც ასევე დაჟინებით მიუთითებდნენ ლატვიელებზე. ვერავინ ვერ გაბედავსო — წერდნენ ისინი — «იატაკქვეშეთის» უარყოფაში დასდოს ბრალი ლატვიელ ს.-დ. მუშებს, და აი ეს ლატვიელი მუშებიც კი ჩვენს მხარეზე არიანო.

ვინც კარგად იცნობდა ფაქტებს, ის არ დაეჭვებულა იმაში, რომ ლიკვიდატორები... თავს არიდებენ ჭეშმარიტებას. როდესაც «ექვსეულისა» და «შვიდეულის» საკითხი ლატვიელი მუშების წინაშე დაისვა განსახილველად, ამ მუშების უდიდესმა უმრავლესობამ «ექვსეულს» დაუჭირა მხარი. «პრავდაში» დაიბეჭდა რიგის, მიტავის, ლიბავისა და სხვა ადგილების მრავალ ასეულ ს.-დ. ლატვიელ მუშათა და მთელ რიგ ჯგუფთა აოობით რეზოლუციები — 6 მუშა დეპუტატის მიერ დაკავებული პოზიციის დასაცავად. პეტერბურგის შემდეგ ამას ყველაზე უფრო მხურვალედ გამოეხმაურა რიგა, ლატვიელთა ეს უდიდესი მუშათა ცენტრი. რიგელი მუშების უდიდესი უმრავლესობის რეზოლუციები გამსჭვალული იყო უაღრესად მგზნებარე თავდადებით თანამიმდევრული მარქსიზმის იდეებისათვის და უაღრესად გულწრფელი აღშფოთებით ლიკვიდატორობის წინააღმდეგ.

მაგრამ ერთი რამ იყო მართალი: ლიკვიდატორებისა და მათი «შვიდეულის» თავგამოდებულ დამცველებად ლატვიელთა «ზედაფენები» გამოვიდნენ. ლატვიურ გაზეთში, რომელსაც მაშინ ლიკვიდატორები ხელმძღვანელობდნენ, «ექვსეულის» საწინააღმდეგო სტატიები დაიბეჭდა, და ეს სტატიები რუს ლიკვიდატორთა პეტერბურგის გაზეთის სტატიებს არც სკანდალური კილოთი ჩამოუვარდებოდნენ და არც ლიკვიდატორული შინაარსით.

მართალია, ლიკვიდატორთა კამპანიას ლატვიელი **მუშების** მხოლოდ ფრიად უმნიშვნელო ნაწილმა დაუჭირა მხარი. მაგრამ «ხელმძღვანელი» დაწესებულება ლიკვიდატორთა მხარეზე იყო. და ისინიც ლატვიელი ორგანიზებული პროლეტარიატის «სახელით» განაგრძობდნენ ლაპარაკს...

მაგრამ აი ცოტა ხანმაც განვლო. შეიკრიბნენ ყველა ლატვიელ მარქსისტ მუშათა წარმომადგენელნი [55]. სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის გათიშვის საკითხმა იქ, რა თქმა უნდა, ფრიად თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. «ხელმძღვანელმა» ლიკვიდატორებმა ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელი მოიმოქმედეს, რათა მხარი დაეჭირათ «შვიდეულისათვის» ანდა მიეფუჩეჩებინათ მაინც საკითხი. ვაგლახ! მათ ეს ვერ მოახერხეს. ლატვიელმა ს.-დ. მუშებმა, თავიანთი ოფიციალური წარმომადგენლების სახით [56], შემდეგი რეზოლუცია მიიღეს (მოგვყავს სიტყვასიტყვით, მხოლოდ აუცილებელი ცვლილებებით):

სახ. სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის გათიშვის შესახებ.

— «ყველა ლატვიელ მარქსისტ მუშათა წარმომადგენლები თავიანთ უღრმეს მწუხარებას გამოთქვამენ სახ. სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის გათიშვის გამო და ფიქრობენ, რომ ეს გათიშვა აუცილებელი შედეგი იყო ფრაქციის გარეთ, რუსეთის მარქსისტთა წრეში მომხდარი გათიშვისა.

ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ფრაქციის ერთიანობა აუცილებელია, და აღიარებენ, რომ ეს ერთიანობა შეიძლება განხორციელდეს:

1) თუ გაერთიანებას საფუძვლად ის გადაწყვეტილებანი დაედო, რომლებიც მარქსისტული მთელის გათიშვამდეა მიღებული მისი უმაღლესი ინსტანციების მიერ: **მარქსისტული მთელის პროგრამა, მისი წესდება, ლონდონის გადაწყვეტილებანი, მარქსისტთა სრულიად რუსეთის წარმომადგენლობის 1908 წლის დეკემბრისა და 1910 წლის იანვრის დადგენილებანი;**

2) თუ გამონახულ იქნა ერთად მოქმედების ისეთი მოდუსი, რომელიც უზრუნველყოფს უმცირესობის უფლებებს ფრაქციაში.

ლატვიელი მარქსისტი მუშები ავალებენ თავიანთ ხელმძღვანელ დაწესებულებას — მხარი დაუჭიროს ყველა გამაერთიანებელ ნაბიჯს ამ რეზოლუციაში გამოთქმულ შეხედულებათა შესაბამისად».

ასეთია რეზოლუცია. მის მთავარ ძარღვს, როგორც მკითხველი ხედავს, შეადგენს ის, რომ გაერთიანების სავალდებულო პირობად **ძველი** მარქსისტული მთელის აღიარებაა წამოყენებული. ვინც არა ცნობს პროგრამას, წესდებას, 1907, 1908, 1910 წლების გადაწყვეტილებებს, — მასთან ერთიანობა შეუძლებელიაო. ეს თქვეს ლატვიელმა მუშებმა. ამაშია ლატვიელთა რეზოლუციის უდიდესი მნიშვნელობა.

ეჭვი არაა, ლატვიელთა ყრილობაზე მეტად ძლიერი იქნებოდა შემარიგებლური ტენდენციები. ლატვიელებმა არ მოისურვეს პირდაპირ და აშკარად განეცხადებინათ სათათბიროს ლიკვიდატორული ჯგუფისათვის, რომ იგი არის მუშათა ნების დამრღვევ გამთიშველთა ჯგუფი, რომ იგი ვალდებულია ჩააბაროს თავისი — სათათბიროს წევრობის — მანდატები. არ მოისურვეს — იმიტომ, რომ ლატვიელთა უმცირესობა ისე შორს არ მიდის ხოლმე, როგორც რუსი ლიკვიდატორები, და — იმიტომ, რომ ლატვიელებში ჯერ კიდევ ღვივის ერთგვარი იმედი ჩხეიძის ფრაქციასთან შერიგების შესაძლებლობისა.

მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ლატვიელმა მუშებმა ერთიანობის ზუსტი და ნათელი **პირობები** წამოაყენეს.

მართლაცდა, როგორ წყდება ლატვიელთა რეზოლუციის თვალსაზრისით ის სადავო საკითხები, რომლებმაც ფრაქცია გათიშეს?

ლატვიელები მოითხოვენ, ჯერ-ერთი, პროგრამის ცნობას. ეს ნიშნავს, რომ ისინი **გმობენ** ყბადაღებული «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» წამოყენებას სათათბიროს ტრიბუნიდან. ვინაიდან — პროგრამამ ოფიციალურად უარყო ეს მოთხოვნა, ვინაიდან ლიკვიდატორმა ლ. მარტოვმაც კი აღიარა, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ნაკლებად შეესაბამება პროგრამასო. ერთიანობა რომ შესაძლებელი გახდეს, ლიკვიდატორებმა ხელი უნდა აიღონ კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაზე. ასეთია აზრი ლატვიელთა პასუხისა პირველ სადავო საკითხზე.

შემდეგ — ამას მოსდევს დავა ფრაქციაში დეპუტატ იაგელოს მიღების შესახებ. **როგორ** წყვეტენ ამ დავას ლატვიელი მუშები? ისინი ამბობენ: იხილე 1908 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებაო. გადავშლით სათანადო დოკუმენტს, ვიხედებით შიგ და ვკითხულობთ:

— «პ. პ. ს. «ლევიცასთან» გაერთიანების შესახებ.

— მოისმინა რა ამხ. მენშევიკების წინადადება პ. პ. ს. ლევიცასთან გაერთიანების შესახებ, მარქსისტების სრულიად რუსეთის წარმომადგენლობა უკამათოდ გადადის მორიგ საქმეებზე». (იხ. ანგარიში, გვ. 46).

საქმე ნათელია. არავითარ გაერთიანებაზე იაგელოს პარტიასთან 1908 წლის სრულიად რუსეთის გადაწყვეტილებას სიტყვის დაძვრაც არ სურდა. ლიკვიდატორებმა **დაარღვიეს** ეს გადაწყვეტილება. მაშასადამე მათ უკანვე უნდა წაიღონ თავიანთი გამთიშველი გადაწყვეტილება იაგელოს შესახებ.

შემდეგ ლატვიელები მოითხოვენ 1908 წლის დეკემბრისა და 1910 წლის იანვრის საზოგადოდ ყველა პრინციპული გადაწყვეტილების აღიარებას. როგორია ეს გადაწყვეტილებანი, როგორ აფასებენ ისინი ლიკვიდატორობას? გადავშლით სათანადო დოკუმენტებს და ვკითხულობთ:

— «აღნიშნავს რა, რომ მთელ რიგ ადგილებში პარტიული ინტელიგენციის ერთ ნაწილს ემჩნევა ცდა — მოახდინოს «იატაკქვეშეთის» ლიკვიდაცია და შეცვალოს იგი უსახური გაერთიანებით რადაც უნდა დაჯდეს ლეგალობის ჩარჩოებში, თუნდაც ამ უკანასკნელის მისაღწევად საჭირო გახდეს მარქსისტული მთელის პროგრამასა, ტაქტიკასა და ტრადიციებზე აშკარად ხელის აღება,... **აუცილებლად მიაჩნია უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა ლიკვიდატორთა ცდებთან** — და მოუწოდებს ყველა ჭეშმარიტად მარქსისტ მუშაკს, განურჩევლად ფრაქციისა და მიმართულებისა, უაღრესად ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიონ ამ ცდებს».

ასეა დაგმობილი ლიკვიდატორობა 1908 წლის გადაწყვეტილებებით (იხ. ანგარიშის 38 გვ.). ლატვიელებმაც ამ გადაწყვეტილებათა აღიარება მოითხოვეს.

შემდეგ ამას მოსდევს 1910 წლის იანვრის გადაწყვეტილებანი. იქ ვკითხულობთ: — «ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ეპოქაში ს.-დ. მოძრაობის ისტორიული ვითარება გარდუვალად წარმოშობს, **როგორც პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებას**, ...არალეგალური პარტიის უარყოფას, მისი როლისა და მნიშვნელობის დამცირებას, მარქსისტული მთელის პროგრამული და ტაქტიკური ამოცანებისა და ლოზუნგების შეკვეცის ცდებს».

ასეა დაგმობილი ლიკვიდატორობა 1910 წლის გადაწყვეტილებებით. ლატვიელებმაც ისევ და ისევ მოსთხოვეს ლიკვიდატორებს ამ გადაწყვეტილებათა აღიარება.

ლატვიელთა რეზოლუცია **ერთხმად** იქნა მიღებული. იქ დამსწრე ლატვიელმა ლიკვიდატორებმაც კი ვერ გაბედეს მის წინააღმდეგ მიეცათ ხმა. მათ საკმაოდ საფუძვლიანი გაკვეთილი მიიღეს ლატვიელი მუშებისაგან, რომლებიც პატივს სცემენ «იატაკქვეშეთს», ცნობენ ძველი მარქსისტული მთელის გადაწყვეტილებებს. ამ რეზოლუციის წინააღმდეგ ხმის მიცემა მომასწავებელი იქნებოდა ყველა ლატვიელ პროლე-

ტართა ბრძოლაში გამოწვევისა და მუშებს შორის უკანასკნელ მომხრეთა დაკარგვისა.

ასეთია ლატვიელი მუშების გადაწყვეტილება (წარმოდგენილი იყო 3 000-ზე მეტი ორგანიზებული მუშა).

მეტად თავაზიანი ფორმით, სულ მცირეოდენი უკმეხი სიტყვის უთქმელად, მაგრამ გადაჭრით და დაბეჯითებით განუცხადეს ჩხეიძის ფრაქციას ლატვიელმა მუშებმა:

— თქვენ ერთიანობა გსურთ? აღიარეთ ძველი მარქსისტული მთელის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი, ხელი აიღეთ პროგრამისა და 1908—1910 წწ. გადაწყვეტილებათა დარღვევაზე, უარყავით ისინი, ვინაც უარყო «იატაკქვეშეთი», ერთი სიტყვით, დადექით მარქსიზმის ნიადაგზე.

უკანასკნელმა მართლაც მუშურმა ორგანიზაციამ, რომლის სახელითაც ჩხეიძის ფრაქცია ცდილობდა გამოსულიყო, ზურგი აქცია ამ ფრაქციას. ლიკვიდატორობისაკენ მერყევი შვიდი დეპუტატის მხარეზე — როგორც მოსალოდნელი იყო — ლიკვიდატორთა მხოლოდ პაწაწა ჯგუფები დარჩნენ. ყოველივე პროლეტარული ჩამოსცილდა და სცილდება მათ.

ფრაქცია უმუშებოდ — აი რა არის ლიკვიდატორთა ფრაქცია სათათბიროში.

ლატვიელთა გადაწყვეტილების შემდეგ ეს უკვე სრულიად უდავოა.

«პუტ პრავდი» № 50,
1914 წ. 30 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

«აგვისტოს» ფიქციის გამოკვლევნება

1912 წ. აგვისტოში, წელიწადნახევარზე მეტი ხნის წინათ, მოხდა ამბავი, რომელსაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში. IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წინადღით ლიკვიდატორები, მათი სიტყვით, «გაერთიანდნენ» აგვისტოს კონფერენციაზე სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლებთან, რითაც სურდათ დაემტკიცებინათ, რომ ისინი სრულიადაც არ არიან ლიკვიდატორები, რომ არაფრის ლიკვიდაცია მათ არ მოუხდენიათ და არც ახლა ახდენენ ლიკვიდაციას, რომ სავსებით შესაძლებელია მათი და აშკარად სერიოზული, არაფიქტიური, მუშათა მარქსისტული ორგანიზაციების «ერთიანობა».

დავა ლიკვიდატორებსა და მათს მოწინააღმდეგეებს შორის ამ აგვისტოს კონფერენციამ სხვა სიბრტყეში გადაიტანა: საკითხი მარტო იმის შესახებ კი არ წამოიჭრა, სწორია თუ არა ლიკვიდატორების თეორია და ტაქტიკა, არამედ იმის შესახებაც, ადასტურებს თუ აბათილებს ლიკვიდატორთა სიტყვებს **მათი საკუთარი** პრაქტიკა. ფიქციაა, ცბიერებაა, მატყუარობა, გუდაფშუტაა **მ ა თ ი** აგვისტოს კონფერენცია თუ სერიოზული საქმეა, გულწრფელი ნაბიჯი, რეალური რამაა, რაც ლიკვიდატორების გამოსწორების **შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა ს** ამტკიცებს?

ასე წამოიჭრა საკითხი.

თავიანთი საქმეებით, თავიანთი აგვისტოს კონფერენციის გამოცდილებით ლიკვიდატორებს პასუხი უნდა გაეცათ ამ კითხვაზე.

ახლა ეს პასუხი მოცემულია ერთადერთი მარქსისტული ერთეულის, სახელდობრ ლატვიელი მარქსისტების მიერ, რომელთაც უკლებლივ ყ ვ ე ლ ა მიმდინარეობა და ფრაქცია ისეთ მარქსისტებად ცნობდა, ვისაც პარტიის გადაწყვეტილებანი არ დაურღვევია, და რომლებმაც თ ვ ი თ ო ნ მოახდინეს სახელგანთქმული აგვისტოს ცდა. როგორც სავსებით სარწმუნო წყაროებიდან გვაუწყებენ, დამთავრებულა რუსეთის ორგანიზებულ ლატვიელ მარქსისტთა უმაღლესი წარმომადგენლების კრება. ლატვიელ ორგანიზებულ მარქსისტთა წარმომადგენლების ამ კრების უზენაესობა არავის, არც ერთ მიმდინარეობას, არც ერთ ფრაქციას სადავოდ არ მიუჩნევია; პირიქით, კრებას დასწრებიან არა მარტო რუსეთის მუშების უმრავლესობის (ანტილიკვიდატორების) რწმუნებულნი და პასუხისმგებელი დელეგატები, **არამედ ლიკვიდატორებისაც,** მათი ხელმძღვანელი აგვისტოს დაწესებულებისა, ბუნდისაც და პ. პ. ს. ლევიცისაც.

აგვისტოს ბლოკებისა და დაწესებულებების წელიწადნახევრის გამოცდილება ყოველმხრივ განიხილეს და შეაფასეს მათ, ვინც თვითონ მოახდინა ეს ცდა, ცდილობდა რა ლიკვიდატორებს დახმარებოდა ლიკვიდატორობისაგან თავის დაღწევაში.

მერე რა შედეგი მოჰყვა ამ განხილვას და ამ შეფასებას?

...«შემარიგებელთა ცდა — ნათქვამია ორგანიზებულ ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილებაში — რადაც უნდა დასჯდომოდათ გაერთიანებულიყვნენ ლიკვიდატორებთან (1912 წ. აგვისტოს კონფერენცია), უნაყოფო გამოდგა, და გამაერთიანებელნი თვითონ აღმოჩნდნენ იდეურ-პოლიტიკურად დამოკიდებულნი ლიკვიდატორებისაგან»...

აი მარქსისტთა პირუთვნელი კოლეგიის ოფიციალური გადაწყვეტილება, რომლითაც აგვისტოს ფიქცია სავსებით და საბოლოოდ არის გამომჟღავნებული!

ის, რასაც ჩვენ ორი წლის განმავლობაში ვლაპარაკობდით, — ის, რასაც ლიკვიდატორები ათასგვარი ფიცით, ჩვენს მიმართ უთვალავი ლანძღვა-გინებით უარყოფდნენ, — ახლა ეს დამტკიცებული და ოფიციალურად განცხადებულია თ ვ ი თ აგვისტოს კონფერენციის, აგვისტოს ბლოკისა და აგვისტოს ხელმძღვანელი დაწესებულების მ ო ნ ა წ ი ლ ე ე ბ ი ს მიერ.

ორგანიზებულმა ლატვიელმა მარქსისტებმა ოფიციალურად აღიარეს, რომ «შინაპარტიული ბრძოლის ცენტრში ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დგას ლიკვიდატორული მიმდინარეობის საკითხი», რომელი მიმდინარეობაც დიდი ხანია დაგმობილია მთელი პარტიის მიერ, და რომ მათი, ლატვიელთა, წარმომადგენელი გ ა მ ო წ ვ ე უ ლ ი ა აგვისტოს ხელმძღვანელი დაწესებულებიდან, ვინაიდან ეს დაწესებულებაო (ნათქვამია ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილებაში) **«არ გამიჯნულა ლიკვიდატორებისაგან».**

მოვლენებმა, მაშასადამე, სავსებით დაამტკიცეს ჩვენი სიმართლე, კიდევ და ერთხელ კიდევ ამხილეს ლიკვიდატორები. ჩვენ მართალნი ვიყავით, როდესაც ვამბობდით, რომ აგვისტოს კონფერენცია ფიქციაა, მოტყუებაა, ჩვეულებრივი (წვრილბურჟუაზიულ პარტიებსა და ჯგუფებში) წ ი ნ ა ს ა-ა რ ჩ ე ვ ნ ო მ ო ტ ყ უ ე ბ ა ა. ლიკვიდატორებმა ვერ გაბედეს თავიანთი დროშით, თავიანთ რწმენათა პატიოსნად დაცვით გამოსულიყვნენ არჩევნებში, — ისინი აგვისტოს ბლოკს ამოეფარნენ და ღმერთსა და ხატს ფიცულობდნენ, ჩვენ არაფრის ლიკვიდაციას არ ვახდენთო.

ლატვიელებმა გამოამჟღავნეს ეს ტყუილი.

ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ ეს ლატვიელები ნ ე ი ტ რ ა-ლ უ რ პოზიციაზე იდგნენ და დარჩნენ: ისინი იმდენად ნეიტრალურნი არიან, რომ გადაუწყვეტიათ — რუსეთის ორგანიზებული მარქსისტების არც ერთ ნაწილთან არ დაიჭირონ ორგანიზაციული ურთიერთობა! ლიკვიდატორთა აგვისტოს ფიქციისა და მათი საარჩევნო მასკარადის გამომჟღავნებას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ორგანიზაციებისაგან მომდინარეობს.

ჩვენ კიდევ არა ერთხელ მოგვიხდება დავუბრუნდეთ ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილებებს, რომლებმაც მერმე და მერმე დაამტკიცეს, თუ რამდენად მართალნი ვიყავით ჩვენ, როდესაც ვამბობდით, რომ რუსეთის მარქსისტი მუშების ერთიანობა მხოლოდ ლიკვიდატორთა წინააღმდეგ შესაძლებელი. დასასრულ აქ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ განსაკუთრებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მარქსისტულ ორგანიზაციაში ეროვნული პრინციპის საკითხზე.

ლატვიელი მარქსისტები თვითონ წარმომადგენლობენ არათანასწორუფლებიანი და ჩაგრული ერის მუშებს, თვითონ მუშაობენ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მხრივ მეტად აჭრელებულ ცენტრებში. მაგ., რიგაში მათ უხდებათ საქმე იქონიონ გერმანელ, რუს, ლატვიელ, ებრაელ, ლიტველ პროლეტარიატთან. და მრავალი წლის გამოცდილებამ სავსებით განუმტკიცა ლატვიელ მარქსისტებს რწმენა მუშათა კლასის ადგილობრივ ორგანიზაციათა ინტერნაციონალური ერთიანობის პრინციპის სისწორისა.

...«თვითეულ ქალაქში — ნათქვამია ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილებაში — უნდა არსებობდეს მარქსისტ-პროლეტარების ერთი გაერთიანებული ორგანიზაცია, რომელიც იმოქმედებს სტოკჰოლმის ყრილობის მიერ აღიარებულ საფუძველთა მიხედვით და 1908 წლის სრულიად რუსეთის კონფერენციის კომენტარებთან თანხმობით».

ცნობილია, რომ ეს კომენტარი პირდაპირ გმობს ფედერაციის პრინციპს. მუშათა ნაციონალური ორგანიზაციების ფედერაცია კი არა, არამედ ერთიანობა ინტერნაციონალური, ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც ადგილობრივი პროლეტარიატის ყველა ენაზე ეწევა მუშაობას.

აი მარქსიზმის ერთადერთი სწორი პრინციპი. აი სოციალიზმის შესაბამისი ერთადერთი იარაღი იმ ნაციონალისტ მეშჩანთა საწინააღმდეგოდ, რომელნიც ცდილობენ ეროვნულად გათიშონ პროლეტარიატი. აი მოთხოვნა მთელი პარტიის გადაწყვეტილების შესრულებისა, რასაც პირდაპირ აღმაშფოთებლად არღვევდა და არღვევს ბუნდი.

ბოლო ეღება იმ მოტყუებას, რასაც მუშებს შორის თესავდნენ ლიკვიდატორები და ბუნდელები, რომლებიც თვითონ ახდენდნენ გათიშვას და ცდილობდნენ ყველაზე უფრო ხმამაღლა ეყვირნათ «ერთიანობაზე». ჩვენში, რუსეთში, მიმდინარე ბრძოლის მიმართ ნეიტრალურ ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილება საბოლოოდ უჩვენებს ყველა მუშას, რომ ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ნამდვილად შეიძლება და უნდა შენდებოდეს კიდევაც მხოლოდ იმ გამთიშველთა წინააღმდეგ, ვინც უარს ამბობს შეასრულოს მთელი პარტიის დიდი ხნის დროინდელი და მუდმივი მოთხოვნა — ხელი აიღონ ლიკვიდატორობაზე და მუშათა ორგანიზაციების ეროვნების მიხედვით დანაწილებაზე.

«პუტ პრავდი» № 50,
1914 წ. 30 მარტი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება[57]

დაბეჭდილია 1914 წ. მარტში
ჟურნალში «სოვრემენნი მირ» № 3
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალის ტექსტის მიხედვით

1905 წლის მღელვარე ეპოქას ჩვენ ათი წლითაც არა ვართ დაშორებული, მაგრამ ამ მოკლე დროის მანძილზე რუსეთში მომხდარი ცვლილება მაინც უზარმაზარი გვეჩვენება. პატრიარქალური ქვეყნიდან რუსეთი თითქოს ერთბაშად იქცა თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნად. ძველი რუსეთის იდეოლოგმა, ლ. ნ. ტოლსტოიმ, ეს დამახასიათებელი და სასაცილოდ სევდიანი ტირადით გამოხატა; იგი სჩიოდა, რუსმა ხალხმა «გასაოცრად სწრაფად ისწავლა რევოლუციისა და პარლამენტების კეთებაო» [58].

თავისთავად ცხადია, XX საუკუნის ხუთი თუ ათი წლის განმავლობაში რუსეთის «უეცარი» გადაქცევა ბურჟუაზიულ ქვეყნად მხოლოდ იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ გასული საუკუნის მთელი მეორე ნახევარი ერთ-ერთი ეტაპი იყო ბატონყმური წესწყობილების შეცვლისა ბურჟუაზიული წესწყობილებით.

ინტერესმოკლებული არ არის დავაკვირდეთ, თუ რა გავლენა მოახდინა ამ შეცვლამ პოლიტიკური ეკონომიის ჩვენი ოფიციალური, საუნივერსიტეტო, მეცნიერების მხრივ მარქსიზმისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე. კეთილმოსაგონარ ძველ დროს მარქსის «განადგურებას» ჩვენში მხოლოდ უკიდურესად მემარჯვენე, მთავრობის მომხრე, პროფესორები ეწეოდნენ. მთელი ლიბერალ-ნაროდნიკული პროფესორული მეცნიერება მარქსს პატივისცემით ეპყრობოდა, «აღიარებდა» ღირებულების შრომითს თეორიას და ამით იწვევდა «მემარცხ-

ხენე ნაროდნიკების» გულუბრყვილო ილუზიებს, თითქოს ბურჟუაზიისათვის რუსეთში ნიადაგი არ არსებულიყოს.

ახლა ჩვენში «ერთბაშად» მომრავლდნენ ლიბერალური და პროგრესული «მარქსიჭამიები», მსგავსად ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკისა * ანდა ბ-ნ სტრუვესი და სხვ.. ყველა მათ გ ა მ ო ა ა შ კ ა რ ა ვ ე ს მარქსისადმი ლიბერალურ-ნაროდნიკული «პატივისცემის» ნამდვილი შინაარსი და მნიშვნელობა: სიტყვით პატივისცემა დარჩა, საქმით კი მატერიალისტური დიალექტიკისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიის ძველისძველმა გაუგებლობამ გარდუვალად გამოიწვია შრომითი ღირებულების თეორიაზე ხელის აღებაც.

1905 წლამდე სხვა მტერს, გარდა მებატონეებისა და «ბიუროკრატებისა», ბურჟუაზია ვერ ხედავდა; ამიტომაც ცდილობდა იგი თანაგრძნობით მოპყრობოდა ევროპის პროლეტარიატის თეორიას, ცდილობდა არ დაენახა «მტრები მარცხნიდან». 1905 წლის შემდეგ რუსეთში კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზია წარმოიშვა, და პროფესორული ლიბერალური მეცნიერება, ს რ უ ლ ი ა დ ა ც ა რ კ ა რ გ ა ვ ს რა «საზოგადოებაში» პრესტიჟს, ხელს ჰკიდებს მარქსის სერიოზულად განადგურებას.

ჩვენ განზრახული გვაქვს გავაცნოთ მკითხველს ერთ-ერთი ამგვარი «სერიოზული» მეცნიერის უახლესი მეცნიერული ნაშრომი.

I

ვ. პ. რიაბუშინსკის გამოცემით შარშან გამოვიდა პირველი ნაწილი ბ-ნ პეტრე სტრუვეს თხზულებისა: «მეურნეობა და ფასი» (მ. 1913). ყბადაღებული «მეცნიერების კავშირი მრეწველობასთან», რომელიც ჯერ იმით აღინიშნა, რომ ბ-ნი რიაბუშინსკი ბეჭდავდა ბ-ნ სტრუვეს მსჯელობებს «დიდი რუსეთის» შესახებ, დავაჟკაცდა და საბოლოოდ მომაგრდა. მეცნიერებისა და მრეწველობის უბრალო კავშირიდან წარმოსდგა უკვე კავშირი მეცნიერებისაც, მრეწველობისაც და ხელისუფ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 166 — 170. რ ე დ.

ლებისაც: ბ-ნ სტრუვეს თავისი მეცნიერული ნაშრომი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ჰქონდა წარდგენილი, და ეს ხარისხი მას მიანიჭეს კიდევაც.

ბ-ნი სტრუვე წინასიტყვაობაში ირწმუნება, ეს ჩემი შრომა 15-ოდე წლის წინათ მაქვს დაწყებულიო. მაშასადამე, ყველა საფუძველი გვაქვს — სერიოზულ და საფუძვლიან ნაშრომს მოველოდეთ.

თვით ავტორი ძალიან დიდი აზრისაა თავის ნაშრომზე და გვპირდება «გადასინჯოს» (და, რა თქმა უნდა, «კრიტიკულად» გადასინჯოს) «პოლიტიკური ეკონომიის ზოგიერთი ტრადიციული პრობლემა და დებულება». გადასინჯვაში მოჰყვება აგრეთვე ფასის, «როგორც პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი ცნების», მნიშვნელობაც.

...«ეს გადასინჯვა გამოიწვევს ჩვენი მეცნიერების ახალ მეთოდურ ამოცანათა დასახვას თანამიმდევრული ემპირიზმის შესაბამისად, რომელიც ეურდნობა ზედმიწევნით გამომუშავებულ ზუსტ ცნებებსა და ნათელ განსხვავებულებებს».

ბ-ნ სტრუვეს «ნაშრომის» დასკვნითი სტრიქონებიდან მოყვანილი ეს ფრაზები მისი თხზულების, ასე ვთქვათ, ლეიტმოტივს შეადგენენ. ავტორის პროგრამაა «თანამიმდევრული ემპირიზმი» (უეჭველად ასე იწყებს ჩვენს დროში ყოველი მოდური ფილოსოფოსი, რაგვარ ენატკბილ ხუცობასაც არ უფარდებდეს იგი თავის თეორიას) და «ზუსტ ცნებათა და ნათელ განსხვავებულებათა ზედმიწევნით გამომუშავება». ნაცნობი ჰანგია ყბადაღებული «კრიტიციზმისა», რომელიც ასე ხშირად იქცევა სიტყვიერ სქოლასტიკად...

«თანამიმდევრული ემპირიზმი» ბ-ნ სტრუვეს განსაკუთრებით სურს დაინახოს თავისი წიგნის იმ, მოცულობით მნიშვნელოვნად უფრო დიდ, ნაწილში, სადაც იგი იძლევა «ეტიუდებსა და მასალებს ფასის ისტორიული ფენომენოლოგიის შესახებ» (ამას ეხება პირველი ნაწილის თითქმის მთელი მეორე განყოფილება). ხოლო «ზუსტ ცნებათა და ნათელ განსხვავებულებათა ზედმიწევნით გამომუშავება» ეწოდება პირველი

განყოფილებისა და შესავალის მსჯელობებს «ზოგიერთ ძირითად ფილოსოფიურ მოტივზე ეკონომიური აზროვნების განვითარებაში», «მეურნეობასა და საზოგადოებაზე» და სხვ.

ჩვენც პირველ ყოვლისა ბ-ნ სტრუვეს ძირითად თეორიულ მსჯელობებს შევეხებით.

II

«ფასეულობის» (ღირებულების; ბ-ნი სტრუვე დაჟინებით ხმარობს არასწორ ტერმინოლოგიას, როდესაც «ღირებულების» ნაცვლად «ფასეულობას» ამბობს, თუმცა დიდი ხანია, რაც მას ეს უსწორობა დაუმტკიცეს) «ნორმატიული ეთიკური გაგებიდან, რომელიც ჯერ კიდევ კანონისტებშიც არის გაბატონებული, სრულიადაც არც ისე შორსა ვართ, როგორც ეს შეიძლება გვეჩვენოს, ფასეულობის, როგორც ფასის შინაგანი «საფუძვლისა» თუ «კანონის», გაგებამდე. და, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ კანონისტების «**bonitas intrinseca**», «**valor**», «**pretium naturale**» * იქცევა უფრო გვიანდელი ეკონომისტების «**intrinsic value**»-დ ან «**natural value**»-დ ან «**natural price**»-დ **, ე. ი. ობიექტურ ფასეულობად» *** (XXV).

აქ ჩვენ ვხედავთ ბ-ნ სტრუვეს მთავარ აზრს (ან, უკეთ, მთავარ აზრმოშიშარობას) და ამ ავტორის ტიპიურ ხერხებს. სახელი რომ გაუტეხოს ღირებულების მეცნიერულ კანონს, ბ-ნი სტრუვე ცდილობს კანონისტების «ეთიკურ» კანონს დაუახლოოს იგი. ბ-ნ სტრუვეს, რასაკვირველია, დამამტკიცებელი

---

* — «შინაგანი სარგებლიანობა», «ფასი, ფასეულობა», «ბუნებრივი ფასი». რ ე დ.

** — «შინაგან, ჭეშმარიტ ფასეულობად», «ბუნებრივ, ობიექტურ ფასეულობად», «ბუნებრივ ფასად». რ ე დ.

*** სხვათა შორის, იმის აღიარებით, რომ «უფრო გვიანდელ» (საშუალო საუკუნეების კანონისტებთან შედარებით) ეკონომისტებს სწორედ ობ ი ე ქ ტ ურ ი «ფასეულობა» აქვთ მხედველობაში, ბ-ნი სტრუვე მყისვე ამჟღავნებს, რომ უმართებულოდ იქცევა, როცა ასე სუბიექტივისტურად დაუჟინებია სიტყვა «ფასეულობა» — «ობიექტური» «ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს» საწინააღმდეგოდ.

საბუთების ნასახიც კი არ მოეპოვება. თუ ის წერს «ჩვენ ვხედავთ» და შენიშვნაში იმოწმებს ერთ ადგილს (რომელიც საქმეს არ ეხება) რუსი კანტიანელის 1810 წლის თხზულებიდან, ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა ჩვენი მეცნიერი დამამტკიცებელი საბუთების ძიების დროს!

ბ-ნ სტრუვეს არ შეუძლია არ იცოდეს, რომ ყოველი მეცნიერული კანონი, და სრულიადაც არა მარტო ფასეულობის კანონი, საშუალო საუკუნეებში რელიგიური და ეთიკური მნიშვნელობით ესმოდათ. ამგვარადვე განმარტავდნენ კანონისტები ბუნებისმეტყველების კანონებსაც. ამიტომ არავითარი შესაძლებლობა არ არის სერიოზულად მივიჩნიოთ კანონისტებისა და კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლების ფასის კანონის გაგებათა დაახლოება. ბ-ნ სტრუვეს ამ «აზრს» შეუძლებელია აზრი ეწოდოს; ეს მხოლოდ აზრმოშიშარობაა წმინდა ბალღური ოინის საფარქვეშ.

ბ-ნი სტრუვე განაგრძობს:

«ფასეულობის კანონი» პოლიტიკური ეკონომიის «**idée fixe**»-ად * იქცევა. და აზროვნების «უნივერსალისტური» («რეალისტური») მოტივი ამ დარგში ყველაზე უფრო მკაფიოდ იმ მწერალს ემჩნევა, რომელშიც იგი შეხამებულია ეკონომიური მეცნიერების ზოგადი ფილოსოფიური კონცეფციის უაღრეს სიფართოვესთან, — სახელდობრ მ ა რ ქ ს ს. ეს მოტივი მასში შეერთებულია დეტალებში შეუმუშავებელ, მაგრამ მით უფრო მთლიან მატერიალისტურ მსოფლმხედველობასთან. შრომითი ფასეულობა იქცევა ფასის არა მარტო კანონად, არამედ «სუბსტანციადაც». თუ რა ამაოდ ცდილობს ფასეულობის ეს მექანიკურ-ნატურალისტური და ამავე დროს «რეალისტური» კონცეფცია — სამეურნეო ცხოვრების ემპირიულ მოვლენათა სამყარო ჩაიტიოს და როგორი გრანდიოზული და გამოუვალი წინააღმდეგობით სრულდება იგი, ამაზე ჩვენ უკვე არა ერთხელ შევჩერებულვართ ჩვენს ნაშრომებში».

* — აკვიატებულ იდეად. რ ე დ.

აი ესეც ბ-ნ სტრუვეს «მეცნიერული» მანერა! აი მარქსის განადგურების მისი ხერხი! ორიოდე ვითომდა მეცნიერული ტერმინი, რაღაც ნიშნება აზროვნების «მოტივებზე» და «ეიზნში» [59] მოთავსებული 1900 წლის საჟურნალო სტატიის დამოწმება — აი მთელი მისი ავლადიდება. გვეცოტავება, ბ-ნო პროფესორო...

თავისი საჟურნალო სტატიებით ბ-მა სტრუვემ ვერ შესძლო დაემტკიცებინა არამც თუ «გრანდიოზული», არამედ სრულიად ვერავითარი წინაალმდეგობაც მარქსის «კაპიტალის» I და III ტომებს შორის, ღირებულების შრომითს თეორიასა და ღირებულების კანონის საფუძველზე საშუალო ფასთა წარმოშობას შორის.

ნომინალიზმისა და რეალიზმის შუასაუკუნეობრივი «განსხვავებულება», შემდეგ უნივერსალიზმისა და სინგულარიზმის დაპირისპირება, რითაც ბ-ნი სტრუვე ჯამბაზობს, სრულებით არაფერს არ იძლევა არც მარქსის თეორიის გასაგებად, არც მის გასაკრიტიკებლად და არც ბ-ნ სტრუვეს საკუთარი თეორიის (თუ საკუთარი თეორიის პრეტენზიის) გამოსარკვევად. ეს სწორედ ჯამბაზობაა, მეცნიერული ნაგავია და არა მეცნიერება. რა თქმა უნდა, შუა საუკუნეთა ნომინალისტებისა და რეალისტების ბრძოლაში მოიპოვება ანალოგიები მატერიალისტებისა და იდეალისტების ბრძოლასთან, მაგრამ ანალოგიებიც და ისტორიულ-მემკვიდრეობითი კავშირიც კიდევ მრავალ და მრავალ თეორიასთან შეიძლება დადგინდეს, არა მარტო შუა საუკუნეებამდე, არამედ ძველ დრომდეც. საგანგებო გამოკვლევა იქნებოდა საჭირო, რათა სერიოზულად შეგვესწავლა თუნდაც შუა საუკუნეებში წარმოებულ დავასა და მატერიალიზმის ისტორიას შორის არსებული კავშირი. მაგრამ ჩვენს ავტორს ოდნავ მაინც სერიოზული შესწავლის ნატამალსაც კი ვერ ვუპოვით. ის ხტის ერთი თემიდან მეორეზე, ათასგვარ საკითხს გვანიშნებს, არც ერთს კი არ არჩევს, და სასაცილო გაბედულობით აკანონებს უალრესად გადაჭრითს დასკვნებს.

იგი იძულებული იყო თვითონ ედიარებინა მოყვანილ ციტატაში, რომ მარქსის მოძღვრებაში ფილოსოფია და პოლიტიკური ეკონომია მ თ ლ ი ა ნ მატერიალისტურ მსოფლმხედველობად არის შეკავშირებულიო. მარქსის ზოგადი ფილოსოფიური კონცეფცია უ ა ღ რ ე ს ა დ ფ ა რ თ ო ა ო!

ეს ხომ სახუმარო აღიარება არ არის. ადამიანი, რომელიც იძულებულია ასე მოიქცეს და რომელიც პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკულ გადასინჯვასა და მის ახალ მეთოდურ ამოცანებზე ლაპარაკობს, ვალდებული იყო სერიოზულად განეხილა მარქსის ამ «მთლიანი» მატერიალისტური მსოფლმხედველობის ყ ვ ე ლ ა ცალკეული შემადგენელი ნაწილი. ბ-ნი სტრუვე არც კი ფიქრობს შეუდგეს მაინც ამგვარ განხილვას! ის სჯერდება ათვალწუნებითს შენიშვნებს «მეტაფიზიკური მატერიალიზმის» წინააღმდეგ. მერე ვინ არ იცის, რომ აგნოსტიციზმის მოდური თეორიების (კანტიანობის, პოზიტივიზმის, მახიზმისა და სხვ.) თვალსაზრისით თანამიმდევრული მატერიალიზმიც და თანამიმდევრული ფილოსოფიური იდეალიზმიც «მეტაფიზიკად» ცხადდება. ასე გადმოსროლილი შენიშვნებით ბ-ნი სტრუვე მხოლოდ გ ა დ ა კ ვ რ ი თ გ ვ ა ნ ი შ ნ ე ბ ს თავის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, ყოველგვარ მთლიანობას მოკლებულს. მაგრამ ამგვარი შენიშვნებით მარქსის მ თ ლ ი ა ნ ი მატერიალისტური მსოფლმხედველობის განხილვისა და შესწავლის თავიდან მოშორება შეუძლებელია. ეს ნიშნავს მხოლოდ — თავისი თავისთვის სიღარიბის მოწმობის მიცემას.

III

სამაგიეროდ მარქსიზმის დაკავშირება სქოლასტიკურ მოძღვრებასთან პირველქმნილი ცოდვის შესახებ ისეთი მარგალიტია ბ-ნ სტრუვეს მეცნიერულ ნაშრომში, რომ შეუძლებელია დაწვრილებით არ შევჩერდეთ ამაზე. მკითხველის წინაშე წინასწარვე ბოდიშს ვიხდით გრძელი ამონაწერებისათვის, მაგრამ აქ საჭიროა სიზუსტე, **რათა**

უფრო მაგრად ჩავცეთ მახვილი თანამედროვე ლიბერალურ-პროფესორული მეცნიერების ხერხებს.

«ჩემთვის სავსებით ცხადია, — წერს ბ-ნი სტრუვე, — რომ თავისი ლოგიკური აღნაგობით მარქსის შრომითი ფასეულობის თეორიას მრავალი საუკუნის წინათ გრანდიოზული ანალოგია და პირველსახე ჰქონდა «რეალისტურად» დასაბუთებულ სქოლასტიკურ მოძღვრებაში პირველქმნილი ცოდვის შესახებ... სრულიად ისევე, როგორც მარქსის მიხედვით ემპირიული «ფასები» ფასეულობის კანონს ექვემდებარებიან და, ასე ვთქვათ, ფასეულობის სუბსტანციისაგან იძენენ თავიანთ ყოფიერებას, ასევე სქოლასტიკის მიხედვით ადამიანთა ემპირიულ მოქმედებას პირველქმნილი ცოდვა განსაზღვრავს.

აი რამდენიმე შეპირისპირება.

მ ა რ ქ ს ი: «ყოველივე ეს ყველაზე უფრო ადვილად იმით შეიძლება გამოიხატოს, თუ წარმოების ჯერ ერთი დარგის საქონელთა მთელ მასას განვიხილავთ, როგორც ერთ საქონელს, ხოლო მრავალი ერთნაირი საქონლის ფასთა ჯამს — როგორც ერთი ფასის შემადგენელ საკრებთ; მაშინ ის, რაც ცალკეული საქონლის შესახებ ითქვა, ზედმიწევნით გამოდგება წარმოების განსაზღვრული დარგის, ბაზარზე მყოფი საქონელთა მასისთვისაც. საქონლის ინდივიდუალური ფასეულობა რომ მის საზოგადოებრივ ფასეულობას შეესაბამება — ეს იმ აზრით ხორციელდება ანუ განისაზღვრება, რომ ამა თუ იმ საქონლის ერთობლივი რაოდენობა შეიცავს მის ხაწარმოებლად საჭირო საზოგადოებრივ შრომას და რომ ამ მასის ფასეულობა მის საბაზრო ფასეულობას უდრის» [60].

თ ო მ ა ა კ ვ ი ნ ა ტ ი: «უნდა ვთქვათ, რომ ყველა ადამიანები, რომლებიც ადამისაგან იშობიან, შეიძლება განხილულ იქნან, როგორც ერთი ადამიანი, რამდენადაც ისინი ერთმანეთს ემთხვევიან თავიანთი ბუნებით, რომელიც მათ თავიანთი წინაპრისაგან მიიღეს, მსგავსად იმისა, როგორც, მაგალითად, ყველა ადამიანები, რომლებიც ერთ საგრაფოში ცხოვ-

რობენ, ერთ სხეულად ითვლებიან და მთელი საგრაფო — ერთ ადამიანად...»»

მგონი, საკმარისია! ბ-ნი სტრუვე ირწმუნება, ეს «არ არის ეფექტური (!??) ანალოგიებით თამაში და არც ენამახვილობაა». შესაძლებელია. მაგრამ ეს, უეჭველია, არის უგვანო ანალოგიებით თამაში, უფრო სწორად: უბრალო მასხარაობა. თუ თავისი თავის ლიბერალურ და პროგრესულ ადამიანებად მიმჩნევ მეცნიერთ ამგვარი მასხარა გმირები შეუძლიათ მოითმინონ თავიანთ წრეში, თუ ამ გმირებს სამეცნიერო ხარისხს ანიჭებენ და ახალგაზრდობის სწავლებას ანდობენ, ეს მხოლოდ გვიჩვენებს მეასედ და მეათასედ ბურჟუაზიული ეპოქის «კანონს»: მით მეტი პატივისცემა, რაც უფრო თავხედური და ურცხვია მეცნიერების აბუჩად აგდება მარქსის განადგურების გულისთვის.

მასხარაობით მოუხდა ბ-ნ სტრუვეს დაეფარა თავისი სრული უძლურება მარქსის გაბათილების საქმეში. წარმოების ამა თუ იმ დარგის ყველა საქონელი რომ სხვა დარგების საქონელთა ჯამზე გადაიცვლება, — ეს უდავო ფაქტია. საშუალო ფასს რომ ყოველი «ემპირიკოსი» გამოარკვევს, თუ საქონელთა მასას აიღებს და მის საერთო ფასს საქონლის ერთეულთა რიცხვზე გაყოფს, ესეც აგრეთვე ფაქტია. ბ-ნ სტრუვესათვის სასურველი სტატისტიკა (რომელზედაც ის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მხოლოდ ასევე «გვანიშნებს», იმის მაგივრად, რომ მის შესწავლას შეეხოს) ყოველ ნაბიჯზე გვიჩვენებს მარქსის მიერ ხმარებული ხერხის გამოყენებას. მაგრამ რა ესაქმებათ ყოველივე ამასთან პროფესიონალ «სოციალისტჰამიებს»? ოღონდ კი წიხლი ჰკრან მარქსს, — დანარჩენი კი მოგვარდება.

თუ რომელია ის ფილოსოფოსი ავტორიტეტები, ვისი ლოცვა-კურთხევითაც შესდგომია ბ-ნი სტრუვე ამ კეთილშობილურ საქმეს, ეს, სხვათა შორის, ჩვენი პროფესორის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს:

«ამ მუშაობაში (XIX საუკუნის მთელი ნაზრევის შესაჯამებლად გაწეულ მუშაობაში) პირუთვნელმა შთამომავლობამ თვალსაჩინო ადგილი

უნდა მიაკუთვნოს დიდ ფრანგ მეტაფიზიკოსს რენუვიეს, რომელშიც სათავე აქვს ჩვენი დროის მრავალ კრიტიკულ და დადებითს იდეას» (43).

რენუვიე მეთაურია «ნეოკრიტიკული იდეალიზმის» ფრანგული სკოლისა, — «უმაღლესი სკოლის ობსკურანტი», — როგორც უწოდა მას ემპირიოკრიტიკოსმა (ე. ი. მატერიალიზმისადმი მომტრე ფილოსოფოსმა) ვილიმ (იხ. ჩემი შენიშვნები რენუვიეს შესახებ წიგნში: «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი. კრიტიკული შენიშვნები ერთ რეაქციულ ფილოსოფიაზე». მოსკოვი, 1909, გვ. 247) *. სიტყვა «კანონს» რენუვიე დიდი ასოთი წერს და პირდაპირ რელიგიის ბაზად აქცევს მას.

ახლა შეხედეთ, თუ რა ხერხის გამოყენებით ანადგურებს ბ-ნი სტრუვე მარქსის «მთლიანს — მისივე საკუთარი აღიარებით — მატერიალისტურ მსოფლმხედველობას»: შუა საუკუნეთა თეოლოგთან მარქსი სახელდობრ იმის გამოა მითანაბრებული, რომ მარქსი აჯამებს წარმოების ერთი დარგის საქონელთა ფასებს, ხოლო შუა საუკუნეთა თეოლოგი თომა აკვინატი მამამთავარ ადამისაგან წარმოშობილ ადამიანებს აჯამებს პირველქმნილი ცოდვის მოძღვრების დასასაბუთებლად. ამავე დროს მარქსს ანადგურებენ «დიდი» რენუვიეს გულისთვის, რომელიც XIX საუკუნეში ქადაგებდა ფილოსოფიურ იდეალიზმს, «კანონის» ცნებიდან რელიგიის ბაზას რომ ქმნის!!

ო, ბ-ნო სტრუვე! ო, «დიდი» რენუვიეს მოწაფევ! ო, მოწოდებით რუსი ახალგაზრდობის მასწავლებელო!

IV

«იმ უდიდესი გარდაქმნის დროს, — წერს ბ-ნი სტრუვე, — რომელიც ბუნებრივი კანონის იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური ეკონომიის შენობამ განიცადა როგორც მისტიკური, ისე მატერიალისტური ისტორიზმის შეტევის შემდეგ, ეს იდეა სავსებით გაკოტრდა. გამომეღავნდა მისი ძირითადი შინაგანი წინააღმდეგობა. ყველაზე უფრო აშკარად მან, შეიძლება, «ბუნებრივი» პოლიტიკური ეკონომიის იმ ფორმით იჩინა თავი, რომელიც ბურჟუაზიული ეკონომიური ლიბერალიზმის თეორიული

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 14, გვ. 263. რ ე დ.

საფუძველი გახდა... მართლაც, თუ ეკონომიურ ცხოვრებაში ბუნებრივი კანონი მეფობს, მაშინ შეუძლებელია ამ ცხოვრებაში რაიმე ისეთი ფაქტი არსებობდეს, რომელიც ბუნებრივ კანონს არ ეთანხმებოდეს, მას არღვევდეს. ამავე დროს კი, ლიბერალური «ბუნებრივი» პოლიტიკური ეკონომია წიგნებსა და ცხოვრებაში მუდამ ბრძოლას ეწეოდა ასეთი ფაქტების წინააღმდეგ... ბურჟუაზიულ-ლიბერალური პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრების შემდეგ რაღაც საჩოთიროც კი გახდა «ბუნებრივ კანონზე» ლაპარაკი. ერთი მხრივ, აშკარად არამეცნიერულია — მთელი პრინციპულად ერთიანი საზოგადოებრივ-ეკონომიური პროცესიდან რაღაც ცალკეული მხარეები, ურთიერთობანი, მოვლენანი გამოვყოთ, როგორც «ბუნებრივნი», და მოვლენათა განსაკუთრებულ კატეგორიად მივიჩნიოთ ისინი. მეორე მხრივ კი, «ბუნებრივი კანონის» აღიარება, თუმცა ეს თვით ეკონომიურ ლიბერალიზმშიც შეუცნობელ ეთიკურ მოტივზე იყო დამყარებული, ეთიკურად სახელგატეხილი აღმოჩნდა, როგორც ცნობილ, მხოლოდ დროებითი მნიშვნელობის მქონე სოციალურ ურთიერთობათა და ფორმათა გამართლებისა თუ გამარადისების ხერხი, როგორც «ბურჟუაზიული» „აპოლოგეტიკა» (56 — 57).

ასე უსწორდება ავტორი ბუნებრივი კანონის იდეას. და ამას წერს ადამიანი, რომელიც იძულებულია აღიაროს, რომ «მატერიალისტი მარქსი მთელი XVIII საუკუნის გადაღმა ხელს უწვდის მატერიალისტს პეტის» (56), რომ «პეტი ყველაზე უფრო მკაფიოდ, ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ გამოხატავდა იმ მძლავრ ნაკადს, რომელიც იმ ეპოქაში ბუნებისმეტყველებიდან საზოგადოებათმეცნიერებისაკენ მიედინებოდა» (50).

მძლავრი ნაკადი ბუნებისმეტყველებიდან საზოგადოებათმეცნიერებისაკენ, როგორც ცნობილია, არა მარტო პეტის ეპოქაში მიედინებოდა, არამედ მარქსის ეპოქაშიც. ეს ნაკადი XX საუკუნისთვისაც არა ნაკლებ მძლავრი დარჩა, თუ უფრო მძლავრი არა. როგორღა შეიძლება იმ თხზულებაში, რომელსაც მეცნიერულობის პრეტენზია აქვს და ამოცანად «ეკონომიური აზროვნების ფილოსოფიურ მოტივთა» შესწავლა დაუსახავს, საკითხი აღიძრას ამ «ნაკადისა» და პეტისა და მარქსის მატერიალიზმის შესახებ, თუ აბსოლუტურად არაფერი არ იქნა გამორკვეული ბუნებისმეტყველების ფილოსოფიურ წანამძღვართა და დასკვნათა შესახებ??

მაგრამ სწორედ ასეთია სტრუვეს მთელი მანერა: აღძრას ანუ, უკეთ, ხელი წამოჰკრას ათას ერთ საკითხს, ყველაფერზე «ჩამოაგდოს ლაპარაკი», ყველაფერი აწონ-დაწონილად და გათვალისწინებულად წარმოადგინოს, ნამდვილად კი არაფერი მოგვცეს, გარდა ციტატებისა და გაკვრითი შენიშვნების დომხალისა.

აშკარა ტყუილია, თითქოს პოლიტიკურ ეკონომიაში ბუნებრივი კანონის იდეა გაკოტრებულიყოს, თითქოს მასზე «ლაპარაკი საჩოთირო» იყოს. სწორედ პირიქითაა. სწორედ «ნაკადი ბუნებისმეტყველებიდან საზოგადოებათმეცნიერებისაკენ» ძალას ჰმატებდა, ჰმატებს და გარდუვალს ხდის ამ იდეას. სწორედ «მატერიალისტურმა ისტორიზმმა» დაასაბუთა საბოლოოდ ეს იდეა, გაწმინდა იგი მეტაფიზიკურ (ამ ტერმინის მარქსისტული მნიშვნელობით, ე. ი. ანტიდიალექტიკურ) უაზრობათა და ნაკლოვანებათაგან. იმის თქმა, თითქოს კლასიკოსთა «ბუნებრივი კანონი» «ეთიკურად სახელგატეხილი» იყოს, როგორც ბურჟუაზიული აპოლოგეტიკა, ნიშნავს აუტანელი სისულელის ჩმახვას, ნიშნავს როგორც კლასიკოსთა, ისე «მატერიალისტური ისტორიზმის» ყოვლად უტიფრად დამახინჯებას. ვინაიდან კლასიკოსები ხელისცეცებით ეძებდნენ და მოსძებნეს კაპიტალიზმის მთელი რიგი «ბუნებრივი კანონები», თუმცა არ ესმოდათ მისი წარმავალი ხასიათი, ვერ ხედავდნენ კლასობრივ ბრძოლას მის შიგნით. ორივე ეს ნაკლი მატერიალისტურმა ისტორიზმმა გამოასწორა, ასე რომ «ეთიკური სახელგატეხილობა» აქ არაფერ შუაშია.

გადამლაშებულ-«მაგარ» სიტყვებს რომ ხმარობს («საჩოთიროა» «ბუნებრივ კანონზე» ლაპარაკიო), ბ-ნი სტრუვე ამაოდ ცდილობს დამალოს მათი საშუალებით შ ი შ ი მეცნიერების წინაშე, შ ი შ ი თანამედროვე მეურნეობის მეცნიერული ანალიზის წინაშე, რაც ბურჟუაზიას მოსდგამს. ბატონკაცური სკეპტიციზმი ახასიათებს მას, ისევე როგორც დაცემის გზაზე დამდგარ ყველა კლასს, მაგრამ საზოგადოე-

ბის ფუნქციონირებასა და განვითარებაში ბუნებრივი კანონის იდეა დაცემას კი არ განიცდის, არამედ უფრო და უფრო მტკიცდება.

V

ახლა ვნახოთ, როგორია ის «ზედმიწევნით გამომუშავებული ზუსტი ცნებანი და ნათელი განსხვავებულებანი», რომელთა მოცემასაც ბ-ნი სტრუვე გვპირდება პოლიტიკური ეკონომიის «ახალი მეთოდური ამოცანების დასასახავად».

...«მეურნეობას ჩვენ განვსაზღვრავთ — ვკითხულობთ მე-5 გვერდზე — როგორც რაციონალური ეკონომიური მოღვაწეობის ანუ მეურნეობის გაძღოლის სუბიექტურ ტელეოლოგიურ ერთიანობას».

ეს «საშინლად სწავლულად» მოჩანს, ნამდვილად კი სიტყვების სრულიად უშინაარსო თამაშს წარმოადგენს. მეურნეობა განსაზღვრულია მეურნეობის გაძღოლით! ზეთიანი ზეთი... «მეურნეობის გაძღოლის სუბიექტური ერთიანობა» ოცნებაშიც შეიძლება იყოს და ფანტასტიკურ რომანშიც.

იმის შიშით, რომ არა ეთქვა რა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი პროდუქტების წარმოებაზე («მეტაფიზიკური მატერიალიზმი»!), ბ-მა სტრუვემ სათამაშო მოგვცა, და არა განსაზღვრა. საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყოველგვარი ელემენტისა და ნიშნის მოცილებით ბ-მა სტრუვემ, თითქოს განზრახ, სწორედ ისეთი «მეურნეობა» «შეთხზა», რომელიც პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ი ს ობიექტი არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს.

აი კიდევ, შემდეგ, «სამეურნეო წყობილების სამი ძირითადი ტიპის» დადგენა: 1) ერთმანეთის გვერდით მყოფ მეურნეობათა ერთობლიობა; 2) ურთიერთმოქმედ მეურნეობათა სისტემა და 3) «საზოგადოება-მეურნეობა», როგორც «სუბიექტური ტელეოლოგიური ერთიანობა». პირველ ტიპს, თურმე ნუ იტყვით, მიეკუთვნებიან მეურნეობანი, რომელნიც არც ურთიერთობაში და არც ურთიერთმოქმედებაში არ იმყოფებიან (ყბადაღებული რობინზონის მკვდრეთით აღდ-

გენის ცდა!); მეორეს — მონობაც, ბატონყმობაც, კაპიტალიზმიც და მარტივი სასაქონლო წარმოებაც; მესამეს — კომუნიზმი, რომელიც «პარაგვაის იეზუიტთა სახელმწიფოში იქნა განხორციელებული, რამდენადაც ის საზოგადოდ განსახორციელებელია». ეს დიდებული კლასიფიკაცია, რომელსაც ისტორიული რეალობისა არა სცხია რა, შევსებულია სამეურნეო და სოციალური წყობილების განსხვავებულებით.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო კატეგორიებიო, გვასწავლის ბ-ნი სტრუვე, «გამოხატავენ ყოველი მეურნე სუბიექტის ეკონომიურ ურთიერთობას გარესამყაროსთან»; ს ა მ ე უ რ ნ ე ო თ ა შ ო რ ი ს ო კატეგორიები — «გამოხატავენ ავტონომიურ მეურნეობათა ურთიერთმოქმედებიდან გამომდინარე მოვლენებს»; ს ო ც ი ა ლ უ რ ი კატეგორიები «გამომდინარეობენ ურთიერთმოქმედებაში მყოფ მეურნე ადამიანთა სოციალური უთანასწორობიდან».

ამრიგად, მონობის, ბატონყმობის, კაპიტალიზმის სამეურნეო წყობილება შეიძლება ლოგიკურად, ეკონომიურად, ისტორიულად გამოიყოს სოციალური უთანასწორობიდან!! სწორედ ეს გამოუდის ბ-ნ სტრუვეს თავისი უხეირო ჭაპანწყვეტიდან — ახალი დეფინიციები და განსხვავებულებანი შემოიღოს. «ერთმანეთის გვერდით მყოფ მეურნეობათა ერთობლიობა შეიძლება — თუ განყენებულად ვიმსჯელებთ — შეერთებული იყოს თანასწორობისა და უთანასწორობის ურთიერთობასთან. იგი შეიძლება გლეხური დემოკრატიაც იყოს და ფეოდალური საზოგადოებაც».

ასე მსჯელობს ჩვენი ავტორი. თეორიის — როგორც ლოგიკური, ისე ეკონომიური, აგრეთვე ისტორიული თეორიის თვალსაზრისით, მისი მსჯელობა აშკარად უაზროა. იმით, რომ ყველაფერს, რაც გნებავთ, «ერთმანეთის გვერდით მყოფ მეურნეობათა ერთობლიობის» ცნებაში ათავსებს, იგი თვალნათლივ ააშკარავებს ამ ცნების უშინაარსობას. გლეხური დემოკრატიაც, ფეოდალიზმიც, მეზობლად მცხოვრები (პეტერბურგის რომელიმე სახლში ერთი და იმავე კიბით და ერთი და იმავე დერეფნით მოსარგებლე) მეურნენიც — ყოველივე

ეს «ერთმანეთის გვერდით მყოფ მეურნეობათა ერთობლიობაა»! ავტორს უკვე დავიწყნია, რომ მის სისტემაში ეს ერთობლიობა სამეურნეო წყობის სამი ძირითადი ტიპიდან ერთ-ერთს უნდა ახასიათებდეს. ბ-ნ სტრუვეს «მეცნიერული» დეფინიციები და განსხვავებულებანი პირდაპირ წარმოუდგენელი დომხალია.

მაგრამ ამ უხეშ და უხამს თამაშში, ლოგიკისა და ისტორიის ამ აბუჩად აგდებაში თავისებური «აზრიც» არის. ეს «აზრია» ბურჟუაზიული სასოწარკვეთილება და «დაფურთხიზმი» (თუ შეიძლება ასე გადმოითარგმნოს ფრანგული გამოთქმა: «je m'en fiche»). აწმყოს მეცნიერულად გარჩევის შესაძლებლობის იმედის დაკარგვა, მეცნიერებაზე ხელის აღება, მისწრაფება — მიაფურთხონ ყოველგვარ განზოგადებას, დაემალონ ისტორიული განვითარების ყოველგვარ «კანონს», ჩამოაფარონ ტუეს — ხეები, — აი კლასობრივი აზრი იმ მოდური ბურჟუაზიული სკეპტიციზმისა, იმ მკვდარი და მკვდრადმაქცევი სქოლასტიკისა, რასაც ჩვენ ბ-ნ სტრუვეს ვამჩნევთ. «სოციალური უთანასწორობანი» არ უნდა ავხსნათ სამეურნეო წყობილებით, ეს შეუძლებელია (ვინაიდან ეს სასურველი არ არის ბურჟუაზიისათვის) — აი ბ-ნ სტრუვეს «თეორია». პოლიტიკურმა ეკონომიამ დაე თავის საქმედ გაიხადოს ტრუიზმები და სქოლასტიკა, თანაც უმნიშვნელო ფაქტების უაზროდ გამოდევნება (მაგალითები — ქვემოთ), ხოლო «სოციალურ უთანასწორობათა» საკითხი დაე სოციოლოგიურ-იურიდიულ მსჯელობათა უფრო უსაშიშრო დარგში გადავიდეს: იქ, ამ დარგში, უფრო ადვილია ამ უსიამოვნო საკითხების «თავიდან მოშორება».

ეკონომიური სინამდვილე უაღრესი თვალსაჩინოებით გვიჩვენებს, რომ საზოგადოების კლასობრივი დაყოფა საფუძველია როგორც კაპიტალიზმის, ისე ფეოდალიზმის სამეურნეო წყობილებისა. მეცნიერების ყურადღება პოლიტიკური ეკონომიის გაჩენიდანვე ამ კლასობრივი დაყოფის ახსნისაკენაა მიმართული. მთელმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მრავალი ნაბიჯი გადადგა ამ გზით, მარქსმა კიდევ

უფრო წინ გადადგა ნაბიჯი. თანამედროვე ბურჟუაზია ისე შეშინებულია ამ ნაბიჯით, მას ისე აწუხებს თანამედროვე სამეურნეო ევოლუციის მეტისმეტად აშკარა, მეტისმეტად მნიშვნელოვანი, «კანონები», რომ ბურჟუები და მათი იდეოლოგები მზად არიან გარეთ გაყარონ ყველა კლასიკოსი და ყოველგვარი კანონი, ოღონდ კი იურისპრუდენციის არქივს ჩააბარონ... ყოველგვარი... რა ჰქვიან?.. სოციალური უთანასწორობა.

VI

ბ-ნი სტრუვე განსაკუთრებით მონდომებულია — ღირებულების ცნება ჩააბაროს არქივს. «ფასეულობა, — წერს იგი, — როგორც ფასისაგან განსხვავებული რამ, მისგან დამოუკიდებელი, მისი განმსაზღვრელი, არის ფანტომი» (96). «ობიექტური ფასეულობის კატეგორია, ასე ვთქვათ, მხოლოდ მეტაფიზიკური გაორმაგებაა ფასის კატეგორიისა» (97).

სოციალიზმის გასანადგურებლად ბ-ნ სტრუვეს ყველაზე... რადიკალური და ყველაზე ადვილი, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე მჩატე მეთოდი ამოურჩევია: მეცნიერების უარყოფა საზოგადოდ. უზომოდ გამაძღარი და შეშინებული ბურჟუას ბატონკაცური სკეპტიციზმი აქ **nec plus ultra**-ს * აღწევს. როგორც დოსტოევსკის ერთი ვექილი, იცავს რა გაძარცვის მიზნით მკვლელობის ჩამდენს ამ ბრალდებისაგან, იქამდე მიდის, რომ ამბობს, გაძარცვა არ ყოფილა და არც მკვლელობა მომხდარაო, ასევე ბ-ნი სტრუვეც მარქსის ღირებულების თეორიას იმით «აბათილებს», რომ უბრალოდ ი რ წ მ უ ნ ე ბ ა, ღირებულება ფანტომიაო.

«ამჟამად მისი» (ობიექტური ღირებულების თეორიის) «გაბათილება არც კია საჭირო; საკმარისია იგი აგწეროთ, ისე როგორც ჩვენ ეს აქა და ჩვენს «შესავალში» მოვახდინეთ, რათა ცხადვყოთ, რომ მეცნიერულ დებულებებში მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი» (97).

* — უკიდურეს საზღვარს. რ ე დ.

მოდი და ამ ყველაზე «რადიკალურ» მეთოდს ყველაზე მჩატეს ნუ დაარქმევ! ათასეულ წელთა განმავლობაში ამჩნევს კაცობრიობა გაცვლის მოვლენაში არსებულ კანონშესაბამისობას, ცდილობს გაიგოს და ზუსტად გამოხატოს იგი, ამოწმებს თავის ახსნას ეკონომიური ცხოვრების მილიონი და მილიარდი ყოველდღიური დაკვირვებით, — და უცბად გამოხტება მოდური მოსაქმეობის — ციტატების შეგროვების (კინაღამ არა ვთქვი: საფოსტო მარკების შეგროვების) — მოდური წარმომადგენელი და «აუქმებს ყოველივე ამას»: «ფასეულობა არის ფანტომიო».

ტყუილად კი არ თქმულა უკვე დიდი ხანია, მათემატიკის ჭეშმარიტებანი ადამიანთა ინტერესებს (უკეთ, კლასთა ინტერესებს მათი ბრძოლის დროს) რომ ეხებოდნენ, ეს ჭეშმარიტებანი ცხარე დავის საგანი გახდებოდნენო. ეკონომიური მეცნიერების უძველეულ ჭეშმარიტებათა სადავოდ გამოსაცხადებლად მცირე, სულ მცირე ავლადიდებაა საჭირო. ჩავურთოთ, მაგალითად, სიტყვა, რომ ფანტომს წარმოადგენს ღირებულება, როგორც ფასისაგან დამოუკიდებელი რამ — და საქმე გაჩარხული იქნება!

რა ვუყოთ მერე, რომ ეს ჩანართი აბსურდულია. ფასი არის ღირებულების კანონის გამოვლინება. ღირებულება არის ფასთა კანონი, ე. ი. ფასის მოვლენის განზოგადებული გამოხატულება. «დამოუკიდებლობაზე» ლაპარაკი აქ მხოლოდ იმისთვის შეიძლება, რომ აბუჩად აიგდო მეცნიერება, რომელიც ცოდნის ყველა დარგში გვიჩვენებს ძირითად კანონთა გამოვლინებას მოვლენათა მოჩვენებითს ქაოსში.

ავიღოთ, მაგალითად, სახეთა ცვლისა და უდაბლეს სახეთაგან უმაღლესთა წარმოშობის კანონი. ძალიან იოლი იქნებოდა ფანტომად გამოგვეცხადებინა ბუნებისმეტყველების განზოგადებანი, უკვე აღმოჩენილი კანონები (რომელთაც ყველა ცნობს, მიუხედავად უამრავი მოჩვენებითი დარღვევისა და გადახვევისა ცალკეულ კაზუსთა სიჭრელეში), ძიებანი მათ შესასწორებლად და შესავსებად. ბუნებისმეცნიერებათა დარგში ადამიანს, რომელიც იტყოდა, ბუნების სამყაროს

მოვლენათა კანონები ფანტომიაო, საგიჟეთში ჩასვამდნენ ანდა პირდაპირ სასაცილოდ აიგდებდნენ. ეკონომიურ მეცნიერებათა დარგში ადამიანს, რომელიც ასე გაბედულად კოპწიაობს... თავისი შიშველი მდგომარეობით... სიამოვნებით დანიშნავენ პროფესორად, ვინაიდან ის, მართლაც, სავსებით გამოსადეგია ბურჟუების ვაჟიშვილთა გამოსაყეყეჩებლად.

«ფასი არის ფაქტი. ვთქვათ ასე: ფასი არის ცნება რეალური გაცვლითი ურთიერთობისა გასაცვლელ დოვლათთა შორის, ის არის რეალიზებული გაცვლითი ურთიერთობა.

ფასეულობა არის ნორმა. ვთქვათ ასე: ფასეულობა არის ცნება იდეალური, ანუ მართებული თანაფარდობისა დოვლათთა შორის გაცვლის პროცესში» (88).

ხომ მართალია, რა დამახასიათებელია ბ-ნ სტრუვესათვის დაუდევრად, აფიშირებულ-არასერიოზულად გადმოსროლილი ეს შენიშვნა «ვთქვათ ასე»? განზრახ მძიმედ მოლაპარაკე ბ-ნი სტრუვე, ასე რომ კოპწიაობს ბრძნული ტერმინებით და ახალ სიტყვათა წარმოებით, უცებ ფელეტონურ კილოზე გადადის... ფელეტონურ კილოზე გადაუსვლელად საძნელო კი იქნებოდა ღირებულების გამოცხადება ფანტომად.

თუ ფასი «რეალიზებული გაცვლითი ურთიერთობაა», მაშინ ნება გვიბოძეთ ვიკითხოთ: ვის შორის არსებობს ეს ურთიერთობა? ცხადია, გაცვლის მომხდენ მეურნეობათა შორის. თუ ეს «გაცვლითი ურთიერთობა» შემთხვევით კი არ აღმოცენდება გამონაკლისის სახით, მოკლე ხნით, არამედ უცვლელი რეგულარობით, საყოველთაოდ და ყოველდღიურად მეორდება, მაშინ, ცხადია, «გაცვლითი ურთიერთობა» ერთ სამეურნეო წყობად აკავშირებს მეურნეობათა ერთობლიობას; ცხადია, ამ მეურნეობათა შორის შრომის დამკვიდრებული განაწილება არსებობს.

და ამით უკვე იფუშება, როგორც ხუხულა, ბ-ნ სტრუვეს მთელი ეშმაკური ნათხზავი იმ «სამეურნეოთაშორისო» ურთიერთობის შესახებ, რომლის გამოყოფაც სოციალური ურთიერთობისაგან თითქოს შესაძლებელი იყოს. ბ-მა სტრუვემ კარებში გააგდო სასაქონლო წარმოების

ცნება, რათა ფანჯარაში შემოეშვა იგი მალულად. ბ-ნ სტრუ-ვეს ყბადაღებული «ემპირიზმი» ის არის, რომ განიდევნოს მეცნიერებიდან ბურჟუებისათვის არასასიამოვნო განზოგადე-ბანი, რომელთა აღიარებაც მაინც უხდებათ, ასე ვთქვათ, არა-ოფიციალურად.

თუ ფასი გაცვლითი ურთიერთობაა, მაშინ აუცილებლად უნდა გავიგოთ განსხვავება ერთეულადს, გაცვლითს ურთი-ერთობასა და მუდმივს შორის, შემთხვევითსა და მასობრივს შორის, მომენტალურსა და ხანგრძლივი დროის მომცველს შორის. რახან ეს ასეა, — ეს კი უეჭველად ასეა, — მაშინ ჩვენ ასეთივე აუცილებლობით ავდივართ შემთხვევითიდან და ერთეულადიდან მყარისა და მასობრივისაკენ, ფასიდან ღირებულებისაკენ. ბ-ნ სტრუვეს ცდა — «მართებულად» გამოაცხადოს ღირებულება, დაუკავშიროს იგი ეთიკას ანდა კანონისტების მოძღვრებას და სხვ., ხუხულასავით იფუშება.

როდესაც «ემპირიზმს» უწოდებს ღირებულების ფანტო-მად აღიარებას, «მეტაფიზიკას» კი — მისწრაფებას («არის-ტოტელედან» მარქსისაკენ მომდინარეს — გვ. 91 — საჭიროა კიდევ დაემატოს: მთელი კლასიკური პოლიტიკური ეკონო-მიის მანძილზე!) — მისწრაფებას — აღმოჩენილ იქნას ფასე-ბის წარმოშობისა და ცვლილების კ ა ნ ო ნ ი, ბ-ნი სტრუვე იმეორებს უახლესი რეაქციონერი ფილოსოფოსების ხერხს, რომელთაც «მეტაფიზიკად» მიაჩნიათ ბუნებისმეტყველების მატერიალიზმი საზოგადოდ, ხოლო «ემპირიზმად» აცხადებენ საფეხურს რელიგიის კიბეზე. მეცნიერებიდან კ ა ნ ო ნ ე-ბ ი ს განდევნა ნამდვილად მხოლოდ რ ე ლ ი გ ი ი ს კ ა ნ ო-ნ ე ბ ი ს შ ე მ ო პ ა რ ე ბ ა ა. ტყუილად ჰგონია ბ-ნ სტრუ-ვეს, თითქოს მის «პატარა ეშმაკობას» ვისიმე მოტყუება შეეძლოს ამ მარტივი და უეჭველი ფაქტის საკითხში.

VII

მარქსისტებთან პირდაპირ შეტაკებას ბ-მა სტრუვემ, რო-გორც უკვე ვნახეთ, იმით აარიდა თავი, რომ სკეპტიციზმს ამოეფარა საზოგადოდ. მით უფრო მეტი გულმოდგინებით

აფრქვევს იგი თავის წიგნში მარქსიზმის საწინააღმდეგო შენიშვნებს, იმ ვარაუდით, რომ დააჯეროს მკითხველი, რომელიც თავს ვერ გაართმევს უთავბოლოდ ამოგლეჯილი, დაულაგებელი ციტატების ხროვას.

მოყვანილია, მაგალითად, ერთი პატარა ციტატა სენ-სიმონიდან, დასახელებულია მთელი რიგი წიგნები სენ-სიმონის შესახებ (გერმანულ ბიბლიოგრაფიულ საძიებელთა ამ გადმოწერას ჩვენი «სწავლული» სისტემატურად მიმართავს — ალბათ, როგორც ყველაზე საიმედო გზას... სამეცნიერო ხარისხისაკენ), მოყვანილია რენუვიედან ფრიად დაწვრილებითი ამონაწერები სენ-სიმონის შესახებ.

დასკვნა კი?

დასკვნა აი როგორია: «რაგინდ პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენოს ეს, მაინც პირდაპირ უცილობელი ისტორიული ფაქტია, რომ სოციალიზმის უმაღლესი ფორმა, ეგრეთწოდებული მეცნიერული სოციალიზმი, არის რევოლუციური და რეაქციული აზროვნების კავშირით წარმოშობილი ბავშვი» (51 — 52). ვინაიდან გზა მეცნიერული სოციალიზმისაკენ სენ-სიმონით მოდის, ხოლო «სენ-სიმონი ერთსა და იმავე დროს მოწაფეა XVIII საუკუნის განმანათლებლებისაც, XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის რეაქციონერებისაც» (53). «ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: ისტორიული მატერიალიზმი არსებითად რეაქციის წარმონაშობია XVIII საუკუნის სულის წინააღმდეგ. იგი, ჯერ-ერთი, ორგანული შეხედულების რეაქციაა რაციონალიზმის წინააღმდეგ, მეორეც, ეკონომიზმის რეაქცია პოლიტიციზმის წინააღმდეგ. გარდა ამისა, სენ-სიმონი თავის რელიგიურ პერიოდში წარმოადგენს გრძნობისა და რელიგიის რეაქციას სამართლისა და ადამიანური სამართლიანობის იდეათა წინააღმდეგ» (54 — 55). და მეტი სიმტკიცისათვის ბ-ნი სტრუვე ერთხელ კიდევ იმეორებს: «მარქსიზმი — ესაა ფრანგული თეოკრატიული სკოლისა და საზოგადოდ ისტორიული კონტრრევოლუციური რეაქციის ფორმულები, პოზიტივიზ-

მის, ათეიზმისა და რადიკალიზმის ენაზე გადმოღებული. გადააყენა რა გონება, მარქსი რევოლუციონერად და სოციალისტად დარჩა» (55)...

თუ მარქსმა შესძლო აეთვისებინა და შემდგომ განევითარებინა, ერთი მხრივ, «XVIII საუკუნის სული» მის ბრძოლაში შუასაუკუნეობრიობის ფეოდალურ და ხუცურ ძალასთან, ხოლო, მეორე მხრივ, XIX საუკუნის დამდეგის ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა ეკონომიზმი და ისტორიზმი (აგრეთვე დიალექტიკაც), ეს მხოლოდ ამტკიცებს მარქსიზმის სიღრმესა და ძალას, მხოლოდ ადასტურებს იმათ აზრს, ვინც მარქსიზმში მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას ხედავს. რეაქციონერ ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა მოძღვრებანი რომ ღრმა აზრებს შეიცავდნენ პოლიტიკურ მოვლენათა შეცვლის დროს არსებული კანონშესაბამისობისა და კლასთა ბრძოლის შესახებ, ამას მარქსი მუდამ ისეთი სიცხადით აღნიშნავდა, რომელიც არავითარ ადგილს არ უტოვებს გაუგებრობას.

ბ-ნი სტრუვე კი მალაყებს გადადის და აცხადებს, მარქსიზმი რეაქციის წარმონაშობიაო, თუმცა იქვე დასძენს, მარქსიზმისაკენ სენ-სიმონ ხუცესს კი არ მივყავართ, არამედ სენ-სიმონს ისტორიკოსს და ეკონომისტსაო!!

გამოდის, რომ ბასრი ფრაზის საშუალებით, ისე, რომ არც ერთი სერიოზული სიტყვა არა თქვა იმის შესახებ, თუ როგორია საზოგადოებრივი მეცნიერების ის მონაპოვარი, რაც სენ-სიმონმა XVIII საუკუნის განმანათლებელთა შემდეგ და მარქსამდე შესძინა მას, — ავტორი გადაახტა მთელ საზოგადოებრივ მეცნიერებას საერთოდ.

რადგან ამ მეცნიერებას ქმნიდნენ, ჯერ-ერთი, ეკონომისტი-კლასიკოსები, რომლებმაც აღმოაჩინეს ღირებულების კანონი და საზოგადოების ძირითადი დაყოფა კლასებად, — რადგან ამ მეცნიერებას, მათთან დაკავშირებით, უფრო ამდიდრებდნენ XVIII საუკუნის განმანათლებლები ფეოდალიზმსა და ხუცობასთან ბრძოლით, — რადგან ამ

მეცნიერებას, მიუხედავად თავიანთი რეაქციული შეხედულებებისა, წინ სწევდნენ XIX საუკუნის დამდეგის ისტორიკოსები და ფილოსოფოსები, რომლებიც კიდევ უფრო ნათელყოფდნენ კლასობრივი ბრძოლის საკითხს, ავითარებდნენ დიალექტიკურ მეთოდს და იყენებდნენ მას ანდა იწყებდნენ მის გამოყენებას საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ, — ამიტომ მარქსიზმი, რომელმაც სწორედ ამ გზით გადადგა წინ მთელი რიგი უდიდესი ნაბიჯები, ევროპის მთელი ისტორიული, ეკონომიური და ფილოსოფიური მეცნიერების უმაღლეს განვითარებას წარმოადგენს. ასეთია ლოგიკური დასკვნა. ბ-ნ სტრუვეს დასკვნა კი შემდეგია: ამიტომ არც კი ღირს მარქსიზმის გაბათილება, ლაპარაკიც კი არა ღირს ღირებულების და სხვ. კანონების შესახებ, მარქსიზმი რეაქციის წარმონაშობიაო!

ნუთუ ასეთი უხეში ხერხებით აპირებს ბ-ნი სტრუვე თავის მსმენელთა მოტყუებას და თავისი ბნელეთის მოციქულობის დაფარვას?

VIII

ბ-ნ სტრუვეს მეცნიერული ნაშრომი, რა თქმა უნდა, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი მეცნიერული ნაშრომი არ იქნებოდა, მასში რომ სოციალიზმის შეუძლებლობა არ იყოს «დამტკიცებული».

შეიძლება ფიქრობთ, ეს მეტისმეტიაო? იმ თხზულებაში, რომელიც შეეხება ფასისა და მეურნეობის საკითხს, აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის «ზოგიერთი ფილოსოფიური მოტივის» საკითხსაც, ისე «დაამტკიცო» სოციალიზმის შეუძლებლობა, რომ არც კი მიუდგე კაპიტალიზმის ისტორიულ ტენდენციათა შესწავლას?

ო, ბ-ნ სტრუვესათვის ეს იოლი, სულ იოლი საქმეა! უსმინეთ:

«საბოლოო შედეგად ეკონომიურ ლიბერალიზმს ესახება სრული თანამთხვევა — «ბუნებრივი კანონის» განხორციელების საფუძველზე — რაციონალურისა და მართებულისა ბუ-

ნებრივთან და აუცილებელთან საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესში, მისი სრული რაციონალიზაცია... სოციალიზმი თავისი ყველაზე უფრო სრულყოფილი — ისტორიული ანუ ეგრეთწოდ. მეცნიერული სოციალიზმის — ფორმით, უარყოფს «ბუნებრივ კანონს», მაგრამ ამავე დროს იზიარებს ეკონომიური ლიბერალიზმის ამ ძირითად იდეას. იგიც იმ აზრისაა, რომ შესაძლებელია ჰარმონია რაციონალურ შეხედულებასა და მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას შორის, შესაძლებელია საზოგადოებრივ-ეკონომიური პროცესის სრული რაციონალიზაცია» (გვ. 58). რამდენიმე ათვალწუნებითი ფრაზა ამ «რწმენის» შესახებ (გვ. 59) და სერიოზული მეცნიერების დასკვნა (გვ. 60). (პარაგრაფი მე-7 ბ-ნ სტრუვეს «ნაშრომის» პირველი ნაწილის პირველი განყოფილების მე-2 თავისა):

«სინამდვილის სამყაროსთან სოციალისტური და ლიბერალური იდეალის შეპირისპირებისას მეცნიერულ-ემპირიულმა გამოკვლევამ უნდა აღიაროს, რომ ამ იდეალებში მოქცეული რწმენა არ შეიძლება მისთვის არსებობდეს. ფორმალური აზრით ორივე ეს იდეალი თანაბრად განუხორციელებელია. თანაბრად უტოპიურია».

პირდაპირ ვერც კი უჯერებ თვალებს, როდესაც ასეთ რამეებს კითხულობ. მარაზმის, დაცემისა და პროსტიტუციის რა საზღვრამდე მისულა თანამედროვე პროფესორული მეცნიერება! ბ-მა სტრუვემ ჩინებულად იცის, რომ მეცნიერული სოციალიზმი კაპიტალიზმის მიერ წარმოების განსაზოგადოების ფაქტს ეყრდნობა. ეს ფაქტი მტკიცდება მთელ მსოფლიოში შემჩნეული უამრავი მოვლენით. ამ მოვლენათა განვითარების ხარისხისა და მათი განვითარების სისწრაფის შესახებ უმდიდრესი «ემპირიული» მასალა მოიპოვება.

ჩვენმა მეცნიერმა კი გვერდი აუარა წარმოების განსაზოგადოების საკითხს, თავისი «მეცნიერულ-ემპირიული გამოკვლევით» მრავალრიცხოვანი ფაქტების ა რ ც ე რ თ დარგს არ შეეხო და ლიბერალიზმისა და რაციონალიზაციის შესახებ

რამდენიმე უშინაარსო ფრაზაზე დაყრდნობით აცხადებს, საკითხი მეცნიერულად გადაჭრილიაო!

მართალი არ არის, თითქოს ლიბერალიზმს სრული რაციონალიზაცია ესახებოდეს. მართალი არ არის, თითქოს მარქსიზმი «ბუნებრივ კანონს» უარყოფდეს. სწორი არაა და უშინაარსოა საზოგადოდ მთელი ფრაზა «სრული რაციონალიზაციის» შესახებ — ყველაფერი ეს უბადრუკი ხრიკებია, უგვანო თამაში, რომელიც მხოლოდ ერთ რამეს ისახავს მიზნად: გვერდი აუაროს მეცნიერული სოციალიზმის მიერ ნათლად და ზუსტად დასმულ საკითხს, გააშტეროს მოსწავლე ახალგაზრდობა ხმაურით და ყვირილით სოციალიზმის შეუძლებლობის შესახებ.

IX

ბ-ნ სტრუვეს ნაშრომის უდიდესი ნაწილი, ნახევარზე გაცილებით მეტი, დათმობილი აქვს «ეტიუდებსა და მასალებს ფასის ისტორიული ფენომენოლოგიის შესახებ».

აი მართლა სად შეეძლო გამოეჩინა თავი «თანამიმდევრული ემპირიზმის» ამ თავგამოდებულ მომხრეს, რომელიც ღირებულებას ფანტომად აცხადებს და ფასებს სწავლობს, როგორც ფაქტებს!

ფასთა სტატისტიკა უკანასკნელ წლებში უდიდეს წარმატებას აღწევს. ყველა ქვეყანაში უამრავი მასალაა შეგროვილი. მთელი რიგი შრომებია ფასთა ისტორიიდან. თუ მკაცრი მეცნიერი იმასაც კი არ კადრულობს, რომ მარქსის ღირებულების თეორია გააბათილოს, ანალიზი მაინც რატომ არ უნდა გაეკეთებინა ამ თეორიის თუნდ ზოგიერთი ძირითადი საკითხისათვის ფასთა ისტორიიდან და სტატისტიკიდან ამოღებული «ემპირიული» მასალის მიხედვით? შეგვიძლია ვიპოვოთ ათასნაირი საქონელი და ასობით განყოფილება თუ პერიოდი მათი ფასების ისტორიიდან, როდესაც ყველა და ყოველგვარ გარეშე ფაქტორთა გავლენის აცილება მოსახერხებელი ხდება — გარდა შრომის «ფაქტორისა» — და როდესაც ზუსტი მონაცემები მოგვეპოვება იმ შრომის რაოდენობის

შესახებ, რაც ამა თუ იმ სახის საქონლის წარმოებას ხმარდებ-ბა. რატომ არ უნდა მიჰკარებოდა ამ მონაცემებს «თანამიმდევრული ემპირიზმის» ეს მომხრე თავის «მეცნიერულ გამოკვლევაში» ფასის შესახებ, «ფასის ისტორიული ფენომენოლოგიის» განყოფილებაში?

რატომ? იმიტომ, რასაკვირველია, რომ ბ-ნ სტრუვეს ძალიან კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი პოზიციის უიმედობა, ობიექტური, შრომითი, ღირებულების თეორიის გაბათილების შეუძლებლობა და ინსტინქტურად გრძნობდა აუცილებლობას — თავქუდმოგლეჯით გაჰქცეოდა ყოველგვარ მეცნიერულ გამოკვლევას.

ბ-ნ სტრუვეს ნაშრომის ასეული ფურცლები, რაც დათმობილი აქვს «ეტიუდებსა და მასალებს ფასის ისტორიული ფენომენოლოგიის შესახებ», წარმოადგენენ იმის უაღრესად შესანიშნავ ნიმუშს, თუ როგორ გაურბიან მეცნიერებას თანამედროვე ბურჟუაზიული სწავლულები. რა არა გნებავთ, რომ აქ არ იყოს! შენიშვნები კანონით დაწესებულ და თავისუფალ ფასზე — რამდენიმე დაკვირვება პოლინეზიელებზე — ციტატები იმ წესდებიდან საბაზრო ვაჭრობის შესახებ, რომელიც გამოცემული იყო (ნასწავლობა, ნასწავლობა!) 178? — 1810 წლებში მადაგასკარის გამაერთიანებლის, მეფე ანდრიანამპუინიმერინას მიერ — რამდენიმე მუხლი ბაბილონის მეფის ჰამურაბის კანონიდან (ეპოქა დაახლოებით 2 100 წლისა ქრ. წინ) ოპერაციისათვის მკურნალის დაჯილდოების შესახებ — რამდენიმე უაღრესად მეცნიერული ციტატა, მეტწილად ლათინური, ძველ გერმანელთა ხალხურ სამართალში ქალის ყიდვითი ფასის ტარიფიკაციის შესახებ — თარგმანი შვიდი მუხლისა, რომლებიც სავაჭრო სამართალს ეხება, ინდოეთის საღვთო კანონმდებელთა, მანუს და იაინავალკიას თხზულებებიდან * — მყიდველის დაცვა რომაულ სამართალში

* ბ-ნი ს. ფ. ოლდენბურგი, თავაზიანად უპასუხებს რა ბ-ნ სტრუვეს შეკითხვაზე, სწერს მას, რომ «კანონების წიგნები თქვენს (ბ-ნ სტრუვეს)

და ასე შემდეგ და სხვა, გათავებული რომში ფასების პოლიციური მოწესრიგების ელინისტური ნიმუშებით და კაროლინგთა კანონმდებლობაში რომაული საპოლიციო სამართლის ქრისტიანიზაციით.

მოსალოდნელია, ბ-მა ვ. პ. რიაბუშინსკიმ, რომელმაც ბ-ნ სტრუვეს წიგნი გამოსცა, უკვდავყოს თავისი სახელი, როგორც მეცენატისა, და ბ-ნ სტრუვეს სახელი, როგორც სერიოზული მეცნიერისა, კიდევ ორასიოდე ტომად რომ გამოსცეს ეტიუდები და მასალები ფასის ისტორიული მეთოდოლოგიის შესახებ, ვთქვათ, მაგალითად, ყველა დროისა და ხალხთა ბაზრების აღწერა, სურათებით ტექსტში და ბ-ნ სტრუვეს მიერ საუკეთესო გერმანული ბიბლიოგრაფიული საძიებლებიდან ამოკრებილი შენიშვნებით. თანამიმდევრული ემპირიზმი გამარჯვებას იზეიმებდა, ხოლო პოლიტიკური ეკონომიის ყოველგვარ «კანონთა» ფანტომები გაქრებოდნენ, ვითარცა კვამლი.

X

ძველ, რევოლუციამდელ რუსეთში გაბატონებული იყო მეცნიერთა ორ დიდ ბანაკად დაყოფა: სამინისტროსადმი შემგუებელთა და დამოუკიდებელთა ბანაკად, ამასთან პირველებად ნაგულისხმევი იყვნენ პირდაპირ გამყიდველი მჯღაბნელები და შეკვეთით თხზულებათა შემდგენელნი.

ეს უხეში დაყოფა, რომელიც პატრიარქალურ, ნახევრადაზიურ ურთიერთობებს შეეფერებოდა, უეჭველად მოძველებულია და არქივს უნდა ჩაბარდეს. რუსეთი სწრაფ ევროპეიზაციას განიცდის. ბურჟუაზია ჩვენში თითქმის სავსებით მომწიფებულია და ზოგ რამეში გადამწიფდა კიდევაც. მისი მეცნიერნი «დამოუკიდებელნი» არიან მთავრობისაგან, შეკვეთით წერა მათ სრულებით არ შეუძლიათ, საკითხებს ისინი

მიერ წამოყენებულ საკითხებზე, უნდა ვიფიქროთ, ახლოს ასახავდნენ ცხოვრებას». (შენიშვნა 51b ბ-ნ სტრუვეს ნაშრომის პირველი ნაწილის II განყოფილების მე-2 თავის II ქვენაწილის § 8-ში).

გულწრფელად და კეთილსინდისიერად სწავლობენ ისეთი თვალსაზრისით და ისეთი მეთოდებით, რაც, მათი გულწრფელი და კეთილსინდისიერი რწმენით, ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის იმგვარ «ბელადთა» ინტერესებს ემთხვევა, როგორიც ბ-ნი ვ. პ. რიაბუშინსკია. ჩვენს დროში, როდესაც ყველაფერი ასე შორს წავიდა წინ, დინჯი მეცნიერის სახელის მოხვეჭა და თავისი შრომების ოფიციალური აღიარების მოპოვება, — ეს ნიშნავს — დაამტკიცო სოციალიზმის შეუძლებლობა «კანტიანურად» გამოყვანილი ორიოდე განსაზღვრის საშუალებით; ეს ნიშნავს — გაანადგურო მარქსიზმი მკითხველებისა და მსმენელებისათვის იმის ნათელყოფით, რომ მისი გაბათილებაც კი არა ღირს, და ევროპელი პროფესორების ათასობით სახელთა და წიგნების სახელწოდებათა დამოწმებით; ეს ნიშნავს — შორს გადაჰყარო საზოგადოდ ყოველგვარი მეცნიერული კანონები, რელიგიური კანონებისათვის ადგილის გასაწმენდად; ეს ნიშნავს — აამთახროვო მაღალმეცნიერული ნაყარნუყარი და ნაგავი, მოსწავლე ახალგაზრდობის თავების გამოსატენად.

თუ ყოველივე ეს გაცილებით უფრო ტლანქად გამოგივა, ვიდრე გერმანიის ბურჟუაზიულ მეცნიერებს, — არც ესაა დიდი უბედურება. საჭიროა ხომ იმის დაფასება, რომ რუსეთი საბოლოოდ დასდგომია მაინც ევროპეიზაციის გზას.

მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ[61]

(ლოკაუტი და მარქსისტული ტაქტიკა)

ლოკაუტები, ე. ი. მუშების მასობრივად დათხოვნა ერთმანეთთან მოლაპარაკებულ მეწარმეთა მიერ, ისეთივე აუცილებელი და გარდუვალი მოვლენაა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, როგორც მუშების გაფიცვები. კაპიტალი მთელი თავისი სიმძიმით თავს ატყდება განადგურებულ წვრილ მწარმოებლებსა და პროლეტარიატს და მუდმივ იმუქრება — პირდაპირ შიმშილობამდე და შიმშილით ამოწყდომამდე დაიყვანოს მუშათა ცხოვრების პირობები. და ყველა ქვეყანაში ყოფილა მაგალითები, ხალხთა ცხოვრების მთელი პერიოდებიც კი, როდესაც მუშების მხრივ წინააღმდეგობის გაუწევლობას წარმოუდგენელ გაღატაკებამდე და შიმშილის მთელ საშინელებამდე მიჰყავდა ისინი.

მუშების მხრივ წინააღმდეგობის გაწევა გამომდინარეობს თვით ცხოვრების პირობებიდან — სამუშაო ძალის გაყიდვიდან. მხოლოდ ამ წინააღმდეგობით ინარჩუნებენ მუშები, მიუხედავად მათ მიერ ბრძოლაში გაწეული უდიდესი მსხვერპლისა, ცხოვრების რამდენადმე მაინც ასატან დონეს. მაგრამ კაპიტალის კონცენტრაცია სულ უფრო მატულობს, მეფაბრიკეთა კავშირები იზრდება, მატულობს უქონელთა და უმუშევართა რიცხვი, მასთან ერთად კი — პროლეტარიატის გაჭირვება, და ცხოვრების ასატანი დონისათვის ბრძოლა უფრო და უფრო ძნელი ხდება. ცხოვრების სიძვირე, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში სწრაფად იწევს მაღლა, ხშირად არარად აქცევს მუშების ყველა ცდას.

მუშათა ორგანიზაციები, პირველ რიგში კი — მუშების პროფესიული კავშირები, პროლეტარიატის სულ უფრო მეტ შასას აბამენ ორგანიზებულ ბრძოლაში, რაც შეიძლება უფრო გეგმაშეზომილს და სისტემატურს ხდიან მუშების წინააღმდეგობას. საგაფიცვო ბრძოლა, მასობრივი და სხვადასხვაგვარი პროფესიული კავშირების არსებობისას, უფრო შეუპოვარი ხდება: უფრო იშვიათად წარმოებს გაფიცვები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ხოლმე თვითეული შეტაკება.

მეწარმეთა ლოკაუტები გამოწვეულია ბრძოლის გამწვავებით, და ლოკაუტებიც თავის მხრივ ამწვავებენ ამ ბრძოლას. პროლეტარიატი კი, რომელიც მჭიდროდ ირაზმება ბრძოლაში, ბრძოლით ავითარებს თავის შეგნებასაც, თავის ორგანიზაციასაც და თავის გამოცდილებასაც, სულ უფრო და უფრო მტკიცედ რწმუნდება, რომ აუცილებელია კაპიტალისტური საზოგადოების სრული ეკონომიური გარდაქმნა.

მარქსისტული ტაქტიკა მდგომარეობს ბრძოლის ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა გ ვ ა რ ხერხთა შეერთებაში, ერთიდან მეორეზე მოხერხებულად გადასვლაში, იმაში, რომ განუხრელად იქნას ამაღლებული მასების შეგნება და მათ კოლექტიურ მოქმედებათა სიფართოვე, რომელთაგან თვითეული ცალ-ცალკე ხან შეტევითია ხოლმე და ხან მოგერიებითი, ყველას ერთად კი მივყავართ უფრო და უფრო ღრმა და გადამწყვეტ კონფლიქტამდე.

რუსეთში არ არსებობს ძირითადი პირობა ბრძოლის ი ს ე თ ი განვითარებისათვის, როგორსაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ვხედავთ, — ბრძოლისა მტკიცე და სისტემატური განვითარების გზაზე მდგომი პროფესიული კავშირების მონაწილეობით.

საგაფიცვო მოძრაობა ჩვენში, ევროპისაგან განსხვავებით, სადაც უკვე დიდი ხანია არსებობს პოლიტიკური თავისუფლება, 1912 — 1914 წლებში ვიწრო-პროფესიულ ფარგლებს სცილდებოდა. ლიბერალები უ ა რ ყ ო ფ დ ნ ე ნ ამას, ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს (ლიკვიდატორებს) არ ესმოდათ ეს ანდა არ უნდოდათ ამის დანახვა. მაგრამ ფაქტის

უარყოფა შეუძლებელი გახდა. სახელმწიფო სათათბიროში მილიუკოვის მიერ ლენის ამბებით გამოწვეული შეკითხვის გამო წარმოთქმულ სიტყვაში მუშათა მოძრაობის ს ა ე რ თ ო მნიშვნელობის ამ ი ძ უ ლ ე ბ უ ლ მ ა ნაგვიანევმა, ნახევრულმა, პლატონურმა (ე. ი. რასაც საქმით დახმარება კი არ ახლდა თან, არამედ მხოლოდ ოხვრა) აღიარებამ გარკვეულად იჩინა თავი. ლიკვიდატორებმა თავიანთი ლიბერალური სიტყვებით «საგაფიცვო აზარტის» შესახებ, საგაფიცვო მოძრაობაში ეკონომიურ და სხვა მოტივთა შეერთების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ (გაგახსენებთ, რომ ბატონ ეჟოვისა და კომპ. ა მ გ ვ ა რ ი სიტყვები 1912 წლიდან დაიწყო!), მუშათა კანონიერი ზიზღი გამოიწვიეს. ამიტომ მუშებმა შეგნებულად და მტკიცედ გაატარეს მუშათა მოძრაობის «პოსტებიდან» ბბ. ლიკვიდატორების «მოხსნა».

საგაფიცვო მოძრაობისადმი მარქსისტების დამოკიდებულება არავითარ მერყეობასა და უკმაყოფილებას არ იწვევდა მუშებს შორის. ამასთან ლოკაუტების მნიშვნელობა ორგანიზებულმა მარქსისტებმა ჯ ე რ კ ი დ ე ვ 1913 წლის თ ე ბ ე რ ვ ა ლ შ ი შეაფასეს ფორმალურად და ოფიციალურად (მართალია, ისეთ ასპარეზზე, რომელსაც ლიბერალების მონები, ბბ. ლიკვიდატორები ვერ ხედავენ). ჯერ კიდევ 1913 წ. თებერვალში მარქსისტების ფორმალურმა გადაწყვეტილებამ გარკვეულად და ხმამაღლა მიუთითა ლოკაუტებზე და იმაზე, რომ აუცილებლად საჭიროა ტაქტიკაში **ანგარიში გაეწიოს** მათ[62]. როგორ გაეწიოს ანგარიში? ისე, რომ უფრო ყურადღებით განვიხილოთ ხოლმე ცალკეულ გამოსვლათა მიზანშეწონილობა, სახე ვუცვალოთ ბრძოლის ფორმებს, შევცვალოთ (სწორედ შეცვლაზე იყო ლაპარაკი!) ერთი ფორმები სხვა ფორმებით, ამასთან ფორმების ა მ ა ღ ლ ე ბ ა მუდმივ ტენდენციად უნდა დარჩეს. შეგნებულმა მუშებმა ძალიან კარგად იციან ამაღლების ზოგიერთი კონკრეტული ფორმაც, რაც არა ერთგზის ყოფილა ისტორიულად შემოწმებული და მხოლოდ ლიკვიდატორებისთვისაა «გაუგებარი», «უცხო».

21 მარტს, მაშინვე ლოკაუტის გამოცხადების შემდეგ, პრავდისტები თავიანთ ნათელ ლოზუნგს იძლევიან: გამოსვლათა დრო და ფორმები მეფაბრიკეთა ნება-სურვილისამებრ არ აირჩიონ, ახლავე არ გაიფიცონ. მუშათა კავშირებმა და ორგანიზებულმა მარქსისტებმა იცოდნენ, ისინი ხედავდნენ, რომ ეს ლოზუნგი მათი საკუთარი ლოზუნგია, გამომუშავებულია მოწინავე პროლეტარიატის იმავე უმრავლესობის მიერ, რომელმაც თავისი წარმომადგენლები გაიყვანა სადაზღვევო საბჭოში[63] და პეტერბურგის მუშების მთელ მუშაობას უძღვება წინაღმდეგ ლიკვიდატორების დეზორგანიზატორული და ლიბერალური მოთქმისა.

21 მარტის ლოზუნგი — მაშინვე არ გაფიცულიყენენ — მუშების ლოზუნგი იყო, რომლებმაც იცოდნენ, რომ ისინი მოახერხებენ ერთი ფორმის შეცვლას მეორე ფორმით, რომ ისინი ცდილობდნენ და კვლავაც შეეცდებიან — მოძრაობის ფორმათა ყოველგვარი ცვლილების გზით — ამ მოძრაობის დონის საერთოდ ამაღლებას.

მუშათა მოძრაობის დეზორგანიზატორები — ლიკვიდატორები და ნაროდნიკები — ამ შემთხვევაშიც რომ შეეცდებოდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ მუშათა საქმეში, ეს მუშებმა იცოდნენ და წინასწარვე ემზადებოდნენ ამისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

26 მარტს პეტერბურგისა და რუსეთის შეგნებულ მუშათა უმრავლესობის ნების დამარღვეველთა და დეზორგანიზატორთა როგორც ლიკვიდატორულმა, ისე ნაროდნიკულმა ჯგუფმა თავიანთ გაზეთებში მოათავსეს ამ ბანაკთათვის ჩვეულებრივი ბურჟუაზიული უგვანობანი: ნაროდნიკები (ლიკვიდატორთა გულის გასახარებლად) «ფუქსავატობაზე» ლაყბობდნენ (შეგნებულმა მუშებმა დიდი ხანია იციან, რომ ნაროდნიკებზე უფრო ფუქსავატი არავინ არის), ლიკვიდატორები ლიბერალურ ყაიდაზე ლაპარაკობდნენ (მათი ნალაპარაკევი უკვე «პუტ პრავდის» № 47-შია გარჩეული და დაგმობილი)

და ქადაგებდნენ გაფიცვების შეცვლას... არა შესაბამისი, არა უფრო მაღალი ფორმებით, არამედ... პეტიციებითა და «რეზოლუციებით»!!!

მოწინავე მუშები უკუაგდებდნენ ლიკვიდატორების სამარცხვინო-ლიბერალურ რჩევას, უკუაგდებდნენ ნაროდნიკების ფუქსავატურ ლაყბობას და მტკიცედ მიდიოდნენ თავიანთი გზით.

ძველი გადაწყვეტილება, რომ ლოკაუტის გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ შემთხვევებში გაფიცვები შეცვლილ უნდა იქნას ბრძოლის გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი, მათთვის შესაფერისი უფრო მაღალი ფორმებით, — მუშებმა მტკიცედ იცოდნენ და სწორადაც იყენებდნენ მას.

პროვოკაცია ლოკაუტელებს ვერ გაუვიდათ. მუშებმა არ მიიღეს ბრძოლა იქ, სადაც მას თავზე ახვევდნენ მუშებს მათი მტრები, მუშებმა დროზე გამოიყენეს ორგანიზებული მარქსისტების გადაწყვეტილება და, მეტი ენერგიით, უფრო თვალნათლივ, ხედავენ რა თავიანთი მოძრაობის მთელ მნიშვნელობას, განაგრძობენ ისინი ძველი გზით სვლას.

«პუტ პრავდი» № 54,
1914 წ. 4 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზიის შელამაზება მემარცხენე ნაროდნიკების მიერ

როგორც კი ბბ. მემარცხენე ნაროდნიკები ცარიელი, ზოგადი ფრაზებიდან «მშრომელ გლეხობაზე», იმ ფრაზებიდან, რაც ყველას მობეზრდა და რაც გვიჩვენებს როგორც «კომუნისტური მანიფესტის», ისე «კაპიტალის» არცოდნას, ზუსტ მოსაცემებზე გადადიან, იმწამსვე აშკარავდება ბურჟუაზიის მემარცხენე-ნაროდნიკული შელამაზება.

ბურჟუაზიული ხასიათი მთელი თეორიისა «მშრომელი გლეხობის» შესახებ იჩქმალება ფრაზებითა და წამოძახილებით, მხილდება ფაქტებით და მარქსის თეორიის შესწავლით.

აი «სტოიკაია მისლის» № 14-ში ვინმე ბ-ნი ბატრაკი [64], რომელიც წმინდა ინტელიგენტური ენით წერს, მსჯელობს «სოციალიზმისა და გლეხობის» შესახებ.

«იზრდება შრომითი მეურნეობანი» — აცხადებს ბ-ნი ბატრაკი და მოჰყავს საფრანგეთისა და გერმანიის სტატისტიკა. სტატისტიკა ისეთი რამაა, რომ ფრაზებითა და წამოძახილებით აქ ფონს ვერ გახვალ, და ტყუილი მყისვე მეღავნდება.

საფრანგეთში გაიზარდა «წვრილ მეურნეობათა» მიწის ფართობი, ე. ი. ისეთ მეურნეობათა, რომელთაც 5-დან 10-მდე ჰექტარი (ჰექტარი დესეტინაზე ცოტა ნაკლებია) მიწა აქვთო.

კეთილი და პატიოსანი, ბ-ნო ბატრაკო! მაგრამ განა არ გაგიგონია, რომ, რაც უფრო ინტენსიურია მიწათმოქმედება, მით უფრო ხშირად გვხვდება დაქირავებული შრო-

მ ა «წ ვ რ ი ლ» (მიწის რაოდენობის მხრივ) მეურნეობებში? განა ბურჟუაზიის შელამაზებას არ ნიშნავს დაქირავებული შრომის შესახებ მონაცემთა მიყრუება? ა, ბ-ნო ბატრაკო?

ვიღებთ გერმანიის ცნობებს. 5 — 10-ჰექტარიან 652 798 მეურნეობაზე 487 704 დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ა მოდის. როგორია? წვრილ მეპატრონეთა უმეტესი ნაწილი დაქირავებული მუშების ექსპლოატაციას ეწევა! საფრანგეთში კი? საფრანგეთში გაცილებით უფრო, ვიდრე გერმანიაში, გავრცელებულია ვენახის დამუშავება, რაც დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ შ რ ო მ ა ს მოითხოვს მიწის წვრილ ნაკვეთებზე.

«შრომითი მეურნეობის» თეორია არის თეორია მუშების მოტყუებისა დაქირავებული შრომის შესახებ მონაცემთა მიყრუების საშუალებით.

ბ-ნი ბატრაკი გერმანიას იღებს. «შრომით» მეურნეობებად «წვრილი და საშუალო» მეურნეობანი უნდა მივიჩნიოთო (ენას ძვალი არა აქვს და «მშრომელი» მეურნე, ვისაც გნებავთ, იმას შეგიძლიათ უწოდოთ!). და აი, ბ-ნ ბატრაკს «შრომით მეურნეობათა» ზრდა გამოჰყავს «წვრილ» და «საშუალო» მეურნეობათა ზრდიდან.

აბა ერთი შეხედეთ ბურჟუაზიის ამ ახალი დამცველის მონაცემებს.

იგი იწყებს 2 ჰ ე ქ ტ ა რ ა მ დ ე მიწის მქონე მეურნეობებით. მათი რიცხვი 1882 წელს — 58,03% იყო; 1895 წელს — 58,22%; 1907 წელს — 58,89%. ეს ხომ ზრდაა, არა?

ხოლო იმის შესახებ, რომ ეს არის დაქირავებული მუშების რიცხვის ზრდა, ჩვენს «მემარცხენე ნაროდნიკს» **კრინტიც არ დაუძრავს!!!**

სტატისტიკა, რომელსაც ის ამახინჯებს, გარკვეულად ამბობს: 2 ჰექტარამდე მქონე 3 378 509 მეურნეობიდან (1907 წ.) მ ხ ო ლ ო დ 474 915, ე. ი. 1/10-ზე (ერთ მეათედზე) ცოტა მეტი, წარმოადგენს დამოუკიდებელ მიწათმოქმედთ თავისი მთავარი პროფესიით. უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა კ ი დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი ა (1 822 792).

3 378 509 მეურნეობიდან — 2 920 119, ე. ი. დიდი უმრავლესობა, **დამხმარე** მეურნეობებია, შემოსავლის მთავარ წყაროს კი აქ მიწათმოქმედება **რ ო ́ დ ი** შეადგენს.

საკითხავია, განა ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის შელამაზება არ არის ის, რომ «შრომით მეურნეობებად» **მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ე ბ ს ა** და **დ ღ ი უ რ**, დაქირავებულ **მ უ შ ე ბ ს** ასაღებენ?!

განა სულელური სიტყვა «მშრომელი მეურნე» იმისათვის არ არის აქ ჩაკერებული, რომ **მ ი ჩ ქ მ ა ლ ო ნ** პროლეტარიატსა (დაქირავებულ მუშებსა) და ბურჟუაზიას შორის არსებული უფსკრული?? განა ეს სიტყვა ბურჟუაზიული თეორიების შემოპარებას არ ემსახურება??

შემდეგ. 2-დან 5-მდე ჰექტარის მქონე მეურნეობანი. მათი რიცხვი 1882 წელს — 18,60%; 1895 წელს — 18,29% და 1907 წელს — 17,57%. ასე წერს ბ-ნი ბატრაკი.

დასკვნა კი? დასკვნის შესახებ იგი **ს დ უ მ ს**.

ხოლო დასკვნა ასეთია: **შემცირება**, და არა ზრდა. და **სწორედ** ამ მეურნეობათა შორის, მხოლოდ მათ შორის, არაა სრული სიჭარბე **დ ა მ ქ ი რ ა ვ ე ბ ლ ე ბ ი ს ა** (კერძო შრომის მყიდველებისა) და **დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა**. დამქირავებელია 411 311 (დაქირავებული მუშების რიცხვის **მიხედვით**); დაქირავებული — 104 251 (ეს ჯერ კიდევ არ არის დაქირავებულთა მთელი რიცხვი, სტატისტიკა აქ სრული არაა). შეაჯამეთ — და გამოვა 515 ათასი, სულ კი ასეთი გლეხების 1 006 277 მეურნეობაა, მაშასადამე, აქაც კი ნახევარზე მეტი ან ქირავდება — ანდა ქირაობს!!

ლამაზი სიტყვა: «შრომითი მეურნეობა» — იმისთვისაა გამოყენებული, რომ მოატყუონ მუშები **სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის** შესახებ მონაცემთა **მ ი ფ უ ჩ ე ჩ ე ბ ი თ**.

შემდეგ ბ-ნი ბატრაკი იღებს 5-დან 20-მდე ჰექტარის მქონე მეურნეობებს და აღნიშნავს, ისინი იზრდებიანო.

ხოლო დაქირავებული შრომა? სიტყვაც, კრინტიც არაა დაძრული ამაზე. «შრომითი მეურნეობის» თეორეტიკოსები

დაქირავებული შრომის შესახებ მონაცემთა მისაფუჩეჩებლად არიან ბურჟუაზიის მიერ მოვლენილნი.

მივმართავთ ამ მონაცემებს. 5 — 10-ჰექტარიან 652 798 მეურნეობაზე (1907 წ.) 487 704 დაქირავებული მუშა მოდის, მაშასადამე, ნახევარზე მეტი — დაქირავებული შრომის ექსპლოატატორია.

10 — 20-ჰექტარიან 412 741 მეურნეობაში 711 867 დაქირავებული მუშაა, **ე. ი. ყველა ან თითქმის ყველა — დაქირავებული შრომის ექსპლოატატორია.**

რა ვუწოდოთ იმ ადამიანს, რომელიც «სოციალისტად» ასაღებს თავს, თვითონ კი «მშრომელ მეურნეებს» მიაკუთვნებს დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ი ს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ტ ო რ ე ბ ს?

მემარცხენე ნაროდნიკები, როგორც მარქსისტებს არა ერთხელ განუმარტავთ, წვრილი ბურჟუები არიან, რომლებიც ალამაზებენ ბურჟუაზიას და ჩქმალავენ მის მიერ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას.

მემარცხენე ნაროდნიკებისა და განსაკუთრებით ბ-ნ ბატრაკის ბურჟუაზიულ თეორიებს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. ჯერჯერობით კი მოკლედ შევაჯამოთ.

«შრომითი მეურნეობის» თეორია არის მუშების ბურჟუაზიული მოტყუება, რაც, სხვათა შორის, დაფუძნებულია სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის მონაცემთა მ ი ფ უ ჩ ე ჩ ე ბ ა ზ ე.

ნამდვილად იმ «წვრილ და საშუალო» გლეხთა შორის, რომლებზედაც ბბ. მემარცხენე ნაროდნიკებს ხელაღებით უყვართ მითითება, უდიდესი უმრავლესობა ან ყიდის ანდა ყიდულობს სამუშაო ძალას, ან ქირავდება ანდა ქირაობს. **საქმის სწორედ ამ დედაარსს** ჩქმალავს «შრომითი მეურნეობის» ბურჟუაზიული თეორია.

პროლეტარი ეუბნება წვრილ გლეხს: შენ თვითონ ხარ ნახევრად-**პროლეტარი**; გ ა ჰ ყ ე ვ ი მუშებს, სხვაფრივ შენთვის ხსნა არ არის.

ბურჟუა ეუბნება წვრილ გლეხს: შენ თვითონ ხარ მეპატრონე, «მშრომელი მეურნე». შრომითი მეურნეობა კაპიტალიზმის დროსაც «იზრდება». შენ სწორედ მეპატრონე ხარ, და არა პროლეტარი.

ორგვარი სულისკვეთებაა წვრილ მეპატრონეში: პროლეტარული და «მეპატრონული».

მემარცხენე ნაროდნიკები ს ა ქ მ ი თ იმეორებენ ბურჟუაზიის მოძღვრებას, როდესაც «მეპატრონული» ილუზიებით რ ყ ვ ნ ი ა ნ წვრილ გლეხებს. აი რატომ ეწევიან მარქსისტები გადამჭრელ ბრძოლას მემარცხენე ნაროდნიკების მიერ წვრილი გლეხების (და ჩამორჩენილი მუშების) ამ ბურჟუაზიულ გარყვნასთან.

«პუტ პრავდი» № 56,
1914 წ. 6 აპრილი

ბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის[65]

მე მინდა შევჩერდე ჩვენი მთავრობის პოლიტიკაზე ნაციონალური საკითხის დარგში. იმ საკითხებს შორის, რომლებიც ჩვენში შინაგან საქმეთა სამინისტროს «გამგებლობაშია», ეს საკითხი ერთი მეტად მნიშვნელოვანთაგანია. იმ დროიდან, რაც სახელმწიფო სათათბირომ უკანასკნელად განიხილა ამ სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა, ნაციონალურ საკითხს რუსეთში ჩვენი მბრძანებელი კლასები დღის წესრიგში აყენებენ, და ეს საკითხი უფრო და უფრო მწვავდება.

ბეილისის საქმემ კვლავ და კვლავ რუსეთზე მიაპყრობინა ყურადღება მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს, გამოააშკარავა ჩვენში გამეფებული სამარცხვინო წესები. რუსეთში კანონიერების მსგავსების ნატამალიც კი არ არის. ყველაფრის ნება აქვს ადმინისტრაციასა და პოლიციას ებრაელების თავაშვებულად და უტიფრად დევნისათვის — ყველაფრის ნება აქვს, თვით ბოროტმოქმედების დაფარვამდე და ჩაფარცხვამდე. სწორედ ასეთი იყო შედეგი ბეილისის საქმისა, რამაც ცხადყო უაღრესად მჭიდრო და ინტიმური კავშირი *...

იმის ნათელსაყოფად, რომ მე არ ვაზვიადებ, როდესაც იმ რბევითს ატმოსფეროზე ვლაპარაკობ, რითაც რუსეთი სუნთქავს, შეგვიძლია დავიმოწმოთ ყველაზე უფრო «კეთილსაიმედო», ყველაზე უფრო კონსერვატიული, «მინისტრების მკეთებელი», მწერალი, სახელდობრ, თავადი მეშჩერსკი. აი მის

* ხელნაწერის შემდეგი გვერდი დაკარგულია. რ ე დ.

მიერ თავის ჟურნალ «გრაჟდანინში» [66] მოყვანილი «კიეველი რუსი ადამიანის» აზრი:

«ჩვენი ცხოვრების ატმოსფერო გვახრჩობს ჩვენ: სადაც კი წახვალ, ყველგან შეთქმულების ჩურჩულია, ყველგან სისხლის წყურვილის სუნი სდის, ყველგან დასმენათა სიმყრალეა, ყველგან სიძულვილია, ყველგან დრტვინვაა, ყველგან კვნესაა» *...

ის პოლიტიკური ჰაერი, რომლითაც რუსეთი სუნთქავს. ასეთ ატმოსფეროში უფლებაზე, კანონიერებაზე, კონსტიტუციაზე და სხვა ამგვარ ლიბერალურ გულუბრყვილო რამეებზე ლაპარაკი ან ფიქრი პირდაპირ სასაცილოა; — უკეთ: სასაცილო იქნებოდა, ეს რომ... სერიოზული არ იყოს!

ამ ატმოსფეროს ყოველდღე გრძნობს ჩვენს ქვეყანაში თვითეული რამდენადმე მაინც შეგნებული და გულისხმიერი ადამიანი. მაგრამ ყველას როდი აქვს იმის საკმარისი გამბედაობა, რომ ნათლად გაერკვნენ ამ რბევითი ატმოსფეროს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა შ ი. რატომ არის გამეფებული ჩვენში ასეთი ატმოსფერო? რატომ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მეფობდეს იგი? მხოლოდ იმიტომ, რომ ნამდვილად ქვეყანა ცუდად დაფარული ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ი ს მდგომარეობას განიცდის. ზოგ ვინმესთვის ძალიან არასასიამოვნოა ამ ჭეშმარიტების აღიარება, ზოგ ვინმეს სურს საბურველი გადააფაროს ამ მოვლენას. ჩვენი ლიბერალები, პროგრესისტებიც და კადეტებიც, განსაკუთრებული ხალისით კერავენ ამგვარ საბურველს თითქმის სავსებით «კონსტიტუციურ» თეორიათა ნაჭრებისაგან. მაგრამ ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვიფიქრო, რომ არა არის რა სახალხო წარმომადგენლებისათვის იმაზე უფრო მავნე, იმაზე უფრო დანაშაულებრივი რამ, ვიდრე სახ. სათათბიროს ტრიბუნიდან «ჩვენი ამამაღლებელი ტყუილის» გავრცელება.

მთავრობის მთელი პოლიტიკა ებრაელებისა და სხვა — მაპატიეთ «მთავრობისებური» გამოთქმისათვის — «უცხოტომელების» მიმართ მყისვე გასაგები, ბუნებრივი, გარდუვალი გახდება, თუ სიმართლეს პირდაპირ შევხედავთ და იმ

* ხელნაწერის შემდეგი გვერდი დაკარგულია. რ ე დ.

უეჭველ ფაქტს ვაღიარებთ, რომ ჩვენი ქვეყანა ცუდად დაფარული სამოქალაქო ომის მდგომარეობას განიცდის. მთავრობა კი არ განაგებს, არამედ ომობს.

თუ ომისათვის იგი «ჭეშმარიტ-რუსულ», რბევითს საშუალებებს ირჩევს, ეს იმიტომ, რომ ს ხ ვ ა საშუალება მ ი ს ხ ე ლ თ ა რ ა რ ი ს. ყოველი ადამიანი ისე იცავს თავს, როგორც შეუძლია. პურიშკევიჩსა და მის მეგობრებს სხვაგვარად არ შეუძლიათ დაიცვან თავი, თუ არ «რბევის» პოლიტიკით, ვინაიდან სხვა პოლიტიკა მ ა თ ს ხელთ არ არის. ზედმეტია აქ ოხვრა, უაზრობაა აქ კონსტიტუციასა ან სამართალზე ანდა მმართველობის სისტემაზე სიტყვებით თავის დაძვრენა, — საქმე აქ მხოლოდ პურიშკევიჩისა და კომპანიის კ ლ ა ს ი ს ინტერესებშია, ამ კლასის მძიმე მდგომარეობაშია.

ან გადაჭრით და არა მარტო სიტყვით «გავუსწორდეთ» ამ კლასს, ანდა ვცნოთ რუსეთის მთელ პოლიტიკაში «რბევითი» ატმოსფეროს გარდუვალობა და მოუცილებლობა. ან შევურიგდეთ ამ პოლიტიკას, ანდა მხარი დავუჭიროთ მის წინააღმდეგ ხალხურ, მასობრივ და უწინარეს ყოვლისა პროლეტარულ მოძრაობას. ან — ან. საშუალო რამ აქ შეუძლებელია.

რუსეთში მთავრობის, ე. ი. აშკარად გადამეტებული და «მთავრობის მიზანთა» შესაბამისად გაყალბებული, სტატისტიკის მიხედვითაც კი ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში ველიკოროსები მხოლოდ 43% ითვლება. ველიკოროსები რუსეთში მოსახლეობის ნახევარზე ნ ა კ ლ ე ბ ს შეადგენენ. მალოროსები ანუ უკრაინელებიც კი ჩვენში ოფიციალურად, «თ ვ ი თ» სტოლიპინის პირით, «უ ც ხ ო ტ ო მ ე ლ ე ბ ს» მიაკუთვნეს. მაშასადამე, «უცხოტომელნი» რუსეთის მოსახლეობის 57%-ს შეადგენენ, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობას, თითქმის $^3/_5$-ს, ნამდვილად კი, ალბათ, სამ მეხუთედზე მეტსაც. სახ. სათათბიროში მე ამორჩეული ვარ ეკატერინოსლავის გუბერნიიდან, სადაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა უკრაინელებისაგან შესდგება. შევჩენკოს საპატივცემლო ზეიმის აკრძალვა ისეთი ჩინებული, საუცხოო, უაღრესად სა-

ბედნიერო და მარჯვე ზომა იყო მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის თვალსაზრისით, რომ უკეთესი აგიტაციის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. მე მგონია, მთავრობის წინააღმდეგ მოქმედი ყველა ჩვენი საუკეთესო სოციალ-დემოკრატი აგიტატორები ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ასე მოკლე ხანში ისეთ თავბრუდამხვევ წარმატებებს, როგორსაც ამ ზომამ მიაღწია მთავრობის საწინააღმდეგო აზრით. ამ ღონისძიების შემდეგ მილიონობით «ობივატელები» უკვე შეგნებული მოქალაქეები ხდებიან და რწმუნდებიან იმ გამონათქვამის სისწორეში, რომ რუსეთი «ხალხთა საპყრობილეა».

ჩვენი მემარჯვენე პარტიები და ჩვენი ნაციონალისტები ისე გულმოდგინედ ყვირიან ახლა «მაზეპელების» წინააღმდეგ, ჩვენი სახელგანთქმული ბობრინსკი დემოკრატის ისეთი ჩინებული თავდადებით იცავს უკრაინელებს ავსტრიის მთავრობის მხრივ ჩაგვრისაგან, — თითქოს ბობრინსკის ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში უნდოდეს ჩაწერა. მაგრამ თუ «მაზეპელობას» ავსტრიისაკენ ლტოლვას და მისი პოლიტიკური წესწყობისათვის უპირატესობის მინიჭებას უწოდებენ, მაშინ, შესაძლოა, ბობრინსკი არც თუ უკანასკნელი «მაზეპელთაგანი» აღმოჩნდეს: ვინაიდან ბობრინსკი ავსტრიის უკრაინელთა შევიწროების გამო ჩივის და ხმაურობს!! ერთი ჩაუფიქრდით, რას იტყვიან ამის წაკითხვის ან მოსმენის შემდეგ რუსეთის უკრაინელები, თუნდაც მცხოვრებნი ეკატერინოსლავის გუბერნიისა, რომლის წარმომადგენელიც მე ვარ! თუ «თვით» ბობრინსკის, თუ ნაციონალისტ ბობრინსკის, თუ გრაფ ბობრინსკის, თუ მემამულე ბობრინსკის, თუ მექარხნე ბობრინსკის, თუ უმაღლეს წარჩინებულებთან (თითქმის «სფეროებთან») ნაცნობობის მქონე ბობრინსკის უსამართლო და ჩაგრულ მდგომარეობად მიაჩნია უცხოეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობა ავსტრიაში, სადაც არაფერი მსგავსიც არაა არც ებრაელთა ბინადრობის სამარცხვინო ფარგლისა, არც თვითნება გუბერნატორების კაპრიზით ებრაელების საზიზღარი გაძევებისა, არც სკოლებიდან დედაენის განდევნისა, — მაშინ რაღა ითქმის რუსეთის უკრაინე-

ლებზე?? რაღა ითქმის რუსეთის დანარჩენ «უცხოტომელებზე»??

ნუთუ ბობრინსკი და სხვა ნაციონალისტები, აგრეთვე მემარჯვენენეებიც, ვერ ამჩნევენ, რომ რუსეთის «უცხოტომელებს», ესე იგი რუსეთის მოსახლეობის 3/5-ს, ისინი უღვივებენ იმის შეგნებას, რომ რუსეთი ჩ ა მ ო რ ჩ ე ნ ი ლ ი ა ევროპის თ ვ ი თ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანასთან, ავსტრიასთან შედარებითაც კი??

მთელი საქმე ის არის, რომ მდგომარეობა რუსეთისა, რომელსაც პურიშკევიჩები მართავენ ან, უფრო სწორად: რომელიც პურიშკევიჩთა ჩექმის ქუსლქვეშ გმინავს, ისეთი ორიგინალურია, რომ ნაციონალისტ ბობრინსკის სიტყვები ჩინებულად ნათელყოფენ და აღვივებენ სოციალ-დემოკრატიულ აგიტაციას.

ეცადეთ, ეცადეთ, ბრწყინვალე მექარხნე და მემამულე ბობრინსკი: უეჭველია, თქვენ დაგვეხმარებით — გამოვაფხიზლოთ, გავანათლოთ და შევანჯღრიოთ უკრაინელები, ავსტრიისაც და რუსეთისაც!! ეკატერინოსლავში რამდენიმე უკრაინელისაგან გავიგონე, რომ მათ უნდათ სამადლობელი ადრესი გაუგზავნონ გრაფ ბობრინსკის მისი წარმატებითი პროპაგანდისათვის რუსეთისაგან უკრაინის გამოყოფის სასარგებლოდ. და მე არც გამკვირვებია, როდესაც ეს გავიგონე. მე მინახავს სააგიტაციო ფურცლები, რომელთა ცალ მხარეზე მოყვანილი იყო ბრძანებულება შევჩენკოს საპატივცემლო ზეიმის აკრძალვის შესახებ, ხოლო მეორეზე — ციტატები ბობრინსკის მჭევრმეტყველური სიტყვებიდან უკრაინელთა ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ... მე ვურჩიე — გაეგზავნათ ეს ფურცლები ბობრინსკისა, პურიშკევიჩისა და დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი მინისტრებისათვის.

მაგრამ, თუ პურიშკევიჩი და ბობრინსკი რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის სასარგებლოდ მოუბარი პირველხარისხოვანი აგიტატორები არიან, სამაგიეროდ ჩვენს ლიბერალებს და მათ შორის კადეტებსაც სურთ დაუმალონ მოსახლეობას თ ა ვ ი ა ნ თ ი თ ა ნ ხ მ ო ბ ა პურიშკევი-

ჩებთან ნაციონალური პოლიტიკის ზოგიერთ ძირითად საკითხში. როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაზე ვლაპარაკობ, იმ სამინისტროსი, რომელიც ყველასათვის ცნობილ ნაციონალურ პოლიტიკას ატარებს, მე ვერ შევასრულებ ჩემს ვალს, თუ არ შეეხე კ.-დ. პარტიის ამ თანხმობას შინაგან საქმეთა სამინისტროს პრინციპებთან.

მართლაცდა, განა ცხადი არ არის, რომ ვისაც სურს --- ვიტყვით რბილად: --- «ოპოზიციაში» უდგეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ის უნდა იცნობდეს ამ სამინისტროს იდეურ მოკავშირეებსაც კადეტთა ბანაკიდან.

გაზეთ «რეჩის» ცნობით, ს.-პეტერბურგში მიმდინარე წლის 23 — 25 მარტს შესდგა კ.-დ. პარტიის ანუ «სახალხო თავისუფლების პარტიის» მორიგი კონფერენცია.

«ნაციონალური საკითხების განხილვაც... — წერს «რეჩი» (№ 83) — განსაკუთრებით ცხოვლად მიმდინარეობდა. კიეველი დეპუტატები, რომელთაც ნ. ვ. ნეკრასოვი და ა. მ. კოლიუბაკინი მიემხრნენ, აღნიშნავდნენ, რომ ნაციონალური საკითხი არის მომწიფების პროცესში მყოფი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც უფრო გადაჭრით უნდა გაეწიოს ანგარიში, ვიდრე ეს წინათ ხდებოდაო. თუმცა ფ. ფ. კოკოშკინმა აღნიშნა, პროგრამაც და წინა დროის პოლიტიკური გამოცდილებაც მოითხოვს — მეტად ფრთხილად მოვეპყროთ «ეროვნებათა» პოლიტიკური თვითგამორკვევის «განვრცობად ფორმულებსო»».

ასე გადმოგვცემს «რეჩი» საქმის ვითარებას. და თუმცა ეს გადმოცემა განზრახ ისეა შედგენილი, რომ რაც შეიძლება ნაკლებმა მკითხველმა გაიგოს საქმის დედაარსი, მაგრამ ეს დედაარსი მაინც ნათელია ყოველი დაკვირვებული და მოაზროვნე ადამიანისათვის. «კიევსკაია მისლ», რომელიც კადეტებს თანაუგრძნობს და მათი შეხედულებების გამტარებელია, კოკოშკინის სიტყვას ასეთი მოტივაციის დამატებით გადმოგვცემს: «ვინაიდან ამას შეუძლია სახელმწიფოს დაშლა გამოიწვიოსო».

კოკოშკინის სიტყვის აზრი, უეჭველია, ასეთი იყო. კოკოშკინის თვალსაზრისმა კადეტებს შორის ნეკრასოვებისა და კოლიუბაკინების უაღრესად გაუბედავ დემოკრატიზმზედაც კი გაიმარჯვა. კოკოშკინის თვალსაზრისი არის თვალსაზრისი ვ ე ლ ი კ ო რ ო ს ი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ნაციონალისტისა, რომელიც ვ ე ლ ი კ ო რ ო ს თ ა პრივილეგიებს იცავს (თუმცა ისინი უმცირესობას შეადგენენ რუსეთში), იცავს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ხ ე ლ ი ხ ე ლ ჩ ა კ ი დ ე ბ უ ლ ი. კოკოშკინი «თეორიულად» იცავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკას, — აი რა არის საქმის დედაარსი, აი რა არის მისი ძირფესვი.

«ფრთხილად მოეპყარით» ერთა «პოლიტიკურ თვითგამორკვევას»! ვაი თუ ამან «სახელმწიფოს დაშლა გამოიწვიოსო»! — აი კოკოშკინის ნაციონალური პოლიტიკის შ ი ნ ა ა რ ს ი, რაც ს ა ვ ს ე ბ ი თ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკის ძირითად ხაზს. მაგრამ კოკოშკინი და კადეტების დანარჩენი ბელადები ბავშვები როდი არიან. მათ ჩინებულად იციან გამონათქვამი: «ადამიანი კი არაა შაბათისათვის, არამედ შაბათია ადამიანისათვის». ხალხი კი არაა სახელმწიფოსათვის, არამედ სახელმწიფოა ხალხისათვის. კოკოშკინი და კადეტების სხვა ბელადები ბავშვები როდი არიან. მათ ჩინებულად ესმით, რომ ჩვენში სახელმწიფო (საქმით) პურიშკევიჩთა კლასია. სახელმწიფოს მთლიანობა პურიშკევიჩთა კლასის მთლიანობაცაა. აი რაზე ზრუნავენ კოკოშკინები, თუ პირდაპირ შევხედავთ მათი პოლიტიკის დ ე დ ა ა რ ს ს, თუ მოვაცილებთ მას დიპლომატიურ საფარველს.

ამის თვალსაჩინოდ განსამარტავად ნებას მივცემ ჩემ თავს მარტივი მაგალითი მოვიყვანო. ცნობილია, რომ 1905 წელს ნორვეგია გამოეყო შვეციას, მიუხედავად შვეციელ მემამულეთა ცხარე პროტესტებისა და მათი მუქარისა — ომს გავაჩაღებთო. საბედნიეროდ, მებატონენი შვეციაში არ არიან ისე ყოვლადძლიერნი, როგორც რუსეთში, და ომი ვერ მოხერხდა. მოსახლეობის უმცირესობის მყოლი ნორვეგია მშვი-

დობიანად გამოეყო შვეციას, დემოკრატიულად, კულტურულად, და არა ისე, როგორც მეგატონეებსა და სამხედრო პარტიას ეპრიანებოდათ. მერე რა? ასეთი გამოყოფით განა წააგო ხალხმა? წააგო კულტურის ინტერესებმა? ანდა დემოკრატიის ინტერესებმა? მუშათა კლასის ინტერესებმა??

სრულიადაც არა! ნორვეგიაც და შვეციაც რუსეთზე შეუდარებლად უფრო კულტურული ქვეყნების რიცხვს, სხვათა შორის, სწორედ იმიტომ ეკუთვნიან, რომ მათ შესძლეს დემოკრატიულად გამოეყენებინათ ერთა «პოლიტიკური თვითგამორკვევის» ფორმულა. ძალდატანებითი კავშირის გაწყვეტა მოასწავებდა ნებაყოფლობითი ეკონომიური კავშირის გაძლიერებას, კულტურული სიახლოვის გაძლიერებას, ურთიერთპატივისცემის გაძლიერებას ამ ორს, ენისა და სხვათა მხრივ ერთმანეთისადმი ესოდენ მახლობელ, ხალხს შორის. შვეციელი და ნორვეგიელი ხალხის ერთობამ, დაახლოების საქმემ ნამდვილად მოიგო ამ გამოყოფით, ვინაიდან გამოყოფა ძალდატანებითი კავშირის გაწყვეტა იყო.

ამ მაგალითიდან, ვიმედოვნებ, ნათლად ჩანს, რომ კოკოშკინი და კ.-დ. პარტია სავსებით შინაგან საქმეთა სამინისტროს თვალსაზრისს ადგანან, როდესაც «სახელმწიფოს დაშლით» გვაშინებენ და მოგვიწოდებენ — «ფრთხილად მოვეპყროთ» ეროვნებათა «პოლიტიკური თვითგამორკვევის» სრულიად ნათელ და მთელი საერთაშორისო დემოკრატიისათვის უცილობელ ფორმულას. ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, მტრები ვართ ყოველგვარი ნაციონალიზმისა და მომხრენი დემოკრატიული ცენტრალიზმისა. ჩვენ ვეწინააღმდეგებით პარტიკულარიზმს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დანარჩენი თანაბარი პირობებისას დიდ სახელმწიფოებს გაცილებით უფრო წარმატებით, ვიდრე წვრილთ, შეუძლიათ გადაწყვიტონ ეკონომიური პროგრესის ამოცანები და ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის ბრძოლის ამოცანები. მაგრამ კავშირს ჩვენ მხოლოდ ნებაყოფლობითს ვაფასებთ, ძალდატანებითს კი — არასოდეს. ყველგან, სადაც

კი ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი თ ს კავშირს ვხედავთ ერებს შორის, ჩვენ, თუმცა სრულიადაც არ ვქადაგებთ თვითეული ერის აუცილებლად გამოყოფას, მაინც უ ე ჭ ვ ე ლ ა დ და გადაჭრით ვიცავთ თვითეული ერის **უფლებას** — პოლიტიკურად თვითგამოერკვეს, ე. ი. გამოიყოს.

ასეთი უ ფ ლ ე ბ ი ს დაცვა, ქადაგება, აღიარება ნიშნავს ერთა თანასწორუფლებიანობის დაცვას, ნიშნავს ძ ა ლ დ ა ტ ა ნ ე ბ ი თ ი კავშირის არცნობას, ნიშნავს რომელიც უნდა იყოს ერის ყოველგვარ სახელმწიფოებრივ პრივილეგიათა წინააღმდეგ ბრძოლას, ნიშნავს, მაშასადამე, სხვადასხვა ერის მუშებში სრული კლასობრივი სოლიდარობის აღზრდასაც.

სხვადასხვა ერის მუშების კლასობრივ სოლიდარობას ხელს უწყობს ძალდატანებითი, ფეოდალური, სამხედრო კავშირის შეცვლა ნებაყოფლობითი კავშირით.

ერთა თანასწორუფლებიანობას ჩვენ ყველაზე უფრო ხალხის თავისუფლებაში და სოციალიზმისათვის ვაფასებთ *...

და ველიკოროსთა პრივილეგიების დაცვისა. ჩვენ კი ვამბობთ: არავითარი პრივილეგია ა რ ც ე რ თ ერს, ერების სრული თანასწორუფლებიანობა და ყ ვ ე ლ ა ე რ ი ს მუშების მჭიდროდ შეკავშირება, შედუღება.

ამ თვრამეტი წლის წინათ, 1896 წელს, მუშებისა და სოციალისტური ორგანიზაციების ლონდონის საერთაშორისო კონგრესმა გადაწყვეტილება მიიღო ნაციონალურ საკითხზე, და ეს გადაწყვეტილება ერთადერთი გვიჩვენებს სწორ გზებს ნამდვილი «ხალხის თავისუფლებისადმი» მისწრაფებისთვისაც და სოციალიზმისთვისაც. ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

«კონგრესი აცხადებს, რომ ის გამოდის ყველა ერის თვითგამორკვევის სრული უფლების მომხრედ და თანაუგრძნობს მუშებს ყოველი ქვეყნისას, რომელიც ამჟამად სამხედრო, ეროვნული თუ რაიმე სხვა დესპოტიზმის უღელქვეშ იტანჯება. კონგრესი მოუწოდებს ყველა ამ ქვეყნის მუშებს — ჩადგნენ მთელი მსოფლიოს შეგნებული მუშების რიგებში,

* ხელნაწერის შემდეგი ორი გვერდი დაკარგულია. რ ე დ.

რათა მათთან ერთად იბრძოლონ საერთაშორისო კაპიტალიზმის დასაძლევად და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მიზნების განსახორციელებლად».

რუსეთის ყველა ერთა მუშების რიგების ერთიანობისაკენ მოვუწოდებთ ჩვენც, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ერთიანობას ძალუძს მოგვცეს ერების თანასწორუფლებიანობის, ხალხის თავისუფლებისა და სოციალიზმის ინტერესების გარანტიები.

ცხრაას ხუთმა წელმა გააერთიანა რუსეთის ყველა ერის მუშები. რეაქცია ეროვნული შუღლის გაღვივებას ცდილობს. ყ ვ ე ლ ა ერის ლიბერალური ბურჟუაზია, ხოლო ველიკოროსული უწინარეს ყოვლისა და უმეტეს ყოვლისა, თ ა ვ ი ს ი ერის პრივილეგიებისათვის იბრძვის (მაგალითი: პოლონეთის კოლო წინააღმდეგია პოლონეთში ებრაელთა თანასწორუფლებიანობისა), — იბრძვის ეროვნული განკერძოებულობისათვის, ეროვნული განსაკუთრებულობისათვის და მით ე ხ მ ა რ ე ბ ა ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკას.

ხოლო ჭეშმარიტ დემოკრატიას, მუშათა კლასის მეთაურობით, აღმართული აქვს დროშა ერების სრული თანასწორუფლებიანობისა და თავიანთ კლასობრივ ბრძოლაში ყველა ერის მუშების შეერთებისა. ამ თვალსაზრისით ჩვენ უარვყოფთ ეგრეთწოდ. «კულტურულ-ნაციონალურ» ავტონომიას, ესე იგი ერთ სახელმწიფოში სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დანაწილებას ანუ სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფას და ცალკე მოწყობილი ეროვნული კავშირებისათვის მის გადაცემას. დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ცნობდეს სხვადასხვა ოლქთა ავტონომიას, განსაკუთრებით ისეთი ოლქებისა და მხარეებისას, სადაც მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შერეულია. ასეთი ავტონომია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ცენტრალიზმს; პირიქით, დიდსა და ეროვნული შემადგენლობის მხრივ აჭრელებულ სახელმწიფოში მხოლოდ ოლქების ავტონომიით შ ე ი ძ ლ ე ბ ა განხორციელდეს ნამდვილი დემოკრატიული ცენტრალიზმი. დემოკრატიულმა სახელმწიფომ უთუოდ უნდა სცნოს სხვადასხვა ენების ს რ უ ლ ი თ ა ვ ი ს-

უ ფ ლ ე ბ ა და უკუაგდოს ერთ-ერთი რომელიმე ენის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი პრივილეგია. დემოკრატიული სახელმწიფო არც ერთ ოლქში, საზოგადოებრივ საქმეთა არც ერთ დარგში არ დაუშვებს თუნდაც ერთი ეროვნების დათრგუნვას, დაჯაბვნას მეორე ეროვნების მიერ.

მაგრამ სახელმწიფოს ხელიდან სასკოლო საქმის გამოცლა და მისი ცალკე ეროვნულ კავშირებად ჩამოყალიბებული ერების მიხედვით დაყოფა, ეს არის მავნე ღონისძიება დემოკრატიის თვალსაზრისითაც და უფრო მეტად — პროლეტარიატის თვალსაზრისითაც. ეს მხოლოდ ერების განკერძოებულობის განმტკიცებას გამოიწვევდა; ჩვენ კი მათი დაახლოებისაკენ უნდა ვისწრაფოდეთ. ეს შოვინიზმის ზრდას გამოიწვევდა, ჩვენ კი უნდა მივდიოდეთ ყველა ერის მუშების უმჭიდროესი კავშირისაკენ, მათი საერთო ბრძოლისაკენ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შოვინიზმის წინააღმდეგ, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ეროვნული განსაკუთრებულობის წინააღმდეგ, ყ ო ვ ე ლ-გ ვ ა რ ი ნაციონალიზმის წინააღმდეგ. სასკოლო პოლიტიკა ყველა ერის მუშებს ერთი აქვთ: ესაა დედაენის თავისუფლება, დემოკრატიული და **საერო** სკოლა.

დასასრულ ერთხელ კიდევ მადლობა უნდა გამოვუცხადო პურიშკევიჩს, მარკოვ მე-2-სა და ბობრინსკის მათი წარმატებითი აგიტაციისათვის რუსეთის მთელი სახელმწიფო წყობილების წინააღმდეგ, მ ა თ ი თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო გ ა კ ვ ე თ ი-ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს დემოკრატიულ რესპუბლიკად რუსეთის გადაქცევის აუცილებლობის შესახებ.

დაწერილია 1914 წ.
6 (19) აპრილის შემდეგ
პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 3 (26)

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

კონსტიტუციური კრიზისი ინგლისში

«პუტ პრავდის» № 34-ში, სადაც ირლანდიის საინტერესო ამბებს ავწერდით, ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ინგლისელ ლიბერალთა პოლიტიკაზე, რომლებმაც კონსერვატორებს დაუშინებინეს თავი *.

მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დაიწერა, მოხდა ახალი ამბები, რამაც კერძო შეტაკება (ლიბერალებისა და კონსერვატორებისა) ირლანდიის თვითმმართველობის გამო ინგლისის საერთო-კონსტიტუციურ კრიზისად აქცია.

რადგან კონსერვატორები ირლანდიის ჰომრულის (ავტონომიის, თვითმმართველობის) წინააღმდეგ ოლსტერის პროტესტანტების «აჯანყებით» იმუქრებოდნენ, ამიტომ ლიბერალურმა მთავრობამ ჯარის განსაზღვრული ნაწილი დასძრა, რათა აეძულებინა — პატივი ეცათ პარლამენტის ნება-სურვილისათვის.

და იცით, რა მოხდა?

ინგლისის ჯარის გენერლები და ოფიცრები აჯანყდნენ!

მათ განაცხადეს: ოლსტერის პროტესტანტების წინააღმდეგ არ ვიბრძოლებთო; ეს ეწინააღმდეგება ჩვენს «პატრიოტიზმსო»; სამსახურიდან გადავდგებითო!

ლიბერალური მთავრობა სრულიად გაოგნებული დარჩა არმიის სათავეში მდგომ მემამულეთა ამ ჯანყით. ლიბერალები მიჩვეულნი არიან — თავი ინუგეშონ კონსტიტუციური

* იხ. ეს ტომი, გვ. 171 — 175. რ ე დ.

ილუზიებით და ფრაზებით კანონიერების შესახებ, მათ არა სურთ დაინახონ ძალთა ნამდვილი თანაფარდობა, კლასობრივი ბრძოლა. ძალთა ეს ნამდვილი თანაფარდობა კი ისეთი იყო და რჩება, რომ ინგლისში, ბურჟუაზიის სილაჩრის გამო, შენარჩუნებულია ბბ. მემამულეთა მთელი რიგი წ ი ნ ა ბურჟუაზიული, შუასაუკუნეობრივი დაწესებულებები და პრივილეგიები.

არისტოკრატ-ოფიცრების ჯანყი რომ ჩაეხშო, ლიბერალურ მთავრობას ხალხისათვის, მასებისათვის, პროლეტარეებისათვის უნდა მიემართნა, მაგრამ ბატონ «განათლებულ» ლიბერალურ ბურჟუებს ყველაზე უფრო სწორედ ამისი ეშინოდათ. და მთავრობამაც ს ა ქ მ ი თ დ ა უ თ მ ო მოჯანყე ოფიცრებს, დაჯერა ისინი — არ გადამდგარიყვნენ და იმის წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი მ ო წ მ ო ბ ა მისცა მათ, რომ ჯარებს ოლსტერის წინააღმდეგ არ გამოიყენებდა.

ხალხს დაუმალეს ეს სამარცხვინო ფაქტი ამგვარი წერილობითი მოწმობის გაცემისა (21 მარტს ახ. სტილით), და ლიბერალების ბელადები, ასკვიტი, მორლი და სხვ., ყოვლად წარმოუდგენლად და უტიფრად ცრუობდნენ თავიანთ ოფიციალურ განცხადებებში. მაგრამ სიმართლე მაინც გამოაშკარავდა. ოფიცრებისათვის წერილობით დაპირებათა მიცემა უარყოფილი არ არის. მეფის მხრივ «ზეგავლენა», როგორც ჩანს, ყოფილა. სამხედრო მინისტრის სილის გადადგომა და მისი პორტფელის «თვით» ასკვიტისათვის გადაცემა, ასკვიტის ხელახლა არჩევა, ცირკულარი ჯარის მიმართ კანონიერების პატივისცემის შესახებ — ყოველივე ეს ერთიანი ოფიციალური პირმოთნეობაა. ლიბერალების მხრივ კონსტიტუციის დამრღვევი მემამულეებისათვის დათმობის ფაქტი ფაქტადვე რჩება.

ინგლისის პარლამენტში ამის შემდეგ მთელი რიგი უაღრესად მღელვარე სცენები მოხდა. კონსერვატორები ლიბერალურ მთავრობას მის მიერ სავსებით დამსახურებული დაცინვითა და ზიზღით უმასპინძლდებოდნენ, ხოლო მუშათა დეპუტატი რამსეი მაკდონალდი, ერთ-ერთი უზომიერესი ლი-

ბერალური მუშათა პოლიტიკოსი, მეტად ცხარე პროტესტით გამოვიდა რეაქციონერთა მოქმედების წინააღმდეგ. «ეს ადამიანებიო — ამბობდა ის — ყოველთვის მზად არიან თავი გამოიდონ და იმძვინვარონ გაფიცულთა წინააღმდეგ. მაგრამ, როდესაც საქმე ოლსტერზე მიდგა, ისინი უარს ამბობენ თავიანთი ვალის შესრულებაზე, რადგან ირლანდიის ავტონომიის კანონი მათს კლასობრივ ცრურწმენებსა და ინტერესებს ეხება». (ირლანდიაში მემამულეები ინგლისელები არიან, და ირლანდიის თვითმმართველობა, რომელიც ირლანდიელი ბურჟუებისა და გლეხების თვითმმართველობა იქნება, საფრთხეს ქმნის — ცოტაოდნად შეკვეცოს ბატონ კეთილშობილ ლორდთა მძარცველური მადა). «ეს ადამიანებიო —განაგრძობდა რ. მაკდონალდი — მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ იომონ მუშების წინააღმდეგ, ხოლო როდესაც საკითხი იმას ეხება, რომ ვაიძულოთ მდიდრები და მესაკუთრენი — პატივი სცენ კანონებს, ისინი უარს ამბობენ თავიანთი ვალის შესრულებაზე».

ინგლისის «ყოვლადძლიერი» (როგორც ეგონათ და მილიონჯერ უთქვამთ ლიბერალურ ყეყეჩებს, განსაკუთრებით ლიბერალურ მეცნიერთ) პარლამენტის წინააღმდეგ მემამულეთა ამ ჯანყის მნიშვნელობა არაჩვეულებრივ დიდია. 1914 წლის 21 მარტი (ძველი სტილით 8 მარტი) თარიღი იქნება იმ მსოფლიო-ისტორიული შემობრუნებისა, როდესაც ინგლისის კეთილშობილმა ლორდმა-მემამულეებმა ნამსხვრევებად აქციეს ინგლისის კონსტიტუცია და ინგლისის კანონიერება და კლასობრივი ბრძოლის საუცხოო გაკვეთილი მოგვცეს.

ეს გაკვეთილი იქიდან გამომდინარეობს, რომ ლიბერალების ორჭოფული, პირმოთნე, თვალთმაქცურ-რეფორმისტული პოლიტიკის საშუალებით შეუძლებელია ინგლისის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის არსებულ წინააღმდეგობათა სიმწვავის შერბილება. ეს გაკვეთილი ფუჭად არ ჩაივლის მთელი ინგლისის მუშათა მოძრაობისათვის; მუშათა კლასი ახლა სწრაფად განიბერტყავს ფილისტერულ რწმენას იმ, ინგლისის კანონიერებად და კონსტიტუციად წოდებული,

ფარატინა ქაღალდისადმი, რომელიც მთელი ხალხის თვალწინ დაფხრიწეს ინგლისელმა არისტოკრატებმა.

ეს არისტოკრატები ისე მოიქცნენ, როგორც რევოლუციონერები მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ, და მით მოაცილეს ყველა და ყოველგვარი პირობითობა, ყველა საბურველი, რაც ხელს უშლიდა ხალხს კლასობრივი ბრძოლის უსიამო, მაგრამ უეჭველი სინამდვილე დაენახა. ყველამ დაინახა ის, რასაც ბურჟუაზია და ლიბერალები პირმოთნედ ფარავდნენ (ყველგან და საყოველთაოდ პირმოთნენი არიან ისინი, მაგრამ ძნელად თუ აღწევს სადმე სხვაგან პირმოთნეობა ისეთ ფარგლებს და ისეთ დახვეწილობას, როგორც ეს ინგლისშია). ყველამ დაინახა, რომ პარლამენტის ნების მოტეხის შეთქმულება დიდი ხანია მზადდებოდა. ნამდვილი კლასობრივი ბატონობა პარლამენტის გ ა რ ე თ იყო და არის კიდევაც. ზემოთ მოხსენებული შუასაუკუნეობრივი დაწესებულებანი, დიდი ხნით უმოქმედოდ დარჩენილნი (უკეთ: თითქოს უმოქმედოდ დარჩენილნი), — სწრაფად ამოქმედდნენ და პარლამენტზე უფრო ძ ლ ი ე რ ნ ი აღმოჩნდნენ. ხოლო ინგლისის წვრილბურჟუაზიული ლიბერალები, რომლებიც მუშების სიფხიზლეს ადუნებდნენ სიტყვებით რეფორმებისა და პარლამენტის ძლიერების შესახებ, ნამდვილად გუდაფშუტა, თოჯინები აღმოჩნდნენ, რომელთაც ხალხის გასაბრიყვებლად იყენებენ, მაგრამ მათ მყისვე «ხ მ ა ჩ ა ა წ ყ ვ ე ტ ი ნ ა» არისტოკრატიამ, რადგან მის ხელთ იყო ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა.

რამდენი წიგნი დაუწერიათ, განსაკუთრებით გერმანელ და რუს ლიბერალებს, ინგლისის კანონიერებისა და სოციალური მშვიდობის სადიდებლად! ხომ ცნობილია, რომ გერმანელი და რუსი ლიბერალების ისტორიული მოწოდებაა — მონურად მუხლი მოიდრიკონ იმის წინაშე, რაც კლასობრივ ბრძოლას მოუცია ინგლისსა და საფრანგეთში, და ამ ბრძოლის შედეგები «კ ლ ა ს ე ბ ზ ე მ ა ღ ლ ა» მდგომი «მეცნიერების ჭეშმარიტებებად» გამოაცხადონ. ნამდვილად კი ინგლისის «კანონიერება და სოციალური მშვიდობა» მხოლოდ ხანმოკლე

შედეგი იყო ინგლისის პროლეტარიატის ძილისა, დაახლოებით 1850-იანი წლებიდან 1900-იან წლებამდე.

ბოლო მოეღო ინგლისის მონოპოლიას. გამწვავდა მსოფლიო კონკურენცია. გაძვირდა ცხოვრება. მსხვილი კაპიტალისტების კავშირებმა გასრისეს წვრილი და საშუალო მეპატრონენი და მთელი სიმძიმით თავს დაატყდნენ მუშებს. კვლავ და კვლავ გაიღვიძა, XVIII საუკუნის დამლევის ეპოქის შემდეგ, 1830-იანი და 1840-იანი წლების ჩარტიზმის შემდეგ, ინგლისის პროლეტარიატმა.

1914 წლის კონსტიტუციური კრიზისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ამ გამოღვიძების ისტორიაში.

«პუტ პრავდი» № 57,
1914 წ. 10 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ერთიანობა

პეტერბურგში გამოვიდა ჟურნალ «ბორბას» უკვე სამი ნომერი; ჟურნალი თავის თავს «არაფრაქციულს» უწოდებს. ამ ჟურნალის ძირითადი ხაზია ერთიანობის დაცვა.

ერთიანობა ვისთან? — ლიკვიდატორებთან.

«ბორბას» უკანასკნელ ნომერში ლიკვიდატორებთან ერთიანობის დასაცავად ორი სტატიაა მოთავსებული.

პირველი სტატია ცნობილ ლიკვიდატორს ი. ლარინს ეკუთვნის. ეს სწორედ ის ლარინია, რომელიც ამას წინათ ერთ-ერთ ლიკვიდატორულ ორგანოში წერდა:

«აბსოლუტისტური ნაშთებისაგან კაპიტალისტური განვითარების გზის გაწმენდა ყოველგვარი რევოლუციის გარეშე მოხდება... მორიგ ამოცანას შეადგენს... ფართო წრეების გამსჭვალვა იმ ხელმძღვანელი იდეით, რომ დაწყებულ პერიოდში მუშათა კლასი უნდა დაირაზმოს არა «რევოლუციისათვის», არა «რევოლუციის მოლოდინში»»...

და აი, სწორედ ეს ლიკვიდატორი ერთიანობას იცავს ახლა «ბორბაში» და მის ფორმასაც გვთავაზობს: ფედერაციას.

ფედერაცია არის თანასწორუფლებიან ორგანიზაციათა შეთანხმება. მაშასადამე, ლარინი წინადადებას იძლევა — მუშათა კლასის ტაქტიკის განსაზღვრის საქმეში ერთმანეთს გავუთანასწოროთ «შეუკვეცელი ლოზუნგების» თვალსაზრისზე მდგომ მუშათა უდიდესი უმრავლესობის

ნება-სურვილი და ახლახან მოყვანილი სიტყვების თვალსაზრისზე ასე თუ ისე მდგომ ლიკვიდატორთა უმნიშვნელო ჯგუფების ნება-სურვილი. ლიკვიდატორ ლარინის ჭკუამახვილი გეგმის მიხედვით მუშების უმრავლესობას უფლება ერთმევა რაიმე ნაბიჯი გადადგას იმ დრომდე, სანამ «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» ბბ. ლიკვიდატორებისაგან არ მიიღებენ ამის თანხმობას.

მუშებმა უკუაგდეს ლიკვიდატორები, ახლა კი ლიკვიდატორ ლარინის გეგმით მათ კვლავ ხელმძღვანელი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ ფედერაციის შემწეობით. ლარინის მიერ წარმოდგენილი ფედერაცია, ამრიგად, მხოლოდ ცდაა— ხელახლა თავს მოახვიონ მუშებს მუშათა მოძრაობის მიერ უკუგდებული ლიკვიდატორების ნება-სურვილი. არ შეგვიშვეს კარებში, მსჯელობენ ლიკვიდატორები, — გადავძვრეთ ფანჯარაში, და მუშათა უმრავლესობის ნების ამ ფაქტიურ დარღვევას «ფედერაციის საშუალებით განხორციელებული ერთიანობა» ვუწოდოთო.

ლარინს ჟურნალ «ბორბას» რედაქცია ეკამათება. ფედერაცია, ე. ი. ლიკვიდატორებისა და მარქსისტების, რ ო გ ო რ ც თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ მ ხ ა რ ე თ ა, თანდათანობით შეთანხმება ამ რედაქციას არ აკმაყოფილებს.

მას ლიკვიდატორებთან შეთანხმება კი არა სურს, არამედ მათთან ხელახლა შეერთება «საერთო ტაქტიკურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე», რაც ნიშნავს: «პუტ პრავდის» ტაქტიკური ხაზის ირგვლივ მჭიდროდ შეკავშირებული მუშების უდიდესმა უმრავლესობამ უ ა რ ი უნდა თ ქ ვ ა ს თავის გადაწყვეტილებებზე ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ თ ა ნ ს ა ე რ თ ო ტ ა ქ ტ ი კ ი ს გულისთვის.

ტაქტიკა, რომელიც შეგნებული მუშების მიერაა 'შემუშავებული და უკანასკნელი წლების მთელი მოძრაობის გამოცდილებითაა შემოწმებული, «ბორბას» რედაქციის აზრით, განზე უნდა გადაიდოს. რის გულისთვის? იმის გულისთვის, რომ ადგილი დაეთმოს ლიკვიდატორთა ტაქტიკურ გეგმებს,

იმ შეხედულებებს, რაც დაგმობილია თვით მუშების მიერაც და მოვლენათა მთელი მსვლელობითაც.

სრული უპატივცემლობა შეგნებული მუშების ნება-სურვილისა, გადაწყვეტილებებისა და შეხედულებებისადმი — აი რა უდევს საფუძვლად «ბორბას» რედაქციის მიერ ლიკვიდატორებთან ერთიანობის ქადაგებას.

მუშების ნება-სურვილი ნათლად და გარკვეულად გამომჟღავნდა. ყოველი ადამიანი, ვინც ჯერ კიდევ არ შეშლილა ჭკუაზე, ზუსტად იტყვის, თუ რაგვარ ტაქტიკას თანაუგრძნობს მუშების უდიდესი უმრავლესობა. მაგრამ აი მოდის ლიკვიდატორი ლარინი და აცხადებს: მუშების უმრავლესობის ნება-სურვილი ჩემთვის არაფერია; დაე ეს უმრავლესობა ჩამოგვეცალოს და აღიაროს ლიკვიდატორთა პაწაწა ჯგუფის ნება-სურვილის თანასწორუფლებიანობა და ტოლფასიანობა შეგნებულ მუშათა უმრავლესობის ნება-სურვილთანო.

ლიკვიდატორის შემდეგ კი მოდის შემარიგებელი «ბორბადან» და აცხადებს: მუშებს თავიანთი გარკვეული ტაქტიკა აქვთ გამომუშავებული და მის გატარებაზე მუშაობენ? არაფერია. დაე უარი თქვან ამ ნაცად ტაქტიკაზე ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ თ ა ნ ს ა ე რ თ ო ტ ა ქ ტ ი კ უ რ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა თ ა გულისთვისო.

მუშების უმრავლესობის ნათლად გამოხატული ნება-სურვილის სწორედ ამ დარღვევას იმის გულისთვის, რათა თანასწორუფლებიანი ადგილი მიეცეს ლიკვიდატორებს, უწოდებენ ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს ჟურნალ «ბორბაში» მოკალათებული შემარიგებელნი.

მაგრამ ეს ერთიანობა კი არა, ეს აბუჩად აგდებაა ერთიანობისაც და მუშების ნება-სურვილისაც.

მუშა-მარქსისტებს ერთიანობა ასე როდი ესმით.

შეუძლებელია ფედერაციული ან რაიმე სხვაგვარი ერთიანობა ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებთან, მუშათა მოძრაობის დეზორგანიზატორებთან, უმრავლესობის ნება-სურვილის დამარღვევლებთან. შეიძლება და უნდა იყოს კიდევაც ერთიანობა ყველა თანამიმდევარი მარქსისტისა, მარქსის-

ტული მთელის და შეუკვეცელი ლოზუნგების ყველა დამცველისა ლიკვიდატორებისაგან დამოუკიდებლად და მათ გარეშე.

ერთიანობა დიადი საქმეა და დიადი ლოზუნგი! მაგრამ მუშათა საქმეს მ ა რ ქ ს ი ს ტ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ესაჭიროება, და არა მარქსისტების ერთიანობა მარქსიზმის მოწინააღმდეგეებსა და შემრყვნელებთან.

და თვითეულს, ვინც ერთიანობაზე ლაპარაკობს, ჩვენ უნდა ვკითხოთ: ვისთან ერთიანობა? ლიკვიდატორებთან? — მაშინ ჩვენ ერთად საკეთებელი არა გვაქვს რა.

და თუ მართლაც მარქსისტულ ერთიანობაზეა ლაპარაკი, — მაშინ ჩვენ ვიტყვით: პრავდისტული გაზეთების წარმოშობიდანვე ჩვენ მოვუწოდებთ მარქსიზმის ყველა ძალთა შეკავშირებისაკენ, ძირიდან ერთიანობისაკენ, პრაქტიკული მუშაობით ერთიანობისაკენ.

არავითარი ლაციცი ლიკვიდატორებთან, არავითარი დიპლომატიური მოლაპარაკება მთელის დამარღვეველთა წრეებთან, — მთელი ძალები მოვახმაროთ მუშა-მარქსისტების მჭიდროდ შეკავშირებას მარქსისტული ლოზუნგების ირგვლივ, მარქსისტული მთელის ირგვლივ. ბოროტმოქმედებად ჩათვლიან შეგნებული მუშები ყოველ ცდას — თავს მოახვიონ მათ ლიკვიდატორების ნება-სურვილი, ასეთივე ბოროტმოქმედებად მიიჩნევენ ისინი ნამდვილი მარქსისტების ძალთა დაქსაქსვას.

ვინაიდან ერთიანობის საფუძველია კლასობრივი დისციპლინა, უმრავლესობის ნება-სურვილის ცნობა, ამ უმრავლესობის რიგებში და მასთან მხარდამხარ შეთანხმებულად მუშაობა. ამ ერთიანობისაკენ, ამ დისციპლინისაკენ, ამ შეთანხმებული მუშაობისაკენ კვლავაც დაუღალავად მოვუწოდებთ ჩვენ ყველა მუშას.

«პუტ პრავდი» № 59,
1914 წ. 12 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ორგანიზებული მარქსისტები საერთაშორისო ბიუროს ჩარევის შესახებ

ჩვენ გვატყობინებენ, რომ საერთაშორისო ბიუროს მისველია ორგანიზებული მარქსისტების პასუხი ბიუროს წინადადების გამო — ჩარეულიყო რუსეთის ს.-დ. საქმეებში[67]. მოგვყავს ქვემოთ ამ პასუხის არსებითი ნაწილები.

* * *

მიიღო რა «საერთაშორისო ბიუროს პერიოდული ბიულეტენის» № 11-ის «დამატება», რუსეთის ორგანიზებულ მარქსისტთა წარმომადგენლობას თავის მოვალეობად მიაჩნია — უღრმესი მადლობა გამოუცხადოს საერთაშორისო ბიუროს და მის აღმასრულებელ კომიტეტს მუშათა მოძრაობის მხარისდაჭერისათვის და მისი ერთიანობის უზრუნველყოფის საშუალებით მის გაძლიერებასა და განმტკიცებაზე ზრუნვისათვის.

საქმის ვითარება რუს მარქსისტებს შორის ამჟამად შემდეგნაირად გვესახება.

1907 — 1908 წწ. საქმის საერთო ვითარებამ მარქსისტებში საშინელი იდეური კრიზისი და ორგანიზაციების დაშლა გამოიწვია. როგორც 1908, ისე 1910 წელსაც ორგანიზებულმა მარქსისტებმა ფორმალურად სცნეს, რომ არსებობს მოძღვრება ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს ა, რომლებიც ახდენენ ძველი პარტიის ლიკვიდაციას, უარყოფენ მას და ახალ, ღია პარტიაზე ოცნებობენ. ეს მიმდინარეობა გადაჭრით და სამუდამოდ დაგმობილ იქნა ფორმალური გადაწყვეტილებით. მაგრამ ლიკვიდატორები გადაწყვეტილებებს არ დაემორჩილნენ

და თავიანთ გამთიშველ და «მთელის» დამანგრეველ მუშაობას განაგრძობდნენ.

1912 წლის იანვარში მარქსისტული მთელი აღდგენილ იქნა წინააღმდეგ ლიკვიდატორებისა, რომლებიც მის გარეშე მდგომებად იქნენ აღიარებულნი.

მას შემდეგ რუსეთის შეგნებულ მუშათა უდიდესი უმრაველესობა მჭიდროდ შეკავშირდა 1912 წ. იანვარში მიღებულ გადაწყვეტილებათა და მაშინ არჩეული ხელმძღვანელი დაწესებულების გარშემო. ეს, რუსეთის ყველა მუშისათვის ცნობილი, ფაქტი შეიძლება და საჭიროცაა ობიექტური ფაქტებით იქნას დადასტურებული, იმ სრულიად ლიტონ და ჭეშმარიტების შემბღალავ მტკიცებათა წარმოუდგენელი სიმრავლის გამო, ლიკვიდატორები და დაქსაქსული საზღვარგარეთული ჯგუფები რომ ავრცელებენ:

1) საარჩევნო კანონი რუსეთში მუშებს განსაკუთრებულ მუშათა კურიად გამოყოფს. ამ კურიიდან სახელმწიფო სათათბიროში არჩეულ დეპუტატთა შორის ბოლშევიკი II სათათბიროში 47% იყო (1907 წ.), III სათათბიროში (1907 — 1912 წწ.) — 50% და IV სათათბიროში (1912 — 1914 წწ.) — 67%.

IV სათათბიროს არჩევნები 1912 წლის სექტემბერში მოხდა, და უმრავლესობის (2/3) მოპოვებამ დაამტკიცა ორგანიზებული მარქსიზმის სრული გამარჯვება ლიკვიდატორობაზე.

2) 1912 წლის აპრილში აღმოცენდა ყოველდღიური მარქსისტული გაზეთი «პრავდა». ლიკვიდატორებმა მის წინააღმდეგ პეტერბურგშივე შექმნეს მოქიშპე, გამთიშველი ორგანო «ლუჩი». ორი წლის განმავლობაში, 1912 წლის 1 იანვრიდან 1914 წლის 1 იანვრამდე, ლიკვიდატორთა გაზეთს, ყველა მათს დამხმარესთან ერთად, როგორიც არიან მრავალრიცხოვანი საზღვარგარეთული ჯგუფები და «ბუნდი», თვით ამავე გაზეთის ანგარიშების მიხედვით, მუშათა **750** ჯგუფმა გაუწია დახმარება, მაშინ როდესაც მარქსისტული ხაზისათვის მებრძოლმა «პრავდამ» ამავე ხნის განმავლობაში მუშათა **2 801** ჯგუფი შეაკავშირა.

3) 1914 წლის დამდეგს პეტერბურგში არჩევნები მოხდა მუშათა საავადმყოფო სალაროებისაგან სრულიად რუსეთის სადაზღვევო საბჭოსა და დედაქალაქის სადაზღვევო საკრებულოში. პირველ დაწესებულებაში მუშებმა 5 კაცი და 10 მათი მოადგილე აირჩიეს, მეორეში კი — 2 კაცი და 4 მოადგილე. ორივე შემთხვევაში მ თ ლ ი ა ნ ა დ «პ რ ა ვ დ ი ს» მ ო მ ხ რ ე თ ა ს ი ე ბ ი გავიდა. უკანასკნელ არჩევნებში, როგორც თავმჯდომარემ გამოარკვია, «პრავდის» მომხრეთა რიცხვი 37 კაცი იყო, ლიკვიდატორებისა — 7 კაცი, ნაროდნიკებისა — 4 კაცი, თავი შეიკავა 5 კაცმა.

ჩვენ ვკმაყოფილდებით ამ, სულ მოკლე, ფაქტიური ცნობებით. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ რუსეთში მარქსისტების ნამდვილი ერთიანობა განუხრელად მიიწევს წინ და რომ მან უკვე მიაღწია შეგნებულ მუშათა უმრავლესობის მჭიდროდ შეკავშირებას 1912 წლის იანვრის გადაწყვეტილებათა ნიადაგზე.

შემდეგ, დოკუმენტში დახასიათებულია დეზორგანიზატორული მუშაობა ცალკეული საზღვარგარეთული ჯგუფებისა და ლიკვიდატორებისა, რომლებიც დაეინებით ცდილობენ ჩ ა შ ა ლ ო ნ რუსეთის მუშების უმრავლესობის ნ ე ბ ა.

საზღვარგარეთ ამჟამად, პარტიელებისა და ლიკვიდატორების გარდა, სულ მცირე ხ უ თ ი განცალკევებული რ უ ს უ ლ ი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი მოქმედებს, თუ ეროვნულ ჯგუფებს არ ჩავთვლით. სრული ორი წლის, 1912 და 1913 წწ. განმავლობაში არსად ნასახიც კი არ აღმოჩენილა ობიექტური მონაცემებისა რუსეთის მუშათა მოძრაობასთან ამ საზღვარგარეთული ჯგუფების კავშირის შესახებ. ლიკვიდატორებმა 1912 წლის აგვისტოში ეგრეთწოდებული «აგვისტოს ბლოკი» შეკრეს; ამ «ბლოკში», სხვათა შორის, ტროცკი, «ბუნდი» და ლატვიელი სოციალ-დემოკრატია შედიოდნენ. დიდი ხანია აღნიშნული იყო ფიქტიურობა ამ «ბლოკისა», რომელიც ნამდვილად ლიკვიდატორებს აფარებდა ხელს. ახლა ეს «ბლოკი» საბოლოოდ დაშლილია: ლატვიელი სოციალ-დემოკრატიის 1914 წლის თებერვლის კონგრესმა დაადგინა —

თავისი წარმომადგენლები გამოეწვია ბლოკიდან, ვინაიდან ეს ბლოკი ლიკვიდატორებისაგან არ გამიჯნულაო. ტროცკიმაც 1914 წლის თებერვალშივე დააარსა თავისი ჯგუფის ჟურნალი, სადაც თავის ღ ა ღ ა დ ი ს ს ერთიანობის შესახებ ივი აგვისტოს ბლოკისაგან გ ა მ ო თ ი შ ვ ი თ განაცხადებს!

«საორგანიზაციო კომიტეტი», რომელიც ამჟამად «აგვისტოს ბლოკს» წარმომადგენლობს, მხოლოდ ფიქციაა, და თავისთავად ცხადია, ამ ფიქციასთან არავითარ ურთიერთობაში ყოფნა არ შეიძლება. თუ ლიკვიდატორები «ერთიანობასა» და «თანასწორუფლებიანობაზე» ლაპარაკობენ, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანობის მომხრეთა უპირველესი საქმეა — ხელი აიღონ მუშების შეკავშირებული უდიდესი უმრავლესობის დეზორგანიზაციაზე და გადაჭრით უარყონ ლიკვიდატორები, «მთელის» დამარღვეველნი. ლიკვიდატორების პირით «ერთიანობაზე» წარმოთქმული სიტყვები ისეთივე საცინლად აგდებაა რუსეთის მუშათა უმრავლესობის ნამდვილი ერთიანობისა, როგორც ის, ერთიანობაზე რომ საფრანგეთში «ალემან-კამბიეს პარტიას» ელაპარაკნა ანდა გერმანიაში — «P. P. S.»-ს.

შემდეგ ავტორები მიმართავენ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს დაბეჯითებითი თხოვნით — მთელი ძალღონით დააჩქაროს «ს.-დ. ყველა ფრაქციას შორის სადავო საკითხებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა» (საერთაშორისო ბიუროს 1913 წ. დეკემბრის სესიის რეზოლუცია), რათა მიუკერძებელი კოლეგიუმის პირისპირ მხილებულ იქნას ინტერნაციონალის წინაშე მთელი ფიქტიურობა ლიკვიდატორთა «აგვისტოს ბლოკისა» და «საორგანიზაციო კომიტეტისა» და მთელი მათი დეზორგანიზატორული მოქმედება რუსეთის ს.-დ. მუშების შეკავშირებული უმრავლესობის მიმართ.

«პუტ პრავდი» № 61,
1914 წ. 15 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ეროვნული თანასწორუფლებიანობა

«პუტ პრავდის» № 48-ში (მარტის 28) რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა ფრაქციამ გამოაქვეყნა ეროვნული თანასწორუფლებიანობის კანონპროექტი, ანუ, როგორც მას ოფიციალურად ეწოდება, — «პროექტი კანონისა ებრაელთა უფლებების ყველა შეზღუდვისა და საერთოდ ყველა იმ შეზღუდვის გაუქმების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია წარმოშობასთან ანდა რომელიმე ეროვნებისადმი კუთვნილებასთან» *.

იმ შფოთისა და ძრწოლის დროს, რაც თან სდევს ბრძოლას არსებობისათვის, ლუკმა-პურისათვის, რუსმა მუშებმა არ შეიძლება და არც უნდა დაივიწყონ ის ეროვნული ჩაგვრა, რომლის ულელქვეშ რუსეთში მოსახლე მრავალი ათეული მილიონი «უცხოტომელი» იმყოფება. გაბატონებული ეროვნება — ველიკოროსები — იმპერიის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 45 პროცენტს შეადგენენ. ყოველ 100 მცხოვრებში 50-ზე მეტი «უცხოტომელია».

და მთელი ეს უზარმაზარი მოსახლეობა ცხოვრების იმაზე უფრო არაადამიანურ პირობებშია ჩაყენებული, ვიდრე რუსი ადამიანის ცხოვრების პირობებია.

ეროვნებათა ჩაგვრის პოლიტიკა არის ერთა გ ა თ ი შ ვ ი ს პოლიტიკა. ამასთან ერთად იგი ხალხის შეგნების სისტემატური გ ა რ ყ ვ ნ ი ს პოლიტიკაცაა. სხვადასხვა ერის ინტე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 201 — 203. რ ე დ.

რესთა დაპირისპირებაზე, ბნელი და დაბეჩავებული მასების შეგნების მოწამვლაზეა აგებული შავრაზმელების მთელი ანგარიში. აიღეთ რომელიც გნებავთ შავრაზმული გაზეთი და თქვენ დაინახავთ, რომ «უცხოტომელთა» დევნა, რუს გლეხსა, რუს მეშჩანსა, რუს ხელოსანსა და ებრაელ, ფინელ, პოლონელ, ქართველ, უკრაინელ გლეხსა, მეშჩანსა, ხელოსანს შორის ურთიერთუნდობლობის გაღვივება — აი ის პური, რომლითაც მთელი შავრაზმული ბანდა იკვებება.

მაგრამ მუშათა კლასს ესაჭიროება ა რ ა გ ა თ ი შ ვ ა, ა რ ა ა მ ე დ ე რ თ ო ბ ა. არა ჰყავს მას იმაზე უფრო სასტიკი მტერი, ვიდრე ველური ცრურწმენანი და ცრუმორწმუნეობაა, რასაც ბნელ მასაში მისი მტრები თესავენ. «უცხოტომელთა» ჩაგვრა ორმაგი კეტია. ერთი «უცხოტომელს» სცემს, მეორე — რუს ხალხს.

ამიტომაც მუშათა კლასმა სრულიად გადაჭრით უნდა დაგმოს ეროვნებათა ყოველგვარი ჩაგვრა.

შავრაზმელთა აგიტაციას, უცხოტომელების დევნისაკენ რომ ცდილობენ გაიტყუონ მისი ყურადღება, მუშათა კლასმა უნდა დაუპირისპიროს თავისი რწმენა სრული თანასწორუფლებიანობის აუცილებლობისა, რომელიმე ერის ყოველგვარი პრივილეგიის სრული და საბოლოო უარყოფის აუცილებლობისა.

განსაკუთრებული მძულვარებით შავრაზმელები ებრაელთა წინააღმდეგ ეწევიან აგიტაციას. ყველა თავიანთი ცოდვის განტევების ვაცად პურიშკევიჩები ცდილობენ — ებრაელთა ერი გამოიყვანონ.

ამიტომ სავსებით სწორია, რომ რსდმ ფრაქცია მთავარ ადგილს თავის კანონპროექტში ე ბ რ ა ე ლ თ ა უუფლებობას უთმობს.

სკოლასაც, პრესასაც, საპარლამენტო ტრიბუნასაც — ყველაფერს, ყველაფერს იყენებენ იმისათვის, რომ გაღვივონ ბნელი, ველური, ბოროტი სიძულვილი ებრაელებისადმი.

ამ შავბნელ, საზიზღარ საქმეს მარტო შავრაზმელობის ნაძირალნი კი არ ჰკიდებენ ხელს, ამ საქმეს ხელს ჰკიდებენ

რეაქციონერი პროფესორებიც, მეცნიერნი, ჟურნალისტები, დეპუტატები. მილიონ და მილიარდ მანეთობით იხარჯება ფული ხალხის შეგნების მოსაწამლავად.

რ უ ს ი მუშების ღირსების საკითხია — რომ რსდმ ფრაქციის კანონპროექტი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ განმტკიცებულ იქნას ათიათასობით პროლეტართა ხელმოწერითა და განცხადებებით... ეს ყველაზე მეტად გაამაგრებს ს რ უ ლ ერთიანობას, შედუღებას რუსეთის ყველა მუშისას განურჩევლად ეროვნებისა.

«პუტ პრავდი» № 62,
1914 წ. 16 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორები და ლატვიელ მუშათა მოძრაობა

ყველა ორგანიზებული ლატვიელი მუშის ახლახანდელმა გადაწყვეტილებამ, რომელმაც დაგმო ლიკვიდატორობა და მხარი დაუჭირა მარქსისტულ ხაზს, გადამწყვეტი მახვილი ჩასცა «აგვისტოს ბლოკს» და ცხადყო, რომ ყველა პროლეტარული ელემენტი ადრე თუ გვიან კავშირს წყვეტს ლიკვიდატორებთან. «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა» მთელი ძალღონით ცდილობს «თავიდან მოიშოროს» ეს არასასიამოვნო ფაქტი. ამ არც თუ ისე ადვილი ამოცანისათვის ლ. მ.-ს და ფ. დ.-ს მოუკიდნიათ ხელი.

ლიკვიდატორების მიერ ატეხილი წვრილმანი კინკლაობის საპასუხოდ ჩვენ არაფერს არ ვიტყვით. ჩვენთვის აქ საქმის მხოლოდ ის მხარეა მნიშვნელოვანი, რომელსაც ორგანიზაციულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

ლიკვიდატორები ამბობენ: მართალია, ლატვიელი მარქსისტები «აგვისტოს ბლოკიდან» წავიდნენ, მაგრამ ისინი ხომ არც «ლენინელებს» მიმხრობიანო.

სავსებით სწორია, ბატონებო! ლატვიელი მარქსისტები მართლაც ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ნ ი დარჩნენ. ლატვიელთა გადაწყვეტილებების გამო დაწერილ ჩვენს პირველსავე სტატიებში ჩვენ ვთქვით, რომ ლატვიელებმა მ ხ ო ლ ო დ პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ბ ი ჯ ი გადადგეს, და ისინი, საერთოდ რომ ითქვას, ისე გამოვიდნენ, როგორც შ ე მ ა რ ი გ ე ბ ე ლ ნ ი*.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 208 — 213. რ ე დ.

მაგრამ ჩაუფიქრდნენ კი ლიკვიდატორები იმას, თუ რა გამომდინარეობს აქედან?

თუ ლატვიელები მართლაც შემარიგებლები არიან, თუ ისინი ემხრობიან ერთიანობას რადაც უნდა დაჯდეს, თუ ისინი ნეიტრალურნი არიან ორგანიზაციულ ბრძოლაში, მ ა შ ი ნ მ ი თ უ ფ რ ო მ ტ კ ი ვ ნ ე უ ლ ი ა ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი-ს ა თ ვ ი ს ლიკვიდატორობის ის პოლიტიკური შეფასება, რომელიც შემარიგებლურად განწყობილი ლატვიელი მარქსისტების მიერაა მოცემული.

ხოლო პოლიტიკური მხრივ მოცემული ეს შეფასება სრულიად ნათელი და არაორაზროვანია. ლატვიელმა მუშებმა გადაჭრით დაადასტურეს ის ძველი გადაწყვეტილება, რომ ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ა ა რ ი ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ზ ე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ვ ლ ე ნ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ა. მათ განაცხადეს, ლიკვიდატორებთან გაერთიანება «ლიკვიდატორებისაგან იდეურ-პოლიტიკურ დამოკიდებულებაში» მოქცევას ნიშნავსო.

დიახ, ბბ. ლ. მ. და ფ. დ., ლატვიელები მართლაც ნეიტრალურნი დარჩნენ, დიახ, მათ ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი «შემარიგებლური» იმედებისაგან, დიახ, მათ ჯერ კიდევ არ გამოუტანიათ ყველა პრაქტიკული დასკვნა თავიანთი პოზიციიდან, დიახ, ისინი ჯერ კიდევ მეტად ლმობიერად მოექცნენ თქვენს დამცველ ჯგუფებს. მაგრამ სწორედ ამ ლმობიერმა და ნეიტრალურმა ადამიანებმა მოგმართეს თქვენ განცხადებით, რომ თქვენი ლიკვიდატორული ხაზი გამოხატავს მხოლოდ ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს გავლენას მუშების ჩამორჩენილ ფენებზე.

თუ რაოდენ სასაცილოდ დაიბნენ ლიკვიდატორები ლატვიელთა გადაწყვეტილებების შეფასებისას, ეს ჩანს ებრაელ ლიკვიდატორთა გაზეთ «ცაიტში» მოთავსებული სტატიებიდან. აქ ბ-ნი იონოვი გაჭიმულ სტატიებში მოგვითხრობს, რომ «ამხანაგი ლატვიელები გათიშვას როდი ემხრობიან, პირიქით, ისინი ამგვარი ტაქტიკის უაღრესად სასტიკი მოწინააღმდეგენი არიან».

და იგივე ავტორი აცხადებს, რომ «(ლატვიელთა) რეზოლუციის საერთო სულისკვეთება ლენინური სულისკვეთებაა, — ეს სავსებით უეჭვოა. იგი (რეზოლუცია) აგებულია ლიკვიდატორობისადმი მტრულ დამოკიდებულებაზე, მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის აღიარებაზე» («ცაიტ» № 14).

შეუთანხმდით ერთმანეთს, ბატონო ლიკვიდატორებო, და ორში ერთი რამ დაწერეთ.

ლიკვიდატორები იმედოვნებენ, ლატვიელები კიდევ ნ ა ბ ი ჯ ს გადადგამენ უ კ ა ნ — ლიკვიდატორობისკენო. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ისინი ნაბიჯს გადადგამენ წინ — რუს მარქსისტთა პოზიციისაკენ. თუ ვისი იმედი გამართლდება — ამის დანახვასაც მოვესწრებით. ამას ჩვენ დამშვიდებით ვანდობთ ლატვიელთა და მთელი რუსეთის მუშათა მოძრაობის მსვლელობას. მაგრამ ამჟამად ერთი რამაა მიღწეული: ლატვიელებმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს «აგვისტოს ბლოკს» და ბურჟუაზიულ მიმდინარეობად აღიარეს ლიკვიდატორობა.

კიდევ რამდენიმე სიტყვა ლატვიელთა იმ გადაწყვეტილებაზე, ს.-დ. ფრაქციის გათიშვას რომ შეეხება. 6 დეპუტატს-ლიკვიდატორს პირდაპირი პასუხი არ მოუცია კითხვაზე, იღებენ თუ არა ისინი ლატვიელთა პირობებს. ბ-ნ ფ. დ.-ის შემწეობით ისინი, რომ იტყვიან, «სიტყვის ბანზე აგდებას» ცდილობენ. ამას ისინი ვერ მოახერხებენ.

ერთი შეხედეთ ბ-ნ ფ. დ.-ის «საბუთებს». მას უსახელებენ 1908 წ. გადაწყვეტილებას (ლატვიელების მიერ დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ უ ლ ს) იაგელოს პარტიასთან გაერთიანების წინააღმდეგ. ის კი უპასუხებს იმაზე მითითებით, რომ მეორე საათბიროს ფრაქციაში... ლიტველი ს.-დ-ები იქნენ მიღებულიო. «პატარა» განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ლიტველებთან გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა რუსეთის მარქსისტებს არა ერთხელ დაუდგენიათ, ხოლო პ. პ. ს.-თან დაადგინეს ა რ გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ, ვინაიდან ეს პარტია მარქსისტული ა რ ა ა. განსხვავება ის არის, რომ ლიტველი

დეპუტატები სათათბიროში ყველა ადგილობრივი ს.-დ-ის სრული მხარდაჭერით გავიდნენ, იაგელო კი გავიდა პოლონელი ს.-დ-ების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მუშა ამრჩევთა უმრავლესობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

ლატვიელებმა ერთიანობის პირობად წამოაყენეს 1908 და 1910 წწ. სრულიად რუსეთის გადაწყვეტილებათა აღიარება, რომლებითაც ლიკვიდატორობა დაგმობილია, როგორც ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი მიმდინარეობა. იღებს თუ არა ამ პირობას ჩხეიძის ფრაქცია? რა აქვს ამის შესახებ სათქმელი ამ ფრაქციის დამცველს, ბ-ნ ფ. დ.-ს? მხოლოდ ის, რომ «ადგილის უქონლობა ნებას არ გვაძლევს ჩვენ (ე. ი. მას) შევჩერდეთ» სრულიად რუსეთის ამ გადაწყვეტილებებზეო.

რა გაეწყობა, მოვიცდით, სანამ «სევერნაია რაბოჩაია გაზეთაში» მეტი თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდება, რომ, ბოლოს და ბოლოს, გვიპასუხონ, როგორღა უყურებს ეს გაზეთი საერთო-მარქსისტული მთელის 1908 და 1910 წწ. გადაწყვეტილებებს, რომლებიც ლიკვიდატორობას ბურჟუაზიულ მიმდინარეობად აღიარებენ.

მუშები კი ლიკვიდატორთა ამ გაძრომ-გამოძრომიდან, უეჭველია, თავიანთ დასკვნებს გამოიტანენ და დარწმუნდებიან, რომ მარქსიზმის საქმისათვის ეს ადამიანები მკვდარნი არიან.

«პუტ პრავდი» № 62,
1914 წ. 16 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ბატონყმური მეურნეობა სოფლად

ჩვენს ლიბერალებს არასგზით არ სურთ აღიარონ ის, რომ რუსულ სოფელში დღემდე ჯერ კიდევ განუსაზღვრელად ფართოდაა გამოყენებული ბატონყმური მეურნეობა. ბატონ-ყმურობა ჯერაც ცოცხალია. ვინაიდან, როდესაც ღატაკი გლეხი მემამულისათვის მუშაობს თავისი უბადრუკი პირუტყ-ვითა და იარაღებით, თანაც ფულის სესხად აღებით ანდა მიწის იჯარითაა დამონებული, ბატონყმური მეურნეობის ეკონომიუ-რი დედაარსიც სწორედ ეს არის.

კაპიტალიზმის დროს მუშას არც მიწა აქვს და არც შრო-მის იარაღები. ბატონყმური მეურნეობის დროს ექსპლოატი-რებულ მუშაკს მიწაც აქვს და შრომის იარაღებიც, მაგრამ ყოველივე ეს სწორედ მის დამონებას, «მემამულე-ბატონი-სადმი» მის მ ი ბ ო რ კ ვ ა ს ემსახურება.

და აი ჟურნალ «რუსსკაია მისლში», რომელიც მემამულე-თა საკუთრებისადმი პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ი ს ქადაგებით არის ცნობილი, მის მარტის ნომერში უ ნ ე ბ უ რ ა დ სიმართლე გ ა ი პ ა რ ა.

«საზამთროდ ქირაობა — ვკითხულობთ იქ — განა ეს უაზრობა არ არის ჩვენს საუკუნეში, ელექტრობისა და აეროპლანების საუკუნეში? მო-ნობისა და კაბალის ეს ფორმა კი დღესაც კვლავ ჰყვავის და წურბელების როლს ასრულებს გლეხთა ორგანიზმზე.

საზამთროდ ქირაობა საგულისხმო და დამახასიათებელი მოვლენაა რუსეთში. მას მთელი სიახლით შეუნარჩუნებია ბატონყმური ტერმინი «ვალდებული» გლეხებისა».

ამას რომელიმე «მემარცხენე» ორგანო კი არა წერს, არამედ კონტრრევოლუციონერი ლიბერალების ორგანო!

«ვალდებულ» კომლთა რაოდენობა, 1913 წლის გაზაფხულის ადგილობრივი ცნობების მიხედვით, ზოგჯერ 56%-ს აღწევს, მაგ., ჩერნიგოვის გუბერნიაში, ე. ი. კომლთა მთელი რიცხვის თითქმის ს ა მ მ ე ხ უ თ ე დ ს. საზამთროდ ქირაობისას კი გლეხი სამუშაოში **ორჯერ და სამჯერ** ნაკლებს იღებს, ვიდრე ზაფხულში დაქირავებისას.

ჩვენს წინაშე აქ წმინდა-ბატონყმური კაბალა და გლეხების გამოუვალი სიღატაკეა — გამოყოფილი მიწების, ბალახთესვის, მანქანების შემოღებისა და სხვა იმ «პროგრესთა» გვერდით, რითაც ასე აღტაცებულია ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანი. ნამდვილად ეს პროგრესები, გლეხთა მასის საშინელი სიღატაკისა და **კაბალის** შენარჩუნებისას, მხოლოდ აუარესებენ მათს მდგომარეობას, ამწვავებენ კრიზისის გარდუვალობას, აძლიერებენ წინააღმდეგობას თანამედროვე კაპიტალიზმის მოთხოვნებსა და ბარბაროსულ, შუასაუკუნეობრივ, აზიურ «საზამთროდ ქირაობას» შორის.

მონახევრეობა, მოსავლის ნახევრის კვალობაზე მიწის დამუშავება ანდა ბულულთა მესამედის კვალობაზე («სამესამედოდ») სათიბის აღება — ესეც ბატონყმობის პირდაპირ ნაშთს წარმოადგენს. გლეხების მიერ სამონახევროდ დამუშავებული მიწების რაოდენობა, რუსეთის სხვადასხვა რაიონში და უახლესი მონაცემების მიხედვით, გლეხთა საკუთარი მიწების 21 — 68%-ს აღწევს. ხოლო სამონახევრო სათიბთა რაოდენობა კიდევ უფრო მეტია: გლეხთა საკუთარი მიწის 50-დან 185%-მდე!..

«ზოგიერთ შემთხვევაში — ვკითხულობთ ზომიერ-ლიბერალურ ჟურნალში — მიწის საფასურის ნახევარი მოსავლით ანაზღაურების გარდა, ხოლო სათიბისა — ორი მესამედით, მონახევრე ვალდებულია 1 — 2 **კვირა უსასყიდლოდ იმუშაოს** ეკონომიაში, მეტწილად — ცხენით ანდა მოზარდის დახმარებით».

რითღა განსხვავდება ეს ბატონყმობისაგან? გლეხი უსასყიდლოდ მუშაობს მემამულისათვის, როდესაც სამონახევროდ იღებს მისგან მიწას!

ჩვენი ლიბერალები «გლეხთა საკითხს» მუდამ განიხილავენ გლეხების «მცირემიწიანობის» თვალსაზრისით ანდა მათი ყოფაცხოვრების «სახელმწიფოებრივად მოწყობის» ან მათთვის ამა თუ იმ «ნორმისდა» კვალად მიწის მიზომვის აუცილებლობის თვალსაზრისით (ამით ნაროდნიკებიც სცოდავენ). ასეთი თვალსაზრისი ძირიანად მცდარია. საქმე ეხება კლასობრივ ბრძოლას მეურნეობის ბატონყმურ ურთიერთობათა ნიადაგზე, ესაა და ეს. მემამულეთა ახლანდელი მიწათმფლობელობის შენარჩუნებისას გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ა შენარჩუნება კაბალისა, ბატონყმურობისა და, «რუსსკაია მისლის» გამოთქმისა არ იყოს, მონობისა. ვერავითარი «რეფორმა» და ვერავითარი პოლიტიკური ცვლილება აქ ვერ გიშველით. აქ ლაპარაკია კლასის მიწათმფლობელობაზე, რომელიც ყოველ «პროგრესს» კუსებურ «პროგრესად» აქცევს, რომელიც გლეხთა მასას ფეხქვეშ გათელილ და «ბატონისადმი» მიჯაჭვულ მათხოვრებად აქცევს.

«მოხმარებითს» ან «წარმოებითს» ნორმაზე კი არ არის აქ ლაპარაკი (ყოველივე ეს ნაროდნიკული ჩმახვაა), და არც «მცირემიწიანობაზე» ანდა «მიწის მიზომვაზე», — აქ უნდა ვილაპარაკოთ იმ კლასობრივი ბატონყმური ჩაგვრის მოსპობაზე, რომელიც ხელს უშლის კაპიტალისტური ქვეყნის განვითარებას. ასე და მხოლოდ ასე შეგვიძლია მივიდეთ ცნობილი «თქმის» — შეგნებული რუსი მუშების «ვეშაპის» გაგებამდე.

«პუტ პრავდი» № 66,
1914 წ. 20 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია რუსეთში განუყრელად დაკავშირებულია დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის ისტორიასთან. ამიტომ, მხოლოდ მაშინ, თუ გვეცოდინება განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ეტაპები, შევძლებთ ნამდვილად გავიგოთ, რატომ მიდიოდა მუშათა ბეჭდვითი სიტყვის მომზადება და აღმოცენება ასეთი და არა სხვა რომელიმე გზით.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე.

თავადაზნაურული პერიოდის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ დეკაბრისტები და გერცენი. იმ ხანაში, ბატონყმობის დროს, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მუშათა კლასის გამოყოფაზე ყმა, უუფლებო, «დაბალი», «შავი» წოდების საერთო მასისაგან. მუშათა (პროლეტარულ-დემოკრატიული ან სოციალ-დემოკრატიული) ბეჭდვითი სიტყვის წინამორბედი იმ დროს იყო საერთო-დემოკრატიული, ცენზურას დაუქვემდებარებელი ბეჭდვითი სიტყვა გერცენის «კოლოკოლის» [68] მეთაურობით.

როგორც დეკაბრისტებმა გამოალვიძეს გერცენი, ისე გერცენმა და მისმა «კოლოკოლმა» გამოღვიძების გზაზე დააყენეს რაზნოჩინცები, ლიბერალური და დემოკრატიული ბურჟუაზიის განათლებული წარმომადგენელნი, რომელნიც ეკუთვნოდნენ არა თავადაზნაურობას, არამედ მოხელეობას, მეშჩანობას, ვაჭრებს, გლეხობას. ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში რაზნოჩინცების მიერ თავადაზნაურობა სრული ვანდეკვნის წინამორბედი ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს ბ. გ. ბელინსკი იყო. მისი ცნობილი «წერილი გოგოლისადმი» [69], რომელიც ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას აჯამებდა, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები იყო, რომელმაც დღემდეც უდიდესი, ცოცხალი მნიშვნელობა შეინარჩუნა.

ბატონყმობის გადავარდნამ წარმოშვა რაზნოჩინეცი, როგორც მთავარი, მასობრივი მოღვაწე საერთოდ განმათავისუფლებელი მოძრაობისაც და, კერძოდ, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვისაც. რაზნოჩინეცის თვალსაზრისის შესატყვისი გაბატონებული მიმართულება ნაროდნიკობა გახდა. მას არასოდეს არ შეეძლო, როგორც საზოგადოებრივ მიმდინარეობას, გამიჯნულიყო ლიბერალიზმისაგან მარჯვნით და ანარქიზმისაგან მარცხნით. მაგრამ ჩერნიშევსკიმ, რომელმაც გერცენის შემდეგ ნაროდნიკული შეხედულებანი განავითარა, უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ გერცენთან შედარებით. ჩერნიშევსკი გაცილებით უფრო თანამიმდევარი და მებრძოლი დემოკრატი იყო. მის თხზულებებს კლასობრივი ბრძოლის სული დასტრიალებს. იგი მკვეთრად ატარებდა ლიბერალიზმის ღალატის მხილებათა იმ ხაზს, რომელიც დღემდე სძაგთ კადეტებსა და ლიკვიდატორებს. იგი კაპიტალიზმის შესანიშნავი ღრმა კრიტიკოსი იყო, მიუხედავად თავისი უტოპიური სოციალიზმისა.

60-იანი და 70-იანი წლების ეპოქამ იცის საბრძოლო დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური შინაარსის მთელი რიგი უცენზუროდ გამოსული ბეჭდვითი ნაწარმოებნი, რომლებმაც უკვე «მასებში» იწყეს გავრცელება. ხოლო იმ

ეპოქის მოღვაწეთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ მუშებს პეტრე ალექსეევს, სტეფანე ხალტურინს და სხვ.. მაგრამ ნაროდნიკობის საერთო მდინარებას პროლეტარულ-დემოკრატიული ნაკადი ვერ გამოეყოფოდა. მისი გამოყოფა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც იდეურად ჩამოყალიბდა რუსული მარქსიზმის მიმართულება (ჯგუფი «შრომის განთავისუფლება», 1883 წ.) და დაიწყო განუწყვეტელი მუშათა მოძრაობა სოციალ-დემოკრატიასთან დაკავშირებით (პეტერბურგის გაფიცვები 1895 — 1896 წლებში).

მაგრამ ვიდრე გადავიდოდეთ ამ ეპოქაზე, რომლიდანაც საკუთრივ იწყება მუშათა ბეჭდვითი სიტყვა რუსეთში, მოვიყვანთ მონაცემებს, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ სამი აღნიშნული ისტორიული პერიოდის მოძრაობათა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ განსხვავებას. ესაა მონაცემები წოდებისა და მოსაქმეობის (კლასების) მიხედვით იმ პირთა განაწილების შესახებ, რომელნიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი სახელმწიფო (პოლიტიკური) დანაშაულისათვის *. ასეთ 100 კაცზე მოდიოდა:

	თავადაზნაურნი	მეწჩანები და გლეხები	გლეხები	მუშები	ინტელიგენტები
1827 — 1846 წწ.....	76	23	?	?	?
1884 — 1890 »	30,6	46,6	7,1	15,1	73,2
1901 — 1903 »	10,7	80,9	9,0	46,1	36,7
1905 — 1908 »	9,1	87,7	24,2	47,4	28,4

თავადაზნაურულ, ბატონყმურ პერიოდში (1827 — 1846) თავადაზნაურნი, რომელნიც მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ, «პოლიტიკურების» უდიდეს უმრავლესობას იძლევიან (76%). ნაროდნიკულ, რაზნრჩინცულ პერიოდში (1884 — 1890 წწ.; 60-იანი და 70-იანი წლების შესახებ, სამწუხაროდ, ამგვარი მონაცემები არ მოგვეპოვება) თავადაზნაურები მეორე რიგში დგებიან, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც დიდ პროცენტს გვიჩვენებენ (30,6%). ინტელიგენცია იძლევა დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეთა უდიდეს უმრავლესობას (73,2%).

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 387 — 390. რ ე დ.

1901 — 1903 წწ. პერიოდი, სწორედ პირველი პოლიტიკური მარქსისტული გაზეთის, ძ ვ ე ლ ი «ისკრის» პერიოდი, გვიჩვენებს უკვე მუშების ს ი ჭ ა რ ბ ე ს (46,1%) ინტელიგენციაზე (36,7%) მოძრაობის სრული დემოკრატიზაციის პირობებში (10,7% თავადაზნაურნი და 80,9% «არაპრივილეგიურნი»).

აქ წინასწარ აღვნიშნავთ, რომ პირველი მასობრივი მოძრაობის პერიოდი (1905 — 1908) ცვლილებას გვიჩვენებს მ ხ ო ლ ო დ გლეხობის მიერ (24,2% წინააღმდეგ 9,0%-ისა) ინტელიგენციის (28,4% წინააღმდეგ 36,7%-ისა) განდევნის სახით.

სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელი რუსეთში არის «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, რომელიც აღმოცენდა საზღვარგარეთ 1883 წელს. ამ ჯგუფის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებიც უცენზუროდ იბეჭდებოდა საზღვარგარეთ, პირველად იყო გადმოცემული სისტემატურად და ყველა პრაქტიკული დასკვნით მარქსიზმის იდეები, რა იდეებიც, როგორც მთელი მსოფლიოს გამოცდილებამ გვიჩვენა, ერთადერთნი გამოხატავენ სწორად მუშათა მოძრაობის დედაარსს და მის ამოცანებს. 12 წლის განმავლობაში, 1883 წლიდან 1895 წლამდე, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ცდა რუსეთში ს.-დ. მუშათა ბეჭდვითი სიტყვის შექმნისა იყო ს.-დ. გაზეთის «რაბოჩის» გამოცემა პეტერბურგში 1885 წელს, რასაკვირველია, უცენზუროდ, მაგრამ ეს გაზეთი მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. მუშათა მასობრივი მოძრაობის არარსებობის გამო მუშათა ბეჭდვითი სიტყვა მოკლებული იყო ფართო განვითარების შესაძლებლობას.

1895 — 1896 წლიდან, პეტერბურგის ცნობილი გაფიცვების დროიდან, იწყება მუშათა მასობრივი მოძრაობა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობით. სწორედ ეს დრო არის, ნამდვილი მნიშვნელობით, რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენების დრო. მუშათა ბეჭდვითი სიტყვის მთავარი ნაწარმოებები მაშინ იყო უცენზუროდ გამოცემული ფურც-

ლები, მეტწილად არა ნაბეჭდი, არამედ ჰექტოგრაფიული, და მათ უძღვნიდნენ «ეკონომიურ» (აგრეთვე არაეკონომიურ) აგიტაციას, ე. ი. სხვადასხვა ფაბრიკისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის მუშების საჭიროებათა და მოთხოვნათა გადმოცემას. თავისთავად ცხადია, მოწინავე მუშებს რომ ასეთი ლიტერატურის შედგენასა და გავრცელებაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ, ეს ლიტერატურა ვერ იარსებებდა. პეტერბურგელ მუშათაგან, რომელნიც იმ დროს მუშაობდნენ, შეიძლება დავასახელოთ ვასილ ანდრიას-ძე შელგუნოვი, რომელიც ბოლოს დაბრმავდა და წინანდებური აქტივობით მოქმედების შესაძლებლობა წაერთვა, და ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი, მხურვალე «ისკრელი» (1900 — 1903) და «ბოლშევიკი» (1903 — 1905), რომელიც ციმბირის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის დახვრეტილ იქნა 1905 წლის გასულს თუ 1906 წლის დამდეგს.

ფურცლებს სცემდნენ ს.-დ. ჯგუფები, წრეები და ორგანიზაციები, რომლებიც 1895 წლის დასასრულიდან მეტწილად «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლი კავშირების» სახელწოდებას იღებდნენ. 1898 წელს სწორედ ადგილობრივი ს.-დ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობამ დააარსა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია».

ფურცლებს მოჰყვა უცენზუროდ გამოცემული მუშათა გაზეთები, — მაგ., ს.-პეტერბურგში 1897 წელს «სპბ. რაბოჩი ლისტოკ»[70] და იქვე «რაბოჩაია მისლ», რომელიც მალე საზღვარგარეთ იქნა გადატანილი. ადგილობრივი ს.-დ. გაზეთები ამ დროიდან თითქმის განუწყვეტლივ არსებობენ რევოლუციამდე, უცენზუროდ; რასაკვირველია, ამ გაზეთებს მუდამ არბევდნენ, მაგრამ ისინი კვლავ და კვლავ ჩნდებოდნენ რუსეთის ყველა კუთხეში.

ერთად აღებული მუშათა ფურცლები და ს.-დ. გაზეთები იმ დროისა, ე. ი. 20 წლის წინათ, ახლანდელი მუშათა ბეჭდვითი სიტყვის პირდაპირი და უშუალო წინამორბედნი არიან: ივიეე საფაბრიკო «მხილებანი», იგივე ქრონიკა «ეკო-

ნომიური» ბრძოლისა, იგივე პრინციპული გაშუქება მუშათა მოძრაობის ამოცანებისა მარქსიზმის და თანამიმდევრული დემოკრატიზმის თვალსაზრისით, — ბოლოს, ი გ ი ვ ე ო რ ი ძ ი რ ი თ ა დ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, მარქსისტული და ოპორტუნისტული, მუშათა ბეჭდვითს სიტყვაში.

შესანიშნავი ფაქტი, რომელიც დღემდე სრულიადაც არაა საკმარისად შეფასებული: აღმოცენდა თუ არა რუსეთში მუშათა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობა (1895 — 1896 წწ.), მაშინვე გაჩნდა დანაწილება მარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმართულებებად, — დანაწილება, რომელიც იცვლის ფორმას, სახეს და სხვ., მაგრამ არსებითად იგივე რჩება 1894 წლიდან 1914 წლამდე. ცხადია, არსებობს ღრმა სოციალური, კლასობრივი ფესვები სოციალ-დემოკრატებს შორის სწორედ ასეთი და არა სხვა რამ დანაწილებისა და შინაგანი ბრძოლისა.

ზემოხსენებული «რაბოჩაია მისლი» მაშინდელ ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ მიმართულებას, ეგრეთწოდებულ «ეკონომიზმს» გამოხატავდა. მუშათა მოძრაობის ადგილობრივ მოღვაწეთა დავაში ეს მიმართულება უკვე 1894 — 1895 წლებში გამოისახა. ხოლო საზღვარგარეთ, სადაც რუსი მუშების გამოღვიძებამ ს.-დ. ლიტერატურის უდიდესი აყვავება გამოიწვია უკვე 1896 წლიდან, «ეკონომისტების» გაჩენა და შეკავშირება დამთავრდა გათიშვით 1900 წლის გაზაფხულზე (ე. ი. «ისკრის» დაარსებამდე, რომლის პირველი ნომერი 1900 წლის მიწურულში გამოვიდა).

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია ოცი წლის განმავლობაში, 1894 — 1914 წწ., არის ისტორია ორი მიმართულებისა რუსულ მარქსიზმში და რუსულ (უფრო სწორად: რუსეთის) სოციალ-დემოკრატიაში. რომ გ ა ვ ი გ ო თ რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია, უნდა ვიცოდეთ არა მარტო და არა იმდენად სხვადასხვა ბეჭდვითი ორგანოს სახელწოდებანი, რომელნიც თანამედროვე მკითხველს არაფერს ეუბნებიან და მას მხოლოდ თავგზას უბნევენ, არამედ

სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვა ნაწილთა შ ი ნ ა ა რ ს ი, ხასიათი, იდეური ხაზი.

«ეკონომისტების» მთავარი ორგანოები იყვნენ «რაბოჩაია მისლ» (1897 — 1900) და «რაბოჩეე დელო» (1898 — 1901). «რაბ. დელოს» სათავეში იდგნენ ბ. კრიჩევსკი, რომელიც შემდეგში სინდიკალისტებს მიემხრო, ა. მარტინოვი, თვალსაჩინო მენშევიკი და ამჟამად ლიკვიდატორი, და აკიმოვი, ახლა «დამოუკიდებელი ს.-დ.», რომელიც ყოველივე არსებითში ლიკვიდატორებს ეთანხმება.

ეკონომისტების წინააღმდეგ ჯერ მხოლოდ პლეხანოვი და მთელი «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი (ჟურნალი «რაბოტნიკ» და სხვ.) იბრძოდა, შემდეგ კი — «ისკრა» (1900 წლიდან 1903 წ. აგვისტომდე, რსდმ პარტიის II ყრილობამდე). რაში მდგომარეობდა «ეკონომიზმის» დედაარსი?

«ეკონომისტები» სიტყვით განსაკუთრებით ენერგიულად იცავდნენ მუშათა მოძრაობის მასობრივ ხასიათს და მუშების თვითმოქმედებას, თანაც დაჟინებით აღნიშნავდნენ «ეკონომიური» აგიტაციის პირველხარისხოვან მნიშვნელობას და ზომიერებისა თუ თანდათანობის საჭიროებას პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის საქმეში. როგორც მკითხველი ხედავს, ეს იგივე სანუკვარი სიტყვებია, რომლებითაც ლიკვიდატორებიც კოპწიაობენ. საქმით კი «ეკონომისტები» ატარებდნენ მუშათა ლიბერალურ პოლიტიკას, რომლის არსი «ეკონომიზმის» ერთ-ერთმა მაშინდელმა ბელადმა, ბ-მა ს. ნ. პროკოპოვიჩმა, მოკლედ გამოხატა: «მუშებს — ეკონომიური, ლიბერალებს — პოლიტიკური ბრძოლაო». საქმით «ეკონომისტები», რომლებიც ყველაზე მეტად გაჰყვიროდნენ მუშათა თვითმოქმედებასა და მასობრივ მოძრაობაზე, წარმოადგენდნენ ოპორტუნისტულ, მეშჩანურ-ინტელიგენტურ ფრთას მუშათა მოძრაობაში.

უდიდესი უმრავლესობა შეგნებული მუშებისა, რომლებიც უკვე 1901 — 1903 წლებში სახელმწიფო დანაშაულისათვის სამართალში მიცემულ 100 კაცზე 46 კაცს იძლეოდნენ, წინააღმდეგ 37 ინტელიგენტისა, დადგ ა ძ ვ ე ლ ი «ისკრის» მხა-

რეზე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. «ისკრის» სამი წლის (1901 — 1903) მოღვაწეობამ გამოიმუშავა ს.-დ. პარტიის პროგრამაც, მისი ტაქტიკის საფუძვლებიც და თანამიმდევრული მარქსიზმის საფუძველზე მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის შეერთების ფორმებიც. «ისკრის» გარშემო და მისი იდეური ხელმძღვანელობით მუშათა ბეჭდვითი სიტყვა რევოლუციისწინა წლებში უდიდესი მასშტაბით გაიზარდა. უცენზუროდ გამოცემული ფურცლებისა და ნებადაურთველი სტამბების რაოდენობა მეტად დიდი იყო და სწრაფად იზრდებოდა რუსეთის ყველა კუთხეში.

«ისკრის» სრულმა გამარჯვებამ «ეკონომიზმზე», პროლეტარულ-თანამიმდევრული ტაქტიკის გამარჯვებამ ოპორტუნისტულ-ინტელიგენტურ ტაქტიკაზე 1903 წელს, გამოიწვია სოციალ-დემოკრატიის «თანამგზავრების» ახალი, გაძლიერებული მოზღვავება მის რიგებში, და ოპორტუნიზმი აღდგა ისკრელობის ნიადაგზე, როგორც მისი ნაწილი, «მენშევიზმის» სახით.

მენშევიზმი შეიქმნა რსდმ პარტიის II ყრილობაზე (1903 წ. აგვისტო) «ისკრელების» უმცირესობისაგან (აქედანაა სახელწოდებაც — მენშევიზმი) და «ისკრის» ყველა ოპორტუნისტი მოწინააღმდეგისაგან. «მენშევიკები» შებრუნდნენ უკან «ეკონომიზმისაკენ», რა თქმა უნდა, რამდენადმე განახლებული ფორმით; ყველა იმ «ეკონომისტებმა», რომლებიც მოძრაობაში დარჩნენ, გაავსეს, ა. მარტინოვის მეთაურობით, «მენშევიკების» რიგები.

«მენშევიზმის» მთავარი ორგანო გახდა ახალი «ისკრა», რომელიც 1903 წლის ნოემბრიდან შეცვლილი რედაქციით გამოდიოდა: «ძველ და ახალ «ისკრას» შორის უფსკრული ძევსო» — გულახდილად განაცხადა მაშინდელმა თავგამოდებულმა მენშევიკმა ტროცკიმ. «ბოლშევიკების» მთავარი ორგანოები, რომლებიც თანამიმდევრული მარქსიზმის, ძველი «ისკრისადმი» ერთგულ ტაქტიკას იცავდნენ, იყო «ვპერიოდი» და «პროლეტარი» [71] (1905 წ.).

სოციალ-დემოკრატიაში და მუშათა ბეჭდვითს სიტყვაში არსებული ორივე მთავარი მიმართულების, მენშევიკურისა და ბოლშევიკურის, შემოწმებას, მასებთან ნამდვილი კავშირისა და პროლეტარული მასების ტაქტიკის გამოხატულების თვალსაზრისით, წარმოადგენდნენ რევოლუციის წლები, 1905 — 1907 წწ.. აშკარა ს.-დ. ბეჭდვითი სიტყვა ერთბაშად ვერ აღმოცენდებოდა ცხრაას ხუთი წლის შემოდგომაზე, რომ მოწინავე მუშების მოქმედებას, მასებთან მჭიდროდ დაკავშირებულს, ნიადაგი არ მოეძზადებინა ასეთი ბეჭდვითი სიტყვისათვის. და თუ აშკარა ს.-დ. ბეჭდვითი სიტყვა როგორც 1905, ისე 1906 და 1907 წლებისა — ო რ ი მიმართულების და ორი ფრაქციის ბეჭდვითი სიტყვა იყო, ეს თავის მხრივ სხვანაირად არ შეიძლება იქნას ახსნილი, თუ არ წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული ხაზის განსხვავებით იმ ეპოქის მუშათა მოძრაობაში.

მუშათა აშკარა ბეჭდვითი სიტყვა ჩნდებოდა აღმავლობისა და შედარებითი «თავისუფლების» სამივე პერიოდში: 1905 წლის შემოდგომაზეც (ბოლშევიკების «ნოვაია ჟიზნ» [72], მენშევიკების «ნაჩალო» [73] — ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ მთავარ ორგანოებს სხვა მრავალრიცხოვან ორგანოთაგან), 1906 წლის გაზაფხულზეც («ვოლნა», «ეხო» [74] და სხვ. — ბოლშევიკებისა, «ნაროდნაია დუმა» [75] და სხვ. — მენშევიკებისა) და 1907 წლის გაზაფხულზეც.

იმ ეპოქის მენშევიკური ტაქტიკის დედაარსი თვით ლ. მარტოვმა ამას წინათ შემდეგი სიტყვებით გამოხატა: «პროლეტარიატისათვის მენშევიზმი ამ კრიზისში ნაყოფიერი მონაწილეობის სხვა რამ შესაძლებლობას ვერ ხედავდა, გარდა ბურჟუაზიულ-ლიბერალური დემოკრატიისათვის ხელის შეწყობისა მის ცდებში — სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ჩამოეცილებინა შეძლებულ კლასთა რეაქციული ნაწილი, — თუმცა ეს ხელის შეწყობა პროლეტარიატს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებით უნდა განეხორციელებინა» (რუბაკინის «წიგნთა შორის», ტ. II, გვ. 772). აი

ლიბერალებისათვის «ხელის შეწყობის» ეს ტაქტიკა ნიშნავდა საქმით მუშების დ ა მ ო კ ი დ ებ უ ლ ე ბ ა ს მათგან, ნამდვილად იგი მუშათა ლიბერალურ პოლიტიკას წარმოადგენდა. პირიქით, ბოლშევიზმის ტაქტიკა უზრუნველყოფდა პროლეტარიატის დამოუკიდებლობას ბურჟუაზიულ კრიზისში — ამ კრიზისის ბოლომდე მიყვანისათვის ბრძოლით, ლიბერალიზმის ღალატის მხილებით, ამ ღალატის საპირისპიროდ წვრილი ბურჟუაზიის (განსაკუთრებით სოფლის ბურჟუაზიის) განათლებითა და შეკავშირებით.

ცნობილია — და თვით მენშევიკებმა, მათ შორის ახლანდელმა ლიკვიდატორებმაც, კოლცოვმა, ლევიცკიმ და სხვ. მრავალჯერ აღიარეს ეს, — რომ ამ წლებში (1905 — 1907) მუშათა მასები ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ. ბოლშევიზმმა გამოხატა მოძრაობის პროლეტარული დედაარსი, მენშევიზმმა — მისი ოპორტუნისტული, მეშჩანურ-ინტელიგენტური ფრთა.

ჩვენ არ შეგვიძლია აქ უფრო დაწვრილებით დავახასიათოთ მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ორივე მიმართულების ტაქტიკის შინაარსი და მნიშვნელობა. უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ზუსტად დავადგინოთ ძირითადი ფაქტები, გამოვარკვიოთ ისტორიული განვითარების მთავარი ხაზები.

მუშათა ბეჭდვითს სიტყვას რუსეთში თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს — ჯერ მოსამზადებელი, ე. ი. ისტორია. ა რ ა მუშური, ა რ ა პროლეტარული, არამედ «საერთოდემოკრატიული», ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობისა, — ხოლო შემდეგ — თავისი საკუთარი, ოცწლიანი ისტორია პროლეტარული მოძრაობისა, პროლეტარული დემოკრატიისა ანუ სოციალ-დემოკრატიისა.

არსად მსოფლიოში პროლეტარული მოძრაობა არ წარმოშობილა და არც შეიძლებოდა წარმოშობილიყო «ერთბაშად», წმინდა კლასობრივი სახით, არ შეიძლებოდა გაჩენილიყო ქვეყნად მზამზარეული სახით, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან. მხოლოდ თვით მოწინავე მუშების, ყველა შეგნე-

ბული მუშის ხანგრძლივი ბრძოლით და მძიმე შრომით ხერხდებოდა პროლეტარული კლასობრივი მოძრაობის გამოყოფა და განმტკიცება ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ ნარევთა, შეზღუდვათა, სივიწროვეთა და დამახინჯებათაგან. მუშათა კლასი ცხოვრობს წვრილი ბურჟუაზიის გვერდით, რომელიც ნადგურდება და სულ ახალ-ახალ ძალებს ჰმატებს პროლეტარიატის რიგებს. ხოლო რუსეთი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე წვრილბურჟუაზიული, ყველაზე მეშჩანური ქვეყანაა, და მხოლოდ ახლა განიცდის იგი ბურჟუაზიული რევოლუციების იმ ეპოქას, რომლითაც, მაგ., ინგლისში XVII საუკუნეა აღნიშნული, ხოლო საფრანგეთში XVIII საუკუნე და XIX საუკუნის პირველი ნახევარი.

შეგნებული მუშა, რომელიც ახლა ხელს ჰკიდებს თავის იმ ღვიძლ, სასიცოცხლო საქმეს, რომ გაუძღვეს მუშათა ბეჭდვითს სიტყვას, ფეხზე დააყენოს იგი, განამტკიცოს და განავითაროს იგი, არ დაივიწყებს მარქსიზმისა და ს.-დ. ბეჭდვითი სიტყვის ოცწლიან ისტორიას რუსეთში.

ცუდ სამსახურს უწევენ მუშათა მოძრაობას ის სუსტნერვებიანი ინტელიგენტი მეგობრები, რომლებიც თავიდან იშორებენ შინაგან ბრძოლას ს.-დ. წრეში და ჰაერს ავსებენ ძახილით და მოწოდებით — ეს ბრძოლა თავიდან მოიშორეთო. კეთილი, მაგრამ ქარაფშუტა ადამიანები არიან ისინი, და მათი ძახილიც ფუჭია.

მხოლოდ იმ გზით, თუ შეისწავლიან ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მარქსიზმის ბრძოლის ისტორიას, თუ საფუძვლიანად და დაწვრილებით გაეცნობიან დამოუკიდებელი პროლეტარული დემოკრატიის გამოყოფას წვრილბურჟუაზიული დომხალისაგან, მხოლოდ ამ გზით განამტკიცებენ საბოლოოდ თავიანთ შეგნებას და თავიანთ მუშურ ბეჭდვითს სიტყვას მოწინავე მუშები.

«რაბოჩი» № 1,
1914 წ. 22 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «რაბოჩის»
ტექსტის მიხედვით

რას არ უნდა წავბაძოთ გერმანიის მუშათა მოძრაობაში

ამას წინათ გერმანიის პროფესიული კავშირების ერთ-ერთმა მეტად თვალსაჩინო და პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა კ. ლეგინმა ამერიკაში თავისი მოგზაურობის ანგარიში გამოსცა საკმაოდ დიდტანიანი წიგნის სახით; ამ წიგნს ეწოდება: «ამერიკის მუშათა მოძრაობიდან».

როგორც უთვალსაჩინოესმა წარმომადგენელმა არა მარტო გერმანიის, არამედ საერთაშორისო პროფესიული მოძრაობისაც, კ. ლეგინმა თავისი მოგზაურობა განსაკუთრებული, ასე ვთქვათ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელოვანებით შემოსა. ამ მოგზაურობის შესახებ იგი წლობით აწარმოებდა მოლაპარაკებას ამერიკის სოციალისტურ პარტიასთანაც და «მუშათა კლასის ამერიკულ ფედერაციასთანაც» (American Federation of Labor) [76], პროფესიული ორგანიზაციების იმ კავშირთან, რომელსაც სახელგანთქმული (სავალალოდ სახელგანთქმული) ჰომპერსი ხელმძღვანელობს. როდესაც გამოირკვა, რომ ამერიკაში კარლ ლიბკნეხტი მიემგზავრება, ლეგინმა არ ისურვა მასთან ერთსა და იმავე დროს მგზავრობა, «რათა შეერთებულ შტატებში იმავდროულად არ გამოსულიყო ორი ორატორი, რომელთა შეხედულებანი პარტიის ტაქტიკაზე და მუშათა მოძრაობის ცალკეულ დარგთა მნიშვნელობასა და ღირებულებაზე არც თუ სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს».

მასალა ამერიკაში პროფესიული მოძრაობის შესახებ კ. ლეგინს უამრავი შეუგროვებია, მაგრამ სრულებით ვერ

შესძლო მისი დამუშავება თავის წიგნში, რომელიც მეტწილად ნაგვითაა სავსე: ესაა მოგზაურობის ნაწყვეტ-ნაწყვეტი აღწერა, ფელეტონური თავისი შინაარსით და ფელეტონურზე უარესი — თავისი მოსაწყენი გადმოცემით. ამერიკის პროფესიული კავშირების წესდებებიც კი, რაც ლენინს განსაკუთრებით აინტერესებდა, შესწავლილი, დამუშავებული როდია, არამედ მხოლოდ თარგმნილია — უსისტემოდ და არასრულად.

ერთი ეპიზოდი ლენინის მოგზაურობიდან მეტისმეტად საგულისხმოა და შესანიშნავად მკაფიოდ ამჟღავნებს მსოფლიო, განსაკუთრებით კი გერმანიის მუშათა მოძრაობის ო რ ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა ს.

ლენინმა ინახულა შეერთებული შტატების დეპუტატთა პალატა, ეგრეთწოდებული «კონგრესი». რესპუბლიკის დემოკრატიულმა წესებმა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს ადამიანზე, რომელიც პრუსიის პოლიციურ სახელმწიფოშია აღზრდილი, და იგი გასაგები სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამერიკაში სახელმწიფო თვითეულ დეპუტატს აძლევს არა მარტო ცალკე ოთახს, ყოველგვარი უახლესი კომფორტით მოწყობილს, არამედ ჯამაგირიან მდივანსაც დეპუტატის უამრავი სამუშაოს შესასრულებლად. პალატის დეპუტატებისა და პრეზიდენტის უბრალო და ბუნებრივი ქცევა-მოპყრობა მკვეთრად განსხვავდებოდა იმისაგან, რაც ლენინს ევროპის სხვა პარლამენტებში და განსაკუთრებით გერმანიაში უნახავს. ევროპაში სოციალ-დემოკრატს ფიქრიც კი არ შეეძლო იმზე, რომ ბურჟუაზიული პარლამენტისათვის მის ოფიციალურ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვა ეთქვა! ამერიკაში კი ეს ძალიან მარტივად მოხდა, და სოციალ-დემოკრატის სახელწოდებას არავინ შეუშინებია... გარდა თ ვ ი თ ა მ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ს ა!

აი სწორედ აქ გამოჩნდა ამერიკული ბურჟუაზიული მანერა არამტკიცე სოციალისტების «რბილი მოპყრობით მოკვლისა» და გერმანული ოპორტუნისტული მანერა «რბილი», თა-

ვაზიანი და დემოკრატიული ბურჟუაზიის საამებლად სოციალიზმზე ხელის აღებისა.

ლეგინის მისასალმებელი სიტყვა ინგლისურ ენაზე იქნა გადათარგმნილი (დემოკრატიას სრულიადაც არ შეჰშინებია «უცხო» ენისა თავის პარლამენტში), 200-ზე მეტმა დეპუტატმა რიგ-რიგად ხელი ჩამოართვა ლეგინს, როგორც რესპუბლიკის «სტუმარს»; პალატის პრეზიდენტმა საგანგებოდ გადაუხადა მას მადლობა.

«ჩემი მისასალმებელი სიტყვის ფორმასა და შინაარსს — წერს ლეგინი — თანაგრძნობით შეხვდა როგორც შეერთებული შტატების, ისე გერმანიის სოციალისტური პრესა. მაგრამ ზოგიერთმა რედაქტორმა გერმანიაში თავი ვერ შეიკავა, რომ არ აღენიშნა, თითქოს ჩემი სიტყვა ხელახლა ამტკიცებდეს, თუ რა განუხორციელებელია სოციალ-დემოკრატისათვის ბურჟუაზიული აუდიტორიის წინაშე სოციალ-დემოკრატიული სიტყვის წარმოთქმის ამოცანა. აი ისინი, ეს რედაქტორები, ჩემს ადგილას, ალბათ, სიტყვას წარმოთქვამდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ და მასობრივი გაფიცვის სასარგებლოდ, მაშინ როდესაც მე საჭიროდ მივიჩნიე ხაზგასმით აღმენიშნა ამ პარლამენტის წინაშე, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატ და პროფესიულ კავშირებში დარაზმულ მუშებს მშვიდობა სურთ ხალხებს შორის და მშვიდობის საშუალებით სწადიათ კულტურის შემდგომი განვითარება უმაღლეს მისაღწევ საფეხურამდე».

საბრალო «რედაქტორები», როგორ მოსპო ისინი თავისი «სახელმწიფო კაცის» სიტყვით ჩვენმა ლეგინმა! გერმანიის მუშათა მოძრაობაში პროფესიული მოძრაობის ბელადების ოპორტუნიზმი საზოგადოდ, ლეგინისა კერძოდ და განსაკუთრებით, — დიდი ხნის ცნობილი ამბავია, და ამ ამბავს მრავალი შეგნებული მუშა სწორად აფასებს. მაგრამ ჩვენში, რუსეთში, სადაც ევროპული სოციალიზმის «ნიმუშზე» ძალიან ხშირად ლაპარაკობენ, ამასთან ამ «ნიმუშში» სწორედ ყველაზე უარეს, სწორედ უარყოფითს მხარეებს აირჩევენ ხოლმე, ზედმეტი არ იქნება ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ლეგინის სიტყვაზე.

გერმანელი პროფესიონალისტების, სახელდობრ სოციალ-დემოკრატიული პროფესიული კავშირების ორმილიონიანი

არმიის ბელადი, გერმანიის რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი, კაპიტალისტური ამერიკის წარმომადგენელთა უმაღლესი კრების წინაშე წმინდა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ სიტყვას ამბობს. რასაკვირველია, არც ერთი ლიბერალი, არც ერთი ოქტიაბრისტიც კი უარს არ იტყოდა ხელი მოეწერა სიტყვებისათვის «მშვიდობისა» და «კულტურის» შესახებ.

და როცა სოციალისტებმა გერმანიაში შენიშნეს, ეს სიტყვა სოციალ-დემოკრატიული არ არისო, კაპიტალის დაქირავებული მონების ამ «ბელადმა» სოციალისტებს უდიდესი ზიზღით გადახედა. «რედაქტორები» — რას წარმოადგენენ ისინი «საქმიანი პოლიტიკოსისა» და მუშათა გროშების შემგროვებლის გვერდით! რედაქტორების მიმართ ჩვენი მეშჩანური ნარცისი ისეთსავე ზიზღს გრძნობს, როგორსაც ერთ სახელმწიფოში პოლიციელი პომპადური მესამე ელემენტის მიმართ [77].

ისინი, «ეს რედაქტორები», ალბათ, სიტყვას წარმოთქვამდნენ «კაპიტალიზმის წინააღმდეგო».

ერთი დაუფიქრდით, რას დასცინის ეს ვითომ-სოციალისტი: იმას, რომ სოციალისტს შეიძლება თავში აზრად მოუვიდეს კაპიტალიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ სიტყვის თქმის აუცილებლობა. გერმანული ოპორტუნიზმის «სახელმწიფო კაცებს» ასეთი აზრი უსაზღვროდ ეუცხოვებათ: ისინი ისე ლაპარაკობენ, რომ ა რ შ ე ე ხ ო ნ «კაპიტალიზმს». და, თავს ირცხვენენ რა სოციალიზმის ამ ლაქიური უარყოფით, ისინი იკვეხნიან თავიანთი შერცხვენით.

ლეგინი ვიგინდარა როდია. იგი პროფესიულ კავშირთა არმიის ან, უკეთ, ამ არმიის ოფიცერთა კორპუსის წარმომადგენელია. მისი სიტყვა სრულიადაც არაა შემთხვევითი მოვლენა, სრულიადაც არაა წამონაცდენი, ასევე არც განცალკევებული გამოსვლაა, ანდა შეცდომა მიყრუებული ადგილის გერმანელი კანტორის მოხელისა, რომელიც შემკრთალა ამერიკის თავაზიან და პოლიციური გულზვიადობით დაუავადე-

ბელ კაპიტალისტთა წინაშე. ეს რომ მ ხ ო ლ ო დ ასე ყოფილიყო, ლეგინის სიტყვაზე შეჩერება არც ეღირებოდა.

მაგრამ ეს აშკარად არ არის ასე.

შტუტგარტის საერთაშორისო ყრილობაზე გერმანიის დელეგაციის ნახევარი სწორედ ასეთივე ვითომ-სოციალისტები აღმოჩნდა, და კოლონიურ საკითხში მათ არქიოპორტუნისტულ რეზოლუციას მისცეს ხმა[78].

აიღეთ გერმანული ჟურნალი «სოციალისტური (??) ყოველთვიური»[79], და თქვენ იქ დაინახავთ ლეგინის მსგავს მოღვაწეთა გამუდმებულ, ერთიანად ოპორტუნისტულ გამოსვლებს, რომელთაც ა რ ა ფ ე რ ი აქვთ საერთო სოციალიზმთან, გამოსვლებს, რომელნიც მუშათა მოძრაობის ყ ვ ე ლ ა უმნიშვნელოვანეს საკითხს ეხებიან.

და თუ «ოფიციალური» გერმანული პარტიის «ოფიციალური» ახსნა-განმარტება იმაში მდგომარეობს, რომ «სოციალისტურ ყოველთვიურს» «არავინ კითხულობს», რომ მას გავლენა არა აქვსო და სხვ., ეს მ ა რ თ ა ლ ი ა რ ა რ ი ს. შტუტგარტის «შემთხვევამ» დაამტკიცა, რომ ეს მართალი არ არის. უთვალსაჩინოესი და პასუხისმგებელი მოღვაწეები, პარლამენტარები, პროფესიული კავშირების ბელადები, რომლებიც «სოციალისტურ ყოველთვიურში» წერენ, მუდმივ და განუხრელად ატარებენ მასაში თავიანთ შეხედულებას.

გერმანული პარტიის «კაზიონური ოპტიმიზმი» უკვე დიდი ხანია აღნიშნულია მის საკუთარ ბანაკში იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც ლეგინისაგან დაიმსახურეს დამამცირებელი (ბურჟუას თვალსაზრისით) და საპატიო (სოციალისტის თვალსაზრისით) მეტსახელი — «ეს რედაქტორები». და რაც უფრო ხშირად ცდილობენ რუსეთში ლიბერალები და ლიკვიდატორები (მათ შორის, რა თქმა უნდა, ტროცკიც) ჩ ვ ე ნ ს ნ ი ა დ ა გ ზ ე გ ა დ მ ო ი ტ ა ნ ო ნ ეს სანუკვარი თვისება, მით უფრო მედგარი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს ამას.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიას უდიდესი დამსახურება მიუძღვის. იმ ბრძოლის წყალობით, რომელსაც მარქსი ყოველგვარი ჰეხბერგების, დიურინგებისა და კომპ. წინააღმდეგ

აწარმოებდა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიას აქვს მტკიცედ შემუშავებული თეორია, და მის შემოვლას ან ოპორტუნისტულად შეკეთებას ამაოდ ცდილობენ ჩვენი ნაროდნიკები. მას აქვს მასობრივი ორგანიზაცია, გაზეთები, პროფესიული კავშირები, პოლიტიკური კავშირები, — სწორედ ის მასობრივი ორგანიზებულობა, რაც ასე ცხადლივ ყალიბდება ახლა ჩვენშიც მარქსისტ-პრავდელების საყოველთაო გამარჯვების სახით სათათბიროს არჩევნებშიც, ყოველდღიური პრესის დარგშიც, სადაზღვევო საბჭოს არჩევნებშიც და პროფესიულ კავშირებშიც. მუშების მიერ «პოსტებიდან მოხსნილი» ჩვენი ლიკვიდატორების ჭაპანწყვეტა — გვერდი აუარონ რუსეთის პირობებთან შეფარდებული ამ მასობრივი ორგანიზებულობის საკითხს რუსეთში, ისევე ამაოა და ისევე მხოლოდ ინტელიგენტურ გ ა მ ო თ ი შ ვ ა ს ნიშნავს მუშათა მოძრაობისაგან, როგორც ნაროდნიკების ჭაპანწყვეტაც.

მაგრამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დამსახურება დამსახურებას წარმოადგენს არა ისეთი სამარცხვინო სიტყვების გამო, როგორიცაა ლეგინის სიტყვა და «სოციალისტური ყოველთვიურის» თანამშრომელთა «სიტყვები» (პრესაში), არამედ მათდა მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ. გერმანიის პარტიის უეჭველი ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ა, რაც ასეთი ხასიათის მოვლენებში მეღავნდება, ჩვენ «კაზიონურ-ოპტიმისტური» ფრაზებით კი არ უნდა მივჩქმალოთ და დავხლართოთ, არამედ გამოვააშკარაოთ რუსი მუშების წინაშე, რათა ვისწავლოთ უფრო ძველი მოძრაობის გამოცდილებაზე, ვისწავლოთ, თუ რას არ უნდა წავაძოთ.

«პროსვეშჩენიე» № 4,
1914 წ. აპრილი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

წიგნის რეცენზია

ნ. ა. რუბაკინი. «Среди книг», том II (изд-тво «Наука»). М. 1913 г. Цена 4 руб. (изд. 2-ое)

უზარმაზარი 930-გვერდიანი ტომი დიდი ფორმატისა, მეტად მჭიდრო შრიფტით, ნაწილობრივ ორ სვეტად ნაბეჭდი, წარმოადგენს «რუსული წიგნადი სიმდიდრის მიმოხილვის ცდას მეცნიერულ-ფილოსოფიურ და ლიტერატურულ-საზოგადოებრივ იდეათა ისტორიასთან დაკავშირებით». ასეა აღნიშნული წიგნის ქვესათაურში.

განსახილველი მეორე ტომის შინაარსი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგს მოიცავს. აქ შედის, სხვათა შორის, სოციალიზმიც როგორც დასავლეთ ევროპისა, ისე რუსეთისაც. თქმა არ უნდა, ამგვარი ტიპის გამოცემა უდიდეს ინტერესს წარმოადგენს, და ავტორის გეგმა, საერთოდ და მთლიანად, საესებით სწორია. მართლაც, სხვაფრივ, თუ არ იდეათა ისტორიასთან დაკავშირებით, შეუძლებელია მოცემულ იქნას გონივრული «მიმოხილვა რუსული წიგნადი სიმდიდრისა» და «საცნობო დამხმარე წიგნი» თვითგანვითარებისა და ბიბლიოთეკებისათვის. აქ საჭიროა სწორედ «წინასწარი შენიშვნები» თვითეულ დარგზე (რასაც იძლევა კიდევაც ავტორი), საგნის ზოგად მიმოხილვასთან და თვითეული იდეური მიმდინარეობის ზუსტ განმარტებასთან ერთად, შემდეგ კი ამ დარგისა და თვითეული იდეური მიმდინარეობის შესახები ლიტერატურის სია.

ავტორსა და მის, წინასიტყვაობაში დასახელებულ, მრავალრიცხოვან თანამშრომლებს უდიდესი შრომა დაუხარჯავთ

და მეტისმეტად ძვირფასი საქმე წამოუწყიათ, რასაც სულით და გულით უნდა ვუსურვოთ ზრდა და სიღრმე-სიგანით განვითარება. განსაკუთრებით ისაა, სხვათა შორის, დასაფასებელი, რომ ავტორს არ გამოურიცხავს არც საზღვარგარეთული და არც აკრძალული გამოცემანი. ვერც ერთი კარგი ბიბლიოთეკა ვერ აუვლის გვერდს ბ-ნ რუბაკინის თხზულებას.

თხზულების ნაკლია ავტორის ეკლექტიზმი და ის, რომ განსაზღვრულ საკითხებში იგი არასაკმაოდ ფართოდ მიმართავს სპეციალისტებს თანამშრომლობისათვის (უკეთ, ამის გამოყენება მხოლოდ ეს-ესაა დაუწყია).

პირველი ნაკლი, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ავტორის კურიოზულ წინასწარწმენასთან «პოლემიკის» წინააღმდეგ. წინასიტყვაობაში ბ-ნი რუბაკინი აცხადებს: «არასოდეს ჩემს სიცოცხლეში არავითარ პოლემიკაში არ მიმიღია მონაწილეობა, რადგან ვფიქრობ, რომ უმრავლეს შემთხვევაში პოლემიკა ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია ყოველგვარ ადამიანურ ემოციათა საშუალებით ჭეშმარიტების გაბუნდოვანებისა». ავტორი, ჯერ-ერთი, ვერ მიმხვდარა იმას, რომ «ადამიანურ ემოციათა» გარეშე არ ყოფილა, არ არის და არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტების ადამიანური ძ ი ე ბ ა. მეორეც, ავტორს ავიწყდება, რომ მას სურს «იდეათა ისტორიის» მიმოხილვა მოგვცეს, იდეათა ისტორია კი არის იდეათა ცვლისა და, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, მათი ბ რ ძ ო ლ ი ს ისტორიაც.

ორში ერთი: ა ნ შეუგნებლად უნდა მოეკიდო იდეათა ბრძოლას—და მაშინ ცოტა საძნელოა მის ისტორიას მიჰყო ხელი (ამ ბრძოლაში მონაწილეობაზე რომ არა ვთქვათ რა); ა ნ დ ა უარი სთქვა პრეტენზიაზე — «არასოდეს არავითარ პოლემიკაში არ მიიღო მონაწილეობა». მე გადავშალე, მაგალითად, ბ-ნ რუბაკინის «წინასწარი შენიშვნები» პოლიტიკური ეკონომიის თეორიის შესახებ და მყისვე ვხედავ, რომ აღნიშნულ დილემას ავტორი თავს ართმევს, ჯერ-ერთი, დ ა ფ ა რ უ ლ ი პოლემიკის საშუალებით (პოლემიკის ისეთი სახე, რომელსაც პოლემიკის ყველა ნაკლი აქვს და არც ერთი

მისი დიდი ღირსება), მეორეც — ეკლექტიციზმის დაცვის საშუალებით.

ბოგდანოვის «მოკლე კურსის» გადმოცემისას ბ-ნი რუბაკინი «ნებას აძლევს თავს» აღნიშნოს «საინტერესო» ანალოგია «მარქსისტი» ავტორის ერთ-ერთი დასკვნისა «ნ. კ. მიხაილოვსკის პროგრესის ცნობილ ფორმულასთან» (გვ. 815)...

ო, ბ-ნი რუბაკინი, რომელსაც «არასოდეს თავის სიცოცხლეში არავითარ პოლემიკაში არ მიუღია მონაწილეობა»!..

ხოლო ერთი გვერდით ამაზე წინ ნაქებ-ნადიდებია «დინჯი მეცნიერულობა, ღრმა ანალიზი და უმნიშვნელოვანესი თეორიებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება»... როგორ ფიქრობთ, ვისი?.. სანიმუშო ეკლექტიკოს ბ-ნ ტუგან-ბარანოვსკისა!!.. ბ-ნი რუბაკინი თვითონვე იძულებულია აღიაროს, რომ ეს პროფესორი ცოტაოდნად მარქსიზმის მომხრეა, ცოტაოდნად ნაროდნიკობისა, ცოტაოდნად «საზღვრითი სარგებლიანობის თეორიისა», მაგრამ მას მაინც «სოციალისტს» უწოდებს!!! ასეთი საშინელი რამის დაწერა განა იმას არ ნიშნავს, რომ უცუდესი შესაძლებელი ფორმით ე წ ე ო დ ე პ ო ლ ე მ ი კ ა ს სოციალიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ?

ბ-ნ რუბაკინს ის 80-ზე მეტი ათასი ასო (ე. ი. მთელი ბროშურა), რაც მას პოლიტიკური ეკონომიის ლიტერატურის შესავალად დაუწერია, ოთხ ნაწილად რომ გაეყო და მათი დაწერა, ვთქვათ, შავრაზმელისა, ლიბერალისა, ნაროდნიკისა და მარქსისტისათვის დაევალებინა — ა შ კ ა რ ა პოლემიკა მაშინ მეტი იქნებოდა, და 1 000-დან 999 მკითხველი უფრო ადვილად და უფრო ჩქარა მიაგნებდა ჭეშმარიტებას.

ამგვარი ხერხი — თანამშრომლობისათვის «პოლემიკის» წარმომადგენლებისადმი მიმართვა — ბ-მა რუბაკინმა ბოლშევიზმისა და მენშევიზმის საკითხში განახორციელა: ნახევარ-ნახევარი გვერდი დაგვითმო მე * და ლ. მარტოვს. მე რაც შემეხება, ლ. მარტოვის გადმოცემით ფრიად კმაყოფილი ვარ, მაგალითად, მის მიერ იმის აღიარებით, რომ ლიკვიდა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 588 — 590. რ ე დ.

ტორობა ბოლოს და ბოლოს უდრის «მუშათა ღია პარტიის შექმნის» ცდას და «შერჩენილი იატაკქვეშა ორგანიზაციებისადმი უარყოფითს დამოკიდებულებას» (გვ. 771 — 772), ანდა ამის აღიარებით: «პროლეტარიატისათვის მენშევიზმი ამ კრიზისში» (ე. ი. 1905 წლის კრიზისში) «ნაყოფიერი მონაწილეობის სხვა რამ შესაძლებლობას ვერ ხედავდა, გარდა ბურჟუაზიულ-ლიბერალური დემოკრატიისათვის ხელის შეწყობისა მის ცდებში — საჰელმწიფო ხელისუფლებისაგან ჩამოეცილებინა შეძლებულ კლასთა რეაქციული ნაწილი, — თუმცა ეს ხელის შეწყობა პროლეტარიატს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებით უნდა განეხორციელებინა» (772).

როგორც კი დამოუკიდებლად იწყებს ბ-ნი რუბაკინი მენშევიზმის ნარკვევის განგრძობას, მაშინვე შეცდომა გამოუდის, მაგალითად, იმის მტკიცება, თითქოს აქსელროდი პლეხანოვთან ერთად ლიკვიდატორობას «ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ო დ ე ს» (772). განსაკუთრებულ დანაშაულად არ ვუთვლით რა ბ-ნ რუბაკინს ამგვარ შეცდომებს, რაც დასაწყისში აუცილებელია ასეთ მრავალმხრივს შეჯამებითს გამოცემაში, არ შეიძლება არ ვისურვოთ, რომ ავტორმა უფრო ხშირად გამოიყენოს ცოდნის ყ ვ ე ლ ა დარგში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლებისათვის მიმართვის მეთოდი. ამით მოიგებს ნაშრომის სიზუსტე და სისრულე, თან მისი ო ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ა ც; ამით წააგებს მხოლოდ ეკლექტიციზმი და დ ა ფ ა რ უ ლ ი პოლემიკა.

«პროსვეშჩენიე» № 4, 1914 წ. აპრილი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორობის განსაზღვრა

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, თუ რაოდენ დავასა და ბრძოლას იწვევს ლიკვიდატორობა თანამედროვე რუსეთის მუშათა მოძრაობაში. ჩვენ გამუდმებით აღვნიშნავდით იმას, რომ ვერც ერთი შეგნებული მუშა (განსაზღვრული აზრით კი შეიძლება კიდევაც ითქვას: ვერც ერთი შეგნებული დემოკრატი) იოლად ვერ წავა, თუ ნათლად და მკაფიოდ ვერ გაიგო ლიკვიდატორობა.

ამავე დროს კი «სეევერნაია რაბოჩაია» გაზეთასა» და «ნაშა ზარიაში» მოკალათებულ ჩვენს მოწინააღმდეგეებს არა თუ სრულად არ მოჰყავთ და თავიანთ მკითხველებს არ განუმარტავენ ოფიციალურ გადაწყვეტილებებს ლიკვიდატორობის საქმის დედაარსის შესახებ (მაგალითად, 1908 და 1910 წლების ტექსტის მიხედვით), არამედ ამაზე გაცილებით კიდევ უფრო ცუდსა და მავნე რამეს სჩადიან: ისინი ან სრულებით «უარყოფენ» ლიკვიდატორობას, ანდა 1910 წლის ერთხმივი გადაწყვეტილების ზუსტად გადმოცემის მაგივრად არევდარეული და საქმისათვის უადგილო ფრაზებით ცვლიან მას.

ამიტომ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია გამოვიყენოთ ის არაჩვეულებრივ იშვიათი შემთხვევა, როდესაც თვით ლ. მარტოვმა მოგვცა პრესაში ლიკვიდატორობის წარმოუდგენლად (ამ მწერლისათვის წარმოუდგენლად) ზუსტი და ნამდვილი განსაზღვრა თუ აღწერა.

ნ. რუბაკინის ცნობილი წიგნის «წიგნთა შორის» II ტომში (გამოცემა მე-2, მოსკოვი, 1913, გვ. 771) ვპოულობთ ბ-ნ რუბაკინის მიერ სრულიად უცვლელად გადმობეჭდილ წერილს ლ. მარტოვისას; ეს წერილი პასუხია ბ-ნ რუბაკინის თხოვნისა — «გადმოეცა მენშევიზმის დედაარსი და ისტორია». ლ. მარტოვი ამ წერილში სიტყვასიტყვით შემდეგსა წერს:

«საზოგადოებრივი მოძრაობის განადგურების შემდეგ მენშევიკების იმავე ტენდენციამ» (სახელდობრ ტენდენციამ — «საფუძველი ჩაჰყროდა ახალ პარტიულ მშენებლობას უფრო გარკვეული კლასობრივ-სოციალისტური მიმართულებით ანუ ახალი ბაზა მისცემოდა სოციალ-დემოკრატიას მისი ძირეული თვითრეფორმირებისათვის») «პარტიის ორგანიზაციული რეფორმირებისადმი — თავისი გამოხატულება პოვა გაძლიერებულ მოქმედებაში ყოველგვარი უპარტიო მუშათა ორგანიზაციების — პროფესიული კავშირების, თვითგანვითარების საზოგადოებათა (ნაწილობრივ კოოპერატივების) და სხვ. შესაქმნელად დ ა იმის ც დ ე ბ ში, რომ, ა მ ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ებ ზ ე დ ა ყ რ დ ნ ობ ი თ, შ ე ე ქ მ ნ ა თ მ უ შ ა თ ა ღ ი ა პ ა რ ტ ი ა ან მისი საორგანიზაციო ავანპოსტები (ამ ცდების მონაწილეებმა პოლემიკაში «ლეგალისტების» ანუ «ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს» სახელწოდება მიიღეს შ ე რ ჩ ე ნ ი ლ ი ი ა ტ ა კ ქ ვ ე შ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ი ს ა დ მ ი თ ა ვ ი ა ნ თ ი უ ა რ ყ ო ფ ი თ ი დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა მ ო)».

ესაა და ეს, რაც კი ლიკვიდატორობაზე თქვა მარტოვმა. ჩვენ აქ ხაზი გავუსვით უმთავრეს ადგილებს. არ შევჩერდებით იმ პატარა ტყუილზე, თითქოს მხოლოდ «პოლემიკაში» და მხოლოდ «ცდების მონაწილეებს» დაერქვათ ლიკვიდატორები; ნამდვილად 1908 წლის საერთო-მარქსისტულ, ოფიციალურ, ყველა მარქსისტისათვის სავალდებულო, გადაწყვეტილებაში ლაპარაკია ლიკვიდატორობაზე, როგორც განსაზღვრულ მიმდინარეობაზე. მაგრამ ეს შედარებით წვრილმანია.

ხოლო მთავარი და არსებითი ის არის, რომ ლ. მარტოვმა აქ ანაზდეულად იმის გაგება და ცოდნა გამოამჟღავნა, თუ რა არის ლიკვიდატორობა.

ცდა მუშათა ღია პარტიის შექმნისა და, თავისთავად ცხადია, ამ იდეის ქადაგება და დაცვა. უარყოფითი დამოკიდებულება «ძველი ტიპის» შენარჩუნებული (და, თავისთავად ცხადია, ახლად აღმოცენებული) ორგანიზაციებისადმი. აი რა არის საქმის დედაარსი, რის დახლართვას, დაბნელებასა და უარყოფას ათასჯერ ცდილან და ცდილობენ «ნაშა ზარია», «ლუჩი» და «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა».

მკითხველი, რომელიც მოყვანილი ფაქტების მნიშვნელობას ჩაუკვირდება, მიხვდება, თუ რატომაა, რომ «ერთიანობა-

ზე» ლიკვიდატორების მარტო ლაპარაკიც კი შეგნებულ მუშებში ან მღელვარე გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს, ანდა (განწყობილებისდა მიხედვით) მწარე დაცინვას. ვინაიდან სავსებით შესაძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ღია პარტიის იდეის მომხრე გულწრფელად და პატიოსნად უარყოფდეს «იატაკქვეშეთს», რახან ასეთია მისი რწმენა. მაგრამ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა წარმოვიდგინოთ «ერთიანობის» შესახებ გულწრფელი და პატიოსანი სიტყვები იმათ მხრივ, ვინც «ნაშა ზარიასა» ან «სევერნაია რაბოჩაია გაზეტაში» თანამშრომლობს. ამ ორგანოებში თანამშრომლობა ნიშნავს ს ა ქ მ ი თ ბრძოლას «იატაკქვეშეთის» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ღია პ ა რ ტ ი ი ს ა თ ვ ი ს, რომლის ქადაგებასა და დაცვასაც ისინი განაგრძობენ.

ამიტომ, როდესაც საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ 1913 წლის დეკემბერში მორიგ საკითხად დასვა რუსეთში ერთიანობის პირობათა გამორკვევის საკითხი, მაშინ როგორც პიტერის, ისე მოსკოვის ორგანიზებულმა მარქსისტებმა მყისვე და საჯაროდ თქვეს: პირველი და ძირითადი პირობაა გადაჭრით და უეჭველად უარისთქმა ლიკვიდატორობაზე, «ნაშა ზარიას» და «ლუჩის» ჯგუფის მ თ ე ლ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს სრული, ძირფესვიანი შეცვლაო. ლუჩისტებმა საჯაროდვე განაცხადეს (ფ. დ.-მაც და ლ. მ.-აც), თანახმანი არა ვართ ამისიო.

რახან ასეა, მაშინ ცხადია, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამ, თავის ლიბერალურ იდეებს ჩაჟინებულ, ჯგუფთან «ერთიანობაზე» ლაყბობენ, თავიანთ თავსაც ატყუებენ და სხვებსაც. შეგნებული მუშების უმრავლესობის ნამდვილი ერთიანობა უკვე ჩამოყალიბდა და შემდგომაც ჩამოყალიბდება მარქსისტულ გადაწყვეტილებათა და მარქსისტული მთელის ირგვლივ ამ გამთიშველი ჯგუფის წინააღმდეგ მჭიდროდ შეკავშირებით.

«პუტ პრავდი» № 73,
1914 წ. 29 აპრილი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»-
ტექსტის მიხედვით

ბოლოსიტყვაობა კრებულისა: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა»

ლიკვიდატორობის საკითხს უაღრესად არსებითი მნიშვნელობა აქვს რუსეთის არა მარტო მუშათა დემოკრატიისათვის, არამედ დემოკრატიისთვისაც საზოგადოდ. თუ ჩვენი დემოკრატიული პრესა ცდილობს გვერდი აუაროს ამ საკითხს ანდა გაკვრით შეეხოს მას, როგორც «კერძო დავას» მარქსისტებს შორის, ამით აშკარავდება მხოლოდ მისწრაფება — თავი აარიდონ თანამედროვე ეპოქის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ პრობლემათა შეფასებას. ვინაიდან ლიკვიდატორობის საკითხი სხვა არა არის რა, თუ არ ჩვენი სამი ივნისის სისტემის, უფრო ფართოდაც კი: საერთოდ ჩვენი კონტრრევოლუციის, მთლიანად შეფასების საკითხი, დემოკრატიის ძირითადი ამოცანებისა და მისი მოქმედების მეთოდების საკითხი.

ჯერ, მგონი, არც ერთი ადამიანი არ დაეჭვებულა იმაში, რომ რუსეთის ისტორიის უახლეს ეპოქას, დაახლოებით 1908 წლიდან, ახასიათებს არა მარტო რეაქციის მხრივ ყოველივე დემოკრატიულის დევნის უკიდურესი გაძლიერება, არამედ აგრეთვე უდიდესი იდეური რღვევა და დაშლა, რაც პროლეტარიატსაც შეეხო და ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა ელემენტსაც. მაგრამ თუ ამ აშკარა ფაქტს ყ ვ ე ლ ა აღიარებს, სამაგიეროდ მარტოოდენ მარქსისტებს დაუსახავთ პირდაპირი და ნათელი ამოცანა: ზუსტად გამოარკვიონ ამ რღვევისა და დაშლის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი წყაროები და კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი მნიშვნელობა. ამგვარი გამორკვევის გარეშე შეუძლებელია ტაქტიკის შეგნებულად არჩევა.

საზღვარგარეთულ მარქსისტულ პრესაშიც ამგვარ გამორკვევაზე მუშაობა 1908 წლიდანვე დაიწყო, ე. ი. დაშლის ფაქტის ნათელყოფისთანავე. მარქსისტებს ვერ შეეხებოდა ეს დაშლა, როგორც ეს ლიბერალებს მოუვიდათ, მაგრამ ისინი ვერც დაშლის სუბიექტურ დაგმობას დასჯერდებოდნენ, როგორც დასჯერდნენ ამას საუკეთესო (დემოკრატიულის მხრივ) ნაროდნიკებიც კი. საზოგადოებრივი მიმდინარეობანი საზოგადოებრივ-ეკონომიურ, ესე იგი კლასობრივ, ახსნას საჭიროებდნენ.

ჩვენ ვართ იმის მნახველნი, თუ როგორ გამოიმუშავა ბოლშევიკურმა პრესამ 1908 წლის დეკემბრისათვის პასუხი ლიკვიდატორობის რაობის საკითხზე, პასუხი, რომელიც საყოველთაოდ სავალდებულო პარტიული გადაწყვეტილებით იქნა მაშინ განმტკიცებული. 1909 წლის გაზაფხულზე კი მოხდა ფორმალური განხეთქილება ბოლშევიკებისა (მათი ხელმძღვანელი დაწესებულების სახით) ეგრეთწოდებულ «ვპერიოდელებთან» *, ოტზოვიზმის, ან მისი «კანონიერ სახესხვაობათა» რიცხვში დაშვების, წარმომადგენლებთან, «ღვთისმშენებლობისა» და მახიზმის რეაქციული ფილოსოფიის დამცველებთან **. ამ განხეთქილებამ დასახა ძირითადი ნიშნები «ლიკვიდატორობისა მარცხნივ», ანარქიზმისაკენ— მსგავსად იმისა, როგორც ლიკვიდატორობა მარჯვნივ, ანუ ლიკვიდატორობა ამ სიტყვის საკუთრივი მნიშვნელობით, შემობრუნება იყო ლიბერალიზმისაკენ.

1910 წლის იანვრისათვის თანამედროვე რღვევისა და დაშლის ეს, ცხრა მეათედად ბოლშევიკური საზღვარგარეთული პრესის მიერ მოხდენილი, მარქსისტული ანალიზი იმდენად იყო უკვე დამთავრებული, იმდენად უდავოდ იყო უკვე დადგენილი, რომ ყ ვ ე ლ ა მარქსისტთა, ყ ვ ე ლ ა მიმდინარეობათა წარმომადგენლების (რ ო გ ო რ ც ლიკვიდატორთა, ი ს ე «ვპერიოდელთა» მონაწილეობით) 1910 წლის

* ალექსინსკი, ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი, სტან. ვოლსკი და სხვ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 521 — 553. რ ე დ.

ცნობილ იანვრის გადაწყვეტილებებს როგორც ლიკვიდატორული, ისე ვპერიოდული «განხრა» ერთხმად უნდა ეღიარებინათ პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებად.

ამ მარქსისტული ანალიზისა და მარქსისტული გადაწყვეტილების საზოგადოებრივი მნიშვნელობა რომ შევაფასოთ, საკმარისია თვალი გადავავლოთ არა-მარქსისტულ მიმდინარეობებს. ლიბერალებში ჩვენ დავინახავთ «ვეხელთა» უკიდურეს ლიკვიდატორობას და დღემდე გამეფებულ უგზოუკვლობას იმ საკითხში, ლიკვიდირებულია თუ არა ცხრაას ხუთი წლის მეთოდები. მემარცხენე ნაროდნიკებში დავინახავთ უკიდურეს ლიკვიდატორულ გამოსვლებს, 1908 — 1911 წლების პარიზული გამოცემებით მოყოლებული, თვით გაურკვეველ-ლიკვიდატორულ «პოჩინამდე»[60], და «ზავეტი»-ში მოთავსებული ბბ. სავინკოვ-როპშინისა და ჩერნოვის ლიკვიდატორული სიტყვებით გათავებული. მეორე მხრივ კი, მემარცხენე ნაროდნიკების ოფიციალური «ოტზოვიზმი» კვლავინდებურად არღვევს და აუძლურებს ამ მიმართულებას.

მარქსისტული ანალიზის ობიექტური ჭეშმარიტება საზელდობრ იმით დადასტურდა, რომ ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, 1908 წლის შემდეგ, საზოგადოებრივი აზროვნების ყველა მოწინავე მიმდინარეობა მუდამ აწყდებოდა და დღემდეც კვლავ აწყდება სწორედ «ამ», ლიკვიდატორულ და ნაროდნიკულ, შეცდომებს, სწორედ «ამ» საკითხებს იმის შესახებ, რომ უნარი უნდა გქონდეს თავგამოდებით დაიცვა ძველ, ჯერ კიდევ გადაუჭრელ, ამოცანათა გადაწყვეტის ძველი მეთოდები, ახალ ვითარებაში ახალი ხერხებით ძალთა მომზადებასთან ერთად.

სამი ივნისის პერიოდის დასაწყისში მარქსისტული ანალიზი ააშკარავებდა თეორიულ გადახრებს ლიკვიდატორობისა და «ოტზოვიზმისაკენ». ამ პერიოდის დასასრულს ჩვენ ვხედავთ, რომ თვით ღია ასპარეზზედაც კი, ყველას თვალწინ,

რუსეთის შეგნებული მუშების უდიდესი უმრავლესობა მარქსისტების გარშემო შეკავშირდა, ხოლო ორივე ფ რ თ ა დემოკრატიული პრესისა, რომელიც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს პროლეტარიატზე, წვრილბურჟუაზიული ლიკვიდატორობისა და წვრილბურჟუაზიული ნაროდნიკობის მიერაა დაკავებული. ამ ცოტა ხნის წინათ მემარცხენე-ნაროდნიკული «სევერნაია მისლ» (№ 1) წერდა ბ-ნ ბრაინესის რიგიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში სადაზღვევო კამპანიის შესახებ:

«ბოიკოტისტური მიმდინარეობა შესამჩნევია მხოლოდ მეჩექმეებს შორის, სადაც ბოიკოტისტური ჯგუფები შეიქმნა. ბოიკოტისტური ჯგუფების მთავარი სულისჩამდგმელები, სამწუხაროდ, ნაროდნიკები არიან» (ციტირებულია 1913 წ. 20 დეკემბრის «პროლეტარსკაია პრავდაში» № 12, სტატია «ნაროდნიკობა და ლიკვიდატორობა როგორც დაშლის ელემენტები მუშათა მოძრაობაში» *).

იგივე გაზეთი გამოტყდა:

«მარქსისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამჟამად კავშირებში (პროფესიულში) ისინი დიდი გავლენით სარგებლობენ, ჩვენ კი, მემარცხენე ნაროდნიკები, იქ გარკვეული გეგმის უქონლად ვმოქმედებთ, ამიტომაც თითქმის არაფრით არ ვიჩენთ თავს» (ციტირებულია იქვე).

თეორიული უმწეობა მემარცხენე ნაროდნიკებისა, რომლებიც ევროპელ მეშჩანთა უახლეს ოპორტუნიზმს «მშრომელ» წვრილ მეპატრონეთა ჰეშმარიტ-რუსულ მეშჩანურ დაცვასთან აერთებენ, ბუნებრივად შევსებულია ტაქტიკური უმწეობითა და მერყეობით. მემარცხენე ნაროდნიკების ძველი პარტიისაგან აღარაფერი დარჩენილა, გარდა მერყეობისა, ხრულიად ისევე, როგორც ლიკვიდატორთა შორისაც. მუშათა მოძრაობაში დამარცხებულ ორივე ამ წვრილბურჟუაზიულ მიმდინარეობას აღარაფერი დარჩენია, გარდა ბ ლ ო კ ის შ ე კ ვ რ ი ს ა (გაერთიანებისა) მ ა რ ქ ს ი ს ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

საფეხურიდან საფეხურზე! ღია პარტიის ქადაგებიდან, ჰეგემონიის იდეისა და მარქსიზმის უარმყოფელ ბბ. პოტრე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 56 — 61. რ ე დ.

სოვთა და იუშკევიჩთა სიტყვებიდან, ლიკვიდატორები მარქსისტული პარტიის წინააღმდეგ პირდაპირ ბ რ ძ ო ლ ა მ დ ე დაქანდნენ. აი რას წერდა ამ დღეებში ერთი პეტერბურგელი მემარცხენე ნაროდნიკი «სტოიკაია მისლში» (№ 5):

«როგორც კი შევედით შენობაში (სადაც სადაზღვევო საბჭოს არჩევნები ხდებოდა), იმწამსვე აშკარა გახდა პრავდისტების ვიწრო-ფრაქციული პოზიცია, მაგრამ ჩვენ იმედს არ ვკარგავთ. ლიკვიდატორებთან ერთად ვადგენთ საერთო არაფრაქციულ სიას, სადაც ჩვენ გვაკუთვნებენ ერთ ადგილს საბჭოს წევრთა შორის და ორს — მათ მოადგილეთა შორის» (ციტირებულია «პუტ პრავდი»-ში, 1914 წ., № 38, 1914 წ. 16 მარტს).

ყველა მიმდინარეობის წვრილბურჟუაზიულო დემოკრატებო, ბურჟუაზიული გავლენით მუშების გარყვნის მოსურნენო, შეერთდით მარქსისტების წინააღმდეგ! სულელური სიტყვა «არაფრაქციულობა», რომელიც ხიბლავს იმ ადამიანებს, ვისაც ფიქრის უნარი არა აქვს და არც არაფერი უსწავლია, ასე მოსახერხებელია და ასე მოსაწონია ფილისტერებისათვის! საბრალო ლიკვიდატორებს ოღონდ ვერ უშველა — და ვერც უშველის — ბლოკი მემარცხენე ნაროდნიკებთან; შეგნებულმა მუშებმა სადაზღვევო საბჭოში ე რ თ ი ა ნ ა დ მარქსისტები, ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგენი, აირჩიეს.

პაწაწა ჯგუფები უპარტიო ინტელიგენტებისა, რომლებიც ცდილობენ ბურჟუაზიულ პოლიტიკასა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას დაუმორჩილონ მუშები, სავსებით გამოირკვნენ ახლა რუსეთში: ესენი არიან ლიკვიდატორები და მემარცხენე ნაროდნიკები. თითქმის ოცი წელი, «ეკონომიზმის» პირველად აღმოცენების დროიდან (1894 — 1895 წლიდან), მზადდებოდა ეს კ ა ვ შ ი რ ი ახლოპარტიულ მარქსისტთა წრის ოპორტუნისტებსა და ნაროდნიკებს შორის — თანამიმდევრული მარქსიზმის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ახლა უკვე დროა პირდაპირ შევხედოთ საგნებს და მტკიცედ და გადაჭრით ვთქვათ: მ ხ ო ლ ო დ ლიკვიდატორობასთან და ნაროდნიკობასთან ბრძოლაში ყალიბდება და შეიძლება ჩამოყალიბდეს მარქსისტული მუშათა მოძრაობა რუსეთში.

ყველგან მსოფლიოში პროლეტარიატი, რომელიც ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში აუცილებლად დაკავშირებულია ათასნაირი გარდამავალი ძაფით წვრილ ბურჟუაზიასთან, მუშათა პარტიების ჩამოყალიბების ეპოქაში განიცდიდა ბურჟუაზიისადმი ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი და მტკიცე იდეურ-პოლიტიკური დამორჩილების ხანას. ეს, ყველა კაპიტალისტური ქვეყნისათვის საერთო, მოვლენა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმას იღებდა, ისტორიულ და ეკონომიურ თავისებურებათა მიხედვით. ინგლისში ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, სრული პოლიტიკური თავისუფლებისა და ინგლისის ხანგრძლივი მონოპოლიური მდგომარეობის პირობებში, ათეულწლობით შესძლო გაერყვნა და იდეურად დაემონებინა შეგნებული მუშების უმრავლესობა. საფრანგეთში რესპუბლიკური წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმის ტრადიციები ძალიან ბევრ მუშას «რადიკალური» ბურჟუაზიული პარტიის ანდა არა ნაკლებ ბურჟუაზიული ანარქიზმის მომხრეებად აქცევდნენ და ახლაც აქცევენ. გერმანიაში ამ ნახევარი საუკუნის წინათ მუშები ჯერ კიდევ მისდევდნენ ლიბერალ შულცე-დელიჩს და აჰყოლოდნენ ლასალისა და შვეიცერის «ნაციონალ-ლიბერალურ» (ამავე დროს «მეფურ-პრუსიულ») ოპორტუნისტულ რყევას, ხოლო ამჟამად მუშები ასიათასობით მიჰყვებიან «დემოკრატიზმის» მოთამაშე კათოლიკურ «ცენტრს».

რუსეთში გლეხთა საკითხის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო-კ რ ა ტ ი უ ლ ი გადაწყვეტა დღესაც არ არის დამთავრებული. რაღა გასაკვირველია, თუ წვრილბურჟუაზიული ნაროდნიკობა «სოციალიზმის» სამოსელში ეხვევა? რუსეთი ყ ვ ე-ლ ა ზ ე მეშჩანური ქვეყანაა ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ამიტომაც, როგორც კი მარქსიზმი მ ა ს ო ბ-რ ი ვ ი საზოგადოებრივი მიმდინარეობა გახდა რუსეთში, მასში ინტელიგენტური წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმი გაჩნდა, ჯერ «ეკონომიზმისა» და «ლეგალური მარქსიზმის»

ფორმით (1895 — 1902), შემდეგ მენშევიზმის * ფორმით (1903 — 1908), ბოლოს ლიკვიდატორობის ფორმით (1908 — 1914 წწ.).

ახლა ლიკვიდატორობა სავსებით დამწიფდა და მომწიფდა მარქსისტული მუშათა პარტიისაგან სრულ ჩამოშორებამდე: თუ ყველაზე «მემარცხენე» ლიკვიდატორი — და ყველაზე გაქნილი მიკიბ-მოკიბულ ფორმულირებათა დარგში — ბ-ნი **ლ. მ.** წერს, რომ

«გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ «მუშათა ღია პარტია» რეაქციული ოცნება არ არის, ვინაიდან ამჟამად რუსეთში ა ს ე თ ი პ ა რ ტ ი ა, ა მ ს ი ტ ყ ვ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ა ზ რ ი თ, ა რ ს ე ბ ო ბ ს...» (ხაზგასმა ბ-ნ ლ. მ.-ისაა: «ნაშა ზარია», 1914, № 2, გვ. 83).

...მაშინ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რაოდენ სულელური და სასაცილოა ის აზრი, თითქოს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ა ს ე თ ი ჯგუფის «გაერთიანება» თუ «შერიგება» მარქსისტულ მუშათა პარტიასთან.

მხოლოდ სრულიად ფუქსავატ ადამიანებს შეუძლიათ ახლა ილაპარაკონ მარქსისტული მუშათა პარტიის «ერთიანობაზე» ა ს ე თ ჯგუფთან, «ნაშა ზარიას» და «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» ჯგუფთან.

---

* განსაკუთრებით სასაცილო სურათს ლიკვიდატორთა ისტორიკოსები მაშინ წარმოადგენენ, როდესაც მათ გაძრომ-გამოძრომა უხდებათ, რათა დ ა ფ ა რ ო ნ არასასიამოვნო, მაგრამ მაინც უეჭველი ფაქტი მენშევიზმის (უფრო მეტად კი — ლიკვიდატორობის) წარმოშობისა სწორედ იმ «ეკონომიზმისა», «ბუნდიზმისა» და «ლეგალური მარქსიზმის» ნ ი ა დ ა გ ზ ე, რომელთაც ს ა მ წ ე ლ ი წ ა დ ს ებრძოდა რუსეთში მუშათა კლასის პარტიის შემქმნელი ძველი «ისკრა». იხილე, მაგალითად, ბ-ნი პოტრესოვის ბროშურა აქსელროდის შესახებ. ბ-ნი პოტრესოვი არა ნაკლებ გულმოდგინედ და არა ნაკლებ ამაოდ ცდილობს დაფაროს და დ ა მ ა ლ ო ს ის ფაქტი, რომ «საერობო კამპანიის ფეგმაში» აქსელროდი ლიბერალების ორდაშინებაზე ლაპარაკობდა. სიტყვამ მოიტანა: ლიკვიდატორობის მიმართ მენშევიკმა პლეხანოვმაც კი სავსებით აღიარა მისი ისტორიული მონათესაეობა (გარდა თეორიულისა) «ეკონომიზმთან» და «ლეგალურ მარქსიზმთან».

რუსეთის კლასობრივი დანაწილების პოლიტიკურმა გარკვეულობამ ყოველმხრივ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ 1904-დან 1914 წლამდე. მაშინ ჯერ კიდევ დაუნაწევრებელი იყო კეთილშობილი მემამულე თავადაზნაურობა, და ზოგიერთი მისი წარმომადგენლის სალონური ლიბერალიზმი ძველ ხელისუფლებასაც კი აშინებდა. მაშინ «ტეტია»-გლეხი იმავე ხელისუფლებას წესრიგის ისეთ დასაყრდენად მიიჩნდა, რომ უდიდეს გავლენას ანიჭებდა მას როგორც ბულიგინის, ისე ვიტეს სათათბიროში. მაშინ ჯერ კიდევ შეიძლებოდა მთლიანი და ერთიანი ყოფილიყო გუჩკოვ-მილიუკოვ-პეშეხონოვის ლიბერალიზმი და დემოკრატიზმი. მაშინ მენშევიზმს სურდა ყოფილიყო და იყო კიდევაც — საერთოდ და მთლიანად აღებული — ᲨᲘᲜᲐ-პარტიული მიმდინარეობა, რომელიც თავის ოპორტუნისტულ ლოზუნგებს იცავდა «დისკუსიებში პლატფორმების შესახებ» მუშათა პარტიის ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ.

ახლანდელი ლიკვიდატორობა, რომელიც მას შემდეგ ერთი ვერსით წავიდა მარჯვნივ, წავიდა პარტიიდან და ფერხთ განიბერტყა «იატაკქვეშეთის» მტვერი, შეკავშირდა ლიბერალური და ლიკვიდატორული გაზეთების ლეგალურ ჟურნალისტთა მტკიცე ანტიპარტიულ ცენტრად და მუშების მიერ მოხსნილ იქნა პოსტებიდან ყველა და ყოველგვარს მუშათა ორგანიზაციასა და საზოგადოებაში, — ᲔᲡ ლიკვიდატორობა 1903 — 1907 წლების მენშევიზმს რომ შეადარო, ეს ნიშნავს — თავი დააბრმავებინო და გააყრუებინო ძველი სახელებით და მეტსახელებით, ძველი სიტყვების ჟღარუნით, ეს ნიშნავს — სრულებით არა გესმოდეს რა რუსეთის კლასობრივ და პარტიულ ურთიერთობათა ათი წლის ევოლუციაში.

ახლანდელი, 1914 წლის, ლიკვიდატორობა იგივეა, რაც 1907 წელს გაზეთ «ტოვარიშჩის»[81] ჯგუფი იყო.

სავსებით ბუნებრივია, რომ გადასახლებასა და ემიგრაციაში, სადაც ადამიანი ასე მოწყვეტილია ცოცხალ ცხოვრებას, ასეა მომწყვდეული იმის მოგონებებში, რაც 7 — 10 წლის წინათ იყო, შეგვიძლია ათეულობით შევხვდეთ «ყოფილ ადამიანებს» (როგორნიც ასევე მრავლად მოიპოვებიან,

ოღონდ ამ სიტყვის გაცილებით უფრო სავალალო, ზნეობრივად ცუდი მნიშვნელობით, 1904 — 1907 წლების მუშათა პარტიის იმ ინტელიგენტ მონაწილეთა შორისაც, ახლა რომ სხვადასხვა ლეგალურ «შემოსავლიან ადგილებზე» მოკალათებულან), რომლებიც ოცნებობენ მუშათა პარტიის «ერთიანობაზე» ბბ. ლ. მ.-ის, ფ. დ.-ის, პოტრესოვების, ეჟოვების, სედოვებისა და კომპ. ჯგუფთან.

მაგრამ არა ნაკლებ ბუნებრივია, რომ თანამედროვე რუს მუშა ახალგაზრდობაში, რომელსაც უ ნ ა ხ ა ვ ს ლიკვიდატორების გასვლა პარტიიდან, მათი გ ა ქ ც ე ვ ა «მკვდრადქცეული უჯრედებიდან», — რომელსაც მოუსმენია მათი რენეგატული სიტყვები იატაკქვეშეთზე და «არალეგალური პრესის რეკლამირების» მავნებლობაზე (იხ. ციტატა 1914 წ. 13 მარტის «სევერნაია რაბოჩაია გაზეტადან»), — რომელიც იძულებული იყო ებრძოლნა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ამ ვაჟბატონთა ბლოკისა როგორც ნაროდნიკებთან, ისე უპარტიოებთან მთელ რიგ ყრილობებზე, IV სათათბიროს არჩევნების დროს, მუშათა საზოგადოებების მრავალ კრებაზე, სადაზღვევო საბჭოს არჩევნების დროს, — რომელიც იძულებული იყო პ ო ს ტ ე ბ ი დ ა ნ მ ო ე ხ ს ნ ა ამგვარი ხალხი ყველა და ყოველგვარს მუშათა საზოგადოებაში, — სავსებით ბუნებრივია, რომ თანამედროვე მუშა ახალგაზრდობაში გულკეთილ ადამიანთა ოცნებანი და ფრაზები ლიკვიდატორებისა და მუშათა პარტიის «ერთიანობაზე», გუნებისდა მიხედვით, ან ჰომერულ, სრულიად უბოდიშო, ხარხარს იწვევენ მხოლოდ, ანდა გაკვირვებისა და სიბრალულის გამომეტყველებას ინტელიგენტ მანილოვთა მიმართ.

დაე «ბორბაში» ტროცკიმ, მავედრებელი თვალნი რომ მიუპყრია სკობელევისა და ჩხეიძისათვის, ანდა პარიზის გაზეთ «ზა პარტიუს» თანამშრომლებმა *, იმედითა და სასოებით რომ შეჰყურებენ ბურიანოვს [82], იმეორონ ეს ფრაზები

* ბლეხანოვმა.

«ერთიანობის» შესახებ, — მათი სიტყვები უკვე რაღაც სევდიანად და უადგილოდ გაისმის.

რომ იქადაგო მარქსისტების «ერთიანობა» იმ ადამიანებთან, ვინც ამბობს, «მუშათა ღია პარტია რეაქციული ოცნება არ არისო» და სხვ., ამისათვის ან ზებუნებრივად უჭკუო ადამიანი უნდა იყო, ან სრულიად არაფერი იცოდე და არა გაგეგებოდეს რა რუსეთის მუშათა მოძრაობის საქმეებისა და ადგილებზე საქმის ვითარებისა, ანდა, ბოლოს, ისეთ სასიამოვნო «ქანქარულ» მდგომარეობას უნდა ნატრობდე, როდესაც — ყველაფერია მოსალოდნელი! — სწორედ ტროცკის (ანდა სხვა რომელიმე «უფრაქციო» ვინმეს) მიიწვევენ, როგორც «უფრაქციოს», რათა «თანასწორობის საფუძველზე» გააერთიანონ «ნაშა ზარიას», «დენისა» და «კიევსკაია მისლის»[83] ლიტერატორთა ჯგუფი და მარქსისტი მუშების ჯგუფები. რა ტკბილ-სანეტარო პერსპექტივაა!

მაგრამ ნამდვილი ცხოვრება, ლიკვიდატორებთან «გაერთიანების» ცდების ნამდვილი ისტორია ისეთ რამეს გვიჩვენებს, რაც მეტად დაშორებულია ამ ტკბილ-სანეტარო პერსპექტივებს. იყო 1910 წლის იანვარში ლიკვიდატორებთან გაერთიანების სერიოზული და მართლაც საერთო ცდა — ლიკვიდატორებმა იგი ჩაშალეს. მოხდა ლიკვიდატორებთან ყ ვ ე ლ ა ჯგუფისა და პაწაწა ჯგუფების გაერთიანება საძულველი ცხრაას თორმეტი წლის იანვრის კონფერენციის წინააღმდეგ. ეს იყო ისეთი მხურვალე, ცხარე, გაერთიანება ამ კონფერენციის წინააღმდეგ უაღრესად ცხარე (თვით უშვერი) ლანძღვა-გინების ნიადაგზე: ამ «გაერთიანებაში» ტროცკიც, «ზა პარტიუს» თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ და, რა თქმა უნდა, ყველა ვპერიოდელიც. ერთიანობის დამაბრკოლებელნი მართლა ბოროტი გამთიშველი-«ლენინელები» რომ ყოფილიყვნენ, რა სწრაფად გაიფურჩქნებოდა მაშინ ნამდვილი ერთიანობა ამ შეთანხმებული გამოსვლის შემდეგ, რომელიც 1912 წლის მარტში «**Vorwärts**» *-ის

* — «წინ». რ ე დ.

ფურცლებზე მოახდინეს «ლენინელთა» წინააღმდეგ ყველა და ყოველგვარმა ჯგუფებმა ლიკვიდატორებთან ერთად!

მაგრამ ვაგლახ! ეს უცნაური გამაერთიანებელნი სწორედ იმ დროიდან — როდესაც რუსეთის მუშებმა, აპრილში «პრავდა» რომ დააარსეს, იწყეს, პარტიულობისადმი უაღრესად კეთილსინდისიერი დამოკიდებულების საფუძველზე, ასობით და ათასობით მუშათა ჯგუფების გაერთიანება რუსეთის ყველა კუთხეში, — ეს უცნაური გამაერთიანებელნი სწორედ 1912 წლის მარტიდან დაშლას განიცდიან უფრო და უფრო ენერგიულად!! 1912 წლის აგვისტოსათვის ლიკვიდატორების სახელგანთქმული «აგვისტოს ბლოკი» უკვე ვპერიოდელთა გ ა რ ე შ ე, «ზა პარტიუს» გ ა რ ე შ ე ეწყობა.

გადის წელიწადნახევარი. საბოლოოდ გაიზარდა, დავაჟკაცდა, განმტკიცდა რუსეთის მუშათა ჯგუფების გაერთიანება მუშათა ყ ვ ე ლ ა ლეგალურ საზოგადოებაში, ყველა კავშირსა და ორგანიზაციაში, მთელ რიგ გაზეთებსა და ორგანოებში, სათათბიროში ჩამოყალიბებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციით, რომელიც მზად არის განახორციელოს მუშების უმრავლესობის ნება-სურვილი.

ჩვენი «გამაერთიანებელნი» კი?

ო, ისინი ისე წარმატებით, ისე, წარმატებით «ერთიანდებოდნენ», — რომ «ვპერიოდის» ერთი ჯგუფის ნაცვლად «ვპერიოდის» ო რ ი ჯგუფი აღმოჩნდა (თუ არ ჩავთვლით ბოგდანოვს, ემპირიომონისტს, რომელიც ზოგიერთს «ვპერიოდის» მესამე ჯგუფად მიაჩნია), — რომ ტროცკისა და ლიკვიდატორების ერთიანი ორგანოს («ლუჩის») ნაცვლად ტროცკის განსაკუთრებული ორგანო «ბორბა» აღმოჩნდა, რომელიც ამჯერად ჭეშმარიტ «არაფრაქციულობას» აღგვიქვამს. ხოლო ლიკვიდატორებისაგან ტროცკის მშიშრულად ჩამოცილების გარდა, მათ სრულიად გადაჭრით ჩამოსცილდა აგრეთვე ყ ვ ე ლ ა ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი ლ ა ტ ვ ი ე ლ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ ი, რომლებმაც, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ თავიანთი სასტიკი ნეიტრალობისა და არაფრაქციულობისა, 1914 წელს თავიანთ კონგრესზე პირდაპირ განაცხადეს:

«შემარიგებელნი (აგვისტოს ბლოკის მონაწილენი) თვითონ აღმოჩნდნენ იდეურ-პოლიტიკურად დამოკიდებულნი ლიკვიდატორებისაგან»[1]

1912 წლის მარტიდან, როდესაც ყ ვ ე ლ ა ნ ი შეუერთდნენ ლიკვიდატორებს ბოროტ «გამთიშველ»-«ლენინელთა» წინააღმდეგ, 1914 წლის მარტამდე, როდესაც საბოლოოდ დაიშალა ფიქტიური «აგვისტოს ბლოკი», ცხადზე უცხადესად გამოაშკარავდა, რომ მარქსისტი მუშების ნამდვილი გაერთიანება (რუსეთში, და არა პარიზში, არც ვენაში) მიდის და წავა მხოლოდ ლიკვიდატორთა ჯგუფის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და «მუშათა ღია პარტიის» თაყვანისმცემლებთან «ერთიანობის» შესახებ მოჩმახული სიტყვების გ ვ ე რ დ ი ს ა ვ ლ ი თ.

ათასობით მუშათა ჯგუფები, რომლებიც ყველას თვალწინ აშკარად ირაზმებიან მარქსისტული გაზეთის ირგვლივ, — ეი ნამდვილი ერთიანობისა და მისი ზრდის ცოცხალი დამამტკიცებელი საბუთი. იდგა რა მარქსისტების მიერ ჯერ კიდევ 3 ივნისის ეპოქის დასაწყისში შემუშავებულ იდეურ ნიადაგზე, ამ ერთიანობამ შესძლო გამოეყენებინა — ასწილ უფრო წარმატებით, ვიდრე ვინც უნდა ყოფილიყო სხვა, — ყველა და ყოველგვარი ლეგალური შესაძლებლობა, მაგრამ გამოეყენებინა ისინი იმ იდეებთან დაუნდობელი ომის შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ, რომელნიც გაგმობინებენ «არალეგალური პრესის რეკლამირებას», ანდა რომელნიც ურიგდებიან თანაგრძნობას «ღია პარტიისადმი», ან ჰეგემონიის უარყოფისადმი, ანდა «ვეშაპების» უკანა ადგილზე დაყენებისადმი და სხვ. და სხვ.

და მხოლოდ ასეთი ერთიანობა, მხოლოდ ამ იდეურ საფუძველზე, არის სწორი გზის მაჩვენებელი რუსეთის მუშათა კლასისათვის.

დაწერილია 1914 წ. აპრილში

დაიბეჭდა 1914 წელს კრებულში: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», ნაწილი II. გამომც. «პრიბოი», ს.-პეტერბურგი

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

კიდევ პოლიტიკურ კრიზისზე

გაზეთებმა უკვე ბევრი ილაპარაკეს სათათბიროს ცნობილ 22 აპრილის სხდომაზე, საიდანაც ყველა სოციალ-დემოკრატი და ტრუდოვიკი გააძევეს[84]. მაგრამ ამ ამბის მნიშვნელობა ჯერ კიდევ ვერ არის საკმარისად გაშუქებული.

ყოველ პოლიტიკურ კრიზისს, დამოუკიდებლად მისი საბოლოო შედეგისა, იმითაც მოაქვს სარგებლობა, რომ ააშკარავებს ფარულს, ამჟღავნებს პოლიტიკაში მოქმედ ძალებს, ამხილებს მოტყუებასა და თვითმოტყუებას, ფრაზებსა და ფიქციებს, თვალსაჩინოდ ცხადყოფს და, ასე ვთქვათ, ძალით ჩაუჭედავს კაცს თავში «ი მ ა ს, რ ა ც ა რ ი ს».

სათათბიროს ყველა დემოკრატი დეპუტატი, როგორც სოციალ-დემოკრატები, ისე ტრუდოვიკები, 15 სხდომით გამორიცხეს და მეტწილად სამხედრო ძალით გააძევეს. ეს გამორიცხვა იმათ საამებლად მოხდა, ვინაც ჩხეიძისათვის ბრალის დადებით აშკარად გამოიჩინა «მტკიცე» განზრახვა — მარჯვნივ გადაედგა ნაბიჯი (უფრო სწორად კი — ერთბაშად ათეული ნაბიჯი). ამ გამორიცხვას ხმა მისცეს მემარჯვენეებმა და ოქტიაბრისტებმა პ ლ უ ს ნ ა წ ი ლ ი პ რ ო გ რ ე ს ი ს ტ ე ბ ი ს ა, ე. ი. კადეტებთან უმჭიდროეს, ფაქტიურად განუყრელ, კავშირში მყოფი ბურჟუაზიული ლიბერალებისა.

კადეტებმა თავი შეიკავეს!!! ეს თავშეკავება პარტიისა, რომელიც დემოკრატიზმს ჩემულობს, ჩინებულად ააშკარავებს — არც თუ პირველად — ბატონ კადეტების ლიბერალიზმის ჭეშმარიტ ბუნებას. IV სათათბირო აპირებს განდევ-

ნოს ჩხეიძე, მასთან ერთად კი — დანარჩენი სოციალ-დემოკრატები, ხოლო შემდეგ — ყველა დემოკრატიც, და ამისათვის ჯერ რიცხავს მათ, ლიბერალური ოპოზიციის ბატონი «ბელადები» კი თავს იკავებენ!! მელნის რა ზღვებიც უნდა დააშრონ ამის შემდეგ ლიბერალებმა და კადეტებმა სოფიზმებისა და თავდასაძვრენი ხრიკების შესათხზველად, მსგავსად იმისა — ჩვენ ს.-დ-ების გამოსვლათა მხოლოდ «ფორმა» არ მოგვიწონებიაო და სხვ., საქმის არსი ნათელი დარჩება ყოველი ადამიანისათვის, ვისაც კი თავის მოტყუება არა სურს.

თავის შეკავება, როდესაც · გორემიკინი, როძიანკო და მათი უმრავლესობა დემოკრატ დეპუტატებს რიცხავდა, ფაქტიურად ნიშნავდა თავისი დუმილით გორემიკინისა, როძიანკოსა და მათი უმრავლესობისათვის მხარისდაჭერას, მათს ზნეობრივად მოწონებას, პოლიტიკურად ზურგის გამაგრებას.

არ შეიძლება სწორ თვალსაზრისად მივიჩნიოთ ლ. მ.-ის თვალსაზრისი «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» № 61-ში, სადაც ის წერდა, «სათათბიროს უმრავლესობამ ოქტიაბრისტების მეთაურობით პოლიტიკური თვითმკვლელობა ჩაიდინაო». ესაა თვალსაზრისი . მემარცხენე ლიბერალისა, და არა დემოკრატისა, მით უმეტეს — არა სოციალ-დემოკრატისა.

სათათბიროს უმრავლესობასა და ოქტიაბრისტებს არავითარი თვითმკვლელობა არ ჩაუდენიათ. ყველა ისინი შეგნებული კონტრრევოლუციონერები არიან, სამი ივნისის ბლოკისა და სტოლიპინის სისტემის შეგნებული მონაწილენი, დემოკრატიის შეგნებული მტრები. აბა რა თვითმკვლელობაა აქ, თუ ისინი თავიანთ პოლიტიკურ ბელადად გორემიკინს აღიარებენ და ამ ბელადს მიჰყვებიან თავიანთი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ? იმ დემოკრატიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, რომელიც აშკარა მტერია ოქტიაბრისტებისა?

რა საჭიროა ეს გაბერილი და სრულიად არასწორი ფრაზები «თვითმკვლელობის» შესახებ? ეს ფრაზები ხომ გულისხმობენ, თითქოს ოქტიაბრისტები დემოკრატიის მტრები არ იყვნენ, ე. ი. გულისხმობენ რაღაც ალმაშფოთებ-

ლად ყალბ რამეს. ეს ფრაზები ხომ იმ უგუნური მემარცხენე ნაროდნიკების ვულგარულ დემოკრატიზმს ჰგვანან, რომლებიც ხშირად გაჰყვიროდნენ, თითქოს III და IV სათათბირო «ქაღალდის» დაწესებულება, ქაღალდის ხუხულა ყოფილიყოს. გორემიკინისა, მაკლაკოვისა და შჩეგლოვიტოვისათვის ოქტიაბრისტების მიერ ხმის მიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა თვითმკვლელობად მიგვეჩნია, ოქტიაბრისტები რომ «ხალხის ნება-სურვილის» გამომხატველნი ყოფილიყვნენ. ნამდვილად კი ისინი გამომხატველნი არიან უმსხვილესი ბურჟუაზიისა და მემამულეების იმ ფენების «ნ ე ბ ა-ს უ რ ვ ი ლ ი ს ა», რომელთაც სიკვდილსავით ეშინიათ ხალხისა.

არა, პირდაპირ შევხედოთ სიმართლეს. პოლიტიკაში ეს მუდამ საუკეთესო და ერთადერთი სწორი სისტემაა.

სათათბიროში 22 აპრილს მომხდარმა ამბავმა დაამსხვრია და ჩაჰკლა კონსტიტუციურ და ლეგალისტურ ილუზიათა ნაშთები — აი ეს იქნება სიმართლე. პურიშკევიჩის, როძიანკოს და «მემარცხენე» ოქტიაბრისტების კონტრრევოლუციური ბლოკი პლუს პროგრესისტების ნაწილი — პირდაპირ, ა შ კ ა რ ა დ, გადაჭრით, სალდათურად (ამ უკანასკნელი გამოთქმის არა გადატანითი, არამედ პირდაპირი აზრით, ვინაიდან სალდათები გამოიწვიეს სათათბიროში) გამოვიდა დემოკრატიის წინააღმდეგ. კონტრრევოლუციონერმა ლიბერალებმა, მილიუკოვმა და კომპ. **თავი შეიკავეს.** ეს დიახაც რომ მოსალოდნელი იყო III და IV სათათბიროს მთელი ისტორიის შემდეგ, მეოცე საუკუნის პირველი ათი წლის მთელი ისტორიის შემდეგ.

რა გაეწყობა! რაც ნაკლები იქნება თვითმოტყუება — მით უკეთესი ხალხისათვის. რა მოიგო ქვეყანამ სათათბიროში 22 აპრილს მომხდარი შემთხვევისაგან? მან მოიგო ის, რომ დაკარგა კიდევ ნაწილი ამ ქვეყნის თავისუფლების საქმისათვის მავნე ილუზიებისა.

«პუტ პრავდი» № 76,
1914 წ. 3 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

იდეური ბრძოლა მუშათა მოძრაობაში

რევოლუციის შემდეგდროინდელი რუსეთის უაღრესად მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თავისებურებაა ოპოზიციურ თუ პროგრესულ ფენებს შორის მომხდარი ღრმა იდეური შემობრუნება. ვინც ამ თავისებურებას ივიწყებს, ის იკარგავს შესაძლებლობას — გაიგოს როგორც რუსეთის რევოლუცია და მისი ხასიათი, ისე მუშათა კლასის ამოცანები თანამედროვე ეპოქაში.

ლიბერალური ბურჟუაზიის იდეური შემობრუნება მდგომარეობს ანტიდემოკრატიული მიმართულების შექმნაში (სტრუვე, იზგოევი, ვ. მაკლაკოვი აშკარად, დანარჩენი კადეტები — ფარულად, «მორცხვად»).

დემოკრატიის შემობრუნება მდგომარეობს უდიდეს იდეურ დაშლასა და მერყეობაში როგორც ს.-დ-ებს (პროლეტარული დემოკრატია), ისე ს.-რ-ებს (ბურჟუაზიული დემოკრატია) შორის. დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლებიც კი იმას სჯერდებიან, რომ დასტირიან დაშლას, მერყეობას, რენეგატობას. მარქსისტები კი ამ საზოგადოებრივი მოვლენის კლასობრივ ფესვებს ეძებენ.

ამ დაშლის მთავარი გამოხატულებაა ლიკვიდატორობა, რომელმაც ჯერ კიდევ 1908 წელს მიიღო ოფიციალური, «მარქსისტული მთელის» მიერ დამტკიცებული, განსაზღვრა, როგორც «ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცდა — ლიკვიდაცია უყოს» იატაკქვეშეთს და მუშათა ღია პარტიით «შეცვალოს» იგი. ხელმძღვანელ მარქსისტთა უკანასკნელ ოფიციალურ კრებაზე, რომელსაც **ეწოდა** «მიმდინარეობისა» და

ჯგუფის წარმომადგენელნი დაესწრენ, 1910 წ. იანვარში, არ აღმოჩენილა **არც ერთი** ადამიანი, რომელსაც შესძლებოდა ლიკვიდატორობის როგორც პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ზ ე ბ ურ-ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ვ ლ ე ნ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ი ს დაგ-მობის წინააღმდეგ გამოსვლა. ეს დაგმობა და ამავე დროს ლიკვიდატორობის კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ფესვების განმარტება ე რ თ ხ მ ა დ იქნა მიღებული.

მას შემდეგ 4 წელზე მეტი გავიდა, და მასობრივი მუშათა მოძრაობის უდიდესი გამოცდილებით ათასნაირად დადას-ტურდა ლიკვიდატორობის ასეთი შეფასება.

ფაქტებმა დაამტკიცეს, რომ მარქსიზმის თეორიამაც და მასობრივი მუშათა მოძრაობის პრაქტიკამაც სამუდამოდ მოუღო ბოლო ლიკვიდატორობას, როგორც ბურჟუაზიულ, მუშათა-საწინააღმდეგო მიმდინარეობას. საკმარისია გავიხ-სენოთ, მაგალითად, 1914 წლის ერთი თვის, მარტის განმავ-ლობაში, როგორ აძაგებდა «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა» «არალეგალურ პრესას» (13 მარტის ნომერი) ან დემონსტრა-ციებს (ბ-ნი გორსკი 11 აპრილის ნომერში), როგორ სავსე-ბით ლიბერალურად აძაგებდა ბულკინი «იატაკქვეშეთს» («ნაშა ზარია» № 3), სავალალოდ ცნობილი **ლ. ბ.** «ნაშა ზა-რიას» რედაქციის სახელით როგორ სავსებით უჭერდა მხარს ბულკინს ამ პუნქტში და იცავდა «მუშათა ღია პარტიის მშე-ნებლობას», — საკმარისია გავიხსენოთ ეს, რომ გავიგოთ, რატომ ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ შეგნებულ მუშებს სხვანაირად მოეპყრონ ლიკვიდატორობას, თუ არ ლიკვიდატორების და-უნდობელი გაკიცხვით და სრული ბოიკოტით.

მაგრამ აქ იბადება ძალიან საყურადღებო კითხვა: როგორ წარმოიშვა ისტორიულად ეს მიმდინარეობა?

იგი წარმოიშვა რუსეთის მუშათა მასობრივ მოძრაობას-თან მარქსიზმის კავშირის ო ც ი წ ლ ი ს ისტორიაში. 1894 — 1895 წლამდე ასეთი კავშირი არ არსებობდა. «შრო-მის განთავისუფლების» ჯგუფმა მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და პირველი ნაბიჯი გადადგა მუშათა მოძრაობისაკენ.

მხოლოდ 1894 — 1895 წწ. აგიტაციამ და 1895 — 1896 წწ. გაფიცვებმა შექმნეს სოციალ-დემოკრატიის მტკიცე, განუწყვეტელი კავშირი მუშათა მასობრივ მოძრაობასთან. და მაშინვე დაიწყო მარქსიზმში ორი მიმდინარეობის იდეური ბრძოლა: «ეკონომისტების» ბრძოლა თანამიმდევრებთან ანუ (უფრო გვიან) «ისკრელებთან» (1895 — 1902), «მენშევიკების» ბრძოლა «ბოლშევიკებთან» (1903 — 1908), ლიკვიდატორების ბრძოლა მარქსისტებთან (1908 — 1914).

ეკონომიზმი და ლიკვიდატორობა სხვადასხვა ფორმაა ერთი და იმავე წვრილბურჟუაზიული, ინტელიგენტური ოპორტუნიზმისა, რომელიც 20 წელია არსებობს. ოპორტუნიზმის ყველა ამ ფორმის არა მარტო იდეური, არამედ პირადი კავშირიც უეჭველი ფაქტია. საკმარისია დავასახელოთ ეკონომისტების ბელადი, ა. მარტინოვი, შემდეგში მენშევიკი, ამჟამად ლიკვიდატორი. საკმარისია დავასახელოთ ისეთი მოწმე, როგორიც გ. ვ. პლეხანოვია, რომელიც თვითონ ძალიან ბევრ პუნქტში * უახლოვდებოდა მენშევიკებს და მიუხედავად ამისა პირდაპირ აღიარა, რომ მენშევიკებმა თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს ინტელიგენტურ-ოპორტუნისტული ელემენტები,

* რატომ ვამბობთ — «ძალიან ბევრ პუნქტში»? იმიტომ რომ პლეხანოვს განსაკუთრებული პოზიცია ეკავა, ის მრავალჯერ დაჰშორებია მენშევიზმს: 1) 1903 წ. ყრილობაზე პლეხანოვი ებრძოდა მენშევიკების ოპორტუნიზმს; 2) ყრილობის შემდეგ პლეხანოვი რედაქტორობდა «ისკრის» №№ 46 — 51-ს, აგრეთვე მენშევიკების წინააღმდეგ; 3) 1904 წელს პლეხანოვი იცავდა აქსელროდის საერობო კამპანიის გეგმას, იმგვარად, რომ დუმილით უვლიდა გვერდს სწორედ მის მთავარ შეცდომებს; 4) 1905 წ. გაზაფხულზე პლეხანოვი მოშორდა მენშევიკებს; 5) 1906 წელს I სათათბიროს გარეკვის შემდეგ პლეხანოვმა დაიკავა სრულიად არა მენშევიკური პოზიცია (იხილე «პროლეტარი» №5, 1906 წ. აგვისტო) (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 11, გვ. 199 — 204. რ ე დ.); 6) 1907 წ. ლონდონის ყრილობაზე, — როგორც ჩერევანინი გვიამბობს, პლეხანოვი ებრძოდა მენშევიკების «ორგანიზაციულ ანარქიზმს». ეს ფაქტები უნდა ვიცოდეთ, რომ გავიგოთ, თუ მენშევიკი პლეხანოვი რატომ ასე დიდხანს და გადაჭრით ებრძოდა ლიკვიდატორობას და ამხელდა მას.

რომ ლიკვიდატორები «ეკონომიზმის» შეცდომათა განმგრძობნი და მუშათა პარტიის დამარღვეველნი არიან.

უდიდესი ზიანი მოაქვთ მუშებისათვის იმ ადამიანებს, რომლებიც (ლიკვიდატორებისა და ტროცკის მსგავსად) გვერდს უვლიან ან ამახინჯებენ მუშათა მოძრაობაში იდეური ბრძოლის ამ ოცი წლის ისტორიას.

არ შეიძლება შეგნებული მუშა იყოს ის, ვინც გულმავიწყ ივანესავით ეპყრობა თავისი მოძრაობის ისტორიას. რუსეთი ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ერთი უაღრესად ჩამორჩენილი, უაღრესად წვრილბურჟუაზიული ქვეყანათაგანია. ამიტომ მუშათა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობა არა შემთხვევით, არამედ გარდუვალად ბადებდა წვრილბურჟუაზიულ, ოპორტუნისტულ ფ რ თ ა ს ამ მოძრაობაში.

ბურჟუაზიის გავლენისაგან, ეკონომიზმ-ლიკვიდატორობის გავლენისაგან მუშათა მოძრაობის გაწმენდის პროგრესი ამ 20 წლის განმავლობაში **მეტად დიდია.** ახლა პირველად ეყრება მტკიცედ ნამდვილი პროლეტარული საფუძველი ნამდვილ მარქსისტულ პარტიას. ყველანი აღიარებენ, პრავდისტების მოწინააღმდეგენიც კი იძულებული არიან აღიარონ, — ფაქტები აიძულებენ ამის აღიარებას! — რომ შეგნებულ მუშებს შორის პრავდისტები უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ. ის, რაც მარქსისტულმა «პლენუმმა» 1910 წლის იანვარში აღიარა თ ე ო რ ი უ ლ ა დ (ლიკვიდატორობა არის «ბურჟუაზიული გავლენა პროლეტარიატზე»), ეს შეგნებულმა მუშებმა ოთხი წლის განმავლობაში გაატარეს ცხოვრებაში, აიძულეს მისი პრაქტიკულად აღიარება, დააუძლურეს ლიკვიდატორები, მოხსნეს ისინი თავიანთი პოსტებიდან, გადააქციეს ლიკვიდატორობა მასობრივი მუშათა მოძრაობისათვის უცხო, ლეგალურ ოპორტუნისტ-ლიტერატორთა ჯგუფად.

მუშათა მოძრაობა რუსეთში იდეათა ბრძოლის ამ ორი ათეული წლის მანძილზე განუხრელად იზრდება და მაგრდება, ვაუკაცდება. მან გაიმარჯვა «ეკონომიზმზე»: შეგნებული პროლეტარიატის მთელი საუკეთესო ნაწილი «ისკრელებს» მიემხრო. მან უმცირესობაში დატოვა «მენშევიკები» რევო-

ლუციის ყველა გადამწყვეტ მომენტში: თ ვ ი თ ლევიცკიც კ ი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ მუშათა მასები ბოლშევიკებთან ერთად მიდიოდნენ.

ბოლოს, მან სძლია ახლა ლიკვიდატორობა და ამის გამო იგი დაადგა საიმედო გზას — კაცობრიობის მოწინავე ისტორიული ამოცანებისათვის მოწინავე კლასის ფართო ბრძოლის, მარქსისტული თეორიით გაშუქებული და შეუკვეცელი ლოზუნგებით განზოგადებული ბრძოლის გზას.

«პუტ პრავდი» № 77,
1914 წ. 4 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

პროექტი კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ[86]

1. რუსეთის როგორც სასოფლო, ისე საქალაქო ადმინისტრაციულ დაყოფათა (სოფლები, თემები, მაზრები, გუბერნიები, ქალაქთა ნაწილები და უბნები, გარეუბნები და ა. შ.) საზღვრების გარდაქმნა ხდება ადგილობრივი მოსახლეობის თანამედროვე სამეურნეო პირობებისა და ეროვნული შემადგენლობის აღრიცხვის საფუძველზე.

2. ამ აღრიცხვას აწარმოებენ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე პროპორციული წარმომადგენლობით არჩეული კომისიები, ამასთან ეროვნული უმცირესობანი, რომლებიც იმდენად უმნიშვნელონი არიან, რომ არ შეუძლიათ აირჩიონ (პროპორციული წარმომადგენლობისას) კომისიის ერთი წევრი, ირჩევენ კომისიის წევრს სათათბირო ხმით.

3. ახალი საზღვრების საბოლოო დამტკიცება სახელმწიფოს ცენტრალურ პარლამენტს ექვემდებარება.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღება ხდება სახელმწიფოს უკლებლივ ყველა ადგილებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, პროპორციული წარმომადგენლობით, ამასთან იმ ადგილთა ერთობლიობას, რომლებიც განირჩევიან თავისებური

გეოგრაფიული, ყოფაცხოვრებითი ან სამეურნეო პირობებით ან მოსახლეობის განსაკუთრებული ეროვნული შემადგენლობით, უფლება აქვს ჩამოაყალიბოს ავტონომიური ოლქები ავტონომიური საოლქო სეიმებით.

5. ავტონომიური სეიმებისა და ადგილობრივ თვითმმართველ დაწესებულებათა გამგებლობის ფარგლების განსაზღვრა სახელმწიფოს ცენტრალურ პარლამენტს ექვემდებარება.

6. სახელმწიფოს ყველა ერი უთუოდ თანასწორუფლებიანია, და ყოველგვარი პრივილეგიები, რომლებიც ამა თუ იმ ერს ან ამა თუ იმ ენას ეკუთვნის, დაუშვებელია და კონსტიტუციის საწინააღმდეგოა.

7. ადგილობრივი თვითმმართველი დაწესებულებანი და ავტონომიური სეიმები განსაზღვრავენ ენას, რომელზეც წარმოებს მოცემული ადგილის ან მხარის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა საქმეები, ამასთან ყოველ ეროვნულ უმცირესობას უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ენის უფლებათა უცილობელი დაცვა, თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე, მაგალითად, უფლებისა — მიიღოს პასუხი სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან იმავე ენაზე, რომელზედაც შედგენილი იყო მიმართვა და ა. შ.. ერობათა, ქალაქთა და სხვ. ლონისძიებანი, რომლებიც არღვევენ ეროვნულ უმცირესობათა ენების თანასწორუფლებიანობას, როგორც საფინანსო, ისე ადმინისტრაციულ, სასამართლო და ყოველგვარ სხვა დარგში, ძალადაკარგულად ითვლება და გაუქმებულ უნდა იქნას პროტესტის საფუძველზე, რომელიც შეუძლია განაცხადოს სახელმწიფოს ყოველმა მოქალაქემ, დამოუკიდებლად მისი საცხოვრებელი ადგილისა.

8. სახელმწიფოს ყოველი თვითმმართველი ერთეული, როგორც სოფლის, ისე ქალაქისა, ირჩევს, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, პროპორციული წარმომადგენლობით, სასკოლო საბჭოებს, რომლებიც განაგებენ, მთლიანად და ავტონომიურად, ხარ-

ჯებს, რაც საჭიროა მოსახლეობის უკლებლივ ყველა კულ-ტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილების დასაკმაყოფი-ლებლად, საქალაქო და საერობო დაწესებულებათა კონტ-როლითა და ხელმძღვანელობით.

9. ეროვნული შემადგენლობით არაერთგვაროვან ტერი-ტორიულ ერთეულებში სასკოლო საბჭოების წევრთა რიცხვი უნდა იყოს არა ნაკლები 20-ისა. ეს რიცხვი (20) შეიძლება გადიდებულ იქნას თვითმმართველი ერთეულებისა და ავტო-ნომიური სეიმების დადგენილებით. მოსახლეობის არაერთ-გვაროვანი ეროვნული შემადგენლობის ადგილებად ითვლება ის ადგილები, სადაც ეროვნული უმცირესობა მოსახლეობის 5%-ს აღწევს.

10. ამა თუ იმ თვითმმართველი ერთეულის ყოველ ეროვ-ნულ უმცირესობას, რომელიც ისე უმნიშვნელოა, რომ პრო-პორციული წარმომადგენლობისას არ შეუძლია აირჩიოს სასკოლო საბჭოს ერთი წევრი, უფლება აქვს აირჩიოს სასკ-ოლო საბჭოს წევრი, რომელიც სათათბირო ხმით სარგებლობს.

11. პროპორციული წილი იმ თანხებისა, რომლებიც ამა თუ იმ ადგილის ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებათათვის იხარჯება, უნდა იყოს არა ნაკლები ეროვნულ უმცირესობათა პროპორციული წილისა ამ ადგილის მთელ მოსახლეობაში.

12. მოსახლეობის აღწერა, მოქალაქეთა დედაენის გა-თვალისწინებით, ხდება 10 წელში ერთხელ მაინც მთელ სახელმწიფოში, და 5 წელში ერთხელ მაინც იმ ოლქებსა და ადგილებში, სადაც მოსახლეობა არაერთგვაროვანი ეროვნუ-ლი შემადგენლობისაა.

13. სასკოლო საბჭოების ყოველგვარი ლონისძიებანი, რომლებიც რაიმე მხრივ არღვევენ ადგილობრივი მოსახლეო-ბის ერებისა და ენების სრულ თანასწორუფლებიანობას ანდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა დასაკმა-ყოფილებლად საჭირო ხარჯების პროპორციულობას მოსახ-

ლეობაში ეროვნულ უმცირესობათა წილის შესაბამისად, ძალადაკარგულად ითვლება და გაუქმებულ უნდა იქნას პროტესტის საფუძველზე, რომელიც შეუძლია განაცხადოს საჴელმწიფოს ყოველმა მოქალაქემ, დამოუკიდებლად მისი საცხოვრებელი ადგილისა.

დაწერილია 1914 წ. 6 (19) მაისზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს
ლენინის კრებულში XXX

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

«მამულით მეზობლები»

არის ხოლმე ისეთი მოსწრებული სიტყვები, რომლებიც გასაოცარი სიმახვილით გამოხატავენ საკმაოდ რთულ მოვლენათა დედაარსს. ასეთ სიტყვათა რიცხვს, უეჭველია, ეკუთვნის თქმა ერთ-ერთი მემამულისა, სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე უმრავლესობის წევრისა, გორემიკინის მიერ სათათბიროს 22 აპრილის ისტორიულ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის გამო.

«რა სასიამოვნო იქნებოდა ი. ლ. გორემიკინთან მამულით მეზობლობა!»

ეს სიტყვები, სახ. სათათბიროდან მუშათა და გლეხთა დეპუტატების გაძევების დღეს ნათქვამი, ძალიან სასარგებლოა გავიხსენოთ ახლა, როდესაც გაძევებულმა დეპუტატებმა კვლავ დაიკავეს თავიანთი ადგილები. ეს სიტყვები მშვენივრად გვისურათებენ იმ ძალას, რომელსაც ხვდება დემოკრატია სათათბიროშიც და სათათბიროს გარეთაც.

წვრილფეხა აზნაურს, რომელმაც ეს მოსწრებული სიტყვა წამოისროლა, თითქოს უნდოდა ეხუმრნა, მაგრამ უნებლიეთ მან სერიოზული და იმაზე უფრო ღრმა სიმართლე თქვა, ვიდრე ფიქრობდა. მართლაცდა, მთელი ეს IV სათათბირო, მთელი ეს უმრავლესობა მემარჯვენეებისა და ოქტიაბრისტებისა, აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს «წარჩინებული მოხელენიც», რანი არიან ისინი, თუ არ «მამულით მეზობლები»?

რუსეთში 194 საიდუმლო მრჩევლის მფლობელობაში 3 103 579 დესეტინა მიწაა, ე. ი. თითო საიდუმლო მრჩეველზე საშუალოდ ოცი ათას დესეტინაზე მეტი მოდის. ხოლო რუსეთის უმსხვილეს მიწათმფლობელთ, რიცხვით 30 ათასზე ნაკლებთ, 70 მილიონი დესეტინა მიწა აქვთ. სწორედ ამ კლასის ხელთაა როგორც სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს, ისე უმაღლესი მოხელეობის უმრავლესობა, ერობასა და ადგილობრივ მმართველობაზე რომ არა ვთქვათ რა. ყველა ისინი «მამულით მეზობლები» არიან.

«მამულით მეზობლები» ჩვენს კაპიტალისტურ საუკუნეში თვითონ ხდებიან უფრო და უფრო ხშირად მექარხნეები, არყისმხდელები, შაქრის მეწარმეები და სხვ., სულ უფრო მეტად იღებენ მონაწილეობას ყოველგვარ სავაჭრო-სამრეწველო, საფინანსო, სარკინიგზო საწარმოებში. უმსხვილესი თავადაზნაურობა მჭიდროდ არის გადახლართული უმსხვილეს ბურჟუაზიასთან.

«მამულით მეზობლები» წარმოადგენენ რუსეთში საუკეთესო კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ორგანიზაციას, ვინაიდან ისინი არა მარტო მეზობლურად, არა მარტო კავშირებად არიან დარაზმულნი, არამედ დარაზმულნი არიან აგრეთვე, როგორც სახელმწიფოებრივი ძალა. ყველა უმნიშვნელოვანესი დაწესებულება მათ მიერაა დაკავებული, აგებულია «ხატად და მსგავსად მათად», მათ «საჭიროებათა» და ინტერესთა შესაბამისად. რა თქმა უნდა, არის აგრეთვე ჩვენი სახელმწიფო წყობილების მეტად მნიშვნელოვანი თავისებურებანი, რაც რუსეთის სამხედრო ისტორიითა და სხვ. უნდა აიხსნას, — თავისებურებანი, რომელთაც შეუძლიათ ხანდახან თვით მემამულეთა კლასის უკმაყოფილებაც გამოიწვიონ. მაგრამ, საერთოდ და მთლიანად, კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ორგანიზებულობის მაინც ჩინებულ ნიმუშს იძლევიან ბატონი ველიკოროსი მემამულენი!

ჩვენი ბურჟუაზია ცუდად სარგებლობს ამ ნიმუშით, —

მას ეშინია, მაგალითად, იფიქროს თ ა ვ ი ს ი კლასის სახელმწიფოებრივ ძალად დარაზმვაზე. მაგრამ სამაგიეროდ პროლეტარიატი, ირაზმება რა როგორც კლასი, არასოდეს არ ივიწყებდა და არც არასოდეს დაივიწყებს «მამულით მეზობელთა» საუცხოო ნიმუშს...

«პუტ პრავდი» № 80,
1914 წ. 8 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ნაროდნიკები და «ფრაქციული ძალმომრეობა»

რაც უფრო ფართოვდება მუშათა მოძრაობა, რაც უფრო მეტი შეკავშირებით ხდება მისი გამოსვლები, — მით უფრო ხმამაღლა ყვირიან მასებისაგან მოწყვეტილი პაწაწა ინტელიგენტური ჯგუფები «ფრაქციულობაზე», «პრავდისტულ მოარულ სენზე», «ფრაქციულ სიბრმავეზე» და სხვ.. ეს კეთილი ადამიანები ვერც კი მიმხვდარან, რომ ამით ისინი თვითონ აძლევენ თავიანთ თავს სიღარიბის მოწმობას. იქ, სადაც ისინი მხოლოდ რაღაც სტიქიურ უბედურებას ხედავენ, რომლის გამოც ხმამაღლა მოთქმა-ღა გვმართებსო, იქ ნამდვილად თავს იჩენს ჩვენი მუშათა მოძრაობის სიმწიფე და სიმტკიცე.

არაფერს ისე არ უმხილებია მთელი უსანდომობა, მთელი სიყალბე ინტელიგენტური ყვირილისა მუშათა «ფრაქციულობის» წინააღმდეგ, როგორც მუშების ამასწინანდელ აშკარა სადაზღვევო არჩევნებს.

აიღეთ ნაროდნიკული გაზეთი «მისლ ტრუდა». უკვე პეტერბურგის ყველა სადაზღვევო არჩევნების შ ე მ დ ე გ 20 აპრილის ნომერში ჩვენ ვპოულობთ მეტისმეტად მყვირალა სტატიას, სადაც სერიოზული გამომეტყველებით ამტკიცებენ, არასგზით არ უნდა «დავემორჩილოთ პრავდისტების ფრაქციულ ძალმომრეობასო (!!)».

ფრაქციული ძალმომრეობა! რაოდენი თავისაგდება იყო საჭირო ნაროდნიკული გაზეთისათვის, ასეთი დემაგოგიური სიტყვები რომ დაეწერა!

ერთი დაუფიქრდით, მკითხველო. ხდება აშკარა არჩევნები მუშებისაგან. მუშები ერთმანეთს შორის შეკითხვას ახდენენ მონაწილეთა პოლიტიკური მიმართულების შესახებ. საყოველთაო ცნობისათვის ქვეყნდება ყველასათვის უდავო შემდეგი მონაცემები ამრჩევთა პოლიტიკური შემადგენლობის შესახებ: 37 პრავდისტი, 7 ლიკვიდატორი, 4 ნაროდნიკი და 5 გაურკვეველი. მუშები, რა თქმა უნდა, პრავდისტების უმრავლესობას ირჩევენ. (ერთგვარი წარმომადგენლობა უმცირესობასაც მიეცა: არა ლიკვიდატორ მენშევიკებს). ამის შემდეგ ნაროდნიკული გაზეთი აურზაურს სტეხს «ფრაქციულ ძალმომრეობაზე».

მაგრამ თქვენ ხომ პირდაპირ სასაცილოდ იხდით თავს, ბატონო ნაროდნიკებო. თქვენი მაგალითით თქვენ ნათელჰყოფთ გაცვეთილი სიტყვის — «ფრაქციულობის» მთელ უ ა ზ რ ო ბ ა ს. თქვენ დაგვიწყებიათ ორი უბრალო ციფრი: 37 და 4. 53 მუშა ამრჩევში ნაროდნიკი ოთხი კაცი აღმოჩნდა, ე. ი. რაღაც 7 პროცენტი. მაგრამ ნაროდნიკები, ალბათ, ფიქრობენ, რომ მუშებმა თავიანთი წარმომადგენლები ხმის უმრავლესობით კი არ უნდა აირჩიონ, არამედ უ მ ც ი რ ე ს ო ბ ი თ. ნაროდნიკების საამებლად საჭირო იყო 37 მუშა ამრჩევის 4-თან გათანაბრება. 37 უდრის ოთხს — აი საკუთრივ რის ჩაგონებას ცდილობენ მუშებისათვის კეთილი და «არაფრაქციული» ნაროდნიკები. გასაკვირველი არ არის, რომ მუშებს ვერასგზით ვერ გაუგიათ ეს ნაროდნიკული სიბრძნე.

ყველაფერს აქვს საზღვარი, ბატონო «არაფრაქციულო» ნაროდნიკებო. თუ თქვენ 53-დან 4 ამრჩევი გყავთ და თქვენს თავს მაინც ნებას აძლევთ უმრავლესობის «ფრაქციულ ძალმომრეობაზე» იყვიროთ, ამით მხოლოდ ერთ რამეს ამტკიცებთ: რომ უნარი არა გაქვთ უმრავლესობის ნება-სურვილის პატივისცემისა, რომ «ფრაქციულობის» წინააღმდეგ თქვენი უთავბოლო ყვირილით თქვენ ცდილობთ ჩ ა შ ა ლ ო თ მ უ შ ე ბ ი ს უ დ ი დ ე ს ი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ნ ე ბ ა-ს უ რ ვ ი ლ ი. თქვენ, და არა სხვა ვინმე, ცდილობთ ნამდვილად

განახორციელოთ უმნიშვნელო უმცირესობის ძალმომრეობა უდიდესი უმრავლესობის მიმართ.

როდესაც მასებისაგან მოწყვეტილი წრის ყოვლად უბადრუკ, ყოვლად უპრინციპო პოლიტიკას ატარებთ, «ფრაქციული ძალმომრეობის» წინააღმდეგ გოდებით თქვენ ცდილობთ მუშების ნერვებზე იმოქმედოთ და გ ა მ ო ს ძ ა ლ ო თ მათ ამ უსანდომო ხერხით თქვენი წრეობრივი ინტერესების დაკმაყოფილება. თუ კი არსებობს რაიმე «ფრაქციულობა» ყოვლად უცუდესი ყაიდისა, ეს არის სწორედ ლიკვიდატორული და ნაროდნიკული წრეების მოქმედება, მუშების ნება-სურვილის ჩაშლას რომ ცდილობენ.

იმავე სურათს ვხედავთ ისეთ დიდ ცენტრში, როგორიც რ ი გ ა ა, სადაზღვევო არჩევნებთან დაკავშირებითაც.

შესდგა საავადმყოფო სალაროების გამგეობელთა კრება საგუბერნიო სადაზღვევო საკრებულოსათვის კანდიდატების დასასახელებლად. წარმოდგენილია 21 სალარო. მიმდინარეობს პოლიტიკურ მიმართულებათა სასტიკი ბრძოლა. ერთ მხარეზე არიან ლიკვიდატორები, ნაროდნიკები, უპარტიონი, ზოგიერთი პროფესიული კავშირი. მეორეზე — პრავდისტები. მრავალი ორატორი გამოდის როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. შედეგი: პრავდისტების სია 44 ხმას იღებს, ყველა დანარჩენთა ბლოკი — 20-ს. (ეს ცნობები თვით «მისლ ტრუდას» № 2-დან გვაქვს ამოღებული). პრავდისტებს ამრიგად ორ მესამედზე მეტი ჰყავთ.

ამის შემდეგ ნაროდნიკები კვლავ მორთავენ ტირილს «ფრაქციულობასა» და «ფრაქციულ ძალმომრეობაზე».

ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ თამაშობენ სიტყვებით. ნაროდნიკები ხომ არასოდეს არ ყოფილან სოციალ-დემოკრატიის ფ რ ა ქ ც ი ა. ნაროდნიკები და ს.-დ-ები მუდამ ო რ ცალკეულ პ ა რ ტ ი ა ს წარმოადგენდნენ — ცალკეული პროგრამით, ტაქტიკით, ორგანიზაციით. ბრძოლა სოციალ-დემოკრატებსა და ნაროდნიკებს შორის პოლიტიკური პ ა რ ტ ი ულ ი ბრძოლაა, და სრულიადაც არა «ფრაქციული». რა შუაშია აქ «ფრაქციულობა»?

განა ცხადი არ არის, რომ «ფრაქციულობის» წინააღმდეგ ლიკვიდატორთა და «შემარიგებელთა» ყვირილი მხოლოდ ხელს უმართავს მუშათა პარტიის მტრებს, მხოლოდ ქაოსსა და დაქსაქსულობას თესავს, ურევს ცნებებს, თავგზას უბნევს მუშებს.

«ფრაქციულობის» წინააღმდეგ ყვირილი სისტემად იქცა. მას შეგნებით იყენებენ მარქსისტების მტრები, რათა თავგზა აუბნიონ მუშებს. თუ რომელიმე ინტელიგენტს ან ინტელიგენტთა წრეს მუშების გადაწყვეტილება არ მოეწონა, ის გაჰყვირის: გვიშველეთ, «ფრაქციულობაა», გვიხსენით, «ფრაქციული ძალმომრეობააო»!

ვერავის ვერ გააკვირვებთ ამით, ბატონებო. როდესაც გამთიშველი და ლიბერალი ფ. დ. «სევერნაია ლიკვიდატორსკაია გაზეტაში» თითქმის ყოველ სტრიქონში ღმერთსა ფიცულობს — «ერთიანობის» მომხრე ვარო; როდესაც ტროცკი თავის არქიინტელიგენტურ, ერთიანად ინტელიგენტურ პატარა ჟურნალში მაღალფარდოვანი გამოთქმებით «ფრაქციულ განთავისუფლებაზე» გაჰკივის; როდესაც «მისლ ტრუდას» წვრილბურჟუაზიული ვითომ-სოციალისტები ირწმუნებიან, ჩვენც ერთიანობის მომხრენი ვართო — მუშები მათ უპასუხებენ: ვინც მუშათა მოძრაობის ნამდვილ ერთიანობას ემხრობა, ის შეგნებული მუშების უმრავლესობას უნდა დაემორჩილოს, მან არ უნდა გაბედოს მარქსისტული პროგრამისა და მარქსისტული ტაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა.

«პუტ პრავდი» № 81,
1914 წ. 9 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მუშების გარეკვნა დახვეწილი ნაციონალიზმით

რაც უფრო ძლიერ ვითარდება მუშათა მოძრაობა, მით უფრო თავგანწირული ხდება ბურჟუაზიისა და მებატონეთა ცდები — დათრგუნონ ან დაქსაქსონ ეს მოძრაობა. ორივე ამ ხერხს, ძალით დათრგუნვასა და ბურჟუაზიული გავლენით დაქსაქსვას, მუდამ მიმართავენ მთელ მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში, ამასთან ხან ერთსა და ხან მეორე ხერხს აყენებენ წინა რიგში გაბატონებული კლასების სხვადასხვა პარტიები.

რუსეთში განსაკუთრებით ცხრაას ხუთი წლიდან, როდესაც ყველაზე უფრო ჭკვიანმა ბურჟუებმა ნათლად დაინახეს მარტოოდენი ძალმომრეობის არასაიმედობა, ყველა «პროგრესული» ბურჟუაზიული პარტია და ჯგუფი სულ უფრო ხშირად მიმართავს ერთ ხერხს — მუშების გათიშვას სხვადასხვაგვარ ბურჟუაზიულ იდეათა და მოძღვრებათა ქადაგებით, რომლებიც მუშათა კლასის ბრძოლას ასუსტებენ.

ამგვარ იდეათა რიცხვს ეკუთვნის დახვეწილი ნაციონალიზმი, რომელიც პროლეტარიატის გათიშვასა და დაქსაქსვას უაღრესად კეთილსახიერი და ტკბილად მეღერი საბაბით ქადაგებს, მაგალითად, «ნაციონალური კულტურის», «ნაციონალური ავტონომიისა თუ დამოუკიდებლობის» ინტერესთა დაცვის საბაბით და სხვ. და ა. შ.

შეგნებული მუშები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ნაციონალიზმს,

როგორც უხეშს, ძალმომრეობითს, შავრაზმულს, ისე უაღ-
რესად დახვეწილსაც, რომელიც ერების თანასწორუფლებია-
ნობას ქადაგებს... მუშათა საქმის, მუშათა ორგანიზაციების,
მუშათა მოძრაობის ეროვნებათა მ ი ხ ე დ ვ ი თ დ ა ქ ს ა ქ ს-
ვ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ. შეგნებული მუშები, რომლებიც
ახორციელებენ მარქსისტების უკანასკნელი (1913 წ. ზაფხუ-
ლის) თათბირის გადაწყვეტილებებს, იცავენ — ნაციონალის-
ტური ბურჟუაზიის ყველა სახესხვაობათაგან განსხვავებით —
არა მარტო ერებისა და ენების უაღრესად სრულ, თანამიმ-
დევრულ, ბოლომდე მიყვანილ თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა-
ნ ო ბ ა ს, არამედ სხვადასხვა ეროვნების მუშების შ ე დ უ-
ღ ე ბ ა ს ა ც ყოველი სახის ე რ თ ი ა ნ პროლეტარულ
ორგანიზაციებში.

აი ეს არის ძირითადი განსხვავება მარქსიზმის ნაციონა-
ლურ პროგრამასა და ყოველგვარი, თუნდაც ყველაზე უფრო
«მოწინავე», ბურჟუაზიის ნაციონალურ პროგრამას შორის.

ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობის აღიარება
მარტო იმით კი არ არის ძვირფასი მარქსისტებისათვის, რომ
ისინი ყველაზე თანამიმდევარი დემოკრატები არიან. მუშების
კლასობრივი ბრძოლის პროლეტარული სოლიდარობის, ამ-
ხანაგური ერთობის ინტერესები მოითხოვენ ერთა უაღრესად
სრულ თანასწორუფლებიანობას სულ მცირეოდენი ეროვნუ-
ლი უნდობლობის, განკერძოების, ეჭვიანობის, მტრობის
მოსასპობად. ხოლო სრული თანასწორუფლებიანობა გულის-
ხმობს ერთ-ერთი რომელიმე ენის ყოველგვარ პრივილეგიათა
უარყოფასაც, გულისხმობს ყველა ერის თვითგამორკვევის
უ ფ ლ ე ბ ი ს აღიარებას.

მაგრამ ბურჟუაზიის მხრივ ერთა თანასწორუფლებიანო-
ბის მოთხოვნა ნამდვილად ძალიან ხშირად უდრის ეროვნული
განსაკუთრებულობისა და შოვინიზმის ქადაგებას, ძალიან
ხშირად უთავსდება ერების გათიშვისა და განკერძოების
ქ ა დ ა გ ე ბ ა ს. ამას უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ვერ ურიგდება პრო-
ლეტარული ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი, რომელიც ქადა-
გებს არა მარტო ერების დ ა ა ხ ლ ო ე ბ ა ს, არამედ ე რ თ ი ა ნ

პროლეტარულ ორგანიზაციებში ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნებათა მუშების შ ე დ უ ღ ე ბ ა ს ა ც. ამიტომ მარქსისტები გადაჭრით გმობენ ეგრეთწოდებულ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას», ესე იგი სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გ ა მ ო ყ ო ფ ა ს და ც ა ლ კ ე უ ლ ეროვნებათა ხელში გადაცემას. ეს გეგმა არის ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი კავშირის ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დანაწილება «ნაციონალური კულტურის» საკითხებში ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ კ ა ვ შ ი რ ე ბ ა დ, რომელთაც თავიანთი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი სეიმები, სასკოლო ფინანსები, სასკოლო საბჭოები, სასკოლო დაწესებულებები ექნებათ.

ეს არის დახვეწილი ნაციონალიზმის გეგმა, რომელიც: რყვნის და თიშავს მუშათა კლასს. ამ გეგმას (ბუნდელების, ლიკვიდატორების, ნაროდნიკების, ე. ი. სხვადასხვა წვრილ-ბურჟუაზიულ ჯგუფთა გეგმას) მარქსისტები უპირისპირებენ პრინციპს: ვაღიაროთ ერებისა და ენების უაღრესად სრული თანასწორუფლებიანობა თვით სახელმწიფო ენის საჭიროების უარყოფამდე, მაგრამ ამასთან ერთად დავიცვათ ერების რაც შეიძლება მეტი დაახლოება, ყველა ერისათვის სახელმწიფო დაწესებულებათა ერთიანობა, სასკოლო საბჭოების ერთიანობა, სასკოლო პოლიტიკის ერთიანობა (საერო სკოლა!), სხვადასხვა ერის მუშების ერთიანობა ყ ო ვ ე ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ბ ურ ჟ უ ა ზ ი ის ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ თ ა ნ ბრძოლაში, ნაციონალიზმთან, რომელსაც გულუბრყვილოთა მოსატყუებლად «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგის სახით გვთავაზობენ.

დაე მეშჩანმა ნაციონალისტებმა, ბუნდელებმა, ლიკვიდატორებმა, ნაროდნიკებმა, «ძვინის» მწერლებმა, აშკარად დაიცვან თავიანთი პრინციპები — დახვეწილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პრინციპები, ეს მათი უფლებაა. მაგრამ მუშებს ნუ კი ატყუებენ, როგორც ამას, მაგ., ქ-ნი ვ. ო. სჩადის «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» № 35-ში, როდესაც ცდილობს

დაარწმუნოს მკითხველები, თითქოს გაზეთი «ზა პრავდუ» დედაენაზე სწავლებას უ ა რ ყ ო ფ დ ე ს!!!

ეს არის უხეში ცილისწამება, ვინაიდან პრავდისტები არა თუ აღიარებენ ამ უფლებას, არამედ ყველაზე უ ფ რ ო თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ა დ ა ც აღიარებენ მას. როდესაც მარქსისტების იმ თათბირს მიემხრნენ, რომელმაც გამოაცხადა — **ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ნ ა ა რ უ ნ დ ა ა რ ს ე ბ ო ბ დ ე ს ო,** პრავდისტებმა რუსეთში **პ ი რ ვ ე ლ ე ბ მ ა** აღიარეს **ს რ უ ლ ა დ** დედაენის უფლება!

დედაენაზე სწავლების არევა «ერთი სახელმწიფოს ფარგლებში სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დანაწილებასთან», «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიასთან», «სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფასთან» — ეს არის აშკარა უმეცრება.

არსად მსოფლიოში მარქსისტები (თვით დემოკრატებიც კი) არ უარყოფენ დედაენაზე სწავლებას. **დ ა ა რ ს ა დ მ ს ო ფ ლ ი ო შ ი** არ მიუღიათ მარქსისტებს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» პროგრამა, — **მ ა რ ტ ო ო დ ე ნ** ავსტრიაში იქნა იგი **წ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი.**

ფინეთის მაგალითი, ქ-ნ ვ. ო.-ს მიერ მოყვანილი, თვით მასვე ამტყუნებს, ვინაიდან ამ ქვეყანაში აღიარებული და გატარებულია **ე რ ე ბ ი ს ა დ ა ე ნ ე ბ ი ს თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა** (რასაც ჩვენ უთუოდ და ყველაზე უფრო თანამიმდევრობით ვაღიარებთ), მაგრამ **ლაპარაკიც კი არ არის «სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფაზე»**, მთელი სასკოლო საქმის განმგებელ განსაკუთრებულ ეროვნულ კავშირებზე, მთელი სახელმწიფოებრივი სასკოლო საქმის ეროვნული ტიხრებით გამიჯვნაზე და სხვ.

«პუტ პრავდი» № 82,
1914 წ. 10 მაისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ

რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას ახასიათებს საგაფიცვო მოძრაობის ზრდა საზოგადოდ, შემდეგ პოლიტიკური (მაგალითად, საპირველმაისო) გაფიცვების ზრდა და მუშებს შორის «პრავდისტული» მიმართულების გაძლიერება (დედაქალაქის სადაზღვევო დაწესებულებებისა და სრულიად რუსეთის სადაზღვევო დაწესებულების არჩევნებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ეს).

კავშირი მუშათა მოძრაობის ხასიათსა და იმ მიმართულებას შორის, რომელიც **თავის** მიმართულებად აღიარა შეგნებული მუშების უდიდესმა უმრავლესობამ, — აშკარაა და განსაკუთრებულ განმარტებას არ საჭიროებს.

შემდეგ, თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის ნიშნობლივი თვისებაა ის, რომ განსაკუთრებით ნათლად და მკაფიოდ გამოისახა «მემარცხენე ბლოკი», ე. ი. პროლეტარული და ბურჟუაზიული დემოკრატიის (ტრუდოვიკები და ლიკვიდატორები) შეერთებული მოქმედება, როგორც პურიშკევიჩთა წინააღმდეგ, ისე გამცემლური ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგაც. სათათბიროში მემარცხენეების ობსტრუქციამ და ს.-დ-ებისა და ტრუდოვიკების გამორიცხვამ მემარჯვენეების, ოქტიაბრისტების და პროგრესისტთა ნაწილის ხმებით, კადეტების თ ა ვ შ ე კ ა ვ ე ბ ი ს ა, თვალნათლივ გვიჩვენეს ეს «მემარცხენე ბლოკი». პროლეტარულ დემოკრატიას იოტისოდენადაც არ შეუსუსტებია თავისი დამოუკიდებლობა და არ გადაუხვევია თავისი პროლეტარული,

პრავდისტული ხაზისაგან. ლიბერალების საწინააღმდეგო ამ ხაზს მხოლოდ ტრუდოვიკებმა და ლიკვიდატორებმა დაუჭირეს მხარი, თუმცა ერთნიც და მეორენიც არაიშვიათად მერყეობენ ლიბერალების სასარგებლოდ.

ბოლოს, ბურჟუაზიული კლასების წრეში თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობის ნიშნობლივი თვისებაა მერყეობა და უკმაყოფილება. ეს გამოიხატა სავაჭრო-სამრეწველო ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვებით და მისი რეზოლუციით. აშკარა უკმაყოფილება მთავრობით, აშკარა ოპოზიციური განწყობილება.

ეს გამოიხატა სათათბიროში ოქტიაბრისტების — ერობელებისა და ლიბერალების მიერ სამინისტროს საწინააღმდეგოდ რეზოლუციის მიღებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს. კადეტები ზეიმობენ «მათს» თვალსაზრისზე ოქტიაბრისტების გადასვლის გამო, მაგრამ მათ ავიწყდებათ დასძინონ, რომ თვით კადეტებიც აქ **ოქტიაბრისტულ თვალსაზრისზე** გადავიდნენ!!

IV სათათბიროს მიერ მიღებული რეზოლუცია სავსებით გარკვეულ კონტრრევოლუციურ და იმპერიალისტურ თვალსაზრისს ადგია. მთავრობის პოლიტიკა ამ რეზოლუციაში იმისთვისაა დაგმობილი, რომ

«საყოველთაო ადმინისტრაციული თვითნებობა უკმაყოფილებასა და ყრუ დრტვინვას იწვევს მოსახლეობის ფართო, მშვიდ» (ე. ი. ბურჟუაზიულ-რეაქციულ და მემამულურ) «ფენებში და მით ხელს უწყობს ანტისახელმწიფოებრივ მიმდინარეობათა აღმოცენებასა და გაძლიერებას».

ბატონი ოქტიაბრისტები აქ დემოკრატიაზე ლაპარაკობენ. ბატონმა კადეტებმა მერმე და მერმე უარყვეს საჯაროდ დემოკრატია. მით უკეთესი, ვინაიდან ისინი არასოდეს არ ყოფილან და არც შეიძლება იყვნენ დემოკრატები, ვინაიდან ისინი მხოლოდ ატყუებდნენ დემოკრატიას, როდესაც მის წარმომადგენლობას კისრულობდნენ. დემოკრატია რუსეთში წინ ვერ გადადგამს ნაბიჯს, თუ კადეტთა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის მატყუარობას არ დააღწია თავი.

დასკვნა.

მუშათა მოძრაობის შემდგომი გაძლიერება. მუშების უმრავლესობის შემდგომი მჭიდრო შეკავშირება «პრავდიზმთან».

გარკვეულად გამოსახვა «მემარცხენე ბლოკისა» მემარჯვენეების წინააღმდეგ და კადეტების წინააღმდეგ პროლეტარული და ბურჟუაზიული დემოკრატიის (ტრუდოვიკები და ლიკვიდატორები) შეერთებული მოქმედების აზრით.

დაშლა, მერყეობა, ურთიერთი უნდობლობა და უკმაყოფილება 3 ივნისის სისტემის შიგნით, მემამულეებისა და რეაქციული ბურჟუაზიის შიგნით. «ისინი» ბრალს სდებენ ერთმანეთს — პურიშკევიჩები ლიბერალებს, ლიბერალები პურიშკევიჩებს — ახალი რევოლუციის ხელის შეწყობასა და დაჩქარებაში.

ასეთია მდგომარეობა.

«პუტ პრავდი» № 85,
1914 წ. 13 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მუშების ერთიანობა და ინტელიგენტების «მიმდინარეობანი»

შეგნებული მუშები, წინ რომ მიჰყავთ თავიანთი მოძრაობა, მუდამ თვალს გადაავლებენ ხოლმე მუშათა მოძრაობის მიერ განვლილ გზას და კვლავ და კვლავ უფიქრდებიან, სწორია თუ არა ეს გზა, შესაძლებელი ხომ არ არის მისი გაუმჯობესება.

არც ერთი კლასი რუსეთის ყველა კლასთაგან, თვით განათლებული და მდიდარი ბურჟუაზიაც კი, ისე პირდაპირ, მკაფიოდ, შეძლებისდაგვარად აშკარად, არ განიხილავს ხოლმე თავის ტაქტიკას, ესე იგი თავისი მოძრაობის მიმართულებასა და ხერხებს, როგორც მუშათა კლასი. მხოლოდ უჭკუო ანდა ისეთ ადამიანებს, ვისაც ეშინია პოლიტიკაში ფართო მასების მონაწილეობისა, უადგილო ან ზედმეტი ეჩვენებათ ის აშკარა და გაცხარებული დავა ტაქტიკაზე, რომელსაც მუდამ ვხედავთ მუშათა პრესაში. ნამდვილად კი სწორედ ეს ცხარე დავა უწყობს ხელს იმას, რომ ყველა მუშები ჩაებნენ, შეეჩვევნენ თავიანთი, მუშათა, პოლიტიკის ყოველმხრივ აწონ-დაწონას, გამოიმუშაონ მოძრაობის მტკიცე, ნათელი, გარკვეული კლასობრივი ხაზი.

ამას წინათ «სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიციის» მუშებმა საესებით დამაჯერებლად გვიჩვენეს, თუ როგორია და როგორი უნდა იყოს შეგნებული მუშების დამოკიდებულება ტაქტიკის შესახებ დავისადმი.

«ჩვენ მივუთითებთ — წერდნენ ისინი «პუტ პრავდის» № 68-ში — ექსპედიციაში მომუშავე იმ ამხანაგებს, რომლებმაც «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» მომხრეთა მოწოდებას დაუჭირეს მხარი და ორივე გაზეთისათვის თანასწორად აგროვებდნენ ფულს, რადგან ეს მიაჩნდათ ვითომდა ნაბიჯად ერთიანობის განსახორციელებლად, — რომ ეს ნაბიჯი ჩვენ არასწორად მიგვაჩნია და რომ მას მუშათა მოძრაობის ერთიანობისაკენ კი არ მივყავართ, არამედ, პირიქით, ის გვაშორებს მარქსიზმის ერთი დროშის ქვეშ მუშების შეერთების მომენტს. მართლაცდა, ავიღოთ ასეთი მაგალითი. ვთქვათ, ვხედავთ ორ კაცს, რომელნიც გაცხარებით კამათობენ ისეთ საკითხზე, თვით ჩვენვე რომ გვეხება, და ჩვენ ეს ჩხუბი არ გვესიამოვნება, და მისი შეწყვეტა გვსურს. რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევაში? დღესავით ნათელია: გავერკვეთ, თუ ვინ უფრო მართალია, და მის მხარეზე დავდგეთ, მტყუანი კი დარწმუნდება მაშინ თავის შეცდომაში ანდა, თუ მას არ შეუძლია თავისი შეცდომის გაგება, ძალა გამოელევა და დავას შეწყვეტს. მაგრამ თუ ჩვენ ერთსაც და მეორესაც მხარს დავუჭერთ და წავაქეზებთ, მაშინ დავასაც ბოლო არ ექნება».

ასე წერდნენ ექსპედიციის მუშები. და სრულიად შეუძლებელია მათ მიერ ყველა მუშისათვის საქმის ვითარების მარტივად ახსნის გაბათილება.

«თანაბრად» დახმარება ან სურვილი — შეაერთონ თუ «გააერთიანონ **ყველა** მიმდინარეობა» (რასაც ამბობენ, სხვათა შორის, სათათბიროს ის დეპუტატები, ლიკვიდატორობას რომ თანაუგრძნობენ) ნამდვილად სხვას არას ნიშნავს, გარდა მისწრაფებისა — გარედან იმბრძანებლონ მუშებზე, იმ იმედით, რომ თვით მუშებს თითქოსდა არ ძალუძთ «გაერკვნენო». ინტელიგენტთა თვითეულ პაწაწა ჯგუფს შეუძლია გამოსცეს მჭლე ბროშურა ან ჟურნალი, «მიმდინარეობად» გამოაცხადოს თავი, — ასეთია, მაგალითად, ანტიმარქსისტ ფილოსოფოსის ბოგდანოვის ჯგუფი ან ტროცკის ჯგუფი ანდა ნაროდნიკებსა და მარქსისტებს შუა მერყეევი ჯგუფი ნ. ნ. გიმერისა და სხვ.

«მიმდინარეობა», რამდენიც გნებავთ, იმდენია, მუშებს კი მოუხმობენ: დაეხმარეთ «თანაბრად», აღიარეთ **«ყველა მიმდინარეობაო»!!!**

რა თქმა უნდა, ყოველი, რამდენადმე მაინც შეგნებული, მუშა იტყვის: რაზეა დავა? ჩ ე მ ს ბრძოლაზე? ჩ ე მ ს პოლიტიკასა და ტაქტიკაზე? ჩ ე მ ს პარტიაზე?

მაშ თვით მე გავერკვევი, ბატონო პატივცემულნო, და მხოლოდ იმ ტაქტიკას გამოვაცხადებ ჩ ე მ ა დ, რომელსაც მე ვიწონებ და ვიზიარებ.

ეს ნათელია, როგორც ნათელია დღის სინათლე.

მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთში არ არის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და (განსაკუთრებით პროვინციაში) ჯერ კიდევ არიან მუშათა მასები, რომლებიც პირველად ხედავენ ამა თუ იმ მუშათა გაზეთს და ჯერ კიდევ სრულიად «ვერ ერკვევიან» მუშათა პოლიტიკის საკითხებში, მხოლოდ ამიტომაა შესაძლებელი რუსეთში ინტელიგენტების ისეთი მბრძანებლობა მუშების მიმართ, რომელიც გამოიხატება მოწოდებებში — სცნონ «ყველა მიმდინარეობა» და «თანაბრად» დაეხმარონ მათ.

ბაზარში ხშირად ხდება, რომ ყველაზე უფრო ის ყვირის და ფიცულობს, ვისაც ძალზე დამპალი საქონლის გასაღება სურს.

ინტელიგენტური ორომტრიალის ბაზარზე ხშირად ხდება, რომ მუშებზე მბრძანებლობის წინააღმდეგ ყველაზე ხმამაღლა სწორედ ის ინტელიგენტები გაჰყვირიან, ვინც მუშებს მბრძანებლობს, უამრავ ანტიმარქსისტულ და ანტიპროლეტარულ «მიმდინარეობას» აცხადებს.

აიღეთ პეტერბურგი. საეჭვოა ადამიანმა, თუ ის ჭკუაზე არ შეშლილა, სადავოდ მიიჩნიოს ის, რომ პროვინციასთან შედარებით პიტერის მუშები უფრო კულტურული და შეგნებული არიან, უფრო შეჩვეული და უნარიანი არიან მართლაც დამოუკიდებლად «გაერკვნენ» მარქსიზმის მოძღვრებისა და მუშათა მოძრაობის პრაქტიკის ყველა საკითხში.

და მერე რა?

პეტერბურგის მუშები **გაერკვნენ** და სწორად აღიარეს **პრავდისტული** მიმდინარეობა.

პეტერბურგში მუშების უდიდესმა უმრავლესობამ «პრავდიზმს» დაუჭირა მხარი და საქმით დაამტკიცა, რომ მ ხ ო ლ ო დ ამ «მიმდინარეობას» ცნობენ ისინი თ ა ვ ი ს ა დ.

პროვინციაში პრავდისტების უპირატესობა ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ უპირატესობას მაინც ვხედავთ. ეს დაამტკიცა ორი წლის ცნობებმა მუშათა ჯგუფების შესახებ, ცნობებმა, რომლებიც «სასიამოვნო არაა» «პრავდიზმის» მოწინააღმდეგეებისათვის, მაგრამ მაინც ფაქტებად რჩება.

შეგნებული მუშების უმრავლესობა გაერკვა, მან შეამოწმა ამა თუ იმ ტაქტიკის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ მოყვანილი საბუთები, თ ა ვ ი ს ა დ აღიარა პრავდისტული ტაქტიკა. მუშების ამ უმრავლესობის ერთიანობისა და ნებასურვილის ჩაშლას, დარღვევას ცდილობენ ახლა დამაარსებელნი ინტელიგენტური «მიმდინარეობებისა», ლიკვიდატორობისა, ტროცკიზმისა («ბორბა»), ნაროდნიკობის და მარქსიზმის ნარევისა (ბ-ნ გიშერის «სოვრემენნიკი» [87]) და სხვ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ამ ინტელიგენტურ «მიმდინარეობას», რომელნიც ანტიმარქსისტულ იდეებს ანდა მათდამი დათმობებს ქადაგებენ, გააცამტვერებს მოწინავე მარქსისტი მუშების შეგნება და ნებისყოფა. პიტერის მაგალითი ადასტურებს ჩვენს რწმენას.

განსაკუთრებით სასაცილოა, როდესაც პატარა ჯგუფთა და «მიმდინარეობათა» ინტელიგენტი დამაარსებელნი, მუშების ერთიანობას რომ არღვევენ, ამასთან «ერთიანობაზე» გაჰყვირიან. ისინი ეწინააღმდეგებიან საქმით ჩამოყალიბებულს მუშების ერთიანობას და ემხრობიან სიტყვით აღთქმულს ინტელიგენტურ მიმდინარეობათა ერთიანობას.

«პუტ პრავდი» № 85,
1914 წ. 13 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მემარცხენე ნაროდნიკების შესახებ

მემარცხენე ნაროდნიკები «სტოიკაია მისლის» № 20-ში და ნაროდნიკები «რუსსკოე ბოგატსტვოს» № 4-ში თავს დაატყდნენ ნაროდნიკულ «რუსსკიე ვედომოსტის» იმისათვის, რომ უკანასკნელი მიემხრო სანადელო მიწების მობილიზაციის, ე. ი. ყიდვის, გაყიდვისა და დაგირავების, თავისუფლებას.

ეს საკითხი იმიტომ არის საინტერესო, რომ განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ადასტურებს ნაროდნიკული თეორიის უკიდურესი ჩამორჩენილობისა და რეაქციულობის მარქსისტულ შეფასებას. გარდა ამისა, ამ საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობაც გვაიძულებს შევჩერდეთ მასზე.

საზოგადოებაში, სადაც სასაქონლო წარმოებაა გაბატონებული, ყოველი წვრილი მეპატრონე მიწათმოქმედებაში გარდუვალად სულ უფრო და უფრო ებმება გ ა ც ვ ლ ა-გ ა მ ო ც ვ ლ ა შ ი და არა მარტო ადგილობრივი და ნაციონალური ბ ა ზ რ ი ს ა გ ა ნ, არამედ აგრეთვე მ ს ო ფ ლ ი ო ბაზრისაგან დამოკიდებულებაშიც. მთელი მსოფლიოს ეკონომიური განვითარების თვითეული დღე, ახალი რკინიგზების თვითეული ვერსი, მუშაკის თვითეული ახალი წასვლა «საშოვარზე» სოფლიდან ქალაქად ანდა საზოგადოდ ფაბრიკაში, თვითეული ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა, — ერთი სიტყვით, პირდაპირ თვითეული ნაბიჯი მსოფლიო სამეურნეო ცხოვრებისა გაცვლა-გამოცვლაში აბამს სულ მივარდნილ

ადგილებსაც კი. მილიონობით და მილიარდობით დღენიადაგ შემჩნეული მოვლენები მსოფლიოს ყველა კუთხეში და უკ-ლებლივ ყველა ქვეყანაში ამტკიცებენ გაცვლითი მეურნეობის, სასაქონლო წარმოების, კაპიტალიზმის ამ ზრდას. ვინაიდან გაცვლითი მეურნეობისა და მარტივი სასაქონლო წარმოების გადაქცევა კაპიტალიზმად ამგვარადვე არის მოვლენა, რომელსაც ადასტურებს მილიონი და მილიარდი ყოველდღიური ეკონომიური დაკვირვება თვითეულ სოფელში, თვითეულ ხელობასა და «შინამრეწველურ» სარეწში.

ცხადია, მსოფლიო მეურნეობის ასეთ ვითარებაში ჩაყენებული გლეხი არის **საქონელმწარმოებელი** და დღითი-დღე სულ უფრო მეტად ებმება ბაზრისაგან დამოკიდებულებაში, — ყიდის თავის პროდუქტებს, ყიდულობს შრომის იარაღებსა და მოხმარების საგნებს, ქირაობს მუშებს ანდა თვითონ ქირავდება მუშად. საქმის ასეთი მდგომარეობის დროს, რახან მიწის საკუთრება არსებობს, მისი ყიდვის — გაყიდვის — დაგირავების თავისუფლება კაპიტალიზმის განვითარების აუცილებელი პირობაა. ამ თავისუფლების შეზღუდვის ცდებს სხვა რამ არ შეუძლიათ გამოიწვიონ, თუ არ კანონის შემოვლის ათას ერთი ხერხი, ათას ერთი გაჭიანურება და ჩინოვნიკური კაზიონურობა, გლეხის მდგომარეობის **გაუარესება**. მიწის მობილიზაციის თავისუფლების შემზღუდველი კანონებით თუ წესებით მსოფლიო კაპიტალიზმის შეჩერების ცდა ისეთივე ბრიყვული რამაა, როგორც ცდა ღობის წნელით მატარებლის გაჩერებისა. ამგვარი ცდების დაცვა ნიშნავს ბატონყმური კაბალის, სოფლის უძრაობისა და **ლპობის** დაცვას.

ვისაც პოლიტიკური ეკონომია ოდნავ მაინც უსწავლია, მან იცის, რომ რუსეთში მიმდინარეობს ბატონყმურობის შეცვლა — კაპიტალიზმით.

სახალხო მეურნეობის არავითარი სხვა, «მესამე», წყობა რუსეთში ა რ ა რ ი ს. ბატონყმურობაც და კაპიტალიზმიც შრომის ექსპლოატაციას ნიშნავს, ა მ ა ზ რ ი თ ნიშნავს ო რ ი ვ ე წყობილებას — «მარყუჟსა და კაბალას». მაგრამ

ბატონყმურობას მოსდგამს: საუკუნეობრივი უძრაობა, მშრომელთა დაბეჩავება და სიბნელე, შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე. კაპიტალიზმს კი მოსდგამს მეტად სწრაფი ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარება, შრომის ნაყოფიერების უდიდესი ზრდა, მშრომელთა დაბეჩავების მოსპობა და მათში შეკავშირებისა და შეგნებული ცხოვრების უნარის გაღვივება.

ამიტომ კაპიტალიზმისათვის მარყუჟისა და კაბალის დარქმევა, ამავე დროს კი — როგორც ამას ნაროდნიკები სჩადიან — კაპიტალიზმის განვითარების **დაბრკოლებათა** დ ა ც ვ ა, ეს ნიშნავს **საქმით** ბატონყმობის ნაშთების, ველურობისა და უძრაობის დამცველად გახდომას.

მარქსისტები მემარცხენე ნაროდნიკებს ყოველთვის «სოციალისტ-რეაქციონერებად» აცხადებდნენ და კვლავაც გამოაცხადებენ — მათ მიერ მობილიზაციის თავისუფლების შეზღუდვათა დაცვის გამო.

ჩვენ ვურჩევთ შეგნებულ მუშებს — სწორედ ამ საკითხში «ბრძოლა გაუმართონ» ხოლმე მემარცხენე და ყოველგვარ ნაროდნიკებს! თავდებობას ვკისრულობთ, რომ მემარცხენე ნაროდნიკების მხარეზე იქნებიან გამოტვინებული ბებრები, რომლებიც, მობილიზაციის თავისუფლების შეზღუდვასთან ერთად, იცავენ ეშმაკისადმი რწმენას, ყურმოჭრილ მონობას, როზგს, რძალ-მამამთილის კავშირსა და კეტით «დედაკაცის» «სწავლებას».

ხოლო ჩვენს მხარეზე იქნება მთელი ნორჩი, წერა-კითხვის მცოდნე, ახალგაზრდა, ეშმაკების არმრწმენი თაობა. საკმარისი იქნება ერთი ციტატა ბ-ნ პეშეხონოვის ნაწერიდან, რათა ამგვარ ადამიანებს ეს თაობა ჯეროვნად მოეპყროს:

«მე ვთქვი — წერს ბ-ნი პეშეხონოვი — გლეხებს უნარი არა აქვთ საკმაო გონიერებით ისარგებლონ საჰიპოთეკო კრედიტით. ეს, რასაკვირველია, სავსებით გასაგებიცაა — ასეთი არ არის შრომითი მეურნეობის წყობა...»

გლეხებს, თურმე ნუ იტყვით, «გონიერება» ჰკლებიათ! მენატონეებსა და ლიბერალურ მოხელეებს, თურმე ნუ იტყ-

ვით, «უნარი» ჰქონიათ გლეხის მ ა გ ი ვ რ ა დ გადაწყვეტისა!!

აი ცოცხალი, ახლო, პრაქტიკული, პატარა, მაგრამ ნათელი საკითხი. აი რა საკითხში უნდა ავიგდოთ ხოლმე სასაცილოდ ბბ. მემარცხენე ნაროდნიკები თვითეული კრების წინაშე, სადაც კი გამოღვიძებული, შეგნებული გლეხები იქნებიან.

«შრომითი» მეურნეობა კი ინტელიგენტის ცარიელი მოთაფლული ფრაზაა. ყოველმა გლეხმა მშვენივრად იცის, რომ შეუძლებელია ისე იცხოვრო, თუ არ გაჰყიდი და არ იყიდი. ამ უბრალო ფაქტის წინაშე «შრომითი მეურნეობის წყობაზე» ლაყბობა მტვრად იქცევა.

* *
*

მემარცხენე ნაროდნიკები თვალებს უხვევენ «ტეტიას», როდესაც ერთმანეთში ურევენ მობილიზაციის თავისუფლების საკითხს და «სასაქონლო წრებრუნვიდან მიწის ამოკვეთისა და საერთო-სახალხო კუთვნილებად მისი გადაქცევის» დაცვას («ისტოიკაია მისლ» № 20).

ჯერ-ერთი, მხოლოდ სულ უმეცართ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ «მიწის საერთო-სახალხო კუთვნილებად გადაქცევა» არის **არა** მიწის ამოკვეთა სასაქონლო წრებრუნვიდან, **არამედ პირიქით**: მისი კიდევ უფრო ფართო, თავისუფალი და სწრაფი **ჩაბმა** ასეთ წრებრუნვაში.

ჯერ მარქსის პოლიტიკური ეკონომია ისწავლეთ, ბატონო «სოციალისტ-რევოლიუციონერებო»!

მეორეც, რ ა დ ი კ ა ლ უ რ ბურჟუებს, როგორც მარქსმა დაამტკიცა და ცხადყო, შეუძლიათ წამოაყენონ და მათ არა ერთხელ წამოუყენებიათ მოთხოვნა «მიწის საერთო-სახალხო კუთვნილებად გადაქცევისა». ეს უცილობელია. მაგრამ იმის ფიქრი, თითქოს მობილიზაციის თავისუფლების ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ შეზღუდვათა დაცვა ამგვარ გადაქცევას აადვილებდეს, ეს ნიშნავს არა რადიკალურ, არამედ ჩამორჩენილ ბურჟუად ყოფნას.

სანამ მიწის კერძო საკუთრება არსებობს, მიწის მობილიზაციის შეფერხება მავნე და რეაქციული ზომაა. მუშათა დემოკრატიის იდეალების განსახორციელებლად სხვა გზა არ არსებობს, თუ არ ბატონყმურობის ნაშთთა რაც შეიძლება მალე გაქრობა და კაპიტალიზმის უსწრაფესი განვითარება.

* * *

მარქსისტები მუდამ ამბობდნენ და ახლაც იმეორებენ: საჭიროა ბ ა ტ ო ნ ყ მ უ რ ნაშთთაგან გ ა ვ წ მ ი ნ დ ო თ გლეხების დემოკრატიული შეხედულებანი. ნაროდნიკი **მხოლოდ იმდენადაა** მხარისდაჭერის ღირსი, რამდენადაც ის ბატონყმურობის წინააღმდეგია და დემოკრატიის მომხრე. ხოლო რამდენადაც ის წვრილ ბურჟუათა დაბეჩავებასა და ჩამორჩენილობას, გონებაშეზღუდულობასა და ეგოიზმს იცავს, — ის უდიდესი რეაქციონერია.

«პუტ პრავდი» № 86,
1914 წ. 14 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «პუტ პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ლიკვიდატორები და მალინოვსკის ბიოგრაფია

მალინოვსკის წასვლის გამო[88] დაწერილ თავიანთ მრავალრიცხოვან სტატიებში ლიკვიდატორები, სხვა ცილისწამებათა შორის, ამტკიცებენ: მალინოვსკი თვალსაჩინო პოსტზე მხოლოდ პრავდისტების «გამთიშველობამ» წამოაყენაო, მალინოვსკი პოლიტიკური «ფლიუგერიაო» და სხვ. და ა. შ.

ქვემოთ ჩვენ სიტყვასიტყვით მოგვყავს ლიკვიდატორულ გაზეთ «ლუჩის» ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო სტატია, რომელიც ლიკვიდატორებმა სახელმწიფო სათათბიროში მალინოვსკის არჩევის მეორე დღეს მოათავსეს, ე. ი. მაშინ, როდესაც ლიკვიდატორებს ჯერ კიდევ არ სჭირდებოდათ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ქუჩური ტყუილით თავის დამცირება.

აი ეს სტატია სრულად («ლუჩი» 1912 წ. 28 ოქტომბრისა, № 37):

რ. ვ. მალინოვსკი

(მოსკოვის მუშების დეპუტატი)

დეპუტატად მოსკოვის გუბერნიის მუშებისაგან არჩეულია პეტერბურგის მელითონეთა კავშირის ყოფილი მდივანი რომან მალინოვსკი. მისი სახით სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია პირველად იძენს პროფესიული მოძრაობის თვალსაჩინო პრაქტიკოსს, რომელიც რეაქციის უაღრესად მძიმე წლებში ცხოველ მონაწილეობას იღებდა მუშათა აშკარა ორგანიზაციებში.

კავშირის წევრად მალინოვსკი მისი დაარსების დღიდანვე იყო — 1906 წლის 1 მაისიდან. 1907 წლის დამდეგს იგი არჩეულ იქნა კავშირის მდივნად და ამ პასუხსაგებ თანამდებობაზე უცვლელად იმყოფებოდა 1909 წლის ნოემბრამდე, როდესაც დაპატიმრებულ იქნა ანტიალკოჰოლური ყრილობის პირველი მუშათა დელეგაციის მოსამზადებელ კრებაზე. სპბ-იდან გადასახლებამ შეწყვიტა მისი აქტიური მონაწილეობა კავშირის მუშაობაში, მაგრამ ორგანიზაციასთან იდეური კავშირი წინანდებური დარჩა.

მალინოვსკის სამდივნო მოღვაწეობის წლები ის პერიოდი იყო კავშირის ცხოვრებაში, როდესაც ბრძოლა გვიხდებოდა არა მარტო მძიმე გარეშე პირობებთან, არამედ თვით მუშების აპათიასთანაც. მალინოვსკის პირადი მაგალითი ბასრ იარაღად გამოდგებოდა ამ «შინაური მტრის» წინააღმდეგ.

მისი ენერგია, თითქოს, დაღლას არ იყო ჩვეული. იგი თანაბარი მხურვალებით ჰკიდებდა ხელს გაფიცვის ხელმძღვანელობის პასუხსაგებ საქმესაც და საორგანიზაციო მშენებლობის საგულდაგულო მუშაობასაც.

და რაც უმთავრესია — მალინოვსკი მუდამ ცდილობდა ეს ყოველდღიური მუშაობა დაეკავშირებინა მუშათა მოძრაობის საერთო ამოცანებთან, დღიური საკითხებისათვის ბრძოლის დროს, მხედველობიდან საბოლოო მიზნის გაუშვებლად.

დიდ დროსა და ძალას ართმევდა მალინოვსკის კავშირში მუშაობა. და იგი მაინც მარტოოდენ ამით როდი იზღუდავდა თავს: ცოტად თუ ბევრად იღებდა მონაწილეობას უკანასკნელი წლების მუშათა ყველა გამოსვლაში. იგი პეტერბურგის მუშების დელეგატი იყო მოსკოვის 1908 წ. კოოპერაციულ ყრილობაზე. 1909 წ. აღდგომას ის სპბ. მელითონნეებს წარმომადგენლობდა საფაბრიკო ექიმების 1-ლ ყრილობაზე, სადაც მოხსენებით გამოვიდა მოხუცებულობისა და ინვალიდობის შემთხვევაში დაზღვევის შესახებ. მელითონნეებმავე გაგზავნეს იგი დელეგატად ანტიალკოჰოლურ ყრილობაზეც, მაგრამ დაპატიმრებამ ხელი შეუშალა მას მონაწილეობა მიეღო ამ ყრილობის მუშაობაში.

მოსკოვში მალინოვსკის მოღვაწეობა ძალაუნებურად შეიზღუდა. მაგრამ არც აქ დარჩენილა ის გულხელდაკრეფილი: იგი მონაწილეობას იღებდა საფაბრიკო ექიმთა მეორე ყრილობის მომზადებაში, ერთ ხანს ახლოს იდგა მუშათა კოოპერაციასთან და სხვ.

მუშათა პოლიტიკური მოძრაობაც მუდამ ცხოვლად აინტერესებდა ახალ მოსკოველ დეპუტატს.

რწმენით ის ბოლშევიკია. მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია — 1908 წელს პროფესიული მოძრაობის ერთიანობის გულისთვის თავის თანამოაზრეთა წინააღმდეგ გამოსულიყო, როდესაც ისინი ლონდონის ყრი-

ლობის შემდეგ კავშირების გამგეობებში პარტიის წარმომადგენლობას ესწრაფოდნენ. ამას ხელი არ შეუშლია მისთვის — საფაბრიკო ექიმთა 1-ლ ყრილობაზე მუშათა დელეგაციის ერთიანობის გულისთვის მოსკოველ ბოლშევიკთა დეზორგანიზატორული მოქმედების წინააღმდეგ გამოსულიყო.

შეიძლება მტკიცე იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი მუშა დეპუტატის მოღვაწეობა პოლიტიკურ ასპარეზზედაც ისეთივე ნაყოფიერი იქნება, როგორც პროფესიული მოძრაობის დარგში.

ასეთი საპატიო გამოთქმებით წერდნენ თვითლიკვიდატორები ბოლშევიკ მალინოვსკის შესახებ ამ 2 წლის წინათ. შეიძლებოდა განა სხვანაირად ყოფილიყო მალინოვსკის იმ მუშაობის შემდეგ, რამაც ყველა მუშების თვალწინ განვლო? თვითლიკვიდატორებს, მაშინაც კი უკვე მის პოლიტიკურ მტრებს, არ შეეძლოთ უდიდესი პატივისცემით არ მოპყრობოდნენ მას. მალინოვსკის წინანდელ მუშაობაზე, რომელმაც უკვე მაშინ წამოსწია იგი, ისინი მისთვის ფრიად საამო გამოთქმებით ლაპარაკობენ. მალინოვსკი მათ მაგალითად გამოჰყავთ სხვებისათვის. «ფლიუგერობაზე» სიტყვაც არაა დაძრული. ჯერ კიდევ არც ის ზღაპარია გამოგონილი, თითქოს სათათბიროში იგი ისე გასულიყოს, როგორც ლიკვიდატორული «ერთიანობის» კანდიდატი.

ორიოდე კვირის შემდეგ შესდგა სათათბიროს გაერთიანებული ს.-დ. ფრაქციის პირველი კრება. მალინოვსკის თვით ლიკვიდატორები ერთხმად ირჩევენ სათათბიროს ფრაქციის თავმჯდომარის ამხანაგად, — ასევე იყო მანამდეც, როდესაც ისინივე მხარს უჭერდნენ მის კანდიდატურას, როგორც საზოგადოებრივ ყრილობებზე გაგზავნილი მუშათა დელეგაციების თავმჯდომარისას (მაგ., ფაბრიკა-ქარხნების ექიმთა ყრილობა) და სხვ.. უცნობილესი «აგვისტოელი» (ახლანდელ ეურნალ «ბორბას» ბურჯი) სათათბიროს არჩევნების შემდეგ მალინოვსკის სწერს უკანასკნელისათვის უაღრესად საამო წერილებს, თითქმის მომავალ ბებელს უწოდებს მას.

ხოლო როდესაც მალინოვსკი ლიკვიდატორობის სასტიკი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, როდესაც მან გადადგა ნაბიჯი, რომელიც მალე თვით მასვე დიდად შემცდარ ნაბიჯად უნდა ეღიარებინა, — არ არის ისეთი ბინძური ცილისწამება, რაც ლიკვიდატორებს შავრაზმული გაზეთების ნაგავში არ ამოეკრიბოთ და არ ესროლოთ ყოფილი დეპუტატისათვის, ვისაც თვით ისინივე აქებ-ადიდებდნენ.

მალინოვსკი რომ, თავისი პოლიტიკური ბიოგრაფიითა და ნიჭით, .თვალსაჩინო როლს ითამაშებდა ყოველ ფრაქციაში, ლიკვიდატორები რომ მას საპატიო ადგილზე დასვამდნენ, თუ კი ის მათთან სოლიდარული იქნებოდა — ეს ყველამ იცის. ლიკვიდატორებს კი არა რცხვენიათ იმის ლაპარაკისა, თითქოს მალინოვსკი «გათიშვას» დაეწინაურებინოს.

გ რ ც ხ ვ ე ნ ი ა სხვის მაგივრად, როდესაც ხედავ, რომ ერთი ადამიანის პირადი უბედურების გამოყენებას ცდილობენ მტრულ პოლიტიკურ მიმართულებასთან საბრძოლველად. ჩვენ არა გვსურს მალინოვსკი ხრუსტალევს შევადაროთ. მაგრამ რას იტყოდნენ ლიკვიდატორები, მათს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს რომ ხრუსტალევის ამბის შემდეგ ამ ცალკეული ადამიანის ბედის მიხედვით მენშევიზმის წბილება დაეწყოთ და ხრუსტალევის შემთხვევა მთელი მენშევიკური მიმართულების წინააღმდეგ «გამოეყენებინათ»? მერე ხომ ცნობილია, რომ ხრუსტალევი მენშევიკი იყო, მათ თვალსაჩინო წარმომადგენლად გამოდიოდა ლონდონის კონგრესზე, პრესაში და სხვ., ცნობილია, რომ მენშევიკები თავის დროს ამაყობდნენ ხრუსტალევით.

პოლიტიკური მოწინააღმდეგენი «პრავდისტებს» ბლომადა ჰყავთ. მაგრამ ა რ ც ე რ თ ი მტრული გაზეთი — შესაძლოა, მხოლოდ დუბროვინელთა და პურიშკევიჩის გაზეთის გამოკლებით — არ მისულა ისეთ სიმდაბლემდე, როგორამდეც ამ დღეებში ლიკვიდატორთა გაზეთი დაეცა. ლიბერალებიც კი შეუდარებლად უფრო რიგიანად იქცეოდნენ.

მოჩმახონ მოწინააღმდეგეზე ყოვლად წარმოუდგენელი ჭისაძაგლე, ხოლო დაამთავრონ მაღალფარდოვანი მოწოდე-

ბით სწორედ ამავე ცილდაწამებულ მოწინააღმდეგესთან... ერთიანობისაკენ. ასეთია ყალბი, ულირსი, საზიზღარი ტაქტიკა ყველა ამ მარტოვებისა და დანებისა.

მალინოვსკის წასვლასთან დაკავშირებით მათმა ბილწმა საქციელმა ბრმებსაც კი უნდა აუხილოს თვალები.

«რაბოჩი» № 2, 1914 წ. 22 მაისი
ხელმოწერა: პ რ ა ვ დ ი ს ტ ი

იბეჭდება
გაზეთ «რაბოჩისს»
ტექსტის მიხედვით

ორი გზის შესახებ

ამას წინათ კავკასიელ ლიკვიდატორთა ბელადმა ანმა სტატიაში, რომელმაც შეგნებული მუშების ყურადღება მიიპყრო, განაცხადა, რომ ის არ ეთანხმება «ლუჩსა» და მის მემკვიდრეებს, მათს ოპორტუნისტულ ტაქტიკას.

ეს განცხადება «აგვისტოს ბლოკის» დაშლას უდრის — ვერავითარი თავდაძვრენა და ხრიკები ვერ გააბათილებენ ამ ფაქტს.

მაგრამ ამჟამად ჩვენ გვსურს მკითხველთა ყურადღება სხვა რამეზე მივაქციოთ, სახელდობრ ანის მსჯელობაზე რუსეთის განვითარების ორი გზის შესახებ. ანი წერს:

««ლუჩი» თავის ტაქტიკას უკავშირებს რეფორმების შესაძლებლობას, კურსი მას რეფორმებზე აქვს აღებული. «პრავდა» თავის ტაქტიკას უკავშირებს «ქარიშხალს», კურსი მას მსხვრევაზე აქვს აღებული».

ანს აქედან დასკვნა გამოჰყავს: საჭიროა ორივე ტაქტიკის შეერთებაო. დასკვნა არაფრად არ ვარგა. დასკვნა არაა მარქსისტული.

გავერკვეთ.

რა განსაზღვრავს რუსეთის გზას, მისი განვითარების ხასიათსა და სისწრაფეს?

საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობა, კლასობრივი ბრძოლის ტოლქმედი.

ეს აშკარაა.

რა საზოგადოებრივი ძალები მოქმედებენ რუსეთში? როგორია კლასობრივი ბრძოლის ხაზი?

რუსეთი არის კაპიტალისტური ქვეყანა; მას არ შეუძლია კაპიტალისტურად არ ვითარდებოდეს. ახლა რუსეთი განიცდის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნას, ბატონყმურობისაგან განთავისუფლებას, განყმევებას. მსოფლიო კაპიტალიზმის ვითარებაში რუსეთის განთავისუფლება გარდუვალია. მხოლოდ ის არ ვიცით ჯერჯერობით, თუ როგორი იქნება იმ სოციალურ ძალთა ტოლქმედი, განთავისუფლებისაკენ რომ ისწრაფიან. ეს ძალები, უმთავრესად, შემდეგია: 1) ბურჟუაზიული მონარქიული ლიბერალიზმი (კაპიტალისტები და ნაწილობრივ პროგრესისტთა, კადეტთა პარტიების მემამულენი, ნაწილობრივ კი — ოქტიაბრისტულისა); 2) ბურჟუაზიული დემოკრატია (გლეხობა, ქალაქის მეშჩანობა, ინტელიგენცია და სხვ.); 3) პროლეტარიატი.

თვითეული ამ კლასთაგანი მოქმედებს — ჩვენ ვგულისხმობთ, რასაკვირველია, მხოლოდ მასების მოქმედებას — იმ ხაზით, რომელსაც თვითეული კლასის ეკონომიური მდგომარეობა განსაზღვრავს. ტოლქმედი იქნება და შეიძლება იყოს **მხოლოდ ერთი.**

როგორიღა **აზრით** შეგვიძლია ვილაპარაკოთ რუსეთის ორი გზის შესახებ? მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩვენ არ ვიცით და ბრძოლის საბოლოო შედეგამდე არც გვეცოდინება ეს ტოლქმედი, რომელიც უფრო ახლო გაუვლის **ერთ-ერთს ორ,** ყველაზე მარტივ, ნათელ და ყველასათვის ერთბაშად დასანახ ხაზთაგანს. პირველი ხაზია «რეფორმები», მეორე — «ქარიშხალი».

რეფორმები ისეთ ცვლილებებს ეწოდება, რომლებიც ძალაუფლებას სახელმწიფოში ხელიდან **არ** აცლიან ძველ გაბატონებულ კლასს. საწინააღმდეგო ხასიათის ცვლილებებს «ქარიშხალი» ეწოდება. ბურჟუაზიული ლიბერალიზმის კლასობრივი ინტერესები **მხოლოდ** რეფორმებს თხოულობენ, ვინაიდან ბურჟუაზიას «ქარიშხლისა» უფრო ეშინია, ვიდრე რეაქციისა, ბურჟუაზიას სურს შეინარჩუნოს ძველი, ბატონყმური დაწესებულებანი (ბიუროკრატია, ორი პალატა და სხვ. და სხვ.) მუშათა საწინააღმდეგოდ თავის დასაცავად. გლე-

ობა მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნის დროს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შუა მერყეობს. ასეთი მერყეობა გარდუვალია, ვინაიდან გლეხები მემამულეებისა და ბატონყმურობის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ ამავე დროს თვითონ არიან წვრილი მეპატრონენი, წვრილი ბურჟუები.

რაც შეეხება პროლეტარიატს, მისი ინტერესები, რაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის, ყველა ექსპლოატირებულის ინტერესებს ემთხვევა, მიიმართება **არა** რეფორმისტული გზით, არამედ იმ გზით, რომლის დამახასიათებელიც რუსეთში ცნობილი «სამი ვეშაპია».

თუ გლეხებისა და მოსახლეობის უმრავლესობა ლიბერალებს გაჰყვება, «გზა» უცუდესთაგანი იქნება, ყველაზე ნაკლებ ხელსაყრელი მუშათა და ექსპლოატირებულთათვის, უაღრესად გამტანჯველი მათთვის. თუ გლეხებისა და მოსახლეობის უმრავლესობა მუშებს გაჰყვება, — საწინააღმდეგოს მივიღებთ. ამა თუ იმ ტოლქმედს სავსებით ბრძოლის მზოლოდ საბოლოო შედეგი გამო

ლიკვიდატორები: იხილე «ვოპროსი სტრახოვანია»[89] და სრულიად რუსეთის სადაზღვევო საბჭოს არჩევნების შედეგები.

ალიეთ ეკონომიური ბრძოლის «ნაწილობრივი მოთხოვნები» გაფიცვების დროს. ყველამ იცის, რომ პრავდისტები 1 000-ჯერ უფრო მეტად და უფრო ენერგიულად აწარმოებენ ამ ნამდვილს, და არა გამოგონილ კამპანიას.

რომ არსებობდეს ისეთი ჯგუფი, რომელიც უარყოფდეს რეფორმათა და ნაწილობრივ გაუმჯობესებათა გამოყენებას, მაშინ მასთან შეერთება **შეუძლებელი** იქნებოდა: ეს იქნებოდა მუშებისათვის საზიანო, არა მარქსისტული პოლიტიკა.

არც ლიკვიდატორებთან შეიძლება შეერთება, ვინაიდან «იატაკქვეშეთის» უარყოფა და ლანძღვა, ორი «ვეშაპის» უარყოფა და უკან დაყენება, თანამედროვე რუსეთში ღია პარტიისათვის ბრძოლისა და პოლიტიკურ რეფორმათა შესაძლებლობის გამოცხადება — ყოველივე ეს არის მუშათა კლასისადმი ღალატი, ბურჟუაზიის მხარეზე გადასვლა.

პრავდისტებს «კურსი ქარიშხალსა ან მსხვრევაზე აქვთ აღებული», ანის გამოთქმით, ამასთან ისინი არ უგულებელყოფენ — ამას მოწმობენ ფაქტები — ნამდვილ რეფორმათა და ნაწილობრივ გაუმჯობესებათა არც ერთ, ოდნავს შესაძლებლობასაც კი და განუმარტავენ მასებს რეფორმიზმის სიყალბეს. ასეთი ტაქტიკა ერთადერთი სწორი, ერთადერთი მარქსისტული ტაქტიკაა, ამიტომაც მიიღეს იგი დიდი, უდიდესი უმრავლესობით (ეს დაამტკიცეს ფაქტებმა, მუშათა ჯგუფების რიცხვმა) მთელი რუსეთის შეგნებულმა მუშებმა.

მხოლოდ წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მომხრეები, ნაროდნიკები და ლიკვიდატორები, იბრძვიან ამაოდ მუშების წინააღმდეგ, «პრავდიზმის» წინააღმდეგ.

«რაბოჩი» № 3, 1914 წ. 24 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «რაბოჩის»
ტექსტის მიხედვით

პლეხანოვი, რომელმაც არ იცის, თუ რა სურს მას

ცნობილია, რომ პლეხანოვს ტაქტიკისა და ორგანიზაციის საკითხებში უკვე არა ერთხელ შემთხვევია სამწუხარო ამბავი. ამ უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში (1903 წლის შემოდგომიდან, როდესაც ის ბოლშევიკებს ჩამოშორდა და მენშევიკებთან გადავიდა) იგი მრავალგზის და კომიკურად დაბნეულა ამ საკითხებში.

ახლა ის კვლავ იბნევა, და ჩვენ გვიხდება მკითხველს გავაცნოთ ეს ნაღვლიანი სურათი. ჯერ გავიხსენოთ პლეხანოვის დიდი დამსახურება ჟამთა სიავის დროს (1909 — 1911 წლები). იგი ხოტბას ასხამდა იატაკქვეშეთს და გადაჭრით უჭერდა მხარს პარტიულ გადაწყვეტილებებს ლიკვიდატორობასთან ბრძოლის შესახებ. ის ცხადყოფდა ლიკვიდატორთა ოპორტუნიზმს და მათ მიერ «ეკონომიზმის» (ბურჟუაზიული მიმდინარეობა მარქსიზმში 1894 — 1902 წლებში) მკვდრეთით აღდგენას. ის ამტკიცებდა, ლიკვიდატორებმა იატაკქვეშეთის უარყოფით პარტიას უღალატესო. იგი სამართლიანად განმარტავდა, «ბატონი პოტრესოვი» იუდას თანაბარია და მოციქულები იუდას გ ა რ ე შ ე უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე მასთან ე რ თ ა დ ო.

ეს იყო ნათელი, ზუსტი, მთლიანი აზრები, და მათში სავსებით იყო გატარებული 1908 და 1910 წწ. გადაწყვეტილებანი.

ახლა შეხედეთ პლეხანოვის ახალ «შემობრუნებას». გაზეთ «ედინსტვოში»[30] დღეს იგი წყევლის პრავდისტებს

«ფრაქციულობისა» და «უზურპაციისათვის» (უკანონო დაპყრობა, ცრუმარქვიობა), ირწმუნება, თითქოს ჩვენ გვქონდეს «მუშათა ერთი პრესა კი არა, არამედ მთელი ორი».

ეს არც თუ ისე გამართულად არის გამოთქმული, მაგრამ მაინც გასაგებია. ლიკვიდატორთა გაზეთი მუშათა გაზეთად არის გამოცხადებული!! ესეც ახალი ამბავია! მერე-და ხომ იგივე პლეხანოვი იცავდა იმ რეზოლუციის სისწორეს, რომელმაც ლიკვიდატორობას პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ზ ე ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ვ ლ ე ნ ა უწოდა.

ტყუილად სურს პლეხანოვს ამის დავიწყება. მუშები მხოლოდ დასცინებენ ასეთ გულმავიწყობას.

ლიკვიდატორული პრესა ა რ არის მუშათა პრესა, — ის არის პრესა, რომელიც ატარებს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ გ ა ვ ლ ე ნ ა ს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ზ ე. ეს ზუსტად და ნათლად ნათქვამია «მთელის» გადაწყვეტილებაში[91]. ამას დღემდე ყველასათვის თვალნათლივ ადასტურებენ ლიკვიდატორები — (იხილე, მაგ., ბულკინისა და მარტოვის თანხმობრივი სიტყვები იატაკქვეშეთის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ «ნაშა ზარიაში», 1914, № 3).

რაღა აზრი აქვს პლეხანოვის მოწოდებას ლიკვიდატორებთან ერთიანობისაკენ? ერთიანობა ლიტერატორთა იმ ჯგუფთან, რომელიც სავსებით პოტრესოვისებურად უარყოფს იატაკქვეშეთს? ასეთი ერთიანობა რომ დაიცვა, მაშინ უნდა დ ა ი ც ვ ა ი ა ტ ა კ ქ ვ ე შ ე თ ზ ე ხ ე ლ ი ს ა ღ ე ბ ა ც!

პლეხანოვს იმდენად აჰბნევია თავგზა, რომ მას არც ჰო გამოუდის და არც არა!

ლიკვიდატორებმა ხომ ცხადზე უცხადესად თქვეს «ნაშა ზარიაშიც», «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაშიც» (ფ. დ.-მ და ლ. მ.-მ — მისმა ბელადებმა), ჩხეიძისა და კომპ. პირითაც, რომ ისინი კვლავ თ ა ვ ი ა ნ თ ა ზ რ ს ა დ გ ა ნ ა ნ, ე. ი. პოტრესოვს იცავენ და იატაკქვეშეთის გაცამტვერების ნებას იძლევიან. ისინი იცავენ მუშათა ღია პარტიის იდეას.

პლეხანოვი კი ერთსა და იმავე დროს ლიკვიდატორობასაც გმობს, როგორც დანაშაულს პარტიის წინააღმდეგ, და ლიკვიდატორებთან «ერთიანობასაც» იცავს.

ამაზე მხოლოდ გაღიმება გვმართებს.

ყველა მუშას, ვისაც კი საქმით სურს სცნოს პოტრესოვის მიერ უარყოფილი «ფორმა», პრავდისტები გულგაშლილად მიიღებენ, ხოლო ცარიელი ფრაზები იატაკქვეშეთის მოწინააღმდეგეებთან «ერთიანობაზე» მათ მიაჩნიათ იმ ადამიანთა ცარიელ ფრაზებად, რომლებმაც თვითონ არ იციან, თუ რა უნდათ.

«უზურპაციის» ბრალდებაზე პრავდისტები დამშვიდებით უპასუხებენ: განა უზურპატორსა და ცრუმარქვიას არა ჰგავს ის კაცი, ვისაც უყვარს დეკლამაცია, ფრაზები და ფ ა ქ ტ ე ბ ი ს ეშინია? პლეხანოვი საზღვარგარეთ ცხოვრობს; რატომღა სდუმს ის თავმდაბლად იმ ფაქტზე, რომ 1912 წლის აგვისტოდან 1914 წლის მაისამდე ლიკვიდატორებს საზღვარგარეთული გაზეთის ა რ ც ე რ თ ი ნომერი არა ჰქონიათ? ა რ ც ე რ თ ი ფაქტიური მითითება ისეთ «ორგანიზაციებზე», რომელთაც პლეხანოვიც იცავდა??

ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეთა მხრივ კი მთელი რიგი ფ ა ქ ტ ი უ რ ი მითითებებია რუსეთის ყ ვ ე ლ ა ადგილზე, მ რ ა ვ ა ლ ნომერში.

პლეხანოვი სდუმს ფაქტების შესახებ, ვინაიდან ფაქტები აბათილებენ მის ფრაზებს.

ავიღოთ რუსეთში გამოქვეყნებული და ცხადლივ შესამოწმებელი ცნობები. სრული ორი წლის, 1912 და 1913 წწ., განმავლობაში პრავდისტებმა შ ე ა კ ა ვ შ ი რ ე ს (და ეს ფულის ჯგუფობრივი შეგროვებით დაამტკიცეს) მუშათა 2 8 0 1 ჯგუფი, ლიკვიდატორებმა — 7 5 0. 1914 წელს თუ მივუმატებთ, 1 იანვრიდან 6 მაისამდე (წინასწარი გამოანგარიშებით), გვექნება 5 3 0 2 წინააღმდეგ 1 3 8 2-ისა.

პრავდისტებს უმრავლესობა ჰყოლიათ დაახლოებით ო თ ხ ი მ ე ხ უ თ ე დ ი თ!!

გასაგებია, რომ ადამიანებს, რომელთაც ფაქტების ე შ ი-ნ ი ა თ, ფრაზები და ფრაზები-ღა დარჩენიათ.

იმ ზუსტ და ნათელ გადაწყვეტილებათა გარშემო, რაც მუშების წარმომადგენლების მიერ სამჯერ არის შევსებული და შემოწმებული (1912 წ. იანვარში, 1913 წლის თებერვალსა და ზაფხულში), პრავდისტებმა შ ე ა კ ა ვ შ ი რ ე ს 4/5 რუსეთის შეგნებული მუშებისა. ეს გადაწყვეტილებანი განვითარებულია ასობით სტატიებში და გატარებულია ცხოვრებაში.

აი ესაა არა ფრაზები, არა არაკები, არა ანეგდოტები ჩიყვებსა და ველურებზე (პლეხანოვი სულ ძველ ანეგდოტებს ღეჭავს!), არამედ ფ ა ქ ტ ე ბ ი. აი — ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს ა ქ მ ი თ, ერთიანობა მ უ შ ე ბ ი ს ა, რომლებსაც გამოცდილებით შეუმოწმებიათ თ ა ვ ი ა ნ თ ი ტ ა ქ ტ ი კ ა.

თუ ამ ტაქტიკას, ათასობით მუშების მიერ მოწონებულს, ათვალწუნებით «ლენინურს» უწოდებთ, — ეს მხოლოდ ქება იქნება ლენინისა, ხოლო 5 0 0 0 მუშათა ჯგუფი ამის გამო არ გაქრება, არ გაქრება მათი ერთიანობა, მათი პარტია.

სიტყვები «ფრაქციულობის», «დაქუცმაცების», «დაშლისა» და სხვ. შესახებ სწორედ პლეხანოვსა და მის ახლანდელ მეგობრებს ატყდებათ თავზე. გადახედეთ პლეხანოვის «ედინსტვოს» 1-ლ გვერდზე დაბეჭდილ სიას ინტელიგენტური ნაროდნიკული მჭლე ჟურნალ «სოვრემენნიკის» თანამშრომლებისას. ჩვენს წინაშე არიან ბ-ნი გიმერი და კომპ., ა ნ ტ ი-მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ იდეებს რომ ქადაგებენ; მართალი იყო პლეხანოვი, როდესაც ამ იდეებს «ს ო ც ი ა ლ ი ს ტ-რ ე ა ქ-ც ი ო ნ ე რ თ ა» იდეებს უწოდებდა. ჩვენს წინაშე არიან ღვთისმაძიებელნი და მახისტები: ბოგდანოვი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი. ჩვენს წინაშე არიან ლიკვიდატორები: დანი, მარტოვი, ჩერევანინი (რატომღაც გამქრალა «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» № 66-ში დასახელებული პოტრესოვი). აქვეა ლიბერალი ბოგუჩარსკი და სხვ.

და ამ «სოვრემენნიკში», სადაც მუშისა ჭაჭანებაც კი არ არის, ბ-ნი გიმერი აშკარად იკვეხნის, პლეხანოვი ჩემთან ერთიანობის მომხრეაო!! პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი კ ი ს დ უ მ ს.

განა დრო არ არის — მოიხსნათ ნიღაბი, თორემ, ვინ იცის, მუშებმა მოურიდებლად ჩამოგგლიჯონ ის! ინტელიგენტური ა ნ ტ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ უ ლ ი წრეები, ბურჟუაზიული დემოკრატიის ნამსხვრევები — აი სად ჩავარდნილა უნებურად საბრალო პლეხანოვი, აი სად არის ქაოსი, დაქუცმაცება და პაწაწა ფრაქციები, ორი წლის განმავლობაში ათასობით შეკავშირებული, პრავდისტული მიმართულების მუშათა ჯგუფების ერთიანობის წინააღმდეგ.

შევიბრალოთ პლეხანოვი — მას მეტი დაუმსახურებია თავისი ბრძოლით ოპორტუნისტებთან, ნაროდნიკებთან, მახისტებთან და ლიკვიდატორებთან. კვლავინდებურად ვაშენოთ, 4/5-ად უკვე აშენებული, ერთიანობა მუშათა ჯგუფებისა, რომელთაც ზუსტი, გამოცდილებით შემოწმებული ტაქტიკა აქვთ.

მივიღებთ ყველას და თვითეულს, ვინც კი უარს ამბობს ლიკვიდატორობაზე, კარები დაკეტილი არ არის.

ხოლო ტროცკის «ბორბას» და პლეხანოვის «ედინსტვოს» მაგალითით ცხადვყოფთ მუშათა მოძრაობისაგან მოწყვეტილ იმ ინტელიგენტურ ჯგუფთა სავალალო და სასაცილო მერყეობას, რომელნიც მერყეობენ და კვლავ მერყეობენ დაუსრულებლივ, დღეს ერთის მხარეზე არიან, ხვალ მეორისაზე, ხან ინტელიგენტუნა პოტრესოვთან არიან, ხან — ინტელიგენტუნა გიმერთან.

სანახაობა სამწუხაროა, მაგრამ იგი გარდუვალია წვრილბურჟუაზიული ქვეყნისათვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა ეპოქაში.

«რაბოჩი» № 4, 1914 წ. 25 მაისი

ბეჭდება
გაზეთ «რაბოჩის» ტექსტის
მიხედვით

მიწათმოქმედების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის საკითხისათვის[92]

თავისი ახალი აგრარული პოლიტიკა, საერობო უფროსთა შემწეობით თემის გაძლიერებულად და აჩქარებულად დანგრევის პოლიტიკა, ნაკვეთების მიზომვის წაბალისების პოლიტიკა ჩვენს მთავრობას განსაკუთრებით დიდ წარმატებად მიაჩნია თავის ბრძოლაში რევოლუციის წინააღმდეგ. გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭომ[93] ჯერ კიდევ 1906 წელს, მაშინვე რევოლუციის შემდეგ, მოუწოდა მთავრობას — დაენერგა გლეხთა მიწის კერძო საკუთრება, რათა რაც შეიძლება მალე შეექმნა ფენა მდიდარი გლეხებისა, რომლებიც მემამულეთა მხარეზე დადგებოდნენ გლეხების წინააღმდეგ. სტოლიპინი დაუყოვნებლივ დაადგა გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს მიერ ნაჩვენებ გზას. III სათათბიროს მემამულურმა პარტიებმა, მემარჯვენეებმა და ოქტიაბრისტებმა, მთელი ძალღონით დაუჭირეს მხარი ამ ახალ საადგილმამულო პოლიტიკას, რადგან მასში ხედავდნენ არა მარტო რევოლუციასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებას, არამედ უდიდეს პროგრესსაც ევროპის ეკონომიური წყობილებისაკენ, ბატონყმობის ნაშთთა მოსპობისაკენ წინგადადგმულ ნაბიჯს.

ცნობილია, რომ ახალი აგრარული პოლიტიკის ეს შექება, როგორც «თავისუფლების მოპოვების» საქმისა, ათასნაირ ყაიდაზე მეორდებოდა და მეორდება მთავრობის, მემარჯვენე და ოქტიაბრისტულ პრესაში.

ჩემს სიტყვაში მეც სწორედ ამ მხრივ მინდა მივუდგე. მიწის საკითხში მთავრობის პოლიტიკის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ თ ა შეფასებას. ჩვენ სულ იმას გვეუბნებიან, თუ როგორ ხშირდება მიწის «განმტკიცება» კერძო საკუთრებად, როგორ მატულობს გამოყოფილი მიწების რაოდენობა. მაგრამ ერთ სიტყვასაც არ გვეუბნებიან იმაზე, თუ რა ზომას აღწევს ჯერ კიდევ ახლაც კაბალური და ბატონყმური ურთიერთობა ჩვენს სოფელში. საკითხის ძირფესვიც ხომ სწორედ ეს არის. გვპირდებიან ჩვენი ჩამორჩენილი მიწათმოქმედების «ევროპულად» გარდაქმნას, მებატონე-პურიშკევიჩთა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ყოვლადშემძლეობის შენარჩუნებით. დაპირება დაპირებადვე რჩება, ხოლო როგორია **დღეს** საქმის ვითარება სოფლად, ყველა იმ პროგრესის **შემდეგ**, რითაც მთავრობა იკვეხნის? როგორია დ ღ ე ს, ამჟამად, გლეხთა მასის კაბალისა და ბატონყმური დაბეჩავების გავრცელება??

ამ საკითხის ნათელსაყოფად მოწმედ მოვიყვან ისეთ ჟურნალს, რომლის ხელმძღვანელმა ამას წინათ — და სავსებით სამართლიანადაც — აღტაცებული ქება-დიდება დაიმსახურა **თვით** ა ნ ტ ო ნ ი ვ ო ლ ი ნ ე ლ ი ს მხრივ, მასთან ერთად კი, რასაკვირველია, თავისი რეაქციულობით (და მთავრობის მსახურებად თავისი მზადყოფნით) ცნობილ ისეთ მწერალთა მხრივაც, როგორიცაა როზანოვი «ნოვოე ვრემიადან». ეს არის არა რომელიმე «მემარცხენე» ჟურნალი, ღმერთმა დაგვიფაროს! ესაა ჟურნალი იმ ადამიანებისა, ვინაც გაიმეორა რეაქციონერთა **ყველა** თავდასხმა და ლანძღვა-გინებითი გამოლაშქრება რევოლუციის წინააღმდეგ. ესაა ჟურნალი, სადაც თავგამოდებით იცავენ ყოველგვარ ხუცობასა და მემამულეთა საკუთრების ხელშეუხებლობას. თქვენ, ალბათ, მიმხვდარი ხართ, რომ მე «რუსსკაია მისლზე» ვლაპარაკობ.

ამ ჟურნალმა, გამონაკლისის სახით, სიმართლე თქვა და ცნობები, ზუსტი ცნობები მოიყვანა რუსეთში ისეთ მოვლენათა გავრცელების შესახებ, როგორიც არის მ ო ნ ა ხ ე ვ რ ე-

ობა და საზამთროდ ქირაობა. ყველამ იცის, რომ ეს სულ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავია ჩვენს სოფელში. მაგრამ «ყველა» ამჯობინებს, რაზედაც გნებავთ, იმაზე ილაპარაკოს, ოღონდ კი ამ ყოველდღიურ ამბებზე არა.

«საზამთროდ ქირაობა — წერს დასახელებული ჟურნალი — განა ეს უაზრობა არ არის ჩვენს საუკუნეში, ელექტრობისა და აეროპლანების საუკუნეში? მონობისა და კაბალის ეს ფორმა კი დღესაც კვლავ ჰყევავის და წურბელების როლს ასრულებს ხალხის ორგანიზმზე... საზამთროდ ქირაობას მთელი სიახლით შეუნარჩუნებია ბატონყმური ტერმინი «ვალდებული» გლეხებისა».

საზამთროდ ქირაობის ეს შეფასება მე კი არ მეკუთვნის, არამედ ეკუთვნის იმ ჟურნალს, რომელიც ცნობილია თავისი სიძულვილით რევოლუციისადმი. მონობა, კაბალა, ბატონყმურობა — აი ძალაუნებურად რას უწოდებენ ჩვენს სოფლად არსებულ «წესებს» სავსებით «კეთილგანმზრახი» ადამიანები.

საზამთროდ ქირაობის დროს:

«**გლეხი** სთანხმდება უაღრესად მძიმე პირობას, ორჯერ-სამჯერ ნაკ**ლებ** ფასს შრომის საგაზაფხულო და საზაფხულო ანაზღაურებასთან შედარებით. ზამთრობით ქირაობისას დესეტინაში — სამჯერ მოხვნა, დათესვა, მოკრა (მოცელვა ან მომკა), ძნებად შეკვრა და კალოზე მიტანა — დაახლოებით იმდენივეს იძლევიან, რასაც ზაფხულობით მარტო აღებაში (შომკასა და ძნებად შეკვრაში) იხდიან».

მერე-და რამდენი გლეხია ამ ბატონყმურ, კაბალურ, მონურ მდგომარეობაში?

«ადგილობრივი ცნობების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთი რაიონის ზოგიერთ სოფელში «ვალდებული» კომლი **1918** წლის **გაზაფხულისათვის** 48%-მდე ითვლებოდა, მოგილიოვის გუბერნიაში — 52%-მდე, ჩერნიგოვისაში — 56%-მდე».

ყურადღება მიაქციეთ: ეს 1913 წლის გაზაფხულის შესახებ არის ნათქვამი!! ეს — 1912 წლის მოსავლის შემდეგ!! ეს — იმ ეგრეთწოდ. «მიწათმოწყობის» ვითომდა თავბრუდამხვევ წარმატებათა დროს, რომლის გამოც მთავრობა ასეთ აურზაურს სტეხს და საქვეყნოდ იკვეხნის!!

განა შეიძლება ამის შემდეგ სხვა რამ ვუწოდოთ ყბადაღებულ «მიწათმოწყობას», თუ არ კუბო მოხატული, რომელიც ფარავს ყოველივე წინანდელს, ძველს, ბატონყმურობას?

გლეხურ კომლთა ნახევარს შეადგენენ «ვალდებულნი», გამოუვალი გაჭირვებით დაბეჩავებულნი. შიმშილი, შიმშილი ყველაზე მოსავლიან წელსაც კი აიძულებს მათ ზამთრობით სამჯერ უფრო ნაკლებ ფასში დაუმონონ თავიანთი შრომა მემამულეს. ნამდვილად ეს სავსებით უდრის საბატონო ბეგარის, ბატონყმობის გაგრძელებას, იმიტომ რომ შერჩენილია თვით ამ ბატონყმურობის დედაარსი: დარჩა ღატაკი, მშიერი, გაჩანაგებული გლეხი, რომელიც საუკეთესო წელსაც კი იძულებულია თავისი უბადრუკი იარაღებით და თავისი გაძვალტყავებული პირუტყვით დაამუშაოს მემამულის მიწა «საზამთროდ ქირაობის» პირობებში.

დაე სულ უფრო გახშირდეს მიწის განმტკიცება კერძო საკუთრებად. შეიძლება ეს მეტად სასარგებლო ზომაც კი იყოს იმ პროლეტარების მიმართ, რომლებიც ზურგიდან მოიშორებენ ტვირთს და უფრო შეუბოჭავნი იქნებიან თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

მაგრამ ცხადია, ვერავითარი «განმტკიცება», კერძო საკუთრების ვერავითარი «სიკეთე» ვერ უშველის იმ მრავალ მილიონ კომლს, იმ მრავალ ათეულ მილიონ გლეხს, რომელთაც სოფლიდან **არსად** წაესვლებათ და რომელნიც ზამთრობით მემამულეებს უნდა დაემონონ.

ეს გლეხები გარდუვალად უნდა ესწრაფოდნენ იმას, რომ მემამულეთა მთელი მიწები უსასყიდლოდ გადავიდეს მათ ხელში, ვინაიდან ეს არის მათთვის **ერთადერთი** გამოსავალი საშინელი კაბალიდან. თემური მიწათმფლობელობა აქ არაფერ შუაშია. მეკომურიც და ყველაზე სრული «კერძო მესაკუთრეც», ისევე, როგორც მეთემური, მუდამ ფეხქვეშ გათელილ მონებად დარჩებიან, თუ მათ მხოლოდ **«ნიკოლოზობამდე»** შეუძლიათ გაიტანონ თავი საკუთარი პურით და იძულებული არიან მევახშურ პირობებში დაესესხონ მემამულეს.

ამ ათეულმილიონობით გლეხებისათვის სასაცილოც კია ლაპარაკი მეურნეობის «პროგრესზე», «კულტურის აღმავლობაზე», მიწის დამუშავების გაუმჯობესებაზე და სხვა ამგვარ რამეებზე! რა გაუმჯობესებაზე შეიძლება აქ ფიქრი, როცა საშინელი გაჭირვება გლეხს აიძულებს — სამჯერ უფრო ნაკლებ ფასში მიჰქირავდეს მემამულეს, ზაფხულში კი მისი საკუთარი პურის თავთავი ჩაიფშვნება, — ზაფხულში პოლიციელები და ჩაფრები ძალით წაათრევენ მას **«ბატონთან»**, რომელსაც წინდაწინ მიუცია მისთვის სამუშაოში პური ანდა ფული!!

მემამულე კი, სამუშაოში ზამთრობით პურსა თუ ფულს რომ იძლევა, სრულიადაც არა ჰგავს არც «ევროპელ» მეპატრონეს და არც კაპიტალისტ-მეწარმეს საზოგადოდ. ეს მეწარმე კი არ არის, არამედ შევახშეა ან მებატონე. წარმოების გაუმჯობესება «მეურნეობის» ასეთი «სისტემის» დროს არა თუ საჭირო არ არის, არამედ პირდაპირ ა რ ა ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ც ა ა მისი თვალსაზრისით, უ ს ა რ გ ე ბ ლ ო და მ ა ვ ნ ე ა მისთვის. გაჩანაგებული, ღატაკი, მშიერი გლეხი მშიერი პირუტყვით და უბადრუკი იარაღებით — ი რ ა ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა ამგვარ მემამულურ მეურნეობას, რომელიც ს ა მ უ დ ა მ ო დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ ს რუსეთის ჩამორჩენილობასა და გლეხების დაბეჩავებას. თუ გლეხური მოსახლეობის მასა ბატონყმური დამოკიდებულების ამგვარ პირობებშია ჩავარდნილი, ამ პირობებმა შეიძლება კიდევ მთელი ათეული წლები **გასძლონ, სანამ გლეხები თავს არ** გაითავისუფლებენ ამ უღლისაგან, — ვინაიდან «გამოყოფილ მეურნე»-ბობოლათა უმნიშვნელო უმცირესობის გამოცალკევება ანდა მიწის განმტკიცება და პროლეტარების მიერ მისი გაყიდვა ოდნავაც არა ცვლის გლეხთა მასის კაბალურ მდგომარეობას.

ი რ ა ს ივიწყებენ ან უკეთ: ი რ ი ს დავიწყებას, მიჩქმალვას, მიფუჩეჩებას ცდილობენ ახალი, სტოლიპინური, საადგილმამულო პოლიტიკის მაქებარნი. ისინი გუნდად მღერიან, ეს პოლიტიკა «პროგრესს» მოასწავებსო, მაგრამ ს დ უ მ ა ნ

იმაზე, რომ პროგრესი მეტად უმნიშვნელო უმცირესობას ეხება და კუს ნაბიჯით მიდის, **უმრავლესობა** კი მაინც ძველ, კაბალურ, ბატონყმურ მდგომარეობაში რჩება.

გამოყოფილ მეურნეთა რიცხვი მატულობს, მანქანები რუსეთში მეტი შემოაქვთ, ბალახთესვა ვითარდება, კოოპერატივები სოფლად მრავლდება. ყოველივე ეს მართალია, ბატონნო მთავრობის დამცველნო! მაგრამ არის საკითხის მეორე მხარეც, რომელსაც თქვენ მალავთ. გლეხთა უმრავლესობა, მიუხედავად ყოველგვარი ყბადაღებული პროგრესისა, ბატონყმურ მონობაში რჩება. ამის გამოა ასეთი **ვიწრო** და **უილაჯო** ყველა «პროგრესი», ამის გამოა გარდუვალი შიმშილობანი, ამის გამოა სუსტი და ღარიბი მთელი საშინაო ბაზარი, ამის გამოა ასე მტკიცედ ფეხმოკიდებული უუფლებობა და თვითნებობა, ამის გამოა კ ი დ ე ვ უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ი გარდუვალობა ახალი აგრარული რევოლუციისა. ვინაიდან უფრო ძლიერია წინააღმდეგობა აეროპლანების, ელექტრობის, ავტომობილების საუკუნესა და «ზამთრით ქირაობასა» თუ «მონახევრეობას» შორის.

აი კიდევ **უახლესი** მონაცემები რუსეთში მონახევრეობის შესახებ იმავე, ანტონი ვოლინელის მიერ მოწონებული, ჟურნალიდან. გლეხთა სამონახევრო ნათესები, მათი საკუთარი მიწის ნათესებთან შედარებით, 21%-ს შეადგენენ ცენტრალურ გუბერნიებში, 42%-ს ტბების მხარისაში, 68%-ს ჩრდილო-დასავლეთისაში!! ხოლო სამონახევრო სათიბები — 50%-ს ცენტრალურ გუბერნიებში და 110 — 185%-ს ტბების მხარის, ვოლგისგაღმა და ჩრდილო-დასავლეთ გუბერნიებში!!

მაშასადამე, სამონახევრო სათიბები საკუთარს **სჯარბობენ** რუსეთის **სამ** უზარმაზარ რაიონში!!

მერე რა არის «მონახევრეობა»?

«გლეხს, რომელიც მემამულის მიწით სარგებლობს, ამასთან თავის სათესურს ხმარობს, სრულად ამუშავებს მიწას და სავსებით იღებს მოსავალს, თვით კალოზე ძნების მიზიდვამდე, — თავისთვის მოსავლის მხოლოდ ნახევარი მიაქვს. ხოლო **სათიბებზე** «**სამესამედოდ**» მუშაობენ — მონახევრეს მესამე ბულული მიაქვს, ორი კი მემამულეს რჩება».

ესეც კიდევ ცოტაა.

«ზოგიერთ შემთხვევაში (განსაკუთრებით მინსკისა და ჩერნიგოვის გუბერნიებში), მიწის საფასურის ნახევარი მოსავლით ანაზღაურების გარდა, ხოლო სათიბისა — ორი მესამედით, მონახევრე **ვალდებულია 1 — 2 კვირა უსახყიდლოდ იმუშაოს ეკონომიაში, მეტწილად — ცხენით ანდა მოზარდის დახმარებით».**

განა ეს ნამდვილი საბატონო ბეგარა არ არის? განა ეს ძველებური ბატონყმური მეურნეობის წესი არ არის?

ამ მონაცემებში ახალი სრულებით არაფერია. პირიქით, ეს უხსოვარდროინდელი სიძველეა, რომელიც მთელი თავისი საშინელებით გადარჩენილა «ახალი» საადგილმამულო პოლიტიკის **გვერდით.** ამ უხსოვარდროინდელ სიძველეს დიდი ხანია იცნობს ყველა, ვისაც კი სოფლის ცხოვრებასთან ჰქონია დამოკიდებულება. ამ უხსოვარდროინდელ სიძველეზე ათეული და ასეული წიგნები დაუწერიათ სტატისტიკოსებსა და სოფლის ცხოვრების მეთვალყურეებს. და ეს უხსოვარდროინდელი სიძველე დღემდეც ბატონობს, განამტკიცებს რა რუსეთის წარმოუდგენელ ჩამორჩენილობას და წარმოუდგენელ უუფლებობას.

არავითარი კანონით არ შეიძლება ამ ბატონყმურობის მოსპობა, ვიდრე უამრავი მიწა ყოვლისშემძლე მემამულეთა ხელშია; ვერავითარი შეცვლა დაბეჩავებულ გლეხთა «თემისა» «კერძო მიწათმფლობელობით» აქ საქმეს ვერ უშველის.

მთავრობის იმ სტატისტიკის მიხედვით, რომელიც 1905 წლის მიწათმფლობელობას ეხება და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არის გამოცემული, ევროპის რუსეთში **30 000-ზე ნაკლებ** მემამულეს **70 მილიონი** დესეტინა მიწა ჰქონდა...

დაწერილია 1914 წ. 28 მაისამდე
(10 ივნისამდე)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში «პროლეტარსკაია
რევოლუცია» № 3 (26)

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ერთიანობის შესახებ

«მუშები დაიღალნენ გათიშვისაგან. მუშებს ერთიანობა უნდათ. მუშები აღშფოთებული არიან იმით, რომ გათიშვა ზოგჯერ ჩხუბამდე მიდის»...

ასეთი და ამგვარი ცნობების მოსმენა გვიხდება ხანდახან ამა თუ იმ მუშებისაგან.

ერთიანობა, მართლაც, აუცილებელია მუშებისათვის. და ყველაზე უფრო იმის შეგნებაა აუცილებელი, რომ თვით მუშების გარდა ვ ე რ ა ვ ი ნ «მისცემს» მათ ერთიანობას, არავის ა რ ძ ა ლ უ ძ ს უშველოს მათს ერთიანობას. არ შეიძლება ერთიანობის «დაპირება» — ეს იქნება ცარიელი ტრაბახი, თვითმოტყუება; არ შეიძლება ერთიანობის «შექმნა» პაწაწა ინტელიგენტურ ჯგუფთა «შეთანხმებისაგან» — ეს უაღრესად სავალალო, ფრიად გულუბრყვილო და უმეცრული ცთომილებაა.

ერთიანობა ბრძოლით უნდა **მოიპოვო,** და მხოლოდ თვით მუშებს, თვით შეგნებულ მუშებს ძალუძთ ამის მიღწევა — შეუპოვარი, დაჟინებითი შრომით.

არა არის რა იმაზე ადვილი, რომ ერთადლიანი ასოებით დაწერო სიტყვა «ერთიანობა», აღუთქვა იგი, მის მომხრედ «გამოაცხადო» თავი. მაგრამ ნამდვილად ერთიანობის წინწაწევა მხოლოდ მოწინავე მუშების, ყ ვ ე ლ ა შეგნებული მუშის შრომითა და ორგანიზაციით არის შესაძლებელი.

ერთიანობა შეუძლებელია უორგანიზაციოდ. ორგანიზაცია შეუძლებელია უმრავლესობისადმი უმცირესობის დაუმორჩილებლად.

ეს ჰეშმარიტებანი უდავოა. არავინ არ დაეჭვდება მათში. დაგვრჩენია მხოლოდ — მხოლოდ! — მათი ცხოვრებაში გატა-

რება. ეს ადვილი როდია. ეს მოითხოვს ყველა შეგნებული მუშის შრომას, შეუპოვრობას, მჭიდროდ შეკავშირებას. მაგრამ ასეთი შრომის გაუწევლად ლაპარაკიც მეტია მუშათა ერთიანობაზე.

ინტერნაციონალის ამსტერდამის რეზოლუცია დაბეჯითებით მოითხოვს თვითეული ქვეყნის მუშათა პარტიის ერთიანობას[94]. ეს რეზოლუცია სწორია. იგი მოითხოვს მ უ შ ე ბ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს, ჩვენში კი მის მაგივრად აპარებენ იმ ინ-ტ ე ლ ი გ ე ნ ტ უ რ ი პ ა წ ა წ ა ჯ გ უ ფ ე ბ ი ს ე რ თ ი ა-ნ ო ბ ა ს, რ ო მ ლ ე ბ ს ა ც ა რ ა ს უ რ თ ს ც ნ ო ნ მ უ-შ ა თ ა უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ნ ე ბ ა-ს უ რ ვ ი ლ ი!!

ეს სასაცილო იქნებოდა, ასე სანაღვლო რომ არ იყოს.

მთელი რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობა 2½ წლის განმავლობაში (1912 წ. 1 იანვრიდან) საქმით გაერთიანდა 1912 წ. იანვარში, 1913 წ. თებერვალსა და 1913 წლის ზაფხულში მიღებულ პრავდისტულ გადაწყვეტილებათა გარშემო. ეს დამტკიცებულია ზუსტი მონაცემებით იმ მუშათა ჯგუფების შესახებ, რომელთაც სხვადასხვა გაზეთებისათვის შეჰქონდათ ფული. თუ სხვადასხვა ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფები, ვერ პოულობენ რა მომხრეებს მუშათა მასაში, გვერდს უვლიან ამ მონაცემებს, სდუმან მათ შესახებ, ამის გამო მონაცემები როდი ქრებიან: ამით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ სხვადასხვა ინტელიგენტური ჯგუფები მოწყვეტილნი არიან მუშათა მასას და რომ მათ ე შ ი ნ ი ა თ ს ი მ ა რ თ ლ ი ს ა.

რაოდენობა მუშათა ჯგუფებისა, რომელთაც ფული შეჰქონდათ გაზეთებისათვის ს.-პეტერბურგში:

	პრავდისტული	ლიკვიდატორული
სრული ორი წლის, 1912 და 1913 წწ. განმავლობაში.....	2 801	750
1914 წ. ნახევრის განმავლობაში (1 იანვრიდან 13 მაისამდე).....	2 873	671
სულ	5 674	1 421

ამ მონაცემებიდან, რომლებიც მრავალჯერ დაბეჭდილა და არავის შეუსწორებია, არც სადავოდ გამოუცხადებია, ჩანს, რომ ლიკვიდატორებს მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე-დ ი ჰყავდათ შეგნებულ მუშებს შორის (ამასთან ლიკვიდა-ტორებისადმი აქ მიკუთვნებული იყო ყ ვ ე ლ ა მათი მოკავ-შირე, კავკასიელები, ტროცკისტები, ბუნდისტები, ლატვიე-ლები, ახლა კი მოკავშირეები მათ ს ც ი ლ დ ე ბ ი ა ნ; ლატ-ვიელები უ კ ვ ე ჩ ა მ ო ს ც ი ლ დ ნ ე ნ).

ამრიგად, მუშების 4/5-მა თ ა ვ ი ს ა დ აღიარა პრავდის-ტული გადაწყვეტილებანი, მოიწონა პრავდიზმი, ნ ა მ დ ვ ი-ლ ა დ გაერთიანდა პრავდიზმის გარშემო.

აი ეს არის ერთიანობა მ უ შ ე ბ ი ს ა, და არა ინტელიგენ-ტური პაწაწა ჯგუფებისა, ერთიანობა საქმით, და არა სიტყ-ვით, ერთიანობა, მთელი რუსეთის 2½ წლის მუშათა მოძ-რაობის შედეგად მიღწეული, და არა ერთიანობა დაპირე-ბული.

აი სწორედ ამ ერთიანობისათვის უნდა ვიბრძოლოთ შემ-დეგშიც, მუშების ამ 4/5 უმრავლესობისადმი დამორჩილები-სათვის. სხვა გზ ა ა რ ა ა რ ი ს დ ა ა რ ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ყ ო ს. ნუთუ მუშები ბავშვები არიან და დაიჯერებენ, რომ მუშების 4/5 უმრავლესობა ნებას მისცემს 1/5 უმცირესობას ანდა სრუ-ლებით უმუშებო ინტელიგენტებს — ჩ ა შ ა ლ ო ნ მუშების უმრავლესობის ნ ე ბ ა-ს უ რ ვ ი ლ ი?? ამაზე ფიქრიც კი სასაცილოა და უაზრო.

დაე, ვისაც სურს, იმან ლანძღოს პრავდისტები, — «უზურ-პატორები» (დამპყრობნი, ცრუმარქვიანი) უწოდოს მათ. დაე გაერთიანდნენ ამ ლანძღვა-გინებაში ლიკვიდატორები, პლეხა-ნოვი, ტროცკი, ვპერიოდელები, ბუნდისტები და, ვინცა გნე-ბავთ, ისინი. ყოველივე ეს ლანძღვა-გინებაა უძლური პაწაწა ჯგუფებისა, რომლებიც თავიანთი უძლურებით არიან გაგუ-ლისებულნი. «ერთიანობაზე» რომ ყვირიან, ეს უძლური, მუშათა მასას მოწყვეტილი პაწაწა ჯგუფები პირმოთნეობენ, ვინაიდან ს წ ო რ ე დ ი ს ი ნ ი არღვევენ ერთიანობას, სწო-

რედ ისინი შლიან გამთიშველურად უმრაველესობის ნება-სურვილს.

ამ პაწაწა ჯგუფების ჭაპანწყვეტა უძლურია. არ ღირს მათს ლანძღვა-გინებაზე ყურადღების მიქცევა. ხოლო მუშების ერთიანობას პრავდისტი მუშები აშენებენ და კვლავაც ააშენებენ მიუხედავად გაგულისებული, მაგრამ უძლური ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფების ყოველგვარი ლანძღვა-გინებისა.

«ტრუდოვაია პრავდა» № 2,
1914 წ. 30 მაისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

აჩქარდები — სასაცილო გახდები

ამას წინათ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ ყოველთვიურ «ბრძოლაში» ფ. ა.-ს[95] ხელმოწერით გამოქვეყნდა სენსაციური შენიშვნა, თითქოს გერმანელი ოპორტუნისტების ცნობილ ბელადს ედუარდ ბერნშტეინს უარი ეთქვას თავის რევიზიონისტულ, ოპორტუნისტულ შეხედულებებზე და კვლავ დაჰბრუნებოდეს მარქსიზმს.

რევიზიონიზმი ანუ მარქსიზმის «გადასინჯვა» ამჟამად ერთ-ერთი მთავარი, თუ ყველაზე მთავარი არა, გამოხატულებაა პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენისა და პროლეტარების ბურჟუაზიული გარყვნისა. სწორედ ამიტომ მოიპოვა ასეთი (სავალალო) საქვეყნოდ სახელგანთქმულობა ოპორტუნისტების ბელადმა, ედუარდ ბერნშტეინმა.

მერე-და ედუარდ ბერნშტეინი ვითომ კვლავ დაუბრუნდა მარქსიზმს? ეს ცნობა უცნაური უნდა სჩვენებოდა ყველას, ვინც რამდენადმე მაინც იცნობს გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას: ოპორტუნისტების მთავარი ორგანო «სოციალისტური ყოველთვიური» (გერმანულ ენაზე) წინანდებურად გამოდის, წინანდებურად განაგრძობს წმინდა ბურჟუაზიულ შეხედულებათა ქადაგებას, რაც არსებითად სოციალიზმისადმი სრულ ღალატს უდრის. ბერნშტეინი კვლავინდებურად უთვალსაჩინოესი თანამშრომელია ამ ჟურნალისა. მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ ბერნშტეინს რეფერატი წაუკითხავს ბუდაპეშტში, და, ადგილობრივი გაზეთის გადმოცემით, ამ რეფერატში თითქოსდა უარი უთქვამს რევიზიონიზმზე.

ავსტრიელი ფ. ა. მეტად მიმნდობი და უგუნურად მოჩქარე აღმოჩნდა, როცა მყისვე ამცნო მთელ ქვეყანას ბერნშტეინის შეხედულებათა ხელახალი ცვლილების ამბავი. ხოლო ლიკვიდატორი ვ. ლევიცკი, ერთ-ერთი ფრიად ცნობილი ოპორტუნისტი თანამშრომელი ოპორტუნისტულ ჟურნალ «ნაშა ზარიასი» (ამ ჟურნალს მეწშევიკმა პლეხანოვმა რ უ ს უ ლ ი «სოციალისტური ყოველთვიური» უწოდა), ათგზის უფრო უგუნური გამოდგა, როდესაც «სევერნაია რაბოჩაია გაზეტაში» (3 აპრილის თარიღით, № 46) მ ხ ო ლ ო დ ფ. ა.-ს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ დაწერა მთელი უზარმაზარი ფელეტონი მყვირალა სათაურით: «რევიზიონიზმიდან მარქსიზმისაკენ».

ბ-ნ ლევიცკის პრესაში ბერნშტეინის მოხსენების გამოქვეყნებისთვისაც კი არ დაუცდია. აჩქარდები — სასაცილო გახდები.

ედ. ბერნშტეინმა, როგორც კი გაიგონა, თუ რანაირი «სახელი» გაუთქვამს მთელ ქვეყანაზე მის მიერ ბუდაპეშტში წაკითხულ რეფერატს, 11 აპრილს (ახალი სტილით) წერილი გამოაქვეყნა ბრიუსელის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში «ხალხი»[96] და ამ წერილში პირდაპირ განაცხადა: ««ბრძოლის» ცნობა სრულიად არ არის სწორი, ბუდაპეშტში არაფერი ახალი მე არ მითქვამს, «სოციალიზმის წანამძღვართა» (ბერნშტეინის მთავარი ოპორტუნისტული შრომა) შეხედულებებისაგან არაფრით არ გადამიხვევია, ხოლო ბუდაპეშტის გაზეთის მიერ ჩემი რეფერატის შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში პირდაპირ არეულია ერთმანეთში ჩემი სიტყვები და ანგარიშის შემდგენის შენიშვნები!!».

მთელი აურზაური ჩვეულებრივი საგაზეთო ჭორი გამოდგა.

ამასთანავე გამოაშკარავდა მხოლოდ სავალალო ზნე ზოგიერთი ავსტრიელი (და განა მარტო ავსტრიელის?) სოციალ-

დემოკრატისა — დ ა ფ ა რ ო ნ. ოპორტუნიზმი და გამქრალად გამოაცხადონ იგი.

უგუნურად თავგამოდებული ბ-ნი ლევიცკი დიდ ჭაპანწყვეტაში იყო. «სევერნაია რაბოჩაია გაზეტაში» ის წერდა: «მარქსიზმისაკენ რევიზიონიზმის მამამთავრის (?) ბერნშტეინის შემობრუნების (?) შემდეგ რევიზიონიზმი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შიგნით საბოლოოდ (!!?) მოკლულია».

აქ, რამდენიც სიტყვაა, იმდენი მარგალიტია. შემობრუნება არ ყოფილა. ბერნშტეინი მამამთავარი არაა. რევიზიონიზმი მოკლული არ არის.

...«რუსეთში — წერს თავგამოდებული ბ-ნი ლევიცკი — რევიზიონიზმი თეორიული მოდა აღარ არის მემარცხენე ნაროდნიკებს შორისაც კი, რომლებიც ერთ დროს უარს არ ამბობდნენ — მარქსიზმთან ბრძოლაში ამ მოძღვრებას დაყრდნობოდნენ. თვით რუსეთის სოციალ-დემოკრატიის შიგნით რევიზიონიზმს არავითარი გავლენა არ ჰქონია, მიუხედავად ცალკეული მწერლების ცდისა — რუსეთის ნიადაგზე გადმოენერგათ იგი»...

აქაც, რამდენიც სიტყვაა, იმდენი ტყუილია. მემარცხენე ნაროდნიკები ყ ვ ე ლ ა უმნიშვნელოვანეს საკითხში ახლაც რევიზიონისტულ «მოძღვრებებს» «ეყრდნობიან»; ეს ჩანს «რუსსკოე ბოგატსტვოს» და «ზავეტის» თვითეული წიგნიდან, «სტოიკაია მისლის» თვითეული ნომრიდან. მემარცხენე ნაროდნიკების ოპორტუნიზმის მიჩქმალვა მავნებელია.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში რევიზიონიზმს გ ა ვ ლ ე ნ ა ჰ ქ ო ნ დ ა მუშათა მასობრივი და მასობრივი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დ ა ს ა წ ყ ი ს ი ს თ ა ნ ა ვ ე, 1895 — 1896 წლებში. ნუთუ ბ-ნ ლევიცკის არაფერი გაუგონია თანამიმდევარ მარქსისტთა და ძველი «ისკრის» მომხრეთა მრავალწლოვან ბრძოლაზე «ეკონომისტებთან»? ნუთუ მას არაფერი გაუგონია იმ ეპოქის პარტიულ რეზოლუციებსა და მრავალრიცხოვან სტატიებზე, რომლებიც ამტკიცებდნენ, ცხადყოფდნენ და განმარტავდნენ, რომ «ეკონომიზმი» რევიზიონიზმის, ოპორტუნიზმის რუსული ფორმაა? ნუთუ ბ-ნ ლევიცკის დაავიწყდა ბ-ნი ა. მარტინოვი, დღევან-

დელი ცნობილი ლიკვიდატორი, გუშინდელი ცნობილი ეკონომისტი?

ბ-ნი ლევიცკი ხელს იღებს რევიზიონიზმზე, რათა დაფაროს თავისი რევიზიონიზმი. გავახსენებთ მას თუნდაც ოთხ შემდეგ რამეს: 1) არ აცხადებდა განა მენშევიკი პლეხანოვი 1909 — 1910 წწ. პრესაში, მენშევიკებმა მთელი რიგი ოპორტუნისტული ელემენტები შემოიკრიბესო? 2) არ ამტკიცებდა განა იგივე პლეხანოვი ოპორტუნისტულ ხასიათს ლიკვიდატორული ლოზუნგისას: «ბრძოლა ლეგალობისათვის»? 3) არ ამტკიცებდა განა რამდენიმე მენშევიკი-ანტილიკვიდატორი ლიკვიდატორობის კავშირს «ეკონომიზმთან»? 4) არ წარმოადგენს განა ოპორტუნიზმს კოლცოვის მიერ «ორი ვეშაპის» (სამიდან) უარყოფა აგიტაციისათვის მათი გამოსადეგობის თვალსაზრისით?

ეს ოთხი ფაქტიც კი — მათი მოყვანა კი ორმოცდაოთხისაც შეიძლებოდა — ნათლად მოწმობს იმას, რომ 1895 — 1902 წლების «ეკონომიზმი», 1903 — 1908 წლების «მენშევიზმი», 1908 — 1914 წლების ლიკვიდატორობა მხოლოდ რუსული ფორმაა ანუ სახესხვაობაა ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმისა, და სხვა არაფერი.

«პროსვეშჩენიე» № 5, 1914 წ. მაისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

ერთიანობის დარღვევა, რასაც ფარავენ ყვირილით ერთიანობის შესახებ

დაბეჭდილია 1914 წ. მაისში
ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» № 5
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალის ტექსტის მიხედვით

თანამედროვე მუშათა მოძრაობის საკითხები მრავალ-მხრივ მტკივნეულ საკითხებს წარმოადგენენ — განსაკუთრებით ამ მოძრაობის გუშინდელი დღის (ე. ი. ისტორიულად ახლახან განვლილი ეტაპის) წარმომადგენლებისათვის. ესაა უწინარეს ყოვლისა საკითხები ეგრეთწოდებული ფრაქციულობისა, გათიშვისა და სხვ.. ხშირად მუშათა მოძრაობის ინტელიგენტი მონაწილეებისაგან კაცმა შეიძლება აღელვებული, ნერვიული, თითქმის ისტერიული თხოვნა გაიგონოს — ნუ შეეხებით ამ მტკივნეულ საკითხებსო. იმათთვის, ვისაც განუცდია ხანგრძლივი წლები სხვადასხვა მიმდინარეობათა ბრძოლისა მარქსისტებს შორის, მაგალითად, 1900 — 1901 წლებიდან, ბუნებრივია, შეიძლება ზედმეტი განმეორება იყოს მრავალი მსჯელობა ამ მტკივნეული საკითხების თემაზე.

მაგრამ მარქსისტებს შორის 14 წლის ბრძოლის მონაწილეები (მით უმეტეს 18 — 19 წლის ბრძოლისა, თუ «ეკონომიზმის» გაჩენის პირველ სიმპტომებს მივიღებთ თარიღად) ამჟამად არც ისე ბევრია. დიდ უმრავლესობას მუშებისას, რომლებიც დღეს მარქსისტების რიგებს ავსებენ, ძველი ბრძოლა ან არ ახსოვს, ანდა სრულებით არ იცნობს მას. ამ დიდი უმრავლესობისათვის (როგორც, სხვათა შორის, ჩვენი ჟურნალის ანკეტაც ცხადყოფს) მტკივნეული საკითხები განსაკუთრებით დიდ ინტერესს წარმოადგენენ. და ჩვენ განზრა-

ხული გვაქვს შევჩერდეთ ამ საკითხებზე, რომლებიც თითქოს ხელახლა (მუშათა ახალგაზრდა თაობისათვის კი მართლაც ხელახლა) წამოაყენა ტროცკის «არაფრაქციულმა მუშათა ჟურნალმა» «ბორბამ».

I. «ფრაქციულობის» შესახებ

ტროცკი თავის ახალ ჟურნალს «არაფრაქციულს» უწოდებს. ამ სიტყვას იგი პირველ ადგილას სვამს განცხადებებში, ამას ყოველნაირად ხაზგასმით აღნიშნავს როგორც თვით «ბორბას», ისე ლიკვიდატორულ «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» სარედაქციო სტატიებში, იმ გაზეთისა, სადაც «ბორბას» გამოსვლამდე დაიბეჭდა ტროცკის სტატია მის შესახებ.

მაშ ვიკითხოთ, რა არის «არაფრაქციულობა»?

ტროცკის «მუშათა ჟურნალი» არის ტროცკის ჟურნალი მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, ვინაიდან ჟურნალში კვალიც არა ჩანს არც მუშათა თაოსნობისა, არც მუშურ ორგანიზაციებთან კავშირისა. პოპულარობის მოსაპოვებლად ტროცკი თავის ჟურნალში მუშებისათვის მკითხველებს უხსნის სიტყვებს «ტერიტორია», «ფაქტორი» და სხვ.

ძალიან კარგი. რატომ არ უნდა აიხსნას მუშებისათვის სიტყვაც: «არაფრაქციულობა»? ნუთუ იგი უ ფ რ ო გასაგებია, ვიდრე სიტყვები ტერიტორია და ფაქტორი?

არა. საქმე ეს როდია. საქმე ისაა, რომ «არაფრაქციულობის» იარლიყით მუშების ახალგაზრდა თაობა შ ე ც დ ო მ ა ში შ ე ჰ ყ ა ვ თ ფრაქციულობის უცუდესი ნაშთების უცუდეს წარმომადგენლებს. ღირს, რომ ამის ახსნა-განმარტებაზე შევჩერდეთ.

ფრაქციულობა მთავარი დამახასიათებელი თვისებაა ერთი განსაზღვრული ისტორიული ეპოქის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. სახელდობრ რომელი ეპოქისა? 1903 წლიდან 1911 წლამდე.

რათა უფრო თვალსაჩინოდ განვმარტოთ, რა შეადგენდა ფრაქციულობის დედაარსს, თუნდაც 1906 — 1907 წლების

კონკრეტული პირობები უნდა გავიხსენოთ. პარტია მაშინ ერთიანი იყო, გათიშვა არ არსებობდა, მაგრამ ფრაქციულობა კი იყო, ე. ი. ერთიან პარტიაში ნამდვილად ორი ფრაქცია, ორი ფაქტიურად განცალკევებული ორგანიზაცია არსებობდა. მუშათა ორგანიზაციები ქვემოთ ერთიანი იყვნენ, მაგრამ თვითეულ სერიოზულ საკითხში ორი ფრაქცია ორ ტაქტიკას გამოიმუშავებდა ხოლმე; მათი დამცველები ერთმანეთს ეკამათებოდნენ ერთიან მუშათა ორგანიზაციებში (მაგალითად, შემდეგი ლოზუნგის გარჩევის დროს: სათათბიროს — თუ კადეტების — სამინისტრო 1906 წელს, ან ლონდონის ყრილობის არჩევნების დროს, 1907 წელს), და საკითხები უმრავლესობის მიხედვით წყდებოდა: ერთი ფრაქცია დამარცხებული აღმოჩნდა ერთიან სტოკჰოლმის ყრილობაზე (1906), მეორე — ერთიან ლონდონისაზე (1907).

ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია ორგანიზებული მარქსიზმის ისტორიიდან რუსეთში.

საკმაოა ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები გავიხსენოთ, რომ დავინახოთ აღმაშფოთებელი ტყუილი, რომელსაც ტროცკი ავრცელებს.

1912 წლიდან, უკვე ორ წელიწადზე მეტია, რუსეთში აღარ არის ფრაქციულობა ორგანიზებულ მარქსისტებს შორის, აღარ წარმოებს დავა ტაქტიკის შესახებ ერთიან ორგანიზაციებში, ერთიან კონფერენციებსა და ყრილობებზე. არსებობს სრული გათიშვა პარტიასა, რომელმაც 1912 წლის იანვარში ფორმალურად განაცხადა — ლიკვიდატორები პარტიას არ ეკუთვნიანო, და ლიკვიდატორებს შორის. ტროცკი ხშირად საქმის ამ ვითარებას «გათიშვას» უწოდებს, და ამ სახელწოდების შესახებ ქვემოთ ცალკე ვისაუბრებთ. მაგრამ უცილობელ ფაქტად რჩება, რომ სიტყვა «ფრაქციულობა» არ ეთანხმება ჭეშმარიტებას.

ეს სიტყვა, როგორც უკვე ვთქვით, განმეორებაა, უკრიტიკო, უგუნური, უაზრო განმეორებაა იმისა, რაც

სწორი იყო გუშინ, ე. ი. უკვე წარსულ ეპოქაში. და როცა ტროცკი «ფრაქციული ბრძოლის ქაოსზე» გველაპარაკება (იხ. № 1, გვ. 5, 6 და მრავალი სხვა), მყისვე ცხადი ხდება, სახელდობრ რომელი წარსულის ნაშთი ლაპარაკობს მისი პირით.

შეხედეთ საქმის ახლანდელ მდგომარეობას იმ ახალგაზრდა რუსი მუშის თვალსაზრისით, როგორნიც ახლა ორგანიზებული მარქსისტების 9/10-ს შეადგენენ რუსეთში. ის ხედავს მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა შეხედულებათა თუ მიმდინარეობათა სამ მასობრივ გამოხატულებას: «პრავდისტებისას», რომლებიც შემოკრებილი არიან 40 000 ცალი ტირაჟიანი გაზეთის გარშემო, «ლიკვიდატორებისას» (15 000 ცალი) და მემარცხენე ნაროდნიკებისას (10 000 ცალი). ცნობები ტირაჟის შესახებ მკითხველს უხსნიან განსაზღვრული ქადაგების მასობრივ ხასიათს.

საკითხავია, რა შუაშია აქ «ქაოსი»? ტროცკის უყვარს მყვირალა და უშინაარსო ფრაზები — ეს ცნობილი ამბავია, მაგრამ სიტყვა «ქაოსი» არის არა მარტო ფრაზა, არამედ აგრეთვე თანამედროვე ეპოქის რუსულ ნიადაგზე გუშინდელი ეპოქის საზღვარგარეთული ურთიერთობის გადმოტანა (უკეთ, გადმოტანის ამაო ცდა). აი რაშია საქმის არსი.

არავითარი «ქაოსი» არაა ნაროდნიკებთან მარქსისტების ბრძოლაში. ამის მტკიცებას, იმედია, თვით ტროცკიც ვერ გაბედავს. მარქსისტების ბრძოლა ნაროდნიკების წინააღმდეგ 30 წელზე მეტია წარმოებს, მარქსიზმის წარმოშობიდანვე. ამ ბრძოლის მიზეზია ორი სხვადასხვა კლასის, პროლეტარიატისა და გლეხობის, ინტერესთა და თვალსაზრისთა ძირითადი განსხვავება. თუ კი «ქაოსი» სადმე არის, მხოლოდ იმ ახირებული ადამიანების თავებში, რომელთაც ეს არ ესმით.

რაღა გვრჩება? «ქაოსი» მარქსისტების ბრძოლისა ლიკვიდატორების წინააღმდეგ? არც ეს არის მართალი, ვინაიდან შეუძლებელია ქაოსი ვუწოდოთ ბრძოლას იმ მიმდინა-

რ ე ო ბ ი ს წინააღმდეგ, რომელიც მთელი პარტიის მიერ მიმდინარეობად არის აღიარებული და დაგმობილია 1908 წლიდან. ხოლო ვინც უდარდელად არ ეპყრობა მარქსიზმის ისტორიას რუსეთში, მან იცის, რომ ლიკვიდატორობა თვით ბელადებისა და მონაწილეების შემადგენლობითაც კი განუყრელად და უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული «მენშევიზმთან» (1903 — 1908) და «ეკონომიზმთან» (1894 — 1903). მაშასადამე, აქაც ჩვენს წინაშე თითქმის ოცი წლის ისტორიაა. ვისაც თავისი საკუთარი პარტიის ისტორია «ქაოსად» მიაჩნია, მას მიუტევებელი სიცარიელე უნდა ჰქონდეს თავში.

მაგრამ შეხედეთ ახლანდელ მდგომარეობას პარიზის ან ვენის თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ. უცებ ყოველივე შეიცვლება. გ ა რ დ ა «პრავდისტებისა» და «ლიკვიდატორებისა» არსებობს კიდევ, ს უ ლ მ ც ი რ ე, ხ უ თ ი რ უ ს უ ლ ი «ფრაქცია», ე. ი. ცალკე ჯგუფი, რომელთაც სურთ ერთსა და იმავე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მიეკუთვნონ: ტროცკის ჯგუფი, «ვპერიოდის» ორი ჯგუფი, «პარტიელი-ბოლშევიკები» და «პარტიელი-მენშევიკები». პარიზსა და ვენაში (მაგალითისათვის ორ განსაკუთრებით დიდ ცენტრს ვიღებ) ეს ყოველმა მარქსისტმა ჩინებულად იცის.

და აქ ტროცკი ერთგვარად მართალია: ეს მართლაც ფრაქციულობაა, ეს ჭეშმარიტად ქაოსია!

ესაა «ფრაქციულობა», ე. ი. ნომინალური ერთიანობა (ს ი ტ ყ ვ ი თ ყველანი ერთი პარტიის წევრები არიან) და რეალური დაქსაქსულობა (საქმით ყველა ჯგუფი დამოუკიდებელია, და ერთმანეთთან მოლაპარაკებასა და შეთანხმებას ისინი ახდენენ, როგორც სუვერენული სახელმწიფოები).

ესაა «ქაოსი», ე. ი. უქონლობა (1) ობიექტური, ადვილად შესამოწმებელი ცნობებისა იმის შესახებ, რომ ამ ფრაქციებს კავშირი ჰქონდეთ მუშათა მოძრაობასთან რუსეთში და (2) უქონლობა მასალისა ამ ფრაქციათა ნამდვილი იდეური და პოლიტიკური ფიზიონომიის შესაფასებლად. აიღეთ სრული

ორი წლის პერიოდი — 1912 და 1913 წლები. როგორც ცნობილია, ესაა მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებისა და აღმავლობის წლები, როცა ყოველ, ოდნავ მაინც მ ა ს ო ბ რ ი ვ ი ს მსგავს (პოლიტიკაში კი მხოლოდ მასობრივია ანგარიშგასაწევი) მიმდინარეობას ან მიმართულებას ა რ შ ე ე ძ ლ ო გავლენა ა რ მოეხდინა IV სათათბიროს არჩევნებზე, საგაფიცვო მოძრაობაზე, ლეგალურ გაზეთებზე, პროფესიულ კავშირებზე, სადაზღვევო კამპანიაზე და სხვ.. არც ერთს ამ ხუთ საზღვარგარეთულ ფრაქციას, არც ერთს მათგანს მთელი ამ ორი წლის პერიოდში აბსოლუტურად არაფრით თავი არ გამოუჩენია რუსეთში მასობრივი მუშათა მოძრაობის ა რ ც ე რ თ ახლა აღნიშნულ გამოხატულებაში!

ეს ფაქტია, რომელსაც ყველა ადვილად შეამოწმებს.

და ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ჩვენ მართალი ვიყავით, როცა ტროცკიზე ვლაპარაკობდით, როგორც «ფრაქციულობის უცუდესი ნაშთების» წარმომადგენელზე.

თუმცა ტროცკი სიტყვით არაფრაქციულია, ნამდვილად იგი ყველასათვის, ვინც კი ოდნავ მაინც იცნობს რუსეთის მუშათა მოძრაობას, «ტროცკის ფ რ ა ქ ც ი ი ს» წარმომადგენელია, — აქ არის ფრაქციულობა, იმიტომ რომ აშკარაა მისი ორი არსებითი ნიშანი: (1) ერთიანობის ნომინალური აღიარება და (2) ჯგუფობრივი განკერძოება სინამდვილეში. აქ არის ფრაქციულობის ნაშთი, ვინაიდან აქ შეუძლებელია აღმოვაჩინოთ რაიმე სერიოზული რუსეთის მუშათა მასობრივ მოძრაობასთან კავშირის მხრივ.

ბოლოს, აქაა ფრაქციულობის ყველაზე უარესი სახე, ვინაიდან ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს არავითარი იდეურ-პოლიტიკური გარკვეულობა. ამ გარკვეულობას ვერ წავართმევთ ვერც პრავდისტებს (თვით ჩვენი მედგარი მოწინააღმდეგე ლ. მარტოვი აღიარებს ჩვენს «შემჭიდროებულობასა და დისციპლინას» ყველა საკითხზე მიღებულ და ყველასათვის ცნობილ ფორმალურ გადაწყვეტილებათა გარშემო), ვერც ლიკვიდატორებს (მათ, ყოველ შემთხვევაში, გამოჩენილთ მათს

შორის, ძალიან გარკვეული, სახელდობრ ლიბერალური, და არა მარქსისტული, ფიზიონომია აქვთ).

არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ ერთგვარი გარკვეულობა იმ ფრაქციების ნაწილისა, რომლებიც, ტროცკის ფრაქციის მსგავსად, რეალურად არსებობენ მხოლოდ და მხოლოდ ვენა-პარიზის და არა რუსეთის თვალსაზრისით. მაგალითად, გარკვეულია მ ა ხ ი ს ტ უ რ ი თეორიები «ვპერიოდის» მახისტური ჯგუფისა; გარკვეულია ამ თეორიების გადაჭრით უარყოფა და მარქსიზმის დაცვა, ლიკვიდატორების თეორიულ დაგმობასთან ერთად, «მენშევიკ-პარტიელებში».

ტროცკის კი არავითარი იდეურ-პოლიტიკური გარკვეულობა არა აქვს, რადგან «არაფრაქციულობის» პატენტი ნიშნავს მხოლოდ (ამას ახლავე დავინახავთ უფრო დაწვრილებით) ერთი ფრაქციიდან მეორეში სრულიად თავისუფლად გ ა დ ა ფ რ ე ნ-გ ა დ მ ო ფ რ ე ნ ი ს პატენტს.

დასკვნა:

1) ტროცკის ვერ აუხსნია და ვერ გაუგია მარქსიზმში არსებულ მიმდინარეობათა და ფრაქციათა შორის ი დ ე უ რ ი უთანხმოების ისტორიული მნიშვნელობა, თუმცა ეს უთანხმოება ავსებს სოციალ-დემოკრატიის ოცი წლის ისტორიას და ეხება თანამედროვეობის ძირითად საკითხებს (როგორც კიდევ ცხადვყოფთ);

2) ტროცკიმ ვერ გაიგო ფ რ ა ქ ც ი უ ლ ო ბ ი ს ძირითადი თავისებურებანი, როგორც ერთიანობის ნომინალური აღიარებისა და რეალური დაქსაქსულობისა;

3) «არაფრაქციულობის» დროშით ტროცკი იცავს ერთ-ერთ საზღვარგარეთულ ფრაქციას, განსაკუთრებით უიდეოს და უნიადაგოს რუსეთის მუშათა მოძრაობაში.

ყოველივე, რაც ბრწყინავს, ოქრო როდია. ბევრი ბრჭყვიალი და ხმაურია ტროცკის ფრაზებში, მაგრამ შინაარსი იქ არ არის.

II. გათიშვის შესახებ

«თუ თქვენ, პრავდისტებს, არა გაქვთ ფრაქციულობა, ე. ი. ერთიანობის ნომინალური აღიარება, სინამდვილეში დაქსაქსულობის დროს, სამაგიეროდ გაქვთ უარესი რამ—გამთიშველობა», გვიპასუხებენ ჩვენ. სწორედ ასე ლაპარაკობს ტროცკი, რომელიც ვერ ახერხებს თავისი აზრების ჩამოყალიბებას, თავისი ფრაზებისათვის თავ-ბოლოს მოყრას და ხან ფრაქციულობის წინააღმდეგ ღაღადებს, ხან გაიძახის: «გათიშვა ზედიზედ ახდენს თვითმკვლელურ დაპყრობებსო» (№ 1, გვ. 6).

ამ განცხადებას შეიძლება მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდეს: «პ რ ა ვ დ ი ს ტ ე ბ ი ზედიზედ ახდენენ დაპყრობებს» (ესაა ობიექტური, ადვილად შესამოწმებელი ფაქტი, რომლის დადგენა შეიძლება რუსეთის თუნდაც 1912 და 1913 წლების მასობრივი მუშათა მოძრაობის შესწავლით), მ ა გ რ ა მ მ ე, ტ რ ო ც კ ი, ვგმობ პრავდისტებს (1) როგორც გამთიშველებს და (2) როგორც თვითმკვლელ პოლიტიკოსებსო.

გავერკვეთ ამ ამბავში.

უწინარეს ყოვლისა მადლობა ვუთხრათ ტროცკის: ამ ცოტა ხნის წინათ (1912 წ. აგვისტოდან 1914 წ. თებერვლამდე) იგი უკან მისდევდა თ. დანს, რომელიც, როგორც ცნობილია, იმუქრებოდა და მოუწოდებდა — «მ ო ვ კ ლ ა თ» ანტილიკვიდატორობაო. ახლა ტროცკი აღარ იმუქრება ჩვენი მიმართულების (და ჩვენი პარტიის — ნუ გაჯავრდებით, მოქალაქე ტროცკი, ეს ხომ მართალია!) «მოკვლას», მხოლოდ წინასწარმეტყველებს — იგი თ ვ ი თ მოიკლავს თავსო!

ეს ბევრად უფრო რბილი რამაა, ხომ მართალია? ეს თითქმის «არაფრაქციულობაა», ხომ ასეა?

მაგრამ ხუმრობა იქით იყოს (თუმცა ხუმრობა ერთადერთი საშუალებაა ტროცკის აუტანელ ფრაზიორობაზე შერბილებულად გამოხმაურებისა).

«თვითმკვლელობა» უბრალო ფრაზაა, ცარიელი ფრაზა, მარტოოდენ «ტროცკიზმია».

გამთიშველობა სერიოზული პოლიტიკური ბრალდებაა. ამ ბრალდებას ჩვენს წინააღმდეგ ათას ჰანგზე იმეორებენ ლიკვიდატორებიც და ყველა, ზემოთ ჩამოთვლილი, პარიზისა და ვენის თვალსაზრისით უცილობლად არსებული, ჯგუფიც.

და ყველა ისინი ამ სერიოზულ პოლიტიკურ ბრალდებას გასაოცარი არასერიოზულობით იმეორებენ. შეხედეთ ტროცკის. მან აღიარა, რომ «გათიშვა ზედიზედ ახდენს (იგულისხმე: პრავდისტები ახდენენ) თვითმკვლელურ დაპყრობებს». ამას იგი უმატებს:

«ძრავალი მოწინავე მუშა, სრული პოლიტიკური დაბნეულობის მდგომარეობაში მყოფი, ხშირად თვითონ ხდება გათიშვის აქტიური აგენტი» (№ 1, გვ. 6).

შეიძლება თუ არა სადმე აღმოვაჩინოთ ნიმუშები საკითხისადმი უფრო არასერიოზული დამოკიდებულებისა, ვიდრე ის, რომელსაც ეს სიტყვები ამჟღავნებენ?

თქვენ გამთიშველობას გვაბრალებთ, მაშინ როცა ჩვენს თვალწინ მუშათა მოძრაობის ასპარეზზე რუსეთში ჩვენ სრულიად არაფერს არ ვხედავთ გარდა ლიკვიდატორობისა. მაშ თქვენ უმართებულოდ მიგაჩნიათ ჩვენი დამოკიდებულება ლიკვიდატორობისადმი? მართლაც, ყ ვ ე ლ ა ზემოთ ჩამოთვლილი საზღვარგარეთული ჯგუფი, რა ძლიერი განსხვავებაც არ უნდა იყოს მათ შორის, ერთმანეთს ეთანხმება სწორედ იმაში, რომ ჩვენი დამოკიდებულება ლიკვიდატორობისადმი უმართებულო, «გამთიშველურ» დამოკიდებულებად მიიჩნიათ. ამაში მდგომარეობს აგრეთვე ყ ვ ე ლ ა ამ ჯგუფის მსგავსება (და არსებითი პოლიტიკური დაახლოება) ლიკვიდატორებთან.

თუ ჩვენი დამოკიდებულება ლიკვიდატორობისადმი თეორიულად, პრინციპულად უმართებულოა, ტროცკის პ ი რ დ ა-პ ი რ უნდა ეთქვა ეს, გ ა რ კ ვ ე უ ლ ა დ განეცხადებინა, მიუკიბ-მოუკიბავად მიეთითებინა, რაში ხედავს ამ უმართე-

ბულობას. მაგრამ ტროცკი წ ლ ო ბ ი თ გაურბის ამ არსებითს პუნქტს.

თუ პრაქტიკულად, მოძრაობის გამოცდილებით ბათილდება ჩვენი დამოკიდებულება ლიკვიდატორობისადმი, უნდა გავარჩიოთ ეს გამოცდილება; ტროცკი არც ამას აკეთებს. «მრავალი მოწინავე მუშა» — აღიარებს იგი — «გათიშვის ა ქ ტ ი უ რ ი ა გ ე ნ ტ ი ხდება» (იგულისხმე: პრავდისტული ხაზის, ტაქტიკის, სისტემის, ორგანიზაციის აქტიური აგენტი).

რატომღა ხდება ისეთი სამწუხარო მოვლენა, რომელსაც, ტროცკის აღიარებით, გამოცდილება ადასტურებს, რომ მ ო წ ი ნ ა ვ ე მუშები, ამასთან მ რ ა ვ ლ ა დ, «პრავდას» ემხრობიან?

ამ მოწინავე მუშების «სრული პოლიტიკური დაბნეულობის» გამოო, უპასუხებს ტროცკი.

თქმა არ უნდა, ასეთი ახსნა მეტისმეტად თავმოსაწონია ტროცკისა, ხუთივე საზღვარგარეთული ფრაქციისა და ლიკვიდატორებისათვის. ტროცკის ძალიან უყვარს «მცოდნის მეცნიერული გამომეტყველების» მიღება და მაღალფარდოვანი, მყვირალა ფრაზებით ისტორიულ მოვლენათა ისე ახსნა, რაც თვით ტროცკისთვისაა თავმოსაწონი. თუ «მრავალი მოწინავე მუშა» იმ პოლიტიკური და პარტიული ხაზის «აქტიური აგენტი» ხდება, რომელიც არ ეთანხმება ტროცკის ხაზს, ტროცკი საკითხს მოურიდებლად, უცებ და პირდაპირ წყვეტს: ეს მოწინავე მუშები «სრული პოლიტიკური დაბნეულობის მდგომარეობაში» იმყოფებიან, ხოლო ის, ტროცკი, ალბათ, პოლიტიკურად მტკიცე «მდგომარეობაშია», ნათელ და სწორ ხაზს ადგია!.. და იგივე ტროცკი მკერდზე ხელს იცემს და თავს ესხმის ფრაქციულობას, წრეობანას, მუშებისათვის თავისი ნება-სურვილის ინტელიგენტურ მოხვევას!..

ჭეშმარიტად, ასეთ რამეებს რომ კითხულობ, ძალაუნებურად ეკითხები შენს თავს: საგიჟეთიდან ხომ არ მოისმის ეს ხმები?

«მოწინავე მუშების» წინაშე ლიკვიდატორობისა და მისი დაგმობის საკითხი პარტიის მიერ დასმულია 1908 წლიდან, ხოლო ლიკვიდატორთა სრულიად გარკვეულ ჯგუფთან (სახელდობრ: «ნაშა ზარიას» ჯგუფთან) «გათიშვის» საკითხი, ე. ი. ის საკითხი, რომ პარტია აუცილებლად ამ ჯგუფის გ ა რ ე შ ე და მის წინააღმდეგ უნდა აშენდეს, ეს უკანასკნელი საკითხი დასმულია 1912 წლის იანვარში, ორ წელზე მეტი ხნის წინათ. მოწინავე მუშების უდიდესი უმრავლესობა სწორედ «იანვრის (1912 წ.) ხაზს» მ ი ე მ ხ რ ო. ტროცკი თვითონ აღიარებს ამ ფაქტს, როცა «დაპყრობებზე» და «მრავალ მოწინავე მუშაზე» ლაპარაკობს. და ტროცკი კმაყოფილდება იმით, რომ პირდაპირ ლ ა ნ ძ ღ ა ვ ს, «გამთიშველებსა» და «პოლიტიკურად დაბნეულებს» უწოდებს ამ მოწინავე მუშებს!

ჭკუათამყოფელი ადამიანები ამ ფაქტებიდან სხვა დასკვნას გამოიტანენ. იქ, სადაც ზუსტ და გარკვეულ გადაწყვეტილებათა გარშემო შეგნებული მუშების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა შეკავშირდა, იქ არის აზრთა და მოქმედების ე რ თ ი ა ნ ო ბ ა, იქ არის პარტიულობა და პარტია.

ხოლო იქ, სადაც ჩვენ ვხედავდით მუშების მიერ «პოსტებიდან მოხსნილ» ლიკვიდატორებს, ან ექვსიოდე საზღვარგარეთულ ჯგუფს, რომლებმაც ორი წლის განმავლობაში ვ ე რ ა ფ რ ი თ დაამტკიცეს თავიანთი კავშირი რუსეთის მუშათა მასობრივ მოძრაობასთან, სწორედ იქ მეფობს დაბნეულობა და გ ა მ თ ი შ ვ ე ლ ო ბ ა. ტროცკი ახლა ცდილობს დაარწმუნოს მუშები — ა რ შ ე ა ს რ უ ლ ო ნ იმ «მთელის» გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ნ ი, რომელსაც მარქსისტი-პრავდისტები აღიარებენ, და ამით ც დ ი ლ ო ბ ს დეზორგანიზაცია შეიტანოს მოძრაობაში და გათიშვა გამოიწვიოს.

ეს ცდები უილაჯოა, მაგრამ ხომ უნდა ვამხილოთ ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფების თავგასული, თავიანთ თავზე გაზვიადებული წარმოდგენის მქონე ბელადები, რომლებიც გათიშვას ახდენენ და თვით ყვირიან გათიშვაზე, რომლებიც, ორწელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში

«მოწინავე მუშების» წინაშე სრული დამარცხების შემდეგ, არაჩვეულებრივი თავხედობით აფურთხებენ ამ მოწინავე მუშების გადაწყვეტილებებსა და ნება-სურვილს და მათ «პოლიტიკურად დაბნეულებს» უწოდებენ. ეს ხომ სავსებით ნოზდრევის ანდა იუდუშკა გოლოვლევის ხერხებია.

და, როგორც პუბლიცისტი, ჩვენ გათიშვის შესახებ განმეორებითი ყვირილის საპასუხოდ კვლავ და კვლავ განმეორებით გადმოვცემთ ზუსტ, ურყევ ცნობებს, რომელთა გაბათილება შეუძლებელია. II სათათბიროში მუშათა კურიიდან 47% ბოლშევიკი დეპუტატი იყო, III-ში — 50%, IV-ში — 67%.

აი, სადაა «მოწინავე მუშების» უმრავლესობა, აი სადაა პარტია, აი სადაა შეგნებული მუშების უმრავლესობის აზრთა და მოქმედების ერთიანობა.

ლიკვიდატორები გვიპასუხებენ (იხ. ბულკინი, ლ. მ., «ნაშა ზარია» № 3), თქვენ სტოლიპინის კურიების საბუთებს იყენებთო. ეს უგუნური და არაკეთილსინდისიერი პასუხია. გერმანელები თავიანთ წარმატებას ზომავენ ბისმარკის საარჩევნო კანონის საფუძველზე ჩატარებული არჩევნებით, ეს კანონი კი ქალებს გამორიცხავს. მხოლოდ შეშლილებს შეეძლოთ ამის გამო საყვედური ეთქვათ გერმანელი მარქსისტებისათვის, რომლებიც თავიანთ წარმატებას არსებული საარჩევნო კანონის მიხედვით ზომავენ, მაგრამ სრულიადაც არ ამართლებენ მის რეაქციულ შეკვეცას.

ასევე ჩვენც — არც კურიებს ვიცავდით, არც კურიალობას, მაგრამ ჩვენს წარმატებას არსებული საარჩევნო კანონის პირობებში ვზომავდით. კურიები სამივე სათათბიროში (II, III, IV) იყო, და ერთი და იმავე მუშათა კურიის შიგნით, სოციალ-დემოკრატიის შიგნით მოხდა სრული გადანაცვლება ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ვისაც თავისი თავის და სხვების მოტყუება არა სურს, მან უნდა აღიაროს ეს ობიექტური ფაქტი მუშათა ერთიანობის გამარჯვებისა ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

არა ნაკლებ «ჭკვიანურია» მეორე საწინააღმდეგო საბუთი: «ამა და ამ ბოლშევიკის სასარგებლოდ მენშევიკები და ლიკვიდატორები აძლევდნენ ხმებსო (ან არჩევნებში მონაწილეობდნენო)». ჩინებულია! მაგრამ ესევე ხომ არ ითქმის II სათათბიროს 53%, III სათათბიროს 50% და IV სათათბიროს 33% ა რ ა ბოლშევიკი დეპუტატების მიმართაც?

შესაძლებელი რომ ყოფილიყო იმ მონაცემების მაგივრად, რომლებიც დეპუტატებს შეეხება, აგვეღო მონაცემები ამრჩევთა ან მუშების რწმუნებულთა შესახებ და სხვ., ჩვენ ამას სიამოვნებით ავიღებდით. მაგრამ ასეთი, უფრო დაწვრილებითი მონაცემები ა რ ა ა, და, მაშასადამე, «საწინააღმდეგოს მთქმელნი» პირდაპირ თვალებს უხვევენ საზოგადოებას.

როგორია მონაცემები მუშათა იმ ჯგუფების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა მიმართულების გაზეთებს ეხმარებოდნენ? ო რ ი წლის განმავლობაში (1912 და 1913) 2 801 ჯგუფი «პრავდას» ეხმარებოდა და 750 — «ლუჩს» *. ყველას შეუძლია ეს ციფრები შეამოწმოს, და არც არავის უცდია მათი გაბათილება.

მაშ სადაა აქ «მოწინავე მუშების» უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა და ნ ე ბ ა-ს უ რ ვ ი ლ ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ა და სადაა უმრავლესობის ნება-სურვილის დ ა რ ღ ვ ე ვ ა?

ტროცკის «არაფრაქციულობა» სწორედ გამთიშველობაა მუშების უმრავლესობის ნება-სურვილის ყოვლად ურცხვი დარღვევის აზრით.

III. აგვისტოს ბლოკის დაშლის შესახებ

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, და მეტად მნიშვნელოვანი, საშუალება — შევამოწმოთ, თუ რამდენად სწორი და

* 1914 წ. 1 აპრილისათვის წინასწარი გამოანგარიშების მიხედვით «პრავდას» მხარი დაუჭირა 4 000 ჯგუფმა (1912 წ. 1 იანვრიდან), ლიკვიდატორებს ყველა მათ მოკავშირესთან ერთად — 1 000 ჯგუფმა.

მართალია ტროცკის მიერ წამოსროლილი ბრალდება ჩვენი გამთიშველობის შესახებ.

თქვენ ფიქრობთ, რომ სწორედ «ლენინელები» არიან გამთიშველები? ძალიან კარგი. დავუშვათ, რომ თქვენ მართალი ხართ.

მაგრამ თუ თქვენ მართალი ხართ, რატომ ყველა დანარჩენმა ფრაქციამ და ჯგუფმა «ლენინელების» გ ა რ ე შ ე და «გამთიშველების» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ არ დაამტკიცა ლიკვიდატორებთან ერთიანობის შესაძლებლობა?.. თუ ჩვენ გამთიშველები ვართ, მაშინ თქვენ, გამაერთიანებელნი, რატომღა არ გაერთიანდით ერთმანეთში და ლიკვიდატორებთან? ამით ხომ მუშებს ს ა ქ მ ი თ დაუმტკიცებდით ერთიანობის შესაძლებლობას და მის სარგებლობას!..

გავიხსენოთ ქრონოლოგია.

1912 წლის იანვარში «გამთიშველი» «ლენინელები» აცხადებენ, ჩვენ პარტია ვართ ლიკვიდატორების გ ა რ ე შ ე და მათ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო.

1912 წლის მარტში ამ «გამთიშველების» წინააღმდეგ თავის რუსულ ფურცლებში და გერმანული სოციალ-დემოკრატიული გაზეთის «Vorwärts»-ის * ფურცლებზე ე რ თ ი ა ნ დ ე ბ ა ყ ვ ე ლ ა ჯგუფი და «ფრაქცია»: ლიკვიდატორები, ტროცკისტები, ეპერიოდელები, «ბოლშევიკი-პარტიელები», «მენშევიკი-პარტიელები». ყველანი ერთად, შეხმატკბილებულად, ერთსულოვნად, შეთანხმებულად, ერთობლივ გვლანძღავენ, — «უზურპატორებს», «მისტიფიკატორებს» და სხვა არა ნაკლებ ნაზ და ალერსიან სახელებს გვიწოდებენ.

ძალიან კარგი, ბატონებო! მაგრამ იმაზე ადვილი რაღა იყო თქვენთვის, რომ გაერთიანებულიყავით «უზურპატორების» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და «მოწინავე მუშებისათვის» ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს ნიმუში გეჩვენებინათ? განა მოწინავე მუშები, თუ კი ისინი ერთი მხრივ დაინახავდნენ ყველას ერთიანობას უზურპატორების წინააღმდეგ, როგორც ლიკვიდა-

* — «წინ». რ ე დ.

ტორების, ისე არა-ლიკვიდატორების ერთიანობას, ხოლო მეორე მხრივ მარტოდმარტო «უზურპატორებს», «გამთიშველებს» და სხვ., — მხარს არ დაუჭერდნენ პირველთ??

თუ უთანხმოება მხოლოდ გამოგონილი ან გაზვიადებულია და სხვ. «ლენინელების» მიერ, ხოლო საქმით შეაძლებელია ლიკვიდატორების, პლეხანოველების, ვპერიოდელების, ტროცკისტების და სხვ. ერთიანობა, რატომ თქვენი მაგალითით არ დაამტკიცეთ ეს ორი წლის განმავლობაში?

1912 წლის აგვისტოში «გამაერთიანებელთა» კონფერენცია შეიკრიბა. მაშინვე გათიშვა დაიწყო: პლეხანოველებმა სრულებით უარი განაცხადეს მონაწილეობაზე, ვპერიოდელები მივიდნენ, მაგრამ პროტესტი განაცხადეს, მთელი ამ განზრახვის ფიქტიურობა გამოამჟღავნეს და წავიდნენ.

«გაერთიანდნენ» ლიკვიდატორები, ლატვიელები, ტროცკისტები (ტროცკი და სემკოვსკი), კავკასიელები, შვიდეული. გაერთიანდნენ კი? ჩვენ მაშინვე განვაცხადეთ, რომ არა, რომ ეს მხოლოდ ლიკვიდატორობის დაფარვაა. გაგვაწბილა თუ არა ჩვენ მოვლენებმა?

სწორედ წელიწადნახევრის შემდეგ, 1914 წლის თებერვალში, აღმოჩნდა:

1) რომ შვიდეული იშლება — ბურიანოვი გადის იქიდან.

2) რომ დარჩენილ ახალ «ექვსეულში» ჩხეიძე და ტულიაკოვი თუ სხვა ვიღაც ვერ შეთანხმებულან პლეხანოვისადმი პასუხის გამო. ისინი პრესაში აცხადებენ, ვუპასუხებთო, მაგრამ ვერ ახერხებენ პასუხის გაცემას.

3) რომ ტროცკი, რომელიც ფაქტიურად უკვე მრავალი თვის წინათ გაქრა «ლუჩიდან», გამოითიშა და «თავის» ჟურნალს — «ბორბას» სცემს. რაკი ამ ჟურნალს «არაფრაქციულს» უწოდებს, ტროცკი ცხადად ამბობს ამით (ცხადად ყველასათვის, ვინც რამდენადმე მაინც გაცნობილია საქმის

ვითარებას), რომ «ნაშა ზარია» და «ლუჩი», მისი, ტროცკის, აზრით, «ფრაქციული», ე. ი. ცუდი გამაერთიანებელნი ა ღ მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ.

თუ თქვენ, პატივცემულო ტროცკი, გამაერთიანებელი ხართ, თუ თქვენ შესაძლებლად აცხადებთ ერთიანობას ლიკვიდატორებთან, თუ თქვენ მათთან ერთად დგახართ «1912 წლის აგვისტოში ჩამოყალიბებული ძირითადი იდეების» პოზიციაზე («ბორბა» № 1, გვ. 6, «რედაქციისაგან»), მაშინ რატომ თ ვ ი თ თ ქ ვ ე ნ ა რ გაერთიანდით ლიკვიდატორებთან «ნაშა ზარიასა» და «ლუჩში»?

როცა «სევერნაია რაბოჩაია გაზეტაში» ჯერ კიდევ ტროცკის ჟურნალის გამოსვლამდე გამოქვეყნდა ღვარძლიანი შენიშვნა ჟურნალის «გამოურკვეველ» ფიზიონომიაზე და იმაზე, რომ «მარქსისტულ წრეებში საკმაოდ ბევრს ლაპარაკობდნენ» მის შესახებო, «პუტ პრავდის» (№ 37) *, ბუნებრივია, უნდა ემხილებინა ტყუილი: «მარქსისტულ წრეებში ლაპარაკობდნენ» ტროცკის საიდუმლო წერილზე ლუჩისტების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ; ტროცკის ფიზიონომია და მისი გამოთიშვა აგვისტოს ბლოკიდან სრულიად «გამორკვეულია».

4) ანი, კავკასიელი ლიკვიდატორების ცნობილი ბელადი, რომელიც თითქოს გამოვიდა ლ. სედოვის წინააღმდეგ (და ამისათვის საჯაროდ გაკიცხეა მიიღო თ. დანისა და კომპანიისაგან), ახლა «ბორბაში» გამოჩნდა. «გამოურკვეველი» რჩება, ტროცკისთან ერთად სურთ სიარული ახლა კავკასიელებს თუ დანთან?

5) ლატვიელი მარქსისტები, რომლებიც ერთადერთს სრულიად უცილობელ ორგანიზაციას წარმოადგენენ «აგვისტოს ბლოკში», ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ გამოვიდნენ იქიდან და თავიანთი უკანასკნელი კონგრესის (1914 წ.) რეზოლუციაში განაცხადეს, რომ

«შემარიგებელთა ცდა — რადაც უნდა დასჯდომოდათ გაერთიანებულიუვნენ ლიკვიდატორებთან (1912 წლის აგვისტოს კონფერენცია), უნაყო-

* იხ. ეს ტომი, გვ. 182 — 186. რ ე დ.

ფო გამოდგა, და გამაერთიანებელნი თვითონ აღმოჩნდნენ იდეურ-პოლიტიკურად დამოკიდებულნი ლიკვიდატორებისაგან».

ეს განაცხადა, წელიწადნახევრის გამოცდილების შემდეგ, ორგანიზაციამ, რომელიც თვითონ ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ პოზიციაზე დგას და ამ ორი ცენტრიდან ა რ ც ე რ თ თ ა ნ არასურს კავშირის დამყარება. მით უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ტროცკისათვის ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ადამიანების ამ გადაწყვეტილებას!

მგონი, საკმარისია?

ადამიანები, რომლებიც ჩვენ გამთიშველობას, ლიკვიდატორებთან შეთვისების მოუწადინებლობას თუ ამის უუნარობას გვაბრალებდნენ, თ ვ ი თ ო ნ ვერ შეეთვისნენ მათ. აგვისტოს ბლოკი ფიქცია აღმოჩნდა და დაიშალა.

როცა ტროცკი თავის მკითხველებს ამ დაშლას უმალავს, იგი ატყუებს მათ.

ჩვენი მოწინააღმდეგეების გამოცდილებამ დაამტკიცა ჩვენი სიმართლე, დაამტკიცა, რომ შეუძლებელია ლიკვიდატორებთან ერთად მუშაობა.

IV. შემარიგებლის რჩევა-დარიგება «შვიდეულს»

«ბორბას» № 1-ის სარედაქციო სტატიაში: «სათათბიროს ფრაქციის გათიშვა» მოიპოვება შემარიგებლის რჩევა-დარიგება სახელმწიფო სათათბიროს მოლიკვიდატორე (ან ლიკვიდატორობისაკენ მოქანავე) დეპუტატთა შვიდეულისადმი. ამ რჩევა-დარიგების ღერძს შემდეგი ფრაზა წარმოადგენს:

«პირველ რიგში ეჭვსეულს მიმართეთ ყველა შემთხვევაში, როცა საკითხია სხვა ფრაქციებთან შეთანხმება» (გვ. 29).

აი გონივრული რჩევა, რომლის გამო, სხვათა შორის, ალბათ, ტროცკი შორდება ლიკვიდატორ-ლუჩისტებს. სათათბიროში ორი ფრაქციის ბრძოლის დაწყებიდანვე, ზაფხულის (1913) თათბირის რეზოლუციის დროიდან, პრავდისტები სწორედ ამ თვალსაზრისზე იდგნენ. რუსეთის სოციალ-დემო-

კრატიულ მუშათა ფრაქციას გათიშვის შემდეგაც არა ერთ-ხელ განუცხადებია პრესაში, რომ განაგრძობს ამ პოზი-ციაზე დგომას, «შვიდეულის» განმეორებითი უარის მიუხე-დავად.

თავიდანვე, ზაფხულის თათბირის რეზოლუციის დროი-დან, ჩვენ ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ სასურველი და შესაძლებელია შეთანხმებანი სათათბიროში მუშაობის საკითხებზე: თუ ამგვარი შეთანხმებანი არა ერთ-ხელ ყოფილა დაშვებული წვრილბურჟუაზიულ გლეხურ დე-მოკრატებთან (ტრუდოვიკებთან), მით უმეტეს, რა თქმა უნდა, შესაძლებელი და აუცილებელია ისინი წვრილბურ-ჟუაზიულ, ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებთან.

უთანხმოება არ უნდა გავაზვიადოთ და სინამდვილეს პირდაპირ უნდა შევხედოთ: «შვიდეული» ის ადამიანები არიან, რომლებიც ლიკვიდატორობისაკენ იხრებიან, გუშინ სავსებით დანს მიჰყვებოდნენ, დღეს კი სევდიანად ხან დანს მიაპყრობენ თვალებს, ხან ტროცკის, და ასე შემდეგ. ლიკვი-დატორები პარტიიდან გამოთიშული ლეგალისტების ჯგუფია, რომელიც ლიბერალურ მუშათა პოლიტიკას ახორციელებს. რადგან ისინი «იატაკქვეშეთს» უარყოფენ, არავითარი ლაპა-რაკი არ შეიძლება იმაზე, რომ ამ ჯგუფთან რაიმე ერთიანობა დავამყაროთ პარტიული მშენებლობისა და მუშათა მოძრაო-ბის საქმეში. ვინც სხვანაირად ფიქრობს, ის დიდად ცდება, რადგან ანგარიშს არ უწევს 1908 წლის შემდეგ მომხდარ ცვლილებათა სიღრმეს.

მაგრამ ამ გარეშეპარტიულ თუ ახლოპარტიულ ჯგუფთან ცალკე საკითხებში შეთანხმება, რა თქმა უნდა, დასა-შვებია: ჩვენ ამ ჯგუფსაც, ისევე როგორც ტრუდოვიკებს, ყოველთვის უნდა ვაიძულებდეთ არჩევანი მოახდინოს მუ-შურ (პრავდისტულ) და ლიბერალურ პოლიტიკას შორის. მაგა-ლითად, პრესის თავისუფლებისათვის ბრძოლის საკითხში ლიკ-ვიდატორებმა ნათლად გამოამჟღავნეს მერყეობა საკითხის ლიბერალურ დაყენებასა — უცენზურო ბეჭდვითი სიტყვის

უარყოფით თუ დავიწყებით — და ამის საწინააღმდეგო, მუშურ, პოლიტიკას შორის.

სათათბიროს პოლიტიკის ფარგლებში, იქ, სადაც უშუალოდ არ დაისმის ხოლმე უაღრესად მნიშვნელოვანი, გარესათათბირული საკითხები, შეთანხმებანი ლიბერალური მუშათა დეპუტატების შვიდეულთან შესაძლებელი და სასურველია. ამ პუნქტში ტროცკი ლიკვიდატორებს დაშორდა და ზაფხულის (1913) პარტიული თათბირის პოზიციაზე გადავიდა.

ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარეშეპარტიული ჯგუფის თვალსაზრისით შეთანხმებად სრულიადაც ის არ იგულისხმება, რაც ჩვეულებრივად პარტიულ ადამიანებს ესმით. არაპარტიული ადამიანებისათვის სათათბიროში «შეთანხმება» «ტაქტიკური რეზოლუციის ან ხაზის შემუშავებას» წარმოადგენს. პარტიული ადამიანებისათვის შეთანხმება არის ცდა სხვათა მოზიდვისა პარტიული ხაზის განხორციელებისაკენ.

მაგალითად, ტრუდოვიკებს პარტია არა აქვთ. შეთანხმებად მათ მიაჩნიათ, ასე ვთქვათ, ხაზის «თავისუფალი» «შემუშავება», დღეს კადეტებთან ერთად, ხვალ — სოციალ-დემოკრატებთან ერთად. ჩვენ კი ტრუდოვიკებთან შეთანხმებად სულ სხვა რამეს ვგულისხმობთ: ჩვენ გვაქვს პარტიული გადაწყვეტილებანი ტაქტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, და არასოდეს ამ გადაწყვეტილებებს არ დავშორდებით; ხოლო ტრუდოვიკებთან შეთანხმება ჩვენი თვალსაზრისით ნიშნავს იმას, რომ მოვიმხროთ ისინი, დავაჯეროთ ჩვენს სიმართლეში, უარი არა ვთქვათ საერთო მოქმედებაზე შავრაზმელებისა და ლიბერალების წინააღმდეგ.

რამღენად დავიწყნია ტროცკის (უნაყოფოდ როდი გაუტარებია, მაინც, დრო ლიკვიდატორებთან!) ეს ელემენტარული განსხვავება შეთანხმებაზე პარტიულ და არაპარტიულ თვალსაზრისს შორის, მისი შემდეგი მსჯელობა გვიჩვენებს:

«აუცილებლად საჭიროა, რომ ინტერნაციონალის რწმუნებულმა პირებმა შეახვედრონ ერთმანეთს ჩვენი გათიშული საპარლამენტო წარმომადგენლობის ორივე ნაწილი და მათთან ერთად განიხილონ, რა აერთიანებს და რა თიშავს მათ... შეიძლება შემუშავდეს დეტალური ტაქტიკური რეზოლუცია, რომელიც პარლამენტური ტაქტიკის საფუძვლებს ჩამოაყალიბებს»... (№ 1, გვ. 29 — 30).

აი დამახასიათებელი და უაღრესად ტიპიური ნიმუში საკითხის ლიკვიდატორული დაყენებისა! ტროცკის ჟურნალს ავიწყდება პარტია: მართლაც, განა ღირს ასეთი წვრილმანის გახსენება?

როცა ევროპაში (ტროცკის უყვარს უადგილოდ ევროპეიზმზე ლაპარაკი) სხვადასხვა პარტიები ერთიმეორეს უთანხმდებიან ან ერთიანდებიან, ეს ასე ხდება: მათი წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებიან და უწინარეს ყოვლისა უთანხმოების პუნქტებს არკვევენ (სწორედ იმას, რაც ინტერნაციონალმა დღის წესრიგში დააყენა რუსეთისათვის, ისე, რომ რეზოლუციაში სრულიადაც არ შეუტანია კაუცკის მოუფიქრებელი მტკიცება, თითქოს «ძველი პარტია აღარ არსებობდეს»). უთანხმოების პუნქტების გარკვევის შემდეგ წარმომადგენლები აღნიშნავენ, რ ა გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ე ბ ი (რეზოლუციები, პირობები და სხვ.) უ ნ დ ა წ ა რ ე დ გ ი ნ ო ს ო რ ი ვ ე პ ა რ ტ ი ი ს ყ რ ი ლ ო ბ ე ბ ს ტაქტიკის, ორგანიზაციისა და სხვა საკითხებზე. თუ ერთიან გადაწყვეტილებათა პროექტის დასახვა ხერხდება, ყრილობები წყვეტენ, მიიღონ თუ არა ისინი; თუ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა წინადადებანი ისახება, მათაც საბოლოოდ ორივე პარტიის ყრილობები განიხილავენ.

ლიკვიდატორებისა და ტროცკისათვის «სიმპათიურია» ოპორტუნიზმის მხოლოდ ე ვ რ ო პ უ ლ ი ნიმუშები, მაგრამ სრულიადაც არა ევროპული პარტიულობის ნიმუშები.

«დეტალურ ტაქტიკურ რეზოლუციას» სათათბიროს დეპუტატები შეიმუშავებენო!! რუსი «მოწინავე მუშები», რომლებითაც ტროცკი ტყუილად კი არაა ასე უკმაყოფილო, ამ

მაგალითით თვალნათლივ დაინახავენ, სადამდე მიდის ვენასა და პარიზში სასაცილო პროექტერობა საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფებისა, რომლებმაც კაუცკიც კი დაჯერეს — რუსეთში პარტია «არ არსებობსო». მაგრამ, თუ ხანდახან უცხოელების მოტყუება ხერხდება ამ მხრივ, რუსი «მოწინავე მუშები» (იმისდა მიუხედავად, რომ მრისხანე ტროცკის ახალ უკმაყოფილებას გამოიწვევენ) პირში დასცინებენ ამ პროექტერებს.

«დეტალურ ტაქტიკურ რეზოლუციებს — ეტყვიან ისინი მათ — ჩვენში შეიმუშავებენ ხოლმე პარტიული ყრილობები და კონფერენციები (არ ვიცით, როგორ კეთდება ეს საქმე თქვენთან, უპარტიოებს შორის), მაგალითად, 1907, 1908, 1910, 1912 და 1913 წლებისა. ჩვენ სიამოვნებით გავაცნობთ უცოდინარ უცხოელებს, აგრეთვე გულმავიწყ რუსებს, როგორია ჩვენი პარტიული გადაწყვეტილებანი, და კიდევ მეტი სიამოვნებით ვთხოვთ «შვიდეულის» წარმომადგენლებს ან «აგვისტოელებს», ანდა «ლევიცელებს», ან სხვებს, ვინც უნდა იყოს, გაგვაცნონ თავიანთი ყრილობების ან კონფერენციების რეზოლუციები, შეიტანონ თავიანთ მომავალ ყრილობაზე გარკვეული საკითხი ჩვენი რეზოლუციებისადმი ან 1914 წლის ლატვიელთა ნეიტრალური ყრილობის რეზოლუციისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ და სხვ.».

აი რას ეტყვიან რუსეთის «მოწინავე მუშები» სხვადასხვა პროექტერებს, აი რა თქვეს უკვე, მაგალითად, მარქსისტულ პრესაში პეტერბურგის ორგანიზებულმა მარქსისტებმა. ტროცკის ნებავს უგულებელყოს ეს დაბეჭდილი პირობები ლიკვიდატორებისათვის? მით უარესი ტროცკისათვის. ჩვენი ვალია მკითხველები გავაფრთხილოთ იმის შესახებ, თუ რა სასაცილოა «გამაერთიანებელი» (აგვისტოს «გაერთიანების» ტიპის?) პროექტერობა, რომელსაც არა სურს ანგარიში გაუწიოს რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობის ნება-სურვილს.

V. ტროცკის ლიკვიდატორული შეხედულებანი

არსებითად თავის შეხედულებებზე ტროცკი შეეცადა რაც შეიძლება ნაკლები ელაპარაკნა თავის ახალ ჟურნალში. «პუტ პრავდიმ» (№ 37) უკვე აღნიშნა, რომ არც იატაკქვეშ მუშაობის საკითხზე, არც ღია პარტიისათვის ბრძოლის ლოზუნგზე და სხვ. ტროცკის ერთი სიტყვაც არ უთქვამს *. აი, სხვათა შორის, რატომ ვლაპარაკობთ ჩვენ უ ცუ დ ეს ფრაქციულობაზე ამ შემთხვევაში, როცა განცალკევებულ ორგანიზაციას ყოველგვარი იდეურ-პოლიტიკური ფიზიონომიის გ ა რ ე შ ე სურს წარმოიშვას.

მაგრამ, თუ ტროცკიმ არ მოისურვა პირდაპირ გადმოეცა თავისი შეხედულებანი, სამაგიეროდ მისი ჟურნალის მთელი რიგი ადგილები გვიჩვენებს, რა იდეებს ატარებს იგი ფარულად და მალულად.

პირველი ნომრის პირველსავე სარედაქციო სტატიაში ვკითხულობთ:

«რევოლუციის წინადროინდელი სოციალ-დემოკრატია ჩვენში მხოლოდ თავისი იდეით, თავისი მიზნებით იყო მ უ შ ა თ ა პარტია. ნამდვილად იგი წარმოადგენდა მარქსისტული ინტელიგენციის ორგანიზაციას, რომელიც. წინ მიუძღოდა გამოღვიძების გზაზე შემდგარ მუშათა კლასს» (5).

ეს დიდი ხნის წინათ ცნობილი ლიბერალური და ლიკვიდატორული სიმღერაა, რომელიც ნამდვილად შესავალს წარმოადგენს პარტიის უ ა რ ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს. ეს სიმღერა ისტორიული ფაქტების დამახინჯებაზეა დაფუძნებული. უკვე 1895 — 1896 წლების გაფიცვებმა შექმნეს მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მუშათა მოძრაობა, იდეურადაც და ორგანიზაციულადაც დაკავშირებული სოციალ-დემოკრატიასთან. და განა ამ გაფიცვებში, ამ ეკონომიურ და არაეკონომიურ აგიტაციაში «ინტელიგენცია მ ი უ ძ ღ ო დ ა წ ი ნ მუშათა კლასს»!!?

ანდა აი ზუსტი მონაცემები სახელმწიფოებრივ დანაშაულთა შესახებ 1901 — 1903 წლებში წინანდელ ეპოქასთან შედარებით:

* იხ. ეს ტომი, გვ. 182 — 186. რ ი ო.

განმათავისუფლებელი მოძრაობის 100 მონაწილეზე (ბასუხისგებაში რომ იყვნენ მიცემულნი სახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის) მოდიოდა პირები, რომლებიც ეწეოდნენ:

ეპოქები:	სოფლის მეურნეობას	მრეწველობასა და ვაჭრობას	ლიბერალურ პროფესიებს და მოსწავლეები	გამოურკვეველ მოსაქმეობას და უსაქმონი
1884 — 1890	7,1	15,1	53,3	19,9
1901 — 1903	9,0	46,1	28,7	8,0

ჩვენ ვხედავთ, რომ 80-იან წლებში, როცა რუსეთში სოციალ-დემოკრატიული პარტია ჯერ კიდევ ა რ არსებობდა, როცა მოძრაობა «ნაროდნიკული» იყო, ინტელიგენცია ჭარბობდა: იგი იძლევა მონაწილეთა ნახევარზე მეტს.

ეს სურათი სრულებით იცვლება 1901 — 1903 წლებში, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტია უკვე არსებობდა, როცა თავის მუშაობას აწარმოებდა ძველი «ისკრა». ინტელიგენცია უკვე უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს წარმოადგენს მოძრაობის მონაწილეთა შორის, მ უ შ ე ბ ი («მრეწველობა და ვაჭრობა») უკვე ბევრად მეტია, ვიდრე ინტელიგენცია, ხოლო მუშები და გლეხები ერთად მთელი რიცხვის ნახევარზე მეტს შეადგენენ.

სწორედ მარქსიზმის შიგნით მიმდინარეობათა ბრძოლაში იჩინა თავი სოციალ-დემოკრატიის წვრილბურჟუაზიულ-ინტელიგენტურმა ფ რ თ ა მ, დაწყებული «ეკონომიზმით» (1895 — 1903) და გაგრძელებული «მენშევიზმითა» (1903 — 1908) და «ლიკვიდატორობით» (1908 — 1914). ტროცკი იმეორებს ლიკვიდატორულ ცილისწამებას პარტიის წინააღმდეგ და ეშინია შეეხოს პარტიის შიგნით მიმდინარეობათა ოცი წლის ბრძოლის ისტორიას.

აი მეორე მაგალითი:

«რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ პარლამენტარიზმისადმი თავისი დამოკიდებულების მხრივ იგივე სამი სტადია განვლო... (რაც სხვა ქვეყნებში)... თავდაპირველად «ბოიკოტიზმი»... შემდეგ, პრინციპული აღიარება საპარლამენტო ტაქტიკისა, მაგრამ... (საუცხოოა ეს «მაგრამ», სწორედ ის «მაგრამ», რასაც შჩედრინი თარგმნიდა ფრაზით: შუბლს ზევით ყურები არ იზრდება, არა!)... წმინდა აგიტაციური მიზნებით... და, ბოლოს, საათობიროს ტრიბუნაზე... მორიგ მოთხოვნათა გადატანა»... (№ 1, გვ. 34).

ისტორიის კვლავ ლიკვიდატორულად გაყალბებაა. მეორე და მესამე სტადიის განსხვავება იმისთვისაა მოგონილი, რომ ფარულად გატარდეს რეფორმიზმისა და ოპორტუნიზმის დაცვა. ბოიკოტიზმი, როგორც სტადია «სოციალ-დემოკრატიის პარლამენტარიზმისადმი დამოკიდებულებისა», არ არსებულა ა რ ც ევროპაში (იქ იყო და დარჩა ანარქიზმი), ა რ ც რუსეთში, სადაც ბოიკოტი, მაგალითად, ბულიგინის სათათბიროსი, მ ხ ო ლ ო დ განსაზღვრულ დაწესებულებას ეხებოდა, ა რ ა ს ო დ ე ს დაკავშირებული არ ყოფილა «პარლამენტარიზმთან» და წარმოშობილი იყო ლიბერალიზმისა და მარქსიზმის თავისებური ბრძოლით შეტევის გაგრძელებისათვის. ტროცკი კრინტსაც არა ძრავს იმის შესახებ, თუ როგორი გავლენა იქონია ამ ბრძოლამ მარქსიზმის შიგნით ორი მიმდინარეობის ბრძოლაზე!

თუ ისტორიას ვეხებით, უნდა განვმარტოთ სხვადასხვა მიმდინარეობათა კონკრეტული საკითხები და კლასობრივი ფესვები; ვინც მოისურვებს მარქსისტულად შეისწავლოს კლასთა ბრძოლა და მიმდინარეობათა ბრძოლა ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობის გამო, იქ ის ლიბერალური მუშათა პოლიტიკის ფესვებს დაინახავს. მაგრამ ტროცკი ისტორიას «ეხება», რათა გ ვ ე რ დ ი ა უ ხ ვ ი ო ს კონკრეტულ საკითხებს და გამართლება ან გამართლების მსგავსება შ ე თ ხ ზ ა ს თანამედროვე ოპორტუნისტებისათვის!

...«ფაქტიურად ყველა მიმდინარეობა — წერს ის — ბრძოლისა და მშენებლობის ერთსა და იმავე მეთოდებს იყენებს». — «ყვირილი ლიბერალური საფრთხის შესახებ ჩვენს მუშათა მოძრაობაში მხოლოდ სინამდვილის უხეშ სექტანტურ კარიკატურას წარმოადგენს» (№ 1, გვ. 5 და 35).

ეს ლიკვიდატორების მეტად ნათელი და მეტად გაგულისებული დაცვაა. მაგრამ ჩვენს თავს მაინც ნებას მივცემთ თუნდ ერთი პატარა ფაქტი ავიღოთ რაც შეიძლება ახლებიდან, — ტროცკი მარტო ფრაზებს წამოისვრის ხოლმე, ჩვენ კი გვსურს, რომ მუშები თვითონ ჩაუკვირდნენ ფაქტებს.

ფაქტია — რომ «სეევერნაია რაბოჩაია გაზეტა» 13 მარტის ნომერში წერდა:

«იმის მაგივრად, რომ ხაზი გაესვას განსაზღვრულ, კონკრეტულ ამოცანას, რომელიც მუშათა კლასის წინაშე დგას, — სათანადო ვიეიულოთ უარყოს კანონპროექტი (პრესის შესახებ), ისმება ბუნდოვანი ფორმულა «შეუკვეცელი ლოზუნგებისათვის» ბრძოლისა, ამასთან ხდება არალეგალური პრესის რეკლამირება, რასაც შეუძლია მხოლოდ შეასუსტოს მუშების ბრძოლა თავიანთი ლეგალური პრესისათვის».

აი დოკუმენტალური, ნათელი, ზედმიწევნითი დაცვა ლიკვიდატორული პოლიტიკისა და კრიტიკა პრავდისტული პოლიტიკისა. რა უნდა ითქვას? განა აღმოჩნდება წერაკითხვის მცოდნე ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ ორივე მიმდინარეობა «ბრძოლისა და მშენებლობის ერთსა და იმავე მეთოდებს» იყენებს ამ საკითხში? განა აღმოჩნდება წერაკითხვის მცოდნე ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ ლიკვიდატორები აქ ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ მუშათა პოლიტიკას ა რ ატარებენ? რომ ლიბერალური საფრთხე მუშათა მოძრაობაში აქ მოგონილია?

ტროიკი სწორედ იმიტომ გაურბის ფაქტებსა და კონკრეტულ მითითებებს, რომ ისინი ულმობელად აბათილებენ ყველა მის მწყრალ შეძახებას და მაღალფარდოვან ფრაზებს. რასაკვირველია, მეტისმეტად ადვილია პოზის მიღება და თქმა: «უხეში სექტანტური კარიკატურაო». ძნელი არაა აგრეთვე კიდევ უფრო მწვავე, უფრო მაღალფარდოვანი სიტყვების მიმატება «კონსერვატიული ფრაქციულობისაგან განთავისუფლების» შესახებ.

ოღონდ, მეტად იაფფასიანი ამბავი ხომ არ არის ეს? იმ ეპოქის არსენალიდან ხომ არ არის ეს იარაღი ამოღებული, როცა ტროიკი გიმნაზიელების წინაშე ბრწყინავდა?

«მოწინავე მუშები», რომლებზეც ტროიკი გამწყრალია, მაინც მოისურვებენ, რომ მათ პირდაპირ და ნათლად უთხრან: იწონებთ თუ არა თქვენ იმ, «ბრძოლისა და მშენებლობის მეთოდს», რომელიც ზუსტად არის გამოთქმული კონ-

კრეტული პოლიტიკური კამპანიის აღნიშნულ შეფასებაში? ჰო თუ არა? თუ ჰო, ეს ლიბერალური მუშათა პოლიტიკაა, ესაა მარქსიზმისა და პარტიისადმი ღალატი, და ლაპარაკი «ზავსა» ან «ერთიანობაზე» ასეთ პოლიტიკასთან, მის გამტარებელ ჯგუფებთან — თავისი თავის და სხვების მოტყუებას ნიშნავს.

არა? — მაშ პირდაპირ სთქვით. ფრაზებით კი ახლანდელ მუშას ვერ გააკვირვებ, ვერ დააკმაყოფილებ და ვერ შეაშინებ.

სხვათა შორის: პოლიტიკა, რომელსაც ლიკვიდატორები აღნიშნულ ციტატაში ქადაგებენ, უგუნურია ლიბერალური თვალსაზრისითაც კი, ვინაიდან სათათბიროში კანონის გატარება დამოკიდებულია ბენიგსენის ტიპის «ოქტიაბრისტ-ეროებელებზე», იმ ბენიგსენისა, რომელმაც თავისი ზრახვები უკვე გამოამჟღავნა კომისიაში.

* * *

რუსეთის მარქსისტული მოძრაობის ძველი მონაწილეები კარგად იცნობენ ტროცკის ფიგურას, და მათთვის არა ღირს ლაპარაკი მის შესახებ. მაგრამ ახალგაზრდა მუშათა თაობა მას არ იცნობს, და ლაპარაკი საჭიროა, ვინაიდან ესაა ტიპიური ფიგურა ყველა იმ ხუთი საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფისათვის, რომლებიც ფაქტიურად ასევე მერყეობენ ლიკვიდატორებსა და პარტიას შორის.

ძველი «ისკრის» დროს (1901 — 1903) ასეთ მერყევთ, რომელნიც «ეკონომისტებიდან» «ისკრელებისაკენ» გადარბოდნენ და პირიქით, მეტსახელად «ტუშინოელ გადამრბენებს» უწოდებდნენ (არეულობის ხანაში ასე ეძახდნენ რუსეთში მეომრებს, რომლებიც ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბოდნენ).

როცა ლიკვიდატორობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ აღვნიშნავთ განსაზღვრულ იდეურ მიმდინარეობას, რომელიც წლობით იზრდებოდა, «მენშევიზმსა» და «ეკონომიზმთან» იყო

თავისი ფესვებით დაკავშირებული მარქსიზმის 20-წლიან ისტორიაში, დაკავშირებული იყო განსაზღვრული კლასის, ლიბერალური ბურჟუაზიის, პოლიტიკასა და იდეოლოგიასთან.

«ტუშინოელი გადამრბენნი» თავიანთ თავს ფრაქციებზე მაღლა მდგომად აცხადებენ იმ ერთადერთი მოსაზრებით, რომ დღეს ერთი ფრაქციის, ხვალ კი მეორე ფრაქციის იდეებს «სესხულობენ». ტროცკი თავგამოდებული «ისკრელი» იყო 1901 — 1903 წლებში, და რიაზანოვმა მისი როლი 1903 წლის ყრილობაზე დაახასიათა როგორც «ლენინის კეტის» როლი. 1903 წლის დასასრულს ტროცკი თავგამოდებული მენშევიკია, ე. ი. ისკრელებიდან «ეკონომისტებისაკენ» გადაირბინა; იგი აცხადებს, «ძველ და ახალ «ისკრას» შორის უფსკრული ძევსო». 1904 — 1905 წელს იგი შორდება მენშევიკებს და მერყევ მდგომარეობას იკავებს, ხან მარტინოვთან («ეკონომისტთან») თანამშრომლობს, ხან უაზროემარცხენე «პერმანენტულ რევოლუციას» ქადაგებს. 1906 — 1907 წელს ის ბოლშევიკებს უახლოვდება და 1907 წლის გაზაფხულზე აცხადებს, რომ ესოლიდარება როზა ლუქსემბურგს.

დაშლის ეპოქაში, ხანგრძლივი «არაფრაქციული» რყევის შემდეგ, იგი კვლავ მარჯვნივ მიდის და 1912 წლის აგვისტოში ბლოკს ჰკრავს ლიკვიდატორებთან. ახლა ისევ შორდება მათ, მაგრამ ა რ ს ე ბ ი თ ა დ მათსავე უბადრუკ იდეებს იმეორებს.

ასეთი ტიპები დამახასიათებელი არიან, როგორც იმ გუშინდელ ისტორიულ წარმონაქმნთა და ფორმაციათა ნამსხვრევები, როცა მუშათა მასობრივ მოძრაობას რუსეთში ჯერ კიდევ ეძინა და ყოველ პატარა ჯგუფს «თავისუფლად» შეეძლო თავისი თავი წარმოედგინა მიმდინარეობად, ჯგუფად, ფრაქციად, — ერთი სიტყვით, «სახელმწიფოდ», რომელიც სხვებთან გაერთიანებაზე მსჯელობს.

საჭიროა, რომ ახალგაზრდა მუშათა თაობამ კარგად იცოდეს, ვისთან აქვს საქმე, როცა წარმოუდგენელი პრეტენზიებით გამოდიან ადამიანები, რომლებსაც სრულიად არა სურთ ანგარიში გაუწიონ ა რ ც იმ პარტიულ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც 1908 წლიდან განსაზღვრეს და ჩამოაყალიბეს ლიკვიდატორობისადმი დამოკიდებულება, ა რ ც რუსეთის თანამედროვე მუშათა მოძრაობის გამოცდილებას, რომელმაც ნამდვილად შექმნა უმრავლესობის ე რ თ ი ა ნ ო ბ ა აღნიშნულ გადაწყვეტილებათა სრული აღიარების ნიადაგზე.

წიგნის რეცენზია

ი. დროზდოვი. «Заработная плата земледельческих рабочих в России в связи с аграрным движением 1905—1906 гг.». СПБ. (Изд. М. И. Семенова). 1914 г. Стр. 68. Ц. 50 к.

არ შეიძლება არ მივესალმოთ ბ-ნ დროზდოვის თაოსნობას, რომელსაც თავის ბროშურაში მეტისმეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი დაუყენებია. ავტორს აუღია მონაცემები დღიური (ფულადი და პურით გამოხატული) ხელფასისა და ჭვავის მოსავლიანობის შესახებ მფლობელთა მინდვრებში 1902—1904 წლების განმავლობაში, შემდეგ კი — 1905 — 1910 წლების ყოველწლიური მონაცემები და ეს მონაცემები ევროპის რუსეთის რაიონთა მიხედვით შეუდარებია.

ავტორის აზრით, შრომის ხელფასი 1905 წელს ყველაზე მეტად სამხრეთ-დასავლეთ რაიონში აწეულა (10%-ით გადიდება 1902—1904 წლებთან შედარებით). საშუალოდ რუსეთში ეს გადიდება 1905 წელს 1,2%-ით მომხდარა, 1906 წელს კი — 12,5%-ით. ავტორს აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ხელფასს ყველაზე უფრო იმ რაიონებში მოუმატნია, სადაც ყველაზე მეტად არის განვითარებული სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმი და ყველაზე უფრო გავრცელებულია ბრძოლის საგაფიცვო ფორმა (ეგრეთწოდებული «განადგურება-გაჩეხვითი» ფორმისაგან განსხვავებით). კარგად რომ განვსაჯოთ, ასეთი დასკვნისათვის ეს მონაცემები ჯერ კიდევ არ კმარა. მაგალითად, 1905 წელს ხელფასის გადიდების მხრივ მეორე ადგილი რაიონებს შორის ურალის რაიონს უჭირავს (გადიდება 9,68%-ით წინააღმდეგ 10,35%-ისა

სამხრეთ-დასავლეთ რაიონში). თუ ავიღებთ საშუალო ხელ-ფასს მ თ ე ლ ი რევოლუციისშემდგომი პერიოდის, ე. ი. 1905 — 1910 წლების, განმავლობაში, გამოდის 110,3% (1902 — 1904 წლებთან შედარებით) სამხრეთ-დასავლეთ რაიონში და 121,7% — ურალის რაიონში. ავტორი, ასე ვთქვათ, «აცილებას» გვიდგენს ურალის რაიონის მიმართ, ამასთან ჩემს «კაპიტალიზმის განვითარებას» იმოწმებს. მაგრამ ურალის რაიონისათვის აცილება იქ მე მუშების მასობრივი გ ა დ ა-ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ს შესწავლისას მომყავდა, და არა ხელ-ფასის სიდიდის მხრივ საერთოდ *, ასე რომ ავტორის მითი-თება სწორი არ არის. ასევე საეჭვოა დამაკმაყოფილებელი იყოს მითითება ურალის მხარეში მფლობელთა ნათესების უმნიშვნელო პროცენტზე **. საჭირო იყო, ავტორს უფრო დეტალური, გუბერნიების მიხედვით შედგენილი მონაცემები აეღო და ხელფასის გადიდება შეეპირისპირებინა მონაცე-მებისათვის აგრარული მოძრაობის შედარებითი ს ი მ ძ ლ ა ვ-რ ი ს შესახებ საერთოდ, მისი როგორც საგაფიცვო, ისე «განადგურება-გაჩეხვითი» ფორმით და სხვ.

საერთოდ და მთლიანად რუსეთში სასოფლო-სამეურნეო მუშების ფულადმა ხელფასმა ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო 1905-დან 1906 წლამდე იმატა: თუ 100-ად 1902 — 1904 წლების ხელ-ფასს მივიჩნევთ, 101,2% გვექნება 1905 წელს და 112,5% — 1906 წელს. შემდგომი ოთხი წლისათვის შე-სატყვისი ციფრებია 114,2%, 113,1%, 118,4% და 119,6%. ცხადია, რომ რევოლუციის შედეგად ფულადი ხელფასის ს ა ე რ თ ო გადიდებისას ჩვენ ვხედავთ 1905 — 1906 წლების ბრძოლის პირდაპირს და უპირატეს გავლენას.

უფრო დაწვრილებითს ცნობებს მკითხველი ბ-ნ დროზ-დოვის შინაარსიან ბროშურაში იპოვის; აქ კი აღვნიშნავთ, რომ სულ ტყუილად უწოდებს ის «აშკარად განუხორციელე-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 3, გვ. 695 — 696. რ ე დ.

** ჩრდილოეთის რაიონს ავტორი ამ მხრივ ურალს უთანაბრებს. მაგ-რამ ჩრდილოეთის რაიონში ხელფასმა 1905 წელს 6%-ით დაიწია, 1906 წელს კი მხოლოდ 8%-ით აიწია.

ბელს» გლეხთა იმ მოთხოვნებს, რაც არსებითად «მემამულეთა გამოძევებას» უდრიდა (გვ. 30). ასევე უსაფუძვლო და მოუფიქრებელია განცხადება, თითქოს განადგურება-გაჩეხვის რაიონში «ბრძოლა წარმოებდა გათანაბრებითი მიწათსარგებლობისა და საზოგადოდ სხვა ამგვარივე, წვრილბურჟუაზიული, უტოპიური მოთხოვნებისათვის» (38). ჯერ-ერთი, გლეხები მარტო მიწათსარგებლობისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ მიწათმფლობელობისთვისაც («გამოძევება»); მეორეც, ისინი გათანაბრებისათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ მათ ხელში მემამულეთა მიწების გადასვლისათვის — ეს სულ სხვადასხვა რამეა; მესამეც, უტოპიური იყო და დარჩა ნაროდნიკების სუბიექტური ი მ ე დ ე ბ ი (და «თ ე ო რ ი ე ბ ი») «გათანაბრების», «სოციალიზაციის», «სავაჭრო ბრუნვიდან მიწის ამოკვეთის» შესახებ და სხვა ამგვარი სისულელე, მაგრამ წვრილბურჟუაზიული მასის მიერ მებატონეთა «გამოძევებაში» არაფერი «უტოპიური» არა არის რა. ავტორი ერთმანეთში ურევს მიწისათვის გლეხთა ბრძოლის ობიექტურ-ისტორიულ მნიშვნელობას, ბრძოლისა, რომელიც პროგრესულ-ბურჟუაზიული და რადიკალურ-ბურჟუაზიული იყო, და ნაროდნიკების სუბიექტურ თეორიებსა და იმედებს, რაც უტოპიური და რეაქციული იყო და ასეთადვე დარჩა. ასეთი აღრევა დიდად შემცდარია, არადიალექტიკური, არაისტორიულია.

ავტორის ზოგადი დასკვნა, 1891 — 1900 და 1901 — 1910 წლების საშუალოს შედარებისას, ის არის, რომ დღიური ფ უ ლ ა დ ი ხელფასი რუსეთში 25,5%-ით გადიდებულ», ხოლო რ ე ა ლ უ რ ი, პურით გამოხატული, ხელფასი — ს უ ლ 3,9%-ით, ე. ი., შეიძლება ითქვას, თითქმის არ გამოცვლილა. აღვნიშნავთ, რომ ხსენებულ ათწლეულთა განმავლობაში ფულადი ხელფასის დონის აწევის მხრივ რაიონები შემდეგნაირად განრიგდებიან: ლიტვისა + 39%, ვოლგის მხარისა + 33%, ურალისა + 30%, მალოროსიისა + 28%, ცენტრალური სამიწათმოქმედო + 26% და ა. შ.

დასასრულ ავტორი ერთმანეთს ადარებს ორი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში (1891 — 1900 და 1901 — 1910 წლები) სოფლის მუშების ხელფასის ზრდასა და მიწის რენტის ზრდას. გამოდის, რომ რუსეთში საშუალო დღიური ხელფასი 52,2 კაპიკიდან 66,3 კაპიკამდე, ე. ი. 27%-ით გადიდებულა. ხოლო მიწის ფასს — ცნობილია, რომ მიწის ფასი არის კაპიტალიზებული რენტა, — 69,1 მანეთიდან 1 დესეტინაში 132,4 მანეთამდე, ე ს ე ი გ ი 91%-ით მოუმატნია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შრომის ხელფასი ერთი მეოთხედით გადიდებულა, ხოლო მიწის რენტა თ ი თ ქ მ ი ს ე რ თ ი ო რ ა დ გ ა ზ რ დ ი ლ ა!!

«ეს გარემოება კი — მართებულად დაასკვნის ავტორი — მხოლოდ ერთ რასმე ნიშნავს, სახელდობრ: რუსეთში სამიწათმოქმედო მუშების შედარებითი საარსებო დონის დაბლა დაწევას და ამავე დროს მიწათმფლობელთა კლასის ასეთივე დონის შედარებითს აწევას... სოციალური მანძილი მემამულეთა კლასსა და დაქირავებულ მუშათა კლასს შორის სულ უფრო და უფრო მატულობს».

«პროსვეშჩენიე» № 5, 1914 წ. მაისი
ხელმოწერა: ვ. ი.

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

მდგომარეობა ნათელია

შეგნებული მუშების საყურადღებოდ

«პუტ პრავდის» № 63-ში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია უკანასკნელად შეეცადა გამოერკვია, აპირებს თუ არა 6 დეპუტატი (ჩხეიძის ფრაქცია) ახლა — მას შემდეგ რაც შეგნებული მუშების უდიდესმა უმრავლესობამ დაგმო მათი კავშირი ლიკვიდატორებთან — ნაბიჯი გადადგას რსდმ ფრაქციასთან შეთანხმებისაკენ [97].

რუსეთის ს.-დ. მუშათა ფრაქციამ კითხვა დაუსვა «ს.-დ. ფრაქციას», აპირებს თუ არა ის ახლა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ი ს გ ა რ ე შ ე სცნოს მარქსისტული მთელის გადაწყვეტილებანი 1903 წლისა (პროგრამა) [98] და 1908 — 1910 წწ. (ლიკვიდატორობის დაგმობა). გასაგებია, თუ რატომ სწორედ ეს საკითხი დააყენა პირველ რიგში რსდმ ფრაქციამ: 1903, 1908 და 1910 წლების გადაწყვეტილებანი **ჯერ კიდევ** ლიკვიდატორებთან მარქსისტების **ყოველგვარ გათიშვამდეა** მიღებული; ეს გადაწყვეტილებანი ყველა მარქსისტთა დროშას წარმოადგენენ; თუ კი შესაძლებელია რაიმე შეთანხმება რსდმ ფრაქციისა «ს.-დ. ფრაქციასთან», ეს, რასაკვირველია, მხოლოდ ამ, გათიშვამდე მიღებულ, გადაწყვეტილებათა უეჭველი აღიარების ნიადაგზე.

«ნაშა რაბოჩაია გაზეტას» № 2-ში ჩხეიძის ფრაქცია გამოვიდა «საჯარო პასუხით», რომელმაც საბოლოოდ ნათელყო მდგომარეობა და რომელიც ამიტომ ღირსია უაღრესად

სერიოზული ყურადღებისა ყველა იმ მუშის მხრივ, ვინც კი სერიოზულად ესწრაფის უთანხმოებაში გარკვევას და ნამდვილი ერთიანობის მოსურნეა.

1. პროგრამა და ნაციონალური საკითხი

მარქსისტულ კონგრესზე, რომელმაც პროგრამა გამოიმუშავა (1903 წ.), ბუნდისტები (ებრაელი ლიკვიდატორები) წინადადებით გამოვიდნენ — შეტანილი ყოფილიყო პროგრამაში მოთხოვნა იმ «დაწესებულებათა შექმნისა, რომლებიც უზრუნველყოფენ მათთვის კულტურული განვითარების სრულ თავისუფლებას». ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ახლანდელმა ლიკვიდატორებმა მარტინოვმა, მარტოვმა, კოლცოვმა. ისინი სავსებით სწორად ამტკიცებდნენ, რომ ეს მოთხოვნა პირდაპირ ეწინააღმდეგება სოციალ-დემოკრატიის საერთაშორისო პრინციპებს. ყველას ხმით ბუნდისტების წინააღმდეგ ყრილობამ უარყო ეს მოთხოვნა (იხ. ოქმები).

მარქსისტები ამტკიცებენ, რომ «დაწესებულებათა შექმნა» სწორედ ის «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიაა», რასაც სოციალ-დემოკრატია უარყოფს.

«საჯარო პასუხში» ექვსი დეპუტატი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ისინი ამბობენ: «დაწესებულებათა შექმნა» ჩვენ გამოვაცხადეთ, მაგრამ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია როდი გამოგვიცხადებიაო.

— კარგი, ვუპასუხებთ ჩვენ მათ. დავუშვათ ერთი წუთით, რომ ეს მართლაც ერთი და იგივე არ არის. მაგრამ ყრილობამ ხომ «დაწესებულებათა შექმნაც» უარყო. თქვენ ეს ჩინებულად იცით. თქვენ იცით, რომ თქვენ გადაუხვიეთ პროგრამას ნაციონალისტების საამებლად. ბუნდისტები, რომელთა წინადადებაც ყრილობამ უკუაგდო, პროგრამის სწორედ ამ დარღვევისათვის მოგესალმნენ თქვენ.

IV სათათბიროს დასაწყისს ს.-დ. ფრაქციის დეკლარაციის შემდეგ ისინი წერდნენ:

— «შეიძლება აღინიშნოს, რომ ს.-დ-ების (ე. ი. ლიკვიდატორების) ფორმულა არასაკმაოდ ნათელი იყოო. სავსებით სწორია. მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ მუშათა დეპუტატებმა (ე. ი. ჩხეიძის მომხრეებმა) მიატოვეს გაქვავებული თვალსაზრისი, რომელზეც ოფიციალური თეორია დგას ნაციონალურ საკითხში» («ცაიტი» № 9, მოწინავე, სვეტი 3).

«ოფიციალური თეორია» — ეს ხომ პროგრამაა. ჩხეიძესა და მის მეგობრებს ბუნდისტები პროგრამის დარღვევისათვის აქებენ. რსდმ ფრაქცია შეეკითხა: თანახმაა თუ არა «ს.-დ. ფრაქცია» ხელი აიღოს პროგრამის ამ დარღვევაზე.

პასუხი ნათელი იქნა მიღებული: «ეს ფორმულა (ე. ი. «დაწესებულებათა შექმნა») სრულიად არ შეიცავს არაფერს ისეთს, რაზედაც ს.-დ. ფრაქციას უარი უნდა ეთქვა» (იხ. «საჯარო პასუხი»).

პროგრამის დარღვევაზე უარისთქმა არა გვსურსო — ასეთია «ს.-დ. ფრაქციის» პასუხი.

2. 1908 წლის გადაწყვეტილება

რსდმ ფრაქცია შემდეგ შეეკითხა «ს.-დ. ფრაქციას», თანახმაა თუ არა ის — სცნოს მარქსისტების 1908 წლის გადაწყვეტილება, ამას წინათ შემარიგებელ-ლატვიელთა მიერაც დადასტურებული.

ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

«ლიკვიდატორობა — ესაა პარტიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცდა — მოახდინოს პარტიის არსებული ორგანიზაციის ლიკვიდაცია» (ე. ი. დაშალოს, დაანგრიოს, გააუქმოს, შეწყვიტოს იგი) «და შეცვალოს იგი უსახური გაერთიანებით რადაც უნდა დაჯდეს ლეგალობის» (ე. ი. კანონიერების, «აშკარა» არსებობის) «ფარგლებში, თუნდაც ამ უკანასკნელის მისაღწევად საჭირო გახდეს პარტიის პროგრამასა, ტაქტიკასა და ტრადიციებზე» (ე. ი. წინანდელ გამოცდილებაზე) «აშკარად ხელის აღება».

და ეს გადაწყვეტილება აღიარებს, რომ «აუცილებლად საჭიროა უაღრესად გადამწყვეტი იდეური და ორგანიზაციული ბრძოლა ლიკვიდატორულ ცდებთან» (იხ. ანგარიში, გვ. 38) [99].

ეს გადაწყვეტილება მიღებულია მარქსისტული მთელის მიერ, ყველა ფრაქციის, მათ შორის ლიკვიდატორების (დანი, აქსელროდი და სხვ.), ბუნდისტებისა და სხვ. წარმომადგენელთა თანადასწრებით. იგი მიღებულია 1908 წლის დეკემბერში, ყოველგვარ გ ა თ ი შ ვ ა მ დ ე.

რსდმ ფრაქცია შეეკითხა ჩხეიძის ფრაქციას, სცნობს თუ არა ის 1908 წლის ა მ გადაწყვეტილებას, რომელიც ლიკვიდატორობას გმობს.

მერე რა უპასუხა ჩხეიძის ფრაქციამ?

არც ერთი სიტყვა!! კრინტიც არ დაუძრავს! მან გვერდი აუარა 1908 წლის ამ გადაწყვეტილებას, თითქოს იგი სულაც არ არსებობდეს. ეს დაუჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია. და ეს დუმილი ყოველგვარ სიტყვაზე უფრო მჭევრმეტყველია. იგი გვიჩვენებს გადაწყვეტილებებისადმი წარმოუდგენლად მ ო უ რ ი დ ე ბ ე ლ დამოკიდებულებას. ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მე არ მომწონს, პირდაპირ არ არსებობს ჩემთვის — ასეთია მოლიკვიდატორე დეპუტატების მორალი.

ასევე მოიქცნენ ეს დეპუტატები ფრაქციაში დეპუტატ იაგელოს მიღების საკითხშიც. მათ მიუთითებენ, რომ 1908 წლის გადაწყვეტილებამ უარყო იაგელოს ა რ ა ს.-დ. პარტიასთან «ერთიანობა». ისინი კი უპასუხებენ: 1907 წელს, ე. ი. ამ გადაწყვეტილებამდე ერთი წლით ადრე, მეორე საათბიროს ფრაქციამ თავის წრეში მიიღო უდავო სოც.-დემოკრატები — ლიტველებიო. ეს აშკარა აბუჩად აგდებაა გადაწყვეტილებებისა.

3. 1910 წლის გადაწყვეტილება

ამ გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

«ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ეპოქაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიული ვითარება გარდუვალად წარმოშობს, რ ო გ ო რ ც პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ზ ე ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ვ ლ ე ნ ი ს გ ა მ ო-

ნატულებას, ერთი მხრივ, არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის უარყოფას, მისი როლისა და მნიშვნელობის დამცირებას, თანამიმდევარი სოციალ-დემოკრატიის პროგრამული და ტაქტიკური ამოცანებისა და ლოზუნგების შეკვეცის ცდებს და სხვ.; მეორე მხრივ კი — სათათბიროში სოციალ-დემოკრატიის მუშაობისა და ლეგალურ შესაძლებლობათა გამოყენების უარყოფას, ერთისა და მეორის მნიშვნელობის არგაგებას, უუნარობას — შეუფარდონ თანამიმდევრული სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკა თანამედროვე მომენტის თავისებურ ისტორიულ პირობებს და სხვ.

სოციალ-დემოკრატიული ტაქტიკის განუყოფელ ელემენტს ამ პირობებში წარმოადგენს ორივე გადახრის დაძლევა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ყველა დარგში ს.-დ. მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავების გზით და ამ გადახრათა საშიშროების განმარტება».

ეს გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად, ყოველგვარ გათიშვამდე, ყველა ფრაქციის წარმომადგენელთა თანადასწრებით. იგი გმობს ლიკვიდატორობასა და ოტზოვიზმს.

რსდმ ფრაქცია ეკითხება «ს.-დ. ფრაქციას»: სცნობთ თუ არა ამ გადაწყვეტილებას? უკანასკნელი უპასუხებს: «1910 წ. გადაწყვეტილებებში სიტყვა ლიკვიდატორობაც კი» ხომ «არ არისო».

«სიტყვა» არაა! მაშ ვინღა ჰყავდა მხედველობაში შარქსისტულ მთელს, როდესაც გმობდა «არალეგალური ს.-დ. პარტიის უარყოფას, მისი როლისა და მნიშვნელობის დამცირებას»?? ვინ, თუ არ ლიკვიდატორები.

ბოლოს, ჩვენ გვაქვს უაღრესად ზუსტი, ამ სამი წლის წინათ გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელიც არავის არ გაუბათილებია, დოკუმენტი, რომელიც ყველა «ნაციონალური» (ლატვიელი, ბუნდისტი, პოლონელი) მარქსისტებისა და ტროცკისაგან მომდინარეობს (ამაზე უკეთეს მოწმეებს ლიკვიდატორები ვერც კი წარმოიდგენენ); ეს დოკუმენტი პირდაპირ აცხადებს, რომ «არსებითად სასურველი იქნებოდა — ლიკვიდატორობა გვეწოდებინა რეზოლუციაში აღნიშნული მიმდინარეობისათვის, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია»...

როგორღა ბედავენ დეპუტატები ასე არა... ლამაზად შეიყვანონ მუშები... აშკარა შეცდომაში?

«ს.-დ. ფრაქციას» არა სურს სცნოს 1910 წლის გადაწყვეტილებანი! ამის მაგივრად იგი აცხადებს თავის «სრულ სოლიდარობას» ლიკვიდატორულ «ნაშა რაბოჩაია გაზეტასთან».

მარქსისტული მთელის 1903, 1908, 1910 წლების გადაწყვეტილებანი მოლიკვიდატორე დეპუტატებისათვის არ არსებობს. მათთვის არსებობს მხოლოდ ლიკვიდატორული გაზეთის «გადაწყვეტილებანი».

4. «მიმდინარეობანი»

«ს.-დ. ფრაქცია» უარყოფს პირდაპირს გადაწყვეტილებებს, უგულებელყოფს მუშების ნება-სურვილს, ამავე დროს კი ვრცლად მასლაათობს «მარქსიზმის» ყველა «მიმდინარეობის» სარგებლობაზე.

მთელ მსოფლიოში მარქსისტები მ უ შ ა თ ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ბ ს ეყრდნობიან, ჩვენში კი სურთ დაეყრდნონ ოდნავ შესამჩნევ «მიმდინარეობებს». გერმანიაში, და მთელ მსოფლიოშიც, ს.-დ-ები აერთიანებენ მ უ შ ე ბ ს, მათს უჯრედებს, ორგანიზაციებს, ჯგუფებს. ჩვენში რაღაც «მიმდინარეობანი» სურთ გააერთიანონ.

«ყველა მიმდინარეობა მარქსისტებს შორის»! დღეს ხომ მარტო ლიკვიდატორებს შორის მინიმუმ ორი «მიმდინარეობაა»: «ბორბა» და «ნაშა რაბ. გაზეტა», რომლებიც დავობენ იმაზე, თუ ვინ უკეთ იცავს «აგვისტოს აღთქმებს».

მასებს მოწყვეტილი 10 «მიმდინარეობის» გაერთიანება უიმედო საქმეა. გაერთიანება ყ ვ ე ლ ა მ უ შ ი ს ა, რომლებსაც მარქსისტული მთელის შენება სურთ, — დიადი საქმეა, რაც ჩვენს თვალწინ ხდება რსდმ ფრაქციის მხურვალე მხარისდაჭერით.

* * *

მდგომარეობა ნათელია. მუშების უდიდესი უმრავლესობა (იხ. ცნობები სადაზღვევო არჩევნებზე, ფულის ჯგუფობრივ

შეგროვებაზე, სათათბიროს ორივე ფრაქციასთან მუშათა ჯგუფების ურთიერთობაზე) მარქსისტებს, რსდმ ფრაქციას მიემხრო ლიკვიდატორთა წინააღმდეგ. აგვისტოს ბლოკი დაიშალა: წავიდნენ ლატვიელი ს.-დ -ები, წავიდა ბურიანოვი, მიდიან ანისა და «ბორბას» მომხრეები. ჩხეიძის გარშემო შეჯგუფებული 6 დეპუტატი მიეკედლა აგვისტოს ბლოკის ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ც უ დ ე ს, ყველაზე ლიკვიდატორულ ნამსხვრევს.

მუშებმა თავიანთი დასკვნები უნდა გამოიტანონ.

«ტრუდოვაია პრავდა» № 7,
1914 წ. 5 ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ავანტიურიზმის შესახებ

როდესაც მარქსისტები განსაზღვრული პაწაწა ჯგუფების ავანტიურისტულობაზე ლაპარაკობენ, მაშინ მათ მხედველობაში აქვთ სავსებით გარკვეული საზოგადოებრივ-ისტორიული თავისებურებანი ისეთი მოვლენისა, რომელსაც ყოველი შეგნებული მუშა უნდა იცნობდეს.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორია ერთიანად სავსეა პაწაწა ჯგუფებით, რომლებიც აღმოცენდებოდნენ ხოლმე «ერთი საათით», რამდენიმე თვით, რადგან არ ჰქონდათ არავითარი ფესვები მასებში (ხოლო პოლიტიკა უმასებოდ — ავანტიურისტული პოლიტიკაა), არ ჰქონდათ არავითარი სერიოზული და მტკიცე იდეები. წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, ბურჟუაზიულ გარდაქმნათა ისტორიულ პერიოდში გარდუვალია მუშებისადმი სხვადასხვა ჯურის ინტელიგენციის შემოერთება, გარდუვალია მის მიერ ყოველგვარ პაწაწა ჯგუფთა — სიტყვის აღნიშნული აზრით ავანტიურისტულ ჯგუფთა — დაარსების ცდები.

იმ მუშებმა, რომლებსაც არა სურთ მოტყუების ანკესზე წამოეგონ, სასტიკად უნდა შეამოწმონ ხოლმე ყოველი პაწაწა ჯგუფი მისი იდეების სერიოზულობის თვალსაზრისითაც და მასებში ფესვგადგმულობის თვალსაზრისითაც. სიტყვის არდაჯერება, უსასტიკესად შემოწმება — აი მარქსისტი მუშების ლოზუნგი.

გავიხსენოთ «ისკრელობისა» და «ეკონომიზმის» ბრძოლა, 1895 — 1902 წლები. ეს იყო ს.-დ. აზროვნების ორი მიმდი-

ნარეობა, ერთი — პროლეტარული და მარქსისტული, შემოწმებული «ისკრის» სამწლიანი კამპანიით, შემოწმებული ყველა მოწინავე მუშის მიერ, რომლებმაც თავისად აღიარეს ზუსტი, ნათელი, გაფორმებული გადაწყვეტილებანი «ისკრული» ტაქტიკისა და ორგანიზაციის შესახებ. «ეკონომიზმი» იყო მიმდინარეობა ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი, ოპორტუნისტული, ლიბერალებისადმი მუშების დამმორჩილებელი.

ამ ორი სერიოზული მიმდინარეობის გარდა, არსებობდა მრავალი უნიადაგო პაწაწა ჯგუფიც («სვობოდა», «ბორბა», ბერლინური ფურცლების ჯგუფი და სხვ.), რომლებიც დიდი ხანია დავიწყებული არიან. ამ ჯგუფებში ცოტა როდი იყო პატიოსანი და კეთილსინდისიერი ს.-დ., მაგრამ ისინი ავანტიურისტულნი ა ღ მ ო ჩ ნ დ ნ ე ნ იმ აზრით, რომ არც მტკიცე, სერიოზული იდეები, პროგრამა, ტაქტიკა, ორგანიზაცია, არც ფესვები მასებში მათ ა რ ჰ ქ ო ნ დ ა თ.

ასე, და მხოლოდ ასე, ისტორიის შესწავლით, განსაზღვრული ქადაგების იდეურ შინაარსში ჩაკვირვებით, ფაქტებით ფრაზების შემოწმებით, უნდა მიუდგნენ სერიოზული ადამიანები ახლანდელ მიმდინარეობათა და პაწაწა ჯგუფთა შეფასებას.

სიტყვას — მხოლოდ ბრიყვები უჯერებენ.

«პრავდიზმი» არის მიმდინარეობა, რომელმაც მოგვცა ზუსტი მარქსისტული პასუხები, რეზოლუციები (1908, 1910, 1912, 1913 — თებერვალი და ზაფხული) ტაქტიკისა და ორგანიზაციისა და პროგრამის ყველა საკითხზე. ამ გადაწყვეტილებათა თანამომდევნობა ძველი «ისკრის» დროიდან (1901 — 1903) სასტიკად არის დაცული, ლონდონის (1907) ყრილობაზე რომ არა ვთქვათ რა. ამ გადაწყვეტილებათა სისწორე შემოწმებულია ყველა მოწინავე მუშის 5 — 6-წლიანი (1908 — 1914) გამოცდილებით, იმ მუშებისა, რომლებმაც ეს გადაწყვეტილებანი თ ა ვ ი ა ნ თ გადაწყვეტილებებად აღიარეს. «პრავდიზმმა» საქმით გააერთიანა რუსეთის შეგნებული

მუშების 4/5 (ს.-დ. მუშების 5 300 ჯგუფი 6 700-დან 2 1/2 წლის განმავლობაში).

ლიკვიდატორობა არის მიმდინარეობა. მას თითქმის 20 წლის ისტორია აქვს, ვინაიდან იგი პირდაპირი გაგრძელებაა «ეკონომიზმისა» (1895 — 1902) და წარმონაშობია მეწშევიზმისა (1903 — 1908). ამ მიმდინარეობის ლიბერალურ-ბურჟუაზიული ფესვები და ლიბერალურ-ბურჟუაზიული შინაარსი აღიარებულია გადაწყვეტილებებით (1908 და 1910; ტყუილად კი არ ეშინიათ ლიკვიდატორებს მათი სრულად გამოქვეყნებისაც კი!!). ლიკვიდატორების ლიბერალური იდეები შერწყმული და მთლიანია: ძირს იატაკქვეშეთი, ძირს ვეშაპები, ღია პარტიისათვის, «საგაფიცვო აზარტის» წინააღმდეგ, ბრძოლის უმაღლესი ფორმების წინააღმდეგ და სხვ.. ლიკვიდატორებისადმი თანაგრძნობა ლიბერალურ-ბურჟუაზიულ «საზოგადოებაში» და კადეტებში და უპარტიო (აგრეთვე ახლოპარტიულ) ინტელიგენციაში დიდი ხნისაა და მტკიცეა. ლიკვიდატორობა სერიოზული, ოღონდ არა მარქსისტული, არა პროლეტარული, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმდინარეობაა. ლიკვიდატორებთან «ზავზე» ლაპარაკი მხოლოდ უთავო ადამიანებს შეუძლიათ.

ახლა აიღეთ ყველა დანარჩენი პაწაწა ჯგუფი, რომლებსაც აგრეთვე სურთ «მიმდინარეობანი» იყვნენ. ჩამოვთვალოთ ისინი: 1) ვპერიოდელები ალექსინსკითურთ; 2) იგივე ბოგდანოვითურთ; 3) იგივე ვოინოვითურთ; 4) პლეხანოველები; 5) «ბოლშევიკი-პარტიელები» (ნამდვილად შემარიგებელნი: მარკ ზომერი ჯალაბობით); 6) ტროცკისტები (ე. ი. ტროცკი, სემკოვსკის გარეშეც კი); 7) «კავკასიელები» (ე. ი. ანი — უკავკასიოდ).

ჩვენ ჩამოვთვალეთ ის პაწაწა ჯგუფები, რომელთა შესახებ პრესაში იყო ცნობები; რუსეთში და საზღვარგარეთ განცხადებულია, რომ მათ სურთ განსაკუთრებულ «მიმდინარეობებად» და ჯგუფებად ყოფნა. ჩვენ შეევ-

ცადეთ ჩამოგვეთვალა ყველა რუსული პაწაწა ჯგუფი, განზე დავტოვეთ რა არა-რუსული ჯგუფები.

ყველა ეს პაწაწა ჯგუფი, სრულიად გამოუკლებლივ, ერთიანი ავანტიურიზმია.

რატომ? სად არის დამამტკიცებელი საბუთი? — იკითხავს მკითხველი.

დამამტკიცებელი საბუთია უკანასკნელი, მოკლენებით ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღირსშესანიშნავი, ათწლეულის (1904 — 1914) ისტორია. ყველა დასახელებული პაწაწა ჯგუფის მოღვაწეებმა ამ 10 წლის განმავლობაში გამოიჩინეს ყოვლად უმწეო, ყოვლად უბადრუკი, ყოვლად სასაცილო მერყეობა ტაქტიკისა და ორგანიზაციის სერიოზულ საკითხებში, გამოიჩინეს ს რ უ ლ ი უ უ ნ ა რ ო ბ ა მასებში ფესვების მქონე მიმდინარეობათა შექმნისა.

აკიღოთ საუკეთესო ყველას შორის, პლეხანოვი. მისი პირადი დამსახურება წარსულში უდიდესია. 20 წლის, 1883 — 1903, განმავლობაში მან მოგვცა მრავალი ჩინებული თხზულება, განსაკუთრებით ოპორტუნისტების, მახისტების, ნაროდნიკების წინააღმდეგ.

მაგრამ 1903 წლიდან ტაქტიკისა და ორგანიზაციის საკითხებში პლეხანოვი ყოვლად სასაცილოდ მერყეობს: 1) 1903, აგვისტო — ბოლშევიკია; 2) 1903, ნოემბერი («ისკრის» № 52) — «ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ»-მენშევიკებთან ზავის მომხრე; 3) 1903, დეკემბერი — მენშევიკი, და თავგამოდებულიც; 4) 1905, გაზაფხული, ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ, — «ურთიერთმებრძოლი ძმების» «ერთიანობის» მომხრე; 5) 1905, დამლევიდან 1906 წლის ნახევრამდე — მენშევიკი; 6) 1906 ნახევარი — ხანდახან იწყებს მენშევიკებისაგან ჩამოშორებას და ლონდონში, 1907, კიცხავს მათ (როგორც ჩერევანინმა აღიარა) «ორგანიზაციული ანარქიზმისათვის»; 7) 1908 — კავშირის გაწყვეტა ლიკვიდატორებთან; 8) 1914 — ხელახალი შემობრუნება ლიკვიდატორებისაკენ. პლეხანოვი ქადაგებს მათთან «ერთია-

ნობას», მაგრამ ორ გარკვეულ სიტყვასაც ვერ ამბობს, თუ როგორიდაა ერთიანობის პ ი რ ო ბ ე ბ ი? რატომ გახდა ერთიანობა შესაძლებელი ბ ა ტ ო ნ პოტრესოვთან? სადაა ამა თუ იმ პირობათა შესრულების გარანტიები?

ასეთი ათწლეულის გამოცდილების შემდეგ ჩვენ თავდებობას ვკისრულობთ, რომ პლეხანოვს შეუძლია შხეფების მოცემა, მაგრამ «მიმდინარეობა» აქ არ არის და არც იქნება.

ჩვენ სავსებით გვესმის პრავდისტებისა, რომლებიც ხალისით ბეჭდავდნენ პლეხანოვის სტატიებს ლიკვიდატორების წინააღმდეგ: განა შეეძლოთ პრავდისტებს არ მიეღოთ სტატიები, სადაც სავსებით გატარებული იყო ლიკვიდატორების წინააღმდეგ 1908 და 1910 წლებში მიღებული გადაწყვეტილებანი? პლეხანოვი ახლა ლიკვიდატორების, ბოგდანოვისა და სხვების კვალდაკვალ შეუდგა «ყველა მიმდინარეობის» ერთიანობაზე ფრაზების გამეორებას. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ამ ხერხს, რომლის წინააღმდეგ საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა.

არსად მსოფლიოში მუშათა პარტიები არ აერთიანებენ ინტელიგენტურ პაწაწა ჯგუფებსა და «მიმდინარეობებს», არამედ აერთიანებენ მ უ შ ე ბ ს შემდეგი პირობით: 1) ტაქტიკისა და ორგანიზაციის საკითხებზე გარკვეულ მარქსისტულ გადაწყვეტილებათა აღიარება და განხორციელება; 2) შეგნებული მუშების უმცირესობის დამორჩილება მათი უმრავლესობისადმი.

ეს ერთიანობა, იატაკქვეშეთის მოწინააღმდეგეთა უეჭველი უარყოფის ნიადაგზე, პრავდისტების მიერ 2 ½ წლის (1912 — 1914) განმავლობაში ⁴/₅-ითაა განხორციელებული. რამდენიც არ უნდა ლანძღონ თავცარიელმა ადამიანებმა პრავდისტები, — ფრაქციონერები, გამთიშველები და სხვ. უწოდონ მათ, ამ ფრაზებისა და ლანძღვისაგან მუშების ერთიანობის ფაქტი როდი გაქრება...

პლეხანოვი ახლა უმრავლესობის ამ ერთიანობის დარღვევას იმუქრება. ჩვენ დამშვიდებით და მტკიცედ ვეუბნებით მუშებს: ნუ დაუჯერებთ სიტყვებს, შეამოწმეთ ისინი ფაქტებით, და თქვენ დაინახავთ, რომ თვითეული ნაბიჯი თვითეული ზემოდასახელებული ავანტიურისტული პაწაწა ჯგუფისა სულ უფრო თვალნათლივ გამოააშკარავებს მათს უმწეო და უბადრუკ მერყეობას.

«რაბოჩი» № 7, 1914 წ. 9 ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩის» ტექსტის მიხედვით

ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილებანი და ლიკვიდატორები

რომელ მუშათაგანს არ ახსოვს, რა ხმაური ატეხეს ლიკვიდატორებმა, როცა გაზეთის სპეციალურ ნომერში ჩვენ გავაცანით მკითხველებს ლატვიელ მარქსისტთა უკანასკნელი გადაწყვეტილებანი და მათ შესახებ ვთქვით: ლატვიელებმა ვალი მოიხადეს შემარიგებლობის წინაშე, მაგრამ ამასთან ერთად სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს აგვისტოს ლიკვიდატორულ ბლოკს *.

ლიკვიდატორებმა ყველაფერი იღონეს, რაც კი შეეძლოთ, რათა ეს დასკვნა სადავოდ გაეხადათ. მთელი გაქნილობა მარტოვისა, მთელი... ალალმართლობა დანისა, მთელი გონიერება და ბრწყინვალე ლიტერატურული ტალანტი სემკოვსკისა და იონოვისა, — ყველაფერი მობილიზებული იყო ამ მიზნისათვის. ლიკვიდატორებს სურდათ რადაც უნდა დასჯდომოდათ «დაემტკიცებინათ», რომ ლატვიელთა ყრილობას თითქოს სრულიადაც არ დაუგმია ლიკვიდატორობა, აგვისტოს ბლოკის წინააღმდეგ არაფერი უთქვამს და სხვ. და ა. შ.. ერთი სიტყვით: ეს მე არა ვარ, მე არაფერ შუაში ვარო.

მაგრამ აი სულ რაღაც 2—3 თვე გავიდა. ახლა თვით ლიკვიდატორთა ჟურნალში («ნაშა ზარია» № 4) ჩვენ ვხედავთ ყველაზე «ცნობილი» ლატვიელი ლიკვიდატორის ბ-ნ ფ. ვეისის სტატიას, რომელიც მ თ ლ ი ა ნ ა დ ა დ ა ს ტ უ რ ე ბ ს მოვლენათა სწორედ ჩვენს ფაქტიურ შეფასებას.

* იხ. ეს ტომი, გვ. 208 — 218. რ ე დ.

ბ-ნი ვეისი ჩვენი ყველაზე მკაცრი მოწინააღმდეგეა. იგი ყველაზე ცხარე «კრიტიკით» უმასპინძლდება რუს «ლენინელებს» და ლატვიელთა უმრავლესობას. მაგრამ მას შესწევს ვაჟკაცობა — აშკარად აღიაროს თავისი დამარცხება და გვპირდება განაგრძოს ბრძოლა თავისი ლიკვიდატორული შეხედულებებისათვის. ის არ ლაქუცობს, არ მელაკუდობს, მსგავსად სემკოვსკებისა ის არ ცდილობს თეთრი შავად აქციოს და პირუკუ. ასეთ მოწინააღმდეგეს შეიძლება სასტიკად ედავო, მაგრამ ის მაინც პატივისცემის ღირსია იმისათვის, რომ სემკოვსკებივით არ მიმართავს... ყოვლად უბადრუკ მეთოდებს.

ბ-ნი ვეისი წერს:

— «იქ (ყრილობაზე), თუმცა მხოლოდ ერთი ხმის, ზოგიერთი საკითხის გარშემო კი ორი ხმის უმრაველესობით, ჭარბობდა ის მიმდინარეობა ლატვიელ მარქსისტთა შორის, რომლებიც თანაუგრძნობენ... «ლენინელთა წრეს».

— ლატვიელ მარქსისტთა IV ყრილობა ნიშნავს ცდას — დაუბრუნდნენ ძველ... ბოლშევიკურ იდეოლოგიას.

— **რეზოლუცია ფრაქციის (სათათბიროს ფრაქციის) შესახებ მიღებულია ერთხმად. ყრილობის უმცირესობის მხრივ** იგი დიდ დათმობას წარმოადგენს (ე. ი. დათმობას «ლენინელებისადმი»).

— ლენინელთა წრეს შეუძლია ლატვიელთა ოფიციალური მხარდაჭერის იმედი იქონიოს» და ა. შ.

ავტორი შენიშვნას ურთავს, რომ «უმცირესობამ მოახერხა რამდენადმე გაეჭარწყლებინა ლენინელთა ზეიმი», ის «კურიოზულს» უწოდებს (სამართლიანადაც!) უმრავლესობის დათმობებს შემარიგებელთა მიმართ.

მაგრამ ის ნათლად და არაორაზროვნად აღიარებს ფაქტს: ყრილობა «ლიკვიდატორობასთან ბრძოლის» ნიადაგზე დადგა, ყრილობა უმთავრესში პრავდისტებს მიემხრო.

მეორდება ძველი ისტორია. ლიკვიდატორები 2 — 3 თვეს იხმაურებენ, შემდეგ კი თვითონვე იძულებული ხდებიან აღიარონ, რომ სწორედ ჩვენ გადმოვცემდით ფაქტებს სწორად.

თუ სადამდე მიდიან ზოგჯერ ლიკვიდატორები თავიანთ მისწრაფებაში — «განმარტონ» მათთვის არასასიამოვნო პარტიული გადაწყვეტილებანი, ეს ჩანს შემდეგიდან. როგორც ცნობილია, 1908 წლის დეკემბერში, მარქსისტების საერთო-რუსეთის თათბირმა უ ა რ ყ ო იაგელოს პარტიასთან (პ. პ. ს.) გაერთიანება. ეს მოხდა ყველაზე მკვეთრი სახით: მორიგ საქმეებზე გადასვლის სახით თვით იმ წინადადების განუხილველად, რომელიც ეხებოდა დეპუტატ იაგელოს არასოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანებას. ლატვიელებმა თავიანთ კონგრესზე 1914 წელს დაადასტურეს 1908 წლის ყველა გადაწყვეტილება და ამით თქვეს, რომ ისინი გმობენ არა სოციალ-დემოკრატ იაგელოს ს.-დ. ფრაქციაში მიღებას. განსაკუთრებით არასასიამოვნოა ეს გადაწყვეტილება ლიკვიდატორებისათვის.

მერე? ებრაელ ლიკვიდატორთა გაზეთ «ცაიტში» ამ გადაწყვეტილებას შემდეგნაირად «განმარტავენ»:

— «რას ნიშნავს მორიგ საქმეებზე გადასვლა? ეს ნიშნავს, რომ კრებას არა სურს კენჭი უყაროს წინადადებას, არა სურს არც მისი უარყოფა, არც მისი მიღება. მაშინ გადადიან სხვა საკითხზე. 1908 წლის კრებამ პირდაპირ ღიად დატოვა (!!) იაგელოს მიმართულებასთან გაერთიანების საკითხი» («ცაიტი» № 17).

განა პარტიულ გადაწყვეტილებათა ასეთი «განმარტება»... მოურიდებლობის მწვერვალი არ არის?

როდესაც ლიკვიდატორთა წინადადება იაგელოს მიმართულებასთან გაერთიანების შესახებ უარყოფილ იქნა, თ. დანი მაშინ 1908 წელს თავის ოფიციალურ დაბეჭდილ საანგარიშო მოხსენებაში წერდა:

— «პოლონელთა დელეგაციის (პოლონელი ს.-დ.) წინადადებით, კონფერენციამ არც კი ისურვა განეხილა ჩვენი რეზოლუცია, არამედ განზე გადასდო იგი და მორიგ საქმეებზე გადავიდა. ამ პატარა ფაქტში წრეობრივმა შეუწყნარებლობამ და აზრის წრეობრივმა ჩვევებმა, როგორც ჩანს, თავის უმაღლეს წერტილს მიაღწიეს» (თ. დანის საანგარიშო მოხსენება, გვ. 45).

თ. დანი სწორედ იმიტომ ილანძღებოდა, რომ იცოდა: მორიგ საქმეებზე გადასვლა არის ყველაზე მკვეთრი უარისთქმა იაგელოს არასოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანებაზე. ახლა კი სწორედ ამ მკვეთრ უარს «განგვიმარტავენ» იმ აზრით, რომ საკითხი «ღიადაა დატოვებული», და რომ თვითეულს უფლება აქვს თავისებურად გადაჭრას იგი! შეუძლებელია ამაზე უფრო შორს წასვლა მარქსისტულ გადაწყვეტილებათა აბუჩად აგდებაში.

რარიგაც არ ცდილობენ ლიკვიდატორები თავის არიდებას, ცხოვრებას მაინც თავისი გააქვს. ცხოვრება მარქსისტულ ხაზს ამართლებს. მოვლენები ლატვიის სოციალ-დემოკრატიაში ამას ისევე თვალსაჩინოდ ადასტურებენ, როგორც თვით მუშათა მოძრაობის მთელი მსვლელობა მთელ რუსეთში.

«რაბოჩი» № 7, 1914 წ. 9 ივნისი

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩის» ტექსტის მიხედვით

მუშათა კლასი და მუშათა პრესა

არ არის შეგნებული მუშებისათვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე თავისი მოძრაობის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს გ ა გ ე ბ ა და მისი ზ უ ს ტ ა დ შ ე ც ნ ო ბ ა. მუშათა მოძრაობის ძალის ერთადერთი, — მაგრამ სამაგიეროდ უძლეველი, — წყაროა მუშების შ ე გ ნ ე ბ უ ლ ო ბ ა და მათი ბრძოლის სიფართოვე, ე. ი. მასში დაქირავებულ მუშათა მ ა ს ი ს მონაწილეობა.

მარქსისტული პრესა ს.-პეტერბურგში უკვე წლობით არსებობს და იძლევა ერთადერთს, საუცხოო, უშადლო, ყველას და თვითეულის მიერ ადვილად შესამოწმებელ, მასალას მუშათა მოძრაობის სიფართოვისა და მასში სხვადასხვა მიმართულებათა ბატონობის შესახებ. ამ მასალისათვის გვერდის ავლა, როგორც ამას ლიბერალები და ლიკვიდატორები სჩადიან, მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, ვისაც ჭეშმარიტების დამალვა სურს.

სრული მონაცემები ს.-პეტერბურგში 1914 წ. 1 იანვრიდან 13 მაისამდე «პრავდისტული» (მარქსისტული) და ლიკვიდატორული გაზეთებისათვის ფულის შეგროვების შესახებ დამუშავებული აქვს ამხ. ვ. ა. ტ.-ს [100]. ჩვენ სრულად ვბეჭდავთ მის მიერ შედგენილ ცხრილს, ხოლო ზოგჯერ სტატიის ტექსტში, რათა მკითხველის ყურადღება ზედმეტად არ დავტვირთოთ ციფრებით, დაახლოებითს მონაცემებს მოვიყვანთ.

ი ი ამხ. ვ. ა. ტ.-ის ცხრილი.

ფულის შეგროვება მარქსისტული («პრავდისტული») და ლიკვიდატორული გაზეთებისათვის ს.-პეტერბურგში 1914 წლის 1 იანვრიდან 13 მაისამდე

ვისგან შემოდიოდა ფული	ს.-პეტერბურგი						მოსკოვი						პროვინცია						სულ					
	პრავდ.			ლიკვ.			პრავდ.			ლიკვ.			პრავდ.			ლიკვ.			პრავდ.			ლიკვ.		
	რამდენჯერ შეტანილი ფული	შეგროვებული თანხა		რამდენჯერ შეტანილი ფული	შეგროვებული თანხა		რამდენჯერ შეტანილი ფული	შეგროვებული თანხა		რამდენჯერ შეტანილი ფული	შეგროვებული თანხა		რამდენჯერ შეტანილი ფული	შეგროვებული თანხა		რამდენჯერ შეტანილი ფული	შეგროვებული თანხა		რამდენჯერ შეტანილი ფული	შეგროვებული თანხა		რამდენჯერ შეტანილი ფული	შეგროვებული თანხა	
		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.		მ.	კ.
მუშების ჯგუფები	2 024	13 943	24	308	2 231	98	130	865	—	25	263	52	719	4 125	86	338	2 800	62	2 873	18 934	10	671	5 296	12
სულ არა მეშვებისაგან	325	1 256	92	165	1 799	40	46	260	51	24	1 137	30	332	1 082	79	230	2 113	90	713	2 650	01	453	6 759	77
მათ შორის:																								
მოსწავლეთა და ახალგაზრდობის ჯგუფები ...	26	369	49	19	292	13	8	119	30	3	21	—	20	162	13	23	317	09	54	650	92	45	630	22
«ნიმბრეთა», «მეგობართა» და სხვ. ჯგუფები	8	164	—	14	429	25	6	42	10	5	692	—	28	252	72	35	1 129	35	42	458	82	54	2 450	60
დანარჩენი ჯგუფები	2	8	—	6	72	60	1	2	—	—	—	—	30	115	29	24	113	52	33	125	29	30	186	12
ცალკული პირები	281	650	96	120	966	72	29	63	61	14	197	80	221	332	05	132	443	80	531	1 046	62	266	1 608	32
არაა აღნიშნული, ვისგან	8	64	47	6	38	70	2	33	50	2	26	50	33	220	60	16	110	14	43	318	57	24	175	34
სახელარგარეთიდან	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	10	49	79	34	1 709	17
სულ	2 349	15 200	16	413	4 031	38	176	1 125	51	49	1 400	82	1 051	5 208	65	568	4 914	52	3 586	21 584	11	1 124	12 055	89

უწინარეს ყოვლისა შევჩერდეთ მონაცემებზე მუშათა ჯგუფების რიცხვის შესახებ. ეს მონაცემები მოიპოვება როგორც «პრავდისტული», ისე «ლიკვიდატორული» გაზეთების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში. მ უ შ ა თ ა ჯგუფების რიცხვი იყო:

	პრავდ. გაზ.	ლიკვიდ. გაზ.
მთელი 1912 წლის განმავლობაში	620	89
მთელი 1913 წლის განმავლობაში	2 181	661
1914 წ., 1 იანვრიდან 13 მაისამდე.....	2 873	671
სულ.....	5 674	1 421

ჯგუფების საერთო რიცხვია 7 095. რა თქმა უნდა, არის ჯგუფები, რომლებსაც ფული არაერთგზის შეუგროვებიათ, ჰაგრამ ასეთ ჯგუფთა რიცხვის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ჩვენ ვხედავთ, რომ ლიკვიდატორებს თანაუგრძნობს მუშათა ჯგუფების საერთო რიცხვის მ ხ ო ლ ო დ 1/5 (ერთი მეხუთედი). «პრავდიზმმა», პრავდისტულმა გადაწყვეტილებებმა, პრავდისტულმა ტაქტიკამ 2½ წლის განმავლობაში გ ა ა ე რ თ ი ა ნ ე ს რუსეთის შეგნებული მუშების 4/5. მუშების ერთიანობის ეს ფაქტი სასარგებლოა დავუპირისპიროთ ფრაზებს «ერთიანობის» შესახებ სხვადასხვა ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფების, «ვპერიოდელების», «პლეხანოველების», «ტროცკისტებისა» და სხვ. და სხვ. მხრივ.

შევადაროთ ერთმანეთს 1913 და 1914 წლის მონაცემები (1912 წ. მონაცემები შესადარისი არაა, ვინაიდან «პრავდა» აპრილში აღმოცენდა, ხოლო «ლუჩი» 5 თვით უფრო გვიან). ჩვენ დავინახავთ, რომ პრავდისტულ ჯგუფთა რიცხვი 692-ით, ე. ი. **31,7%-ით** გადიდებულა, ლიკვიდატორულ ჯგუფთა კი — 10-ით, ე. ი. **1,5%-ით**. მაშასადამე, მუშების მზადყოფნა პრავდისტული გაზეთებისათვის მხარისდაჭერისა 2 0-ჯ ე რ უ ფ რ ო ს წ რ ა ფ ა დ გაზრდილა, ვიდრე მათი მზადყოფნა ლიკვიდატორული გაზეთებისათვის მხარისდაჭერისა.

გადავხედოთ მთელ რუსეთში ორივე მიმართულების მუშების განაწილებას:

	მუშათა ჯგუფების პროცენტი	
	პრავდისტული ჯგუფები	ლიკვიდატორული ჯგუფები
ს.-პეტერბურგში	86 %	14 %
მოსკოვში	83 %	17 %
პროვინციაში.....	68 %	32 %

დასკვნა ნათელია: რაც უფრო განვითარებული არიან მუშათა მასები, რაც უფრო მაღალია მათი შეგნებულობა და პოლიტიკური აქტივობა, მ ი თ უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ი ა მუშებს შორის პრავდისტების სიჭარბე. პიტერში ლიკვიდატორები თითქმის სრულებით არიან გამოძევებულნი (100-დან 14); ძლივძლივობით განაგრძობენ ისინი ჯერ კიდევ ბოგინს პროვინციაში (100-დან 32), სადაც მასები ყველაზე ნაკლებად ერკვევიან პოლიტიკაში.

ფრიად საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მონაცემები სულ სხვა წყაროდან, სახელდობრ: სადაზღვევო დაწესებულებათა არჩევნებში მუშების რწმუნებულთა შემადგენლობის შესახებ, ზედმიწევნით უახლოვდება მონაცემებს მუშათა ჯგუფების შესახებ. დედაქალაქის საკრებულოს არჩევნების დროს 37 რწმუნებული პრავდისტი იყო და 7 ლიკვიდატორი, ე. ი. 84% და 16%. ყველა რწმუნებულთა შორის პრავდისტები 70%-ს შეადგენდნენ (37-ს 53-დან), ხოლო ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს სადაზღვევო დაწესებულების არჩევნებში — 47-ს 57-დან, ე. ი. 82%-ს. ლიკვიდატორები, უპარტიონი და ნაროდნიკები — უმნიშვნელო უმცირესობაა მუშებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ გავლენას განიცდიან.

შემდეგ. აი საინტერესო ცნობები მუშათა ჯგუფებისაგან შემოსული თანხების საშუალო სიდიდის შესახებ:

	საშუალოდ შემოსულია მუშათა ჯგუფებისაგან	
	პრავდისტული ჯგუფებისაგან	ლიკვიდატორული ჯგუფებისაგან
ს.-პეტერბურგში	6 მ. 88 კ.	7 მ. 24 კ.
მოსკოვში	6 » 65 »	10 » 54 »
პროვინციაში	5 » 74 »	8 » 28 »
რუსეთში	6 » 58 »	7 » 89 »

პრავდისტული ჯგუფები გვიჩვენებენ ბუნებრივ, გასაგებ, ასე ვთქვათ, ნორმალურ მოვლენას: მუშათა მასების საშუალო ხელფასის მატებისდა კვალად მატულობს მუშათა საშუალო ჯგუფის საშუალო შენატანი.

ლიკვიდატორებში კი, გარდა მოსკოვის ჯგუფთა (ასეთი ჯგუფია სულ 25!) განსაკუთრებული ნახტომისა, ვხედავთ პროვინციულ ჯგუფთა უ ფ რ ო დ ი დ შენატანს პიტერის ჯგუფებთან შედარებით!!! რით შეიძლება აიხსნას ეს უცნაური მოვლენა?

ამ კითხვაზე დანამდვილებითი პასუხის მოცემა შეუძლია ზონაცემების მხოლოდ უფრო დაწვრილებითს დამუშავებას, რაც დიდ შრომას მოითხოვს. სავარაუდო ჩვენი პასუხი ასეთია: ლიკვიდატორები აერთიანებენ საუკეთესო ხელფასის მქონე მუშების უმცირესობას მრეწველობის ზოგიერთი ფენიდან. მთელ მსოფლიოში შემჩნეული იყო, რომ ასეთი მუშები ყველაზე უფრო მტკიცედ ლიბერალურ და ოპორტუნისტულ იდეებს მისდევენ. ჩვენში, პიტერში, ლიკვიდატორები ყველაზე უფრო დიდხანს მბეჭდავებმა იგუეს, და მათი კავშირის მხოლოდ უკანასკნელ არჩევნებში, 1914 წ. 27 აპრილს, პრავდისტებმა ნახევარი მოიპოვეს გამგეობის წევრთა სიაში და უმრავლესობა — მათი კანდიდატების სიაში. მბეჭდავებს კი ყველა ქვეყანაში ყველაზე მეტი მიდრეკილება აქვთ ოპორტუნიზმისადმი, და ზოგიერთ მათს თანრიგს საუკეთესო ხელფასი აქვს.

თუ ჩვენი დასკვნა ლიკვიდატორებისადმი მუშათა არისტოკრატიის უმცირესობის თანაგრძნობის შესახებ მხოლოდ სავარაუდოა, სამაგიეროდ ცალკეულ პირთა მიმართ

საქმე არავითარ ეკვს არ იწვევს. არამუშათა შენატანიდან ნახევარზე მეტს შეადგენს ცალკეულ პირთა შენატანი (531 შენატანი 713-დან ჩვენთან, 266 შენატანი 453-დან ლიკვიდატორებთან). ასეთი შენატანის საშუალო ოდენობა ჩვენთან 1 მ. 97 კ. შეადგენს, ლიკვიდატორებთან — **6 მ. 05 კ.!!**

ცხადია, პირველ შემთხვევაში საქმე ეხება დაბალ მოსამსახურეებს, მოხელეებს და ნახევრად-პროლეტარული ხასიათის სხვა წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს. ლიკვიდატორებთან კი ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიის წრის მდიდარ მეგობრებს.

ეს მდიდარი მეგობრები ბურჟუაზიიდან კიდევ უფრო მკაფიოდ ჩნდებიან ჩვენს წინაშე «მომხრეთა, მეგობართა და სხვ. ჯგუფების» სახით. ამ ჯგუფებმა ჩვენ მოგვცეს 458 მ. 82 კ., ე. ი. მთელი შეგროვებული თანხის 2%, ამასთან ერთი ჯგუფის საშუალო შენაკრებია 10 მ. 92 კ., სულ $1^1/_2$-ჯერ მეტი მუშათა ჯგუფის საშუალო შენაკრებზე. ლიკვიდატორებს კი აღნიშნულმა ჯგუფებმა მისცეს 2 450 მ. 60 კ., ე. ი. მთელი შეგროვებული თანხის 20%-ზე მეტი, ხოლო ერთი ჯგუფის საშუალო შენაკრები = **45 მ. 39 კაპ.**, ე. ი. მუშათა ჯგუფის საშუალო შენაკრებზე ერთიექვსად მეტი!!

ვუმატებთ ამას საზღვარგარეთს, სადაც ფულის შეგროვების მთავარი წყაროა ბურჟუაზიული სტუდენტობა. საზღვარგარეთმა ჩვენ 49 მ. 79 კ. მოგვცა, ე. ი. $^1/_4$%-ზე ნაკლები; ლიკვიდატორებს — 1 709 მ. 17 კ., ე. ი. **14%**.

თუ ერთად მოვაქცევთ ცალკეულ პირთ, «მომხრეებს, მეგობრებს» და საზღვარგარეთს, მივიღებთ ამ წყაროებიდან მიღებული ფულის ჯამს:

პრავდისტებს — 1 555 მ. 23 კ., ე. ი. მთელი შეგროვებული თანხის **7%**.

ლიკვიდატორებს — 5 768 მ. 09 კ., ე. ი. მთელი შეგროვებული თანხის **48%**.

ჩვენ ეს წყარო $^1/_{10}$-ზე ნაკლებს გვაძლევს მუშათა ჯგუფებთან შედარებით (18 934 მ.). ლიკვიდატორებს — მეტს, ვიდრე მუშათა ჯგუფები (5 296 მ.)!!

დასკვნა ნათელია: ლიკვიდატორული გაზეთი არის ა რ ა მუშათა გაზეთი, არამედ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გაზეთი. იგი, უმთავრესად, ბ ურ ჟ უ ა ზ ი ის წ რ ის მ დ ი დ ა რ ი მ ე-გ ო ბ რ ე ბ ი ს ხარჯზე არსებობს.

ბურჟუაზიისაგან ლიკვიდატორების ნამდვილი დამოკიდებულება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ჩვენი მონაცემები გვიჩვენებენ. საქმე ისაა, რომ პრავდისტულ გაზეთებს მ რ ა-ვ ა ლ ჯ ე რ გამოუქვეყნებიათ საყოველთაო ცნობისათვის თავიანთი ფინანსური ანგარიშები. იქიდან ჩანდა, რომ გაზეთი, უმატებს რა შემოსავალს შეგროვებულ ფულსაც, თავის ხარჯებს ფარავს. 40 000-იანი ტირაჟის დროს (საშუალო 1914 წ. მაისისათვის) ეს გასაგებია, მიუხედავად კონფისკაციებისა და განცხადებათა ნაკლებობისა. ლიკვიდატორებმა კ ი მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ხ ე ლ («ლუჩის» № 101) დაბეჭდეს თავიანთი ანგარიში, რომელიც 4 000 მან. დეფიციტს აჩვენებდა, ხოლო შემდეგ გადავიდნენ საერთო-ბურჟუაზიულ ჩვეულებაზე: არ გამოაქვეყნონ ანგარიშები. მათი გაზეთის 15 000-იანი ტირაჟის დროს დეფიციტი აუცილებელია, და მას, ცხადია, ფარავენ კვლავ და კვლავ მდიდარი მეგობრები ბურჟუაზიიდან.

ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს უყვართ გადაკვრით ნიშნება «მუშათა ლ ი ა პარტიაზე», მაგრამ მათ არა სურთ გ ა უ მ ხ ი ლ ო ნ ნამდვილ მუშებს თავიანთი ნამდვილი დამოკიდებულება ბურჟუაზიისაგან! ჩვენც, იატაკქვეშ მომუშავენი, იძულებული ვართ ვასწავლოთ ლიკვიდატორ-ლიბერალებს აშკარა ანგარიშების სარგებლობა...

თუ შევაჯამებთ, მუშათა და არამუშათა შენაკრების თანაფარდობა ასეთია:

მოდის შენაკრები:	თვითეული შეგროვებული მანეთიდან: პრავდისტების გაზეთებისათვის	ლიკვიდატორების გაზეთებისათვის
მუშებისაგან.....	87 კაპიკი	44 კაპიკი
ა რ ა მუშებისაგან....	13 კაპიკი	56 კაპიკი
ს უ ლ	1 მ. 00 კაპიკი	1 მ. 00 კაპიკი

პრავდისტები 1/7-ით სარგებლობენ ბურჟუაზიის, ამასთან, როგორც დავინახავთ, მისი ყველაზე უფრო დემოკრატიული და ყველაზე ნაკლებ შეძლებული ფენების, დახმარებით. ლიკვიდატორთა წამოწყება უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ბურჟუაზიული წამოწყებაა, რომელსაც ჯერ კიდევ მისდევს მუშების უმცირესობა.

მონაცემები ფულის შეგროვების წყაროს შესახებ გვიჩვენებენ აგრეთვე გაზეთის მკითხველ-მყიდველთა კლასობრივ მდგომარეობას.

ნებაყოფლობითი შენატანი შემოდის მხოლოდ მუდმივი მკითხველებისაგან, რომლებიც ყველაზე უფრო შეგნებულად თანაუგრძნობენ გაზეთის მიმართულებას. და, თავის მხრივ, გაზეთის მიმართულება ძალაუნებურად «ეგუება» გაზეთის აუდიტორიის ყველაზე «გავლენიან» ფენას.

დასკვნები ჩვენი მონაცემებიდან გამომდინარეობს, ჯერ-ერთი, თეორიული, რაც ხელს უწყობს მუშათა კლასის მიერ თავისი მოძრაობის პირობათა შეცნობას: მეორეც, პრაქტიკული, რაც პირდაპირ მითითებას იძლევა ჩვენი მუშაობისათვის.

ზოგჯერ ამბობენ, რუსეთში ორი მუშათა პრესაო. ამას წინათ ეს პლეხანოვმაც კი გაიმეორა. ძაგრამ ეს სწორი არ არის. ასე მოუბარნი ან თავიანთ სრულ უმეცრებას ამჟღავნებენ, ანდა ფარულ სურვილს — დაეხმარონ ლიკვიდატორებს მუშებზე ბურჟუაზიული გავლენის გატარებაში. პარტიულ გადაწყვეტილებებს დიდი ხანია და არა ერთგზის (მაგ., 1908 და 1910 წლებში) აღუნიშნავთ ზუსტად, ნათლად და პირდაპირ ლიკვიდატორობის ბურჟუაზიული ხასიათი. მარქსისტული პრესის სტატიებში ეს ჭეშმარიტება ასჯერ ყოფილა განმარტებული.

გამოცდილებას ყოველდღიური გაზეთისას, რომელიც ცხადლივ მიმართავს მასებს, გარდუვალად უნდა გ ა მ ო ე ა შ კ ა რ ა ვ ე ბ ი ნ ა ლიკვიდატორული მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს ნამდვილი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ხასიათი. გამოცდილებამ გამოააშკარავა იგი. ლიკვიდატორული გაზეთი ნამდვილად აღ-

მოჩნდა ბურჟუაზიული წამოწყება, რომელსაც მიჰყვება მუშების უმცირესობა.

ნუ დავივიწყებთ, გარდა ამისა, რომ ლიკვიდატორული გაზეთი თითქმის 1914 წ. გაზაფხულამდე აგვისტოს ბლოკის ორგანო იყო. მას მხოლოდ ახლა ჩამოსცილდნენ ლატვიელები, ლიკვიდატორებს ჩამოშორდნენ და შორდებიან ტროცკი, ემ-ელი, ანი, ბურიანოვი, ეგოროვი; ბლოკის დაშლა გრძელდება. უახლოესი მომავალი გარდუვალად კიდევ უფრო თვალნათლივ გამოააშკარავებს ლიკვიდატორული მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ი ს ბურჟუაზიულ ხასიათსაც და ინტელიგენტურ პ ა წ ა წ ა ჯ გ უ ფ თ ა: ვპერიოდელთა, პლეხანოველთა, ტროცკისტთა და სხვ. უსიცოცხლობასაც.

პრაქტიკული დასკვნები შემდეგ პუნქტებად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

1) რიცხვი: მუშათა 5 674 ჯგუფი, პრავდისტების მიერ 2 ½ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში გაერთიანებული, საკმაოდ მნიშვნელოვანია რუსეთის მძიმე პირობებში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ გვესაჭიროება ათასობით კი არა, არამედ ათიათასობით მუშათა ჯგუფები. მუშაობა უნდა გავაათკეცოთ. ასობით მუშებისაგან კაპიკობით შეგროვებული 10 მანეთი უფრო მნიშვნელოვანია და ძვირფასი, როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული მხრით, ვიდრე ბურჟუაზიის წრის მდიდარი მეგობრებისაგან შემოსული 100 მანეთი. ფინანსური მხრივაც კი გამოცდილება გვაღიარებინებს, რომ მუშათა კაპიკებით შეიძლება მუშათა მტკიცე გაზეთის დაყენება, ბურჟუაზიული მანეთებით კი შეუძლებელია. ლიკვიდატორული წამოწყება არის საპნის ბუშტი, რომელიც უნდა გასკდეს და გასკდება კიდევაც.

2) განსაკუთრებით ჩამორჩენილია ჩვენში პროვინცია, სადაც ლიკვიდატორებს მუშათა ჯგუფების მთელი 32% მისდევს!! ყოველმა შეგნებულმა მუშამ მთელი ძალღონე უნდა დაძაბოს, რათა ბოლო მოუღოს ამ სავალალო და სამარცხ-

ხვინო მოვლენას. პროვინციას ყოველნაირად უნდა მოვეპატრონოთ.

3) სოფლის მუშებს, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ თითქმის სულ არ შეჰხებიათ მოძრაობა. რაც უნდა ძნელი იყოს აქ მუშაობა, მისი წარმოება უაღრესი შეუპოვრობითა და დაჟინებითაა საჭირო.

4) როგორც დედა მზრუნველობით უვლის ავადმყოფ ბავშვს და უკეთესად კვებავს მას, ასევე უფრო მზრუნველობით უნდა უვლიდნენ შეგნებული მუშები იმ რაიონებსა და ფაბრიკებს, სადაც მუშები ლიკვიდატორობით არიან დაავადებულნი. ეს, ბურჟუაზიისაგან მომდინარე, სენი გარდუვალია მუშათა ახალგაზრდა მოძრაობაში, მაგრამ წესიერი მოვლისა და დაჟინებითი მკურნალობისას იგი ქრება და მაინცდამაიც მავნე კვალს არ დააჩნევს მუშებზე სამუდამოდ. უფრო გულმოდგინედ ვკვებოთ ავადმყოფი მუშები მარქსისტული ლიტერატურით, — უფრო მზრუნველობით და პოპულარულად განვმარტავდეთ პარტიის ისტორიასა და ტაქტიკას, ლიკვიდატორობის ბურჟუაზიული ხასიათის შესახებ გამოტანილ პარტიულ გადაწყვეტილებათა აზრს, — უფრო საფუძვლიანად ვჩერდებოდეთ იმაზე, რომ აუცილებლად საჭიროა პროლეტარული ერთიანობა, ესე იგი მუშების უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილება, ესე იგი რუსეთის შეგნებული მუშების ოთხი მეხუთედისადმი ერთი მეხუთედის დამორჩილება. ასეთია ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

«ტრუდოვაია პრავდა» №№ 14 და 15;
1914 წ. 13 და 14 ივნისი

კრებული: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», ნაწილი II.
გამომც. «პრიბოი», ს.-პეტერბურგი, 1914 წ.
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით, რომელიც შეჯერებულია გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» ტექსტთან

მემარცხენე ნაროდნიკობა და მარქსიზმი

მარქსისტებს უკვე არა ერთხელ მიუთითებიათ გლეხთა მიწის თავისუფალი მობილიზაციის (ე. ი. ყიდვა-გაყიდვისა და დაგირავების) საკითხის მნიშვნელობაზე. სწორედ ამ, განსაკუთრებით ცოცხალ და პრაქტიკულ, საკითხში ყველაზე თვალსაჩინოდ მოჩანს ჩვენი ნაროდნიკების წვრილბურჟუაზიულობა და პირდაპირი რეაქციულობაც კი.

ყველა ნაროდნიკი, «რუსსკოე ბოგატსტვოს» ნახევრადკადეტებიდან («სოციალ-კადეტებიდან», როგორც მართებულად უწოდებდნენ მათ ოდესღაც ბბ. ჩერნოვი, ვიხლიაევი და სხვ.) თვით «სტოიკაია მისლის» «მემარცხენე» ნაროდნიკებამდე, გლეხთა მიწების, განსაკუთრებით სანადელო მიწების მობილიზაციის სრული თავისუფლების მოწინააღმდეგენი არიან.

მარქსისტები კი თავიანთ პროგრამაში პირდაპირ ლაპარაკობენ, რომ ისინი «ყოველთვის და განუხრელად გაუწევენ წინააღმდეგობას ეკონომიური განვითარების მსვლელობის შეფერხების ყოველგვარ ცდას».

რუსეთის, ისე როგორც მთელი მსოფლიოს, ეკონომიური განვითარება მიმდინარეობს ბატონყმობიდან კაპიტალიზმისაკენ და მსხვილი, სამანქანო კაპიტალიზმის გავლით სოციალიზმისაკენ.

«ოცნებანი» «სხვა» გზაზე სოციალიზმისაკენ გარდა კაპიტალიზმის შემდგომი განვითარების გზისა, მსხვილი

მანქანური კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წარმოების გზისა, რუსეთში სჩვევიათ ან ლიბერალურ ბატონკაცებს ანდა ჩამორჩენილ წვრილ მეპატრონეებს (წვრილ ბურჟუებს). ამ ოცნებებში, რითაც დღემდე თავს ინაგვიანებენ მემარცხენე ნაროდნიკები, გამოიხატება მხოლოდ წვრილი ბურჟუაზიის ჩამორჩენილობა (რეაქციულობა) და უმწეობა.

მთელი ქვეყნიერების შეგნებული მუშები, მათ შორის რუსეთისაც, სულ უფრო მეტად რწმუნდებიან მარქსიზმის სისწორეში, ვინაიდან თვით ცხოვრება უჩვენებს მათ, რომ მხოლოდ მსხვილი მანქანური წარმოება აღვიძებს მუშებს, ანათლებს და რაზმავს მათ, ო ბ ი ე ქ ტ უ რ პირობებს ქმნის მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობისათვის.

როცა «პუტ პრავდიმ» გაიმეორა საყოველთაოდ ცნობილი მარქსისტული ჭეშმარიტება, რომ ბატონყმობასთან შედარებით კაპიტალიზმი პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი ა*, რომ კაპიტალიზმის განვითარების შეფერხება ყოვლად უაზრო, ყოვლად რეაქციულ, მშრომელებისათვის ყოვლად საზიანო უტოპიას წარმოადგენს, მემარცხენე ნაროდნიკმა ბ-მა ნ. რაკიტნიკოვმა («სმელაია მისლის» № 7) «პუტ პრავდის» უსაყვედურა «კაპიტალისტური მარყუჟის შეფერადების ნაკლებად საპატივცემო ამოცანის» დაკისრება.

აი რაზე უნდა იფიქროს ყველამ, ვისაც აინტერესებს მარქსიზმი და მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოცდილება!! იშვიათად შეიძლება შეხვდეთ მარქსიზმის ისეთ საოცარ არცოდნას, როგორც ეს სჭირთ ბ-ნ ნ. რაკიტნიკოვს და მემარცხენე ნაროდნიკებს, — შეიძლება მხოლოდ ბურჟუაზიულ ეკონომისტებში.

ნუთუ ბ-ნ რაკიტნიკოვს არ წაუკითხავს არც «კაპიტალი», არც «ფილოსოფიის სიღატაკე», არც «კომუნისტური მანიფესტი»? თუ არ წაუკითხავს, მაშინ ზედმეტია საერთოდ სოციალიზმზე ლაპარაკი, სასაცილოა ამაზე დროს დაკარგვაც კი.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 358 — 362. რ ე დ.

ხოლო თუ წაუკითხავს, უნდა იცოდეს, რომ მარქსის ძირითადი იდეა (აზრი) ყველა მის თხზულებაში, აზრი, დადასტურებული მარქსის შემდეგ ყველა ქვეყნის გამოცდილებით, ეს არის აზრი კაპიტალიზმის პროგრესულობის შესახებ ბატონყმობასთან შედარებით. სწორედ ამ აზრით მარქსი და ყველა მარქსისტი «აფერადებენ» (რაკიტნიკოვის უხეში და სულელური გამოთქმით) «კაპიტალისტურ მარყუჟს»!!

მხოლოდ ანარქისტებს ან წვრილ ბურჟუებს, რომლებსაც არ ესმით ისტორიული განვითარების პირობები, შეუძლიათ თქვან: სულ ერთია, ბატონყმური თუ კაპიტალისტური მარყუჟი იქნება, ორივე — მარყუჟიაო!! ეს იმას ნიშნავს, რომ დაგმობით დაკმაყოფილდე, და ვერ გაიგო ეკონომიური განვითარების ობიექტური მსვლელობა.

დაგმობა ნიშნავს ჩვენს სუბიექტურ უკმაყოფილებას. ხოლო ობიექტური მსვლელობა ბატონყმობის განვითარებისა კაპიტალიზმად იმას იწვევს, რომ მილიონობით მშრომელნი ქალაქების, რკინიგზების, დიდი ფაბრიკების ზრდის, მუშების გადანაცვლების გამო თავს აღწევენ ბატონყმური მძინარობის პირობებს, თვით კაპიტალიზმი აღვიძებს, რაზმავს მათ.

ბატონყმობაც და კაპიტალიზმიც ჩაგრავენ მუშას და ცდილობენ სიბნელეში ამყოფონ ის. მაგრამ ბატონყმობას შეუძლია ამყოფოს და საუკუნეობით ამყოფებს მილიონობით გლეხებს სიბეჩავეში (მაგ., რუსეთში IX-დან XIX საუკუნემდე; ჩინეთში კიდევ მეტ საუკუნეთა განმავლობაში). კაპიტალიზმს კი არ შეუძლია მუშები იყოლიოს უძრაობაში, მძინარობაში, სიბეჩავეში, სიბნელეში.

ბატონყმობის საუკუნეები მშრომელთა მძინარობის საუკუნეები იყო.

კაპიტალიზმის ათეულმა წლებმა გამოაღვიძეს დაქირავებული მუშების მილიონები.

ამის გაუგებლობა, ბბ. მემარცხენე ნაროდნიკებო, ნიშნავს სრულიად ვერაფერი ვერ გაიგოთ სოციალიზმისა, ანდა სოციალიზმი ობიექტური პირობებით წარმოშობილი ბრძოლიდან, მილიონების ბრძოლიდან გადააქციოთ კეთილი ბატონკაცის არაკად!

სანადელო მიწების მობილიზაციის რაიმეგვარი, თუნდაც სულ მცირეოდენი, არათავისუფლების დაცვა — ეს ნიშნავს საქმით რეაქციონერად, მებატონეთა შემწედ გადაქცევას.

სანადელო მიწების მობილიზაციის თავისუფლების შეზღუდვა აფერხებს ეკონომიურ განვითარებას, აძნელებს დაქირავებულ მუშათა კლასის შექმნას, ზრდას, გამოღვიძებას, დარაზმვას, აუარესებს როგორც მუშების, ისე გლეხების მდგომარეობას, აძლიერებს მებატონეთა გავლენას.

ბბ. პეშეხონოვები და რაკიტნიკოვები საქმით სწორედ ამ «თანრიგთა» ხელშემწყობნი ხდებიან, როდესაც გლეხთა მიწების მობილიზაციის თავისუფლების შეზღუდვას იცავენ.

«ტრუდოვაია პრავდა» № 19,
1914 წ. 19 ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მიწის საკითხი რუსეთში

მიწის საკითხს რუსეთში ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არა მარტო ხალხის ფართო მასებმა, არამედ მთავრობამაც ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილზე დააყენა ეს საკითხი.

1905 წლის მოძრაობას ისტორიულად სწორედ ის ახასიათებს, რომ რუსეთის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ, სახელდობრ გლეხობამ, მიწის საკითხი უპირველეს ადგილზე წამოაყენა. ამ ფაქტს თავიანთ პროგრამებში ანგარიში გაუწიეს როგორც ლიბერალურ-ბურჟუაზიულმა, ისე მუშათა პარტიამ. მეორე მხრივ, მთავრობამაც, როცა 3 ივნისის სისტემაში მემამულეებისა და ბურჟუაზიის ზედაფენების კავშირს ახორციელებდა, თავისი პოლიტიკის ცენტრად სწორედ მიწის საკითხი გაიხადა (თემური მიწათმფლობელობის ძალით დანგრევა და სანადელო მიწის კერძო საკუთრების დანერგვა, უმთავრესად სახუტორო სისტემაში).

რაში მდგომარეობს ეკონომიური არსი მიწის საკითხისა რუსეთში? რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნაში. რუსეთი კაპიტალისტურ, ბურჟუაზიულ ქვეყნად იქცა. მიწათმფლობელობა კი ჩვენში საგრძნობწილად ისევ ბატონყმური დარჩა: როგორც მემამულური, ისე სანადელო, გლეხური. მეურნეობის სისტემა ძალიან ბევრ შემთხვევაში ბატონყმური დარჩა: შრომამიგება, საბატონო ბეგარა, როცა წვრილი მეურნეები, ნახევრად-გაჩანაგებულნი, ღატაკნი,

მშიერნი, იჯარით იღებენ მიწას, სათიბებს, საბალახოებს, ფულს სესხულობენ მემამულეებისაგან, ამის სამაგიეროდ კი ვალდებულებას კისრულობენ «იმუშაონ» «საბატონო» მიწაზე.

რაც უფრო მეტად ჩამორჩა თავისი ბატონყმურობის გამო სოფლური რუსეთი სამრეწველო, სავაჭრო, კაპიტალისტურ რუსეთს, იმდენად უფრო მძაფრი უნდა ყოფილიყო ძველი, ბატონყმური, როგორც მემამულური, ისე სანადელო მიწათმფლობელობის აუცილებელი მსხვრევა.

მემამულეები ცდილობდნენ ეს მსხვრევა ჩაეტარებინათ მემამულურად, მემამულეთა ინტერესების მიხედვით, — შეენარჩუნებინათ მთელი თავიანთი მიწათმფლობელობა, დახმარებოდნენ კულაკებს საჩქაროდ დაეტოვებინათ უმიწაწყლოდ გლეხები. გლეხები, მათი უმრავლესობა, ცდილობდნენ ეს მსხვრევა მოეხდინათ გლეხურად, გლეხების ინტერესების მიხედვით.

ორივე შემთხვევაში გარდაქმნა **ბურჟუაზიული რჩება. მარქსმა** სავსებით დაამტკიცა «ფილოსოფიის სილატაკეშიც», «კაპიტალშიც», «ზედმეტი ღირებულების თეორიებშიც», რომ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს არა ერთხელ მოუთხოვიათ მიწის ნაციონალიზაცია, ე. ი. მთელი მიწის საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევა, და რომ ეს ღონისძიება **სავსებით ბურჟუაზიულია.** კაპიტალიზმი კიდევ უფრო ფართოდ, უფრო თავისუფლად, უფრო სწრაფად განვითარდება ასეთი ღონისძიებით. ეს ღონისძიება მეტად პროგრესული, მეტად დემოკრატიულია; ის საბოლოოდ აღმოფხვრის ბატონყმობას, ის ძირს გამოუთხრის მიწათმფლობელობის მონოპოლიას, ის ძირს გამოუთხრის აბსოლუტურ რენტას (რომელსაც შეცდომით უარყოფს ლიკვიდატორი პ. მასლოვი, კუდში მისჩანჩალებს რა ბურჟუაზიულ მეცნიერებს). ის დაჩქარებს მიწათმოქმედებაში საწარმოო ძალების განვითარებას და გაწმენდს დაქირავებული მუშების კლასობრივ მოძრაობას.

მაგრამ, ვიმეორებთ, ეს **ბურჟუაზიულ**-დემოკრატიული ღონისძიებაა. მემარცხენე ნაროდნიკები, მაგალითად, ბ-ნი ვ — დიმოვი «სმელაია მისლში», მიწის ბურჟუაზიულ ნაციონალიზაციას დაჟინებით უწოდებენ «სოციალიზაციას» და დაჟინებით უელიან გვერდს კაპიტალიზმის დროს მიწის ნაციონალიზაციის დედაარსის მეტად დაწვრილებით განმარტებას მარქსის მიერ.

მემარცხენე ნაროდნიკები დაჟინებით იმეორებენ წმინდა ბურჟუაზიულ მოძღვრებას «შრომითი მეურნეობისა» და მისი განვითარების შესახებ «სოციალიზაციის» დროს, მაშინ როდესაც სინამდვილეში მიწის ნაციონალიზაციის პირობებში ყველაზე ფართოდ და ყველაზე ჩქარა აუცილებლად განვითარდება სწორედ კაპიტალისტური მიწათმფლობელობა, და მასთან ყველაზე წმინდა და ბატონყმობისაგან თავისუფალი ფორმით.

სიტყვა: «მიწის სოციალიზაცია» მემარცხენე ნაროდნიკების მხრივ ააშკარავებს მხოლოდ მარქსის პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების სრულ გაუგებლობას და მათ გადასვლას (ხანგამოშვებით, ფარულად, ხშირად შეუგნებლად) ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მხარეზე.

მარქსი შეგნებულ მუშებს ურჩევდა — შეემუშავებინათ თავისთვის ნათელი შეგნება კაპიტალიზმის ნიადაგზე მომხდარი მიწის ყველა რეფორმის (მათ შორის აგრეთვე ნაციონალიზაციის) ბურჟუაზიულობისა და მხარი დაეჭირათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნებისათვის მებატონეთა და ბატონყმობის წინააღმდეგ. მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ ერთმანეთში აურიონ ბურჟუაზიული ღონისძიებანი და სოციალიზმი.

«ტრუდოვაია პრავდა» № 22,
1914 წ. 22 ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ლანძღვის პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ

(ერთიანობის საკითხისათვის)

განა ლანძღვას შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკური მნიშვნელობა? — იკითხავს მკითხველი.

უეჭველად. აი მაგალითი ყველა შეგნებული მუშისათვის საინტერესო სფეროდან.

ჩვენ, პრავდისტებს, გვლანძღავენ, — «უზურპატორებს» (უკანონოდ დამპყრობლებს) გვიწოდებენ. ამ ლანძღვის ნიადაგზე 1912 წლის მარტში «გაერთიანდნენ» პლეხანოველები, ვპერიოდელები, ტროცკისტები, ლიკვიდატორები და კიდევ უამრავი სხვა პაწაწა ჯგუფი.

ახლა, 1914 წლის ივნისში, ორზე მეტი წლის შემდეგ, ამ ლანძღვის ნიადაგზე კვლავ «ერთიანდებიან» ჩვენს წინააღმდეგ «ედინსტვოს» მომხრენი, ლიკვიდატორები, ვპერიოდელები, ტროცკისტები და, ალბათ, კიდევ ათეული სხვა პაწაწა ჯგუფი.

ამ ლანძღვის პოლიტიკურ მნიშვნელობას რომ ჩავუკვირდეთ, ვთხოვთ მკითხველს მოიგონოს ზოგიერთი ანბანური ჭეშმარიტება, რომელთა «მიფუჩეჩება» ხმაურითა და ლანძღვით სურთ «ედინსტვოს» და კომპ. მომხრეებს.

1912 წლის იანვრის კონფერენცია «მათ» ყველამ გამოაცხადეს უზურპაციად, უკანონოდ ხელში ჩაგდებად. მას უფლება არ ჰქონდა — უმაღლესი ორგანო, მთელის დაწესებულება ეწოდებინა თავისთვისო.

ჩინებულია, ბატონებო! ოღონდ შეხედეთ, თუ როგორ ამხელენ პოლიტიკური ფაქტები თქვენი ფრაზების მთელ უშინაარსობასა და სიყალბეს.

დავუშვათ, რომ თქვენ მართალი ხართ, დავუშვათ, რომ 1912 წლის იანვრის კონფერენცია «უკანონოდ ხელში ჩაგდება» იყო. რა გამოდის აქედან?

აქედან გამოდის, რომ ყველა ჯგუფი, მიმდინარეობა, წრე, ყველა ს.-დ., ამ «უკანონოდ ხელში ჩაგდებით» შეურაცხყოფილნი, უნდა აღმდგარიყვნენ «კანონიერების» დასაცავად? ასე არ არის? გაერთიანებულიყვნენ არა მარტო უზურპატორების სალანძღავად, არამედ მათ დასამხობადაც.

მგონი, ეს უდავოა?

თითქოს, გულად პლეხანოვს, მამაც ტროცკის, გაბედულ ვპერიოდელებს, კეთილშობილ ლიკვიდატორებს არც კი შეეძლოთ უზურპატორების სალანძღავად გაერთიანება უიმისოდ, თუ არ გაერთიანდებოდნენ უზურპატორების დასამხობად.

ჩვენი გმირები რომ ასე არ მოქცეულიყვნენ, ისინი უბრალო მოლაყბეები აღმოჩნდებოდნენ, ხომ ასეა?

ხოლო რა იყო საჭირო «უზურპატორების» დასამხობად? ამისათვის საკმარისი იქნებოდა, რომ უზურპაციის მოწინააღმდეგე კეთილშობილი პროტესტანტები ერთად შეკრებილიყვნენ უუზურპატორებოდ, დაეგმოთ ისინი და მუშებისათვის ეჩვენებინათ მაგალითი, გამოცდილება, ფაქტი, — ფაქტი და არა დაპირება, საქმე და არა ფრაზები — კანონიერი დაწესებულებებისა უზურპატორულისაგან განსხვავებით.

ის, ვინც რუსეთის ყველა შეგნებულ მუშას იდიოტებად არა თვლის, რა თქმა უნდა, დაგვეთანხმება, რომ ეს მუშები, როდესაც დაინახავდნენ «უზურპატორების» წინააღმდეგ კეთილშობილი პროტესტანტების გაერთიანებულ მუშაობას, მხარს დაუჭერდნენ ამ პროტესტანტებს, გააძევებდნენ

უზურპატორებს, დააჯილდოებდნენ მათ დაცინვითა და გაკიცხვით!!

თითქოს, ეს ნათელია?

თითქოს, სრულიად უდავოა, რომ არა თუ მარქსისტი, არამედ თავისი თავის პატივისმცემელი ყოველი დემოკრატიც ვალდებული იქნებოდა შეერთებოდა «უზურპატორობის» ყველა მოწინააღმდეგეს, უზურპატორების დასამხობად?

ნამდვილად კი?

ნამდვილად რა გამოვიდა?

რა მივიღეთ ორი წლის შემდეგ იმ დროიდან, რაც «უზურპატორობის» კეთილშობილმა მოწინააღმდეგეებმა უზურპატორების წინააღმდეგ გაილაშქრეს?

მივიღეთ ის, რომ «უზურპატორებმა» თავიანთ გადაწყვეტილებათა გარშემო გაერთიანეს რუსეთის ყველა შეგნებული მუშების $^4/_5$ **(ოთხი მეხუთედი).**

2 $^1/_2$ წლის განმავლობაში, 1912 წ. 1 იანვრიდან 1914 წ. 13 მაისამდე, პრავდისტულ გაზეთებს თავისი შენატანებით **დახმ**არება აღმოუჩინა მუშათა 5 674 ჯგუფმა, ხოლო «უზურპატორობის» კეთილშობილ მოწინააღმდეგეებს, ლიკვიდატორებსა და მათს მეგობრებს, მუშათა 1 421 ჯგუფმა.

«უზურპატორებმა» განახორციელეს რუსეთის მუშების $^4/_5$-ის ერთიანობა, საქმით, არა სიტყვით.

«უზურპატორობის» კეთილშობილი მტრები კი მტვერივით განიავდნენ, რადგან დაიშალა მათი აგვისტოს ბლოკი, ჩამოსცილდნენ ტროცკი, ლატვიელები, კავკასიელთა ბელადები და სხვ. და ჩამოყალიბდნენ ცალკეულ პაწაწა ჯგუფებად, რომლებიც ნამდვილ მოძრაობაში ნულები აღმოჩნდნენ ცალ-ცალკეც და ერთადაც.

რა საოცრებაა?

როგორ შეეძლო მუშების $^4/_5$-ს აღმდგარიყო საძაგელი «უზურპატორობის» დასაცავად, უზურპატორობის მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა. «უამრავ ჭიმართუ-

ლ ე ბ ა თ ა» წარმომადგენელი, კეთილშობილი მტრების წ ი-ნ ა ა ღ მ დ ე გ?

ეს, მკითხველო, შეიძლებოდა და უნდა მომხდარიყო შემდეგი მიზეზით: პოლიტიკაში ლანძღვა ხშირად ფარავს მლანძღველთა სრულ უიდეობასა და უმწეობას, უძლურებას, გაგულისებულ უძლურებას.

ეს არის და ეს.

შეგნებული მუშები კი, მიუხედავად მთელი ამ ლანძღვისა «პრავდისტების», «უზურპატორების», «ლენინელების» მიმართ და სხვ. და სხვ., ერთიანდებიან და კვლავაც გაერთიანდებიან თანამიმდევრული მარქსიზმის იდეებისა და ტაქტიკის გარშემო. მიუხედავად მთელი ამ ლანძღვისა, ისინი აღიარებენ **ერთიანობას მხოლოდ ქვევიდან, მუშების ერთიანობას ლიკვიდატორობის დაგმობის ნიადაგზე**, «მთელის» ყველა გადაწყვეტილებათა აღიარების ნიადაგზე. მუშათა მოძრაობის პრინციპი შეიძლება იყოს მხოლოდ უმცირესობის დამორჩილება უმრავლესობისადმი, და არა ინტელიგენტურ პაწაწა ჯგუფებთან შეთანხმება.

«ტრუდოვაია პრავდა» № 23.
1914 წ. 24 ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ობიექტური მონაცემები მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა სიძლიერის შესახებ [101]

შეგნებული მუშებისათვის არ არსებობს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორიცაა თავისი კლასის მოძრაობის, მისი დედაარსის, მისი მიზნებისა და ამოცანების, მისი პირობებისა და პრაქტიკული ფორმების შ ე ც ნ ო ბ ი ს ამოცანა. ვინაიდან მუშათა მოძრაობის მთელი სიძლიერე მის შეგნებულობასა და მის მ ა ს ო ბ რ ი ვ ხასიათშია: კაპიტალიზმი თავისი განვითარების ყოველი ნაბიჯით ზრდის პროლეტარების, დაქირავებული მუშების რიცხვს, აკავშირებს, რაზმავს, ანათლებს მათ და ამრიგად ამზადებს კლასობრივ ძალას, რომელიც გარდუვალად უნდა მიდიოდეს თავისი მიზნებისაკენ.

მარქსისტების პროგრამა და მათი ტაქტიკური გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მუდმივ განმარტავენ პრესაში, ხელს უწყობენ მუშათა მასაში შეგნების გამომუშავებას მოძრაობის არსის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

სხვადასხვა მიმდინარეობათა ბრძოლას რუსეთის მუშათა მოძრაობაში ღრმა კლასობრივი ფესვები აქვს. ორივე «მიმდინარეობა», მარქსიზმს (პრავდიზმს) რომ ებრძვიან რუსეთის მუშათა მოძრაობაში და (თავიანთი მასობრივი ხასიათითა და ისტორიაში გადგმული ფესვების მიხედვით) დამსახურებული აქვთ «მიმდინარეობათა» სახელწოდება — ნაროდნიკობა და ლიკვიდატორობა — გამოხატავენ ბურჟუაზიის გავლენას პროლეტარიატზე. ეს ბევრჯერ ყოფილა

განმარტებული მარქსისტების მიერ და აღიარებულია მარქსისტების მთელ რიგ გადაწყვეტილებებში როგორც ნაროდნიკების მიმართ (მათთან ბრძოლა 30 წელიწადია წარმოებს), ისე ლიკვიდატორების მიმართაც (ლიკვიდატორობას დაახლოებით 20 წლის ისტორია აქვს, ვინაიდან ლიკვიდატორობა «ეკონომიზმისა» და მენშევიზმის პირდაპირი გაგრძელებაა).

ამჟამად სულ უფრო მეტად გროვდება უკვე ობიექტური მონაცემები რუსეთის მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა სიძლიერეზე. საჭიროა ყოველნაირად შეიკრიბოს, შემოწმდეს და შესწავლილ იქნას ეს ობიექტური მონაცემები, რომლებიც ეხება არა ცალკეულ პირთა და ჯგუფთა მოქმედებასა და განწყობილებას, არამედ მასებისა, მონაცემები, ამოღებული სხვადასხვა, მტრული გაზეთებიდან, მონაცემები, რომელთა შემოწმება შეუძლია ყოველ წერა-კითხვის მცოდნეს.

მხოლოდ ასეთი მონაცემების მიხედვით შეიძლება სწავლა და თავისი კლასის მოძრაობის შესწავლა. როგორც ნაროდნიკებისა და ლიკვიდატორების, ისე სხვადასხვა ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფების, «ვპერიოდელების», პლეხანოველების, ტროცკისტების ერთ-ერთ მთავარ ნაკლს, თუ მთავარს არა (ანუ ბოროტმოქმედებას მუშათა კლასის წინააღმდეგ), მათი **სუბიექტივიზმი** წარმოადგენს. თავიანთ სურვილებს, თავიანთ «შეხედულებებს», თავიანთ შეფასებას, თავიანთ «ზრახვებს» ისინი ყოველ ნაბიჯზე მუშების ნება-სურვილად, მუშათა მოძრაობის მოთხოვნილებებად ასაღებენ. მაგალითად, როცა ისინი «ერთიანობაზე» ლაპარაკობენ, ისინი მედიდურად უგულებელყოფენ რუსეთის შეგნებული მუშების **უმრავლესობის** მიერ ნამდვილი ერთიანობის შექმნის **გამოცდილებას** 2½ წლის განმავლობაში, 1912 წლის დამდეგიდან 1914 წლის ნახევრამდე.

შევაჯამოთ ჩვენს ხელთ არსებული **ობიექტური** მონაცემები მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა სიძლიერის შესახებ. ვისაც სურს, იმან დაუჯეროს

სუბიექტურ შეფასებებსა და დაპირებებს, მიმართოს «პაწაწა ჯგუფებს», ჩვენ კი მხოლოდ იმათ მოვუწოდებთ, ვისაც ობიექტური ფაქტების შესწავლა სურს. აი ფაქტები:

				პროცენტი		
			პრავდისტები	ლიკვიდატორები	პრავდისტები	ლიკვიდატორები	მემარცხენე ნაროდნიკები
სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები:							
1. მუშათა კურიის დეპუტატთა რიცხვი	II	სათათბირო, 1907 წ.	11	12	47	53	—
	III	სათათბირო, 1907 — 1912	4	4	50	50	ბოიკოტი
	IV	სათათბირო, 1912 წ.	6	3	67	33	
ფულის შემტანი მუშათა ჯგუფების რაოდენობა:							
2. შენატანთა რაოდენობა მუშათა ჯგუფებისაგან პეტერბურგის გაზეთებისათვის		1912 წელი	620	89	—	—	—
		1913 წელი	2 181	661	76,9	23,1	264
		1914 წლის 13 მაისამდე	2 873	671	81,1	18,9	524
მუშათა წარმომადგენლების არჩევნები სადაზღვევო დაწესებულებებში:							
3. რწმუნებულთა რაოდენობა სრულიად რუსეთის სადაზღვევო დაწესებულების არჩევნებში			47	10	82,4	17,6	? 1—27
4. იგივე დედაქალაქის სადაზღვევო დაწესებულების არჩევნებში			37	7	84,1	15,9	4
რეზოლუციების ხელმოწერა სათათბიროს თვითეული ფრაქციის სასარგებლოდ:							
5. ხელმოწერა ორივე გაზეთში «ექვსეულის» (პრავდ.) სასარგებლოდ და «შვიდეულის» (ლიკვ.) სასარგებლოდ			6 722	2 985	69,2	30,8	—

	პროვიდისტები	ლიკვიდატორები	პროცენტი		მემარცხენე ნაროდნიკები
			პროვიდისტები	ლიკვიდატორები	
კავშირი მუშათა ჯგუფებთან:					
6. მიმართვათა რაოდენობა მუშათა ჯგუფების სხვადასხვა შენატანით ორივე ფრაქციაში (1913 წ. ოქტომბრიდან 1914 წ. 6 ივნისამდე)...	1 295	215	85,7	14,3	—
პეტერბურგის გაზეთების ტირაჟი:					
7. რამდენი ცალი იბეჭდება (ცნობები, შეკრებილი და გამოქვეყნებული ე. ვანდერველდეს მიერ)..	40 000	16 000	71,4	28,6	12 000 (სამჯერ კვირაში)
საზღვარგარეთული პრესა:					
8. ლიკვიდატორების აგვისტოს (1912 წ.) კონფერენციის შემდეგ 1914 წ. ივნისამდე გამოსული ხელმძღვანელი გაზეთის ნომრების რაოდენობა	5	0	—	—	9
9. არა ღია ორგანიზაციებზე მითითებათა რაოდენობა ამ ნომრებში (თვითეული ადგილი ითვლება ერთ მითითებად)	44	0	—	—	21
ბურჟუაზიისაგან დამოკიდებულება:					
10. ფულის შეგროვება სპბ. გაზეთებისათვის (1914 წ. 1 იანვრიდან 13 მაისამდე). არა მუშების მიერ შეგროვებული თანხების პროცენტი.....	—	—	13	56	50
11. გაზეთებში დაბეჭდილ ფულად ანგარიშთა რაოდენობა მთელი ხნის განმავლობაში.....	3	1	—	—	? (0?)

	პრავდისტები	ლიკვიდატორები	პროცენტი: პრავდისტები	პროცენტი: ლიკვიდატორები	ზემოარეხლნენ ნაოდენიანები
12. მათ შორის უცნობი, ე. ი. ბურჟუაზიული წყაროებიდან დაფარული დეფიციტიანი ანგარიშების პროცენტი.....	—	—	0	100	?
13. ფულადი სახსრები, რომლებიც გატარებულია სათათბიროს ორივე ფრაქციაში (1913 წლის ოქტომბრიდან 1914 წ. 6 ივნისამდე). ა რ ა მუშებისაგან შემოსული თანხების პროცენტი.....	—	—	6	46	—
14. რიცხვი ჩუმად მუშათა კორესპონდენციებად გასაღებული, სინამდვილეში კი ბურჟუაზიული გაზეთებიდან ამოღებული კორესპონდენციებისა, წყაროს აღუნიშნავად	—	5 («ნაშა რაბოჩაია გაზეტასა» ორ ნომერში — 17 და 19)			0
პროფესიული კავშირები:					
15. რაოდენობა სპბ. პროფ. კავშირებისა, რომელთა წევრების უმრავლესობა (გამგეობის წევრთა უმრავლესობის მიხედვით თუ განსჯით) ამა და ამ მიმართულებას თანაუგრძნობს	14 $^1/_2$*	3 $^1/_2$*	—	—	2

* ერთ კავშირში პრავდისტებისა და ლიკვიდატორების მომხრეთა რაოდენობა შუაზე გაიყო.

მოყვანილ მონაცემებს, უწინარეს ყოვლისა, დავურთავთ მოკლე განმარტებებს, შემდეგ კი გადავალთ დასკვნებზე.

განმარტებათა მოცემა უმჯობესია მუხლების მიხედვით. მუხლი 1. მონაცემები ამრჩევთა და რწმუნებულთა შესახებ **არ მოიპოვება.** ვინც უჩივის «კურიალური» მონაცემების გამოყენებას, ის სასაცილოა მხოლოდ, ვინაიდან სხვა მონაცემები არ არსებობს. გერმანელი ს.-დ-ები თავიანთ წარმატებებს აფასებენ ბისმარკის საარჩევნო კანონის მიხედვით, რომელიც ქალებს გამორიცხავს და «მამაკაცთა» კურიას ქმნის!

მუხლი 2. გადამხდელი, და არა მარტო «რეზოლუციების ხელმომწერი» მუშათა ჯგუფების რიცხვი ყველაზე საიმედო და სწორი ნიშანია არა მარტო მიმდინარეობის, არამედ დარაზმულობის, პარტიულობის სიძლიერისა.

ამიტომაც ლიკვიდატორები და «პაწაწა ჯგუფები» სუბიექტურ მტრობას იჩენენ ამ ნიშნისადმი.

ლიკვიდატორები გვიპასუხებდნენ: ჩვენ გვაქვს კიდევ ებრაული და ქართული გაზეთები, «პრავდა» კი ერთიათ. არ არის სწორი. ჯერ-ერთი, ესტონური და ლიტვური გაზეთები პრავდისტულია[102]. მეორეც, თუ პროვინციას ვიღებთ, განა დასაშვებია მოსკოვის დავიწყება? მოსკოვის მუშათა გაზეთმა 1913 წლის განმავლობაში შეაკავშირა, გააერთიანა **390** მუშათა ჯგუფი («რაბოჩი» № 1, გვ. 19), ებრაულმა გაზეთმა «ცაიტმა» კი № 2-დან (1912 წ. 29 დეკემბერი) 1914 წ. 1 ივნისამდე გააერთიანა **296** მუშათა ჯგუფი (მათგან 1914 წ. 20 მარტამდე — 190 და 1914 წ. 20. III-დან 1. VI-მდე — 106). ამრიგად, მარტო მოსკოვმა გადაჭარბებით «დაფარა» ლიკვიდატორების სუბიექტური მითითება «ცაიტზე»!

მოვუწოდებთ ქართველ და სომეხ ამხანაგებს შეაგროვონ მონაცემები ლიკვიდატორების კავკასიური გაზეთების შესახებ. რამდენი მუშათა ჯგუფია იქ? საჭიროა ყოველმხრივი ობიექტური მონაცემები.

ჯგუფების შეჯამების დროს შეცდომები შესაძლებელია, მაგრამ კერძო ხასიათისა. ყველას ვთხოვთ შეამოწმონ და შეასწორონ.

ერთი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა
ცხრილის მონასახით სტატიისათვის
«ობიექტური მონაცემები მუშათა მოძრაობაში
არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა
სიძლიერის შესახებ». — 1914 წ. ივნისი
დაპატარავებულია

Объективная диаграмма о силе партий в рабочем движении России.

	Прав.-либ. дума	Оппозиц. дума	Правых трудовиков %	Левых трудовиков %	Левых-радикалы
1. Выборы в Г. Думу. Число депутатов рабочей курии: II Дума, 1907 г.	11	12	47	53	—
III Дума, 1907-1912	4	4	50	50	} большинство
IV Дума, 1912	6	3	67	33	
2. Число рабочих групп, обнаживших денежные взносы в газеты (в сотн.): 1912	620	89	—	—	—
1913	2181	669	76,9	23,1	264
1914 (до 23)	2873	671	81,1	18,9	524
3. Декаденство сбор на газеты. Тираж сборов по отн. к рабочих (с 1 янв. по 1 июля 1914 г.)	—	—	13	56	50
4. Тираж (с 1 янв. по 1 июля) газеты (данные, сообщ. в колл. Д. Бонч-Бруевичем)	40 000	16 000	71,4	28,6	12 000 (за 6 мес.)
5. Число рабочих групп, образовавшихся в фракции вне самих в пр. и другую думскую фракцию (с 1913 по 6 июня 1914 г.)	1295	215	85,7	14,3	—
6. Декаденство сумма, пр. ошибки через пр. и другую думскую фракцию (с 1913 г. по 6 июня 1914 г.)	—	—	6	46	—
7. Выборы в Всероссийское правительственное управление. Число уполномоченных	47	10	82,4	17,6	? 1-2 ?
8. Выборы в Земельное правительственное управление. Число уполномоченных	37	7	84,1	15,9	4
9. Число декаденств фракций, кооптированных группами за все время	3	1	—	—	?
10. Из числа проведенных фракций за дефаркомами, но с группами не кооптированных, т.е. бюрократов, не кооптированных	—	—	0	100	?
11. Число подписей, заявленных в общем гл. бюрократ., за пр. и другую думскую фракцию (у. бюр. и р. бюр.)	6722	2285	69,4	31,6	—
12. Заграничная печать. Число конгрессов руководящих газеты, выходящих в Петербурге и в Варшаве (1912 г.) конференции ликвидаторов по июль 1914 г.	5	0	—	—	9
13. Число указаний в этих конгрессах на [illegible] (корреспонд. (корреспонд. (корреспонд.)	44	0	—	—	9
14. Число корреспонденций, в данных сообщениях за 2 дня, с ка[illegible] бюрократ. из бюрократ. групп, бюрократ. и пр.	0	5 (бюр.)	—	—	0
15. Трафаретные слоганы, в которых большинство [illegible] (А. Сп. Б.)	14	4	77,8	22,2	2

მუხლები 3 და 4 განმარტებას არ საჭიროებენ. სასურველია ანკეტა ა ხ ა ლ ი პროვინციული მონაცემების შესაგროვებლად.

მუხლი მე-5. ლიკვიდატორების 2 985 ხელმოწერაში **შესულია** ბუნდელთა 1 086 და კავკასიელთა 719 ხელმოწერა. სასურველია ამ ციფრების შემოწმება ადგილობრივი ამხანაგების მიერ.

მუხლი მე-6. ორივე ფრაქციის ხაზინადრები ბეჭდავენ ანგარიშებს ფრაქციაში სხვადასხვა მიზნისათვის შემოსული **მთელი** თანხების შესახებ. ზუსტი, ობიექტური მაჩვენებელი მუშებთან კავშირისა.

მუხლი მე-7. გაზეთების ტირაჟი. ეს ცნობები შეკრებილი და გამოქვეყნებულია ე. ვანდერველდის მიერ, მაგრამ მათ მალავენ ლიკვიდატორები და ლიბერალები («კიევსკაია მისლ»). «სუბიექტივიზმი». სასურველია უფრო სრული, თუნდაც ერთი თვის ცნობების შეკრება.

მუხლები მე-8 და მე-9. ერთ-ერთი ობიექტური ილუსტრაცია ლიკვიდატორების მიერ «იატაკქვეშეთის», ე. ი. პარტიის უარყოფისა. საზღვარგარეთმა კი 1914 წ. 1 იანვრიდან 13 მაისამდე პრავდისტებს მისცა 49 მან. 79 კაპ. (1/4%), ხოლო ლიკვიდატორებს 1 709 მან. 17 კაპ. (14%). ნუ ამბობ: «არ შემიძლია», არამედ სთქვი: «არ მინდა»!

მუხლები 10 — 14. ბურჟუაზიისაგან ლიკვიდატორებისა და ნაროდნიკების დამოკიდებულების, მათი ბურჟუაზიულობ**ის** ობიექტური ნიშნები. **სუბიექტურად**, ლიკვიდატორები და ნაროდნიკები—«სოციალისტები» და «სოციალ-დემოკრატები» არიან. **ობიექტურად**, როგორც თავიანთი **იდეების** შინაარსის მიხედვით, ისე მასობრივი მოძრაობის **გამოცდილების** მიხედვით, ესენი არიან ბურჟუაზიული ინტელიგენტური ჯგუფები, რომლებიც მუშათა პარტიისაგან თიშავენ მუშების უმცირესობას.

მკითხველების განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ლიკვიდატორების მიერ მუშათა კორესპონდენციების გაყალბებას. გაუგონარი, აღმაშფოთებელი ტყუილი! ყველა ადგილობრივმა მარქსისტმა უნდა ამხილოს ეს და შეკრიბოს

ობიექტური მონაცემები (იხ. «ტრუდოვაია პრავდა» № 12, 1914 წ. 11 ივნისი [103]).

მუხლი მე-15. მონაცემები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათი შევსება და შემოწმება საჭირო იქნება განსაკუთრებული ანკეტით. ჩვენ ავიღეთ «მუშის თანამგზავრის» მონაცემები, გამომც. «პრიბოი», სპბ., 1914 წ. [104]. ლიკვიდატორულ კავშირებს მივაკუთვნეთ კანტორის მოსამსახურენი, მხაზველები და ფარმაცევტები (მბეჭდავთა გამგეობის უკანასკნელი არჩევნების დროს 1914 წ. 27 აპრილს გამგეობის წევრებად არჩეულ იქნა ½ პრავდისტები და ნახევარზე მეტი გამგეობის წევრობის კანდიდატებად). ნაროდნიკული კავშირებისადმი მიკუთვნებული არიან მეფუნთუშეები და მეჩალითეები. წევრთა საერთო რიცხვი 22 ათასამდეა.

მოსკოვში 13 კავშირიდან 10 პრავდისტულია, 3 გაურკვეველი, მაგრამ პრავდისტებთან უფრო ახლოს მდგომი. ლიკვიდატორული და ნაროდნიკული—არც ერთი.

ობიექტური მონაცემებიდან მიღებული დასკვნები ცხადყოფენ, რომ მხოლოდ პრავდიზმი წარმოადგენს ბურჟუაზიისაგან ნამდვილად დამოუკიდებელ, მარქსისტულ, პროლეტარულ მიმდინარეობას, რომელიც რაზმავს, აერთიანებს მუშების ⁴/₅-ზე **მეტს** (ლიკვიდატორებთან შედარებით 81,1% მუშათა ჯგუფს 1914 წ.). ლიკვიდატორობა და ნაროდნიკობა, უთუოდ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმდინარეობებია, და არა მუშური.

1912, 1913 და 1914 წლის ნახევრის მასობრივი მოძრაობის გამოცდილებამ საესებით და ბრწყინვალედ დაადასტურა პრავდისტების როგორც პროგრამული, ისე ტაქტიკური და ორგანიზაციული იდეები, გადაწყვეტილებანი, ხაზი. იმის რწმენაში, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ, ჩვენ უნდა ვპოვოთ ენერგია კიდევ უფრო გაძლიერებული მუშაობისათვის.

«ტრუდოვაია პრავდა» № 25,
1914 წ. 26 ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რამდენად ძლიერია მუშებში მემარცხენე-ნაროდნიკული მიმდინარეობა

ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში მუშების ნაწილი კიდევ მიჰყვება ამა თუ იმ ბურჟუაზიულ პარტიებს. რუსეთში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა ეპოქაში, შეგნებული მუშების უმცირესობა კიდევ მიჰყვება ლიტერატორ-ლიკვიდატორების ბურჟუაზიულ ჯგუფს და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ნაროდნიკულ მიმდინარეობას.

იმის შესახებ, რომ მთელი ნაროდნიკული მიმართულება, მათ შორის მემარცხენე ნაროდნიკებიც, ბურჟუაზიულ (გლეხურ) დემოკრატიას წარმოადგენს რუსეთში, ბევრჯერ ყოფილა თქმული მარქსისტების სრულიად ზუსტ, ნათელ და ფორმალურ გადაწყვეტილებებში (1903, 1907, 1913 წწ.) [105]. მუშების ნაწილი რომ მიჰყვება მემარცხენე ნაროდნიკებს, რომლებიც «სოციალიზმს» უწოდებენ გლეხების (არსებითად სავსებით და უეჭველად ბურჟუაზიულ) გაბედულ მოთხოვნებს, ეს სავსებით გასაგებია კაპიტალისტურ ქვეყანაში ბატონყმურობის წინააღმდეგ გამწვავებული მოძრაობის ეპოქაში.

მაგრამ სახელდობრ შეგნებული მუშების რა ნაწილი მიჰყვება მემარცხენე ნაროდნიკებს?

ამას წინათ ერთ-ერთმა ყველაზე უპრინციპო ინტელიგენტურმა ჟურნალმა, «სოვრემენნიკმა», რომელიც «აერთიანებს» (ცრუ ფრაზის ნიადაგზე) მემარცხენე ნაროდნიკებს, პლეხანოვს, ბ-ნ პოტრესოვს და კომპ., განაცხადა, მუშების «დაახლოებით» 1/3 მემარცხენე ნაროდნიკებს მიჰყვებაო.

ეს ისეთივე უტიფარი, უსინდისო სიცრუეა, როგორც ლიკვიდატორთა ჩვეულებრივი სიცრუე.

რამდენადაც ვიცით, ობიექტური მონაცემები მუშებს შორის მემარცხენე ნაროდნიკების გავლენის დონის შესახებ მხოლოდ სამგვარია. ჯერ-ერთი, მონაცემები გაზეთების ტირაჟის შესახებ. მეორეც, მონაცემები იმ მუშათა ჯგუფების რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ფული შეჰქონდათ. მესამეც, მონაცემები დედაქალაქის სადაზღვევო დაწესებულების არჩევნების დროს რწმუნებულთა რაოდენობის შესახებ.

დავუპირისპიროთ ერთმანეთს ეს მონაცემები, რომლებიც ბბ. მარტოვების, გიმერებისა და კომპ. უსინდისო სიცრუისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ყ ვ ე ლ ა ს შეუძლია მათი ნახვა და შემოწმება ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა პარტიის შესახები ცხადლივი, საჯარო წყაროების მიხედვით.

				პ რ ო ც ე ნ ტ ე ბ ი		
	პრავდისტები	ლიკვიდატ.	მემარცხენე ნაროდნ.	პრავდისტები	ლიკვიდატ.	მემარცხენე ნაროდნ.
პეტერბურგის გაზეთის რამდენი ეგზემპლარი გამოდის კვირაში	240 000	96 000	36 000	64,5	25,8	9,7
მუშათა ჯგუფების ფულად შენატანთა რაოდენობა მთელი 1913 წლის განმავლობაში	2 181	661	264	70,2	21,3	8,5
1914 წლის განმავლობაში (13 მაისამდე)	2 873	671	524	70,6	16,6	12,8
რწმუნებულთა რაოდენობა დედაქალაქის სადაზღვევო დაწესებულების არჩევნებში	37	7	4	77,1	14,6	8,3

ბურჟუაზიული ჯგუფებისათვის (ლიკვიდატორებისა და მემარცხენე ნაროდნიკებისთვის) ყველაზე «ხელსაყრელია» მონაცემები გაზეთების ტირაჟის შესახებ. მაგრამ ლიკვიდატორებს და მემარცხენე ნაროდნიკებს სწორედ ა რ ა მუშური,

არამედ ბურჟუაზიული გაზეთები აქვთ! ამას ამტკიცებს მონაცემები შეგროვებული თანხების შესახებ (1914 წლის 1 იანვრიდან 13 მაისამდე). ლიკვიდატორებს გამოქვეყნებული აქვთ ცნობები ა რ ა მუშებისაგან შემოსული ფულის შესახებ მ თ ე ლ ი შეგროვებული თანხის 56%-ის რაოდენობით («ტრუდოვაია პრავდა» № 15) *. მემარცხენე ნაროდნიკების სათანადო ციფრი = 50%. ამასთან მემარცხენე ნაროდნიკები, რამდენადაც ვიცით, სულაც არ ბეჭდავდნენ თავიანთი იმ გაზეთის ანგარიშებს, რომელსაც, ცხადია, ინახავენ, ისე როგორც ლიკვიდატორების გაზეთს, ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს წ რ ი ს მ დ ი- დ ა რ ი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი.

მხოლოდ პრავდისტული გაზეთია მუშათა გაზეთი. როგორც ლიკვიდატორების, ისე მემარცხენე ნაროდნიკების გაზეთები ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ზ ე თ ე ბ ი ა. არავითარი სიცრუით არ შეიძლება ამ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ფ ა ქ ტ ი ს უარყოფა.

მონაცემები მუშათა ჯგუფების შესახებ ყველაზე უფრო ზუსტად და ყველაზე უფრო უახლოვდება ევროპულ მონაცემებს პარტიის წევრთა რაოდენობის შესახებ.

მემარცხენე ნაროდნიკები ძალიან სწრაფად იზრდებიან (გაორკეცება ერთ წელიწადში) და მათ მიაღწიეს ყველა გაზეთის 12,8%-ს. ისინი იზრდებიან ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს ხ ა რ ჯ ზ ე, — ამ უკანასკნელთა ჯგუფების რაოდენობა თითქმის აბსოლუტურად უძრავია (1914 წ. ნახევარში მუშათა მოძრაობის საერთო უდიდესი ზრდის დროს მათ მიემატა სულ 10 ჯგუფი) და მუშათა ჯგუფების წილი შედარებით შ ე მ ც ი რ ე ბ უ ლ ი ა: 21,3%-დან 16,6%-მდე.

ბბ. ლიკვიდატორების ოპორტუნიზმი და პარტიისაგან განდგომა მუშებს მიერეკება მ ე ო რ ე, უფრო «რადიკალური» (სიტყვიერად), ბურჟუაზიული ჯგუფისაკენ.

პრავდისტებს 1913 წლიდან 1914 წლამდე შეემატათ 692 ჯგუფი, ლიკვიდატორებს 10, მემარცხენე ნაროდნიკებს

* იხ. ეს ტომი, გვ. 444 — 453. რ ე დ.

260. პროცენტულად: პრავდისტებს +31,7%, ლიკვიდატორებს +1,5%, მემარცხენე ნაროდნიკებს +100% (პატარა ციფრები ყოველთვის დიდზე უფრო ჩქარა იზრდება; მაგ., თუ პლეხანოვს მუშათა 9 ჯგუფი ჰყავს, ხოლო ვენის კონგრესის [106] დროისათვის — და ვენისათვის — 27 ან 45 ეყოლება, პროცენტობით ეს გამოიხატება + 200% + 400%).

მონაცემები სადაზღვევო დაწესებულებათა არჩევნების შესახებ მხოლოდ პიტერს შეეხება. უნდა აღინიშნოს, რომ ს.-პეტერბურგში 1914 წელს მემარცხენე ნაროდნიკები, მუშათა ჯგუფების შენატანთა რაოდენობის მიხედვით, ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ზ ე წ ი ნ აღმოჩნდნენ.

სახელდობრ, შენატანთა რაოდენობა ს.-პეტერბურგის მუშათა ჯგუფებისაგან 1914 წ. 1 იანვრიდან 13 მაისამდე პრავდისტებს ჰქონდათ 2 024, ლიკვიდატორებს — 308, მემარცხენე ნაროდნიკებს კი — 3 9 1. პროცენტობით: პრავდისტებს — 74.3%, ლიკვიდატორებს — 11,4%, მემარცხენე ნაროდნიკებს — 14,3%.

მემარცხენე ნაროდნიკების ამ გაძლიერების გამო ჩვენმა ლიკვიდატორებმა, როგორც ნამდვილმა ოპორტუნისტებმა, მარქსიზმისათვის გაძლიერებულ პრინციპულ ბრძოლას კი არ მიმართეს, არამედ მემარცხენე ნაროდნიკებთან ბლოკს (კავშირს) მარქსისტების (პრავდისტების) წინააღმდეგ!!

ამასთან მემარცხენე ნაროდნიკები ასეთ კავშირს აშკარად ქადაგებენ «სოვრემენნიკში» ყველა თავიანთი ბელადის პირით. ლიკვიდატორები კი ვ ე რ ბ ე დ ა ვ ე ნ პირდაპირ და აშკარად უთხრან მუშებს, თუ რაშია საქმე, და იმალებიან. ნამდვილი კადეტები არიან.

მაგ., ამას წინათ მემარცხენე-ნაროდნიკულ გაზეთში («ჟივაია მისლ ტრუდა» № 3, 1914 წ. 15 ივნისი) მოთავსებული იყო სტატია: ««აივაზის» ქარხანაში საავადმყოფო სალაროს რწმუნებულთა არჩევნებისათვის». ამ სტატიაში ვკითხულობთ: ...«აივაზელების სამსჯავროს, აუცილებლობის გამო, ორი სია წარედგინება: ე რ თ ი გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ-

ლი, მენშევიკებისა და მემარცხენე ნაროდ-ნიკებისა... მეორე — პრავდისტული სია»... (ხაზგასმულია ჩვენს მიერ).

ლიკვიდატორებთან კავშირი მემარცხენე ნაროდნიკებს იმავე სტატიაში გაგებული აქვთ პირდაპირ როგორც ყველა **«სოციალისტური»** მიმართულების თანამშრომლობის პრინციპი, ე. ი. ლიკვიდატორებს პირდაპირ მიაწერენ არა მარტო უარყოფას 1907 წ. რეზოლუციისას მემარცხენე ნაროდნიკების მიმართულების ბურჟუაზიულობის შესახებ, არამედ აქსელროდის მიერ წარმოდგენილი 1903 წლის რეზოლუციის უარყოფასაც.

მარქსისტებისათვის მემარცხენე ნაროდნიკების გაძლიერება წარმოადგენს გლეხობის აღმავლობის ერთ-ერთ ნიშანს ანუ წინასწარმაუწყებელს, რომელსაც, ბუნებრივია, შეუძლია «თავბრუ დაახვიოს» შეუგნებელ პროლეტარებსა და წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს. ჩვენ, მარქსისტებს, ეს მდგომარეობა მხოლოდ გვაიძულებს უფრო ენერგიულად გავწიოთ მარქსიზმის ქადაგება მეშჩანური ნაროდნიკობისაგან განსხვავებით.

ამხანაგო მუშებო! რაც შეიძლება ნაკლებად ენდეთ დარწმუნებებს — არაკებს! უფრო ყურადღებით შეისწავლეთ ობიექტური მონაცემები როგორც თქვენი, მუშათა მოძრაობის, ისე იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ მუშათა უმცირესობაზე ლიკვიდატორებისა და მემარცხენე ნაროდნიკების ბურჟუაზიული იდეები და ბურჟუაზიული პრაქტიკა.

«ტრუდოვაია პრავდა» № 27,
1914 წ. 28 ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

ერთა თვითგამოკვეთის უფლების შესახებ

დაწერილია 1914 წ. თებერვალ-მაისში

დაიბეჭდა 1914 წ. აპრილ-ივნისში
ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» №№ 4, 5 და 6
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით

რუსეთის მარქსისტების პროგრამის მეცხრე პარაგრაფმა, რომელიც ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ ლაპარაკობს, ამ უკანასკნელ დროს (როგორც უკვე «პროსვეშჩენიეში» აღვნიშნეთ) * ოპორტუნისტების მთელი ლაშქრობა გამოიწვია. რუსი ლიკვიდატორი სემკოვსკიც პეტერბურგის ლიკვიდატორულ გაზეთში, ბუნდელი ლიბმანიც, უკრაინელი ნაციონალ-სოციალი იურკევიჩიც — თავიანთ ორგანოებში **თავს** დაესხნენ ამ პარაგრაფს და მას უდიდესი ათვალწუნებით იხსენიებენ. ეჭვი არ არის, ოპორტუნიზმის ეს «ათორმეტ ენათა თავდასხმა» ჩვენს მარქსისტულ პროგრამაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე ნაციონალისტურ რყევასთან საერთოდ. ამიტომ წამოყენებული საკითხის დაწვრილებით გარჩევა ჩვენ დროულად მიგვაჩნია. ოღონდ აღვნიშნავთ, რომ არც ერთ დასახელებულ ოპორტუნისტს არც ერთი დამოუკიდებელი საბუთი არ მოუყვანია: ყველა ისინი მხოლოდ იმეორებენ იმას, რაც როზა ლუქსემბურგს ნათქვამი აქვს თავის გრძელ, 1908 — 1909 წელს პოლონურად დაწერილ სტატიაში: «ნაციონალური საკითხი და ავტონომია». ჩვენც უფრო ხშირად სწორედ ამ უკანასკნელი ავტორის «ორიგინალურ» საბუთებს გავუწევთ ანგარიშს შემდგომი გადმოცემის დროს.

* იხ. ეს ტომი, გვ. 1 — 46. რ ე დ.

1. რა არის ერთა თვითგამორკვევა?

ბუნებრივია, რომ ეს საკითხი ისმება პირველ რიგში, როდესაც ცდილობენ მარქსისტულად განიხილონ ეგრეთწოდებული თვითგამორკვევა. რა უნდა ვიგულისხმოთ თვითგამორკვევად? უნდა ვეძებოთ ამის პასუხი სამართლის ყოველგვარი «ზოგადი ცნებებიდან» გამოყვანილ იურიდიულ დეფინიციებში (განსაზღვრებში)? თუ პასუხი ეროვნულ მოძრაობათა ისტორიულ-ეკონომიურ შესწავლაში უნდა ვეძებოთ?

გასაკვირველი არ არის, რომ ბბ. სემკოვსკებმა, ლიბმანებმა, იურკევიჩებმა ვერც კი მოისაზრეს ამ საკითხის დასმა, დაკმაყოფილდნენ უბრალო ხითხითით მარქსისტული პროგრამის «ბუნდოვანების» გამო და, როგორც ეტყობა, არც კი უწყიან თავიანთი გულუბრყვილობით, რომ ერთა თვითგამორკვევის შესახებ ლაპარაკობს არა მარტო 1903 წლის რუსეთის პროგრამა, არამედ 1896 წლის ლონდონის საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებაც (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ). ბევრად უფრო გასაკვირველია, რომ როზა ლუქსემბურგი, რომელიც ამდენს ლაპარაკობს მაღალფარდოვნად ამ პარაგრაფის ვითომდა აბსტრაქტულობასა და მეტაფიზიკურობაზე, თვითონ ჩავარდა სწორედ აბსტრაქტულობისა და მეტაფიზიკურობის ამ ცოდვაში. სწორედ როზა ლუქსემბურგი გადადის მუდამ ზოგად მსჯელობებზე თვითგამორკვევის შესახებ (მეტად სასაცილო ბრძნულობამდეც კი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავიგოთ ერის ნებასურვილი), ისე რომ არსად ნათლად და ზუსტად არ აყენებს საკითხს, იურიდიულ განსაზღვრებშია საქმის არსი თუ მთელი მსოფლიოს ეროვნულ მოძრაობათა გამოცდილებაში?

ამ, მარქსისტისათვის აუცილებელი, საკითხის ზუსტი დასმა მყისვე ნიადაგს გამოაცლიდა როზა ლუქსემბურგის საბუთების ცხრა მეათედს. ეროვნული მოძრაობანი პირველად არ ჩნდებიან რუსეთში და მარტო მას როდი ახასიათებენ.

მთელ მსოფლიოში ეპოქა კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვებისა ფეოდალიზმზე ეროვნულ მოძრაობებთან იყო დაკავშირებული. ამ მოძრაობათა ეკონომიური საფუძველი ის არის, რომ სასაქონლო წარმოების სავსებით გასამარჯვებლად საჭიროა საშინაო ბაზრის დაპყრობა ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებულ ტერიტორიათა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ისე რომ ამასთან ამ ენის განვითარებას და ლიტერატურაში მის განმტკიცებას არავითარი დაბრკოლება აღარ გადაეღობოს. ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა; ენის ერთობა და მისი დაუბრკოლებელი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნამდვილად თავისუფალი და ფართო, თანამედროვე კაპიტალიზმის შესაფერი სავაჭრო ბრუნვისა, მოსახლეობის თავისუფლად და ფართოდ დაჯგუფებისა ყველა ცალკე კლასად, ბოლოს—იგი პირობას წარმოადგენს ბაზრის მჭიდრო კავშირისათვის ყოველ და თვითეულ მსხვილ თუ წვრილ მეპატრონესთან, გამყიდველსა და მყიდველთან.

ამიტომ ისეთ ე რ ო ვ ნ უ ლ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა შექმნა, რომლებიც ყველაზე უკეთ აკმაყოფილებენ თანამედროვე კაპიტალიზმის ამ მოთხოვნებს, წარმოადგენს ყოველი ეროვნული მოძრაობის ტენდენციას (მისწრაფებას). აქეთ უბიძგებენ ულრმესი ეკონომიური ფაქტორები, და ამიტომ მთელი დასავლეთი ევროპისათვის—უფრო მეტიც: მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის — ტ ი პ ი უ რ, ნორმალურ მოვლენას კაპიტალისტურ პერიოდში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს.

მაშასადამე, თუ გვინდა ერთა თვითგამორკვევის მნიშვნელობა გავიგოთ, ისე რომ იურიდიული დეფინიციებით კი არ ვითამაშოთ, აბსტრაქტული განსაზღვრანი კი არ «შევთხზათ», არამედ ეროვნულ მოძრაობათა ისტორიულ-ეკონომიური პირობები გავარჩიოთ, ჩვენ აუცილებლად შემდეგ დასკვნამდე მივალთ: ერთა თვითგამორკვევად იგულისხმება მათი სახელმწიფოებრივი გამოყოფა უცხო ერთა კოლექტივებისაგან,

იგულისხმება დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა.)

ქვემოთ ჩვენ დავინახავთ იმის სხვა მიზეზებსაც, თუ რატომ იქნებოდა უმართებულო, თვითგამორკვევის უფლებად რომ სხვა რაიმე გვეგულისხმნა, გარდა გამოცალკევებული სახელმწიფოებრივი არსებობის უფლებისა. ახლა კი იმაზე უნდა შევჩერდეთ, თუ როგორ ცდილობდა როზა ლუქსემბურგი «თავიდან მოეშორებინა» აუცილებელი დასკვნა ეროვნული სახელმწიფოსაკენ მისწრაფებათა ღრმა ეკონომიური საფუძვლების შესახებ.

როზა ლუქსემბურგი ძალიან კარგად იცნობს კაუცკის ბროშურას: «ეროვნება და ინტერნაციონალობა» («**Neue Zeit**»-ის [107] № 1, დამატება, 1907 — 1908; რუსული თარგმანი ჟურნალ «ნაუჩნაია მისლში», რიგა, 1908). მან იცის, რომ კაუცკიმ დაწვრილებით გაარჩია ამ ბროშურის § 4-ში ეროვნული სახელმწიფოს საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოტო ბაუერი «ს ა თ ა ნ ა დ ო დ ა რ ა ფ ა ს ე ბ ს ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ მისწრაფების ძალას» (გვ. 23 ციტირებული ბროშურისა). თვით როზა ლუქსემბურგს მოჰყავს კაუცკის სიტყვები: «ეროვნული სახელმწიფო არის სახელმწიფოს ფორმა, რომელიც ყ ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა თანამედროვე» (ე. ი. კაპიტალისტურ, ცივილიზებულ, ეკონომიურ-პროგრესულს, შუასაუკუნეობრივისა, წინაკაპიტალისტურისაგან და სხვ. განსხვავებით) «პირობებს, არის ის ფორმა, რომელშიც მას ყველაზე ადვილად შეუძლია თავისი ამოცანების შესრულება» (ე. ი. კაპიტალიზმის უაღრესად თავისუფალი, ფართო და სწრაფი განვითარების ამოცანებისა). ამას უნდა დაემატოს კიდევ კაუცკის უფრო ზუსტი დასკვნითი შენიშვნა, რომ ეროვნულად აჭრელებული სახელმწიფოები (ეგრეთწოდებული ეროვნებათა სახელმწიფოები, ნაციონალურ სახელმწიფოთაგან განსხვავებით) «ყოველთვის ისეთი სახელმწიფოები» არიან, «რომელთა შინაგანი აღნაგობა ამა თუ იმ მიზეზების გამო არანორმალური ან განუვითარე-

ბელი» (ჩამორჩენილი) «დარჩა». თავისთავად იგულისხმება, რომ კაუცკი არანორმალურობაზე ლაპარაკობს მხოლოდ იმასთან შეუფარდებლობის აზრით, რაც ყველაზე მეტად შეგუებულია განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმის მოთხოვნებთან.

ახლა საკითხავია, როგორღა მოეპყრო როზა ლუქსემბურგი კაუცკის ამ ისტორიულ-ეკონომიურ დასკვნებს? სწორია ეს დასკვნები თუ არაა სწორი? ვინ არის მართალი, — კაუცკი თავისი ისტორიულ-ეკონომიური თეორიით თუ ბაუერი, რომლის თეორია, თავისი საფუძვლით, ფსიქოლოგიურია? რაში მდგომარეობს კავშირი ბაუერის უეჭველი «ნაციონალური ოპორტუნიზმისა», მის მიერ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის დაცვისა, მისი ნაციონალისტური გატაცებებისა («აქა-იქ ეროვნული მომენტის გაძლიერებაო», როგორც კაუცკიმ თქვა), მის მიერ «ეროვნული მომენტის მეტისმეტად გაზვიადებისა და ინტერნაციონალური მომენტის სრული დავიწყებისა» (კაუცკი), ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ მისწრაფების ძალის ბაუერის მიერვე არასათანადოდ დაფასებასთან?

როზა ლუქსემბურგს არც კი დაუსვამს ეს საკითხი. მას არ შეუმჩნევია ეს კავშირი. იგი არ ჩაჰფიქრებია ბაუერის თეორიულ შეხედულებებს მ თ ლ ი ა ნ ა დ. მას სრულიადაც არ დაუპირისპირებია ერთმანეთისათვის ისტორიულ-ეკონომიური და ფსიქოლოგიური თეორია ნაციონალურ საკითხში. იგი დაკმაყოფილდა შემდეგი შენიშვნებით კაუცკის წინააღმდეგ.

«...ეს «საუკეთესო» ეროვნული სახელმწიფო მხოლოდ აბსტრაქციაა, რომელიც ადვილად ექვემდებარება თეორიულ განვითარებასა და თეორიულ დაცვას, მაგრამ არ შეესაბამება სინამდვილეს» (**«Przeglad Socjaldemokratyczny»** *, 1908, № 6, გვ. 499).

და ამ გადაჭრითი განცხადების დასადასტურებლად მოსდევს მსჯელობა იმის შესახებ, რომ დიდი კაპიტალისტური

* — «სოციალ-დემოკრატიული მიმოხილვა». რ ე დ.

სახელმწიფოების განვითარება და იმპერიალიზმი ილუზორულს ხდის მცირე ერთა «თვითგამორკვევის უფლებასო». «შეიძლება განა სერიოზულად ვილაპარაკოთ, — გაიძახის როზა ლუქსემბურგი,— ფორმალურად დამოუკიდებელი ჩერნოგორელების, ბულგარელების, რუმინელების, სერბიელების, ბერძნების, ნაწილობრივ თვით შვეიცარიელების «თვითგამორკვევაზე», როცა თვით მათი დამოუკიდებლობა «ევროპული კონცერტის» პოლიტიკური ბრძოლისა და დიპლომატიური თამაშის შედეგს წარმოადგენს?»! (გვ. 500). პირობებს საუკეთესოდ შეესაბამება «არა ეროვნული სახელმწიფო, როგორც კაუცკის ჰგონია, არამედ მტაცებლური სახელმწიფო». მოყვანილია რამდენიმე ათეული ციფრი იმ კოლონიების სიდიდეზე, რომლებიც ინგლისს, საფრანგეთს და სხვ. ეკუთვნის.

ასეთ მსჯელობას რომ კითხულობ, ძალაუნებურად განცვიფრებს ავტორის უნარი იმის გაუგებლობისა, თუ რ ა რ ა ს შ ე ე ფ ე რ ე ბ ა კაუცკის ათვის მედიდური სახით იმის სწავლება, რომ წვრილი სახელმწიფოები ეკონომიურად დიდ სახელმწიფოებზე არიან დამოკიდებულნი; რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის ბრძოლა წარმოებს სხვა ერთა მტაცებლური დათრგუნვისათვის; რომ არსებობს იმპერიალიზმი და კოლონიები,— ეს რაღაც სასაცილო, ბავშვური ბრძნულობაა, იმიტომ რომ საქმესთან ყოველივე ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. არა მარტო პატარა სახელმწიფოები, არამედ, მაგალითად, რუსეთიც ეკონომიურად სავსებით დამოკიდებულია «მდიდარი» ბურჟუაზიული ქვეყნების იმპერიალისტური ფინანსური კაპიტალის ძლიერებაზე. არა მარტო ბალკანეთის მინიატურული სახელმწიფოები, არამედ ამერიკაც XIX საუკუნეში ეკონომიურად ევროპის კოლონია იყო, როგორც ეს ჯერ კიდევ მარქსმა აღნიშნა «კაპიტალში» [108]. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ჩინებულად იცის კაუცკიმ და თვითეულმა მარქსისტმა, მაგრამ ეროვნულ მოძრაობათა და ეროვნული სახელმწიფოს საკითხთან ამას სრულიად არა აქვს რა საერთო.

როზა ლუქსემბურგმა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის, მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი შეცვალა მათი ეკონომიური თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობის საკითხით. ეს ისევე გონივრულია, როგორც ის, რომ ადამიანმა, რომელსაც განხილვის საგნად აუღია პროგრამული მოთხოვნა პარლამენტის, ე. ი. სახალხო წარმომადგენელთა კრების უმაღლესობისა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, დაიწყოს თავისი სავსებით სწორი შეხედულების გადმოცემა იმის შესახებ, რომ მსხვილ კაპიტალს უზენაესობა ეკუთვნის ბურჟუაზიული ქვეყნის ყოველ წესწყობილებაში.

უეჭველია, რომ აზიის — დედამიწის ყველაზე დასახლებული ნაწილის — მეტი წილი ან «დიდი სახელმწიფოების» კოლონიების მდგომარეობაში იმყოფება, ანდა მეტად დამოკიდებულ და ეროვნულად ჩაგრულ სახელმწიფოთა მდგომარეობაში. მაგრამ განა ეს საყოველთაოდ ცნობილი გარემოება თუნდ ნაწილობრივ მაინც აბათილებს იმ უდავო ფაქტს, რომ თვით აზიაში პირობები სასაქონლო წარმოების ყველაზე სრული განვითარებისა, კაპიტალიზმის ყველაზე თავისუფალი, ფართო და სწრაფი ზრდისათვის მხოლოდ იაპონიაში შეიქმნა, ე. ი. მხოლოდ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოში? ეს სახელმწიფო ბურჟუაზიულია, და ამიტომ თვითონ მან დაიწყო სხვა ერების ჩაგვრა და კოლონიების დამონება; ჩვენ არ ვიცით, მოასწრებს თუ არა აზია, კაპიტალიზმის კრახამდე, ევროპის მსგავსად დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა სისტემად მოეწყოს. მაგრამ უცილობელი რჩება, რომ კაპიტალიზმმა, გააღვიძა რა აზია, იქაც ყველგან ეროვნული მოძრაობანი გამოიწვია, რომ ამ მოძრაობათა ტენდენციაა აზიაში ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა, რომ კაპიტალიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს სწორედ ასეთი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ. აზიის მაგალითი კაუცკის ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ და როზა ლუქსემბურგის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მეტყველებს.

ბალკანეთის სახელმწიფოების მაგალითიც ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ლაპარაკობს, ვინაიდან ახლა ყველა ხედავს, რომ კაპიტალიზმის განვითარების საუკეთესო პირობები ბალკანეთში იქმნება სწორედ დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების შექმნისდა კვალად ამ ნახევარკუნძულზე.

მაშასადამე, მთელი მოწინავე ცივილიზებული კაცობრიობის მაგალითიც, ბალკანეთის მაგალითიც, აზიის მაგალითიც, როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ, კაუცკის დებულების სრულ სისწორეს ამტკიცებს: ეროვნული სახელმწიფო არის კაპიტალიზმის წესი და «ნორმა», ეროვნულად აჭრელებული სახელმწიფო კი ჩამორჩენილობა ან გამონაკლისია. ეროვნულ ურთიერთობათა თვალსაზრისით, კაპიტალიზმის განვითარების საუკეთესო პირობებს, უეჭველია, ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს ასეთი სახელმწიფო, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ნიადაგზე, ექსპლოატაციას და ერთა ჩაგვრას მოსპობდა. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მარქსისტები უყურადღებოდ ვერ დატოვებენ ძალოვან ეკონომიურ ფაქტორებს, რომლებიც ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის მისწრაფებას წარმოშობენ. ეს ნიშნავს, რომ «ერთა თვითგამორკვევას» მარქსისტების პროგრამაში, ისტორიულ-ეკონომიური თვალსაზრისით, არ შეიძლება სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ არ პოლიტიკური თვითგამორკვევის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მნიშვნელობა.

თუ რა პირობებში შეიძლება, მარქსისტული, ე. ი. კლასობრივი პროლეტარული თვალსაზრისით, «ეროვნული სახელმწიფოს» ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოთხოვნისათვის მხარისდაჭერა, ამაზე ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი. ახლა კი ვკმაყოფილდებით «თვითგამორკვევის» ცნების განსაზღვრით და მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ კიდევ, რომ როზა ლუქსემბურგმა იცის ამ ცნების («ეროვ-

ნული სახელმწიფო») შინაარსი, მაშინ როდესაც მისმა ოპორტუნისტმა მომხრეებმა, ლიბმანებმა, სემკოვსკებმა, იურკევიჩებმა, ესეც კი არ იციან!

2. საკითხის ისტორიული კონკრეტული დაყენება

მარქსისტული თეორიის უთუო მოთხოვნას ყოველგვარი სოციალური საკითხის გარჩევის დროს წარმოადგენს მისი ჩასმა განსაზღვრულ ისტორიულ ჩარჩოებში, ხოლო შემდეგ, თუ ლაპარაკია ერთ ქვეყანაზე (მაგალითად, ნაციონალურ პროგრამაზე ამა თუ იმ ქვეყნისათვის), იმ კონკრეტულ თავისებურებათა აღრიცხვა, რომლებიც ამ ქვეყანას სხვებისაგან განასხვავებენ ერთი და იმავე ისტორიული ეპოქის ფარგლებში.

რას ნიშნავს მარქსიზმის ეს უთუო მოთხოვნა, ჩვენი საკითხისადმი მიყენებით?

უწინარეს ყოვლისა ეს ნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ ზუსტად უნდა გაიმიჯნოს ერთიმეორისაგან კაპიტალიზმის ორი, ეროვნულ მოძრაობათა თვალსაზრისით ძირეულად განსხვავებული ეპოქა. ერთი მხრივ, ესაა ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის კრახის ეპოქა, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების ეპოქა, როცა ეროვნული მოძრაობანი პირველად ხდებიან მასობრივენი, ასე თუ ისე მოსახლეობის ყველა კლასს აბამენ პოლიტიკაში ბეჭდვითი სიტყვის, წარმომადგენლობითს დაწესებულებებში მონაწილეობისა და სხვ. გზით. მეორე მხრივ, ჩვენს წინაშეა სავსებით ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეპოქა, დიდი ხნის დამკვიდრებული კონსტიტუციური წყობილებით, ძლიერ განვითარებული ანტაგონიზმით პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის,—ეპოქა, რომელსაც კაპიტალიზმის კრახის წინადღე შეგვიძლია ვუწოდოთ.

პირველი ეპოქისათვის ტიპიურია ეროვნულ მოძრაობათა გამოღვიძება, მათში გლეხობის ჩაბმა, როგორც მოსახლეობის ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე «ძნელად ასა-

მოძრაველელი» ფენისა, იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოებს პოლიტიკური თავისუფლებისათვის საერთოდ და ეროვნების უფლებებისათვის კერძოდ. მეორე ეპოქისათვის ტიპიურია მასობრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობათა არარსებობა, როცა განვითარებული კაპიტალიზმი, უფრო და უფრო ააბლოებს და ერთმანეთში ურევს რა სავაჭრო ბრუნვაში უკვე სავსებით ჩაბმულ ერებს, პირველ რიგში აყენებს ინტერნაციონალურად შედუღებული კაპიტალის ანტაგონიზმს ინტერნაციონალურ მუშათა მოძრაობასთან.

რა თქმა უნდა, პირველი და მეორე ეპოქა კედლით კი არაა ერთმანეთისაგან გაყოფილი, არამედ დაკავშირებულია მრავალრიცხოვანი გარდამავალი რგოლებით, ამასთან სხვადასხვა ქვეყნები განსხვავდებიან აგრეთვე ეროვნული განვითარების სისწრაფით, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით, მისი განსახლებით და სხვ. და ა. შ.. ყოვლად შეუძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის მარქსისტების ნაციონალურ პროგრამას ისე მივუდგეთ, რომ მხედველობაში არ მივიღოთ ყველა ეს საერთო-ისტორიული და კონკრეტულ-სახელმწიფოებრივი პირობა.

და აი სწორედ აქ ვაწყდებით ჩვენ უსუსტეს ადგილს როზა ლუქსემბურგის მსჯელობაში. იგი არაჩვეულებრივი გულმოდგინებით ამკობს თავის სტატიას «მაგარი» სიტყვების თაიგულით ჩვენი პროგრამის მე-9 პარაგრაფის წინაალმდეგ. უწოდებს მას «მეტად ზოგადს», «შაბლონს», «მეტაფიზიკურ ფრაზას» და ასე დაუსრულებლივ. ბუნებრივი იყო გვეფიქრა, რომ მწერალი ქალი, რომელიც ასე საუცხოოდ კიცხავს მეტაფიზიკას (მარქსისტული აზრით, ე. ი. ანტიდიალექტიკას) და ცარიელ აბსტრაქციებს, საკითხის კონკრეტულ-ისტორიული განხილვის ნიმუშს მოგვცემდა. ლაპარაკია ერთი განსაზღვრული ქვეყნის, რუსეთის, ერთი განსაზღვრული ეპოქის, XX საუკუნის დასაწყისის მარქსისტების ნაციონალურ პროგრამაზე. იქნებ როზა ლუქსემბურგიც ასევე აყენებს იმ საკითხს, თუ *როგორ ისტორიულ* ეპოქას განიცდის რუსეთი, *როგორია* ნაციონალური საკითხისა და ეროვნულ მოძრაობათა

კონკრეტული თავისებურებანი განსაზღვრული ქვეყნისა განსაზღვრულ ეპოქაში?

სრულიად არაფერს არ ამბობს ამაზე როზა ლუქსემბურგი! მის სტატიაში თქვენ ვერ აღმოაჩენთ იმ საკითხის გარჩევის ნასახსაც, თუ როგორ დგას ნაციონალური საკითხი რუსეთში მიმდინარე ისტორიულ ეპოქაში, როგორია რუსეთის თავისებურებანი ამ მხრივ!

გვეუბნებიან, ნაციონალური საკითხი ბალკანეთში სხვანაირად ისმება, ვიდრე ირლანდიაშიო, მარქსი ასე და ასე აფასებდა პოლონელთა და ჩეხთა ეროვნულ მოძრაობას 1848 წლის კონკრეტულ პირობებშიო (მთელი გვერდი ამონაწერი მარქსიდან), ენგელსი ასე და ასე აფასებდა შვეიცარიის ტყიანი კანტონების ბრძოლას ავსტრიის წინააღმდეგ და მორგარტენთან ბრძოლას, რომელიც 1315 წელს მოხდაო (ერთი გვერდი ციტატები ენგელსიდან, სათანადო კომენტარებით კაუცკიდან), ლასალი რეაქციულ ომად თვლიდა გლეხთა ომს XVI საუკუნის გერმანიაშიო და სხვ.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს შენიშვნები და ციტატები სიახლით ბრწყინავდნენ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მკითხველისათვის საინტერესოა ერთხელ და ერთხელ კიდევ იმის გახსენება, სახელდობრ როგორ უდგებოდნენ მარქსი, ენგელსი და ლასალი ცალკეული ქვეყნების კონკრეტულ-ისტორიული საკითხების გარჩევას. და როცა მარქსიდან და ენგელსიდან ამოღებულ საგულისხმო ციტატებს კითხულობ, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ხედავ, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში ჩაუყენებია თავისი თავი როზა ლუქსემბურგს. იგი მჭევრმეტყველურად და გაგულისებით გვიქადაგებს ნაციონალური საკითხის კონკრეტულ-ისტორიული ანალიზის აუცილებლობას სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დროს,—და ოდნავაც კი არ ცდილობს გამოარკვიოს, კაპიტალიზმის განვითარების რომელღა ისტორიულ სტადიას განიცდის რუსეთი XX საუკუნის დასაწყისში, როგორია ნაციონალური საკითხის თავისებურებანი ამ ქვეყანაში. როზა

ლუქსემბურგი გვიჩვენებს იმის მაგალითებს, თუ როგორ არ-ჩევდნენ ს ხ ვ ე ბ ი საკითხს მარქსისტულად, და ამით თით-ქოს განზრახ ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ მოჰფენენ ხოლმე ხშირად ჯოჯოხეთს კარგი სურვილებით, როგორ ფარავენ კეთილი რჩევა-დარიგებით მისი საქმეზე გამოყენების უნდომ-ლობას ან უუნარობას.

აი ერთ-ერთი საგულისხმო დაპირისპირება. როზა ლუქ-სემბურგი ილაშქრებს პოლონეთის დამოუკიდებლობის ლო-ზუნგის წინააღმდეგ და იმოწმებს თავის 1898 წლის შრომას, სადაც დამტკიცებულია სწრაფი «სამრეწველო განვითარება პოლონეთისა», რომელიც საფაბრიკო პროდუქტებს ასაღებდა რუსეთში. ზედმეტია ლაპარაკი, რომ აქედან ჯერ კიდევ სრუ-ლიად არაფერი არ გამომდინარეობს თვითგამორკვევის უ ფ-ლ ე ბ ი ს საკითხზე, რომ ამით მხოლოდ ძველი შლიახტური პოლონეთის გაქრობა მტკიცდება და სხვ.. როზა ლუქსემბურ-გი კი შეუმჩნევლად მუდამ იმ დასკვნაზე გადადის, თითქოს რუსეთისა და პოლონეთის შემაკავშირებელ ფაქტორებს შო-რის უკვე დღეს თანამედროვე-კაპიტალისტურ ურთიერთობა-თა წმინდა-ეკონომიური ფაქტორები ჭარბობდეს.

მაგრამ აი ჩვენი როზა ავტონომიის საკითხზე გადადის და — თუმცა მისი სტატიის სათაურია «ნაციონალური საკითხი და ავტონომია» ს ა ე რ თ ო დ — იწყებს იმის მტკიცებას, რომ პოლონეთის სამეფოს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი უფლება აქვს ავტონომიისაო (იხილე ამის შესახებ «პროსვეშჩენიე» 1913 წ., № 12 *). პოლონეთის ავტონომიის უფლების დასასა-ბუთებლად როზა ლუქსემბურგი ახასიათებს რუსეთის სა-ხელმწიფო წყობილებას, ჩანს, როგორც ეკონომიური, პოლი-ტიკური, ისე ყოფაცხოვრებითი და სოციოლოგიური ნიშნების მიხედვით,—ეს თვისებები კი ერთობლივად იძლევიან «აზიუ-რი დესპოტიზმის» ცნებას («**Przeglad**»-ის № 12, გვ. 137).

ყველასათვის ცნობილია, რომ ამგვარ სახელმწიფოებ-რივ წყობილებას ძალიან დიდი სიმტკიცე აქვს იმ შემთხვე-

* იხ. ეს ტომი, გვ. 37 — 46. რ ე დ.

ვებში, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში ჭარბობს სრულიად პატრიარქალური, წინაკაპიტალისტური ნიშნები, ხოლო სასაქონლო მეურნეობა და კლასობრივი დიფერენციაცია უმნიშვნელოდ არის განვითარებული. და თუ ასეთ ქვეყანაში, რომლის სახელმწიფოებრივი წყობილება აშკარა წ ი ნ ა-კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი ს ტ ი ს ხასიათით განირჩევა, არსებობს ეროვნულად შემოფარგლული ოლქი, სადაც კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს წ რ ა ფ ა დ ვითარდება, მაშინ, რამდენადაც უფრო სწრაფია ეს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი ს ტ ი ს განვითარება, მით უფრო ძლიერია წინააღმდეგობა ამ უკანასკნელსა და წ ი ნ ა-კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ურ სახელმწიფოებრივ წყობილებას შორის, მით უფრო მოსალოდნელია მოწინავე ოლქის გამოყოფა მთელისაგან,— ოლქისა, რომელიც მთელთან შეკავშირებულია არა «თანამედროვე-კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ი ს ტ ი ს», არამედ «აზიურ-დესპოტური» ურთიერთობით.

როზა ლუქსემბურგმა, ამრიგად, სრულიად ვერ გაართვა თავი ბურჟუაზიული პოლონეთისადმი რუსეთის ხელისუფლების სოციალური სტრუქტურის მიმართების საკითხსაც კი, ხოლო რუსეთში ეროვნულ მოძრაობათა კონკრეტულ-ისტორიული თავისებურებების საკითხი მას არც კი დაუყენებია.

სწორედ ამ საკითხზე უნდა შევჩერდეთ ჩვენ.

3. ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი საკითხის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი თ ა ვ ი ს ებ ურ ებ ა ნ ი რ უ ს ე თ ი ს ა (((

«უაღრესად ზოგადი ადგილის», გაგებას, როზა ლუქსემბურგი თვითონვე სჩადის ამ ცოდვას, როცა სასაცილო გაბედულობით აცხადებს, თითქოს ეს პუნქტი, «ცხადია, ერთნაირად გამოდგება» რუსეთის, გერმანიისა და სხვ. მიმართ.

ცხადია,—ვუპასუხებთ ჩვენ,— როზა ლუქსემბურგს გადაუწყვეტია თავის სტატიაში მოგვცეს კრებული ლოგიკური შეცდომებისა, რომლებიც გიმნაზიელების სამეცადინოდ გამოდგება. ვინაიდან როზა ლუქსემბურგის ტირადა თავიდან ბოლომდე უაზრობაა და დაცინვაა საკითხის ისტორიულ-კონკრეტული დაყენებისა.

V თუ მარქსისტულ პროგრამას არა ბავშვურად, არამედ მარქსისტულად განვმარტავთ, სულ ადვილია იმის მიხვედრა, რომ იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეროვნულ მოძრაობებს შეეხება. რაკი ეს ასეა,— ეს კი უეჭველად ასეა,— აქედან «ცხადია», რომ ეს პროგრამა «ხელადებით» ეხება, როგორც «ზოგადი ადგილი» და სხვ., ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეროვნულ მოძრაობათა ყ ვ ე ლ ა შემთხვევას. როზა ლუქსემბურგისათვის, ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ, არა ნაკლებ ცხადი იქნებოდა ის დასკვნაც, რომ ჩვენი პროგრამა მ ხ ო ლ ო დ ასეთი მოძრაობის არსებობის შემთხვევებს შეეხება.

როზა ლუქსემბურგი რომ ამ ცხად მოსაზრებებს ჩაჰფიქრებოდა, ადვილად დაინახავდა, თუ რა უაზრობა თქვა. როცა ჩ ვ ე ნ «ზოგადი ადგილის» მოყვანას გვისაყვედურებს, ჩ ვ ე ნ ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მას ის საბუთი მოჰყავს, რომ ერთა თვითგამორკვევაზე არაფერია ნათქვამი იმ ქვეყნების პროგრამაში, სადაც ა რ ა ა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ეროვნული მოძრაობანიო. შესანიშნავად ჭკვიანური საბუთია!

სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების, აგრეთვე მათი მარქსისტული პროგრამების შედარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარქსიზმის თვალსაზრისით, იმიტომ რომ უეჭველია როგორც თანამედროვე სახელმწიფოების საერთო კაპიტალისტური ბუნება, ისე მათი გან-

ვითარების საერთო კანონი. მაგრამ ასეთი შედარება მოხერ-ხებულად უნდა მოვახდინოთ. საანბანო პირობას წარმოად-გენს ამასთან იმ საკითხის გამორკვევა, შ ე ს ა დ ა რ ი ს ი ა თუ არა შესადარებელი ქვეყნების განვითარების ისტორიუ-ლი ეპოქები. მაგალითად, რუსეთის მარქსისტების აგრარულ პროგრამას დასავლეთ-ევროპულთან მხოლოდ სრულიად უმე-ცარი ადამიანები (თავად ე. ტრუბეცკოის მსგავსად «რუსს-კაია მისლში») თუ «შეადარებენ», ვინაიდან ჩვენი პროგრამა პასუხს იძლევა ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი აგრარული გარდაქმნის საკითხზე, რის შესახებ ლაპარაკიც კი არ არის დასავლეთის ქვეყნებში.

იგივე ითქმის ნაციონალურ საკითხზეც. დასავლეთის ქვეყ-ნების უმრავლესობაში იგი დიდი ხანია გადაჭრილია. სასაცი-ლოა არარსებულ საკითხებზე პასუხის ძებნა დასავლეთის პროგრამებში. როზა ლუქსემბურგს აქ სწორედ ყველაზე უმ-თავრესი გამოეპარა: განსხვავება იმ ქვეყნებს შორის, სადაც დიდი ხანია დამთავრებულია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნანი, და იმ ქვეყნებს შორის, სადაც ეს გარდაქმნანი ჯერ არ დამთავრებულა.

ამ განსხვავებაშია მთელი დედააზრი. სწორედ ამ განსხვა-ვების სრული უგულებელყოფა აქცევს როზა ლუქსემბურგის შეტისმეტად გრძელ სტატიას ცარიელი, უშინაარსო ზოგადი ადგილების გროვად.

დასავლეთ, კონტინენტალურ, ევროპაში ბურჟუაზი-ულ-დემოკრატიული რევოლუციების ეპოქა მოიცავს საკმაოდ განსაზღვრულ ხანას, დაახლოებით 1789 წლიდან 1871 წლამ-დე. სწორედ ეს ეპოქა იყო ეროვნულ მოძრაობათა და ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნის ეპოქა. ამ ეპოქის დასრულების შემდეგ დასავლეთი ევროპა გადაიქცა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა, ამასთან, როგორც საერ-თო წესი, ეროვნულად ერთიან სახელმწიფოთა ჩამოყა-ლიბებულ სისტემად. ამიტომ, ვინც ახლა დასავლეთ ევროპის

სოციალისტების პროგრამებში თვითგამორკვევის უფლებას ეძებს, მას მარქსიზმის ანბანაც კი არ გაეგება.

აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციათა ეპოქა მხოლოდ 1905 წელს დაიწყო. რევოლუციები რუსეთში, სპარსეთში, თურქეთსა და ჩინეთში, ომები ბალკანეთში — აი ჩვენი ეპოქის ჩვენი «აღმოსავლეთის» მსოფლიო ამბების ჯაჭვი. და ამ ამბების ჯაჭვში მხოლოდ ბრმას შეუძლია არ დაინახოს მთელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ეროვნულ მოძრაობათა გაღვიძება, მისწრაფება ეროვნულად დამოუკიდებელ და ეროვნულად ერთიან სახელმწიფოთა შექმნისაკენ. სწორედ იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი მეზობელ ქვეყნებთან ერთად ამ ეპოქას განიცდის, ჩვენ გვესაჭიროება ერთა თვითგამორკვევის უფლების პუნქტი ჩვენს პროგრამაში.

მაგრამ ცოტა კიდევ განვაგრძოთ ზემოთ მოყვანილი ციტატა როზა ლუქსემბურგის სტატიიდან:

...«განსაკუთრებით — წერს იგი — იმ პარტიის პროგრამა, რომელიც ეროვნული შემადგენლობის მხრივ მეტად აჭრელებულ სახელმწიფოში მოქმედებს და რომლისთვისაც ნაციონალური საკითხი პირველხარისხოვან როლს ასრულებს, — სახელდობრ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამა, არ შეიცავს ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპს» (იქვე).

ამრიგად, მკითხველი «განსაკუთრებით» ავსტრიის მაგალითით უნდათ დაარწმუნონ. ვნახოთ, კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით, რამდენად გონივრულია ეს მაგალითი.

ჯერ-ერთი, ვაყენებთ ძირითად საკითხს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამთავრების შესახებ. ავსტრიაში იგი 1848 წელს დაიწყო და 1867 წელს დასრულდა. ამის შემდეგ იქ, თითქმის ნახევარი საუკუნეა, ბატონობს ჩამოყალიბებული, საერთოდ და მთლიანად ბურჟუაზიული კონსტიტუცია, რომლის ნიადაგზეც ლეგალურად მოქმედებს ლეგალური მუშათა პარტია.

ამიტომ ავსტრიის განვითარების შინაგან პირობებში (ე. ი. კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით ავსტრიაში საერთოდ და ცალკეულ მის ერებში კერძოდ) არ არის იმ

ნახტომთა წარმომშობი ფაქტორები, რომელთა ერთ-ერთი თანამგზავრი შეიძლება ეროვნულად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნა იყოს. როცა როზა ლუქსემბურგი თავისი შედარებით გულისხმობს, რომ რუსეთი, ამ პუნქტის მხრივ, ანალოგიურ პირობებში იმყოფება, იგი არა თუ ძირშივე უმართებულო, ანტიისტორიულ აზრს ადგება, არამედ უნებურად ლიკვიდატორობისკენაც ეშვება.

მეორეც, ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სრულიად სხვადასხვა თანაფარდობას ეროვნებათა შორის ავსტრიასა და რუსეთში. ავსტრია დიდხანს არა მარტო ისეთი სახელმწიფო იყო, სადაც გერმანელები ჭარბობდნენ, არამედ ავსტრიელი გერმანელები ჰეგემონიას იჩემებდნენ გერმანელ ერში საზოგადოდ. ეს «პრეტენცია», როგორც შეიძლება კეთილინებოს და გაიხსენოს როზა ლუქსემბურგმა (რომელსაც თითქოს არ უყვარს ზოგადი ადგილები, შაბლონები, აბსტრაქციები...), დაამსხვრია 1866 წლის ომმა. ავსტრიაში გაბატონებული ერი, გერმანელი ერი, იმ დამოუკიდებელი გერმანული სახელმწიფოს ფარგლებს გარეშე აღმოჩნდა, რომელიც საბოლოოდ 1871 წელს ჩამოყალიბდა. მეორე მხრივ, უნგრელთა ცდა — დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო შეექმნათ, მარცხით დამთავრდა ჯერ კიდევ 1849 წელს, რუსეთის ბატონყმური ჯარის დარტყმებს ქვეშ.

ამრიგად მეტად თავისებური მდგომარეობა შეიქმნა: უნგრელები, შემდეგ კი ჩეხებიც, მიისწრაფოდნენ სწორედ არა ავსტრიიდან გამოყოფისაკენ, არამედ ავსტრიის მთლიანობის შენარჩუნებისაკენ სწორედ ეროვნული დამოუკიდებლობის გულისთვის, იმიტომ რომ სხვანაირად ამ დამოუკიდებლობას სრულიად გაანადგურებდნენ უფრო მტაცებელი და ძლიერი მეზობლები! ამ თავისებური მდგომარეობის გამო ავსტრია ორცენტრიან (დუალისტურ) სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ხოლო ახლა სამცენტრიანი ხდება (ტრიალისტური: გერმანელები, უნგრელები, სლავები).

არის თუ არა რაიმე ამის მსგავსი რუსეთში? არის თუ არა ჩვენში «უცხოტომელთა» მისწრაფება ველიკოროსებთან შეერთებისაკენ უარესი ეროვნული ჩაგვრის შიშით?

საკმაოა ამ კითხვის დასმა, რათა დავინახოთ, რამდენად უაზრო, შაბლონური და უმეცრულია რუსეთის შედარება ავსტრიასთან ერთა თვითგამორკვევის საკითხში.

რუსეთის თავისებური პირობები, ნაციონალური საკითხის მხრივ, პირდაპირ საწინააღმდეგოა იმისა, რაც ჩვენ ავსტრიაში ვნახეთ. რუსეთი არის სახელმწიფო ერთიანი ეროვნული ცენტრით — ველიკოროსულით. ველიკოროსებს უზარმაზარი მთლიანი ტერიტორია უჭირავთ, ხოლო რიცხვით დაახლოებით 70 მილიონ სულს აღწევენ. ამ ეროვნული სახელმწიფოს თავისებურება, ჯერ-ერთი, ისაა, რომ «უცხოტომელები» (ისინი საერთოდ მოსახლეობის უმრავლესობას — 57%-ს შეადგენენ) სწორედ განაპირა მხარეებში არიან დასახლებულნი; მეორეც, ისაა, რომ ამ უცხოტომელების ჩაგვრა აქ ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მეზობელ სახელმწიფოებში (და არა მარტო ევროპულ სახელმწიფოებში); მესამეც, ისაა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში განაპირას მცხოვრებ ჩაგრულ ერებს საზღვრის გადაღმა თავიანთი თანამეტომენი ჰყავთ, რომელნიც მეტი ეროვნული დამოუკიდებლობით სარგებლობენ (საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც სახელმწიფოს დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე — ფინელები, შვეციელები, პოლონელები, უკრაინელები, რუმინელები); მეოთხეც, ისაა, რომ კაპიტალიზმის განვითარება და კულტურის საერთო დონე ხშირად «უცხოტომელთა» განაპირა კუთხეებში უფრო მაღალია, ვიდრე სახელმწიფოს ცენტრში. ბოლოს, სწორედ მეზობელ აზიურ სახელმწიფოებში დაიწყო ხანა ბურჟუაზიული რევოლუციებისა და ეროვნული მოძრაობისა, რაც ნაწილობრივ მოედო რუსეთის ფარგლებში მყოფ მონათესავე ხალხებსაც.

ამრიგად, რუსეთში ნაციონალური საკითხის სწორედ ისტორიული კონკრეტული თავისებურებანი განსაკუთრებით

გადაუდებელს ხდიან ჩვენში ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას მიმდინარე ეპოქაში.

ესეც არ იყოს, წმინდა-ფაქტიური მხრითაც კი სწორი არაა როზა ლუქსემბურგის მტკიცება — ავსტრიელი ს.-დ-ების პროგრამაში აღიარებული არ არის ერთა თვითგამორკვევის უფლებაო. საკმარისია გადავშალოთ ოქმები ბრიუნის ყრილობისა, რომელმაც ნაციონალური პროგრამა მიიღო, და ჩვენ ვნახავთ იქ რუსინი ს.-დ. განკვეჩის განცხადებას უკრაინელთა (რუსინთა) მთელი დელეგაციის სახელით (ოქმების გვ. 85) და პოლონელი ს.-დ. რეგერისას — პოლონელთა მთელი დელეგაციის სახელით (გვ. 108) იმის შესახებ, რომ ორივე აღნიშნული ერის ავსტრიელი ს.-დ-ები ერთ-ერთ თავიანთ მისწრაფებად სახავენ თავიანთი ხალხების ეროვნული გაერთიანებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. მაშასადამე, თუმცა ავსტრიის ს.-დ-ტიას პირდაპირ არა აქვს წამოყენებული თავის პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ იმავე დროს იგი სავსებით იწყნარებს პარტიის ნ ა წ ი ლ ე ბ ი ს მიერ ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნის წამოყენებას. ფაქტიურად კი ეს, რა თქმა უნდა, სწორედ ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას ნიშნავს! ამრიგად, როზა ლუქსემბურგის მიერ ავსტრიის დამოწმება ყ ო ვ ე ლ ი მხრით როზა ლუქსემბურგისავე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ლაპარაკობს.

4. «პრაქტიციზმი» ნაციონალურ საკითხში

ოპორტუნისტები განსაკუთრებით გულმოდგინედ ჩაეჭიდნენ როზა ლუქსემბურგის იმ საბუთს, თითქოს ჩვენი პროგრამის § 9 არაფერს შეიცავდეს «პრაქტიკულს». როზა ლუქსემბურგი ისე აღტაცებულია ამ საბუთით, რომ მის სტატიაში ამ «ლოზუნგის» განმეორება ალაგ-ალაგ რვაჯერ გვხვდება თითო გვერდზე.

§ 9 «არ იძლევა — წერს ის — არავითარ პრაქტიკულ მითითებას პროლეტარიატის ყოველდღიური პოლიტიკისა-

თვის, ეროვნული პრობლემების არავითარ პრაქტიკულ გადაჭრას».

განვიხილოთ ეს საბუთი, რომელიც კიდევ ასე გამოითქმის: § 9 ან სრულიად არაფერს გამოხატავს, ან გვავალებს მხარი დავუჭიროთ ყველა ეროვნულ მისწრაფებასო.

რას ნიშნავს «პრაქტიკულობის» მოთხოვნა ნაციონალურ საკითხში?

ან ყველა ეროვნული მისწრაფების მხარისდაჭერას; ან პასუხს: «ჰო თუ არა» თვითეული ერის გამოყოფის საკითხზე; ან საზოგადოდ ეროვნულ მოთხოვნათა უშუალო «განხორციელების შესაძლებლობას».

განვიხილოთ «პრაქტიკულობის» მოთხოვნის სამივე ეს შესაძლებელი აზრი.

ბურჟუაზია, რომელიც ყოველი ეროვნული მოძრაობის დასაწყისში ბუნებრივად მის ჰეგემონად (ხელმძღვანელად) გამოდის, პრაქტიკულ საქმეს უწოდებს ყველა ეროვნული მისწრაფებისათვის მხარისდაჭერას. მაგრამ პროლეტარიატის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში (როგორც დანარჩენ საკითხებშიც) მხოლოდ განსაზღვრული მიმართულებით უჭერს მხარს ბურჟუაზიას, მაგრამ არასოდეს არ დაემთხვევა ხოლმე მის პოლიტიკას. მუშათა კლასი მხარს უჭერს ბურჟუაზიას მხოლოდ ეროვნული მშვიდობის ინტერესებისათვის (რომლის მთლიანად მოცემა ბურჟუაზიას არ შეუძლია და რომლის განხორციელება მხოლოდ ს რ უ ლ ი დემოკრატიზაციისდა კვალად შეიძლება), თანასწორუფლებიანობის, კლასობრივი ბრძოლისათვის საუკეთესო პირობების შექმნის ინტერესებისათვის. ამიტომ სწორედ ბურჟუაზიის პ რ ა ქ ტ ი ც ი ზ მ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ პროლეტარები ნაციონალურ საკითხში პ რ ი ნ ც ი პ უ ლ პოლიტიკას აყენებენ და ბურჟუაზიას ყოველთვის მ ხ ო ლ ო დ პ ი რ ო ბ ი თ ა დ უჭერენ მხარს. ყოველ ბურჟუაზიას ეროვნულ საქმეში ან პრივილეგიები სურს თ ა ვ ი ს ი ერისათვის, ან განსაკუთრებული სარგებლობა მისთვის; აი ამას ჰქვია «პრაქტიკულობა». პროლეტარიატი

ყოველგვარი პრივილეგიების, ყოველივე განსაკუთრებულობის წინააღმდეგია. მისგან «პრაქტიციზმის» მოთხოვნა — ბურჟუაზიის კუდში ადევნებას, ოპორტუნიზმში ჩაფლობას ნიშნავს.

«ჰო თუ არა»-ს პასუხის გაცემა თვითეული ერის გამოყოფის საკითხზე? ეს თითქოს მეტად «პრაქტიკული» მოთხოვნაა. ნამდვილად კი იგი უაზროა, თეორიულად მეტაფიზიკურია, პრაქტიკულად კი იწვევს პროლეტარიატის დაქვემდებარებას ბურჟუაზიის პოლიტიკისადმი. ბურჟუაზია პირველ რიგში ყოველთვის თავის ეროვნულ მოთხოვნებს აყენებს. აყენებს მათ ყოველი პირობის გარეშე. პროლეტარიატისათვის ისინი კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს ექვემდებარებიან. თეორიულად შეუძლებელია წინდაწინ დანამდვილებით თქმა, რით დამთავრდება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია: ამა თუ იმ ერის გამოყოფით თუ სხვა ერთან მისი უფლებრივი გათანასწორებით; პროლეტარიატისათვის ო რ ი ვ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი მნიშვნელობა აქვს მისი კლასის განვითარების უზრუნველყოფას; ბურჟუაზიისათვის მნიშვნელობა აქვს ამ განვითარების შეფერხებას, მისი ამოცანების უკან დაყენებას «თავისი» ერის ამოცანების წინაშე. ამიტომ პროლეტარიატი კმაყოფილდება, ასე ვთქვათ, უარყოფითი მოთხოვნით — თვითგამორკვევის უ ფ ლ ე ბ ი ს აღიარების მოთხოვნით; იგი არც ერთ ერს გარანტიას არ აძლევს, ვალდებულებას არ კისრულობს — სხვა ერის ხ ა რ ჯ ზ ე მისცეს რ ა მ ე.

დაე ეს «პრაქტიკული» არ იყოს, მაგრამ ნამდვილად ეს ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს შესაძლებელ გადაწყვეტილებათაგან ყველაზე დემოკრატიულ გადაწყვეტილებას; პროლეტარიატს მ ხ ო ლ ო დ ეს გარანტიები ესაჭიროება, ხოლო ყოველი ერის ბურჟუაზიას ესაჭიროება თ ა ვ ი ს ი გამორჩენის გარანტიები, მიუხედავად სხვა ერთა მდგომარეობისა (შესაძლებელი მინუსებისა).

ბურჟუაზიისათვის ყველაზე უფრო საინტერესოა ამა თუ იმ მოთხოვნის «განხორციელების შესაძლებლობა», — აქედან

გამომდინარეობს მუდმივი პოლიტიკა გარიგებისა სხვა ერთა ბურჟუაზიასთან—პროლეტარიატის საზიანოდ. პროლეტარიატისათვის კი მნიშვნელოვანია თავისი კლასის განმტკიცება ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მასების აღზრდა თანამიმდევარი დემოკრატიისა და სოციალიზმის სულისკვეთებით.

დაე ეს «პრაქტიკული» არ იყოს ოპორტუნისტებისათვის, მაგრამ ნამდვილად ეს ერთადერთი გარანტიაა, მაქსიმალური ეროვნული თანასწორუფლებიანობისა და მშვიდობის გარანტია როგორც ფეოდალების, ისე ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

პროლეტარების მთელი ამოცანა ნაციონალურ საკითხში «არაპრაქტიკულია», თვითეული ერის ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ი ბურჟუაზიის თვალსაზრისით, ვინაიდან პროლეტარები, როგორც ყოველგვარი ნაციონალიზმის მტრები, მოითხოვენ «აბსტრაქტულ» თანასწორუფლებიანობას, სულ ოდნავი პრივილეგიის პრინციპულ არარსებობას. ეს ვერ გაიგო როზა ლუქსემბურგმა და პრაქტიციზმის თავისი უგუნური შექებით ფართოდ გაუღო კარი სწორედ ოპორტუნისტებს, განსაკუთრებით ოპორტუნისტულ დამმობებს ველიკოროსული ნაციონალიზმისადმი.

რატომ ველიკოროსულისადმი? იმიტომ, რომ ველიკოროსები რუსეთში მჩაგვრელი ერია, ეროვნული მხრივ კი, ბუნებრივია, ოპორტუნიზმი სხვადასხვანაირად გამოიხატება ჩაგრულ და მჩაგვრელ ერებს შორის.

ჩაგრულ ერთა ბურჟუაზია თავის მოთხოვნათა «პრაქტიკულობის» გულისთვის პროლეტარიატს მოუწოდებს უთუოდ დაუჭიროს მხარი მის მისწრაფებებს. ყველაზე უფრო პრაქტიკულია პირდაპირი «ჰოს» თქმა ა მ ა დ ა ა მ ერის გამოყოფის სასარგებლოდ, და არა ყველა და ყოველგვარ ერთა გამოყოფის უ ფ ლ ე ბ ი ს სასარგებლოდ!

პროლეტარიატი ასეთი პრაქტიციზმის წინააღმდეგია: იგი აღიარებს თანასწორუფლებიანობას და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის თანასწორ უფლებას, იგი ყველაზე მე-

ტად აფასებს და მაღლა აყენებს ყველა ერის პროლეტარების კავშირს, იგი მუშათა კლასობრივი ბრძოლის თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ აფასებს ყოველ ეროვნულ მოთხოვნას, ყოველ ეროვნულ გამოყოფას. პრაქტიკიზმის ლოზუნგი ნამდვილად მხოლოდ ბურჟუაზიულ მისწრაფებათა უკრიტიკოდ გადმოღების ლოზუნგია.

ჩვენ გვეუბნებიან: როცა გამოყოფის უფლებას უჭერთ მხარს, ამით თქვენ ხელს უწყობთ ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსო. ასე ლაპარაკობს როზა ლექსემბურგი, ამასვე იმეორებს მის კვალდაკვალ ოპორტუნისტი სემკოვსკი, — რომელიც — აქვე უნდა ითქვას — ამ საკითხში ლიკვიდატორული იდეების ერთადერთი წარმომადგენელია ლიკვიდატორულ გაზეთში!

ჩვენ ვუპასუხებთ: არა, აქ სწორედ ბურჟუაზიისათვის აქვს მნიშვნელობა «პრაქტიკულ» გადაწყვეტას, ხოლო მუშებისათვის თავიდათავია ორი ტენდენციის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი გამოყოფა. რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ჩაგრული ერის ბურჟუაზია ებრძვის მჩაგვრელს, ი მ დ ე ნ ა დ ჩვენ ყოველთვის, ყოველ შემთხვევაში და ყველაზე გადაჭრით ვ ე მ ხ რ ო ბ ი თ მას, ვინაიდან ჩვენ ჩაგვრის ყველაზე გაბედული და თანამიმდევარი მტრები ვართ. რამდენადაც ჩაგრული ერის ბურჟუაზია თ ა ვ ი ს ი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მომხრეა, ჩვენ მისი წინააღმდეგნი ვართ. ბრძოლა მჩაგვრელი ერის პრივილეგიებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ და არავითარი დათმობა პრივილეგიებისაკენ მისწრაფებას ჩაგრული ერის მხრივ.

ჩვენ რომ აგიტაციის დროს გამოყოფის უ ფ ლ ე ბ ი ს ლოზუნგი არ წამოვაყენოთ და არ გავატაროთ, ჩვენ ხელს შევუწყობთ მ ჩ ა გ ვ რ ე ლ ი ერის არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ ფეოდალებსაც და აბსოლუტიზმსაც. ეს საბუთი კაუცკიმ დიდი ხანია წამოაყენა როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ, და ეს საბუთი უცილობელია. როზა ლუქსემბურგს ეშინია — «დახმარება» არ გავუწიო პოლონეთის ნაციონალისტურ ბურჟუაზიასო, და იმით, რომ უარყოფს გამოყოფის უ ფ ლ ე-

ბ ი ს შეტანას რ უ ს ე თ ი ს მარქსისტების პროგრამაში, ს ა ქ მ ი თ ეხმარება ველიკოროს შავრაზმელებს. იგი საქმით ეხმარება ოპორტუნისტულ შერიგებას ველიკოროსების პრივილეგიებთან (პრივილეგიებზე უარეს რამესთანაც).

პოლონეთის ნაციონალიზმთან ბრძოლით გატაცებულს, როზა ლუქსემბურგს დაავიწყდა ველიკოროსების ნაციონალიზმი, თუმცა სწორედ ეს ნაციონალიზმია ყველაზე საშიში ამჟამად, სწორედ ისაა ნაკლებ ბურჟუაზიული, მაგრამ უფრო ფეოდალური, სწორედ ისაა მთავარი მუხრუჭი დემოკრატიისა და პროლეტარული ბრძოლისა. ჩაგრული ერის ყ ო ვ ე ლ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი ჩაგვრის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, და ა ი ამ შინაარსს ჩვენ უ თ უ ო დ ვუჭერთ მხარს, ამასთან მკაცრად გამოვ-ყოფთ მისწრაფებას საკუთარი ეროვნული განსაკუთრებულობისაკენ, ვებრძვით პოლონელი ბურჟუას მისწრაფებას — ჩაგროს ებრაელი და სხვ. და სხვ.

ეს «არაპრაქტიკულია» ბურჟუას და მეშჩანის თვალსაზრისით. ეს ერთადერთი პრაქტიკული და პრინციპული და ისეთი პოლიტიკაა ნაციონალურ საკითხში, რომელიც მართლაც ხელს უწყობს დემოკრატიას, თავისუფლებას, პროლეტარულ კავშირს.

გამოყოფის უფლების აღიარება ყველასათვის; გამოყოფის თვითეული კონკრეტული საკითხის დაფასება ისეთი თვალსაზრისით, რომელიც უკუაგდებს ყოველგვარ არათანასწორუფლებიანობას, ყოველგვარ პრივილეგიას, ყოველგვარ განსაკუთრებულობას.

ავიღოთ მჩაგვრელი ერის პოზიცია. შეიძლება თუ არა თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს? არა. ველიკოროსი მოსახლეობის * თავისუფლების ინტერე-

---

* ვინმე ლ. ვლ.-ს [109] პარიზიდან ეს სიტყვა არამარქსისტულად ეჩვენება. ეს ლ. ვლ. სასაცილოდ «**superklug**»-ია (ირონიულად რომ ვთარგმნოთ, გამოვა: «ჭკუის კოლოფი»). როგორც ეტყობა, ეს «ჭკუის კოლოფი»

სები ბრძოლას მოითხოვს ასეთი ჩაგვრის წინააღმდეგ. ჩაგრული ერების მოძრაობათა დათრგუნვის ხანგრძლივმა ისტორიამ, საუკუნოვანმა ისტორიამ, ასეთი დათრგუნვის სისტემატურმა პროპაგანდამ «მაღალი» კლასების მხრივ უდიდესი დაბრკოლებანი შეუქმნეს თვით ველიკოროსი ხალხის თავისუფლების საქმეს მისი ცრურწმენებით და სხვ.

ველიკოროსი შავრაზმელები შეგნებულად უჭერენ მხარს ამ ცრურწმენებს და აღვივებენ მათ. ველიკოროსი ბურჟუაზია ურიგდება ან ეგუება მათ. ველიკოროსი პროლეტარიატი ვერ შესძლებს თ ა ვ ი ს ი მიზნების განხორციელებას, ვერ გაიკაფავს გზას თავისუფლებისაკენ, თუ სისტემატურად არ ებრძოლა ამ ცრურწმენებს.

დამოუკიდებელი და თავისთავადი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა რუსეთში ჯერჯერობით მხოლოდ ველიკოროსი ერის პრივილეგიას წარმოადგენს. ჩვენ, ველიკოროსი პროლეტარები, არავითარ პრივილეგიას არ ვიცავთ, არც ამ პრივილეგიას ვიცავთ. ჩვენ ვიბრძვით არსებული სახელმწიფოს ნიადაგზე, ვაერთიანებთ არსებული სახელმწიფოს ყველა ერის მუშებს, ჩვენ არ შეგვიძლია თავდებობა ვიკისროთ ეროვნული განვითარების ამა თუ იმ გზისათვის, ჩვენი კლასობრივი მიზნისაკენ ჩვენ ყ ვ ე ლ ა შესაძლებელი გზით მივდივართ.

მაგრამ შეუძლებელია ამ მიზნისაკენ სვლა, თუ ყოველგვარ ნაციონალიზმს არ შევებრძოლეთ და სხვადასხვა ერის მუშების თანასწორობა არ დავიცავით. უწერია თუ არა, მაგალითად, უკრაინას დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, ეს დამოკიდებულია 1 000 ფაქტორზე, რომელთა წინასწარ ცოდნა შეუძლებელია. და, არ ვცდილობთ რა ამაოდ «მ ი ს ნ ო ბ ა ს», ჩვენ მტკიცედ ვადგივართ იმას, რაც უეჭვოა: ესაა უკრაინის უფლება ასეთი სახელმწიფო გახდეს. ჩვენ პატივს

ლ. ვლ. ფიქრობს გამოკვლევა დაწეროს ჩვენი პროგრამა-მინიმუმიდან (კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით!) სიტყვების: «მოსახლეობა», «ხალხი» და სხვ. განდევნის შესახებ.

ვცემთ ამ უფლებას, ჩვენ მხარს არ ვუჭერთ ველიკოროსის პრივილეგიებს უკრაინელების მიმართ, ჩვენ მასებს ვუ ნ ე რ გ ა ვ თ ამ უფლების აღიარების აზრს, ყოველი ერის ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ რ ი ვ ი პრივილეგიების უარყოფის აზრს.

იმ ნახტომებში, რომლებსაც ყველა ქვეყანა განიცდიდა ბურჟუაზიულ რევოლუციათა ეპოქაში, შესაძლებელი და მოსალოდნელია შეტაკებანი და ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოს უფლებისათვის. ჩვენ, პროლეტარები, წინდაწინვე ვაცხადებთ თავს ველიკოროსული პრივილეგიების მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ე ბ ა დ და ამ მიმართულებით ვაწარმოებთ მთელ ჩვენს პროპაგანდასა და აგიტაციას.

როზა ლუქსემბურგი «პრაქტიციზმს» გამოედევნა და ვერ შეამჩნია როგორც ველიკოროსთა, ისე სხვა ერთა პროლეტარიატის მ თ ა ვ ა რ ი პრაქტიკული ამოცანა: ესაა ამოცანა ყოველდღიური აგიტაციისა და პროპაგანდისა ყოველგვარი სახელმწიფოებრივ-ეროვნული პრივილეგიების წინააღმდეგ, ყველა ერის უფლებისათვის, ერთნაირი უფლებისათვის — თავიანთი ეროვნული სახელმწიფო შექმნან; ასეთი ამოცანა ჩვენი მთავარი ამოცანაა (ამჟამად) ნაციონალურ საკითხში, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით ვიცავთ დემოკრატიისა და ყოველი ერის ყველა პროლეტართა თანასწორუფლებიანი კავშირის ინტერესებს.

დაე ეს პროპაგანდა «არაპრაქტიკული» იყოს ველიკოროსმჩაგვრელების თვალსაზრისითაც და ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიის თვალსაზრისითაც (პირველნიც და მეორენიც გ ა რ კ ვ ე ულ ჰოს ან არას მოითხოვენ, ხოლო ს.-დ-ებს «გაურკვევლობას» აბრალებენ). საქმით კი სწორედ ეს, და მარტოოდენ ეს პროპაგანდა უზრუნველყოფს მასების ნამდვილ დემოკრატიულ და ნამდვილ სოციალისტურ აღზრდას. მხოლოდ ასეთი პროპაგანდა უზრუნველყოფს ეროვნული მშვიდობის ყველაზე მეტ შანსებსაც რუსეთში, თუ იგი აჭრელებულ ეროვნულ სახელმწიფოდ დარჩება, და ყველაზე უფრო მშვიდობიან (და კლასობრივი პროლეტარული ბრძოლისათვის უვნე-

ბელ) დანაწილებასაც სხვადასხვა ეროვნულ სახელმწიფოებად, თუ ასეთი დანაწილების საკითხი წამოიჭრა.

რათა უფრო კონკრეტულად განვმარტოთ ეს, ერთადერთი პროლეტარული, პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში, ჩვენ განვიხილავთ ველიკოროსული ლიბერალიზმის დამოკიდებულებას «ერთა თვითგამორკვევისადმი» და შვეციისაგან ნორვეგიის გამოყოფის მაგალითს.

5. ლიბერალური ბურჟუაზია და სოციალისტი ოპორტუნისტები ნაციონალურ საკითხში

ჩვენ დავინახეთ, რომ ერთ-ერთ თავის მთავარ «კოზირად» რუსეთის მარქსისტების პროგრამის საწინააღმდეგო ბრძოლაში როზა ლუქსემბურგს ასეთი საბუთი მიაჩნია: თვითგამორკვევის უფლების აღიარება ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მხარისდაჭერას უდრისო. მეორე მხრივო, ამბობს როზა ლუქსემბურგი, თუ ამ უფლებად ვიგულისხმებთ მხოლოდ ბრძოლას ყოველგვარ ძალმომრეობასთან ერების მიმართ, მაშინ პროგრამის განსაკუთრებული პუნქტი საჭირო აღარ არის, ვინაიდან ს.-დ. საზოგადოდ ყოველგვარი ეროვნული ძალმომრეობისა და არათანასწორუფლებიანობის წინააღმდეგიაო.

პირველი საბუთი, როგორც ეს ურყევად დაამტკიცა თითქმის 20 წლის წინათ კაუცკიმ, ნიშნავს ნაციონალიზმის საკითხში გაღმა შედავებას, ვინაიდან, უფრთხის რა ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიის ნაციონალიზმს, როზა ლუქსემბურგი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ გამოდის ველიკოროსთა შავრაზმული ნაციონალიზმის ხელშემწყობად! მეორე საბუთი, არსებითად, არის შიშით თავის არიდება საკითხისაგან: შეიცავს თუ არ შეიცავს ეროვნული თანასწორუფლებიანობის აღიარება გამოყოფის უფლების აღიარებასაც? თუ ჰო, მაშინ, მაშასადამე, როზა ლუქსემბურგი აღიარებს ჩვენი პროგრამის მე-9 პარაგრაფის პრინციპულ სისწორეს. თუ არა, მაშასადამე, იგი არ აღიარებს ეროვნულ თანასწორუფლებიანობას. მიკიბ-მოკიბვითა და თავდაძვრენით აქ საქმეს ვერ უშველი!

მაგრამ ზემოაღნიშნულ და ყველა მსგავს საბუთთა საუკეთესოდ შემოწმება შეიძლება იმის შესწავლით, თუ როგორ უყურებენ ამ საკითხს საზოგადოების ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კ ლ ა ს ე ბ ი. მარქსისტისათვის ასეთი შემოწმება სავალდებულოა. უნდა დავეყრდნოთ ობიექტურს, უნდა ავიღოთ კლასთა ურთიერთდამოკიდებულება ამ პუნქტის მიხედვით. როზა ლუქსემბურგი ამას არ სჩადის და ამიტომ ვარდება მეტაფიზიკურობის, აბსტრაქტულობის, ზოგადი ადგილის, ხელაღებითობისა და სხვ. სწორედ იმ ცოდვაში, რომელშიც იგი ამაოდ ცდილობს ბრალი დასდოს თავის მოწინააღმდეგეებს.

ლაპარაკია რ უ ს ე თ ი ს მარქსისტების, ე. ი. რუსეთის ყველა ეროვნების მარქსისტების პროგრამაზე. ხომ საჭიროა ვადავხედოთ რუსეთის გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კლასების პოზიციას?

«ბიუროკრატიისა» (ბოდიშს ვიხდით არაზუსტი სიტყვისათვის) და გაერთიანებული თავადაზნაურობის ტიპის ფეოდალურ მემამულეთა პოზიცია საყოველთაოდ ცნობილია. სრული უარყოფა როგორც ეროვნებათა თანასწორუფლებიანობისა, ისე თვითგამორკვევის უფლებისაც. ძველი, ბატონყმობის დროინდელი ლოზუნგი: თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა, ეროვნება, ამასთან ამ უკანასკნელში მხოლოდ ველიკოროსთა ეროვნება იგულისხმება. უკრაინელებიც კი «უცხოტომელებად» არიან გამოცხადებულნი, მათი დედაენაც კი იდევნება.

შევხედოთ ახლა რუსეთის ბურჟუაზიას, რომელიც «მოწოდებულია» მონაწილეობა მიიღოს — მართალია, ფრიად მცირედი, მაგრამ მაინც მონაწილეობა მიიღოს ხელისუფლებაში, «3 ივნისის» კანონმდებლობისა და მმართველობის სისტემაში. ოქტიაბრისტები რომ ხსენებულ საკითხში ნამდვილად მემარჯვენეებს მიჰყვებიან, ამაზე ბევრი ლაპარაკი არ გვიხდება. სამწუხაროდ, ზოგიერთი მარქსისტი გაცილებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს ლიბერალური ველიკოროსი

ბურჟუაზიის, პროგრესისტებისა და კადეტების პოზიციას. ამავე დროს კი, ვინც ამ პოზიციას არ შეისწავლის და მას არ ჩაუკვირდება, ის ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ მსჯელობისას გარდუვალად ჩავარდება აბსტრაქტულობისა და ლიტონსიტყვაობის ცოდვაში.

გასულ წელს «პრავდის» პოლემიკამ «რეჩთან» აიძულა კ.-დ. პარტიის ეს მთავარი ორგანო, ასე დახელოვნებული «უსიამოვნო» კითხვებზე პირდაპირი პასუხის დიპლომატიურად თავიდან აცილებაში, — ზოგიერთი ძვირფასი აღსარება მაინც ეთქვა. ალიაქოთი ატყდა 1913 წლის ზაფხულს ლვოვში გამართული სრულიად უკრაინის სტუდენტთა ყრილობის გამო. ნაფიცმა «უკრაინის მცოდნემ» ანუ «რეჩის» უკრაინელმა თანამშრომელმა ბ-მა მოგილიანსკიმ მოათავსა სტატია, სადაც მაგარი ლანძღვა-გინებით («ბოდვა», «ავანტიურიზმიო» და სხვ.) შეამკო უკრაინის სეპარაციის (გამოყოფის) იდეა, იდეა, რომელსაც ნაციონალ-სოციალი დონცოვი იცავდა და რომელიც ხსენებულმა ყრილობამ მოიწონა.

გაზეთმა «რაბოჩაია პრავდამ», რომელიც სრულიადაც არ ესოლიდარებოდა ბ-ნ დონცოვს, პირდაპირ აღნიშნა, რომ ის ნაციონალ-სოციალია, რომ მას არ ეთანხმება მრავალი უკრაინელი მარქსისტი, მაგრამ ამასთან განაცხადა, რომ «რეჩის» ك ي ل ო, ანუ, უკეთ: «რეჩის» მიერ ს ა კ ი თ ხ ი ს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი დ ა ყ ე ნ ე ბ ა სრულიად შეუფერებელია, დაუშვებელია ველიკოროსი დემოკრატისათვის ან ისეთი ადამიანისათვის, რომელსაც დემოკრატად მოაქვს თავი *. დაე «რეჩმა» პირდაპირ გააბათილოს ბბ. დონცოვების აზრი, მაგრამ ვითომდა-დემოკრატიის ველიკოროსული ორგანოსათვის პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ დაუშვებელია გამოყოფის თ ა ვ ი ს-უ ფ ლ ე ბ ი ს, გამოყოფის უ ფ ლ ე ბ ი ს დავიწყებაო.

რამდენიმე თვემ განვლო, და ბ-ნი მოგილიანსკი «რეჩის» № 331-ში გამოვიდა «განმარტებით», მას შემდეგ, რაც ლვოვის უკრაინულ გაზეთში — «შლიახი» [110] გაეცნო ბ-ნ დონცოვის

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 309 — 311. რ ე დ.

საწინააღმდეგო მოსაზრებებს; დონცოვი, სხვათა შორის, აღნიშნავდა, რომ ««რეჩის» შოვინისტურ გამოლაშქრებას ჯეროვნად ჩირქი მოსცხო (დაგმო?) მხოლოდ რუსულმა ს.-დ. პრესამ». ბ-ნ მოგილიანსკის «განმარტება» იმაში მდგომარეობდა, რომ მან სამგზის გაიმეორა: «ბ-ნ დონცოვის რეცეპტების კრიტიკას» «არაფერი აქვს საერთო ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფასთანო».

«უნდა ითქვას, — წერდა ბ-ნი მოგილიანსკი, — რომ არც «ერთა თვითგამორკვევის უფლება» წარმოადგენს რაღაც ფეტიშს (ისმინეთ!!), რომელიც კრიტიკას არ იწყნარებდეს: ერის ცხოვრების არაჯანსაღ პირობებს შეუძლიათ არაჯანსაღი ტენდენციები წარმოშვან ეროვნული თვითგამორკვევის დროს, და ამ უკანასკნელთა გამოაშკარავება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფას».

როგორც ხედავთ, ლიბერალის ფრაზები «ფეტიშის» შესახებ სავსებით შეეფერებოდა როზა ლუქსემბურგის ფრაზებს. ცხადი იყო, რომ ბ-ნ მოგილიანსკის სურდა თავიდან აეცილებინა პირდაპირი პასუხის გაცემა კითხვაზე: აღიარებს თუ არა იგი პოლიტიკური თვითგამორკვევის, ე. ი. გამოყოფის უფლებას?

«პროლეტარსკაია პრავდამაც» (№ 4, 1913 წ. 11 დეკემბერი) პირდაპირ დაუსვა ეს კითხვა ბ-ნ მოგილიანსკისაც და კ.-დ. პარტიასაც*.

მაშინ გაზეთმა «რეჩმა» (№ 340) მოათავსა ხელმოუწერელი, ე. ი. ოფიციალურ-სარედაქციო განცხადება, რომელიც ამ კითხვის პასუხს იძლევა. ეს პასუხი სამი პუნქტის შემცველია:

1) კ.-დ. პარტიის პროგრამის § 11-ში პირდაპირ, ზუსტად და ნათლად არის ლაპარაკი ერთა «თავისუფალი კულტურული თვითგამორკვევის უფლებაზე».

2) «პროლეტარსკაია პრავდა», როგორც «რეჩი» გვარწმუნებს, «უიმედოდ ურევს» ერთმანეთში თვითგამორკვევას და სეპარატიზმს, ამა თუ იმ ერის გამოყოფას.

3) «ნამდვილად, კ.-დ-ებს არასოდეს არ უკისრნიათ რუსეთის სახელმწიფოსაგან

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 628 — 631. რედ.

«ერთა გამოყოფის» უფლების დაცვა». (იხ. სტატია: «ნაციონალ-ლიბერალიზმი და ერთა თვითგამორკვევის უფლება», «პროლეტარსკაია პრავდა» № 12, 1913 წ. 20 დეკემბერი *).

ყურადღება მივაქციოთ ჯერ «რეჩის» განცხადების მეორე პუნქტს. როგორ თვალსაჩინოდ უჩვენებს ის ბატონ სემკოვსკებს, ლიბმანებს, იურკევიჩებს და სხვა ოპორტუნისტებს, რომ მათი ყიჟინა და მითქმა-მოთქმა «თვითგამორკვევის» აზრის ვითომდა «ბუნდოვანებისა» თუ «გაურკვევლობის» შესახებ — ნამდვილად, ე. ი. რუსეთში კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის ობიექტური თანაფარდობის მხრივ, წარმოადგენს ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის სიტყვების უბრალო გადამღერებას!

როდესაც «პროლეტარსკაია პრავდამ» «რეჩის» ბბ. განათლებულ «კონსტიტუციონალისტ-დემოკრატებს» სამი კითხვა დაუყენა: 1) უარყოფენ თუ არა ისინი იმას, რომ საერთაშორისო დემოკრატიის მთელ ისტორიაში, განსაკუთრებით XIX საუკუნის ნახევრიდან, ერთა თვითგამორკვევად იგულისხმება სწორედ პოლიტიკური თვითგამორკვევა, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლება? 2) უარყოფენ თუ არა ისინი იმას, რომ 1896 წლის ლონდონის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის ცნობილ გადაწყვეტილებასაც ასეთივე აზრი აქვს? და 3) რომ პლეხანოვს, რომელიც თვითგამორკვევაზე ჯერ კიდევ 1902 წელს წერდა, თვითგამორკვევად სწორედ პოლიტიკური თვითგამორკვევა ესმოდა? — როდესაც «პროლეტარსკაია პრავდამ» ეს სამი კითხვა დაუყენა, ბატონი კადეტები დადუმდნენ!!

მათ ერთი სიტყვითაც არ უპასუხნიათ, იმიტომ რომ საპასუხო არა ჰქონდათ რა. ისინი იძულებული იყვნენ უსიტყვოდ ეღიარებინათ, რომ «პროლეტარსკაია პრავდა» უეჭველად მართალი იყო.

* იხ. ეს ტომი, გვ. 53 — 55. რედ.

ლიბერალების ყვირილი «თვითგამორკვევის» ცნების ბუნდოვანების, ს.-დ. მიერ მისი და სეპარატიზმის «უიმედოდ არევის» გამო — სხვა არა არის რა, თუ არ მისწრაფება დ ა ხ ლ ა რ თ ო ნ საკითხი, თავი აარიდონ დემოკრატიის მიერ საყოველთაოდ დადგენილი პრინციპის აღიარებას. ბბ. სემკოვსკები, ლიბმანები და იურკევიჩები რომ ასე უმეცარნი არ იყვნენ, მათ შერცხვებოდათ მუშების წინაშე ლ ი ბ ე რ ა ლ ი ს ე ბ უ რ ა დ გამოსვლისა.

მაგრამ გავყვეთ ქვემოთ. «პროლეტარსკაია პრავდამ» აიძულა «რეჩი» ეღიარებინა, რომ სიტყვებს «კულტურული» თვითგამორკვევის შესახებ კ.-დ. პროგრამაში სწორედ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვითგამორკვევის უ ა რ ყ ო ფ ი ს აზრი აქვთ.

«ნამდვილად, კ.-დ-ებს არასოდეს არ უკისრნიათ რუსეთის სახელმწიფოსაგან «ერთა გამოყოფის» უფლების დაცვა» — «რეჩის» ეს სიტყვები ტყუილად კი არ ურჩია «პროლეტარსკაია პრავდამ» «ნოვოე ვრემიას» და «ზემშჩინას», როგორც ჩვენი კადეტების «ლოიალობის» ნიმუში. გაზეთმა «ნოვოე ვრემიამ» № 13563, რა თქმა უნდა, შემთხვევა იპოვა «ურია» გაეხსენებინა და კადეტებისათვის ყოველგვარი მწარე სიტყვები ეთქვა, მაგრამ მაინც განაცხადა:

«რაც ესდეკებისათვის პოლიტიკური სიბრძნის აქსიომას შეადგენს» (ე. ი. ერთა თვითგამორკვევის, გამოყოფის უფლების აღიარება), «ის ახლანდელ დროში თვით კადეტთა წრეშიც უკვე უთანხმოებას იწვევს».

. .

კადეტები პრინციპულად სავსებით «ნოვოე ვრემიას» მსგავს პოზიციაზე დადგნენ და განაცხადეს: «არასოდეს არ გვიკისრნია რუსეთის სახელმწიფოსაგან ერთა გამოყოფის უფლების დაცვაო». სწორედ ეს არის ერთ-ერთი საფუძველი კადეტების ნ ა ც ი ო ნ ა ლ-ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ა, პურიშკევიჩებთან მათი სიახლოვისა, უკანასკნელთაგან მათი იდეურ-პოლიტიკური და პრაქტიკულ-პოლიტიკური დამოკიდებულებისა. «ბატონ კადეტებს ისტორია უსწავლიათ — წერდა «პროლეტარსკაია პრავდა» — და მათ ჩინებულად იციან, თუ რაგვარ, რბილად რომ ვთქვათ, «რბევისებურ»

მოქმედებას იწვევდა ხშირად პრაქტიკაში პურიშკევიჩთა ძველთაძველი უფლების — «დაიჭი და არ გაუშვა» — გამოყენება». კადეტებმა ჩინებულად იციან პურიშკევიჩთა ყოვლისშემძლეობის ფეოდალური წყარო და ხასიათი, მაგრამ ისინი მაინც სავსებით სწორედ ამ კლასის მიერ შექმნილი ურთიერთობისა და ფარგლების ნ ი ა დ ა გ ზ ე დგებიან. ბატონმა კადეტებმა ჩინებულად იციან, თუ რაოდენ ბევრია არაევროპული, ანტიევროპული (აზიური — ვიტყოდით ჩვენ, ეს რომ დაუმსახურებელ ქედმაღლობად არ ისმოდეს იაპონელთა და ჩინელთა მიმართ) იმ ურთიერთობასა და ფარგლებში, რაც ამ კლასის მიერაა შექმნილი თუ განსაზღვრული, მაგრამ მათ ეს მაინც იმ ზღვარად მიაჩნიათ, რომელსაც ვერ გარდახვალ.

სწორედ ესაა პურიშკევიჩებთან შეგუება, მათ წინაშე მონური მლიქვნელობა, შიში, ვაი თუ მათი მდგომარეობა შევარყიოთო, ესაა მათი დაცვა სახალხო მოძრაობისაგან, დემოკრატიისაგან. «ნამდვილად ეს ნიშნავს — წერდა «პროლეტარსკაია პრავდა» — მებატონეთა ინტერესებთან და გაბატონებული ერის უცუდეს ნაციონალისტურ ცრურწმენებთან შეგუებას, ამ ცრურწმენებთან სისტემატური ბრძოლის ნაცვლად».

როგორც ისტორიის მცოდნე და დემოკრატიზმის პრეტენზიის მქონე ადამიანები, კადეტები არც კი ცდილობენ ამტკიცონ, რომ დემოკრატიულმა მოძრაობამ, რომელიც ჩვენი დროის აღმოსავლეთ ევროპასაც და აზიასაც ახასიათებს და ერთისა და მეორის ცივილიზებული, კაპიტალისტური ქვეყნების მაგვარად გარდაქმნისაკენ მიისწრაფის,—რომ ამ მოძრაობამ უთუოდ უცვლელად უნდა დატოვოს ფეოდალური ეპოქის, პურიშკევიჩთა ყოვლისშემძლეობის, ბურჟუაზიისა და წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენათა უუფლებობის ეპოქის მიერ შემოფარგლული საზღვრები.

«პროლეტარსკაია პრავდის» და «რეჩის» პოლემიკით აღძრული საკითხი რომ მარტოოდენ სალიტერატურო საკითხი არ იყო, ის რომ ნამდვილად დღიურ პოლიტიკურ ჭირვარამს ეხებოდა, ეს დაამტკიცა, სხვათა შორის, კ.-დ. პარტიის უკანასკ-

ნელმა კონფერენციამ 1914 წლის 23 — 25 მარტს. «რეჩის» ოფიციალურ ანგარიშში (№ 83, 1914 წ. 26 მარტი) ამ კონ-ფერენციის შესახებ ვკითხულობთ:

«ნაციონალური საკითხების განხილვაც ასევე განსაკუთრებით ცხოველად მიმდინარეობდა. კიეველი დეპუტატები, რომელთაც ნ. ვ. ნეკრასოვი და ა. მ. კოლიუბაკინი მიემხრნენ, აღნიშნავდნენ, რომ ნაციონალური საკითხი არის **მომწიფების** პროცესში მყოფი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც უფრო გადაჭრით უნდა გაეწიოს ანგარიში, ვიდრე ეს წინათ ხდებოდაო. თუმცა» (ეს არის სწორედ ის «თუმცა», რომელიც შჩედრინის «მაგრამს» შეესაბამება — «არ იზრდება ყურები შუბლს ზევით, არ იზრდება») «ფ. ფ. კოკოშკინმა აღნიშნა, პროგრამაც და წინა დროის პოლიტიკური გამოცდილებაც მოითხოვს — მეტად ფრთხილად მოვეპყროთ «ეროვნებათა პოლიტიკური თვითგამორკვევის» «განერცობად ფორმულებსო»».

ეს ფრიად შესანიშნავი მსჯელობა კადეტთა კონფერენციაზე ყველა მარქსისტისა და ყველა დემოკრატის უდიდესი ყურადღების ღირსია. (შევნიშნავთ ფრჩხილებში, რომ «კიევსკაია მისლმა», რომელიც, ეტყობა, ძალიან კარგად არის გაცნობილი საქმეს და, უეჭველია, სწორად გადმოგვცემს ბ-ნ კოკოშკინის აზრებს, დასძინა: იგი სპეციალურად აყენებდა, რასაკვირველია, თავისი ოპონენტების გასაფრთხილებლად, სახელმწიფოს «დაშლის» საფრთხესო).

«რეჩის» ოფიციალური ანგარიში ვირტუოზულ-დიპლომატიურადაა შედგენილი, ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლებად ახადოს ფარდა, რაც შეიძლება მეტი რამ დამალოს. მაგრამ ძირითადად მაინც ცხადია, თუ რა მომხდარა კადეტთა კონფერენციაზე. დელეგატებმა — უკრაინის საქმეთა ვითარების მცოდნე ლიბერალურმა ბურჟუებმა — და «მემარცხენე» კადეტებმა დააყენეს საკითხი ერთა ს წ ო რ ე დ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვითგამორკვევის შ ე ს ა ხ ებ. სხვანაირად ბ-ნ კოკოშკინს აღარ დასჭირდებოდა მოეწოდებინა — «ფრთხილად მოვეპყროთ» ამ «ფორმულასო».

კადეტების პროგრამაში, რომელსაც, რა თქმა უნდა, იცნობდნენ კადეტთა კონფერენციის დელეგატები, სწერია სწორედ ა რ ა პოლიტიკური, არამედ «კულტურული» თვითგამო-

რკვევა. მაშასადამე, ბ-ნი კოკოშკინი პროგრამას იცავდა უკრაინის დელეგატებისაგან, მემარცხენე კადეტებისაგან, იცავდა «კულტურულ» თვითგამორკვევას წინააღმდეგ «პოლიტიკურისა». სრულიად აშკარაა, რომ, როდესაც «პოლიტიკური» თვითგამორკვევის წინააღმდეგ ილაშქრებდა, «სახელმწიფოს დაშლის» საფრთხეს აყენებდა და «პოლიტიკური თვითგამორკვევის» ფორმულას «განვრცობადს» უწოდებდა (სავსებით როზა ლუქსემბურგისებურად!), ბ-ნი კოკოშკინი იცავდა ველიკოროსულ ნაციონალ-ლიბერალიზმს — კ.-დ. პარტიის უფრო «მემარცხენე» ან უფრო დემოკრატიული ელემენტების წინააღმდეგ და უკრაინის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ბ-ნ კოკოშკინს გაუმარჯვნია კადეტთა კონფერენციაზე, როგორც ეს ჩანს მუხანათური სიტყვიდან «თუმცა» «რეჩის» ანგარიშში. კადეტებს შორის ველიკოროსულმა ნაციონალ-ლიბერალიზმმა გაიმარჯვა. იქნებ ამ გამარჯვებამ მაინც გაუნათლოს გონება რუსეთის მარქსისტთა შორის იმ თითო-ოროლა უგუნურ ადამიანთ, რომელთაც, კადეტების აყოლით, აგრეთვე ეშინიათ უკვე «ეროვნებათა პოლიტიკური თვითგამორკვევის განვრცობადი ფორმულებისა»?

«თუმცა» გადავხედოთ, არსებითად, ბ-ნ კოკოშკინის აზრთა მსვლელობას. როდესაც «წინა დროის პოლიტიკურ გამოცდილებაზე» მიუთითებდა (ე. ი., უთუოდ, ცხრაას ხუთი წლის გამოცდილებაზე, როდესაც ველიკოროსთა ბურჟუაზიას შეეშინდა თავისი ეროვნული პრივილეგიების დაკარგვისა და თავისი შიშით კადეტთა პარტიაც შეაშინა) და «სახელმწიფოს დაშლის» საფრთხეს აყენებდა, ბ-მა კოკოშკინმა ამით გამოაშკარავა იმის ჩინებულად გაგება, რომ პოლიტიკური თვითგამორკვევა არ შეიძლება სხვა რამეს ნიშნავდეს, თუ არ გამოყოფისა და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის უფლებას. საკითხავია, როგორ უნდა შევხედოთ ბ-ნ კოკოშკინის ამ შიშს საერთოდ დემოკრატიისა და, განსაკუთრებით, პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით?

ბ-ნ კოკოშკინს სურს დაგვარწმუნოს, რომ გამოყოფის უფლების აღიარება ზრდის «სახელმწიფოს დაშლის» საშიშროებას. ეს არის თვალსაზრისი მეჯიხურე მიმრეცოვისა, მისი დევიზი: «დაიჭი და არ გაუშვაო». საერთოდ დემოკრატიის თვალსაზრისით სწორედ პირიქითაა: გამოყოფის უფლების აღიარება ა მ ც ი რ ე ბ ს «სახელმწიფოს დაშლის» საშიშროებას.

ბ-ნი კოკოშკინი სავსებით ნაციონალისტების ყაიდაზე მსჯელობს. თავიანთ უკანასკნელ ყრილობაზე ისინი აცამტვერებდნენ უკრაინელ-«მაზეპელებს». უკრაინელთა მოძრაობაო — გაიძახოდა ბ-ნი სავენკო .და კომპ. — გვიქადის უკრაინისა და რუსეთის კავშირის შესუსტებას, ვინაიდან ავსტრია უკრაინოფილობით განამტკიცებს უკრაინელთა კავშირს ავსტრიასთანო!! გაუგებარი კი იყო, რატომღა არ შეუძლია რუსეთს სცადოს რუსეთთან უკრაინელთა კავშირის ი მ ა ვ ე მ ე თ ო დ ი თ «განმტკიცება», რასაც ბბ. სავენკოები ბრალად უთვლიან ავსტრიას, ე. ი. უკრაინელებისათვის დედაენის თავისუფლების, თვითმმართველობის, ავტონომიური სეიმისა და სხვ. მინიჭებით?

ბბ. სავენკოებისა და ბბ. კოკოშკინების მსჯელობა სავსებით ერთიმეორის მსგავსია და ერთნაირადვე სასაცილო და უაზროა წმინდა ლოგიკური მხრით. განა ცხადი არ არის, რომ, რაც მეტი თავისუფლება ექნება უკრაინელ ეროვნებას რომელიმე ქვეყანაში, მით უფრო მტკიცე იქნება ხსენებული ეროვნების კავშირი ამ ქვეყანასთან? თითქოს შეუძლებელი უნდა იყოს ამ ანბანური ჭეშმარიტების წინააღმდეგ დავა, თუ სრულებით არ გაწყვიტე კავშირი დემოკრატიზმის ყველა დებულებასთან. და განა შეიძლება ეროვნებისათვის, როგორც ასეთისათვის, იმაზე მეტი თავისუფლება, ვიდრე გამოყოფის თავისუფლებაა, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის თავისუფლება?

რათა უფრო მეტად განვმარტოთ ეს, ლიბერალების მიერ (და იმათ მიერ, ვინც შეუგნებლობით მათს ნამღერს იმეო-

რებს) არევდარეული საკითხი, მოვიყვანთ სულ უბრალო მაგალითს. ავიღოთ განქორწინების საკითხი. როზა ლუქსემბურგი თავის სტატიაში წერს: ცენტრალიზებულმა დემოკრატიულმა სახელმწიფომ, რომელიც სავსებით შეიწყნარებს ცალკეულ ნაწილთა ავტონომიას, ცენტრალური პარლამენტის გამგებლობაში უნდა დატოვოს კანონმდებლობის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგი და, სხვათა შორის, განქორწინების კანონმდებლობაცო. ეს ზრუნვა დემოკრატიული სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განქორწინების თავისუფლების უზრუნველყოფაზე სავსებით გასაგებია. რეაქციონერები განქორწინების თავისუფლების წინააღმდეგნი არიან, მოგვიწოდებენ — «ფრთხილად მოვეპყროთ» მას და გაჰყვირიან, იგი «ოჯახის რღვევას» მოასწავებსო. დემოკრატია კი იმ აზრისაა, რომ რეაქციონერები პირმოთნეობენ და ნამდვილად იცავენ პოლიციისა და ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობას, ერთი სქესის პრივილეგიებს და ქალის უცუდეს ჩაგვრას; — რომ განქორწინების თავისუფლება ნამდვილად ოჯახური კავშირის «რღვევას» კი არ მოასწავებს, არამედ პირიქით, მის განმტკიცებას ცივილიზებული საზოგადოებისათვის ერთადერთ შესაძლებელ და მყარ დემოკრატიულ საფუძველზე.

თვითგამორკვევის თავისუფლების, ე. ი. გამოყოფის თავისუფლების მომხრეთათვის ბრალის დადება — სეპარატიზმს უწყობთ ხელსო, ისეთივე სისულელეა და ისეთივე პირმოთნეობა, როგორც განქორწინების თავისუფლების მომხრეთათვის ბრალის დადება — ოჯახური კავშირის რღვევას უწყობთ ხელსო. მსგავსად იმისა, როგორც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განქორწინების თავისუფლების წინააღმდეგ გამოდიან იმ პრივილეგიათა და გამყიდველობის დამცველნი, რაზედაც ბურჟუაზიული ცოლ-ქმრობაა დამყარებული, ასევე კაპიტალისტურ სახელმწიფოში თვითგამორკვევის თავისუფლების, ე. ი. ერთა გამოყოფის თავისუფლების უარყოფა ნიშნავს მხოლოდ გაბატონებული ერის პრივილეგიებისა და

მმართველობის პოლიციური წესების დაცვას დემოკრატიულთა საზიანოდ.

უეჭველია, პოლიტიკანობა, რომელსაც კაპიტალისტური საზოგადოების მთელი ურთიერთობა წარმოშობს, ხანდახან იწვევს პარლამენტარებისა ანდა პუბლიცისტების მეტად ჭკუამოკლე და პირდაპირ ბრიყვულ ლაყბობასაც კი ამა თუ იმ ერის გამოყოფის შესახებ. მაგრამ მხოლოდ რეაქციონერები თუ შეაშინებინებენ თავს (ანდა მოაჩვენებენ, თითქოს შეშინებული არიან) ამგვარი ლაყბობით. ვინც დემოკრატიის თვალსაზრისზე დგას, ე. ი. მომხრეა მოსახლეობის მასის მიერ სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისა, მან მშვენივრად იცის, რომ პოლიტიკანების ლაყბობასა და მასების მიერ გადაწყვეტას შორის «დისტანცია ფრიად დიდია» [11]. მოსახლეობის მასებმა ჩინებულად იციან, ყოველდღიური გამოცდილებით, გეოგრაფიული და ეკონომიური კავშირის მნიშვნელობა, ვრცელი ბაზრისა და დიდი სახელმწიფოს უპირატესობა, და გამოყოფას ისინი მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული შუღლი სრულიად აუტანელს ხდის ერთად ცხოვრებას, აფერხებს ყველა და ყოველგვარ სამეურნეო ურთიერთობას. ასეთ შემთხვევაში კი კაპიტალისტური განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის თავისუფლების ინტერესები სწორედ გამოყოფილთა მხარეზე იქნება.

ამრიგად, რა მხრივაც უნდა მიუდგეთ ბ–ნ კოკოშკინის მსჯელობას, იგი უკიდურესი უაზრობა და დემოკრატიის პრინციპების დაცინვა აღმოჩნდება. მაგრამ ამ მსჯელობაში ერთგვარი ლოგიკაც არის; ესაა ლოგიკა ველიკოროსი ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისა. ბ–ნი კოკოშკინი, ისე როგორც კ.-დ. პარტიის უმრავლესობაც, ამ ბურჟუაზიის ფულის ქისის ლაქიაა. იგი იცავს მის პრივილეგიებს საერთოდ, მის ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ებ რ ი ვ პრივილეგიებს — განსაკუთრებით, იცავს მათ პურიშკევიჩთან ერთად, მის გვერდით, — ოღონდ პურიშკევიჩს ბატონყმური კეტი უფრო სწამს,

კოკოშკინი და კომპ. კი ხედავენ, რომ ეს კეტი ცხრაას ხუთმა წელმა ძალზე შესტეხა; ამიტომაც ისინი მასების მოტყუების ბურჟუაზიულ საშუალებებს უფრო ენდობიან, მაგალითად, «სახელმწიფოს დაშლის» აჩრდილით მეშჩანებისა და გლეხების დაშინებას, მათს მოტყუებას ფრაზებით «სახალხო თავისუფლებისა» და ისტორიული საფუძვლების შეერთების შესახებ და სხვ.

ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის პრინციპისადმი ლიბერალური მტრობის რეალური კლასობრივი მნიშვნელობა ერთია და მხოლოდ ერთი: ნაციონალ-ლიბერალიზმი, ველიკოროსი ბურჟუაზიის სახელმწიფოებრივ პრივილეგიათა დაცვა. და მარქსისტებს შორის მყოფი რუსი ოპორტუნისტები, რომლებიც სწორედ ახლა, სამი ივნისის სისტემის ეპოქაში, ამხედრდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ, ყველა ესენი: ლიკვიდატორი სემკოვსკი, ბუნდისტი ლიბმანი, უკრაინელი წვრილი ბურჟუა იურკევიჩი — ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ პირდაპირ მისჩანჩალებენ კუდში ნაციონალ-ლიბერალიზმს, რყვნიან მუშათა კლასს ნაციონალ-ლიბერალური იდეებით.

მუშათა კლასის ინტერესები, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მისი ბრძოლის ინტერესები მოითხოვს ყველა ერის მუშების სრულ სოლიდარობას და უმჭიდროეს ერთობას, მოითხოვს რომელიც უნდა იყოს ეროვნების ბურჟუაზიის ნაციონალისტური პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის გაწევას. ამიტომ პროლეტარული პოლიტიკის ამოცანებისაგან თავის არიდება და ბურჟუაზიული პოლიტიკისადმი მუშების დამორჩილება იქნებოდა როგორც ის, ს.-დ-ებს რომ თვითგამორკვევის უფლება, ე. ი. ჩაგრულ ერთა გამოყოფის უფლება უარეყოთ, აგრეთვე ის, ს.-დ-ებს რომ ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიის ყველა ეროვნული მოთხოვნისათვის დაეჭირათ მხარი. დაქირავებული მუშისათვის სულ ერთია, ველიკოროსი ბურჟუაზია იქნება მისი უპირატესი ექსპლოატატორი სხვა ტომის ბურჟუაზიასთან შედარებით, თუ პოლონური — ებრაულთან შედარებით და სხვ.. თავისი კლასის ინტერესების შემგნები დაქირავებული მუშა გულგრილად უცქერის როგორც ველიკო-

როს კაპიტალისტთა სახელმწიფოებრივ პრივილეგიებს, ისე პოლონელ თუ უკრაინელ კაპიტალისტთა დაპირებას: ქვეყნად სამოთხე დამყარდება, როცა ჩვენ სახელმწიფოებრივი პრივილეგიებით აღვიჭურვებითო. კაპიტალიზმის განვითარება მიმდინარეობს და, ასე თუ ისე, წინ წავა ერთიან, ეროვნულად აჭრელებულ სახელმწიფოშიც და ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოებშიც.

ყოველ შემთხვევაში დაქირავებული მუშა ექსპლოატაციის ობიექტად დარჩება, და ამ ექსპლოატაციის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლა მოითხოვს პროლეტარიატის დამოუკიდებლობას ნაციონალიზმისაგან, მოითხოვს პროლეტართა, ასე ვთქვათ, სრულ ნეიტრალობას სხვადასხვა ერის ბურჟუაზიის ბრძოლაში პირველობისათვის. რომელიმე ერის პროლეტარიატის მიერ «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის პრივილეგიათა ოდნავი მხარისდაჭერაც კი გარდუვალად წარმოშობს მეორე ერის პროლეტარიატის უნდობლობას, შეასუსტებს მუშების ინტერნაციონალურ კლასობრივ სოლიდარობას, დაქსაქსავს მათ ბურჟუაზიის გასახარებლად. ხოლო თვითგამორკვევის, ანუ გამოყოფის უფლების უარყოფა გარდუვალად ნიშნავს პრაქტიკაში გაბატონებული ერის პრივილეგიათა მხარისდაჭერას.

ამაში ჩვენ უფრო აშკარად შეგვიძლია დავრწმუნდეთ, თუ შვეიცისაგან ნორვეგიის გამოყოფის კონკრეტულ მაგალითს ავიღებთ.

6. ნორვეგიის გამოყოფა შვეიცისაგან

როზა ლუქსემბურგი სწორედ ამ მაგალითს იღებს და მის გამო შემდეგნაირად მსჯელობს:

«ფედერაციულ ურთიერთობათა ისტორიაში მომხდარი უკანასკნელი ამბავი, შვეიცისაგან ნორვეგიის გამოყოფა, — რასაც თავის დროს სწრაფად ჩასჭიდა ხელი პოლონურმა სოციალ-პატრიოტულმა პრესამ (იხ. კრაკოვის «ნაპშუდი» 112) როგორც სახელმწიფოებრივი გამოყოფისადმი მისწრაფების ძალისა და პროგრესულობის სასიხარულო გამოვლინებას, — მყისვე იმის ცხადლივ დამამტკიცებლად გადაიქცა, რომ ფედერალიზმი და მისგან გამომდინარე სახელმწიფოებრივი გამოყოფა სრულიადაც არ

წარმოადგენს პროგრესულობის ან დემოკრატიზმის გამოხატულებას. ნორვეგიის ეგრეთწოდებული «რევოლუციის» შემდეგ, რომელიც გამოიხატა შვეციის მეფის გადაყენებით და ნორვეგიიდან მისი გაძევებით, ნორვეგიელებმა არხეინად აირჩიეს თავისთვის სხვა მეფე, სახალხო ხმისმიცემით ფორმალურად უარყვეს რა რესპუბლიკის დაარსების პროექტი. ის, რაც ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობათა და დამოუკიდებლობის ყოველ მსგავსებათა ზერელე თაყვანისმცემლებმა «რევოლუციად» გამოაცხადეს, იყო უბრალო გამომჟღავნება გლეხური და წვრილბურჟუაზიული პარტიკულარიზმისა, სურვილისა — თავიანთი ფულით «საკუთარი» მეფე ჰყოლოდათ, შვეციის არისტოკრატიის მიერ თავზე ძალით მოხვეული მეფის ნაცვლად; მაშასადამე, ეს ისეთი მოძრაობა იყო, რასაც რევოლუციურობასთან სრულებით არაფერი ჰქონია საერთო. ამასთან ერთად შვეცია-ნორვეგიის უნიის დარღვევის ამ ისტორიამ კვლავ დაამტკიცა, თუ მანამდე არსებული ფედერაცია რაოდენად იყო ამ შემთხვევაშიც მხოლოდ წმინდა დინასტიურ ინტერესთა გამოხატულება, მაშასადამე, იყო მონარქიზმისა და რეაქციის ფორმაც» («პშეგლონდი»).

აი სიტყვასიტყვით ყველაფერი ის, რასაც როზა ლუქსემბურგი ამბობს ამ პუნქტის გამო!! და, უნდა გამოვტყდეთ, ძნელია თავისი პოზიციის უმწეობის იმაზე უფრო მკაფიოდ გამოაშკარავება, ვიდრე ეს ჩაიდინა როზა ლუქსემბურგმა ხსენებული მაგალითის განხილვისას.

საკითხი ეხებოდა და ეხება იმას, საჭიროა თუ არა ს.-დ-ისათვის ეროვნულად აჭრელებულ სახელმწიფოში ისეთი პროგრამა, რომელიც თვითგამორკვევის ანუ გამოყოფის უფლებას აღიარებს.

ახლა ვიკითხოთ, რას გვეუბნება ამ საკითხზე ნორვეგიის მაგალითი, აღებული თვით როზა ლუქსემბურგის მიერ?

ჩვენი ავტორი აქეთ-იქით ტრიალებს და თავს იძვრენს, ენამახვილობს და ხმაურობს «ნაშუდის» წინააღმდეგ, მაგრამ საკითხზე პასუხს არ იძლევა!! როზა ლუქსემბურგი, რაზედაც გნებავთ, იმაზე ლაპარაკობს, რათა საკითხის დედაარსზე ს ი ტ ყ ვ ა ც ა რ დ ა ს ძ რ ა ს!!

უეჭველია, ნორვეგიელმა წვრილმა ბურჟუებმა, როდესაც მოისურვეს თავიანთი ფულით საკუთარი მეფე ჰყოლოდათ და სახალხო კენჭისყრით უკუაგდეს რესპუბლიკის დაარსების პროექტი, მეტად ცუდი მეშჩანური თვისებები გამოიჩინეს.

უეჭველია, «ნაპშუდმა», თუ მან ეს ვერ შეამჩნია, ასეთივე ცუდი და ასეთივე მეშჩანური თვისებები გამოიჩინა.

მაგრამ რა შუაშია აქ ყოველივე ეს??

აქ ხომ ლაპარაკი იყო ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე და ამ უფლებისადმი სოციალისტური პროლეტარიატის დამოკიდებულებაზე! რატომღა არ უპასუხებს როზა ლუქსემბურგი ამ კითხვაზე და რატომ ედება ღობე-ყორეს?

ამბობენ, თაგვისათვის კატაზე ძლიერი მხეცი არ არსებობსო. როზა ლუქსემბურგისათვის, ეტყობა, «ფრაკზე» ძლიერი მხეცი არ არსებობს. «ფრაკებს» მდაბიურად უწოდებენ «პოლონეთის სოციალისტურ პარტიას», ეგრეთწოდებულ რევოლუციურ ფრაქციას, და კრაკოვის გაზეთი «ნაპშუდიც» ამ «ფრაქციის» იდეებს იზიარებს. როზა ლუქსემბურგის ბრძოლას ამ «ფრაქციის» ნაციონალიზმთან იმდენად დაუბრმავებია ჩვენი ავტორი, რომ მისი თვალთახედვიდან ყველაფერი ქრება, გარდა «ნაპშუდისა».

თუ «ნაპშუდი» ამბობს: «ჰო», როზა ლუქსემბურგს თავის უწმინდეს მოვალეობად მიაჩნია მყისვე განაცხადოს: «არა», და სრულიადაც არ ფიქრობს იმაზე, რომ ასეთი ხერხით იგი «ნაპშუდისაგან» თავის დამოუკიდებლობას კი არ ამყღავნებს, არამედ, სწორედ პირიქით, ამყღავნებს თავის სასაცილო დამოკიდებულებას «ფრაკებისაგან», თავის უუნარობას — ცოტა უფრო ღრმა და ფართო თვალსაზრისით შეხედოს საქმეს, ვიდრე კრაკოვის ჭიანჭველათა ბუდის თვალსაზრისია. «ნაპშუდი», რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი და სრულიადაც არა მარქსისტული ორგანოა, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს — არსებითად გავარჩიოთ ნორვეგიის მაგალითი, რახან იგი მოვიყვანეთ.

ეს მაგალითი რომ მარქსისტულად გავარჩიოთ, უნდა შევჩერდეთ არა დიდად საშინელი «ფრაკების» ცუდ თვისებებზე, არამედ, ჯერ-ერთი, შვეციისაგან ნორვეგიის გამოყოფის კონკრეტულ ისტორიულ თავისებურებებზე და, მეორეც, იმაზე, თუ რა ამოცანები ჰქონდა ორივე ქვეყნის პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს ამ გამოყოფის დროს.

შვეციასთან ნორვეგიას აახლოებს გეოგრაფიული, ეკონომიური და ენობრივი კავშირი, იმაზე არა ნაკლებ მჭიდრო, ვიდრე არის მრავალი არაველიკოროსი სლავი ერის კავშირი ველიკოროსებთან. მაგრამ ნორვეგიის კავშირი შვეციასთან არანებაყოფლობითი იყო, ასე რომ როზა ლექსემბურგი «ფედერაციაზე» სულ ტყუილად ლაპარაკობს, მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცის, რა თქვას. ნორვეგია შვეციას გადასცეს მონარქებმა ნაპოლეონის ომების დროს, ნორვეგიელთა სურვილის წინააღმდეგ, და შვეციელები იძულებული იყვნენ ნორვეგიაში ჯარები შეეყვანათ, რათა იგი დაემორჩილებინათ.

ამის შემდეგ მრავალ ათეულ წელთა განმავლობაში, მიუხედავად უაღრესად ფართო ავტონომიისა, რომლითაც ნორვეგია სარგებლობდა (საკუთარი სეიმი და სხვ.), შეხლა-შემოხლა ნორვეგიასა და შვეციას შორის განუწყვეტლივ არსებობდა, და ნორვეგიელები მთელი ძალღონით ცდილობდნენ თავიდან მოეშორებინათ შვეციის არისტოკრატიის უღელი. 1905 წლის აგვისტოში მათ, ბოლოს და ბოლოს, მოიშორეს კიდევაც ეს უღელი: ნორვეგიის სეიმმა დაადგინა, ამიერიდან შვეციის მეფე უკვე აღარ არის ნორვეგიის მეფეო, ხოლო შემდეგ მოწდენილი რეფერენდუმის, ნორვეგიის ხალხის გამოკითხვის დროს შვეციისაგან სრულ გამოყოფას ხმა მისცა უდიდესმა უმრავლესობამ (დაახლოებით 200 ათასი ხმა — რამდენიმე ასეულის წინააღმდეგ). შვეციელები, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ, შეურიგდნენ გამოყოფის ფაქტს.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა ნიადაგზეა შესაძლებელი და ხდება ერთა გამოყოფის შემთხვევები თანამედროვე ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა დროს, და რანაირ ფორმას იღებს ხანდახან გამოყოფა პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიზმის პირობებში.

ვერც ერთი სოციალ-დემოკრატი, თუ კი იგი განურჩევლად არ გამოაცხადებს თავისთვის პოლიტიკური თავისუფლებისა და დემოკრატიზმის საკითხებს (ასეთ შემთხვევაში კი, რა თქმა უნდა, იგი აღარ იქნებოდა სოციალ-დემოკრატი), ვერ უარყოფს, რომ ეს მაგალითი ფაქტიურად გვი-

მტკიცებს იმას, რომ შეგნებული მუშებისათვის სავალდებულოა სისტემატური პროპაგანდა და შემზადება იმისა, რათა ერთა გამოყოფის გამო შესაძლებელი შეხლა-შემოხლა მოგვარდეს მხოლოდ ისე, როგორც ეს გადაიჭრა 1905 წელს ნორვეგიასა და შვეციას შორის, და არა «რუსულად». სწორედ ესაა გამოხატული საპროგრამო მოთხოვნაში ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარების შესახებ. როზა ლუქსემბურგსაც მისი თეორიისათვის უსიამოვნო ფაქტის თავიდან მოშორება მოუხდა ნორვეგიელი მეშჩანებისა და კრაკოვის «ნაპშუდის» წინააღმდეგ ცხარე გალაშქრების საშუალებით, ვინაიდან მას ჩინებულად ესმოდა, თუ რაოდენ საბოლოოდ აბათილებს ეს ისტორიული ფაქტი მის ფრაზებს, თითქოს ერთა თვითგამორკვევის უფლება «უტოპია» იყოს, თითქოს იგი «ოქროს თეფშებზე ჭამის» უფლებას უდრიდეს და სხვ.. ასეთი ფრაზები გამოხატავენ მხოლოდ უბადრუკ-თვითკმაყოფილ, ოპორტუნისტულ რწმენას აღმოსავლეთ ევროპის ეროვნებათა შორის არსებული ძალთა თანაფარდობის უცვლელობისადმი.

გავყვეთ ქვემოთ. ერთა თვითგამორკვევის საკითხში, ისე როგორც ყოველ სხვა საკითხში, ჩვენ უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო ერების შიგნით პროლეტარიატის თვითგამორკვევა გვაინტერესებს. როზა ლუქსემბურგმა ამ საკითხსაც თავმდაბლად აუარა გვერდი, რადგან გრძნობდა, თუ რა უსიამოა მისი «თეორიისათვის» მის მიერ აღებული ნორვეგიის მაგალითის მიხედვით ამ საკითხის განხილვა.

როგორი იყო და როგორი უნდა ყოფილიყო ნორვეგიისა და შვეციის პროლეტარიატის პოზიცია გამოყოფის გამო ამტყდარ კონფლიქტში? ნორვეგიის შეგნებული მუშები, გამოყოფის შემდეგ, რა თქმა უნდა, რესპუბლიკას მისცემდნენ ხმას *, და თუ იყვნენ ისეთი სოციალისტები, რომ-

* თუ ნორვეგიელი ერის უმრავლესობა მონარქიის მომხრე იქნებოდა, პროლეტარიატი კი — რესპუბლიკისა, მაშინ ნორვეგიის პროლეტარიატის წინაშე, საერთოდ რომ ითქვას, ორი გზა იხსნებოდა: ან რევოლუცია, თუ საამისო პირობები მომწიფებულია, ანდა უმრავლესობისადმი დამორჩილება და ხანგრძლივი საპროპაგანდო და საგიტაციო მუშაობა.

ლებმაც სხვანაირად მისცეს ხმა, ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, თუ რა ბევრია ზოგჯერ გონებაჩლუნგი, მეშჩანური ოპორტუნიზმი ევროპულ სოციალიზმში. ამის შესახებ ორი აზრის არსებობა შეუძლებელია, და ამ პუნქტს ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვეხებით, რომ როზა ლუქსემბურგი ცდილობს საქმის არსი სულ სხვა თემაზე ლაპარაკით მიაფუჩეჩოს. გამოყოფის საკითხზე ჩვენ არ ვიცით, ავალდებულებდა თუ არა ნორვეგიელთა სოციალისტური პროგრამა ნორვეგიის ს.-დ-ებს — ერთი განსაზღვრული აზრი ჰქონოდათ. დავუშვათ, რომ არა, რომ ნორვეგიის სოციალისტები ღიად ტოვებდნენ იმ საკითხს, თუ რამდენად საკმარისი იყო თავისუფალი კლასობრივი ბრძოლისათვის ნორვეგიის ავტონომია და რამდენად აფერხებდა სამეურნეო ცხოვრების თავისუფლებას გამუდმებული შეხლა-შემოხლა და კონფლიქტები შვეციის არისტოკრატიასთან. მაგრამ ნორვეგიის პროლეტარიატი ამ არისტოკრატიის წინააღმდეგ რომ უნდა წასულიყო ნორვეგიის გლეხურ დემოკრატიასთან ერთად (ამ უკანასკნელის მთელი მეშჩანური შეზღუდულობის მიუხედავად), ეს უდავოა.

შვეციის პროლეტარიატი კი? ცნობილია, რომ შვეციის ხუცების შეწევნით შვეციის მემამულენი ომს ქადაგებდნენ ნორვეგიის წინააღმდეგ, და, რადგან ნორვეგია შვეციაზე ბევრად უფრო სუსტია, რადგან მას უკვე გადაეტანა შვეციელთა შემოსევა, რადგან შვეციის არისტოკრატიას ფრიად დიდი გავლენა აქვს თავის ქვეყანაში, ამიტომ ეს ქადაგება მეტად სერიოზულ მუქარას წარმოადგენდა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ შვეციის კოკოშკინები ხანგრძლივად და გულმოდგინედ რყვნიდნენ შვეციელთა მასებს მოწოდებით — «ფრთხილად მოპყრობოდნენ» «ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის განვრცობად ფორმულებს», რყვნიდნენ იმით, რომ გაზვიადებულად უხატავდნენ «სახელმწიფოს დაშლის» საფრთხეს და არწმუნებდნენ: შესაძლებელია «ხალხის თავისუფლებისა» და შვეციის არისტოკრატიის საფუძველთა შე-

თავსებაო. სრულიად უეჭველია, შვეციის სოციალ-დემოკრატია სოციალიზმის საქმესა და დემოკრატიის საქმეს უღალატებდა, მას რომ მთელი ძალღონით არ ებრძოლნა როგორც მემამულური, ისე «კოკოშკინური» იდეოლოგიისა და პოლიტიკის წინააღმდეგ, მას რომ, გარდა ერთა თანასწორუფლებიანობისა. საზოგადოდ (რასაც კოკოშკინებიც აღიარებენ), არ დაეცვა ერთა თვითგამორკვევის უფლება, ნორვეგიის გამოყოფის თავისუფლება.

შვეციის მუშების მიერ ნორვეგიელთა გამოყოფის უფლების ეს აღიარება ხელსაყრელი იყო ნორვეგიისა და შვეციის მუშების მჭიდრო კავშირისათვის, მათი სრული ამხანაგური კლასობრივი სოლიდარობისათვის. ვინაიდან ნორვეგიის მუშები რწმუნდებოდნენ იმაში, რომ შვეციის მუშები დაავადებული არ არიან შვეციური ნაციონალიზმით, რომ მათთვის ნორვეგიის პროლეტარებთან ძმობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე შვეციის ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის პრივილეგიები. ევროპის მონარქებისა და შვეციის არისტოკრატების მიერ ნორვეგიისათვის თავზე მოხვეული კავშირის დარღვევამ გააძლიერა კავშირი ნორვეგიისა და შვეციის მუშებს შორის. შვეციის მუშებმა დაამტკიცეს, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკის ყველა პერიპეტიათა მანძილზე — ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ნიადაგზე სავსებით შესაძლებელია შვეციელებისადმი ნორვეგიელთა კვლავ ძალით დამორჩილება! — ისინი შესძლებენ შეინარჩუნონ და დაიცვან ორივე ერის მუშების სრული თანასწორუფლებიანობა და კლასობრივი სოლიდარობა როგორც შვეციის, ისე ნორვეგიის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აქედან ცხადია, სხვათა შორის, თუ რა უსაფუძვლოა და პირდაპირ არასერიოზულიც კია ცდა, რომელსაც ზოგჯერ «ფრაკები» მიმართავენ, რათა ჩვენი და როზა ლუქსემბურგის უთანხმოება პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ «გამოიყენონ». «ფრაკები» პროლეტარული, სოციალისტური პარტია კი არაა, არამედ წვრილბურჟუაზიული ნაციო-

ნალისტური პარტიაა, რაღაც პოლონელი სოციალ-რევოლუციონერების მსგავსი. არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ლაპარაკი რუსეთის ს.-დ-ებისა და ამ პარტიის რაიმე ერთობაზე. პირიქით, რუსეთის არც ერთ სოციალ-დემოკრატს არასოდეს «სანანებლად» არ გახდომია პოლონეთის ს.-დ-ებთან დაახლოება და შეერთება. პოლონეთის სოციალ-დემოკრატიას უდიდესი ისტორიული დამსახურება მიუძღვის: მან პირველად შექმნა ნამდვილად მარქსისტული, ნამდვილად პროლეტარული პარტია პოლონეთში, რომელიც ერთიანად გაჟღენთილია ნაციონალისტური მისწრაფებებითა და გატაცებით. მაგრამ პოლონეთის ს.-დ-ების ეს დამსახურება იმ გარემოების გამო კი არაა დიადი დამსახურება, რომ როზა ლუქსემბურგმა რუსეთის მარქსისტთა პროგრამის მე-9 პარაგრაფის წინააღმდეგ სისულელე მოჩმახა, არამედ მიუხედავად ამ სამწუხარო გარემოებისა.

პოლონელი ს.-დ-ებისათვის «თვითგამორკვევის უფლებას», რასაკვირველია, ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც რუსი ს.-დ-ებისათვის. სავსებით გასაგებია, რომ პოლონეთის ნაციონალისტურად დაბრმავებულ წვრილ ბურჟუაზიასთან ბრძოლამ აიძულა პოლონელი ს.-დ-ები განსაკუთრებული (ხანდახან, შეიძლება, ოდნავ ზედმეტი) გულმოდგინებით «გადაეღუნათ ჯოხი». არც ერთს რუსეთის მარქსისტს არასოდეს არ მოსვლია აზრად — ბრალი დაედო პოლონელი ს.-დ-ებისათვის, რომ ისინი პოლონეთის გამოყოფის წინააღმდეგი არიან. შეცდომას ეს ს.-დ-ები მხოლოდ მაშინ სჩადიან, როცა ცდილობენ — როზა ლუქსემბურგის მსგავსად — უარყონ რ უ ს ე თ ი ს მარქსისტების პროგრამაში თვითგამორკვევის უფლების აღიარების საჭიროება.

ეს, არსებითად, ნიშნავს: ურთიერთობა, რაც გასაგებია კრაკოვის ჰორიზონტის თვალსაზრისით, გადაიტანოთ რუსეთის ყველა ხალხისა და ერის, მათ შორის ველიკოროსთა მასშტაბზე. ეს ნიშნავს: იყოთ «შებრუნებული პოლონელი

ნაციონალისტი», და არა რუსეთის, არა ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატი.

ვინაიდან ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატია სწორედ ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარების ნიადაგზე დგას. ჩვენც ამაზე გადავდივართ ახლა.

7. 1896 წლის ლონდონის საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილება

ეს გადაწყვეტილება ამბობს:

«კონგრესი აცხადებს, რომ იგი მომხრეა ყველა ერის თვითგამორკვევის სრული უფლებისა (**Selbstbestimmungsrecht**) და თავის თანაგრძნობას უცხადებს ყოველი ისეთი ქვეყნის მუშებს, რომელიც ამჟამად იტანჯება სამხედრო, ნაციონალური ან რომელიმე სხვა აბსოლუტიზმის უღელქვეშ; კონგრესი მოუწოდებს ყველა ამ ქვეყნის მუშებს შევიდნენ მთელი მსოფლიოს შეგნებული (**Klassenbewusste** = თავისი კლასის ინტერესთა შემგნები) მუშების რიგებში, რათა მათთან ერთად იბრძოლონ საერთაშორისო კაპიტალიზმის დასაძლევად და საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მიზნების განსახორციელებლად» *.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენმა ოპორტუნისტებმა, ბბ. სემკოვსკიმ, ლიბმანმა, იურკევიჩმა პირდაპირ არა იციან რა ამ გადაწყვეტილების შესახებ. მაგრამ როზა ლუქსემბურგმა იცის, მას სრული მისი ტექსტიც მოჰყავს, და აქ იგივე გამოთქმაა, როგორიც ჩვენს პროგრამაშია: «თვითგამორკვევა».

---

* იხ. ოფიციალური გერმანული ანგარიში ლონდონის კონგრესის შესახებ: «**Verhandlungen und Beschlüsse des internationalen sozialistischen Arbeiter- und Gewerkschafts-Kongresses zu London, vom 27. Juli bis 1. August 1896**», **Berlin**, 1897, S. 18 («ოქმები და დადგენილებები სოციალისტური მუშათა პარტიების და პროფესიული კავშირების საერთაშორისო კონგრესისა ლონდონში, 1896 წ. 27 ივლისიდან 1 აგვისტომდე», ბერლინი, 1897, გვ. 18. რ ე დ.). არის რუსული ბროშურაც საერთაშორისო კონგრესების გადაწყვეტილებებით, სადაც «თვითგამორკვევის» მაგივრად შეცდომით ნათარგმნია: «ავტონომია».

საკითხავია, როგორღა გადალახა როზა ლუქსემბურგმა ეს დაბრკოლება, რომელიც გზას უღობავს მის «ორიგინალურ» თეორიას?

ოჰ, სრულიად უბრალოდ: ...სიმძიმის ცენტრი აქ რეზოლუციის მეორე ნაწილშია... მისი დეკლარაციული ხასიათი... მხოლოდ გაუგებრობით შეიძლება მისი დამოწმებაო!!

ჩვენი ავტორის უმწეობა და დაბნეულობა პირდაპირ გასაოცარია. ჩვეულებრივად თანამიმდევრული დემოკრატიული და სოციალისტური საპროგრამო პუნქტების დეკლარაციულ ხასიათზე მარტო ოპორტუნისტები მიუთითებენ, ლაჩრულად გაურბიან რა პირდაპირ პოლემიკას მათ წინააღმდეგ. როგორც ეტყობა, ტყუილად კი არ აღმოჩნდა როზა ლუქსემბურგი ამჯერად ბბ. სემკოვსკების, ლიბმანისა და იურკევიჩის სავალალო კომპანიაში. როზა ლუქსემბურგი ვერ ბედავს პირდაპირ განაცხადოს, მართებულად თუ შემცდარად თვლის იგი მოყვანილ რეზოლუციას. იგი თავს იძვრენს და იმალება, თითქოს ისეთი უყურადღებო და უცოდინარი მკითხველის იმედი ჰქონდეს, რომელსაც რეზოლუციის მეორე ნაწილის კითხვის დროს პირველი უკვე დავიწყებული აქვს, ან რომელსაც არასოდეს არაფერი გაუგონია კამათზე სოციალისტურ პრესაში ლონდონის კონგრესის წ ი ნ.

მაგრამ როზა ლუქსემბურგი დიდად ცდება, თუ წარმოდგენილი აქვს, რომ იგი რუსეთის შეგნებული მუშების წინაშე ასე ადვილად მოახერხებს ფეხით გათელოს ინტერნაციონალის რეზოლუცია მნიშვნელოვან პრინციპულ საკითხზე, ისე რომ არც კი ინებოს მისი კრიტიკულად განხილვა.

ლონდონის კონგრესამდე წარმოებულ კამათში — უმთავრესად გერმანელი მარქსისტების ჟურნალის «Die Neue Zeit»-ის ფურცლებზე — გამოითქვა როზა ლუქსემბურგის თვალსაზრისი, და ამ თვალსაზრისმა, არსებითად, დამარცხება განიცადა ინტერნაციონალის წ ი ნ ა შ ე! აი რაშია საქმის დედაარსი,

რომელიც განსაკუთრებით უნდა ჰქონდეს მხედველობაში რუს მკითხველს.

კამათი წარმოებდა პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხის გამო. სამი თვალსაზრისი გამოითქვა:

1) თვალსაზრისი «ფრაკებისა», რომელთა სახელით გეკერი გამოვიდა. მათ სურდათ, რომ ინტერნაციონალს თ ა ვ ი ს ი პროგრამით ეღიარებინა პოლონეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ეს წინადადება არ მიიღეს. ამ თვალსაზრისმა მარცხი განიცადა ინტერნაციონალის წინაშე.

2) როზა ლუქსემბურგის თვალსაზრისი: პოლონელმა სოციალისტებმა არ უნდა მოითხოვონ პოლონეთის დამოუკიდებლობაო. ამ თვალსაზრისით ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებაზე. ამ თვალსაზრისმაც მარცხი განიცადა ინტერნაციონალის წინაშე.

3) თვალსაზრისი, რომელსაც მაშინ ყველაზე საფუძვლიანად კ. კაუცკი ავითარებდა, როდესაც როზა ლუქსემბურგის წინააღმდეგ გამოდიოდა და მისი მატერიალიზმის უკიდურეს «ცალმხრივობას» ამტკიცებდა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ინტერნაციონალს ამჟამად არ შეუძლია თავის პროგრამად პოლონეთის დამოუკიდებლობა დაისახოს, მაგრამ პოლონელ სოციალისტებსო — ამბობდა კაუცკი — სავსებით შეუძლიათ ასეთი მოთხოვნის წამოყენებაო. სოციალისტების თვალსაზრისით უეჭველად შემცდარია ეროვნული განთავისუფლების ამოცანების უგულებელყოფა ეროვნული ჩაგვრის პირობებშიო.

ინტერნაციონალის რეზოლუციაშიც გადმოცემულია ამ თვალსაზრისის ყველაზე არსებითი, ძირითადი დებულებანი: ერთი მხრივ, სრულიად აშკარა და ყოველგვარ ცრუ-განმარტებათა გამომრიცხავი აღიარება ყველა ერის თვითგამორკვევის სრული უფლებისა; მეორე მხრივ, მუშებისადმი ასევე არაორაზროვანი მოწოდება მათი კლასობრივი ბრძოლის ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ერთიანობისაკენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს რეზოლუცია სავსებით სწორია და რომ აღმოსავლეთ ევროპის და აზიის ქვეყნებისათვის XX საუკუნის დამდეგს სწორედ ეს რეზოლუცია და სწორედ მისი ორივე ნაწილის განუყრელ კავშირში ერთადერთ სწორ დირექტივას იძლევა პროლეტარული კლასობრივი პოლიტიკისათვის ნაციონალურ საკითხში.

ცოტა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ სამ ზემოაღნიშნულ თვალსაზრისზე.

ცნობილია, რომ კ. მარქსსა და ფრ. ენგელსს მთელი დასავლეთ ევროპის დემოკრატიისა და მით უმეტეს სოციალ-დემოკრატიისათვის უეჭველად სავალდებულოდ მიაჩნდათ პოლონეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის აქტიური მხარისდაჭერა. წარსული საუკუნის 40-იანი და 60-იანი წლების ეპოქისათვის, ავსტრიისა და გერმანიის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქისათვის, რუსეთში «გლეხთა რეფორმის» ეპოქისათვის, ეს თვალსაზრისი სრულიად სწორი და ერთადერთი თანამიმდევრულ-დემოკრატიული და პროლეტარული თვალსაზრისი იყო. სანამ რუსეთისა და სლავური ქვეყნების უმრავლესობის ხალხთა მასები ჯერ კიდევ საღათას ძილით იყვნენ მოცული, სანამ ამ ქვეყნებში არ იყო დამოუკიდებელი, მასობრივი, დემოკრატიული მოძრაობანი, შლიახტურ განმათავისუფლებელ მოძრაობას პოლონეთში უზარმაზარი, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა მარტო სრულიად რუსეთის, არა მარტო სრულიად სლავური, არამედ სრულიად ევროპული დემოკრატიის თვალსაზრისითაც *.

* მეტად საინტერესო ისტორიული შრომა იქნებოდა ერთმანეთისათვის დაგვეპირისპირებინა 1863 წლის პოლონელი მეამბოხე-შლიახტიჩის პოზიცია, სრულიად რუსეთის დემოკრატ-რევოლუციონერის ჩერნიშევსკის პოზიცია, რომელმაც (მარქსის მსგავსად) შესძლო პოლონეთის მოძრაობის შნიშვნელობის დაფასება, და გაცილებით უფრო გვიან გამოსული უკრაინელი მეშჩანის დრაგომანოვის პოზიცია; ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ისე ველური, მძინარა, თავის სანეხვეზე მიკრული გლეხის თვალსაზრისს გამო-

მაგრამ თუ მარქსის ეს თვალსაზრისი სავსებით სწორი იყო XIX საუკუნის მეორე მესამედისა ან მესამე მეოთხედისათვის, იგი სწორი აღარ არის XX საუკუნისათვის. მეტწილ სლავურ ქვეყნებში, თვით ერთ-ერთ უაღრესად ჩამორჩენილ სლავურ ქვეყანაში, რუსეთში, დამოუკიდებელი დემოკრატიული მოძრაობანი და დამოუკიდებელი პროლეტარული მოძრაობაც კი წარმოიშვა. შლიახტური პოლონეთი გაქრა და ადგილი დაუთმო კაპიტალისტურ პოლონეთს. ასეთ პირობებში პოლონეთს არ შეეძლო თავისი განსაკუთრებული რევოლუციური მნიშვნელობა არ დაეკარგა.

თუ პ. პ. ს. («პოლონეთის სოციალისტური პარტია», ახლანდელი «ფრაკები») 1896 წელს ცდილობდა სხვა ეპოქის მარქსის თვალსაზრისი «განემტკიცებინა», ეს უკვე ნიშნავდა მარქსიზმის ასოს გამოყენებას მარქსიზმის სულის წინააღმდეგ. ამიტომ სავსებით მართალი იყვნენ პოლონელი სოციალ-დემოკრატები, როცა ისინი პოლონელი წვრილი ბურჟუაზიის ნაციონალისტური გატაცების წინააღმდეგ გამოვიდნენ, ცხადყვეს პოლონელი მუშებისათვის ნაციონალური საკითხის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, პირველად შექმნეს წმინდა-პროლეტარული პარტია პოლონეთში, გამოაცხადეს უდიდესი მნიშვნელობის პრინციპი პოლონელი და რუსი მუშის უაღრესად მჭიდრო კავშირისა მათს კლასობრივ ბრძოლაში.

მაგრამ ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ ინტერნაციონალს XX საუკუნის დასაწყისში შეეძლო აღმოსავლეთ ევროპისა და აზიისათვის ზედმეტად ეღიარებინა ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის პრინციპი? მათი გამოყოფის უფლება? ეს იქნებოდა უდიდესი უაზრობა, რომელიც შეედრებოდა (თეო-

---

ხატავდა, რომ პოლონელი პანისადმი კანონიერი სიძულვილის გამო მას არ შეეძლო გაეგო ამ პანების ბრძოლის მნიშვნელობა სრულიად რუსეთის დემოკრატიისათვის. (შეად. დრაგომანოვის «ისტორიული პოლონეთი და სრულიად რუსეთის დემოკრატია»). დრაგომანოვმა საესებით დაიმსახურა ის აღტაცებული ამბორი, რომლითაც მას შემდეგში აჯილდოებდა უკვე ნაციონალ-ლიბერალად გადაქცეული ბ-ნი პ. ბ. სტრუვე.

რიულად) თურქეთის, რუსეთის, ჩინეთის სახელმწიფოების დამთავრებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნის აღიარებას; — რომელიც შეედრებოდა (პრაქტიკულად) ოპორტუნიზმს აბსოლუტიზმის მიმართ.

არა. აღმოსავლეთ ევროპისა და აზიისათვის, დაწყებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების ეპოქაში, ეროვნულ მოძრაობათა გაღვიძებისა და გამწვავების ეპოქაში, დამოუკიდებელ პროლეტარულ პარტიათა აღმოცენების ეპოქაში, ამ პარტიების ამოცანა ნაციონალურ პოლიტიკაში ორმხრივი უნდა იყოს: ყველა ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება, ვინაიდან ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ვინაიდან მუშათა დემოკრატია თანამიმდევრულად, სერიოზულად და გულწრფელად, არა ლიბერალურად, არა კოკოშკინისებურად, იცავს ერთა თანასწორუფლებიანობას, — და ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ერთა პროლეტარების კლასობრივი ბრძოლის უმჭიდროესი, განუწყვეტელი კავშირი, ამ სახელმწიფოს ისტორიის ყველა და ყოველგვარ პერიპეტიებში, ბურჟუაზიის მიერ ცალკე სახელმწიფოთა საზღვრების ყველა და ყოველგვარი გადამიჯვნის დროს.

პროლეტარიატის სწორედ ამ ორმხრივ ამოცანას აყალიბებს ინტერნაციონალის 1896 წლის რეზოლუცია. სწორედ ასეთია, თავისი პრინციპული საფუძვლებით, რუსეთის მარქსისტების 1913 წლის ზაფხულის თათბირის რეზოლუცია. არიან ადამიანები, რომელთაც «წინააღმდეგობრივად» მიაჩნიათ, რომ ეს რეზოლუცია მე-4 პუნქტში, როდესაც თვითგამორკვევის, გამოყოფის უფლებას აღიარებს, თითქოს მაქსიმუმს «აძლევს» ნაციონალიზმს (ნამდვილად კ ი ყ ვ ე ლ ა ერთა თვითგამორკვევის უ ფ ლ ე ბ ი ს აღიარებაში დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს მაქსიმუმია და ნაციონალიზმის მინიმუმი), — ხოლო მე-5 პუნქტში მუშებს აფრთხილებს რომელიც უნდა იყოს ბურჟუაზიის ნაციონალისტური ლოზუნგების წინააღმდეგ და მოითხოვს ყველა ერის მუშების ერთობასა და შედუღებას ინტერნაციონალურად ერთიან პროლეტარულ

ორგანიზაციებში. მაგრამ აქ «წინააღმდეგობის» დანახვა შეუძლიათ მხოლოდ მოკლე ჭკუის ადამიანებს, რომლებსაც, მაგალითად, ვერ გაუგიათ, რატომ მ ო ი გ ო შვეიცარიისა და ნორვეგიის პროლეტარიატის ერთიანობამ და კლასობრივმა სოლიდარობამ, როცა შვეიცარიის მუშებმა დაიცვეს ნორვეგიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფის თავისუფლება.

8. უტოპისტი კარლ მარქსი და პრაქტიკული როზა ლუქსემბურგი

როზა ლუქსემბურგი «უტოპიად» აცხადებს პოლონეთის დამოუკიდებლობას, მომაბეზრებლად ხშირად იმეორებს ამას და ირონიულად გაიძახის: რატომ არ უნდა დაისვას ირლანდიის დამოუკიდებლობის მოთხოვნაო?

ეტყობა, «პრაქტიკულმა» როზა ლუქსემბურგმა არ იცის, როგორ უყურებდა კ. მარქსი ირლანდიის დამოუკიდებლობის საკითხს. ამაზე ღირს შეჩერება, რათა ცხადვყოთ ანალიზი ეროვნული დამოუკიდებლობის კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მოთხოვნისა ნამდვილი მარქსისტული და არა ოპორტუნისტული თვალსაზრისით.

მარქსს ჩვეულებად ჰქონდა თავისი ნაცნობი სოციალისტების «კბილის გასინჯვა», როგორც თვით ამბობდა ხოლმე, რათა მათი შეგნებულობა და რწმენის სიმტკიცე შეემოწმებინა [113]. ლოპატინის გაცნობის შემდეგ მარქსი ახალგაზრდა რუს სოციალისტს მეტისმეტი ქებით იხსენიებს ენგელსისადმი მიმართულ 1870 წლის 5 ივლისის წერილში, მაგრამ ამასთანავე დასძენს:

...«სუსტი პუნქტი: პ ო ლ ო ნ ე თ ი. ამ პუნქტის შესახებ ლოპატინი სავსებით ისევე ლაპარაკობს, როგორც ინგლისელი — ვთქვათ, ძველი სკოლის ინგლისელი ჩარტისტი — ირლანდიაზე» [114].

სოციალისტს, რომელიც მჩაგვრელ ერს ეკუთვნის, მარქსი ეკითხება ჩაგრული ერისადმი მისი დამოკიდებულების შესახებ და მყისვე ამხელს გაბატონებული ერების (ინგლისელე-

ბისა და რუსების) სოციალისტთა საერთო ნაკლს: მათ არ ესმით თავიანთი სოციალისტური ვალდებულებანი დაბეჩავებული ერების მიმართ, ისინი ლეჭავენ «დიდმპყრობელი» ბურჟუაზიისაგან გადმოღებულ ცრურწმენებს.

სანამ გადავიდოდეთ მარქსის დადებითს განცხადებებზე ირლანდიის შესახებ, უნდა ვთქვათ, რომ მარქსი და ენგელსი მეტად კრიტიკულად უყურებდნენ ნაციონალურ საკითხს საერთოდ, პირობით-ისტორიულად აფასებდნენ მის მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, ენგელსი 1851 წლის 23 მაისს სწერდა მარქსს: ისტორიის შესწავლას პესიმისტურ დასკვნებამდე მივყავარ პოლონეთის შესახებ, პოლონეთის მნიშვნელობა დროებითია, მხოლოდ იმ დრომდე, სანამ რუსეთში აგრარული რევოლუცია მოხდებოდესო. პოლონელების როლი ისტორიაში «გაბედული სისულელეებია». «ერთი წუთითაც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, თითქოს პოლონეთი, თუნდაც მარტო რუსეთთან შედარებით, წარმატებით წარმოადგენდეს პროგრესს ან რაიმე ისტორიული მნიშვნელობის მქონე იყოს». რუსეთში მეტია ცივილიზაციის, განათლების, ინდუსტრიის, ბურჟუაზიის ელემენტები, ვიდრე «შლიახტურ-მძინარე პოლონეთში». «რას წარმოადგენს ვარშავა და კრაკოვი პეტერბურგთან, მოსკოვთან, ოდესასთან შედარებით!» [115]. ენგელსს არა სწამს პოლონელი შლიახტიჩების აჯანყებათა წარმატება.

მაგრამ ყველა ამ აზრს, რომლებშიც ასე მრავლად მოიპოვება გენიალური შორსმჭვრეტელობა, სრულიადაც არ შეუშლია ხელი ენგელსისა და მარქსისათვის, 12 წლის შემდეგ, როცა რუსეთს ჯერ კიდევ ეძინა, ხოლო პოლონეთი ბობოქრობდა, უღრმესი და მხურვალე თანაგრძნობით მოპყრობოდნენ პოლონეთის მოძრაობას.

1864 წელს, ინტერნაციონალის ადრესის შედგენის დროს, მარქსი სწერს ენგელსს (1864 წლის 4 ნოემბერს), მაძინის ნაციონალიზმის წინააღმდეგ გვიხდება ბრძოლაო. «როცა ადრესში ინტერნაციონალურ პოლიტიკაზეა საუბარი, მე ვლაპარაკობ ქვეყნებზე და არა ეროვნებებზე და ვამხილებ რუსეთს, და არა ნაკლებ მნიშვნელოვან სახელმწიფოებს» —

წერს მარქსი. «მუშათა საკითხთან» შედარებით ნაციონალური საკითხის დაქვემდებარებული მნიშვნელობა მარქსისათვის ეჭვს გარეშეა. მაგრამ მისი თეორია ისევე დაშორებულია ეროვნულ მოძრაობათა უგულებელყოფას, როგორც ცა დედამიწას.

დგება 1866 წელი. მარქსი ენგელსს სწერს პარიზის «პრუდონის ხროვის» შესახებ, რომელიც «ეროვნებებს უაზრობად აცხადებს და თავს ესხმის ბისმარკსა და გარიბალდის. ეს ტაქტიკა სასარგებლო და გასაგებია, როგორც პოლემიკა შოვინიზმის წინააღმდეგ. მაგრამ როცა პრუდონის მორწმუნენი (მათ რიცხვს ეკუთვნიან აგრეთვე ჩემი აქაური კეთილი მეგობრები, ლაფარგი და ლონგე) ფიქრობენ, თითქოს მთელ ევროპას შეეძლოს და ვალდებულიც იყოს მშვიდად და წყნარად იჯდეს თავის უკანალზე, სანამ ბატონები საფრანგეთში სიღატაკესა და უმეცრებას მოსპობდნენ... ისინი სასაცილონი არიან» (1866 წ. 7 ივნისის წერილი).

«გუშინ — წერს მარქსი 1866 წ. 20 ივნისს — ინტერნაციონალის საბჭოში კამათი მიმდინარეობდა ახლანდელი ომის გამო... კამათი, როგორც მოსალოდნელი იყო, გადავიდა «ეროვნებათა» საკითხზე და მისდამი ჩვენს დამოკიდებულებაზე... «ახალგაზრდა საფრანგეთის» წარმომადგენლები (ა რ ა მ უ შ ე ბ ი) იმ თვალსაზრისს აყენებდნენ, რომ ყოველი ეროვნება და თვით ერიც მოძველებული ცრურწმენაა. ესაა პრუდონისტული შტირნერიანობა... მთელმა მსოფლიომ უნდა იცადოს, სანამ ფრანგები სოციალური რევოლუციის მოსახდენად მომწიფდებოდნენ... ინგლისელებმა ბევრი იცინეს, როცა ჩემი სიტყვა იმით დავიწყე, რომ ჩვენი მეგობარი ლაფარგი და სხვები, რომლებმაც ეროვნებანი გააუქმეს, ფრანგულად მოგვმართავენ, ე. ი. იმ ენაზე, რომელიც გაუგებარია კრების 9/10-ისათვის. შემდეგ მე სიტყვა გადავკარ, რომ ლაფარგი, თავისდა შეუგნებლად, ეროვნებათა უარყოფაში, მგონი, გულისხმობს მათ შთანთქმას სანიმუშო ფრანგი ერის მიერ» [116].

ცხადია, რა დასკვნა გამომდინარეობს მარქსის ყველა ამ კრიტიკული შენიშვნიდან: მუშათა კლასს ყველაზე ნაკლებ შეუძლია ფეტიშად გაიხადოს ნაციონალური საკითხი, ვინაიდან კაპიტალიზმის განვითარება აუცილებლად ყ ვ ე ლ ა ერს როდი აღვიძებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. მაგრამ, რაკი მასობრივი ეროვნული მოძრაობანი წარმოიშვნენ, მათგან განზე გადგომა, მათში პროგრესულის მხარისდაჭერაზე უარისთქმა იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ნამდვილად ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ უ რ ცრურწმენებს აჰყვეს, სახელდობრ: «თავისი» ერი «სანიმუშო ერად» აღიაროს (ან, დავძენთ ჩვენდათავად, ერად, რომელსაც განსაკუთრებული პრივილეგია აქვს სახელმწიფოებრივი მშენებლობისა) *.

მაგრამ დავუბრუნდეთ ირლანდიის საკითხს.

მარქსის პოზიცია ამ საკითხში ყველაზე ნათლად გამოთქმულია შემდეგს ნაწყვეტებში მისი წერილებიდან:

«მე ყოველი საშუალებით ვცდილობდი გამომეწვია ინგლისელი მუშების დემონსტრაცია ფენიანიზმის სასარგებლოდ... წინათ ინგლისისაგან ირლანდიის გამოყოფა მე შეუძლებლად მიმაჩნდა. ახლა ეს გარდუვალად მიმაჩნია, თუნდაც გამოყოფის შემდეგ საქმე. ფედერაციით დამთავრდეს». ასე სწერდა მარქსი ენგელსს 1867 წლის 2 ნოემბრის წერილში.

იმავე წლის 30 ნოემბრის წერილში ის უმატებდა:

«რა უნდა ვურჩიოთ ი ნ გ ლ ი ს ე ლ მუშებს? ჩემი აზრით, თავიანთი პროგრამის მუხლად მათ უნდა გახადონ კავშირის **Repeal** (გაწყვეტა)» (ირლანდიის კავშირისა ინგლისთან, ესე იგი ირლანდიის გამოყოფა ინგლისისაგან) — «მოკლედ რომ ვთქვათ, 1783 წლის მოთხოვნა, ოღონდ დემოკრატიზებული

* შეადარე კიდევ მარქსის წერილი ენგელსისადმი 1867 წ. 3 ივნისის თარიღით: ...««ტაიმსის» პარიზული კორესპონდენციიდან დიდი სიამოვნებით გავიგე პარიზელების პოლონოფილურ ყიჟინაზე რუსეთის წინააღმდეგ... ბ-ნი პრუდონი და მისი პატარა დოქტრინიორული ხროვა საფრანგეთის ხალხი როდია» [117].

და თანამედროვე პირობებთან შეფარდებული. ეს ირლანდიის განთავისუფლების ერთადერთი ლეგალური ფორმაა და ამიტომ მხოლოდ მისი მიღებაა შესაძლებელი ინგლისური პარტიის პროგრამაში. გამოცდილებამ შემდეგ უნდა დაგვანახოს, შეიძლება თუ არა ხანგრძლივად იარსებოს უბრალო პირადმა უნიამ ორივე ქვეყანას შორის...

...ირლანდიელებს ესაჭიროებათ შემდეგი:

1. თვითმმართველობა და დამოუკიდებლობა ინგლისისაგან.

2. აგრარული რევოლუცია»...

მარქსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ირლანდიის საკითხს და ამ თემაზე საათნახევრიან მოხსენებებს კითხულობდა გერმანელ მუშათა კავშირში (1867 წ. 17 დეკემბრის წერილი) [118].

ენგელსი 1868 წ. 20 ნოემბრის წერილში აღნიშნავს «ირლანდიელებისადმი სიძულვილს ინგლისელ მუშებს შორის», ხოლო თითქმის ერთი წლის შემდეგ (1869 წ. 24 ოქტომბერს) ამ თემას უბრუნდება და წერს:

«ირლანდიიდან რუსეთამდე il n'y a qu'un pas (მხოლოდ ერთი ნაბიჯია)... ირლანდიის ისტორიის მაგალითით შეიძლება დავინახოთ, რა უბედურებაა ხალხისათვის, თუ მან სხვა ხალხი დაიმონა. ინგლისელთა ყველა სისაძაგლეს ირლანდიურ სფეროში აქვს თავისი დასაბამი. კრომველის ეპოქა მე კიდევ უნდა შევისწავლო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩემთვის უეჭველია, რომ საქმის ვითარება ინგლისშიც სხვაგვარად წარიმართებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილიყო ირლანდიაში სამხედრო ბატონობის დამყარება და ახალი არისტოკრატიის შექმნა».

აქვე აღვნიშნოთ მარქსის წერილი ენგელსისადმი 1869 წ. 18 აგვისტოს თარიღით:

«პოზნანში პოლონელმა მუშებმა ძლევამოსილი გაფიცვა ჩაატარეს თავიანთი ბერლინელი ამხანაგების დახმარების წყალობით. ეს ბრძოლა «ბატონ კაპიტალის» წინააღმდეგ — თვით მისი უდაბლესი ფორმით, გაფიცვის ფორმით — უფრო

სერიოზულად მოუღებს ბოლოს ეროვნულ ცრურწმენებს, ვიდრე ბატონ ბურჟუების ბაგეთაგან წარმომდინარე დეკლამაციები მშვიდობის შესახებ» [119].

პოლიტიკა, რომელსაც მარქსი ინტერნაციონალში ირლანდიის საკითხის გამო აწარმოებდა, შემდეგიდან ჩანს:

1869 წ. 18 ნოემბერს მარქსი სწერს ენგელსს: 1¼-საათიანი სიტყვა წარმოვთქვი ინტერნაციონალის საბჭოში ირლანდიის ამნისტიისადმი ბრიტანეთის სამინისტროს დამოკიდებულების საკითხზე და შემდეგი რეზოლუცია წარვადგინეო:

«დადგენილია,

რომ თავის პასუხში ირლანდიელთა მოთხოვნაზე — ირლანდიელი პატრიოტები გაათავისუფლეთო, ბ-ნი გლადსტონი განზრახ შეურაცხყოფს ირლანდიელ ერს;

რომ იგი პოლიტიკურ ამნისტიას აკავშირებს ისეთ პიროებებთან, რომლებიც ერთნაირად დამამცირებელია უვარგისი მთავრობის მსხვერპლთათვისაც და მის მიერ წარმოდგენილი ხალხისთვისაც;

რომ გლადსტონმა, რომელიც თავისი ოფიციალური მდგომარეობითაა შებოჭილი, საჯაროდ და საზეიმოდ სალამი მიუძღვნა ამერიკელ მონათმფლობელთა ამბოხებას, დღეს კი პასიური მორჩილების მოძღვრებას უქადაგებს ირლანდიელ ერს;

რომ მთელი მისი პოლიტიკა ირლანდიელთა ამნისტიის მიმართ ნამდვილი გამოხატულებაა იმ «დ ა პ ყ რ ო ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ა», რომლის მხილებით ბ-მა გლადსტონმა თავისი მოწინააღმდეგეების — ტორიების სამინისტრო დაამხო;

რომ მუშათა ინტერნაციონალური ასოციაციის გენერალური საბჭო თავის აღტაცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ირლანდიელი ხალხი ასე თამამად, მტკიცედ და მხურვალედ აწარმოებს თავის კამპანიას ამნისტიისათვის;

რომ ეს რეზოლუცია უნდა ეუწყოს მუშათა ინტერნაციონალური ასოციაციის ყველა სექციას და მასთან დაკავ-

შირებულ ყველა მუშათა ორგანიზაციას ევროპასა და ამერიკაში» [120].

1869 წ. 10 დეკემბერს მარქსი წერს, რომ მისი მოხსენება ირლანდიის საკითხის შესახებ ინტერნაციონალის საბჭოში შემდეგნაირად იქნება აგებული:

...«სრულიად დამოუკიდებლად ყოველგვარი «ინტერნაციონალური» და «ჰუმანიტარული» ფრაზისაგან «ირლანდიისადმი სამართლიანობის» შესახებ — ვინაიდან ინტერნაციონალის საბჭოში ეს თავისთავად იგულისხმება — ინგლისის მუშათა კლასის პირდაპირი აბსოლუტური ინტერესი მოითხოვს ირლანდიასთან მისი ახლანდელი კავშირის გაწყვეტას. ასეთია ჩემი უღრმესი რწმენა, დამყარებული იმ მიზეზებზე, რომელთაც ნაწილობრივ ვერ გავუმხელ თვით ინგლისელ მუშებს. მე დიდხანს ვფიქრობდი, რომ ირლანდიის რეჟიმის დამხობა შესაძლებელია ინგლისის მუშათა კლასის აღმავლობის შემწეობით. მე ყოველთვის ვიცავდი ამ თვალსაზრისს «ნიუ-იორკის ტრიბუნაში» (ამერიკული გაზეთი, რომელშიც მარქსი დიდხანს თანამშრომლობდა). საკითხის უფრო ღრმა შესწავლამ საწინააღმდეგო რამეში დამარწმუნა. ინგლისის მუშათა კლასი ვერაფერს გახდება, სანამ ირლანდიისაგან არ განთავისუფლდება... ინგლისური რეაქცია ინგლისში ირლანდიის დამონებაზეა დამყარებული» (ხაზგასმა მარქსისაა) [121].

ახლა მკითხველებისათვის სავსებით ნათელი უნდა იყოს მარქსის პოლიტიკა ირლანდიის საკითხში.

«უტოპისტი» მარქსი იმდენად «არაპრაქტიკულია», რომ ემხრობა ირლანდიის გამოყოფას, რაც ნახევარი საუკუნის შემდეგაც განუხორციელებელი აღმოჩნდა.

მაშ რითაა გამოწვეული მარქსის ეს პოლიტიკა და შეცდარი ხომ არ იყო იგი?

თავდაპირველად მარქსს ეგონა, ირლანდიას ჩაგრული ერის ეროვნული მოძრაობა კი არ გაათავისუფლებს, არამედ შეაგვრელი ერის მუშათა მოძრაობაო. მარქსი არავითარ აბსო-

ლუტს არ ქმნის ეროვნული მოძრაობებისაგან, რადგან იცის, რომ ყველა ეროვნების სავსებით განთავისუფლებას მხოლოდ მუშათა კლასის გამარჯვება შესძლებს. შეუძლებელია გათვალისწინება ყველა შესაძლებელი თანაფარდობისა ჩაგრულ ერთა ბურჟუაზიულ განმათავისუფლებელ მოძრაობებსა და მჩაგვრელ ერში პროლეტარულ განმათავისუფლებელ მოძრაობას შორის (ეს სწორედ ის პრობლემაა, რომელიც ასე აძნელებს ნაციონალურ საკითხს თანამედროვე რუსეთში).

მაგრამ აი მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ ინგლისის მუშათა კლასი საკმაოდ დიდი ხნით მოექცა ლიბერალების გავლენაში, მათი მაჩანჩალა გახდა, თავი წარიკვეთა ლიბერალური მუშათა პოლიტიკით. ბურჟუაზიული განმათავისუფლებელი მოძრაობა ირლანდიაში გაძლიერდა და რევოლუციური ფორმები მიიღო. მარქსი გადასინჯავს თავის შეხედულებას და ასწორებს მას. «უბედურებაა ხალხისათვის, თუ მან სხვა ხალხი დაიმონა». ვერ განთავისუფლდება მუშათა კლასი ინგლისში, სანამ არ განთავისუფლდება ირლანდია ინგლისის უღლისაგან. რეაქციას ინგლისში ირლანდიის დამონება განამტკიცებს და ასაზრდოებსო (ისევე როგორც რუსეთში რეაქციას რუსეთის მიერ მთელ რიგ ერთა დამონება ასაზრდოებს!).

და, გაჰყავს რა ინტერნაციონალში «ირლანდიელი ერისადმი», «ირლანდიელი ხალხისადმი» თანაგრძნობის რეზოლუცია (ჭკვიანი ლ. ვლ., ალბათ, საბრალო მარქსს გაანიავებდა კლასობრივი ბრძოლის დავიწყებისათვის!), მარქსი ქადაგებს ინგლისისაგან ირლანდიის გ ა მ ო ყ ო ფ ა ს, «თუნდაც გამოყოფის შემდეგ საქმე ფედერაციით დამთავრდეს».

როგორია მარქსის ამ დასკვნის თეორიული წანამძღვარნი? ინგლისში საერთოდ დიდი ხანია დამთავრებულია ბურჟუაზიული რევოლუცია. მაგრამ ირლანდიაში იგი არ დამთავრებულა; მას მხოლოდ ახლა, ნახევარი საუკუნის შემდეგ, ამთავრებენ ინგლისელი ლიბერალების რეფორმები. ინგლისში კაპიტალიზმი რომ ისე ჩქარა დამხობილიყო, როგორც თავდაპირველად მარქსი ელოდა, ირლანდიაში ადგილი არ ექნებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, საერთო-ეროვნულ მოძ-

რაობას. მაგრამ, რაკი იგი წარმოიშვა, მარქსი ურჩევს ინგლისელ მუშებს: მხარი დაუჭირეთ მას, რევოლუციური ბიძგი მიეცით, ბოლომდე მიიყვანეთ იგი თ ქ ვ ე ნ ი თავისუფლების გულისთვისო.

ინგლისთან ირლანდიის ეკონომიური კავშირი გასული საუკუნის 60-იან წლებში, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მჭიდრო იყო, ვიდრე რუსეთის კავშირი პოლონეთთან, უკრაინასთან და სხვ.. ირლანდიის გამოყოფის «არაპრაქტიკულობა» და «განუხორციელებლობა» (თუნდაც გეოგრაფიული პირობებისა და ინგლისის განუსაზღვრელი კოლონიური სიძლიერის გამო) ადამიანს თვალში ეცემოდა. თუმცა მარქსი ფედერალიზმის პრინციპული მტერია, მაგრამ ამ შემთხვევაში ფედერაციასაც დასაშვებად თვლის *, ო ღ ო ნ დ კ ი ირლანდიის განთავისუფლება მოხდეს არა რეფორმისტული, არამედ რევოლუციური გზით, ირლანდიაში ხალხის მასათა მოძრაობით, რომელსაც ინგლისის მუშათა კლასი დაუჭერს მხარს. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ისტორიული ამოცანის მხოლოდ ასეთი გადაწყვეტა ყველაზე უფრო შეუწყობდა ხელს პროლეტარიატის ინტერესებს და საზოგადოებრივი განვითარების დაჩქარებას.

---

* სხვათა შორის, ძნელი არ არის იმის დანახვა, თუ რატომ არ შეიძლება, სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისით, ერთა «თვითგამორკვევის» უფლებად ა რ ც ფედერაციის და ა რ ც ავტონომიის მიჩნევა (თუმცა, აბსტრაქტულად რომ ვთქვათ, ერთიცა და მეორეც მიუდგება «თვითგამორკვევის» ცნებას). ფედერაციის უფლება საერთოდ უაზრობაა, ვინაიდან ფედერაცია ორმხრივი ხელშეკრულებაა. მარქსისტებს არასგზით არ შეუძლიათ საზოგადოდ ფედერალიზმის დაცვა შეიტანონ თავიანთ პროგრამაში, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. რაც შეეხება ავტონომიას, მარქსისტები იცავენ არა ავტონომიის «უფლებას», არამედ თ ვ ი თ ავტონომიას, როგორც ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოს საერთო, უნივერსალურ პრინციპს, სადაც ეროვნული შემადგენლობა აკრეფილია, გეოგრაფიული და სხვა პირობები მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან. ამიტომ «ერთა ავტონომიის უფლების» აღიარება ისეთივე უაზრობა იქნებოდა, როგორც «ერთა ფედერაციის უფლებისა».

საქმე სხვაგვარად წარიმართა. ირლანდიელი ხალხიც და ინგლისის პროლეტარიატიც სუსტნი აღმოჩნდნენ. მხოლოდ ახლა, ინგლისელი ლიბერალებისა და ირლანდიის ბურჟუაზიის უბადრუკი გარიგების შემწეობით წ ყ დ ე ბ ა (ოლსტერის მაგალითი გვიჩვენებს, რამდენად მძიმედ) ირლანდიის საკითხი მიწის რეფორმითა (გამოსყიდვით) და ავტონომიით (რომელიც ჯერ კიდევ არაა შემოღებული). მერე რა? განა აქედან ის გამომდინარეობს, რომ მარქსი და ენგელსი «უტოპისტები» იყვნენ, რომ ისინი «განუხორციელებელ» ეროვნულ მოთხოვნებს აყენებდნენ, რომ ისინი ირლანდიელი ნაციონალისტების — წვრილი ბურჟუების — გავლენას ემორჩილებოდნენ («ფენიების» მოძრაობის წვრილბურჟუაზიული ხასიათი უეჭველია) და სხვ.?

არა. მარქსი და ენგელსი ირლანდიის საკითხშიც თანამიმდევრულ-პროლეტარულ პოლიტიკას ატარებდნენ, რომელიც მასებს მართლაც დემოკრატიზმისა და სოციალიზმის მიხედვით ზრდიდა. მხოლოდ ამ პოლიტიკას შეეძლო ეხსნა ირლანდიაც და ინგლისიც აუცილებელ გარდაქმნათა ნახევარი საუკუნით დაგვიანებისა და ლიბერალების მიერ რეაქციის საამებლად მათი დამახინჯებისაგან.

მარქსისა და ენგელსის პოლიტიკამ ირლანდიის საკითხში მოგვცა უდიდესი, დღემდეც უზარმაზარი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მნიშვნელობის მქონე ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ექცეოდეს მჩაგვრელი ერების პროლეტარიატი ეროვნულ მოძრაობებს; — გაგვაფრთხილა იმ «მონური აჩქარების» წინააღმდეგ, რომლითაც ყველა ქვეყნის, ფერისა და ენის მეშჩანები ისწრაფიან «უტოპიურად» აღიარონ იმ სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლა, რომლებიც ერთი ერის მემამულეებისა და ბურჟუაზიის ძალმომრეობითა და პრივილეგიებით არიან შექმნილნი.

ირლანდიისა და ინგლისის პროლეტარიატს რომ მარქსის პოლიტიკა არ მიეღოთ და თავიანთ ლოზუნგად ირლანდიის გამოყოფა არ წამოეყენებინათ, მათი მხრით ეს იქნებოდა უბოროტესი ოპორტუნიზმი, დემოკრატისა და სოციალისტის

ამოცანების დავიწყება, ინგლისური რეაქციისა და ბურჟუაზიისადმი დათმობა.

9. 1903 წლის პროგრამა და მისი ლიკვიდატორები

ოქმები 1903 წლის ყრილობისა, რომელმაც რუსეთის მარქსისტების პროგრამა მიიღო, უდიდეს იშვიათობად იქცა, და მუშათა მოძრაობის თანამედროვე მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა არ იცნობს პროგრამის ცალკე პუნქტების მოტივებს (მით უმეტეს, რომ ბევრი რამ ამის შესახებ ლიტერატურიდან მოკლებულია ლეგალობის სიკეთეს...). ამიტომ აუცილებლად საჭიროა შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ გაირჩა ეს ჩვენთვის საინტერესო საკითხი 1903 წლის ყრილობაზე.

უწინარეს ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ, რარიგ ღარიბიც არის რუსული ს.-დ-იული ლიტერატურა, რომელიც «ერთა თვითგამორკვევის უფლებას» შეეხება, მაინც იქიდან სრულიად ნათლად ჩანს, რომ ეს უფლება ყოველთვის ისე იყო გაგებული, როგორც გამოყოფის უფლება. ბბ. სემკოვსკები, ლიბმანები და იურკევიჩები, რომლებსაც ამაში ეჭვი შეაქვთ, რომლებიც § 9-ს «ბუნდოვანად» აცხადებენ და სხვ., მხოლოდ უკიდურესი უმეცრებისა თუ უზრუნველობის გამო ლაყბობენ «ბუნდოვანებაზე». ჯერ კიდევ 1902 წელს «ზარიაში» პლეხანოვი, იცავდა რა «თვითგამორკვევის უფლებას» პროგრამის პროექტში, წერდა: ეს მოთხოვნა, რომელიც სავალდებულო არ არის ბურჟუაზიული დემოკრატებისათვის, «სავალდებულოა სოციალ-დემოკრატებისთვისო». «ჩვენ რომ იგი დაგვიწყებოდა, ან მისი წამოყენება ვერ გაგვებედნა, — წერდა პლეხანოვი, — იმის შიშით, ველიკოროსთა ტომის ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ცრურწმენანი არ შევბღალოთო, მაშინ ჩვენს პირში სამარცხვინო ტყუილად იქცეოდა... ლოზუნგი...: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!»»[122].

ეს მეტად მოსწრებული დახასიათებაა ძირითადი საბუთისა განსახილველი პუნქტის სასარგებლოდ, იმდენად

მოსწრებული, რომ მას ამაოდ არ უვლიდნენ შიშით გვერდს და ახლაც გვერდს უვლიან ჩვენი პროგრამის «გულმავიწყი» კრიტიკოსები. ამ პუნქტის უარყოფა, როგორი მოტივებითაც არ უნდა ასაბუთებდნენ მას, ნამდვილად ნიშნავს «სამარცხვინო» დათმობას ველიკოროსული ნაციონალიზმისადმი. რატომ ველიკოროსულისადმი, როცა ლაპარაკია ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებაზე? იმიტომ, რომ საქმე ეხება ველიკოროსებისაგან გამოყოფას. პროლეტართა შეერთების ინტერესი, მათი კლასობრივი სოლიდარობის ინტერესი მოითხოვს ერთა გამოყოფის უფლების აღიარებას — აი რა აღიარა ზემოთ ციტირებულ სიტყვებში პლეხანოვმა 12 წლის წინათ; ჩვენი ოპორტუნისტები რომ ამას ჩაჰფიქრებოდნენ, ალბათ, ამდენ უაზრობასაც აღარ იტყოდნენ თვითგამორკვევაზე.

1903 წლის ყრილობაზე, სადაც დამტკიცებულ იქნა პროგრამის ეს პროექტი, რომელსაც პლეხანოვი იცავდა, მთავარი მუშაობა საპროგრამო კომისიაში წარმოებდა. სამწუხაროდ, მისი ოქმები არ შეუდგენიათ. სწორედ ამ პუნქტის შესახებ კი იქნებოდა ეს ოქმები განსაკუთრებით საინტერესო, იმიტომ რომ მხოლოდ კომისიაში შეეცადნენ პოლონელი ს.-დ-ების წარმომადგენლები, ვარშავსკი და განეცკი, თავიანთი შეხედულებანი დაეცვათ და «თვითგამორკვევის უფლების აღიარება» სადავო გაეხადათ. მკითხველი, რომელიც მოისურვებდა შეედარებინა მათი საბუთები (გადმოცემული ვარშავსკის სიტყვაში და მისსა და განეცკის განცხადებაში, ოქმების 134 — 136 და 388 — 390 გვ.) როზა ლუქსემბურგის საბუთებთან, რაც მან ჩვენს მიერ გარჩეულ, პოლონურ ენაზე დაწერილ სტატიაში წამოაყენა, დაინახავდა ამ საბუთების სრულ იგივეობას.

როგორ შეხედა ამ საბუთებს II ყრილობის საპროგრამო კომისიამ, სადაც პოლონელი მარქსისტების წინააღმდეგ ყველაზე მეტად პლეხანოვი გამოდიოდა? ამ საბუთებს სასტიკად დასცინესს უაზრობა რუსეთის მარქსისტებისადმი წარდგენილი წინადადებისა — ამოეშალათ ერთა თვითგამორკვე-

ვის უფლების აღიარება, იმდენად აშკარად და თვალსაჩინოდ გამოირკვა, რომ პოლონელმა მარქსისტებმა ვერც კი გაბედეს თავიანთი საბუთების გამეორება ყრილობის მთელი შემადგენლობის სხდომაზე!! მათ ყრილობა დატოვეს, რადგან დარწმუნდნენ, რომ მათი პოზიცია უიმედო აღმოჩნდა როგორც ველიკოროს, ისე ებრაელ, ქართველ და სომეხ მარქსისტთა უმაღლესი კრების წინაშე.

ამ ისტორიულ ეპიზოდს, თავისთავად ცხადია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველასათვის, ვინც კი სერიოზულად არის დაინტერესებული თავისი პროგრამით. უაღრესად ღირსშესანიშნავი ფაქტია პოლონელ მარქსისტთა საბუთების სრული განადგურება ყრილობის საპროგრამო კომისიაში და მათი უარი — ცდილიყვნენ დაეცვათ თავიანთი შეხედულებანი ყრილობის კრებაზე. გასაგებია, რომ როზა ლუქსემბურგმა «მორცხვად» მიაფუჩეჩა ეს თავის 1908 წლის სტატიაში, — როგორც ეტყობა, მეტად არასასიამოვნო იყო ყრილობის გახსენება! მიაფუჩეჩა მან ის მეტად სასაცილო და უხეირო წინადადებაც პროგრამის მე-9 პარაგრაფის «შესწორების» შესახებ, რომელიც 1903 წელს ვარშავსკიმ და განეცკიმ შემოიტანეს ყველა პოლონელი მარქსისტის სახელით და რომლის გამეორებას ვერ ბედავდნენ (და ვერც გაბედავენ) ვერც როზა ლუქსემბურგი და ვერც სხვა პოლონელი ს.-დ-ები.

მაგრამ თუ როზა ლუქსემბურგმა, თავისი 1903 წლის დამარცხების დასამალავად, მიაფუჩეჩა ეს ფაქტები, სამაგიეროდ თავიანთი პარტიის ისტორიით დაინტერესებული ადამიანები იზრუნებენ იმისათვის, რომ გაიგონ ეს ფაქტები და მოისაზრონ მათი მნიშვნელობა.

...«ჩვენ წინადადებას ვიძლევით — სწერდნენ როზა ლუქსემბურგის მეგობრები 1903 წლის ყრილობას იქიდან წასვლისას — შემდეგნაირად იქნას ფორმულირებული პროგრამის პროექტის მეშვიდე (ახლანდელი მე-9) პუნქტი: § 7. დაწესებულებანი, რომელნიც კულტურული განვითარების სრულ თავისუფლებას უზ-

რუნველყოფენ სახელმწიფოს შემადგენლობაში შეჭავალი ყველა ერისათვის» (ოქმების 390 გვ.).

ამრიგად, პოლონელი მარქსისტები მაშინ ნაციონალურ საკითხში იმდენად გამოურკვეველი შეხედულებებით გამოდიოდნენ, რომ თვითგამორკვევის მაგივრად, არსებითად, სხვას არას გვთავაზობდნენ, თუ არ ყბადაღებული «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ფსევდონიმს!

ეს თითქმის დაუჯერებელ ამბავს ჰგავს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფაქტია. თვით ყრილობაზე, თუმცა იქ 5 ბუნდელი იყო 5 ხმით და 3 კავკასიელი 6 ხმით, თუ არ ჩავთვლით კოსტროვის სათათბირო ხმას, არ აღმოჩენილა არც ერთი ხმა, რომელსაც თვითგამორკვევის პუნქტის ამოშლა მოეთხოვოს. ამ პუნქტისადმი «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» დამატებას სამი ხმა მიემხრო (გოლდბლატის ფორმულას: «შექმნა დაწესებულებებისა, რომელნიც კულტურული განვითარების სრულ თავისუფლებას უზრუნველყოფენ ერებისათვის»), ხოლო ლიბერის ფორმულას ოთხი ხმა («უფლება მათი — ერების — კულტურული განვითარების თავისუფლებისა»).

ახლა, როცა გაჩნდა რუსული ლიბერალური პარტია, კ.-დ. პარტია, ჩვენ ვიცით, რომ მის პროგრამაში ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევა «კულტურული თვითგამორკვევითაა» შეცვლილი. მაშასადამე, როზა ლუქსემბურგის პოლონელი მეგობრები, როდესაც პ.პ.ს-ის ნაციონალიზმს «ებრძოდნენ», ამას ისეთი წარმატებით აკეთებდნენ, რომ წინადადებას იძლეოდნენ—მარქსისტული პროგრამა ლიბერალური პროგრამით შეცვლილიყო! ამასთან კი ისინივე ოპორტუნიზმში სდებდნენ ბრალს ჩვენს პროგრამას,—და რა გასაკვირველია, თუ II ყრილობის საპროგრამო კომისიაში ამ ბრალდებას მხოლოდ სიცილით ხვდებოდნენ!

რა აზრით ესმოდათ «თვითგამორკვევა» II ყრილობის დელეგატებს, რომელთა შორის, როგორც უკვე დავინახეთ, არც ერთი არ ყოფილა «ერთა თვითგამორკვევის» წინააღმდეგი?

ამას მოწმობს სამი შემდეგი ამონაწერი ოქმებიდან:

«მარტინოვი ფიქრობს, რომ არ შეიძლება სიტყვა «თვითგამორკვევა» ფართოდ გავიგოთ; იგი ნიშნავს მხოლოდ ერის ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოყოფის უფლებას და სრულიადაც არა საოლქო თვითმმართველობას» (გვ. 171). მარტინოვი იყო წევრი საპროგრამო კომისიისა, რომელშიც გააბათილეს და სასაცილოდ აიგდეს როზა ლუქსემბურგის მეგობრების საბუთები. თავისი შეხედულებებით მარტინოვი მაშინ ეკონომისტი იყო, «ისკრის» გააფთრებული მოწინააღმდეგე, და მას რომ ისეთი შეხედულება გამოეთქვა, რომელსაც საპროგრამო კომისიის უმრავლესობა არ იზიარებდა, მის აზრს, რასაკვირველია, გააბათილებდნენ.

ბუნდელმა გოლდბლატმა პირველმა აიღო სიტყვა, როცა ყრილობაზე, კომისიის მუშაობის შემდეგ, პროგრამის § 8-ს (ახლანდელ § 9-ს) არჩევდნენ.

««თვითგამორკვევის უფლების» წინააღმდეგ — თქვა გოლდბლატმა — არაფრის თქმა არ შეიძლება. არ შეიძლება წინააღმდეგობის გაწევა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ერი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. თუ პოლონეთი არ მოისურვებს კანონიერად დაუქორწინდეს რუსეთს, ხელს ნუ შევუშლით, ამხ. პლეხანოვის თქმისა არ იყოს. მე ვეთანხმები ასეთ შეხედულებას ამ ფარგლებში» (გვ. 175 — 176).

პლეხანოვს ყრილობის მთელი შემადგენლობის სხდომაზე სულაც არ აუღია სიტყვა ამ პუნქტის გამო. გოლდბლატი იმოწმებს პლეხანოვის სიტყვებს საპროგრამო კომისიაში, სადაც «თვითგამორკვევის უფლება» დაწვრილებით და პოპულარულად იქნა განმარტებული გამოყოფის უფლების აზრით. ლიბერმა, რომელმაც გოლდბლატის შემდეგ ილაპარაკა, შენიშნა:

«რასაკვირველია, თუ რომელიმე ეროვნებას არ ძალუძს რუსეთის ფარგლებში იცხოვროს, პარტია მას წინააღმდეგობას როდი გაუწევს» (გვ. 176).

მკითხველი ხედავს, რომ პარტიის II ყრილობაზე, რომელმაც პროგრამა მიიღო, ორი აზრი არ ყოფილა იმ საკითხის შესახებ, რომ თვითგამორკვევა «მხოლოდ» გამოყოფის უფლებას ნიშნავს. ეს ჭეშმარიტება მაშინ ბუნდელებმაც კი შეითვისეს,

და მხოლოდ ჩვენს დუხჭირ ხანაში, როცა კონტრრევოლუცია გრძელდება და ყოველგვარი «განდგომა» ხდება, აღმოჩნდნენ თავიანთი უმეცრებით გათამამებული ადამიანები, რომლებმაც გამოაცხადეს—პროგრამა «ბუნდოვანიაო». მაგრამ, ვიდრე ამ სავალალო «ვითომ-სოციალ-დემოკრატებს» შევეხებოდეთ, მოვითავოთ პროგრამისადმი პოლონელთა დამოკიდებულების საკითხი.

მეორე ყრილობაზე (1903 წ.) ისინი მოვიდნენ განცხადებით გაერთიანების აუცილებლობისა და გადაუდებლობის შესახებ. მაგრამ ყრილობიდან ისინი საპროგრამო კომისიაში განცდილ «მარცხთა» შემდეგ წავიდნენ, და მათი უკანასკნელი სიტყვა იყო წერილობითი განცხადება, რომელიც ყრილობის ოქმებში დაიბეჭდა და ზემოაღნიშნულ წინადადებას შეიცავს — თვითგამორკვევა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიით შეცვალოთო.

1906 წელს პოლონელი მარქსისტები პარტიაში შემოვიდნენ, მაგრამ არც პარტიაში შემოსვლისას და არც შემდეგ— არც ერთხელ (არც 1907 წ. ყრილობაზე, არც 1907 და 1908 წლების კონფერენციებზე, არც 1910 წლის პლენუმზე) მათ არც ერთი წინადადება არ შემოუტანიათ რუსეთის პროგრამის მე-9 პარაგრაფის შეცვლის შესახებ!!

ეს ფაქტია.

და ეს ფაქტი თვალსაჩინოდ, ყოველგვარი ფრაზებისა და დარწმუნებათა წინააღმდეგ, ამტკიცებს, რომ როზა ლუქსემბურგის მეგობრებმა საკითხის ამომწურავად მიიჩნიეს II ყრილობის საპროგრამო კომისიაში წარმოებული კამათი და ამ ყრილობის გადაწყვეტილება, რომ მათ უსიტყვოდ აღიარეს თავიანთი შეცდომა და გაასწორეს იგი, როცა, 1903 წლის ყრილობიდან წასულნი, 1906 წელს პარტიაში შემოვიდნენ და ერთხელაც არ უცდიათ პარტიული გზით დაესვათ პროგრამის მე-9 პარაგრაფის გადასინჯვის საკითხი.

როზა ლუქსემბურგის სტატია მისი ხელმოწერით 1908 წელს გამოქვეყნდა, — რასაკვირველია, არც ერთ ადამიანს არასოდეს აზრადაც არ მოსვლია უარეყო პარტიული ლიტე-

რატორების უფლება პროგრამის კრიტიკისა — და არც ამ სტატიის შ ე მ დ ე გ პოლონელი მარქსისტების ა რ ც ე რ თ ოფიციალურ დაწესებულებას არ აღუძრავს მე-9 პარაგრაფის გადასინჯვის საკითხი.

ამიტომ ჭეშმარიტად დათვურ სამსახურს უწევს როზა ლუქსემბურგის ზოგიერთ თაყვანისმცემელს ტროცკი, როცა «ბორბას» რედაქციის სახელით № 2-ში (1914 წ. მარტი) წერს:

...«პოლონელი მარქსისტების აზრით, «ეროვნული თვითგამორკვევის უფლება» სრულიად მოკლებულია პოლიტიკურ შინაარსს და ამოღებულ უნდა იქნას პროგრამიდან» (გვ. 25).

მაამებელი ტროცკი მტერზე უფრო საშიშია! არსაიდან, თუ არ «კერძო ლაპარაკიდან» (ე. ი. უბრალო ჭორებიდან, რითაც მუდამ ცხოვრობს ტროცკი), მას ა რ შ ე ე ძ ლ ო გადმოეღო საბუთები «პოლონელი მარქსისტების» ჩასარიცხავად როზა ლუქსემბურგის საერთოდ ყოველი სტატიის თაყვანისმცემლებში. ტროცკიმ «პოლონელი მარქსისტები» დაგვისახა უსინდისო და უპატიოსნო ადამიანებად, რომლებმაც არ იციან თვით თავიანთი რწმენისა და თავიანთი პარტიის პროგრამის პატივისცემა. მაამებელი ადამიანია ტროცკი!

როცა 1903 წელს პოლონელი მარქსისტების წარმომადგენლები თვითგამორკვევის უფლების გ ა მ ო II ყრილობიდან წავიდნენ, მ ა შ ი ნ ტროცკის შეეძლო ეთქვა, რომ მათ ეს უფლება შინაარსმოკლებულად და პროგრამიდან ამოსაღებად მიაჩნდათ.

მაგრამ ამის შემდეგ პოლონელი მარქსისტები შ ე მ ო ვ ი დ ნ ე ნ ასეთი პროგრამის მქონე პარტიაში და ერთხელაც არ შემოუტანიათ მისი გადასინჯვის წინადადება *.

* ჩვენ გვატყობინებენ, რომ რუსეთის მარქსისტების 1913 წ. ზაფხულის თათბირზე პოლონელი მარქსისტები მ ხ ო ლ ო დ სათათბირო ხმით იღებდნენ მონაწილეობას და თვითგამორკვევის (გამოყოფის) უფლების საკითხში სრულიადაც არ მიუციათ ხმა, საერთოდ კი ასეთი უფლების წინააღმდეგ ილაპარაკესო. რასაკვირველია, მათ სრული უფლება ჰქონდათ ასე მოქცეულიყვნენ და პოლონეთში წინანდებურად მისი გამოყოფის

რატომ მიაყრუა ტროცკიმ ეს ფაქტები თავისი ჟურნალის მკითხველების წინაშე? მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ხელსაყრელია სპეკულაცია გასწიოს ლიკვიდატორობის პოლონელ და რუს მოწინააღმდეგეებს შორის უთანხმოების გაღვივებით და ატყუოს რუსი მუშები პროგრამის საკითხში.

ჯერ კიდევ არასოდეს, მარქსიზმის არც ერთ სერიოზულ საკითხში არ ჰქონია ტროცკის მტკიცე შეხედულება, იგი ყოველთვის ამა თუ იმ უთანხმოების «ჭუჭრუტანაში გაძვრებოდა» ხოლმე და ერთი მხარიდან მეორეზე გადარბოდა. ამჟამად იგი ბუნდელებისა და ლიკვიდატორების კომპანიაში იმყოფება. ეს ვაგბატონები კი უბოდიშოდ ეპყრობიან პარტიას.

აი ბუნდელი ლიბმანიც.

«როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიამ» — წერს ეს ჯენტლმენი — «15 წლის წინათ თავის პროგრამაში შეიტანა პუნქტი თვითეული ეროვნების «თვითგამორკვევის» უფლების შესახებ, მაშინ ყველა (!!) ეკითხებოდა თავის თავს: მაინც რას ნიშნავს ეს მოდური (!!) გამოთქმა? ამის პასუხი არ იყო (!!). ეს სიტყვა ბურუსით მოცული დარჩა (!!). ნამდვილად იმ ხანებში ძნელი იყო ამ ბურუსის გაფანტვა. ჯერ კიდევ დრო არ მოსულა ამ პუნქტის კონკრეტიზაციისთვისო — ამბობდნენ იმ დროს — დაე იგი დღეს ბურუსში (!!) დარჩეს, თვით ცხოვრება გვიჩვენებს, რა შინაარსი უნდა შევიტანოთ ამ პუნქტშიო».

შეხედეთ, რა საუცხოოა ეს «ტიტლიკანა ბიჭი»[123], პარტიულ პროგრამას რომ ასე აბუჩად იგდებს!

მერე რატომ იგდებს აბუჩად?

მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სრულიად უმეცარია, არაფერი უსწავლია, არა წაუკითხავს რა პარტიის ისტორიიდანაც კი, და პირდაპირ ლიკვიდატორთა წრეში მოხვდა, სადაც «მიღებულია» ტიტლიკანა სიარული პარტიისა და პარტიულობის საკითხში.

პომიალოვსკის ბურსაკი ტრაბახობს — «კომბოსტოიან კასრში ჩავაფურთხეო». ბბ. ბუნდელები უფრო შორს წავი-

---

წინააღმდეგ გაეწიათ აგიტაცია. მაგრამ ეს არც თუ სავსებით იგივეა, რასაც ტროცკი ამბობს, ვინაიდან პოლონელ მარქსისტებს მე-9 პარაგრაფის «პროგრამიდან ამოღება» არ მოუთხოვიათ.

დნენ. მათ გამოჰყავთ ლიბმანები, რათა ამ ჯენტლმენებმა საჯაროდ აფურთხონ საკუთარ კასრში. რომ იყო საერთაშორისო კონგრესის რაღაც გადაწყვეტილება, რომ საკუთარი პარტიის ყრილობაზე საკუთარი ბუნდის ორმა წარმომადგენელმა გამოიჩინა (მერე «ისკრის» რა «მკაცრი» კრიტიკოსები და მედგარი მტრები იყვნენ!) სრული უნარი «თვითგამორკვევის» აზრის გაგებისა და კიდევაც ეთანხმებოდა მას, — რა ესაქმებათ ყოველივე ამასთან ბბ. ლიბმანებს? და განა უფრო ადვილი არ იქნება პარტიის ლიკვიდაცია, თუ «პარტიის პუბლიცისტები» (ნუ ეხუმრებით!) ბურსაკულად მოეპყრობიან პარტიის ისტორიასა და პროგრამას?

აი კიდევ მეორე «ტოტლიკანა ბიჭი», ბ-ნი იურკევიჩი «ძვინიდან». ბ-ნ იურკევიჩს, ალბათ, ხელთ ჰქონდა II ყრილობის ოქმები, იმიტომ რომ იგი იმოწმებს გოლდბლატის მიერ მოყვანილს პლეხანოვის სიტყვებს და ამჟღავნებს იმის ცოდნას, რომ თვითგამორკვევა შეიძლება მხოლოდ გამოყოფის უფლებას ნიშნავდეს. მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის უკრაინის წვრილ ბურჟუაზიაში რუსი მარქსისტების შესახებ ცილისწამება გაავრცელოს, თითქოს ისინი რუსეთის «სახელმწიფოებრივ მთლიანობას» ემხრობიან (1913, № 7 — 8, გვ. 83 და სხვ.). რა თქმა უნდა, ბბ. იურკევიჩები ვერავითარ სხვა საშუალებას ვერ გამოიგონებდნენ, ამ ცილისწამებაზე უკეთესს, უკრაინის დემოკრატიის დასაშორებლად ველიკოროსულისაგან. ასეთი დაშორება კი «ძვინის» ლიტერატორთა ჯგუფის მთელი პოლიტიკის ხაზს გასდევს: ეს ჯგუფი ქადაგებს უკრაინელი მუშების გ ა მ ო ყ ო ფ ა ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ეროვნულ ორგანიზაციად! *

ნაციონალისტი მეშჩანების ჯგუფს, რომლებიც პროლეტარიატს თიშავენ, — სწორედ ასეთია «ძვინის» ობიექტური

---

* იხ. განსაკუთრებით ბ-ნ იურკევიჩის წინასიტყვაობა ბ-ნ ლევინსკის წიგნისადმი: **«Нарис розвитку українського робітничого руху в Галичині», Київ**, 1914 («ნარკვევი უკრაინული მუშათა მოძრაობის განვითარებისა გალიციაში», კიევი, 1914. რ ე დ.).

როლი — რა თქმა უნდა, სავსებით შეეფერება საშინელი აბდაუბდის გავრცელება ნაციონალურ საკითხში. თავისთავად იგულისხმება, რომ ბბ. იურკევიჩებსა და ლიბმანებს, — რომლებსაც «საშინლად» სწყინთ, როცა მათ «ახლოპარტიულთ» უწოდებენ, — არც ერთი სიტყვა, მართლაცდა კრინტი არ დაუძრავთ იმის შესახებ, თუ როგორღა სურთ მ ა თ პროგრამაში გამოყოფის უფლების საკითხის გადაჭრა?

აი მესამე და უმთავრესი «ტიტლიკანა ბიჭი», ბ-ნი სემკოვსკი, რომელიც ლიკვიდატორული გაზეთის ფურცლებზე ველიკოროსი საზოგადოების წინაშე «ანიავებს» პროგრამის მე-9 პარაგრაფს და იმავე დროს აცხადებს: «ზოგიერთი მოსაზრების გამო არ ვიზიარებ» ამ პარაგრაფის ამოშლის «წინადადებასო»!!

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია.

1912 წ. აგვისტოში ლიკვიდატორების კონფერენცია ოფიციალურად აყენებს ნაციონალურ საკითხს. წელიწადნახევრის განმავლობაში მე-9 პარაგრაფის საკითხზე არც ერთი სტატია არ გამოქვეყნებულა, გარდა ბ-ნ სემკოვსკის სტატიისა. და ამ სტატიაში ავტორი უ კ უ ა გ დ ე ბ ს პროგრამას, ამასთან «ზ ო გ ი ე რ თ ი მოსაზრების გამო (ფარული სენია თუ რა?) არ იზიარებს» წინადადებას მისი შესწორების შესახებ!! შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მთელ დედამიწის ზურგზე ადვილი არაა ასეთი ოპორტუნიზმის და ოპორტუნიზმზე უარესის, პარტიისაგან განდგომის, მისი ლიკვიდაციის მაგალითების მოძებნა.

თუ როგორია სემკოვსკის საბუთები, ამის ცხადყოფა ერთი მაგალითითაც შეიძლება:

«როგორ მოვიქცეთ, — წერს იგი — თუ პოლონეთის პროლეტარიატმა მოისურვა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში აწარმოოს საერთო ბრძოლა მთელი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად, ხოლო პოლონელი საზოგადოების რეაქციულმა კლასებმა რომ, პირიქით, მოისურვონ რუსეთისაგან პოლონეთის გამოყოფა და რეფერენდუმის (მოსახლეობის საერთო გამოკითხვის) დროს ხმების უმრავლესობა მიიღონ ამის სასარგებლოდ: ცენტრალურ პარლამენტში ჩვენ, რუსმა ს.-დ-ებმა, ხმა უნდა მივცეთ ჩვენს

პოლონეთ ამხანაგებთან ერთად გამოყოფის წინააღმდეგ, თუ, «თვითგამორკვევის უფლება» რომ არ დავარღვიოთ, გამოყოფას უნდა მივემხროთ?» («ნოვაია რაბოჩაია გაზეტა» № 71).

აქედან ჩანს, რომ ბ-ნ სემკოვსკის არც კი ესმის, რის შესახებაა საუბარი! მას არ უფიქრია, რომ გამოყოფის უფლება გულისხმობს საკითხის გადაჭრას სწორედ არა ცენტრალური პარლამენტის მიერ, არამედ მხოლოდ გამოსაყოფი ოლქის პარლამენტის (სეიმის, რეფერენდუმის და სხვ.) მიერ.

აქ ბავშვური გაუგებლობით, «როგორ მოვიქცეთ», თუ დემოკრატიის დროს უმრავლესობა რეაქციას ემხრობაო, იჩრდილება რეალური, ნამდვილი, ცოცხალი პოლიტიკის საკითხი, როცა პურიშკევიჩებსაც და კოკოშკინებსაც დანაშაულად მიაჩნიათ გამოყოფაზე ფიქრიც კი! ალბათ, მთელი რუსეთის პროლეტარებმა ბრძოლა უნდა აწარმოონ არა დღევანდელი პურიშკევიჩებისა და კოკოშკინების წინააღმდეგ, არამედ, მათთვის გვერდის ავლით, პოლონეთის რეაქციული კლასების წინააღმდეგ!!

და ასეთ არაჩვეულებრივ აბდაუბდას წერენ ლიკვიდატორების ორგანოში, რომლის ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელია ბ-ნი ლ. მარტოვი. სწორედ ის ლ. მარტოვი, რომელიც პროგრამის პროექტს ადგენდა და იგი 1903 წელს გაჰყავდა, რომელიც შემდეგაც წერდა გამოყოფის თავისუფლების დასაცავად. დღეს ლ. მარტოვი, როგორც ეტყობა, შემდეგი წესის მიხედვით მსჯელობს:

Туда умного не надо,
Вы пошлите-ка Реада,
А я посмотрю * [124].

იგი გზავნის რეადს-სემკოვსკის და ნებას აძლევს ყოველდღიურ გაზეთში, მკითხველთა ახალი ფენების წინაშე, რომლებიც ჩვენს პროგრამას არ იცნობენ, დაამახინჯოს და დაუსრულებლივ არივდარიოს იგი!

* — იქ ჭკვიანი ვის რად უნდა, თქვენ გაგზავნეთ იქ რეადი, მე კი მერე ვნახავ.

დიახ, დიახ, ლიკვიდატორობა შორს წავიდა, — ბევრ ყოფილ ცნობილ სოც.-დემოკრატსაც კი პარტიულობის ნიშანწყალიც არ შერჩენია.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება როზა ლუქსემბურგი ლიბმანებს, იურკევიჩებს, სემკოვსკებს გავუთანაბროთ, მაგრამ ის ფაქტი, რომ სწორედ ასეთი ადამიანები ჩაებღაუჭნენ მის შეცდომას, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამტკიცებს, თუ როგორ ოპორტუნიზმში ჩავარდა იგი.

10. დასკვნა

შევაჯამოთ.

მარქსიზმის თეორიის თვალსაზრისით საერთოდ, თვითგამორკვევის უფლების საკითხი სიძნელეს როდი წარმოადგენს. სერიოზულად ლაპარაკიც კი არ შეიძლება არც ლონდონის 1896 წლის გადაწყვეტილების სადავოდ გამოცხადებაზე, არც იმაზე, რომ თვითგამორკვევად იგულისხმება მხოლოდ გამოყოფის უფლება, და არც იმაზე, რომ დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების ტენდენციაა.

სიძნელეს რამდენადმე ის გარემოება ქმნის, რომ რუსეთში მხარდამხარ იბრძვის, და უნდა იბრძოლოს კიდევაც, ჩაგრულ ერთა პროლეტარიატი და მჩაგვრელი ერის პროლეტარიატი. დავიცვათ სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთიანობა, უკუვაგდოთ ნაციონალიზმის ყველა ბურჟუაზიული და შავრაზმული გავლენა — აი რა არის ამოცანა. ჩაგრულ ერთა შორის პროლეტარიატის გამოყოფა დამოუკიდებელ პარტიად ზოგჯერ ისეთ გააფთრებულ ბრძოლას იწვევს ამა თუ იმ ერის ნაციონალიზმის წინააღმდეგ, რომ პერსპექტივა მახინჯდება და მჩაგვრელი ერის ნაციონალიზმი დავიწყებას ეძლევა.

მაგრამ პერსპექტივის ასეთი დამახინჯება მხოლოდ ცოტა ხნითაა შესაძლებელი. სხვადასხვა ერის პროლეტარების

საერთო ბრძოლის გამოცდილება მეტად აშკარად გვიჩვენებს, რომ პოლიტიკურ საკითხებს უნდა ვაყენებდეთ არა «კრაკოვის», არამედ სრულიად რუსეთის თვალსაზრისით. სრულიად რუსეთის პოლიტიკაში კი პურიშკევიჩები და კოკოშკინები ბატონობენ. მათი იდეები მეფობენ, ისინი ქადაგებენ და წარმართავენ უცხოტომელთა დევნას «სეპარატიზმისათვის», გამოყოფის ა ზ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს სათათბიროში, სკოლებში, ეკლესიებში, ყაზარმებში, ასსა და ათას გაზეთში. აი ნაციონალიზმის ეს, ველიკოროსული, შხამი წამლავს მთელი რუსეთის პოლიტიკურ ატმოსფეროს. ეს უბედურებაა ხალხისა, რომელიც სხვა ხალხებს იმონებს და რეაქციას განამტკიცებს მთელ რუსეთში. 1849 და 1863 წლების მოგონებანი წარმოადგენენ ცოცხალ პოლიტიკურ ტრადიციას, რომელიც, თუ ძალიან დიდი მასშტაბის ქარიშხალი არ ამოვარდა, კიდევ მრავალი ათეული წლით ქმნის საფრთხეს — შეაფერხოს ყოველგვარი დემოკრატიული და გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა.

უეჭველია, რარიგ ბუნებრივადაც არ უნდა გვეჩვენოს ხანდახან ჩაგრულ ერთა (რომელთა «უბედურება» ზოგჯერ ის არის, რომ მოსახლეობის მასები დაბრმავებული არიან «თავიანთი» ეროვნული განთავისუფლების იდეით) ზოგიერთი მარქსისტის თვალსაზრისი, მაინც ს ა ქ მ ი თ, რუსეთში კლასობრივ ძალთა ობიექტური თანაფარდობის მიხედვით, თვითგამორკვევის უფლების დაცვაზე უარისთქმა უდრის უბოროტეს ოპორტუნიზმს, პროლეტარიატის დაავადებას კოკოშკინების იდეებით. ეს იდეები კი, არსებითად, პურიშკევიჩების იდეებსა და პოლიტიკას წარმოადგენენ.

ამიტომ, თუ როზა ლუქსემბურგის თვალსაზრისი თავდაპირველად შეიძლებოდა გამართლებულიყო, როგორც სპეციფიკური პოლონური, «კრაკოვული» შეზღუდულობა *, ამჟა-

* ძნელი არაა იმის გაგება, რომ მ თ ე ლ ი რ უ ს ე თ ი ს მარქსისტებისა და პირველ რიგში ველიკოროსების მიერ ერთა გამოყოფის უ ფ-

მად, როცა ყველგან გაძლიერდა ნაციონალიზმი და უწინარეს ყოვლისა მთავრობის, ველიკოროსული ნაციონალიზმი, როცა პოლიტიკას ი გ ი წარმართავს, — ასეთი შეზღუდულობა უკვე მიუტევებელი ხდება. ნამდვილად მას ებღაუჭებიან ყ ვ ე ლ ა ერის ოპორტუნისტები, რომლებიც გაურბიან «ქარიშხლებისა» და «ნახტომების» იდეას, დამთავრებულად მიაჩნიათ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება, უკან მისდევენ კოკოშკინების ლიბერალიზმს.

ველიკოროსული ნაციონალიზმი, ისევე როგორც ყოველი ნაციონალიზმი, სხვადასხვა ფაზას განიცდის, იმისდა მიხედვით, თუ რომელი კლასი მეთაურობს ბურჟუაზიულ ქვეყანაში. 1905 წლამდე ჩვენ თითქმის მხოლოდ ნაციონალ-რეაქციონერებს ვიცნობდით. რევოლუციის შემდეგ ჩვენში ნ ა ც ი ო ნ ა ლ-ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი გაჩნდნენ.

ამ პოზიციაზე ჩვენში ფაქტიურად დგანან ოქტიაბრისტებიც და კადეტებიც (კოკოშკინი), ე. ი. მთელი თანამედროვე ბურჟუაზია.

მომავალში კი ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა ველიკოროსი ნაციონალ-დემოკრატების წარმოშობა. «სახალხო-სოციალისტური» პარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ბ-მა პეშეხონოვმა ეს თვალსაზრისი უკვე გამოთქვა, როცა მოუწოდებდა («რუსსკოე ბოგატსტვოს» 1906 წლის აგვისტოს წიგნში) — ფრთხილად მოეპყარით გლეხის ნაციონალისტურ ცრურწმენებსო. რამდენიც არ უნდა დაგვწამონ ცილი ჩვენ, ბოლშევიკებს, თითქოს გლეხის «იდეალიზაციას» ვახდენდეთ, ჩვენ ყოველთვის ზედმიწევნით ვარჩევდით ერთმანეთისაგან და

ლ ე ბ ი ს აღიარება სრულიადაც არ გამორიცხავს ამა თუ იმ ჩ ა გ რ ულ ი ერის მარქსისტების მხრივ გამოყოფის წინააღმდეგ ა გ ი ტ ა ც ი ა ს, ისე როგორც განქორწინების უფლების აღიარება არ გამორიცხავს ამა თუ იმ შემთხვევაში განქორწინების წინააღმდეგ აგიტაციას. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარდუვალად გაიზრდება იმ პოლონელი მარქსისტების რიცხვი, რომლებიც სასაცილოდ აიგდებენ არარსებულ «წინააღმდეგობას», ამჟამად სემკოვსკისა და ტროცკის მიერ «გაღვივებულს».

მომავალშიც გავარჩევთ გლეხის ჭკუას გლეხის ცრურწმენა-თაგან, გლეხის დემოკრატიზმს, პურიშკევიჩის წინააღმდეგ მიმართულს, გლეხის მისწრაფებისაგან — შეურიგდეს ხუცეს-სა და მემამულეს.

ველიკოროს გლეხთა ნაციონალიზმს პროლეტარულმა დემოკრატიამ ანგარიში უნდა გაუწიოს (არა დათმობათა აზ-რით, არამედ ბრძოლის აზრით) უკვე ახლავე და იგი მას, ალბათ, კიდევ კარგახანს გაუწევს ანგარიშს *. ნაციონალიზ-მის გაღვიძება ჩაგრულ ერებში, რამაც ესოდენ მძლავრად იჩი-ნა თავი 1905 წლის შემდეგ (გავიხსენოთ თუნდაც «ავტონო-მისტ-ფედერალისტების» ჯგუფი I სათათბიროში, უკრაინული მოძრაობის, მუსლიმანური მოძრაობის ზრდა და სხვ.), — გარდუვალად გამოიწვევს ველიკოროსული წვრილი ბურჟუა-ზიის ნაციონალიზმის გაძლიერებას ქალაქებსა და სოფლებ-ში. რაც უფრო ნელი ნაბიჯით წავა რუსეთის დემოკრატიუ-ლი გარდაქმნა, მით უფრო შეუპოვარი, ტლანქი, გაშმაგებუ-ლი იქნება სხვადასხვა ერთა ბურჟუაზიის ეროვნული დევნა და შუღლი. რუსი პურიშკევიჩების განსაკუთრებული რეაქ-

* საინტერესო იქნებოდა თვალის გადევნება, თუ როგორ იცვლის სახეს, მაგ., ნაციონალიზმი პოლონეთში, როგორ იქცევა შლიახტურიდან ბურჟუაზიულ, ხოლო შემდეგ გლეხურ ნაციონალიზმად. ლუდვიგ ბერნ-ჰარდი თავის წიგნში **«Das polnische Gemeinwesen im preussischen Staat»** («პოლონელები პრუსიაში»; ორის რუსული თარგმანი), რომელიც თვითონ გერმანელი კოკოშკინის თვალსაზრისზე დგას, მეტად დამახასია-თებელ მოვლენას აგვიწერს: პოლონელების ერთგვარი «გლეხური რეს-პუბლიკის» შექმნას გერმანიაში; ეს ხდება პ ო ლ ო ნ ე ლ გლეხთა ყოველ-გვარი კოოპერატივებისა და სხვა კავშირების მჭიდროდ დაახლოების სახით, ეროვნებისა, რელიგიისა, «პოლონეთის» მიწაწყლისათვის ბრძოლაში. გერმანელთა უღელმა შეაკავშირა პოლონელები, განაკერძოვა ისინი, გაალ-ვიძა ჯერ შლიახტის, შემდეგ ბურჟუების, ბოლოს, გლეხობის მასის ნაციო-ნალიზმი (განსაკუთრებით იმ ლაშქრობის შემდეგ, რომელიც გერმანე-ლებმა 1873 წელს დაიწყეს პოლონური ენის წინააღმდეგ სკოლებში). ასევე მიიმართება საქმე რუსეთშიც, და არა მარტო პოლონეთის წინააღ-მდეგ.

ციულობა ამასთანავე წარმოშობს (და გააძლიერებს) «სეპარატისტულ» მისწრაფებას ამა თუ იმ ჩაგრულ ერებს შორის, რომლებიც ხანდახან ბევრად მეტი თავისუფლებით სარგებლობენ მეზობელ სახელმწიფოებში.

საქმის ასეთი ვითარება რუსეთის პროლეტარიატს ორგვარ ანუ, უკეთ, ორმხრივ ამოცანას უყენებს: იბრძოლოს ყოველგვარი ნაციონალიზმის და უწინარეს ყოვლისა ველიკოროსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ; აღიაროს არა მარტო ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობა საერთოდ, არამედ თანასწორუფლებიანობა სახელმწიფოებრივი მშენებლობის მხრივაც, ე. ი. ერთა თვითგამორკვევის, გამოყოფის უფლება; — ხოლო ამასთან ერთად, და სწორედ ყველა ერის ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ინტერესებისათვის, დაიცვას პროლეტარული ბრძოლისა და პროლეტარული ორგანიზაციების ერთიანობა, მათი უმჭიდროესად შედუღება ინტერნაციონალურ ერთობად, წინააღმდეგ ბურჟუაზიული მისწრაფებისა ეროვნული განკერძოებისადმი.

ერთა სრული თანასწორუფლებიანობა; ერთა თვითგამორკვევის უფლება; ყველა ერის მუშების შედუღება — ამ ნაციონალურ პროგრამას ასწავლის მუშებს მარქსიზმი, ასწავლის მთელი მსოფლიოს და რუსეთის გამოცდილება.»

სტატია უკვე აწყობილი იყო, როდესაც მივიღე «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» № 3, სადაც ბ-ნი ვლ. კოსოვსკი წერს ყველა ერისათვის თვითგამორკვევის უფლების აღიარების შესახებ:

«იგი მექანიკურად იქნა გადმოტანილი პარტიის I ყრილობის (1898 წ.) რეზოლუციიდან, ყრილობას კი, თავისი მხრივ, იგი ნასესხები ჰქონდა საერთაშორისო სოციალისტური კონგრესების გადაწყვეტილებებიდან; ეს უფლება, როგორც დებატებიდან ჩანს, 1903 წლის ყრილობას იმავე აზრით ესმოდა, როგორიც მასში სოციალისტურ ინტერნაციონალს შეჰქონდა: პოლიტიკური თვითგამორკვევის აზრით, ე. ი. ერის თვითგამორკვევა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიმართულებით. ამრიგად,

ეროვნული თვითგამორკვევის ფორმულა, ნიშნავს რა ტერიტორიული გამოცალკევების უფლებას, სრულიად არ ეხება იმ საკითხს, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს ეროვნული ურთიერთობა ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ორგანიზმის შ ი გ ნ ი თ, იმ ეროვნებათათვის, რომელთაც არ შეუძლიათ ან არა სურთ არსებული სახელმწიფოსაგან ჩამოშორება».

აქედან ჩანს, რომ ბ-ნ ვლ. კოსოვსკის ხელთ ჰქონია 1903 წლის II ყრილობის ოქმები და ჩინებულად გაეგება თვითგამორკვევის ცნების ნამდვილი (და ერთადერთი) აზრი. შეუპირისპირეთ ამას ის ფაქტი, რომ ბუნდელთა გაზეთ «ცაიტის» რედაქციას გამოჰყავს ბ-ნი ლიბმანი, რათა მან აბუჩად აიგდოს პროგრამა და ბუნდოვანი უწოდოს მას!! უცნაური «პარტიული» ზნენი აქვთ ბბ. ბუნდელებს... «ალაჰმა უწყის», რატომ აცხადებს კოსოვსკი მ ე ქ ა ნ ი კ უ რ გადატანად ყრილობის მიერ თვითგამორკვევის მიღებას. არიან ადამიანები, რომლებსაც «საწინააღმდეგოს თქმა სურთ», მაგრამ როგორ, რა, რატომ და რისთვის, ამის გაგება როდილა აქვთ.

მუშების წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბრძოლის ხერხები

მთელი მსოფლიოს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ბურჟუაზია ხმარობს მუშათა მოძრაობისა და მუშათა პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის ორ ხერხს. პირველი ხერხია ძალმომრეობა, დევნა, აკრძალვა, დათრგუნვა. ეს ხერხი თავისი საფუძვლით ბატონყმურია, შუასაუკუნეობრივი. ყველგან — მოწინავე ქვეყნებში ნაკლებად, ჩამორჩენილებში მეტად — არიან ბურჟუაზიის ფენები და ჯგუფები, რომლებიც ასეთ ხერხებს ამჯობინებენ, და დაქირავებული მონობის წინააღმდეგ მუშების ბრძოლის განსაზღვრულ, განსაკუთრებით კრიტიკულ მომენტებში, ეს ხერხები მ თ ე ლ და ყოველგვარ ბურჟუაზიას აერთიანებენ. ამგვარი ისტორიული მომენტების მაგალითებს გვაძლევენ ჩარტიზმი ინგლისში, 1849 და 1871 წლები საფრანგეთში.

მოძრაობის წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლის მეორე ხერხია მუშების დაქსაქსვა, მათი რიგების დეზორგანიზაცია, პროლეტარიატის ცალკეული წარმომადგენლების ან ცალკეული ჯგუფების მოსყიდვა ბურჟუაზიის მხარეზე მათი გადაბირების მიზნით. ამგვარი ხერხები ბატონყმური კი არა, — წ მ ი ნ დ ა ბურჟუაზიულია, თანამედროვე, კაპიტალიზმის განვითარებული და ცივილიზებული წესების შესაბამისი, დემოკრატიული წყობილების შესაბამისი ხერხებია.

ვინაიდან დემოკრატიული წყობილება ერთ-ერთი ბურჟუაზიული წესწყობაა, ყველაზე წმინდა და სრულყოფილი

ბურჟუაზიული წესწყობა, სადაც კლასობრივი ბრძოლის მაქსიმალურ თავისუფლებასთან, სიფართოვესთან და სიცხადესთან ერთად ვხედავთ ეშმაკობის, ფანდების, ხრიკების მაქსიმუმს, ბურჟუაზიის მაქსიმალურ «იდეურ» ზემოქმედებას დაქირავებულ მონებზე იმ მიზნით, რომ ჩამოაშორონ ისინი დაქირავებული მონობის წინააღმდეგ ბრძოლას.

რუსეთში, მისი უსაზღვრო ჩამორჩენილობის შესაბამისად, მუშათა მოძრაობასთან ბრძოლის ბატონყმური მეთოდები საშინლად ჭარბობენ. მაგრამ ცხრაას ხუთი წლის შემდეგ უკვე შესამჩნევია მეტად დიდი «პროგრესი» მუშების მოტყუებისა და გარყვნის ლიბერალური და დემოკრატიული მეთოდების დარგში. ლიბერალურთა რიცხვს ეკუთვნის, მაგ., ნაციონალიზმის ზრდა, გაძლიერება მისწრაფებისა — «ხალხისათვის» განაახლონ და გააცოცხლონ რელიგია (როგორც უშუალოდ, ისე იდეალისტური, კანტიანური და მახისტური ფილოსოფიის განვითარების მეშვეობითი ფორმით), პოლიტიკური ეკონომიის ბურჟუაზიულ თეორიათა «წარმატებანი» (შრომითს თეორიასთან შეერთება ანდა პირველის შეცვლა უკანასკნელით) და სხვ. და ა. შ.

მუშების გაბრიყვებისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი მათი დამორჩილების დემოკრატიულ ხერხთა რიცხვს ეკუთვნის ლიკვიდატორულ-ნაროდნიკულ-კადეტური ხერხები. სწორედ ამაზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ამ სტატიაში მუშათა მოძრაობის ირგვლივ მომხდარი ზოგიერთი საჭირბოროტო ამბის გამო.

1. ლიკვიდატორებისა და ნაროდნიკების კავშირი მუშების წინააღმდეგ

ამბობენ, ისტორიას უყვარს ირონია, უყვარს ადამიანების გამასხარავებაო. ერთი ოთახის მაგივრად მეორეში მოხვდი. ისტორიაში ეს მუდამ ემართებათ იმ ადამიანებს, ჯგუფებს, მიმართულებებს, რომლებსაც ვერ გაუგიათ, ვერ შეუგნიათ თავიანთი ნამდვილი რაობა, ესე იგი ის, თუ რომელი კლასებისაკენ მიიწევენ ისინი სინამ-

დ გ ი ლ ე შ ი (და არა თავიანთ წარმოდგენაში). გულწრფელია ეს გაუგებლობა თუ პირმოთნეობითი, ეს ისეთი საკითხია, რომელიც შეიძლება ამა თუ იმ პიროვნების ბიოგრაფს აინტერესებდეს, მაგრამ პოლიტიკოსისათვის ეს საკითხი ყოველ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია.

არსებითი ისაა, თუ როგორ ა მ ხ ი ლ ე ბ ს ისტორია და პოლიტიკა პაწაწა ჯგუფებსა და მიმართულებებს, როგორ ააშკარავებს «ვითომ-სოციალისტური» ან «ვითომ-მარქსისტული» ფრაზით დაფარულ ბურჟუაზიულ დედაარსს. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების ეპოქაში ყველგან, მთელ მსოფლიოში ათობით პაწაწა ჯგუფებსა და მიმართულებებს «სოციალისტურებად» მოჰქონდათ თავი და ასეთებად აჩვენებდნენ თავს (იხილე, მაგალითად, ზოგიერთი მათგანის ჩამოთვლა მარქსისა და ენგელსის «კომუნისტური მანიფესტის» მე-3 თავში [125]). ისტორიამ ჩქარა, რაღაც 10 — 20 წელში, და უფრო ადრეც კი, ამხილა ისინი.

რუსეთი სწორედ ამგვარ ეპოქას განიცდის.

10 წელზე მეტი გავიდა იმ დროიდან, რაც ჩვენში მუშათა მოძრაობისაგან ჩამოშორება იწყეს «ეკონომისტებმა», შემდეგ მათმა მემკვიდრე «მენშევიკებმა», შემდეგ მენშევიკების მემკვიდრე «ლიკვიდატორებმა».

მენშევიკები განსაკუთრებით ხმამაღლა ყვიროდნენ და გამოგვაყრუეს ყვირილით ნაროდნიკებთან ბოლშევიკების «დაახლოების» შესახებ...

და აი, ჩვენს თვალწინაა ახლა უკვე სავსებით გამოსახული კ ა ვ შ ი რ ი ლიკვიდატორებისა და ნაროდნიკებისა მუშათა კლასის და ამ კლასისადმი კვლავინდებურად ერთგული ბოლშევიკების წინააღმდეგ.

წვრილბურჟუაზიული — ლიკვიდატორული და ნაროდნიკული — ინტელიგენციის კავშირი მუშების წინააღმდეგ სტიქიურად იზრდებოდა და იზრდება. მისკენ ჯერ «პრაქტიკამ» წაუბიძგა — ტყუილად კი არ ამბობენ, პრაქტიკა წინ უსწრებს თეორიასო (განსაკუთრებით მათთვის, ვინც ყალბი თეორიით ხელმძღვანელობს). როდესაც მუშებმა პეტერ-

ბურგში «პოსტებიდან მოხსნეს» ლიკვიდატორები, განდევნეს ბურჟუაზიული გავლენის ეს წარმომადგენლები პროფესიული კავშირების გამგეობებიდან, სადაზღვევო საკრებულოთა საპასუხისმგებლო პოსტებიდან, ლიკვიდატორები თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ აღმოჩნდნენ ნაროდნიკებთან კავშირში.

«როგორც კი შევედით — წერდა ერთი გულწრფელი და გულუბრყვილო ნაროდნიკი «სტოიკაია მისლის» № 5-ში — შენობაში (სადაც სადაზღვევო საბჭოს არჩევნები ხდებოდა), იმწამსვე აშკარა გახდა პრავდისტების ვიწრო-ფრაქციული პოზიცია, მაგრამ ჩვენ იმედს არ კკარგავთ. ლიკვიდატორებთან ერთად ვადგენთ საერთო არაფრაქციულ სიას, სადაც ჩვენ გვაკუთვნებენ ერთ ადგილს საბჭოს წევრთა შორის და ორს — მათ მოადგილეთა შორის» (იხ. «პუტ პრავდი» № 38, 1914 წ. 16 მარტი).

საბრალო ლიკვიდატორები, რა ბოროტად გაეხუმრა მათ ისტორია! რა დაუნდობლად ამხილა ისინი მათმა ახალმა «მეგობარმა და მოკავშირემ», მემარცხენე ნაროდნიკმა!

ლიკვიდატორებმა ისიც კი ვერ მოასწრეს, რომ უარეყოთ თავიანთი საკუთარი, უაღრესად ფორმალური განცხადებანი და რეზოლუციები 1903 და სხვა წლებისა, სადაც მემარცხენე ნაროდნიკებს ბურჟუაზიულ დემოკრატიად აღიარებდნენ.

ისტორიამ აღგავა ფრაზები, გაფანტა ილუზიები, გამოამზეურა პაწაწა ჯგუფთა კლასობრივი დედაარსი. ნაროდნიკებიც და ლიკვიდატორებიც წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის პაწაწა ჯგუფებია, მარქსისტული მუშათა მოძრაობის მიერ ჩამოცილებულნი, და მათ სურთ მოტყუებით მიეტმასნონ ამ მოძრაობას.

მოსატყუებლად იყენებენ სიტყვას «ფრაქციულობა» — სწორედ იმ სიტყვას, რომლითაც სახელქებული აკიმოვი, «ეკონომისტების» ბელადი, ისკრელებს ებრძოდა პარტიის მეორე ყრილობაზე 1903 წელს. აკიმოვისეული სიტყვა, უკიდურესი ოპორტუნისტის სიტყვა, ლიკვიდატორებისა და ნაროდნიკების ერთადერთ იარაღად დარჩა. მჭლე ჟურნალი «სოვრემენნიკი» თითქოს განგებ გაჩენილა ამ ქვეყნად, რათა უფრო თვალსაჩინოდ უჩვენოს წიგნის მკითხველ ყველა ადამიანს ამ იარაღის სიდამპლე, უვარგისობა, ჟანგიანობა.

ჩვენს დემოკრატიულ ჟურნალურ სამყაროში არნახულ მოვლენას წარმოადგენს ეს «სოვრემენნიკი». თანამშრომელთა შემთხვევითი სახელების გვერდით (ვის არ მიერეკება ჩვენში გაჭირვება სხვის ჟურნალებში საშოვრის საძებნელად!) ჩვენ ვხედავთ სახელების ა შ კ ა რ ა დ დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი უ ლ შეერთებას, რაც მიმართულებათა შეერთების მანიშნებელი უნდა იყოს.

ლიბერალი ბოგუჩარსკი, ნაროდნიკები სუხანოვი, რაკიტნიკოვი, ბ. ვორონოვი, ვ. ჩერნოვი და სხვ., ლიკვიდატორები დანი, მარტოვი, ტროცკი, შერი (პოტრესოვი «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» № 66-ში პლეხანოვთან ერთად იყო გამოცხადებული, მაგრამ გაქრა... რატომღაც), მახისტები ბაზაროვი, ლუნაჩარსკი, ბოლოს, «ერთიანობის» [«единство»] (როგორც პატარა, ისე დიდი ასოთი) მთავარი გმირი გ. ვ. პლეხანოვი — აი ის დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი უ ლ ი სახელები, რომლებიც ამშვენებენ «სოვრემენნიკის» თანამშრომელთა სიას. და, ამასთან სავსებით შესაბამისად, ჟურნალის მიმართულების ღ ე რ ძ ს წარმოადგენს ქადაგება (ნაროდნიკების მიერ) ნაროდნიკებისა და «მარქსისტების» კავშირისა (ნუ კი ეხუმრებით!).

თუ როგორია ეს ქადაგება, დაე მკითხველმა ჟურნალის მეთაურის, ბ-ნ სუხანოვის სტატიებით განსაჯოს. აი ამ ვაებატონის რამდენიმე ა რ ს ე ბ ი თ ი «აზრი»:

...«ძველი დაჯგუფებები ყოველ შემთხვევაში ლიკვიდირებულია. უკვე შეუძლებელია იმის დადგენა, თუ სად თავდება მარქსიზმი და სად იწყება ნაროდნიკობა. როგორც ერთს, ისე მეორე მხარეზე ნაროდნიკობაცაა და მარქსიზმიც. და ორივე მხარე არც მარქსისტულია და არც «ნაროდნიკული». და განა შეიძლებოდა ან შეიძლება სხვანაირად იყოს? შეუძლია განა XX საუკუნეში თვითეულ კოლექტივისტს მარქსისტულად არ იაზროვნოს? და განა შეუძლია თვითეულ სოციალისტს რუსეთში ნაროდნიკი არ იყოს?»

...«თანამედროვე მარქსისტულ აგრარულ პროგრამაზეც სავსებით იგივე უნდა ითქვას, რაც ამის წინ ნაროდნიკულზე ითქვა: ესაა მარქსისტული პროგრამა თავისი დასაბუთების მეთოდებით და ნაროდნიკული — თავისი პრაქტიკული ამოცანებით. იგი მიმართავს «მოვლენათა ისტორიულ

მსვლელობას», და იგი მიისწრაფის განახორციელოს ლოზუნგი: მიწა და თავისუფლება» (№ 7, გვ. 75 — 76).

მგონი, საკმარისია?

ეს ბ-ნი სუხანოვი საჯაროდ იკვეხნის, პლეხანოვი მე მეთანხმებაო. პლეხანოვი კი სდუმს!

მაგრამ შეხედეთ ბ-ნ სუხანოვის მსჯელობას.

პლეხანოვისა და ლიკვიდატორების ახალმა მოკავშირემ მარქსიზმისა და ნაროდნიკობას შორის არსებული განსხვავების «ლიკვიდაცია» იმ საფუძვლით მოახდინა, რომ ორივე მიმდინარეობა, თითქოსდა, ახორციელებს, თავისი პრაქტიკული ამოცანებით, ლოზუნგს: მიწა და თავისუფლება.

ეს მთლიანად და სიტყვასიტყვით ის არგუმენტაციაა, ბურჟუაზიასთან მუშების «ერთიანობას» რომ იცავს. მაგ., «თავისი პრაქტიკული» ამოცანებით მუშათა კლასი და ლიბერალური ბურჟუაზია «მიისწრაფიან განახორციელონ», შეიძლება ითქვას, ლოზუნგი: კონსტიტუცია. ჭკვიანმა ბ-მა სუხანოვმა აქედან უნდა დაასკვნას, რომ «ლიკვიდირებულია» პროლეტარიატად და ბურჟუაზიად დაჯგუფება, რომ «შეუძლებელია იმის დადგენა, თუ სად თავდება» პროლეტარული და სად იწყება ბურჟუაზიული დემოკრატია.

აიღეთ მარქსისტული აგრარული პროგრამის ტექსტი. სუხანოვი ისე იქცევა, როგორც ყველა ლიბერალური ბურჟუა, რომლებიც ამოჰგლეჯენ ხოლმე «პრაქტიკულ» ლოზუნგს («კონსტიტუცია»!) და სოციალისტური და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის განსხვავებას «აბსტრაქტულ-თეორიულ» განსხვავებად აცხადებენ!! მაგრამ ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ ვიფიქროთ, რომ შეგნებული მუშისათვის, ისე როგორც ყოველი შეგნებული პოლიტიკოსისათვის, უინტერესო არ არის პრაქტიკული ლოზუნგების მნიშვნელობა და აზრი, უინტერესო არ არის, თუ რომელ კლასს და სახელდობრ როგორ ემსახურებიან ეს ლოზუნგები.

გადავშლით მარქსისტულ აგრარულ პროგრამას (რომელსაც იხსენებს ბ-ნი სუხანოვი, რათა საშინლად დაამახინჯოს იგი) და იმწამსვე ვხვდებით, მარქსისტებს შორის სადავო

პრაქტიკულ პუნქტებთან ერთად (მაგ., მუნიციპალიზაცია), უ დ ა ვ ო პუნქტებს:

«ბატონყმური წყობის იმ ნაშთების აღმოფხვრის მიზნით, რაც უშუალოდ გლეხებს აწევთ მძიმე ტვირთად, და სოფლად კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარების ინტერესებისათვის»... ასე იწყება მარქსისტული აგრარული პროგრამა. ბ-ნ სუხანოვისათვის ეს არამნიშვნელოვანი «აბსტრაქტული თეორიაა»! გვინდა ჩვენ კონსტიტუცია პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის თავისუფლად განვითარებისათვის თუ მუშებისა და კაპიტალისტების «სოციალური შერიგებისათვის», — ეს ხომ მნიშვნელოვანი არაა, ეს «აბსტრაქტული თეორიაა», ასე გვარწმუნებს ყველა ბურჟუა.

ბურჟუები სწორად გამოხატავენ თავიანთ კლასობრივ ინტერესებს, როდესაც მუშებს ამაში არწმუნებენ. ბ-ნი სუხანოვი სავსებით ბურჟუასავით იქცევა, როდესაც უ კ ა ნ ა ყ უ ნ ე ბ ს იმ საკითხს, თუ რ ი ს თ ვ ი ს გვჭირდება ჩვენ აგრარული გარდაქმნანი: მეპატრონეებთან და წვრილ მეპატრონეებთან დაქირავებული მუშის კლასობრივი ბრძოლის თავისუფალი განვითარებისათვის თუ მათი «სოციალური შერიგებისათვის» ბურჟუაზიული სიტყვებით «შრომითი» მეურნეობის შესახებ?

ცოტა უფრო ქვემოთ ვკითხულობთ მარქსისტულ აგრარულ პროგრამას: მარქსისტები... «ყოველთვის და აუცილებლად გაუწევენ წინააღმდეგობას ეკონომიური განვითარების მსვლელობის შეფერხების ყოველგვარ ცდას». ცნობილია, რომ სწორედ ამიტომ მარქსისტები გლეხთა მიწების მობილიზაციის (ყიდვა-გაყიდვის, დაგირავებისა და სხვ.) თავისუფლების ყოველგვარ, თუნდაც სულ მცირეოდენ, შეზღუდვას რ ე ა ქ ც ი უ ლ, მუშებისა და მთელი საზოგადოებრივი განვითარებისათვის უაღრესად საზიანო, ზომად აცხადებენ.

ნაროდნიკები, «სოციალ-კადეტ» პეშეხონოვიდან «სმელაია მისლის» მემარცხენე ნაროდნიკებამდე, მობილიზაციის თავის-

უფლების ასე თუ ისე შეზღუდვას ე მ ხ რ ო ბ ი ა ნ. ნაროდ-ნიკები უაღრესად მავნე რ ე ა ქ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი არიან ამ საკითხში, ამბობენ მარქსისტები.

ბ-ნი სუხანოვი გვერდს უვლის ამას! მას არა სურს გაიხ-სენოს, თუ როგორ უწოდებდა პლეხანოვი ნაროდნიკებს ამის გამო «სოციალისტ-რეაქციონერებს». «აბსტრაქტულ თეორიას» ბ-ნი სუხანოვი თავიდან იშორებს იმით, რომ იმოწმებს «პრაქტიკას», — ხოლო «პრაქტიკას» (გლეხთა მი-წების მობილიზაციის თავისუფლება) იმით იშორებს, რომ იმოწმებს საერთოდ ლოზუნგს «მიწა და თავისუფლება».

დასკვნა ნათელია: ბ-ნი სუხანოვი მხოლოდ ბურჟუაა, რო-მელიც მუშებისა და მეპატრონეების კლასობრივ მტრობას ა ბ ნ ე ლ ე ბ ს.

და სწორედ ასეთი ბურჟუები ჰყავს მხედველობაში მარქსისტულ აგრარულ პროგრამას, როდესაც ამბობს:

...«დემოკრატიულ აგრარულ გარდაქმნათა ყველა შემთხ-ვევაში და ყოველგვარი მდგომარეობისას»... (ყურადღება მიაქციეთ: ყველა შემთხვევაში და ყოველგვარი მდგომარეო-ბისას, ე. ი. მუნიციპალიზაციის დროსაც, გაყოფის დროსაც, როგორიც გნებავთ სხვა შესაძლებლობის დროსაც)... მარქსის-ტები «ამოცანად ისახავენ — განუხრელად ესწრაფოდნენ სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელ კლასობრივ ორ-განიზაციას, განუმარტონ მას შ ე უ რ ი გ ე ბ ე ლ ი წინააღ-მდეგობა მისი ინტერესებისა გლეხური ბურჟუაზიის ინტერე-სებთან, გ ა ა ფ რ თ ხ ი ლ ო ნ ი გ ი წ ვ რ ი ლ ი მ ე უ რ-ნ ე ო ბ ი ს ს ი ს ტ ე მ ი თ ც თ უ ნ ე ბ ი ს ა გ ა ნ, რომელ სისტემასაც ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო წ ა რ მ ო ე ბ ი ს არსებობის დროს ა რ ა ს ო დ ე ს არ ძალუძს მასების სიღატაკის მო-სპობა» და ა. შ.

ამას ამბობს მარქსისტული აგრარული პროგრამა. ამას ამბობს მისი სწორედ ის პუნქტი, რომელიც მიღებულია მენშევიკების მიერ სტოკჰოლმის ყრილობაზე ბ ო ლ შ ე ვ ი-კ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი დ ა ნ, ე. ი. ყველაზე უდავო,

მარქსისტებს შორის სხვებზე უფრო საყოველთაოდ აღიარებული პუნქტი.

ამას ამბობს ნაროდნიკობის საკითხში ყველაზე უფრო არსებითი პუნქტი, რომელიც სწორედ «წ ვ რ ი ლ ი მეურნეობის სისტემას» ეხება.

და ბ-ნი სუხანოვი ამ პუნქტს სრული დუმილით უვლის გვერდს!!

ბ-მა სუხანოვმა მიმართულებათა «ძველი დაჯგუფების», მარქსიზმად და ნაროდნიკობად მათი დაყოფის ლიკვიდაცია იმით მოახდინა, რომ მიჩქმალა «მარქსისტული აგრარული პროგრამის» ნათელი და ზუსტი სიტყვები ნაროდნიკობის წინააღმდეგ!!

დაეჭვება შეუძლებელია: ბ-ნი სუხანოვი ქარაფშუტა მოლაყბეა, როგორიც ბევრი მოიპოვება ჩვენი ლიბერალური «საზოგადოების» სალონებში, — ამ «საზოგადოებას» კი წარმოდგენაც არა აქვს მარქსიზმზე და იგი ხალისით ახდენს რაღაც სოციალისტური დაჯგუფების — მარქსიზმად და ნაროდნიკობად დაჯგუფების «ლიკვიდაციას».

ნამდვილად კი მარქსიზმსა და ნაროდნიკობას თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ერთმანეთისაგან უფსკრული აშორებს. მარქსის თეორია არის კაპიტალიზმის განვითარებისა და მეპატრონეებთან დაქირავებული მუშების კლასობრივი ბრძოლის თეორია. ნაროდნიკობის თეორია არის კაპიტალიზმის ბურჟუაზიული შელამაზება სიტყვებით «შრომითი მეურნეობის» შესახებ, ის არის თეორია კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვისა, დაბნელებისა და შეფერხებისა იმავე სიტყვების საშუალებით, მობილიზაციის შეზღუდვათა დაცვის საშუალებით და სხვ.

ისტორიულად რუსეთში მარქსიზმსა და ნაროდნიკობას შორის არსებული უფსკრულის სიღრმე გამოაშკარავა პ რ ა ქ ტ ი კ ა მ... არა ლოზუნგებისამ, რასაკვირველია, ვინაიდან მხოლოდ ქარაფშუტა ადამიანებს შეუძლიათ «ლოზუნგები» «პრაქტიკად» მიიჩნიონ... არამედ 1905 — 1907 წლებში მ ი ლ ი ო ნ თ ა ა შ კ ა რ ა მ ა ს ობ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს

პრაქტიკამ. ამ პრაქტიკამ ცხადყო მარქსიზმის შეერთება მუშათა კლასის მოძრაობასთან და ნაროდნიკობის შეერთება (ან შეერთების დაწყება) წვრილბურჟუაზიული გლეხობის მოძრაობასთან (გლეხთა კავშირი, I და II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, გლეხთა მოძრაობა და სხვ.).

ნაროდნიკობა არის ბურჟუაზიული დემოკრატია რუსეთში.

ეს დამტკიცებულია ამ მიმართულების ნახევარსაუკუნოვანი ევოლუციით და მილიონთა აშკარა გამოსვლით 1905—1907 წლებში. ეს უაღრესად გადაჭრით და ოფიციალურად მრავალგზის აღიარებულია მარქსისტული «მთელის» უმაღლესი დაწესებულებების მიერ 1903-დან 1907 წლამდე და 1913 წლის ზაფხულის თათბირამდე.

თუ ახლა ჩვენ ვხედავთ ლიტერატორთა კავშირს, სადაც შედიან ბ ე ლ ა დ ე ბ ი ნაროდნიკობისა (ჩერნოვი, რაკიტნიკოვი, სუხანოვი) და ს.-დ. სხვადასხვა ინტელიგენტური ფრაქციებისა, რომლებიც ან პირდაპირ ილაშქრებენ იატაკქვეშეთის, ე. ი. მუშათა პარტიის წინააღმდეგ (ლიკვიდატორები* დანი, მარტოვი, ჩერევანინი), ანდა იმავე ლიკვიდატორებისათვის დახმარების გამწევ უ მ უ შ ე ბ ო პ ა წ ა ჯ გ უ ფ ე ბ ს წარმოადგენენ (ტროცკი და შერი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი, პლეხანოვი), — აქ ჩვენს წინაშე ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ არის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ი ნ ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს კ ა ვ შ ი რ ი მ უ შ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და სხვა არაფერი.

მუშების ერთიანობას იატაკქვეშეთისა და იმ ზუსტ გადაწყვეტილებათა ნამდვილად აღიარების ნიადაგზე, რომლებიც ტაქტიკას აერთიანებენ და წარმართავენ ძველის საფუძველზე (1912 წლის იანვრის, 1913 წლის თებერვლისა და ზაფხულის გადაწყვეტილებანი), ჩვენ პრავდიზმში ვხედავთ. ფაქტია, რომ პრავდიზმმა საქმით 1912 წლის 1 იანვრიდან 1914 წლის 13 მაისამდე 5 674 მუშათა ჯგუფი გააერთიანა, წინააღმდეგ

* რა გულმოდგინედ იცავს ლიკვიდატორებს ბ-ნი ვორონოვი «სოვრემენნიკში»!!

1421-ისა ლიკვიდატორებში და ნულისა ან თითქმის ნულისა ვპერიოდელთა, პლეხანოვის, ტროცკისა და შერის და სხვ. პაწაწა ჯგუფებში. (იხ. გაზ. «რაბოჩი» № 1, «რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორიიდან», გვ. 19 და «ტრუდოვაია პრავდა» № 2, 1914 წ. 30 მაისი *).

ფაქტია, რომ მუშების ეს ერთიანობა ემყარება მარქსისტ-მუშების ცხოვრების ყ ვ ე ლ ა საკითხის შესახებ გამოტანილ პრინციპულად მტკიცე, მთლიან, სრულ გადაწყვეტილებათა მკვიდრ ნიადაგს. აი სადაა მ თ ე ლ ი, ვინაიდან 4/5-ს ყოვლად უეჭველი უფლება აქვს გამოვიდეს, იმოქმედოს და ილაპარაკოს «მთელის» სახელით.

ხოლო «სოვრემენნიკში» ნაროდნიკობის ლიდერებისა და ყოველგვარი უმუშებო ს.-დ. პაწაწა ჯგუფების კავშირი (სადაც არ არის ზუსტი ტაქტიკა, ზუსტი გადაწყვეტილებანი, არის მარტოოდენ მერყეობა, ერთი მხრივ, პრავდიზმის მიმდინარეობასა და მთელსა და, მეორე მხრივ, ლიკვიდატორებს შორის), ეს კავშირი ს ტ ი ქ ი უ რ ა დ წარმოიშვა. ვ ე რ ც ე რ თ მ ა «უმუშებო ს.-დ. პაწაწა ჯგუფმა» ვერ გაბედა პირდაპირ, ცხადად, აშკარად — რადგან 1913 წლის ზაფხულის თათბირი ნაროდნიკებთან კავშირის წინააღმდეგ გამოვიდა — გამოსულიყო ამგვარი კავშირის მ ო მ ხ რ ე დ! ვერც ერთმა პაწაწა ჯგუფმა — ვერც ლიკვიდატორებმა, ვერც ვპერიოდელებმა, ვერც პლეხანოვმა და კომპ., ვერც ტროცკიმ და კომპ.! ყველა ისინი პირდაპირ გაჰყვნენ მდინარებას, პრავდიზმისადმი ოპოზიციით გატაცებულნი, მისი დამარცხების ანდა დასუსტების სურვილით გამსჭვალულნი, და ინსტინქტურად ეძებდნენ ერთიმეორესთან დახმარებას მუშების 4/5-ის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ლიკვიდატორები სუხანოვთან და ჩერნოვთან, სუხანოვი და ჩერნოვი პლეხანოვთან, პლეხანოვი წინ დასახელებულებთან, ტროცკი მათთანვე და ა. შ.. არავითარი, რამდენადმე მაინც გარკვეული, პოლიტიკა, არც ტაქტიკა, არც აშკარად გამოსვლა მუშების წინაშე ნაროდნიკებ-

* იხ. ეს ტომი, გვ. 384 — 387. რ ე დ.

თან კავშირის დასაცავად — არაფერი ამის მსგავსი არც ერთ ამ ჯგუფს არა აქვს.

ეს არის ბურჟუაზიული ინტელიგენციის ყოვლად უპრინციპო კავშირი მუშების წინააღმდეგ. შევიბრალოთ პლეხანოვი, რომ ის ასეთ სავალალო საზოგადოებაში აღმოჩნდა, მაგრამ პირდაპირ გავუსწოროთ თვალი ჭეშმარიტებას. დაე, ვისაც სურს, იმან უწოდოს ამ პაწაწა ჯგუფთა კავშირს «ერთიანობა», — ჩვენ მას მუშათა მთელისაგან გ ა მ ო თ ი შ ვ ა ს ვუწოდებთ, და ფ ა ქ ტ ე ბ ი ამტკიცებენ ჩვენი შეხედულების სისწორეს.

2. როგორ იცავენ ლიბერალები მუშების «ერთიანობას» ლიკვიდატორებთან

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს თავმჯდომარის ემილ ვანდერველდის ჩამოსვლამ რუსეთში ბუნებრივად გააცხოველა ერთიანობის საკითხის განხილვა. ამ საკითხზე ცნობების შეკრება, ნიადაგის მოსინჯვა და ერთიანობისაკენ შესაძლებელი ნაბიჯების გადადგმა ე. ვანდერველდის პირდაპირი ამოცანა იყო. გაზეთებიდან ვიცით, რომ მან ინახულა ორივე გაზეთის რედაქციები, მარქსისტულისა და ლიკვიდატორულისა, და შეხედულებანი გაუზიარა ერთისა და მეორის წარმომადგენლებს «ბანკეტზე».

როგორც კი ე. ვანდერველდი რუსეთიდან შინ, ე. ი. ბრიუსელში, დაბრუნდა, სოციალიზმის ორ მთავარ ყოველდღიურ ფრანგულ ორგანოში, პარიზის **«L'Humanité»**-ში («კაცობრიობა»)[126] და ბრიუსელის **«Le Peuple»**-ში («ხალხი») კვირას 21 ივნისს ახ. სტილით გამოქვეყნდა ინტერვიუ საერთაშ. სოც. ბიუროს თავმჯდომარესთან. ამასთან რუსი ს.-დ-ების უთანხმოებანი ვანდერველდმა არაზუსტად ჩამოაყალიბა. ერთნიო, უთქვამს მას, «მოწადინებული არიან ლეგალურად დაირაზმონ და კოალიციათა უფლებას მოითხოვენ, სხვებს კი სურთ მიაღწიონ უშუალოდ «ვეშაპის»... გამოცხადებას... და მიწების ექსპროპრიაციასო. ა მ უთანხმოებას ვანდერველდმა «საკმაოდ ბალღური» უწოდა.

არა გვგონია შევცდეთ, თუ წარმოვიდგენთ, რომ რუსეთის შეგნებული მუშები, ვანდერველდის ასეთ შეფასებას რომ წაიკითხავენ, «საკმაოდ გულკეთილად» გაიღიმებენ. თუ «ერთნი» «მოწადინებული არიან ლეგალურად შეკავშირდნენ», ე. ი. ღია, ლეგალური პარტიის მომხრენი არიან, მაშინ, ცხადია, მეორენი ამ პუნქტში საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამენ არა «ვეშაპსა» ანდა «ვეშაპებზე» მითითებით, არამედ იატაკქვეშეთის დაცვით და კატეგორიული უარით — მონაწილეობა მიიღონ «ღია პარტიისათვის ბრძოლაში». ასეთი უთანხმოება არის აზრთა სხვაობა პარტიის ყოფნის საკითხში, და ნუ განრისხდება პატივცემული ამხანაგი ე. ვანდერველდი, თუ ვიტყვით, რომ აქ არავითარი «შერიგება» არაა შესაძლებელი. არ შეიძლება ცოტაოდნად დაასამაროთ იატაკქვეშეთი და ცოტაოდნად შეცვალოთ იგი ლეგალური პარტიით...

მაგრამ ვანდერველდს მარტო უთანხმოებაზე როდი გამოუკითხავს: ამ საკითხზე საერთაშ. სოც. ბიუროს თავმჯდომარისა და მდივნის პორტფელში უამრავი ქაღალდი, მოხსენება და წერილია ყველა და ყოველგვარ, ნამდვილ და ფიქტიურ, «ხელმძღვანელ დაწესებულებათა» წარმომადგენლებისა. ვანდერველდი, როგორც ეტყობა, ცდილა ესარგებლნა პეტერბურგში ყოფნით, რათა შეეგროვებინა ზოგიერთი ფაქტიური ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენად მასობრივია რუსეთში სოციალიზმის (და «ვითომ-სოციალიზმის») სხვადასხვა მიმდინარეობათა და ჯგუფთა გავლენა. ვანდერველდი საკმაოდ დიდი პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანია, და მან, რასაკვირველია, ჩინებულად იცის, რომ პოლიტიკაში საზოგადოდ, მუშათა მოძრაობაში კერძოდ, სერიოზულად შეიძლება მხოლოდ ისეთ მიმართულებათა მიჩნევა, რომლებიც მასობრივად არიან გავრცელებულნი.

ამ საკითხზე ორივე ზემოთ დასახელებულ ფრანგულ სოციალისტურ გაზეთში ვანდერველდის ასეთ ცნობას ვხვდებით: «სოციალისტებს რუსეთში სამი ყოველდღიური გაზეთი

აქვთ. რევოლუციონერები» (აქ, ალბათ, მემარცხენე ნაროდნიკებზეა ლაპარაკი) «გაზეთებს 10-დან 12 ათასამდე ცალის რაოდენობით ბეჭდავენ; ლენინელები 35-დან 40 ათასამდე; ზომიერნი» (**modérés**) (აქ, ალბათ, ლიკვიდატორებზეა ლაპარაკი) — «დაახლოებით 16 ათასს».

ე. ვანდერველდს აქ ერთი პატარა შეცდომა მოსვლია: მემარცხენე ნაროდნიკების გაზეთი, როგორც ცნობილია, ყოველდღიურად კი არ გამოდის, არამედ სამჯერ კვირაში. გარდა ამისა პრავდისტული გაზეთის ტირაჟის მაქსიმუმი, ჩვენი ცნობებით, შემცირებულია: ის 48 ათასს აღწევდა. სასურველი იქნებოდა, რომ ზუსტი მონაცემები ამ (მუშათა მოძრაობის თვითშეგნებისათვის) მნიშვნელოვან საკითხზე შეკრებილი ყოფილიყო, მაგ., მთელი თვისათვის, თუ შეუძლებელია მათი შეკრება ერთი წლის ფარგლებში.

მაგრამ რაოდენ დიდია განსხვავება ნამდვილ ევროპელ ვანდერველდსა, რომელიც მნიშვნელობას კი არ აძლევს აზიურ «სიტყვის დაჯერებას» ანდა «თვალით შეფასებას», არამედ ფ ა ქ ტ ე ბ ს აგროვებს, — და იმ რუს ლიკვიდატორ და ლიბერალურ-ბურჟუაზიულ მოლაყბეებს შორის, «ევროპელებად» რომ მოაქვთ თავი! გაზეთ «რეჩში» კადეტების ოფიციალური წარმომადგენლები წერდნენ, მაგ., სტატიაში: «ე. ვანდერველდე და რუსი სოციალისტები» (№ 152, 7 (20) ივნისს, პარიზსა და ბრიუსელში ვანდერველდეს ინტერვიუს სწორედ წინადღით):

«როდესაც სადილზე ერთ-ერთი ბოლშევიკი ვანდერველდეს არწმუნებდა — ვერავისთან ვერ გავერთიანდებით, რადგან «სახელოსნოებში, მუშათა კლასში ყოველივე უკვე გაერთიანებულია მარტოოდენ პრავდისტული დროშის ირგვლივ, რომლის გარეშეც მხოლოდ ერთი მუჭა ინტელიგენტები რჩებიანო», მან, რა თქმა უნდა, შეტისშეტი პოლემიკური გაზვიადება დაუშვა».

ჩვენს წინაშეა ნიმუში გატკეცილი, გასლაქული ფრაზებით შემოსილი ლიკვიდატორული და ლიბერალური ტყუილისა.

«მეტისმეტი პოლემიკური გაზვიადება»! თითქოს არსებობდეს არა მეტისმეტი გაზვიადება... მაგრამ ოფიციალური კადეტები არა მარტო უხეიროდ წერენ, არამედ პირდაპირ ატყუებენ მკითხველებს. თუ ბოლშევიკებს «პოლემიკური გაზვიადება» ემჩნევათ, მაშინ, ბბ. კადეტებო, რახან კისრულობთ თქვენს მიერ აღძრულ საკითხზე პრესაში ლაპარაკს, რატომღა არ მოგყავთ მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი, რომლებიც გაზვიადებული არ იქნებოდნენ, რომლებშიც პოლემიკა არ იქნებოდა?

რუსულის არმცოდნე ვანდერველდმა რუსეთში 3 — 4 დღეს ყოფნისას შესძლო ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მონაცემების შეკრება. ხოლო ბატონ პიტერელ კადეტებს სრულიად ისევე, როგორც პიტერელ ლიკვიდატორებს *, ა რ ც ე რ თ ხ ე ლ არ მოუყვანიათ გაზეთებში ა რ ა ვ ი თ ა რ ი ობიექტური მონაცემი და პრავდისტებს სრულიად უსაფუძვლოდ და პირმოთნედ აბრალებდნენ «გაზვიადებას»!

ავიღოთ ვანდერველდის მონაცემები. მარქსისტული, ლიკვიდატორული და ნაროდნიკული გაზეთის ყოველკვირეული ტირაჟი, ამ მონაცემების თანახმად, შემდეგი ციფრებით გამოიხატება:

			%	%	
მარქსისტული	გაზეთი...	240 000	64,5	71,4	100%
ლიკვიდატორული	» ...	96 000	25,8	28,6	
ნაროდნიკული	» ...	36 000	9,7		
	ს უ ლ	372 000	100		

ეი ობიექტური მონაცემები, შეკრებილი საერთაშ. სოც. ბიუროს თავმჯდომარის მიერ. კიდევაც რომ მივუმატოთ ნაროდნიკები, რომლებთანაც «გაერთიანება» მ ხ ო ლ ო დ ლიკვიდატორებს, მახისტებსა და პლეხანოვს სურთ, თუმცა ამის პირდაპირ თქმისა ეშინიათ, ვღებულობთ პრავდისტების უმრავლესობას — თითქმის ²/₃-ს. ხოლო თუ ნაროდნიკებს

* ლიბერალურმა «კიევსკაია მისლმა», რომელშიც მრავალი ლიკვიდატორი წერს, ვანდერველდის ინტერვიუ გადაბეჭდა «Le Peuple»-იდან, მაგრამ სწორედ ტირაჟის ციფრები დამალა!! («კიევსკაია მისლ» № 159).

არ ჩავთვლით, მაშინ პრავდისტების უმრავლესობა ლიკვიდატორების მიმართ შეადგენს 71,4%-ს, ე. ი. 7 მ ე ა თ ე დ ზ ე მ ე ტ ს!

მაგრამ გაზეთებს მარტო მუშები როდი კითხულობენ და ეხმარებიან. ობიექტურმა მონაცემებმა ფულის შეგროვების შესახებ, რომლებიც იბეჭდებოდა როგორც მარქსისტულ გაზეთში, ისე ლიკვიდატორულში, გვიჩვენეს (1914 წლის 1 იანვრიდან 13 მაისამდე განვლილ პერიოდში) მუშათა ჯგუფების 80% პრავდისტებთან, ამასთან პიტერში ეს % 86%-მდე მატულობს. პრავდისტების მიერ შეკრებილი 21 ათასი მანეთიდან 8/10-ზე მეტი შეაგროვეს მუშებმა, ლიკვიდატორებს კი ნ ა ხ ე ვ ა რ ზ ე მ ე ტ ი მ ი ს ც ა ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს*. მაშასადამე, სავსებით და უცილობლად დამტკიცებულია, რომ ცნობები გაზეთების ტირაჟის შესახებ ა მ ც ი რ ე ბ ე ნ პრავდისტების სიჯარბეს, ვინაიდან ლიკვიდატორულ გაზეთს ბურჟუაზია ი ნ ა ხ ა ვ ს. ხოლო არა ნაკლებ ობიექტური მონაცემები სადაზღვევო დაწესებულებათა არჩევნების შესახებ ცხადყოფენ, რომ პრავდისტებს ჰყავდათ 47 რწმუნებული 57-დან სრულიად რუსეთის სადაზღვევო დაწესებულების არჩევნების დროს, ე. ი. 82,4%.

კადეტები უსინდისოდ ცრუობენ, როდესაც ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ს გ ა ნ ა დ ი დ ე ბ ე ნ იმით, რომ თავიანთ პრესაში ბრალდებას უყენებენ მასის წინაშე პრავდისტებს «გაზვიადებაში» (და «მეტისმეტ გაზვიადებაშიც» კი) და არ მოჰყავთ არავითარი ობიექტური მონაცემები, არც გაზეთების ტირაჟის, არც მუშათა ჯგუფების შესახებ და არც სადაზღვევო დაწესებულებათა არჩევნების შესახებ.

რა თქმა უნდა, რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები აიძულებენ მას დაიცვას ლიკვიდატორები, რომლებიც მარქსისტების მიერ ერთხმად აღიარებული არიან (1910 წ. გადაწყვეტილება) «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ზ ე

* იხ. სტატია «მუშათა კლასი და მუშათა პრესა» 14 ივნისის «ტრუდ-პრავდაში». (იხ. ეს ტომი, გვ. 444 — 453. რ ე დ.).

ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი გ ა ვ ლ ე ნ ი ს გ ა მ ტ ა რ ე ბ ლ ე-
ბ ა დ». მაგრამ თუ ამასთან ლიბერალებს «მიუკერძებელ» ადამიანებად მოაქვთ თავი, მაშინ მათი სიცრუე განსაკუთრებით ფარისევლური და საზიზღარი ხდება.

კადეტთა სიტყვების პოლიტიკური მნიშვნელობა ერთია და მხოლოდ ერთი: ეცადონ გაატარონ ლიკვიდატორების მეშვეობით ბურჟუაზიული გავლენა მუშებზე.

«უეჭველია, — განაგრძობს «რეჩი», — რომ ჭეშმარიტი (!!) მუშათა ინტელიგენცია, ის მუშები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს სოციალ-დემოკრატიული» (!! სოციალ-დემოკრატიზმის მცოდნე კადეტების შეფასებით) «მუშაობა უმძიმეს წლებში, ბოლშევიკებს კი არ თანაუგრძნობენ, არამედ მათს მოწინააღმდეგეებს (ლიკვიდატორებს, მენშევიკებს). ამ ელემენტების მოკვეთა რუსეთის მუშათა პარტიისაგან მომასწავებელი იქნებოდა მისი ისეთი ინტელექტუალური დაკნინებისა, რომ თვით ბოლშევიკებსაც თავზარს დასცემდა მათი ნამოქმედარის შედეგები».

ასე წერენ კადეტები «რეჩის» სარედაქციო სტატიაში.

აი კიდევ, შესადარებლად, თუ რას წერს ლიკვიდატორების იდეური ბელადი ბ-ნი ლ. მ. «ნაშა ზარიას» № 3-ში (1914 წ., გვ. 68):

«ეს ჯანყია» (პრავდისტ-მუშებისა) «დემენტიევების, გვოზდევების, ჩირკინების, რომანოვების, ბულკინების, კაბანებისა და სხვ. წინააღმდეგ, როგორც იმ მარქსისტ-მუშების მთელი, დედაქალაქებში საკმაოდ ხშირი, ფენის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ და ცდილობენ მოახდინონ რუსეთის მუშათა მოძრაობის ბალღურ-რომანტიკული სტადიის «ლიკვიდაცია»».

იგივეობა, როგორც ხედავთ, უსრულესია. «რეჩის» სარედაქციო სტატიებში კადეტები თავიანთი სახელით მთლიანად იმეორებენ იმას, რასაც ლ. მ. «ნაშა ზარიაში» იმღერის. «ნაშა ზარიას» და «ნაშა ლიკვიდატორსკაია გაზეტას» ტირაჟის ნაკლებობას ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ ე ნ კადეტური გაზეთები, რომლებიც საზოგადოების წინაშე თავდებობას კისრულობენ ბულკინების, ჩირკინებისა და კომპ. სოციალ-დემოკრატიზმისათვის.

ბ-ნი ლ. მ. ჩამოთვლის მცირეოდენი ლიკვიდატორი მუშების სახელებს. სიამოვნებით გავიმეორებთ ამ სახელებს.

რუსეთის ყველა შეგნებული მუშა მყისვე იცნობს ლ ი ბ ე-
რ ა ლ უ რ მ უ შ ე ბ ს, რომლებიც დიდი ხანია ცნობილი
არიან თავიანთი ბრძოლით იატაკქვეშეთის წინააღმდეგ, ე. ი.
პარტიის წინააღმდეგ. წაიკითხეთ იმავე «ნაშა ზარიაში»
ბულკინის ნაწერი ლ. მ.-ის ნაწერის გვერდით და დაინახავთ,
თუ როგორ უარყოფენ ორივენი იატაკქვეშეთს და, ლიბერა-
ლების გულის გასახარებლად, როგორ ლანძღავენ მას.

ასეც დავიხსომებთ, ასეც გვეცოდინება, რომ ბ-ნ ლ. მ.-ის
მიერ დასახელებული «დემენტიევები, გვოზდევები, ჩირკინე-
ბი, რომანოვები, ბულკინები, კაბცანები», როგორც კ ა დ ე-
ტ ე ბ ი ი რ წ მ უ ნ ე ბ ი ა ნ, «ჭეშმარიტი მუშათა ინტელი-
გენციაა». ნამდვილად კი ისინი ჭეშმარიტი ლიბერალური მუ-
შები არიან! ბულკინის სტატიამ სავსებით დაამტკიცა ეს.
განსაკუთრებულად ვურჩევთ ამ სტატიას შეგნებულ მუშებს,
რომლებსაც პირადად ჯერ კიდევ არ სმენიათ დასახელებულ
ლიბერალურ პროლეტართა სიტყვები.

ლიბერალური «რეჩი» გვაშინებს ამ (როგორც «რეჩი»
ირწმუნება) სოციალ-დემოკრატების, «რეჩის» მიერ ნაქებ-
ნადიდები ამ სოციალ-დემოკრატების «მუშათა პარტიისაგან
მოკვეთის» პერსპექტივით.

მაგრამ ამის პასუხად ჩვენ მხოლოდ გავიღიმებთ, ვინაი-
დან ყველასათვის ცნობილია, რომ აღნიშნულმა პაწაწა ჯგუფ-
მა თვითონ მოიკვეთა თავისი თავი, როდესაც ლიბერალ-ლიკ-
ვიდატორებთან წავიდა, და რომ ეს «მოკვეთა» გახდა ნამდვი-
ლად მ უ შ უ რ ი (და არა ლიბერალურ-მუშური) პარტიის
შექმნის საწინდარი და საძირკველი.

იმავე სარედაქციო სტატიაში «რეჩი» აქებს ლიკვიდა-
ტორებისა და ლიბერალური მუშების «მ შ ვ ი დ ი, ზ ო გ-
ჯ ე რ გ უ ლ ა მ ა ც რ უ ე ბ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ს მ ო ქ ა-
ლ ა ქ ო ბ რ ი ვ ს ი მ ა მ ა ც ე ს». ოღონდაც რომ უნდა შეა-
ქონ ისინი «რეჩმა» და ლიბერალებმა! მუშებზე პირდაპირი
გავლენის მოხდენა ლიბერალებს რუსეთში, განსაკუთრებით
ცხრაას ხუთი წლის შემდეგ, არ შეუძლიათ. მაშ როგორ არ
უნდა აფასებდნენ ისინი ლიკვიდატორებს, რომლებიც,

სოციალ-დემოკრატიზმის ნიღაბით, ეწევიან იმავე ლიბერალურ «გულამაცრუებელ» მუშაობას, ატარებენ იმავე «ბურჟუაზიულ გავლენას პროლეტარიატზე» (იხ. 1910 წლის გადაწყვეტილება!).

«უთანხმოება მათ შორის» (სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციებს შორის) «მალე არ მოისპობა, — წერს «რეჩი» — მაგრამ თავიანთი ფიზიონომიის შენარჩუნებისასაც ისინი უნდა გაერთიანდნენ და არ უნდა შეჰქონდეთ თავიანთი შუღლი მუშათა მასაში, რომელიც ეს-ესაა იღვიძებს შეგნებული პოლიტიკური ცხოვრებისათვის. გათიშვა მუშათა წრეში დიდ სიხარულს ჰგვრის რეაქციას. მარტო ესეც საკმარისია, რათა აიძულოს ორივე ფრაქციის პატიოსანი ადამიანები — გულწრფელად და სერიოზულად ესწრაფოდნენ გაერთიანებას».

ასე წერს «რეჩი».

ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ, რომ ა რ ვეკუთვნით «პატიოსან» ადამიანთა ლიბერალურ კომპანიას და იმათ რიცხვს, ვინც ამ კომპანიას «პატიოსან» ადამიანებად მიაჩნია. ჩვენ უ პ ა ტ ი ო ს ნ ო ბ ა დ მივიჩნევდით ამ ადამიანთა რიცხვში ყოფნას. ლიბერალურ ბურჟუათა «მიუკერძებლობა», ჩვენი რწმენით, შეიძლება სჯეროდეთ მხოლოდ სრულებით გულუბრყვილო ან უჭკუო ადამიანებს, განსაკუთრებით, როდესაც ლაპარაკია მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, ე. ი. მის მოძრაობაზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ტყუილად ჰგონიათ კადეტებს, რომ რუსი მუშები ბავშვისებრ გულუბრყვილონი არიან, რომ მათ შეუძლიათ სჯეროდეთ ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ «პატიოსნების» «მიუკერძებელი» შეფასება. ლიბერალური ბურჟუები «პატიოსან» ადამიანებად თვლიან ლიკვიდატორებს და მათს დამცველებს ი მ ი ტ ო მ დ ა მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ტ ო მ, რომ ლიკვიდატორობა პოლიტიკურ სამსახურს უწევს ბურჟუაზიას, როდესაც ატარებს ბურჟუაზიულ გავლენას პროლეტარიატზე.

რუსეთის გაერთიანებულმა მარქსისტებმა პირდაპირ, აშკარად, რუსეთის ყველა მუშის წინაშე, ისე, რომ მთელი

პასუხისმგებლობა იკისრეს თავიანთი მოქმედებისათვის, ლიკვიდატორთა განსაზღვრული ჯგუფი, «ნაშა ზარიას» და «ლუჩის» ჯგუფი და სხვ. პ ა რ ტ ი ი ს გ ა რ ე შ ე მდგომ-ბად აღიარეს. 1912 წლის იანვარში ეს განცხადებულ იქნა. მას შემდეგ 2 ½ წლის განმავლობაში გვყავს მუშათა 5 674 ჯგუფი, წინააღმდეგ ლიკვიდატორების და ყველა მათი დამცველის 1 421-ისა, ე. ი. რუსეთის შეგნებული მუშების ⁴/₅ მიემხრო «პრავდიზმს», ე. ი. მ ო ი წ ო ნ ა იანვრის გადაწყვეტილება. ლიკვიდატორები საქმით ისე იქცეოდნენ, რომ მუშები მათ შ ო რ დ ე ბ ო დ ნ ე ნ. ჩვენი გადაწყვეტილება დადასტურებულია ცხოვრებით და მუშების უდიდესი უმრავლესობის გამოცდილებით.

ლიბერალები «ერთიანობას» (მუშებისა ლიკვიდატორებთან) ა ნ გ ა რ ე ბ ი თ-კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ინტერესებისათვის იცავენ. მუშათა პარტიისაგან ლიკვიდატორების ჩამოშორება ერთადერთი ნაბიჯი იყო, რამაც შესაძლებლობა მისცა ამ პარტიას ღ ი რ ს ე უ ლ ა დ — ჩვენ სხვანაირად გვესმის ეს სიტყვა, «რეჩის» ვაჟბატონებო! — გამოსულიყო ჟამთა სიავის პერიოდიდან. მუშათა პარტიისაგან ლიკვიდატორების ჩამოშორება «სასიხარულო» კი არა, — ს ა ვ ა ლ ა ლ ო გამოდგა რეაქციისათვის, ვინაიდან ლიკვიდატორები ხელს უშლიდნენ ძველი ფორმების, ძველი «იერარქიის», ძველი გადაწყვეტილებებისა და სხვ. აღიარებას, თვითონ კი, 2 ½ წლის განმავლობაში, აბსოლუტურად უუნარონი აღმოჩნდნენ — რაიმე ორგანიზაცია მაინც შეექმნათ. ლიკვიდატორებისა და მათი მეგობრების «აგვისტოს» (1912) ბლოკი დაიშალა.

მხოლოდ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ლიკვიდატორებისა, მხოლოდ მათ გ ა რ ე შ ე და მათ ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო დ ჩაატარეს მუშებმა და შეეძლოთ ჩაეტარებინათ საგაფიცვო, სადაზღვევო მოძრაობის, გაზეთების შექმნის ის ბრწყინვალე კამპანია, რა კამპანიამაც ახლა ყველგან ⁴/₅ უმრავლესობა ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეებს მოუპოვა.

«გათიშვად» ლიბერალებს ესმით მუშათა რიგებისაგან იატაკქვეშეთის მოწინააღმდეგეთა, ინტელიგენტ ლიკვიდატორთა მცირე ჯგუფის ჩამოცილება. «ერთიანობად» ლიბერალებს ესმით მუშებზე ლიკვიდატორთა გავლენის შენარჩუნება.

ჩვენ სხვანაირად ვუყურებთ ამას: «ერთიანობას» ჩვენ ვუწოდებთ მუშების 4/5-ის შეკავშირებას ძველი დროშის გარშემო; გამოთიშვას ჩვენ ვუწოდებთ იმას, რომ ლიკვიდატორთა პაწაწა ჯგუფს არა სურს აღიაროს მუშების უმრავლესობის ნება და დაემორჩილოს მას, ვუწოდებთ მათ მიერ ამ ნების ჩაშლას. რაკი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ პრავდიზმმა 2 1/2 წლის განმავლობაში შეაკავშირა მუშების 4/5, ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია შემდგომი წინსვლა, კიდევ უფრო სრული ერთიანობისაკენ, მუშების 4/5-დან 9/10-ის, შემდეგ კი თვით 10/10-ის ერთიანობისაკენ, იმავე გზით.

ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება ლიკვიდატორებზე, ჩვენი შეხედულება და ლიბერალური შეხედულება, გამომდინარეობს პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის მდგომარეობისა და თვალსაზრისთა განსხვავებიდან.

რით აიხსნება პლეხანოვის მდგომარეობა? 1908 წელს მან ისე გადაჭრით გაწყვიტა კავშირი ლიკვიდატორებთან და ერთხანს ისე მტკიცედ იცავდა პრესაში პარტიის გადაწყვეტილებებს ლიკვიდატორების წინააღმდეგ, რომ ზოგიერთებს იმედი ჰქონდათ — პლეხანოვის მერყეობას ბოლო მოეღოო. ახლა, როდესაც პრავდიზმის გარშემო მუშების 4/5 შეკავშირდა, პლეხანოვი კვლავ იწყებს მერყეობას. არ შეიძლება სხვა რამით, თუ არ პირადი მისი მერყეობით, — სენი, რაც მას 1903 წლიდან დაეწყო, — აიხსნას მისი «პოზიცია», რომელიც ახლა არსებითად სავსებით დაემთხვა ლიბერალური «რეჩის» პოზიციას.

«რეჩის» მსგავსად პლეხანოვი ახლა «ერთიანობას» უწოდებს მუშებზე ლიკვიდატორების გავლენის უზრუნველყოფას — წინააღმდეგ მუშების ნება-სურვილისა, წინააღმდეგ

პარტიის გადაწყვეტილებებისა, წინააღმდეგ ამ გადაწყვეტილებათა ჩაშლისა ლიკვიდატორების მიერ. გუშინ პლეხანოვმა ბ-ნი პოტრესოვი იუდას შეადარა და სწორად განსაჯა, რომ უ ი უ დ ო დ მოციქულები უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე იუდასთან ე რ თ ა დ, დღეს კი იგი, როდესაც ფ ა ქ ტ ე ბ მ ა საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ ლიკვიდატორები სავსებით ესოლიდარებიან პოტრესოვს და აფურთხებენ პარტიის გადაწყვეტილებებს, დღეს პლეხანოვი პირს იბრუნებს ლიკვიდატორებისაკენ და ურჩევს პრავდისტებს — არ ელაპარაკონ მათ «გამარჯვებულთა ენით»!!! ესე იგი, უფრო პირდაპირ და მარტივად რომ ვთქვათ, მუშების უმრავლესობამ ა რ უნდა მოსთხოვოს მისი ნება-სურვილის აღიარება და მისი გადაწყვეტილებებისადმი პატივისცემა უმცირესობას, რომელიც პარტიის გადაწყვეტილებათა აშკარა დამარღვევლებს მიჰყვება!!!

შეგნებული მუშები იძულებული იქნებიან მწუხარებით აღიარონ, რომ პლეხანოვს კვლავ შეუბრუნდა ქანაობისა და მერყეობის ის პოლიტიკური სენი, რაც მას ამ ათი წლის წინათ გამოაჩნდა, — და თავიანთი გზით წავლენ.

მაგრამ არსებობს პლეხანოვის მერყეობის სხვა ახსნაც, რომელსაც ჩვენ მეორე ადგილზე ვაყენებთ, ვინაიდან პლეხანოვისათვის იგი გაცილებით უარესია. ურთიერთმებრძოლ ორ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა ს შორის: ლიკვიდატორულსა (რომელიც თავის საზოგადოებრივ ძალას პოულობს ლიბერალური ბურჟუაზიის თანაგრძნობაში) და «პრავდისტულს» შორის (რომელიც თავის ძალას პოულობს რუსეთის მუშათა უმრავლესობის შეგნებასა და შეკავშირებულობაში, რომლებიც იღვიძებენ, — სიბნელეს თავს აღწევენ და სინათლისაკენ მიისწრაფიან) ჩნდებიან გარდუვალად მერყევი ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფები. საზოგადოებრივი ძალა მათ არ მოეპოვებათ, მუშებზე მასობრივი გავლენის მოხდენა მათ არ შეუძლიათ, პოლიტიკურად ისინი ნულები არიან. ნაცვლად მტკიცე, ნათელი ხაზისა, რომელიც იზიდავს მუშებს და

რომელსაც ცხოვრების გამოცდილება ადასტურებს, ამ პაწაწა ჯგუფებში გამეფებულია წ რ ე ო ბ რ ი ვ ი დ ი პ ლ ო მ ა- ტ ი ა. მასებთან კავშირის უქონლობა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მასობრივ მიმართულებებში ისტორიული ფესვების უქონლობა (რუსეთში სოციალ-დემოკრატია მასობრივი გახდა 1895 წლის გაფიცვების დროიდან), მტკიცე, მთლიანი, ნათელი, ბოლომდე გარკვეული, მრავალწლოვანი გამოცდილებით შემოწმებული ხაზის უქონლობა, ე. ი. ტაქტიკის, ორგანიზაციის, პროგრამის საკითხებზე პასუხის უქონლობა, — აი ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდება წრეობრივი დიპლომატია, აი მისი ნიშნები.

პლეხანოვის გაზეთ «ედინსტვოს», როგორც პოლიტიკურ კოლექტივს, სავსებით მიუდგება ეს ნიშნები (ისევე როგორც ტროცკის «ბორბას»: სიტყვამ მოიტანა, — დაე ჩაუფიქრდნენ მკითხველები ამ ვითომდა «გამაერთიანებლების», «ბორბას» და «ედინსტვოს» ერთმანეთისაგან დაშორების მ ი- ზ ე ზ ე ბ ს...). დეპუტატი ბურიანოვი, როგორც ყოველი, შედარებით «მრავალხნოვანი» დეპუტატი რუსეთის მეტად არამრავალხნოვან პოლიტიკოსთა შორის, დიდხანს იყო ლიკვიდატორი, ახლა კი პლეხანოვისაკენ «გადაქანდა». დიდი ხნით კი გადაქანდა და სახელდობრ საით, ეს მან თვითონაც არ იცის. მაგრამ წრეობრივი დიპლომატიისათვის, რა თქმა უნდა, არ არსებობს მეტი ბედნიერება, ვიდრე ასეთი «მერყეევი» დეპუტატი, ვისი ოცნების საგანია «ერთიანობა» ექვსეულისა, რომელიც ოცნებობს იმაზე, რომ დაეხმაროს პარტიის ლიკვიდატორებს მუშათა უმრავლესობის ნება-სურვილის ჩ ა შ ლ ა შ ი, — ამ ნება-სურვილის გატარების მოსურნე ექვსეულთან.

წარმოიდგინეთ ორივე ექვსეულის «ერთიანობა» მუშათა უმრავლესობის ნება-სურვილისაგან დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ- ლ ა დ. ამის წარმოდგენა შესაზარია, შეგვესიტყვებით თქვენ, ვინაიდან დეპუტატებმა უმრავლესობის ნება-სურვილი უნდა გაატარონ! მაგრამ სწორედ იმას, რაც პროლეტარიატისათვის შესაზარია, ლ ი ბ ე რ ა ლ ე ბ ი უწოდებენ სათნოებას,

სიკეთეს, სარგებლობას, პატიოსნებას, შესაძლოა, სიწმინდესაც ,ი (სტრუვე «რუსსკაია მისლში» ხვალ, ალბათ, დაამტკიცებს ბერდიაევის, იზგოევის, მერეჟკოვსკისა და კომპ. შემწეობით, რომ «ლენინელები» ცოდვილი «გამთიშველები» არიან, ხოლო ლიკვიდატორები და «გამარჯვებული» მუშებისაგან მათი ამჟამად დამცველი პლეხანოვი — ღვთის ნების წმინდა აღმსრულებელნი).

ერთი წუთით დაადექით ამ (ფაქტიურად ლიბერალურ) თვალსაზრისს, რომელიც გულისხმობს სათათბიროს ორი ექვსეულის «ერთიანობას» მუშების უმრავლესობისაგან დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ. თქვენ მაშინვე გაიგებთ, თუ ამ თვალსაზრისს დაადგებით, ბურიანოვისა და «ედინსტვოს» ლიტერატორთა პაწაწა ჯგუფის წრეობრივ ინტერესს — ი ს ა რ გ ე ბ ლ ო ნ ორივე ექვსეულის განხეთქილებით, გამოიყენონ მათი უთანხმოება... «შემარიგებლის» მუდმივი როლისათვის!

ერთი მხრივო, შეიძლება თქვას ასეთმა შემარიგებელმა, ბურიანოვმა, ტროცკიმ, პლეხანოვმა, შერმა, ჩერნოვმა, სუხანოვმა ანდა სულ ერთია, ვინ, — ერთი მხრივ, ლიკვიდატორთა ექვსეული მართალი არ არის, რადგან პარტიის გადაწყვეტილებათა ლიკვიდაციას ახდენსო. მეორე მხრივ, პრავდისტთა ექვსეული მართალი არ არის, ვინაიდან [illegible] კოლეგებს ელაპარაკება «გამარჯვებულთა» შეუფერებელ[illegible] და უწესო, ცოდვილი «ტონით», ვითომდა რომელიღაც უმრავლესობის სახელითო. შესაძლებელია კიდევაც, ამგვარმა «შემარიგებელმა» თავის ეკლექტიკურ და ინტრიგანულ ქცევას «დიალექტიკური» უწოდოს და «გამაერთიანებლის» სახელწოდება დაიჩემოს... მომხდარა ხომ ეს ჩვენს პარტიაში: მოიგონეთ თუნდაც ბუნდელებისა და ტიშკოს როლი სტოკჰოლმისა და ლონდონის ყრილობებზე და საერთოდ 1906 — 1911 წლების ეპოქაში!

ყოფილა ასეთი ბედნიერი დრონი წრეობრივი დიპლომატებისათვის, ასეთი დუხჭირი დრონი მუშათა პარტიისათვის მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არასაკმარისად მომაგრებულიყო

შეგნებული მუშების შეკავშირება ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელთა, «ეკონომისტთა» და «მენშევიკთა» წინააღმდეგ.

ახლა ეს დრო წარსულს ჰბარდება. ბატონ კადეტების «რეჩი» დასტირის «მუშათა მასაში შუღლის შეტანას». ეს ლიბერალური ბატონკაცის თვალსაზრისია. ჩვენ მივესალმებით «მუშათა მასაში შუღლის შეტანას», ვინაიდან სწორედ ეს მასა და მხოლოდ იგი გამოყოფს «შუღლს» არსებითი უთანხმოებისაგან, თვითონ გაერკვევა უთანხმოებაში, გამოიმუშავებს თავის აზრს, გადაწყვეტს საკითხს — არა «ვისთან იაროს, არამედ საით წავიდეს» *, ე. ი. საკითხს თავისი, გარკვეული, ნათელი, მის მიერვე განაზრებული და შემოწმებული ხაზის შესახებ.

ეს ხანა უკვე დადგა და დგება. პრავდისტ-მუშების მასა უკვე განასხვავებს «შუღლს», იგი უკვე გაერკვა უთანხმოებაში, მან თვითონ განსაზღვრა უკვე თავისი ხაზი. ცნობები მუშათა ჯგუფების შესახებ ორი წლის აშკარა ბრძოლის შემდეგ (1912 და 1913) ფაქტიურად ამტკიცებენ ამას.

წრეობრივ დიპლომატიას ბოლო ეღება **.

3. რატომ დაგმეს მუშათა ორგანიზაციებმა საჯაროდ ლიკვიდატორები, როგორც ცილისმწამებლები?

«პუტ პრავდის» № 92-ში, 1914 წ. 21 მაისს, დაბეჭდილია ქალაქ მოსკოვის ათი პროფესიული საზოგადოების წარმომადგენელთა რეზოლუცია. ამ რეზოლუციაში უაღრესად გადაჭრით და მკაცრად არის დაგმობილი, როგორც «დანაშაული», მალინოვსკის

* როგორც ჩინებულად თქვეს მოსკოველმა მუშებმა (იხ. «რაბოჩი» № 6, 1914 წ. 29 მაისი), რომლებმაც ერთბაშად გამოააშკარავეს პლეხანოვის «ედინსტვოს» მთელი სიყალბე.

** სხვადასხვა ჯგუფთა ლიდერების მონაწილეობა, ლიკვიდატორულისა (დანი და მარტოვი), პლეხანოვისა, ტროცკისა, ლუნაჩარსკისა ნაროდნიკებთან კავშირში («სოვრემენნიკი») ავრეთვე ერთ-ერთი ნიმუშია წრეო-

დეზორგანიზატორული წასვლა, შემდეგ გამოცხადებულია სრული ნდობა სახ. სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციისადმი («იარეთ მტკიცედ თქვენი გზით, — მუშათა კლასი თქვენთანაა!») და, ბოლოს, «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» ლიკვიდატორები საჯაროდ დაგმობილი არიან, როგორც ადამიანები, «რ ო მ ლ ე ბ მ ა ც ბ ი ნ ძ ი რ ი ც ი ლ ი ს წ ა მ ე ბ ა მ ი ა ყ ო ლ ე ს წ ა ს უ ლ დ ე პ უ ტ ა ტ ს»; ამ ადამიანების საქციელი გათანაბრებულია «მემარჯვენე პრესის მიერ ცილისმწამებლური ხმების გავრცელებასთან, მუშათა რიგებში არევდარევის შეტანის მიზნით».

«ყველა იმათი უწმინდესი მოვალეობაა, ვისთვისაც კი ძვირფასია მუშათა საქმე, — წერენ თავიანთ რეზოლუციაში ქალაქ მოსკოვის 10 პროფესიული საზოგადოების წარმომადგენელნი — მჭიდროდ შეკავშირდნენ და ერთსულოვანი წინააღმდეგობა გაუწიონ ცილისმწამებლებს». «მუშათა კლასი პასუხად უფრო შეამჭიდროებს თავის რიგებს თავის წარმომადგენელთა გარშემო» (ე. ი. რსდ მუშათა ფრაქციის გარშემო) «და ზ ი ზ ღ ი თ ა უ ვ ლ ი ს გ ვ ე რ დ ს ც ი ლ ი ს მ წ ა მ ე ბ ლ ე ბ ს».

საჭირო არ არის მოვიყვანოთ მუშების ამგვარივე შინაარსის სხვა მრავალრიცხოვანი რეზოლუციები, ლატვიური მუშათა გაზეთის აზრი * და სხვ.. ეს იქნებოდა ნათქვამის გამეორება.

განვიხილოთ მომხდარი ამბავი.

ბრივი დიპლომატიისა, ვინაიდან ვ ე რ ა ვ ი ნ ვერ გაბედა პირდაპირ და აშკარად ეთქვა წინდაწინვე მუშებისათვის: მივდივარ ამ კავშირში ამიტომ და ამისთვისო. როგორც წრეობრივი დიპლომატიის ნაყოფი, «სოვრემენნიკი» მკვდარშობილი წამოწყებაა.

* «საჭიროდ არ მიგვაჩნია შევჩერდეთ იმ ხმებზე, რომლებიც პრესაშია გავრცელებული, და უბრალო ცილისწამებაზე მალინოვსკის წინააღმდეგ და მთელი ფრაქციისა და მისი მტკიცე მიმართულების წინააღმდეგ, იმიტომ რომ ყოველივე ამას მ უ დ ა მ უ ს ი ნ დ ი ს ი მ ი ზ ნ ი თ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ე ნ და ყოველივე ეს მუდამ სიყალბე გამოდგება ხოლმე» («ტრუდოვაია პრავდა» № 1. 1914 წ. 23 მაისი).

რატომ იყო, რომ რუსეთის შეგნებულმა მუშებმა, მოსკოვის 10 პროფესიული საზოგადოებისა და სხვ. მრავ. წარმომადგენელთა სახით, საჯაროდ დაგმეს «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» ლიკვიდატორები, როგორც ბინძური ცილისმწამებლები, და მოუწოდეს მუშათა კლასს — ზიზღით აევლო მათთვის გვერდი?

რა ჩაიდინა «ნაშა რაბოჩაია გაზეტამ»?

იგი ავრცელებდა ანონიმურ (უსახელო) ხმებს და ბინძურ ჭორებს მალინოვსკის ვითომდა პროვოკაციის შესახებ.

არც ერთი ბრალმდებლის გვარი არ ყოფილა დასახელებული. არც ერთი ზუსტი ფაქტი არ ყოფილა მოყვანილი. არც ერთი მამხილებელი საბუთი, გარკვეულად ჩამოყალიბებული, დადასტურებული მითითებებით თუნდაც მეტსახელებზე, ადგილის ჩავარდნებზე, თარიღებზე, — არც ერთი ასეთი მამხილებელი საბუთი არ ყოფილა აღნიშნული.

მარტო საეჭვო ხმები, მარტო გაზვიადება სათათბიროდან გასვლის «აუხსნელობისა». მაგრამ სწორედ წასვლის აუხსნელობისათვის, ფარულად გაქცევისათვის დაგმეს სასტიკად მალინოვსკი ორგანიზებულმა მუშებმა, მუშათა პარტიის წევრებმა.

ორგანიზებულმა მუშა-მარქსისტებმა მაშინვე შეკრიბეს ყველა თავიანთი, ყოველგვარი, ადგილობრივი, პროფესიული, სათათბიროს, სრულიად რუსეთის ხელმძღვანელი დაწესებულება და პირდაპირ, აშკარად, ყველას გასაგონად განუცხადეს პროლეტარიატსა და მთელ მსოფლიოს: მალინოვსკიმ არ აგვიხსნა თავისი წასვლის მიზეზი და არ გაგვაფრთხილა მის შესახებ. ეს აუხსნელობა, ეს გაუგონარი თვითნებობა მის ნაბიჯს ხდის დეზერტირის ნაბიჯად, ჩვენ კი სერიოზულ, მძიმე, პასუხსაგებ კლასობრივ ომს ვეწევით. დეზერტირი ჩვენ გავასამართლეთ, დაუნდობლად ვგმობთ მას და დავგმეთ იგი. და — წერტილი. საქმე გათავებულია.

«ერთი არარაა. კლასი ყველაფერია. მედგრად დაიცავით თქვენს მიერ დაკავებული პოზიციები. ჩვენ თქვენთანა ვართ» (მოსკოვის ორმოცი სავაჭრო მოსამსახურის დეპეშა

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციისადმი. იხ. «პუტ პრავდი» № 86, 1914 წ. 14 მაისი).

საქმე გათავებულია. ორგანიზებულმა მუშებმა ორგანიზებულად მიიყვანეს საქმე ბოლომდე და შეამჭიდროეს რიგები შემდგომი მუშაობისათვის. წინ, შევუდგეთ მუშაობას!

მაგრამ ინტელიგენტური წრეები საქმეს სხვაგვარად ეკიდებიან. «აუხსნელობა» მათში საქმისადმი ორგანიზებულ დამოკიდებულებას კი არ იწვევს (ლიკვიდატორების თუ მათი მეგობრების არც ერთი ხელმძღვანელი დაწესებულება არ გამოსულა საქმის არსებითი მხარის აშკარა, პირდაპირი, სრული შეფასებით!!!) — არამედ ჭორიკანულ ინტერესს. ჰო-ო, «აუხსნელობა»? — ინტელიგენტური საზოგადოების ჭორიკანები ცნობისმოყვარეობით არიან შეპყრობილნი.

ჭორიკანებს არავითარი ფაქტები არ მოეპოვებათ. მარტოვის წრის ჭორიკანებს უნარი არა აქვთ ორგანიზებული მოქმედებისა: მოიწვიონ ესა თუ ის კოლეგია, შეკრიბონ პოლიტიკური ინტერესისა თუ მნიშვნელობის მქონე ცნობები, შეამოწმონ, ანალიზი გაუკეთონ, ერთად მოიფიქრონ, გამოიტანონ ფორმალური, პასუხსაგები გადაწყვეტილება, რომელიც მითითებას მისცემს პროლეტარიატს. ჭორიკანებს ამის უნარი არა აქვთ.

სამაგიეროდ ილაყბონ და იჭორიკანონ, იარონ მარტოვთან (ან მის მსგავს ბინძურ ცილისმწამებლებთან) ანდა იქიდან სხვებთან და ავრცელონ საეჭვო ხმები, ყური მიუგდონ გადაკვრით ნათქვამს და გადასცენ სხვებს, — ო, ამაში ინტელიგენტი ჭორიკანები მეტად დახელოვნებული არიან! ვისაც თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც უნახავს ავყია ჭორიკანა ინტელიგენტთა ეს წრე, მას ალბათ (თუ თვითონაც ჭორიკანა არ არის) სამუდამოდ გაჰყვება ზიზღი ამ საძაგელი არსებებისადმი.

ყველას რაიმე თავისებურება ახასიათებს. თვითეულ საზოგადოებრივ ფენას თავისი «ცხოვრების ნირი», თავისი ჩვეულებანი, თავისი მიდრეკილებანი აქვს. თვითეულ მწერს

თავისი საბრძოლველი იარაღი აქვს: არიან მწერები, რომლებიც მყრალი სითხის გამოყოფით იბრძვიან.

ორგანიზებული მარქსისტი მუშები ორგანიზებულად მოიქცნენ. ორგანიზებულად მოუღეს ბოლო ყოფილი კოლეგის თვითნებურად წასვლის საქმეს და ორგანიზებულად ჩაებნენ შემდგომს მუშაობაში, შემდგომს ბრძოლაში. ლიკვიდატორთა ინტელიგენტი ჭორიკანები ვერ გასცილდებოდნენ და ვერც გასცილდნენ ბინძურ ჭორსა და ცილისწამებას.

ორგანიზებულმა მარქსისტმა მუშებმა მყისვე, «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» პირველი სტატიებისთანავე გამოიცნეს ეს ჭორიკანები და მაშინვე სავსებით სწორად შეაფასეს ისინი: «ბინძური ცილისწამება», «ზიზღით ავუაროთ გვერდი». არავითარი ნასახი ნდობისა მარტოვის და დანის «ხმებისადმი», მტკიცე გადაწყვეტილება — ყურადღება არ მიაქციონ, მნიშვნელობა არ მისცენ მათ.

სხვათა შორის. ლიკვიდატორებით აღშფოთებული მუშების რეზოლუციებში ლაპარაკი იყო ლიკვიდატორებზე საერთოდ. ჩემი აზრით, გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა — ელაპარაკნათ ბბ. მარტოვსა და დანზე, როგორც ეს ლენინის დეპეშაში [127] და ზოგიერთ სტატიასა და რეზოლუციაშია. ჩვენ საფუძველი არა გვაქვს საერთოდ ყ ვ ე ლ ა ლიკვიდატორს დავდოთ ბრალი და საჯაროდ დავგმოთ ისინი ბინძური ცილისწამებისათვის, მაგრამ სწორედ მარტოვმა და დანმა 10 წლის განმავლობაში, დაწყებული მათი ცდით — ჩაეშალათ პარტიის მეორე (1903 წლის) ყრილობის ნება-სურვილი, მრავალგზის დაამტკიცეს თავიანთი «მანერა» ინსინუაციებით და ბინძური ცილისწამებით ბრძოლისა. ამაოდ ეფარებოდა ეს ორი ვაჟბატონი იმას, თითქოს ვიღაც ამჟღავნებდეს «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» ფაქტიურ რედაქტორებს. არსად არც ერთი სიტყვა, კრინტიც არ დაძრულა არც რედაქტორობაზე და არც ფაქტიურ რედაქტორობაზე.

მაგრამ ცილისმწამებლები, რომლებსაც მუშათა პარტია თავისი 10 წლის ისტორიით იცნობს, დასახელებული უნდა ყოფილიყვნენ, და ისინი დასახელეს კიდევაც.

სრულიად გამოუცდელი ანდა ფიქრის უნარს მოკლებული ადამიანებისათვის გზა-კვალის არევას ცილისმწამებელნი ცდილობდნენ «არაოფიციალური» სასამართლოს «კეთილ-სახოვანი» მოთხოვნით; ჩვენ სავსებით გარკვეული არაფერი ვიცითო, ბრალს არავის არა ვდებთ, ბრალდებისათვის ხმები «საკმარისი არაა», ისინი მხოლოდ «გამოძიებისთვისაა» საკ-მარისიო!

მაგრამ აი სწორედ იმაში მდგომარეობს ბინძური ცილის-წამების მთელი, იურიდიულად რომ ვთქვათ, «შედგენილობა», რომ ადამიანები პრესაში ავრცელებენ საეჭვო, ანონიმურ ხმებს, ამავე დროს კი არ შეუძლიათ მოიყვანონ არც ერთი პატიოსანი მოქალაქის, არც ერთი სანდო, პასუხისმგებელი დემოკრატიული დაწესებულების არც ერთი თავდებობა ამ ხმების ს ე რ ი ო ზ უ ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს!

საქმის მთელი დედაარსი კი ამაშია.

მარტოვი და დანი დიდი ხნის ცნობილი, მრავალგზის მხილებული ცილისმწამებლები არიან. ამის შესახებ ათეულ-ჯერ თქმულა საზღვარგარეთულ პრესაში. როდესაც მარტოვი, დანის მონაწილეობითა და პასუხისმგებლობით, წერდა სპე-ციალურად ცილისმწამებლურ ბროშურას: «მხსნელნი თუ გამაუქმებელნი», — თ ვ ი თ ლმობიერმა და ფრთხილმა კაუცკიმაც კი, რომელიც ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გა-დაიხარა ლიკვიდატორებისადმი «დათმობებისაკენ», ამ ბრო-შურას «ს ა ზ ი ზ ღ ა რ ი» უწოდა.

ეს ფაქტია. ეს დიდი ხანია გამოქვეყნებულია საზღვარ-გარეთულ პრესაში.

და ამის შემდეგ მარტოვსა და დანს სურთ, რომ მ ა თ ი თაოსნობით, მ ა თ ი ცილისწამებითი გამოსვლის მიხედვით, ჩვენ დავთანხმდეთ გამოძიების წარმოებას იმ პაწაწა ჯგუფე-ბის მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ, რომლებიც მარტოვსა და დანს აფარებენ ხელს!!!

ეს არის უაღრესი თავხედობა ცილისმწამებელთა მხრივ და უაღრესი უაზრობა.

დანისა და მარტოვის არც ერთი სიტყვა ჩვენ ა რ გ ვ ჯ ე რ ა. საეჭვო ხმების არავითარ «გამოძიებას» ლიკვიდატორების და მათი დამხმარე პაწაწა ჯგუფების მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი თ ჩ ვ ე ნ ა რ ა ს ო დ ე ს ა რ დ ა ვ თ ა ნ ხ მ დ ე ბ ი თ. ვინაიდან ეს მომასწავებელი იქნებოდა მარტოვის და დანის დანაშაულის დ ა ფ ა რ ვ ი ს ა, ჩვენ კი ბოლომდე გამოვამჟღავნებთ მას მუშათა კლასის წინაშე.

როდესაც მარტოვი და დანი პლუს მათი დამფარველნი, ბუნდელები, ჩხეიძე და კომპ., «აგვისტოელები» და ა. შ. პირდაპირ თუ არაპირდაპირ მოგვიწოდებენ — მათთან ერთად მოვახდინოთ «გამოძიება», ჩვენ მათ ვუპასუხებთ: მარტოვისა და დანისა ჩვენ არა გვჯერა. პატიოსან მოქალაქეებად მათ ჩვენ არა ვთვლით. ჩვენ მათ ანგარიშს გავუწევთ, როგორც სულმდაბალ ცილისმწამებლებს, მხოლოდ ასე, და არა სხვაგვარად.

დაე დანისა და მარტოვის დამფარველებმა თუ სუსტნერვებიანმა ინტელიგენტებმა, რომლებიც ამ ვაჟბატონთა «ხმებს» უჯერებენ, ოხვრა-ვიშით იფიქრონ ბურჟუაზიულ სასამართლოზე. ამით ჩვენ ვერ შეგვაშინებ. შანტაჟისტების წინააღმდეგ ჩვენ ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს და უ ე ჭ ვ ე ლ ა დ მომხრენი ვართ ბურჟუაზიული სასამართლოს ბურჟუაზიული ლეგალობისა.

როდესაც ვინმე გეუბნებათ: მომეცით 100 მან., წინააღმდეგ შემთხვევაში მე გამოვამჟღავნებ, რომ თქვენ ცოლს ატყუებთ და NN-თან ცხოვრობთო, — ეს სისხლის სამართლის წესით დასასჯელი შანტაჟია. ამ შემთხვევაში ჩვენ ბურჟუაზიული სასამართლოს მომხრენი ვართ.

როდესაც ვინმე გეუბნებათ: მომეცით პოლიტიკური დათმობანი, მიცანით მარქსისტული მთელის თანასწორუფლებიან ამხანაგად, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ყვირილს მოვრთავ მალინოვსკის პროვოკაციის შესახებ გავრცელებული ხმების გამოო, — ეს პოლიტიკური შანტაჟია.

ამ შემთხვევაში ჩვენ ბურჟუაზიული სასამართლოს მომხრენი ვართ.

და მუშები თვითონ დაადგნენ სწორედ ამ თვალსაზრისს, როდესაც დანისა და მარტოვის პირველივე სტატიების გამო კი არ დაუჯერეს მათ, კი არ შეეკითხნენ თავიანთ თავს: მართლაც, შესაძლოა, სწორი იყოს ეს «ხმები», რახან მარტოვი და დანი მათ შესახებ წერენო? — არა, მუშებმა მაშინვე გაიგეს საქმის არსი და გამოაცხადეს: «მუშათა კლასი გვერდს აუვლის ბინძურ ცილისწამებასო».

ან პირდაპირი ბრალდება წამოაყენეთ საკუთარი ხელმოწერით, რათა ბურჟუაზიულმა სასამართლომ შესძლოს თქვენი გამომძღავნება და დასჯა (შანტაჟთან ბრძოლის სხვა საშუალება არ არსებობს), ანდა დარჩით დაღდასმულ ადამიანებად, რომლებსაც მუშების 10 პროფესიული საზოგადოების წარმომადგენლებმა საჯაროდ უწოდეს ცილისმწამებლები. ორში ერთი აირჩიეთ, ბბ. მარტოვო და დანო!

ხელმძღვანელმა დაწესებულებამ გამოიძია ხმები და მონაჩმახად გამოაცხადა ეს ხმები. რუსეთის მუშები ენდობიან ამ დაწესებულებას, და იგი ბოლომდე ამხილებს ცილისწამების გამავრცელებლებს. ნუ იფიქრებს მარტოვი, რომ ის გამოუმძღავნებელი დარჩება.

მაგრამ პოლიტიკური პაწაწა ჯგუფები, რომლებიც ლიკვიდატორებს იცავენ, ანდა თუნდაც ნაწილობრივ თანაუგრძნობენ მათ, არ ენდობიან ჩვენს ხელმძღვანელ დაწესებულებას? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ არ გვესაჭიროება მათი ნდობა, ჩვენ არ გადავდგამთ არავითარ ისეთ ნაბიჯს, რომელიც ოდნავ მაინც გამოხატავდეს მათდამი ნდობას.

ჩვენ ვამბობთ: ბატონო წევრნო იმ პაწაწა ჯგუფებისა, რომლებიც მარტოვსა და დანს ენდობიან, რომლებსაც სურთ მათთან «გაერთიანება», ყველა თქვენ, აგვისტოელებო, ტროცკისტებო, ვპერიოდელებო, ბუნდისტებო და სხვ. და სხვ., გთხოვთ გამოხვიდეთ, გამოიჩინოთ თავი! ორში ერთი, ბატონებო:

თუ თქვენ თვითონაც გსურთ და მუშებსაც მოუწოდებთ «გაერთიანდნენ» მარტოვთან და დანთან, მაშასადამე, თქვენ გქონიათ (რაც ჩვენ არა გვაქვს) ელემენტარული ნდობა მათ-

დამი, ლიკვიდატორთა იდეურ-პოლიტიკური მიმართულების აშკარა ბელადებისადმი. რახან თქვენ გაქვთ ეს ნდობა, რახან მათთან «გაერთიანების» შესაძლებლობა თქვენ დასაშვებად მიგაჩნიათ, აღიარებთ და ჰქადაგებთ მას, მაშინ გადადით საქმეზე, ნუ სჯერდებით სიტყვებს!

ან თქვენ მოსთხოვთ დანსა და მარტოვს (თქვენ ენდობით მათ, ისინი გენდობიან თქვენ) «ხმების» წყაროებზე მითითებას, თვითონ განიხილავთ მათ და საჯაროდ განაცხადებთ მუშათა კლასის წინაშე: ჩვენ თავდებობას ვკისრულობთ, რომ აქ ჭორიკანების სულელური ცილისწამება კი არაა, გაგულისებულ ლიკვიდატორთა ბოროტეული წაჩურჩულება კი არაა, არამედ საფუძვლიანი, სერიოზული მამხილებელი საბუთებია. თუ კი თქვენ ასე მოიქცეოდით და თუ კი დამტკიცდებოდა, რომ ხმების წარმოშობისთანავე ლიკვიდატორულმა, პლეხანოვურმა და სხვა ხელმძღვანელმა დაწესებულებებმა ეს ხმები შეამოწმეს და დაუყოვნებლივ შეატყობინეს ისინი ხელმძღვანელ პრავდისტულ დაწესებულებას, მაშინ ჩვენ გიპასუხებდით: დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ სცდებით, ბატონებო, და დაგიმტკიცებთ თქვენს შეცდომას, მაგრამ ვაღიარებთ, რომ თქვენ ისე მოიქეცით, როგორც პატიოსანი დემოკრატები.

ანდა თქვენ დაიმალებით, ბატონო წინამძღოლებო «მიმდინარეობებისა» და პაწაწა ჯგუფებისა, რომლებიც მუშებს ლიკვიდატორებთან გაერთიანებისაკენ მოუწოდებენ, — დაიმალებით დანისა და მარტოვის ზურგს უკან, ნებას მისცემთ მათ, რამდენიც ნებავთ, იმდენი იცილისმწამებლონ, არ მოსთხოვთ მათ წყაროების დასახელებას, არ იკისრებთ შრომას (და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას) ხმების სერიოზულობის შემოწმებისათვის.

მაშინ ჩვენ აშკარად განვუცხადებთ მუშებს: ამხანაგებო, განა ვერ ხედავთ, რომ პაწაწა ჯგუფების ყველა ეს წინამძღოლნი ბინძურ ცილისმწამებელთა მონაწილენი და ხელშემწყობნი არიან?

ვნახოთ, როგორ გადაწყვეტენ მუშები.

საქმის განსამარტავად ავიღოთ კონკრეტული შემთხვევა. როდესაც ხელმძღვანელმა დაწესებულებამ, რომელსაც ცნობს რუსეთის შეგნებული მუშების 4/5, განაცხადა, რომ მან გამოიძია ხმები და უეჭველად დარწმუნებულია მათს სრულ მოჩამახულობაში (თუ უარესში არა), მაშინ პრესაში ორი ჯგუფი გამოვიდა: 1) ჩხეიძის, ჩხენკელის, სკობელევის, ხაუსტოვის, ტულიაკოვის, მანკოვისა და იაგელოს ჯგუფი; 2) «აგვისტოელები», ე. ი. ლიკვიდატორთა აგვისტოს ხელმძღვანელი დაწესებულება.

მერე რა თქვეს მათ?

მხოლოდ ის, რომ მათ მონაწილეობა არ მიუღიათ პრავდისტთა ხელმძღვანელი დაწესებულების მიერ ხმების სისწორის გამოძიებაში!! მხოლოდ ეს!

გავარჩიოთ ეს შემთხვევა.

ჯერ-ერთი, წარმოვიდგინოთ, რომ ჩხეიძისა და კომპ. ჯგუფის ნაცვლად ჩვენს წინაშე პატიოსანი დემოკრატები არიან. ამ ადამიანებმა მალინოვსკი აირჩიეს სათათბიროში არსებული თავიანთი ფრაქციის თავმჯდომარის ამხანაგად. და ერთბაშად მალინოვსკის შესახებ პრესაში, იმ ორგანოში, რომლისთვისაც ისინი პოლიტიკურად პასუხისმგებელნი არიან, ვრცელდება ხმა, თითქოს მალინოვსკი პროვოკატორია!

ნუთუ შესაძლებელია ორი აზრი არსებობდეს იმის შესახებ, თუ როგორია ასეთ შემთხვევაში ყოველი პატიოსანი დემოკრატის სრულიად ელემენტარული, ყოვლად უეჭველი მოვალეობა?

დაუყოვნებლივ შექმნან კოლეგია თავისი წრიდან ანდა ვისგანაც გნებავთ, დაუყოვნებლივ გამოიძიონ, საიდან მომდინარეობს ხმები, ვინ და როდის ავრცელებდა მათ, შეამოწმონ, რამდენად კეთილსინდისიერი და სერიოზულია ეს ხმები, და საჯაროდ, პირდაპირ, პატიოსნად განუცხადონ მუშათა კლასს: ამხანაგებო, ჩვენ ვიმუშავეთ, ჩვენ გამოვიძიეთ, ჩვენ პასუხისმგებლობას ვკისრულობთ თქვენს წინაშე, რომ მდგომარეობა აქ სერიოზულია.

ასე მოიქცეოდნენ პატიოსანი დემოკრატები. სდუმდე. არ გამოიძიო, კვლავ პასუხისმგებლობას კისრულობდე. პრესის იმ ორგანოსათვის, რომელიც საეჭვო ხმებს ავრცელებს, — ეს არის უაღრესი სისაძაგლე და სიმდაბლე, რაც საკადრისი არაა პატიოსანი მოქალაქეებისათვის.

მეორეც, წარმოვიდგინოთ, რომ ჩხეიძისა და კომპ. ადგილას ჩვენს წინაშე არიან ბინძური ცილისმწამებლობის ხელშემწყობნი და დამფარველნი, რომლებსაც ან თვითონ გაუგონიათ საეჭვო ხმები მარტოვისაგან ან მისი მეგობრებისაგან, მაგრამ არასოდესაც არ უფიქრიათ სერიოზულად მიეჩნიათ ისინი (ვინაიდან ს.-დ. მუშაობასთან დაკავშირებულთაგანს ვის არ გაუგონია, და მრავალგზის, სულელური, აშკარად მოჩმახული «ხმები», რომლებზე ყურადღების მიქცევა სასაცილოა?), ანდა არაფერი გაუგონიათ, მაგრამ, კარგად იციან რა დანისა და მარტოვის «მანერა», ამჯობინებენ «განზე ჩაიარონ ძნელსა და მტკივნეულ საკითხში» [128], რადგან ეშინიათ არ გაჭუჭყიანდნენ და სამუდამოდ არ შეირცხვინონ თავი, თუ აშკარად სანდოდ მიიჩნევენ მარტოვისა და დანის მიერ პრესაში გავრცელებული ხმების სერიოზულობას, ამავე დროს კი მათ სურთ მალულად დააფარონ ხელი მარტოვსა და დანს.

ასეთი ადამიანები, რომლებიც ჩვენს მეორე ვარაუდს შეესაბამებიან, სწორედ ისე მოიქცეოდნენ, როგორც ჩხეიძე და კომპ. მოიქცნენ.

ნათქვამი მთლიანად ეხება «აგვისტოელებსაც».

დაე მუშებმა თვითონ ამოირჩიონ ერთი ამ ორი ვარაუდთაგანი, დაე. თვითონ განიხილონ და მოიფიქრონ ჩხეიძისა და კომპ. საქციელი.

გავარჩიოთ კიდევ პლეხანოვის საქციელი. «ედინსტვოს» № 2-ში ლიკვიდატორების სტატიებს მალინოვსკის შესახებ იგი «აღმაშფოთებელსა» და «საზიზღარს» უწოდებს, ამავე დროს კი, პრავდისტებისადმი აშკარად სასაყვედუროდ, დასძენს: აი თქვენი გათიშვის ნაყოფი, «ეაცა თავს სჭრიდნენ, და — მუწუკი არ მატყინოთო!».

როგორია პლეხანოვის ამგვარი საქციელის აზრი?

თუ ის, მიუხედავად დანისა და მარტოვის პირდაპირი განცხადებისა, რომ ხმებს ისინი სერიოზულ და კეთილსინდისიერ ხმებად თვლიან (ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გამოძიებას არ მოითხოვდნენ), — თუ პლეხანოვი, მიუხედავად ამისა, ლიკვიდატორთა სტატიებს აღმაშფოთებელ და საზიზღარ სტატიებად აცხადებს, მაშასადამე, მას ოდნავი ნდობაც არა ჰქონია დანისა და მარტოვისადმი!! მაშასადამე, ი ს ი ნ ი ც მას ბინძურ ცილისმწამებლებად მიაჩნია!!

ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ, რა გონივრული საფუძვლით უნდა უწოდო საჯაროდ «საზიზღარი» იმ ადამიანთა სტატიებს, რომლებსაც სურთ (მათი სიტყვით) სარგებლობა მოუტანონ დემოკრატიასა და პროლეტარიატს სერიოზული და საშინელი ბოროტების, პროვოკაციის გამომეღავნებით??

მაგრამ, თუ პლეხანოვს მარტოვისა და დანის არც ერთი სიტყვა არა სჯერა, თუ ისინი ბინძურ ცილისმწამებლებად მიაჩნია, მაშინ როგორღა შეუძლია მას ჩ ვ ე ნ, პრავდისტებს, ბრალად დაგვდოს პარტიიდან გარიცხულ ლიკვიდატორთა ბრძოლის ასეთი ხერხები? რ ო გ ო რ შეუძლია მას სწეროს: «კაცს თავს სჭრიდნენ, და — მუწუკი არ მატკინოთო». ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ დანსა და მარტოვს იგი «გ ა თ ი შ ვ ი თ» ა მ ა რ თ ლ ე ბ ს!!

ეს შესაზარია, მაგრამ ეს ფაქტია.

ბინძურ ცილისმწამებლებს, რომლებისაც თვითონ პლეხანოვს ოდნავაც არა სჯერა, იგი იმით ამართლებს, რომ პრავდისტები დამნაშავენი არიან, რადგან პარტიიდან გარიცხეს ისინი.

პლეხანოვის ასეთი საქციელი არის «დიპლომატიური» (როგორც უკვე უთხრა მას საჯაროდ «მარქსისტთა ჯგუფმა», რომელიც მზად იყო დაეჯერებინა პლეხანოვისათვის, მაგრამ მალე იმედგაცრუებული დარჩა) — დიპლომატიური, ე. ი. წრეობრივი დიპლომატიით გამოწვეული, დაცვა შანტა-

ჟისტებისა, რაც ობიექტურად უდრის შანტაჟისტების წაქეზებას — განაგრძონ თავიანთი საგმირო საქმეები.

თუ ჩვენ — ასე უნდა იმსჯელონ მარტოვმა და დანმა — ერთბაშად მივაღწიეთ იმას, რომ «ანტილიკვიდატორი» პლეხანოვი, რომელიც ჩვენ არ გვიჯერის, პრავდისტებს ბ რ ა ლ ს ა ს დ ე ბ ს, თუნდაც არაპირდაპირ, თუნდაც ნაწილობრივ, იმაში, რომ მათ «გათიშვით» მიგვიყვანეს ასეთ გააფთრებულ ბრძოლამდე, — მაშასადამე... მაშასადამე, იარე ამავე გზით! განაგრძე ამავე ყაიდაზე! პლეხანოვი გ ვ ა ი მ ე დ ე ბ ს, რომ ჩვენ დ ა თ მ ო ბ ე ბ ს მ ი ვ ი ღ ებ თ ჩვენი შანტაჟის ჯილდოდ!! *

პლეხანოვის წრეობრივმა დიპლომატიამ მყისვე გამოამჟღავნა თავისი თავი მუშების წინაშე. ეს დაამტკიცა მოსკოველების მიერ «ედინსტვოს» № 1-ის შეფასებამ და «მარქსისტთა ჯგუფის» პასუხმა, იმ ჯგუფისა, რომელიც თითქოს მზად იყო. დაჯერებინა პლეხანოვისათვის და რომელმაც პლეხანოვს «დიპლომატი» უწოდა. პლეხანოვის წრეობრივი დიპლომატია ძალიან მალე გამოამჟღავნებს თავის თავს ბოლომდე.

მუშების წარმომადგენლებმა 1912 წლის იანვარში აშკარად და ფორმალურად გარიცხეს პარტიიდან ლიკვიდატორთა განსაზღვრული ჯგუფი, მარტოვისა და დანის მეთაურობით. მას შემდეგ, 2½ წლის განმავლობაში, რუსეთის მუშებმა 4/5 უმრავლესობით მოიწონეს და თ ა ვ ი ს ა დ აღიარეს ეს გადაწყვეტილება. მარტოვისა და დანის შანტაჟი და ცილისწამება «დათმობებამდე» კი არ მიიყვანს მუშებს, არამედ კიდევ

---

* შანტაჟის სავსებით იმგვარსავე დაცვას, როგორიც პლეხანოვისეულია, ოღონდ კიდევ უფრო დაფარულ-ლაჩრული სახით, მკითხველი უპოვის ტროცკის. «ბორბას» № 6-ში ის, «ნ. რ. გ.» თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი, ერთი სიტყვითაც არ კიცხავს დანისა და მარტოვის «კამპანიას», ხოლო პრავდისტებს ბრალსა სდებს «სიძულვილისა და გათიშვის შხამიან თესლთა» გავრცელებისათვის (გვ. 44) II ამრიგად, «შხამიანობა» უნდა დავინახოთ არა ცილისწამებაში, სრულიადაც არა, არამედ ბურჟუაზიული გავლენის გამტარებელთა და იატაკქვეშეთის მაძაგებელთა შესახებ პარტიის შიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაში. ასეც დავიხსომოთ.

უფრო მტკიცე რწმენამდე, რომ მხოლოდ ლიკვიდატორების გარეშე და მათ წინააღმდეგ შეიძლება ვაშენოთ მუშათა მარქსისტული «მთელი», რომელიც 4/5-ად უკვე აშენებულია.

ყველა და თვითეული ლაპარაკობს ახლა რუსი მუშების პოლიტიკური შეგნებულობის ზრდაზე, მუშათა პარტიის საქმეების მთლიანად და მარტოოდენ მათს ხელში გადასვლაზე, რევოლუციის შემდეგ მათი სიმწიფისა და დამოუკიდებლობის უდიდესად ამაღლებაზე. მუშებს — «ინტელიგენტური წრეებისა» თუ «ინტელიგენტური ფრაქციულობის» წინააღმდეგ — მიმართავენ ტროცკიც და პლეხანოვიც. მაგრამ — ღირსშესანიშნავი გარემოებაა! — როგორც კი ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი ობიექტურ მონაცემებზე, რომლებიც იმას ეხება, თუ რომელ პოლიტიკურ მიმართულებას არჩევენ, იწონებენ, ქმნიან რუსეთის ახლანდელი შეგნებული მუშები, მაშინვე პლეხანოვიც, ტროცკიც და ლიკვიდატორებიც ფრონტს იცვლიან და გაიძახიან: ეს მუშები, პრავდისტი-მუშები, რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ რუსეთის შეგნებულ მუშებს შორის, ისინი მხოლოდ «დაბნეულობის» გამო («ბორბა» № 1, გვ. 6) მიჰყვებიან პრავდიზმს, ისინი მხოლოდ აჰყვებიან ხოლმე «დემაგოგიასა» თუ ფრაქციულობასო და სხვ. და სხვ.

გამოდის, რომ ლიკვიდატორები, პლეხანოვი და ტროცკი შეგნებული მუშების უმრავლესობის ნება-სურვილს აღიარებენ არა აწმყოსათვის, არამედ მომავლისათვის, სახელდობრ იმ და მხოლოდ იმ მომავლისათვის, როდესაც მუშები დაეთანხმებიან მათ, ლიკვიდატორებს, პლეხანოვს, ტროცკის!!

სასაცილო სუბიექტივიზმია! სასაცილო შიშია ობიექტური მონაცემებისა! და თუ არა გსურთ ინტელიგენტური წრეობანას ბრალდების უბრალო გადასროლ-გადმოსროლა, მაშინ ხომ უნდა აიღოთ სწორედ ახლანდელი და სწორედ ობიექტური მონაცემები.

მუშების პოლიტიკურ განათლებაზე, რომელიც, საყოველთაო აღიარებით, წინ მიდის, ჩვენი შემარიგებლები, პლე-

ხანოვი, ტროცკი და კომპ., ისევ და ისევ სასაცილო სუბიექ-ტივიზმით მსჯელობენ. პლეხანოვი და ტროცკი მ ე რ ყ ე ო-ბ ე ნ ს.-დ. კლასობრივ მოძრაობაში ერთიმეორესთან მებრ-ძოლ ორ მიმდინარეობას შუა, და თავიანთ სუბიექტურ მე-რყეობას თავზე ახვევენ მუშებს, თანაც ამბობენ: მიმდინარეო-ბათა ბრძოლაში მუშების მონაწილეობა მუშების შეუგ-ნებლობაა, მერე კი, როდესაც ისინი უფრო შეგნებულნი იქნებიან, ისინი აღარ იბრძოლებენ, «ფრაქციულნი» აღარ იქნებიანო (პლეხანოვი ისევე, როგორც ტროცკი, იმეორებს «მეხსიერებაში ჩარჩენილს», დაზეპირებულ სიტყვას «ფრაქ-ციულობა», თუმცა პრავდისტებმა 1912 წლის იანვრიდან, ე. ი. 2 ½ წლის წინათ, ბოლო მოუღეს «ფრაქციულობას», როდესაც პირდაპირ და აშკარად გარიცხეს ლიკვიდატორები).

პლეხანოვისა და ტროცკის მიერ საქმის ასეთი შეფა-სების სუბიექტივიზმი თვალში გეცემათ. აიღეთ ისტორია — მარქსისტისათვის ხომ ცოდვა არაა მიმართოს მოძრაობის ისტორიას! — იგი გიჩვენებთ თ ი თ ქ მ ი ს ო ც ი წ ლ ი ს ბრძოლას ბურჟუაზიულ მიმდინარეობათა — «ეკონომიზმის» (1895 — 1902), მენშევიზმისა (1903 — 1908) და ლიკვიდა-ტორობის (1908 — 1914) წინააღმდეგ. «პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის» ამ სამი სახესხვაობის განუყრელი კავშირი და თანამომდევნობა სავსებით უეჭველია. რუსეთის მოწინავე მუშები რომ ყოველთვის მონაწილეობდნენ ამ ბრძოლაში და დგებოდნენ «ისკრელების» მხარეზე «ეკონო-მისტების» წინააღმდეგ, — ბოლშევიკების მხარეზე მენშევი-კების წინააღმდეგ (თ ვ ი თ ლენინის აღიარება, რაც უამრა-ვი ობიექტური ფაქტით იყო ნაკარნახევი), — დასასრულ, «პრავდიზმის» მხარეზე ლიკვიდატორობის წინააღმდეგ, — ეს ისტორიული ფაქტია.

საკითხავია, განა ეს ისტორიული ფაქტი, რომელიც მუ-შების მ ა ს ო ბ რ ი ვ ს.-დ. მოძრაობას ეხება, ცოტა რამ უფრო სერიოზულს არ გვეუბნება, ვიდრე სუბიექტური კე-თილი სურვილები პლეხანოვისა და ტროცკისა, რომ-ლებსაც აი უკვე 10 წელიწადია თავიანთ დამსახურებად ის

მიაჩნიათ, რომ ვერასგზით ვერ შეხმატკბილებიან მუშების მასობრივ ს.-დ. მიმართულებას?

ახლანდელი ეპოქის ობიექტური ფაქტები, აღებული ორივე წყაროდან, ლიკვიდატორულიდან და პრავდისტულიდან, — შემდეგ კი 20 წლის ისტორიაც, ყოველივე ეს თვალნათლივ ამტკიცებს, რომ ს წ ო რ ე დ ლიკვიდატორობასთან ბრძოლაში და მასზე გამარჯვებაში აშკარავდება რუსი მუშების პოლიტიკური განათლება და შექმნა ნ ა მ დ ვ ი ლ ი მუშათა პარტიისა, რომელიც ქედს ა რ იხრის წვრილბურჟუაზიულ გავლენათა წინაშე წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში.

პლეხანოვი და ტროცკი, მუშებს რომ თავიანთ სუბიექტურ კეთილ სურვილებს სთავაზობენ (რომლებიც ანგარიშს არ უწევენ არც ისტორიას, არც მასობრივ მიმართულებებს ს.-დ-ში) ბრძოლის თავიდან აცილების შესახებ, მუშების პოლიტიკური განათლების საქმეს გაცვეთილი თვალსაზრისით უყურებენ. დღემდე იყო ისტორია, — როგორც ოხუნჯობდა მარქსი პრუდონის წინააღმდეგ, — ახლა კი ის აღარ არის! [129] დღემდე 20 წლის განმავლობაში მუშების პოლიტიკური განათლება სხვა რაიმე გზით არ მიმდინარეობდა, თუ არ ბრძოლით «ეკონომიზმის» ბურჟუაზიული მიმდინარეობისა და ამგვარივე მიმართულების უფრო გვიანდელი გამოვლინებების წინააღმდეგ, — ახლა კი, ბრძოლის მავნებლობის შესახებ გამოთქმული ორიოდე «ანბანური» ჭეშმარიტების შემდეგ, რაც პლეხანოვისა და ტროცკის მიერაა შემოთავაზებული, ისტორიის მიმდინარეობა შეწყდება, გაქრებიან ლიკვიდატორობის მასობრივი, ბურჟუაზიის ხელშეწყობის გამო, ფესვები, გაქრება მასობრივი «პრავდიზმი» (რომელიც მასობრივი გახდა მხოლოდ და მხოლოდ მუშების «დაბნეულობის» გამო!) და დამყარდება რაღაც «ნამდვილი» რამ... სასაცილოდ მსჯელობენ პლეხანოვი და ტროცკი!

მუშების ნამდვილი პოლიტიკური განათლება შეიძლება მიდიოდეს მხოლოდ ერთი გზით, — ესაა პროლეტარულ გავლენათა, მისწრაფებათა, მიმართულებათა მტკიცე, თანამიმდევრული, ბოლომდე მიყვანილი ბრძოლა ბურჟუაზიულთა

წინააღმდეგ. და ლიკვიდატორობა რომ (მსგავსად 1895 — 1902 წლების ეკონომიზმისა) პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებაა, ამის უარყოფას ტროცკიც კ ი ვერ ბედავს, ხოლო პლეხანოვი შორეულ-შორეულ წარსულში, მთელი 1 ½ — 2 ½ წლის წინათ, თ ვ ი თ ო ნ იცავდა პარტიის იმ გადაწყვეტილებას, რომელმაც ეს ჭეშმარიტება დაადგინა.

მაგრამ მუშებზე ბურჟუაზიული გავლენა არასოდეს და არსად მსოფლიოში არ გამოიხატებოდა მარტო იდეური გავლენით. როდესაც ბურჟუაზიის იდეური გავლენა მუშებზე კლებულობს, ირყევა, სუსტდება, ბურჟუაზია ყ ვ ე ლ გ ა ნ და ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მიმართავდა და კვლავაც მიმართავს ყოვლად უკანასკნელ სიცრუესა და ცილისწამებას. მარტოვი და დანი სწორედ მაშინ, როდესაც ისინი ცდილობდნენ ორგანიზებულ მარქსისტთა უმრავლესობის ნება-სურვილის ჩაშლას, სწორედ მაშინ, როდესაც იდეური ბრძოლის იარაღი აკლდათ, მუდამ ხელს ჰკიდებდნენ ინსინუაციებისა და ცილისწამების იარაღს.

ოღონდ დღემდე ამას ისინი სჩადიოდნენ ემიგრანტულ ვითარებაში, «მსმენელთა» შედარებით ვიწრო წრეების წინაშე, და ბევრი რამ მათ გაუდიოდათ ხოლმე. ახლა ისინი გამოვიდნენ ათიათასობით რუსი მუშების წინაშე—და ერთბაშად ნაცარში ჩაუვარდათ კოვზი. ემიგრანტული ჭორისა და ცილისწამების «ნომერი» ვერ გავიდა. მუშები პოლიტიკურად უკვე იმდენად შეგნებულნი აღმოჩნდნენ, რომ მყისვე დაინახეს მარტოვისა და დანის გამოსვლათა არაგულწრფელობა, არაკეთილსინდისიერება ამ გამოსვლათა ხ ა ს ი ა თ ი ს მიხ ე დ ვ ი თ და აშკარად, მთელი რუსეთის წინაშე, დაგმეს ისინი, როგორც ცილისმწამებელნი.

რუსეთის მოწინავე მუშებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს წინ თავიანთი პოლიტიკური განათლების გზაზე, — ხ ე ლ ი დ ა ნ გ ა ა გ დ ე ბ ი ნ ე ს ცილისწამების იარაღი ერთ ბურჟუაზიულ ჯგუფს (ლიკვიდატორებს).

ვერც ლიკვიდატორთა ბელადების, პლეხანოვისა და ტროცკის ბურჟუაზიული კავშირი ნაროდნიკებთან, — ვერც ლიბერალური პრესის ცდები — «პატიოსან» ადამიანთა ამოცანად გამოაცხადონ მუშების გაერთიანება მუშათა პარტიის ლიკვიდატორებთან, — ვერც მარტოვისა და დანის ცილისმწამებლური კამპანია ვერ შეაჩერებენ «პრავდიზმის» იდეების, პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის გარშემო პროლეტარული დარაზმულობის ზრდასა და განვითარებას.

«პროსვეშჩენიე» № 6, 1914 წ. ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

«ვპერიოდელებისა» და «ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ

პეტერბურგელი ლიკვიდატორების გაზეთში ა. ბოგდანოვი გამოვიდა «პრავდისა» და «პრავდიზმის» წინააღმდეგ მიმართული მეტად მკაცრი ბრალდებებით. ახლა იმ ტროცკის ჟურნალში, გუშინ რომ ლიკვიდატორების სრული მეგობარი იყო, დღეს კი სანახევროდ ჩამოშორდა მათ, დაბეჭდილია «ვპერიოდის» იდეური და მარქსისტული ჯგუფის პარიზისა და ქენევის წრის წერილი (№ 4, გვ. 56).

ამ პარიზ-ქენევის ჯგუფის დასაცავად, რომელიც 1909 წლიდან, ე. ი. დაახლოებით 5 წელია არსებობს, რუსეთში გამოვიდა მხოლოდ ერთი ჯგუფი კავკასიაში. ამის გამო, იქნებ, არც კი ღირდა დროს დაკარგვა დამატებითს განმარტებებზე იმის შემდეგ, რაც უკვე მოცემული იყო «პუტ პრავდი»-ში? *

მაგრამ ლიკვიდატორებისა და მათი გუშინდელი მეგობრის, ტროცკის მიერ «ვპერიოდელების» დაყენებით დაცვა გვაიძულებს ერთხელ კიდევ ვუპასუხოთ ამ უკანასკნელთ, მით უმეტეს, რომ ლიკვიდატორების, ტროცკისა და ვპერიოდელების კვლავ და კვლავ გამოსახული ფაქტიური კავშირი საშუალებას იძლევა განვუმარტოთ რუსეთის მუშებს, თუ როგორია ამ კავშირის პრინციპული და პოლიტიკური მნიშვნელობა.

«ვპერიოდის» ჯგუფი ბოლშევიკებს გამოეთიშა საზღვარგარეთ 1909 წელს. ამ წლის დამლევს მან გამოუშვა ნაბეჭდი ბროშურა თავისი «პლატფორმის» გადმოცემით, სახელწოდებით «თანამედროვე მდგომარეობა და პარტიის ამოცანები».

«პლატფორმის შემუშავებაში, — ვკითხულობთ ამ ბროშურის 32-ე გვერდზე, — მონაწილეობას იღებდა პარტიის 15 წევრი, 7 მუშა და 8 ინტელიგენტი. პლატფორმის უმეტესი ნაწილი ერთხმად არის მიღებული. მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს საკითხზე თავი შეიკავა სამმა (ორმა «ოტზოვისტმა» და ერთმა «ანტიბოიკოტისტმა»)».

პლატფორმა (გვ. 17 და სხვ.) იცავდა «პროლეტარულ ფილოსოფიას».

«ვპერიოდელების» გვარებიდან, რომლებიც მათ თვითონ დაასახელეს პრესაში, აღვნიშნავთ: ნ. მაქსიმოვს, ვოინოვს, ალექსინსკის, ლუნაჩარსკის, ლიადოვს, სტ. ა. ვოლსკის, დომოვს, ა. ბოგდანოვს [130].

რა მოუვიდათ ამ «ვპერიოდელებს»?

ნ. მაქსიმოვი «ვპერიოდის» ჯგუფს ჩამოშორდა.

ვოინოვი და ალექსინსკი დარჩნენ იქ, მაგრამ გაითიშნენ და ახლა «ვპერიოდის» ორ სხვადასხვა ჯგუფს ეკუთვნიან, რის შესახებაც ოფიციალურად არის გამოცხადებული პარიზში.

ა. ლუნაჩარსკი დაშორდა ალექსინსკის.

ლიადოვიც, როგორც ჩანს, ჩამოსცილებია; მის პოზიციაზე «ვპერიოდის» ახალ გათიშვაში არაფერი ვიცით.

სტ. ა. ვოლსკი მემარცხენე ნაროდნიკებთან გადასულა, თუ ვიმსჯელებთ ამ უკანასკნელთა ორგანოებში მისი სისტემატური თანამშრომლობის მიხედვით (იხ. «ზავეტი»).

დომოვმა კრებულში «ვპერიოდ» № 3 (1911 წ. მაისი) მოათავსა განცხადება, რომ «ის ამიერიდან არავითარ მონაწილეობას აღარ იღებს «ვპერიოდის» ჯგუფის გამოცემებში» (გვ. 78).

ა. ბოგდანოვმა პრესაში განაცხადა. «ვპერიოდის» ჯგუფს ჩამოვშორდიო.

ასეთია ფაქტები.

ახლა კი ამ ფაქტებს შეადარეთ ტროცკის მიერ დაბეჭდილი განცხადება პარიზის და ჟენევის «ვპერიოდელებისა»:

«სინამდვილეს არ შეეფერება «პუტ პრავდის» მტკიცება, თითქოს «ვპერიოდის» ჯგუფი თავისი არსებობის დასაწყისიდანვე შეკოწიწებული იყო სხვადასხვაგვარი ანტიმარქსისტული ელემენტებისაგან, რომლებიც მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებისთანავე დაშალნენ».

აქედან მკითხველი ხედავს, რომ ტროცკი, რომელიც ჩინებულად იცნობს ყველა აღნიშნულ სახელებს და მთელ ისტორიას «ვპერიოდის» ჯგუფისას, რომლისთვისაც მას არა ერთხელ გაუწევია დახმარება, ბეჭდავს «ვპერიოდელების» აღმაშფოთებელ, აშკარა სიცრუეს და რომ «პუტ პრავდიმ» ხალასი ჭეშმარიტება თქვა.

მოგაგონებთ კიდევ ასეთ ფაქტს: «სოვრემენნი მირში», მგონი, 1910 თუ 1911 წლისაში, მოთავსებული იყო გ. ა. ალექსინსკის რეცენზია ა. ა. ბოგდანოვის თხზულებაზე, ამასთან უკანასკნელს ავტორი ახასიათებდა, როგორც «ვაჟბატონს», რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს მარქსიზმთან.

მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ ვპერიოდელები მართლაც სხვადასხვაგვარი ანტიმარქსისტული ელემენტებისაგან იყვნენ შეკოწიწებულნი. ასეთი ელემენტი, იდეურ მიმდინარეობათა აზრით, ორი იყო: «მახიზმი» და «ოტზოვიზმი», რაც, სხვათა შორის, უკვე მოყვანილი ციტატებიდან ჩანს.

«მახიზმი» მახისა და ავენარიუსის ის ფილოსოფიაა, ბოგდანოვის შესწორებებით, რომელსაც იცავდნენ ეს უკანასკნელი, ლუნაჩარსკი, ვოლსკი და რომელიც «ვპერიოდის» პლატფორმაში ი მ ა ლ ე ბ ა «პროლეტარული ფილოსოფიის» ფსევდონიმით. სინამდვილეში ეს ფილოსოფია ფილოსოფიური იდეალიზმის, ე. ი. რელიგიის დახვეწილი დაცვის ნაირსახეობაა, და ლუნაჩარსკი შემთხვევით კი არ დაქანებულა ამ ფილოსოფიიდან მეცნიერული სოციალიზმის რელიგიასთან შეერთების ქადაგებამდე. ა. ბოგდანოვი მთელ რიგ «ახალ» წიგნებში დღესაც იცავს ამ უაღრესად ანტიმარქსისტულ და

უაღრესად რეაქციულ ფილოსოფიას, რომლის წინააღმდეგაც გადაჭრით იბრძოდნენ მენშევიკი გ. ვ. პლეხანოვიც და ბოლშევიკი ვ. ილინიც.

ჩვენ ვეკითხებით ყველას და თვითეულს, პატიოსნად იქცევიან თუ არა ლიკვიდატორები, ა. ბოგდანოვი, ტროცკი და პარიზ-ჟენევის ვპერიოდელები, როცა ბეჭდავენ განცხადებებს «ვპერიოდისას» და «ვპერიოდის» შესახებ, ამავე დროს კი რუსეთის მუშებს უ მ ა ლ ა ვ ე ნ:

1) რომ «ვპერიოდის» ჯგუფმა თვითონ შეიტანა თავის პლატფორმაში «პროლეტარული ფილოსოფია», ესე იგი «მახიზმი»;

2) რომ სხვადასხვა ფრაქციის მარქსისტებს შორის ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა წარმოებდა «მახიზმის», როგორც უაღრესად რეაქციული ფილოსოფიის, წინააღმდეგ;

3) რომ თავგამოდებულმა ვპერიოდელმა ალექსინსკიმაც კი ჯერ ხელი მოაწერა პლატფორმას მახისტებთან ერთად, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ იძულებული იყო სასტიკად გაელაშქრნა მახიზმის წინააღმდეგ.

გადავიდეთ ოტზოვიზმზე.

ზემოთ დავინახეთ, რომ «ოტზოვისტები» მონაწილეობას იღებდნენ «ვპერიოდის» ჯგუფში. ამ ჯგუფის პლატფორმა, როგორც საზღვარგარეთულ პრესაში იყო აღნიშნული მის გამოქვეყნებისთანავე, თვითონ შეიცავს დაფარულ ოტზოვიზმს, დაუშვებელ დათმობებს მისდამი, მაგ., მუხლში d) პლატფორმის მე-16 გვერდზე, სადაც ლაპარაკია, რომ (განსაზღვრულ ღრომდე)

«მუშათა კლასის ბრძოლის ყველა ნახევრად-ლეგალურ და ლეგალურ საშუალებასა და გზას, მათ შორის აგრეთვე სახ. სათათბიროში მონაწილეობას, არ შეიძლება ჰქონდეს დამოუკიდებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა».

ეს იგივე «ოტზოვიზმია», ოღონდ დაფარული, ბუნდოვანი, არეული. პარტიული, ე. ი. ლიკვიდატორობისადმი მტრულად განწყობილი, ბოლშევიკებიც და პარტიული მენშევიკებიც მუდმივ განმარტავდნენ, და ბევრჯერაც, რომ ს.-დ-სათვის ამ-

გვარი პლატფორმა დაუშვებელია, რომ ესაა «ოტზოვიზმის» დაცვა, დიდად შემცდარი და დიდად საზიანო.

ოტზოვისტები III სათათბიროში მონაწილეობის წინააღმდეგნი იყვნენ, და მოვლენებმა ცხადად გვიჩვენეს, რომ ისინი ცდებოდნენ, რომ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მათს თვალსაზრისს ანარქიზმისაკენ მივყავდით.

ჩვენს მიერ დახასიათებული «ოტზოვიზმის» ფარული და შესუსტებული დაცვა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში ვერ მოგვცემდა იმ ხაზის გატარებას, რაც ძლევამოსილად გაატარა «პრავდამ», და რამაც პრავდისტებს გამარჯვება არგუნა პარტიის დამანგრეველებზე, ლიკვიდატორებზე, ლეგალური და უაღრესად ლეგალური მუშათა ორგანიზაციების უდიდეს უმრავლესობაში.

აი ამიტომ, როცა «ვპერიოდელები» დღემდე ლაპარაკობენ «შეუკვეცელ-მემარცხენე მარქსიზმზე», ჩვენ ვალდებულნი ვართ სიტყვა ავიღოთ და გავაფრთხილოთ მუშები, ვალდებული ვართ განვაცხადოთ, რომ ამ მყვირალა სიტყვებში გახვეულია ანტიმარქსისტული, მარქსიზმის-საწინააღმდეგო მოძღვრება, რომელსაც უდიდესი ზიანი მოაქვს მუშათა მოძრაობისათვის და რომელიც სრულიად შეურიგებელია მასთან.

«შეუკვეცელ-მემარცხენე მარქსიზმის» ეს, ვპერიოდული, სახეობა არის ბოლშევიზმის კარიკატურა, როგორც უკვე დიდი ხანია, 5 წელზე მეტია, თქვეს და ცხადყვეს ბოლშევიკებმა; ნამდვილად, თუნდაც ამას ვერც კი გრძნობდნენ ვპერიოდელები, ჩვენ აქ გვაქვს მარქსიზმიდან ანარქიზმისაკენ გადახვევა.

1910 წლის იანვრის პლენუმმა, — იმ პლენუმმა, რომელსაც ტროცკის ჟურნალში ვპერიოდელები იმოწმებენ, როცა ლაპარაკობენ, რომ ამ პლენუმმა დაამტკიცა მათი ჯგუფი, — პლენუმმა ე რ თ ხ მ ა დ დ ა გ მ ო ა მ გ ვ ა რ ი გ ა დ ა ხ ვ ე ვ ა, იმდენადვე მავნე, როგორიც ლიკვიდატორული გადახვევაა. მთელი 1910 წლის განმავლობაში პლენუმის მიერ მის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად შექმნილი ხელმძღვანელი დაწესებულებანი, მაგ., ცენტრალური ორგა-

ნოს რედაქცია, მრავალგზის და საფუძვლიანად ცხადყოფდა თავის გამოცემათა ფურცლებზე, რომ ვპერიოდელებმა, ლიკვიდატორების მსგავსად, დაარღვიეს პლენუმის გადაწყვეტილებანი; — რომ ისინი, ლიკვიდატორების მსგავსად, ნამდვილად პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის გამტარებლები არიან.

თუ ახლა ვპერიოდელები ტროცკის ჟურნალში «პირველ და მეორე ვპერიოდულ სკოლას» იმოწმებენ, ჩვენ ვალდებული ვართ მოვაგონოთ ფაქტები: პირველი სკოლა მუშების ნახევარმა მიატოვა, რაკი გამოცდილებით დარწმუნდა ამ სკოლის ანტიმარქსისტულ და დეზორგანიზატორულ მნიშვნელობაში. მეორე სკოლის შესახებ ცენტრალური ორგანო, რომელიც პლენუმის გადაწყვეტილებებს ახორციელებს, სპეციალურად აფრთხილებდა მუშებს, როცა განუმარტავდა ამ სკოლის სწორედ ახლა აღნიშნულ მნიშვნელობას.

მერე ვინ ეხმარებოდა ამ მეორე სკოლას?

მხოლოდ ლიკვიდატორები და ტროცკი, წინააღმდეგ პარტიის ოფიციალური ორგანოს ოფიციალური გაფრთხილებისა.

ამ მეორე სკოლაში, სავსებით სწორედ ისევე, როგორც ახლა პეტერბურგის ლიკვიდატორული გაზეთისა და ტროცკის «ბორბას» ფურცლებზე, ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ ფაქტიურ ბლოკს, ლიკვიდატორების, ვპერიოდელებისა და ტროცკის პაწაწა ჯგუფის კავშირს.

ეს არის კავშირი ანტიმარქსისტული, დეზორგანიზატორული ჯგუფებისა, რომლებსაც სძაგთ «პრავდის» მარქსიზმი და დისციპლინა, ამხანაგური — პარტიული დისციპლინა, «პრავდის» გარშემო რომ აერთიანებს რუსეთის შეგნებული მუშების უდიდეს უმრავლესობას.

ამ კავშირს, როგორც თვით «ვპერიოდის» ჯგუფსაც და მთელ «ვპერიოდელობასაც», ჩვენ არ შეგვიძლია არ ვუწოდოთ «ავანტიურიზმი» იმ აზრით, რომ «ვპერიოდელობისაგან» და ტროცკისთან და ლიკვიდატორებთან მისი «ბლოკისაგან» სხვა არაფერი შეიძლება გამოვიდეს, გარდა უპრინციპობისა,

ანტიმარქსისტული იდეების წახალისებისა (მათ პირდაპირ დაუცავად) და მუშათა მოძრაობის დეზორგანიზაციისა.

მაგრამ, თუმცა ჩვენ «ვპერიოდისა» და ვპერიოდელობის პრინციპული და შეურიგებელი მტრები ვართ, ჩვენ მაინც არასოდეს არ დაგვიხურავს და არც დავუხურავთ კარს «ვპერიოდელებს», რომლებიც სცილდებიან (მსგავსად «ვპერიოდის» დამაარსებელთა უმრავლესობისა) ამ ჯგუფს და განზრახული აქვთ დახმარება გაუწიონ «პრავდიზმის» მიერ შეკავშირებულს და გაერთიანებულს რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობას. არავითარი დათმობა «მახიზმის» (რომელზეც, სამწუხაროდ, საბოლოოდ «შესდგა» ბოგდანოვი) თუ «ვპერიოდელობის» დაცვისადმი — და არავითარი დაბრკოლება იმ ამხანაგებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ხედავენ «ვპერიოდის» შეცდომებს, «ვპერიოდს» შ ო რ დ ე ბ ი ა ნ და პარტიას უ ბ რ უ ნ დ ე ბ ი ა ნ.

«ლიტერატორების — ილინის, ზინოვიევისა და კამენევის» წინააღმდეგ მიმართული იმ თავდასხმებისა და ლანძღვა-გინების გამო, რასაც ლიკვიდატორების გაზეთში ბოგდანოვი შესდგომია, ხოლო ტროცკის ჟურნალში — ვპერიოდელები, — მოკლედ შევნიშნავთ: აღნიშნული ლიტერატორები ყოველთვის ახორციელებდნენ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ებ ს შეკავშირებული მუშა-მარქსისტებისას, რომლებმაც «პრავდიზმის» გარშემო თავიანთი დარაზმვით თუ თავიანთი არჩევნებით დედაქალაქებისა და სრულიად რუსეთის სადაზღვევო დაწესებულებაში აშკარად დაუმტკიცეს მთელ ქვეყანას, რომ ისინი რუსეთის ორგანიზებული და შეგნებული მუშების უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ.

როცა აღნიშნული ლიტერატორები ამ გადაწყვეტილებათა თანახმად და მათ შესაბამისად მოქმედებენ, მათ ყველა საფუძველი აქვთ თავიანთი მოქმედება მუშა-მარქსისტების უმრავლესობის ნება-სურვილთან შეთანხმებულად მიიჩნიონ, და, რა თქმა უნდა, ვპერიოდელების, ტროცკისა და ლიკვიდატორების ლანძღვითი გამოსვლები როდი გადაახვევინებენ მათ თავიანთი მოღვაწეობისაგან.

«ვპერიოდის» ჯგუფის, მისი დაშლის, ტროცკისთან და ლიკვიდატორებთან მისი მუდმივი ბლოკების ისტორია ერთგვარ ზოგად ინტერესს წარმოადგენს მუშებისათვის და ერთგვარ საზოგადოებრივ ინტერესსაც კი, ვინაიდან ჩვენ აქ ვხედავთ რღვევისა და დაშლის ეპოქაში ინტელიგენტთა განსაკუთრებული პაწაწა ჯგუფების შექმნის ტიპიურ მოვლენას. ყველას შეუძლია შექმნას განსაკუთრებული იდეური ჯგუფი და პროლეტარიატს უჩვენოს განსაკუთრებული გზა, — მაგრამ ახალი ჯგუფის თვითეულ შემდგენელს «ბევრი მოეთხოვება». შეცდომები სიყალბედ არავის ჩაეთვლება, თქმა არ უნდა, მაგრამ ხუთ წლისაზე მეტი ხნის მოძრაობის როგორც თეორიით, ისე პრაქტიკით განმარტებული შეცდომების დაჟინებით დაცვა — ეს ნიშნავს პირდაპირ საომარ გალაშქრებას მარქსიზმის წინააღმდეგ, მუშების მჭიდროდ შეკავშირებული და გაერთიანებული უმრავლესობის წინაალმდეგ.

ლიკვიდატორული და ვპერიოდული მერყეობა თუ გადახვევა შემთხვევითობა კი არ არის, ერამედ დაშლისა და რღვევის ეპოქის წარმონაშობია. მუშა-მარქსისტების კლასობრივი ბრძოლის გზის ორივე მხარეზე ჩვენ ვხედავთ ამ ბურჟუაზიულ გადახვევებს, რაც გაფრთხილებას წარმოადგენს ყოველი შეგნებული მუშისათვის.

P. S. * წინა სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როდესაც მივიღეთ ტროცკის «ბორბას» ნომერი, სადაც დაბეჭდილია ««ვპერიოდის» ყენევის, პარიზისა და თბილისის მარქსისტული წრეებისა და ს.-პეტერბურგელი თანამოაზრეების» ახალი წერილი.

წერილის ხელმოწერიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ვპერიოდელებს, რომლებიც «თავიანთი» პლატფორმით გამოვიდნენ 1909 წლის მიწურულში, 4½ წლის მანძილზე რუსეთში შეუძენიათ ერთი «თბილისის წრე» და, ალბათ, ორი «პეტერბურგელი თანამოაზრე» (ვინაიდან სამნი უკვე, უეჭველად, პეტერბურგის ან დედაქალაქის ან სრულიად რუსეთის

* — Postscriptum — მინაწერი. რედ.

მარქსისტულ იდეურ წრეს შეადგენდნენ!). იმ ადამიანებისათვის, რომლებიც რამდენადმე მაინც სერიოზულად მსჯელობენ პოლიტიკაზე, «ვპერიოდის» ოთხი წლის «მოღვაწეობის» მარტო ეს ერთი შედეგი სავსებით საკმარისია ამ ჯგუფის შესაფასებლად. დაე თავი შეიქციოს ტროცკიმ «თ ა ვ ი ს ი» უხეირო ჟურნალის ფურცლებზე ამ ჯგუფთან გაერთიანებით, დაე ვპერიოდელებმა და ტროცკისტებმა ითამაშონ და თავი წარმოიდგინონ ერთმანეთთან შეთანხმებულ «სახელმწიფოებად» და «მიმდინარეობებად»! ეს მხოლოდ ბავშვური თავშესაქცევია იმ ადამიანებისა, რომლებსაც ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით სურთ დაფარონ თავიანთი პაწაწა «ჯგუფების» საშინელი სიცარიელე და უშინაარსობა.

სასაცილოა, როცა კითხულობ, თუ როგორ გაჰყვირიან ეს პაწაწა ჯგუფები ერთიანობასა და გათიშვაზე! პატივცემულნო, გაიგეთ, რომ ლაპარაკი შეიძლება მუშათა მასობრივი მოძრაობის ერთიანობაზე, მუშათა პარტიის ერთიანობაზე, ხოლო იმ ინტელიგენტურ წრეებთან ერთიანობაზე, რომლებსაც 4 წლის განმავლობაში ვერ მოუპოვებიათ თანაგრძნობა რუსეთის მუშებში, წადით და ილაყბეთ ტროცკისთან! ამაზე დავაც არა ღირს.

«პროსვეშჩენიე» № 6, 1914 წ. ივნისი
ხელმოწერა: ვ. ი ლ ი ნ ი

იბეჭდება
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს»
ტექსტის მიხედვით

შენიშვნა «რედაქციისაგან» ოქსენ ლოლას «უკრაინელი მუშებისადმი მიმართვისათვის» [131]

სიამოვნებით ვბეჭდავთ ჩვენი ამხანაგის, უკრაინელი მარქსისტის, მოწოდებას უკრაინელი შეგნებული მუშებისადმი. გაერთიანება განურჩევლად ეროვნებისა. ეს მოწოდება განსაკუთრებით საარსებოა ამჟამად რუსეთში. მუშების უხეირო მრჩეველნი, «ძვინის» წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტები ტყავიდან ძვრებიან იმის ცდაში, რომ უკრაინელი ს.-დ. მუშები დააშორონ ველიკოროს მუშებს. «ძვინი» ნაციონალისტი მეშჩანების საქმეს აკეთებს.

ჩვენ კი განვაგრძობთ ინტერნაციონალური მუშების საქმის კეთებას: ყველა ერის მუშების შეკავშირებას, შეერთებას, შედუღებას ერთიანი შეთანხმებული მუშაობისათვის.

გაუმარჯოს უკრაინელი, ველიკოროსი და რუსეთის ყველა სხვა ერის მუშების მჭიდრო ძმურ კავშირს!

«ტრუდოვაია პრავდა» № 28,
1914 წ. 29 ივნისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება და საინსტრუქციო მითითებანი ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას ბრიუსელის თათბირზე [132]

დაწერილია 1914 წ. 23 — 30 ივნისს
(6 — 13 ივლისს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-2 — 3 გამოცემებში, ტომი XVII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ვიწყებ რა მოხსენებას რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, უწინარეს ყოვლისა ვსარგებლობ შემთხვევით — შევასრულო სასიამოვნო მოვალეობა და ამ დაწესებულების სახელით ღრმა მადლობა გამოვუცხადო ამხანაგ ვანდერველდს, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ჩვენი ქვეყნის ნახვისა და პეტერბურგის მუშათა მოძრაობის მოღვაწეებთან პირადად გაცნობისათვის. ჩვენ მით უფრო მადლობელი ვართ ამხანაგ ვანდერველდისა, რომ მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ინტერნაციონალის თვალსაჩინო წევრების უშუალოდ გაცნობას რუსეთის შეგნებულ და ხელმძღვანელ მუშებთან, აგრეთვე საზღვარგარეთულ სოციალისტურ პრესაში (მხედველობაში გვაქვს «Le Peuple» * და «L'Humanité» **) ობიექტური მონაცემების გამოქვეყნებას რუსეთის მუშათა მოძრაობის შესახებ, მონაცემების, რომლებიც ადგილობრივ არის შეკრებილი სამი მიმართულების გაზეთების რედაქციებისაგან: «პრავდისტულის» (ე. ი. ჩვენი პარტიის), «ლიკვიდატორულის» და «ესერულისა».

ჩემს მოხსენებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთიანობის საკითხზე მე ავაგებ ოთხი შემდეგი ნაწილისაგან:

---

* — «ხალხი». რ ე დ.

** — «კაცობრიობა». რ ე დ.

1) ჯერ გადმოვცემ ს.-დ. შორის არსებულ უმთავრეს უთანხმოებათა დ ე დ ა ა რ ს ს; 2) შემდეგ გადმოვცემ ცნობებს, რომლებიც ეხება რუსეთის მუშათა მასობრივ მოძრაობას და გვირკვევს ა მ მ ო ძ რ ა ო ბ ი ს გ ა მ ო ც დ ი ლ ებ ი თ ჩვენი პარტიული ხაზის შ ე მ ო წ მ ე ბ ა ს; 3) გადმოვცემ, თუ როგორ შემოწმდა იმავე გამოცდილებით ჩვენი მოწინააღმდეგეების მუშაობა, ხაზი და პოზიცია. ბოლოს, 4), მე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ჩამოვაყალიბებ კონკრეტულ, პოზიტიურ **პრაქტიკულ** წინადადებებს ერთიანობის შესახებ.

I

არსებობს ორი ძირითადი შეხედულება იმაზე, რაც ამჟამად ხდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში.

ერთი შეხედულება, გადმოცემული როზა ლუქსემბურგის მიერ მის შარშანდელ (1913 წ. დეკემბერი) წინადადებაში საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსადმი, შეხედულება, რასაც იზიარებენ როგორც ლიკვიდატორები, ისე მათი დამცველი ჯგუფები, შემდეგში მდგომარეობს: რუსეთში გამეფებულია ფრაქციული ბრძოლის «ქაოსი», იმ უამრავი ფრაქციების ბრძოლისა, რომელთა შორის უცუდესი, «ლენინის» ფრაქცია, ყველაზე მეტად აღვივებს გათიშვასო. სინამდვილეში უთანხმოებანი სრულებით არ გამორიცხავენ ერთად მუშაობის შესაძლებლობას. ერთიანობის მიღწევა შესაძლებელია ყველა მიმდინარეობისა და ფრაქციის შეთანხმების თუ კომპრომისის გზითო.

მეორე შეხედულება, რასაც ჩვენ ვიზიარებთ, იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთში «ფრაქციული ბრძოლის ქაოსის» მსგავსი რამ არაფერი ხდება. იქ არის მ ხ ო ლ ო დ ბრძოლა ლიკვიდატორებთან, და მ ხ ო ლ ო დ ამ ბრძოლაში ყალიბდება ნ ა მ დ ვ ი ლ ი მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც უკვე ახლავე აერთიანებს რუსეთის შეგნებული მუშების უ დ ი დ ე ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს, მათ 4/5-ს. არალეგალური პარტია, რომელშიც გაერთიანებულია

რუსეთის მუშების უმრავლესობა, წარმოდგენილია 1912 წ. იანვრის, 1913 წ. თებერვლისა და 1913 წლის ზაფხულის კონფერენციებითა და თათბირებით. ლეგალურ ორგანოს წარმოადგენს გაზეთი «პრავდა» («Vérité»); აქედანაა პრავდისტების სახელწოდება. ეს შეხედულება, სხვათა შორის, გამოხატა იმ პეტერბურგელმა მუშამ, რომელიც ს.-პეტერბურგში ამბ. ვანდერველდის მონაწილეობით გამართულ ბანკეტზე ამბობდა: მუშები სპბ. ფაბრიკებსა და ქარხნებში გაერთიანებული არიან და მუშათა ამ ერთიანობის გარეშე მხოლოდ «უარმიო გენერალური შტაბები» დგანანო.

ჩემი მოხსენების მეორე ნაწილში მე გადავალ იმ ობიექტური ცნობების გადმოცემაზე, რომლებიც ჩვენი შეხედულების სისწორეს ამტკიცებენ. ახლა კი შევჩერდები ლიკვიდატორობის დედაარსის საკითხზე.

პარტიიდან ლიკვიდატორთა ჯგუფის ფორმალური გარიცხვა მოხდა რსდმპ 1912 წლის იანვრის კონფერენციაზე. ამავე დროს კი, ლიკვიდატორობის საკითხი ჩვენმა პარტიამ გაცილებით უფრო ადრე დააყენა. უკვე 1908 წლის დეკემბერში შემდგარმა რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციამ მიიღო ზუსტი, ფორმალური რეზოლუცია, რომელიც სავალდებულოა მთელი პარტიისათვის და რომელიც უეჭველად გმობს ლიკვიდატორობას. ეს რეზოლუცია შემდეგნაირად განსაზღვრავს ლიკვიდატორობას:

(ლიკვიდატორობა არის) «პარტიული ინტელიგენციის ერთი ნაწილის ცდა — მოახდინოს რსდმპ არსებული ორგანიზაციის ლიკვიდაცია და შეცვალოს იგი უსახური გაერთიანებით რადაც უნდა დაჯდეს ლეგალობის ფარგლებში, თუნდაც ამ უკანასკნელის მისაღწევად საჭირო გახდეს პარტიის პროგრამასა, ტაქტიკასა და ტრადიციებზე აშკარად ხელის აღება».

აქედან ჩანს, რომ უკვე 1908 წელს ლიკვიდატორობა ფორმალურად გამოცხადებული და აღიარებულია ინტელიგენტურ მიმდინარეობად და რომ მის დედაარსს

შეადგენს არალეგალურ პარტიაზე უ ა რ ი ს თ ქ მ ა, მისი შ ე ც ვ ლ ა ლეგალური პარტიით ანდა ამ შეცვლის ქადაგება.

ცენტრალური კომიტეტის პლენარულმა კრებამ 1910 წლის იანვარში ერთხელ კიდევ **ერთხმად** დაგმო ლიკვიდატორობა, როგორც «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ზ ე ბ უ რ ჟ უ ა-ზ ი ი ს **გავლენის გამოხატულება»**.

აქედან ჩანს, რარიგ მცდარია ის აზრი, თითქოს ჩვენი უთანხმოება ლიკვიდატორებთან უფრო ღრმა კი არა, არამედ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე უთანხმოება დასავლეთ ევროპის ეგრეთწოდებული რადიკალებისა და ზომიერებისა. ვერც ერთს, პირწმინდად ვერც ერთს დასავლეთ-ევროპულ პარტიაში ვერ იპოვით ვერც ერთ საერთო-პარტიულ გადაწყვეტილებას იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებსაც პარტიის **დაშლ**ისა და მისი ახლით **შეცვლის** სურვილი ჰქონდეთ!!

არსად დასავლეთ ევროპაში არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ის საკითხი, დასაშვებია თუ არა პარტიის წევრის სახელწოდებით სარგებლობდე დ ა ა მ ა ვ ე დ რ ო ს ჰქადაგებდე, რომ საჭიროა ამ პარტიის დაშლა, რომ ის უვარგისია და ზედმეტი, რომ იგი უნდა შეიცვალოს სხვა პარტიით. დასავლეთ ევროპაში არსად არა დგას საკითხი ისე, როგორც იგი ჩვენში დგას, თვით პარტიის ა რ ს ე ბ ო ბ ი ს, პარტიის ყ ო ფ ნ ი ს შესახებ.

ეს არის უთანხმოება არა ორგანიზაციული, არა იმაზე, **როგორ** ვაშენოთ პარტია, არამედ უთანხმოება პარტიის **ყოფნის** საკითხში. აქ ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე შერიგებაზე, რაიმე შეთანხმებაზე, რაიმე კომპრომისზე.

ჩვენ ვერ შევძლებდით ჩვენი პარტიის აგებას (4/5-ით) და არ შეგვიძლია მისი შემდგომი შენება სხვა გზით, თუ არ გადამწყვეტი ბრძოლით ლიტერატორებთან, რომლებიც ლეგალურ პრესაში იბრძვიან «იატაკქვეშეთის» (ე. ი. არალეგალური პარტიის) წინააღმდეგ, «ბ ო რ ო ტ ე ბ ა დ» აცხადებენ მას, ამართლებენ და აქებენ იქიდან გაქცევას, ქადაგებენ «ღია პარტიას».

ჩვენი პარტია თანამედროვე რუსეთში, სადაც უზომიერესი ლიბერალების პარტიაც კი არაა ლეგალიზებული, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც არალეგალური პარტია. ორიგინალობა, თავისებურება ჩვენი მდგომარეობისა,— რომელიც რამდენადმე მოგვაგონებს გერმანელი სოციალ-დემოკრატების მდგომარეობას განსაკუთრებული კანონის დროს (თუმცა გერმანელებს მაშინაც 100-ჯერ მეტი ლეგალობა ჰქონდათ, ვიდრე რუსეთშია), — ეს თავისებურება აი რაში გამოიხატება. ჩვენი არალეგალური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია შესდგება ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი მუშათა (ხშირად «უჯრედებად» წოდებული) ორგანიზაციებისაგან, რომლებსაც გარს არტყიათ **ლეგალური** მუშათა საზოგადოებების (დამზღვევ სალაროთა, პროფესიულ კავშირთა, საგანმანათლებლო საზოგადოებათა, სასპორტო საზოგადოებათა, სიფხიზლის საზოგადოებათა და სხვ.) ცოტად თუ ბევრად ხშირი ქსელი. დედაქალაქში ლეგალური საზოგადოებები უფრო მეტია, პროვინციაში ხშირად ისინი სულ არ მოიპოვებიან.

არალეგალური ორგანიზაციები ზოგჯერ საკმაოდ ფართოა, ზოგჯერ სულ ვიწროა, «რწმუნებულ პირებამდეც»[133] კი ჩამოდის.

ლეგალურ საზოგადოებათა შემწეობით უზრუნველყოფილია არალეგალურ ორგანიზაციათა ერთგვარი **დაფარვა** და მასებში მუშათა შეკავშირების იდეის ფართო, ლეგალური ქადაგება. მუშათა კლასის ხელმძღვანელ ორგანიზაციათა სრულიად რუსეთის გაერთიანება, ცენტრის (ცენტრალური კომიტეტის) შექმნა, ყველა საკითხზე ზუსტი პარტიული რეზოლუციების გამოტანა — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად არალეგალურია და მოითხოვს ნაცადი, მოწინავე მუშების უდიდეს კონსპირაციასა და ნდობას.

ვინც ლეგალურ პრესაში გამოდის «იატაკქვეშ» მუშაობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ანდა «ღია პარტიის» მომხრედ, მას პირდაპირ **დეზორგანიზაცია შეაქვს** ჩვენს პარტიაში, და ასეთი

ადამიანები ჩვენ არ შეგვიძლია არ ჩავთვალოთ ჩვენი პარტიის **შეურიგებელ მტრებად.**

ბუნებრივია, რომ «იატაკქვეშ» მუშაობის უარყოფა დაკავშირებულია რევოლუციური ტაქტიკის უარყოფასთან, რეფორმიზმის დაცვასთან. რუსეთი ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქას განიცდის. რუსეთში ამჟამად სულ უზომიერესი ბურჟუებიც კი, «კადეტები» და «ოქტიაბრისტები», მეტად უკმაყოფილონი არიან მთავრობით. მაგრამ ყველა ისინი რევოლუციის მტრები არიან, მათ ვძულვართ ჩვენ «დემაგოგიისათვის», მასების კვლავ ბარიკადებზე წაყვანის მისწრაფებისათვის, როგორც ეს 1905 წელს იყო. ყველა ისინი, ბურჟუები, მხოლოდ «რეფორმებს» ქადაგებენ და მასებში ავრცელებენ დიდად გამრყვნელ რწმენას, თითქოს შ ე ს ა ძ ლ ებ ელ ი იყოს რეფორმების შ ე თ ა ვ ს ე ბ ა ახლანდელ მეფის მონარქიასთან.

ჩვენი ტაქტიკა სხვანაირია. ჩვენ ვიყენებთ ყოველ რეფორმას (მაგ., დაზღვევას) და ყოველგვარ ლეგალურ საზოგადოებას. მაგრამ ჩვენ მათ ვიყენებთ იმისათვის, რომ განვავითაროთ მასების რევოლუციური შეგნება და მასების რევოლუციური ბრძოლა. რუსეთში, სადაც დღემდე არ არსებობს პოლიტიკური თავისუფლება, ჩვენთვის ამ სიტყვებს ახლა გაცილებით მეტი უშუალო მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ევროპაში. ჩვენი პარტია წარმართავს **რევოლუციურ გაფიცვებს,** რომლებიც რუსეთში ისე იზრდება, როგორც არსად მსოფლიოში, — მაგალითად, ავიღოთ მარტო ერთი თვე — მაისი. 1912 წლის მაისში ეკონომიურ გაფიცვებში მონაწილეობას იღებდა 64 ათასი, 1914 წელს — 99 ათასი.

პოლიტიკურ გაფიცვებში კი — 1912 წ. — 364 ათასი, 1914 წ. — 647 ათასი. პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის შეერთება იძლევა რევოლუციურ გაფიცვას, რომელიც ამოძრავებს მილიონობით გლეხებს და ზრდის მათ რევოლუციისათვის. ჩვენი პარტია აწარმოებს **რევოლუციური მიტინგებისა** და **ქუჩის რევოლუციური დემონსტრაციების** კამპანიას. ამ მიზნით ჩვენი პარტია ავრცელებს რ ე ვ ო ლ უ-

ციურ პროკლამაციებს და არალეგალურ გაზეთს, პარტიის ცენტრალურ ორგანოს. მასებში პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი ამ მუშაობის იდეურად გაერთიანებას ემსახურება ჩვენი პარტიის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული ლოზუნგები: 1) 8-საათიანი სამუშაო დღე; 2) მემამულეთა მიწების კონფისკაცია და 3) დემოკრატიული რესპუბლიკა. რუსეთის თანამედროვე მდგომარეობისას, სრული უუფლებობისა და თვითნებობის დროს, მეფის მონარქიის მიერ ყველა კანონის დათრგუნვის დროს, **მხოლოდ** ამ ლოზუნგებს შეუძლიათ პარტიის მთელი პროპაგანდისა და აგიტაციის ნამდვილად გაერთიანება და წარმართვა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ნამდვილად მხარისდაჭერის მიმართულებით.

ჩვენ გვეცინება, როცა გვესმის ლიკვიდატორების ლაპარაკი, მაგალითად, რომ ჩვენ «კოალიციის თავისუფლების» წინააღმდეგნი ვართ — ვინაიდან ჩვენ არა მარტო ხაზგასმით აღვნიშნეთ ჩვენი პროგრამის ამ პარაგრაფის მნიშვნელობა 1912 წლის იანვრის კონფერენციის სპეციალურ რეზოლუციაში, არამედ საქმითაც გამოვიყენეთ კოალიციათა (მაგ., დამზღვევ სალაროთა) შეკვეცილი უფლებები ათწილ უფრო წარმატებით, ვიდრე ლიკვიდატორებმა. მაგრამ როდესაც ადამიანები ლეგალურ პრესაში ლაპარაკობენ: მიწების კონფისკაციისა და რესპუბლიკის ლოზუნგები არ შეიძლება მასებში აგიტაციის საგანი გახდესო, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩვენს პარტიასთან ასეთი ადამიანებისა და ლიტერატორთა ასეთი ჯგუფის ერთიანობაზე ლაპარაკიც შეუძლებელია.

ჩემი მოხსენების ამ, პირველ ნაწილში ამოცანად ვისახავ უთანხმოებათა **დედაარსის** გადმოცემას, ამიტომ დავკმაყოფილდები ზემოთქმულით, ამასთან მოგაგონებთ, რომ ჩემი მოხსენების მეოთხე ნაწილში პრაქტიკულ წინადადებათა ტექსტში ზუსტად იქნება ჩამოთვლილი ლიკვიდატორების ყველა გადახვევა პარტიის პროგრამისა და გადაწყვეტილებებისაგან.

მე აქ დეტალურად არ შევეხები ჩვენი არალეგალური პარტიისაგან, რსდმ პარტიისაგან ლიკვიდატორების **ჩამოშორების** ისტორიას. აღვნიშნავ მხოლოდ ამ ისტორიის **სამ** მთავარ პერიოდს.

პერიოდი I: 1908 წლის შემოდგომიდან 1910 წლის იანვრამდე. პარტია ებრძვის ლიკვიდატორობას ზუსტ, ფორმალურ, პარტიულ გადაწყვეტილებათა გზით, გმობს მას.

პერიოდი II: 1910 წლის იანვრიდან 1912 წლის იანვრამდე. ლიკვიდატორები ხ ე ლ ს უ შ ლ ი ა ნ პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღდგენას, ლიკვიდატორები ანგრევენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და **შლიან** მის უკანასკნელ ნაშთს, «ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული **ბიუროს**» ტექნიკურ კომისიას [134]. მაშინ **რუსეთში** არსებული პარტიის კომიტეტები პარტიის აღსადგენად ქმნიან «რუსეთის საორგანიზაციო კომისიას» (1911 წლის შემოდგომა). ის იწვევს 1912 წლის იანვრის კონფერენციას. ეს კონფერენცია აღადგენს პარტიას, ირჩევს ცენტრალურ კომიტეტს, პარტიიდან რიცხავს ლიკვიდატორების ჯგუფს.

პერიოდი III: 1912 წლის იანვრიდან დღემდე. ამ პერიოდის არსი ისაა, რომ რუსეთის შეგნებული მუშები 4/5-ის უმრავლესობით ირაზმებიან სწორედ 1912 წლის იანვრის კონფერენციის გადაწყვეტილებათა და მის მიერ შექმნილ დაწესებულებათა გარშემო.

ახლა გადავდივარ სწორედ ჩემი მოხსენების მეორე ნაწილზე, ჩვენი პარტიის თანამედროვე მდგომარეობისა და ლიკვიდატორების დახასიათებაზე რუსეთის მუშათა მასობრივი მოძრაობის თვალსაზრისით. მე შევეცდები გავაშუქო საკითხი: რამდენად ადასტურებს **მასობრივი მოძრაობის გამოცდილება** ჩვენს პარტიულ თუ ლიკვიდატორულ ხაზს.

II

1912 წლის 22 აპრილიდან ძველი სტილით რუსეთში გამოსვლა იწყო მუშათა ყოველდღიურმა გაზეთმა «პრავდამ», რომელიც შექმნილი იყო პარტიის აღდგენის მ ე ო ხ ე ბ ი თ

1912 წლის იანვრის კონფერენციაზე და ახორციელებს (ხშირად გადაკვრითი თქმებით, ყოველთვის — შეკვეცილად) ამ კონფერენციის გადაწყვეტილებებს. გასაგებია, რომ ჩვენ **ჟრასოდეს არავითარ პრესაში** არ ვლაპარაკობთ არალეგალურ კავშირზე პარტიის 1912 წლის იანვრის არალეგალურ კონფერენციასა და მის მიერ შექმნილ ცენტრალურ კომიტეტსა და ლეგალურ გაზეთ «პრავდას» შორის. 1912 წლის სექტემბრიდან გამოსვლა იწყო მოქიშპე გაზეთმა — ლიკვიდატორების «ლუჩმა» — ამჟამად «ნაშა რაბოჩაია გაზეტამ». შემდეგ, 1912 წლის შემოდგომაზე მოხდა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. 1913 წლიდან რუსეთში დაიწყეს შემოღება ახალი კანონისა დაზღვევის შესახებ, რომელიც აწესებდა მუშათა საავადმყოფო სალაროებს. ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა სასტიკად დევნის ლეგალურ პროფესიულ კავშირებს, მუდმივად ხურავს მათ, ისინი მაინც მუდმივად კვლავ ჩნდებიან.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მუშათა მოძრაობის ყველა ჩამოთვლილი გამოხატულება, — **განსაკუთრებით** ო რ ი ვ ე მიმართულების ყოველდღიური გაზეთები — იძლევიან უამრავ ხელმისაწვდომ, ადვილად შესამოწმებელ, **ობიექტურ** მონაცემს. ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, გადაჭრით განვაცხადოთ პროტესტი ლიკვიდატორებისა და მათი საზღვარგარეთელი დამცველების ჩვეულებრივი ხერხის წინააღმდეგ — გამოვიდნენ დაუსაბუთებელი მტკიცებებით, დარწმუნებებით და დეკლამაციებით, ამავე დროს კი **უგულებელყონ** რუსეთში მასობრივი მუშათა მოძრაობის ობიექტური ფაქტები.

.სწორედ ამ ფაქტებმა განგვიმტკიცეს ჩვენ უეჭველი რწმენა ჩვენი ხაზის სისწორისა.

1912 წლის იანვარში შესდგა რსდმპ კონფერენცია, რომელმაც არალეგალური პარტია აღადგინა. ლიკვიდატორები და საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფები (მათ შორის პლეხანოვი) ლანძღვით შეხვდნენ მას. ხოლო რუსეთის მუშები?

ამის პასუხი IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებმა მოგვცეს.

ეს არჩევნები მოხდა 1912 წლის შემოდგომაზე. თუ III სათათბიროში მუშათა კურიის დეპუტატების **50%** ჩვენი მიმართულებისა იყო (4 დეპუტატი 8-დან), IV სათათბიროში მუშათა კურიის 9 დეპუტატიდან პარტიის მხარეზე იყო 6, ე. ი. **67%**. ეს იმას ამტკიცებს, რომ მუშათა მასა პარტიის მხარეზე დადგა და უარყო ლიკვიდატორობა. თუ ახლა ლიკვიდატორობისაკენ გადახრილ სათათბიროს ექვს წევრს ნამდვილად სურს ერთიანობა სათათბიროს პ ა რ ტ ი უ ლ ფრაქციასთან, რუსეთის ს.-დ. მუშათა ფრაქციასთან, ჩვენ ვალდებული ვართ მივუთითოთ: ერთიანობის პირობა არის იმის აღიარება, რომ დეპუტატები მუშების უმრავლესობის ნებასურვილს ასრულებენ.

შემდეგ. ყოველდღიური გაზეთები მუშათა კლასის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს მეტად მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენენ. გაზეთებში ამის დამადასტურებელი უამრავი მასალა მოიპოვება. მაგალითად, ცნობები **მუშათა ჯგუფების შენატანთა რაოდენობის** შესახებ. ორივე გაზეთი, პრავდისტულიც (ე. ი. პარტიული) და ლიკვიდატორულიც, ბეჭდავს ანგარიშებს მუშათა ჯგუფების ფულად შენატანზე. ეს ანგარიშები წარმოადგენენ მუშათა მასების **დარაზმულობის** ნამდვილი მდგომარეობის საუკეთესო მაჩვენებელს, როგორიც კი წარმოსადგენია რუსეთში, — აშკარა და ლეგალურ მაჩვენებელს.

დასავლეთ ევროპაში, სადაც სოციალისტური პარტიები ლეგალურია, პარტიის წევრთა რიცხვი ყველასათვის ცნობილია და ამ რიცხვს ყოველთვის საფუძვლად იღებენ ორგანიზებული მუშათა მოძრაობის შესახებ ყოველგვარი მსჯელობის დროს.

რუსეთში აშკარა, ლეგალური პარტია არ არის. პარტიის ორგანიზაციები არალეგალურია, ფარული, «იატაკქვეშ» მყოფი, როგორც ჩვენში ამბობენ. მაგრამ ამ ორგანიზაციათა მდგომარეობის **არაპირდაპირს** — და ამასთან უტყუარ —

მაჩვენებელს წარმოადგენს **მუშათა ჯგუფების ფულად შენატანთა რაოდენობა.**

ვინაიდან ეს მონაცემები ჩვენთან 2 წელზე მეტია და ლიკვიდატორებთან 1 ½ წელზე მეტია აშკარად და რეგულარულად იბეჭდება ორივე გაზეთში, ამასთან ყოველი სიყალბე ან შეცდომა მაშინვე გამოიწვევდა თვით მუშების პროტესტს, ამიტომ ეს მონაცემები მუშათა მასების ორგანიზებულობის **უეჭველად საიმედო** და ყველაზე უკეთესი, აშკარა და ლეგალური მაჩვენებელია.

თუ ჩვენი ლიკვიდატორები და მათი დამცველი საზღვარგარეთული პაწაწა ჯგუფები ჯიუტად უგულებელყოფენ ამ მონაცემებს, სდუმან მათ შესახებ თავიანთ პრესაში, ეს ჩვენს მუშებს მიაჩნიათ მხოლოდ იმის სურვილის გამოხატულებად, რომ **ჩაშალონ მუშების უმრავლესობის ნება,** მიაჩნიათ კეთილსინდისიერების ნაკლებობად.

აი **მთელი** 1913 წლის მონაცემები. პრავდისტებთან მუშათა ჯგუფების ფულად შენატანთა რიცხვი იყო 2 181, ლიკვიდატორებთან — 661. 1914 წელს (13 მაისამდე) პრავდისტებს ჰყავთ მუშათა 2 873 ჯგუფი, ლიკვიდატორებს — 671. ეს იმას ნიშნავს, რომ 1913 წელს პრავდისტების მიერ ორგანიზებული მუშების პროცენტი იყო 77%, 1914 წელს — 81%.

პრავდისტები, 1912 წლიდან მოყოლებული, სისტემატურად ბეჭდავენ ამ მონაცემებს, მოუწოდებენ შეამოწმონ ისინი, მიუთითებენ მათს ობიექტურობაზე, მოუწოდებენ «ერთიანობის» **ნამდვილ** (და არა პირმოთნე) მეგობრებს — პირდაპირ და პატიოსნად აღიარონ მუშების უმრავლესობის ნებასურვილი. **უამისოდ** მთელი ლაპარაკი ერთიანობაზე მხოლოდ პირმოთნეობაა.

რუსეთის შეგნებულმა მუშებმა ⁴/₅-ის უმრავლესობით, პარტიის წინააღმდეგ ლიკვიდატორების წელიწადნახევრის ბრძოლის შემდეგ, **მოიწონეს** «პრავდისტული» ხაზი, «იატაკქვეშ» მუშაობისა და რევოლუციური ტაქტიკისადმი ერთგულება. და ლიკვიდატორებისა და მათი მეგობრებისაგან ჩვენ

ველოდებით არა ფრაზებს «ერთიანობაზე» პარტიის ნება-სურვილის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, არამედ პირდაპირ განცხადებას: სურთ თუ არა მათ, ბოლოს და ბოლოს, აღიარონ რუსეთის შეგნებულ მუშათა უდიდესი უმრავლესობის ეს ნება-სურვილი?

ხალხის დასარწმუნებლად ლიტონი სიტყვების თქმა ადვილია. მაგრამ ნამდვილი მუშათა გაზეთის მოწყობა, რომელიც ნამდვილად მუშების ხარჯზე არსებობს, ძალიან ძნელია. ეს იცის ყველა, ჩვენზე უფრო გამოცდილმა, საზღვარგარეთელმა ამხანაგმა. ნამდვილად მუშური, ე. ი. ნამდვილად მუშების ფულით არსებული გაზეთი, პარტიული ხაზის გამტარებელი, უდიდეს ორგანიზაციულ აპარატს წარმოადგენს.

მერე რას გვეუბნებიან მონაცემები? ობიექტური მონაცემები გვეუბნებიან, რომ «პრავდა» მართლაც მუშათა გაზეთია, ლიკვიდატორთა გაზეთი კი, რომელიც უარყოფს «იატაკქვეშეთს», ე. ი. პარტიას, **ნამდვილად** თავისი იდეებითაც და თავის სახსართა წყაროებითაც **ბურჟუაზიული** გაზეთია.

1914 წლის 1 იანვრიდან 13 მაისამდე ორივე გაზეთი, როგორც ყოველთვის, ბეჭდავდა ანგარიშებს ფულის შეგროვების შესახებ, და ჩვენს გაზეთში შეჯამებული იყო ეს ანგარიშები. აი შედეგები. «პრავდამ» შეაგროვა 21 584 მან. 11 კაპ., აქედან 18 934 მან. 10 კაპ. შემოსულია მუშათა ჯგუფებისაგან. ესე იგი ორგანიზებული მუშებისაგან შეგროვებული 87%, და მხოლოდ 13% — ბურჟუაზიისაგან.

ლიკვიდატორებმა კი შეაგროვეს 12 055 მან. 89 კაპ., აქედან 5 296 მან. 12 კაპ. შემოსულია მუშათა ჯგუფებისაგან, ე. ი. **ნახევარზე ნაკლები,** სულ 44%. ფულის **ნახევარზე მეტს** ლიკვიდატორებს ბურჟუაზია აძლევს.

ამასთანავე მთელი ლიბერალურ-ბურჟუაზიული პრესა დღითი-დღე აქებს ლიკვიდატორებს, **ეხმარება** მათ მუშათა უმრავლესობის ნება-სურვილის ჩაშლაში, **ხელს უწყობს** ლიკვიდატორების რეფორმიზმს და მათ მიერ იატაკქვეშ მუშაობის უარყოფას.

როგორც საზღვარგარეთული ჯგუფების მოღვაწეობის მაგალითს, მოვიყვან ამხ. პლეხანოვის, დეპუტატ ბურიანოვისა და სხვათა გაზეთს «ედინსტვოს». ჩემს წინაშეა ამ გაზეთის სამი ნომერი, პირველი — მიმდინარე წლის 18 მაისისა და მესამე — 15 ივნისისა. ანგარიშებიდან ჩანს, რომ ვიღაცას საზღვარგარეთ მყოფ ამხანაგ ოლგინის მეშვეობით გაზეთისათვის 1 000 მან. მიუცია, და კიდევ საზღვარგარეთ შეგროვებულია 207 მან. 52 კაპ.. მუშათა **ექვსმა** (ექვსმა!) ჯგუფმა 60 მან. გაიღო.

და აი ეს, რუსეთის მუშათა ექვს ჯგუფზე დაყრდნობილი გაზეთი მუშებს მოუწოდებს — არ დაემორჩილონ პარტიის გადაწყვეტილებებს, და ამ პარტიას «გამთიშველ» პარტიად აცხადებს!! პარტია, რომელმაც 2 ½ წლის **განმავლობაში** მუშათა **5 600** ჯგუფი გააერთიანა 1912 და 1913 წლის **სამი** არალეგალური კონფერენციის ზუსტ გადაწყვეტილებათა გარშემო, «გამთიშველია». ხოლო პლეხანოვის ჯგუფი, რომელმაც რუსეთში ექვსი მუშათა ჯგუფი გააერთიანა და საზღვარგარეთ 1 200 მან. შეკრიბა რუსეთის მუშების ნებასურვილის **ჩასაშლელად**, თურმე ნუ იტყვით, «გამაერთიანებელი» ჯგუფი ყოფილა!!

პლეხანოვი სხვებს სდებს ბრალს ფრაქციულობაში, — თითქოს ფულის საგანგებოდ შეკრება საგანგებო ჯგუფისათვის და მუშებისადმი მოწოდება — არ შეასრულონ ⁴/₅-ის უმრავლესობის გადაწყვეტილებანი — ფრაქციულობა **არ** იყოს.

რაც ჩვენ შეგვეხება, ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ, **რომ** ჩვენთვის პლეხანოვის ჯგუფის მოქმედება **დეზორგანიზატორობის** ნიმუშია. პლეხანოვის მოქმედება იგივეა, მერინგმა რომ გერმანიაში მუშათა ექვსი ჯგუფი შეკრიბოს და გერმანელ ს.-დ-ებს საგანგებო გაზეთში მოუწოდოს — არ დაემორჩილონ პარტიას, რომელიც გაეთიშა, ვთქვათ, პოლონელებს.

ჩვენ და პლეხანოვი სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ. მუშების ⁴/₅-ის შეკავშირებას რუსეთში ჩვენ ვუწოდებთ ერ-

თიანობას საქმით და არა სიტყვით. ხოლო საზღვარგარეთ შეკრებილი ფულით საზღვარგარეთული ჯგუფების ბრძოლას რუსი მუშების უმრავლესობის წინააღმდეგ ვუწოდებთ **დეზორგანიზაციას.**

«პრავდა», ამბ. ვანდერველდის მიერ სპბ-ში შეკრებილი და მის მიერვე გამოქვეყნებული ცნობებით, იბეჭდება 40 000 ცალად, ლიკვიდატორების გაზეთი კი — 16 000 ცალად. «პრავდის» ხარჯებს ფარავენ, მას ინახავენ მუშები, ხოლო ლიკვიდატორები იმათ ხარჯზე არიან, ვისაც ჩვენი გაზეთი **ბურჟუაზიის წრის მდიდარ მეგობრებს** უწოდებს.

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს ჩვენ ვუდგენთ ორივე გაზეთში დაბეჭდილ ფინანსურ ანგარიშებს — საზღვარგარეთელი ამხანაგებისათვის, რომლებმაც იციან, რა სერიოზული საქმეა მუშათა გაზეთი, ეს უკეთესი იქნება, ვიდრე დარწმუნების ცდა, დაპირებანი, განცხადებანი და ლანძღვა-გინება «ლენინელთა» მიმართ.

ჩვენ ვეკითხებით ლიკვიდატორებს: ნებავთ თუ არა მათ შემდეგშიც არ გაუწიონ ანგარიში იმ **ობიექტურ ფაქტს,** რომ მათი ჯგუფის გაზეთი **ნამდვილად** წარმოადგენს ბურჟუაზიულ წამოწყებას იატაკქვეშეთის უარყოფის საქადაგებლად და რუსეთის შეგნებული მუშების ნება-სურვილის **ჩასაშლელად?**

თუ ჰო, მაშინ მათი ლაპარაკი «ერთიანობაზე» კვლავინდებურად ბოროტ დაცინვას გამოიწვევს ჩვენს მუშებში.

ვისაც სერიოზულად სურს ერთიანობა, მან ლოიალურად უნდა აღიაროს მთელი ლიკვიდატორული ხაზის სრული მცდარობა, მცდარობა, დამტკიცებული როგორც პარტიული გადაწყვეტილებებით, დაწყებული 1908 წლიდან, ისე **მუშათა მასების** 2 ½ **წლის ბრძოლის გამოცდილებით.**

შემდეგ. აი ობიექტური მონაცემები სადაზღვევო დაწესებულებებში მუშების არჩევნების შესახებ. ჩვენ უარვყოფთ, როგორც ლიბერალურს, ყოველგვარ სიტყვებს პოლიტიკურ, კონსტიტუციურ რეფორმებზე თანამედროვე, მეფის რუსეთში, მაგრამ დაზღვევის მსგავს **ნამდვილ** რეფორმებს გამოვი-

ყენებთ **საქმით** და არა სიტყვით. სრულიად რუსეთის სადაზღვევო დაწესებულების **მთელი** მუშათა ჯგუფი შესდგება **პრავდისტებისაგან,** ე. ი. იმ მუშებისაგან, რომლებმაც დაგმეს და უარყვეს ლიკვიდატორობა. ამ სრულიად რუსეთის სადაზღვევო დაწესებულების არჩევნებში 57 რწმუნებულს შორის 47 პრავდისტი იყო, ე. ი. 82%. დედაქალაქის, სანქტ-პეტერბურგის, სადაზღვევო დაწესებულების არჩევნებში იყო 37 პრავდისტი რწმუნებული და 7 ლიკვიდატორი, ე. ი. პრავდისტების პროცენტია 84%.

იგივეა პროფესიულ კავშირებში. იქნებ საზღვარგარეთელი ამხანაგები, როცა ისმენენ საზღვარგარეთელი რუსი ს.-დ-ების სიტყვებს «ფრაქციული ბრძოლის ქაოსზე» რუსეთში (ასეთია როზა ლუქსემბურგის, პლეხანოვის, ტროცკისა და სხვების სიტყვები), ფიქრობენ, რომ ჩვენში პროფესიულ მოძრაობაში გათიშვაა გამეფებული?

არაფერი ამის მსგავსი.

რუსეთში პარალელური კავშირები არ არსებობენ. პიტერშიც და მოსკოვშიც პროფესიული კავშირები **ერთიანნია.** მთელი საქმე ისაა, რომ ამ კავშირებში **სავსებით პრავდისტები** ჭარბობენ.

მოსკოვის 13 პროფესიულ კავშირს შორის არც ერთი არ არის ლიკვიდატორული.

სანქტ-პეტერბურგის 20 **პროფესიულ** კავშირში, რომლებიც ჩამოთვლილია ჩვენს მუშათა კალენდარში წევრთა რიცხვის აღნიშვნით, ლიკვიდატორებია მხოლოდ მხაზველები, ფარმაცევტები და კანტორის მოხელენი, და სანახევროდ — მბეჭდავები. ყველა დანარჩენ კავშირში, მელითონეებშიც, ფეიქრებშიც, მკერავებშიც, ხისდამუშავებლებშიც, ნოქრებშიც და სხვ. **სავსებით** პრავდისტები ჭარბობენ.

და ჩვენ პირდაპირ ვაცხადებთ: დაე ნურც ლაპარაკობენ ლიკვიდატორები «ერთიანობაზე», თუ მათ არა სურთ სრულიად გადაჭრით შეცვალონ მთელი თავიანთი ტაქტიკა და შეწყვიტონ დეზორგანიზატორული ბრძოლა რუსეთის შეგნებული მუშების ორგანიზებული უმრავლესობის წინააღმდეგ.

«პრავდა» ყოველდღე აქებ-ადიდებს, თუნდაც გადაკვრით, **იატაკქვეშეთს** და გმობს მისგან განდგომილთ. და მუშებიც მიჰყვებიან **თავიანთ** «პრავდას».

აი შეჯამებული მონაცემები საზღვარგარეთული, არალეგალური პრესის შესახებ. ლიკვიდატორთა 1912 წლის აგვისტოს კონფერენციის **შემდეგ** ჩვენმა პარტიამ 1914 წ. ივნისამდე გამოსცა არალეგალური, ხელმძღვანელი პოლიტიკური გაზეთის **ხუთი** ნომერი, **ლიკვიდატორებმა — ნოლი,** სოციალისტ-რევოლუციონერებმა — **ცხრა** ნომერი. ამაში არ შედის რუსეთში გამოცემული პროკლამაციები, პროკლამაციები, რომლებიც ემსახურებიან რევოლუციურ აგიტაციას გაფიცვების დროს, მიტინგებზე, დემონსტრაციებზე.

ამ 5 ნომერში ჩვენს პარტიას მითითება არალეგალურ ორგანიზაციებზე **44** აქვს, ლიკვიდატორებს — **ნოლი,** სოციალისტ-რევოლუციონერებს — **21** (უმთავრესად, მოსწავლენი და გლეხობა).

დასასრულ, როცა 1913 წლის ოქტომბერს სათათბიროში ჩამოყალიბდა რუსეთის დამოუკიდებელი ს.-დ. მუშათა ფრაქცია, რომელსაც, ლიკვიდატორებისაგან განსხვავებით, უნდოდა რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობის ნება-სურვილის **გატარება,** და არა ამ ნება-სურვილის დარღვევა, **ორივე** გაზეთში დაიბეჭდა მუშების **რეზოლუციები** რუსეთის ყველა კუთხიდან ერთი თუ მეორე, პარტიული თუ ლიკვიდატორული ფრაქციის სასარგებლოდ. ამასთან გამოქვეყნებული იყო **6 722 ხელმოწერა** სათათბიროს «პრავდისტული», ე. ი. პარტიული, ფრაქციის სასარგებლოდ და **2 985** — ლიკვიდატორულის სასარგებლოდ (მათში 1 086 ხელმოწერა ბუნდელი მუშებისა და 719 — კავკასიის მუშებისა). ლიკვიდატორებმა, მაშასადამე, ყველა თავიანთი მოკავშირითურთ შესძლეს **ერთ მესამედზე ნაკლების** შეკრება.

ასეთია, მოკლედ, ის ობიექტური მონაცემები, რასაც ჩვენ ვუპირისპირებთ ლიკვიდატორების ლიტონ სიტყვებს. ეს ობიექტური მონაცემები რუსეთის მუშათა კლასის მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობის შესახებ 2 ½ წლის განმავლობაში საბო-

ლოოდ ამტკიცებენ, შეგნებული მუშების გამოცდილებით, ჩვენი პარტიული ხაზის სისწორეს.

აქ მე ცოტა უნდა გადავუხვიო და შევჩერდე ერთ კონკრეტულ მაგალითზე, რათა ცხადვყო, რატომ არის შეუძლებელი ჩვენში სიტყვის დაძვრაც კი «ერთიანობაზე» და თუნდაც «ზავზე» ახლანდელი ლიკვიდატორების ახლანდელ გაზეთთან.

ეს მეტად მნიშვნელოვანი მაგალითია, რომელიც გაგვირკვევს ლიკვიდატორების დამოკიდებულებას ჩვენი პარტიის არალეგალური მუშაობისადმი, ამიტომ მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვთხოვ ამხანაგებს.

ცნობილია, რომ რუსეთში 1912 წლიდან საუცხოო წარმატებით ვითარდება რევოლუციური მასობრივი გაფიცვა. მეფაბრიკეები ცდილობდნენ ლოკაუტისათვის მიემართათ მის წინააღმდეგ. ბრძოლის ამ ზომისადმი პარტიის დამოკიდებულება რომ გამოემუშავებინა, ჩვენი პარტიის **1913 წლის** (დაიხსომეთ თარიღი: **1913** წლის!) თებერვლის თათბირმა შეადგინა და **არალეგალურად** გამოაქვეყნა რეზოლუცია [135].

ამ რეზოლუციაში (არალეგალური გამოცემის მე-11 გვ.) პირდაპირ არის წამოყენებული «ქუჩის რევოლუციური დემონსტრაციების მოწყობის მორიგი ამოცანა». ეს რეზოლუცია პირდაპირ გვირჩევს (იქვე) «ლოკაუტების ასაცილებლად ბრძოლის ახალი ფორმების გამონახვას, მაგალითად, იტალიურ გაფიცვას, და პოლიტიკური გაფიცვების შეცვლას რევოლუციური მიტინგებით და ქუჩის რევოლუციური დემონსტრაციებით».

ვიმეორებთ, ეს იყო 1913 წლის თებერვალში, ე. ი. ლიკვიდატორების აგვისტოს (1912 წ.) კონფერენციის დროიდან ნ ა ხ ე ვ ა რ ი წ ლ ი ს შემდეგ, სწორედ იმ კონფერენციისა, რომელიც მთელ ქვეყანას არწმუნებდა, ლიკვიდატორები იატაკქვეშეთის წინააღმდეგნი ა რ არიანო. არც ამ ნახევარი წლის განმავლობაში, 1912 წ. აგვისტოდან 1913 წ. თებერვლამდე, **არც შემდეგ წელს**, 1913 წლის თებერვლიდან 1914 წლის თებერვლამდე, აგვისტოს ბლოკის **არავითარი**

რეზოლუცია არ ყოფილა ამ საკითხზე. აბსოლუტურად არავითარი!! ახლა მოისმინეთ კიდევ.

1914 წ. 20 მარტს სანქტ-პეტერბურგის მექარხნეებმა გადაწყვიტეს ლოკაუტით უპასუხონ გაფიცვებზე. სპბ-ში ერთი დღის განმავლობაში ქუჩაში გამოყრილია 70 000 კაცი.

ჩვენი პარტიის არალეგალური ორგანიზაცია სპბ-ში, «რსდმპ პეტერბურგის კომიტეტი», პარტიის რეზოლუციის თანახმად, ადგენს—რევოლუციური დემონსტრაციით გასცეს პასუხი ლოკაუტზე ლენის ხოცვა-ყლეტის დღეს, 4 აპრილს.

უშვებენ არალეგალურ პროკლამაციას მუშებისადმი, რომელიც აქ ჩემს წინ დევს. მას ხელს აწერს «რსდმპ სპბ-ის კომიტეტი». ის იმეორებს პარტიის ლოზუნგებს (რესპუბლიკა და მიწების კონფისკაცია) და თავდება სიტყვებით:

«ამხანაგებო! გამოდით ნევის პროსპექტზე 4 აპრილს დილის 11 საათზე».

თავისთავად ცხადია, რომ ლეგალურ გაზეთ «პრავდას» თ ვ ი თ ო ნ არა თუ გადაბეჭდვა, მოხსენიებაც კი არ შეუძლია ამ პროკლამაციისა.

როგორ მოვიქცეთ? როგორ გამოვხატოთ მუშა-მკითხველთა, თუნდაც ყველაზე უფრო შეგნებულთა და მოწინავეთა წინაშე ის ა ზ რ ი, რომ აუცილებლად საჭიროა მხარი დაუჭირონ არალეგალურ მოწოდებას არალეგალური, რევოლუციური დემონსტრაციისაკენ?

დაგვრჩენია მივმართოთ, როგორც ამას მუდამ ჩავდივართ ხოლმე, გადაკრულ სიტყვებს.

და აი, თვით დემონსტრაციის დღეს, პარასკევს, 1914 წლის 4 აპრილს, ჩვენს გაზეთში («პუტ პრავდი» № 54) ქვეყნდება ხელმოუწერელი, სარედაქციო სტატია უბრალო სათაურით «მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ» *. ამ სტატიაში **პირდაპირ დასახელებულია** «მარქსისტების 1913 წლის თებერვლის ფორმალური გადაწყვეტილება» და **გადაკვრითაა** მითითებული რევოლუციური ხასიათის დემონსტრაციაზე შემდეგი სიტყვებით:

* იხ. ეს ტომი, გვ. 248 — 252. რ ე დ.

«შეგნებულმა მუშებმა ძალიან კარგად იციან ამაღლების» (ე. ი. ბრძოლის ფორმების ამაღლების) «ზოგიერთი კონკრეტული ფორმაც, რაც არა ერთგზის ყოფილა ისტორიულად შემოწმებული და მხოლოდ ლიკვიდატორებისთვისაა «გაუგებარი», «უცხო»» («პუტ პრავდი», 1914, № 54).

რუსეთის პოლიციამ და პროკურორებმა ეს გადაკვრით ნათქვამი ვერ გაიგეს. მაგრამ შეგნებულმა მუშებმა ის გაიგეს.

დემონსტრაცია შესდგა. ამ დემონსტრაციის შესახებ ლაპარაკობდა ყველა ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც 4 აპრილს საღამოს გამოვიდა. მაშინ მეორე დღეს, 5 აპრილს, ჩვენს გაზეთს (იხ. «პუტ პრავდი» № 55) **მოჰყავს** ამონაწერები ბურჟუაზიული გაზეთებიდან, რომლებშიც ნათქვამია, რომ

«უკანასკნელ დღეებში მუშებს შორის მრავლად ვრცელდებოდა ფურცლები, რომლებიც მოუწოდებდნენ დემონსტრაციული გამოსვლებისაკენ 4 აპრილს, ლენის ამბების წლისთავზე; ფურცლებს ხელს აწერდა რსდმპ პეტერბურგის კომიტეტი».

ბურჟუაზიული გაზეთებიდან მოყვანილი **ასეთი** ციტატისათვის ჩვენი გაზეთის პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლება. შედეგად გამოგვიდის არალეგალური პარტიის გადაწყვეტილების შესრულება; რევოლუციური დემონსტრაციის მომზადება და ამ მუშაობისათვის **ხელის შეწყობა** ლეგალური გაზეთის მიერ, რომელსაც ორმოცი ათასი მუშა კითხულობს.

ლიკვიდატორები რაღას აკეთებენ?

როგორც უკვე ვთქვი, არც ნახევარი წლის განმავლობაში 1912 წლის აგვისტოდან 1913 წლის თებერვლამდე, არც კიდევ მთელი შემდეგი წლის განმავლობაში ისინი არ აქვეყნებენ **არავითარ არალეგალურ გადაწყვეტილებას** აგვისტოს ბლოკის სახელით.

ლიკვიდატორების არავითარ არალეგალურ მოწოდებაზე 1914 წ. 4 აპრილისათვის სპბ-ში არავის არაფერი გაუგონია, ბურჟუაზიულ გაზეთებსაც არ მოუხსენიებიათ ისინი. უნდა ითქვას კი, რომ ბურჟუაზიული გაზეთების დამოწმება **მეტად**

მნიშვნელოვანია, რადგან, როცა პროკლამაციები მართლაც მასობრივი რაოდენობით ვრცელდება, ბურჟუაზიულმა გაზეთებმა ეს ყოველთვის იციან და ლაპარაკობენ ამაზე. პირიქით, თუ პროკლამაციები უმნიშვნელო რაოდენობით ვრცელდება, მასებმა ეს არ იციან, და ბურჟუაზიული გაზეთებიც სდუმან.

ამრიგად, თვითონ ლიკვიდატორებს არაფერი გაუკეთებიათ 1914 წ. 4 აპრილის რევოლუციური დემონსტრაციის მოსაწყობად. ისინი განზე დარჩნენ.

ეს კიდევ ცოტაა. ლიკვიდატორების ლეგალური გაზეთი, როცა მეორე დღეს დემონსტრაციის შესახებ მოგვითხრობს, **არ ბეჭდავს ბურჟუაზიული გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ ფურცლები ვრცელდებოდა ჩვენი პარტიის სპბ-ის კომიტეტის სახელით!!**

ეს საოცარია, მაგრამ ეს ფაქტია. **და მე აქ თან** ვურთავ ლიკვიდატორული გაზეთის 1914 წ. 5 აპრილის ნომერს (**«სევერნაია რაბოჩაია გაზეტა» № 48**), რათა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე სასტიკად დავგმო ეს ფაქტი.

ერთი ჩაუფიქრდით, რას ნიშნავს ეს!! ადამიანები, რომლებიც გაჰყვირიან იმაზე, რომ ჩვენს პარტიასთან «ერთიანობა» უნდათ, ადამიანები, რომლებსაც სურთ სოციალ-დემოკრატები უწოდონ თავიანთ თავს, მუშებს **უმალავენ** ჩვენი პარტიის არალეგალური ორგანიზაციის, რსდმპ სპბ-ის კომიტეტის **არსებობას,** მის **რევოლუციურ,** არალეგალურ, იატაკქვეშ დაბეჭდილ პროკლამაციებს და **მის მიერ** 1914 წლის 4 აპრილი-სათვის დემონსტრაციების მოწყობას.

ადამიანებმა, რომლებიც ჩვენს პარტიასთან «ერთიანობაზე» გაჰყვირიან, ბურჟუაზიული გაზეთებიდან **არ გადმობეჭდეს** ცნობები ჩვენი პარტიის სპბ-ის კომიტეტის მიერ ხელმოწერილი, ა რ ა ლ ე გ ა ლ უ რ ი ფურცლების მასობრივად გავრცელების შესახებ!

აქედან საზღვარგარეთულ პარტიებში მყოფ ამხანაგებს შეუძლიათ გაიგონ, რატომ აქვს ჩვენთვის ასეთი არსებითი, ძირეული მნიშვნელობა იატაკქვეშეთის საკითხს.

მაგრამ ესეც კიდევ ცოტაა. ერთი კვირის შემდეგ, 1914 წ. 11 აპრილს, ლიკვიდატორულ გაზეთში («სევერნაია რაბოჩაია გაზეტა» № 51) იბეჭდება სტატია, რომელშიც ავტორი **სწორედ რომ დასცინის** 4 აპრილს, დემონსტრაციის დღეს, «პრავდაში» მოთავსებულ სტატიას ბრძოლის «უმაღლესი ფორმების» შესახებ, **დასცინის** იმას, რომ «პრავდამ»

«თ ა ვ ი ს ი ა ზ რ ე ბ ი ძ ნ ე ლ ა დ გ ა ს ა გ ე ბ ფ ო რ მ ა შ ი გ ა ხ ვ ი ა»!!

ერთი ჩაუფიქრდით: ლიკვიდატორების ლეგალური. გაზეთი, იმ ლიკვიდატორებისა, რომლებიც მუდამ კიცხავენ და აძაგებენ იატაკქვეშეთს, **დასცინის** იმას, რომ ჩვენი ლეგალური გაზეთი, რომელსაც სურს **დაეხმაროს** იატაკქვეშეთს, ამას მხოლოდ გადაკვრითი ფორმით სჩადის!!

და ჩვენი გაზეთის **გადაკვრითი** მითითებისათვის «უმაღლეს ფორმებზე», ე. ი. ჩვენი პარტიის სპბ-ის კომიტეტის მიერ მოწყობილ რევოლუციურ დემონსტრაციაზე, ლიკვიდატორები თავიანთ გაზეთში, იმავე სტატიაში, საქვეყნოდ გვიწოდებენ ჩვენ **«ავანტიურისტებს»**, თანაც «ყოვლად უპრინციპო ავანტიურისტებს», **«ანარქო-სინდიკალისტებს»**, რომლებიც **«პროვოკაციას უწყობენ** მუშებს»!!

მე ყველა დოკუმენტი მაქვს, სპბ-ის კომიტეტის პროკლამაციაც, ჩვენი გაზეთიც და ლიკვიდატორული გაზეთიც. დაინტერესებულ ამხანაგებს შეუძლიათ მოითხოვონ მათთვის ამ დოკუმენტების მთლიანად გადათარგმნა.

მე კი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და რუსეთის ორგანიზებული ს.-დ. მუშების უდიდესი უმრავლესობის სახელით ვაცხადებ: ა რ ა ვ ი თ ა რ ი «ე რ თ ი ა ნ ო ბ ა» და ა რ ა ვ ი თ ა რ ი «ზ ა ვ ი» ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი ს ა მ გ ვ ა რ ჯ გ უ ფ თ ა ნ, ს ა ნ ა მ ა ს ე თ ი გ ა ზ ე თ ი ა რ ს ე ბ ო ბ ს!!

ჩვენ **არ შეგვიძლია** მასებში ჩვენი რევოლუციური მუშაობა ვაწარმოოთ ამგვარ გაზეთთან «ერთიანობაში» ყოფნით.

III

ახლა გადავალ ჩემი მოხსენების მე-3 ნაწილზე. მას შემდეგ, რაც განვიხილე რუსეთის მუშათა მასობრივი მოძრაობის **გამოცდილება**, რომელმაც დაადასტურა ჩვენი ხაზი, მინდა განვიხილო ჩვენი მოწინააღმდეგეების **გამოცდილება**.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს, როგორც ლიკვიდატორებს, ისე საზღვარგარეთულ პაწაწა ჯგუფებს, პლეხანოვის ჯგუფის მსგავსთ, უყვართ ჩვენი ლანძღვა და «უზურპატორებს» გვიწოდებენ. «Vorwärts»-ის * ფურცლებზე 1912 წლის მარტში ისინი იმეორებდნენ ამ ლანძღვას. «Vorwärts»-მა კი ჩვენ საშუალება არ მოგვცა გვეპასუხნა!! მაშ ვნახოთ, რა პოლიტიკური აზრი შეიძლება ჰქონდეს ამ ბრალდებას «უზურპატორობაში».

მე უკვე ვთქვი, რომ 1912 წლის კონფერენცია მოიწვია პარტიის კომიტეტის მიერ შექმნილმა «რუსეთის საორგანიზაციო კომისიამ» ლიკვიდატორების მიერ ძველი ცენტრალური კომიტეტის დანგრევის შემდეგ. ჩვენ დამსახურებად მიგვაჩნია არალეგალური პარტიის ეს აღდგენა, და რუსეთის მუშების უმრავლესობამ ეს აღიარა.

მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ ჩვენი ესოდენ მრავალრიცხოვანი (საზღვარგარეთისა და ინტელიგენტური პაწაწა ჯგუფების თვალსაზრისით) მოწინააღმდეგენი მართალნი არიან. დავუშვათ, რომ ჩვენ დამნაშავენი ვართ «უზურპატორობაში», «გამთიშველობაში» და სხვ.. განა ბუნებრივი არ იქნება ამ შემთხვევაში მოველოდეთ, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა **არა სიტყვით, არამედ** თავიანთი მუშაობისა და თავიანთი გაერთიანების **გამოცდილებით** გაგვაწბილონ ჩვენ?

თუ ჩვენ მართალნი არა ვართ, როდესაც ვამტკიცებთ, რომ პარტიის შენება არ შეიძლება სხვაგვარად, თუ არ ლიკვიდატორების ჯგუფის წინააღმდეგ, განა არ უნდა გვქონოდა მოლოდინი, რომ ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენ არ გვეთანხმებიან, **თავიანთი** მუშაობის **გამოცდილებით**

* — «წინ». რ ე დ.

დაამტკიცებენ ლიკვიდატორებთან ერთიანობის შესაძლებლობას?

ამავე დროს კი, აი რას გვეუბნება ჩვენი მოწინააღმდეგეების გამოცდილება. 1912 წლის იანვარში არალეგალური პარტია აღადგინა ჩვენმა კონფერენციამ, რომელზეც წარმოდგენილი იყო რუსეთის ორგანიზაციების უმრავლესობა.

1912 წლის მარტში «Vorwärts»-ის ფურცლებზე ჩვენს წინააღმდეგ ლანძღვა-გინებაში გაერთიანდნენ:

ლიკვიდატორებიც
ბუნდიც
ლატვიელებიც
პოლონელებიც
«ტროცკისტებიც»
«ვპერიოდელებიც».

თითქოს, რა ბევრი «მიმდინარეობა» და «ჯგუფი» ყოფილა? რა ადვილი იქნებოდა მათთვის — თავიანთი ერთიანობით კარგი მაგალითი ეჩვენებინათ რუსეთის მუშებისათვის!!

მაგრამ როცა შეუდგნენ ლიკვიდატორთა «აგვისტოს» კონფერენციის მოწვევას, აღმოჩნდა, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ერთად მოქმედება ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ.

პოლონელებმაც და პლეხანოვმაც იმაზეც კი უარი განაცხადეს, რომ ლიკვიდატორების «აგვისტოს» კონფერენციაზე წასულიყვნენ.

რატომ?

იმიტომ, რომ ისინი პარტიის წევრობის ცნების საკითხშიც კი **ვერ** შეთანხმდნენ!!!

და აი, თუ ახლა პლეხანოვის ჯგუფი ანდა როზა ლუქსემბურგი, ან სხვა ვინმე, არწმუნებენ თავიანთ თავსაც და სხვებსაც, ლიკვიდატორებთან გაერთიანება **შეიძლებაო,** ჩვენ ვუპასუხებთ: აბა, თვითონ თქვენ სცადეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ლიკვიდატორებთან «გაერთიანება» პარტიის წევრობის განსაზღვრის საკითხში **არა სიტყვით, არამედ საქმით.**

შემდეგ. «ვპერიოდელები» წავიდნენ აგვისტოს კონფერენციაზე, მაგრამ ის **მიატოვეს** პროტესტით და მისი ფიქტიურობის მხილებით.

ახლა, 1914 წლის თებერვალში, ლიკვიდატორთა «აგვისტოს კონფერენციის» დროიდან წელიწადნახევრის შემდეგ, შესდგა ლატვიელთა პარტიის კონგრესი. ლატვიელები ყოველთვის «ერთიანობის» მომხრენი იყვნენ. ლატვიელ მუშებს **სურდათ** ლიკვიდატორებთან ერთად მუშაობა და ეს მათ დაამტკიცეს არა სიტყვით, არამედ საქმით, **გამოცდილებით**.

და $1^1/_2$ წლის გამოცდილების შემდეგ, ლატვიელებმა, **დარჩნენ რა უაღრესად ნეიტრალურნი**, თავიანთ კონგრესზე განაცხადეს, რომ გამოდიან აგვისტოს ბლოკიდან, რადგან — ასეა ნათქვამი ლატვიელთა კონგრესის რეზოლუციაში:

«შემარიგებელთა ცდა — რადაც უნდა დასჯდომოდათ გაერთიანებულიყვნენ ლიკვიდატორებთან (1912 წლის აგვისტოს კონფერენცია), უნაყოფო გამოდგა, და გამაერთიანებელნი თვითონ აღმოჩნდნენ იდეურ-პოლიტიკურად დამოკიდებულნი ლიკვიდატორებისაგან».

ახლა, ვისაც სურს, იმან გაიმეოროს «ლიკვიდატორებთან გაერთიანების ცდა». ჩვენ კი ვაცხადებთ, რომ, სანამ ისინი გადაჭრით არ შეწყვეტენ თავიანთი ლიკვიდატორული ხაზის გატარებას, მათთან არავითარი გაერთიანება არ არის შესაძლებელი.

ბოლოს, ტროცკის ჯგუფიც, კავკასიელებიც, მათი ბელადის ანის მეთაურობით, და კიდევ მთელი რიგი ლიკვიდატორები (მაგ., «ემ-ელი») ფაქტიურად **ჩამოსცილდნენ** აგვისტოს ბლოკს, მათ შექმნეს **ცალკე** ჟურნალი «ბორბა». მუშებთან ამ ჟურნალს არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ თვით თავისი არსებობით, ლიკვიდატორების ოპორტუნიზმის კრიტიკით, ლიკვიდატორებისაგან გამოყოფით, გუშინდელი ლიკვიდატორების ჯგუფის ამ ჟურნალმა **დაამტკიცა**, საქმით, გამოცდილებით დაამტკიცა, რომ ლიკვიდატორებთან ერთიანობა შეუძლებელია.

ერთიანობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ლიკვიდატორები მზად არიან გადაჭრით გაწყვიტონ კავშირი მთელ თავიანთ ტაქტიკასთან და ხელი აიღონ ლიკვიდატორობაზე.

სწორედ ასეთი «ერთიანობის» ზუსტ, ფორმალურ პირობათა განხილვაზე გადავდივარ ახლა.

IV

აი ჩვენი ცენტრალური კომიტეტის მიერ ფორმულირებული ის პრაქტიკული, კონკრეტული პირობები, რომლებიც ჩვენი პარტიისათვის შესაძლებელს გახდიდნენ ლიკვიდატორებთან «ერთიანობას».

პ ი რ ვ ე ლ ი პ ი რ ო ბ ა:

1. 1908 წ. დეკემბრისა და 1910 წ. იანვრის საერთო-პარტიული რეზოლუციები ლიკვიდატორობის შესახებ გადაჭრით და უსიტყვოდ დადასტურდეს სწორედ ლიკვიდატორობისადმი მათი მიყენებით.

ეს დადასტურება რომ შეითვისოს რუსეთის ყველა შეგნებულმა მუშამ, როგორც რაღაც ნამდვილად სერიოზული და საბოლოო რამ, აგრეთვე ადგილი რომ არ დაურჩეს რაიმე ორაზროვნებას, აღიარებულ იქნას, რომ გაკიცხვის ღირსია და შეუძლებელია არალეგალური რსდმპ რიგებში დატოვებულ იქნას ის, ვინც გამოვა (განსაკუთრებით ლეგალურ პრესაში) «იატაკქვეშეთის», ე. ი. არალეგალური ორგანიზაციის წინააღმდეგ, გამოაცხადებს მას «ლეშად», განაცხადებს, რომ ის არ არსებობს, რომ მისი აღდგენა რეაქციული უტოპიაა და სხვ. — საერთოდ შეეცდება რაიმენაირად დაამციროს «იატაკქვეშეთის» როლი და მნიშვნელობა.

აღიარებულ იქნას, რომ გაკიცხვის ღირსია და შეუძლებელია არალეგალური პარტიის რიგებში დატოვებულ იქნას ის, ვინც გამოვიდოდა (განსაკუთრებით ლეგალურ პრესაში) «არალეგალური პრესის რეკლამირების» წინააღმდეგ. არალეგალური პარტიის წევრი მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვინც გულწრფელად და მთელი ძალღონით ეხმარება არალეგა-

ლური პრესის, არალეგალური პროკლამაციებისა და სხვ. განვითარებას.

აღიარებულ იქნას, რომ გაკიცხვის ღირსია და შეუძლებელია არალეგალური პარტიის რიგებში დატოვებულ იქნას ის, ვინც რაიმე ფორმით ქადაგებს თანამედროვე რუსეთში «ღია» (ე. ი. ლეგალურ) მუშათა პარტიას, — ვინაიდან ობიექტურად ეს იქნებოდა სამეფო-მონარქისტული მუშათა პარტია, — ვინც აყენებს «ღია პარტიის» ანდა ასეთისათვის «ბრძოლის» ლოზუნგს.

აღიარებულ იქნას, რომ გაკიცხვის ღირსია და შეუძლებელია არალეგალური პარტიის რიგებში დატოვებულ იქნას ის, ვინც რაიმე ფორმით გამოდის (განსაკუთრებით ლეგალურ პრესაში) რევოლუციური მასობრივი გაფიცვების წინააღმდეგ (ე. ი. ისეთი გაფიცვებისა, რომლებიც აერთიანებენ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლას და რევოლუციურ აგიტაციას), — რევოლუციური მიტინგებისა და ქუჩის დემონსტრაციების წინააღმდეგ. გაფიცვებისა და დემონსტრაციების გამძღოლი პარტიის რევოლუციურ მუშაობაზე ასეთ დაუშვებელ თავდასხმათა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, ლეგალურ პრესაში მუშების «საგაფიცვო აზარტის» ან «ბრძოლის უმაღლესი ფორმების» (= დემონსტრაციების ლეგალური ფსევდონიმი) დაგმობა.

აღიარებულ იქნას, რომ აღნიშნულ გადახვევებს სოციალ-დემოკრატიული ხაზიდან «ბურჟუაზიული გაელენისაკენ» ატარებენ სწორედ ჟურნალი «ნაშა ზარია» და გაზეთი «ნაშა რაბოჩაია გაზეტა».

2. აღიარებულ იქნას, რომ გაკიცხვის ღირსია და შეუძლებელია არალეგალური პარტიის წევრი იყოს ის, ვინც რაიმე ფორმით (განსაკუთრებით ლეგალურ პრესაში) მასებში აგიტაციისათვის უვარგისად ან ნაკლებ გამოსადეგად აცხადებს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მემამულეთა მიწების კონფისკაციის ლოზუნგს, — იმ ლოზუნგებს, რომლებიც მიღებულია ჩვენი პარტიის პროგრამით და განსაკუთრებით საჭირბოროტოა თანამედროვე რუსეთში, სადაც მეფის მონარქიამ

ხალხის აბუჩად აგდებად გახადა მეფის მიერ კონსტიტუციის ფორმალური აღიარება.

აღიარებულ იქნას, რომ ლიბერალური პრესის მიერ მასებში რეფორმიზმის იდეების, მეფის მონარქიასთან პოლიტიკური თავისუფლების შერიგების იდეების, ცარიზმის რევოლუციური დამხობის ზედმეტობის, მავნებლობისა და დანაშაულებრიობის იდეების მასობრივად გავრცელების გამო, — ყოველივე ამის გამო, აგიტაცია ისეთი კონსტიტუციური რეფორმისათვის, როგორიცაა კოალიციის თავისუფლება, უნდა წარმოებდეს, და უაღრესად ფართოდ წარმოებდეს, იმის ნათელი შეგნებით, რომ მუშათა კლასი მტრულად არის განწყობილი ლიბერალური რეფორმისტების ქადაგებისადმი, და განუყრელ კავშირში რესპუბლიკის ლოზუნგის, როგორც მეფის მონარქიაზე მასების რევოლუციური შეტევის ლოზუნგის, განმარტებასთან და გავრცელებასთან.

3. აღიარებულ იქნას, რომ ჩვენი პარტიის, რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის რომელიმე ნაწილის ბლოკი ან შეკავშირება **სხვა** პარტიასთან აბსოლუტურად დაუშვებელია და შეუთავსებელია პარტიის წევრობასთან.

ასეთ დაუშვებელ ბლოკად აღიარებულ უნდა იქნას ბუნდისა და ლიკვიდატორების ბლოკი **არა** სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, «P.P.S. ლევიცასთან», პ ო ლ ო ნ ე თ ი ს სოციალ-დემოკრატიის ნება-სურვილისა და თანხმობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, და რსდმპ კონგრესის გადაწყვეტილების გარეშე.

დეპუტატი იაგელო, როგორც **არა** სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, შეიძლება იყოს მხოლოდ მომხრე ჩვენი პარტიის სათათბიროს ფრაქციისა, მაგრამ სრულებითაც არა ამ ფრაქციის წევრი.

4. აღიარებულ იქნას, რომ თვითეულ ქალაქში და თვითეულ ადგილას უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი, ერთიანი ს.-დ. ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ყველა ეროვნების

მუშებს და მუშაობას აწარმოებს ადგილობრივი პროლეტარიატის ყველა ენაზე.

დაგმობილ იქნას ნაციონალურ-ებრაული სეპარატიზმი ბუნდისა, რომელიც დღემდე უარს ამბობს, მიუხედავად რსდმპ 1906 წლის სტოკჰოლმის ყრილობის გადაწყვეტილებისა და 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის მიერ დადასტურებისა, განახორციელოს ადგილებზე ს.-დ. მუშების ინტერნაციონალური ერთიანობის პრინციპი, ის პრინციპი, რომელიც ასე ბრწყინვალედ არის ნაცადი კავკასიაში 1898 წლიდან [136].

5. აღიარებულ იქნას, რომ «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მოთხოვნა, რაც მუშებს აცალკევებს ეროვნებათა მიხედვით და ქადაგებს დახვეწილ ნაციონალიზმს და რაც უარყოფილია რსდმპ II (1903 წ.) კონგრესის ფორმალური გადაწყვეტილებით, ეწინააღმდეგება პარტიის პროგრამას (ისევე როგორც კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ფსევდონიმი, ეგრეთწოდებული «შექმნა დაწესებულებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული განვითარების თავისუფლებას»).

გაუქმდეს ჩვენი პარტიის ყველა ადგილობრივი, ნაციონალური თუ განსაკუთრებული ორგანიზაციის (მათ შორის საათათბიროს ფრაქციის) ყველა გადაწყვეტილება, რომელიც დასაშვებად თვლის კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის პრინციპს, და მათი განახლება ისე, თუ რსდმპ კონგრესი ამას არ გადაწყვეტს, აღიარებულ იქნას პარტიის წევრობასთან შეუთავსებელ მოქმედებად.

6. პარტიის ყველა ორგანიზაცია, ყველა მისი გამოცემა, ყველა ენაზე, დაუყოვნებლივ მოუწოდებს ყოველი სახის მუშა ს.-დ -ებს — დაუყოვნებლივ განახორციელონ ერთიანობა ქვევიდან, ე. ი. შექმნან ადგილობრივ არალეგალური ს.-დ. უჯრედები, ორგანიზაციები და ჯგუფები ან შევიდნენ ასეთ ორგანიზაციებში, სადაც ისინი უკვე არსებობენ. ამასთან უეჭველად უარყოფილ იქნას ფედერაციის ანუ ყველა «მიმდინარეობის» თანასწორუფლებიანობის პრინციპი, — აღიარე-

ბულ იქნას მხოლოდ უმრავლესობისადმი უმცირესობის ლოიალური დამორჩილების პრინციპი. სხვადასხვა მიმართულების გაზეთებისათვის მუშათა ჯგუფების ფულად შენატანთა რაოდენობა, 1913 წლიდან, ლეგალურ პრესაში მიჩნეულ უნდა იქნას მუშათა მოძრაობაში არსებული სხვადასხვა მიმდინარეობის ძალთა თანაფარდობის ყველაზე ზუსტ, თუმცა დაახლოებით, მაჩვენებლად. ამიტომ ეს რაოდენობა ქვეყნდება პარტიის ყველა გამოცემაში, და ყველა გამოცემა ურჩევს ყველა ადგილობრივ ს.-დ.-ს, რსდმპ ახალ კონგრესამდე, იხელმძღვანელონ ამ მონაცემებით ყოველგვარი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმისას.

პარტიის წევრობის განსაზღვრის საკითხში კი აღიარებულ იქნას, რომ მხოლოდ არალეგალურ უჯრედში, ჯგუფში ან **სხ**ვა ორგანიზაციაში (სულ ერთია, ადგილობრივს, საქარხნო, რაიონულ ორგანიზაციაში თუ ლეგალურ საზოგადოებათა ს.-დ. ჯგუფში) მონაწილეობა, მხოლოდ არალეგალური მუშაობა კრებების მოწყობის, პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვის, არალეგალური ლიტერატურის გავრცელების ხაზით,— **მ ხ ო ლ ო დ** ეს მიიღება მხედველობაში პარტიის წევრობის განსაზღვრის დროს.

ყველა ჯგუფი და «მიმდინარეობა» ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოუშვას სავსებით ნათელი და გარკვეული არალეგალური მოწოდებანი ამის შესახებ.

7. უეჭველად დაუშვებლად იქნას აღიარებული ერთსა და იმავე ქალაქში ან ადგილას ორი ერთმანეთის მოქიშპე გაზეთის არსებობა. უმცირესობას უფლება აქვს მთელი პარტიის წინაშე განიხილოს პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული უთანხმოებანი სადისკუსიო ჟურნალში, რომელიც ცალკე უნდა შეიქმნას, მაგრამ უმცირესობას უფლება არა აქვს გამოვიდეს მოქიშპე გაზეთში უმრავლესობის მოქმედებისა და გადაწყვეტილებათა დეზორგანიზების მიზნით.

მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ პეტერბურგის ლიკვიდატორული გაზეთი, რომელიც უმთავრესად ბურჟუაზიული და არა პროლეტარული სახსრებით არსებობს, გამოდის

სანქტ-პეტერბურგის შეგნებული ს.-დ. მუშების უეჭველი და უდავო * უმრავლესობის ნება-სურვილის წინააღმდეგ და უმრავლესობის ნების უგულებელყოფის ქადაგებით უკიდურეს დეზორგანიზაციას ახდენს; ამიტომ აუცილებლად იქნას აღიარებული ამ გაზეთის დაუყოვნებლივ დახურვა და იმავდროულად სადისკუსიო ჟურნალის შექმნა.

8. სრულიად გარკვეულად და გადაჭრით დადასტურდეს 1903 წლის II ყრილობის რეზოლუცია, აგრეთვე 1907 წლის ლონდონის ყრილობის რეზოლუციაც, საერთოდ ნაროდნიკებისა და მათ შორის სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის მიმართულების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხასიათის შესახებ.

სოციალ-დემოკრატების ერთი ნაწილის ყოველგვარი ბლოკი ან კავშირი ანდა დროებითი შეთანხმებანი სოციალისტ-რევოლუციონერებთან (და საერთოდ ნაროდნიკებთან) სოციალ-დემოკრატების მეორე ნაწილის წინააღმდეგ უეჭველად დაუშვებლად იქნას აღიარებული.

პირდაპირ და გადაჭრით გამოეცხადოს გაკიცხვა პეტერბურგის ლიკვიდატორებს, რომლებმაც თავიანთ საკუთარ, «აგვისტოს კონფერენციაზეც» კი არ აღიარეს ს.-დ. არავითარი ახალი ხაზი სოციალისტ-რევოლუციონერების მიმართ და მიმართავდნენ და მიმართავენ პეტერბურგის ს.-დ. მუშების უდიდესი უმრავლესობის წინააღმდეგ ბლოკსა და შეთანხმებებს სოციალისტ-რევოლუციონერებთან სადაზღვევო დაწესებულებათა არჩევნების დროს.

დაუშვებლად იქნას აღიარებული უთვალსაჩინოესი ლიკვიდატორებისა და ლიკვიდატორობის დამცველი პაწაწა ჯგუ-

* ლიკვიდატორები თავიანთ გაზეთში («ნაშა რაბოჩაია გაზეტა» № 34, 1914 წ. 13. VI) ანგარიშობენ, რომ სპბ-ში პრავდისტები 72%-ს შეადგენენ, ხოლო ლიკვიდატორები — 28%-ს. ამ ახირებულ ანგარიშს საფუძვლად უდევს არა მუშათა ჯგუფების რიცხვი, არამედ როგორც მუშებისაგან, ისე ბურჟუაზიისაგან აღებული მანეთების ჯამი, ასე რომ 10 000 მუშა, თუ მათ ათ-ათი კაპ. შეაგროვეს, გათანაბრებულია 1 ბურჟუასთან, რომელმაც 1 000 მანეთი გაიღო. სინამდვილეში კი, 1914 წ. 1 იანვრიდან 13 მაისამდე, სპბ-ის მუშათა ჯგუფების შენატანთა რიცხვი იყო: პრავდისტებისა — 2 024 და ლიკვიდატორებისა — 308, ე. ი. 86% და 14%.

ფების თვალსაჩინო ს.-დ-ების (პლეხანოვი, ტროცკი და სხვ.) ლიტერატურული ბლოკი სოციალისტ-რევოლუციონერებთან, რომლებიც სპბ-ის ჟურნალ «სოვრემენნიკში» ქადაგებენ, რომ «ყოველ შემთხვევაში ძველი დაჯგუფებები ლიკვიდირებულია», რომ «შეუძლებელია იმის დადგენა, თუ სად თავდება მარქსიზმი და სად იწყება ნაროდნიკობა» («სოვრემენნიკი» № 7, გვ. 76).

წინადადება მიეცეთ იმ, ს.-დ. პარტიის წევრობის მსურველ, ლიტერატორებს, რომლებიც ამ ორგანოში თანამშრომლობენ არა მარტო ბურჟუაზიულ გამოცემებში საშოვრის ძებნის გულისთვის, გამოვიდნენ ამ ჟურნალის თანამშრომელთა რიგებიდან და გამოაქვეყნონ ცნობა თავიანთი გამოსვლის შესახებ.

9. იმ უკიდურესი დეზორგანიზაციის გამო, რაც რუსეთის მუშათა მოძრაობაში შეაქვთ ცალკეულ და განკერძოებულ საზღვარგარეთულ პაწაწა ჯგუფებს, რომლებიც მოქმედებენ რუსეთის რომელიმე პარტიული ორგანიზაციისაგან ყოველგვარი მანდატის უქონლად და ასეთ ორგანიზაციასთან სრულიად შეუთანხმებლად, აღიარებულ იქნას იმის დადგენისა და განხორციელების აუცილებლობა, რომ ყველა საზღვარგარეთულ ჯგუფს, სრულიად გამოუკლებლივ, მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით შეეძლოს დაუკავშირდეს რუსეთში მოქმედ ორგანიზაციებს.

საზღვარგარეთულ ჯგუფებს, რომლებიც არ ემორჩილებიან ს.-დ. მუშაობის რუსეთის ცენტრს, ე. ი. ცენტრალურ კომიტეტს, და დეზორგანიზაცია შეაქვთ იმით, რომ საგანგებო კავშირს ამყარებენ რუსეთთან ცენტრალური კომიტეტის გვერდის ავლით, არ შეუძლიათ ისარგებლონ რსდმპ სახელით.

საზღვარგარეთ უნდა შეიქმნას, საზღვარგარეთ შეკრებილი თანხებით, ს.-დ. სადისკუსიო ჟურნალი იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ და ცენზურაგაუვლელად იქნას განხილული პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის საკითხები.

დადასტურებულ და უეჭველად განხორციელებულ უნდა იქნას პარტიის წესდების (§ 3) ის დადგენილება, რომ მხო-

ლოდ «პარტიის დამტკიცებულ ორგანიზაციას აქვს უფლება— გამოსცეს პარტიული ლიტერატურა».

10. ყველა ს.-დ-ისათვის უეჭველად სავალდებულოდ იქნას აღიარებული ლონდონის ცენტრალური კომიტეტის მიერ ერთხმად მიღებული (1908 წლის იანვრის დამდეგს) რეზოლუცია, რომელიც ამბობს:

«ს.-დ. გაძლიერებული მუშაობა პროფესიულ მოძრაობაში, რასაც გვიკარნახებს მთელი თანამედროვე საქმეთა ვითარება, უნდა წარმოებდეს ლონდონისა * და შტუტგარტის ** რეზოლუციების შესაბამისად, ე. ი. სრულიადაც არა პროფესიული კავშირების ნეიტრალობისა ან უპარტიობის პრინციპული აღიარების აზრით, არამედ, პირიქით, ს.-დ. პარტიასთან კავშირების რაც შეიძლება უფრო მჭიდრო დაახლოებისაკენ განუხრელი მისწრაფების აზრით».

აღიარებულ იქნას, რომ კავშირებში არალეგალური რსდმ პარტიის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევის ცდები შეუთავსებელია პარტიის წევრობასთან.

ლიკვიდატორები ვალდებულებას კისრულობენ — არ მოუწოდონ კავშირის გამგეობებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, ლოიალურად დაემორჩილონ კავშირების მარქსისტულ უმრავლესობას და არავითარ შემთხვევაში არ მოაწყონ გამთიშველი პარალელური კავშირები.

იგივე შეეხება მუშაობას ყოველგვარ მუშათა საზოგადოებებში — კლუბებში და სხვ.

ყ ვ ე ლ ა ს.-დ. ვალდებულია შევიდეს არალეგალურ ს.-დ. უჯრედებში, რომლებიც არსებობენ ყოველ კავშირში, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებაში და სხვ.. არალეგალური პარტიის გადაწყვეტილებანი ამ უჯრედებისათვის სავალდებულოა.

---

* ე. ი. რსდმპ 1907 წ. ლონდონის ყრილობისა.

** ე. ი. შტუტგარტის 1907 წ. საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის.

სავალდებულოდ იქნას აღიარებული ყველა ს.-დ-ის ბრძოლა პროფესიული კავშირების ეროვნული ნიშნის მიხედვით დანაწილების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

11. აღიარებულ იქნას, რომ სპბ-ის მუშების მიერ სადაზღვევო დაწესებულებებში (სრულიად რუსეთის სადაზღვევო საბჭო, დედაქალაქის საკრებულო და სხვ.) არჩეული წარმომადგენლობის წინააღმდეგ გაზეთში გამოსვლა და მოწოდებები — არ დაემორჩილონ მის მითითებებს და სხვ. — დ ა უ შ ვ ე ბ ე ლ ი ა. აღიარებულ იქნას, რომ ამ მუშათა წარმომადგენლობის მიერ მოწონებული დაზღვევის პროგრამა ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ა.

ჟურნალი «სტრახოვანიე რაბოჩიხ» [137], რომელიც კონკურენციას უწევს მუშათა სადაზღვევო წარმომადგენლობის ოფიციალურ ორგანოს («ვოპროსი სტრახოვანია»), — უნდა დაიხუროს.

12. კავკასიის ს.-დ-ებმა უნდა აღიარონ, რომ დაუშვებელია აგიტაცია რსდმპ პროგრამით უარყოფილი კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის სასარგებლოდ.

კავკასიის ს.-დ-ებმა ვალდებულება უნდა იკისრონ — არ დაარღვიონ ერთიანი ინტერნაციონალური ორგანიზაციის პრინციპი არც ერთ ქალაქში, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავიდნენ არც პოლიტიკურ და არც პროფესიულ ორგანიზაციაში მუშების ეროვნებათა მიხედვით დანაწილებაზე.

13. სახელმწიფო სათათბიროს ექვსმა დეპუტატმა (ჩხეიძის ფრაქცია), აგრეთვე დეპუტატმა ბურიანოვმა, უნდა აღიარონ ყველა ზემომოყვანილი პირობა.

ჩხეიძის ფრაქციამ სათათბიროს ტრიბუნიდან უნდა განაცხადოს, რომ, რუსეთის ს.-დ-ების პროგრამის შესაბამისად, იგი ხ ე ლ ს ი ღ ებ ს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» (და მისი ფსევდონიმის: «დაწესებულებათა» და სხვ.) აღიარებაზე.

ჩხეიძის ფრაქციამ უნდა აღიაროს 1912 წ. იანვრის კონფერენციაზე არჩეული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, ამ ფრაქციისათვის ყველა პარტიული გა-

დაწყვეტილების სავალდებულობა, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის veto-ს * უფლება.

ასეთია ის პირობები, რომელთა ნიადაგზეც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი შესაძლებლად თვლის ერთიანობის განხორციელებას და კისრულობს ერთიანობის სასარგებლოდ კამპანიის დაწყებას. ლიკვიდატორების იმ ჯგუფთან, რომელიც «ნაშა ზარიას» და «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» სცემს, ამ ჯგუფის **ახლანდელი** ტაქტიკის დროს, ჩვენ აბსოლუტურად შეუძლებლად მიგვაჩნია რაიმე მოლაპარაკება და ურთიერთობა. ხოლო ყველა დანარჩენი ჯგუფი, მიმდინარეობა, ფრაქცია და დაწესებულება, რომლებიც ლიკვიდატორებს იცავენ, ან მათთან ერთიანობას თუ კომპრომისს ქადაგებენ, ჩვენ, რუსეთის მუშათა მოძრაობაში პოლიტიკური რეალობის თვალსაზრისით, ფიქციად მიგვაჩნია.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ რუსეთის მუშათა კლასის მოტყუება ლიტონი სიტყვებითა და დაპირებებით ლიკვიდატორების ჯგუფთან ერთიანობის შესაძლებლობისა და სიადვილის შესახებ — ეს ნიშნავს მეტად ცუდი სამსახური გაუწიო საქმეს და ფრაზები რეალობად გაასაღო.

ამიტომ ჩვენ შემდეგს პრაქტიკულ წინადადებას ვაყენებთ.

ჩვენს პარტიაში უკვე ერთი წელიწადია დასმულია პარტიის კონგრესის მოწვევის საკითხი. ამის შესახებ გამოქვეყნებულია რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან 1913 წ. ზაფხულში გამართული თათბირის რეზოლუციებში. ამჟამად კონგრესის მოწვევის ეს გეგმა უკვე უახლოვდება განხორციელებას. ალბათ, უახლოეს მომავალში, მაშინვე ვენის კონგრესის შემდეგ ანდა მის დროსაც კი, შესდგება ჩვენი პარტიის კონგრესი [138]. რა თქმა უნდა, ჩვენ ვთხოვთ ამხანაგებს — არ წერონ და არ ილაპარაკონ ამაზე. თუ დაპატიმრებანი დიდი იქნა, შესაძლებელია კონგრესის ნაცვლად კონფერენცია შესდგეს.

---

* — ვეტო — ვუკრძალავ; ამ შემთხვევაში — ცენტრალური კომიტეტის უფლება — აკრძალოს რომელიმე გადაწყვეტილება. რ ე დ.

და აი, უარს ვამბობთ რა ყოველგვარი ნაბიჯის გადადგმაზე ლიკვიდატორების ჯგუფისა თუ მისი დამცველების მიმართ **მანამდე, ვიდრე არ შესრულებულა ზემოჩამოთვლილი პირობები,** ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველა ჯგუფს, მიმდინარეობას, ფრაქციას, რომლებსაც — ჩვენგან განსხვავებით — შესაძლებლად მიაჩნიათ ერთიანობა ან ზავი ანდა კომპრომისი ლიკვიდატორების ახლანდელ ჯგუფთან მისი ახლანდელი ტაქტიკის დროს, ისე, როგორიც ის არის, — ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველა ამ ჯგუფს — ისარგებლონ ვენის კონგრესით ჩვენი პირობების ფორმალურად ერთად განხილვის მოსაწყობად.

დაე ისინი, ვინც ლიკვიდატორებთან ზავს ან კომპრომისს ქადაგებს, ნუ დაკმაყოფილდებიან ქადაგებით, და **საქმით** დაამტკიცონ ახლანდელ ლიკვიდატორებთან ერთიანობის შესაძლებლობა.

ჩვენ კი, ჩვენი მხრით, ძალიან მოხარული ვიქნებით, თუ შეგვეძლება რუსეთის მუშების $^4/_5$-ის წარმომადგენლებს ვაცნობოთ ჩვენი პარტიის კონგრესზე ან კონფერენციაზე შედეგები ლიკვიდატორების დამცველი ყველა ჯგუფის თათბირისა ლიკვიდატორების ჯგუფთან.

14. დასასრულ, მე უნდა შევეხო კიდევ ერთ პუნქტს, რომელიც მეტად არასასიამოვნოა, მაგრამ რომლის აცილება არ შეიძლება რუსეთში ს.-დ. ერთიანობის საკითხის შესახებ აზრთა ლოიალური და გულწრფელი გაცვლა-გამოცვლის დროს.

აი რაშია საქმე.

ჩვენი მოწინააღმდეგენი, ლიკვიდატორები, გააფთრებულს პირადი ხასიათის კამპანიას ეწევიან თავიანთ პრესაში ჩვენი პარტიის რამდენიმე წევრის წინააღმდეგ, ბრალს სდებენ მათ საჯაროდ და მასების წინაშე მთელ რიგ უსინდისო, უგვანო და სისხლის სამართლის საქციელში, ანდა თავიანთ გაზეთში ათავსებენ «ხმებს» ასეთ საქციელთა შესახებ. ჩვენი პარტიის პრესა უპასუხებს ასეთ თავდასხმებზე და ლიკვიდატორებს —

განსაკუთრებით მათს ორ ლიდერს, დანსა და მარტოვს — ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით პირდაპირ, გარკვეულად უწოდებს ცილისმწამებლებს.

ძნელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რა დეზორგანიზაცია და დემორალიზაცია შეაქვს მასებში ლიკვიდატორების ასეთ «კამპანიას», რომელზეც ჩვენ ვუპასუხეთ და ყოველთვის ვუპასუხებთ პრინციპის მიხედვით: «à corsaire — corsaire et demi» *. მოკლედ მივუთითებთ ოთხ მაგალითზე:

1) 1911 წელს ლ. მარტოვმა პარიზში გამოაქვეყნა ბროშურა «მხსნელნი თუ გამაუქმებელნი», რომელიც უმთავრესად შეიცავდა ლენინისათვის უპატიოსნო და სისხლის სამართლის მოქმედების დაბრალებას. მარტოვმა ამ ბროშურის გერმანული თარგმანი მიაწოდა კაუცკის, რომელიც იმ დროს მედიატორედ იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ სადავო საკითხზე. კაუცკიმ ლუნაჩარსკისადმი («ვპერიოდის» ჯგუფი) მიწერილ წერილში მარტოვის ამ ბროშურას «საზიზღარი» უწოდა, და ეს შეფასება რუსეთის ს.-დ. პრესაში გამოაქვეყნა პლეხანოვმა. ამჟამად ლიკვიდატორების გაზეთი შესდგომია, ნართაული სიტყვებით, რუსი საზოგადოებისათვის ამ ბროშურის შინაარსის თანდათანობით გადმოცემას.

2) 1913 წლიდან მოყოლებული დღემდე ლიკვიდატორების გაზეთი საჯაროდ ბრალს სდებს უპატიოსნობაში ჩვენი პარტიის წევრს დანსკის, სადაზღვევო დაწესებულებათა მუშაკს. ბრალდების საბაბია დანსკის სამსახური მეპატრონის, სამეწარმეო ორგანიზაციაში, სამსახური ბურჟუაზიასთან. ჩვენმა პარტიამ მთელ რიგ დაწესებულებათა სახით («პრავდის» და ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» რედაქცია, სახ. საათბიროს რუსეთის ს.-დ. მუშათა ფრაქცია, რამდენიმე პროფესიული კავშირი და სხვ.) განიხილა ეს ბრალდებანი და აღიარა, რომ დანსკი თანდათან გადადიოდა მეპატრონეებთან სამსახურიდან მუშათა მოძრაობის სამსახურში, ჯერ იყო რა «პრავდის» ანონიმური თანამშრომელი. როცა დანსკი საბოლოოდ შე-

* თავისუფალი თარგმანი: «მოვიდა სეტყვა — დახვდა ქვა». რ ე დ.

მოვიდა ჩვენს პარტიაში, დანსკის წინადადება მიეცა, ჩვენი პარტიის რეზოლუციების შესასრულებლად, სულ დაენებებინა თავი მეპატრონის ორგანიზაციისათვის. დანსკიმ ეს შეასრულა, სამსახურს თავი დაანება. ცენტრალური კომიტეტის სახელით მე ვიმეორებ, რომ ჩვენი პარტია მას პატიოსან ამხანაგად თვლის და არავის მისცემს ნებას — დაუსჯელად შეეხონ მის პატიოსნებას. ჩვენი პრესა ბრალს სდებდა ლიკვიდატორებს დანსკის მიმართ ცილისწამებაში და მიუთითებდა, რომ ამ შემთხვევაში ლიკვიდატორები განსაკუთრებით არაკეთილსინდისიერნი არიან, ვინაიდან თვით მარტოვი მუდმივ თანამშრომლობს ბურჟუაზიულ გაზეთში სხვა ფსევდონიმით (აქ მე ვაქვეყნებ ფაქტს სრულად: ე გ ო რ ო ვ ი «კიევსკაია მისლში»), ხოლო ლიკვიდატორული გაზეთის უახლოეს თანამშრომელთაგან მეპატრონეთა კავშირში მსახურობდა ე ჟ ო ვ ი, მსახურობდა თუ მსახურობს ე რ მ ა ნ ს კ ი.

3) სათათბიროს წევრი მალინოვსკი უეცრად, მიზეზების განუმარტავად, გავიდა სათათბიროდან, მოიხსნა თავისი უფლებამოსილება. ჩვენმა მუშებმა შეკრიბეს ადგილობრივი და ცენტრალური ხელმძღვანელი დაწესებულებანი და მალინოვსკის პარტიიდან გარიცხვა მიუსაჯეს საბრძოლო პოსტიდან დეზორგანიზატორული, დეზერტირული, აუხსნელი წასვლის გამო, რაც წინასწარ არ ყოფილა კოლეგიაში განხილული. მაშინ ლიკვიდატორების გაზეთი შეუდგა ანონიმური ხმების ბეჭდვას მალინოვსკის პროვოკატორობაზე და მოითხოვდა მათს საფრაქციათაშორისო გამოძიებას. ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ის პასუხისმგებლობას კისრულობს მალინოვსკისათვის, შეამოწმა ხმები და დარწმუნებულია დანისა და მარტოვის უსინდისო ცილისწამებაში. ცენტრალური კომიტეტი არ სთანხმდება არავითარ საერთო კომისიას ლიკვიდატორებთან და, მოსკოვის 10 პროფესიული კავშირის წარმომადგენლებთან ერთად, ბრალს სდებს ცილისწამებაში იმ ადამიანებს, რომლებიც ბეჭდავენ პრესაში პროვოკაციის შესახებ ანონიმური **«ხმების»** გავრცელე-

ბას, ნაცვლად იმისა, რომ ორგანიზაციული გზით მიაწოდონ ეს ხმები ან ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს, **ან თავიანთ** ცენტრალურ კომიტეტს («საორგ. კომიტეტს»), ბუნდს და იმ ჯგუფების კოლექტივებს, რომლებიც ენდობიან ლიკვიდატორებს, **კოლეგიებისა** და პასუხისმგებელი დაწესებულებების მიერ ამ ხმების გასარჩევად. ბურცევმა განაცხადა, რომ მას ხმებისა არა სჯერა რა. ჩვენი ცენტრალური კომიტეტის საგამომძიებლო კომისიამ განაცხადა, რომ გამოაქვეყნებს ცნობებს ამ ხმების გამავრცელებლებზე. მე მხოლოდ ის შემიძლია დავუმატო, რომ ამ ხმების გამავრცელებლები არიან ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ე ბ ი.

4) ამ დღეებში ლიკვიდატორულმა გაზეთმა დაბეჭდა II სათათბიროს ყოფილი დეპუტატის ალექსინსკის ღია წერილი, რომელიც ჩვენი პარტიის წევრს, კატორღაში ნამყოფ ამხანაგ ანტონოვს ბრალს სდებს გამცემლობაში. ამავე დროს ამხანაგ ანტონოვის ყოფაქცევა უმწიკვლოდ არის ცნობილი როგორც მის ამხანაგ კატორღელთა სპეციალური კომისიის მიერ, ისე პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 1907 — 1908 წელს, ფინეთში, როცა ცენტრალურ კომიტეტში შედიოდნენ მენშევიკებიც (ე. ი. ახლანდელი ლიკვიდატორები) და ყველა «ნაციონალური ორგანიზაციაც». ჩვენი პრესის პასუხი უდრის ისევ დანისა და მარტოვის მიმართ ბრალდებას ცილისწამების გავრცელებაში.

ცენტრალური კომიტეტის დავალებით მე, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, უნდა შემოვიტანო ამის გამო პრაქტიკული წინადადება. ლიკვიდატორების ფანდებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც პარტიიდან გარიცხული ადამიანების თავისებურ ხერხს პოლიტიკურ ბრძოლაში. ამიტომ ჩვენ მორალური სენტენციებით საქმის «გამოსწორების» იმედი არა გვაქვს. მაგრამ როდესაც ლიკვიდატორების მფარველი დაწესებულებანი (მაგალითად, «საორგ. კომიტეტი» და ბუნდი, აგრეთვე ტროცკი), ასევე მრავალრიცხოვანი საზღვარგარეთული ჯგუფები (მათ შორის პლეხანოვი) ამ ლიკვიდატორებთან

«ერთიანობაზე» გველაპარაკებიან, ჩვენ, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, შემდეგი წინადადებით მივმართავთ მათ:

დაე აშკარად და საჯაროდ, მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადონ მათ, იწონებენ თუ არ იწონებენ ისინი ლიკვიდატორების «კამპანიას» ყველა აღნიშნული 4 პუნქტის გამო (რომელთაც, დარწმუნებულნი ვართ, ლიკვიდატორები კიდევ მიუმატებენ 44-ს).

თუ არ იწონებენ, დაე ეს იცოდნენ რუსეთის მუშებმა.

თუ იწონებენ, დაე **ყველა** იმ ჯგუფმა, რომლებიც ლიკვიდატორებთან «ერთიანობას», ან კომპრომისს გვთავაზობენ, აირჩიონ საერთო კომისია და შეადგინონ დასაბუთებული, საქმიანი, აშკარა ბრალდება ჩვენი პარტიის გარკვეული წევრებისადმი უპატიოსნო მოქმედებაში. ამ ბრალდებას ჩვენ წარვუდგენთ ჩვენი პარტიის კონგრესს, წინადადებას მივცემთ ლიკვიდატორების დამცველი ყველა ჯგუფის კომისიის წარმომადგენლებს — გამოცხადდნენ ჩვენს კონგრესზე და წარმოადგინონ თავიანთი დამამტკიცებელი საბუთები.

ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს განვაცხადოთ, რომ, თუ ასე არ მოიქცევიან, ჩვენს პარტიაში განმტკიცდება უკვე ამჟამად მის რიგებში გამოთქმული აზრი, რომ ყველა ის ჯგუფი, რომელიც ლიკვიდატორებთან «ერთიანობას» იცავს, **ფარულად** მხარს უჭერს ცილისმწამებლებს.

რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობის სახელით ჩვენ დავიცავთ ჩვენი პარტიის ორგანიზაციას დეზორგანიზატორებისაგან, და ჩვენ არა ვცნობთ სხვა დაცვას, გარდა ჩვენს მიერ გამოყენებულისა და ზემოთ აღნიშნულისა (თუ არაფერს ვიტყვით ბურჟუაზიულ სასამართლოზე, რომელსაც მივმართავთ პირველი შესაძლებლობისთანავე).

მე დავამთავრე მოხსენება, რომლის გაკეთებაც დავალებული მაქვს რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. ნებას მივცემ ჩემს თავს შევაჯამო ის ორ მოკლე თეზისში:

ფორმალურად მდგომარეობა ასეთია. 1912 წლის იანვრის კონფერენციაზე აღდგენილმა ჩვენმა პარტიამ, მიუხედავად ლიკვიდატორთა ჯგუფის წინააღმდეგობისა, გარიცხა ისინი პარტიიდან. ამის **შემდეგ,** 2 ½ წლის მოძრაობის შემდეგ, რუსეთის შეგნებული მუშების უდიდესმა უმრავლესობამ მოიწონა ჩვენი პარტიული ხაზი. ამიტომ ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს — წინანდელზე კიდევ უფრო მტკიცედ ვიყოთ დარწმუნებულნი ჩვენი ხაზის სისწორეში **და ჩვენ ამ ხაზს არ გადავუხვევთ.** თუ ლიკვიდატორებს და მათ დამცველ ჯგუფებს სურთ, რომ ჩვენ გავაუქმოთ პარტიიდან ლიკვიდატორების გარიცხვის რეზოლუცია, ჩვენი ცენტრალური კომიტეტი მზადაა ჩვენი პარტიის კონგრესზე შეიტანოს სათანადო წინადადება და დაიცვას ის **მხოლოდ და მხოლოდ** ჩემს მიერ ჩამოთვლილი პირობებით.

მატერიალურად, ე. ი. არსებითად, მდგომარეობა ასეთია. რუსეთი განიცდის ბურჟუაზიულ რევოლუციათა ეპოქას, როცა ინტელიგენტთა მერყეევი პაწაწა ჯგუფები ზოგჯერ თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებად თვლიან ან მხარს უჭერენ იმ ოპორტუნისტულ მიმდინარეობას ს.-დ. შიგნით, რომელსაც ჩვენი პარტია 20 წელია ებრძვის («ეკონომიზმი» 1895 — 1902 წწ.; «მენშევიზმი» 1903 — 1908 წწ. და «ლიკვიდატორობა» 1908 — 1914 წწ.). ლიკვიდატორების აგვისტოს (1912) ბლოკის გამოცდილებამ და მისმა დაშლამ გვიჩვენა, რომ თვითონ ლიკვიდატორებს და მათს დამცველებს აბსოლუტურად არ შესწევთ არც რაიმე პარტიის, არც ორგანიზაციის შექმნის უნარი. მხოლოდ ამ ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში ყალიბდება და შეიძლება ჩამოყალიბდეს რუსეთის ნამდვილად მუშური სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც უკვე ახლა, მიუხედავად გიგანტური სიძნელეებისა, აერთიანებს შეგნებული მუშების $^{8}/_{10}$-ს (თუ მხოლოდ ს.-დ-ებს შორის ვიანგარიშებთ) ან $^{7}/_{10}$-ს (თუ ვიანგარიშებთ როგორც ს.-დ-ებს, ისე ს.-რ-ებს).

საინსტრუქციო მითითებანი

I. შენიშვნები PRIVÉES *

იმ საკითხისათვის, თუ რა დამოკიდებულება აქვს «ერთიანობასთან» მონაცემებს რუსეთის მუშების უმრავლესობისა თუ უმცირესობის შესახებ, პრავდისტებს რომ მიჰყვებიან, უფრო სწორად, პრავდისტებს რომ წარმოადგენენ, საჭიროა აღინიშნოს:

1. თუ განსაზღვრული პარტია ან ჯგუფი გარკვეულად და ზუსტად აყენებს ისეთ პროგრამას ან ტაქტიკას, რომელსაც ჩვენი პარტია პრინციპულად ვერ დაეთანხმება, მაშინ საკითხს უმრავლესობის შესახებ, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, ს.-რ. პარტიას (მემარცხენე ნაროდნიკები), რომელიც ჩვენი პარტიისაგან განსხვავდება პროგრამითაც და ტაქტიკითაც, თავის მხარეზე რუსეთის მუშების უმრავლესობა რომ ჰყოლოდა, ეს ჩვენ სრულიადაც არ გვაიძულებდა გადაგვეხვია ჩვენი ხაზისაგან. იგივე შეეხება «იატაკქვეშეთის» (= არალეგალური პარტიის) პირდაპირ და გარკვეულ უარმყოფელებს თანამედროვე რუსეთში.

მაგრამ ს.-დ. ზოგიერთი ჯგუფი და ლიკვიდატორების ნაწილი ამტკიცებენ, რომ მათ ჩვენთან შეურიგებელი პრინციპული უთანხმოება არა აქვთ. ჩვენ იძულებული ვართ ასეთ ჯგუფებსა და პირებს მივუთითოთ მათს არათანამიმდევრობაზე, თუ ისინი უარს ამბობენ დაემორჩილონ უმრავლესობას.

---

* — კერძო. რ ე დ.

2. ჩვენი ტაქტიკური და ორგანიზაციული ხაზის სისწორეში უწინარეს ყოვლისა დაგვარწმუნა იმან, რომ ჩვენ მრავალი წელია ვიცნობთ რუსეთის მუშათა ს.-დ. მოძრაობას და ვმონაწილეობთ მასში, დაგვარწმუნა აგრეთვე ჩვენმა თეორიულმა, მარქსისტულმა, შეხედულებებმა. მაგრამ ჩვენ იმ აზრს ვადგავართ, რომ **მასობრივი** მუშათა მოძრაობის პრაქტიკა არავითარ შემთხვევაში არ არის უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე თეორია, და რომ მხოლოდ ამ პრაქტიკის საშუალებით შეიძლება სერიოზულად **შემოწმდეს** ჩვენი პრინციპები. «თეორია, ჩემო მეგობარო, უფერულია, მწვანეა მხოლოდ ცხოვრების მარადიული ხე» (ფაუსტი). ამიტომ ის ფაქტი, რომ ლიკვიდატორობასთან და მის მოკავშირეებთან 2½ წლის ბრძოლის შემდეგ შეგნებული მუშების ⁴/₅ «პრავდიზმს» ემხრობა, — ეს ფაქტი გვიძლიერებს ჩვენი ხაზის სისწორის რწმენას და ურყევს ხდის ამ რწმენას.

3. ჩვენში, რუსეთში, თითქმის ყოველი ჯგუფი ან «ფრაქცია» (ძველი სახელწოდებით) იმაში სდებს ბრალს ერთმანეთს, რომ ის მუშური კი ა რ ა, ბურჟუაზიულ-ინტელიგენტურია. ჩვენ ეს ბრალდება ან, უფრო სწორად, ეს მოსაზრება, ეს მითითება ამა თუ იმ ჯგუფის სოციალურ მნიშვნელობაზე, **პრინციპულად მეტად მნიშვნელოვნად** მიგვაჩნია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ის მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს ლიტონი სიტყვებით კი არ წამოვისროლოთ **ჩვენი** მითითება სხვა ჯგუფების სოციალურ მნიშვნელობაზე, არამედ **ობიექტური** ფაქტებით დავადასტუროთ ჩვენი მითითება. ვინაიდან ობიექტური ფაქტები ურყევად და უდავოდ ამტკიცებენ, რომ რუსეთში **მხოლოდ** პრავდიზმია **მუშური** მიმართულება, ლიკვიდატორობა და ესერობა კი **საქმით** ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური მიმართულებებია.

II. შენიშვნები PRIVÉES

თუ შეეცდებიან (სულ ერთია, საერთაშ. სოც. ბიუროს წევრთაგანი იქნება ეს თუ ვინმე მოწინააღმდეგეთაგანი) «აიცილონ» ან უ კ ა ნ დ ა ა ყ ე ნ ო ნ მონაცემები ჩვენი

უმრავლესობის შესახებ, ობიექტური მონაცემები, მაშინ აუ-ცილებლად უნდა მოვითხოვოთ სიტყვა მთელი დელეგაციის სახელით ფორმალური განცხადებისათვის ასეთი შინაარსის ფორმალური პროტესტის გამოსათქმელად:

ჩვენ კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებთ იმ განცხადე-ბის (ან ცდის, მითითების და სხვ.) წინააღმდეგ, თითქოს ჩვე-ნი ობიექტური მონაცემები, თუ ვის მიჰყვება რუსეთის შეგ-ნებული მუშების უდიდესი უმრავლესობა, არ შეიძლება გან-ხილულ იქნას აღმასრულებელ კომიტეტში, როგორც მის მიერ შეუმოწმებელი (ან როგორც ისეთი, რომელიც არ ეხე-ბა ერთიანობის საკითხს). პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი ინტერნაციონალის უეჭველი ინტერესი და საერთაშ. სოც. ბიუროს რეზოლუციაში (1913 წ. დეკემბერი) ნათლად გამოხატული ნება-სურვილი საერთაშ. სოც. ბიუროსი მდგომა-რეობს იმაში, რომ მიღებულ იქნას უაღრესად სრული, ზუს-ტი და დასაბუთებული ინფორმაცია რუსეთის მუშათა მოძ-რაობის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, რომ-ლებმაც იცოდნენ საერთაშ. სოც. ბიუროს დეკემბრის გადა-წყვეტილება, არ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა, — მათ დღემდე დამოუკიდებლად არ შეუკრებიათ ობიექტური მონა-ცემები რუსეთის მუშათა მოძრაობის შესახებ.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ რუსეთში ამხ. ვანდერველდის წარმატებული მგზავრობის შემდეგ სრულიად უეჭველია, რომ საერთაშ. სოც. ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს შეეძლო ამხ. ვანდერველდის მეშვეობით სავსებით ლეგალუ-რად მიემართა ღია წერილით რუსეთის ყველა მუშური (ან ისეთების, რომელთაც სურთ მუშური გაზეთები იყვნენ) გაზეთის ყველა რედაქციისათვის და რუსეთის მუშების ყვე-ლა ლეგალური საზოგადოების გამგეობათა ყველა წევრი-სათვის, რათა უშუალო წყაროებიდან შეეგროვებინა ცნობები, თუ როგორ ნაწილდებიან რუსეთის შეგნებული მუშები პრავდისტებად, ლიკვიდატორებად, ესერებად (მემარც-ხენე ნაროდნიკებად) და სხვა მიმართულებებად.

ასეთი ობიექტური ცნობების უქონლად ცალკეულ «ჯგუფთა» წარმომადგენლების სუბიექტურ განცხადებებს აბსოლუტურად არავითარი ღირებულება არა აქვთ.

III. არა მოხსენებისათვის

ლატვიელთა ყრილობაზე ლიკვიდატორების ზოგიერთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი განცხადებისა და პრესის გადაკრული სიტყვების მიხედვით თუ განვსჯით, მათი მხრით «გამაერთიანებელი» მოტყუების ერთ-ერთ გეგმას წარმოადგენს «საერთო ყრილობის» პროექტი.

ეს პროექტი, რომლითაც, აშკარაა, იმედოვნებენ ადვილად მიმნდობი უცხოელების მიმხრობას, დაახლოებით შემდეგში მდგომარეობს: ეწყობა ან საერთო ყრილობის მომწვევი «ფედერაციული» საორგანიზაციო კომიტეტი, ანდა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს «შეავსებენ» რომელიმე ლიკვიდატორული ორგანიზაციის წარმომადგენლებით საერთო ყრილობის მოსაწვევად.

ეს გეგმა, რა სახისაც უნდა იყოს იგი, ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია, და თუ იგი, ასე თუ ისე, ამოტივტივდება ბრიუსელის «კონფერენციაზე», ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ უნდა განაცხადოს:

რაიმე ნაბიჯის გადადგმა საერთო ყრილობისა თუ ფედერაციისაკენ ან თუნდაც სულ მცირედი დაახლოებისაკენ ჩვენ აბსოლუტურად არ შეგვიძლია მანამდე, ვიდრე ლიკვიდატორების ჯგუფი არ დაკმაყოფილებს ჩვენს მიერ წამოყენებულ პირობებს. ვინაიდან სხვაგვარად, თუ არ მათ მიერ პირობათა შესრულების **შემდეგ**, შეუძლებელია ჩვენი მხრივ სულ მცირეოდენი ნდობის გამოცხადებაც კი ლიკვიდატორების ჯგუფისათვის, რომელიც გარიცხულია პარტიიდან და თავის გაზეთში ყოველდღიურად განაგრძობს დეზორგანიზატორულ მუშაობას.

ჩვენი მხრივ ამ ჯგუფისათვის ნდობის გამოცხადება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ **წაგვეხალისებინა** იგი — განეგრძო თავისი დეზორგანიზატორული მუშაობა. ჩვენ კი,

ჩვენი ყრილობების, თათბირებისა და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მოვითხოვთ ლიკვიდატორების ასეთი მოქმედების **შეწყვეტას**, როგორც «ზავის» conditio sine qua non-ს *.

ლიკვიდატორების დაფარვა იმ ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფორმალურად არ არიან გარიცხულნი პარტიიდან (მაგალითად, ბუნდი ან კავკასიის საოლქო ბიურო ანდა დეპუტატების «ექვსეული» და სხვ.), აბსოლუტურად არ ცვლის საქმეს. რუსული მუშაობის თვალსაზრისით, რუსეთში არსებითი და რეალურია **მხოლოდ** ერთი რამ, სახელდობრ: ლიკვიდატორების მხოლოდ ეს ჯგუფი თავისი გაზეთითურთ, რომელიც მოუწოდებს უმრავლესობის ნების დარღვევისაკენ.

დაე ბუნდმა, ჩხეიძის დეპუტატების «ექვსეულმა» და სხვ., ან კავკასიის საოლქო კომიტეტმა, ან ტროცკიმ, ანდა საორგ. კომიტეტმა, ან ვინც გნებავთ, თუ მათ ჩვენთან დაახლოება სურთ, ჯერ **მიაღწიონ** ლიკვიდატორების ჯგუფის მიერ ჩვენი პირობების მიღებას ანდა გადაჭრით დაგმონ ეს ჯგუფი და კავშირი გაწყვიტონ მასთან. უამისოდ ლაპარაკიც შეუძლებელია **სულ მცირეოდენი** ნაბიჯების გადადგმაზეც კი ლიკვიდატორების ჯგუფისადმი ჩვენი ნდობის გამოსახატავად.

დაე ისინი, ვისაც ნამდვილად სურს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთიანობა, ნუ მიეცემიან ილუზიას და ნუ მიენდობიან სუბიექტურ დარწმუნებებს, დაპირებებს და სხვ.. არსებობს ერთი და მხოლოდ ერთი გზა ერთიანობისაკენ: ვაიძულოთ უმცირესობა, რომელიც გასულია არალეგალური პარტიიდან, დეზორგანიზაცია შეაქვს ამ პარტიაში და არღვევს უმრავლესობის მუშაობასა და ნება-სურვილს, კავშირი გაწყვიტოს თავის პრაქტიკასთან და **საქმით დაამტკიცოს** უმრავლესობის ნების პატივისცემის სურვილი.

ხოლო ლიკვიდატორთა ჯგუფის ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, წახალისება მის **ახლანდელ** მოქმედებაში,

* — სავალდებულო პირობას. რ ე დ.

ანდა მისთვის «ფედერაციის» ან «შერიგების» ან «საერთო ყრილობის» ან ამ ჯგუფთან «დაახლოების» და სხვ. იმედის შთანერგვა, **ვიდრე** მას არ შეუწყვეტია თავისი ახლანდელი მოქმედება და **საქმით** არ გადასულა უმრავლესობის ნება-სურვილისადმი დამორჩილებაზე, არაფერს არ მოგვცემს. რუსეთის ს.-დ. მუშების პარტია, რომელმაც შეგნებული მუშების 4/5 გააერთიანა, არავის **არ მისცემს** მისი ნება-სურვილის ჩაშლის **ნებას**.

დაე იმ ჯგუფებმა თუ დაწესებულებებმა, რომლებიც თავიანთ თავსაც «არწმუნებენ» და სხვებსაც — ლიკვიდატორები არც ისე ცუდნი არიანო (ბუნდი, საორგ. კომიტეტი, კავკასიის საოლქო კომიტეტი), გაიგონ, რომ ჩვენთვის საჭიროა არა სიტყვები, არამედ საქმეები. დაე **მათ**, თუ ლიკვიდატორებს ენდობიან, მოაწყონ **თავიანთი** ყრილობა მათთან ერთად, წარუდგინონ ამ ყრილობას **ჩვენი** პირობები, მიაღწიონ სასურველ პასუხს და საქმით ამ პირობების შესრულებას ლიკვიდატორების მხრივ. ჩვენ შევხედავთ შედეგებს, ჩვენ დავუცდით **საქმეებს**, დაპირებებისა კი ჩვენ არა გვჯერა რა.

საქმით ჩვენი პირობების შესრულების შემდეგ და **მხოლოდ** ამის შემდეგ არის შესაძლებელი საერთო ყრილობა და მისკენ ნაბიჯების გადადგმა.

ამხანაგი საზღვარგარეთელი სოციალისტები ზოგჯერ განსაკუთრებით სასტიკად ცდებიან, როცა ფიქრობენ დაეხმარონ ერთიანობას და ამ მიზნით ლიკვიდატორებს იმის იმედს უნერგავენ, რომ ჩვენ მათთან ერთად მუშაობას დავიწყებთ ლიკვიდატორების მიერ თავიანთი მოქმედების სრულად და რადიკალურად **შეუცვლელად**, უმრავლესობის ნება-სურვილისადმი მათ **დაუმორჩილებლად**. არა ერთიანობისათვის ხელის შეწყობა, არამედ გამთიშველებისათვის დახმარების გაწევა — აი ობიექტურად რას უდრის ასეთი ტაქტიკა.

ჩვენი პირობები არის ჩვენი «**pacte d'unité**»-ს (ერთიანობის ხელშეკრულების) პროექტი, და ვიდრე ლიკვიდატორებს ხელი არ მოუწერიათ ამ ხელშეკრულებაზე, ვიდრე საქმით

არ შეუსრულებიათ იგი, მანამდე ლაპარაკიც კი შეუძლებელია დაახლოებისაკენ რაიმე ნაბიჯების გადადგმაზე.

IV

4. IV. 1914-ის დემონსტრაციის საკითხისათვის *. 1) მე გამოვიწერე კიდევ პიტერიდან (პოპოვის სახელზე) «სტოიკაია მისლის» (ს.-რ.) № 18 და ბურჟუაზიული გაზეთები 4 — 5. IV. 1914. თუ მოგვივა, უნდა გამოვიყენოთ მოხსენების დოკუმენტების შესავსებად.

ჩვენ **არ** ვამტკიცებთ, თითქოს ლიკვიდატორებს არასოდეს **არ** გამოეშვათ ფურცლები. მათ ჰქონდათ **1913** წ. მაისის ფურცელი (ვენისა), — 1914 წელს, როგორც **პიტერელები ამბობენ**, არ ჰქონიათ. ამბობენ, ჰქონიათ ერთი — გაფიცვების შესახებ.

მაგრამ არალეგალური მუშაობის ჩაშლის **ერთ-ერთი** ტიპიური შემთხვევაა 4. IV. 1914.

თუ პლეხანოვი ან რუბანოვიჩი მოისურვებენ განაცხადონ, ხმას ვაძლევთ თუ არა ჩვენ მათი დასწრების ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ? მე ვუპასუხებდი: «ჩვენ ხმას მივცემდით წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ვინაიდან რუბანოვიჩი არ არის ს.-დ., ხოლო პლეხანოვი რ უ ს ე თ შ ი ა რ ა ფ ე რ ს ა რ წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს. მ ა გ რ ა მ, რადგან ჩვენს მოხსენებაში არის პირდაპირი თავდასხმა პლეხანოვის ჯგუფსა და რუბანოვიჩის მიმართულებაზე, ამიტომ ჩვენ არ გვინდა .წინააღმდეგ მივცეთ ხმა და თ ა ვ ს ვ ი კ ა ვ ე ბ თ».

გარანტიები უმცირესობისათვისო? შეგვეკითხებიან.

«არა, არც პარტიიდან გარიცხულ ლიკვიდატორთა ჯგუფთან, არც ამ ჯგუფის გამო, ჩვენ არავითარ გარანტიებზე არა

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 631 — 635. რ ე დ.

გვსურს ლაპარაკი. ჩვენ თვითონ მოვითხოვთ გარანტიებს ლიკვიდატორებისა და მათი მეგობრებისაგან».

N. B. *: ჩვენი პირობების საერთო ხასიათია ბრძოლა **ძველისაგან** განდგომის, **ა ხ ა ლ ი პ ა რ ტ ი ი ს ა კ ე ნ შ ე ბ რ უ ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.** **Nous ne marchons pas!** ** შეადარე აქსელროდი «პარტიული რეფორმის ა ნ უ, **უფრო სწორად, პარტიული რევოლუციის შესახებ**» ***.

N. B. ||| ვინც ასე წერს, ის სასაცილოა, თუ გათიშვას უჩივის!!!

კანონიერია თუ არა «**რუსეთის** სდმპ» უნაციონალებოდ?

კანონიერია, ვინაიდან ის იყო **რუსეთის** პარტია 1898 წლიდან 1903 წლამდე პოლონელებისა და ლატვიელების გარეშე, 1903 წლიდან 1906 წლამდე პოლონელების, ლატვიელებისა და ბუნდის გარეშე!!

ნაციონალები ჩვენ არ გამოგვირიცხავს, ისინი თვითონ წავიდნენ ლიკვიდატორების გამო. **Tant pis pour eux!!** ****

კონფერენციის ოქმების გამოქვეყნებისათვის მ თ ე ლ ი ძ ა ლ ღ ო ნ ი თ უნდა ვიბრძოლოთ, წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი პროტესტი შევიტანოთ უარის შემთხვევაში (თუ უარს გვეტყვიან საერთოდ, მოვითხოვოთ, რომ გამოქვეყნდეს ჩვენი რეზოლუციები — **ჩვენ სულ ერთია გამოვაქვეყნებთ** — და **კონტრრეზოლუციები** (ამასთან აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია ჩამოიცილოს «პიროვნებები»)).

ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს: ვაიძულოთ ლიკვიდატორები + + ბუნდი + **P.P.S.** + პლეხანოვი **ჩამოაყალიბონ** კონტრრეზო-

---

* — **Nota bene** — ყურადღება მიაქციეთ. რ ე დ.

** — ჩვენ თანახმანი არა ვართ! რ ე დ.

*** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 201 — 216. რ ე დ.

**** — მით უარესი მათთვის!! რ ე დ.

ლუციები და კონტრწინადადებანი. ჩვენ **არასგზით და არაფერს არ** ვთანხმდებით და მივდივართ, თან **ვპირდებით** ჩვენს კონგრესზე განსახილველად შევიტანოთ **ძვირფასი** ამხანაგების «კონტრწინადადებანი».

ყველაზე მნიშვნელოვანია (უმჯობესია პასუხში) ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ჩვენი «პირობები» **ძ ი რ ი თ ა დ ა დ** დ ი დ ი ხ ა ნ ი ა დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ა **მუშების მიერ.** ვუგზავნი პოპოვს «პრავდის» სათანადო ნომრებს.

მუშაობის როგორი წესრიგია სასურველი, ჩვენი თვალსაზრისით, ბრიუსელის კონფერენციისათვის?

ჯერ ყ ვ ე ლ ა ორგანიზაციისა და ჯგუფის მოხსენებანი, — რასაც საკმაო დრო დასჭირდება. შემდეგ მოკლე რეპლიკები, მათს შემდგომ კი **ყველა** ორგანიზაციისა და ჯგუფის მიერ **კონკრეტულ** წინადადებათა ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ ე ბ ა.

როდესაც კონფერენციის ყველა მონაწილენი ჩამოაყალიბებენ თავიანთ კონკრეტულ წინადადებებს, მაშინ დაე თვითეულმა გამოთქვას თავისი აზრი, შესაძლებლად მიაჩნია მას **ამ** წინადადებათა **საფუძველზე** შემდგომი ნაბიჯების გადადგმა დაახლოებისაკენ ანდა საუბრები დაახლოების შესახებ თუ იგი შესაძლებლად არ თვლის ამას და თავის ორგანიზაციას გადასცემს **ყველა** წინადადებას.

ცხადია, ჩვენდათავად ჩვენ **არავითარ შემთხვევაში არ მივიღებთ** ლიკვიდატორების, ბუნდის, როზას და პლეხანოვის (ასევე კაუცკისა და ვანდერველდის) წინადადებებს, ამასთან მათს წინადადებებს გადავცემთ ჩვენს კონგრესს ან კონფერენციას.

ჩვენი ამოცანა მხოლოდ ესაა — რაც შეიძლება ნათლად ვუთხრათ ჩვენი პირობები, **ჩავიწეროთ** «იმათი» პირობები და წამოვიდეთ.

ულტიმატურია თუ არა თქვენი პირობებიო, შეგვეკითხებიან ჩვენ? არა. ჯერ გავიგებთ, როგორ კონტრწინადადებებს წამოგვიყენებენ, და მაშინ ვუპასუხებთ, შესაძლებელია თუ

არა ჩვენთვის შემდგომი საუბარი ამ ნიადაგზე (დაველოდოთ ყველას, ვთხოვოთ ყველას — წამოაყენონ ყველა საკითხზე კონტრწინადადებანი და წამოვიდეთ. **Voilà notre programme!** *).

გამოიყოს თუ არა პოლონური საქმეები რუსული საქმეებისაგან? ვფიქრობ, რომ ჩვენ გამოყოფის წინააღმდეგნი უნდა ვიყოთ. მოვეთათბიროთ ჩვენს პოლონელს.

ცხადია, ყოველნაირად შეეცდებიან თავს დაგვესხან ჩვენი «საშინელი» მოთხოვნებისათვის. ჩვენ დამშვიდებით უნდა დავიმოწმოთ ჩვენი კონფერენციებისა და თათბირების რეზოლუციები და პიტერელთა, მოსკოველთა, კავკასიელთა და **etc.** ** რეზოლუციები ერთიანობის შესახებ. მათს კრებულს გამოვგზავნი. ჩვენ **ვაჯამებთ** ჩვენი ორგანიზაციების შეხედულებებს. არა სურთ ანგარიში გაუწიონ — როგორც ენებოთ. **Nous n'y pouvons rien** ***.

ლიკვიდატორული გაზეთის სიტყვების მიხედვით თუ განვსჯით, ვანდერველდს პიტერში ანკესი გადმოუგდია, ხომ არ დავთანხმდებით ჩვენ, რომ აღმასრულებელი კომიტეტი იყოს არა შუამავალი, არამედ **არბიტრი,** ე. ი. **საბოლოო** «მსაჯული» ჩვენი უთანხმოების საკითხში?

პასუხი ასეთია: როდესაც ბებელმა 1905 წელს ასეთი წინადადება წამოაყენა, ჩვენმა ყრილობამ უკუაგდო იგი, მადლობა უთხრა, მაგრამ განაცხადა — ჩვენ ავტონომიური პარტია ვართო [139]. ვფიქრობ, ჩვენი ყრილობა ახლაც ასეთ პასუხს გასცემს. (ყოველ შემთხვევაში, ასეთი აზრისაა ცენტრალური კომიტეტი).

«ცილისწამებითი» საქმეების გამო «ისინი», შესაძლოა, წინადადებას წამოაყენებენ — უკან წავიღოთ ყველა ბრალდება საერთოდ. უნდა ვთხოვოთ — კენჭი უყარონ! **ჩვენ წინააღმდეგნი ვართ.** მათს წინადადებას კი

* — ეი ჩვენი პროგრამა! რ ე დ.

** — **et cetera** — და ასე შემდეგ. რ ე დ.

*** — აქ ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ. რ ე დ.

განსახილველად წარვუდგენთ ჩვენს ყრილობას. (ისინი მაგრად ჩაეფლობიან ლაფში, თუ კი ასეთ წინადადებას წამოაყენებენ და გაატარებენ). [[ჩვენ ერთიმეორეს არ ვუთანაბრებთ ცილისწამების გამავრცელებელთა დანაშაულს და იმის ქცევას, ვინც ცილისმწამებელს ცილისმწამებელი უწოდა]].

საერთოდ უეჭველია, რომ «ისინი» სულ «საშუალო», «შემარიგებელი» ფორმულების ძიებაში იქნებიან. ჩვენ მივუთითებთ, რომ ეს ცდა ჩვენს მიმართ 1910 წ. იანვარში მოახდინეს, ხოლო ლატვიელების მიმართ — 1912 წ. აგვისტოში, და ჩვენ **მას არ გავიმეორებთ**. დაე კონფერენცია ორ აშკარა ბანაკად გაიყოს: იმათ ბანაკად, ვისაც შესაძლებლად მიაჩნია **ახლანდელ** ლიკვიდატორებთან დაახლოება, — და იმათ ბანაკად, ვინც დაახლოებას არ სთანხმდება ისე, თუ ლიკვიდატორებმა **რადიკალურად არ შეიცვალეს ტაქტიკა და მოქმედება**.

«შემარიგებელი» ფორმულები **რაც შეიძლება გულდასმით** უნდა **ჩავიწეროთ** (ეს არის მთავარი), შემდეგ ცოტაოდნად გავაკრიტიკოთ და — . — ყველა უკუვაგდოთ.

მუშების გამოხმაურება სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნაზე [140]

გასაგებია, რომ ლიკვიდატორების წინააღმდეგ ა შ კ ა რ ა ბრძოლა განსაკუთრებით ძლიერად და მკაფიოდ უნდა გაჩაღებულიყო სახ. სათათბიროში რუსეთის დამოუკიდებელი ს.-დ. მუშათა ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით. პარტიის ლიკვიდატორებისათვის (და მათი პირდაპირი და ფარული დამცველებისათვის) «ერთიანობაზე» ყვირილის უფრო მოხერხებულ და შესაფერის საბაბს ვერც კი წარმოიდგენდა ადამიანი. საკითხის ობივატელურად დასასმელად ყველაფერი თითქოს იმით ამოიწურება, სათათბიროში ერთ თუ ორ ჯგუფს სურს სოციალ-დემოკრატიული უწოდოს თავის თავს; იმაში გარკვევა კი, თუ ვის ნება-სურვილს ასრულებს ესა თუ ის ჯგუფი, სად არის შეგნებული და დარაზმული მუშების უმრავლესობის გადაწყვეტილებანი, რა არის «იატაკქვეშეთი», ობივატელს არ ძალუძს და კიდევაც ეშინია ამაში გარკვევისა.

ამიტომ, თუ ლიკვიდატორებს რომელიმე პუნქტში უზრუნველყოფილი ჰქონდათ თანაგრძნობა ობივატელებისა და ფილისტერებისა, რომლებსაც ფეხებზე ეკიდათ რომელიღაც «პარტია», ეს სწორედ სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის ეგრეთწოდებული «გათიშვის» პუნქტში. იმ მეშჩანების გოდება, რომლებსაც სურთ სოციალ-დემოკრატებად იწოდებოდნენ,

არასოდეს არ ყოფილა ასე ხმამაღალი და ასე შესაბრალისი. მთელი ამ ამბის აშკარა ხასიათი განსაკუთრებით ააღვილებდა მუშებისა და საზოგადოების მონაწილეობას მის შეფასებაში, გაზეთი «პრავდა» კი, ისევე როგორც ლიკვიდატორების გაზეთი, შეგნებულ პროლეტარიატს მოუწოდებდა — გამოეთქვა თავისი აზრი.

ორივე გაზეთი გაივსო მუშების წერილებით, განცხადებებით და გადაწყვეტილებებით.

უკვე მრავალი თვე გავიდა რუსეთის დამოუკიდებელი ს.-დ. მუშათა ფრაქციის შექმნის დროიდან (1913 წლის ოქტომბრის დამლევს). რეზოლუციების კამპანია ორივე გაზეთში «ექვსეულის» (რუსეთის ს.-დ. მუშათა ფრაქციის) სასარგებლოდ და «შვიდეულის» (ლიკვიდატორების) სასარგებლოდ უკვე დამთავრდა.

ერთი ვიკითხოთ, როგორია მისი შედეგები?

ამის შესახებ უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვაქვს ბ-ნ ლ. მარტოვის შემდეგი განცხადება «ნაშა ზარიას» № 10 — 11-ში:

«როგორ შეხედა — წერს ბ-ნი ლ. მარტოვი — პროლეტარიატმა სათათბიროს ფრაქციის გათიშვას, ფრაქციის, რომელიც მას მუდამ ერთიან მთელად ჰქონდა წარმოდგენილი? ამაზე ძნელია (!??) პრესაში არსებული ცნობების მიხედვით მსჯელობა. ათი ათასზე მეტმა მუშამ გამოთქვა თავისი აზრი ამ საკითხზე «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში» და «ზა პრავდუ»-ში. ამ რიცხვის ნახევარზე რამდენადმე მეტმა (ხაზგასმა ჩვენია) მოიწონა «ექვსეულის» მოქმედება. მაგრამ ამ სიჭარბის მნიშვნელობას ამცირებს (ისმინეთ!) ის ფაქტი, რომ გათიშვის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ს.-დ. ფრაქციის უმრავლესობის სასარგებლოდ მრავალმა პარტიულმა კოლექტივმა გამოთქვა თავისი აზრი, მათ შორის ზოგიერთებმა, რომლებიც მუშების შედარებით მნიშვნელოვან რაოდენობას აერთიანებენ» («ნ. ზ.», 1913 წ., № 10 — 11, გვ. 97).

აი ბ-ნ მარტოვის მთელი მსჯელობა, რომელიც მეათასეჯერ თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ჭეშმარიტების დამახინჯების ჭეშმარიტად ბურჟინისებურ ხერხს! «ნახევარზე რამდენადმე მეტი»!! შეიძლება განა უფრო ორჭოფულად გამოთქვა? 51-იც და 99-იც 100-დან «ნახევარზე რამდენადმე მეტი» იქნება.

როგორ შეუძლია სიჭარბეს «დაამციროს» პარტიული კოლექტივების სიმრავლე? ჯერ-ერთი, არც აქ არის ციფრები; «სიმრავლედ» ყველას, რაც სურს, ის შეუძლია გაიგოს; ფორმულირება თითქოს განგებ არის მოგონილი ბ-ნ მარტოვის მიერ ჭეშმარიტების დ ა ს ა ფ ა რ ა ვ ა დ. მეორეც — დ ა ე ს მ თ ა ვ ა რ ი ა — თუ მრავალ ვითომდა პარტიულ კოლექტივს მიჰყვება მუშების უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა, მაშინ ცხადია, რომ ეს კოლექტივები ფ ი ქ ტ ი უ რ ი ა. ვინაიდან მხოლოდ სრულებით გაუგებელი ან უყურადღებო მკითხველი დაუჯერებს ბ-ნ ლ. მარტოვს, თითქოს შესაძლებელი იყოს ა რ ა ფ ი ქ ტ ი უ რ ი კოლექტივი, რომელიც ვ ე რ შ ე ა გ რ ო ვ ე ბ დ ა გაზეთში მის მიერ წარმოდგენილი მუშების ყ ვ ე ლ ა ხ მ ა ს მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხზე.

ბ-ნი ლ. მარტოვი უფრო ეშმაკი გამოდგა. მან აღიარა არა მარტო ის, რომ მუშების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მ გაიცხა ს.-დ. ფრაქციის ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ უ ლ ი ნაწილი, «შვიდეული», — არამედ ისიც, რომ ბბ. ლიკვიდატორები თავს იწონებენ ფ ი ქ ტ ი უ რ ი კოლექტივებით, რომლებსაც მუშები ა რ ა ჰყავთ.

ბ-მა მარტოვმა დამარცხება აღიარა, მაგრამ ფიქტიური «კოლექტივების» დამოწმებით ის შეეცადა ბურენინისებურად დაეფარა დამარცხების ფ ა რ გ ლ ე ბ ი. საქმის მთელი არსი კი ამაშია. ამ ფარგლების შესახებ უ კ ვ ე იყო გამოქვეყნებული ზ უ ს ტ ი ც ი ფ რ ე ბ ი, და ეს ციფრები ეცნობა მარტოვის მეგობრებს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე 1913 წ. 1 (14) დეკემბერს! მერე რატომ ა რ ც ე რ თ ხ ე ლ ა რ ც ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა არა თქვეს პრესაში ლიკვიდატორებმა ამ ციფრების შესახებ? იმიტომ ხომ არა, რომ სინდისი სუფთა არ ჰქონიათ?

ეს ციფრები იძლეოდნენ შედეგებს 1913 წლის 20 ნოემბრამდე. იყო მხოლოდ ხ ე ლ მ ო წ ე რ ა ნ ი მუშების გამოსვლების ქვეშ, ე. ი. ყველაზე ზუსტი მონაცემები, რომლებიც არც ერთხელ ს რ უ ლ ი ა დ ა ც არ ყოფილა სადავოდ გამოცხადებული. შედეგებმა გვიჩვენეს: 4 850 ხელმოწერა «ექვსე-

ულის» სასარგებლოდ და სულ 2 539 (მათ შორის 1 086 — ბუნდი და 636 — კავკასია) ლიკვიდატორების, ე. ი. «შვიდეულის» სასარგებლოდ.

და აი ახლა თვითონ განსაჯეთ, როგორ უნდა დავახასიათოთ იმ მწერლის ხერხები, რომელიც ცდილობს დაარწმუნოს ხალხი, თითქოს ლიკვიდატორობის მოწინააღმდეგეთა სიჭარბე «მცირდებოდეს» იმ (ფიქტიური) კოლექტივების «სიმრავლით», რომლებმაც ყ ვ ე ლ ა მ ე რ თ ა დ შესძლეს მთელ რუსეთში საერთოდ გამოსული მუშების მხოლოდ ე რ თ ი მ ე ს ა მ ე დ ი ს შეკრება!

მოვიყვანოთ მონაცემები გარკვევით გამოთქმულ და ორივე გაზეთში დაბეჭდილ რეზოლუციებზე ხ ე ლ მ ო წ ე რ ა თ ა რაოდენობის შესახებ მ თ ე ლ ი კამპანიის განმავლობაში (რაც დასრულდა იანვრის დამდეგს):

	დაბეჭდილია რეზოლუციები და განცხადებანი ხელმოწერათა რაოდენობით		
	«ეკვსეულის» (პარტიის) სასარგებლოდ	«შვიდეულის» (ლიკვიდატორების) სასარგებლოდ	სულ
ს.-პეტერბურგი	5 003	621	5 624
დანარჩენი რუსეთი	1 511	559	2 070
კავკასია.....	208	719	927
ბუნდი	—	1 086	1 086
სულ	6 722	2 985	9 707

ლიკვიდატორებმა ისე გარყვნეს მათი ნაწერების მკითხველი საზოგადოება სრულებით დაუსაბუთებელ და შემოწმებისათვის ყოვლად მიუწვდომელ, ცრუ მტკიცებათა წარმოუდგენლად უტიფარი განმეორებით, რომ მოყვანილი ციფრების მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება. ეს ციფრები ამოღებულია ორივე მოქიშპე გაზეთიდან, და ყოველ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს შეუძლია შეამოწმოს ჩვენი ანგარიში, შეცვალოს იგი თავისი გამოანგარიშებით.

ეს ციფრები საერთოდ იძლევიან იმის ფრიად საგულისხმო სურათს, თუ როგორია რუსეთში მარქსისტების პარტიული მდგომარეობა. არც ერთ, პირდაპირ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას რუსეთში არ შეუძლია დაასახელოს საერთოდ კონტრრევოლუციის მთელი პერიოდისათვის, განსაკუთრებით 1913 წლისათვის, პ ა რ ტ ი ი ს ყ ვ ე ლ ა წ ე ვ რ ი ს ასეთი ა შ კ ა რ ა დ ა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი გ ა მ ო კ ი თ ხ ვ ა პარტიული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხზე. რუსეთის არც ერთ ლეგალიზებულ პარტიას, არც ერთ მდიდარ ლიბერალურ და დემოკრატიულ პარტიას, რომელსაც უამრავი ინტელიგენტური ძალები და ყოველგვარი ბეჭდვითი ორგანოები მოეპოვება, არ მოუცია იმდენი, რაც მოგვცა მუშათა კლასის პარტიამ, იატაკქვეშ შერეკილ, არაფრის მქონე პროლეტართა პარტიამ, რომლებიც გროშებით ინახავენ თავიანთ პატარა გაზეთს.

მუშათა პარტიამ რუსეთის ყ ვ ე ლ ა პარტიას უჩვენა იმის ნიმუში, თუ რ ო გ ო რ უნდა ვაბამდეთ პარტიის უბრალო წევრების მ ა ს ა ს სადავო საკითხების აშკარა და ყოველმხრივ განხილვაში. ყველა პარტიის, ყველა ასაკისა და ყველა სახის ლიბერალებსა და ფილისტერებს უყვართ სოციალ-დემოკრატიის «გათიშვათა» გამოტირება. ამ კეთილ ადამიანებს წარმოდგენაც არა აქვთ იმაზე, რომ უბრძოლველად არ შეიძლება უმრავლესობის ნება-სურვილის გატარება, ხოლო უმრავლესობის ნება-სურვილის გაუტარებლად ლაპარაკიც არ შეიძლება არც პარტიულობაზე და არც საერთოდ ორგანიზებულ პოლიტიკურ მოქმედებაზეც კი.

რეგვნები «ერთიანობას» ისეთ «წესს» უწოდებენ, როცა სათათბიროს 13 დეპუტატი რუსეთის დარაზმული და შეგნებული მარქსისტი მუშების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ნება-სურვილის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მოქმედებს, — «გათიშვად» ნათლავენ ისეთ მოვლენას, როცა სათათბიროს ექვსი დეპუტატი ქმნის სათათბიროს დამოუკიდებელ ფრაქციას ამ მუშების **უმრავ-**

ლესობის ნება-სურვილის თ ა ნ ა ხ მ ა დ და ამ ნება-სურვილის გ ა ს ა ტ ა რ ე ბ ლ ა დ.

ნუთუ ეს რეგვნები სასაცილონი არ არიან? ნუთუ ზიზღის ღირსნი არ არიან ისინი?

ყველასა და თვითეულისათვის, იმათ გარდა, ვისაც მუშების მოტყუება სურს, ახლა ნათელი უნდა იყოს, რომ ცამეტი დეპუტატის ყბადაღებული «ერთიანობა» (რაზედაც ლაყბობენ ლიკვიდატორები და შემარიგებლები) — ეს იყო პარტიის ნება-სურვილის ჩ ა შ ლ ა, ეს იყო მუშების უმრავლესობის ნება-სურვილის ა ბ უ ჩ ა დ ა გ დ ე ბ ა.

და პირუკუ. მიუდექით საკითხს მეორე მხრით. არც ერთი ჭკუაზე შეუშლელი ადამიანი არ ცდილა დაეჭვებულიყო იმაში, რომ 1913 წლის ზაფხულში იყო მარქსისტების თათბირი (ა რ ც თ უ ისე აშკარა), რომლის გადაწყვეტილება, პარტიის ხელმძღვანელი დაწესებულების მიერ დამტკიცებული, პარტიის ნება-სურვილი და გადაწყვეტილება გახდა. ეს გადაწყვეტილება მოითხოვდა «ექვსეულის» დამოუკიდებლად გამოსვლას *. თქვენ ამ თათბირს ლანძღავთ, ბატონო ლიკვიდატორებო და შემარიგებლებო? თქვენ მას უწოდებთ წრეს, შენაქუჩს, ფიქციას და სხვ.? ძალიან კარგი! მაგრამ თქვენი ლანძღვა მხოლოდ თქვენს უძლურებას გამოხატავს, ვინაიდან ობიექტური ფაქტები უდავოა: ამ «წრის» გადაწყვეტილებით რუსეთის შეგნებული მუშების ²/₃ აღდგა, როგორც ერთი კაცი, თათბირის დ ა ს ა ც ა ვ ა დ, მისი ნება-სურვილის გ ა ს ა ტ ა რ ე ბ ლ ა დ.

სწორედ ამას ჰქვია პ ა რ ტ ი ა, ბატონებო, «ერთიანობაზე» უქმად მოლაყბენო, «ერთიანობას» რომ ნამდვილად ეძახით ლიკვიდატორებისათვის ნ ე ბ ი ს მ ი ც ე მ ა ს — ჩ ა შ ა ლ ო ნ პარტიის ნება-სურვილი.

დაიხსომეთ, რომ ორი ყოველდღიური, მოქიშპე, ორგანოს არსებობისას ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო იმაზე, რომ ვინმეს ხელი შეეშალა თავისი აზრის გამოთქმაში თუნდაც

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 502 — 504. რ ე დ.

ერთი შეგნებული მუშისათვის, რომელსაც აზრის გამოთქმა სწადდა. აღმოჩნდა, რომ ლიკვიდატორებს მიჰყვება ერთ მესამედზე ნაკლები, ამასთან ლიკვიდატორების ხმების საერთო ჯამში ნახევარზე მეტი ბუნდსა და კავკასიაზე მოდის. ამასთან ერთად ჩვენს მიერ მოყვანილს ხ ე ლ მ ო წ ე რ ა თ ა სტატისტიკაში თითქმის არ შესულან ლატვიელი მუშები (მათ 98 ხელმოწერა ჰქონდათ ექვსეულის სასარგებლოდ და 70 — ლიკვიდატორების სასარგებლოდ, მაშინ როდესაც იმ ლატვიელი მუშებიდან, რომლებმაც ხმა მისცეს ამ საკითხზე, მაგრამ ხელი არ მოუწერიათ, 863 მუშამ ხმა მისცა «ექვსეულს» და 347 მუშამ — ლიკვიდატორებს), და სრულებით არ შესულა 800 პოლონელი ს.-დ. მუშა, რომლებიც აგრეთვე ხმას აძლევდნენ «ექვსეულს», მაგრამ ხელს არ აწერდნენ (ამავე მდგომარეობაშია ლიკვიდატორების მომხრე დაახლოებით 400 «ლევიცელი»).

რას გვეუბნება ორი ფრაქციის პირველი მეოთხედი წლის მუშაობის გამოცდილება?

ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ამ მუშაობის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ შინაარსზე. უაღრესად საინტერესო საკითხი, თუ რა შ ე ე მ ა ტ ა ამჟამად ექვსეულის მუშაობას სათათბიროს ტრიბუნიდან მუშების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს შეკითხვების, მოთხოვნების, შეხედულებებისა და ნება-სურვილის გამოცხადების თვალსაზრისით, ჩვენ, სამწუხაროდ, სხვა დროისათვის უნდა გადავდოთ. მხოლოდ აღვნიშნავთ ორიოდე სიტყვით, რომ ე ქ ვ ს ე უ ლ ი ს წარმომადგენლებმა სახ. სათათბიროში, ბადაევმა და მალინოვსკიმ, 1914 წ. 4 მარტს სახ. სათათბიროში წარმოთქმულ თავიანთ სიტყვებში პ ი რ ვ ე ლ ა დ მოგვცეს ა რ ა ლიბერალური, არამედ პროლეტარიატის შესაფერისი დაყენება საკითხისა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ, მაშინ როდესაც ლიკვიდატორები იჩენდნენ წმინდა ლიბერალურ დაბნეულობას ამ საკითხზე მსჯელობისას ლიტერატურულ საზოგადოებაშიც, თავიანთ გამოცემათა ფურცლებზეც და «შვი-

დეულლთა» მიერ სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვებშიც; «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» სულ ამასწინანდელ ნომერში, 13 მარტის ნომერში, შეიძლება წავიკითხოთ, მეორე გვერდზე, მსჯელობა, თითქოს «არალეგალური პრესის რეკლამირებას შეუძლია მხოლოდ დაასუსტოს მუშების ბრძოლა თავიანთი ლეგალური პრესისათვის». იმის შესახებ, თუ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ რამდენად სავალდებულო იყო სახ. სათათბიროში რუსეთის დამოუკიდებელი ს.-დ. მუშათა ფრაქციის შექმნა ესოდენ სამარცხვინო, რენეგატულ განცხადებებთან და მოსაზრებებთან საბრძოლველად, როგორიც ზემოთაა მოყვანილი, ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს უკვე წიგნის ტექსტში და არა ერთხელ ვიტყვით კიდევ.

ამჟამად კი ჩვენ ვისახავთ უფრო მცირედს ამოცანას — მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ იმის «გარეგნულ», თუ შეიძლება ასე ითქვას, დამტკიცებაზე, რ ა დ იქცა ერთბაშად სახ. სათათბიროს რუსეთის ს.-დ. მუშათა ფრაქცია ლიკვიდატორების შვიდეულისაგან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ.

თვითეული ფრაქცია თავის გაზეთში ბეჭდავს თავისი ხაზინადრის ფულად ანგარიშს ამა თუ იმ ფრაქციის სახელზე შემოსული თანხების შესახებ. ეს თანხები, რომელთა დანიშნულება იყო რეპრესიულთათვის, სხვადასხვა ფაბრიკისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის გაფიცულთათვის დახმარების გაწევა, მუშათა მოძრაობის სხვა ბევრნაირ საჭიროებათა დაკმაყოფილება, თვალწინ გვიშლიან მ უ შ ა თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს მთელ რიგ მხარეებს, თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ — ზუსტი, უდავო, მიუდგომელი ციფრებით — სახელდობრ როგორი კ ა ვ შ ი რ ი აქვს სახ. სათათბიროს ამა თუ იმ ფრაქციას მუშათა მოძრაობასთან.

ამგვარი ხასიათის უკანასკნელი ანგარიში ორივე გაზეთსა და ორივე ფრაქციაში მუშაობის შესახებ მოიცავს პერიოდს 1914 წლის 21 ი ა ნ ვ რ ა მ დ ე. მაშასადამე, სულ ჩვენ გვაქვს ორივე ფრაქციის ცალკე არსებობის ს ა მ ი თვის ანგარიშები: ოქტომბრის დამლევიდან იანვრის დამლევამდე. აი ორივე ფრაქციის ანგარიშების შეჯამება წლის ამ მეოთხედისათვის:

ფრაქციების ხელში გავლილი ფულადი შენაკრები:

	სულ შეგროვებულია	მათ შორის: არა მუშებისაგან	მუშებისაგან	მუშათა ჯგუფების რაოდენობა
1) რუს. ს.-დ. მუშ. ფრაქციაში.....	6 173 მ.— კ.	71 მ. 31 კ.	6 101 მ. 69 კ.	719
2) ს.-დ. ფრაქციაში	2 212 » 78 »	765 » 80 »	1 446 » 98 »	94*

ეს მშრალი ციფრები ორივე ფრაქციის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი-ულ ი კავშირისა და მთელი მათი ცხოვრების შესანიშნავად მკაფიო სურათს იძლევიან. იმ მუშათა ჯგუფების რაოდენობა, რომლებსაც მეოთხედი წლის განმავლობაში ლიკვიდატორების ფრაქციისათვის მიუმართავთ, თითქმის რ ვ ა ჯ ე რ ნაკლებია იმ ჯგუფების რიცხვზე, რომლებსაც მიუმართავთ პარტიელების ფრაქციისათვის.

---

* ეს მონაცემები ტექსტში შეჯამებულია მხოლოდ 1914 წ. 21 იანვრამდე (რუს. ს.-დ. მუშ. ფრაქციის შექმნის დროიდან, ე. ი. 1913 წ. ოქტომბრის დამლევიდან).

მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს მოვიყვანოთ აქ უფრო სრული მონაცემები, ამბ. ვ. ა. ტ. გამოანგარიშებით, მთელი ხნის განმავლობაში რუს. ს.-დ. მუშ. ფრაქციის შექმნიდან 1914 წ. ივნისამდე.

იმ ფულადი თანხების (რეპრესიულთათვის და სხვ.) ოდენობა, რომლებიც შემოვიდა, მარქსისტული და ლიკვიდატორული გაზეთების ანგარიშებით, 1913 წ. ოქტომბრიდან 1914 წ. 6 ივნისამდე სათათბიროს თვითეულ ფრაქციაში:

	ს უ ლ	მათ შორის: არა მუშებისაგან	მუშებისაგან	მუშათა ჯგუფების რაოდენობა
რ. ს.-დ. მუშ. ფრაქციაში	12 891 მ. 24 კ.	828 მ. 63 კ.	12 062 მ. 61 კ.	1 295
ს.-დ. ფრაქციაში.....	6 114 » 87 »	2 828 » 04 »	3 286 » 83 ».	215

რუს. ს.-დ. მუშათა ფრაქციამ არა მუშებისაგან მიიღო მთელი თანხის 6%, ლიკვიდატორულმა («ს.-დ.») ფრაქციამ კი მთელი თანხის 46%. მუშათა ჯგუფები, რომლებსაც რუსეთის ს.-დ. მუშათა ფრაქციისათვის მიუმართავთ,

სამაგიეროდ ლიკვიდატორების ფრაქციას მთელი ის თანხები, რომლებიც ფრაქციაში ა რ ა მუშებისაგან* შემოსულა, ა თ ჯ ე რ მეტი აქვს: 765 მანეთი წინააღმდეგ 71 მანეთისა. პარტიელებთან ა რ ა მუშებისაგან* შემოსული ფული შეადგენს მთელი შეგროვებული თანხის ე რ თ პროცენტს (71 მანეთი 6 173 მანეთიდან). ლიკვიდატორებთან — მთელი შეგროვებული თანხის ო ც დ ა თ ო თ ხ მ ე ტ პროცენტს (765 მანეთი 2 213 მანეთიდან).

ეს ციფრები შესაძლებლობას აძლევენ ფართო საზოგადოებას, რომელიც შორს დგას სათათბიროს ფრაქციების ცხოვრებისაგან, ზუსტად აწონოს და კარგად მოისაზროს ის ფაქტები, რომლებსაც კარგად იცნობენ ახლოს მდგომი ადამიანები ყოველდღიური ამბების ათასი «წვრილმანის» მიხედვით, სახელდობრ:

— რომ ლიკვიდატორების ფრაქცია (შვიდეული) უმუშებო ფრაქციაა;

— რომ ლიკვიდატორების ფრაქციას რუსეთის ს.-დ. მუშათა ფრაქციასთან შედარებით ოცდაათჯერ მეტი კავშირი აქვს ა რ ა მუშათა წრეებთან.

ეს ფაქტები დიდი ხანია და სხვადასხვა მხრივ იყო აღნიშნული. ლიბერალურმა გაზეთმა «რეჩმა» სწორად დაარქვა ლიკვიდატორების ფრაქციას «ინტელიგენტების» ფრაქცია, და მთელ ლიბერალურ პრესას ბევრჯერ დაუდასტურებია ეს. პლეხანოვი დიდი ხანია მიუთითებდა, რომ ლიკვიდატორებმა ბ-ნ პოტრესოვის გარეშეც ბევრი წვრილბურჟუაზიულ-ოპორტუნისტული ელემენტი შემოიკრიბეს თავიანთ გარშემოო. ლიბერალური გ ა ზ ე თ ე ბ ი ს თანამშრომელთა სიუხვე ლიკვიდატორებს შორის და პირუკუ (ენზისი, ეგოროვი, სტ. ნოვიჩი, ე. სმირნოვი, ანტიდ ოტო, ნეველომსკი, ლვოვ-

შეადგენენ საერთო რიცხვის 85,7%-ს (1 295 ჯგუფი 1 510-დან), ხოლო რომლებსაც «ს.-დ.» ფრაქციისათვის მიუმართავთ — საერთო რიცხვის 14,3%-ს.

* ამაში შედის ის თანხები, რომლებიც შემოდიოდა კერძო პირებისაგან, შემდეგ საზღვარგარეთიდან და მოსწავლეთაგან.

როგაჩევსკი, ჩერევანინი [41] და ბევრი სხვა) უკვე აღნიშნული იყო «პუტ პრავდის» მიერ.

თავიანთი ნამდვილი საზოგადოებრივი მნიშვნელობით ლიკვიდატორები ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიის განყოფილებაა, რომელიც არსებობს პროლეტარებს შორის ლიბერალური მუშათა პოლიტიკის იდეების გასატარებლად და რუსეთის ორგანიზებული და შეგნებული მუშების უმრავლესობის ნება-სურვილის ჩ ა ს ა შ ლ ე ლ ა დ.

დაწერილია 1914 წ. მარტ-აპრილში,
შევსებულია 1914 წ. ივნისში

დაიბეჭდა 1914 წელს კრებულში:
«მარქსიზმი და ლიკვიდატორობა»,
ნაწილი II. გამომც. «პრიბოი»,
ს.-პეტერბურგი

იბეჭდება კრებულის
ტექსტის მიხედვით

სიცხადე უწინარეს ყოვლისა!

(ერთიანობის საკითხისათვის)

1. ადამიანებზე, რომლებსაც ორი აზრი აქვთ

განა შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი იმ ადამიანებთან, რომლებსაც აშკარად არ შეუძლიათ სერიოზულად მიუდგნენ სერიოზულ საკითხებს? ძნელია, ამხანაგებო, ძალიან ძნელია! მაგრამ საკითხი, რომელზეც ზოგიერთ ადამიანს სერიოზულად ლაპარაკი არ შეუძლია, თავისთავად იმდენად სერიოზულია, რომ უსარგებლო არ იქნება — გავარჩიოთ ამ საკითხზე გაცემული თუნდაც აშკარად არასერიოზული პასუხი.

ეს სერიოზული საკითხია რუსეთის მუშათა მოძრაობის ერთიანობის საკითხი. ადამიანები, რომლებსაც არ ეხერხებათ სერიოზულად მიუდგნენ მას, — ესენი არიან გაზეთ «ედინსტვოს» თანამშრომლები.

აი პირველი მაგალითი. «ედინსტვოს» № 4-ში მოთავსებულია საუბარი დეპუტატ ჩხეიძესთან. «ედინსტვოს» რედაქცია იმედოვნებს, რომ ეს საუბარი «ხელს შეუწყობს რუსეთის მუშათა კლასის გაერთიანებას». ძალიან კარგი. მაგრამ ვნახოთ, რა თქვა ჩხეიძემ იმ ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საკითხებზე, რომლებიც რუსეთის მუშებს აინტერესებს.

ჩხეიძემ ასე თქვა: «პირადად მე სავსებით ვიზიარებ იმ ტაქტიკურ და ორგანიზაციულ შეხედულებებს, რომლებიც უკანასკნელ დროს ამხანაგმა ანმა განავითარა პრესაში».

რა აზრებს ავითარებდა ამხ. ანი უკანასკნელ დროს პრესაში?

მაგალითად, რას ლაპარაკობდა იგი ლუჩისტების, ასევე ლიკვიდატორების, შეხედულებათა შესახებ?

ანი — თვალსაჩინო მენშევიკი და «პრავდიზმის» მოწინააღმდეგე — «უკანასკნელ დროს პრესაში» ავითარებდა იმ შეხედულებას, რომ «ლიკვიდატორებს რეფორმებისაკენ უჭირავთ გეზი», რომ მათი შეხედულება იატაკქვეშეთზე, გაფიცვებზე, «შეუკვეცელ ლოზუნგებზე» და სხვ. განუყრელად დაკავშირებულია მათს საერთო რეფორმიზმთან, რომ, მუშებს მათი რჩევისათვის რომ დაეჯერებინათ, პროვინციის მუშებს თავი უნდა შეეკავებინათ გაფიცვებისგანო და სხვ.

ანის ეს შეხედულებები იმის მომასწავებელი იყო, რომ ის იწყებს ლიკვიდატორული ტყვეობისაგან განთავისუფლებას, და განთავისუფლების ამ დასაწყისს ჩვენ მივესალმეთ.

ამჟამად ჩხეიძე აცხადებს, რომ ანის ამ შეხედულებებს ის «სავსებით» იზიარებს. სასიამოვნოა ამის გაგონება. ლიკვიდატორობის არსის შეცნობა და მისი პირდაპირ უარყოფა დასაწყისია სიბრძნისა, — ხომ ასეა? და ჩვენ მზად ვიქნებოდით მივსალმებოდით იმას, რომ დეპუტატ ჩხეიძეს ესოდენ დიდი ხნის შემდეგ, როგორც იქნა, თვალი აეხილა ლიკვიდატორობის, როგორც მიმდინარეობის, როლზე.

მაგრამ სერიოზულ საკითხს სერიოზულად უნდა მივუდგეთ, ,ამიტომ სასარგებლოა გავეცნოთ არა მარტო ჩხეიძის მიერ «ედინსტვოში» გაკეთებულ განცხადებებს, არამედ მის საქმეებსაც.

ერთიანობის ს ა ქ მ ე შ ი უდიდესი მნიშვნელობა შეეძლო ჰქონოდა სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის (რომლის თავმჯდომარეა დეპუტატი ჩხეიძე) პასუხს რსდმ ფრაქციის მიმართ უკანასკნელის მიერ წამოყენებულ ერთიანობის პირობებზე.

ეს პასუხი არც ისე დიდი ხანია რაც გამოქვეყნდა «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» № 2-ში, მუშებისადმი მიმართვის სახით.

მუშებისადმი ამ მიმართვაში დეპუტატი ჩხეიძე და მისი თანამოაზრენი, სხვათა შორის, უპასუხებენ იმ კითხვაზეც, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ ლიკვიდატორობასთან ამ

უკანასკნელის ორგანოს სახით, როგორიც მაშინ «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა» იყო.

«რაც შეეხება მარქსისტულ «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას»», წერენ დეპუტატი ჩხეიძე და მისი მეგობრები, «ჩვენი დამოკიდებულება მისდამი განისაზღვრება ჩ ვ ე ნ ი ს რ უ ლ ი ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ი თ მ ი ს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს თ ა ნ».

მაშ ასე. დეპუტატი ჩხეიძე მუშებისადმი ოფიციალურ მიმართვაში აცხადებს თავის «ს რ უ ლ ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ა ს» ლიკვიდატორული გაზეთის მიმართულებასთან, ხოლო «ედინსტვოში» მოთავსებულ საუბარში ადასტურებს, რომ «ს ა ვ ს ე ბ ი თ ი ზ ი ა რ ე ბ ს» ანის შეხედულებებს, რომელიც ამ გაზეთს აკრიტიკებს, როგორც რეფორმისტების ორგანოს, მავნე მუხრუჭის როლს რომ ასრულებენ თანამედროვე მუშათა მოძრაობაში.

განა ეს დასაშვებია? განა მოასწავებს ეს სერიოზულ დამოკიდებულებას სერიოზული საკითხისადმი? განა დეპუტატ ჩხეიძეს შეუძლია რაიმე სერიოზული თქვას ლიკვიდატორებთან ერთიანობის საკითხზე, თუ თვითონ მან ორი თვის განმავლობაში მოახერხა გამოეთქვა ლიკვიდატორებზე ორი, ერთიმეორისადმი დიამეტრულად საწინააღმდეგო, შეხედულება?

მაგრამ, — გვეტყვიან ჩვენ, — ალბათ, დეპუტატი ჩხეიძე იმ მომენტში, როდესაც «ს.-დ. ფრაქციის საჯარო პასუხი» იწერებოდა, ჯერ კიდევ არ იცნობდა ანის შეხედულებებს და ,ამიტომ არ შეეძლო წარმოედგინა ლიკვიდატორობის მნიშვნელობაო.

ვაი რომ ეს არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, — ვინაიდან ანის სტატია იმაზე გაცილებით უფრო ადრე დაიბეჭდა, ვიდრე «საჯარო პასუხი» გამოქვეყნდებოდა.

მხედველობაში მიიღეთ კიდევ ერთი რამ.

ანის სტატიების გამოქვეყნების რამდენიმე დღის შემდეგ ლ. მ. «სევერნაია რაბოჩაია გაზეტაში» გადაჭრით გამოვიდა, რათა ანის კრიტიკისაგან დაეცვა ლიკვიდატორები. ჩხეიძე

კი? თუნდაც ერთი სიტყვა წამოსცდა მას იმ შეხედულებათა დასაცავად, რომლებსაც ის, როგორც ახლა ირკვევა, «სავსებით იზიარებს»? არა, ჩხეიძე სდუმდა, ხოლო მისი ფრაქციული ამხანაგი, დეპუტატი ტულიაკოვი, სწორედ ამ მომენტში მოგვევლინა «ნაშა რაბოჩაია გაზეთას» გამომცემლად...

ვიმეორებთ: დასაშვებია თუ არა ს.-დ. ფრაქციის თავმჯდომარის ასეთი დამოკიდებულება იმ საკითხისადმი, რომელიც აღელვებს მუშათა ფართო მასებს, რომელიც არა ერთხელ ყოფილა განხილული თათბირებზე, კონფერენციებზე და სხვ.? შეიძლება თუ არა ჩხეიძეს მოვთხოვოთ პასუხი ერთიანობის საკითხზე? ერთიანობის საკითხი შეცვლილი ხომ არ არის აქ დიპლომატიურ-წრეობრივი მოსაზრებებით ლიკვიდატორების გადარჩენის შესახებ?

და ეს არის ჩვენი «გამაერთიანებლების» საერთო უბედურება: მათ ნათელი პასუხი არ მოეპოვებათ დღის წესრიგში მდგომ საკითხებზე, მათ თვითონ არ იციან, თუ რა სურთ.

ერთი კი ნათელია მათს სტატიებში: მათ გადაწყვეტილი აქვთ იხსნან ლიკვიდატორები და ამიტომ გაურბიან სიცხადეს და სიზუსტეს საკითხების დაყენებასა და გადაჭრაში.

ამჟამად სიცხადე და სიზუსტე ყველაფერზე უფრო საშიშია ლიკვიდატორებისათვის. ამაში ჩვენ კიდევ უფრო დავრწმუნდებით, როცა «ედინსტვოს» სხვა სტატიებს შევეხებით.

მაგრამ მუშებს სურთ სიცხადე და ისინი მას მიაღწევენ, ვინაიდან თავიანთი ორგანიზაციის ერთიანობის აგება მათ სურთ არა დიპლომატიასა და მიკიბ-მოკიბულობაზე, არამედ სხვადასხვა «მიმართულებათა» პოლიტიკური მნიშვნელობის ზუსტად გათვალისწინებაზე. აქ ცუდი მრჩევლები იქნებიან ის ადამიანები, რომლებსაც ამ საკითხზე ორი და კიდევ უფრო მეტი აზრიც აქვთ.

«ტრუდოვაია პრავდა» № 30,
1914 წ. 2 ივლისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღის შედეგებისათვის

გაზეთ «პუტ პრავდის» ანგარიშიდან

მხოლოდ ახლა შეგვიძლია ზოგიერთი დასკვნის გამოტანა 22 აპრილის «მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღის»[142] შესახებ.

გაზეთ «პრავდის» 2 წლის იუბილეს დღე მარქსისტული ძალების შეჯამების დღედ გადაიქცა.

ამ დღეს ყველა შეგნებულმა მუშამ აღმოუჩინა დახმარება თავის მუშურ ორგანოებს. და აი გროშებისაგან ასობით და ათასობით მანეთი შესდგა.

მხოლოდ 14 ივნისს დაიბეჭდა «ტრუდოვაია პრავდის» № 15-ში უკანასკნელი ანგარიში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს შემოსული თანხების შესახებ. «ბეჭდვითი სიტყვის დღემ» თითქმის ორ თვეს გასტანა.

«უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს», — იწერებოდა ბევრი ამხანაგი, როცა თავის წვლილს 22 აპრილის შემდეგ გზავნიდა.

რეზოლუციები ისეთი რაოდენობით შემოდიოდა რედაქციაში, რომ არავითარი შესაძლებლობა არ იყო ყველა მათი არა თუ დაბეჭდვისა, არამედ ჩამოთვლისაც კი.

მაგრამ ამ რეზოლუციებმა თავისი საქმე გააკეთეს, მათ დაგვარწმუნეს, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ და რომ მუშების უდიდესი უმრავლესობა თანამიმდევრული მარქსიზმის ლოზუნგებს უერთდება.

როგორც ცნობილია, «პრავდის» მიმართულების გაზეთების 2 წლის იუბილეს დღე ლიკვიდატორებმა თავიანთი გაზეთისთვისაც «ბეჭდვითი სიტყვის დღედ» გამოაცხადეს. თავის დროზე მათ დიდი ხმაური ატეხეს, რათა დაემტკიცებინათ თავიანთი უფლება — ბეჭდვითი სიტყვის დღეს შეერთებოდნენ სწორედ 22 აპრილს. უკვე მაშინ შემოიტანეს მათ ფედერაციის წინადადება და შეგროვებული თანხის შუაზე გაყოფას ითხოვდნენ. 22 აპრილის დღემ გვიჩვენა, რომ «ფედერაციასა» და «თანასწორუფლებიანობაზე» ლიკვიდატორულმა გაზეთმა მეტად ადრე დაიწყო ლაპარაკი.

ქალაქ პეტერბურგის მუშებმა სრულებით უარყვეს ფულის «ერთად შეგროვება». ლიკვიდატორული გაზეთის ამ მოწოდებამ ერთგვარი გამოხმაურება პოვა მხოლოდ სტუდენტობის ერთ ნაწილში და პროვინციის ზოგიერთ ქარხანაში.

ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის შემოსულ შემოწირულებათა საერთო ჯამზე ამ ერთად შეკრებილ თანხებს თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენიათ. «ნაშა რაბოჩაია გაზეტამ» 13 ივნისს № 34-ში უკვე სცადა შეედარებინა თავისი გაზეთისა და «პუტ პრავდისათვის» შეგროვებული თანხები. ჩვენ ვამბობთ — სცადა, იმიტომ რომ არასგზით არ შეიძლება საბოლოო და სრულ შედარებად ვცნოთ «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» მიერ მოცემული შედარება. და «ნაშა რაბოჩაია გაზეტასაგან» ასეთი სრული შედარების მიღება რომ მოგვესურვებინა, ჩვენ მოგვიხდებოდა უკუნისამდე ლოდინი, ვინაიდან ლიკვიდატორებისათვის მეტად ხელსაყრელია საერთო ციფრების გამოყენება, ამ თანხების დაწვრილებით განუხილველად, იმის გამოურკვევლად, თუ ვისგან შემოვიდა ეს ფული.

ამიტომ ლიკვიდატორების ანგარიშების დეტალური დამუშავების ჯაფაც ჩვენ გვიხდება ვიკისროთ.

«ნაშა რაბოჩაია გაზეტა» ძალიან სანუგეშო დასკვნებამდე მიდის: ჯერ-ერთი, რომ «პრავდისტებს» რუსეთის შეგნებული მუშების $^3/_5$-იც არ მისდევს; მეორეც, რომ «პრავდისტების»

სიჭარბე მხოლოდ პეტერბურგშია დიდი, პროვინციაში კი, პირიქით, «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» მომხრენი ჭარბობენო.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ მოგვიხდება ცოტაოდნად შევავსოთ ჩვენს მიერ შეგროვებული თანხების საბოლოო ჯამი, რაც «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» აღებული აქვს «ტრუდოვაია პრავდის» 11 ივნისის ნომრიდან. — იქ ჯამი გამოყვანილი იყო 1 ივნისისათვის, მაგრამ რადგან «ნაშა რაბოჩაია გაზეტა» მის სასარგებლოდ შეგროვებულ თანხებს 10 ივნისისათვის აჯამებს, ამიტომ შედარების სისწორისათვის ჩვენ ჩავურთავთ კიდევ 1-დან 10 ივნისამდე შეგროვებული თანხების ანგარიშს, რომელიც დაიბეჭდა ა. წ. 14 ივნისს № 15-ში. ამასთანავე 10 ივნისის შეჯამება სავსებით ზუსტი არ იყო, რადგან რუსეთის მასშტაბით შემოსული ზოგიერთი წვრილი შემოწირულება შეტანილი იყო პეტერბურგში შეკრებილი თანხების ჯამში.

ყველა ამ შესწორების შემდეგ ვიღებთ ქვემომოყვანილ საბოლოო თანხებს, რომლებთანაც გვექნება საქმე შემდეგში:

პეტერბურგში	11 680 მ. 96 კ.
რუსეთში	6 325 » 28 »
საზღვარგარეთ	104 » 97 »
სულ	**18 111 მ. 21 კ.**

«ნაშა რაბოჩაია გაზეტასათვის» შეგროვებული თანხების სათანადო ციფრები:

პეტერბურგი	4 446 მ. 13 კ.
რუსეთი	6 409 » 12 »
საზღვარგარეთი	946 » 55 »
სულ	**11 801 მ. 80 კ.**

განსხვავება პირველი შეხედვით არც ისე მნიშვნელოვანია და თითქოს ამტკიცებს, რომ «ნაშა რაბოჩაია გაზეტას» მართლაც მიჰყვება შეგნებული მუშების ²/₅. მაგრამ საკმარისია ეს ციფრები დავანაწილოთ მუშებისაგან და არა მუშებისაგან. შემოსულ ფულად, რომ სურათი ძირეულად შეიცვალოს.

«პუტ პრავდის» მოწოდებას «მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს» მთელ რუსეთში გამოეხმაურა:

მუშათა 1915 ჯგუფი, რომლებმაც მისი ფონდისათვის შეაგროვეს **16 163 მ. 71 კ.**

«სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» მოწოდებას გამოეხმაურა:

მუშათა 588 ჯგუფი, რომლებმაც შეაგროვეს **5 651 მ. 78 კ.**

არა მუშებისაგან «პუტ პრავდიმ» მიიღო 1 842 მ. 53 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტამ» კი — 6 062 მ. 02 კ., ე. ი. მეტი, ვიდრე მუშებისაგან.

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის შეკრებილი თანხების ეს ციფრები იმავე სურათს იძლევიან, როგორიც მოგვცა შეგროვებული თანხებისა და ჯგუფების შეჯამებამ, დაწყებული 1914 წ. 1 იანვრიდან. მუშათა იმ ჯგუფების საერთო რაოდენობიდან, რომლებიც «მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს» გამოეხმაურნენ, მხოლოდ 1/5-ზე ცოტა მეტი მოდის ლიკვიდატორულ გაზეთზე. ამავე დროს კი, ლიკვიდატორებმა ხომ ყველაფერი იღონეს, რომ მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღისათვის ძალთა თანაფარდობა თავიანთ სასარგებლოდ შეეცვალათ. ამას ლიკვიდატორებმა ვერ მიაღწიეს. შეგნებული მუშების ოთხი მეხუთედი პრავდიზმს მიჰყვება — ეს ფაქტი, ლეგალური გაზეთების მთელი ამ ორი წლის არსებობის ციფრების საფუძველზე გამოყვანილი, **დადასტურებულია** მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღითაც.

გადავიდეთ საქმის ვითარებაზე პეტერბურგსა და პროვინციაში. პეტერბურგში პრავდისტული გაზეთის სასარგებლოდ შემოწირულებათა (ჯგუფთა) რაოდენობა იყო 1 276, რომელთაგანაც შემოვიდა 10 762 მ. 46 კ.; ლიკვიდატორული გაზეთის სასარგებლოდ — 2 24, ხოლო თანხა — 2 306 მ. 27 კ.. განსხვავება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ლიკვიდატორებიც კი ვერ ბედავენ უარყონ «პრავდისტების» სიჭარბე დედაქალაქის ყველაზე უფრო მოწინავე, ენერგიულ, დარაზმულ და პოლიტიკურად გამოცდილ პროლეტარიატში.

მაგრამ ისინი პრეტენზიას აცხადებენ პროვინციაზე.

«პროვინციაში — წერდა «ნაშა რაბოჩაია გაზეტა» — ჩვენ ვხედავთ პეტერბურგის საწინააღმდეგო მოვლენას, პროვინციაში მხოლოდ «სეევერნაია რაბოჩაია გაზეტამ» **მეტი** შეკრიბა, ვიდრე პრავდისტულმა ორგანომ».

აი **სიცრუის** ნიმუში, რომელსაც განსაკუთრებით უნდა ჩაუკვირდნენ ამხანაგი მუშები. რაც მართალია, მართალია: პროვინციაში პრავდისტებმა შეკრიბეს 6 325 მ. 28 კ., ლიკვიდატორებმა კი 6 409 მ. 12 კ.. მეტია! ხომ ასეა? მაგრამ აი, იქნებ ინებოთ გადახედოთ შემდეგს ციფრებს.

პროვინციაში პრავდისტული გაზეთისათვის მუშათა 6 3 9 ჯგუფისაგან შემოვიდა **5 401 მ. 25 კ.** და არა მუშებისაგან 924 მ. 03 კ.

ლიკვიდატორული გაზეთისათვის კი შემოვიდა მუშათა 3 6 4 ჯგუფისაგან **3 345 მ. 51 კ.** და 78 არამუშური ჯგუფისა და ცალკეული პირებისაგან **3 004 მ. 89 კ.**

დიახ, პროვინციაში ლიკვიდატორები უეჭველად **ჭარბობენ**, ოღონდ არა მუშებში, არამედ შეძლებულ «მეგობართა და თანამგრძნობთა» შორის.

ლიკვიდატორები ძალიან უბრალოდ მოიქცნენ: პროვინციაში თავიანთი «ს ი ჭ ა რ ბ ე» რომ დაემტკიცებინათ, მათ მუშათა გროშებს მიათვალეს ბურჟუაზიის წრიდან გამოსული თავიანთი მეგობრების კაპიტალები და ამით «გასრისეს» პრავდისტები!

შეიძლება ეს ოსტატურადაც იყოს გაკეთებული, მაგრამ — პატივცემულო ბატონებო — ამით თქვენ დაამტკიცეთ არა თქვენი სიჭარბე პროვინციაში, არამედ მხოლოდ ის, რომ თქვენ მოწყვეტილი ხართ პროვინციელ მუშებს, არა ნაკლებ, ვიდრე პეტერბურგშიც.

მუშათა ბეჭდვითი სიტყვისა და **მუშათა** მთლიანობის შექმნის საქმეში საჭიროა, შეიძლება და უნდა გავუწიოთ ანგარიში არა მდიდარი «მეგობრების» კაპიტალებს, არამედ მხოლოდ თვით მუშების თვითმოქმედებას.

მუშათა გაზეთისა და მუშათა მთლიანობის საქმეში ის ფაქტი, რომ ლიკვიდატორებმა არა მუშებისაგან თითქმის

იმდენივე მიიღეს, რამდენიც მუშებისაგან (5 115 მ. და 5 651 მ.), ჩვენი შეხედულებით პლუსი კი არა, მინუსია — ბურჟუაზიულ-ინტელიგენტურ წრეებთან ლიკვიდატორობის უახლოესი კავშირის ზედმეტად დამამტკიცებელი.

და ჩვენ, ჩვენდათავად, მხოლოდ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი «რკინის ფონდი» თითქმის მთლიანად მუშათა გროშებისაგან შესდგება, — მუშებმა თავიანთი გაზეთისათვის 6 კვირის განმავლობაში 16 000 მანეთი შეაგროვეს.

როგორ შესდგა ეს თანხა? რა პროფესიებისა და რომელი რაიონების მუშები და რამდენად გვეხმარებოდნენ მტკიცე მარქსისტული გაზეთის შექმნაში?

ამის პასუხს იძლევა შემდეგი ცხრილი, რომელიც ამავე დროს თანამედროვე მუშათა მოძრაობის მდგომარეობის უალრესად დამახასიათებელ დოკუმენტსაც წარმოადგენს.

აი «პუტ პრავდი»-ში შემოსული თანხების ცხრილი წარმოებათა (პროფესიათა) მიხედვით. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მელითონენი დგანან. მოგესალმებით, ამხანაგებო!

	სპბ.			პროვინცია		
	ჯგუფები	მან.	კაპ.	ჯგუფები	მან.	კაპ.
მელითონენი	393	5 304	95	108	1 319	02
ხისდამმუშავებელნი	116	1 014	73	24	172	10
მბეჭდავები	113	966	34	37	236	47
რკინიგზელები	24	165	93	34	345	24
ნოჭრები	59	238	11	18	132	76
ტრაქტირის მოსამსახურენი	27	107	58	3	68	73
მკერავნი	49	203	21	28	245	82
მეტყავენი	36	271	50	5	23	89
ელექტრიკოსები	31	275	35	6	39	76
ფეიქრები	41	303	88	24	130	32
ქალაქის საწარმონი (ტრამვაი და სხვ.)	32	340	93	11	132	14

	სპბ.			პროვინცია		
	ჯგუფები	მან.	კაპ.	ჯგუფები	მან.	კაპ.
მშენებელი მუშები	12	57	14	4	15	71
წყალსადენის მუშები	10	27	10	1	3	—
ოქრომჭედლები	29	128	45	2	16	50
მეპურეები	39	124	06	11	28	60
მეშახტენი	—	—	—	14	71	44
მუშათა ორგანიზაციები	9	79	97	9	112	04
მღებავნი	12	50	20	3	14	60
მეძეხვენი	8	31	45	2	5	63
ქიმიური საწარმონი	22	92	59	6	32	04
ეტლის მკეთებელნი	16	78	62	1	5	—
მეკანფეტენი	12	79	76	3	14	25
მუყაოზე მომუშავენი	5	13	45	—	—	—
თამბაქოს წარმოების მუშები	12	83	63	—	—	—
ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშები	—	—	—	12	83	98
მოსამსახურენი (კანტორ. მოსამს. და სხვ.)	38	273	11	18	123	65
გადასახლებულნი	—	—	—	23	67	72
შინამსახურნი (მეეზოვენი)	12	27	90	—	—	—
სხვადასხვა საწარმ. და გამოურკვეველნი	99	422	52	232	1 960	84
სულ	1 276	10 762	46	639	5 401	25

პეტერბურგში

უკანასკნელი წლების მუშათა მოძრაობის სათავეში პეტერბურგი დგას. მაშინ როცა პროვინციის ზოგიერთ (ახლა უკვე არც თუ ბევრ) ადგილას პროლეტარიატს ჯერ კიდევ ვერ გაუღვიძნია 1907 — 1911 წწ. პერიოდის მძიმე ძილი-

საგან, მაშინ როცა სხვა ადგილებში იგი მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს, რათა გაუთანასწორდეს პეტერბურგის პროლეტარიატს, ამ უკანასკნელმა უდიდესი აქტივობა განავითარა, გამოეხმაურა, როგორც გრძნობიერი ბარომეტრი, ყველა მოვლენას, რომელთაც კი მუშათა მოძრაობასთან აქვთ დამოკიდებულება. პეტერბურგის პროლეტარიატი პირველ ადგილზე დგას — ამის უარყოფას «სევერნაია რაბოჩაია გაზეტაც» კი ვერ გაბედავს.

და აი როგორ გამოეხმაურა პეტერბურგის პროლეტარიატი «მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღეს».

აქ «პუტ პრავდისათვის» ფულს აგროვებდა 1 276 ჯგუფი, რომლებმაც მოგვცეს — 10 762 მ. 46 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის» 224 ჯგუფი — 2 306 მ. 27 კ.

ჯგუფების რაოდენობის მიხედვით ლიკვიდატორები პეტერბურგის მუშათა მოძრაობაში შეადგენენ შეგნებული მუშების უკვე არა 1/5-ს, არამედ 1/7 ნაწილს, მათ მიერ შეკრებილი ფული კი პრავდისტების მიერ შეგროვებული თანხების მიმართ შეადგენს 1/6-ზე ცოტა მეტს.

ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ პეტერბურგის პროლეტარიატმა, რომელიც მუშათა მოძრაობას წინ მიუძღვის, მასობრივად იბრუნა პირი ლიკვიდატორებისაგან და ძველ შეუკვეცელ ლოზუნგებს იცავს.

მბეჭდავებშიც კი, ორგანიზებულ მუშებს შორის ლიკვიდატორების ამ ერთადერთ თავშესაფარში, «პრავდისტული» პრესისათვის შეგროვებულია თითქმის 5-ჯერ მეტი, ვიდრე ლიკვიდატორულისათვის (966 მ. 34 კ. «პუტ პრავდისათვის» და 201 მ. 21 კ. «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის»).

ამასვე გვიჩვენებენ მონაცემები მელითონეთა შორის ფულის შეგროვების შესახებ. აქ «პუტ პრავდისათვის» შეგროვებულია 5 075 მ. 49 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის» კი 1 283 მ. 66 კ.. ისევ 4-ჯერ მეტი, რაც კავშირის არსებობისას არა ერთხელ ყოფილა დამტკიცებული ლიკვიდატორების მუდმივი ჩავარდნებით არჩევნების დროს, საერთო კრებებზე გამოსვლების დროს და სხვ.

კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია ლიკვიდატორების საქმე პეტერბურგის სხვა პროფესიებს შორის. მაშინ როდესაც ხისდამმუშავებლებმა «პუტ პრავდისათვის» გაიღეს — 1 014 მ. 73 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის» მათგან მხოლოდ **38 მ. 14 კ.** შემოვიდა *.

ლიკვიდატორულ გამოცემებს არა ერთხელ აუტეხიათ ხმაური იმის შესახებ, რომ «პრავდას» მიჰყვებიან ყველაზე ბნელი მასები, რომლებიც სერიოზულ საკითხებში ვერ ერკვევიანო. «ნაშა ზარიას» ახლახან გამოსულს ივნისის ნომერში გადაჭარბებულად გულმოდგინე ლიკვიდატორი ბ-ნი ა. გორევი ამტკიცებს, რომ შეგროვებული თანხები და რეზოლუციები, რომლებიც მხარს უჭერენ «პრავდას», «მუშების ისეთი ფენებიდან მომდინარეობს, რომლებიც რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველად ებმებიან სოციალ-დემოკრატიის ინტერესებისა და დავის სფეროში», — ბნელი, შეუგნებელი ახალგაზრდობისა და ჩამორჩენილი მუშების წრიდანო.

ნუთუ ბბ. ლიკვიდატორები ბედავენ ამ «ფენებს» მიაკუთვნონ მელითონეებიც და მბეჭდავებიც, რომლებიც ყოველთვის მუშათა მოძრაობის პირველ რიგებში იდგნენ. რა თქმა უნდა, ბ-ნ გორევს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არა აქვს თავისი მოსაზრების სასარგებლოდ, იგი სუბიექტურ დასკვნებს ეყრდნობა. დაე ადგეს იგი ამ დასკვნებს. ჩვენ კი ურყევი ციფრებით დავამტკიცეთ, რომ ისეთ მოწინავე პროფესიებშიც კი, როგორნიც პეტერბურგის მბეჭდავნი და მელითონენი არიან, ლიკვიდატორები ძლივს შეადგენენ 1/5 ნაწილს.

---

* წინასწარ ვიხდით ბოდიშს «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» წინაშე, თუ მისი ანგარიშების გადასინჯვის დროს გამოვტოვეთ 1 — 2 სახელოსნო, სადაც პროფესია აღნიშნული არ არის. ამას ადგილი არ ექნებოდა, «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა» რომ უფრო დაწვრილებით ამუშავებდეს თავის ცნობებს.

ჩვენ აქ არ შეგვიძლია მოვიყვანოთ შეგროვებული თანხების შედარებითი ციფრები ყველა დანარჩენი პროფესიისათვის, ვინაიდან ეს მეტად დიდ ადგილს დაიჭერდა. ამიტომ მოვიყვანთ ყველა ამ პროფესიისათვის საერთო მონაცემებს.

გარდა ჩამოთვლილი პროფესიებისა «პუტ პრავდიმ» მუშებისაგან მიიღო 3 700 მ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტამ» კი — 500 მან. (ციფრები დამრგვალებულია). ეს არის ნოქრების, მკერავების, მეტყავეების, ფეიქრების, მეპურეებისა და სხვების, წვრილ მრეწველობაში ჩაბმული მუშების შემოწირულებანი.

აქაც «პუტ პრავდისათვის» შეგროვებულია 7-ჯერ მეტი, ვიდრე «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის». არც ერთი პროფესია არ არის ისეთი, რომელსაც «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის» მეტი მიეცეს, ვიდრე «პუტ პრავდისათვის». კანტორის მოხელეებმა და მოსამსახურეებმაც კი «პუტ პრავდისათვის» შეაგროვეს 273 მ. 11 კ., «სევერნაია რაბოჩაია გაზეტასათვის» კი კანტორის მოხელეებმა და ნოქრებმა ერთად («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» ცნობებით) შეაგროვეს 262 მან. 32 კაპ.; ნოქრებმა «პუტ პრავდისათვის» გაიღეს 238 მ. 11 კაპ.

მოვიყვანთ კიდევ იმ საწარმოთა სიას, რომლებიც ყველაზე აქტიურად დაეხმარნენ თავიანთ მუშურ გაზეთს:

1) ქარხანა «ახალი აივაზი» — 791 მან. 37 კაპ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» — 464 მან. 67 კაპ.), 2) პუტილოვის ქარხანა — 335 მან. 46 კაპ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» — 59 მ. 38 კ.), 3) სპბ. ლითონის ქარხანა — 273 მ. 36 კ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» — 116 მ. 92 კ.), 4) მილების ქარხანა — 243 მ. 80 კ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» — 113 მ. 41 კ.), 5) სიმენს-შუკერტი — 229 მ. 26 კ., 6) ერიქსონის ფაბრიკა — 228 მ. 82 კ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» — 55 მ. 13 კ.), 7) პარვიაინენი — 183 მ. 93 კ., 8) ქარხანა ძველი ლესნერი — 168 მ. 30 კ., 9) საფრანგეთ-რუსეთის

ქარხანა — 148 მ. 82 კ., 10) ქარხანა ახალი ლესნერი — 116 მ. 25 კ., 11) კაბელის ქარხანა — 112 მ. 62 კ., 12) სიმენს-ჰალსკე — 104 მ. 30 კ., 13) ობუხოვოს ქარხანა — 91 მ. 02 კ., 14) სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელი ექსპედიცია — 79 მ. 12 კ. («სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» — 54 მან.) [143].

«ტრუდოვაია პრავდა» №№ 30 და 31;
1914 წ. 2 და 3 ივლისი

იბეჭდება
გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის»
ტექსტის მიხედვით

პოლონეთის ს.-დ. ოპოზიცია გზაჯვარედინზე

ბრიუსელის თათბირზე პოლონეთის ს.-დ. ოპოზიციის გადასვლა ლიკვიდატორების მხარეზე ბევრს მოულოდნელი ეჩვენა და უაღრესად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ყველა პარტიელზე. ფიქრობდნენ, რომ პოლონეთის ს.-დ. ოპოზიცია ლატვიელებზე არა ნაკლებ ახლოს დგას პრავდისტებთან. და რას ვხედავთ — ლატვიელები თავიანთ საგუშაგოზე არიან ლიკვიდატორთა წინააღმდეგ, პოლონეთის ს.-დ-ებმა კი ღალატი ჩაიდინეს!!

რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ პოლონეთის ს.-დ-ებს ორი მიმდინარეობა აქვთ: ერთს სწადია ტიშკოსა და როზა ლუქსემბურგის გადაყენება, რათა თვითონ განაგრძოს ტიშკოს პოლიტიკა. ესაა უპრინციპო დიპლომატიის, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, პარტიასა და ლიკვიდატორებს შორის «თამაშის» პოლიტიკა. დღეს ერთს მისცენ ხმა, ხვალ — მეორეს. თავიანთი ვითომდა «მიუკერძებლობის» გამო ყველას რიგრიგობით უღალატონ და გამოსცინცლონ თავისთვის «სარფა და პრივილეგიები». ფედერაციული ხასიათის პუნქტები პოლონელ სოციალ-დემოკრატთა და რუსეთის სოციალ-დემოკრატთა სტოკჰოლმის (1906) ხელშეკრულებაში [144] — მოხერხებული იარაღია ამ უმსგავსო პოლიტიკისა, რასაც ტიშკო და როზა ლუქსემბურგი ეწეოდნენ ისე, როგორც ვირტუოზები.

მეორე მიმდინარეობა იმას ემხრობა, რომ სავსებით გაწყვეტილ იქნას კავშირი ლიკვიდატორებთან, ფედერალიზმთან, ორ მებრძოლ მხარეს შუა «ქანქარას» როლის «თამაშთან»; — ემხრობა პრავდისტებთან, პარტიასთან გულწრფელ და მჭიდრო კავშირს.

ბრიუსელში პოლონელ ს.-დ-ებში პირველმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა. გასაგებია, რომ ამიტომ აუცილებელია უაღრესი უნდობლობით მოვეპყროთ პოლონელ სოციალ-დემოკრატებს. გავა დრო და ვნახავთ, მოახერხებს თუ არა მეორე მიმდინარეობა დაირაზმოს, გაშალოს თანამიმდევრული, პრინციპული პოლიტიკის ნათელი, სწორი, გარკვეული დროშა, პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია არა მარტო ტიშკოს წრის წინააღმდეგ, არამედ ტიშკოს ხერხთა არსის წინააღმდეგაც. თქმა არ უნდა, პოლონეთის ს.-დ. პროლეტარიატის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ასეთი პოლიტიკის საფუძველზე.

ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას ასეთი გაერთიანების მისაღწევად, საბოლოოდ ცხადყოფენ ჭეშმარიტებას პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის საქმეთა ნამდვილი ვითარების შესახებ და მით განსაზღვრავენ ჩვენს დამოკიდებულებას მისდამი.

დაწერილია 1914 წ.
7 (20) ივლისზე გვიან

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს
ლენინის კრებულში XXX

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პასუხი «ლეიფციგერ ფოლკსცეიტუნგის» სტატიაზე[145]

«ლეიფციგერ ფოლკსცეიტუნგის» 1914 წ. 11 ივლისის 157 ნომერში დაიბეჭდა სტატია Z. L. ხელმოწერით — «ერთიანობის საკითხისათვის რუსეთში». სტატიის ავტორის არასაკმაო ობიექტურობა გვაიძულებს მივაპყროთ გერმანელი ამხანაგების ყურადღება ზოგიერთ ფაქტზე. თვალსაჩინოებისათვის მოგვყავს «პრავდაში» გამოქვეყნებული ცხრილი *.

ფულის შეგროვება მარქსისტული (პრავდისტული) და ლიკვიდატორული გაზეთებისათვის ს.-პეტერბურგში 1914 წლის 1 იანვრიდან 13 მაისამდე

	პრავდისტები		ლიკვიდატორები	
	რამდენჯერ შეგროვდა ფული	შეგროვებული თანხა	რამდენჯერ შეგროვდა ფული	შეგროვებული თანხა
მუშათა ჯგუფები.....	2 873	18 934,10	671	5 296,12
არა მუშათა ჯგუფებისაგან	713	2 650,01	453	6 759,77
მათ შორის:				
მოსწავლეთა და ახალგაზრდობის ჯგუფები.....	54	650,92	45	630,22
«მომხრეთა», «მეგობართა» ჯგუფები და ა. შ.....	42	458,82	54	2 450,60
დანარჩენი ჯგუფები.....	33	125,29	30	186,12
ცალკეული პირები	531	1 046,62	266	1 608,32
აღნიშნული არაა, ვისგან...	43	318,57	24	175,34
სახდვარგარეთიდან.....	10	49,79	34	1 709,17
სულ	3 586	21 584,11	1 124	12 055,89

1. ჩვენს მიერ ზუსტად არის აღნიშნული, რა დროიდან რა დრომდე იქნა მოხდენილი შეჯამება (1914 წლის 1 იანვრიდან 13 მაისამდე). ლიკვიდატორებს ვადები აღნიშნული არა აქვთ.

* იხ. ეს ტომი, გვ. 445. რ ე დ.

ასეთ შემთხვევაში განა კეთილსინდისიერება იქნებოდა ისეთი ფაქტების დაპირისპირება, რომელთა შედარება არ შეიძლება და რომლებიც სარწმუნონი არ არიან?

2. ლიკვიდატორებმა თვითონ განაცხადეს და პრესაშიც გამოაქვეყნეს («ნაშა რაბოჩაია გაზეტას» № 34-ში), რომ 948 ჯგუფი — ესაა ყ ვ ე ლ ა იმ ჯგუფთა რიცხვი, რომლებიც მათ მოეპოვებათ, ე. ი. არა მხოლოდ მუშათა ჯგუფები. ამავე დროს კი, ჩვენს სტატისტიკაში ნათლადაა მითითებული, რომ ციფრები 2 873 და 671 მ ხ ო ლ ო დ მუშათა ჯგუფებს შეეხება. ჯგუფების საერთო რიცხვი ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი ა ჩვენს ცხრილში და ეს რიცხვი ა რ ე მ თ ხ ვ ე ვ ა მუშათა ჯგუფების რიცხვს. განა კეთილსინდისიერებაა ამაზე არაფრის თქმა?

3. ჩვენს გაზეთში ვიტყობინებოდით, რომ ჩვენ ორივე გაზეთისათვის აღვნიშნავთ მუშათა ჯგუფების შენატანებს და რომ არ მოგვეპოვება მონაცემები ერთი და იმავე ჯგუფების განმეორებით შენატანებზე. ცნობები ორივე გაზეთისათვის ერთნაირია. აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ შეეძლო პატიოსან კრიტიკოსს ეპოვა აქ ჩვენი რაღაც «შეცდომა»!

4. ჩვენ მოვიყვანეთ პ ა რ ა ლ ე ლ უ რ ი მონაცემები, ე. ი. ერთი და იმავე დროისა ორივე გაზეთის შესახებ, და ორივე გაზეთის ცნობები ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე წ ე ს ი თ იყო დამუშავებული.

ლიკვიდატორებს საერთოდ არ მოჰყავთ პარალელური მონაცემები, და ამით ისინი არღვევენ ყოველი სტატისტიკური მუშაობის ელემენტარულ, საყოველთაოდ ცნობილ წესებს. ყველას, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, ადვილად შეუძლია შეიძინოს ორივე გაზეთი და შეამოწმოს ჩვენი ცნობები.

დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთ ობიექტურ ადამიანს არ შეუძლია კეთილსინდისიერი უწოდოს Z. L.-ის «კრიტიკის» ხერხებს.

«Leipziger Volkszeitung» № 165,
1914 წ. 21 ივლისი
ხელმოწერა: «პ რ ა ვ დ ი ს» რ ე დ ა ქ ც ი ა

იბეჭდება გაზეთ
«Leipziger Volkszeitung»-ის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

შენიშვნები

1 **სტატია** «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე» ლენინის მიერ დაწერილია 1913 წლის ოქტომბერ-დეკემბერში და დაიბეჭდა იმავე წელს ბოლშევიკურ ლეგალურ ჟურნალ «პროსვეშჩენიეში», №№ 10, 11 და 12.

სტატიის დაწერას წინ უსწრებდა ლენინის რეფერატები ნაციონალურ საკითხზე, რომლებიც მან 1913 წლის ზაფხულში წაიკითხა შვეიცარიის მთელ რიგ ქალაქებში — ციურიხსა, ჟენევასა, ლოზანასა და ბერნში.

1913 წლის შემოდგომაზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით ნაციონალურ საკითხზე რსდმპ ცენტრალური კომიტეტის «აგვისტოს» («ზაფხულის») თათბირზე პარტიულ მუშაკებთან ერთად. ლენინის მოხსენების გამო მიღებულ იქნა მის მიერ დაწერილი რეზოლუცია. თათბირის დამთავრების შემდეგ ლენინი შეუდგა მუშაობას სტატიაზე «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე». — **1.**

2 «ს ე ვ ე რ ნ ა ი ა პ რ ა ვ დ ა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის — «პრავდის» ერთ-ერთი სახელწოდება; «პრავდა» გამოდიოდა პეტერბურგში.

«პრავდა» დაარსებულ იქნა ვ. ი. ლენინის მითითებით და ი. ბ. სტალინის ინიციატივით. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა «პრავდის» პლატფორმა და შემზადდა პირველი ნომერი, რომელიც 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს) გამოვიდა.

«პრავდა» მუშების სახსრებით გამოდიოდა: 1912 წელს მუშებმა ბოლშევიკური პრესისათვის ფულის 620 ჯგუფური შეგროვება ჩაატარეს, 1913 წელს — 2 181, 1914 წლის იანვარ-მაისში — 2 873. მოწინავე მუშები «პრავდის» კორესპონდენტები იყვნენ. მისი ტირაჟი 40 — 60 ათას ცალს აღწევდა დღეში. გაზეთის თვითეულ ეგზემპლარს ათობით მუშები კითხულობდნენ.

ბოლშევიკებს მაშინ «პრავდისტებს» უწოდებდნენ. «1912 წლის «პრავდა», — წერდა ი. ბ. სტალინი, — ეს საძირკვლის ჩაყრაა 1917 წელს ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის».

ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობას უწევდა «პრავდას», თითქმის ყოველდღე წერდა გაზეთში, მითითებებს აძლევდა მის რედაქციას. 1912 წლის სექტემბერში ნარიმის გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ ხელმძღვანელ მონაწილეობას «პრავდაში» ი. ბ. სტალინი იღებდა. 1913 წლის იანვარ-თებერვალში გაზეთის რედაქტორი იყო ი. მ. სვერდლოვი. 1913 წლის თებერვალში ი. ბ. სტალინმა ი. მ. სვერდლოვთან ერთად მოახდინა «პრავდის» რედაქციის რეორგანიზაცია ლენინის მითითებათა თანახმად. 1912 წლის მაისიდან ნოემბრამდე მდივნად და სარედაქციო კოლეგიის წევრად ვ. მ. მოლოტოვი მუშაობდა; 1913 წლის შემოდგომაზე, არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი, იგი «პრავდაში» ხელმძღვანელობდა პროფესიული მოძრაობის განყოფილებას. რედაქციის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, კ. ს. ერემეევი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ნ. სამოილოვა, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. გაზეთში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ IV სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები. «პრავდაში» იბეჭდებოდა ა. მ. გორკის ნაწარმოებები.

მეფის მთავრობამ რვაჯერ დახურა «პრავდა», მაგრამ გაზეთი კვლავ გამოდიოდა სხვა სახელწოდებით: «რაბოჩაია პრავდა», «სეგერნაია პრავდა», «პრავდა ტრუდა», «ზა პრავდუ», «პროლეტარსკაია პრავდა», «პუტ პრავდი», «რაბოჩი», «ტრუდოვაია პრავდა».

«პრავდა» იმპერიალისტური ომის წინადღეს დაიხურა — 1914 წლის 8 (21) ივლისს; მისი გამოცემა განახლდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წლის 5 (18) მარტს; გაზეთმა გამოსვლა იწყო როგორც რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ოფიციალურმა ორგანომ. 15 (28) მარტს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ი. ბ. სტალინი. რუსეთში 1917 წლის აპრილს დაბრუნების შემდეგ ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა «პრავდის» ხელმძღვანელობას. ივლისის დღეების შემდეგ, ვ. ი. ლენინის არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელი რედაქტორი გახდა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის ივლის-ოქტომბერში დროებითი მთავრობის მიერ დევნილმა «პრავდამ» ოთხჯერ გამოიცვალა სახელწოდება და შემდეგი სახელწოდებებით გამოდიოდა: «ლისტოკ პრავდი», «პროლეტარი», «რაბოჩი», «რაბოჩი პუტ». 27 ოქტომბრიდან

(9 ნოემბრიდან) გაზეთმა გამოსვლა იწყო თავისი ძველი სახელწოდებით — «პრავდა». — 3.

3 «ц а и т» («დრო») — ყოველკვირეული გაზეთი, ბუნდის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე. — 3.

4 «ж з и н» («ზარი») — მეწშევიკური მიმართულების ყოველთვიური ლეგალური ნაციონალისტური ჟურნალი; გამოდიოდა უკრაინულ ენაზე კიევში 1913 წლის იანვრიდან 1914 წლის შუა ხანებამდე. — 3.

5 «р у с с к о е с л о в о» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1895 წლიდან; დაიხურა 1917 წლის ნოემბერში. — 4.

6 ბ უ ნ დ ი — «ლიტვის, პოლონეთისა და რუსეთის ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირი» — შეიქმნა 1897 წელს; უმთავრესად აერთიანებდა რუსეთის დასავლეთი ოლქების ებრაელ ხელოსნებს. რსდმპ I ყრილობაზე, 1898 წლის მარტში, ბუნდი შევიდა რსდმ პარტიაში. რსდმპ II ყრილობაზე ბუნდელებმა მოითხოვეს, რომ ბუნდი რუსეთის ებრაელი მუშების ერთადერთ წარმომადგენლად ყოფილიყო აღიარებული. მას შემდეგ რაც ყრილობამ უარყო ბუნდის ორგანიზაციული ნაციონალიზმი, ბუნდი პარტიიდან გავიდა. 1906 წელს, IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ, ბუნდი კვლავ შევიდა რსდმ პარტიაში. ბუნდელები მუდამ მხარს უჭერდნენ მენშევიკებს და განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბუნდი ფორმალურად შედიოდა რსდმპ შემადგენლობაში, ორსებითად კი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათის ორგანიზაციას წარმოადგენდა. ბოლშევიკების პროგრამულ მოთხოვნას — ერთა თვითგამორკვევის უფლებას — ბუნდი უპირისპირებდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნას. 1914 — 1918 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს ბუნდელები სოციალ-შოვინიზმის პოზიციებზე იდგნენ; 1917 წელს ბუნდი მხარს უჭერდა კონტრრევოლუციურ დროებითს მთავრობას, იბრძოდა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მტრების მხარეზე. სამოქალაქო ომის წლებში ცნობილი ბუნდელები მჭიდროდ შეუკავშირდნენ კონტრრევოლუციის ძალებს. ამავე დროს ბუნდის რიგითს წევრებს შორის დაიწყო გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სასარგებლოდ, როცა ნათლად გამოაშკარავდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება შინაურ კონტრრევოლუციასა და უცხოელ ინტერ-

ვენტებზე, ბუნდმა განაცხადა, რომ ხელს იღებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე. 1921 წლის მარტში ბუნდმა თვითლიკვიდაცია მოახდინა, მის წევრთა ერთი ნაწილი შევიდა რკპ(ბ) რიგებში საერთო საფუძველზე. პარტიაში შესულ ბუნდელებს შორის იყვნენ თვალთმაქცნი, რომლებიც პარტიაში იმისთვის შევიდნენ, რომ შიგნიდან გამოეთხარათ მისთვის ძირი; შემდგომ ისინი მხილებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები. — 13.

7 «ს ე რ პ ი» (ებრაელთა სოციალისტური მუშათა პარტია) — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაცია; შეიქმნა 1906 წელს. «სერპის» პროგრამას საფუძვლად ედო ებრაელთა ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნა — შექმნა ებრაელთა ექსტერიტორიული პარლამენტებისა (სეიმებისა), რომლებიც უფლებამოსილნი იქნებოდნენ გადაეწყვიტათ რუსეთის ებრაელთა პოლიტიკური წყობის საკითხები. «სერპი» ახლოს იდგა ესერებთან და მათთან ერთად ბრძოლას ეწეოდა რსდმ პარტიის წინააღმდეგ. — 26.

8 ბ ე ი ლ ი ს ი ს ს ა ქ მ ე — პროვოკაციული სასამართლო პროცესი, რომელიც 1913 წელს მეფის მთავრობამ მოაწყო კიევში ებრაელ ბეილისის წინააღმდეგ; ბეილისს უსამართლოდ ბრალს სდებდნენ იმაში, თითქოს მას რიტუალური მიზნით მოეკლას ქრისტიანი ყმაწვილი იუშჩინსკი (ნამდვილად მკვლელობა მოწყობილი იყო შავრაზმელების მიერ). ამ პროცესის ინსცენირებით მეფის მთავრობა ცდილობდა გაეღვივებინა ანტისემიტიზმი და გამოეწვია ებრაელთა რბევა-აწიოკება იმ მიზნით, რომ მასების ყურადღება ჩამოეშორებინა რევოლუციური მოძრაობისაგან, რომელიც რუსეთში იზრდებოდა. პროცესმა ძლიერი საზოგადოებრივი აღშფოთება გამოიწვია; მთელ რიგ ქალაქებში მუშებმა საპროტესტო დემონსტრაციები მოაწყვეს. სასამართლომ ბეილისი გაამართლა. — 28.

9 P. P. S. (პ. პ. ს.) — პოლონეთის სოციალისტური პარტია — წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია, დაარსდა 1893 წელს. პ. პ. ს-მა თავის პროგრამას საფუძვლად დაუდო დამოუკიდებელი პოლონეთისათვის ბრძოლა; იგი სეპარატისტულ, ნაციონალისტურ პროპაგანდას ეწეოდა პოლონელ მუშებს შორის და ცდილობდა ისე წარემართა საქმე, რომ მათ რუს მუშებთან ერთად ბრძოლა არ გაეწიათ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით პ. პ. ს. 1906 წელს ორ ფრაქციად გაითიშა: პ. პ. ს. «ლევიცად» და პ. პ. ს. «პრავიცად» («ფრაკები»).

«ლ ე ვ ი ც ა ს» მთლიანად არ უარუყვია ნაციონალიზმი, მაგრამ ხელი აიღო მთელ რიგ ნაციონალისტურ მოთხოვნებსა და ბრძოლის ტერორისტულ მეთოდებზე. ტაქტიკურ საკითხებში იგი ახლოს იდგა რუს მენშევიკ-ლიკვიდატორებთან და მათთან ერთად ბრძოლას ეწეოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. პირველი მსოფლიო ომის წლებში «ლევიცის» მეტი ნაწილი ინტერნაციონალისტურ პოზიციაზე დადგა და პოლონეთის ს.-დ. პარტიას დაუახლოვდა; 1918 წლის დეკემბერში მათ ერთად შეადგინეს პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტია.

«პ რ ა ვ ი ც ა», რომელსაც სათავეში ედგა პილსუდსკი, ნაციონალ-შოვინიზმის პოლიტიკას განაგრძობდა; შემდეგში მისგან აღორძინდა პ. პ. ს.. 1918 წელს, პოლონეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს დაარსებისთანავე, პ. პ. ს. მთავრობის პარტია გახდა, ანტისაბჭოთა პოლიტიკას ატარებდა და მხარს უჭერდა პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთა დამონებას.

მეორე მსოფლიო ომის დროს პ. პ. ს. ორ ჯგუფად გაითიშა. პ. პ. ს-ის რეაქციულ-შოვინისტური ნაწილი, რომელიც «ვრნ»-ის («Wolność, równość i niepodległość» — «თავისუფლება, თანასწორობა და დამოუკიდებლობა») სახელწოდებით გამოდიოდა, ფაშისტებთან თანამშრომლობის გზას დაადგა. მეორე ნაწილი, რომელსაც «პოლონელი სოციალისტების მუშათა პარტია» ეწოდებოდა, პოლონეთის მუშათა (კომუნისტების) პარტიასთან და უპარტიო პოლონელ პატრიოტებთან ერთად იბრძოდა პოლონეთის განსათავისუფლებლად ფაშისტური დამონებისაგან და სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისათვის. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პ. პ. ს. შედის პოლონეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კოალიციის შემადგენლობაში. — 28.

10 «ლ უ ჩ» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის სექტემბრიდან 1913 წლის ივლისამდე; არსებობდა «ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს წ რ ი ს მ დ ი დ ა რ მ ე გ ო ბ ა რ თ ა სახსრებით» (ლ ე ნ ი ნ ი). «ლუჩის» მაგვარად 1913 წლის ივლისიდან გამოდიოდა გაზეთი «ჟივაია �იზნ», შემდეგ კი — «ნოვაია რაბოჩაია გაზეტა». — 29.

11 ლენინი მიუთითებს ი. ბ. სტალინის სტატიაზე «მ ა რ ქ ს ი ზ მ ი დ ა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ა კ ი თ ხ ი», სადაც მეოთხე თავში მოყვანილია ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრიუნის ყრილობაზე მიღებული ნაციონალური პროგრამის ტექსტი (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 347). ი. ბ. სტალინის სტატია

გამოქვეყნდა ჟურნალ «პროსვეშჩენიეში», №№ 3, 4, 5 — 1913 წელს, სათაურით «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია» და კ. სტალინის ხელმოწერით. 1914 წელს სტატია გამოიცა ცალკე ბროშურად სახელწოდებით «ნაციონალური საკითხი და მარქსიზმი».

«პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე» — ყოველთვიური ბოლშევიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან. ჟურნალი დაარსებულ იქნა ლენინის მითითებით ნაცვლად მთავრობის მიერ დახურულ ბოლშევიკურ ჟურნალ «მისლისა», რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პროსვეშჩენიეს»; ჟურნალში გამოქვეყნდა მისი ნაშრომები: «მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი», «საარჩევნო კამპანიის პრინციპული საკითხები», «არჩევნების შედეგები», «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» და სხვა.

პეტერბურგში 1912 და 1913 წლებში ყოფნის დროს ჟურნალის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. «პროსვეშჩენიეს» მუდმივი თანამშრომელი იყო ვ. მ. მოლოტოვი. მხატვრული ლიტერატურის განყოფილებას რედაქტორობდა ა. მ. გორკი. სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდნენ: მ. ა. საველიევი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. ჟურნალის ტირაჟი 5 ათას ცალს აღწევდა.

ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ პირველი მსოფლიო ომის წინანახანებში — 1914 წლის ივნისში. «პროსვეშჩენიეს» გამოცემა 1917 წლის შემოდგომაზე განახლდა; გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი, სადაც დაიბეჭდა ლენინის ნაშრომები: «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?» და «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის». — **30.**

12 «ნ ო ვ ა ი ა რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1913 წლის აგვისტოდან. 1914 წლის 30 იანვრიდან (12 თებერვლიდან) მის ნაცვლად გამოდიოდა «სევერნაია რაბოჩაია გაზეტა», შემდეგ კი — «ნაშა რაბოჩაია გაზეტა». ლენინს არა ერთხელ უწოდებია ამ გაზეთისათვის «ახალი ლიკვიდატორული გაზეთი». — **31.**

13 მოყვანილი მონაცემები ლენინს ამოღებული აქვს სტატისტიკური შეჯამებითი შრომიდან «იმპერიის დაწყებითი სკოლების ერთდღიური აღწერა, ჩატარებული 1911 წლის 18 იანვარს. ნაკვეთი I, ნაწილი მე-2. ს.-პეტერბურგის სასწავლო ოლქი. არხანგელსკის, ვოლოგდის,

ნოვგოროდის, ოლონეცის, ფსკოვისა და ს.-პეტერბურგის გუბერ-ნიები». ს.-პეტერბურგი, 1912, გვ. 72. — **36.**

14 დ რ ა გ ო მ ა ნ ო ვ ი, მ. პ. (1841 — 1895) — უკრაინელი ისტორიკოსი და პუბლიცისტი; უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალ-ლიბერა-ლიზმის იდეოლოგიის გამომხატველი. — **39.**

15 **«Przeglad Socjaldemokratyczny»** («სოციალ-დემოკრატიული მიმო-ხილვა») — ჟურნალი; ჟურნალს 1902 წლიდან 1904 წლამდე და 1908 წლიდან 1910 წლამდე სცემდნენ კრაკოვში პოლონელი სოციალ-დემოკრატები რ. ლუქსემბურგის უახლოესი მონაწილეობით. — **40.**

16 «ვ ე ს ტ ნ ი კ ე ვ რ ო პ ი» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1866 წლიდან 1918 წლის გაზაფხულამდე. ჟურნალი ატარებდა რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის შეხედულებებს; 90-იანი წლების დასაწყისიდან სისტემატურ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ. — **43.**

17 ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ბ ი უ რ ო (ს. ს. ბ.) — II ინტერნაციონალის აღმასრულებელი ორგანო; შეიქმნა პარიზის 1900 წლის კონგრესის გადაწყვეტილებით. 1913 წლის 14 დეკემბერს (ახ. სტ.) საერთაშ. სოც. ბიუროს მიიღო გადაწყვეტილება იმის შესა-ხებ, რომ ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს მოეწვია «რუსეთის მუშათა მოძრაობის ყველა ფრაქციათა» თათბირი არსებულ უთანხ-მოებათა გამოსარკვევად «აზრთა საერთო გაცვლა-გამოცვლის» სა-შუალებით — რსდმ პარტიის ერთიანობის ვითომდა აღდგენის მიზნით. ეს საკითხი საერთაშ. სოც. ბიუროს სესიაზე დასმულ იქნა როზა ლუქსემბურგის ინიციატივით იმ მიზნით, რომ დახმარებოდნენ რუს ლიკვიდატორებს, რომლებიც დამარცხდნენ ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ლიკვიდატორულმა «ნოვაია რაბოჩაია გაზეტამ», საერთაშ. სოც. ბიუროს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, დაბეჭდა დეპეშა ლონ-დონიდან, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ საერთაშ. სოც. ბიუროს სხდომაზე ვითომდა უარყოფილ იქნა ბოლშევიკების მოთხოვნა — გაგზავნილი ყოფილიყო II ინტერნაციონალის საპარლამენტთაშორისო სექციაში სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის («ექვსეულის») წარმომადგენელი. ლენინის დავალებით ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ბრიუსელში შეეკითხვით მიმართა საერთაშ. სოც. ბიუროს მდივანს ჰიუისმანსს, როგორ ფიქ-რობს ის უპასუხოს ლიკვიდატორთა ამ გამოტყვრომას. ჰიუისმანსი იძულებული გახდა ოფიციალურად უარეყო «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» ყალბი ცნობა. — **47.**

18 დ. — თ. ი. დანი — მენშევიკ-ლიკვიდატორების ერთ-ერთი ლიდერი. — 48.

19 ლ. ს. (ალექსეევი, ლ. სედოვი) — მენშევიკ-ლიკვიდატორის ბ. ა. გინზბურგის ფსევდონიმები. — 48.

20 ლენინს მხედველობაში აქვს «რეზოლუცია სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ», ხელმოწერით: «ორგანიზებული მარქსისტების ჯგუფი», გამოქვეყნებული გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდაში» № 9, 1913 წლის 17 დეკემბერს. — 49.

21 «ს ა მ ი ე ე შ ა პ ი» — პირობითი გამოთქმა ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში და ღია, ლეგალურ კრებებზე სამი ძირითადი («შეუკვეცელი») რევოლუციური ლოზუნგის აღსანიშნავად: დემოკრატიული რესპუბლიკა, მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია, რვასაათიანი სამუშაო დღე. — 50.

22 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან. დახურულ იქნა პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს); გამოდიოდა სხვა სახელწოდებებით 1918 წლის აგვისტომდე. — 53.

23 «რ ო ს ს ი ა» — ყოველდღიური პოლიციურ-შავრაზმული გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლიდან 1914 წლამდე. 1906 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ორგანო იყო.

«ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად ზომიერ-ლიბერალური იყო, 1876 წლიდან კი გადაიქცა რეაქციული თავადაზნაურული და ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული წრეების ორგანოდ. გაზეთი ბრძოლას ეწეოდა არა მარტო რევოლუციური მოძრაობის, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო. ლენინი «ნოვოე ვრემიას» გამყიდველი გაზეთების ნიმუშს უწოდებდა.

«ზ ე მ შ ჩ ი ნ ა» — ყოველდღიური შავრაზმული გაზეთი; სახელმწიფო სათათბიროს უკიდურესი მემარჯვენე დეპუტატების ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1909 წლის ივლისიდან 1917 წლის თებერვლამდე. — 55.

24 «ს ე ვ ე რ ნ ა ი ა მ ი ს ლ» — მემარცხენე-ნაროდნიკული (ესერული) ლეგალური გაზეთის — «ჟივაია მისლის» ერთ-ერთი სახელწოდება;

გაზეთი გამოდიოდა პეტერბურგში ორჯერ, შემდეგ კი — სამჯერ კვირაში, 1913 წლის აგვისტოდან 1914 წლის ივლისამდე. ამ პერიოდის განმავლობაში გაზეთმა ათი სახელწოდება გამოიცვალა: «ზავეტნაია მისლ», «ვოლნაია მისლ», «ვერნაია მისლ» და სხვ. — **56**.

25 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან, რომელიც შესდგა სოფელ პორონინში 1913 წლის 23 სექტემბერს — 1 ოქტომბერს (6 — 14 ოქტომბერს); კონსპირაციული მოსაზრებებით თათბირს «აგვისტოს» («ზაფხულის») თათბირი ეწოდა. რეზოლუცია «ნაროდნიკების შესახებ», რომელზეც აქ ლაპარაკია, დაწერილია ლენინის მიერ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 508 — 510). — **56**.

26 «ზ ა ვ ე ტ ი» — ესერული მიმართულების ყოველთვიური ლეგალური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის აპრილიდან 1914 წლის ივლისამდე. — **57**.

27 ეს შენიშვნა წარმოადგენს ბოლოსიტყვაობას კაუცკის წერილისადმი, რომელიც გამოქვეყნდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოში — გაზეთ «**Vorwärts**»-ში და გადაბეჭდილ იქნა გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდაში» № 12, 1913 წლის 20 დეკემბერს. კაუცკის წერილი იყო პასუხი რ. ლუქსემბურგის წერილისა «**Vorwärts**»-ის რედაქციისადმი. — **62**.

28 «დ ე ნ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლიდან. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკი-ლიკვიდატორები, რომელთა ხელში მთლიანად გადავიდა გაზეთი 1917 წლის თებერვლის შემდეგ. დახურულ იქნა პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — **71**.

29 «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ლიბერალური ბურჟუაზიის ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1880 წლიდან. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ — კადეტთა პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. ამ პერიოდში ლენინი «რუსსკაია მისლს» უწოდებდა «ჩერნოსოტენნაია მისლს» («შავგაზმულ აზრს»). ჟურნალი დახურულ იქნა 1918 წლის ნახევარში. — **71**.

30 ლენინს მხედველობაში აქვს ბურჟუაზიული ლიბერალების ორკვირეული ჟურნალი — «ო ს ვ ო ბ ო ჟ დ ე ნ ი ე», რომელიც საზღვარგარეთ გამოდიოდა 1902 — 1905 წლებში პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. 1904 წლიდან ჟურნალი ლიბერალურ-მონარქისტული «განთავისუფლების

კავშირის» ორგანო იყო. შემდეგში «ოსეობოედენიელებმა» შეადგინეს კადეტთა პარტიის — რუსეთში მთავარი ბურჟუაზიული პარტიის — ბირთვი. — 74.

81 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციის (რსდმპ მეხუთე კონფერენციის) და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

რ ს დ მ პ მ ე ხ უ თ ე კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა შესდგა პარიზში 1908 წლის 21 — 27 დეკემბერს (1909 წლის 3 — 9 იანვარს). კონფერენციას ესწრებოდა 16 დელეგატი გადამწყვეტი ხმით: 5 ბოლშევიკი, 3 მენშევიკი, 5 პოლონელი სოციალ-დემოკრატი და 3 ბუნდელი. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი იყო ლენინი. კონფერენციაზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით «თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ», აგრეთვე სიტყვებით სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შესახებ, ორგანიზაციულ და სხვა საკითხებზე. კონფერენციაზე ბოლშევიკები ებრძოდნენ ორი სახის ოპორტუნიზმს პარტიაში: ლიკვიდატორებსა და ოტზოვისტებს. ლენინის წინადადებით კონფერენციამ დაგმო ლიკვიდატორობა და ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდა — გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინათ პარტიის ლიკვიდაციის ცდების წინააღმდეგ.

კონფერენციის გადაწყვეტილებათა შეფასება იხ. ლენინის სტატიებში «გზაზე» და «ლიკვიდატორობის ლიკვიდაცია» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 418 — 431; 554 — 564).

რ ს დ მ პ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს პ ლ ე ნ უ მ ი შესდგა 1910 წლის 2 — 23 იანვარს (15 იანვარს — 5 თებერვალს) პარიზში. პლენუმი მოწვეული იყო ლენინის თანხმობის გარეშე, ტროცკის ფარული მოკავშირეების — ზინოვიევის, კამენევისა და რიკოვის დახმარებით. პლენუმს, გარდა ბოლშევიკებისა, ესწრებოდნენ ყველა ფრაქციათა და ფრაქციულ დაჯგუფებათა წარმომადგენლები, აგრეთვე ნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები. წინააღმდეგ ლენინის გეგმისა — მომხდარიყო მენშევიკ-პარტიელებთან (პლეხანოველებთან) დაახლოება ლიკვიდატორობის წინააღმდეგ საბრძოლველად, შემარიგებლები, ფარული ტროცკისტები, მოითხოვდნენ ყველა ფრაქციის დაშლას და ბოლშევიკების გაერთიანებას ლიკვიდატორებთან და ტროცკისტებთან. პლენუმზე უპირატესობა მოიპოვეს შემარიგებლურმა ელემენტებმა, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ მთელი რიგი ანტილენინური გადაწყვეტილებანი გაეტარებინათ. მხოლოდ ლენინის დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ პლენუმმა მიიღო დადგენილება ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმის დაგმობის შესახებ. — 75.

32 II ინტერნაციონალის კოპენჰაგენის კონგრესი შესდგა 1910 წლის 28 აგვისტოს — 3 სექტემბერს (ახ. სტ.). ჩეხთა და ავსტრიელთა გათიშვის საკითხის განხილვისას კონგრესმა გაილაშქრა ჩეხი სეპარატისტების «ბუნდისტურ-ნაციონალისტური» პრინციპების წინააღმდეგ. — **77.**

33 ფ. დ., გ ა მ მ ა, ლ. მ., ე მ-ე ლ ი, რ ა კ ი ტ ი ნ ი — მენშევიკები: ფ. დ. — თ. ი. დანი; გამმა და ლ. მ. — ლ. მარტოვი (ი. ო. ცედერბაუმი); ემ-ელი — მ. ი. ლუკომსკი და რაკიტინი — ვ. ლევიცკი (ვ. ო. ცედერბაუმი). — **97.**

34 «ე ვ ე რ ი ო დ ი ს» ჯ გ უ ფ ი — ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა ოტზოვისტებისა, ულტიმატისტებისა, ღვთისმშენებლებისა და ემპირიომონისტებისაგან (მახისა და ავენარიუსის რეაქციული იდეალისტური ფილოსოფიის მომხრეებისაგან); ჩამოყალიბდა 1909 წლის დეკემბერში საზღვარგარეთ ა. ბოგდანოვისა და გ. ალექსინსკის მეთაურობით; ჰქონდა რამდენიმე პატარა, უმთავრესად ინტელიგენციისაგან შემდგარი ჯგუფი პარიზსა, ჟენევასა და თბილისში. «ვპერიოდის» ჯგუფის შეხედულებანი წარმოადგენდნენ, ლენინის გამოთქმით, «ბოლშევიზმის კარიკატურას». არ გააჩნდა რა დასაყრდენი მუშებს შორის, «ვპერიოდის» ჯგუფი ფაქტიურად დაიშალა 1913 წელს. «ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 603 — 611. — **99.**

35 ა ნ ი — კავკასიელი მენშევიკების ლიდერის ნ. ნ. ჟორდანიას ფსევდონიმი. — **103.**

36 «ნ ა შ ა ზ ა რ ი ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 — 1914 წლებში. «ნაშა ზარიას» ირგვლივ ჩამოყალიბდა ლიკვიდატორთა ცენტრი რუსეთში. — **104.**

37 ლენინს მხედველობაში აქვს ი. ბ. სტალინის სტატია «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი», რომელიც დაიბეჭდა 1913 წლის ჟურნალ «პროსვეშჩენიეში», №№ 3, 4, 5, სათაურით «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია» და ხელმოწერით კ. სტალინი (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 312 — 395). — **108.**

38 ბ ე ლ ო რ უ ს თ ა გ რ ო მ ა დ ა — ნაროდნიკული ტიპის წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაცია; ჩამოყალიბდა 1903 წლის ყრილობაზე. 1905 — 1907 წწ. რევოლუციის პერიოდში გამოდიოდა

ეგრეთწოდებული «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მოთხოვნით. 1917 წელს მხარს უჭერდა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის პოლიტიკას. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ორგანიზაცია დაიშალა.

დ ა შ ნ ა კ ც უ თ ი უ ნ ი (დაშნაკები) — სომეხთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია; წარმოიშვა 90-იანი წლების დასაწყისში; ბრძოლას ეწეოდა მუშებისა და გლეხების რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

1918 — 1920 წლებში დაშნაკები სათავეში ჩაუდგნენ სომხეთის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობას და სომხეთი გადააქციეს ინგლისელ-ფრანგ ინტერვენტთა და რუს თეთრგვარდიელთა დასაყრდენ პუნქტად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ-ფ ე დ ე რ ა ლ ი ს ტ ე ბ ი — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია; შეიქმნა 1904 წელს. გამოდიოდა საქართველოს ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნით რუსეთის მემამულურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფარგლებში. რეაქციის წლებში სოციალისტ-ფედერალისტები რევოლუციის აშკარა მოწინააღმდეგენი გახდნენ.

რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტებმა, ქართველ მენშევიკებთან, დაშნაკებთან და მუსავათელებთან ერთად, ჩამოაყალიბეს კონტრრევოლუციური ბლოკი, რომელსაც მხარს უჭერდნენ გერმანელ-თურქი, ხოლო შემდეგ — ინგლისელ-ფრანგი ინტერვენტები. — **109.**

39 ნაგულისხმევია წიგნი «1905 წ. მიწათმფლობელობის სტატისტიკა. შეჯამებითი მონაცემები ევროპული რუსეთის 50 გუბერნიისთვის». სპბ., შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის გამოცემა, 1907. — **112.**

40 «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1876 წლიდან 1918 წლის შუა ხანებამდე. 90-იანი წლების დასაწყისიდან ჟურნალი ლიბერალური ნაროდნიკების ორგანო იყო. 1906 წლიდან «რუსსკოე ბოგატსტვო» ფაქტიურად ენესების («სახალხო სოციალისტების») ნახევრად-კადეტური პარტიის ორგანო ხდება. ლენინი ამ პერიოდის «რუსსკოე ბოგატსტვოს» მიმართულებას ახასიათებდა, როგორც «ნაროდნიკულს, ნაროდნიკულ-კადეტურს». — **114.**

41 ნ ი კ ო ლ ა ი — ო ნ ი — XIX საუკუნის 80 — 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგის — ნ. ფ. დანიელსონის ფსევდონიმი. — **115.**

42 ლენინს მხედველობაში აქვს «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირი, რომელიც შესდგა პარიზში 1909 წლის 8 — 17 (21 — 30) ივნისს. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიკური ცენტრის (ეს ცენტრი არჩეული იყო 1907 წელს რსდმპ V (ლონდონის) ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის მიერ) 9 წევრმა ლენინის მეთაურობით, პეტერბურგის, მოსკოვის საოლქო და ურალის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირი მოწვეული იყო ოტზოვისტებისა და ულტიმატისტების მოქმედების განსახილველად.

თათბირმა განიხილა საკითხები: 1) ოტზოვიზმისა და ულტიმატიზმის შესახებ; 2) ღვთისმშენებლობის ტენდენციებზე სოციალ-დემოკრატიულ წრეში; 3) პარტიული მუშაობის სხვა დარგებს შორის სათათბიროში მუშაობისადმი დამოკიდებულების შესახებ; 4) ბოლშევიკების ამოცანები პარტიაში; 5) იმ პარტიული სკოლის შესახებ, რომელიც ეწყობოდა საზღვარგარეთ (კუნძ. კაპრიზე); 6) პარტიისაგან ცალკე ბოლშევიკური ყრილობისა ან ბოლშევიკური კონფერენციისათვის აგიტაციის გაწევის შესახებ; 7) ამხ. მაქსიმოვის გამოთხოვის შესახებ; და სხვა საკითხები.

თათბირი ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ლენინი გამოვიდა სიტყვებით დღის წესრიგის ყველა ძირითად საკითხზე. ოტზოვიზმსა და ულტიმატიზმს თათბირზე წარმოადგენდნენ და იცავდნენ ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი) და ვ. შანცერი (მარატი). თვალთმაქცური პოზიცია ეკავათ კამენევს, ზინოვიევს, რიკოვს, ტომსკის.

თათბირმა დაგმო ოტზოვიზმი და ულტიმატიზმი, როგორც «უკუღმა შებრუნებული ლიკვიდატორობა». ოტზოვისტების მიერ შექმნილი კაპრის «პარტიული» სკოლა თათბირმა მიიჩნია «იმ ფრაქციის ცენტრად, რომელიც ბოლშევიკებს შორდება». ა. ბოგდანოვმა უარი თქვა დამორჩილებოდა «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის დადგენილებებს და გარიცხულ იქნა ბოლშევიკური ორგანიზაციიდან.

თათბირმა დაგმო აგრეთვე ღვთისმშენებლობა და დაადგინა გადამწყვეტი ბრძოლა გაჩაღებულიყო მის წინააღმდეგ, მხილებული ყოფილიყო მისი ანტიმარქსისტული ხასიათი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 521 — 553). — 136.

43 ილინი — ვ. ი. ლენინის ფსევდონიმი. ვლ. ილინის ფსევდონიმით 1909 წელს გამოვიდა ლენინის წიგნი «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი. კრიტიკული შენიშვნები ერთ რეაქციულ ფილოსოფიაზე». — 137.

44 ვეტერანი — პ. ი. სტუჩკა. — **140.**

45 «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა. კრებული სტატიებისა თანამედროვე მუშათა მოძრაობის ძირითად საკითხებზე. ნაწილი II» გამოსცა 1914 წლის ივლისში პარტიულმა გამომცემლობამ «პრიბოიმ». ამ კრებულის გეგმის ლენინისეულ ხელნაწერში მითითებულია სტატიები, რომელთა შეტანას კრებულში ლენინი აუცილებლად თვლიდა, აგრეთვე სია გაზეთების ნომრებისა, საიდანაც უნდა ამოეღოთ სტატიები (კრებულში ლენინმა სათაური შეუცვალა ზოგიერთ სტატიას). ამ გეგმით კრებული უნდა შემდგარიყო ორი ნაწილისაგან, რომელთა შინაარსი გამოცხადებული იყო გაზეთ «პუტ პრავდის» 1914 წლის 21 მარტის № 42-ში.

კრებულის პირველი ნაწილი არ გამოსულა. კრებულის მეორე ნაწილის რამდენიმე ათეული ეგზემპლარი, რომელთა გამოტანა სტამბიდან თავის დროზე ვერ მოასწრო გამომცემლობამ, კონფისკებულ იქნა. ტირაჟის ძირითადი ნაწილის გავრცელება მოხერხდა.

კრებულის მეორე ნაწილში, გარდა 1914 წლის თებერვლით დათარიღებული წინასიტყვაობისა და დასკვნისა, შევიდა ლენინის 14 ნაშრომი: «ღია პარტია და მარქსისტები», «ლიბერალური მუშათა პარტიის მანიფესტი», «როგორ ამხილებს ლიკვიდატორებს პ. ბ. აქსელროდი», «ბუნდის სეპარატიზმის შესახებ», «მარქსიზმი და რეფორმიზმი», «ლიბერალური ბურჟუაზია და რეფორმიზმი», «ლიბერალური სიბეცე», «აუცილებელი განმარტება», «ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვა», «საუბარი «კადეტპამიობის» შესახებ», «ლიბერალებთან ჩვენი პოლემიკის ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ», «ლიბერალური ბურჟუაზია და ლიკვიდატორები», «მუშათა კლასი და მუშათა პრესა», «მასალები სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნის ისტორიისათვის».

ამ უკანასკნელ ნაშრომს დართული აქვს კრებულისათვის სპეციალურად დაწერილი დამატება — სტატია «მუშების გამოხმაურება საჰელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნაზე» (იხ. ეს ტომი, გვ. 666 — 676). 1914 წლის ივნისში ლენინმა ამ სტატიას გაუკეთა შენიშვნა (იხ. გვ. 674), რომელიც შეიცავს ახალ მონაცემებს სათათბიროს ფრაქციების საშუალებით მარქსისტული და ლიკვიდატორული გაზეთებისათვის ფულის შეგროვების შესახებ. — **142.**

40 «ვეხი» — კადეტთა კრებული; გამოვიდა მოსკოვში 1909 წლის გაზაფხულზე; კრებულში მოთავსებული იყო ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვის, პ. სტრუვეს, მ. გერშენზონისა და კონტრრევოლუციური ლიბე-

რალური ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენელთა სტატიები. სტატიებში რუსი ინტელიგენციის შესახებ «ვეხელები» ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების, მათ შორის ბ. გ. ბელინსკისა და ნ. გ. ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციებისათვის; ლაფში სვრიდნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და მადლობას უცხადებდნენ მეფის მთავრობას იმისათვის, რომ მან «თავისი ხიშტებითა და ციხეებით» «ხალხის რისხვას» გადაარჩინა ბურჟუაზია. კრებული მოუწოდებდა ინტელიგენციას — ემსახურნა თვითმპყრობელობისათვის. ვ. ი. ლენინი «ვეხის» პროგრამას ფილოსოფიაშიც და პუბლიცისტიკაშიც ადარებდა შავრაზმული გაზეთის «მოსკოვსკიე ვედომოსტის» პროგრამას და კრებულს უწოდებდა «ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი რ ე ნ ე გ ა ტ ო ბ ი ს ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა ს», იმ «რეაქციული სიბინძურის მთელ ნიაღვარს, რომელიც დემოკრატიას გადაასხეს» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 146 და 153). — **146.**

47 ლენინს მხედველობაში აქვს «ეკონომიურ-სტატისტიკური კრებული. ნაკვეთი VII. მებოსტნეობა და მებაღეობა მოსკოვის მაზრაში». მოსკოვი, 1913. — **150.**

48 მელითონეთა პროფესიული კავშირის ორგანო იყო ორკვირეული ჟურნალი «რ ა ბ ო ჩ ი პ ო მ ე ტ ა ლ ლ უ».

ჟურნალი გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 30 აგვისტოდან (12 სექტემბრიდან) 1914 წლის 12 (25) ივნისამდე; ცენზურული პირობების გამო გამოიცვალა 7 სახელწოდება: «რაბოჩი პო მეტალლუ», «კუზნეც», «ვესტნიკ რაბოჩიხ პო ობრაბოტკე მეტალლა», «ნადეჟდა», «ედინსტვო», «ნაშ პუტ», «მეტალლისტ».

თავდაპირველად ჟურნალის რედაქცია, ისევე როგორც კავშირის გამგეობა, ლიკვიდატორების ხელში იყო. კავშირის გამგეობის გადარჩევის შემდეგ 1913 წელს კავშირისა და ჟურნალის რედაქციის ხელმძღვანელობა ბოლშევიკების ხელში გადავიდა. 1913 წელს ჟურნალ «მეტალლისტში», №№ 7 (31), 8 (32) და 10 (34), დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია «მელითონეთა გაფიცვები 1912 წელს». ჟურნალმა დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის გარშემო მუშების დარაზმვის საქმეში.

აქ ლენინს მხედველობაში აქვს მოწინავე სტატიები ჟურნალებისა — «ნაშ პუტ» № 20, 1911 წლის 11 აგვისტო და «მეტალლისტ» № 3, 1911 წლის 27 ოქტომბერი. — **161.**

49 «რუსსკიე ვედომოსტი» — ყოველდღიური გაზეთი; გაზეთს 1863 წლიდან მოსკოვში უშვებდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალური პროფესორები და ეროობის მოღვაწენი; გამოხატავდა ლიბერალური მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; დაიხურა 1917 წელს მალე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. — **165.**

50 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIII, 1932, გვ. 464 და კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 195. — **173.**

51 1912 წლის იანვრის კონფერენცია — რსდმპრულიად რუსეთის მეექვსე («პრაღის») კონფერენცია მიმდინარეობდა 1912 წლის 5 — 17 (18 — 30) იანვარს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 20-ზე მეტი პარტიული ორგანიზაცია. კონფერენციას ფორმალურად პარტიის ყრილობის მნიშვნელობა ჰქონდა. ლენინი კონფერენციაზე გამოვიდა სიტყვით კონფერენციის კონსტიტუირების შესახებ, მოხსენებებით თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მუშაობის შესახებ, შიმშილთან ბრძოლაში სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ, ორგანიზაციული საკითხის შესახებ, ცენტრალური ორგანოს «სოციალ-დემოკრატის» მუშაობისა და სხვა საკითხების შესახებ.

კონფერენციამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასეთი შემადგენლობით: ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. მ. სვერდლოვი, ს. ს. სპანდარიანი და სხვები. ი. ბ. სტალინი და ი. მ. სვერდლოვი ცენტრალურ კომიტეტში არჩეულ იქნენ დაუსწრებლად, რადგან ისინი გადასახლებაში იმყოფებოდნენ. ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა რიცხვში არჩეულ იქნა მ. ი. კალინინი. კონფერენციამ შექმნა პრაქტიკული ცენტრი რუსეთში რევოლუციური მუშაობის ხელმძღვანელობისათვის — ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

კონფერენციის დადგენილებით მენშევიკები განდევნილ იქნენ პარტიიდან, საბოლოოდ მოელო ბოლო ბოლშევიკების ფორმალურ გაერთიანებას ერთ პარტიაში მენშევიკებთან. პრაღის კონფერენციამ დასაბამი მისცა ახალი ტიპის პარტიას, ლენინიზმის პარტიას, ბოლშევიკურ პარტიას. (პრაღის კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1950, გვ. 171 — 179.) — **182.**

52 «ბ ო რ ბ ა» — ტროცკის ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1914 წლის თებერვლიდან ივლისამდე. ინიღბებოდა რა «არაფრაქციულობით», ტროცკი ჟურნალის ფურცლებზე ეწეოდა ბრძოლას ლენინის წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. — **188.**

53 ე ქ ო ვ ი — მენშევიკი-ლიკვიდატორი ს. ო. ცედერბაუმი. — **184.**

54 ო რ ი «ვ ე შ ა პ ი ს» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ე. ი. წინააღმდეგ ბოლშევიკური ლოზუნგებისა: დემოკრატიული რესპუბლიკა და მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია. — **185.**

55 ლაპარაკია ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობაზე, რომელიც შესდგა ბრიუსელში 1914 წლის 26 იანვარს — 8 თებერვალს (ახ. სტილით).

ლენინი უახლოეს მონაწილეობას იღებდა ყრილობის მომზადებასა და მის მუშაობაში. 1913 წლის მაისში ლენინმა დაწერა ლატვიელი ბოლშევიკებისათვის «პროექტი პლატფორმისა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობისათვის»; ეს პროექტი გამოქვეყნდა 1913 წლის ნოემბერში ცალკე ამონაბეჭდის სახით ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ჯგუფების ბიუროს მიერ გამონაცემი «ბიულეტენის» («**Biletens**») მე-8 ნომრიდან, ხოლო შემდეგ — «ბიულეტენის» მე-9 — 10 ნომერში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 110 — 121).

ლენინი ყრილობას ესწრებოდა, როგორც რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მიერ წარგზავნილი საპატიო სტუმარი. ლენინი გამოვიდა მოხსენებით, სადაც გააკრიტიკა მოქმედება ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ოპორტუნისტულ პოზიციაზე იდგა. ლენინი შემდეგში აღნიშნავდა, რომ გადაჭრით შეებრძოლა ყრილობაზე ძლიერ შემარიგებლურ ტენდენციებს. ლენინმა მიაღწია იმას, რომ ლატვიელი სოციალ-დემოკრატები გამოვიდნენ აგვისტოს ბლოკიდან. — **209.**

56 აქ ლენინს მოჰყავს ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის რეზოლუცია იმ «აუცილებელი ცვლილებებით», რაც გამოწვეული იყო მეფის ცენზურის პირობებთან შეგუების საჭიროებით; ასე, ნაცვლად სიტყვებისა: «ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ყრილობა», ნათქვამია: «ყველა ლატვიელ მარქსისტ მუშათა წარმომადგენლები»; ნაცვლად «რსდმპ» — «მარქსისტული მთელი»;

ნაცვლად სიტყვებისა: «1908 წლის სრულიად რუსეთის კონფერენცია და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის პლენუმი» — «მარქსისტთა 1908 წლის დეკემბრისა და 1910 წლის იანვრის სრულიად რუსეთის წარმომადგენლობა»; ნაცვლად სიტყვებისა: «ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტი» — «თავიანთი ხელმძღვანელი დაწესებულება». — 209.

57 სტატია «სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება» დაბეჭდილია 1914 წლის მარტში ჟურნალ «სოვრემენნი მირში» № 3.

«სოვრემენნი მირ» — ყოველთვიური ლიტერატურული, სამეცნიერო და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლიდან 1918 წლამდე. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები, მათ შორის გ. ვ. პლეხანოვი. მენშევიკ-პარტიელების პლეხანოვის ჯგუფთან ბლოკის პერიოდში ჟურნალში ბოლშევიკებიც თანამშრომლობდნენ. — 219.

58 ლ. ნ. ტოლსტოი ამის შესახებ ლაპარაკობს წინასიტყვაობაში ნ. ორლოვის ნახატების ალბომისადმი — «რუსი გლეხები», 1909. — 221.

59 «ეიზნ» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1897 წლიდან 1901 წლამდე; 1902 წელს გამოდიოდა საზღვარგარეთ. 1899 წლიდან ჟურნალი «ლეგალურ მარქსისტთა» ორგანო იყო.

ლენინმა ჟურნალში დაბეჭდა სტატია «პასუხი ბ-ნ პ. ნეჟდანოვს» (№ 12, 1899 წლის დეკემბერი) და ორი სტატია სათაურით «კაპიტალიზმი სოფლის მეურნეობაში. (კაუცკის წიგნისა და ბ-ნ ბულგაკოვის სტატიის შესახებ)», №№ 1 და 2, 1900 წლის იანვარი და თებერვალი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 188 — 195, 117 — 187). — 226.

60 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XIX, ნაწილი I, 1939, გვ. 194. — 228.

61 სტატია «მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ» დაწერილია იმ ლოკაუტის გამო, რაც პეტერბურგის მექანიკოსებმა მუშათა გაფიცვების პასუხად გამოაცხადეს 1914 წლის 20 მარტს (2 აპრილს). ლოკაუტის პირობებში მასობრივი გაფიცვის გამოცხადება მიზანშეწონილი არ იყო, ამიტომ ბოლშევიკურმა «პრავდამ»

მუშებს მოუწოდა ბრძოლის სხვა ფორმებისაკენ — ქარხნებში მასობრივი მიტინგებისა და ქუჩებში დემონსტრაციებისაკენ. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის მიერ გამოშვებული არალეგალური ფურცელიც მოუწოდებდა რევოლუციური დემონსტრაციისაკენ, ლენაზე მუშების დახვრეტის ორი წლისთავთან დაკავშირებით.

დემონსტრაცია 4 (17) აპრილს შესდგა. დემონსტრაციის დღეს გამოვიდა გაზეთ «პუტ პრავდის» მორიგი ნომერი, რომელშიც მოთავსებული იყო ლენინის სტატია «მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ». ამ დღეს მომხდარი რევოლუციური დემონსტრაციის შესახებ წერდა ყველა ბურჟუაზიული გაზეთი. ლიკვიდატორულმა «სევერნაია რაბოჩაია გაზეტამ» მოათავსა ცნობა ამ დემონსტრაციის შესახებ, მაგრამ პეტერბურგის კომიტეტის ფურცლის გავრცელების ფაქტი მიაფუჩეჩა, შემდეგ კი გამოვიდა წინააღმდეგ ლენინის სტატიისა «მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ».

ლენინმა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ბრიუსელის თათბირზე ამხილა ლიკვიდატორების და მათი ორგანოს საქციელი (იხ. ეს ტომი, გვ. 631 — 635). — **248.**

62 იგულისხმება რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან, რომელიც შესდგა კრაკოვში 1912 წლის 28 დეკემბერს — 1913 წლის 1 იანვარს (1913 წლის 10 — 14 იანვარს) და რომელსაც კონსპირაციული მოსაზრებებით «თებერვლის» თათბირი ეწოდა. თათბირს ესწრებოდა 14 კაცი: ცენტრალური კომიტეტის წევრები ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და სხვ., IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი-დეპუტატები და პეტერბურგის, მოსკოვის ოლქის, ურალის, კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დიდი მუშაობა თათბირის მოსაწვევად ჩაატარეს ლენინმა და სტალინმა. ვ. ი. ლენინი უგზავნიდა პეტერბურგში ი. ბ. სტალინს, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრს, მითითებებს თათბირის მომზადების შესახებ; წერილებში ხაზგასმით იყო აღნიშნული კრაკოვის თათბირზე ი. ბ. სტალინის პირადად ჩასვლის გადაუდებელი აუცილებლობა.

თათბირი ლენინის თავმჯდომარეობით ჩატარდა; ლენინი გამოვიდა სიტყვებით მთელ რიგ საკითხებზე, დაწერა რეზოლუციები და ცნობა თათბირის შესახებ.

თათბირმა მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუციები: «რევოლუციური აღმავლობა, გაფიცვები და პარტიის ამოცანები»

(აქ ლაპარაკია ამ რეზოლუციაზე), «არალეგალური ორგანიზაციის მშენებლობა», «სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შესახებ», «არალეგალური ლიტერატურის შესახებ», «დაზღვევის კამპანიის შესახებ», «ლიკვიდატორებისადმი დამოკიდებულების შესახებ და ერთიანობის შესახებ», ««ეროვნული» ს.-დ. ორგანიზაციების შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 551 — 564). — 250.

63 სადაზღვევო საბჭოს არჩევნები პეტერბურგში მოხდა 1914 წლის 2 (15) მარტს. არჩევნების გარშემო გაჩაღდა შეუპოვარი ბრძოლა, ერთი მხრივ, ბოლშევიკებსა და, მეორე მხრივ, ლიკვიდატორებსა და მემარცხენე ნაროდნიკებს (ესერებს) შორის. «ლეგალურ საზოგადოებებში მუშაობის შესახებ» იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მიიღო რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის «აგვისტოს» («ზაფხულის») თათბირმა პარტიულ მუშაკებთან ერთად, ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა ლეგალური მუშათა ორგანიზაციებისა და ლეგალური მუშათა საზოგადოებების მიმხრობისათვის. ამ ბრძოლაში უდიდესი როლი შეასრულა გაზეთმა «პრავდამ». სადაზღვევო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით «პროლეტარსკაია პრავდაში», ჟურნალ «ვოპროსი სტრახოვანია»-ში, ხოლო შემდეგ «პუტ პრავდი»-ში დაიბეჭდა ბოლშევიკური განაწესი მუშათა წარმომადგენლებისათვის სადაზღვევო საკრებულოებსა და სადაზღვევო საბჭოში.

ლიკვიდატორები გამოვიდნენ «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში» თავიანთი განაწესით, სადაც წამოაყენეს მოთხოვნა მუშათა წარმომადგენლების პარტიისაგან დამოუკიდებელ, ცალკე ჯგუფად გამოყოფის შესახებ. მაგრამ სადაზღვევო საბჭოს არჩევნების დროს ლიკვიდატორებმა სრული მარცხი განიცადეს — ამრჩევთა კრების მონაწილეთა სამი მეოთხედი ბოლშევიკურ განაწესს მიემხრო, ხოლო ლიკვიდატორებისა და ესერების მიერ წარდგენილი განაწესი უარყო. «პრავდისტული» სიის ყველა კანდიდატი გავიდა სადაზღვევო საბჭოში. — 251.

64 ზატრაკი — ესერი მ. ზატონსკი. — 253.

65 ლენინის ნაშრომი «ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის» წარმოადგენს პროექტს იმ სიტყვისასა, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში ერთ-ერთ ბოლშევიკ-დეპუტატს უნდა წარმოეთქვა. 1914 წლის 22 აპრილს (5 მაისს) სათათბიროდან 15 სხდომით მემარცხენე დეპუტატების გაძევების გამო (იხ. ეს ტომი, გვ. 328 — 330) ამ სიტყვის წარმოთქმა არ მოხერხდა. პროექტის

ხელნაწერი მთლიანად არ შენახულა; ის ადგილები, რომლებიც ტექსტს აკლია, აღნიშნულია შენიშვნებში. — **258.**

66 «გ რ ა ჟ დ ა ნ ი ნ» — რეაქციული მიმართულების ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1872 წლიდან 1914 წლამდე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უკიდურეს მონარქისტთა ორგანო იყო; არსებობდა უმთავრესად მეფის მთავრობის სუბსიდიების ხარჯზე. — **259.**

67 ლენინს მხედველობაში აქვს პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანხმობის პასუხი — მონაწილეობა მიეღო რუსეთის სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობათა წარმომადგენლების თათბირში, რომელსაც საერთაშორისო სოციალისტური ბიურო იწვევდა ვითომდა «აზრთა საერთო გაცვლა-გამოცვლის» მიზნით რსდმ პარტიაში ერთიანობის აღდგენის შესაძლებლობის საკითხზე. ეს პასუხი შეიცავდა ცენტრალური კომიტეტის «ოფიციალურ მოხსენებას», რომელსაც ლენინი ჰიუისმანსს დაპირდა 1914 წლის 18 — 19 იანვრის (31 იანვრის — 1 თებერვლის) წერილში (იხ. ეს ტომი, გვ. 74 — 83). — **278.**

68 «კ ო ლ ო კ ო ლ» — პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა დეევზით «ცოცხლებს მოვუხმობ!» («**Vivos voco!**»). ჟურნალს უშვებდნენ ა. ი. გერცენი და ნ. პ. ოგარიოვი ა. ი. გერცენის მიერ დაარსებულ თავისუფალ რუსულ სტამბაში 1857 წლიდან 1865 წლის აპრილამდე ლონდონში და 1865 წლიდან 1868 წლის დეკემბრამდე — ჟენევაში. 1868 წელს ჟურნალი ფრანგულ ენაზე გამოდიოდა; ამავე დროს იბეჭდებოდა მისი დამატებანი რუსულ ენაზე.

«კოლოკოლის» დახასიათებას ლენინი იძლევა თავის სტატიაში «გერცენის ხსოვნას» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 11 — 19). — **292.**

69 «წ ე რ ი ლ ი გ ო გ ო ლ ი ს ა დ მ ი» — დაწერილია ბ. გ. ბელინსკის მიერ 1847 წლის ივლისში; პირველად გამოაქვეყნა ა. ი. გერცენმა 1855 წელს «პოლიარნაია ზვეზდაში» (იხ. ბ. გ. ბელინსკი. თხზულებათა კრებული სამ ტომად, ტ. III, 1948, გვ. 707 — 715). — **293.**

70 «ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს კ ი რ ა ბ ო ჩ ი ლ ი ს ტ ო კ» — არალეგალური გაზეთი, პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» ორგანო. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — 1897

წლის თებერვალში (დათარიღებულია იანვრით), დაიბეჭდა რუსეთში მიმეოგრაფზე 300 — 400 ცალად, და № 2 — 1897 წლის სექტემბერში ჟენევაში (შვეიცარია). — **296.**

71 «ვპერიოდ» — არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის 22 დეკემბრიდან (1905 წლის 4 იანვრიდან) 1905 წლის 5 (18) მაისამდე; გამოვიდა 18 ნომერი. გაზეთის ორგანიზატორი, იდეური სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი.

რსდმპ III ყრილობამ სპეციალური რეზოლუციით აღნიშნა გაზეთ «ვპერიოდის» უდიდესი როლი მენშევიზმის წინააღმდეგ, პარტიულობის აღდგენისათვის ბრძოლაში, რევოლუციური მოძრაობის მიერ დღის წესრიგში დასმული ტაქტიკის საკითხების წამოყენებასა და გაშუქებაში და მადლობა გამოუცხადა გაზეთის რედაქციას.

«პროლეტარი» — არალეგალური ყოველკვირეული ბოლშევიკური გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო, შექმნილი პარტიის III ყრილობის დადგენილებით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1905 წლის 27 აპრილის (10 მაისის) გადაწყვეტილებით ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა ვ. ი. ლენინი.

«პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე. გამოვიდა 26 ნომერი. მუდმივ მონაწილეობას რედაქციის მუშაობაში იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და მ. ს. ოლმინსკი. «პროლეტარმა» განაგრძო ძველი, ლენინური «ისკრის» ხაზი და შეინარჩუნა ბოლშევიკურ გაზეთ «ვპერიოდის» სრული თანამომდევნობა. ლენინმა ამ გაზეთში 50-ზე მეტი სტატია და წერილი დაბეჭდა. ლენინის სტატიებს გაზეთ «პროლეტარიდან» ბეჭდავდნენ ბოლშევიკური პრესის ადგილობრივ ორგანოებში, სცემდნენ ცალკე ფურცლებად. «პროლეტარს» განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული არალეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ «პროლეტარიატის ბრძოლასთან» — რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოსთან, რომელიც ი. ბ. სტალინის რედაქციით გამოდიოდა; რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ა. გ. წულუკიძე და ს. გ. შაუმიანი.

მალე რუსეთში ლენინის გამომგზავრების შემდეგ, 1905 წლის ნოემბერში, გაზეთ «პროლეტარის» გამოცემა შეწყდა. გაზეთის უკანასკნელი ორი ნომერი (25 და 26) ვ. ვ. ვოროვსკის რედაქციით გამოვიდა. — **299.**

72 «ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა ყოველდღიურად 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 3 (16) დეკემბრამდე პეტერბურგში. მას შემდეგ, რაც ლენინი ემიგრაციიდან პეტერბურგს ჩამოვიდა, ნოემბრის დამდეგს, გაზეთმა გამოსვლა იწყო მისი უშუალო ხელმძღვანელობით. ფაქტიურად «ნოვაია ჟიზნი» რსდმპ ცენტრალური ორგანო იყო. გაზეთის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი და სხვები. «ნოვაია ჟიზნში» აქტიურ მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი, რომელიც გაზეთს აგრეთვე დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა.

«ნოვაია ჟიზნის» № 9-ში 1905 წლის 10 ნოემბერს გამოქვეყნდა ლენინის პირველი სტატია «პარტიის რეორგანიზაციის შესახებ». შემდეგ კიდევ დაიბეჭდა მისი ათზე მეტი სტატია. გაზეთის ყოველდღიური ტირაჟი 80 ათას ცალს აღწევდა. «ნოვაია ჟიზნი» მრავალ რეპრესიას განიცდიდა. გაზეთის 27 ნომრიდან 15 კონფისკებულ და მოსპობილ იქნა. 27-ე ნომრის გამოსვლის შემდეგ, 2 (15) დეკემბერს, გაზეთი დახურა მთავრობამ. უკანასკნელი, 28-ე ნომერი არალეგალურად გამოვიდა. — **300.**

73 «ნ ა ჩ ა ლ ო» — ყოველდღიური ლეგალური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში. — **300.**

74 «ვ ო ლ ნ ა» — ლეგალური ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 26 აპრილიდან (9 მაისიდან) 24 მაისამდე (6 ივნისამდე); გამოვიდა 25 ნომერი. დაწყებული მეცხრე ნომრიდან, 1906 წლის 5 (18) მაისიდან (IV ყრილობის მუშაობის დამთავრებისა და სტოკჰოლმიდან ლენინის დაბრუნების შემდეგ), გაზეთს ფაქტიურად რედაქტორობდა ლენინი. გაზეთში დაიბეჭდა ლენინის 20-ზე მეტი სტატია. რედაქციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი და მ. ს. ოლმინსკი. «ვოლნას» პოლიციის მხრივ მრავალი რეპრესია დაატყდა თავს. გაზეთი დახურა მეფის მთავრობამ. «ვოლნას» ნაცვლად გამოვიდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი «ვპერიოდი».

«ე ხ ო» — ლეგალური ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 22 ივნისიდან (5 ივლისიდან) 7 (20) ივლისამდე, მეფის მთავრობის მიერ დახურული გაზეთ «ვპერიოდის» ნაცვლად. გამოვიდა 14 ნომერი. ფაქტიურად გაზეთის რედაქტორი იყო ლენინი. ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ლენინის

სტატიები. ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა განყოფილების — «ჟურნალ-გაზეთებს შორის» მუშაობაში.

გაზეთ «ეხოს» თითქმის ყველა ნომერმა რეპრესია განიცადა. I სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის წინადღეებში გაზეთი დახურულ იქნა. — 300.

75 «ნაროდნაია დუმა» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის მარტ-აპრილში. — 300.

76 ამერიკის სოციალისტური პარტია — რეფორმისტული, ოპორტუნისტული პარტია; დაარსებულია 1901 წელს. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914 — 1918) პარტიის მემარჯვენე უმრავლესობა ამართლებდა იმპერიალისტურ ომს და მხარს უჭერდა ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკას. ინტერნაციონალისტურ პოზიციებზე მდგომი რევოლუციური უმცირესობა ომის წინააღმდეგ გამოდიოდა და, რუსეთის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით, შექმნა მემარცხენე ფრთა, რომელიც 1921 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დაარსების ინიციატორი და ამ პარტიის ძირითადი ბირთვი გახდა. ამჟამად ამერიკის სოციალისტური პარტია მცირერიცხოვანი სექტანტური ორგანიზაციაა; იგი შესდგება მუშათა კლასის გამცემლებისაგან — სოციალ-რეფორმისტებისა, ტროცკისტებისა და სხვა მოღალატეებისაგან და წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული იმპერიალისტური წრეების აგენტურას.

მუშათა კლასის ამერიკული ფედერაცია ანუ ამერიკის შრომის ფედერაცია — ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიულ კავშირთა ნაწილის გაერთიანება; დაარსებულია 1881 წელს ჰომპერსის მიერ.

ფედერაციის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ამერიკის იმპერიალიზმის აგენტურას ამერიკის შეერთებული შტატების პროფკავშირულ მოძრაობაში; გამთიშველ მუშაობას ეწევიან მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. — 303.

77 ლენინს მხედველობაში აქვს მეფის უმაღლესი ბიუროკრატიის დამოკიდებულება ეერობის დემოკრატი მოსამსახურეებისადმი — ექიმებისა, სტატისტიკოსებისა, მასწავლებლებისა, აგრონომებისა და სხვებისადმი, რომლებსაც სამარის ვიცე-გუბერნატორმა კონდოიდიმ 1900 წელს თავის სიტყვაში «მესამე ელემენტი» უწოდა. გამოთქმა «მესამე

ელემენტი» ლიტერატურაში შემოიღეს ერობის დემოკრატიული ინტელიგენციის აღსანიშნავად. — **306.**

78 კოლონიური საკითხი დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო 1907 წლის აგვისტოში შემდგარ შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე. კონგრესის ოპორტუნისტულმა ნაწილმა წამოაყენა რეზოლუცია, რომელიც კოლონიურ დაპყრობებს ამართლებდა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 81 — 105). — **307.**

79 «სოციალისტური ყოველთვიური» (**«Sozialistische Monatshefte»**) — ჟურნალი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტთა მთავარი ორგანო და საერთაშორისო ოპორტუნიზმის ერთი ორგანოთაგანი. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს (1914 — 1918) სოციალ-შოვინიზმის პოზიცია ეკავა. გამოდიოდა ბერლინში 1897 წლიდან 1933 წლამდე. — **307.**

80 «პოჩინ» (**«L'Initiative»**) — ნაროდნიკულ-ლიკვიდატორული მიმართულების ჟურნალი; ესერთა ჯგუფის გამოცემა. გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი — 1912 წ. ივნისს პარიზში. — **318.**

81 «ტოვარიშჩ» — ბურჟუაზიული ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მარტიდან 1908 წლის იანვრამდე; ფორმალურად არ წარმოადგენდა რომელიმე პარტიის ორგანოს, ფაქტიურად კი მემარცხენე კადეტების ორგანო იყო. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკებიც. — **323.**

82 «ზა პარტიუ» — მენშევიკებისა და შემარიგებლების პარიზის ჯგუფთა ფურცელი; გამოდიოდა არაპერიოდულად პარიზში 1912 წლის აპრილიდან 1914 წლის თებერვლამდე.

ბურიანოვი, ა. ფ. — IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი; შედიოდა მენშევიკურ **«შვიდეულში»**. — **324.**

83 «კიევსკაია მისლ» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა 1906 წლის დეკემბრიდან 1918 წლის დეკემბრამდე კიევში. გაზეთში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკი-ლიკვიდატორები. — **325.**

84 1914 წლის 22 აპრილს (5 მაისს) სახელმწიფო სათათბიროს სხდომის დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა ფრაქციამ (ბოლშე-

ვიკურმა «ექვსეულმა»), სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ (მენშევიკებმა) და ტრუდოვიკებმა სათათბიროში შეიტანეს წინადადება — დღის წესრიგიდან მოეხსნათ ბიუჯეტის განხილვა მანამდე, სანამ მიღებული არ იქნებოდა კანონპროექტი დეპუტატის სიტყვის თავისუფლების შესახებ.

სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობამ ეს წინადადება უარყო. მაშინ ბოლშევიკებმა, მენშევიკებმა და ტრუდოვიკებმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გორემიკინის სიტყვის დროს ობსტრუქცია მოახდინეს. ამის საპასუხოდ სათათბიროს თავმჯდომარის როძიანკოს წინადადებით ყველა სოციალ-დემოკრატი და ტრუდოვიკი 15 სხდომით გარიცხულ იქნენ სახელმწიფო სათათბიროდან. პეტერბურგისა და მოსკოვის მუშებმა დეპუტატების გარიცხვის გამო საპროტესტო გაფიცვები მოახდინეს. — 328.

85 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური გაზეთი, რომელიც ბოლშევიკებმა დააარსეს პარტიის IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ; გამოდიოდა 1906 წლის 21 აგვისტოდან (3 სექტემბრიდან) 1909 წლის 28 ნოემბრამდე (11 დეკემბრამდე) ლენინის რედაქციით. «პროლეტარს» ეწოდებოდა მოსკოვისა და პეტერბურგის კომიტეტების ორგანო, ერთ ხანს კი ავრეთვე — მოსკოვის საოლქო, პერმის, კურსკისა და ყაზანის კომიტეტების ორგანოც. ფაქტიურად «პროლეტარი» ბოლშევიკების ცენტრალური ორგანო იყო. გამოვიდა გაზეთის 50 ნომერი; პირველი 20 ნომერი გამოიცა ფინეთში. 1908 წლის 13 (26) თებერვლიდან 1 (14) დეკემბრამდე «პროლეტარი» გამოდიოდა ჟენევაში, 1909 წლის 8 (21) იანვრიდან — პარიზში.

გაზეთში გამოქვეყნებულია ლენინის 100-ზე მეტი სტატია და შენიშვნა. სტოლიპინის რეაქციის წლებში «პროლეტარმა» თვალსაჩინო როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1910 წლის იანვარში «შემარიგებლებმა», ტროცკის ფარულმა აგენტებმა და ხელშემწყობებმა, მოახერხეს გაეტარებინათ გადაწყვეტილება გაზეთ «პროლეტარის» დახურვის შესახებ. — 338.

86 «პ რ ო ე ქ ტ ი კ ა ნ ო ნ ი ს ა ე რ თ ა თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ი ს ა დ ა ე რ ო ვ ნ უ ლ უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა თ ა უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს დ ა ც ვ ი ს შ ე ს ა ხ ებ» ბოლშევიკურ ფრაქციას განსახილველად უნდა შეეტანა სახელმწიფო სათათბიროში.

1914 წლის 6 (19) მაისს ლენინმა ს. გ. შაუმიანისათვის გაგზავნილ წერილში გადმოსცა «პროექტის» გეგმა. სათათბიროში ამ «პროექტის»

შეტანას ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: «მე მგონია, — წერდა ის, — ამ გზით შეიძლებოდა პოპულარულად ნათელგვეყო კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის უაზრობა და საბოლოოდ **მოგვეკლა** ამ უაზრობის მომხრეები».

სათათბიროში კანონპროექტის შეტანა არ მოხერხდა. — **336.**

37 «ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ი კ» — ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 — 1915 წლებში. ჟურნალის გარშემო შემოკრებილი იყვნენ მენშევიკი-ლიკვიდატორები, ესერები, სახალხო სოციალისტები და მემარცხენე ლიბერალები. ჟურნალს არავითარი კავშირი არ ჰქონდა მუშათა მასებთან. — **357.**

38 ლენინს მხედველობაში აქვს სახელმწიფო სათათბიროს წევრის მალინოვსკის გასვლა სათათბიროდან. საბრძოლო პოსტის დეზორგანიზატორულად, დეზერტირულად მიტოვებისათვის მალინოვსკი გარიცხულ იქნა პარტიიდან.

შემდეგში გამოირკვა, რომ მალინოვსკი პროვოკატორი იყო. 1918 წელს იგი დახვრეტილ იქნა რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენით. — **368.**

39 «ვ ო პ რ ო ს ი ს ტ რ ა ხ ო ვ ა ნ ი ა» — ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში ხანგამოშვებით 1913 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის თებერვლამდე. ჟურნალს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა. იგი იბრძოდა არა მარტო მუშათა დაზღვევის განხორციელებისათვის, არამედ ბოლშევიკური «შეუკვეცელი ლოზუნგებისთვისაც».

მიესალმებოდა რა ჟურნალ «ვოპროსი სტრახოვანიას» გამოცემის განახლებას ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ, გადასახლებულ ბოლშევიკთა ჯგუფი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით 1916 წლის მარტში წერდა ტურუხანსკის მხარიდან: «დაე «ვოპროსი სტრახოვანიამ» მთელი ძალღონე მოახმაროს იმ საქმესაც, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი იდეურად იქნას დაზღვეული იმ დიდად გამხრწნელი, ანტიპროლეტარული და საერთაშორისობის პრინციპებისადმი ძირიანად საწინააღმდეგო ქადაგებისაგან, რასაც ბბ. პოტრესოვები, ლევიცკები და პლეხანოვები ეწევიან». — **371.**

40 «ე დ ი ნ ს ტ ვ ო» — ლეგალური გაზეთი, რომელსაც პეტერბურგში 1914 წლის მაისიდან ივნისამდე სცემდა მენშევიკ-პარტიელთა ჯგუფი პლეხანოვის მეთაურობით და ბოლშევიკ-შემარიგებელთა ჯგუფი; სულ გამოვიდა 4 ნომერი. — **372.**

91 ლენინს მხედველობაში აქვს რეზოლუცია «ლიკვიდატორობისა და ლიკვიდატორთა ჯგუფის შესახებ», მიღებული 1912 წლის იანვარში შემდგარი რსდმპ მეექვსე («პრაღის») საერთო-პარტიული კონფერენციის მიერ. ამ რეზოლუციის ავტორია ლენინი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 575 — 577). — **373.**

92 ნაშრომი «მიწათმოქმედების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის საკითხისათვის» წარმოადგენს ლენინის მიერ დაწერილი იმ სიტყვის პროექტს, რომელიც ბოლშევიკ დეპუტატს სახელმწიფო სათათბიროში უნდა წარმოეთქვა. ეს სიტყვა 1914 წლის 28 მაისს (10 ივნისს) წარმოთქვა გ. ი. პეტროვსკიმ.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა წინა გამოცემებში სიტყვის პროექტი იბეჭდებოდა ხელნაწერის მიხედვით, რომელსაც 4 გვერდი აკლდა. ამ გამოცემაში სიტყვის პროექტი შევსებულია მანამდე დაკარგული და 1941 წელს ნახული გვერდებით. ხელნაწერის ბოლო ნაწილი აღმოჩენილი არ არის. — **377.**

93 გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო — მემამულეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია; შეიქმნა 1906 წლის მაისში; დიდ გავლენას ახდენდა მთავრობის პოლიტიკაზე. III სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში საბჭოს წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი შედიოდა სახელმწიფო საბჭოში და შავრაზმული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ცენტრებში. — **377.**

94 იგულისხმება რეზოლუცია «პარტიის ერთიანობა», მიღებული II ინტერნაციონალის ამსტერდამის კონგრესის მიერ 1904 წლის აგვისტოში. — **385.**

95 «ბრძოლა» (**«Der Kampf»**) — ყოველთვიური ჟურნალი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო; ოპორტუნისტული, ცენტრისტული პოზიცია ეკავა, მემარცხენე ფრაზებით ფარავდა თავის ღალატს პროლეტარული რევოლუციის საქმისადმი და ლაქიობას კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წინაშე; გამოდიოდა ვენაში 1907 წლიდან 1938 წლამდე.

ფ. ა. — ფრიდრიხ ადლერი — ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ბელადი. — **388.**

96 «ხალხი» (**«Le Peuple»**) — ყოველდღიური გაზეთი, ბელგიის მუშათა (რეფორმისტული) პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდის 1884 წლიდან ბრიუსელში. — **389.**

97 გაზეთ «პუტ პრავდის» № 50-ში 1914 წლის 30 მარტს დაბეჭდილი იყო ლატვიელთა მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის რეზოლუცია სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გათიშვის საკითხზე. რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ერთიანობის აუცილებლობა, იმ პირობით, თუ აღიარებული იქნებოდა პარტიის პროგრამა და წესდება, რსდმპ მეხუთე ყრილობის გადაწყვეტილებანი, რსდმპ 1908 წლის დეკემბრის მეხუთე კონფერენციისა და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებანი.

ლატვიელთა ყრილობის რეზოლუციასთან დაკავშირებით, «პუტ პრავდის» იმავე ნომერში დაიბეჭდა «საჯარო შეკითხვა» მენშევიკი დეპუტატებისადმი, თუ როგორ უყურებენ ისინი ლატვიელი მუშების მიერ წამოყენებულ პრინციპებს. ბოლშევიკური გაზეთის შეკითხვას მენშევიკებმა დუმილით აუარეს გვერდი. მაშინ «პუტ პრავდის» № 63-ში 1914 წლის 17 აპრილს სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია გამოვიდა «ღია წერილით», რომლითაც მოითხოვდა დასმულ კითხვაზე ზუსტი და ნათელი პასუხის გაცემას.

«ღია წერილს» მოჰყვა ჩხეიძის ფრაქციის «საჯარო პასუხი», რომლის გარჩევასაც ეს სტატია შეიცავს. — **427.**

98 იგულისხმება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, მიღებული პარტიის II ყრილობის მიერ 1903 წელს (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 19 — 23). — **427.**

99 ვ. ი. ლენინს მოჰყავს რეზოლუცია რსდმპ მეხუთე კონფერენციისა — «რ უ ს. ს ო ც.-დ ე მ. მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა. (1 9 0 8 წ ლ ი ს დ ე კ ე მ ბ ე რ ი)». გაზ. «პროლეტარის» გამოცემა. **Paris**, 1909, გვ. 38 (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 125). — **429.**

100 ვ. ა. ტ. — «პრავდის» თანამშრომლის ვ. ა. ტიხომირნოვის ინიციალები. — **444.**

101 სანამ დაწერდა სტატიას «ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ო ნ ა ც ე მ ე ბ ი მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი ა რ ს ებ უ ლ ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ ი მ დ ი ნ ა-

რეობათა სიძლიერის შესახებ», ლენინმა წინასწარ გულდასმით შეკრიბა, შეამოწმა და ღრმა ანალიზი გაუკეთა ციფრებსა და ფაქტებს მუშათა ბეჭდვითი სიტყვისათვის შეგროვებული ფულადი თანხების შესახებ, რომლებიც ობიექტურად მოწმობდნენ, თუ რამდენად ძლიერი იყვნენ სხვადასხვა მიმდინარეობანი რუსეთის მუშათა მოძრაობაში. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივში ინახება ლენინის ხელნაწერები, სადაც გამოთვლილია გაზეთ «პრავდის» მიერ შეგროვებული ფულადი თანხები, გაზეთ «ციტის» მიერ გაერთიანებული მუშათა ჯგუფების რიცხვი, მოცემულია გაანგარიშება სტატიაში მოყვანილი ცხრილისათვის (იხ. ეს ტომი, გვ. 467 — 469), შეჯამებულია ციფრული მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ, სად და რა გზით შეგროვდა ფული სხვადასხვა გაზეთის სასარგებლოდ. გარდა ამისა, შენახულია: პირვანდელი მონასახი კონსპექტისა და კონსპექტი სტატიისა «ობიექტური მონაცემები მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა სიძლიერის შესახებ». შემდეგში ლენინს თავის ნაშრომებში არა ერთხელ მიუმართავს ამ სტატიაში მოყვანილი ციფრებისათვის. — **465**.

102 ესტონური პრავდისტული გაზეთი — **«Töö Häl»** («შრომის ხმა»), გამოდიოდა ნარვაში სამჯერ კვირაში 1914 წლის იანვრიდან. ლიტვური პრავდისტული გაზეთი — **«Vilnis»** («ტალღა»), გამოდიოდა რიგაში 1913 წლის ნოემბრიდან. — **470**.

103 «ტრუდოვაია პრავდის» № 12-ში 1914 წლის 11 ივნისს დაბეჭდილი იყო შენიშვნა სათაურით «როგორ ხდება ეს?». შენიშვნაში მოყვანილი იყო მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც ლიკვიდატორთა ორგანო «ნაშა რაბოჩაია გაზეტა», ვითომდა მუშების კორესპონდენციათა სახით, გადაბეჭდავდა ხოლმე ცნობებს ბურჟუაზიული გაზეთებიდან, რომლებიც დამახინჯებულად გადმოსცემდნენ მუშათა ცხოვრების ნამდვილ ფაქტებს. — **472**.

104 «მუშის თანამგზავრი 1914 წლისათვის» — უბის კალენდარი, რომელიც 1913 წლის დეკემბერში გამოუშვა პარტიულმა გამომცემლობამ «პრიბოიმ». კალენდარი ერთ დღეში გაიყიდა. 1914 წლის თებერვალში გამოვიდა მეორე, გადამუშავებული გამოცემა.

ლენინმა «მუშის თანამგზავრში» მოათავსა სტატია «გაფიცვები რუსეთში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 640 — 644). — **472**.

105 ლენინს მხედველობაში აქვს: რსდმპ 1903 წლის II ყრილობის რეზოლუცია «სოციალისტ-რევოლუციონერების შესახებ»; რსდმპ

1907 წლის V ყრილობის რეზოლუცია «ბურჟუაზიული პარტიებისადმი დამოკიდებულების შესახებ»; რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის «აგვისტოს» («ზაფხულის») თათბირის რეზოლუცია «ნაროდნიკების შესახებ» (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 27 — 28; 100 — 101; 212). — **473.**

106 1914 წლის აგვისტოს ვენაში, საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილების თანახმად, უნდა შემდგარიყო X საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი, რომლის დღის წესრიგში განზრახული იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობათა გაერთიანების საკითხის შეტანა.

ბოლშევიკები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ ამ კონგრესზე მუშა დელეგატების გაგზავნისათვის, მანდატების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით მიღებისათვის. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კონგრესისათვის მზადებას, ბოლშევიკების დელეგაციის შემადგენლობას. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივში ინახება ლენინის ხელნაწერი — ვენის კონგრესისათვის წარსადგენი ანგარიშის გეგმა, სადაც დაწვრილებით ჩამოთვლილია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ამ ანგარიშის ყველა პუნქტი. ანგარიშში ცალკე ადგილი აქვს დათმობილი ლიკვიდატორების მხილებას. — **476.**

107 «**Die Neue Zeit**» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883 წლიდან 1923 წლამდე. 1885 — 1895 წლებში «**Die Neue Zeit**»-ში გამოქვეყნდა ფ. ენგელსის ზოგიერთი სტატია. ენგელსი ხშირად აძლევდა მითითებას ჟურნალის რედაქციას და მკაცრად აკრიტიკებდა მას მარქსიზმისაგან გადახვევისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის სიკვდილის შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) ცენტრისტული კაუცკური პოზიცია ეკავა, მხარს უჭერდა სოციალ-შოვინისტებს. — **484.**

108 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XVII, 1937, გვ. 836. — **486.**

109 ლ. ვ ლ. — ლ. ვლადიმიროვი (მ. კ. შეინფინკელის ფსევდონიმი). — **504.**

110 «შ ლ ი ა ხ ი» («გზები») — უკრაინელ სტუდენტთა კავშირის ორგანო, ნაციონალისტური მიმართულებისა; გამოდიოდა ლვოვში 1913 წლის აპრილიდან 1914 წლის მარტამდე. — **509.**

111 ლენინს მოჰყავს გამოთქმა ა. ს. გრიბოედოვის კომედიიდან «ვაი ჭკუისაგან» (იხ. ა. ს. გრიბოედოვი. თხზულებანი, 1945, გვ. 39). — **518.**

112 იგულისხმება გალიციისა და სილეზიის პოლონელთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო — გაზეთი «N a p r z ó d» («წინ»), რომელიც კრაკოვში გამოდიოდა 1892 წლიდან. — **520.**

113 ლენინს მხედველობაში აქვს ვ. ლიბკნეხტის მოგონებანი მარქსზე (იხ. კრებული «მოგონებანი მარქსზე», 1940, გვ. 82). — **534.**

114 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1931, გვ. 348. — **534.**

115 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXI, 1932, გვ. 210 — 211. — **535.**

116 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 148, 178, 179. — **536.**

117 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIII, 1932, გვ. 413 — 414. — **537.**

118 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIII, 1932, გვ. 488. — **538.**

119 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1931, გვ. 113, 240 — 241 და 233. — **539.**

120 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1931, გვ. 250. — **540.**

121 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 230, 231. — **540.**

122 ლენინს ციტატა მოჰყავს პლეხანოვის სტატიიდან «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი», რომელიც გამოქვეყნდა «ზარიას» № 4-ში 1902 წელს.

«ზ ა რ ი ა» — მარქსისტული სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალი; 1901 — 1902 წლებში სცემდა შტუტგარტში გაზეთ «ისკრის» რედაქ-

ცია. გამოვიდა 4 ნომერი — სამი წიგნი. «ზარიაში» დაბეჭდილია ლენინის სტატიები: «შემთხვევითი შენიშვნები», «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები», პირველი ოთხი თავი ნაშრომისა «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (სათაურით «ბბ. «კრიტიკოსები» აგრარულ საკითხში»), «შინაური მიმოხილვა» და «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა». — **544.**

123 გამოთქმა ამოღებულია ნ. შჩედრინის ნარკვევებიდან «საზღვარგარეთ» (იხ. მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი. რჩეული თხზულებანი, 1947, გვ. 344 — 350). — **551.**

124 ლენინს მოჰყავს სიტყვები სევასტოპოლელ ჯარისკაცთა სიმღერიდან, რომელიც ეხება 1855 წლის 4 აგვისტოს შავ მდინარეზე მომხდარ ბრძოლას ყირიმის ომის დროს. სიმღერის ავტორი იყო ლ. ნ. ტოლსტოი (იხ. ლ. ნ. ტოლსტოი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. 4, 1935, გვ. 307 — 308). — **554.**

125 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «კომუნისტური პარტიის მანიფესტი», 1948, გვ. 81 — 98. — **563.**

126 **«L'Humanité»** («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, დაარსებული ჟ. ჟორესის მიერ 1904 წელს როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთი საფრანგეთის სოციალისტური პარტიის უკიდურესი მემარჯვენე ფრთის ხელში იყო და სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა. მალე მას შემდეგ, რაც სოციალისტური პარტია გაითიშა 1920 წლის დეკემბრის კონგრესზე და საფრანგეთის კომუნისტური პარტია შეიქმნა, გაზეთი მისი ორგანო გახდა; გამოდის ამჟამადაც პარიზში როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო. — **572.**

127 ლენინის დეპეშა, რომელიც მარტოვისა და დანისაგან მოითხოვდა — საეჭვო ხმები და ბინძური ცილისწამება კი არ გაევრცელებინათ, არამედ პირდაპირი ბრალდება წამოეყენებინათ და ზედ ხელი მოეწერათ, მოთავსებული იყო გაზეთ «რაბოჩის» № 4-ში, 1914 წლის 25 მაისს. — **589.**

128 ლენინს მოჰყავს, ზოგიერთი ცვლილებით, ციტატა ნ. ა. ნეკრასოვის ლექსიდან «ორმოციანი წლების ადამიანი» (იხ. ნ. ა. ნეკრასოვი. რჩეული თხზულებანი, 1947, გვ. 144). — **595.**

129 იხ. კ. მარქსი. «ფილოსოფიის სიღატაკე», 1941, გვ. 104. — **600.**

130 ნ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ი და ა. ბ ო გ დ ა ნ ო ვ ი — ა. ა. მალინოვსკის ფსევდონიმები; ვ ო ი ნ ო ვ ი — ა. ვ. ლუნაჩარსკი; ლ ი ა დ ო ვ ი — მ. ნ. მანდელშტამი; სტ. ა. ვ ო ლ ს კ ი — ა. ვ. სოკოლოვი; დ ო მ ო ვ ი — მ. ნ. პოკროვსკი. — **604.**

131 «მ ი მ ა რ თ ვ ა უ კ რ ა ი ნ ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს ა დ მ ი» უკრაინულ ენაზე, ოქსენ ლოლას ხელმოწერით, დაბეჭდილი გაზეთ «ტრუდოვაია პრავდაში» № 28, 1914 წლის 29 ივნისს, მუშებს მოუწოდებდა გაერთიანებულიყვნენ, განურჩევლად ეროვნებისა, კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად და გამოეცათ «ტრუდოვაია პრავდასთან» «უკრაინელი მუშების ფურცელი».

«მიმართვის» ტექსტი რუსულ ენაზე დაწერა ლენინმა 1914 წლის გაზაფხულზე და ი. არმანდის ხელით გადაუგზავნა ოქსენ ლოლას. «უკრაინელი მუშების ფურცლის» გამოცემა ვერ მოხერხდა. — **612.**

132 რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება ბრიუსელის თათბირზე შენახულია ორი (არასრული) ხელნაწერის სახით: ერთია ლენინის ხელნაწერი, მეორე — ე. ვ. კრუპსკაიას ხელით გადაღებული ასლი, ლენინის შესწორებებით. გარდა ამისა შენახულია ლენინის ხელნაწერები — საინსტრუქციო მითითებანი ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებისათვის თათბირზე: «შენიშვნები **privées**», შენიშვნები «არა მოხსენებისათვის» და წერილი დელეგაციისადმი (წერილი ქვეყნდება პირველად; იხ. ეს ტომი, გვ. 661 — 665).

ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, რომელიც ლენინმა 1914 წლის 23 — 30 ივნისს (6 — 13 ივლისს) დაწერა, თათბირზე ფრანგულ ენაზე წაიკითხა ინესა არმანდმა. ლენინი პორონინიდან (გალიცია) ხელმძღვანელობდა ბოლშევიკების დელეგაციის მუშაობას ბრიუსელის თათბირზე.

ბ რ ი უ ს ე ლ ი ს «გ ა მ ა ე რ თ ი ა ნ ებ ე ლ ი» თ ა თ ბ ი რ ი, რომელიც საერთაშ. სოც. ბიუროს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწვია «აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის» რსდმ პარტიაში ერთიანობის აღდგენის შესაძლებლობის საკითხზე, შესდგა 1914 წლის 16 — 18 ივლისს (იხ. სტ.). თათბირზე წარმოდგენილი იყო 11 სხვადასხვა ჯგუფი: რსდმპ ცენტრალური კომიტეტი (ბოლშევიკები); საორგანიზაციო კომიტეტი (მენშევიკები) და მასთან ახლოს მდგომი ორგანიზაციები — კავკასიის საოლქო კომიტეტი და «ბორბას» ჯგუფი (ტროცკისტები); სათათბიროს ს.-დ. ფრაქცია (მენშევიკები); პლეხანოვის ჯგუფი «ედინსტვო»; «ვპერიოდის» ჯგუფი; ბუნდი; ლატვიელთა მხარის ს.-დ.; ლიტვის ს.-დ.; პოლონელი ს.-დ-ები; პოლონეთის ს.-დ. ოპოზიცია; პ. პ. ს. (ლევიცა).

მიუხედავად იმისა, რომ თათბირი მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლით უნდა დაკმაყოფილებულიყო და სავალდებულო გადაწყვეტილებანი არ უნდა მიეღო, მაინც კენჭი ეყარა კაუცკის რეზოლუციას რსდმ პარტიის გაერთიანების შესახებ. ხმის უმრავლესობით რეზოლუცია მიიღეს. ბოლშევიკებმა და ლატვიელმა სოციალ-დემოკრატებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ ამ რეზოლუციის კენჭისყრაში.

«ლიკვიდატორებთან ბოლშევიკების «შერიგების» სახით, «პარტიაში მშვიდობიანობის» დამყარების სახით II ინტერნაციონალმა მოსთხოვა ბოლშევიკებს შეეწყვიტათ ლიკვიდატორთა შემთანხმებლური პოლიტიკის კრიტიკა. მაგრამ ბოლშევიკები შეურიგებელნი იყვნენ: მათ უარი თქვეს დამორჩილებოდნენ ოპორტუნისტული II ინტერნაციონალის გადაწყვეტილებებს და არავითარ დათმობაზე არ წავიდნენ». («საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 195). — **613.**

133 «რწმუნებული პირები» — მოწინავე მუშები, რომლებსაც გამოყოფდნენ ხოლმე ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს შორის მუდმივი ცოცხალი კავშირურთიერთობის დასამყარებლად, აგრეთვე მუშათა მოძრაობის დიდ ცენტრებში ადგილობრივი მუშაობის ხელმძღვანელობის მოქნილი ფორმების შესაქმნელად.

რწმუნებულ პირთა სისტემის შექმნის ამოცანა წამოაყენა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის «თებერვლის» თათბირმა (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 196). — **619.**

134 «ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს» ტექნიკური კომისია (საზღვარგარეთული ტექნიკური კომისია) შექმნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირმა 1911 წლის ივნისში ტექნიკური ფუნქციების შესასრულებლად (საგამომცემლო მუშაობა, ტრანსპორტი და სხვ.) როგორც დროებითი ორგანო, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევამდე. საზღვარგარეთული ტექნიკური კომისია ემორჩილებოდა ცენტრალური კომიტეტის იმ წევრთა ჯგუფს, რომლებმაც 1911 წლის ივნისის თათბირში მიიღეს მონაწილეობა. საზღვარგარეთულ ტექნიკურ კომისიაში შევიდა ბოლშევიკების, შემარიგებლებისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის თითო წარმომადგენელი. საზღვარგარეთული ტექნიკური კომისიის შემარიგებლური უმრავლესობა ჩაშლიდა ხოლმე ბოლშევიკების ორგანიზაციულ ღონისძიებებს, უარს ამბობდა დამორჩილე-

ბოდა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის გადაწყვეტილებებს, შეწყვიტა სახსრების გაღება რსდმპ ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» გამოსაცემად, ილაშქრებდა პრესაში (საზღვარგარეთული ტექნიკური კომისიის ფურცლებსა და «საინფორმაციო ბიულეტენში») ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ.

1911 წლის 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს) ბოლშევიკების წარმომადგენელი მ. ფ. ვლადიმირსკი გამოვიდა საზღვარგარეთული ტექნიკური კომისიის შემადგენლობიდან, და ბოლშევიკებმა ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს ამ კომისიასთან. — **622.**

135 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის «თებერვლის» თათბირის რეზოლუცია: «რევოლუციური აღმავლობა, გაფიცვები და პარტიის ამოცანები», გამოქვეყნებული ბროშურაში: «ცნობა და რეზოლუციები რსდმპ ცენტრალური კომიტეტის თათბირისა პარტიულ მუშაკებთან.» თებერვალი 1913». გამოცემა რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 194 — 195). — **631.**

136 ლაპარაკია კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ბოლშევიკურ ორგანიზაციებზე, რომლებიც ინტერნაციონალიზმის საფუძვლებზე შექმნა ი. ბ. სტალინმა ვ. ზ. კეცხოველთან და ა. გ. წულუკიძესთან ერთად. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების რევოლუციურ მუშაობას, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებდნენ სხვადასხვა ეროვნების მოწინავე პროლეტარებს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 37, 83 — 84, 289).

ი. ბ. სტალინი წერდა: «თუ კავკასიელებმა მოახერხეს სომეხ და თათარ მუშებს შორის ნაციონალური უთანხმოების დაძლევა, თუ მათ მოახერხეს მოსახლეობის უშიშარყოფა ხოცვა-ჟლეტისა და ერთმანეთისათვის ტყვიის დაშენის შესაძლებლობისაგან, თუ ბაქოში, ნაციონალური ჯგუფების ამ კალეიდოსკოპში, ახლა უკვე შეუძლებელია ნაციონალური შეტაკებანი, თუ იქ მოხერხდა მუშების ჩაბმა მძლავრი მოძრაობის ერთიან დინებაში, — ამაში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალურმა წყობამ» (ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 2, 1947, გვ. 393). — **642.**

137 «ს ტ რ ა ხ ო ვ ა ნ ი ე რ ა ბ ო ჩ ი ხ» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის დეკემბრიდან 1918 წლის ივნისამდე. — **647.**

138 ლაპარაკია პარტიის ყრილობის მოწვევაზე, თანახმად რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის «აგვისტოს» («ზაფხულის») თათბირის გადაწყვეტილებისა.

1914 წლის აპრილში ცენტრალური კომიტეტის წევრთა იმ თათბირზე ბოლშევიკების სათათბიროს ფრაქციის წარმომადგენელთან ერთად, რომელსაც ლენინი ხელმძღვანელობდა, ირჩეოდა ყრილობის მოწვევის განსახორციელებლად პრაქტიკულ ღონისძიებათა საკითხი. გადაწყდა შექმნილიყო სპეციალური კომისია ყრილობის მოსამზადებლად, გაეგზავნათ ადგილებზე პარტიის თვალსაჩინო მუშაკები, რისთვისაც უნდა მოწყობილიყო ი. ბ. სტალინის, ი. მ. სვერდლოვისა და ს. ს. სპანდარიანის გამოქცევა გადასახლებიდან. გარდა ამისა, განზრახული იყო, რომ სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებს შემოევლოთ რუსეთი საორგანიზაციო და სააგიტაციო მიზნებით.

მაშინვე განსაზღვრულ იქნა ყრილობის დღის წესრიგი: 1) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და ანგარიშები ადგილებიდან; 2) პოლიტიკური მომენტი; 3) პარტიის ორგანიზაციული ამოცანები; 4) საგაფიცვო მოძრაობის ამოცანები; 5) დამოკიდებულება ლიკვიდატორებისადმი; 6) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური ორგანოს არჩევნები და სხვა საკითხები.

ყრილობისათვის მზადება კონსპირაციულად მიმდინარეობდა, საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესში მონაწილეობის საბაბით, და ყრილობის მოწვევაც კონგრესის ერთდროულად იყო განზრახული.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო ყრილობა არ შემდგარა. — **648.**

139 1905 წლის თებერვალში ა. ბებელმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის გამგეობის სახელით ლენინს მიმართა წერილით და შესთავაზა მედიატორად აერჩიათ იგი მენშევიკური «ისკრისა» და ბოლშევიკურ გაზეთ «ვპერიოდის» მომხრეებს შორის. ლენინმა უპასუხა, «რომ არც მას და «ვპერიოდის» არც სხვა რომელიმე მომხრეს, რომელსაც კი იგი იცნობს, უფლება არა აქვს შებოჭოს თავისი ნაბიჯებით მთელი პარტია, და რომ ამიტომ ბებელის წინადადება განსახილველად უნდა გადაეცეს პარტიულ ყრილობას, რომელსაც იწვევს რუსეთის ბიურო» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 198).

რსდმ პარტიის III ყრილობამ უარყო ბებელის წინადადება. — **664.**

140 სტატიას «მუშების გამოხმაურება სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნაზე» მთელი რიგი მოსა-

მზადებელი მასალები აქვს. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივში ინახება ლენინის ხელნაწერები, სადაც გამოანგარიშებულია ხელმოწერანი ბოლშევიკური «ექვსეულისა» და მენშევიკური «შვიდეულის» სასარგებლოდ, აგრეთვე შეჯამებულია ის ფულადი თანხები, რომლებმაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციისა და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელში გაიარეს 1913 წლის ოქტომბრიდან 1914 წლის 6 (19) ივნისამდე. — **666.**

141 ლაპარაკია მენშევიკ-ლიკვიდატორებზე: ენზისი — ვ. ნ. როზანოვი; ეგოროვი — ლ. მარტოვი (ი. ო. ცედერბაუმი); სტ. ნოვიჩი — ს. ი. პორტუგეისი; ე. სმირნოვი — ე. ლ. გურევიჩი; ანტიდოტო — ლ. ტროცკი; ნევედომსკი — მ. პ. მიკლაშევსკი; ლვოვროგაჩევსკი — ვ. ლ. როგაჩევსკი; ჩერევანინი — ფ. ა. ლიპკინი. — **676.**

142 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს) გამოვიდა მასობრივი მუშათა გაზეთის — «პრავდის» პირველი ნომერი. 1914 წლის 21 მარტს (3 აპრილს) გაზეთ «პუტ პრავდის» № 42-ში, «პრავდისტთა ჯგუფის» ხელმოწერით, მოთავსებული იყო ღია წერილი, რომელიც მოუწოდებდა, რომ 1914 წლის 22 აპრილი, ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთის გამოსვლის დღის აღსანიშნავად, მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღედ ყოფილიყო გამოცხადებული.

რუსეთის მუშები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. «პრავდის» დაარსების ორი წლისთავი ბოლშევიკებმა ჩაატარეს გაზეთსა და მუშათა მასებს შორის კავშირის შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოების ნიშნით. — **681.**

143 სტატიას ბოლოში დართული აქვს რედაქციის შენიშვნა: «გაგრძელება იქნება». მაგრამ გაზეთის შემდგომ ნომრებში სტატიის გაგრძელება არ გამოქვეყნებულა, ხოლო 1914 წლის 8 (21) ივლისს გაზეთი დაიხურა. — **691.**

144 ლაპარაკია რსდმ პარტიასთან პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის შეერთების პირობებზე, რომლებიც მიღებულ იქნა 1906 წელს რსდმ პარტიის IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე სტოკჰოლმში (იხ. «საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1940, გვ. 80 — 81). — **692.**

145 გაზეთ «ლეიფციგერ ფოლკსცეიტუნგში» (**«Leipziger Volkszeitung»**) სტატია გამოქვეყნდა სარედაქციო სათაურით: «პასუხი. ჩვენ გვწერენ». სტატიის სათაური — «პასუხი «ლეიფციგერ ფოლკსცეიტუნგის» სტატიაზე» მოცემულია მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ.

«**Leipziger Volkszeitung**» («ლეიფციგის სახალხო გაზეთი») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის ორგანო. გაზეთი გამოდიოდა ყოველდღიურად 1894 წლიდან 1933 წლამდე; მთელი რიგი წლების განმავლობაში გაზეთს ფ. მერინგი და რ. ლუქსემბურგი რედაქტორობდნენ. 1917 წლიდან 1922 წლამდე **«Leipziger Volkszeitung»** გერმანელ «დამოუკიდებელთა» ორგანო იყო; 1922 წლის შემდეგ — მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ორგანო. — **694.**

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1913* წლის დეკემბერი—*1914* წლის აგვისტო)

1913

ოქტომბერი — დეკემბერი. ლენინის სტატია «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე» ქვეყნდება ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № № 10, 11 და 12-ში.

დეკემბერი, 19 (1914 წლის 1 იანვარი). გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდის» № 11-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ერთხელ კიდევ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსა და ლიკვიდატორებზე».

დეკემბერი, 20 (1914 წლის 2 იანვარი). ლენინის სტატიები «ნაციონალ-ლიბერალიზმი და ერთა თვითგამორკვევის უფლება», «ნაროდნიკობა და ლიკვიდატორობა როგორც დაშლის ელემენტები მუშათა მოძრაობაში» და «კაუცკის წერილის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდის» № 12-ში.

ლენინი პასუხად მიწვევისა — მონაწილეობა მიიღოს ლატვიელთა მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის მუშაობაში, შეკითხვით მიმართავს ლატვიელ ბოლშევიკებს ყრილობის შემადგენლობის, მოწვევის ადგილისა და დროის შესახებ.

დეკემბერი, 25 (1914 წლის 7 იანვარი). წერილში ლატვიელი ბოლშევიკებისადმი ლენინი უყენებს მათ ამოცანას — შეკავშირდნენ ლატვიის სოციალ-დემოკრატიის მომავალი ყრილობისათვის.

ლენინის სტატია ««ნოვოე ვრემია» და «რეჩი» ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდის» № 16-ში.

დეკემბერი, 26—27 (1914 წლის 8 — 9 იანვარი). ლენინი კრაკოვიდან მიემგზავრება ბერლინს, რათა შეხვდეს ლატვიელ ბოლშევიკებს ლატვიელთა მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის მოწვევის საკითხზე.

დეკემბერი, 27—29 (1914 წლის 9 — 11 იანვარი).	ლენინი კრაკოვში ატარებს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირს ბოლშევიკების სათათბიროს ფრაქციის მუშაობის საკითხებზე.

1914

იანვარი, 1 (14).	ლენინის სტატია «4 000 მანეთი წლიურად და 6-საათიანი სამუშაო დღე» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდის» № 19-ში.
იანვარი, არა უგვიანეს 5 (18).	ლენინი ჩადის პარიზში.
იანვარი, 5 (18).	ლენინი ბოლშევიკების კრებას პარიზში აცნობს იმ ამბავს, რომ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს სურს ჩაერიოს რსდმ პარტიის საქმეებში ბოლშევიკებისა და მენშევიკების შერიგების მიზნით.
იანვარი, 9 (22).	ლენინი პარიზში გამოდის სოციალ-დემოკრატების ორ მიტინგზე, რომლებიც მიეძღვნა 1905 წლის 9 იანვრის წლისთავს.
იანვარი, 10 (23).	ლენინი პარიზში გეოგრაფიული საზოგადოების დიდ დარბაზში გამოდის რეფერატით თემაზე «ნაციონალური საკითხი».
იანვარი, არა უგვიანეს 12 (25).	ლენინი ჩადის ბრიუსელში.
იანვარი, 13 (26).	ლენინი გზავნის პარიზში მის მიერ რედაქტირებულ მასალებს «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენის» 1-ლი ნომრისათვის. «ბიულეტენი» გამოდის პარიზში 28 იანვარს (ან. სტ.).
იანვარი, 13 — 20 (იანვარი, 26 — თებერვალი, 2).	ლენინი მონაწილეობას იღებს ლატვიელთა მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის მუშაობაში და გამოდის მოხსენებით, რომელშიც აკრიტიკებს ლატვიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას, ამ კომიტეტის ოპორტუნისტულ პოზიციას.

იანვარი, 18 (31).	ლენინის სტატია «საჭიროა თუ არა სავალდებულო სახელმწიფო ენა?» ქვეყნდება გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდაში», № 14 (32).
იანვარი, 18 — 19 (იანვარი, 31 — თებერვალი, 1).	ლენინი სწერს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს ჰიუისმანსს მოკლე მოხსენებას რსდმპ ცენტრალური კომიტეტისა და ლიკვიდატორთა საორგანიზაციო კომიტეტის უთანხმოების ძირითადი პუნქტების შესახებ.
იანვარი, 20 (თებერვალი, 2).	ლენინი კითხულობს ლიეჟში რეფერატს თემაზე «ნაციონალური საკითხი».
21 და 24 იანვარს (3 და 6 თებერვალს) შუა.	ლენინი კითხულობს ლეიფციგში რეფერატს თემაზე «ნაციონალური საკითხი».
იანვარი, 24 (თებერვალი, 6).	ლენინი ბრუნდება კრაკოვში.
იანვარი, 25 (თებერვალი, 7).	გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 1, სადაც დაბეჭდილია ლენინის სტატია «საერობო სტატისტიკის ამოცანების საკითხისათვის» და რეცენზია წიგნისა **«Экспонаты по охране труда на Всероссийской гигиенической выставке в С.-Петербурге в 1913 г.».**
იანვარი, 31 (თებერვალი, 13).	ლენინის სტატია «მუშების ლიბერალური გარყვნა» და «წერილი რედაქციის მიმართ» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 9-ში.
თებერვალი, 4 (17).	გაზეთ «პუტ პრავდის» № 12-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ლიკვიდატორთა ბელადი «ერთიანობის» ლიკვიდატორული პირობების შესახებ».
თებერვალი, 5 (18).	ლენინის სტატიები «ნაციონალური პროგრამის ისტორიისათვის ავსტრიასა და რუსეთში» და «ბრწყინვალე ლიბერალი მემამულე «ახალი საერობო რუსეთის» შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 13-ში.

თებერვალი, 18 (მარტი, 3).	ლენინის სტატია «ნაროდნიკობა და დაქირავებული მუშების კლასი» გამოქვეყნდა გაზეთ «პუტ პრავდის» № 15-ში.
თებერვალი, 20 (მარტი, 5).	ლენინის სტატიები «კიდევ «ნაციონალიზმის» შესახებ» და «გლეხობა და დაქირავებული შრომა» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 17-ში.
თებერვალი, 21 (მარტი, 6).	გაზეთ «პუტ პრავდის» № 18-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ბ-ნი სტრუვე «ხელისუფლების გაჯანსაღების» შესახებ».
თებერვალი, 22 (მარტი, 7).	ლენინის სტატია «ნაროდნიკები ნ. კ. მიხაილოვსკის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 19-ში.
თებერვალი, 25 (მარტი, 10).	ლენინის სტატია «ა. ბოგდანოვის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 21-ში.
	გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 2, სადაც დაბეჭდილია ლენინის სტატია «რედაქციისაგან ვეტერანის სტატიისადმი: «ნაციონალური საკითხი და ლატვიელი პროლეტარიატი»».
თებერვალი — აპრილი.	ლენინი ადგენს გეგმას კრებულისას «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», წერს მის წინასიტყვაობას და ბოლოსიტყვაობას.
თებერვალი — მაისი.	ლენინი წერს სტატიას «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ».
მარტი, 1 (14).	ლენინის სტატია «პოლიტიკური დავა ლიბერალებს შორის» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 25-ში.
მარტი, 2 (15).	ლენინის სტატია ««მშრომელი» გლეხობა და მიწით ვაჭრობა» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 26-ში.
მარტი, 6 (19).	გაზეთ «პუტ პრავდის» № 29-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ლიბერალების საზრუნავი».
მარტი, 7 (20).	ლენინის სტატია «ნაროდნიკები და ლიკვიდატორები პროფესიულ მოძრაობაში (საგულისხმო აღიარება)» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 30-ში.

მარტი, 8 (21). ლენინი გამოდის კრაკოვში რეფერატით თემაზე «რუსეთის სოციალ-დემოკრატია და ნაციონალური საკითხი».

მარტი, 9 (22). ლენინის სტატია «გულუბრყვილო სურვილები» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 32-ში.

მარტი, 11 (24). ლენინი უარს ამბობს «სოვრემენნიკის» რედაქციის მიწვევაზე — ითანამშრომლოს ჟურნალში და თავის უარს ასაბუთებს იმით, რომ არ ეთანხმება ჟურნალის პროგრამას.

გაზეთ «პუტ პრავდის» № 33-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ლიბერალური პროფესორი თანასწორობის შესახებ».

მარტი, 12 (25). ლენინის სტატია «ინგლისელი ლიბერალები და ირლანდია» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 34-ში.

მარტი, 13 (26). გაზეთ «პუტ პრავდის» № 35-ში ქვეყნდება ლენინის სტატია «ტეილორის სისტემა ადამიანის დამონებაა მანქანის მიერ».

მარტი, 14 (27). ლენინის სტატია ««პასუხისმგებელი ოპოზიცია» და კ.-დ-ების მონაწილეობა პირველი მარტის თათბირში» დაიბეჭდა გაზეთ «პუტ პრავდის» № 36-ში.

მარტი, 15 (28). ლენინის სტატია ««აგვისტოს» ბლოკის დაშლა» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 37-ში.

მარტი, 19 (აპრილი, 1). ლენინი გზავნის მის მიერ დაწერილ პროექტს «მიმართვისა უკრაინელი მუშებისადმი» ოქსენ ლოლასათვის.

მარტი, 20 (აპრილი, 2). ლენინის სტატია «კაპიტალიზმი და ბეჭდვითი სიტყვა» დაიბეჭდა გაზეთ «პუტ პრავდის» № 41-ში.

მარტი, 22 (აპრილი, 4). გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 3, სადაც დაბეჭდილია ლენინის სტატიები «რადიკალური ბურჟუა რუსი მუშების შესახებ» და «პოლიტიკური გაკვეთილები».

მარტი, 28 (აპრილი, 10).	ლენინის მიერ დაწერილი «კანონპროექტი ეროვნული თანასწორუფლებიანობის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 48-ში.
მარტი, 29 (აპრილი, 11).	გაზეთ «პუტ პრავდის» № 49-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «სოფლის მუშების ხელფასი».
მარტი, 30 (აპრილი, 12).	ლენინის სტატიები «ლატვიელი მუშები ს.-დ. ფრაქციის გათიშვის შესახებ» და ««აგვისტოს» ფიქციის გამომჟღავნება» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 50-ში.
მარტი.	ლენინის სტატია «სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება» ქვეყნდება ჟურნალ «სოვრემენნი მირის» № 3-ში.
მარტი — აპრილი.	ლენინი წერს სტატიას «მუშების გამოხმაურება სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნაზე».
აპრილი, 4 (17).	გაზეთ «პუტ პრავდის» № 54-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ (ლოკაუტი და მარქსისტული ტაქტიკა)».
აპრილი, 6 (19).	ლენინის სტატია «ბურჟუაზიის შელამაზება მემარცხენე ნაროდნიკების მიერ» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 56-ში.
აპრილი, 6 (19)-ზე გვიან.	ლენინი სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკების ფრაქციისათვის წერს პროექტს სიტყვისას «ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის».
აპრილი, 10 (23).	ლენინის სტატია «კონსტიტუციური კრიზისი ინგლისში» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 57-ში.
აპრილი, 12 (25).	გაზეთ «პუტ პრავდის» № 59-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ერთიანობა».
აპრილი, 15 (28).	ლენინის სტატია «ორგანიზებული მარქსისტები საერთაშორისო ბიუროს ჩარევის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 61-ში.

აპრილი, 16 (29).	ლენინის სტატიები «ეროვნული თანასწორუფლებიანობა» და «ლიკვიდატორები და ლატვიელ მუშათა მოძრაობა» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 62-ში.
აპრილი, 20 (მაისი, 3).	გაზეთ «პუტ პრავდის» № 66-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ბატონყმური მეურნეობა სოფლად».
აპრილი, 22 (მაისი, 5).	ლენინის სტატია «რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩისა» № 1-ში. გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 4, სადაც დაბეჭდილია ლენინის სტატიები «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ», «რას არ უნდა წავბაძოთ გერმანიის მუშათა მოძრაობაში» და რეცენზია ნ. ა. რუბაკინის წიგნისა «წიგნთა შორის».
აპრილი, 26-მდე (9 მაისამდე).	ლენინი ატარებს ცენტრალური კომიტეტის წევრთა თათბირს ბოლშევიკების სათათბიროს ფრაქციის წარმომადგენელთან ერთად II ინტერნაციონალის ვენის კონგრესში მონაწილეობისა და პარტიული ყრილობის მომზადების შესახებ.
აპრილი, 26 (მაისი, 9).	ლენინი კრაკოვიდან გადადის პორონინში.
აპრილი, 29 (მაისი, 12).	ლენინის სტატია «ლიკვიდატორობის განსაზღვრა» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 73-ში.
მაისი, 3 (16).	გაზეთ «პუტ პრავდის» № 76-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «კიდევ პოლიტიკურ კრიზისზე».
მაისი, 4 (17).	ლენინის სტატია «იდეური ბრძოლა მუშათა მოძრაობაში» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 77-ში.
მაისი, 6 (19)-ზე გვიან.	ლენინი წერს «პროექტს კანონისას ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ».
მაისი, 8 (21).	ლენინის სტატია ««მამულით» მეზობლები»» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 80-ში.

მაისი, 9 (22).	ლენინის სტატია «ნაროდნიკები და «ფრაქციული ძალმომრეობა»» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 81-ში.
მაისი, 10 (23).	ლენინის სტატია «მუშების გარყვნა დახვეწილი ნაციონალიზმით» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 82-ში.
მაისი, 13 (26).	ლენინის სტატიები «პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ» და «მუშების ერთიანობა და ინტელიგენტების «მიმდინარეობანი»» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 85-ში.
მაისი, 14 (27).	ლენინის სტატია «მემარცხენე ნაროდნიკების შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «პუტ პრავდის» № 86-ში.
მაისი, 24 (ივნისი, 6).	ლენინის სტატია «ორი გზის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «რაბოჩის» № 3-ში.
მაისი, 25 (ივნისი, 7).	გამოდის გაზეთ «რაბოჩის» № 4, სადაც დაბეჭდილია ლენინის სტატია «პლეხანოვი, რომელმაც არ იცის, თუ რა სურს მას».
მაისი, 28-მდე (10 ივნისამდე).	ლენინი სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკების ფრაქციისათვის წერს პროექტს სიტყვისას «მიწათმოქმედების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის საკითხისათვის».
მაისი, 30 (ივნისი, 12).	ლენინის სტატია «ერთიანობის შესახებ» ქვეყნდება გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» № 2-ში.
ივნისი, 1 (14).	გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 5, სადაც დაბეჭდილია ლენინის სტატიები «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» (გაგრძელება), «აჩქარდები — სასაცილო გახდები», «ერთიანობის დარღვევა, რასაც ფარავენ ყვირილით ერთიანობის შესახებ» და რეცენზია ი. დროზდოვის წიგნისა «Заработная плата земледельческих рабочих в России в связи с аграрным движением 1905—1906 гг.».

ივნისი, 5 (18).	ლენინის სტატია «მდგომარეობა ნათელია. შეგნებული მუშების საყურადღებოდ» ქვეყნდება გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» № 7-ში.
ივნისი, 9 (22).	გამოდის გაზეთ «რაბოჩის» № 7, სადაც დაბეჭდილია ლენინის სტატიები «ავანტიურიზმის შესახებ» და «ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილებანი და ლიკვიდატორები».
ივნისი, 13 და 14 (26 და 27).	ლენინის სტატია «მუშათა კლასი და მუშათა პრესა» ქვეყნდება გაზეთ «ტრუდოვაია პრავდაში», №№ 14 და 15.
ივნისი, 19 (ივლისი, 2).	ლენინის სტატია «მემარცხენე ნაროდნიკობა და მარქსიზმი» ქვეყნდება გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» № 19-ში.
ივნისი, 22 (ივლისი, 5).	ლენინის სტატია «მიწის საკითხი რუსეთში» ქვეყნდება გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» № 22-ში.
ივნისი, 23 (ივლისი, 6).	ლენინი განსაზღვრავს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის შემადგენლობას ბრიუსელის თათბირზე, რომელსაც საერთაშორისო სოციალისტური ბიურო იწვევს რუსი სოციალ-დემოკრატების ყველა მიმდინარეობის წარმომადგენელთა მონაწილეობით.
ივნისი, 23 — 30 (ივლისი, 6 — 13).	ლენინი წერს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას და საინსტრუქციო მითითებებს ცენტრალური კომიტეტის დელეგაციისათვის ბრიუსელის თათბირზე.
ივნისი, 24 (ივლისი, 7).	ლენინის სტატია «ლანძღვის პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ (ერთიანობის საკითხისათვის)» ქვეყნდება გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» № 23-ში.
ივნისი, 26 (ივლისი, 9).	გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» № 25-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «ობიექტური მონაცემები მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა სიძლიერის შესახებ».

ივნისი, 28 (ივლისი, 11).	ლენინის სტატია «რამდენად ძლიერია მუშებში მემარცხენე-ნაროდნიკული მიმდინარეობა» ქვეყნდება გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» № 27-ში.
	გამოდის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 6, სადაც დაბეჭდილია ლენინის სტატიები «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» (დასასრული), «მუშების წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბრძოლის ხერხები» და ««ვპერიოდელებისა» და «ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ».
ივნისი, 29 (ივლისი, 12).	ლენინის მიერ დაწერილი «შენიშვნა «რედაქციისაგან» ოქსენ ლოლას «უკრაინელი მუშებისადმი მიმართვისათვის»» ქვეყნდება გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» № 28-ში.
ივნისი, 30 (ივლისი, 13).	ლენინი უგზავნის ბოლშევიკების დელეგაციას ბრიუსელის თათბირზე მის მიერ დაწერილ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას.
ივლისი, 2 (15).	გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» № 30-ში დაიბეჭდა ლენინის სტატია «სიცხადე უწინარეს ყოვლისა! (ერთიანობის საკითხისათვის)».
ივლისი, 2 და 3 (15 და 16).	ლენინის სტატია «მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღის შედეგებისათვის. გაზეთ «პუტ პრავდის» ანგარიშიდან» ქვეყნდება გაზეთ «ტრუდოვაია პრავდაში», №№ 30 და 31.
ივლისი, 3 — 5 (16 — 18).	ლენინი პორონინიდან (გალიცია) ხელმძღვანელობს ბრიუსელის თათბირის მონაწილე ბოლშევიკების დელეგაციის მუშაობას.
ივლისი, 5 (18).	გამოდის ლენინის მიერ შემზადებული კრებული «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა», ნაწილი II.
ივლისი, 5 (18)-ზე გვიან.	ლენინი წერილს სწერს ვ. მ. კასპაროვს ბერლინში და სთხოვს ინფორმაცია მიაწოდოს მას, თუ როგორ ვითარდება რევოლუციური ამბები რუსეთში.
ივლისი, 6 (19)-მდე.	ლენინი ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და რუსეთიდან ჩასული პარტიული მუშა-

	კების თათბირს სათათბიროს ფრაქციის მუშაობისა და პარტიული ყრილობის მომზადების საკითხებზე.
ივლისი, 6 (19)-ზე გვიან.	ლენინი წერს გეგმას რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისას ვენის კონგრესისადმი.
ივლისი, 7 (20)-ზე გვიან.	ლენინი წერს სტატიას «პოლონეთის ს.-დ. ოპოზიცია გზაჯვარედინზე».
ივლისი, 8 (21).	ლენინის პასუხი გაზეთ «ლეიფციგერ ფოლკსცეიტუნგის» სტატიაზე ქვეყნდება გაზეთ «ლეიფციგერ ფოლკსცეიტუნგის» № 165-ში.
ივლისი, 15 (28).	ლენინი თანხმდება დაამთავროს სტატია «კარლ მარქსი» «გრანატის» ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის.
15 და 17 (28 და 30) ივლისს შუა.	ლენინი წინასწარ სახავს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» მორიგი ნომრის შინაარსს, წერს გეგმას მოწინავე სტატიისას «რევოლუცია და ომი»; არკვევს გამოცემის ტექნიკურ საკითხებს (ნომრის ზომა, სასტამბო ნიშნების რაოდენობა და სხვ.).
ივლისი, 25 (აგვისტო, 7).	ავსტრიის ხელისუფალნი ჩხრეკენ ლენინის ბინას პორონინში (გალიცია).
ივლისი, 26 (აგვისტო, 8).	ლენინს აპატიმრებენ ახალ ტარგში (გალიცია).
აგვისტო, 6 (19).	ლენინს ათავისუფლებენ საპყრობილიდან.
აგვისტო, 13 (26).	ლენინი იღებს ავსტრია-უნგრეთიდან შვეიცარიაში წასვლის ნებართვას.
აგვისტო, 15 (28).	ლენინი მიემგზავრება შვეიცარიაში.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1913 წ.

კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე . 1 — 46

1. ლიბერალები და დემოკრატები ენების საკითხში . 4
2. «ნაციონალური კულტურა» 8
3. «ასიმილატორობის» ნაციონალისტური საფრთხობელა . 13
4. «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» . . . 22
5. ერთა თანასწორუფლებიანობა და ეროვნული უმცირესობის უფლებანი 31
6. ცენტრალიზაცია და ავტონომია 37

ერთხელ კიდევ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსა და ლიკვიდატორებზე . . . . . 47 — 52

ნაციონალ-ლიბერალიზმი და ერთა თვითგამორკვევის უფლება . . . . . 53 — 55

ნაროდნიკობა და ლიკვიდატორობა როგორც დაშლის ელემენტები მუშათა მოძრაობაში . . . 56 — 61

კაუცკის წერილის შესახებ . . . . . 62 — 63

«ნოვოე ვრემია» და «რეჩი» ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ . . . . . 64 — 65

წერილი რედაქციის მიმართ 66

1914 წ.

4 000 მანეთი წლიურად და 6-საათიანი სამუშაო დღე . . . . . 67 — 69

საჭიროა თუ არა სამალდებულო სახელმწიფო ენა? . . . . . 70 — 73

ძ. ჰიუისმანსს . . . . . 74 — 83

I 74
II 76
III 77
IV 77
V 78
VI 81

საერთაო სტატისტიკის ამოცანების საკითხისათვის . . . . . 84 — 92

წიგნის რეცენზია. «Экспонаты по охране труда на Всероссийской гигиенической выставке в С.-Петербурге в 1913 г.». Спб. 1913 г. Страниц 78 ფასი ნაჩვენები არ არის 93 — 94

მუშების ლიბერალური გარყვნა . . . . . 95 — 98

წერილი რედაქციის მიმართ . . . . . 99 — 100

ლიკვიდატორთა გელადი «ერთიანობის» ლიკვიდატორული პიროგების შესახებ . . . . . 101 — 105

ნაციონალური პროგრამის ისტორიისათვის ავსტრიასა და რუსეთში . . . . . 106 — 109

გრწყინვალე ლიბერალი მემამულე «ახალი საერთაო რუსეთის» შესახებ . . . . . 110 — 113

ნაროდნიკობა და დაჭირავებული მუშების კლასი . 114 — 118

კიდევ «ნაციონალიზმის» შესახებ . . . . . 119 — 121

გლეხობა და დაჭირავებული შრომა . . . . . 122 — 125

ბ-ნი სტრუვე «ხელისუფლების გაჯანსაღების» შესახებ . . . . . 126 — 128

ნაროდნიკები ნ. ძ. მიხაილოვსკის შესახებ . . . 129 — 134

ა. ბოგდანოვის შესახებ . . . . . 135 — 139

რედაქციისაგან ვეტერანის სტატიისადმი: «ნაციონალური საკითხი და ლატვიელი პროლეტარიატი» . 140 — 141

წინასიტყვაობა კრებულისა: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა». . . . . 142 — 145

პოლიტიკური დავა ლიბერალებს შორის . . . 146 — 149

«მშრომელი» ბლეხობა და მიწით ვაჭრობა . . 150 — 154

ლიბერალების საზრუნავი . . . . . 155 — 157

ნაროდნიკები და ლიკვიდატორები პროფესიულ მოძრაობაში (საგულისხმო აღიარება) . . . 158 — 163

გულუბრყვილო სურვილები . . . . . 164 — 165

ლიბერალური პროფესორი თანასწორობის შესახებ 166 — 170

ინგლისელი ლიბერალები და ირლანდია . . . 171 — 175

ტეილორის სისტემა ადამიანის დამონებაა მანქანის მიერ . . . . . 176 — 178

«პასუხისმგებელი ოპოზიცია» და კ.-დ-ების მონაწილეობა პირველი მარტის თათბირში . . . 179 — 181

«აგვისტოს» ბლოკის დაშლა . . . . . 182 — 186

კაპიტალიზმი და ბეჰდვითი სიტყვა . . . . 187 — 191

რადიკალური ბურჟუა რუსი მუშების შესახებ . . 192 — 197

პოლიტიკური გაკვეთილები . . . . . 198 — 200

კანონპროექტი ეროვნული თანასწორუფლებიანობის შესახებ . . . . . 201 — 203

პროექტი კანონისა ებრაელთა უფლებების ყველა შეზღუდვისა და საერთოდ ყველა იმ შეზღუდვის გაუქმების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია წარმოშობასთან ანდა რომელიმე ეროვნებისადმი კუთვნილებასთან . . 202

სოფლის მუშების ხელფასი . . . . . 204 — 207

ლატვიელი მუშები ს.-დ. ფრაქციის გათიშვის შესახებ . . . . . 208 — 213

«აგვისტოს» ფიქციის გამომჟღავნება . . . . 214 — 218

სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება . . . 219 — 247

I 222
II 224
III 227
IV 230
V 233
VI 236
VII 239
VIII 242
IX 244
X 246

მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ (ლოკაუტი და მარქსისტული ტაქტიკა) . . . . . 248 — 252

ბურჟუაზიის შელამაზება მემარცხენე ნაროდნიკების მიერ . . . . . 253 — 257

ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის . . 258 — 268

კონსტიტუციური კრიზისი ინგლისში . . . . 269 — 273

ერთიანობა . . . . . 274 — 277

ორგანიზებული მარქსისტები საერთაშორისო ბიუროს ჩარევის შესახებ . . . . . 278 — 281

ერთვნული თანასწორუფლებიანობა . . . . 282 — 284

ლიკვიდატორები და ლატვიელ მუშათა მოძრაობა . 285 — 288

გატონყმური მეურნეობა სოფლად . . . . 289 — 291

რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან . 292 — 302

რას არ უნდა წავბაძოთ გერმანიის მუშათა მოძრაობაში . . . . . 303 — 308

წიგნის რეცენზია. ნ. ა. რუბაკინი. **«Среди книг», том II (изд-тво «Наука»). М. 1913 г. Цена 4 руб. (изд. 2-ое).** . 309—312

ლიკვიდატორობის განსაზღვრა . . . . . 313 — 315

პოლემიტყვაობა კრებულისა: «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» . . . . . 316 — 327

კიდევ პოლიტიკურ კრიზისზე . . . . . 328 — 330

იდეური ბრძოლა მუშათა მოძრაობაში . . . 331 — 335

პროექტი კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ . . . . . 336 — 339

«მამულით მეზობლები» . . . . . 340 — 342

ნაროდნიკები და «ფრაქციული ძალმომრეობა» . 343 — 346

მუშების გარყვნა დახვეწილი ნაციონალიზმით . 347 — 350

პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ . . . . 351 — 353

მუშების ერთიანობა და ინტელიგენტების «მიმდინარეობანი» . . . . . 354 — 357

მემარცხენე ნაროდნიკების შესახებ . . . . 358 — 362

ლიკვიდატორები და მალინოვსკის ბიოგრაფია . 363 — 367

ორი გზის შესახებ . . . . . 368 — 371

პლეხანოვი, რომელმაც არ იცის, თუ რა სურს მას . 372 — 376

მიწათმოქმედების სავინისტროს ხარჯთაღრიცხვის საკითხისათვის . . . . . 377 — 383

ერთიანობის შესახებ . . . . . 384 — 387

აჩქარდები — სასაცილო გახდები . . . . . 388 — 391

ერთიანობის დარღვევა, რასაც ფარავენ ყვირილით ერთიანობის შესახებ . . . . . 393 — 422

I. «ფრაქციულობის» შესახებ 396
II. გათიშვის შესახებ 402
III. აგვისტოს ბლოკის დაშლის შესახებ 407
IV. შემარიგებლის რჩევა-დარიგება «შვიდეულს» . . 411
V. ტროცკის ლიკვიდატორული შეხედულებანი . . 416

წიგნის რეცენზია. ი. დ ო ბ ზ ო ვ ი. «Заработная плата земледельческих рабочих в России в связи с аграрным движением 1905—1906 гг.». СПБ. (Изд М. И. Семенова). 1914 г. Стр. 68. Ц. 50 к. . . . . 423—426

მდგომარეობა ნათელია. შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი მ უ შ ე ბ ი ს ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ . . . . . 427 — 433

1. პროგრამა და ნაციონალური საკითხი 428
2. 1908 წლის გადაწყვეტილება 429

3. 1910 წლის გადაწყვეტილება 430
4. «მიმდინარეობანი» 432

ავანტიურიზმის შესახებ . . . . . 434 — 439

ლატვიელ მარქსისტთა გადაწყვეტილებანი და ლიკვიდატორები . . . . . 440 — 443

მუშათა კლასი და მუშათა პრესა . . . . . 444 — 453

მემარცხენე ნაროდნიკობა და მარქსიზმი . . . 454 — 457

მიწის საკითხი რუსეთში . . . . . 458 — 460

ლანძღვის პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ (ერთიანობის საკითხისათვის) . . . . . 461 — 464

ობიექტური მონაცემები მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა სიძლიერის შესახებ . . . . . 465 — 472

რამდენად ძლიერია მუშებში მემარცხენე-ნაროდნიკული მიმდინარეობა . . . . . 473 — 477

ერთა თვითბამორკვევის უფლების შესახებ . . 479 — 560

1. რა არის ერთა თვითგამორკვევა? 482
2. საკითხის ისტორიული კონკრეტული დაყენება . . 489
3. ნაციონალური საკითხის კონკრეტული თავისებურებანი რუსეთში და ამ ქვეყნის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნა 493
4. «პრაქტიციზმი» ნაციონალურ საკითხში . . . 499
5. ლიბერალური ბურჟუაზია და სოციალისტი ოპორტუნისტები ნაციონალურ საკითხში 507
6. ნორვეგიის გამოყოფა შვეციისაგან 520
7. 1896 წლის ლონდონის საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილება 528
8. უტოპისტი კარლ მარქსი და პრაქტიკული როზა ლუქსემბურგი 534
9. 1903 წლის პროგრამა და მისი ლიკვიდატორები . . 544
10. დასკვნა 555

მუშების წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბრძოლის ხერხები . . . . . 561 — 602

1. ლიკვიდატორებისა და ნაროდნიკების კავშირი მუშების წინააღმდეგ 562
2. როგორ იცავენ ლიბერალები მუშების «ერთიანობას» ლიკვიდატორებთან 572
3. რატომ დაგმეს მუშათა ორგანიზაციებმა საჯაროდ ლიკვიდატორები, როგორც ცილისმწამებლები? . . 585

«ვპერიოდელებისა» და «ვპერიოდის» ჯგუფის შესახებ . . . . . 603 — 611

შენიშვნა «რედაქციისაგან» ოქსენ ლოლას «უკრაინელი მუშებისადმი მიმართვისათვის» . . . 612

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება და საინსტრუქციო მითითებანი ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას ბრიუსელის თათბირზე . . . . 613 — 665

I 616
II 622
III 636
IV 639

დამატებანი. საინსტრუქციო მითითებანი . . . . 655 — 665

I. შენიშვნები **privées** 655
II. შენიშვნები **privées** 656
III. არა მოხსენებისათვის 658
IV 661

მუშების გამოხმაურება სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნაზე . . . . . 666 — 676

რას გვეუბნება ორი ფრაქციის პირველი მეოთხედი წლის მუშაობის გამოცდილება? 672

სიცხადე უწინარეს ყოვლისა! (ერთიანობის საკითხისათვის) . . . . . 677 — 680

1. ადამიანებზე, რომლებსაც ორი აზრი აქვთ . . . 677

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის დღის შედეგებისათვის. გაზეთ «პუტ პრავდის» ანგარიშიდან . . 681 — 691

პეტერბურგში 687

პოლონეთის ს.-დ. ოპოზიცია გზაჯვარედინზე . . 692 — 693
პასუხი «ლეიფციგერ ფოლკსცეიტუნგის» სტატიაზე . 694 — 695
შენიშვნები . . . . . 697 — 737
ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . . 739 — 751

ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინის პორტრეტი. — 1914 წ. . . . . X — 1
29 — 30 გვერდი ვ. ი. ლენინის წერილისა კ. ჰიუისმანსისადმი. — 1914 წ. 31 იანვარი — 1 თებერვალი . . . . . 79 — 80
ერთი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა ცხრილის მონასახით სტატიისათვის «ობიექტური მონაცემები მუშათა მოძრაობაში არსებულ სხვადასხვა მიმდინარეობათა სიძლიერის შესახებ». — 1914 წ. ივნისი . . . . . 470 — 471

ტირაჟი 20.000
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/X-1951.
უე 03881. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 48¹/₈.
ფასი 8 მან.
*
საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 804.